რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2013

მიშველაძე

ლიტერატურა, პუბლიცისტიკა

ტომი XXI

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთიანი ტომი)
ISBN 978-9941-16-?????? (XXI ტომი)

რედაქტორი **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **მავრა ბანცური**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

„დილა“ 1972 წელს

„დილას“ თავისი ტრადიცია აქვს. ეს გახლავთ ქართული საბავშვო მწერლობის მაგისტრალური ხაზისადმი ერთგულება. სამყარო, რომელიც ჩვენი საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსებმა შექმნეს, გახლავთ უპირატესად სოფლელი ყმაწვილის ცხოვრების – მამითადის და კალოობის, კაკანათის, ციგაობის და ბუხრისპირას მოსმენილი ზღაპრების; დევებისა და ალქაჯების, წინდებით ხელში ბანზე გადმომდგარი დედის, ყინვა და პატარა მოწაფის სამყარო. ამ სამყაროში ჩვენი ბავშვობის სიზმრებს სძინავთ. დიდებიც სიამოვნებით ვფურცლავთ ხოლმე საყმაწვილო ჟურნალს და თითქოს სადღაც მეხსიერებაში მინავლული სიყრმის დღიურებს ვფურცლავთ. ჩვენს სულზე ცხოვლად დარჩენილი ლიტერატურის მადლი წარმოგვათქმევინებს ზოგჯერ: „გმადლობთ დევებო, ტყისკაცებო, ქონდრისკაცებო, ჭინკებო, ქოსატყუილებო, სადაც არსებობთ, გმადლობთ იმ დიდი შიშისა და სილამაზისათვის, რასაც ვერა და ვეღარ განვიცდი“ (შოთა ნიშნიანიძე). და აი, მეცნიერები, პედაგოგიკის სპეციალისტები ხშირად საყვედურობენ ჩვენს საბავშვო მწერლობას, რომ იგი ნელა გადადის თანამედროვეობის ფორმებზე, რომ ჩვენმა ყოფამ ბავშვის ცხოვრების პირობები შეცვალა, რომ ახლა საბავშვო ლიტერატურის მკითხველთა უმეტესობას მამითადი, კაკანათი და კალოობა იქნებ თვალითაც არ უნახავს და ბუხრისპირას ჩამომსხდარი წვეროსანი პაპებიც თანდათანობით სანთლით საძებარი ხდება, ისინი მოზარდთა თეატრების სპექტაკლებსა და გარდასულ სურათებსღა შემორჩნენ. ამის შესახებ ვფიქრობდი, როცა შარშანდელი „დილის“ თორმეტივე ნომერს ხელახლა ვფურცლავდი. რასაკვირველია, სულ სხვაა დღეს ჟურნალის თემატური სამყარო. „დილის“ ფურცლებზე თანამედროვეობის მაჯისცემა ძალუმად იგრძნობა, ჟურნალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი სათანადო ტაქტით და ზომიერებით ახერხებს ტრადიცია დღევანდელობის ელფერს შეუხამოს.

მე ვფიქრობ, საბავშვო ლიტერატურას მაინც შედარებითი სტაბილური მკითხველი ჰყავს. ყოველგვარი დროისა და გარემოს პირობებში მოზარდის ფსიქიკა ის სუფთა დაფაა, რომელსაც საოცარი სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ. შემეცნების პირველ ნაბიჯებს მოზარდი თითქმის ერთნაირად, ერთსა და იმავე ასაკში დგამს. საბავშვო ლიტერატურის გათანამედროვეობის პრობლემაც ფრთხილად უნდა დაისვას; ბავშვს ბავშვური სამყარო არ უნდა დავუმძიმოთ „ატომის ეპოქის“ სირთულეებით. შემჩნეულია, რომ მხოლოდ ასაკობრივი თავისებურების გამო

ბავშვი, რომელსაც ტელევიზორი და კოსმოსური თანამგზავრი უნახავს, მოწყენილი ისმენს მოთხრობას ატომურ რეაქტორზე და მაშინვე გამოცოცხლდება, სმენად იქცევა, როცა ალქაჯების, დევების და მზეთუნახავების ზღაპრულ სამყაროში იწყებ თხრობას. რასაკვირველია, საბავშვო ნაწარმოებს არქაულობის და კონსერვატიულობის ელფერი არ უნდა დაჰკრავდეს. რა თქმა უნდა, ბავშვს მოძველებული და ხშირად მისთვის შორეული და განუცდელი ჭეშმარიტებით ვერ დავაინტერესებთ, მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ „თავბრუდამხვევი ეპოქის“ შეცნობას იგი სხვა ასაკშიც შეძლებს, ჯერჯერობით კი ნუ გამოვიყვანთ მას იმ იდილიური ქვეყნიდან, როცა ადამიანები ფერად სიზმრებს ხედავენ და მათი ფართო და ლამაზი თვალები პირველყოფილის სიწმინდითა და გულწრფელობით აღიქვამენ გარემოს.

პოეზია

საბავშვო ლექსი პოეზიის ერთ-ერთი ურთულესი სახეა. იგი ყველაზე ნაკლებ იტანს ჭარბ მხატვრულ სამკაულებს. შინაგანი პოეტური სიშიშვლის დაფარვა აქ არც რითმათა ფოიერვერკით ხერხდება და არც სახეთა ბრწყინვალებით. საბავშვო ლექსს, უპირველეს ყოვლისა, მოკლე და სხარტი ფორმა, საინტერესო სიუჟეტი, ამბის მოულოდნელი, ნოველური მობრუნება ესაჭიროება. შეიძლება ლექსი რაიმე მოვლენას უკავშირდებოდეს (გაზაფხული, სექტემბერი, საზეიმო თარიღი) და ამ შემთხვევაში მხოლოდ მოზარდის ხალისიანი განწყობილების გადმოცემის ფუნქცია გააჩნდეს, მაგრამ რომ სრულებით არაფერს ამბობდეს, არაფერს ამკვიდრებდეს და უარყოფდეს, მხოლოდ პოეტურ სტრიქონთა უსისტემო კავშირი იყოს, ასეთი ლექსი, რასაკვირველია, ზედმეტ ბარგად დააწვება ჟურნალს. საბავშვო ლექსი მკითხველის სპეციფიკურობის გამო დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს პოეტს. იგი მხატვრული აქსესუარებით შედარებით ღარიბია და ამიტომაც უფრო მეტი სიცხადით აჩენს დრამატურგიულ თუ ლექსიკურ უხერხულობებს. მაგ. №1 „დილაში“ დაბეჭდილია გივი ჭიჭინაძის ლექსი „ზამთარი“. გივი ჭიჭინაძე თანამედროვე საბავშვო პოეტთაგან ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და პროდუქტულ შემოქმედად მიმაჩნია და მით უფრო საგულისხმოა, რომ ასეთ დახელოვნებულ ოსტატსაც კი გამორჩება ზოგჯერ მხედველობიდან პატარა მკითხველი, მისი ცოდნის დონე და ინტერესების სფერო. „ზამთარი“ ასე მთავრდება:

მოღუღუნე ფიჭვის შეშა
ირგვლივ ზღაპრულ სურნელს აკმევს,
დრო ილევა ნელა-ნელა
და დღის შუქი ტოვებს სარკმელს.

ბავშვისათვის ძნელი გასაგებია „ირგვლივ ზღაპრულ სურნელს აკმევს“. ზღაპრული სურნელის კმევა საბავშვო ლექსის ფრაზა არ არის, ამიტომაც იგი სტროფს აბუნდოვნებს და პატარა მკითხველის ინტერესსაც ადუნებს. მკითხველი გულგრილი რჩება ამ ამონაწერის ბოლო სტრიქონის მიმართაც. საბავშვო ლექსს არც პროზაული დეტალიზაცია და გაუბრალოებაში გადასული სისადავე უხდება. მაგ №1-შივეა დაბეჭდილი ვახტანგ ძნელაძის „გოზინაყი“:

ციყვუნიამ წინსაფარი
გაიკეთა დედიკოსი,
– დათვო, გინდა გოზინაყი? –
შენ თაფლი გაქვს, მე – ნიგოზი.
დათუნიაც დაფაცურდა.
განა უშნოდ ზოზინებდა:
– გოზინაყით ვის არ უნდა
ყელის ჩაკოკლოზინება!
გაიშალა სუფრა ძმური,
ახალი წლის დადგა ღამე...
მოილხინეს მეგობრებმა,
გოზინაყიც ბლომად ჭამეს.

ბოლო სტრიქონამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. ბოლო სტრიქონით მოწვდილი ინფორმაცია უკვე ნათელი იყო იქიდანაც, რომ ციყვი და დათვი გოზინაყის დამზადებაზე შეთანხმდნენ და ახალი წლის ღამეს „მოილხინეს მეგობრებმა“. ხოლო ხაზგასმული „გოზინაყიც ბლომად ჭამეს“, არც ლექსიკურ-ფონეტიკურადაა მაინცდამაინც გამართული და სიუჟეტსაც ზომიერებას მოკლებულ, უსარგებლო დეტალად აწევს.

საბავშვო ლექსს არ უყვარს აუხსნელი ეპიზოდები, გაუშიფრავი დეტალები და სინათლეს მოკლებული პასაჟები. მაგ. თეიმურაზ აბულაძის „საბავშვო ბაღი“ (№1) ასეთია:

მანანა მოდის ბაღიდან,
მოდის კი არა – მოფრინავს:
– ბაღი რა კარგი ყოფილა,
დედა, რა კარგი ყოფილა!
რამდენი სათამაშოა,
ველარ დავთვალე თოჯინა. –
მანოს შენატრა მეზობლის
პატარა გოგომ – კეთილმა:
– ნეტავ მეც შენთან მატარა,
სახლში რომ გამოვკეტილვარ!

მკითხველისათვის გამოცანად რჩება „მეზობლის პატარა გოგო – კეთილი“ და მისი სახლში გამოკეტვის საიდუმლოებაც, ამიტომაც ლექსი სათანადო ემოციურ ზეგავლენას ვერ ახდენს მკითხველზე.

საბავშვო ლექსი მხატვრულობას მოკლებულ მშრალ, ემპირიულ თხრობას ვერ ეგუება. მაგ:

მტვერსასრუტი აზუზუნდა:
– აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი,
დავტრიალდი, დავფაცურდი,
რომ არ დარჩეს არსად მტვერი!
იატაკი, სავარძლები,
ხალიჩები პაწაწინა
ვაკრიალე, ვაკრიალე, –
აბა ნახეთ, როგორ ბრწყინავს!
„მტვერსასრუტი“, მზია ჩხეტიანი, №5.

ლექსი აქ თავდება, მაშინ როდესაც აქ უნდა იწყებოდეს. მტვერსასრუტთან დაკავშირებით რაიმე ამბავი უნდა გათამაშდეს, რაიმე დასამახსოვრებელი უნდა მიწვდეს მოზარდის ყურსა და გონებას.

როცა ლექსში არც იუმორია და არც სხვა მხატვრული მიგნება, იგი ლიტერატურულ ფაქტს არ წარმოადგენს. მაგ:

„საით მიგეჩქარება
ასე ადრე, მახრავ?
– აგერ, მზიას ბაღში
კიტრი უნდა დავხრა.
„მახრა“, მიხეილ ჩაგუნავა, №5.

„დილაში“ გვხვდება ისეთი ლექსებიც, რომლებიც დაწერილი არცთუ ურიგოდ გახლავთ, მაგრამ ახალს არაფერს შეიცავენ და ამიტომაც თავს არ გვამახსოვრებენ. მაგ.:

ცისფერთვალა ყვავილი –
პაწაწინა ია ვარ,
დეკემბერი ჩამივლის,
თავს დავაღწევ იანვარს.
ამოვძვრები თოვლიდან,
ლურჯად არეს შევმოსავ,
– გაზაფხული მოვიდა! –
ვეტყვი გარეშემოსა.
„ია“, გიორგი წერეთელი, №3.

1972 წლის „დილას“ ყველაზე ნაყოფიერი პოეტია ნოდარ დუმბაძე. „მე ბებია, ილიკო და ილარიონის“ ავტორის საბავშვო ნაწარმოებებს

ადრეც ვიცნობდით, სასიამოვნოა, ნოდარ დუმბაძის საბავშვო პოეზია ავტორისეულ ზომიერ იუმორს შეიცავს, დაწერილია ბავშვის ბუნების კარგი ცონდით, ლექსიც ლაღად და შთამბეჭდავად მიედინება. მაგ.:

გადაიგრიხა მამუკამ
სიმინდის ფოჩის ულვაში,
თოფისწამალი ჩაყარა
თავის ხელთოფას ლულაში,
ჯოხის მერანზე გადაჯდა,
დასცხო ბუკი და ნაღარა,
ოჩანი ცხენის არ იყოს,
ტყუპად ტლინკებიც აყარა!
თავს დაესხა ბოჩოლას,
აკუწა მკვახე კვახები,
– ბიჭო მამუკა, დაწყნარდი,
იცოდე, გაილახები.
– არ დაიშალა მამუკამ
ხმლისა და თოფის ტრიალი,
ახლა მურიას მივარდა
ყიჟინითა და ღრიალით,
მურამ უთმინა, უთმინა,
კუდიც კი გაუქიცინა,
სულ მთლად რომ თავზე დააჯდა,
ბოლოს მურამაც იწყინა.
შემოახია შარვალი,
მერე ისეთი იფრინა...
შარვალჩახდილი რომ ნახა,
დაწვა და ბევრი იცინა.
№7

დრამატიზმი, ემოციური სიუჟეტი და უფროსთათვისაც სასარგებლო, საგულისხმო ალეგორიაა ჩადებული ნოდარ დუმბაძის სხვა ლექსებში:

აბა დელია, დელია,
ყვავმა იშოვა ყველია,
პატარა ლხინი მოაწყო,
მოიპატიჟა მელია.
მართალი არის – მელია
ლოთი და ღვინის მსმელია,
მაგრამ რას იზამ, წესია,
მელია მეზობელია.
მელა მაგიდას მიუჯდა,

ყვავს გადაჰხვია ხელია,
ყვავმა სასმისი აუვსო, –
მიდღეგრძელეო კერია.
მელამ სასმისი დაცალა,
ზედ დააყოლა კვერია,
კვერს დააყოლა ყველია –
და, როცა ყველი არ ეყო,
ყვავს გამოჭამა ყელია,
ასე დამთავრდა ქეიფი,
აბა დელია, დელია.

№2.

ჩვენი ღვაწლმოსილი საბავშვო პოეტის კუკური გოგიაშვილის ლექსები კვლავ ჩვეული ლაკონიზმით, სისხარტითა და ლირიზმით გამოირჩევა:

ზღარბი და კუ

„დამასკუპდი ბაკანზე,
მე წაგიყვან ბაღში...
– მეჩქარება, ძმობილო,
დამილპება ვაშლი!

ცუგრიკელა

– ცუგრიკელა, კინკილა,
რატომ უყეფ კიკინას?
– ჭრელ ბოჩოლა ფუყინას
აბა, რატომ ურქინა?!

№10.

საბავშვო ლექსს განწყობილების შექმნა უნდა შეეძლოს, მასში სინათლისა და სიწმინდის შუქი უნდა იღვრებოდეს. ჟურნალ „დილას“ №4-ში დაბეჭდილი ხუტა ბერულავას ლექსი „დედა, დილა და დათო“ სწორედ ამ მხრივაა საინტერესო.

გივი ჭიჭინაძის „ენის გასატეხები“ მარტო ალიტერაციული ფონეტიკით კი არ გამოირჩევიან, თავისთავად მეტად საინტერესო ლექსებს წარმოადგენენ:

ცივი ცვარი
ცვივა ციდან.
ცივა, ცივა
ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო, –
აცემინებს

ციცქნა ცხვირი
გაუცივდა.

აწეწილი, გაწეწილი,
წისქვილის წინ
წუხს წიწილი.
წია! წია! –
მწარედ წივის,
წნორის წნელზე
წაჰკრა წვივი.

№4.

ვახტანგ ძნელაძის „მხიარულ არაკებს“ (№10) სწორედ ის სილაღე და სისხარტე ახლავს, რაც მოსწონს ნორჩ მკითხველს და მასში დადებით ემოციებს იწვევს:

– ჩირგვში რომ განაბულხარ
ვის სდარაჯობ, კურდღელო?
– მეძებარი გამექცა
და აქ მინდა ვუყელო.

– პაწაწინა წიწილავ,
მაღლა რას იხედები?
– ქორი უნდა შევიპყრო
დავუზილო გვერდები...

თედო ბექიშვილის „ღვთისო“ (№6) ვაჟკაცობისა და გამბედაობის თავისებურ აპოლოგიას წარმოადგენს. საინტერესო სიუჟეტი შესანიშნავ მხატვრულ სამოსელშია მოქცეული. ლექსის ლირიკული გმირის საქციელში მომავალი პიროვნების, ხვალინდელი კაცის სიმპტომები ჩანს:

ფრთამოტეხილი ქორის ბახალა
ხევში უნახავს ღვთისოს,
წაუყვანია, მოურჩენია
ახლა ამბობენ ზრდისო.
– ღვთისო, რად გინდა ქორის ბახალა,
გამოადგება ვისო?
– როგორ თუ რადა? –
ღვთისოს უთქვია, –
ესეც შვილია ღვთისო.
წამომაგრდება, ცაში გავუშვებ
ლურჯი ლაჟვარდის შვილსო,
– ასეთი ბიჭი, კაცი დადგება,
ყოჩაღ, პატარა ღვთისო.

თეიმურაზ აბულაძის „ალაგე“ (№5) მოზარდს ამ, არცთუ საყოველთაოდ ცნობილი, სიტყვის მნიშვნელობასაც აგებინებს და თანაც უცნობისაკენ სწრაფვის, ამოხსნისა და წვდომის სურვილს ეხმიანება. „ფართო შარაგზაზე“ გასვლისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ამ ლექსის პერსონაჟს პატარა მკითხველის განწყობილებასთან აახლოებს:

გია დედას გაეპარა
და მიადგა ალაგეს:
– ერთი ამას გადამავლო,
არ ვინატრებ არაფერს! –
გაიფიქრა და ალაგეს
ხელით აეპოტინა:
– რა დაბალი მეგონა და
რა მაღალი ყოფილა! –
აიწია, ტანით, მაგრამ...
მაგრამ...
მაგრამ იმწამსვე
დაენარცხა მიწაზე.
გულში ლანძღავს გია ბიჭი,
ვინც ჭიშკარი ჩარაზა...
ალაგედან უჭვრიტინებს
ფართო, ფართო შარაგზას.

საახალწლო ზეიმის კონკრეტულ-სახეობრივი გადმოცემით, დინამიურობით და იუმორით გამოირჩევა მზია ჩხეტიანის „ნაძვის ხეზე“ (№12).

როცა საბავშვო იუმორზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ პატარა მკითხველის გონებრივი ჰორიზონტი და ჭკუამახვილობის აღქმის მასშტაბები. ე. წ. რთული, მაღალი იუმორი მოზარდისათვის გაუგებარია. საბავშვო ლექსში იუმორისტულ ეფექტს ზოგჯერ ასეთი, ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზა ქმნის. მაგ.:

სპილო ნელა მიბაჯბაჯებს
ნაირფერად მორთული.
გზაზე აქლემს მიესალმა,
დაუქნია ხორთუმი.

– დღეს სადილზე ხომ მეწვევი? –
სპილოს ჰკითხა აქლემმა.
– ვერ წამოვალ, გენაცვალე,
ცირკში ბევრი საქმე მაქვს.

„სპილო“, რევაზ ბერიძე, №3.

საბავშვო ლექსის სიუჟეტი მარტივია, მაგრამ მოზარდის ბუნების ცოდნის გარეშე ხშირად პოეტი ვერ ახერხებს საყმაწვილო სიტუაციის შექმნას. ვერ გაარკვევთ ეს ლექსი ბავშვებზე ბავშვებისათვის დაწერა თუ ბავშვებზე დიდებისათვის. ვენერა ჩარკვიანის „მშიშარა“ (№3) კი უპირველეს ყოვლისა, თქვენს ყურადღებას ბავშვთა სამყაროს ცოდნით და ასახვის ბუნებრივობით იქცევს:

ავად გახდა ხათუნა,
ყელი გაცივებია,
ეშინოდა ექიმის,
ღამე არ სძინებია.
მეორე დღეს მოვიდა
ერთი ძია ექიმი...
მამასავით ჭაღარა,
მამასავით კეთილი.
ყურადღებით გასინჯა,
არაფერი ატკინა,
უღიტინა ფერდებში;
აცინა და აცინა.
წითელ-წითელ ლოყებზე
ხელიც მოუთათუნა,
– კარგი ძია ყოფილა! –
იცინოდა ხათუნა.

შეიძლება საბავშვო ლექსს არ გააჩნდეს სიუჟეტი, მაგრამ ინტონაცია და ასასახი საგანი მას სრულყოფილ ლიტერატურულ სხეულად აქცევდეს. ასეთია ანზორ აბულაშვილის ერთი პოეტური ჩანახატი:

ზაფხულის პაპანაქებამ –
იძალა ივრის ჭალებშიც
და შუადღისას იორში
ჩარეკა ყველა კამეჩი.

წყალში შეცვივდნენ ბიჭებიც
ყიჟინით, დგაფუნ-დგუფუნით.
გაღმა-გამოღმა ნაპირზე
იცინის ცხელი ზაფხული.

თითქოს რიტმი კარუსელის ბრუნვისთვის შეუთანხმებიაო, სასიამოვნო მელოდიურობით და აზრის სისადავით ხასიათდება გიორგი წერეთლის „კარუსელი“ (№6):

მანქანები,
ცხენები,
ცისფერები,

ჭრელები,
ზედ ჰკიდია კარუსელს,
აბა, ვინ ვის გაუსწრებს?!

განსაკუთრებით საინტერესოა შთამბეჭდავ სიუჟეტზე აგებული, სათანადო დიდაქტიკური აზრისა და მშვენიერი მხატვრული ფორმის საბავშვო პოემები; იორამ ქემერტელიძის „ბუზი-ბუზანკალი“ (№8), ჯანსუღ ნიქაბაძის „ნეტავ რა აჩხუბებთ“ (№7), ავთანდილ გურგენიძის „ალესკუპას ამბავი“ (№7) და ანზორ აბულაშვილის „რუხი მგელი“ (№6).

ცალკე უნდა გამოვყო მუხრან მაჭავარიანის ლექსი „ვინც იყო, – იგი, – რომ არა“ (№12). ამ ლექსს, თუ არ ვცდები, ჩვენი ბავშვებისათვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და პოპულარულ ლექსად გახდომა უწერია. ლექსის ჩანაფიქრი საბავშვო პოეზიის ფარგლებს სცილდება და მას სიამოვნებით დაეწაფება თავის ხალხისათვის, თავისი ქვეყნისათვის გულატკივებული ყველა ასაკის ჩვენი თანამედროვე. მუხრან მაჭავარიანს არაჩვეულებრივი ოსტატობით უპოვია ის მაღალმხატვრული სისადავე, ნაწარმოებს ყველა თაობისათვის გასაგებად და მისაწვდომად რომ აქცევს:

ფარნავაზ მეფე რომ არა,
ვინც ჩვენი სრულყო ანბანი.
შოთა რუსთველი რომ არა,
ვინც არი ჩვენი ლამპარი.
მოციქულთ სწორი რომ არა, –
ოთხგან აღმართა მან ჯვარი...

და ამ წმინდა სახელთა ჩამოთვლის შემდეგ ლექსში უეცრად აჟღერდა პოეტის ომახიანი ძახილი:

კვლავაც თუ გვინდა, ქართველი
ლაპარაკობდეს ქართულად,
თუ გვინდა, იყოს კვლავ ჩვენი
ეს არემარე-ხატულა.
თუ გვინდა, მხარეს მშვენიერს
კვლავ ჩვენი ერქვას სახელი.
თუ არ გვსურს, ძენი ჩვენივე
ჩვენი რომ გახდნენ მზრახველნი.
უნდა უკვირდეს მტერს ჩვენიც,
ვით პაპის სიმხნე უკვირდა,
თუ გვინდა, –
გვერქვას ქართველი!
რაც უნდა გვსურდეს, –
თუ გვინდა!

ჟურნალში, გარდა ამისა, რამდენიმე შესანიშნავი თარგმნილი ლექსია დაბეჭდილი. მ. კორიუნის „თაგუნიას“ კ. გოგიაშვილისეულ თარგმანს

(№7) შენარჩუნებული აქვს ორიგინალის იგავურობა და ქართულადაც სასიამოვნო ჟღერადობით გამოირჩევა:

თაგვს ჰკითხეს: – აბა, ვინ არის
ყველაზე დიდი მხეცი?
– რაღა თქმა უნდა კატაა,
ფისო, – ეშმაკის კერძი.
როგორ! აფთარი, ფოცხვერი,
ან ლომი სისხლის მდომი?
– ვინც გადამსანსლავს ის არის,
ჩემთვის ვეფხვიც და ლომიც.

კარგად უთარგმნია ლეილა ერაძეს ნარიმან ბაქაევის „ქათამ-მათამი“ (№10):

სად დადიხარ, ჩვენო ხოჯა?
ხეტიალობ აღმა-დაღმა!
– მოვიარე ქუჩა-ქუჩა,
რაღაც-რაღაც მომცა ხალხმა.
– რა მოგცეს და რა იშოვე,
ღმერთმა ხელი მოგიმართა?
ახლა ხალხში რას იშოვი! –
წიწილ-მიწილს, ქათამ-მათამს.
– მოდი, რაც გაქვს ტომარაში
ძმურად გავყოთ, ჩემო ხოჯა:
ქათამი – მე
მათამი – შენ,
წიწილი – მე,
მიწილი – შენ,
ჰოდა, მორჩა.

ჟურნალში სხვა მრავალი საინტერესო ლექსიცაა დაბეჭდილი, მაგრამ მე ვფიქრობ, „დილას“ პოეზიის ხასიათსა და თემატიკაზე წარმოდგენას ზემომოტანილი მაგალითებიც შეუქმნის მკითხველს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „დილას“ პოეტური მოსავალი ურიგო როდი გახლავთ. მარტო ავტორთა სიას რომ გადავავლოთ თვალი, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი საბავშვო პოეზიის ნაცადი წარმომადგენლების გვერდით ძალებს ცდიან ახალბედანიც. ჩვენს საბავშვო ლექსს ხვალ-ზეგ საიმედო ჭირისუფალი და მესვეური ეყოლება. დასანანია, რომ თანამედროვე ქართული საბავშვო პოეზიის ერთ-ერთმა კლასიკოსმა ქალბატონმა მაყვალა მრელაშვილმა 1972 წელს არაფერი „უწყალობა“ ჟურნალს.

ბარემ გულში არ დავიტოვებ ერთ მცირე შენიშვნასაც, რომლის რეალობაში ამთავითვე ვარ დაეჭვებული: „დილას“ მკითხველის ასაკი, მე

ვფიქრობ, სკოლამდელი და უმცროსკლასელი (მეოთხე კლასის ჩათვლით) მოზარდით განისაზღვრება. თუ ამ პრინციპით გადავხედავთ „დილას“ პოეზიას, ცოტა რაიმეს ვნახავთ ისეთი სერიოზული მკითხველებისათვის, როგორიც მე-3, მე-4 კლასის მოსწავლეები არიან, ჟურნალი სკოლამდელთა ენისა და გონების ვარჯიშს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ ზოგჯერ მხედველობიდან რჩება უმცროსკლასელი. იქნებ „დილას“ სარედაქციო კოლეგიას ენიშნოს ეს მოსაზრება და ჟურნალის პოეზიის განყოფილებამ თავის პორტფელში დაწყებითი სკოლის უფროს კლასელთათვის განკუთვნილი ლექსებიც მოიმარაგოს.

პროზა

მერი ბოლქვაძის მოთხრობა სახლი (№1) მშვენიერი დასტურია იმისა, თუ როგორ შეიძლება საბავშვო მოთხრობით გადმოსცე ჩვენი თანამედროეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, სოფლად მიტოვებული სახლების სევდა ამ მოთხრობაში მახვილი სიტუაციებით და სათანადო ლირიზმითაა გადმოცემული. შეიძლება სადავოდ მოგეჩვნოთ მოთხრობის ფინალი („სახლი ტირის“...), რადგან იგი, ცოტა არ იყოს, სცილდება საბავშვო მოთხრობის ფარგლებს, ზედმეტად სენტიმენტალური და ხელოვნურია, მაგრამ მოთხრობის მთლიანი პათოსი და პრობლემის ავტორისეული გადაწყვეტა უსათუოდ მოსაწონი და საგულისხმოა.

ნოდარ კეკელიძე „დილას“ პროზის ერთ-ერთი აქტიური ავტორია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალგაზრდა მწერლის პროფესიულმა სპეციალიზაციამ საბავშვო მწერლობაში ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. ნ. კეკელიძის საბავშვო მიოთხრობა თანდათანობით უფრო დახვეწილი ლაკონური და საინტერესო ხდება. „მეწისქვილე“ (№2) ნ. კეკელიძის შემოქმედებითი ზრდის უეჭველ ნიშნად მიმაჩნია. მოთხრობის სიუჟეტი ასეთი გახლავთ: ორი პატარა ბიჭი ერთმანეთს გადაჰკიდებია. გოგიტას, რომელიც მამას ხშირად ეხმარება წისქვილში, ერთი სული აქვს ლოჩოჩას სამაგიერო გადაუხადოს. ლოჩოჩა მეზობელს დაცინვით „მეწისქვილეს“ ეძახის. ერთხელ გოგიტა წისქვილში მარტო დარჩა და საღამო ხანს თითქოსდა ნატვრა აუსრულდაო, წისქვილს ლოჩოჩა მოადგა. გოგიტამ გაიფიქრა, ახლა კი ვიყრი ჯავრსო, მაგრამ როცა აბეზარა მეზობელმა მამის ავადმყოფობის ამბავი აუწყა, პატარა მეწისქვილემ წყენა დაივიწყა, საფქვავი უხმოდ ჩაცალა ხვიმრაში და შეცბუნებულ ლოჩოჩას შინამდე მიტანაშიც უშველა.

რა კეთილშობილური ჩანაფიქრი, რა სასარგებლო იდეა „შეაპარა“ მწერალმა პატარაა მკითხველს მოთხრობის მხატვრულ საკაზმთან ერთად. ნოდარ კეკელიძის ფრაზა მოქნილი და სადაა, ავტორი ლექსიკური კეკლუცობით თავს არ გამახსოვრებთ, მაგრამ დაკვირვებისთანავე საცნაური ხდება ახალგაზრდა პროზაიკოსის ჭეშმარიტად მწერლური თვალი. „მეწისქვილე“ ასე იწყება:

„გოგიტას მამის წისქვილი სოფლიდან კარგა შორსაა, ჯერ სოფელია გასავლელი, მერე დაღმართი უნდა ჩაათავო და ხევში რომ ჩახვალ, ძველთაძველ გვერდზე წამოპოლორჭიკებულ წისქვილს მიადგები.

გოგიტა მუდამდღე მამასთანაა, მოვა თუ არა სკოლიდან, საგზლით ხელში წისქვილისაკენ მიიჩქარის, დაღმართს გაინახევრებს და უკვე გარკვევით ესმის წისქვილის ხრიალ-ხრიალი“.

ფერწერულად დახატული „გვერდზე წამოპოლორჭიკებული წისქვილი“, „დაღმართს გაინახევრებს“ და მიახლოვებისას, სანამ წისქვილს დაინახავდე, მისი ხმაურის აღქმა, ეს ყველაფერი მოზარდის თვალით დანახული– ის ლიტერატურული მადლია, რომელიც ნ. კეკელიძის კალმისკენ იმედიანად მიგვახედებს.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს რომ კითხულობთ, გრძნობთ მდიდარი ქართულის თავბრუდამხვევ სურნელებას, ადამიანის სიკეთის უსაზღვროებას და მაღალ პოეტურობას, რომელიც მწერლის პერსონაჟებს შნოსა და ლაზათს მატებს. რ. ინანიშვილის მოთხრობები ხშირად ლირიკული ჩანახატებია, ხშირად პოეტური ფრაგმენტებია და ზოგჯერ დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც კი გრჩებათ, რომ მწერალმა წერტილი დროზე ადრე დასვა, არ გამოკვეთა ხასიათები, არ შექმნა მძაფრი კონფლიქტები, ბოლომდე არ მიიყვანა სიუჟეტური ხაზები თუ პოეტური პროზა არსებობს, რევაზ ინანიშვილის პროზა ნამდვილად პოეტური პროზაა, პოეტური ამ სიტყვის მაღალ ლიტერატურული მნიშვნელობით, ამაღლებულის და უშუალოს გაგებით. რ. ინანიშვილის საბავშვო პროზას კიდევ ერთი თვისება ახასიათებს, მთხრობელის ბუნებრივი, სადა, დინამიური მეტყველება, რომელსაც ერთი შეხედვით ზოგჯერ გულუბრყვილობისა და მიამიტობის ელფერი დაჰკრავს, თითქოს მწერალი მშვიდად გვიამბობს და მისთვის სულერთია ვინ, რა ასაკისა და განათლების მკითხველი უგდებს ყურს. რ. ინანიშვილის საბავშვო და „სადიდო“ თხზულებები ერთნაირი ინტერესით იკითხება, მწერალი აქცენტს არ აკეთებს ყმაწვილის გემოვნებაზე, გულისხმობს, რომ მისი მკითხველი სერიოზული და მიმნდობია, მწერალი არასოდეს არ იტყუება და მკითხველს არ აძლევს დაეჭვების საბაბს. რ. ინანიშვილი ჩვენს საყმაწვილო პროზაში ერთადერთი მწერალია, რომელიც საოცარი ზომიერებით და ამოუცნობი მხატვრული საიდუმლოებებით ახერხებს პატარა მკითხველმა თვალი მაშინაც კი არ მოაშოროს, როცა ნაწარმოების სიუჟეტი საბავშვო თხზულების ფარგლებს შორდება და რთული ფსიქოლოგიური ნიუანსებით და სიმბოლური ალეგორიებით იტვირთება. „დილაში“ შარშან რ. ინანიშვილის ორი მოთხრობა გამოქვეყნდა „ძველი სოფლის ექიმი“ (№2) და „დედოფალა“ (№3). თუ პირველი მოთხრობა სოფლის ექიმის – სოსია დალაქის დაუვიწყარ პიროვნებას გვაცნობს, „დედოფალა“

წარსულის ერთ იდეალურ სურათს აცოცხლებს და ორივე მოთხრობას ჰუმანიზმისა და სისპეტაკის ნათელი ადგას.

სოლომონ დემურხანაშვილმა შარშან „დილაში“ (№3, №4 და №11) გაგრძელებებით გამოაქვეყნა მოთხრობა „წერილი“. ეს მოთხრობა ჩვენი საბავშვო ლიტერატურის შენაძენად მიმაჩნია. მოხუცი მელია ყვება თავის ფათერაკიან ცხოვრებაზე, სიხარულსა და ნაღველზე, რაც საკუთარი ტყავის გადასარჩენად და სულის შესანარჩუნებლად გადახდენია. ყმაწვილები სულმოუთქმელად წაიკითხავენ წერილის ნაღვლიან მოთხრობას, რომელიც შეზავებულია ხალასი იუმორით და სიუჟეტითაც დაძაბული და შთამბეჭდავია. ნაწარმოები იწყება ბუნების სტიქიასთან შეჭიდებული მელიას შემართებით, მკითხველი თითქოსდა თანაგრძნობით იმსჭვალება „საქათმის გმირისადმი“, რომლის ეშმაკობა და მოხერხებულობა ასე ფართოდ აისახა ჩვენს ფოლკლორში, ბებერი მელა ჰყვება.

„– მას აქეთ ხუთი თოვლობა გავიდა, ძმებო... ოთხნი ვიყავით და მე ერთიღა გადავრჩი. ღმერთმა აცხონოს, ქოქოზაანთ ცუღლუტაც მაშინ დაიღუპა. ხომ გახსოვთ ცუღლუტა?

– როგორ არ გვახსოვს, მე და იმან ერთხელ მთელი საქათმე დავანელეთ, ფეხმარდი და მარჯვე ჯეელი იყო, სწორედ მაშინ დამჭრეს. საფანტმა შიგ კანჭში გამიარა, – ამბობს კოჭლი მელია – თხელა და ნაიარევ ფეხზე იყურება.

– იმას გეუბნებოდით... იმ ზამთარს დიდი თოვლობა იყო. მთელი სამელეთი ლამის შიმშილმა ამოწყვიტა, სოროებიდან ცხვირის გამოყოფა გვიჭირდა. ისე დაღამდებოდა, ერთ ქეციან წრუწუნას ვერსად გადავეყრებოდით, გინდა შიმშილით მოვმკვდარვარ, გინდ ადამიანის ხელითმეთქი, გავიფიქრე ერთ ღამეს და სოროდან გამოვძვერი“. და იწყება მელური ცხოვრების ციებ-ცხელება; ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხაფანგი და დამიზნებული თოფის ლულა, ადამიანისა და ეშმაკი მხეცის შერკინება და საქათმის სიმყუდროვეში თეთრად გათენებული ღამეები. ზემოთ მოტანილი ამონაწერიდანაც ჩანს თუ რა ლაღი და მეტაფორულია მოთხრობის ენა, ფსიქოლოგიურად რაოდენ შემზადებული და ლოგიკურია მოთხრობის ცენტრალური ეპიზოდი. ვალერიან ჩეკურიშვილის „პატიოსანთა ქალაქი“ და გურამ დოჩანაშვილის „ამბავი ერთი ომისა“ ღრმააზროვანი და იგავური ჟღერადობის ზღაპრებია. აქვე შევნიშნავთ, რომ გ. დოჩანაშვილის საინტერესო მოთხრობის ზოგიერთ რთულ ნიუანსში ყმაწვილ მკითხველს გზის გაგნება გაუჭირდება. მოყვასის სიყვარულის, კოლექტივიზმის, თვისტომის დაფასების, დაჩაგრულის გამოსარჩლების კეთილშობილურ გრძნობებს აღუძრავს მკითხველს კარლო კობერიძის საინტერესო „მწყერჩიტას ზღაპარი“ (№8).

ალვა და ჯაგრცხილა ერთად დაიბადნენ. თავდაპირველად ისინი სამყურას ფოთლებზე მოგროვილი ნამით საზრდოობდნენ და ორივეს ეშინოდა ყურცქვიტა კურდღლისა, რომელიც ყურების წკაპუნით და

ტუჩების ცმაცუნით დახტოდა ჯაგნარში. გავიდა დრო. ალვა ელვის სისწრაფით გაიზარდა. იგი ზემოდან დაჰყურებს თავის მიწიერ დობილებს. ჯაგრცხილა თავს მაღლა სწევს, ყელს ძაბავს, სურს, გააგონოს რაიმე ცაში თავშერგულ ალვას, მაგრამ ამ უკანასკნელს თავისი ტანმორჩილი მეგობრისა არა ეყურება რა. ასეთ ქარგაზეა აგებული გუგული ტოგონიძის მშვენიერი მოთხრობა „ალვა და ჯაგრცხილა“ (№9).

პატარა მკითხველი საოცრად ყურადღებიანი და ფაქიზი ორგანიზმია, მის ფსიქიკაზე ზემოქმედება, რასაკვირველია, არ შეიძლება მშრალი დიდაქტიკით და რეზონანსული შეგონებებით, მაგრამ ჭეშმარიტად მხატვრულ სამოსელში მოქცეული დიდაქტიკა მოზარდის ბუნებაზე განუმეორებელ გავლენას ახდენს და თავის მიზანს ყოველთვის აღწევს. მაგრამ აქაც დიდი ზომიერებაა საჭირო; საღი და საჭირო აზრი თუ ბავშვს გაჭიანურებული, მთქნარებისმომრგველი პოეტური საკმაზით მივაწოდეთ, იგი პატარა ადრესატისაკენ თავის გზას ასე იოლად როდი იპოვის. მაგალითად, მეათე ნომერში დაბეჭდილია ლია გოგიშვილის მოთხრობა „წითელარშიიანი ჩექმები“. ავტორი, ეტყობა, ნიჭიერი საბავშვო მწერალია, ამას მოთხრობის მთელი რიგი კარგად დაწერილი პასაჟებიც მეტყველებენ, მაგრამ ამჯერად მინდა მოთხრობის კომპოზიციურ და ემოციონალურ მხარეზე შევაჩერო თქვენი ყურადღება. „წითელარშიიანი ჩექმები“ საბავშვო მოთხრობის სათაურად მეჩოთირება, ჯერ ერთი, „წითელარშიიანი“ რაღაც ენის გასატეხივითაა ბავშვისთვის და მეორეც, სათაურშივე რატომ ვფანტავთ მკითხველის ყურადღებას? ჯერ ბავშვმა უნდა წარმოიდგინოს არშია საერთოდ, მერე წითელი არშია და მერე წითელარშიიანი ჩექმები. გაიხსენეთ რა კარგად დაარქვა მეზღაპრემ „წითელქუდა“. ამ სათაურით ქუდიც და იმ ქუდის მატარებელი ბავშვიც ერთ ლექსიკურ სიბრტყეზე, ერთბაშად დასურათხატებული (წარმოიდგინეთ წითელქუდას ნაცვლად წითელარშიიან და მწვანეკოპლებიან ქუდოსანთან რომ გვქონოდა საქმე, რ. მ.) მაგრამ ეს არაფერი. მოთხრობის დედააზრი ასეთია: რეზინის ჩექმები თბილ ოთახში არ უნდა ჩაიცვა, თორემ შეიძლება დასკდეს. ამ სასარგებლო აზრის მიტანა მკითხველამდე პატარა სხარტი ჩანახატით შეიძლებოდა, სადაც, სხვათა ჭკუის სასწავლებლად, ჩვენი პატარა გმირი თავისი დაუფიქრებელი საქციელის შედეგს იწვნევდა: ჩაიცვამდა რეზინის ჩექმებს ოთახში, ღამე დაალაგებდა მათ რადიატორთან და დილით ჩექმები დამსკდარი დახვდებოდა, ეს გაკვეთილი სამუდამოდ დასამახსოვრებელი იქნებოდა მისთვის და სხვებისთვის კიდევ მაგალითი ან გაფრთხილება. მოთხრობის ავტორი სხვა გზით წასულა. რასაკვირველია, ალბათ, უფრო საინტერესო გზით (ჩვენ ახლა ამის განსჯაში არ შევალთ), მაგრამ, მე ვფიქრობ, ცოტა არ იყოს გაჭიანურებული და მოსაწყენი გზით. მოთხრობის ფაბულა ასეთი გახლავთ. პატარა აჩიკოს ბაბუამ ჩექმები უყიდა. გახარებულმა აჩიკომ მაშინვე ჩაიცვა ისინი და, მიუხედავად ბაბუას გაფრთხილებისა, ოთახში

რეზინის ჩექმები ვის აცვიაო, მთელი დღე არ გაუხდია. საღამოს რადიატორთან დააწყო ახალი ჩექმები და დილით რომ გამოიღვიძა სახტად დარჩა, აჩიკოს დაუდევრობით შეწუხებული ჩექმები გაპარულიყვნენ. მერე მივყვებით ჩექმებს. ქუჩაში გამოსულ რეზინის ჩექმებს ჯერ ბიჭი შემოხვდათ. ბიჭი სიამოვნებით დაეპატრონებოდა მიუსაფარ ჩექმებს, მაგრამ ფეხი არ ჩაეტია. მერე გოგონა დაინტერესდა ჩექმების სადაურობით. ჩექმებმა დაწვრილებით უამბეს, ამა და ამ ყმაწვილს გამოვექეცით, რადგანაც ცუდად გვეპყრობოდაო. გოგონამ ჩექმები ქაღალდში გაახვია, აჩიკოს დაუბრუნა და თან გააფრთხილა, შემდეგში დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა. აჩიკომაც ფიცი მისცა, რომ ჩექმებს აღარ გააჯავრებდა და მან თავისი სიტყვა, მართლაც, პირიანად შეასრულა. მე არ ვიცი იყო თუ არა საჭირო ჩექმებისათვის ენის ადგმევინება, ან პატარა გიასთან და ირინესთან ვრცელი, ნაკლებად ემოციონალური ეპიზოდები, მაგრამ მოთხრობა რომ გაჭიანურებულია, ეს აშკარაა. ნახეთ, რამდენჯერაა განმეორებული ის დიდაქტიკური სენტენცია, რომ თბილ ოთახში რეზინის ჩექმები არ უნდა ჩავიცვათ:

„ოთახში რადიატორები იყო ჩართული („რადიატორები იყო ჩართულის“ ნაცვლად სხვა უფრო მოკლე ფრაზა უნდა გვეპოვა ოთახის სიცხის დასახასიათებლად. რ. მ.). ცხელოდა, როგორც იცით, რეზინის ჩექმებს სიცხე არ უყვართ. ესეც არ იყოს, აბა რა სატარებელია რეზინის ჩექმები ოთახში“...

„გაიძრე ჩექმები, აჩიკო, – უთხრა ბებომ, – ოთახში ჩექმები დაგისკდება“...

„ერთ ბიჭს გამოვეპარეთ, მოსვენება არ მოგვცა, რადიატორიან ოთახებში დაგვაჭენებდა, სული შეგვეხუთა, კინაღამ დავსკდით და გამოვიქეცით“...

„იცი რა, აჩიკო, თუ პირობას მომცემ, რომ ოთახში არ ჩაიცვამ ჩექმებს, მაშინ...“

„ირინე, შენი ჭირიმე, ირინე, ოღონდ დამიბრუნდნენ და არასოდეს, არასოდეს აღარ ვატარებ ოთახში. მარტო წვიმასა და თოვლში ჩავიცვამ. როგორც კი შინ შემოვალ, მაშინვე გავიძრობ და შუშაბანდში გავიტან. იქ გრილა, ჩექმებს არც დასცხებათ და არც დასკდებიან“...

მე მეჩვენება, რომ მოთხრობის დედააზრის ასეთი ხშირი პუბლიცისტური ხაზგასმით ეს საინტერესო მოთხრობა ბავშვის ყურადღებას აღიზიანებს და სათანადო ემოციურ ეფექტს ვერ აღწევს.

და ბოლოს, როცა აჩიკოს ჩექმები დაუბრუნეს, ვნებები დაცხრა და მოთხრობის სიუჟეტს ლოგიკური წერტილი დაესვა, ავტორი განაგრძობს:

„მერე არჩილი გაიზარდა. ჩექმები კი იმავე ზომისა დარჩნენ და აღარ ეტეოდა.

აჩიკოს პატარა დაიკო ჰყავს, ია ჰქვია ან იკა, როგორც გენებოთ ისე დაუძახეთ. ჰოდა, იკა რომ ხუთი წლისა გახდა, აჩიკომ თავისი წითელარშიიანი ჩექმები აჩუქა. იკა ოთახში არ ატარებს ჩექმებს. იმიტომ რომ, როცა ჩექმები აჩუქა, აჩიკომ თან ეს ამბავი უამბო. იკა კი მაშინვე მიხვდა, რომ რადიატორიან ოთახებში რეზინის ჩექმების ტარება არ შეიძლება, თორემ მაშინდელივით ადგებიან და გაიქცევიან..“

ეს სრულიად ზედმეტია. მოთხრობა უკვე დამთავრდა და „ჩექმების „ესტაფეტის“ ან „თაობათა გამოცდილების“ ეპილოგი მას აღარ სჭირდებოდა. მაგრამ, თქვენ ფიქრობთ, ავტორმა იკას ზედმეტი სიუჟეტთან მაინც დასვა წერტილი? სრულიადაც არა.

„იკას პატარა ძამიკო ჰყავს, ირაკლი ჰქვია. ჰოდა ირაკლი რომ ხუთი წლისა გახდება, იკა თავის წითელარშიიან ჩექმებს აჩუქებს, თან ამ ამბავსაც უამბობს. თორემ, ვაითუ ირაკლიმ ჩექმები თბილ ოთახში ჩაიცვას, ვაითუ ჩექმები გაჯავრდნენ და გაიქცნენ!

მაშინ რაღა ეშველება ირაკლის?!“

საინტერესო სიუჟეტით და ორიგინალური მხატვრული ხორცშესხმით გამოირჩევიან აგრეთვე უშანგი ბედიას „დრუნჩა“ (№3), ოლღა დადიანის „თუნთია“ (№3), შაქრო სამადაშვილის „უმი კვერცხი“ (№2), ნინო ნაკაშიძის „საახალწლო საჩუქარი“ (№1), ნოდარ კეკელიძის „მეზობლები“, ვახტანგ კახაძის „ფრთაჯამბაზი“ (№4), ვლადიმერ ასლამაზიშვილის „ჩემი მეზობელი ნიკო“ (№5), თენგიზ გოგოლაძის „ბიჭები“ (№5), ლავრენტი ჭიჭინაძის „გაყოფა“ (№5), თინათინ ჯავახიშვილის „არდადეგებზე“, ოტია იოსელიანის „ცაგამთენია“ (№7), ანგი არსენიშვილის „ვასო პაპას ქუდი“, მთვარისა ჭყოიძის „თევზი და თოლია“, მამულ კახიძის „მტირალა კლდე“ (№9), მარგო თომაძის „გაბუტული მზესუმზირები“.

„დილაში“ ხშირად ქვეყნდება საბავშვო მოთხრობათა თარგმანები. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ ორიგინალურ მოთხრობებს (რ. ინანიშვილი, ს. დემურხანაშვილი, კ. კობერიძე, ნ. კეკელიძე, გ. დოჩანაშვილი) მხარს ვერ დაუმშვენებს. თარგმნილი მოთხრობების სიმრავლეს ნუ გამოვედევნებით და როცა თარგმანს ვბეჭდავთ, უსათუოდ უნდა შევარჩიოთ იდეურ-მხატვრულად საინტერესო ნაწარმოები. „დილაში“ კი, როგორც ჩანს, სათარგმნ მოთხრობას ხშირად თვითდინებით, კომპანიურად არჩევენ. ავიღოთ, მაგალითად, №11-ში დაბეჭდილი კ. მარუკასის „რატომ ტიროდა ჩიტი“ (თარგმანი ენდი წერეთლისა). თარმნის არცთუ მაღალ ხარისხს რომ თავი დავანებოთ, თვით მოთხრობა მხატვრულად უსუსურია. რამდენად პრიმიტიულია მოთხრობის სიუჟეტი, იმდენად გულუბრყვილოა, ჩანაფიქრი და უხერხემლოა ავტორის დამოკიდებულება ასასახი მოვლენისადმი, რომ მოთხრობა თავისი ხელოვნურობით ესთეტიკის ფარგლებს შორდება. მთლიანად ამოვწერ ამ მოთხრობას, რომ დასკვნა თვით მკითხველმა გამოიტანოს:

„ერთი გოგონა და ბიჭუნა ტყეში მარწყვს კრეფდნენ („ერთი“ ზედმეტია. რ. მ.). ვეება ფიჭვის ტოტებიდან მზე იჭყიტებოდა, ჩიტები ჟღურ-

ტულებდნენ. ხიდან ხეზე მხიარულად დახტოდა ციყვი.

ბავშვებმა კალათები მარწყვით აავსეს. უცბად ბიჭუნამ ციყვს მოჰკრა თვალი და გაეკიდა. გადასწია ჟოლოს ბუჩქი და ჩიტი ამოფრთხიალდა. ბიჭუნა გაოცებით დაჰყურებდა ბუდეში ჩამსხდარ („ჩამსხდარ“ ზედმეტია. რ. მ.) დიდთვალება ბარტყებს; გოგონასაც გაეხარდა და ბიჭს სთხოვა: მოდი, ბარტყები შინ წავიყვანოთო.

ყვითელგულა ნაცარა ჩიტს ნისკარტით მატლი ეჭირა და ხეზე შემომჯდარიყო.

– სულ თოთო ბარტყები არიან, – თქვა ბიჭუნამ.

– მომეცი ერთი, მოვეფერო! – სთხოვა გოგონამ.

ბარტყები შეფრთხიალდნენ, პირი დააღეს და ჟივჟივი მორთეს.

– ამ საცოდავებს, ალბათ, შიათ. მოდი, ჩვენი ფუნთუშა მივცეთ.

ჩიტი უფრო ახლოს დაჯდა ხეზე, ლაპარაკი რომ სცოდნოდა, ალბათ, ბავშვებს შეეხვეწებოდა:

„ბავშვებო, ბარტყები ჩემი შვილები არიან, მე თვითონ ვაჭმევ გემრიელ მატლებს, თქვენი ფუნთუშა რაში უნდათ?“

– ამ საცოდავებს, ალბათ, სცივათ კიდეც, – გოგონამ ამოიყვანა ერთი ბარტყი ბუდიდან. მოეფერა და აკოცა.

– ბარტყებს ფრთებით ვათბობ ხოლმე, – ჩაიჭიკჭიკა ჩიტმა.

გოგონამ იფიქრა, – ბარტყებს თოჯინას ლოგინში ჩავაწვენ და დავარწევო.

– ქარზე კარგად მათ ვერავინ დაარწევს! – ატირდა ჩიტი.

დაცარიელდა ბუდე. შეწყვიტეს ჩიტებმა ჟღურტული, დადუმდა კოდალა. ციყვმა ჩამოუშვა თავისი ფაფუკი კუდი და სიმწრისაგან გული კინაღამ გაუსკდა.

– რა უჭკუო ბავშვები არიან! – დაიჩხავლა ყვავმა, – მაგათ ხელში ბარტყებს რა აცოცხლებთ?

გოგონასა და ბიჭუნას შორიახლოს მისდევდა (მისდევდა? რ. მ.) გულყვითელა ჩიტი.

– ჟივ-ჟივ! – მწარედ გაიძახოდა იგი და ისე აფართხალებდა ფრთებს, თითქოს ბავშვებს რაღაცას სთხოვსო.

– შეხედე ამ ჩიტს, მთელი გზა ჩვენ მოგვდევს.

– მეც დიდი ხანია შევამჩნიე, – უპასუხა გოგონამ, – ნეტავ რა უნდა ჩვენგან. ყური უგდე, რა საცოდავად ჭყიპინებს, გეგონება ტირისო!

გოგონამ მარწყვი ჩაიდო პირში და მხრები აიჩეჩა.

– რა უნდა ატირებდეს ამ ჩიტს?!

თქვენ როგორ ფიქრობთ, ბავშვებო?“

ეს ბოლო კითხვა ჩვენს გონებამკვირცხლ ბავშვებს კი არა, იმ დამხმარე ინტერნატების მოწაფეებსაც აღარ შეეფერებათ, რომლებიც ჩხირებზე ანგარიშით ამთავრებენ სწავლას და გამოსაშვებ გამოცდებს ვაშლის, მსხლისა და ქლიავის ამოცნობით აბარებენ.

„მთიები“ – საყმაწვილო კალენდარი

ყველაზე სასარგებლო და სასახელო საქმედ რაც „დილამ“ ჩვენი ბავშვებისათვის 1972 წელს გააკეთა, მე საყმაწვილო კალენდრის შედგენას და გამოცემას ვთვლი. „მთიები“ ყმაწვილთა დიდი ხნის ნატვრის ახდენაა და დიდი შემეცნებით-აღმზდელობითი ღირებულება გააჩნია. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მუხრან მაჭავარიანს საყმაწვილო კალენდარი ფრიად საინტერესოდ, ზომიერად და საქმის ცოდნით შეუდგენია. მოზარდებს (და არა მარტო მოზარდებს) ბევრ რაიმეს შესძენს ქართული ანბანის, თვეთა და დღეთა სახელების, ისტორიული თარიღების, საინტერესო ამბების ლაკონიურად და პოპულარულად შედგენილი ცნობები სათანადო ილუსტრაციებითურთ. არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ მაღალპატრიოტულ განწყობას, რითაც შემდგენელს შეუმკია თავისი საყმაწვილო ნობათი და რაც უსათუოდ დიდებულ გავლენას მოახდენს მოზარდზე მასში სამშობლოს სიყვარულის, ეროვნული სიამაყის გაღვივების თვალსაზრისით. „მთიებში“ წაიკითხავთ;

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას.

...ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა.

ნ ი კ ო მ ა რ ი.

„ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება“.

იულიამ ედუარდ დავიდ ალენი
ინგლისელი ორიენტალისტი.

„კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“.

კ ა რ ლ რ ი ტ ე რ ი
გერმანელი გეოგრაფი.

„კოლხთა ოქროს საწმისი იყო ტყავზე ნაწერი წიგნი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო“.

ი ო ა ნ ე ა ნ ტ ი ო ქ ი ე ლ ი
VII საუკუნის ისტორიკოსი.

„კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათგან ნაწერი კვირბები, რომელზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

ა პ ო ლ ო ნ ი ო ს რ ო დ ო ს ე ლ ი
ძვ. წელთაღრიცხვის III ს. მეცნიერი და პოეტი.

ეს ამონაწერები იმისთვის მოვიტანე, რათა ხაზი გამესვა თუ რა მეცნიერულად არგუმენტირებულ, მეთოდოლოგიურად სწორ და ორიენენტაცის თვალსაზრისით პატრიოტულ და ინტენაციონალისტურ საყრდენებზე დგას ჩვენი საყმაწვილო კალენდარი. მუხრან მაჭავარიანს და „მთიების“ სარედაქციო კოლექტივს (რედაქტორი იორამ ქემერტელიძე, მაკეტი ზურაბ ფორჩხიძისა და გიორგი როინიშვილისა, ყდა ზურაბ ფორჩხიძისა, სამხატვრო რედაქტორი შალვა ცხადაძე, ტექრედაქტორი ნანა ობოლაძე) მკითხველისაგან მადლობის და წახალისების მეტი არაფერი ეთქმით.

„მთიები“ ხშირ-ხშირად უნდა გამოიცეს, იგი ჩვენი ბავშვების სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს და ამიტომაც ვბედავ ორიოდე შენიშვნის გამოთქმას, რაც იქნებ მომავალ გამოცემებში კალენდრის გულისხმიერ შემდგენელთ რამეში გამოადგეთ.

უპირველეს ყოვლისა, კალენდარი შეძლებისდაგვარად უნდა განიტვირთოს უცხო სიტყვებისა და გამოთქმებისაგან. ბავშვებისათვის მასში დღეთა, თვეთა თუ ცთომილთა იმდენი უცნობი სახელია, რომ იქნებ მოზარდის მეხსიერებას ზოგი რამ ზედმეტ ტვირთად დააწვეს.

კალენდარში სრულიად ღირსეულად არიან მოხსენებული (სათანადო სურათით) ჩვენი ერის გამოჩენილ შვილთა შორის სოლომონ ლეონიძე – მსაჯული, ალექსანდრე ბატონიშვილი, „სულიკოს“ ავტორი ვარინკა მაჭავარიანი და სხვანი. აქვე ხომ არ ვუხსენოთ ჩვენს პატარებს ვახტანგ გორგასალის, გრიგოლ ხანძთელის, ცოტნე დადიანის, დავით გურამიშვილის და სხვათა სახელები? თუ იაკობ გოგებაშვილს ვახსენებთ, მოზარდ მკითხველს იქვე უნდა წარვუდგინოთ ილია, აკაკი, ვაჟა და ა. შ. სვეტიცხოველის გვერდით ჩვენი ეროვნული ხუროთმოძღვრების სიამაყე – ჯვარი, ალავერდი, გრემიც გვეხსენებინა.

კალენდარში არსად არ ჩანს, რომ მშვენიერი კომპოზიციების („ფარნავაზ მეფე“, „დავით და კონსტანტინე მხეიძენი“, „ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავნი და ბიძინა ჩოლოყაშვილი“) ავტორი ზურაბ კაპანაძეა.

მხატვრობა

„დილას“ მხატვრობა ჩვენი სამამულო ფერწერის ერთი ბრწყინვალე ფურცელია და იგი პროფესიონალი შემფასებლის განხილვის ღირსია. არც ერთ ჩვენს ჟურნალს არ ეტყობა მხატვრის ხელი ისე ძალუმად, არც ერთ ჩვენს ორგანოში არ თამაშობს მხატვარი ისეთ დიდ როლს, როგორც „დილასა“ და „პიონერში“. ხშირად ნახატი „დილაში“ ლიტერატურული თხზულების ილუსტრაცია კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი საჟურნალო მასალაა, რომელსაც უზარმაზარი ემოციური და აქედან გამომდინარე იდეურ-ესთეტიკური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია პატარა მკითხველზე. „დილას“ სამხატვრო ტრადიციებზე მეტყველებს უამრავ კონკურსზე და გამოფენებში მონაწილეობა და დამსახურებული პრემიები და სიგელები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დილამ“ ამ წელსაც ბევრი სიხარული მოუტანა თავის გემოვნებიან „მომხმარებელს“.

სამწუხაროა, რომ ამჟამად საშუალება არ გვაქვს მკითხველს „დილას“ მხატვრობის საუკეთესო ნიმუშების ილუსტრაციები წარვუდგინოთ. ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილ მხატვართა წრე არც ისე ფართოა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ „დილას“ აკეთებს ჩვენი მხატვრობის ერთი მოწინავე რაზმი, რომლის შემოქმედებისათვისაც ჟურნალის პროფილი და დანიშნულება წლების განმავლობაში ორგანული გახდა. „დილას“ 1972 წლის მხატვრობა ჩემი შეზღუდული წარმოდგენით ასე შეიძლება დახასიათდეს. ეს გახლავთ უაღრესად კოლორიტული, მოზარდის აზროვნებასთან საოცრად დაახლოებული, ფერწერული და დინამიური თამაზ ხუციშვილი (№1, 2, 4, 5, 8, 9, 10, 11, 12), ღრმად ეროვნული და მონუმენტური ზურაბ კაპანაძე (№7, 8, 10, 12), დახვეწილი კომპოზიციის და ორიგინალური ხელწერის ზურაბ მეძმარიაშვილი (№1, 2, 4, 5), ხასიათებით მოაზროვნე და ილუსტრაციის არაჩვეულებრივი ალღოს მქონე ზურაბ ფორჩხიძე (№1, 2, 4, 7, 8, 9), უაღრესად თვითმყოფადი და სტილური დიმიტრი ზარაფიშვილი (№1, 4)), რეალისტური და პოეტური რევაზ ცუცქირიძე (№1, 5, 8, 10), ლირიკული და გამორჩეულად კონკრეტულ-სახეობრივი თენგიზ სამსონაძე (№7, 8, 12), იუმორით აღსავსე ედვარდ ამბოკაძე (№1, 5, 8, 9, 10, 11), ჰაეროვანი მანანა მორჩილაძე (№1, 7, 8), ღრმადეროვნული და ეთნოგრაფიული ზურაბ ლეჟავა (№9), უშუალო და მოქმედების ბუნებრიობის ოსტატი ვახტანგ გულისაშვილი (№2, 4, 7, 9, 10, 11, 12), მკაცრად რეალისტური გიორგი როინიშვილი (№9, 12), ორიგინალური ზაურ დეისაძე (№2, 7, 5, 8, 11), (ხაზს ვუსვამ, რომ ეს „მიკროდახასიათებანი“ 1972 წლის „დილას“ გადათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებაა კაცისა, რომელიც მხატვრობაზე ყოველთვის დიდი ბოდიშის მოხდით გამოთქვამს თავის სუბიექტურ მოსაზრებას. რ. მ.).

თუ აუცილებელია შენიშვნის გამოთქმა, ვიტყვით, რომ №3-ში დახატული ზვიგენი (ოლღა დადიანის მოთხრობის ილუსტრაცია) ყოველგვარ თევზს წააგავს ზვიგენის გარდა, ხოლო სოლომონ დემურხანაშვილის მოთხრობის ილუსტრაციიდან გვიცქერის ტანნერწეტა შოფერი, მაშინ, როცა მოთხრობაში ლაპარაკია „ლოყებლაჟღაჟა“, „მუცელგაბერილ“ კაცზე (№4).

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ ჩვენი ღვაწლმოსილი შალვა ცხადაძე, რომლის მეთაურობისა და დაუცხრომელი მეცადინეობის, რომლის მადლიანი ყალმის კვალი „დილას“ ყოველ ნომერს ატყვია.

მიუხედავად რამდენიმე უმნიშვნელო ხარვეზისა, 1972 წლის „დილა“ ასე შეიძლება დახასიათდეს: ჩვენი საბავშვო ჟურნალი სწორ გზაზე დგას, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის და მხატვრობის დიდი ტრადიციების განვითარება საიმედო ხელშია.

1973 წ.

კრიტიკოსის ახალი წიგნი

ამას წინათ „მერანმა“ გამოსცა აკაკი თოფურიას „ლიტერატურული წერილები“. ამ წიგნის ავტორი ჩვენი უფროსი თაობის კრიტიკოსთა იმ მცირე რაზმს მიეკუთვნება რომლებსაც სამართლიანმა თუ უსამართლო ლიტერატურულმა ქარტეხილებმა გული არ გაუტეხეს, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში აქტიურ მონაწილეობაზე ხელი არ ააღებინეს და კვლავ გულმოდგინედ ეწევიან კრიტიკოსის საპატიო და მძიმე ტვირთს. ამის მაჩვენებელია სარეცენზიო წიგნი. მასში უმთავრესად შესულია აკაკი თოფურიას მიერ ბოლო ხანებში დაწერილი სტატიები, რომლებიც ქართული ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს, მისი განვითარების დღევანდელ პროცესებს, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დაცვის საკითხებს ეხება.

თანამედროვე ქართული კრიტიკის ისტორიაც უნდა დაიწეროს. პირუთვნელი ავტორის მიერ დაწერილი ასეთი ისტორია ჩვენი ლიტერატურის განვითარების ზოგიერთი საკითხის თავისებურ ახსნას მოგვაწვდის. ამავე დროს იგი ერთხელ კიდევ ნათელყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ კრიტიკოსს ლიტერატურის ბედზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. განა ვინმე დაამტკიცებს, რომ ჩვენს ლიტერატურას უამრავ ასპექტში იქნებ სრულიად სხვა სახე ჰქონოდა, რომ წლების განმავლობაში არ ემოქმედნა მასზე „რაპპის“, „ვულგარული სოციოლოგიზმის“ „უკონფლიქტობის“, ცალმხრივად გაგებული სოციალისტური რეალიზმის და სხვა თეორიებს?

ქართულმა კრიტიკამ თავისი ტრადიციები შექმნა. მისმა ერთმა ნაწილმა სხვა ჟანრებს ან უფრო „საიმედო“ ყურეებს მიაშურა და სირცხვილისაგან ყურები უწითლდება, მეორე ნაწილი კი კვლავ ენერგიულად შებმია ჩვენი ლიტერატურის გაუკეთესების საქმეს და ცდილობს, მაღლა ეჭიროს ქართული მწერლობის წმინდა და ბრძოლებგამოვლილი დროშა. იქნებ სრულიად გასაგები იყოს ჩვენი ზოგიერთი ლიტერატორის მიერ მორცხვად გაცხადებული „მაშინ ყველანი ისე ვწერდით“, მაგრამ რა სასიამოვნოა შეგნება იმისა, რომ ჭეშმარიტი მწერალი და ჭეშმარიტი

კრიტიკოსი ყოველი „თეორიის“ პირობებში ახერხებდა ხალხისა და პარტიის წინაშე პირნათლად დარჩენას. სინდის-ნამუსის ქუდი შემოქმედის განუყრელი რელიკვია უნდა იყოს.

პროფესორი აკაკი თოფურია წლების განმავლობაში მხარში უდგას ქართველ კრიტიკოსთა მომქმედ რაზმს და ჩვენი ლიტერატურის ახალ, საყურადღებო მოვლენებს აქტიურად ეხმაურება, მისი პირველი კრიტიკული წერილი დიდი ხნით ადრე დაიწერა. მას შემდეგ ერთმანეთს მოჰყვა კრიტიკული წერილების რამდენიმე კრებული და ახლა, როცა სარეცენზიო წიგნს ვფურცლავ, სასიამოვნო დასკვნად მრჩება ჩვენი კრიტიკის ამ ერთი ჯარისკაცის საბრძოლო გზა, ლიტერატურული შეხედულებებისა და ინტერესების სფერო და რაც მთავარია, კრიტიკული აზრის პირუთვნელობა და პოლემიკური სიმახვილე.

კრიტიკოსის საქმე მარტო ნაწარმოების კომენტირება კი არ არის, არამედ ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების შემჩნევა და გამოვლინება, ახალი ძვრების ხაზგასმა და სწორი ლიტერატურული პრინციპების დაკანონებისათვის თანმიმდევრული ბრძოლა. ამ ბრძოლის ერთ-ერთი პირველი გამოძახილია აკაკი თოფურიას ხსენებული წიგნი. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნის ღირსია ვრცელი სტატია „კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია“ (გვ. 3–53), რომელშიც მოცემულია ჩვენი ლიტერატურის უკანასკნელი პერიოდის ცხოვრებაში შესამჩნევი ახალი პროცესების, ახალი საინტერესო ფაქტებისა და მოვლენების სოციალურ-თეორიული განზოგადების საყურადღებო ცდა. ავტორი დასმული პრობლემის თვალსაზრისით ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებების (ო. ჩხეიძის „ჯებირი“, ლ. მრელაშვილის „ყაბახი“, ე. მაისურაძის „დაკარგული ოცნებები“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია დედა!“, გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“) მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ნათელს ხდის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრებულ ტენდენციას, რომელიც მახინჯი მხარეების მხილებასა და მათდამი კრიტიკულ, შეურიგებელ დამოკიდებულებაში მდგომარეობს. საინტერესოა კრიტიკოსის მიერ ჩვენს ლიტერატურაში კრიტიკული პათოსის აღორძინების მიზეზების, თვით კონფლიქტების წარმოშობისა და განვითარების ხასიათების კვლევა. იგი დამაჯერებლად ცხადყოფს დასახელებულ რომანებში ასახულ კონფლიქტთა სოციალურ-ეთიკურ საფუძვლებს, ხაზს უსვამს კრიტიკული პათოსის უპირატესობას პანეგირიკის გამოვლინებებთან მიმართებაში.

„ლიტერატურული წერილების“ ავტორი სწორად შენიშნავს, რომ რეალიზმის ბუნება როდი უარყოფს მახინჯი მხარეების გამოვლენას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ლიტერატურულ მეთოდებს, მაგრამ ამასთან ერთად იგი იქვე მიუთითებს: „იზრდება მწერლის პასუხისმგებლობაც, მის მიმართ წაყენებული მომთხოვნელობაც, რათა დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მოვლენების გამოსახვის სისწორე და სიმართლე გამსჭვალული იყოს მწერლის ნათელი, მიზანდასახული პოზიციის სუ-

ლისკვეთებით“ („ლიტერატურული წერილები“, 1972, გვ. 52-53). აქედან ჩანს, რომ სტატია „კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია“ ჩვენი ლიტერატურის ახალ მოვლენებზე კრიტიკოსის საფუძვლიანი დაფიქრების ნაყოფია.

სარეცენზიო წიგნში რამდენადმე ახლებურადაა განხილული მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ შემეცნებითი მნიშვნელობის საკითხი. აკ. თოფურია 1832 წლის შეთქმულების შესახებ ჩვენი ისტორიოგრაფიის უკანასკნელი მონაპოვრების საფუძველზე განიხილავს რომანის შეთქმულებასთან დაკავშირებულ თავებს და ერთხელ კიდევ მკაფიოდ ცხადყოფს ბელეტრისტის უტყუარ ალღოსა და მახვილგონიერ დამოკიდებულებას ისტორიული ფაქტებისადმი. კ. გამსახურდიას რვატომეულის გამოცემის შეფასებასთან დაკავშირებით ა. თოფურია ეხება მწერლის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს და საგანგებოდ მიმოიხილავს მის ადრინდელ სტატიას „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“, რომელიც რჩეულ თხზულებათა რვატომეულში რატომღაც არ შესულა.

გიორგი ნატროშვილის მოთხრობები ჩვენი კრიტიკის მიერ ჯეროვნად არ არის შეფასებული. სტატია „ცოცხალი სახეების მწერალი“ ამ ხარვეზის შევსების საგულისხმო ცდაა. აკ. თოფურია გემოვნებით განიხილავს გ. ნატროშვილის პროზის ძირითად თვისებებს, სხარტ სიუჟეტიანობას, საინტერესო ხასიათებს და ძარღვიან ქართულს. კრებულში მკითხველი ინტერესით გაეცნობა ავტორის სტატიებს იოსებ ნონეშვილის, ხუტა ბერულავას, გრიგოლ ჩიქოვანის და ანდრო ლომიძის შემოქმედების შესახებ, ხოლო სტატია „მე და ღამის“ გენეზისის საკითხისათვის“, გალაკტიონ ტაბიძის ამ ლექსის ახლებურად გაგებისა და მისი მიზანდასახულობის გარკვევისათვის პოეტის მოგონებას და მის კრიტიკულ კომენტარს შეიცავს. სარეცენზიო წიგნში შესულია წერილი „კრიტიკის მაღალიდეურობის და პრინციპულობისათვის“, რომელიც „ცისკრის“ 1968 წლის კრიტიკული პროდუქციის განხილვას ეძღვნება. აკაკი თოფურიას, როგორც პოლემისტისა და შემფასებლის კულტურა კიდევ უფრო ნათლად არის გამოკვეთილი სტატიაში „წიგნები და შთაბეჭდილებები“, რომელშიც გადმოცემულია ავტორისეული შთაბეჭდილებანი გ. ჯიბლაძის, ს. ჭილაიას, ბ. ჟღენტის, ე. მაღრაძის, რ. ჯაფარიძის და ს. შანშიაშვილის ახალ წიგნებზე.

აკაკი თოფურიას „ლიტერატურული წერილები“ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი კარგი შენაძენია, მაგრამ მასში მაინც არ ჩანს ის კრიტიკული სიმძაფრე და სიმწვავე, რაც აკ. თოფურიას ადრეულ გამოსვლებს ახასიათებდა. ნუთუ ჩვენი ლიტერატურის არც ერთი უფერული წიგნი არ მოხვდა კრიტიკოსის თვალსა და ყურს? რა თქმა უნდა, მწერლობის სასახელო ფაქტების აღნუსხვა და მათთვის თავისი ადგილის მიჩენა კრიტიკოსის საპატიო ვალია, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ის ე. წ. „შავი სამუშაო“, რასაც საეჭვო მინარევებისაგან ჩვენი „სიტყვიერების ტომარის“ გასუფთავება ჰქვია.

1972 წ.

წინ, რუსთაველისკენ

მსოფლიო ლიტერატურის მწვერვალებს ასე თუ ისე ვიცნობ.

ზოგი დედანში წამიკითხავს, ზოგი – თარგმანში.

დასკვნას, ახლა რომ მოგახსენებთ, არც ურაპატრიოტული საფუძველი აქვს და არც ნაჩქარეობის ელფერი დაჰკრავს; „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის მწვერვალია.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, დედამიწაზე არ დაწერილა „ვეფხისტყაოსანზე“ უკეთესი ნაწარმოები, ესე იგი არც შოთა რუსთაველზე დიდი მწერალი შობილა ქვეყნად.

არავის ეგონოს, თითქოსდა რამე უხერხულობა იმალებოდეს ლიტერატურის გენიალურ ნიმუშთა შედარების დროს რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭებაში.

ესთეტიკა, ანუ ნაწარმოების შეფასების ხელოვნება, უფრო ზუსტი მეცნიერებაა, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია.

ჰოდა, დღეს უკვე ლიტერატურულ კრიტიკას უაღრესად ზუსტი კრიტერიუმები აქვს მხატვრული ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებათა წარმოსაჩენად.

თუ მისხალ-მისხალ აწონის და გაზომავს ჭეშმარიტი ლიტერატურისმცოდნე „ვეფხისტყაოსნის“ და სხვა გამორჩეულ ნაწარმოებთა მხატვრულ-ფილოსოფიურ ხარისხს, დასკვნის გაკეთება არ გაუჭირდება, თუნდაც მშრალი მათემატიკური ანალიზით (თუნდაც ქულათა რაოდენობა) აშკარა გახდება „ვეფხისტყაოსნის“ პირველობა.

თუნდაც ყველა თვისება საუკეთესო ნაწარმოებისა გაითვალისწინოს შემფასებელმა, ერთი რამ მაინც გამორჩება:

რა სულიერი გავლენა მოახდინა შოთა რუსთაველის პოემამ საუკუნეთა განმავლობაში მკითხველზე?

ეს მხარე ესთეტიკურ კრიტერიუმებში გათვალისწინებული არ არის.

არა და „ვეფხისტყაოსანმა“ რვაასი წლის განმავლობაში ზნეობრივად აღზარდა ის ხალხი, რომელმაც იგი შობა, რვაასი წლის განმავლობაში აწრთო და რანდა მისი ხასიათი, აღმოსავლური კარჩაკეტილობის სამანებს გამოგლიჯა მან ქართველი კაცი და თავის გზაზე გაიყოლია.

დიახ, ჩვენი ეროვნული ფენომენის უმთავრესი ნიშნები: ეროვნული შემწყნარებლობა, რაინდობა, სამშობლოს სიყვარული, ქალის თაყვანისცემა, გამტანობა, მეგობრობის ფასის ცოდნა, ჭირში გამაგრება, ბევრწილად „ვეფხისტყაოსანმა“ განსაზღვრა.

ვერ დამისახელებთ მეორე მხატვრულ ნაწარმოებს, რომელსაც ისეთი კათარზისული გავლენა მოეხდინა ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაზე, როგორც რუსთაველმა მოახდინა ქართველ ხალხზე.

აქედან გამომდინარე სრულიად ბუნებრივია ის სიამაყე ქართველები რომ განვიცდით, როცა მსოფლიოს კულტურის მწვერვალებზე ჩამოვარდება სიტყვა.

შენ, დღეს დედამიწის ზურგზე ერთ-ერთ ყველაზე შეჭირვებულ, ტერიტორიებწართმეულ, მეკობრე რუსეთისგან ღირსებააყრილ ქვეყანას მსოფლიო ცივილიზაციის სალაროში ყველაზე დიდი მარგალიტი შეგიტანია, დედამიწის ყველაზე თვალსაჩინო მხატვრული ძეგლის ქვეყანა ხარ.

და მაინც ამ აბსურდულ საუკუნეში., სამწუხაროდ, ერის ღირსებაზე როდი მსჯელობენ მისი ინტელექტუალური პოტენციალით და მსოფლიო კულტურაში შეტანილი წვლილით.

თანამედროვე დიპლომატი ყველაზე მაღალი პოლიტიკური ტრიბუნიდანაც კი თუნდაც გაკვრით არ ახსენებს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურულ წარსულს. უფრო მეტიც, არც ცნება „ისტორიული მიწების“ ხაზგასმაა მოდაში. დღესაც XXI საუკუნეშიც მოქმედებს სხვათა ტერიტორიების ყაჩაღური მიტაცების ავბედითი მანქანა.

ვაი რომ მსოფლიომ ცოტა რამ იცის დედმიწის უპირველესი წიგნის და მისი გენიალური ავტორის შესახებ.

პრაგმატიზმმა და პრაქტიციზმმა, არსებობისთვის ყოველდღიურმა ფუსფუსმა ლამის შეჭამოს XXI საუკუნის მოქალაქის სული.

თუ ჩემს მოწოდებას რაიმე ფასი აქვს, მე, ერთი ქართველი მწერალი დაბეჯითებით მოვუწოდებ ჩემს დაბნეულ თანამედროვეს: სანამ გვიან არ არის გამოფხიზლდი ეპოქის მაცდუნებელი ბანგისგან, წელში გაიმართე და, თუ გსურს სული გადაირჩინო, გაბედულად იარე წინ – შოთა რუსთაველისკენ.

წმინდანთა ცხოვრების წესით ცხოვრობდა

ახლა როცა ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად არის შერაცხული და სული მისი ცათა სასუფეველში დაბინავებული, შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ამ ჭეშმარიტად ღვთისკაცის მოწამებრივი ცხოვრების გზას.

წმინდანებს ცხოვრების თავისი წესი აქვთ.

ჩვენ, უბრალო მოკვდავთ მათი მიბაძვაც კი არ შეგვიძლია, რადგანაც მზად არა ვართ ჩვენს თავს განვუმზადოთ ის განსაცდელი, რაშიც წმინდანები შევლენ და წმინდანებადვე განეშორებიან ღვთიურ გამოცდას.

ხომ უდიდესი ღვაწლია ერს ძნელბედობის ჟამს შეუნახო და უკლებლივ დაუბრუნო საუკუნეთა განმავლობაში რუდუნებით შექმნილ-შეგროვილი ეროვნული საგანძური.

ეს ღვაწლი ერთ მამულიშვილს სიგრძედაც ეყოფა და სიგანედაც.

მაგრამ ოდენ ამ წმინდა, საშვილიშვილო საქმეში ჩანს ექვთიმე თაყაიშვილის წმინდანობა?

იგი წმინდანი იყო მაშინაც სრულიად ჭაბუკი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ პარტიას რომ ჰქმნიდა და თავისი სამშობლოსთვის სახელმწიფოებრიობის დამბრუნებელთა პირველ რიგებში ტრიალებდა.

იგი წმინდანი იყო მაშინაც, ისტორიის ფერფლიდან სასწაულებრივად გადარჩენილი ფოლიანტები რომ ამოჰქონდა.

იგი წმინდანი იყო მაშინაც, როცა თავის ღირსების საქმედ განძის დარაჯობა მიიჩნია და უცხოეთში თავი თვისი მრავალწლიანი შიმშილისთვის გაწირა.

იგი წმინდანი იყო მაშინაც, როცა ლევილის სანახებში ერთადერთ მარჩენალ თხას წველიდა და ლოგინსმიჯაჭვულ უსათნოეს თანამეცხედრეს ნინო პოლტორაცკაიას თბილ რძეს მიართმევდა.

იგი წმინდანი იყო მაშინაც, როცა სამშობლოში დაბრუნებულს კოლეგები გმირად რაცხავდნენ ერის სიმდიდრისა და მეხსიერების გადარჩენის გამო, ხოლო თვითონ გულწრფელად უკვირდა; კარგი ერთი, თუ ღმერთო გწამთ, ეს რა გმირობაა, აბა როგორ უნდა მოვქცეულიყავიო.

იგი წმინდანი იყო, მაშინაც იობის მოთმინებით რომ აღიჭურვა როცა უმადურმა ხელისუფლებამ უნივერსიტეტში ლექციების კითხვა აუკრძალა და შინაპატიმრობა მიუსაჯა.

აკი მოგახსენეთ, წმინდანებს ცხოვრების თავისი, ჩვენთვის ძნელად ჩასაწვდომი წესი აქვთ-მეთქი.

ვერ წარმომიდგენია

ვერ წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა გურამი ახლა – ოთხმოცი წლის ასაკში.

კიდევ კარგი, რომ ჩვენი ხსოვნა იქ ჩერდება, სადაც და როცა ადამიანი უკანასკნელად ვნახეთ.

ამიტომაც ახლა ჩვენ წლებისგან სახედაღარულებს და ნაბიჯდამძიმებულებს, ბევრად გვჯობიან ადრე წასული ჩვენი მეგობრები.

ისინი უფრო ლამაზები, უფრო ჩაუქნი არიან.

გურამმა ოცდაათი წლის ბიჭის ცხოვრების წესით იცხოვრა.

ხომ უდახვეწილესი ინტელიგენტი იყო, ჩინოვნიკურ ბარიერებს, კაცის შემბოჭავ ხელოვნურ კანონ-ჩარჩოებს არად დაგიდევდათ.

თავის სიცოცხლეს უშურველად, ლაღად ხარჯავდა.

მეტყოდა; რაკი ხელისუფლება თამარისში მცხოვრებ ქართველებს მიწებს არ ურიგებს, წავიდეთ და მე და შენ დავურიგოთო.

ჩავიდოდით და მივუზომავდით გაწამებულ თამარისელებს სამოსახლოებს.

მოგვსდევდა, გვემუქრებოდა მერე კომპარტიის ხელმძღვანელი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მეტყოდა, ნარიყალა თავზე გვენგრევა, სანამ ვუყუროთ ძეგლთა დაცვის სამმართველოს, შევქმნათ ფონდი და აღვადგინოთო.

შევქმნიდით ფონდს და დავიწყებდით საუკუნეების წინ იავარქმნილის ხელახლა შენებას.

ყოველი საწაღმართო საქმის ინიციატორი, თავკაცი და კირითხუროც თვითონ იყო.

კარგი წამოწყების ირგვლივ თანამოაზრეთა დარაზმვის, გარსშემოკრების საოცარი უნარი ჰქონდა.

თავის სიცოცხლეს უშურველად, ლაღად ხარჯავდა-მეთქი ზემოთ მოგახსენეთ.

დამირეკავდა, ხვალ დილით რაჭაში, ახალსოფელში ჩემიანებში რომ არ წავიდეთ, საღამომდე ვერ მივატანო.

ლექციები მაქვს-მეთქი დავიწუწუნებდი, მაგრამ ჩემი წუწუნი ვის ესმოდა, ჩამოდი ძირს თხუთმეტ წუთში გამოგივლიო.

მერე ერთი დღით წასვლა ერთ კვირას გრძელდებოდა.

რამდენი ღამე ერთ ოთახში გვეძინა, მაგრამ მისი დილით ადგომა არ მახსოვს.

გავიხედავდი და გურამის საწოლი ცარიელი იყო.

გავიხედავდი და მთიდან სირბილით ჩამორბოდა.

უცხო იყო მისთვის სიტყვა „ნასმურევი“.

სუფრასთან ღამენათევი, გაბმულ სმაში შესულიც, დილით აუცილებლად ვარჯიშობდა.

რა გული გიძლებს-მეთქი, რამდენჯერ მითქვამს.

შუაღამისას შინ რომ მივაცილებდი, ვინ გიშვებდა შენს გზაზე.

აბა, ავიდეთ და ჩემი დალის სადეგრძელო მისი თანდასწრებით დავლიოთო.

შუაღამეგადასულზე შეაწუხებდა თავის უსათნოეს მეუღლეს და იშლებოდა სუფრა.

მეორე დღეს ცოცხალ-მკვდარი, სირცხვილეულად ვურეკავდი დალის – მაპატიეთ, წუხელის რომ ძილი დაგიფრთხეთ-მეთქი.

არაუშავს, მიჩვეული ვარო, მამშვიდებდა.

ზღვაზე ვიყავით? ყველაზე შორს შეცურდებოდა. ჰორიზონტს იქით მიაპობდა ტალღებს თავისი ღონიერი მკლავებით.

ადგილს ვერ ვპოულობდი.

შიში თითებს მიცივებდა.

წყალთან ჭიდაობა არ შეიძლება-მეთქი, ვსაყვედურობდი ნაპირზე გამოსულს და მომღიმარეს.

აკი ერთხელაც შეცურა და ვეღარ გამოცურა.

ბატონო ჭაბუა

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე არც ერთი მწერლის შემოქმედებას არ მოუხდენია ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაზე იმხელა ზეგავლენა, შენმა შემოქმედებამ რომ მოახდინა.

შენ გვასწავლე არა ოდენ უმაღლესი ლიტერატურული პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა კალმის წინაშე, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა იდგეს მწერალი ქვეყნის გადარჩენის სამსახურში.

შენ ერობაშიც და ბერობაშიც წმინდა კაცი ხარ, ჭეშმარიტი რაინდი და ეროვნული ლაშქრის მთავარსარდალი.

სწორება ჭაბუა ამირეჯიბზე! მოვუწოდებ მთელ საქართველოს.

შენ „დათა თუთაშხიათი“ გვასწავლე, როგორი უნდა იყოს კაცური კაცი, „გორა მბორგალით“ – დასახული მიზნისთვის ბოლომდე ბრძოლა, ხოლო „გიორგი ბრწყინვალეთი“ ის გენიალური მოთმინება, რომლის გარეშეც დაპყრობილი ერი თავს ვერ გაითავისუფლებს.

მადლობა შენ ამ მოძღვრებისთვის ბრძენთაბრძენო!

დროდადრო გესტუმრები ხოლმე, ჩამოვჯდები შენს სასთუმალთან და შენ მიერ დაფაზე დაწერილი ძვირფასი შეგონებებით სულს ვიბრუნებ.

ვინ თქვა ხმა დაკარგაო, შენი გაბზარული ხმა ზარივით რეკავს.

რა საყვარელი ხარ რომ იცოდე, შენს ტახტრევანზე მორჭმით მჯდომი! 90 წლის ლომი.

მეამაყები რომ შენი უმცროსი მეგობარი და თანამესანგრე მქვია.

მაგრად დექ! ბერო მინდიავ.

როგორც თოლიები ქარში

ლევონ ანანიანს რომ ვუსმენ, ისეთი განცდა მეუფლება თითქოს არც ყოფილა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ტკბილ-მწარე სამი ათასი წელი, თითქოს ეს-ესაა დადგნენ ისტორიის წინაშე ძმები ჰაოსი და ქართლოსი და შორს ურარტუს გაუკვალავი ბილიკები ჩანს. ხოლო იმ ბილიკებზე პირველგამვლელ ორ ძმას ჩასაყლაპავად ეღირება იმპერიათა პირდაღებული ვეშაპი.

ძმები კი მიდიან და გზაში ერთმანეთს ამხნევებენ.

ისე გადამდებია ლევონის გაუთავებელი ოპტიმიზმი, ისე უძირია მისი იმედების ოკეანე, ისე ღრმა და ჰუმანურია მისი თბილი იუმორი, რომ ხანდახან ჩემთვის გავიფიქრებ ხოლმე, მიიდევნეთ ჰაოს და ქართლოს მესამე ძმად ლევონ ანანიანი და არასოდეს არაფერი გაგვიჭირდება, არ დავიბნევით, არ დავიკარგებით.

როცა ლევონ ანანიანს ვკითხულობ, თავისი სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებული ბრძენი მწერლის გულისფეთქვა მესმის.

ტკივილითაა გაჯერებული მისი ლექსიც, პროზაული ჩანახატიც, ესეიც, პულიცისტიკაც.

მწერლის ფიქრი უაღრესად თანამედროვე, საქვეყნო, სახელმწიფო ფიქრია.

თავის ქვეყანას უვლის და პატრონობს ჩემი სახელოვანი სომეხი ძმა; ავეტიკ ისააკიანისა და ოვანეს თუმანიანის გზის გამგრძელებელი, ქართველ-სომეხთა, ძმობის ხიდი და მებაირახტრე.

როგორც კი გასული საუკუნის ბოლოს საქართველომ და სომხეთმა დამოუკიდებლობა აღიდგინეს, ქართველ მწერალთა პატარა რაზმი უპირველესად სომხეთისკენ გავეშურეთ და შუა გზაზე სწორედ ამავე მისიით და სურვილით საქართველოსკენ მომავალი ლევონ ანანიანი შემოგვხვდა სომეხ მწერალთა პატარა რაზმით.

ლევონ ანანიამა აღადგინა და ახალი იერსახით შეკრა-შეადუღაბა სომხეთის მწერალთა კავშირი.

ერთხელ სომხეთში ყოფნისას სომეხი და ქართველი მწერლები სევანის ტბაში კატერით თოლიების კუნძულს რომ მივადექით, ზღაპრული სანახაობის მოწმენი გავხდით.

თოლიებმა ბარტყები ჩირგვებში გადამალეს იმ დელგმა-ქარში ერთმანეთს მიეწებნენ, დაჯარდნენ და დაუპატიჟებელ სტუმართა წინააღმდეგ საბრძოლველად მოემზადნენ.

ამ თოლიებისგან უნდა ვისწავლოთ-მეთქი, ჩემო ლევონ, სომხებმა და ქართველებმა საკუთარი სამშობლოს თითოეული მტაკველის დაცვა ვუთხარი მაშინ ლევონს.

20IV.2011

ეგრე არ არის თაყაო...

ჩემს ნოველას „თავების ჭრა ძნელი საქმეა“ („მწერლის გაზეთი“, დეკემბერი 2010) დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ნოველაში 100 000 მოწამის გაქილიკების ნიშნები „აღმოაჩინეს“. გარდა ამისა ერთ-ერთ ჩემს ინტერვიუში ნათქვამი: დიდგორის ველზე მტრის ჯარი ნახევარ მილიონზე ბევრად ნაკლები იყო და ნუ ვაზვიადებთ... ხელზე დაიხვიეს და ვისაც არ ეზარება, ჩემს აღზრდას ცდილობს.

ჯერ რეზო ამაშუკელმა მარიგა ჭკუა, მერე მარიკა ლორთქიფანიძე და როინ მეტრეველი შემეკამათნენ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე მოზომილად თბილად, არასაწყენად. 25 იანვარს საპატრიარქოში მიმიწვიეს სხვა მწერლებთან ერთად და პატრიარქმა ასეთი ზოგადი ფრაზა ბრძანა: ზოგ მწერალს ეჭვი ნუ შეაქვს ასი ათასი მოწამის არსებობაშიო. ნურც დიდგორის ბრძოლაში მოპირდაპირე ჯარების რაოდენობის გადასინჯვას ეცდება რომელიმე თქვენგანიო, რა მექნა, ხომ არ ავდგებოდი და უწმინდესს კამათს ხომ არ დავუწყებდი. ხომ არ ვეტყოდი: იმ ნოველაში სრულადაც არ არის ლაპარაკი ჯალალედინის ეპოქაზე და ასი ათას მოწამეზე. მე ვწერ არაბების ბატონობის ხანაზე ე.ი. ჯალალედინამდე 4 საუკუნის წინანდელ ამბავზე. თანაც ნოველაში სიუჟეტის საკვანძო ფრაზა ასეთი გახლავთ: თბილისის ამირა ამბობს:

„–განქარდა არაბთა უძლეველობის მითი, ათასისთავო.

– გისმენთ მბრძანებლო?!

– ქართველებმა ამ სიკვდილით დაგვამარცხეს“.

სწორედ ეს ქრისტესმიერი ჭეშმარიტება გახლავთ ჩემი ნოველის დედააზრი – სიკვდილით სიკვდილის დამარცხება:

ნოველა თანამედროვე ქართველის შესაღვიძებლადაა დაწერილი, ნუ დავუდებთ რუსეთს თავს საჯალათო კუნძზე, მტერს მტრულად უნდა დავხვდეთ როგორც ამას დავით აღმაშენებელი და გიორგი სააკაძე გვასწავლიან და არა ტოტალური მორჩილებით-მეთქი.

ესაა სულ.

რა იციან სოსო ჯაჭვლიანმა და ირინა სარიშვილმა რა წერია ჩემს ნოველაში. სოსომ მის ფილმებს მიხედოს. არ ვაპირებდი თქმას, მაგრამ სირცხვილით ვიწვოდი სვანურ ანეკდოტებზე „დაფუძნებული“ მისი „მაიტა ნასოსი“ რომ ვნახე. თურმე თანამედრვე სვანები მხოლოდ და მხოლოდ ან უკბილოდ ღადაობენ ან თავების დაჯახების ჩემპიონატს ატარებენ. არა და მე თვითონ ნახევრად სვანი ვარ (დედა გველესიანი მყავდა) და საქართველოს ბედზე მჭმუნვარე უამრავ სერიოზულ სვანს ვიცნობ. არც ერთი მინიშნება თანამედროვე საქართველოს უბედურ სვეზე, არც ერთი დამაფიქრებელი, ლირიკული სცენა მთელ ფილმში არ არის. თუ თავში რკინის ურიოს ჩარტყმის სულელურ პასაჟს არ მივიღებთ მხედველობაში. აი, ამ ფილმის ავტორი მე ჭკუას მასწავლის.

ჩვენთან მომრავლდნენ ინტერვიუს რაინდები. ერთ-ერთ ინტერვიუში ამას წინათ სვანეთის ერთ ფრიად სამწუხარო შემთხვევაზე სოსომ მკითხველს დასკვნის გაკეთების მომენტი 50 წლით გადაუწია. არა, სოსო, სვანეთი უფრო ღრმაა ვიდრე შენ გგონია, სვანეთი ის არ არის მესტიაში მობრაციბრუცე უკრაინელ გოგონებს ტაშს რომ უკრავდა, გირჩევნია, ამაზე იფიქრო და შენი მომავალი ფილმიც ქვეყნის ბედ-ვარამზე შექმნა. რაც შემეხება მე, ჩემზე საუბრის დროს ჭკუას მოუხმე და სიტყვები მოზომე. შიშით რეზო მიშველაძეს შენი დაბერილი მკლავების კი არა, მამალი მგლის არ ეშინია.

იმ დროს, როცა ქართულ ინტელიგენციას ათასი მტერი ჰყავს, თუ ქართული ტელევიზიის (უკლებლივ ყველა არხი) და თუ სოროსულ-გლობალისტური ხელისუფლების სახით, ჩვენ ქართველები ერთმანეთს ვჭამთ. ხელისუფლებას რომ ვერაფერი დავაკელით, ერთმანეთზე ვიყრით ჯავრს.

არაერთმა დამირეკა და მართალიც გამოდგა: რეზო, ეს „კონფლიქტი მწერალთა კავშირში“ ხელისუფლებამ იმისთვის ააგორა და მასმედიამ იმისთვის აიტაცა, რომ მწერალთა სასახლის დაბრუნებაზე უარი გითხრანო. მე გულუბრყვილო კაცი არ ვარ, მაგრამ ასეთ მზაკვრობას ვერ წარმოვიდგენდი. მგონია მართალია.

ვის დავუმალო, მე არ ვღებულობ თანამედროვე დაცვედნებულ-დადედლებულ საქართველოს. ჩემი ყოველი სტრიქონით ჩემს ხალხს გაღვიძებისკენ, მტრის მიმართ შეურიგებლობისკენ მოვუწოდებ. ამაზეა დაწერილი ჩემი რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, რომელშიც ილა-

ჯგაწყვეტილი და იმედგაცრუებული მწერალი რუს ოკუპანტ-ჯარისკაცთა შორის მოკალათდება, თავს აიფეთქებს და ოცდაათ დამპყრობელსაც თან გაიყოლებს.

ამ პათოსითაა გაჟღენთილი ჩემი ბოლო პატარა ნოველა „თავების ჭრა ძნელი საქმეა“. არავითარი ასი ათასი მოწამე, არავითარი ჯალალედინის ეპოქა, იმ ნოველაში მინიშნებითაც კი არ არის ნახსენები და ჩემმა „აღმზრდელებმა“ რა მკრეხელობა დაინახეს, დღემე ვერ გამიგია და როცა ერთ-ერთმა გაზეთმა პატრიარქის ზოგად ფრაზაში მე არ დამინახა, აღშფოთდნენ, ეს რა ხდებაო, მაშ ჩვენ ეს შეხვედრა რისთვის მოვაწყვეთ თუ მიშველაძისკენ არ გაიშვერენ ხელსო.

ათასჯერ ვიმეორებ, მე ალთას ვარ, ესენი ბალთას არიან. მე ნოველა IX საუკუნის თბილისზე დავწერე, დიდმა ისტორიკოსებმა გინდა თუ არა XIII საუკუნეს გულისხმობდიო.

ერთმა ჩემთვის სათაყვანებელმა ქალბატონმა (რომლის „უტყუარმა“ ისტორიულმა თხზულებებმა საბჭოთა ეპოქაში აფსუების ავტოქტონურობის დამტკიცებით ქართულ ისტორიოგრაფიას დათვური სამსახური გაუწია) განაცხადა, ასი ათასი ქართველი რიგში კი არ ჩადგა, მთელ საქართველოში მოაგროვეს (რაკი თბილისში იმ დროს 100 000 მცხოვრები არ ცხოვრობდა) და ხელფეხშეკრული ჩამოიყვანეს თბილისშიო.

სად დაატიეს ძვირფასო, მერე ეს 100 000 დაბორკილი ქართველი? მტრის მთავარი მოთხოვნა ხომ ის იყო, რომ ქართველებს ჯვარ-ხატები ფეხით გაეთელათ. ცოტა უხერხული ხომ არ არის ხელფეხშეკრულისთვის ამ როლის შესრულება? ან იქნებ ორიოდე წუთით შეუხსნიდნენ ხელფეხს და მერე ისევ შეუკრავდნენ?

როდის იყო ჩვენში თავიანთი აკადემიური პერსონის გარდა სხვა მიეჩნიათ ავტორიტეტად, მაგრამ იქნებ ერთი წამით მოვითამდაბლოთ და სამხედრო საქმის, სამხედრო პოლიტიკის სპეციალისტს თამაზ მიქაუტაძესაც მოვუსმინოთ.

„ჯალალედინი თბილისში 3000 კაცით შემოვიდა... ჯალალი ხიდზე ალაგებინებს ხატებს... ვინც ხატებს არ დააბიჯებს, თავს მოჰკვეთენ.

100 000 თბილისელი. 1226 წელი...

დააყენეთ რიგში 100 000 კაცი და თქვენ მიიღებთ ასკილომეტრიან რიგს თავით ხიდზე, ბოლოთი გურჯაანში...

ჯალათებს რომ ეს „სამუშაო“ (თავების კვეთა, რ. მ.) შეესრულებინათ დაჭირდებოდა 40 დღე და მეტიც...

რატომ ასაცოდავებ „შენსავე მოდგმას, რაში გჭირდება ეს?“ („საერთო გაზეთი“, 12. I, 2011 წ.).

მეათასეჯერ ვიმეორებ ჩემს ნოველას ჯალალედინის ეპოქასთან (მით უმეტეს 100 000 მოწამესთან) რომ საერთო არა აქვს, მაგრამ ხომ არსებულა განსხვავებული აზრი სპეციალისტთა შორის (აღარას ვამბობ ჩემს ტელეფონზე დამრეკავთა შეხედულებაზე): „აგაშენა ღმერთმა, ასი ათასი ჩვენც გადაჭარბებულად გვეჩვენებოდაო“.

ახლა მეორე ამბავი. ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, ქართველებს გაზვიადება გვიყვარს, მე მგონი დიდგორის ომში რომ 60 ათასმა ქართველმა 500 000 თურქ-სელჯუკი დაამარცხა, ესეც ცოტა გაზვიადებულია-მეთქი.

როგორ თუ გაზვიადებულია, ქოში უკუღმა ჰყარეს ნაფიცმა ისტორიკოსებმა. დაიცხრეთ ამპარტავნობა ბატონებო და ყური მიაპყარით თქვენსავე კოლეგას სამხედრო ისტორიკოსს, პროფესორ სოსო მარგიშვილს.

„ილ-ღაზის არმია იყო ნამდვილად უზარმაზარი და ბევრად აღემატებოდა ქართულ არმიას, მაგრამ მისი წარმოდგენა 300 ათასად, ან თუნდაც 100 ათასად, ისტორიული რეალობის დარღვევაა, მოგონილი და გაზვიადებული ციფრი არაფრით ამაღლებს დიდგორში მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობას, პირიქით, მას ზღაპრულ და დაუჯერებელ ელფერს აძლევს. შესაძლოა ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, დიდგორის ბრძოლა სხვა ცნობილი ბრძოლების გვერდით არსად განიხილება (ჟურნალი „თბილისელები“, 19 თებერვალი, 2007 წ.).

მე რევაზ მიშველაძე ვფიქრობ, რომ ჩვენ, ახლა წარსულის და თანამედროვეობის სწორი, ბრძნული შეფასება გვჭირდება.

არასოდეს არც ერთ ეპოქაში არ შეგუებია ქართველი დამპყრობელს, როგორც ახლა წაუწვა და შეეგუა. ეს იცით რისი ბრალია? თურმე ჩვენ 2008 წელს ომი ფაქტობრივად მოგვიგია, თურმე არც 1993 წელს დავმარცხებულვართ... მაგ სიმართლით იაროს იმან, ვინც ჩემს ტანჯულ ხალხს რომანტიკულ სიყალბეებში აცხოვრებს და დღედაღამ ჩასძახის: ჩვენ ყველაზე მაგრები ვართო.

თუ ჩემი პოზიცია გაინტერესებთ, მე ორ ფრონტზე ბრძოლის – პოლიტიკური მოლაპარაკების გზით წართმეული ტერიტორიების დაბრუნების და პარტიზანული ბრძოლის მომხრე ვარ. არ უნდა მოვასვენოთ არ უნდა დავაძინოთ ჩვენს მიწაზე დამპყრობელი, როგორ შეიძლება კოდორში და ახალგორში დღეს ერთი წარწერაც არსად იყოს: „რუსებო წაეთრიეთ საქართველოდან!“ როგორ შეიძლება ცხინვალის მოედანზე უყოყმანოდ დაჩოქილ 50 ახალგაზრდას შორის ერთიც არ აღმოჩენილიყო – არ დავიჩოქებო, რომ ეყვირა?

ხალხი შიმშილით კვდება, ინფლაციამ ლამის სული ამოხადოს ქვეყანას და ამ დროს ჩვენ თურმე იმიტომ ვშიმშილობთ, რომ ჩინელებმა ჭამა დაიწყეს, თურმე 8 მილიონს იმიტომ ვაძლევთ იტალიელ მომღერალს ერთ კონცერტში, რომ ამით უცხოელი ტურისტები მოვიზიდოთ (?!), თურმე სამხედრო ვეტერანებს იმიტომ ვერეკებით შიმშილის ველიდან, რომ „დემოკრატია“ ისტორიის ძეგლის სიახლოვეს მოშარდვას არ ჰქვია („დემოკრატია“ ისტორიული ძეგლის აფეთქებაა დღისით, მზისით), თურმე უმადურმა რუსეთმა არ დაგვიფასა, რომ ჩვენ რუსს (შევარდნაძისგან განსხვავებით) ჩეჩნეთის დამორჩილებაში დავეხმარეთ. არ დაიჯეროთ ეს მტკნარი სიცრუე, ძმებო, ჩეჩნებო!

მე ხშირად ვლანძღავ, გაყიდულ ოპოზიციას და თუ რატომაა იგი გაყიდული თქვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ დაგიმტკიცებიათ.

ვის მოუვა აზრად, რომ მე რაკი ოპოზიციას ვაკრიტიკებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას მივუჩოჩდი?

ნურას უკაცრავად!

მე ის რევაზ მიშველაძე ვარ, რომელიც სააკაშვილს ოდესმე აპატიებს 2007 წლის 7 ნოემბერს? მწერალთა სასახლის უმოწყალო დარბევას? უნივერსიტეტის და აკადემიის ფაქტობრივ განადგურებას? საჯიშე ყმაწვილების ქუჩაში დახვრეტას? გაწამებული ლტოლვილების და ომის ვეტერანების გაუთავებელ დევნას და აბუჩად აგდებას?

არა ბატონებო, მე რევაზ მიშველაძე ისევ იქ ვარ, სადაც ვიდექი და ისევ იმას ვაკეთებ, რასაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვაკეთებდი.

დიახ, ყველა იმ ნამდვილ ოპოზიციურ (და არა თეატრალურ) მიტინგზე, მოვალ, სადაც ოპოზიციის ბელადები ლამაზსიტყვაობით და გულზე ხელის ბრაგუნით არ დაგვაბოლებენ და მერე გამტკნარებული სახით არ გვეტყვიან: წაით ახლა, კუტუნიებო, სახლებშიო.

იქნებ ცნობილ ქართველ მწერალთა აზრმაც დააინტერესოს ჩემი არამკითხე მამიდები?

აი, რას წერს ნოდარ კობერიძე:

„რატომ არ ვუფიქრდებით, იქნებ ამიტომაც ვართ ამდენი ხანი ასეთ დღეში, იქნებ ამიტომ გახდა ჩვენი მეგზური დამარცხება, იქნებ ამიტომ იკარგება ქართული ძირძველი ტერიტორიები, იქნებ ამიტომ დაგვეუფლა ათასი ჭირი და კვნესა, რომ დაჩოქება, თავჩაქინდვრა, ხელების ძაბუნად ჩამოყრა, დანებება, ცხოვრების წესად გაგვიხდია და ამ სინდრომმა ლამის ერთიანად წაგვლეკოს ერი თუ ბერი?! რატომ არ ვფიქრდებით იქნებ სწორედ ამას (და ეს ასეც არის) გვსაყვედურობს გულდათუთქული მწერალი, თავის ცრემლიან-ტკივილიან ნოველაში. მე კი ეს დავინახე და თქვენი არ ვიცი, ამ ამოძახილისკენ მიბიძგა ამ ნოველამ და მადლობასაც ვეუბნები რევაზ მიშველაძეს მისი შექმნისთვის („მწერლის გაზეთი“, 25 იანვარი, 2011 წ.),

ახლა მიხეილ ჩაჩუას მოვუსმინოთ:

„რევაზ მიშველაძე ამ ნოველაში არც 100 ათასს ახსენებს და არც ეპოქას აკონკრეტებს. პირიქით, იგი სიკვდილით ქართველთა გამარჯვებაზეც მიანიშნებს.

...დავუშვათ რომ მართლა მოკვეთეს თავი ასი ათას ქართველს. რა არის ქართველებო საამაყო ამაში? ის რომ იმ ასი ათასში ათასი ქართველიც რომ არ აღმოჩნდა ისეთი, გმირობას ვინ ჩივის, წინააღმდეგობის მაგვარი რაღაც ქმედება ჩაედინა? თქვენც არ მომიკვდეთ.

...განა ჩვენი დროის დიდმა ნოველისტმა რევაზ მიშველაძემ ამ ნოველით ზუსტი დიაგნოზი არ დაუსვა მართლაცდა საღათას ძილით შეპყრობილ, პირქვედამხობილ, დაცვედნებულ საქართველოს?.. („მწერლის გაზეთი“ 25. I. 2011 წ.).

მართლად სჯიან ჩემი კოლეგები, მე წამებულთა სულის შეწუხებაზე არც მიფიქრია, მე თანამედროვე დადედლებულ საქართველოსთან მაქვს საქმე და ჩემი კალმით ერში გმირული სულის, წინააღმდეგობის უნარის აღზრდას ვცდილობ.

აი, რატომ არ მწყინს ზოგიერთი ჩასაფრებული ოპონენტის გაწიწმატება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემმა ნოველამ გაიმარჯვა. არაა ადვილი დღეს მხატვრული ნაწარმოებით ელდაცემული, დამშეული, ილაჯაგაწყვეტილი მკითხველი აალაპარაკო.

როცა ილია ჭავჭავაძემ „ბედნიერი ერი“ დაწერა და თავის სათაყვანებელ ერს, „ყველა ყრუი... ყველა ცრუი“ უწოდა, ან აკაკიმ რომ „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ“, დაწერა, გულარხენობის ყურბალიშზე მთვლემარე, ნირვანაში მყოფ საქართველოს დიდ ნაწილს, რასაკვირველია, არ მოეწონებოდა ეს მკვახე შეძახილი.

დაამტკიცეთ, აბა, ჩემო ძვირფასო „მოსამართლენო“ რომ თქვენ საქართველო ილიაზე და აკაკიზე მეტად გიყვართ!

ერთი ქართული ანდაზა ამბობს: სვავი სანამ ძვალს გადაყლაპავდეს, ჯერ კისერს დააზომებსო.

სასჯელივით იხდის სიცოცხლეს

როცა დავურეკავ და ახალი წიგნის მილოცვას ვაპირებ, სიტყვის ჩაგდებას არ მაცლის, თვითონ გასამხნევებელი და მისახედი, ისეთის სიყვარულით, თანაგრძნობით, უშურველობით მელაპარაკება, რომ საუბრის დამთავრების შემდეგაც დიდხანს მიჭირავს ყურმილი ხელში და ვფიქრობ: ღმერთო ჩემო, თითქოს იცოდა, რომ სწორედ ახლა უნდა დამერეკა. ან როგორ შეუძლია ამხელა სითბო გაიღოს ისეთი უღირსი, უბრალო კაცის მიმართაც კი, როგორიც რეზო მიშველაძეა.

მას თავისი ცხოვრების სტილი აქვს, ეს სტილი უპირველესად, მიმოზა ცანავას ლექსს ეტყობა. ასაზრდოვებს ამ მშვენიერ პოეზიას ულამაზესი კოლხური მელოდიები, სამშობლოს უილაჯო მდგომარეობა... დიახ, საქარათველოს გათავების ზარი, ასე ძალუმად რომ ჩაესმის მკითხველს ამ წიგნშიც.

„საქართველოს გათავების ზარი“-მეთქი დავწერე და თითები გამეყინა. ეს მარტო საქართველოსთვის კი არა, მსოფლიოსთვისაა დიდი უბედურება და ბუნებრივია, წიგნის ლირიკული გმირის ტრაგიკული გაოცება იმის გამო, რომ „ცივილიზებული მსოფლიო“ თითსაც არ ანძრევს საქართველოს მოახლოვებული აღსასრულის აღსაკვეთად.

და როცა ამოდენა ურვას დავატარებ, რა მოსატანიაო ჩემი პირადი ტკივილები, რომლებსაც წუთისოფლის გრძელი, მოსაწყენი ზამთრის

ცივ ღამეებში ქაღალდის ფურცელს ვუმხელო, გვეჩურჩულება ჩვენი უნ-აზესი პოეტი და.

წრფელია მისი ლექსი და ოსტატური. სწორედ რომ ოსტატურად ახერხებს იგი ჩვენად აქციოს მისი მარტოობა და მარტოსულობა (აკი ეს გაუსაძლისი სევდა ათქმევინებს „კაცთა ნუგეში მოგონილიაო“).

ცრემლი მომგვარა ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილმა ლექს-რეკვიემმა, პატრიარქისადმი აღვლენილმა ლოცვა-ლექსმა, მისი სული-ერი მეგობრებისადმი მურმან ჯგუბურიას და ერეკლე საღლიანისადმი მიძღვნილმა ლექსებმა, ძვირფასი მეუღლის პოეტ არჩილ ფირცხალავას ტკივილიანმა გახსენებამ...

არ ვიცი, ეს მიმოზა ცანავას მერამდენე წიგნია, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა – მიმოზამ უკვე დაამკვიდრა მკითხველის წარმოდგენაში მისეული ხელწერა და მსოფლხედვა. მას თავისი სამყარო აქვს საოცრად პოეტური და ჰაეროვანი.

მახსოვს მისი დიდებული ლიტერატურული საღამოებიდან გამოსული თვალზე ცრემლმომდგარი ხალხი, ლექსს მიმოზა მართლაც რომ დიდი შინაგანი განცდით და პროფესიული არტისტიზმით კითხულობს.

როგორ ავსებს გარემოების გამო უფრო ხშირად ოთახს მიჯაჭვული ლამაზი ქალი ჩვენს ცხოვრებას.

იგი რომ ყველგან არის, ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ახსოვს, ამ წიგნის ბოლოს დართული ექსპრომტებითაც კარგად ჩანს.

...და იხდის ძვირფასი მიმოზა თავის წილ სასჯელს – სიცოცხლეს.

ღმერთმა გაძლება მისცეს.

ღმერთმა ნუგეში და შთაგონება ნუ მოუშალოს.

წინათქმა

ას წელს მიტანებული ვასილ გვეტაძე ამ ახალ წიგნს საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს უძღვნის.

საქართველოს სულიერი მამის ნათელი სახითაა შთაგონებული ყველა ლექსი, რომელთა წაკითხვის სიამოვნებაც გელის, ძვირფასო მკითხველო.

საუკუნის მიახლოების ბედნიერებას პოეტს იშვიათად არგუნებს არ-სთა გამრიგე და ამ ასაკს სასწაულებრივად შემორჩენილნი, ჩვეულებრივ, კალამს დებენ და თავიანთი ადრეული ნაწერების შეგროვებას, ტომებად დაბინავებას იწყებენ.

ვასილ გვეტაძე კი დღესაც ჭაბუკივით იღვწის ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზე, დღესაც ისევე აფორიაქებს მამულის ბედი და დღესაც ისევე პასუხისმგებლად თვლის თავს თავისი ხალხის წინაშე, როგორც მაშინ ამ სამოცდაათი წლის წინათ, ცეცხლის კვეთებაში რომ უხმეს მსოფლიო ომის ზარებმა.

ამ წიგნში იგრძნობა საოცარი რწმენა უფლისა და განუზომელი სი-ყვარული ღვთით მოვლენილი კაცისადმი, რომელსაც წილად ხვდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე გრიგოლ ხანძთელის მსგავსად ერთ მუშტად შეკრა საქართველო, განეწმინდა იგი ცოდვებისაგან და მაღალი ღმერთის სამსახურში ჩაეყენებინა.

ჭეშმარიტი პოეტის, სუფთა სულის პატრონი ბ-ნი ვასილ გვეტაძის ამ ლექსებში ჩანს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ღმერთი მასთან იყო და თვითონაც მთელი არსებით უფალს ეკუთვნოდა.

აკი ამიტომაც მოათია მოაქჟამამდე ამდენი ხანი გრძლად და ლამაზად წუთისოფელში და მხნედ, წაუფორხილებლად სვლით თა-ვისთავსაც აჯობა.

ბოლო ხუთ წელიწადში დაწერილ სტრიქონებს აშკარად ეტყობა, რომ თანამედროვე საქართველოს დრამატულ სვეს კათალიკოს-პატრიარქის ღვთაებრივი სიბრძნე და მშვიდი ბუნება აწონასწორებს.

პოეტის სულიერი კამერტონი სწორედ იმ ხმებს გამოსცემს ჩვენი მღელვარე თანამედროვეობისაგან რომ მისწვდენია. საოცარია რომ მის პოეტურ გუმანს არ გამორჩენია არც ერთი ნიუანსი პატრიარქის დიდე-ბულ ეპისტოლეთაგან გამონაშუქი და სამშობლოს შეწირული ბიჭების დატირების მთრთოლვარე პოეტური რეკვიემით დამთავრებული.

ზის თავის პოეტურ მღვიმეში თეთრი ბიბლიური თმა-წვერით დამშ-ვენებული ქართული პოეზიის პატრიარქი ვასილ გვეტაძე და წერს:

„მეც მალე წავალ, სადაც ის მიდის,
სულ მალე... შენ ეს არ გეუცხოოს,
ამბობენ, რომ იქ ცა არის მშვიდი
და ყველა ერთი ცხოვრებით ცხოვრობს.

მე მზად ვარ, ხელის დაქნევის უმალ,
წავიდე, ეს გზა მაინც შორია
ვიცხოვრო ჩუმად, ძალიან ჩუმად,
სულ ისე, როგორც აქ მიცხოვრია,

ო, ეს მყუდრო და უჭირისუფლო,
ეს უხმაურო ავდარი, დარი...
მე არ მაწუხებს ამაზე უფრო
სხვა რამ წუხილი არავითარი“

დიდებული ლექსია.

დიახ, იმ ქვეყნად თუ არ მექნება წუხილი და დარდი ჩემს სამშობ-ლოზე, „მყუდრო და უჭირისუფლო!“, უხმაურო, უავდრო გარემოში რა გამაძლებინებსო, სწუხს პოეტი.

ღმერთო, კიდევ დიდხანს ამყოფე თავისი ბედკრული მამულის ბედზე მლოცველად ქართული პოეზიის ჭეშმარიტი მეციხოვნე – ბატონი ვასილ გვეტაძე.

დავით კლდიაშვილის 150 წლისთავის გამო

მეამაყება

მთელი სიცოცხლის მანძილზე ხან საშუალო ჩინოსანი სამხედრო პირი იყო, ხან სამოქალაქო ჩინოვნიკი, ხან დამოუკიდებელი საქართველოს ოფიციალურ პირთა რიგითი მრჩეველი და ხან დამსახურებული პენსიონერი.

მოთხრობებს და პიესებს ისე, სხვათა შორის წერდა.

თავი პროფესიონალ მწერლად არ მიაჩნდა.

იქნებ ამიტომაც საფლავში ჩაიტანა არაერთი გენიალური, ლიტერატურულ სხეულად ჩამოუქნელი სიუჟეტი.

მისმა შემოქმედებამ ორი მომცრო ტომი ძლივს შეადგინა.

იუბილე რომ გადაუხადეს, ისედაც პატარა ტანის დავით კლდიაშვილი მთლად გალეული ჩანდა უზარმაზარ სავარძელში.

მეო, რა ღირსი ვარო, რა გამიკეთებიაო, მორცხვად იღიმებოდა.

არა და ქართულ მწერლობაში მთელი ეპოქა შექმნა,

ქართულ პროზაში თავისი სამყარო აღმოაჩინა და უაღრესად საყვარელი, კოლორიტული, საოცრად ფერწერული „შემოდგომის აზნაურებით“ დაასახელა,

ჩემი ფიქრით, დავით კლდიაშვილის შემოქმედების მწვერვალი ოთხი დიდებული ნაწარმოებია: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „სოლომან მორბელაძე“, „დარისპანის გასაჭირი“ და „ქამუშაძის გაჭირვება“.

მთელ სიცოცხლეს უყოყმანოდ მივცემდი „სამანიშვილის დედინაცვლის“ ბადალი მოთხრობა რომ დამაწერინა.

ჩვენ, მის კვალზე მოსული პროზაიკოსები, ვისაც სატირისა და იუმორის ფარ-ხმალი ჩაგვიბღუჯავს, ყველანი (ნიკო ლორთქიფანიძე, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, რეზო ჭეიშვილი, რევაზ მიშველაძე, თეიმურაზ ლანჩავა...) დავით კლდიაშვილის მოწაფეები ვართ.

რა სილაღე, რა სიდარბაისლე, რა ირონია, რა თანაგრძნობა, რა მოფერება, რა თავმდაბლობა და ამავე დროს სიამაყე, რა არისტოკრატიზმი ჩანს დავითის ნაწერებში.

მეამაყება, რომ დავით კლდიაშვილის პრემიის ლაურეატი ვარ.

ღვთისკაცი... ერისკაცი... ბრძენთა ბრძენი...

რატომ ღვთისკაცი?

საქართველო თუ დგას დღეს ფეხზე მისი ლოცვა-კურთხევით დგას.

ჩვენი სამშობლოს თავზე შავი ღრუბელი, რომ წამოიგრაგნება, კათალიკოს პატრიარქი ჯვარს აღმართავს ერთი მხრივ მრევლს გაძელქვებისკენ მოუწოდებს, მეორეს მხრივ მტერს მიმართავს – სატანავ, განეშორე საქართველოს!

რატომ ერისკაცი?

მახსოვს, უკეთურებმა საბუთებიდან ეროვნება და მამის სახელი რომ წაგვიშალეს, მივედი საქართველოს სულიერ მამასთან, ყურადღებით მომისმინა, წარბი შეიჭმუხნა, მონაღვლიანებულ თვალებში ცრემლი გაუკრთა; ეს რამ მოაფიქრებინათო, ჩაილაპარაკა და წერილი გაუგზავნა პრეზიდენტს – ჩვენ ღვთის შეწევნით ეროვნება აქამდე ტანჯვით მოგვიტანია და ახლა ჩვენი ნებითვე მისი საბუთებიდან ამოღება სჯულის კანონს ეწინააღმდეგებაო.

სამწუხაროდ, არც ამ წერილმა გაჭრა, მაგრამ უწმინდესმა და უნეტარესმა თავისი ვალი ხომ პირნათლად და დროულად მოიხადა.

რატომ ბრძენთაბრძენი?

კარგახანია მიმდინარეობს გამოუცხადებელი ომი ხელისუფლებისა დედა–ეკლესიის წინააღმდეგ.

კათოლიკოს-პატრიარქი ჯერჯერობით წონასწორობას ინარჩუნებს, დუმილს არჩევს.

ათასჯერ ზომავს და სწონის, არკვევს რა სულიერი მდგრადობის ადამიანები არიან მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

საკმარისია წონასწორობა დაკარგოს და ხელაღებით მიუდგეს რომელიმე მხარეს, რომ ქვეყანა გაიყოფა და მის გამთლიანებას მერე იქნებ საუკუნეები დასჭირდეს.

მაგრად დექ, კათალიკოსო, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს სულიერ ხომალდის საჭესთან.

ტერენტის ახალი სიცოცხლე

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლები.

სურამის სულით დავრდომილთა საავადმყოფო.

ზოგნი დიდი ცაცხვის ძირში წრეზე დამსხდარნი ბაასობენ, მათი ჯანმრთელობისთვის შესაფერი ბაასით: ხან შეჰყვირებენ ჟინიანი შეყვირებით, ხან გადაიხარხარებენ უსაგნო ხარხარით, ხან ხმის ჩახლეჩამდე უმტკიცებენ ერთმანეთს იმას, რის მტკიცებასაც სხვა დროსა და ვითარებაში არ მოჰყვებოდნენ.

ზოგნი თავიანთ არსებაში ჩაძირულან. ანგარიშმიუცემლად დააბიჯებენ ცაცხვიდან საგიჟის ჭიშკრამდე, ჩურჩულებენ თავისთავთან, თავისთვის, ხან ხელებს შლიან, ხან შეჩერდებიან და შიშით მიმოიხედავენ, თითქოს იდუმალ მოწმეს ეძებენ საკუთარ თავთან კამათში რომ ჩაიზიარონ.

ტერენტი გრანელი კი დღეს ეზოში არ ჩამოსულა.

მინაჩამსხვრეულ ფანჯარასთან რკინის მაგიდას მარცხენა ხელით ჩაჭიდებული უჯრედებიანი რვეულის ნაგლეჯზე გატაცებით ხატავს.

ტერენტის „გატაცება“ ექიმებმა კარგად იციან.

იგი ან ხატავს, ან ლექსს წერს.

და ამ ნახევრად საპატიმროდ ქცეულ საავადმყოფოში, ტერენტის ნახატიც და ლექსიც „მკურნალთ“ ოდენ მისი „დარღვეული სულიერი წონასწორობის უკუფენად“ მიაჩნიათ.

არა და, არ არის ასე.

ტერენტის სურამი დიახაც რომ მიუსაჯეს.

მიუსაჯეს მისი თავისუფალი აზროვნების, ეროვნული შტუდიების და ამ სტრიქონების გამოც: „და საქართველო დღეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“.

მზე რომ შუბისტარზე გადაიხრება, ტერენტისთან ოთხკუთხედი სახის, ჯანმაგარი, თეთრხალათიანი მამაკაცი მიდის და ნახატზე ხელს დაუფარებს:

– გეყოფა დღეს ტერენტი, მომეცი რაც დახატე.

ტერენტი რვეულიდან ნახატს ამოხევს და ექიმს გულდაწყვეტით აწვდის:

– არ დაგეკარგოს, თუ ძმა ხარ.

ექიმი არ დაკარგავს უცნაური ავადმყოფის ნახატებს. პირიქით, მეორე მხარეს ავადმყოფის სახელს, დიაგნოზს და თარიღს აწერს თავის გვარსაც „უკვდავჰყოფს“. ნახატს პაციენტის პირად საქმეში დებს და ვალმოხდილი აუყვება კიბეებს.

ასე გროვდება ტერენტი გრანელის ათასამდე გრაფიკული შედევრი.

ტერენტი გრანელის ეპოქის მსოფლიო კი ძალიან დიდია. იმდენად ვრცელი, რომ საქართველომდე თითქმის ვერ აღწევს პარიზში მონმარტრის კაფეებში მსხდომი გენიოსები როგორ ახდენენ რევოლუციას მსოფლიო გრაფიკაში.

აბსტრაქციონიზმს ერთი განსაცვიფრებელი თვისება აქვს; მიმბაძველობას ადვილად ექვემდებარება და მერე თავსამტვრევად ექცევათ ესთეტიკოსებს; ვინაა პირველდამწყები, პირველი ხნულის გამვლები. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ეპიგონური სჯაბნის დედანს.

ტერენტი გრანელს არ უნახავს მისი დროის პარალელურად შექმნილი პიკასოს, მალევიჩის, მიროს, კლეეს, ლეჟეს, კანდიდსკის, ერნესტის შედევრები.

არ უნახავს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი იმ დროს სურამში „მკურნალობდა“.

და აი ჩემ თვალწინ მოხდა საოცრება.

ფერწერის ოსტატმა რეზო ადამიამ ნახა ტერენტი გრანელის ნახატები და ღრმა ფიქრის, ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტერენტი ავანგარდისტი, კუბისტი, აბსტრაქციონისტი ევროპელი ძმების ღირსეული ძმა და მათი სულიერი თანამოდარდეა.

ხომ არ არის ეპიგონის კვალი?

არამც და არამც. პირიქით, ზოგ რამეში, ტერენტი მათი წინამორბედიც კია, ბრძანებს ბატონი რეზო.

რეზო ადამიას აქამდე ვიცნობდი, როგორც ტერენტი გრანელის პოეზიაზე ბრწყინვალე ესეის ავტორს, ახლა იგი ჩემ წინაშე წარმოჩნდა უაღრესად ერუდირებულ, ავტორიტეტულ მკვლევარად ტერენტი გრანელის მხატვრობისა.

რა ბედნიერებაა რეზო ადამია რომ არსებობს ამ ქვეყანაზე.

რა უშურველობით, რა კოსმოსური გაქანებით, რა მაღალი პროფესიონალიზმით წერს იგი ტერენტი გრანელზე.

გულწრფელად ვამბობ: არ მეგულება საქართველოში დღეს მეორე კაცი, თან დიდი მხატვარი იყოს და თან ასე კარგად წერდეს ხელოვნებაზე.

მადლობა განგების ძალას, რომ ჩემი მეგობრის ამ დიდებული წიგნისთვის ორიოდე სტრიქონის წამძღვარების პატივი მერგო.

ახლა იქიდან გვლოცავს

ქართველთა და ებრაელთა ლამის სამიათასწლოვანი თანაცხოვრების მანძილზე ქართულ ლიტერატურას უფრო დიდი გვარტომით ებრაელი მწერალი არ ჰყოლია.

ჯემალ აჯიაშვილის არსებაში გაცოცხლდა და გაგრძელდა ბრძენთა-ბრძენ ებრაელთა უძველესი გენი.

რა დიდებულად გადმოაქართულა (რა მშვენირი სიტყვაა) შუასაუკუნეთა ებრაული პოეზია.

იგი ხომ იმ წმინდა ქართველთა ღვიძლი ძმა იყო, ათასზე მეტი ხნის წინათ ღარიბულ საკანში მსხდომნი ბიბლიას რომ თარგმნიდნენ და შიგადაშიგ ქარვისფერ ღვინოში ჩაწობილი პურით იბრუნებდნენ გულს.

მახსოვს 2003 წლის 23 ივნისს მთელი ღამე დავდიოდით იერუსალიმის ქუჩებში. ჯემალი თავისი ენციკლოპედიური ცოდნით ბიბლიური ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულს მიჩვენებდა. ღამის სამ საათზე გოდების კედელთან ხელი შემართა, მომიბრუნდა და ძველებრაულად დაიფიცა:

„თუ დაგივიწყო იერუშალაიმ, დამავიწყდეს მარჯვენა ჩემი და ენა ჩემი მიეზარდოს სასასა ჩემსას“.

მთვარის ათინათი დაჰკრავდა სახეზე და ცრემლი უბრწყინავდა თვალებში.

მეორე დღეს ლამის 5 საათი დავყავით იერუსალიმის ჯვრის მონასტერში და ქართველთა ამ დიდებულ ტაძარში მორიგეობით ვეამბორეთ რუსთაველის ფრესკას.

ამ ამბორის ფოტოსურათი ახლაც კედელზე მაქვს გაკრული.

ამ მოგზაურობიდან ნახევარ წელიწადში როცა რუსთველის ფრესკას ვიღაც უკეთურმა თვალები დათხარა, შეძრწუნებულმა დავურეკე ჯემალს, რა ხდება-მეთქი.

პასუხად ტელეფონის ყურმილში ზლუქუნი მომესმა.

ტიროდა ჯემალი. დასტიროდა თავისი სამშობლოს – საქართველოს უბედურ სვეს, უიღბლობას, უილაჯობას.

ახლა იქ არის, სადაც ჩვენი საერთო წინაპრები ნათობენ.

ახლა იქიდან გვლოცავს.

ღმერთმა დიდხანს ატაროს

კარგა ხანია თეიმურაზ ლანჩავას ფენომენი ჩამოყალიბდა ქართულ მწერლობაში და ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სიტყვა „ნიჭიერი“ მეცოტავება ლიტერატურაში მისი ადგილის დასახასიათებლად. დიდ ნიჭთან ერთად თეიმურაზს განსაცვიფრებელი პასუხისმგებლობის გრძნობა მოსდევს მათ წინაშე, ვის ტრადიციებზეც აღიზარდა და ვისაც ანგარიშს აბარებს ყოველ ხუთ წელიწადში.

აკაკის და დავით კლდიაშვილის უშუალო შთამომავალია.

აკაკივით ენაბასრი და მრავალფეროვანი მწერალია, დავით კლდიაშვილივით უზადო იუმორის პატრონია.

თეიმურაზ ლანჩავას ყოველ ახალ წიგნს მოუთმენლად ელის მაღალგემოვნებიანი ქართველი მკითხველი.

გადაჭარბებულად ვერც მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის იერსახეს შეაფასებს საზოგადოება.

სწორედ რომ თეიმურაზის გაწონასწორებული პიროვნების შედეგია ის გარემოება, რომ საქართველოს ახალ კი არა უძველეს დედაქალაქში – ქუთაისში ლიტერატურას და ხელოვნებას შენარჩუნებული აქვს ის დიდი ავტორიტეტი, რაც ყოველ წესიერ ქვეყანაში დიახაც უნდა ჰქონდეს მუზის მსახურს.

წიფის გვირაბს გაღმა ყოველი ეროვნული ღონისძიების ინიციატორი და თავკაცი, უანგარო შუაკაცი ხელისუფლებასა და გაუგებრობის გამო ხელშეშლილ მოქალაქეს შორის, ჭეშმარიტი ტრიბუნი და ენაწყლიანი მოსაუბრე, კოლეგათა მხარში მდგომი და დაუზარელი ჭირისუფალია. კვირა არ გავა რომ არ დამირეკოს: ამას ეს თარიღი უსრულდება და უნდა დავაფასოთ, ამის წიგნი გამოვიდა და ლიტერატურულ პრემიაზე უნდა წარმოვადგინო, ესა და ეს მწერალთა კავშირის წევრად უნდა მივიღოთ...

... მერე, დღის ბოლოს იმერეთ-სვანეთ-გურია-სამეგრელოს მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე თავის კაბინეტის კარს გამოიხურავს და ნინოშვილის ქუჩით სახლისკენ გასწევს.

ამ გზაზე იგი 65 წელია დადის.

ღმერთმა დიდხანს ატაროს.

კარგი სახელმძღვანელო

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა არც ისე დიდი ხნის წინ ჩაისახა როგორც მეცნიერება და სანამ თვით უმაღლესი სკოლა ურთიერთგამომრიცხავ ექსპერიმენტების ორომტრიალში მოხვდებოდა, საკმაოდ გამძლე მეცნიერთა საყრდენებზე იდგა, მაგრამ დადგა უსაგნო თვითმიზნური რეფორმების ეპოქა და არა მარტო მეცნიერება უმაღლესი სკოლის შესახებ, საერთოდ პედაგოგიკაც დამოკლეს მახვილის ქვეშ აღმოჩნდა.

ალბათ დიდი დრო გაივლის, სანამ უმაღლესი სკოლა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდებოდეს, მანამდე კი კვლავ და კვლავ მოგვიხდება გარდამავალი ეპოქების ჩანჩქერქვეშ დგომა.

ჯერ იყო და ერთბაშად უარი ვთქვით ივანე ჯავახიშვილის მიერ ლიბოდადებულ სტრუქტურაზე უმაღლესი სკოლისა, გავაბაკალავრ-გავამაგისტრეთ სწავლება და უმწიფარა ნახევრადსპეციალისტი ინტელიგენტებით გავავსეთ ქვეყანა, მერე ბოლონიას პროცესი ვატაკეთ უმაღლეს სკოლას, სათანადო კადრების, სათანადრო სასწავლო ბაზის, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე ჩავაცვით სოკოსავით მომრავლებულ უნივერსიტეტებს სილაბუს-კოლოკვიუმების და კურუნკუმსელის ქურქი და შედეგად მივიღეთ სასაცილოზე სასაცილო წოდებები – სრული პროფესორი (სრული რა ჯანდაბაა), ასოცირებული პროფესორი (ესე იგი პროფესორი რომ არა ხარ და პროფესორად წარმოიდგინები) და ასისტენტ პროფესორისა (თუ ასისტენტია, პროფესორი საიდან არის?). შუაზე გავწყვიტეთ სადისერტაციო საკვალიფიკაციო სისტემა და მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო შემდეგ მეცნიერებათა დოქტორის ნაცვლად ერთი ხარისხი შემოიღეს – ყველას მეცნიერებათა დოქტორს ვუწოდებთ დღეს, იმასაც ვინც ერთადერთი „ნაშრომი“ მოახლაფორთა და ვინც მეცნიერებაში სკოლა შექმნა.

და მაშინ როცა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა ლერწამივით ირწევა, ხოლო თვით უმაღლესი სკოლა, როგორც დავინახეთ, უსაგნო რეფორმების მსხვერპლია იური ბიბილეიშვილმა და ....მ შეჰბედეს შეექმნათ უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო. რითია ეს სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი? უპირველეს ყოვლისა, იმით რომ ორიგინალურია. თავი და თავი ის გახლავთ, რომ ეყრდნობა ქართული უმაღლესი სკოლის პრაქტიკულ გამოცდილებას და იზიარებს თანამედროვე უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის უახლეს მიღწევებს.

იური ბიბილეიშვილი არა მარტო თანამედროვე საქართველოში ერთერთი უპირველესი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნეა, იგი ამავე დროს პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ და ამ უაღრესად რთულ დარგში არაერთი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი.

გარდა ამისა ბ-ნ იურის ზურგს უმაგრებს მრავალწლიანი პეაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სკოლაში. იგი სტუდენტებისთვის

საყვარელი, ტკბილმოუბარი ლექტორია, თავის უმრწემეს კოლეგებს გაკვეთილს აძლევს იმისას, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს ლექტორი, რომელიც მოწოდებულია არა მარტო მეცნიერების საფუძვლებს აზიაროს სტუდნტები, არამედ აღზარდოს მათ სულში ჭეშმარიტად ეროვნული ინტელიგენტის თვისებები. მახსოვს როგორ მიაღწია ბატონ იურიმ, რომ მომავალ პედაგოგებს „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად შეესწავლათ და ამით პოემის გენიალურ ავტორთან ემოციურ-ინტელექტუალური კავშირი დაემყარებინათ.

დიახ, ამ დარგში ფრიად კომპეტენტურ და გამოცდილ ლექტორ-მეცნიერს უნდა დაეწერა.

მინაწერები სატელეფონო წიგნზე

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ეს „მინაწერები“ 1993-94 წლებში დაიწერა.

არ მინდოდა, ისე წავსულიყავი ამ ქვეყნიდან, რომ თანამედროვე (ცოცხალი, რ. მ.) ქართველი მწერლების და ზოგი საზოგადო მოღვაწის შესახებ ჩემი უპრეტენზიო აზრები, მოგონებები ქაღალდზე არ გადამეტანა.

ახლა ვასრულებ ამ სურვილს.

ეს გახლავთ ჩემი ლირიკული ფიქრები მწერალთა სატელეფონო ცნობარის ფურცვლისას.

წიგნში არაერთი უტელეფონო მწერალიც მოხვდა, რადგანაც მე არ დამიყვია ლიტერატურა მწერალთა კავშირის წევრებად და არაწევრებად.

მაშ ასე, ამ წიგნისგან დიდად სახელის განთქმას ავტორი არ ელის.

და მაინც მე ვერ შევძელი, რომ ეს წიგნი არ დამეწერა.

კიდევ და კიდევ დაბეჯითებით გთხოვთ, ძვირფასო მკითხველებო, ეს წიგნი ჩათვალეთ სატელეფონო ცნობარზე ავტორის მინაწერებად, არც მეტი, არც ნაკლები,

ჩემო ძვირფასო კოლეგებო, ამ წიგნის მშვენიერო გმირებო – თქვენ გაეცნობით ქართულ მწერლობაში თქვენი ადგილის გარკვევის ავტორისეულ ცდას, ან კრიტიკულ განაჩენს კი არა, ერთი უბრალო მკითხველის, თქვენი ამხანაგის მოკრძალებულ აზრებს, რომელთაც განზოგადების არავითარი პრეტენზია არ გააჩნიათ.

და თქვენც ასე უნდა გამიგოთ:

„ნურც რას დააკლებთ და ნურც რაიმეს დაუმატებთ გაბოროტებით“.

შოთა ნიშნიანიძე

„არაპოეტებს მყუდრო აქვთ ბუდე,
ფრთხილად ცხოვრობენ ლოკოკინასებრ.
მათ ყველას თავი ბალიშზე უდევთ,
ნამდვილ პოეტს კი – გილიოტინაზე.“

დგას შოთა ნიშნიანიძე – დარბაისელი და შეუცვლელი, ბრძენი და ბავშვივით მგრძნობიარე, გარეგნულად ყუჩი, მაგრამ თავის არსებაში ვულკანური ცეცხლის მატარებელი. შეჰყურებს მდევურ ამობოხებაში თავით-ფეხებამდე ჩართულ, ზოგჯერ ანარქიულ კვეთებაში მბორგავ და სხვადასხვა ხმა-ზომის დროშა-საყვირთა კალეიდოსკოპით აჭრელებულ საქართველოს და ლოცვასავით ჩურჩულებს:

„უფალო, შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე
ცოდვილნიც... უცოდველნიც... დიდებიც, პატარებიც...
ვაიმე, ქართველები შევიცვალეთ,
ბევრნი ვართ ტახტრევანით და კისრით სატარები.
შინაურ-გარეულნი ერთმანეთს თაკილობენ,
ჩქარობენ, ერთმანეთი გადათელონ.
უფალო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის,
ვულკანზე შემდგარი საქართველო“.

იგი ზოგჯერ ლექსში მის მიერვე დახატულ ვეფხვის ფიტულს წააგავს დამცირებას რომ ვერავინ გაუბედავს და შეჩერებული მზვაობრიობითა და სიდიადით შიშს, აღტაცებას და მოკრძალებას რომ ინარჩუნებს.

როგორც ყოველი ნიჭიერი შემოქმედი, ძნელადშესაცნობია და არაპრაქტიკული. მართალია, თავის ძალებში დარწმუნებულმა, თავისი უპირველესი ადგილიც მშვენივრად უწყის თანამედროვე ქართულ პოეზიაში, მაგრამ ურთიერთობებში უაღრესად მოკრძალებულია და უმნიშვნელო სიკეთესაც საოცარი ერთგულებით იხდის. ხანდახან ეჩვენება, რომ ამ ჯუნგლურ დროში მისთვის არ სცალიათ და თუ საზოგადოებამ მცირეოდენი ყურადღება მაინც მიაქცია, სწორედ რომ ღვთის წყალობაა.

იქნებ ეს მორიდება და ყაყანს გარიდება, შემოქმედებით საღამოებსა და ტაშის დარბაზებზე უარის თქმა ნიღბად აუფარებია მეამბოხე და ხმაურიანი ბუნების დასამალავად? როგორ შეიძლება მშვიდი ნერვებისა იყოს კაცი, რომლის ლექსებშივე ამდენი კვნესა და კივილია ჩვენი ეროვნული სიდუხჭირისა და ადამიანთა უგულობა-გაუტანლობის გამო? რომლის სტრიქონებიც ხან იერიქონის საყვირია და ხან მოქნეული მათრახი, ხან ქართული სულის უტკბესი საგალობელია და ხან ამორძალთა უნაგირზე დარწეული უდაბნოს ქარის ნაღვლიანი სტვენა?

სამკვდრო-სასიცოცხლო კვეთებაში, სწორედ ყველაზე დიდ შეჯგუფება-ჯგლეთაში, ჩვენდა გასამხნევებლად, აქა-იქ გაკრთება შოთა

ნიშნიანიძის დევური ფიგურა და მისი აგერ ა, სწორედ იმ დღეებში, ცხრა აპრილის ტრაგედიაზე დაწერილი სტრიქონებიც მოწოდებად ჩაგვესმის.

ერო – სტუმრისაგან აკლებულო,
ერო – მტერ-მოყვარის მასპინძელო,
ერო – ფალავნების საკრებულო,
თუ გსურს ფალავნობა გააგრძელო,
იყავ გუშინდელზე გონიერი,
რაკი უფლისნება გამოვლინდა,
უფრო მრავალი და ღონიერი,
აღსდეგ ანგელოსთა გალობიდან!

არაერთგზის მინახავს შოთა ნიშნიანიძე მიტინგზე განაპირებული, თავისთვის მდგარი, ღრმად დაფიქრებული, ცოტა ნაღვლიანიც, თავ-ჩაკიდული, ღონიერი ხარის ქედი უჩანდა მხოლოდ, საცრისტოლა თვალები გასცემდნენ ხოლმე შინაგან მღელვარებას, თვალებიდან სასხლტომად გამზადებული ორი მიმინო მი და მო აწყდებოდა, წრიალებდა, თავისუფლებას ელტვოდა.

იმ მიმინოთა დაოკებას ერთგულად ცდილობდა და ახერხებდა კიდეც „ციხე-ტაძართა საგალობლის“ ავტორი. იგი ჩუმად იდგა, მუშტშეკრული, გზას არ მიიკვლევდა მიკროფონისკენ. ირგვლივმდგომნიც იმდენად შეეპყრო და დაემონა ახალდროის ორომტრიალს და რევოლუციურ ფუსფუსს, რომ ვერც კი ამჩნევდნენ მათთან, მათ შორის მდგარ იმ ღვთაებრივ კაცს, ერთ-ერთმა პირველმა რომ გააწნა სილა საძულველ რეჟიმს და ჩვენ შორის პირველმა რომ მიმართა უსამართლობას, მედროვეს, გარეწარს, დამპყრობს დუელიანტის მრისხანებით – „ბარიერთან!“

მაგონდება, ერთხელ მოსკოვში ვიყავით მწერალთა კავშირის პლენუმზე. საუზმეს ან სადილს რომ მოვრჩებოდით, შოთა პურის ნაჭრებს ქაღალდში ახვევდა და ჯიბეში იდებდა. რად გინდა-მეთქი. ღამე მოშივება ვიციო. ერთხელ შევესწარი – ყვავებს უფრჩხვნიდა. არაფერი მითქვამს, რაკი თავიდანვე არ გამიმხილა, გამიღიმა; ყვავები, რატომღაც, არავის უყვარსო. მთელი ყურადღება ხალხს მტრედებზე აქვს გადატანილიო. მორცხვად ცელქობაზე წასწრებული ბავშვივით მითხრა.

წამით დავხუჭავ თვალს და წარმოვიდგენ მკითხველთა ლეგიონებს შორის მდგარ, თეთრმოსასხამიან შოთა ნიშნიანიძეს, ვხედავ მისკენ იმედითა და რწმენით მიპყრობილ თვალებს და მომელანდება პოეტის მიერ არაერთგზის მოხდენილი სასწაულიც – ჩვენი დღეების უპირველესი პოეტთაგანი უბეს გაიხსნის, ლექსს თეთრი მტრედივით ააფრთხიალებს და მაღლა აისვრის თავისი გზადაბნეული ხალხის მეგზურად და მახარობლად.

ლევან სანიკიძე

„309 ქართული სირცხვილი“ ჰქვია ლევან სანიკიძის ახალ წიგნს.

„სახელოვან“ ქართულ სირცხვილებზეა იგი დაწერილი.

პირველი სირცხვილია ქრისტეშობამდე მეოთხე საუკუნეში საქართველოს მეფე საურმაგის მიერ თანამემამულეთა დასათრგუნად ჩრდილოეთ კავკასიიდან ძურძუკთა და ოსთა ჩამოყვანა, ხოლო 309-ე სირცხვილი ბოლშევიკითა მიერ 1921 წელს საქართველოს გაყიდვა-გასხვისება გახლავთ.

შემდგომ, არანაკლებ სახელოვან, ეროვნულ სირცხვილთა შესახებ ამ წიგნში არაფერია თქმული.

ვკითხულობდი ქართულ სირცხვილთა ისტორიას და სიბრაზისაგან ტუჩებს ვიკვნეტდი, შინაომი, ქიშპობა, შური, ამბიციურობა, ზურგში ხანჯლის ჩაცემა.

და მაინც, ვფიქრობდი გულში, სამასცხრავე ისტორიულ სირცხვილს ფარავს დავითისა და თამარის ხანა, „ვეფხისტყაოსანი“, ალავერდი, ვარძია, სვეტიცხოველი...

არც კი ვიცი, სხვაგან დაწერილა თუ არა წიგნი დიდ ეროვნულ სირცხვილებზე, არადა ყველა ერის ისტორია სავსეა მსგავსი მაგალითებით.

თუ სხვა ქვეყნებში არ შექმნილა მსგავსი წიგნი, მით უმეტეს დიდია „309 სირცხვილის“ მნიშვნელობა.

მერე რა, რომ ისტორიის ანალებიდან ამოკრებილი და ერთად დალაგებული 309 სირცხვილი შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს. სამაგიეროდ დიდ გაკვეთილ-რჩევას გვაძლევს იმისას, თუ როგორ არ უნდა ვიცხოვროთ, რა შეცდომები არ უნდა დავუშვათ.

ამიტომაც დიდზე დიდია ამ წიგნის ზნეობრივთი მნიშვნელობა.

თუ ამ ათიოდე წლის წინათ „უქარქაშო ხმლებით“ ლევან სანიკიძემ ეროვნული სიამაყე მოგვგვარა და თვითრწმენა განგვიმტკიცა, ახლა ჩვენი ისტორიის სამარცხვინო ფურცლებიც გადაგვიშალა და მწარედ ჩაგვაფიქრა.

„309 სირცხვილიც“ სწორედ რომ „უქარქაშო ხმლების“ ავტორს უნდა დაეწერა.

ანა კალანდაძე

ანა კალანდაძის სწორუპოვარი პოეზიის გარდა ჩვენს წარმოდგენაში არსებობს თვით ანა კალანდაძის – როგორც პიროვნების სახე, რომელიც კარგა ხანია ლიტერატურულ ფენომენად იქცა. ქართველ პოეტთა ლექსებიდან გამოიყურება თანამედროვე ქართული პოეზიის დედოფალი – ღრუბლებში ამაღლებული, კდემამოსილი, უსათნოესი პიროვნება, თავისი სიამაყით მარადის თავაწეული და ამა ქვეყნის ყაყანს თითქოსდა გარიდებული, ეულად მდგარი განზე, როგორც ჭეშმარიტ პოეტს შეჰფერის – მიუკერძოებელი და მოუსყიდველი.

ომი ახალდამთავრებული იყო, კანონადებიანი დროის შემდეგ ჩამომდგარ სიჩუმეში ტოროლას გალობასავით გაისმა ანა კალანდაძის პოეტური ხმა. ეს მომენტი მურმან ლებანიძემ დიდებულად გამოხატა: „შენ მიგვანიშნე პოეზიის საგანი ზუსტი – წიაღი სულის, კვალად ზეცის ლურჯი ნაჭერი: შენ შეახსენე სისხლით მაძღარს ყვავილი სუსტი, შენ უმაღლესი სათნოებით გულში დაგვჭერი“.

ამას წინათ შინ ვესტუმრე. კარი გამიღო თუ არა ხმაურიან-მტვრიანი ქუჩიდან, ჩვენი ჭირვეული სინამდვილიდან ერთბაშად სხვა გარემოში მოვხვდი. ანა კალანდაძის ბინა... დიდი პოეტის მღვიმე... რა ძვირფასი და ნაცნობი იყო ჩემთვის.

მესაუბრებოდა ქალბატონი ანა თავისი არამიწიერი, ოდნავ გაბზარული, ზევიდან დაძრული ხმით. მესაუბრებოდა ისეთ მაღალ მატერიებზე, რომ კინაღამ გადამავიწყდა მოსვლის მიზეზი – ჩემი სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე – ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა.

„იგი წავა და სხვა მოვას“ შეცვლა „იგი წარხდების, სხვა მოვად“ მაინც როგორ მოუვიდათო, ჩაილაპარაკა წაკითხვის შემდეგ. ახლა აკადემიკოსად ამირჩიეს, ჩემთვის თითქოს უხერხულია „კომისიის“ წინააღმდეგ გამოსვლა, მაგრამ რას მიჰქვიან კომისია, როცა საქმე რუსთაველს შეეხებაო.

ბესიკ ხარანაული

„მე პოეტი ვარ, ესე იგი ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე“, – ეს სიტყვები ბესიკ ხორანაულს ეკუთვნის.

არ სჭირდება ამ სათქმელს არც რითმა-რიტმი და არც შედარება-მეტაფორათა ბიჯგება.

იგი უკვე ლექსია.

„ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე“.

სამწუხაროდ, ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას ეს პოემა ჯერ კიდევ არ „წაუკითხავს“ როგორც წესი და რიგია.

მაიაკოვსკიმ პოეზიად აქცია ისეთი ბიუროკრატიული თემაც კი, როგორიც გახლავთ ფინინსპექტორთან საუბარი პოეზიაზე, ბესიკ ხორანაულს ძალუძს პოეტური სული შთაბეროს და ლირიკის უნაზესი შუქით აავსოს კარტოფილის ამოღებაც კი.

საინტერესო კუთხე-რაკურსის პოვნა გახლავთ ლიტერატურის ერთ-ერთი უპირველესი თვისება, თორემ მოვლენას მეცნიერები მწერლებზე უფრო „ზუსტად“ აღწერენ ხოლმე.

ბესიკ ხარანაულის მთელი შემოქმედება გამოდგება იმის ილუსტრაციად, თუ რითი განსხვავდებიან ნიჭიერი მწერლები უნიჭო მწერლებისაგან.

გურამ ფანჯიკიძე

„თვალი პატიოსანით“ ქართულ პროზას ახალმა სიომ დაჰქროლა. ბომბივით გასკდა ეს რომანი სამოციანი წლების რუტინული ცხოვრების მღვიმეში და დიდკაცთა კაბინეტური მყუდროებაც დაარღვია. მათი ფანჯრებიც შეაზანზარა.

რამდენჯერმე „მაღალი ტრიბუნიდან“ გაკრიტიკების შემდგ რომანს ყველაზე მომაკვდინებელი იარაღით გაუმართეს ბრძოლა – დუმილით. მკითხველი ჟურნალს გაფაციცებით დაეძებდა, იყო ნომერ-ნომერ თხოვება ამ ეპოქალური რომანისა, გამომცემლობებს აუკრძალეს „თვალი პატიოსანის“ გამოცემა. კრიტიკა დუმდა, გურამ ფანჯიკიძის თავზე ავი ღრუბლები გროვდებოდა.

კომკავშირის ცეკას მდივანთან შევედი „თვალი პატიოსანი“ კრიტიკას არ შეუფასებია, წიგნი კი დღითი-დღე პოპულარული ხდება, თუ მართალია, რომ, როგორც გიყვართ ხოლმე თქმა, ოცდაჩვიდმეტი კარგა ხანია წარსულს ჩავაბარეთ, არ შეიძლება ასეთ კარგ წიგნს დუმილის ფარდა ჩამოვაფაროთ-მეთქი. ძალიან მოგწონსო? მკითხა, ნუთუ შენც გჯერა, რომ ჩვენი საზოგადოება ასე გარყვნილ-დეგრადირებულიაო, მე დავწერ ჩემს აზრს, ოღონდ დაბეჭდვაში უნდა დამეხმაროთ-მეთქი.

ორ კვირაში ვაახლე რეცენზია. დაიტოვა. სამ დღეში მომაკითხეო. სამი დღის შემდეგ ამრეზილად უკან გადმომიგდო; ეს რა უნაპირო ქებ-დიდება დაგიწერიათ, თუ პატიოსანი კაცი ხარ, სიმართლე დაწერეო. „სიმართლეში“ რას გულისხმობთ-მეთქი. შენიშვნები დაუმატე და ხაზი გაუსვი იმას, რომ მუქი სათვალით ხედავს ცხოვრებასო. რომ არ დაგიმალოთ, ხუთჯერ მაინც მომიხდა რეცენზიის თაობაზე ცეკას მდივანთან მისვლა. ყოველ შეხვედრაზე სხვადასხვა მელან-ფანქრით აჭრელებულ ფურცლებს მახვედრებდა. ეტყობა სხვებსაც აკითხებდა რეცენზიას, მოკლედ, იყო ბაგირის გადაქაჩვა ჩემსა და „იმ მხარეს“ შორის. მინდოდა რომანი გადამერჩინა და ზოგ დათმობაზე წავედი, მაგრამ ჩემს წერილში მთავარი ღირსება რომანისა შევინარჩუნე, უმნიშვნელო შენიშვნების დამატების ხარჯზე.

ბოლოს წერილი „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა. ეს იყო პირველი (დადებითი) რეცენზია „თვალი პატიოსანზე“ და გამომცემლებსაც ხელი გაეხსნათ.

მერეც, ახალ რომანს რომ გამოაქვეყნებდა, ჩემ მოვალეობად ვთვლიდი ხოლმე ქარის მხრიდან ამოვდგომოდი ნიჭიერ პროზაიკოსს, შევაფასე „აქტიური მზის წელიწადი“, „სპირალი“, „ეშმაკის ბორბალი“....

გურამ ფანჯიკიძეს განსაკუთრებით გამახვილებული აქვს თანამედროვეობის გრძნობა მოქალაქეობრივი გაბედულებით, შეუპოვრობით, სადღეისო პრობლემების დაყენებითა და თანამედროვის სულის ნიუანსებში ღრმად წვდომის უნარით იგი უაღრესად საინტერესო, ორიგინალური მწერალია.

სამოც-სამოცდაათიანი წლების ინტელექტუალები სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შვილები პირველად გურამ ფანჯიკიძემ შემოიყვანა ჩვენს პროზაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გურამ ფანჯიკიძის პუბლიცისტიკა, რასაც ჰქვია მებრძოლი პუბლიცისტიკა, სწორედ რომ გ. ფანჯიკიძეს პუბლიცისტურ წერილებზე ითქმის.

მორის ფოცხიშვილი

სიყმაწვილიდან დაავადდა იმ მძიმე სენით, რომლის წინაშეც, სამწუხაროდ მედიცინა დღესაც ვერაფერს ხდება.

მორისი არ იყო ის კაცი, რომ არ სცოდნოდა – სიკვდილის ურჩხულთან ლამის მთელი სიცოცხლის მანძილზე უთანასწორო ბრძოლა ერთ დღეს ტრაგიკულად რომ დასრულდებოდა.

და მაინც იშვიათია ქართულ პოეზიაში სიცოცხლეზე უფრო ძალუმად შეყვარებული პოეტი, რომლის მთელი შემოქმედებაც სიკვდილზე გამარჯვების, ადამიანის უძლეველობის, სულის უკვდავების ომახიანი ჰანგია თავიდან ბოლომდე.

ჭეშმარიტი პოეტის სულს ერთადერთი სენი სძლევს მხოლოდ. იგი მით უფრო ჩქარა ღრღნის შემოქმედის სხეულს, რაც უფრო ძლიერია სამშობლოს თავზე დაჯარულ ავ ღრუბელთა რიალი. ამ სენს სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

ნურავინ დაუწყებს სამედიცინო ანკეტებში მორის ფოცხიშვილის სიკვდილის მიზეზის ძებნას. მორის ფოცხიშვილს საქვეყნოს წყლული სჭირდა. მასაც იმ სევდამ დაჰრია ხელი, რამაც ილიას და აკაკის სიცოცხლე დაფერფლა და მამულის სამსხვერპლოზე მიიტანა.

მოქალაქეობრივი გმირობის, ვაჟკაცობის მაგალითი იყო მორის ფოცხიშვილის პოეზიაც და პირადი ცხოვრებაც.

ეს ფერგაცრეცილი კაცი ცეცხლს ანთებდა ტრიბუნიდან, მამულის სიყვარულის ალს უკიდებდა მსმენელს, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ათასებს.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ხმალი არ ჩაუგია. ქართული ლექსის მრავალნაცადი ოსტატი, ჭეშმარიტად ჩუქურთმისმჭრელი, მებრძოლი ლიტერატურის ერთი სარდალთაგანი გახლდათ.

ბოლოს, როცა ნემეზიდამ იძალა, თვალისჩინი აღარ ჰქონდა და მუხლიც აღარ უჭრიდა, დიდი ასოებით და ქურუმის გზნებით დაწერილ ლექსებს არ აკლებდა რედაქციებს. კვლავ ტრიბუნაზე იდგა „იგივ მხნე, იგივ მღერალი“...

მისი უკვდავი წინაპრის –აკაკის პრემიამ სასიკვდილო სარეცელზე მოუსწრო. დამსახურებული აღიარება და მისი თაყვანისმცემელი მკითხველის სითბო თან წარიტაცა საფლავში იმ ტკივილთან ერთად, სამშობლოს უბედურმა ბედმა რომ არაერთგზის მოჰგვარა.

ქართული პოეზიის ცის თავანზე მარადის იკიაფებს მორის ფოცხიშვილის მიერ დანთებული ლამპარი. ჩვენ კი – მის მეგობრებს დიდხანს არ მოგვასვენებს მორისის უსინათლო თვალზე დაკიდებული სიხარულისა და სიმწრის კურცხალი. პატიოსანი პოეტის ალალი ცრემლი.

ამ ბოლო დროს დაწერილ ყოველ მეორე ლექსში სიკვდილს ახსენებდა. შემოიჩვია, დაიამხანაგა სიკვდილი. აღარ ებრძოდა. თითქოსდა სიცოცხლემ დაღალაო, უკანასკნელად რომ ვნახე, საოცრად მშვიდი იყო. მოურჩენელ სენს როდი შეეშინებინა. შეგნებულ-გათავისებული ჰქონდა უახლოეს დღეებში მოსახდენი. ნახტომისთვის კი არ ემზადებოდა, წყნარად, უდრტვინველად საწოლის თავს ჩაბღაუჭებისა და ძრწოლის გარეშე გადადიოდა სიკვდილში.

გულგატეხილი ჩანდა. რაღაცით ჰგავდა თავის ქვეყანას, გაურკვევლობის ბურუსი სტანჯავდა. რაც არის ვხედავ, შენ ის მითხარი, რა ელის ჩვენს მამულს, ხვალ რა იქნებაო, წამდაუწუმ მეკითხებოდა.

სევდა, სევდა, შეჭირვებული ქვეყნის მდგომარეობით მოჰგვრილი ურვა ჩაჰყვა სამარეში.

ასე... ერთმანეთის მიყოლებით... რიყეზე ამოყრილი თევზებივით ვკვდებით, მსოფლიოვ!

დღეს თუ ასე ცივი და გულგრილი ხარ ქართველთა ბედის მიმართ, ხვალ, იქნებ, სანანებლად დაგრჩეს ეს გულგრილობა. მორისის წმინდა კვალზე მოსულნი ხვალ იტყვიან, რამ დააჩქარა მისი სიკვდილი.

აღარც კი ვიცით, ერის უბედურებით გასივებულ გულებს სამარეში როგორ დავატევთ.

ერთი გულგასენილი მამულიშვილიც ჩაბარდა ისტორიას.

სასიკვდილო სარეცელზე გმირად წარმოჩნდა მორის ფოცხიშვილი ჩემ თვალწინ.

გმირებიც კვდებიან.

მურმან ლებანიძე

ჩაიფრინ-ჩაიქროლა, ჩაიხრიგინა, ჩაიგრიალა შენმა სამოცდაათმა საყვარელო მურმან.

შენ თვითონ გაიტანე ლელო – პოეზიაში ცალუღელამ, მარტომსრბოლმა, ეულ-მოლაშქრემ.

რა იყო შენი ცხოვრება! თავგანწირული კვეთება, ხმალშემართული ომი წითელ ურჩხულთან. განთიადამდე ჭიდილი სიტყვასთან, დილით მთავლიტთან მკლავჭიდი და შუადღისას სტამბის მტვერში დგომა. ლამაზად რომ მიგერთმია მკითხველისათვის შენი ჯავარიანი სიტყვა.

მერე, საღამოისხანს გულამოსკვნით დაჩივლება – „არაფერი ჩემი ხელით მანდ არ კეთდებაო“ და სულის მოსათქმელად, ხან ხუდადოვის

ტყეში „ზამთრის ძილი“, ხან რაჭის „გატყეევებულ სოფელში“ მოლაპარაკე ბუხართან ჯდომა, ფანდურის ჩხაკუნი და ჭრილობების მოშუშება.

შენ იმ თითო-ოროლა სიტყვაგზიანთა მეწინავე ფრთას ამშვენებ, რუსმა თავის კაცად რომ ვერ გაგზარდა. ბევრი გსდია, ვერ დაგენია შავბედი განიერი, ღონიერი ნაბიჯებით მოსიარულე არწივისცხვირა ფალავანს – საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიის სინდისს, ლექსის ჭეშმარიტ ოსტატს. „რა ჰქვიან, პატარა წიგნუკა გამოვეცი. ორიოდე რა ჰქვიან, გროში გამიჩნდა და თითო ჭიქით გზა დავულოცოთ. რაღაცრაღაცები გავაპარე, ჩვენი კაცები დავპატიჟე. ისა, ისა და ისა, ხომ არავინ გამომრჩა?“„ისა“ – შეგეკითხება ხოლმე.

„აღარ მიყვარს, რაც იქ გამოვიდა და ისა თქვა. რა ვქნა, აღარ მიყვარს და, იმასთან ჯდომა, რა ჰქვიან, აღარ გამეხარდება“.

ასეთი ხარ შენ; ყურადღებიანი და მომფერებელი, თანაც მკაცრი და უკომპრომისო.

შენ არავინ არა გგავს. შენეულია ყველაფერი – ეგ ბუხუნა ხმაც, ხელგაშლით შეგებება-გადახვევაც, უსიამოვნო კამათის დროს უეცრად დოინჯის გაკეთება და ხანდახან კალმახივით გასხლტომაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის მთვარე რომ დაადგა, როგორ გავიხარეთ, ურდოში წავედით და ერთად ვყეფდით რუსთა წინაშე; საქართველოს ავი თვალით ნუ უცქერით, ბოლოს და ბოლოს ჩვენი სამშობლო ღირსია იმისა, რომ თვისუფალი იყოსო. მერე ეროვნულმა მთავრობამ განზე რომ გაუხვია და ანდაზის საქებარი ძაღლივით ნიახური წაბილწა, მოვიწყინეთ და იმედის ხავსს ჩავებღაუჭეთ.

ბოლოს და ბოლოს რა გინდა შენ, სიტყვის ერის მსახურს – მურმან ლებანიძეს; ერთიანი, მთლიანი საქართველო, გამრავლებული და აღორძინებული საქართველო – სხვა არაფერი, ამიტომაც ერთგულ დარაჯად დადგომიხარ შენს მამულს. თოფით ხელში უვლი შენი ქვეყნის წყალ-ჭალას, რათა საქართველოსკენ თვალგაშტერებულ მეკობრეთ შეუძახო და საქართველოს ცაზე მორიალე ყვავ-ყორნებს აუქშიო.

შენ ყველა სასიკეთოდ მოსულ მთავრობას უთანაგრძნობ და არც ერთ მთავრობას ნავში არ ჩაჯდომიხარ. კარგად იცი, ყველა ხელისუფლება თავის ცოდვა-მადლით წარმავალია – საქართველოა მუდმივი.

შენ ის ფილტვჩაკირული და გაუტეხელი „მურმანიკა“ ხარ, ყალბად გულის გაკეთება რომ არ სჭირდება, მე რომ არ გითხრა, მშვენივრად ხვდები, რომ სამოცდაათის მერე წუთისოფლის ერთი გრძელი პაუზა და უჯრების მილაგ-მოლაგების დროც მალე დგება.

ნუთუ ასი წლის მერე ერთად წასულნი საფლავში წავიღებთ ჩვენს მოურჩენელ ტკივილს და სევდას – „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო!“

ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალე თვალით გადმოგვხედავს, ზეცად მიჰგვრიან შენს ლოცვას და შენს ცრემლ-ურვიან ლექსებს – „წითელფეხება მტრედები.“

გრიგოლ აბაშიძე

გრიგოლ აბაშიძეც მინახავს წონასწორობადაკარგული და ეს, მგონი ერთხელ იყო. 1978 წლის 12 აპრილს, მწერალთა კავშირში, კინაღამ უარი თქვა ოფიციოზის მიერ ბოძებულ ხალათზე; თუ საქართველოში ქართული სახელმწიფო ენა არ იქნა, ჩემ არსებობას აზრი არ ექნება და დაუმორჩილებლობას გამოვაცხადებო.

გრიგოლ აბაშიძესთან დიახაც რომ მართლდება ის მოარული აზრი რომ მწერლის შემოქმედება ძალიან ჰგავს მწერლის პიროვნებას.

თითქმის ყველა ჟანრში სცადა კალამი, ჟანრები ჩინური კედლით არ გაუყვია. ამ მხრივ იგი ქართულ მწერლობაში ორიგინალურადაც გამოიყურება.

მახსენდება ბავშვობაში გაზეპირებული მისი ლექსები „მამლუკების გახსენება“, „ტაო“, „ჯაჭვგაუხდელი“.

მაღალი პატრიოტიზმის შუქი ადგას ჩემს თვალში ახლაც ამ მართალ ლექსებს.

გრიგოლ აბაშიძემ სამი ისტორიული რომანი დაწერა: „ლაშარელა“, „დიდი ღამე“, და „ცოტნე“ ანუ „ქართველთა დაცემა და ამაღლება“.

ამ რომანებით მწერალმა ისტორიული რომანის თავისებური კონცეფცია შექმნა და დაამკვიდრა.

სიკეთის ჰქმნა გრიგოლ აბაშიძეს ძარღვებში აქვს გამჯდარი და არაერთ ჩემს კოლეგას თავის თავზე გამოუცდია ეს სიკეთე.

მაგონდება მწერალთა კავშირში ჩემი მიღების ბატალიები.

კრიტიკის სექციის ბიურომ მიყარა კენჭი.

ბიუროს წევრად ხუთი კაცი იყო: ბესო ჟღენტი, გიორგი ნატროშვილი, გურამ ასათიანი, გურამ გვერდწითელი და ოტია პაჭკორია.

იქნებ ახლაც არა ვარ მწერალთა კავშირის წევრობის ღირსი, მაგრამ მაშინ მეჩვენებოდა, რომ უსათუოდ მიმიღებდნენ.

ხუთი წიგნის ავტორი გახლდით და ცოტა არ იყოს, მოუსყიდველი, თამამი კრიტიკოსის სახელიც მქონდა დაგდებული.

კენჭისყრის შემდეგ გაირკვა, რომ სამი შავი მიმეღო და ორი თეთრი.

მოკლედ, გამაშავეს.

იმ ხუთიდან ოთხმა ფიცი-მტკიცით მარწმუნა, მე დადებითი ხმა მოგეციო.

შევჩივლე გრიგოლ აბაშიძეს (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო); ასე და ასე წავიდა ჩემი საქმე, რას მერჩოდნენ-მეთქი.

დაუძახა ბატონ ბესოს.

ეს რა გიქნიათო.

მე თვითონაც გაოცებული ვარო, ბატონმა ბესომ.

შენ მიგაჩნია თუ არა, რომ მიშველაძეს ეკუთვნის მწერალთა კავშირის წევრობაო.

რა თქმა უნდაო, ბესომ და არა მარტო მე, ვისაც ველაპარაკე, ბიუროს წევრებიდან ყველა შეწუხებულია, ეს რა მოგვივიდაო.

აბა, რაკი ეგრეა, თავიდან შეიკრიბეთ და გამონაკლისის სახით ღიად უყარეთ კენჭიო, ვისაც ვაჟკაცობა ჰყოფნის, ღიად უთხრას უარიო.

მესამე დღეს ხუთივემ ერთხმად ასწიეს ხელი ჩემ მიღებაზე.

მე ვერ გეტყვით, რამდენად დემოკრატიული იყო გრიგოლ აბაშიძის ჩარევა ჩემ მიღებაში, მაგრამ მისი სიკეთის და მართალი კაცობის საბუთად ჩემთვის ეს ნაბიჯი მთელი ცხოვრების მანძილზე საკმარისი გახლავთ.

მინაწერი: დღეს 30 აგვისტოა. ტარიელ ჭანტურიამ დამირეკა, გრიგოლ აბაშიძე აღარ არისო, თავზარი დამეცა, უბრწყინვალესი ლექსი „არყოფნისაკენ“ აანთო ბატონმა გრიგოლმა და სანთლად გაიმძღვარა. სამწუხაროდ, მან ჩვენ, მისი მეგობრები, აქეთ, სამ საუკუნეში რუსეთის მიერ მეორედ დაპყრობილ საქართველოში დაგვტოვა და სხვა მამულიშვილთა მსგავსად საფლავში ჩაიყოლა დამონებული სამშობლოს სევდა.

ვახტანგ ჯავახაძე

ქართულ მწერლობაში რამდენიმე თაობა ჩანს გამოკვეთილად: გასულ საუკუნეში გრიგოლ ორბელიანის და ილია ჭავჭავაძის თაობა, მეოცე საუკუნეში გალაკტიონის თაობა, ოცდაათიანი წლების (ანუ ლადო ასათიანის თაობა), ორმოცდაათიანი წლების (მურმან ლებანიძის თაობა) და სამოციანი წლების თაობა, ამ უკანასკნელის ლიტერატურულ თვითმდამკვიდრებასა და გამარჯვებაში განსაკუთრებულია ვახტანგ ჯავახაძის წვლილი.

თუ ღმერთმა დამაცალა, უნდა დავწერო წიგნი იმ ესთეტიკურ სიახლეებსა და სულიერ აღმოჩენებზე, რაც ამ საუკუნის სამოციანელთა უშუალო დამსახურებაა.

სამოციანელები ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით სამოცდებიან. ბერდებიან, ისე ლაზათიან-პენიანად, როგორც მოვიდნენ ამ ორმოცი წლის წინათ.

ქალაქში, ელექტრონისა და ლამპის შუქზე, კაცს ასაკი არ ეტყობა. ქალაქგარეთ რომ გავალთ, მზის ქვეშ რომ დავდგებით და ეთმანეთის ნაოჭ-ჭაღარას თვალს რომ შევავლებთ ხოლმე, მაშინ დარეკავს სულში – რა დრო გასულაო.

არა და ვახტანგი და ძმანი მისნი ჯერ ისევ გაზაფხულობენ, მათს სულში ჯერ არ დაუთოვია. ძველებურად იქნევენ ხმალს, ძველებურად ებრძვიან იმპერიის ურჩხულს, საუკუნის კვეთებაში, გამობრძმედილ-გამოჯეგილი, ჩემი ჯინსიან-კურტკიანი „ბიჭები“.

რა ვაჟკაცურად იცხოვრა ვახტანგ ჯავახაძემ, რა რუდუნებით აწრთო და ალამაზა ქართული სიტყვა, რამდენი ლექს-ყუმბარა აუფეთქა ეროვნული სულის დამთრგუნველ მანქანას, რა ოსტატურად გამოგლიჯა მთავლიტს, როგორც რედაქტორ-გამომცემელმა, ჩვენი და თავისი წიგნები.

ფაქიზად მოვლილ-ჩაკიწკიწებულია ვახტანგ ჯავახაძის პოეტური ბოსტანი. ვერ უპოვით გაურანდავ სტრიქონს, მოუზომავ სიტყვას, შეხედულებათა მედროვულ ცვალებადობას.

გამორჩეულია მისი ლექსი ინტონაციით, სინტაქსით, მეტრით, სტრიქონთა ვახტანგისეული კომპოზიციითაც, სიტყვის გემო და სუნი იცის, პოეტი-იუველირია. ერთხელ წავიკითხე და დამამახსოვრდა.

„ფრთხილად, – ვურჩევ გაგაუზებს, – მიჰყეთ დროის კარუსელს, თუკი რუსი გაგარუსებს, ვინ გადმოგაგაუზებს“.

თაობის წიგნია ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“. თაობის იმიტომ, რომ იგი სწორედ ვახტანგ ჯავახაძის თაობას უნდა დაეწერა – გალაკტიონის პოეზიის არაერთი ასპექტის პირველაღმომჩენსა და „ლურჯა ცხენების“ ავტორის ჭეშმარიტ დამფასებელს. გალაკტიონოლოგიაში „უცნობზე“ უკეთესი წიგნი ჯერ არ დაწერილა, იგი ოდენ საუკუნის პოეზიის მეტრის სულიერ ლაბირინთებში სუფთა სინდისით მოსიარულე კაცის დაკვირვებანი როდია, მხატვრული ძეგლიც გახლავთ. ფსიქოლოგიური რომანი განუზომელი სიყვარულით და კდემით დაწერილი.

მით უფრო მიხარია და მეამაყება, რომ ვახტანგ ჯავახაძემ, თვით ბრწყინვალე ლირიკოსმა, გალაკტიონის ცხოვრების ცხელ კვალზე გაიარა, გულის სისხლი გაიღო და მშვენიერი ძეგლი აუგო პოეზიის წვეროსან ლომს.

ღმერთმა ქნას, შენს უმრწემეს პოეტ ძმებშიც გამოჩენილიყოს შენი ცხოვრებისა და შემოქმედების ისეთივე მოყურიადე, როგორიც შენ აღმოუჩნდი გალაკტიონს, ჩემო ვახტანგ.

შენ ამის ღირსი ხარ.

ირაკლი აბაშიძე

იგი ხან უჯარო გენერალს მაგონებს, ხან ღრმადვეტერან სპორტსმენს, რომელმაც მსაჯობას კი არა მწვრთნელობასაც კარგა ხანია გაანება თავი.

ოთხმოცი წლისთავი უგემურად, თითქოსდა ნაძალადევად, მოვალეობის მოხდის მიზნით მიულოცეს გაზეთებმა.

არადა სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ, ირაკლი აბაშიძე ქუხდა. ქუხდა მთელი სამოცი წლის მანძილზე. ჟურნალები ღვთის წყალობად თვლიდნენ ახალი ნომრის მისი ლექსით გახსნას. საითაც პირს იზამდა, ვაშა-ურათი ეგებებოდნენ, ერისკაცს და ერის ჭირისუფალს ეძახდნენ, როგორც თვითონ ამბობს „ყველა ზვირთში ერია“.

ეროვნული მოძრაობის მკაცრმა დრომ, პირველს, რატომღაც ირაკლი აბაშიძეს შეხედა ეჭვის თვალით.

გამოუძებნეს ოდესღაც ქოხ-სამკითხველოთა მუშაკების შეკრებაზე იაკობ გოგებაშვილის მიმართ ნათქვამი არცთუ ტაქტიანი სიტყვა, ობლიგაციაზე დაწერილი ლექსი, თავის დროზე ტიციანის და პაოლოსათვის თავის დიდად არ გამოდება და ლადო ასათიანის მიმართ „უყურადღებობა“.

მიტინგებზე ააფრიალეს მისი წიგნები, წაღმა-უკუღმა ახსენებდნენ მის სახელს „მწერალი-ფუნქციონერიო“, „მწერალი-ბობოლაო“...

ერთი ორი პოეტის ლექსის შორეული ადრესატი და განმაქიქებელი ქვეტექსტის საგანიც გახდა.

შევძრწუნდი, როცა ერთმა სტუდენტმა კომუნისტური რეჟიმის დამქაშად მოიხსენია და მისი წიგნების დაწვა მოითხოვა.

არა ვართ მართალი, მეგობრებო.

ირაკლი აბაშიძის ნათელი ნიჭი და მკვირცხლი გონება ოდენ იმპერიის სამსახურში არ დახარჯულა, ქართული ლექსის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში, ქართული სიტყვის გაბრწყინებაში ირაკლი აბაშიძის წვლილს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ობიექტური მემატიანე გვერდს ვერ აუვლის.

თავისი დროის შვილი იყო, ატივტივა ულმობელმა დრომ, მაგრამ ერის სამსახურის სურვილი ვერ წაშალა მისი სულიდან.

ბევრი ეროვნული საქმე გააკეთა: გამომცემლობები დააარსა, მწერალთა სახლ-მუზეუმები შექმნა, მოსკოვში რუსთაველის ძეგლი დაგვადგმევინა და რუსთაველის 800 წლისთავი მსოფლიოს აზეიმა (ამ მასშტაბის იუბილე არც მანამდე და არც შემდეგ საქართველოში არ გამართულა), ქართული ეროვნული ენციკლოპედია გამოსცა.

ერთი საზოგადო მოღვაწისთვის ზემოთ ჩამოთვლილი საკმარისი არ არის? საკმარისია.

დაუმატეთ ამას მთავარი – ირაკლი აბაშიძის პოეზია, დრო გაცხრილავს მის წიგნებს. განზე გადაყრის კონიუნქტურას, მაგრამ, თუნდაც ყველაზე მკაცრი გაცხრილვისას, ძვრას ვერ უზამს „პალესტინა, პალესტინას“, პაოლო იაშვილზე დაწერილ ლექსს, „სამ ციხეს“, კაპიტან ბუხაიძეს“.

შოთა რუსთაველის ხმა პალესტინის ჯვრის მონასტერში საოცარი მაგიური ძალით მიწვდა ირაკლი აბაშიძის პოეტურ გუმანს და ბრწყინვალე ლექსებად ჩამოიღვარა. გაიხსენეთ „ო, ენავ ჩემო“, „ხმა კატამონთან“...

დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ მე უსიამოვნოდ გამაჟრჟოლებს ხოლმე ტანში, როცა გამხნევება-მოფერების ნაცვლად ყმაწვილები გაკენწვლის ობიექტად ვაქცევთ ხოლმე „პალესტინა, პალესტინას“ ავტორს,

უმადური ეპოქის სახელი ნუ დაერქმევა ჩვენს ყოველდღიურობას.

გაივლის დრო და წინააღმდეგ არაერთი „კეთილისმყოფელის“ სურვილისა, ირაკლი აბაშიძის წიგნს ქართველი მოძებნის და ახლო თაროზე დადებს საჭირო წიგნების გვერდით.

გული მწყდება, რომ ახლა მხოლოდ მის ერთგულ მკითხველებს ათეული წლების განმავლობაში შემოყოლილი ახსოვთ (ისინი კი ცოტანი დარჩნენ) ირაკლი აბაშიძის ლოცვასავით სიტყვები:

სიჭაბუკე ჰქვია წამს...
როცა ციდან გესმის მღერა,
როცა ყველაფერი გწამს,
როცა ყველაფერი გჯერა.

არ არის ირაკლი აბაშიძე კრიალოსნის ბერიკაცი.

წყნარი და მშვიდი ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია და სიმართლე გითხრათ, მიკვირს ახლა მისი სიჩუმე. იქნებ იმიტომ მიჯდა ჩრდილში, რომ აღარაფერს ეკითხებიან, არა და რამდენიმე ისეთმა კაცმა დაიკავა ტელევიზორ-პრესაში მისი ადგილი და ახალ ვითარებასაც მოერგო, ორ ბატს რომ ვერ ჩააბარებ.

მაინც რატომ უნდა მომხდარიყო, რომ ასეთი წინდახედული კაცის შემკულ-მოჩითული ნავი ისე ერთბაშად გარჩენილიყო მეჩეჩზე?

მოტყუებული კაციაო ვერავინ იტყვის მასზე. მართალია, თავიდან ბრმად სჯეროდა რაღაც რაღაცების, მაგრამ არსთაგამრიგემ არ გასწირა, დრო მისცა დაფიქრებისა და საკუთარი შეხედულებების გადასასინჯად.

ეს არ დასცალდათ არც ლეონიძეს, არც ჩიქოვანს, არც გალაკტიონს....

თუმცა გალაკტიონი ცალკე უნდა გამოვყოთ, გალაკტიონი დროს ბრმად არასოდეს მინდობია. ირონიის და თავისთავში ჩაბრუნების არიალი ერტყა ირგვლივ და სუფთად გამოვიდა ეპოქის ორომტრიალიდან.

გალაკტიონი მაინც იგალაკტიონებს დრო როგორადაც უნდა შეიცვალოს.

ირაკლი აბაშიძემ კი ეროვნული თესლის გაღვიძების ფაჩუნი სხვებზე ადრე იგრძნო, კოლხმშენზე ლექსები მოისროლა და „რუსთაველის ნაკვალევზე“, „პალესტინა, პალესტინა“ დაწერა. დიახაც, ფილოსოფიური პოეზიაა მისი უკანასკნელი წლების პოეზია.

არ უკვირს ირაკლი აბაშიძეს თავისი დღევანდელი ყოფა.

იგი ისედაც დიდხანს იყო მკითხველის ფავორიტი.

საერთოდ ლიტერატურის ცა ვარსკვლავს დიდხანს ვერ ჰგუობს.

მეტეორივით გაქროლება და წასვლა უფრო შთამბეჭდავია.

ყველა დიდი პოეტი (გოეთეს გარდა) სიცოცხლეში ბრწყინავდა. უკეთეს შემთხვევაში, დიდი-დიდი თხუთმეტი-ოცი წლის გამავლობაში. მერე ან ფიზიკურად აღარ იყო, ან თუ იყო, თვალში არავის ეჩხირებოდა. თავჩაჩიანი, კლასიკოსის ხალათით იჯდა თავის მღვიმეში და სიკვდილს ელოდა.

ირაკლი აბაშიძის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დახვეწას თვითონაც შეუწყო ხელი თავისი ცაიტნოტური სიცოცხლით (ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა).

ილიაც კი მოსწყინდა ბოლო წლებში საქართველოს ერთ ნაწილს. ბოლოს თავის სიბერესთან მარტოდმარტო დარჩენილს, ზოგი გულუბრყვილო უმრწემესი წამოსძახებდა ხოლმე: „რატომ ტიციანთან და ჯავახიშვილთან არ წევხარ საძმო საფლავშიო“.

უსამართლობაა, გადარჩენა დააყვედრო კაცს.

ანგელოზობას ნურვის მოვთხოვთ. ანგელოზები მარტო ცაში არიან, მაგრამ ის კი მოვთხოვოთ ერთმანეთს: ერის ხმის გაგების უნარი შეგვწევდეს და აქამდე მოსასვლელ ბილიკებს მოძმეთა მხრებზე გადაბიჯების დამღა არ აჩნდეს.

1991 წლის ჩვიდმეტ ნოემბერს ტელეფონით შემეხმიანა.

– ბიჭო, დღეს გალაკტიონი ასი წლის გახდა. ჭყვიშში მინდოდა წასვლა, მაგრამ ბენზინი ვერ ვიშოვე. ჩამოურეკე ჩვენებს და ძეგლთან შევგროვდით ორ საათზე.

ორს თხუთმეტი აკლდა, რომ მივედი. მარტო იყო, ქუჩასთან ზურგშექცევით იდგა. გალაკტიონს აჰყურებდა.

– რა კაი კაცი ხართ ბატონო ირაკლი, სირცხვილს გადაგვარჩინეთ-მეთქი.

– ისე, ჩვენ შორის დარჩეს და გაზეთები გადავათვალიერე, მაგრამ ბაიბურში არაა არც ერთი. მთავრობას ვერ გაამტყუნებ, გალაკტიონისთვის არ სცხელა. მწერალთა კავშირს მაინც ეთქვა რამე. არსებობს ისევ მწერალთა კავშირი?

თქვენ არ იყავით ის კაცი, დაუფიქრებლად რომ რამე წამოგცდენოდათ. მე თითქმის არ შემხვედრია თქვენსავით მოზომილი სიტყვა-ქმედების, თქვენებრ გაწონასწორებული კაცი. ახლა ჭკუის საკითხავად ვინ ვისთან დადის, მაგრამ ვისაც ფეხის წატეხვა ცოტა მაინც აფიქრებდა, რჩევის მიღება თქვენგან უნდა დაეწყო.

იმ დღეს გალაკტიონის მიტინგს უწინამძღვრეთ. ეს იყო ბოლო გამოსვლა მიტინგზე. ოციოდე დღის შემდეგ უნივერსიტეტში გალაკტიონის ასი წლის იუბილე დაამშვენეთ. ეს იყო თქვენი ბოლო საჯარო გამოსვლა.

გული არაფერზე დაგწყდეთ. თქვენ მძინარე საქართველოსაც დიდხანს ეჯექით სასთუმალთან და ერთგულად გუშაგობდით, თქვენ გაღვიძებულ საქართველოსაც მოესწარით, დიქტატურით შეცბუნებული საქართველოც იხილეთ და დიქტატურაზე გამარჯვებული საქართველოც.

იძინეთ მშვიდად, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ თქვენთვის წუთისოფლის რიარია დასრულდა.

კლავდია დევდარიანი

ქალბატონი კლავდია ჩვენი სამწერლო ოჯახის ფრიად პატივცემული, ღვაწლმოსილი წევრია.

დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდობას თავისი საყმაწვილო მოთხრობებით და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შექმნაზე ზრუნვით.

ოთარ დემეტრაშვილი

ოთარ დემეტრაშვილის ქალაქური მოთხრობები მახსოვს.

ომის პერიოდის თბილისის მხატვარი ქართულ პროზაში ბევრი როდი გვყავს. საერთოდ, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ჩვენი დედაქალაქი – თბილისი ქართულ მწერლობაში დღემდე სათანადოდ ვერ დაიხატა. ვერ მიაგნო ჯერჯერობით მწერალმა თბილისის ხასიათს, თბილისურ კოლორიტს.

არჩილ სულაკაური, ოთარ დემეტრაშვილი, ზურაბ რცხილაძე, ამ ბოლო დროს გია ლომიძე... კიდევ ვისი თბილისური მოთხრობები წამიკითხავს?

გამიტაცა ოთარ დემეტრაშვილის „წერომ“. თვალზე ცრემლი მომგვარა თეასა და გუგულის უიღბლო სიყვარულმა (სათაური აღარ მახსოვს).

სოლომონ დემურხანაშვილი

ამას წინათ „ცისკარში“ (№ 11, 1991) სოლომონ დემურხანაშვილის ორი პატარა მოთხრობა წავიკითხე – „სააჯო კარი“ და „დედინაცვალი“. პირველი უახლოესი წარსულის ამბავს – ადამიანის დაბეჩავებულ ყოფას ეხება, მეორე დედა-ფუტკრისა და ფუტკარ-დედინაცვლის იდეას ადამიანებზე აზოგადებს. უზუსტესი დეტალებით, ლაკონიურობით, სახეობრიობით, მიკიბვ-მოკიბვით კი არა, სათქმელის კონკრეტულობით მიიქცია ამ მოთხრობებმა ჩემი ყურადღება.

რამდენი მწერლის სქელტანიანი რომანი ვიცი, თავიდან ბოლომდე რომ წამიკითხავს და რომ ეკითხა ვინმეს, რაზეა დაწერილი მომიყევი თუ ძმა ხარო, გავწითლდებოდი.

ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები თავს უსათუოდ უნდა გამახსოვრებდეს. სუმბურული აზროვნებით შექმნილი ბაბუაწვერას „ფრთებივით“ გაქრება მეხსიერებიდან.

სოლომონ დემურხანაშვილი ოსტატია.

ელენე დიდიმამიშვილი

ქალბატონ ელენეს ქართულ პოეზიაში თავისი მოკრძალებული სათქმელი და თავისივე განუმეორებელი ინტონაცია აქვს.

„ვარძიის გაზაფხული“, მე მგონი, მისი უკეთესი წიგნია.

ვასილ ბაიაძე

ათეული წლების განმავლობაში „სახალხო განათლებაში“ მუშაობდა კრიტიკოსი ვასო ბაიაძე.

„სახალხო განათლება“ ყოველთვის ინტელიგენციის გაზეთი იყო.

ოფიციალურ პარტიულ პრესას ლიტერატურისთვის დიდად არ ეცალა; ლექსს თუ დაბეჭდავდა, აუცილებლად რაღაც თარიღთან (ან მოვლენასთან) დაკავშირებულს, მოთხრობას იშვიათზე იშვიათად და მხოლოდ პარტიის მიზანდასახულებათა მხარდამჭერს. რაც შეეხება წიგნების რეცენზირებას, ცა უნდა გახსნილიყო, რომ „კომუნისტს“ მწერლის ახალ წიგნზე რეცენზია დაებეჭდა.

„სახალხო განათლება“ უყურადღებოდ არ ტოვებდა ჩვენს ახალ წიგნებს და ამ „საქმეში“ მთავარი „ბრალი“ ვასო ბაიაძეს მიუძღოდა.

გაზეთში ჩვენი კაცი იჯდა, მწერალი. „სახალხო“ ჩვენი საიმედო ნავსაყუდელი იყო.

ვასო ბაიაძის ნაწერებში მწერლის მიმართ თბილი, ალერსიანი თვალი ჩანს და, რაც მთავარია, სიყვარული იგრძნობა.

ბათუ დანელია

სულ ახლახან გამოჩნდა და უკვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება.

ხალასი პოეტია.

ამას წინათ მშვენიერი, უაღრესად მრისხანე ლექსი „მიუძღვნა“ მიხეილ გორბაჩოვს.

რევაზ დანელია

შთამბეჭდავ, მინიატურულ, ლირიკულ-ელეგიურ ლექსებს წერს. ხანდახან მეჩვენება, რომ მარტოა თავის სევდასთან და გამოღმა ყაყანორომტრიალში არც მონაწილეობს.

ლიტერატურულ წერილებშიც მახვილი თვალი ეტყობა.

სულხან აბდალაძე

ნელა მოსიარულე, მშვიდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

გვერდზე არ ჩაგირბენდა და სალამს ქამანდივით არ გესროდა ზოგიერთივით;

რომ დაგინახავდა, ხელებს გაშლიდა და ასე ხელგაშლილი წამოვიდოდა შენკენ.

უნდა გენახათ, რა სხივი, რა სიხარული ედგა თვალებში.

გადაგეხვეოდა, გულში ჩაგიკრავდა, მოგაკითხავდა, მოგეფერებოდა, გაგამხნევებდა (ერთ-ორ ფრაზას გეტყოდა ბოლოს დაბეჭდილიდან), „კარგად მიყვები, ნუ გეშინია ნურაფრისო“, და ისევ ისე სიყვარულით, ღიმილით ნელა გაგშორდებოდა.

თუ მოასწრებდი და კითხავდი, „როგორაა, ჩემო სულხან, შენი საქმეებიო“, „ახლა არა უშავს, ქეა გვარიანად, უპატრონო კაცის პირობაზეო“, შემცბარ, სევდიან ღიმილს შეგაგებებდა.

წუწუნს, დაჩივლებას არასოდეს.

დამაწერია რამე და დაბეჭდვას ყოველთვის მოვასწრებო, იცოდა თქმა.

თავიდან ფეხებამდე პოეტი იყო.

კაცთმოყვარე, არაპრაქტიკული, მიმნდობი, უღალატო.

საკუთარ წიგნს ისე ამოიღებდა და გაჩუქებდა, თითქოს რაღაც დანაშაული ჩაედინოს, გაკეცილს, ქაღალდში გახვეულს მორცხვად ჩაგიდებდა ჯიბეში; „სად გცალია ამისთვის, მარა მინდა იყოს შენთან მაინცო“.

რას ჰქვია, სად მცალია, აბა, რისთვის მცალია, დიდი მადლობა ჩემო სულხან, დღესვე ჩავუჯდები-მეთქი რომ ვეტყოდი, თვალები მოუწყლიანდებოდა.

„ვცოდვილობთ ჩვენც რაღაცას, არ დაგვიტოვა გალაკტიონმა უთქმელი არაფერიო“.

ქუთაისიდან თბილისში გადმოსახლდა, საზოგადოება „ცოდნაში“ დაიწყო მუშაობა.

„რა მექნა ჩემო რეზო, დავადექი შენს კვალს, არ გამოვიდა ქუთაისში არაფერი, წიგნს აქ თუ არ უპატრონე, ისე არავინ გამოსცემს. მე კი არა, აკაკის არ უბეჭდავდნენ გამოგზავნილსო.

იწვალა, იჯახირა, ხან ბინა, ხან სამსახური, ხან...

თავი მუდამ ღირსეულად ეჭირა, გასაჭირს არ მოგახვევდა, შენ თუ არ მიუხვდებოდი, თხოვნითაც არ შეგაწუხებდა.

ერთხელ წიგნი მაჩუქა: „სულხან აბდულანი“ ეწერა ავტორად, რატომ ჰქენი ეს-მეთქი, „აბდალს მინდოდა გავქცეოდიო, გაიცინა: „ვინც მე მაგი მირჩია, იმას დაექცა ოჯახიო“.

ბოლო დროს გულმა შემოუტია.

გაცრეცილი, შეწუხებული შემხვდა. ძალით ამუშავებული ნაინფარქტალი გულით დავდივარ, ვინ გეიგონა პოეტი და გარემონტებული გულიო, პოეტმა თუ გულს უწრუწუნე და შიშის ფეთებაში იცხოვრე, რა პოეტი ხარ მაშინო.

კაი თუ ძმა ხარ, ნაინფარქტალი გულით ას წელიწადს ცოცხლობენ-მეთქი. ეგ არაფერი, გადაიღალე ალბათ, ნაავადმყოფარს სულ არ გავხარ-მეთქი, გავამხნევე.

თვალი ჩამიკრა და რაღაცნაირი, სევდიანი ღიმილი დამიტოვა.

ამ შემთხვევიდან ორი თვეც არ იყო გასული, თავი მოიკლა.

რას გაექცა? მოახლოებულ სიბერეს?

სიძაბუნის შიშს? თუ სხვა რამეს?

„ცოდნის“ დარბაზში შემოქმედებითი საღამო გავუმართეთ.

მგონი პირველი შემოქმედებითი საღამო.

სიცოცხლეში ვერ ვაღირსეთ, სიკვდილის შემდეგ გადავუხადეთ.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვედით: ზურაბ კუხიანიძე, ტაგუ მებურიშვილი, თეიმურაზ აბულაძე და მე...

ზურაბმა მშვენიერი ლექსი წაუკითხა. მიძღვნილი სიყმაწვილის დღეებისადმი, ზურაბ კუხიანიძე და სულხანი თანაშეზრდილი მეგობრები იყვნენ.

„ყველამ რაღაც დავაკელით, ჩვენი საქმეებით გართულებს რაღაც გამოგვრჩა, რაღაც გამოგვეპარა, გვაპატიე ჩემო სულხან-მეთქი“, მახსოვს ასე დავამთავრე ჩემი სიტყვა.

მარი აბრამიშვილი

ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული მოწიწება მაქვს მის მიმართ. ეს თაყვანისცემა, მე მგონი, მისი ბიოგრაფიიდან წამოვიდა:

ერთხელ დამმალეს, გადამკარგეს დასაკარგავში,
მაგრამ დავბრუნდი და ეს წყლული ჩამოვიტანე.

მერე მისი მართალი ლექსებიდან.

განსაკუთრებული შეხვედრა-საუბრები და აზრთა გაცვლა-გამოცვლები თითქმის არ გვქონია.

მეჩვენებოდა, რომ მის შემდეგ მოსული, ვერც გვამჩნევდა მწერალთა კავშირში.

ჩვენც არ ვეძალებოდით.

მას თავისი წრე ჰყავს, თავისი მეგობრებითაა გარშემორტყმული, თავისებური არაკომუნიკაბელური ქალია-მეთქი.

სხვა სხივი – შარავანდედი ახლავს მის გამოჩენას. საქართველოს თავისუფლებისათვის ნატანჯი, რეპრესირებული პოეტია.

1989 წლის საბედისწერო ცხრა აპრილს, როცა 12 საათზე მწერალთა კავშირში შევიკრიბეთ, მახსოვს მისი შეშლილი სახე – მუხრანს მივარდა და ყველას გასაგონად უთხრა – მწერალთა კავშირის მანდატები უნდა დავდოთ, დაუმორჩილებლობა უნდა გამოვაცხადოთო.

მახსოვს მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ლექსის სტრიქონები:

მეგონა ბედმა გაწირა:
არ განწირულა, ღვთის მადლით,
მეგონა დაწყდნენ, დაზრდილან
ალგეთს ლეკვები მგლისანი.

ანზორ აბულაშვილი

ანზორი ჭარმაგი „ახალსამოციანელია“, თავისი მრწამსით, მსოფლმხეველობით, პოეზიით.

თუ შეიძლება ლიტერატურაზე თქვა –„ფეხადგმული პატიოსნებაა“ მის თაობაში ერთ-ორ კაცზე და, პირველ ყოვლისა, ანზორ აბულაშვილზე ითქმის:

მისი ერთი მრუდე სიტყვა არ მახსოვს, ერთი წაჯექ-უკუჯექობა, ავყიად ნათქვამი:

ალბათ სანანებლად არაფერი გაჰყვებოდა სიცოცხლის ბოლომდე. იმ ადამიანების კატეგორიას ეკუთვნის, თავიანთ ცხოვრებაში ერთხელაც რომ არ მოუწევთ თქმა: – ეს რა მომივიდა, ეს რამ მათქმევინაო.

ალალი კაცია და აწეულტემპერატურიან მღელვარებით, თვალის გასწორებით, ცხელი ხელის ხელზე მოჭერით შენგანაც სიალალეს მოითხოვს.

გადამდებია მისი სიფაქიზე და უაუგობა.

მშვენიერი პოეტია.

ერთ პოეტს სხვა არა იყოს რა მისი „წუხელის ცოტნე დაბადებულაც“ ეყოფოდა.

თემურ აბულაშვილი

პირველი მოთხრობების გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ყურადღება.

ძარღვიანი ენა, ლირიკულობა, გამოსარჩლების შესაშური უნარი და დიდი სიყვარული ჩანდა მის პროზაში.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეშიც იმთავითვე გამოირჩეოდა ხალასი ნიჭით და რაღაცნაირი, მორცხვობაგარეული უბრალოებით.

ასეთი დარჩა მოწიფულობაშიც.

ამ ბოლო დროს პროზის წერას უკლო და დრამატურგიის ყულფში გაყო თავი.

ვნახე მისი პიესებით შექმნილი ერთი-ორი სპექტაკლი. რომ გითხრათ, აღვფრთოვანდი-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ღმერთო შეგცოდე და მომეჩვენა, რაც კარგი იყო იმ სპექტაკლებში მწერლისა გახლდათ...

რომ გამოვდიოდი თეატრიდან, გავიფიქრე, გმირობაა დღეს პიესის წერა, უფრო მეტიც, თავგანწირვაა საკუთარი მწერლური შეუვალობის და ზოგჯერ თავმოყვარეობის დათმობის ხარჯზე.

დრამატურგია მწერლურ ინდივიდუალობას გართმევს და თეატრის ხელშემყურედ გაქცევს. რა ბედნიერი ვარ, რომ დროზე მივხვდი და ვუგანე ამ საქმეს, რომელმაც ერთ დროს ძალიან მიმიზიდა, მაგრამ ჩვენი თეატრების გადამკიდე, ასევე დროზე დამარწმუნა, რომ ჩემს ნერვებს არ შეეძლო იმის ატანა, რასაც თეატრი მთავაზობდა.

თემურ აბულაშვილი კი, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ჩანს ძლიერი ნერვების კაცია.

თეიმურაზ აბულაძე

არის ასეთი პოეტი.

ჩვენი თაობის კაცია. ნამდვილი იმერელი. სულ „ჩემო ბატონო“ და „შენი ჭირიმე“, სულ შაქარი რომ ამოსდის პირიდან. ლექსებშიც ტკბილი და შაქრიანია.

მისი მართალი პოეზია ჩვეულებრივის ცისფერ ყვავილოვან კალაპოტში მიედინება.

„ამოხტომები“, ვნებათა ჭიდილი, ორდინალური ფორმის მსხვრევა, ახალი გზების ძიება არ უცდია.

თუ მკრეხელობად არ ჩამეთვლება, არ უორიგინალია, ძალა არ დაუტანებია ნიჭისთვის.

კარგია ეს თუ ცუდი?

ყოველ შემთხვევაში მოწესრიგებული, შესაყვარებლად სადა და იქნებ, ყოველივე ამის გამოც, ჩრდილში მდგომი პოეტია.

ნოდარ ადეიშვილი

იშვიათად წამიკითხავს ლირიკული გმირის ამგვარი მორცხვი, უპრეტენზიო თვითგამოხატვა:

– ამოდი მზეო! ამ ლამპის შუქით
განათებული რაა ქვეყანა...
რომ ვფიქრობ, რა ვარ, – ამ ჩემს ადგილზეც,
ნეტავ ბალახი ამოგეყვანა.

ჟურნალში დაბეჭდილ ამ სტრიქონებს რომ წავაწყდი, ამეკვიატა და ვერაფრით ვერ მოვიშორე, წამდაუწუმ ვიმეორებდი – ხოლმე. მერე მათი ავტორის ნოდარ ადეიშვილის წიგნები მოვძებნე და წინ დავიდე.

ჩავამთავრე ნოდარ ადეიშვილის ლექსების კითხვა და პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რა უკუღმართადაა მოწყობილი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, ამ ნამდვილ პოეტზე ჩვენს კრიტიკას ჯერ კრინტი არ დაუძრავს, სამაგიეროდ, ყოველდღე პანეგირიკის ზვინებს უდგამენ და პიტნასავით სჩრიან ცხვირში არაერთი უნიჭო პოეტის ლექსებს-მეთქი, „უნიჭოში“ ვისაც ვიგულისხმებდი, მკითხველი იმწამსვე მიხვდება, რაკიღა პრეტენზიული უნიჭო მწერალთა კავშირში კი არა მარტო, მთელ საქართველოში იციან თავისი შემაწუხებელი მცდელობით სხვისი ადგილი დაიკავოს, მუდამ წინა პოზიციაზე ჩანდეს.

რომელი ლიტერატურის მეტრი მე ვიყავი, მაგრამ ჩემი შთაბეჭდილების გამოხატვა ნოდარ ადეიშვილის პოეზიისადმი მაშინვე ვცადე ერთი პატარა წერილით, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. ეს იყო ამ ექვსი წლის წინათ.

მაშინ, ნოდარს, რასაკვირველია, პირადად არ ვიცნობდი.

მერე დამირეკა: „რამ გაგახსენა ჩემი თავი, თუ ძმა ხარ. ვერ წარმოვიდგენდი ამ გამოხმაურებას. ისე გადამეწურა იმედი ჩემს ლექსებზე კრიტიკის ყურადღებისა, რომ ვფიქრობდი, ალბათ კრიტიკოსის მამიდაშვილი მაინც უნდა იყო, შენზე ერთი-ორი თბილი სიტყვა რომ გაიმეტოს-მეთქი.

პოეტის ახალ წიგნში, ამას წინათ, კიდევ ერთი ლექსი მომხვდა გულზე:

პაპამ თქვა: ვაი სიბერეს,
ვაი ხმას კართან ჯალათის,
შიგნიდან გამტყდარ ციხეებს,
თურმე, რას დავიფარავდით.
ტირილს ისევ სჯობს ვიმღერებ,
საფლავს სიმღერით ჩავალო
მერე გახედა ტყის ხეებს
– რა სანთლებივით ჩანანო.

ჩვენი პოეზიის ჯანმაგარ ტევრში ერთი ღონიერი სანთელი ნოდარ ადეიშვილსაც აუნთია. ღმერთმა დააცალოს ამ სანთელს ბოლომდე წვა მკითხველის სულის სასიკეთოდ და გასანათებლად.

დავამთავრე ეს ჩანაწერი და ახლა ნოდარ ადეიშვილის სხვა სტროფი ამოტივტივდა გონებაში.

მორჩა, გათავდა ეს მყუდრო ბინა,
მოდგა სიბერე გულზე ისრებით...
მე განა ახლა ძილისთვის მძინავს,
არამედ მისთვის, რომ მესიზმრები.

ჭეშმარიტი პოეზიის მაგიური ძალა, ალბათ, ამაშია: მოგეკვრება, სულში ჩაგისახლდება, თავს არ დაგავიწყებს.

გივი ალხაზიშვილი

ნიჭიერი, სერიოზული პოეტია. განსაკუთრებით ძლიერია მის შემოქმედებაში მედიტაციურ-ფილოსოფიური ნაკადი.

არ მიდის გატკეპნილი გზებით. ჭეშმარიტი პროფესიონალია...

განსაკუთრებით ხაზგასასმელია გივი ალხაზიშვილის შემოქმედებაში დროის, ეპოქის მძაფრი აღქმა.

ამ ნიშანზეც ეტყობა, რომ ლიტერატურიდან კი არ მოდის, ცხოვრებიდან. მახსენდება მისი მშვენიერი ლექსი თანამედროვე, მოტორიზებულ თოვლის ბაბუაზე, რომელიც ტაქსით დარბის დაწესებულებებიდან დაწესებულებაში, რათა საახალწლო მეჯლისები გაამხიარულოს. ასევე ჩამრჩა მეხსიერებაში მამისა და შვილის დიალოგი საბავშვო ბაღის გზაზე.

ამ ბოლო დროს რამდენიმე საინტერესო, პრინციპული უკომპრომისო პუბლიცისტური წერილიც გამოაქვეყნა.

თავისი თაობის ერთი თავკაცი და ეროვნულნერგგაფაქიზებული პოეტია.

ახლახან სადღაც ამოვიკითხე გივის ლექსში: ჩემს თავს ჩინვნიკობა მივუსაჯე, კაბინეტის კაცად ვიქეცი, ვეჯაჯგურები და ჩემს არსებაში პოეტის მოთვინიერებას ამაოდ ვცდილობო.

ჭაბუა ამირეჯიბი

ჭაბუა ამირეჯიბის პირველმა მოთხრობებმა („მუციოს სცევოლა“, „ბიძაჩემი მეჯღანა“) მკითხველთა ყურადღება ვერ მიიქცია.

ვერც მწერალთა კავშირში თავისი პირველი გამოსვლებით ტოვებდა იმ ეფექტს, რომელიც თურმე გველოდა. იგი თითქმის ყოველ სხდომაზე გამოდიოდა და ადამიანის რაობის, მწერლობის დანიშნულების, ზნეობის, საზოგადოების ახლებურად მოწყობის საკითხებზე ფილოსოფოსობდა. სათქმელს ხშირად თავს ვერ უყრიდა, გრძელსიტყვაობდა, რუსი მწერლების ციტატებს წაღმა-უკუღმა ატრიალებდა.

გამოჩნდებოდა თუ არა დარბაზში, მაშინვე გაირბენდა ჩურჩული – დავიღუპეთ, ჭაბუა მოვიდა, საათიანი სიტყვა ჯიბეში გვაქვს.

ვიცოდით, ნაჯდომი, ლაპარაკს მოწყურებული კაცი იყო და ქართულ მწერლობაში თავისი იძულებითი დაგვიანების დროს ინაზღაურებდა, მაგრამ ვერ გაგვეგო, ჩვენ რა შუაში ვიყავით. ჯერ ხომ მისი ლიტერატურული შემოქმედება არ იძლეოდა საშუალებას საათობით გვესმინა ამ „საშუალო მწერლის“ შეგონებებისათვის.

დაიბეჭდა „დათა თუთაშხია“ და ყველაფერი თავდაყირა დადგა. ქართულ ლიტერატურას ეპოქალური რომანი შეემატა, ხოლო მისი ავტორის სახით –ბრწყინვალე მწერალი.

ახლა უკვე მტრედის გუნდივით დასდევენ მკითხველები, ერთმანეთს ასწრებენ ჟურნალისტები ინტერვიუს ასაღებად.

„ჭაბუას ეს უთქვამს, ჭაბუას ის უთქვამს“ ხშირ-ხშირად ისმოდა ქუჩა-დარბაზებში და „ცისკარში“ დაბეჭდილი რომანის ავტორი ერთბაშად იქცა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პიროვნებად.

სამოციანი წლების ქართული პროზის მაღალი დონე ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიამაც“ განაპირობა.

ამ რომანმა რეკორდულად მოკლე დროში გააკეთა თავისი საქმე – დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სულიერ ცხოვრებაზე.

არსებობენ „ჩავლილი“ წიგნები. ისინი ერთ ლოკალურ პერიოდში ახმაურდებიან, აალაპარაკებენ ცასა და ხმელეთს და მერე სწრაფად იწყებენ უდროოდ დაბერებას და მალე დავიწყებას ეძლევიან.

„დათა თუთაშხიას“ ბედი სხვაგვარია. მას დიდი გზა უდევს. მჯერა, რომ იგი სამუდამოდ დარჩება ქართული პროზის მაღალ თაროზე, რადგანაც დაბერება არ უწერია იმ ჭეშმარიტებას, ამ რთული, ქვეტექსტებიანი წიგნით რომ ეუწყა მკითხველს. პირველყოფილი სიწმინდისათვის, სიკეთისათვის, ვაჟკაცობისა და რაინდობის ტრადიციებისათვის მებრძოლი, ხასიათის არაჩვეულებრივი სიმტკიცისა და ნებისყოფის პიროვნება; მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ფონზე ეს კეთილშობილი აბრაგი თავისი ზოგჯერ გაუცნობიერებელი, ბრმა ბრძოლით სინდისისათვის, ერთი შეხედვით, ანაქრონიზმად მოჩანს. მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ გულუბრყვილო სიკეთის ნიადაგ მფრქვეველი ლაზი შუა საუკუნეებიდან მეოცეში შემთხვევით გადმოსულს ნააგავს, მაგრამ ვინც რომანის პერიპეტიებს ღრმად ჩაუკვირდება, დამეთანხმება, რომ დათა თუთაშხია დროული და საჭირო იყო ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების მოქალაქისათვის და ეს უაღრესად კოლორიტული, შთამბეჭდავი გმირი ყოველთვის დასჭირდება მკითხველს, როგორც სიკეთისა და სიმართლის კამერტონი.

კრიტიკას იმ პერიოდის ცენზურის იმპერიული მარწუხების გამო საშუალება არ ჰქონდა მკითხველთათვის გაემხილა, რომ „დათა თუთაშხია“ ალეგორიული რომანია და იგი მთელი თავისი პრობლემატიკით სწორედ რომ ჩვენი იმპერიის ცხოვრებას შეეხება, რომ მწერალი იძულებული იყო თვალი აეხვია ცენზურისათვის მოქმედების გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში გადატანით.

თანამედროვე ეთიკურ-ზნეობრივ პრობლემათა დაყენებით, მასშტაბურობით, ფსიქოანალიზის სიმართლით და დახვეწილი, უაღრესად თანამედროვე ფორმით „დათა თუთაშხია“ მართლაც რომ მშვენიერი თხზულებაა.

დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია – ეს ორი, ოსტატურად დაპირისპირებული ხასიათი თითქმის ერთნაირი ინტერესით აღიქმება. პირველი მაგალითია იმისა, თუ რა ძნელია კეთილშობილებამ, სიკეთემ აიდგას ფეხი და იმპერიის ეპოქის საქართველოში თავისი პრინციპების შენარჩუნება შეძლოს, ხოლო მეორე თვალსაჩინო ფაქტია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ წამლავს, რა დახვეწილი მანქანებით ითრევს თავის სამსახურში და „თავის კაცად აქცევს იმპერია კოლონიის იმ ახალგაზრდა წარმომადგენელს, რომელსაც თავიდან ერის უანგარო სამსახურის სურვილი ჰქონდა და პატივმოყვარეობის ჭია რომ არ შეჰყროდა, დათა თუთაშხიაზე ნაკლებს როდი შეძლებდა საქართველოს სამსახურში.

დიდხანს მტკივნეულად, მომაბეზრებლად დიდხანს ელის მკითხველი ჭაბუა ამირეჯიბის ახალ რომანს.

მოლოდინი ისე გაგრძელდა, რომ ჩვენმა ლიტერატურულმა პრესამ დაუმთავრებელი რომანის ნაწყვეტების დოღიც კი გამართა.

ჟურნალები უკვე დაიღალნენ მკითხველთა მოტყუებით. ახალი წლიდან ჭაბუა ამირეჯიბის ახალ რომანს ვბეჭდავთო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჭორი დაირხა, „დათა თუთაშხია“ ჭაბუას დაწერილი არ ყოფილა, პატიმრობაში უპოვია და მიუთვისებიაო.

ვინც ბ-ნ ჭაბუას იცნობს და მისი თავგადასავალი – „პაბეგები“ მოუსმენია, თუ ოდნავ დაკვირვებული კაცია, ამ ეჭვს არ დაიჯერებს.

დაიწყებს თუ არა ლაპარაკს ჭაბუა ამირეჯიბი, მეჩვენება, რომ „დათა თუთაშხიას“ ახალ თავს ვისმენ.

თავისი სულიერი წყობით, სიდინჯით, შეცდომებითაც ჭაბუა ამირეჯიბი ძალიან ჰგავს თავის სახელოვან პერსონაჟს.

რაც შეეხება ჭაბუა ამირეჯიბის ახალ რომანს, მე მას სხვებივით სულგამწარებით და ეჭვიანი კითხვებით არ ველი.

თუ დაწერს ხომ კარგი, თუ არა და ერთ კარგ მწერალს „დათა თუკთაშხია“ სიგრძედაც ეყოფა და სიგანედაც.

ალუდა არაბული

არ ვიცი მსოფლიოში არის თუ არა მოლექსეობით ისე გამორჩეული სხვა კუთხე, როგორიც ჩვენი ფშავ-ხევსურეთია.

ლექსი ფშავ-ხევსურეთში ყოფითი ატრიბუტიც კია, ისეა დამკვიდრებული ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ყოველი მეორე ლექსს თხზავს, ან პოეტური სახეებით ლაპარაკობს.

არ იყო ერის მტრობა სიბრიყვით გამორჩეულმა ერთმა კომუნისტმა ხელმძღვანელმა ფშავ-ხეუსურეთის ბარად დასახლება რომ გადაწყვიტა?

წარმოიდგინეთ საქართველო ფშავ-ხევსურეთის გარეშე.

სწორუპოვარი ქართული ხალხური პოეზია თითქმის მთლიანად ფშავ-ხევსურული პოეზიაა.

ამ მადლიანი კუთხის ღირსეული წარმომადგენელი და თავგადაკლული ქომაგია ალუდა არაბული.

თანამედროვე ეროვნული მოძრაობის ერთი ღონიერი ჯარისკაცია იგი.

ბაღათერ არაბული

ერთხელ ჯანსუღ ჩარკვიანმა (მაშინ „ცისკრის“ რედაქტორი იყო) მითხრა, ძალიან კარგი არაბული მოვიდა, ნამდვილი პოეტი, ბაღათერი ჰქვია, ჭეშმარიტად გამახარაო.

მართლაც რომ გამოირჩევა მწერლობაში სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში მოსულთა შორის ბაღათერ არაბული.

თავისი სათქმელი აქვს და საკმაოდ მაღალი ლიტერატურული კულტურა ეტყობა, ისე ძლიერია ფშავ-ხევსურული ფოლკლორისა და ვაჟა-ფშაველას გიგანტური ტრადიცია, რომ ამ ბოლო ხანებში მოსული პოეტები, ფიქრობენ ვაჟას აჩრდილში დავიგვალებით, და ეპიგონობას დაგვწამებენო და სხვანაირად, მათი აზრით რაფინირებულ-ინტელიგენტურად იწყებენ წერას.

სანამ თავის ხელწერას გამოიმუშავებდა, ეს საყმაწვილო სენი ბაღათერსაც სჭირდა.

ახლა იგი წელგამართული, საინტერესო პოეტია.

ირაკლი არაბული

თანამედროვე ქართულ მწერლობას არაბულთა დიდი გვარი ჭეშმარიტად რომ გულუხვად სწყალობს.

ირაკლი არაბული, ალუდა არაბული, ბაღათერ არაბული, მინდია არაბული, კობა არაბული, შოთა არაბული, ამირან არაბული...

ირაკლის, გარდა იმისა, რომ სიტყვა უჭრის და კალამს ერჩის – პატრიოტული განწყობის, თვითმყობადი პოეტია, იუმორის ნიჭიც მოჰმადლა განგებამ.

მშვენიერ ეპიგრამებს, პაროდიებს და ფუნაგორიებს წერს.

გასტონ ბუაჩიძე

რაფინირებული ევროპელია, ბრწყინვალე მოფრანგულე. მისი „მონმარტიდან მთაწმინდამდე“ ლიტერატურის ენციკლოპედიური ცოდნით და მთარგმნელის მაღალი ოსტატობით გამოირჩევა.

ემენ დავითაძე

ბათუმის ლაჟვარდმა კიდევ ერთი პოეტი შეგვმატა.

„ჭოროხში“ ხშირად. იბეჭდება წიგნი (ვერ მოგატყუებთ) ჯერ არ მომხვდა ხელში.

დილარ ივარდავა

ზეპირად ვიცი დილარ ივარდავას კარგი ლექსი „დიოსკურია“.

კოლხური მელოდიები, არამხუტეს სულისძვრა, ტყაში მაფას და მაფშალიების სუნთქვა ისმის მისი ლექსებიდან.

თინა დონჟაშვილი

მის სახელს კარგა ხნის განმავლობაში შიშითა და რიდით უცქერდნენ გამომცემლები.

ეს ჩია ტანის, კაფანდარა, შავგვრემანი, სიმპათიური ქალი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მაშინ გაბედა მართალი სიტყვის თქმა, როცა მწერლისგან მხოლოდ არსებულის ქება-დიდებას მოითხოვდნენ და ყოველგვარი კრიტიკული პათოსი სასწორზე სიცოცხლის შეგდებას უდრიდა.

„ალაზანზე“ ჩვენი ცხოვრების ერთი უტყუარი მატიანეა.

მუდამ უკმაყოფილო იყო, შეხვედრისას საყვედურებით აგავსებდა: რას ჩადიხართ, რატომ უფრო ენერგიულად არ იბრძვით, ხომ ხედავთ, იღუპება საქართველოო.

...ჭეშმარიტად მებრძოლი ქართველი ქალი გახლდათ.

ბონდო არველაძე

გარდა იმისა, რომ ავტორიტეტიანი მეცნიერია, ხმალამოღებით იბრძვის ქართულ-სომხური ურთიერთობის ჯანსაღ ტრადიციებზე დაფუძნებისათვის.

არაერთხელ ჩაება პოლემიკაში სომეხ მეცნიერებთან, როცა ამ უკანასკნელებმა, ტერიტორიულ პრეტენზიებს რომ თავი დავანებოთ, ჯვრის მონასტერს და „შუშანიკის წამებასაც“ წაუპოტინეს ხელი.

ნაყოფიერად, მაღალკვალიფიციურად თარგმნის.

სიმონ არველაძე

ქუთაისში ცხოვრობს. ღვაწლმოსილი კრიტიკოსია.

ახლა რომ კრიტიკოსი სამოცდაათს უახლოვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი „ნიჭის გაფურჩქვნა“ კომუნისტური ტირანიის ეპოქაში მოხდა და თითო-ოროლა ცოდვა მაინც ექნება ჩადენილი ლიტერატურული ჩეხვის მეთოდების გამოყენებით მწერლობის იდეურობის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

სიმონ არველაძე გამონაკლისთა შორისაა.

იგი უაღრესად მშვიდი ნერვების მქონე, კარიერისტული ფიქრებისაგან თავისუფალი, ნიჭის პატივისმცემელი ლიტერატორია.

კარლო არსენაშვილი

კარლო არსენაშვილის პროზა წარმტაცი კახური დიალოგებით, მსუყე ქართულით და კოლორიტული ფერებით გამოირჩევა.

კითხვის დროს მელოდიურობის გრძნობა გიჩნდებათ, დინამიკური თხრობის სტილი აქვს.

ლია ასათიანი

ჩვენ დიდებული პოეტი ქალები გვყავს.

მიუხედავად მხატვრული მასშტაბების სიდიდისა, მაინც არსებობს ქართულ პოეზიაში ქალის ფენომენი, ქალური საწყისი, ქალის პოეზია.

იგი შედარებით ნაზია, კდემით სავსე, ხაზგასმულად ლირიკული...

ჩვენი ქალებიდან მხოლოდ ერთი პოეტი ვიცი, რომლის ლექსიც ქალური სინაზისა და პირველყოფილი უბიწოებისაგან დაცლილია.

ლია ასათიანის ლექსი კი, სწორედ რომ შესაყვარებლად ქალური და წმინდაა.

ევგენი აქუბარდია

ევგენი აქუბარდიას რომანი „კოჩა“ სიამოვნებით წავიკითხე.

სამოციანი წლების კოლხი ყმაწვილის ძნელი ცხოვრების აღწერით მწერალმა ეპოქის რთულ ხვეულებშიც ჩაგვახედა და იმ წინააღმდეგობებსაც გაუსვა ხაზი თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში დამკვიდრებას, საკუთარი ადგილის პოვნას რომ ეღობება.

ევგენი აქუბარდია საქართველოს ულამაზეს კუთხეში, ავტონომიად უსამართლოდ მონათლულ აფხაზეთში პატრიოტი ქართველის მწარე პურს ჭამს და სიმართლის გასარკვევად ხმალს იქნევს.

დომენტი ახობაძე

პირველი პოეტი, რომელიც ცოცხლად ვიხილე – დომენტი ახობაძე იყო.

ქუთაისის მეოთხე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ვიყავი, სკოლაში დომენტი ახობაძე რომ გვეწვია.

შეხვედრების სტერეოტიპი მოგეხსენებათ: სიტყვები, მისალმებანი... ბოლოს პოეტმა ლექსი წაგვიკითხა.

მერე სადაც შემხვდებოდა, ყოველთვის სიყვარულით და მოწიწებით შევყურებდი.

თეთრი შარვალ-ხალათი ეცვა ზაფხულობით, „ქუთაისის“ რედაქციის წინ იდგა ხოლმე.

ფეხსაც კი ავითრევდი იმ ადგილას ნელა რომ გამევლო, მისი სიტყვა, ხუმრობა რომ გამეგონა.

თუ მზერას დავუჭერდი, მივესალმებოდი რომელია, კისრის წაწყვეტამდე დავუქნევდი თავს.

ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მე, სკოლის მოსწავლე, პოეტს ვიცნობდი.

ყოველთვის როდი ვაძლევთ ანგარიშს, თუ რა დიდებული რამეა – მწერალი გერქვას.

ჯემალ ავჯიაშვილი

ჯერ ახალებრაული პოეზია ვინ იცის და ერთბაშად „ძველებრაული“, ვერა ამ ცდუნებას გვერდს ვერ ავუვლიდი. შევიძინე.

წავიკითხე და კარგა ორი-სამი თვე ძველებრაული პოეზია მაბოდებდა. ახლაც ჩემი სამაგიდო წიგნია.

ყოველ შემხვედრ ლიტერატორს ვეკითხებოდი, ვინ არის, თუ ძმა ხარ, თუ გაგიგონიათ ჯემალ აჯიაშვილი, რა ხნის კაცია. სხვა რამე თუ აქვს დაწერილი-მეთქი.

გამაცვნეს, თურმე როგორ არ ვიცნობდი, მაგრამ გვარი არ მახსოვდა, ცალკე არსებობდა ჩემთვის სიმპათიური, შავთვალწარბა უნივერსიტეტელი ბიჭი და ცალკე ჯემალ აჯიაშვილი.

ლამის ვანო მაჩაბლის მასშტაბის მთარგმნელია.

ბრწყინვალედ ფლობს ლექსის ტექნიკას, უმდიდრესი ლექსიკური მარაგი აქვს. რომ იტყვიან, სიტყვას ბეჭედში სვამს.

თავისი დიდებული თარგმანებით ძველებრაული პოეზია ხომ სამუდამოდ შეგვაყვარა, ქართული ენის არნახული შესაძლებლობანიც აღმოაჩინა.

ირაკლი ბაზაძე

ერთხელ მითხრა, საშუალო თაობის ერთმა მწერალმა წამოგვძახა: ახალგაზრდა პოეტებს ბიოგრაფია არ აქვთ, რა უნდა დაწეროთ თქვენო. მე ვუთხარი, მაინცდამაინც კაცი უნდა გვყავდეს მოკლული, ან ციხეში უნდა ვიყოთ ნაჯდომი-მეთქი?

ამას ისე გულწრფელად მეუბნებოდა, შევატყვე, აშკარად ნაწყენი იყო. რა ჩემი ბრალია, თუ ძმა ხართ, ნუთუ სანანებლად უნდა დამრჩეს ცეცხლის წვიმაში რომ არსად მოვყევი და არც კგბ-მ მიმიჩნია ყურში ხელის მოკიდების ღირსადო.

ასეთი ხალასი და გულწრფელია თავის ლექსებშიც.

საოცრად მგრძნობიარე კაცია. თავმდაბალი და უბრალო.

მახსოვს, ამ თხუთმეტი წლის წინათ, უნივერსიტეტში თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: ამ ტრიბუნისაკენ რომ მოვდიოდი, თქვენ, ალბათ, გაიფიქრეთ, რა უნდა წაიკითხოს ახლა ირაკლი ბაზაძემ, რა დროის ირაკლი ბაზაძეა ამ გალაკტიონის ქვეყანაში, რა უნდა დაწეროს ბაზაძემ, რაც კარგი დასაწერი იყო, ყველაფერი დაწერილიაო. წავიკითხავ ახლა მე ხუთიოდე ლექსს და თქვენ მაშინვე დარწმუნდებით, რომ თქვენს ფიქრში ცამდე მართალი ხართო.

ამ გულწრფელმა ხუმრობამ ისე მონუსხა ყველანი, რომ სიამოვნებით მოუსმინეს ბოლომდე და აღტაცების ტაშიც არაერთხელ დასცხეს.

„კრიტიკაში“ შევთავაზე მუშაობის დაწყება, მაშინ არსად არ მუშაობდა.

მეო, მითხრა, ამ ბოლო დროს ჭაბუა ამირეჯიბთან ვმუშაობდი და სამსახურებრივი მოვალეობისადმი აგდებული დამოკიდებულების გამო გამათავისუფლა. პოეტი ვარ და ესაა ჩემი მოუწესრიგებლობის მიზეზი.

ისეთი მომთმენი და ლიბერალი უფროსი, როგორიც ჭაბუაა, რაკი მათავისუფლებს, შენთან რომ მოვიდე, ხუთ-ექვს თვეში შენც მოსახსნელი გაგიხდები და გული უნდა დამწყვიტო, ტყუილად უნდა გამიფუჭო შენზე წარმოდგენაო.

ახლა „ცისკარში“ მუშაობს და, როგორც ამბობენ, კარგა რიგიანადაც.

ჭეშმარიტი ოსტატია. ისეთ პროზაულ საგანს გაამშვენიერებს და გააპოეტურებს ხანდახან, ისეთ გაცვეთილ თემაზე ისე ლამაზად დაწერს, რომ გაგიკვირდება.

პოლიტიკაში აქტიურად გარევა ადრე არ შემინიშნავს, მოულოდნელი იყო ჩემთვის მისი გაკონგრესმენება.

სადაც უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, სიმართლის მხარეზე დადგება, ამბიციებს და ნვრილმან ანგარიშსწორებას ხელს არასოდეს აუწევს.

ირაკლი ბაზაძის ყოველ ახალ წიგნს, როგორც საკუთარს, ისე სიხარულით ვხვდები და საკუთრისგან განსხვავებით, სიამოვნებით ვკითხულობ.

გურამ ბათიაშვილი

შეხვედრისას მეგრულად ველაპარაკებით ერთმანეთს.

არ ვიცი ეს რატომ ხდება, სენაკელ-მარტვილელ სხვა მეგობართან მხოლოდ ქართულად ვსაუბრობ. გურამ ბათიაშვილს მეგრულად ველაპარაკები.

ალბათ ამით ერთმანეთთან უფრო ახლოს მისვლის სურვილს ვამჟღავნებთ, ან იმას ვუსვამთ ხაზს, რომ ჩვენ, გარდა დედა-ქართულისა, სხვა ძაფიც გვაკავშირებს – მეგრული დიალექტი. ამით რაღაცნაირად უფრო მტკიცე შეთქმულნი, უფრო თანამზარახველნი ვხდებით საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ნახეთ თქვენ გურამი ისრაელში, თავისიანებთან თავის გვარტომთან საქართველოზე მოსაუბერე და დარწმუნდებით, ამ პატიოსანი ინტელიგენტის, ნიჭიერი მწერლის სახით რა ერთგული კაცი ჰყავს საქართველოს.

დავწერე „ერთგული“ და უხერხულობის გრძნობა დამეუფლა, სჭირდება ერთგულების ხაზგასმა გურამ ბათიაშვილის პიროვნებას, როცა საქმე მის სამშობლოს, მის სათაყვანებელ საქართველოს შეეხება?

კრიტიკოს-ლიტერატურათმცოდნეობით დაიწყო და მერე დრამატურგობამ მიიზიდა. განსაკუთრებით გურამის ორი პიესა მომწონს „ვალი“ და „1832“.

„ვალი“ ქართველ ებრაელთა ისრაელში დაბრუნების და სამშობლოსათვის ვალის გადახდის წმიდათაწმიდა გრძნობას შეეხება, იმ ვალზეა ლაპარაკი, რომლითაც ასე გამშვენიერებულია საქართველოდან ისრაელში წასულ ქართველთა სახეები. „1832“ კი საქართველოს და-

მოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაზე გვიამბობს და დღევანდელი მოძრაობის ლიდერებსაც ბრძოლის მეთოდების დახვეწის არაერთ საგულისხმო გაკვეთილს აძლევს.

დალი ფანჯიკიძე

გახმაურებული მწერლის მეუღლეს დიდი გაბედულება სჭირდება რომ კალამს მოჰკიდოს ხელი და ასევე დიდი ძალისხმევა უნდა ლიტერატურაში სახელი რომ დაიგდოს.

რატომ? უპირველეს ყოვლისა, სკეპტიკოსთა ეჭვი უნდა გადალახოს. ლიტერატურული ნიჭი „ხარი ხართან რომ დააბას“ ანდაზას როდი ემორჩილებაო, ირწმუნებიან ერთნი. მეუღლის მიერ მოპოვებულ ლიტერატურულ მწვანე შუქზე გაიარაო – ამტკიცებენ მეორენი.

და, ჩვენ შორის დარჩეს, განა ზოგმა ნიჭიერმა მწერალმა არ გაამწერლა თავისი მეუღლე?

დალი ფანჯიკიძე სხვა შემთხვევაა.

ამ მშვენიერმა ქალბატონმა ჩვენი წიგნის თაროზე დადო რომელიმე „ჭ“ კლასის მწერლის პატარა „წიგნუკა“ კი არა, თომას მანის „ბუდენბროკები“.

რა კოლოსალური შრომა, გერმანული ენის (და ქართულის თავისთავად) რა ღრმა ხვეულებში წვდომა სჭირდებოდა ამ უზარმაზარი (მოცულობითაც და ხარისხითაც) ეპოპეის თარგმნას – მოგეხსენებათ.

უზადო მთარგმნელია დალი ფანჯიკიძე და თარგმანის თეორიის ერთი უაღრესად ავტორიტეტული მეცნიერ-რჯულმდებელიც გახლავთ.

ამას წინათ ქალბატონი დალის მიერ გივი გაჩეჩილაძეზე დაწერილ წერილს წავაწყდი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თანამოკალმის ღვაწლზე ასე უშურველად, გულის სითბოს გაღებით საუბარი მხოლოდ ჭეშმარიტ მწერალს შეუძლია.

სოსო სიგუა

სოსო სიგუა ჩემი სტუდენტი იყო.

მახსოვს მეოთხე კურსზე საკურსო ნაშრომად „ოთარ ჭილაძის პოემები“ წარმომიდგინა. დავიბარე კათედრაზე და ვკითხე: „ეს შენ დაწერე-მეთქი? გაეცინა; მე ერთი მარტოხელა ბანძელი კაცი ვარ, აბა, ვინ დამიწერდაო. ამ წერილით შენ უკვე ჩამოყალიბებული კრიტიკოსი ხარ და დამილოცნიხარ-მეთქი.

მე თვითონ წავიღე „მნათობში“ ის წერილი და გამოვაქვეყნებინე.

მერე იზარდა და იზარდა.

შეუვალ, ობიექტურ, გემოვნებიან, ავტორიტეტულ კრიტიკოსად იქცა..

ღირსეულად დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს კონსტანტინე გამსახურდიას ყველაზე თანამიმდევრული მკვლევარი და ამ დიდი მწერლის უერთგულესი ჭირისუფალია. კ. გამსახურდიას მრავალტომეულის გამოცემას თავკაცობს ამ ძნელ დროში.

ხვალემ არკვიოს რა შეეშალა (თუ ზემოდან შეაშლევინეს) ერთხელ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორობის დროს ქართველ მწერლებზე წრეგადასული პასკვილი რომ დაბეჭდა.

მე კი, მიუხედავად ამისა (დამისახელეთ უცოდველი კაცი), ჩემდა თავად, სანამ პირში სული მიდგას, გავიმეორებ, რომ სოსო სიგუას სახით საქართველს ჰყავს უაღრესად კეთილსინდისიერი, მაღალპროფესიონალი ლიტერატორი და გულმხურვალე პატრიოტი.

მარიკა ბარათაშვილი

ქ-ნი მარიკა იმ ასაკშია, როცა ქალები ასაკს მალავენ.

გულით რომ მინდოდეს, მაინც ვერ დავუმალავ, ყოველ სატელევიზიო გამოსვლას მაყურებლისთვის თავისი რვა ათეული წლის შეხსენებით იწყებს.

ლამის ორმოცი წელია ვიცნობ და ჩემს თვალში ოდნავაც არ შეცვლილა – ხალისიან, სიცოცხლით სავსე „ჭრიჭინად“ დარჩა.

ყოველ შეხვედრაზე – „რეზო გაილახები“ იცოდე, რატომ არ მოგაქვს ნოველა, ახლა ხომ მაინც მოგწონს ჩემი ჟურნალის სახელი, „მანდილი“ დავარქვით.

„საბჭოთა ქალი“ ხომ არ მომწონდა და არ მომწონდა, არც „საქართველოს ქალი“ მხვდებოდა გულზე, და ერთხელ შევკადრე, თქვენი ჟურნალის სახელწოდება არ მომწონს-მეთქი.

დამიმახსოვრა.

ჭეშმარიტი პოეტი და ნიჭიერი დრამატურგია.

მის კალამს ჟანგი არასოდეს მოსდებია.

რა გულშიჩამწვდომი ლექსით დაიტირა ამას წინათ, ცხრა აპრილს დაღუპულები.

ალექსანდრე ბარამიძე

ბატონ ალექსანდრეს ყველა მისი მონაფე პატივს სცემს არნახული ლექციებისა და სამაგალითო პიროვნული თვისებების გამო. გამონაკლისი არც მე ვარ.

საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერია, მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ამ ბოლო დროს ხშირად ვეკამათები ხოლმე „ვეფხისტყაოსნის“ არამართებული (ჩემი აზრით) შესწორებების გამო ხან პრესით, ხან პირადად მორიგი რუსთველოლოგიური დუეტის შემდეგ, რაც ხშირად, ჩემი მხრივ, არცთუ დიპლომატიური რევერანსებით და პოლემიკის კანონების ზუსტი

დაცვით ჩატარდება, გავიფიქრებ, ახლა კი ნამდვილად აღარ მომესალმება, ადვილი შესაძლებელია, რომ ყურიც კი ამიწიოს-მეთქი.

უნდა განახათ უნივერსიტეტის ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიაში (სადოქტორო საბჭოს წევრები ვართ) ჩვენი შეხვედრა. თვალებით მომძებნის, გაღიმებული წამოვა ჩემკენ, ხელს გამომიწვდის და მომიკითხავს.

ჭეშმარიტი მეცნიერის თვისებაც გახლავთ კამათის პირად ურთიერთობებზე არგადატანა.

სწორედ რომ კეთილი კაცის ამ მაღალი ზნეობის პიროვნების გული ფეთქავს ამ ბოლო დრო ბ-ნ ალექსანდრე ბარამიძის მიერ გამოცემულ მემუარების წიგნში.

ბეჟან ბარდაველიძე

ბეჟან ბარდაველიძის ლექსი „რად ვიჩქაროდი ხევსურეთს“ კარგა ხანს ხალხური ლექსი მეგონა.

იშვიათად წამიკითხავს ამგვარი მკვეთრსიუჟეტიანი, შინაგანი ექსპრესიით, დინამიზმით აღსავსე, დრამატული კოლიზიის შემცველი ლექსი და ამას წინათ, როცა შევიტყვე, რომ მისი ავტორი ბეჟან ბარდაველიძეა, აღტაცება ვერ დავმალე.

ლექსების გარდა ბეჟანს საინტერესო მოთხრობები აქვს. ამას წინათ კარგი მონოგრაფია დაწერა დავით კლდიაშვილის შემოქმედებაზე.

გარდა ამისა, მახსოვს მისი შთამბეჭდავი კრიტიკული წერილი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაზე.

ნომადი ბართაია

წერს ისე უბრალოდ და გარეგანი სამკაულების გარეშე, რომ პოეზიაზე ტრადიციული წარმოდგენების კაცს, რომელიც მეტაფორულ პოეზიაზე გაიზარდა, შეიძლება ეჭვიც კი შეეპაროს; არის კი საერთოდ პოეზია ის, რასაც ნომადი ლექსის ფორმით გვთავაზობს?

არის, ნამდვილად არის. უფრო მეტიც, უბრალოების ბეწვის ხიდზე გავლით ნომადი ბართაიამ თავისი ხელწერა, თავისი პოეტური სამყარო შექმნა. მისი ლექსი მომხიბვლელად სადაა, პრიმიტიულობაში არასდროს გადადის.

ნომადი ბართაიას ნიჭი მის მაღალ იუმორშიც ჩანს. შესანიშნავ ფელეტონებს და პაროდიებს წერს.

გიორგი ბაქანიძე

გიორგი ბაქანიძის ერთ-ერთი პირველი მოთხრობა „პური“ ჩვენი თაობის ღირსების მოთხრობა იყო.

ჩვენ თითქმის ერთდროულად დავიწყეთ მწერლობა და როცა „პური“ დაიბეჭდა, ყველამ ვაღიარეთ გიორგი ბაქანიძე ჩვენი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად.

„პურის“ (მაპატიოს ავტორმა, თუ ზუსტად ასე არ ერქვა) შინაარსი დაახლოებით ასეთი გახლდათ: გოგონას ღამით ხულიგნები დაედევნენ. შეშინებულმა ქალიშვილმა ორღობეს შეაფარა თავი და იქ კარგა ხანს, მღვიმეს შეფარებული, კურდღელივით განაბული, საკუთარ გულისცემას უგდებდა ყურს. ბოლოს, შუაღამისას, შინ წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ შიშმა ფეხები შეუბორკა. ხომ შეიძლება თავდამსხმელები იქვე იყვნენ ჩასაფრებულები. ნაბიჯების ხმა მოესმა, მამაკაცმა ჩაიარა. გოგონა საფარიდან გამოვიდა, უცნობთან ჯიქურ მივიდა და სთხოვა, თუ შეიძლება შინამადე მიმაცილეთო, კაცი თავაზიანად დაეთანხმა და როცა გოგონამ იმღამინდელი თავგადასავალი უამბო, ჰკითხა ხომ შეიძლება, მეც იმ მოძალადეების ამქრის წევრი ვიყო, რატომ მენდეთ ასე ანგარიშმიუცემლადო? თქვენ ხელში პური გიჭირავთ. შუაღამეზე რომ კაცს სახლში პური მიაქვს, ის არ შეიძლება ცუდი კაცი იყოსო, მიუგო გოგონამ.

უბრალო, ძალდაუტანებელი ურთიერთობაა და რა მართალი სიუჟეტია. ეს მოთხრობა იმდროინდელი ჰეროიკული პროზის ფონზე ჭეშმარიტი სიახლე იყო და მკითხველის ინტერესიც აღიარებულად დაიმსახურა.

გავიდა ოცი წელი ჩვენი პირველი ლიტერატურული ნაბიჯებიდან.

გიორგი ბაქანიძემ რამდენიმე პროზაული ქმნილება თარგმნა (სხვათა შორის მაღალოსტატურად) და მეტი არაფერი...

როგორ არ მინდა იგი თითომოთხრობიან მწერალთა შორის დარჩეს.

უაღრესად ნიჭიერი მწერალი და შინაგანი პატიოსნებით აღსავსე კაცია.

ოთარ ბაქანიძე

ბოდიშს ვიხდი ჩემს მოთხრობაზე რომ ვუთითებ მკითხველს. ერთი მოთხრობა დავწერე ამ სამი წლის წინათ – „ფილმად გადასაღები ამბავი“. მკითხველს ვუამბე 37-ში უსამართლოდ რეპრესირებული ერთი ოჯახის ისტორია. მოთხრობა ოთარ ბაქანიძის ნაამბობით იყო შთაგონებული და სწორედ მისი ოჯახის ცხოვრების ტრაგიკულ პერიოდს ასახავდა.

პროფესორი ოთარ ბაქანიძე საინტერესო მთხრობელი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ლიტერატურის მცოდნე და შემფასებელი.

მან თბილისის უნივერსიტეტში ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის კათედრა შექმნა, არაერთი მშვენიერი ღონისძიება ჩაატარა თანამედროვე ქართული მწერლობის ჩასართავად მსოფლიო ლიტერატურის ფარვატერში.

სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ნიჭიერ ახალგაზრდებს იწვევს თბილისში და ქართული მწერლობის მთარგმნელთა კადრებს ზრდის.

აკაკი ბაქრაძე

აკაკი ბაქრაძეზე თაობები ილაპარაკებენ.

მართალია, ახლა ისტორიის საცრის ხათქა-ხუთქი ჩვენი ერის უკეთესი შვილების ღვაწლისთვის არ მოგვაცლის ხოლმე, საქართველოს გადარჩენის ფუსფუსში გართული ხანდახან უმადურობის ჭიაც შეგვიღიტინებს, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მალე დაიწმინდება ეპოქის ამღვრეული მდინარე და საქართველო ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

მართალი მეისტორიე იტყვის, რომ მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში აკაკი ბაქრაძე ქართული პროგრესული საზოგადოებრივი აზრის უცვლელი ლიდერი იყო: უკომპრომისო, გაბედული, შეუწყნარებელი საქართველოს მტრების მიმართ, იმპერიის წინააღმდეგ ხმალამოღებით მებრძოლი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

აკაკი ბაქრაძის აზრს ათეული წლების განმავლობაში უდიდესი გულისყურით ისმენდა და ჭეშმარიტ ფასსაც სდებდა მოაზროვნე საქართველო.

პოლიტიკურ ბრძოლაში ყელამდე ჩაფლული კაცი ლიტერატურის კალამს წუთითაც არ უშვებდა ხელს. მშვენიერი წიგნები დაწერა ქართული მწერლობის, კინოს, თეატრის მძიმე მდგომარეობაზე იმპერიის მარწუხებში.

სადაც მივიდა სამუშაოდ, თავისი მადლი და ნათელი მოჰფინა. კინოსტუდიაში იყო და მისმა დაჟინებულმა მეცადინეობამ განაახლა ქართული კინოს თემატიკა – სასცენარო პორტფელი, ეს მანაც ათქმევინა უარი ქართულ ფილმს ორმოციანი წლების რომანტიკულ გზაზე. რუსთაველის თეატრის ტრიუმფი სწორედ რომ იმ წლებთან არის დაკავშირებული, როცა მას აკაკი ბაქრაძე დირექტოობდა.

ამ სტრიქონების დამწერმა კარგად იცის, რომ თეატრის სახელს, უპირველესად, მთავარი რეჟისორი განაპირობებს, მაგრამ ისიც კარგად იცის, რა ლომის წვლილი მიუძღვის აკაკი ბაქრაძისთანა დირექტორს რეპერტუარის სწორად შერჩევასა და თეატრის გარეგოლუციონერებაში.

მარჯანიშვილის თეატრში, ცოდვა გამხელილი სჯობს, აკაკი ბაქრაძემ ბევრის გაკეთება ვერ მოასწრო. მის მიერვე სულჩადგმულმა ეროვნული ბრძოლის ახალმა ტალღამ იგი ახალი პოლიტიკური პარტიის – რუსთაველის საზოგადოების შექმნამდე მიიყვანა.

როცა იგრძნო საზოგადოების პირველმა პრეზიდენტმა, რომ რუსთაველის საზოგადოებას საეჭვო მუმლმი დაეხვია ხელისმოთბობის მსურველთა სახით და ეს ეროვნული ტრიბუნა თავის მთავარ დანიშნულებას აცდა, იგი მყის განეშორა მის მიერვე დაარსებულ საზოგადოებას და სუფთა მანტიით, ერისკაცის მაღალი სახელით დატოვა პოლიტიკური ბრძოლის არენა.

შესასვენებლად ამოისუნთქა და ბრწყინვალე ნარკვევი „მწერლობის მოთვინიერება“ ამოაყოლა სუნთქვას.

ვფიქრობ, საქართველომ ღვაწლმოსილ აკაკი ბაქრაძეს „თავისთვის წასვლის“ საშუალება არ მისცა, უნდა მისცეს, მისი მართალი სიტყვა, მისი ბრძნული რჩევა-შეგონებანი ჰაერივით სჭირდება თანამედროვე საქართველოს.

დალილა ბედიანიძე

რაღაცნაირი აღმოსავლური სიმორცხვე და სინაზე, საოცარი, არამიწიერი კდემამოსილება (როცა ელაპარაკები, მიმოზასავით კეცავს ფრთებს და გეჩვენება: ორი სიტყვა საკმარისია ზედმეტად, რომ ისევ გაშალოს ფრთები და ჰაერში აფრინდესო) დალილა ბედიანიძეს, როგორც პიროვნებას, გამორჩეულს და საყვარელს ხდის.

რედაქციაში რომ გამოჩნდება, თავისი ჰაეროვანი ჩურჩულით და ყოველთვის დისტანციადაჭერილი, საკუთარი ღირსებისათვის კედლად აღმართული, არაფამილარული დამოკიდებულებით, მაშინვე განაწყობს ყველას დიდი ყურადღებით მისი პერსონისადმი, ვერც კი გაიგებ, ისე გაქცევს თავისი ნების აღმსრულებლად.

ნამდვილი ქალია, ამ მშვენიერი სქესის ყველა საუკეთესო თვისებით.

თანამედროვე ახალგაზრდობის ფიქრი მოიტანა პოეზიაში. ადამიანის ფსიქიკის ხვეულებში ღრმად წვდომის უნარი, ფაქიზი ლირიზმი და დახვეწილობაა მისი ლექსის თვისება.

დალილა ბედიანიძის პოეზიაში, გარდა ამისა, ადამიანური სევდაც მიზიდავს, პოეტის სულიდან რომ მოდის და ლიტერატურულ რემინისცენციასთან საერთო არა აქვს რა.

მახსენდება ამას წინათ წაკითხული, მისი ვრცელი ნოველური ლექსი, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ უმასპინძლა მარტოხელა ქალმა მეგობრებს; გაუწყო სუფრა, გაამხიარულა ყველანი, ზეიმის ორი საათი გამოგლიჯა თავის ერთფეროვან ცხოვრებას და გვიან, როცა ყველანი გაიკრიფნენ, როგორ დარჩა მარტო აულაგებელ სუფრასთან, გადმობრუნებულ ყავის ფინჯნებთან და თავის ვეებერთელა სევდასთან.

როსტომ ბეჟანიშვილი

სამოციან წლებში როსტომ ბეჟანიშვილის, როგორც ახალგაზრდა პროზაიკოსის სახელი საკმაოდ გახმაურებული იყო.

მახსოვს მწერალთა კავშირში მისი მებრძოლური გამოსვლებიც.

მახსოვს „დუეტი“ გურამ გვერდწითელთან. არ ვიცი, ამ ჭიდილში ვის დარჩა გამარჯვება, მაგრამ როსტომ ბეჟანიშვილმა გურამ გვერდწითელს ერთი უაღრესად საინტერესო პოლემიკური წერილი რომ „გამოტყუა“ ფაქტია.

გარდა პროზისა, საინტერესო ლიტერატურული ნარკვევები დაწერა ნიკო ლორთქიფანიძეზე და ვასილ ბარნოვზე.

თედო ბექიშვილი

მწერალთა კავშირში, ცხრა აპრილით გულდამდუღრული მწერლების მიტინგზე, მათ შორის, ვინც პარტიის მანდატი დადო, თავმჯდომარემ პირველი თედო ბექიშვილი გამოაცხადა.

თედომ პირველმა გადააწოდა მანდატი: დინჯად, წყნარად, გულზე ხელის ბრაგუნის გარეშე, სიტყვაც არ უთქვამს, ყურადღება რომ არ მიექცია ფეხზეც არ ამდგარა – დამინახეთ მანდატს ვდებო, გადააწოდა, მორჩა და გათავდა.

გავხედე და არც გამკვირვებია: თავისი პოეზიიდან და მისი პიროვნებიდან გამომდინარე თედო ბექიშვილი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო.

ახლა ეს ყველაფერი ჭეშმარიტი პოეტის ცხოვრების ეპიზოდია, მაგრამ იმ წუთში ნიშნავდა მარტო სამსახურის დატოვებას, მარტო წიგნების გამოცემაზე უარისთქმასთან შეგუებას და საერთოდ მოკვეთას კი არა, ვინ იცის, იქნებ მომავალი რეპრესიებისთვის მზადყოფნასაც.

მთის კაცის უტეხი ნებისყოფა და მოყვასისადმი ერთგულება, რაინდული სული და მამულისადმი ზღვარდაუდები სიყვარული ჩანს თედო ბექიშვილის პოეზიაში.

პირველივე ლექსებიდან დღემდე მას თავისი პოზიცია, მსოფლხედვა, სინამდვილისადმი დამოკიდებულება, ლიტერატურული ხელწერაც კი არ შეუცვლია.

ორთოდოქსულობა პოეტის დიდი ღირსებაა.

თედო დროის დუდუკზე არ დაროკდება, ეპოქის ოსპის წვენს არ მიუჯდება და განუცდელ ჭეშმარიტებასაც გუნდრუკს არასოდეს უკმევს.

სამშობლოს მძიმე ყოფის, შიგნიდან გამტყდარი ციხეების, თავისუფლებაწართმეული ხალხის, დათრგუნვილი პიროვნების, მამულისათვის თავგანწირვის და სახალხო ამბოხების ზარი რეკავდა მის ლექსებში და ახლაც რეკავს.

თანამედროვე საქართველოსადმი მიმართული ჯავრისაგან გამშრალი გულიდან ამონადენი სიტყვებია, აბა სხვა რა არის:

შენივე გღადრავს ყელს,
მოყვარეს, შენსას, რეგვენს,
ვერ გაუგია დღეს,
თუ რა ზარები რეკენ.

ლიბრი გიბრმავებს მზერას
გუნდრუკს ცრუ ბომონს უკმევ,
მახვილის ხელში ჭერას
გადაჩვეულხარ უკვე.

P.S. საქართველოს ჩრდილო ჭიშკართან, მთის პატარა სოფელში თავის ქვეყანას დარაჯობს ახლა თედოს ეული საფლავი, მაგრამ ვაი რომ ამაოდ, თეთრმა დათვმა კვლავ გადმოლახა დარიალი და საქართველოს თავისი ბინძური ფეხი დაადგა.

თამაზ ბიბილური

ამას წინათ კიდევ ერთხელ გადავიკითხე „ჟამი კითხულისა“.

ეგზოტიკური, ხშირად მისტიკური სამყარო, ადამიანთა შორის იდუმალი, შიგადაშიგ არაამქვეყნიური რომანტიკული ურთიერთობანი, დაკვირვებული მკითხველისათვის მისახვედრი ეროვნულ-სოციალური ქვეტექსტები, პერსონაჟთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა...

მოკლედ, პროფესიონალის დაწერილი, მაღალმხატვრული რომანია.

მაია ბირიუკოვა

ამ კეთილშობილმა რუსმა ქალმა ყველაფერი –პირადი ცხოვრება, კოლოსალური ენერგია, ლიტერატურის სანაქებო ნიჭი შესწირა ქართულ მწერლობას, ჩვენი წიგნების რუსულად თარგმნას და ამ გზით (რაკი სხვა გზა არ იყო) მსოფლიო ბაზარზე გატანას.

იგორ ბოგომოლოვი

იგი იმ ბრწყინვალე განმანათლებელთა („რაზნოჩინელთა“) უკანასკნელი მოჰიკანია საქართველოს კეთილი გულის ფასი რომ იცოდნენ, ქართული მწერლობის, ქართული ფენომენის ღირსებას პატივს რომ სცემდნენ და საქართველო „კავკასიის მთებად“ არ მიაჩნდათ.

გაიხსენეთ მისი ჭეშმარიტად ვაჟკაცური, პატრიოტული პოზიცია უკანასკნელი წლების მანძილზე და ამ ქართული მოღვაწის ბრძოლა რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ.

პროფესორი იგორ ბოგომოლოვი თავისი დროის ღირსეული შვილი და ტკბილ-მოქართულე მწერალია.

ზაურ ბოლქვაძე

ზაურ ბოლქვაძე ლაღი, ამღერებული ლექსით და ბობოქარი ცხოვრების წესითაც პაოლო იაშვილს და ლადო ასათიანს მაგონებს.

მის პოეზიაში გასაოცარი ენერგია ჩანს და დიდებული ნიჭის ულევი ზოდები.

ყოველთვის ნერვიული და დაძაბული, იგი მოსაწყენი საუბრებიდან პირველი გარბის. ერთ კეთილ ხუმრობას ანაცვალებს ხშირად ფიქრთა ფილოსოფიურ სალტო-მორტალეს.

როცა ელაპარაკები, ძალაუნებურად გადაგედება მის გონებაში ჩაკირული სიჩქარე, გრძნობ, მისი გული უფრო ჩქარა ფეთქავს, ვიდრე შენი და, თუ მაჯისცემა მისას არ ააყოლე, შეიძლება ფაცერში მოყოლილი კალმახივით ერთი გაისხმარტალოს და ისევ ზვირთებს მისცეს თავი.

სიკეთით აღსავსე კაცია.

ჩვენ ხანდახან კამერტონივით მის გულუბრყვილო სიწმინდეზე და სისპეტაკეზე ვაწყობთ ხოლმე ცხოვრების წუმპეს გადარჩენილ, დამტვერილ და დაცლილ ნერვებს.

მისი ლექსებიდან ხშირად ზარი მოისმის, ტკივილისა და სინანულის ისეთი გულწრფელი ზარი, თმას რომ აგიბურძგნის, სულს რომ აგიფორიაქებს.

სულ მიტევების, სულ შერიგების მქადაგებელი, თვით გასაკვირველად უკომპრომისოა მამულის სიყვარულში. ჩვენს საერთო საზრუნავში, პიროვნების და მამულის განთავისუფლებისათვის წმინდა ბრძოლაში.

ასეთად ვხედავ ახლა, ამ წუთში ზაურ ბოლქვაძეს მის წიგნებში და საქვეყნო საზრუნავში ყელამდე ჩაფლულს, შინაგანი წვისგან თითქოსდა სახეზე ალმურმოდებულს, ღიმილით თვალმოჭუტულს, გასაქცევად გამზადებულს, გამხნევებისათვის და თანადგომისთვის მუდამ მზად მყოფს, იშვიათად ნათელ იმედებში ნაღველშერეულს, ბრძოლისთვის მუშტებშეკრულს, ამაყს, სუფთას და მართალს.

ახლახან სამოცი შეუსრულდა.

ზაურ ბოლქვაძის პოეტური ქურა კვლავ ძელებურად იწვის და ანათებს. ჭეშმარიტი ინტელექტით აღბეჭდილი მისი პოეზია კვლავ ლექსფრთიანობით, კონკრეტულობით და სინატიფით, თვითმყოფადობით და მომხიბვლელი სისადავით გამოირჩევა.

თითქმის ორი ათეული წელია „ნიანგს“ რედაქტორობს.

თავისი სიკეთე გადადო ამ სუსხიან ჟურნალს და ისიც ზაურს დაემსგავსა, რედაქტორივით მართალი და კეთილშობილი (ზოგჯერ უწყინარიც) გახდა.

თვით ზაურს განსაცვიფრებელი, ოკეანესავით ულევი იუმორის გრძნობა აქვს.

მის კაბინეტში შესულს თავზე დამეფრქვევა ხოლმე იუმორის ისეთი ჩანჩქერი, რომ ხარხარისაგან პირის დამუწვის საშუალება არა მაქვს და ხანდახან გაოცებული ქალბატონი სონია (რედაქციის მდივანი) შემხედავს, რაშია საქმე, ასე გულიანად რა ახარხარებთო.

რაც შეეხება „ბაქოს პოემას“ („ნიანგის“ სტუმრობა ბაქოში) იგი ქართული ნახევრადსკაბრეზული (დელიკატურობის გამო ყველა ადგილის დაბეჭდვა ან ქალებთან საზოგადოებაში ხმამაღლა თქმა რომ არ შეიძლება) იუმორის მწვერვალად მიმაჩნია და თავიდან ბოლომდე ზეპირად ვიცი.

უხორცოსავით უშიშარი, მებრძოლი პოეტი და რედაქტორია.

მახსოვს ცხრა აპრილის ელდის შემდეგ კარგა ხანს მაინც ჩვენი პრესა შეშინებული თაგვივით რომ იყო სოროში გატრუნული და მომხდარს ზოგჯერ ორჭოფულ, ზოგჯერ კომუნისტურ შეფასებას რომ აძლევდა, ზაურ ბოლქვაძემ „ნიანგის“ ყდაზე დაახატვინა „საბჭოთა ჯარისკაცი“ სისხლიანი ნაჯახით ხელში, რომელიც თავს ესხმის უმწეო ქალებს და ბავშვებს.

დამერწმუნეთ, ეს საქციელი მაშინ მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი გახლდათ.

რამდენჯერმე მითქვამს შესაფერის სიტუაციაში გარდაცვლილ მეგობარზე დაწერილი ზაურ ბოლქვაძის ეს საოცარი მიგნებით დამუხტული ერთსტროფიანი ლექსი:

გადაუარა ბალახმა
საფლავს – სიცოცხლის წერტილს!
ჩემთვის შენ როგორ არა ხარ,
მე აღარა ვარ შენთვის.

ჩემი საყვარელი ლექსების რიცხვს მიეკუთვნება პოეტის უაღრესად სადა და ნატიფი ლირიკული ავტოპორტრეტი:

ჩემგან შორსაა არდავიწყება,
და უკვდავების მკრთალი ლანდები,
მე ამ პატარა ლექსში ვიწყები,
და ამ პატარა ლექსში ვთავდები...

არ არის ასე. ზაურ ბოლქვაძის მშვენიერი პოეზია და მართალი კაცობაა ამის თავდები.

მერი ბოლქვაძე

მიტოვებული სახლი აკლდამას წააგავს. თვალები ჩამქრალი აქვს. საწოლქვეშ თაგვი შეუშფოთებლად ფხაჭუნობს, ყველაფერს მტვერი დასდებია.

და აი დიდი ხნის შემეგ გამოჩნდნენ სახლის ბინადარნი. მწერალი ისე ოსტატურად ხატავს სახლის გაცოცხლებას, რომ უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ, ბუხარში ცეცხლი გაფაჩუნდა, სახლმა თვალებში გამოიხედა.

ეს მოთხრობა დიდი ხნის წინათ მაქვს წაკითხული, მაგრამ მიტოვებულ სახლებს რომ ვნახავ (და ასეთი ჩვენს სოფლებში საუბედუროდ იშვიათი როდია) მაშინვე გამახსენდება ხოლმე.

ავტორი მერი ბოლქვაძე გახლავთ.

ბაჩანა ბრეგვაძე

ბიბლიის თარგმნამ (ზურაბ კიკნაძესთან ერთად) უნიჭიერესი მთარგმნელის ბაჩანა ბრეგვაძის ნინა ნამუშევრები ერთბაშად დამავიწყა.

თორას ხუთწიგნეულის ახალქართულად აჟღერება საეტაპო საფეხურია არამარტო ბაჩანა ბრეგვაძის შემოქმედებაში, ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებაში საერთოდ.

ჩვენ, ძველებს, ისე გვაქვს გულისყური მიჩვეული ძველ ბიბლიაზე, რომ გვგონია ბიბლიას არქაული ქართული უფრო უხდება, ამიტომაც ციტატებს კვლავ ამ ბიბლიიდან ვიშველიებთ, „ნუ განიკითხავთ რათა არ განიკითხნოთ“– გვირჩევნია ბაჩანასეულ „ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ“-ს მაგრამ ეს ტრადიციის მტკივნეული შედეგია ჩვენს გონებაში ერთხელ და სამუდამოდ რომ ჩაკირულა.

სინამდვილეში „ბიბლიის“ ახალი თარგმანით ერთბაშად იქცა იგი ხალხის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომად.

„ახალ“ ბიბლიაზე თაობები გაიზრდებიან.

ლუიზა ბოჩკოვა

„კრიტიკაში“ პირველად ლუიზა ბოჩკოვას წერილი რომ წავიკითხე, სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე (კოლეგიის წევრი გახლდით) რაღაც ხომ უნდა მეთქვა და რედაქტორს შევნიშნე: ლაზათიანი ქართულითაა თარგმნილი ლუიზა ბოჩკოვას სტატია და მთარგმნელის გვარი რატომ არ აწერია-მეთქი, რა თარგმანი, რის თარგმანი, ლუიზა ბოჩკოვა სამაგალითო ქართველი კრიტიკოსიაო.

მერეც ბევრჯერ მომეცა საშუალება ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში პირადად დავრწმუნებულიყავ.

თენგიზ ბუაჩიძე

დილით საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელის იდეოლოგიურ სამსახურში ტრიალებდა, რათა ყვარყვარიზმის ტანკს, რაც შეიძლება ნაკლები ეროვნული ყვავილი გაესრისა, შუადღისას კულტურის მინისტრი შავი ვოლგით ვარძიისაკენ მიჰქროდა და ქართული ისტორიული ძეგლების გადარჩენისთვის ზრუნავდა.

თავგადაკლულ პატრიოტს ოფიციალური მანტია ემოსა. რა ძალა ადგა? კარგად იცოდა, რომ თუ თენგიზ ბუაჩიძე უარს იტყოდა, ამ ადგილს პარტიული კარიერისტი დაიჭერდა და აღმა ხნულს დაღმა ფარცხვას მიაყოლებდა.

ბოლოს მაინც ვერ გაუძლო. სწორედ მაშინ, როცა ბრწყინვალე პარტიულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ფუნქციონერის მედალიონი მოიხსნა და შორს მოისროლა.

ვერ გაუძლო იმიტომ, რომ იმპერიის სიდამპლეც აშკარად დაინახა და ერის წინაშე თავისი მოვალეობაც საბოლოოდ გაისიგრძეგანა.

ზედიზედ გამოაქვეყნა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აშკარად მიმართული რომანები: „გზა ბავშვობისაკენ“ და „აღსარება“.

ამას წინათ ბრძნული შეგონებებით, ფილოსოფიური მიგნებებით დამუხტული მისი მცირე პროზა წავიკითხე.

ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობაზე აღარას ვამბობ.

...მოულოდნელად შხაპუნა წვიმასავით გაგვშორდა თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით სწორედ რომ შხაპუნა წვიმასავით გაალბო თანამედროვეთა მკაცრი გულები.

კიტა ბუაჩიძე

კიტა ბუაჩიძის დრამატურგია ქართული მწერლობის მშვენიერი ფურცელია.

სამწუხაროდ, ქართულმა თეატრმა სათანადოდ ვერ შეაფასა უნიჭიერესი დრამატურგის შემოქმედება, ვერ გამოიყენა მისი შესაძლებლობანი.

გულისყურიანი რეჟისორის მხარდამხარ, თეატრის დაკვეთით ფრთებშესხმული კიტა ბუაჩიძე ეროვნული დრამატურგიის ისეთ შედევრებს შეჰქმნიდა, რომ არაერთ თეატრს ასაზრდოებდა.

მაგრამ, ვისღა დავუმალოთ, კიტა ბუაჩიძის პიესებსაც გულგრილობის კედელი ჩრდილავდა; სამ თვეში დაწერილი პიესის წაკითხვას ექვს თვეს ანდომებდა რეჟისორი, მერე, უკეთეს შემთხვევაში, სამი წელი მაინც ველოდი დადგმასო, იტყვის ხოლმე.

აი, ასეთი ურთიერთობა მოსდგამს ტრადიციად ქართულ თეატრს მწერლისადმი, სამაგიეროდ თეატრალურ პლენუმებზე დგანან ყელმოღერილი რეჟისორები და წუწუნებენ: დრამატურგები არ გვეხმარებიან, მწერლები მხარში არ გვიდგანანო.

კიტა ბუაჩიძე ჭეშმარიტი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწეა.

მისი „შავი წიგნი“ ერის საჭირბოროტო პრობლემებზე გულატკივებული კაცის განგაშია, რასაც სამწუხაროდ, ათეული წლების განმავლობაში საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა ყურად არ იღებდა.

დისიდენტი კიტა ბუაჩიძე, დიდხანს იყო რეპრესირებული, მაგრამ ვერ გატეხეს და მამულის გადარჩენისთვის ბრძოლის ჟინი გულიდან ვერ ამოაღებინეს.

ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწეა თავისი სულიერი წყობით.

ლეგენდასავით დადის საქართველოში ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაურიგა წლების განმავლობაში დანაზოგი ფული უცნობ მრავალშვილიან ოჯახებს.

გივი ბუთხუზი

განსაკუთრებით მისი საბავშვო მოთხრობები მომწონს.

კარგი მთხრობელია, ბავშვის ყურადღების მიპყრობას ოსტატურად ახერხებს.

„დაბრუნება“ მაქვს წაკითხული.

რევაზ გაბრიაძე

უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით. ერთად ვრედაქტორობდით „ჭინჭარს“, ერთად გამოვედით ლიტერატურულ ასპარეზზე.

მერე ჩვენი გზები გაიყარა. რეზო სცენარისტობამ გაიტაცა და მალე სახელმოხვეჭილი სცენარისტ-დრამატურგი გახდა.

დღეს საქართველოში მეორე არ მეგულება ისეთი მახვილი თვალისა და მაღალი, კეთილი იუმორის მქონე პროფესიონალი კინოსცენარისტი, როგორიც რევაზ გაბრიაძეა.

განსაკუთრებით იღბლიანი გამოდგა გიორგი დანელიასთან მისი თანამშრომლობა.

გია დანელიას საუკეთესო ფილმების სცენარები რევაზ გაბრიაძეს ეკუთვნის.

ამ ბოლო დროს მარიონეტების თეატრი შექმნა და მსოფლიო სახელი მოიხვეჭა.

„ალფრედი და ვიოლეტა“, „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ ვიდეოკასეტაზე მაქვს ჩაწერილი და ყოველთვის სიამოვნებით ვუცქერი.

რევაზ გაბრიაძის პროზა (რაშიც მეტად ძუნწია), სცენარები და პიესები მათ ავტორს განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს ქართულ მწერლობაში.

ნელი გაბრიჩიძე

სამოციანელია.

ნელი გაბრიჩიძის მიერ ლიტერატურაში განვლილი გზა მკაფიო და სწორი გზაა, ადამიანის გულისკენ მიმართული. მისი გაკეთილშობილების სურვილით განათებული.

მახსოვს მისი „ღია წერილებიც“ და „განცხადებებიც“ ადამიანის გამოქომაგებისათვის, ერის ღირსებისათვის დაწერილი.

ზვიად გამსახურდია

მწერალთა კავშირიდან რომ გარიცხეს იმ დღეს ჩვენ, რამდენიმე ახალგაზრდა მწერალი, ქვემოთ ფოიეში ვიდექით. სერობა რომ დამთავრდა, პირველი, ერთი გახმაურებული, მაგრამ გრაფომანი პროზაიკოსი ჩამოვიდა კიბეზე, ისე ყინჩად და ამაყად მოდიოდა, თითქოს უკვირდა, ტაშს რატომ არ მიკრავენო.

ეს რა ჩაიდინეთო, ვიღაცამ სულის მოთქმა არ აცალა, თქვენ ხართ მწერლებიო?

ენას ნუ ატლიკინებ, შენ შეგტკივა გული ჩემი მეგობრის შვილზე და მე არაო?! ამრეზით უთხრა პრეზიდიუმის წევრმა, ასე იყო საჭირო, დღეს მაგის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობდაო.

„კარგად გადაგირჩენიათ“-მეთქი ჩავილაპარაკე.

ახლა მე მომიბრუნდა და ქოქოლა დამაყარა: მადლობელი იყავით გარიცხვას რომ ვაკმარეთ, დავალება გვქონდა პროკურატურისთვის გადაგვეცა, მაგრამ ეს არ გავაკეთეთო. შენ რა იცი, რანაირად გადავდეთ დღეს თავი ზვიადისთვისო.

გავიდა ხანი. ზვიადი, რასაკვირველია, დააპატიმრეს.

1987 წელს ვახტანგ გურგენიძემ წამაკითხა იმ პრეზიდიუმის ოქმი, რომელზეც ზვიადი გარიცხეს.

არც ერთი, სახელოვან ქართველ მწერალთაგან არც ერთი არ ამბობს: ვაპატიოთო. რა ჰქონდა საპატიებელი.

„კრიტიკაში“ ვმუშაობდი, ავაწყვე ზვიად გამსახურდიას წერილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე. მაშინდელმა ცეკას მდივანმა მერეხი დამატეხა თავს – ახლავე ამოიღე, თავის ხელნაწერ ჟურნალში დაბეჭდოსო. ეს იყო 1987 წელს.

დავურეკე ზვიადს, ასე და ასე მითხრა ენუქიძემ-მეთქი. ვიცოდი, რომ ასე იზამდნენო.

1988 წელს გადავწყვიტე დამებეჭდა ის ოქმი, გამოვართვი ვახტანგ გურგენიძეს, ჩავუშვი, იგივე ისტორია განმეორდა.

მერე მალე მომხსნეს „კრიტიკის“ რედაქტორობიდან.

ის, რაც ზვიადმა, როგორც პოლიტიკოსმა გააკეთა საქართველოს ისტორიას მუდამ დაამშვენებს – მან კომუნისტური წყობა დაამხო საქართველოში.

ნიჭიერი ლიტერატორია – პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი.

მშვენიერი ლექსი აქვს მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი.

იგავ-არაკებიც კი აქვს დაწერილი, თანამედროვე იგავ-არაკები, ალეგორიული ქვეტექსტიანი.

მისი ახალი წიგნი „საქართველოს მისია“ მსოფლიოს ცივილიზაციაში საქართველოს ადგილის გარკვევის ცდაა.

წლები გარბის.

დიდი ხნის შემდეგ ალბათ ასე მოხდება:

მწერალთა კავშირის ბაღში ისევ შევხვდებით ერთმანეთს წლებისაგან დამძიმებულნი, გათეთრებულნი, მოვიგონებთ, ვიმასლაათებთ, რისი გაკეთება შევძელით, რისი ვერა; რა შეგვეშალა, რა სწორად, ლარ-თარგზე გავზომ-გავჭერით.

ღმერთმა ნუ ქნას სხვანაირი დასასრული.

1993 წ.

გიორგი გაჩეჩილაძე

ქართველ კრიტიკოსთა ინტელექტუალური რაზმის წევრია.

ცოტას წერს, მაგრამ ლამაზად წერს. ხანდახან მომჩვენებია, რომ ლირიკული წიაღსვლებით გართულს შიგა და შიგ ავიწყდება ის მწერალი, ვისი შემოქმედების განხილვაც დაუსახავს მიზნად.

იგი ლიტერატურული თეთრ-შავის გამრჩევი კი არ არის, ესეისტი და იმპროვიზატორია. ლიტერატურულ პირველწყაროზე ახალ ნაწარმოებს წერს.

რასაც წერს, ჟანრულადაც ორიგინალურია და ახლომახლო მსჯელობა ეხერხება.

ურიგო წერილები როდი დაწერა შოთა ნიშნიანიძეზე, ჭაბუა ამირეჯიბზე, რეზო ჭეიშვილზე...

ამას წინათ კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გამაოცა ამერიკაზე დაწერილი ნარკვევით. დიპლომატის სიფაქიზე-სიფრთხილით საუბრობს პოლიტიკის ურთულეს საკითხებზე.

აკაკი გაწერელია

ბატონი აკაკი დღეს ქართული მწერლობის ერთ-ერთი პატრიარქია.

ჭეშმარიტი ესთეტი, უაღრესად კეთილშობილი, რომ იტყვიან, ნამდვილი დენდია ქართულ მწერლობაში.

ენციკლოპედიური განათლების კაცს თავისი მკაფიო ხნული გააქვს, თავის გზას ერთგულობს. ისე სუფთად გამოიარა წუთისოფლის ურთულესი ხვეულები, რომ პარტიის წევრობა რაა, პარტიაშიც არ შესულა.

მის ნაწერში მაღალი ინტელექტი და კეთილი სული გამოსჭვივის.

მრისხანეც გახლავთ, თვით არავის ერჩის, მაგრამ თუ შეუტიეს, არავის არაფერს შეარჩენს. რკინის ქალამნებს ჩაიცვამს და საფლავის კარამდე ჩასდევს არასწრად, ტენდენციურად შემპაექრებელ-თავდამსხმელს.

შედარებით სუსტია შამილზე დაწერილი მისი რომანი.

გურამ გეგეშიძე

„ცოდვილზე“ წერილი, მგონი, ჩემი პირველი პოზიტიური წერილი იყო. მანამდე კრიტიკული კბენის რამდენიმე „ილეთი“ მქონდა ჩატარებული ქართულ მწერლობასთან.

ვერ დავმალავ, გურამ გეგეშიძის ახალი რომანიც განქიქების განზრახვით ავიღე ხელთ. რატომ მაინცდამაინც განქიქების? ვერ აგიხსნით, არ მინდოდა პანეგირიკთა მოსაწყენ რიგებს მივმატებოდი და ოცი წლის ყმაწვილს ნამდვილი კრიტიკა მხოლოდ „მომთხრელი“ კრიტიკა მეგონა.

ჩავუჯექი „ცოდვილს“ და პირველი გვერდებიდანვე მიმიზიდა სამოცდაათიანი წლების ახალგაზრდა ქართველი კაცის ცოდვა-ბრალიანმა ცხოვრებამ. ვამეხ გურამიშვილის იდუმალებით მოცულმა, ვაჟკაცურმა პიროვნებამ, ჩვენი მკაცრი სინამდვილის მართლად ჩვენებამ.

მახსოვს, ჩემ სტატიაში მხოლოდ ერთი შენიშვნა გამოვთქვი; ენის სიღარიბის შესახებ.

მერე გურამ გეგეშიძემ გიგანტური ნაბიჯით იარა ქართულ პროზაში და დღეს ჩვენი მწერლობის თანამედროვე სახის ერთი განმსაზღვრელთაგანია თავისი ჭეშმარიტად მებრძოლი რომანებით, მაღალი პროფესიონალიზმით.

გივი გეგეჭკორი

„სეზამ გაიღე“, „ტრანზისტორი“, „მეთხუთმეტე პალატა“ – ამ პოემებით გივი გეგეჭკორმა, უახლეს ქართულ მწერლობაში ლირიკული პოემის აღორძინება დაიწყო. მისი თაობის თითო-ოროლა პოეტთან ერთად ახალ ორიგინალურ, ტრადიციის გამძლე საყრდენებზე დამყნილ, მაგრამ უაღრესად თავისებურ პოეზიას დაუდო სათავე.

ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა ყველაფერს სწავლობს გარდა „სამოციანელთა“ მიერ შეტანილი კონკრეტული წვლილისა მეოცე საუკუნის მწერლობის ჟანრულ სრულყოფაში, არა და დრო გარბის. „სამოციანელებმა“ უკვე სამოცს გადააბიჯეს.

მომწონს გივი გეგეჭკორის ლექსი „მეცხრამეტე საუკუნის პოეტებს“. გულს ჩამრჩა ამას წინათ „მნათობში“ დაბეჭდილი მისი ლექსი საქართველოს მოწყენაზე, ცხრა აპრილის ექოზე დაწერილი.

თავის დროზე ნათქვამი გაბედული პუბლიცისტური ლექსია გივი გეგეჭკორის „ფეოდალი“.

საერთოდ, სამაგალითოდ მიმაჩნია გივი გეგეჭკორის სანთელივით ჩუმად წვა და პატიოსანი, უამბიციო, ცხოვრება მშობლიურ ლიტერატურაში.

აკაკი გელოვანი

ასე მგონია, ეს კაფანდარა, სუსტი კაცი ლიტერატურული სიზარმაცის დასათრგუნავად და „იატაკქვეშა გენიოსთა“ გასაბრაზებლადაა მოვლენილი ამქვეყნად.

ამას, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვამბობ.

მსოფლიო ხელოვნებაზე დიდი წიგნი დაწერა და გააკრიტიკეს. უზარმაზარი მითოლოგიური ლექსიკონი შეადგინა და ქვა ესროლეს. გერმანულიდან უშველებელი წიგნები თარგმნა და უკბინეს, რომანები დაწერა და არ დაინახეს.

აქამდე არ მითქვამს და ახლა ვამბობ: აკაკი გელოვანის კრიტიკოსთაგან უმეტესი ხმას იმიტომ უფრო იღებდა, რომ გუნება გაეფუჭებინა ფუტკარივით მშრომელი მწერლისთვის, ან ქვეყნისთვის გაეგებინებინა: ამ საქმის „სპეციალისტი“ მე ვარ, ეს მე უნდა გამეკეთებინა და აკაკი გელოვანმა როგორ შეჰბედათ.

აკაკი გელოვანის ქარავანი კი მიდის.

ადი-ჩამოდის აკაკი გელოვანი ჩვენი რედაქციების კიბეებზე, ხან უცხოურ ენციკლოპედიებში შეცდომით დაბეჭდილი ქართული ამბის გამო აღშფოთებული, ხან ოსი და აფხაზი ექსტრემისტების თარეშით განრისხებული, ხან ჰუჯაბის წართმევის ცდებით განაწყენებული.

თავის ქვეყანას ემსახურება, თავის ერს გუშაგობს.

აკაკი გეწაძე

აკაკი გეწაძე ლექსებით შემოვიდა ქართულ მწერლობაში.

ომგამოვლილი გახლავთ, პუბლიცისტურ, ომახიან ლექსებს წერდა.

მერე რომანი „ყარამან ყანთელაძე“ გამოაქვეყნა და ერთბაშად წარმოსდგა ჩვენ წინაშე ქართველი გლეხკაცის ზნებუნებისა, ფოლკლორის, საქართველოს ისტორიული სატკივრების ღრმად მცოდნე მწერლად.

ლაღი, მსუბუქი იუმორითაა დაწერილი „ყარამან ყანთელაძე“, ქართველ ჯარისკაცთა მძიმე ყოფის და გმირობის მართლად ამსახველი პიესაა „წმინდანები ჯოჯოხეთში“.

რომ იტყვიან, ზღვას გადაურჩა და ღელემ კინაღამ დაახრჩო. ამ რამდენიმე წლის წინათ ცხოვრებამ მძიმე გამოცდა მოუწყო; კატასტროფაში ფეხი დაკარგა.

საავადმყოფოში რომ ვინახულე, სიცილით შემხვდა, იქ ფრონტზე რომ მომსვლოდა, დავიღუპებოდი, ყოველდღე ცეცხლის წვიმაში გაქცევ-გამოქცევა მიწევდა, აქ, რაგორმე გაძლებ ცალი ფეხითაცო.

ეს ბატონი აკაკის სიცოცხლისმოყვარეობის და გულახდილობის დასტურად გავიხსენე.

გურამ გვერდწითელი

გურამ გვერდწითელი თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი სარდალია. მწერლობისადმი მისმა დამოკიდებულებამ მეტ-ნაკლებად განსაზღვრა ჩვენი კრიტიკის დონეც და ავტორიტეტიც.

ბესო ჟღენტს უყვარდა თქმა: კრიტიკოსი, რომელიც ყველას უყვარს, კრიტიკოსი არ არისო, გურამ გვერდწითელი კი იმ გამონაკლისთა შორისაა, არაერთი რომ დაუსუსხავს კრიტიკული ჭინჭრით, მაგრამ ყველა მწერლისადმი ინტელიგენტური პატივისცემა და კეთილგანწყობა შეუნარჩუნებია.

დღესაც (არაერთი კრიტიკოსის წიგნი, თვალისდახამხამებაში რომ დაბერდა კონიუნქტურისა და იდეური „დამთხვეულობის“ გამო) ინარჩუნებს შემეცნებით მნიშვნელობას და აქტუალობას გურამ გვერდწითელის წერილები მიხეილ ჯავახიშვილზე, რეზო ჭეიშვილზე.

ამ ბოლო წლებში გამომცემლის განსაცვიფრებელი ნიჭი გამოიჩინა. ყველაზე ჩამორჩენილი „მერანი“ ყველაზე უკეთეს გამომცემლობად აქცია. ვერ წარმომიდგენია რა ეშველებოდა „მერანს“ უგურამგვერდწითელოდ.

ვასილ გვეტაძე

„მთელი სიცოცხლე მე ვემზადები ერთი სტრიქონის ამოსათქმელად“, უწერია ერთ ლექსში ბატონ ვასილს.

მახსოვს ახალგაზრდობაში ამ სტრიქონზე პაროდია დავწერე:

„ზუთხებს ვინ მისცათ რითმის ზოდები,
ან უკვდავება ქუდად, სარქმელად,
„მთელი სიცოცხლე მე ვემზადები
ერთი სტრიქონის ამოსათქმელად“.
ერთმა სტრიქონმა, სტრიქონის ხვითომ
შემაზიარონ არნახულ ფერებს,
და ამიტომაც ლექსებს ვწერ თვითონ
(თუმცა თვითონვე ვკითხულობ მერე).

ამ პაროდიის დაბეჭდვის შემდეგ ცოტა ხანს შორიახლო ვუვლიდი, უნებლიედ ხომ არ ვაწყენინე-მეთქი. მწერალთა კავშირში შემხვდა და გადამეხვია, მადლობელო ვარო, ჩემზე თუ პაროდია დაიწერებოდა, არ მეგონაო.

ომიდან შეტრუსულ ფარაჯასთან ერთად ვაჟკაცობის ყადრი, მიტევების გრძნობა, სამშობლოს მტკივნეული განცდა და ახალი ლექსები ჩამოჰყვა.

სიამოვნებით ვკითხულობ ჩვენს ყოველდღიურობაზე დაწერილ მის მართალ ლექსებს.

გიორგი გიგაური

მის ხმას ის პირველყოფილი რიხი, ზარი და ხაფი აქვს ლექსის სამშობლოდან, ხევსურეთიდან რომ ჩამოჰყვა და ქალაქმა ნირი ვერ შეუცვალა, ვერ დაატკბო, ვერ დაალბილა.

გიორგი გიგაურის მუზა ახალ საქართველოს, ჩვენს ეროვნულ მოძრაობას უყოყმანოდ გვერდით დაუდგა და მის პოეტურ გუმანს ახალი, საიმედო ხმები მიწვდა, ხოლო პოეტურ პალიტრას ახალი ფერები შეემატა:

... ქვემეხთა გრიალს
ახშობენ ზარნი,
სამრეკლო სხივებს აბამს თოკებად,
მომხდურს
ათრთოლებს,
აშინებს,
ზარავს
ქართული სულის არდაოკება.

ასეთია გიორგი გიგაურის საამდროო განწყობილება.

გურამ გოგიაშვილი

ღრმადნიჭიერი პუბლიცისტი გურამ გოგიაშვილი იძულებული გახადა საბჭოთა წყობილებამ თავის რჩენისთვისაც შეფარებოდა დღიურ პრესას და წლების განმავლობაში გაზეთის რედაქტორის მძიმე ტვირთი ეზიდა.

ვინ აძალებდა? ერთი მიზეზი უკვე მოგახსენეთ. მეორე ის, რომ: მე რომ აქედან წავიდე, ვაითუ იმპერიის ერთგული, კარიერისტი-გარეწარი დასვან ჩემს ადგილზეო. მე, ავად თუ კარგად, იშვიათად მაინც გავაპარებ ხოლმე ერისთვის საჭირო ფიქრსო.

არადა ეცხოვრა გურამ გოგიაშვილს წესიერ დროში, ჰქონოდა საშუალება მთელი არსებით მისცემოდა ლიტერატურას, რამდენს რასმე კარგს შესძენდა ჩვენს მწერლობას.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს გურამ გოგიაშვილის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი „გარგანტუა და პანტაგრუელი“.

მე ქართულ ენაზე პროზის უკეთესი თარგმანი არ წამიკითხავს.

სახეობრიობა, ძარღვიანი ქართული, პასუხისმგებლობის გრძნობა, სამშობლოს დიდი სიყვარული ახლავს მის ნაკალმარს.

ახალ საქართველოს უპირველეს გაზეთს რედაქტორობს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ქართველ მწერალთა გულღია მასპინძელია.

ქვეყანა იცნობს გურამ გოგიაშვილის შთამბეჭდავ მოთხრობებს და მაღალპროფესიულ, მშვენიერ პუბლიცისტიკას.

ირაკლი გოგოლაური

ირაკლი გოგოლაურს ლექსებიც რომ არ დაეწერა, „ფშაური ხმით ნატირლების“ შეკრება და გამოცემაც ეყოფოდა, გემოვნებიანი, მოამაგე კაცის სახელის დასაგდებად.

თენგიზ გოგოლაძე

რომანით „კაცი კაცითა“ თენგიზ გოგოლაძემ დაამტკიცა, რომ მართალი ხასიათების შექმნაც ძალუძს და ეპოქის დვრიტისთვის ალღოს აღებაც.

ერთი ხელი მხატვარიც არის. ბრწყინვალე მეგობრული შარჟების ავტორია.

თამაზ გოდერძიშვილი

რამდენი ხანია მინდა თამაზ გოდერძიშვილის შემოქმედებაზე დავწერო ვრცელი წერილი და „ხვალე-ხვალეს“ წელში გამდგარმა ავადმყოფობამ არაერთხელ გადამადებინა.

თამაზი უაღრესად საინტერესო მწერალია. ჩვენი კრიტიკის მიერ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით წაუკითხავ-შეუმჩნეველი.

„ხუთი წითელი მიხაკი“ და „ხელში გამომწყვდეულ ბეღურასავით“ თანამედროვე ქართული პროზის თვალსაჩინო მიღწევაა.

კარგი პიესა დაწერა ამას წინათ ილია ჭავჭავაძეზე (მარჯანიშვილის თეატრმა დადგა).

ალექსანდრე გომიაშვილი

ბ-ნი ალექსანდრეს პოეზიას საქართველოს ჩრდილოეთი ჭიშკრისხევის სურნელი დაჰკრავს და სიტყვის ჯავარიც იქაური მოსდგამს.

ერთი ღონიერი მელექსეა.

„ადგილის დედა“ და „ისევ ეძახიან გერმანიას“ ბავშვობაში ზეპირად ვიცოდი.

მაყვალა გონაშვილი

ჩვენი „მშვენიერი მაყვალა“ თავისი მშვენიერი ლექსებივით მშვენიერია, ფაქიზი და მართალი.

ახალგაზრდა მწერალთა ასოციაცია „გულანის“ პრეზიდენტი გახლავთ და ეროვნული ფიქრებით გამსჭვალულ პოეტია.

ვახტანგ გორგანელი

ფარაჯიანთა თაობის ღირსეული წარმომადგენელია.

განსაკუთრებული მოწიწება მაქვს ომგამოვლილ ქართველ მწერალთა მიმართ. მათ რაღაც საერთო თვისებებიც აერთიანებთ (ბევრჯერ მითქვამს და უნდა გავიმეორო): გულგაუტეხლობა; სიკვდილის დამამარცხებელი ოპტიმიზმი, ვაჟკაცობის ყადრი...

ვახტანგ გორგანელის ლექსებში მამულისადმი ერთგულების, სიკეთის თანადგომის ომახიანი ყივილი ისმის.

ზურაბ გორგილაძე

დაუდგრომელი, დაუღალავი, სულ საძმოდ, სასიმღეროდ, სასიყვარულოდ შემართული, ლექსზე და სამშობლოზე შეყვარებული, გზადაბნეულის და გაჭირვებულის ხელის გამმართავი, ადრე ამდგომი და გვიან დამძინებელი – ასეთია ზურაბ გორგილაძე.

ალი გუგუციძე

ალი გუგუციძის ლექსები ახალ წიგნში („ლექსები“) ჩემი თანამედროვე, ალალ-მართალი, მოკრძალებული, მაგრამ ჭეშმარიტი პოეტი დგას.

ნოდარ გრიგალაშვილი

ნოდარის პირველი ლექსები მე დავბეჭდე „პირველ სხივში“.

აკაკი თოფურიასთანაც მე ვუშუამდგომლე, ასპირანტურაში რომ მიეღო.

მერე „კრიტიკაში“ დამხვდა და გამეხარდა, რომ რედაქციაში მუშაობდა ახალგაზრდა მწერალი ვის პატიოსნებას და უკომპრომისობასაც შეიძლებოდა დავყრდნობოდი.

ამდენ „მეს“ იმიტომ ვამბობ, რომ მეამაყება ნოდარ გრიგალაშვილის არსებობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

ლექსების წიგნი, საინტერესო გამოკვლევები მეცხრამეტე საუკუნის მწერლებზე, ნარკვევი პირველი სკოლის ისტორიაზე, მძაფრი პოლემიკური წერილები თანამეროვე ლიტერატურაზე, მებრძოლი პუბლიცისტიკა... ასე მდიდარია ამ ახლაზრდა კაცის შემოქმედებითი ხურჯინი.

ამას წინათ კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების ღრმადეროვნული წიგნი გამოსცა.

ავთანდილ გურგენიძე

მამულის სიყვარულს გულზე ხელის ბრაგუნი და ფიცი-მტკიცი არ სჭირდება, პოეზიაში იგი ისე უბრალოდ და ლამაზად შეიძლება გამოითქვას, როგორიცაა „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ არ გაიარე რაა მამული“, „ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს“... აქვე გამახსენდება ჩემი სიყრმის მეგობრის, შესანიშნავი საბავშვო პოეტის ავთანდილ გურგენიძის პატრიოტული ლექსის სტროფი. –

... და სამშობლოში დაბრუნებას ვინც არ ელოდა,
გაგიყოლია ვით სიცოცხლის
ძალა მარადი.
შენ მუჭა-მუჭა
გაგიტანეს საქართველოდან,
ალბათ, ამიტომ დაპატარავი.

ვახტანგ გურგენიძე

ნახეთ რა ჩაუქად იქნევს ხმალს ვახტანგ გურგენიძე ჩვენი საწალმართო აზრის საგუშაგოზე, რა ფხიზლად დარაჯობს მშობელ ქვეყანას, რა თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქართველის არგადაშენების საქმეში თავისი შთამბეჭდავი წერილებით მესხეთ-ჯავახეთზე, თურქეთის ქართველობაზე, საინგილოზე...

მკვეთრად გამოხატული დისიდენტური საქმიანობის გამო, ამას წინათ, საქართველოს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ მოხსნა მუზეუმის დირექტორობიდან, მაგრამ ერის ნებამ ისევ აღადგინა.

ჩემთვის მართალი კაცობის, შეუპოვრობის, ჭეშმარიტი მამულიშვილობის მაგალითია.

ბორის გურგულია

მაგიდაზე მიდევს მის მიერ მშვენიერი ქართულით მოწერილი წერილები, ამ წერილებში საქართველოს სიყვარულისა და პატივისცემის გარდა არაფერი ჩანს.

ბევრჯერ განმიცდია მისი კარგი ლექსებისაგან მოგვრილი სიხარული.

ამ ბოლო დროს ვიღაცამ მითხრა, ბორის გურგულია აფხაზთა ანტიქართული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერიაო.

ვერ დავიჯერებ.

ღმერთო, რამდენ ხანს შეიძლება ქართველებს (ძნელბედობისას გააფხაზებულთ) – გურგულიებს, ჩხეიძეებს, წერეთლებს, შენგელიებს, გაგუებს – გაჰყვეთ ადიღეური სენი და სუფთა ქართველებმა თავის თავს არარსებული ეროვნული ზედწოდება – აფხაზი დაარქვან.

ჩემი სამურზაყანოელი ბორისი, ნიჭიერი კაცი და ქართულ უნივერსიტეტში აღზრდილი ფილოლოგი, ისეთივე აფსუაა, როგორც უიარაღოს „მამლუქის“ გმირი იყო ვენეციელი.

ნოდარ გურეშიძე

ჩემი უწყინარი მეგობარი, ღრმად განსწავლული ინტელიგენტი, საინტერესო პოეტი და სამაგალითო მოქალაქე – ასე ვიცნობ ნოდარ გურეშიძეს.

ლექსებშიც, თარგმანებშიც, უცხოეთს მოგზაურობის დღიურებშიც

ყველგან უჩანს სამშობლოს ჭირისუფლის ფხიზელი თვალი, ქვას არ გადააბრუნებს გაუთვლელად და უანგარიშოდ, ის ვარაუდი და ანგარიში სამშობლოს თუ არაფერში წაადგება.

„მიწა და ვარსკვლავები“ მომწონს.

მაგალი თოდუა

„სპარსულ ლიტერატურაში ღრმად ჩახედული მეცნიერი და პოეტი მთარგმნელია.

ამას წინათ დაადასტურა ფაქტების მოძიებით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან ქართულად „ნათარგმანები“ არ არის, მაგრამ კვალი „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულისა აშკარად ჩანს სპარსულ კლასიკურ ლიტერატურაში. მისი კვლევის შედეგები მთლად დამაჯერებლად არ მეჩვენება, მაგრამ მეცნიერმა – უკეთ უწყის, რასაც ამტკიცებს...

წაკითხული მაქვს ბ-ნი მაგალის მიერ თარგმნილი ომარ ხაიამის რობაიები.

მახსოვს მის მიერ ოსტატურად გადმოქართულებული შუა საუკუნეების, რომელიღაც სპარსელი პოეტის ლექსი: „ფეხს დავკრავ და აფხაზეთს გავალ“, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს საერთო სახელწოდება იყო და არა ადიღეველთა მიერ მიტაცებული კუთხისა, როგორც ეს „აფსუებს“ წარმოუდგენიათ.

ვლადიმერ თორდუა

ომგამოვლილი, ჭირნანახი მწერალი და ჟურნალისტია. ჩემს სიყმაწვილეში „კომუნისტის“ ფურცლებზე თუ რამე წაიკითხებოდა, ვლადიმერ თორდუას შესანიშნავი ნარკვევები იყო.

ახალგაზრდა ჟურნალისტები მასწავლებლად ვთვლიდით, თვალზე ცრემლი მომგვარა მისმა პატარა მინიატურამ „ჩიტი“.

აკაკი თოფურია

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის როგორც მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი და გზის გამკვალავია.

ლეო ქიაჩელზე საინტერესო გამოკვლევა და რამდენიმე ყურადსაღები ლიტერატურულ-კრიტიკული წერილიც აქვს გამოქვეყნებული.

ახლახან მემუარების ბრწყინვალე წიგნი დაწერა.

ნინო თოფჩიშვილი

ათეული წლების განმავლობაში უანგაროდ ემსახურება მწერალთა კავშირს.

ირგვლივ სითბოსა და სიყვარულს აფრქვევს.

როცა ყველაზე ძალიან გიჭირს, სწორედ მაშინ დაგიდგება გვერდით და გაგამხნევებს.

როცა მწერალთა კავშირში ცხარე დისკუსია იმართება, ხან ერთ ჯგუფთან მიდის, ხან მეორესთან, ეხვეწება, ემუდარება აქოჩრილ მოკამათეებს – დაიოკეთ ნერვები, ნუ დაჭამთ ერთმანეთსო.

ზოგჯერ თარგმნის კიდეც.

კობა იმედაშვილი

უკანასკნელი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ არაერთი ქართველი მწერალი ახალ ამპლუაში – მებრძოლი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ამპლუაში წარმოგვიდგინა.

ერთი მათგანია კობა იმედაშვილი.

თუ მანამდე კობას ვიცნობდით, როგორც ობიექტურ კრიტიკოსს, საინტერესო ლიტერატურისმცოდნეს, დღეს იგი პოლიტიკოსიცაა, საქართველოს მტრების წინააღმდეგ ხმალს იქნევს და მიხარია, რომ ბრძოლის წინა ხაზზე ჩანს.

ყოველ შემთხვევაში, იმ თითზე ჩამოსათვლელ მწერალთა შორისაა „დროის დისტანციის თეორიას“ რომ არად დაგიდევენ და დღეისდღის სათქმელს დღესვე ამბობენ.

ამ ბოლო დროს სახალხო ფრონტიდან რუსთაველის საზოგადოებაში გადაინაცვლა, გავიცეპრეზიდენტდა.

რევაზ ინანიშვილი

რევაზ ინანიშვილი ჩვენს მწერლობაში იმ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც შეუძლია მშვიდად იყოს; მან საკუთარი მონეტა მოჭრა ჩვენს ლიტერატურაში.

ახალი, განუმეორებელი მხატვრული სამყარო შექმნა.

რევაზ ინანიშვილი იუველირის სიზუსტით ეკიდებოდა სიტყვას.

მისი ფრაზა გამჭვირვალე და ტევადია, მოვლენებთან მწერლის დამოკიდებულება კი უაღრესად პოეტური და ფაქიზია.

ძირითადად ლირიკულ ეტიუდებს წერდა, პროზის ამ მცირე ფორმაში შეძლო მან ყველაზე მეტად თავისი სტილის გამოხატვა და დამკვიდრება.

ორად ორი ნაწარმოები „ამოუხტა“ მხოლოდ ლირიკული ნაკადიდან ეპიკურისკენ – „ზღვისფერი გორგალი“ და „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. ვფიქრობ, მიუხედავად საყურადღებო ძიებებისა, ვერც ერთ მათგანში ვერ მიაღწია მწერალმა მისთვის ჩვეულ მხატვრულ სრულყოფას.

რევაზ ინანიშვილის ეტიუდების კითხვისას განწმენდის, სულიერი

კათარზისის განწყობილება ეუფლება, უნებურად ხელებზე დაიხედავ კაცი და პერანგის ღილებს მოსინჯავ ხელით, ამ სუფთა წიგნთან მოშვებული ხომ არ მოვედიო.

მოყვასისათვის ატკივებული გული ფეთქავს „ცოცხალი ჯვრების“ ავტორის შემოქმედებაში და იგი ისევე ვერ უძლებს გამოწვლილვით განჩხრეკას, ცივი გონებით შეფასებას, როგორც ბაღის ბოლოს, ფოთოლგაცვენილ კაკალზე შემომჯდარი „ზამთრისპირის სევდის“ დიდი, უცხო ფრინველი კაცის მიახლოებას.

რევაზ ინანიშვილის პროზა განმარტოებით დგას ჩვენს მწერლობაში, როგორც ღარიბი კაცის ხელისგულებით ნალესი ქოხი, მიზეზის გამო უფრო ახლობელი და საყვარელი.

პიროვნებაც თავისებურია: მოკრძალებული, არაკატეგორიული, არამჭექარე. „კრიტიკის“ რედაქტორად ყოფნის დროს რამდენჯერმე ვთხოვე, აზრი გამოეთქვა რომელიმე სხვა მწერლის შემოქმედებაზე.

თუ ძმა ხარ, ხალხს ნუ მომამდურებო, პროზაიკოსი რომ პროზაიკოსზე ლაპარაკობს, ან ერთია მოწაფის როლში, ან მეორეო. ყველამ თავისი საქმე იცის, აბა მე რა გამგე ვარ სხვისი საქმეებისაო.

არ ვეთანხმები ახლაც, მაგრამ ბ-ნი რევაზი ასეთია, თავისი პოზიცია აქვს, თავზე არასოდეს გახვევს.

მახსოვს ერთხელ მწერალთა კავშირში ტრიბუნიდან შევეკამათეთ ერთმანეთს მწერლის დანიშნულებაზე.

მე ვამბობდი მწრალი ბარიკადებზე უნდა იდგეს. სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლაში უნდა მონაწილეობდეს, ერს ბრძოლისათვის უნდა აღანთებდეს-მეთქი.

არაო, რა მწერლის საქმეა ბრძოლა და ბარიკადებიო, ლიტერატურას ლოკალური ფუნქცია აქვს, ადამიანს მხოლოდ ესთეტიკური ტკბობა უნდა მიანიჭოსო.

არ დავეთანხმე, მაგრამ შეხედულებათა სხვადასხვაობას ჩვენი კეთილგანწყობილებისა და მეგობრობისთვის ხელი არასოდეს შეუშლია.

ამ ხუთიოდე წლის წინათ ზუგდიდში შეხვედრაზე ერთად გახლდით. სასტუმროში ერთ ნომერში გვეძინა, ღამის დილამდე ვისაუბრეთ, ისე შემოგვათენდა, არც გაგვიგია.

ვლაპარაკობდით ჩვენს უბედურ დროზე, ცენზურაზე, მწერლობის შეკვეცილ ფრთებზე.

ახლაც თვალწინ მიდგას, საწოლზე მჯდარი და ნელა, კახელი გლეხის სიდინჯით, საოცრად ალალად და გულწრფელად მოლაპარაკე რევაზ ინანიშვილი.

ღმერთო, რა სუფთა კაცია, ვფიქრობდი და მისმა შემოქმედებამ, მისმა უღალატო კაცობამ არაერთხელ განმიმტკიცა ეს აზრი.

რა ზუსტად ხატავს დეტალებს, რა მახვილი თვალი აქვს და გულისგამთბობი იუმორი. სევდა რომ შემომაწვება „ბღუკებს“ და „ცეტებს“ (ამ ორ ბრწყინვალე ნოველას) გავიხსენებ და კარგ ხასიათზე ვდგები.

თავის მოთხრობებს თვითონვე მშვენივრად, უზუსტესი ინტონაციით, ლაღად კითხულობდა.

ჯემალ ინჯია

პირველად ჯემალ ინჯიას მიერ კარგად თარგმნილი „ანა სნეგინა“ წავიკითხე.

ყურადღება მივაქციე ფრაზის სილაღეს და რითმათა სიმდიდრეს. ეს თვისება, ბუნებრივია ჯემალ ინჯიას ლექსებსაც ეტყობა.

გორის მწერალთა განყოფილებას ხელმძღვანელობს დიდი ხანია და ქართლში არაერთი კულტურული ღონისძიების მოთავეა.

ოტია იოსელიანი

„ვარსკვლავთცვენამ“ ახალი ეტაპი დაიწყო ქართული პროზის ისტორიაში.

ეს გახლდათ აღსარება ყმაწვილისა, რომელიც ომის წლების ქართულ სოფელში დაკავდა. ასაკის გამო შაშხანით ხელში არ უბრძოლია, მაგრამ გარემოებამ იძულებული გახადა „ბავშვობა შეეწყვიტა“ და მამაკაცის მძიმე ტვირთი შეედო სუსტ მხრებზე.

ეს რომანი არა მარტო თემატიკით, სტილური თვისებებითაც (უცხოურისკენ თვალგაქცეულ თეორეტიკოსებთან გადავალ ალავერდს: სელინჯერ-ჰემინგუეის „ახალი პროზა“) სიახლე იყო ჩვენს მწერლობაში.

ოტია იოსელიანის ყველა წიგნი წაკითხული მაქვს და იქნებ ვცდები, მეჩვენება, რომ მისი პროზის მწვერვალი მაინც „ვარსკვლავთცვენაა“.

ღირსეულ ადგილას აწყვია ქართული პროზის თაროზე ქალის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით გამსჭვალული რომანი „იყო ერთი ქალი“ და მსოფლიო ომთან საქართველოს დამოკიდებულების მხატვრული კვლევის თვალსაჩინო ნიმუში, რომანი-ეპოპეა „შავი და ცისფერი მდინარე“.

გონების თვალთაგან არ მშორდება ოტია იოსელიანის ბრწყინვალე ნოველა, სიყვარულითა და ლირიზმით აღსავსე „ჩქარი მატარებელი“.

ოტია იოსელიანი გვიშტიბში ცხოვრობს. დედაქალაქის კარუსელს და, თუ გნებავთ, ცენტრის ყაყანსაც გარიდებული თავისი განუყრელი გრძელი მუნდშტუკით, ნიკოტინისაგან შეყვითლებული თითებით და სვანური ქუდით ათასში ერთხელ შემოივლის მწერალთა კავშირში და პროვინციელის ხმაურ-ფუსფუსით შემოივლის კაბინეტებს.

არავის არაფერს თხოვს. „სხვებივით ცხოვრებას როდი იგვარებს“, ჯილდო წახალისებებს არ მიელტვის, უბრალოდ თავს შეახსენებს მწერალთა ოჯახს.

ოტია იოსელიანს აქვს მწერალთა კავშირში ხმამაღლა ლაპარაკის უფლება.

იგი მაღალნიჭიერი მწერალი და სამაგალითო მოქალაქეა.

დავწერე ეს სტრიქონები და კვლავ გაირბინა ჩემ თვალწინ ოტიასთან სასტუმრო შეხვედრებმა. ოცი წლის ყმაწვილს, უნივერსიტეტის სტუდენტს, მახსოვს, მთელი სვანეთი შემომატარა თავისი ძველი „ვოლგით“. თუ მწერლობას აპირებო, მეუბნებოდა, დაიმახსოვრე, კაბინეტში არ დაჯდე, მწერლობა მოგზაურობას მიმატებული ლიტერატურის ნიჭიაო. მეორეც, ამბების გამოგონება არ დაიწყო, ცხოვრება თვითონ გიკარნახებს ყველაფერსო. მესამე: მთავრობას ახლო არ გაეკარო, თორემ ინანებ, ჯერ დედამიწაზე ხალხის საყვარელი მთავრობა არც ერთ ერს არ ჰყოლიაო.

მე მგონი, ვერც ერთი რჩევა ვერ შევუსრულე ჩემს საყვარელ მეგობარს.

მშვენიერი პოლემისტია. ხომ გახსოვთ, კისერი მოატეხინა ვიქტორ ასტაფიევს თავისი ბრიყვული „ჭიჭყინებზე ნადირობისათვის“.

ოტია იოსელიანზე როცა ვლაპარაკობ, ყოველთვის გამახსენდება ხოლმე გენიალური სერგო ზაქარიაძე პიესაში „სანამ ურემი გადაბრუნდება“. რა მშვენივრად მოირგოი დიდმა მსახიობმა ნიჭიერი ბელეტრისტის მიერ შექმნილი იმერელი გლეხის მართალი სახე.

გურამ დოჩანაშვილი

ჩემს მეგობარ გურამ დოჩანაშვილზე პირველი წერილი მე დავწერე („პირველი სხივი“) და მწერალთა კავშირში მისი მოთხრობების განხილვისას პირველი მომხსენებელი მე გახლდით.

ზღვა იუმორის მქონე, მახვილი თვალის, თანამედროვეობის გაფაქიზებული შეგრძნების, დაუვიწყარი ხასიათებისა და მკვეთრი სიუჟეტების ოსტატია.

ჩემი სამაგიდო მოთხრობებია „გამსვლელი პაიკი“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“, „მიხეილი და ალექსანდრე“.

„სამოსელი პირველი“ სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ მწერლობაში. ახლებური რომანია ჟანრული თვალსაზრისითაც. თხრობის სინატიფით და სილაღით ევროპული რომანის საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება.

ზაალ ებანოიძე

არც გაგვიგია, ისე შემოგვაორმოცდაათიანელდა ზაალ ებანოიძე.

ახლახან მისი რჩეული ლექსებისა და პოემების წიგნი წავიკითხე და ჩემი ვარაუდი (კანტიკუნტად წაკითხულის შთაბეჭდილება) მართალი აღმოჩნდა.

ზაალ ებანოიძის სახით ჩვენს მწერლობას ერთი ღონიერი, საიმედო მწერალი – პროფესიონალი ჰყავს.

ედუარდ ელიგულაშვილი

კრიტიკოსი და მწერალი ედუარდ ელიგულაშვილი – ნიჭიერი, გემოვნებიანი ლიტერატორი, საქართველოში „ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტია.

ცდა არ დაუკლია, როგორმე საქართველოსაკენ კეთილი თვალით მოეხედვინებინა იმპერიის მთავარი ლიტერატურული გაზეთი, მაგრამ ვერ მოახერხა და ბოლოს თვითონაც მიჰყვა დინებას.

ჩემი ტკბილი ედუარდის რუდუნება თავიდანვე განწირული იყო.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ ქართული მწერლობა აინტერესებდა, როგორც საბჭოთა ლიტერატურის ნაწილი, ქართველი მწერალი აინტერესებდა, როგორც ერთ-ერთი კალმოსანი, რომელიც დროებით, ჯერ კიდევ თავის ენაზე წერს და ხვალ თუ ზეგ რუსულზე გადავა.

ქართველ მწერალს კი არც საბჭოთა ლიტერატურის შენაკადად მიაჩნია თავი და სანამ პირში სული უდგას, ვერც ქართულს დათმობს.

... და აქვეყნებს წლების განმავლობაში „ლიტ. გაზეტა“ ქართული ეროვნული მოძრაობის გამჭორავ წერილებს.

სკდება გულზე ედუარდი, მაგრამ ეს ყველაფერი მისი ნება-სურვილის და კითხვა- შეთანხმების გარეშე ხდება.

იმპერიას თავისი შორეული მიზნები აქვს, კრული მიზნები.

1991 წ.

მერაბ ელიოზიშვილი

თანამედროვე უკეთეს პროზაიკოსებს თითებზე თუ ჩამოვთვლი, მერაბ ელიოზიშვილი არავითარ შემთხვევაში არ გამომრჩება.

რა გულიანი წერა იცის, რა სუფთა კაცია. თუ სალაპარაკოდ მოგიხელთა, ერთბაშად იმდენ რამეს გეტყვის, მთელი თვე გეყოფა საფიქრელად, გასაღიმებლად, სევდადაც.

გაუტევს ხოლმე წერისას, ქართლურად, გრძლად წერს, წვრილად გიყვება, მაგრამ არამცდაარამც მოსაწყენად.

თითქოსდა სულში ჩაგავლებს ხელს და მიგარბენინებს.

„ბებერი მეზურნეები“ ქართული პროზის ერთ-ერთ შედევრად მიმაჩნია.

საინტერესო კინოსცენარები შექმნა.

რა მშვენიერი მოთხრობა გამოაქვეყნა ამას წინათ „განთიადში“ თანამედროვე ხელოვანის ბედზე, მთელი ქართული მწერლობის

სათქმელი უთხრა ერთ თეატრს და მის დაბნეულ, მაგრამ სახელოვან რეჟისორს.

ლეილა ერაძე

აღმოსავლური, აზერბაიჯანული ლიტერატურა გაგვაცნო.
პოეტიც საინტერესოა და მთარგმნელიც.
მახსოვს ამ ხუთიოდე წლის წინათ ქართველ მწერალთა დელეგაციის ბაქოში ყოფნისას რა სიყვარულით შეხვდნენ, რა მადლიერებით შეჰყურებდნენ აზერბაიჯანელი მწერლები „ლეილა-ხანუმს“.

თამარ ერისთავი

ჭეშმარიტად ერისთავის ასულია.
ამშვენებს ქართველ ქალთა კრებასაც და ჩვენს მწერალთა კავშირსაც.
ზეპირად ვიცი რობერტ ბერსნის თამარ ერისთავისეული თარგმანები.

დოდო ვადაჭკორია

ქ-ნი დოდო სახელოვანი საბავშვო მწერალია.
თავისი დიდი, უდროოდ დასეტყვილი ძმის (კოტე ხიმშიაშვილი) მადლი დაჰყვა, შესაშური გულწრფელობით და დიდი შინაგანი ტაქტით გვიყვება, რასაც წერს.
ყმაწვილთა სამაგიდო წიგნებია: „გაზაფხული, მზე და სიყვარული“, „ჩემი სოფელი“.

მამია ვარშანიძე

ლადო ასაიანის და მირზა გელოვანის თაობის კაცია (ცოტა უმცროსი), იმ თაობის ბედი და ბრძოლა თავის კისერზეც იწვნია.
წერს „მებრძოლის სიმღერებს“. ალალად, გულწრფელად, შთამბეჭდავად.

გივი ვარდოსანიძე

უფრო ლამაზი გვარის მწერალი იშვიათია.
თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე არაერთი სტატიისა და გამოკვლევის ავტორი გახლდათ ბატონი გივი.
„გონჯი მზეთუნახავი“ დამამახსოვრდა.

გიზო ზარნაძე

გიზო ზარნაძის საყმაწვილო მოთხრობამ „ჩემი ყავარჯნიანი მამა“ პრემია რომ დაიმსახურა, ავტორი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო.
მახვილი თვალი აქვს, იუმორი, კარგი მოქართულეა.
მშვენივრად თარგმნა ზოშჩენკო.

გიორგი ზედგენიძე

ბატონი გიორგი მწუხარე სახის რაინდივით დადის და დარაჯობს მესხეთ-ჯავახეთს.
მისი მოთხრობები და რომანები საქართველოს წარსულს აცოცხლებენ, ქართული ფენომენის გაძლიერებას ემსახურებიან.

მარკ ზლატკინი

ბებერი ლომივით იჯდა სავარძელში „მრისხანე“ გამომცემელი მარკ ზლატკინი.
ბევრი რამ გამეგონა მასზე, უანგარო კაცია, ქართულ მწერლობას სამოცი წელი ემსახურა, ლიტერატურაში შეღავათებს ვერ იტანსო.
ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი და შევედი.
მაშინ ნოველების ორი პატარა წიგნი მქონდა გამოცემული, რასაკვირველია, ქართულად.
ვიცი, ყველა მწერალი გამომცემლობასთან საუბარს ასე იწყებს – კარგი მწერალი ვარ, მაგრამ მე მართლა კარგ ნოველებს ვწერ, თუ ეჭვი გეპარებათ, ათარგმნინეთ ვინმეს (ვიცოდი, რომ ქართულად ვერ კითხულობს) და დარწმუნდებით-მეთქი.
ამხედ-დამხედა, ჯერ ჩემთან ასეთი გაბედული განცხადებით ავტორი არ შემოსულაო. სხვა გზა არა მაქვს, უნდა გენდოთო.
ერთ წელიწადში ჩემი რუსული წიგნი მაგიდაზე მედო.
სხვათა შორის სამი წიგნი გამოვეცი ზლატკინთან და სამივეში რამდენიმე ისეთი ნოველა შევიტანე, ქართული წიგნებიდან და ჟურნალებიდან რომ ამომიგდო ცენზურამ.
ფირმა „მარკ ზლატკინი“ ავტორიტეტი იყო თვით ცენზურისთვისაც.

შოთა ზოიძე

ჭეშმარიტი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.
მისი ლექსების ახალი წიგნი „სიახლოვე“ პოეტის შემოქმედებითი ზრდის უეჭველი დასტურია.

ყურადღებას მიაქცევთ მის სურვილს თანამედროვე, რთული ბუნების ადამიანის ამოცნობისას, არაერთგზის წარმატებით რომ დამთავრებულა.

საინტერესო წერილებსაც წერს.

ახლა აჭარაში მცხოვრებ ქართველ მწერლებს თავკაცობს.

მინდა, უფრო ძალუმად ისმოდეს ქართველ მწერალთა ხმა აჭარაში.

ლაშა თაბუკაშვილი

ლაშამ ლექსებით დაიწყო, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში ნიჭიერებით, ნაკითხობით, კარგი აღზრდით გამოირჩეოდა.

ახლა ცნობილი მწერალია და ბოლომდე ასეთი დარჩა – თავმდაბალი და მართალი.

მახსოვს მწერალთა კავშირის მდივნობაზე თვითონ თქვა უარი (ხმები ორად გაიყო, დარჩენის დიდი შანსი ჰქონდა), მე უკვე გახლდით მდივანი, ახლა სხვამ იმდივნოსო.

კარგი პიესები დაწერა, „ათვინიერებენ მიმინოს“ მისი თაობის სულის ძახილია საინტერესო სიუჟეტითა და შთამბეჭდავი ხასიათებით გამოირჩევა „ტაძარი“.

ნაზი თარგამაძე

ქალბატონი ნაზი თარგამაძე წლების განმავლობაში ემსახურება ქართულ მწერლობას, როგორც საინტერესო საბავშვო პოეტი და ლიტერატურულ ჟურნალთა თანამშრომელი.

მომწონს მისი წიგნი „ვინ არის ამის მხატვარი“.

რევაზ თვარაძე

გალაკტიონზე რევაზ თვარაძის წიგნი ერთ-ერთი პირველი იყო, რომლის ავტორმაც „ლურჯა ცხენების“ ავტორის ახლებური წაკითხვა შეძლო. ისეთი გალაკტიონი დახატა, როგორიც გააცოცხლა სამოციანი წლების თაობამ. როგორც იქნა ხელი დავუქნიეთ იმ „ახალი აღმშენებლობის მომღერალ გალაკტიონს, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა, მაგრამ წინა თაობის კრიტიკოსებმა გამოიგონეს, რათა დიდი პოეტიც მოეყვანათ სოციალიზმის საკურთხეველთან და „დროშები ჩქარას“ სახელით დაებათ.

ცოტას წერს რევაზ თვარაძე.

ამ ბოლო დროს საქმიან, გულიან პუბლიცისტურ წერილებს თუ გამოურევს ხანდახან.

თავისი ვაჟკაცური ბუნებისა და მოქალაქეობრივი თავმდაბლობის

გამო ეკრძალება მწერლობას, თუ ლიტერატურას არ თვლის თავის მოწოდება?

ვერც ერთს მოვუწონებ და ვერ მეორეს, რადგანაც მიმაჩნია, რომ რევაზ თვარაძისთანა დახვეწილი გევმოვნების და სუფთა სინდისის მქონე კრიტიკოსი ბევრი როდი გვყავს.

ელენე დიდიმამიშვილი

ქალბატონ ელენეს ქართულ პოეზიაში თავისი მოკრძალებული სათქმელი და თავისივე განუმეორებელი ინტონაცია აქვს.

„ვარძიის გაზაფხული“ მე მგონი, მისი უკეთესი წიგნია.

ვაჟა დოლბაია

ვაჟა დოლბაიამ წლების განმავლობაში მიგვაჩვია თავის ლექსს. ეს გახლავთ აღმოსავლური მინიატურული ნახატივით მცირე ზომის მეტაფორებით და დრამატიზმით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ ფორმის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკითხველის განწყობილებასთან მისადაგებული და თავბრუდამხვევი სიჩქარით დაღლილი მოქალაქისათვის ადვილად აღსაქმელი თითო სტროფიანი ლექსით მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათქმელი, ნათელი სახეებით ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები თითქოსდა ლიტერატურული ქამანდი გახლავთ უეცრად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლით და ლაპიდარულობით ყურადღებას რომ მიგაქცევინებს, მერე უაღრესად თანადროული და ეროვნული პოეტური აზროვნებით გაიძულებს ჩამოჯდე და პოეტის ფიქრი გაიზიარო.

მიუხედავად იმისა, დღეს მიიპყრობს თუ ხვალ ლიტერატურის კრიტიკოსთა მაღალ ყურადღებას ვაჟა დოლბაიას ლექსი, მთელი დაბეჯითებით უნდა გაუწყოთ, რომ ვაჟა დოლბაია ორიგინალური ხმის მქონე პოეტია.

მამუკა დოლიძე

ახალგაზრდა, ნიჭიერი პროზაიკოსია.

გულს ჩამრჩა მისი „მდგმურები“.

ალეგორიული მოთხრობაა, მწერალი გვიამბობს, თუ რა ცინიკურად ეპყრობიან სახლის კანონიერ პატრონს ისინი, ვინც ჭერქვეშ შეიფარა.

ჩემი ახსნა არც კი სჭირდება, თუ რა განმაზოგადებელ მნიშვნელობას იძენს ეს პრობლემა საქართველოს თანამედროვე ვითარებაში.

რა ვაინაჩრობით ცდილობს სტუმართაგან შევიწროებული საქართველო თავისი ტერიტორიის შენარჩუნებას.

გენო კალანდია

მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში ამ ბოლო დროს ხშირად ისმის გენო კალანდიას ბუხუნა ხმა.

გადი-გამოდის სოხუმსა და თბილისს შუა გენო, მიტინგზე, პარლამენტში, ქუჩაშიც კი აფრთხილებს ყველას, რომ საქართველოს მთლიანობას საფრთხე ემუქრება, რომ რუსები, აფსუა მკვლელები და მათი ჩრდილოელი დამქაშები ქართველთა გენოციდს ახორციელებენ, ემუდარება ერსა თუ ბერს ყურად იღონ მისი საგანგაშო ზარისხმევა, მაგრამ გაგრა-ლესელიძე-განთიადში დაღვრილმა ქართველთა სისხლის ნიაღვარმა სოხუმის ჭიშკარს უნდა უწიოს, რომ საქართველოს ხელისუფალთ ყური გამოიფხიკონ.

1993 წლის 16-17 მარტს საქართველოში უპრეცენდენტო ამბავი მოხდა, ქართველებმა რუსის, აფსუას და ჩრდილოეთკავკასიელ გადამთიელთა გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხეს.

უნდა გენახათ იმ დღეებში გენო კალანდიას აღტაცებისგან გაბადრული სახე, გვეხვეოდა, ტიროდა, გამარჯვებას გვილოცავდა.

მეამაყება, რომ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ჭიშკარს ერთგულად იცავს პოეტი-მეციხოვნე გენო კალანდია.

ჩემს თაროზე მისი უნაზესი ლირიკის ორ გამონაშუქს „მთვარის საათს“ და „თოვლის სასახლეს“ ამ ბოლო დროს სხვა შუქი დაადგა.

ალექსანდრე კალანდაძე

კარგა ხნის წინათ წავიკითხე ალექსანდრე კალანდაძის „მაკიზარებთან“.

თითქმის ავტობიოგრაფიული რომანია. რამდენი უბრძოლია, რამდენი უწყალ-უქიჩმაჩია ამ, ერთი შეხედვით, წყნარსა და კაფანდარა კაცს.

მწერალმა მერეც არაერთი რომანით გაგვახარა, მაგრამ ვფიქრობ, ა. კალანდაძის მთავარი ჟანრი მაინც დოკუმენტური პროზაა.

კრიტიკა-მეცნიერებაშიც ძალუმად უჭრის კალამი.

ნანა კანდელაკი

ჩემი პირველი წიგნის („შიგნიდან გატეხილი ციხე,“ 1963 წ.) რედაქტორი ნანა კანდელაკი გახლდათ.

ოცდაორი წლის ყმაწვილი ვიყავი მაშინ. მახსოვს ყველაფერი; გულმოდგინედ მამზადებდა საავტოროდ. კვირაში ორჯერ მიბარებდა, ზეიმად მიქცია წიგნის დაბადება. ორმოცზე მეტი წიგნი გამოვეცი მერე და ისეთი მღელვარება-სიხარული არასოდეს განმიცდია.

კიდევ რა მახსოვს? ერთმა გარეწარმა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის დავალებით „ლიტერატურულ საქართველოში“ დაწერა რ. მიშველაძემ 10 აპრილს (1989) სხვისი მანდატი დადოო. ბოღმა მახრჩობდა, ლამის თავი მოვიკალი, ქ-ნმა ნანამ მიხსნა. ძუ ვეფხვივით შეუვარდა მუხრან მაჭავარიანს – არ გრცხვენიათ, მართალ კაცს რომ ჩაგრავთო? მე ვარ ცოცხალი მოწმე, რომ ეს კაცი ცამდე მართალიაო. დაუღრიალა თავმჯდომარემ – შენთვის ხომ არაფერი გვიკითხავს, რას ეჩრები სხვის საქმეშიო!

ასეთია ნანა კანდელაკი.

მართალი, ობიექტური, სუფთა, მიუდგომელი პიროვნება.

ახლახან მისი კიდევ ერთი რომანი წავიკითხე – „გადმოსახედი მაღალი კიბიდან“.

გულწრფელად შემძრა მეგი ფაღავას ბედმა.

ზაურ კალანდია

ზაურ კალანდიას პროზა უაღრესად პრობლემატურია, მიზანმიმართული, ნიჭიერი მწერლის რომანს და მცირე მოთხრობებსაც კონკრეტული სათქმელი აქვს, საბრძოლო სამიზნე. მკვეთრად გამოხატული პოზიციის გამო მომწონს ზაურ კალანდია.

როგორია ეს პოზიცია? საქართველოსთვის საჭირო და აქტუალური.

„ზვარაკი“ რომ წავიკითხე, დიდხანს ვფიქრობდი იმაზე, რომ ქართული პროზის ხვალინდელი დღე ზაურ კალანდიას, გოდერძი ჩოხელის, თეიმურაზ ლანჩავას, ნუგზარ შატაიძის და სხვათა მშვენიერი დებიუტით საიმედო ხელშია.

მართალი წიგნია „ზვარაკი“. დამაჯერებელი და სახეობრივია მწერლის აზროვნება; შთამბეჭდავი და მძაფრია პერსონაჟთა ურთიერობები.

ზაურ კალანდია მუდამ ღიმილიანი, გამხდარი, მკვირცხთვალება ვაჟკაცი ყოველთვის მოვლენათა ცეცხლში ტრიალებს.

მან უკვე მოიპოვა მორალური და ლიტერატურული უფლება იმისა, რომ, როცა საჭიროდ ჩათვლის, თავისი სახელით მიმართოს თავის კოლხეთს, თავის საქართველოს.

მძიმე დროს მოუწია „ცისკრის“ რედაქტორობამ და, თუ ჩვენი საყვარელი ჟურნალი ისევ ფეთქავს, ამაში ლომის წვლილი ზაურ კალანდიას მიუძღვის.

დავით მჭედლური

არ მიყვარს კრიტიკოსის მიერ აჩემებული სიტყვების „ნიჭიერიას“ და „დღითი დღე იზრდებას“ ხმარება, მაგრამ ამ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლი.

დავით მჭედლური მართლაც ნიჭიერი მწერალია და სწორედ რომ დღითი დღე იზრდება.

ამას წინათ უაღრესად საინტერესო ეპოქალური სევდით დაზუზღული ლექსები გამოაქვეყნა „ლიტერატურულ საქართველოში“, გულწრფელად მივულოცე. „რა ლექსები, ბატონო რეზო, ისეთ ხასიათზე ვარ ამ ჩვენი ეროვნული ტრაგედიის გამო, დანა რომ დამისვა სისხლი არ გამომივა. მგონი ვიღრინები და მეტი არაფერიო“.

არა და სწორედ იმგვარი ლექსები იყო, დღეს ერს რომ სჭირდება, ტკივილიანი, გაფრთხილების ზარიანი, მომწოდებელი, ბრძოლისკენ, ერთიანობისკენ მომხმობი.

ერთი ლექსი განსაკუთრებით დამამახსოვრდა, ვირთხაზე გახლავთ დაწერილი. შიმშილისაგან არაქათგაცლილ ვირთხას ესაუბრება ლექსის ლირიკული გმირი. „მოგშივდა განა, ძმობილოვო, რას ვიზამთ, დაიმშა ქვეყანაო, დაცარიელდა ბუნკერები, ვწუხვარ, მაგრამ მეც ვერას გიშველიო“.

რამდენადაც მე ქართულ პოეზიას ვიცნობ, ჯერ ვირთხაზე დაწერილი ლექსი არ წამიკითხავს და მით უმეტეს, რომ ამ ლექსში პერსონიფიცირებული ცხოველის უმწეო მდგომარეობიდან ხაზგასმულია ქვეყნის დღევანდელი სურათი.

ვირთხებს რომ მოშივდებათ, ცუდადაა იმ ქვეყნის საქმე.

დავითი მშვენიერი პუბლიცისტია. მის წერილს „მოდით ვინინასწარმეტყველოთ“ („კრიტიკა“, №“, 92) დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

„კრიტიკას“ უნარიანად რედაქტორობდა, დღეს ასევე ჩუმი, პატიოსანი, მოკრძალებული, პრინციპული თავკაცთაგანია, ჩვენი მწერალთა ოჯახის.

დავით წერედიანი

დავით წერედიანი ცოტას თარგმნის და უფრო ცოტას წერს.

რასაც ქმნის, არც იმას აწვდის გულუხვად რედაქციებს.

რომ იტყვიან, ხელიდან უნდა გამოწიწკნო.

თუ გამოსაქვეყნებლად რამე გაიმეტა, დავით წერედიანის ხელმოწერით უსათუოდ მაღალპროფესიონალი შემოქმედის ნამუშაკევი დაიბეჭდება.

უფრო ხშირად კი ასეც ხდება: ამოივლის დავითი კიბეებს, რედაქციის კუთხეში მიჯდება და თავის მკვირცხლ, ეშმაკობით სავსე თვალებს მიმოატარებს, კითხვაზე „მოიტანე რამე“? ირონიულად ჩაიღიმებს და განზე გაიხედავს: „რა მაქვს, რა უნდა მომეტანა“.

დავით წერედიანის სახელი ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი წიგნის გარეკანს აწერია, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სამოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაზე გავლენა დავითის მიერ

თარგმნილმა ფრანსუა ვიიონის „მცირე ანდერძმაც“ მოახდინა. იმიტომ კი არა, რომ პოეტის და ყაჩაღის სულის კივილი ასე მოერგო სამოცდაათიანი წლების ჩვენს განწყობილებას, იმიტომაც (და უფრო იმიტომ), რომ საქართველოში ბრწყინვალე ფრანგს ჩინებული პატრონი გამოუჩნდა.

დავით წერედიანმა მართლაც რომ უზადოდ, მოხდენილად, სწორუპოვარი ქართულის თარგზე გამოჭრა ფრანსუა ვიიონის ლექსი.

ახლა კაცად კაცი როგორია? ჩუმი, მოკრძალებული, კეთილშობილი, ენამოსწრებული, უპრეზტენზიო, კაცი-მალამო, წმინდა ბერივით უხმოდ და ფეხაკრეფით დააბიჯებს. ღრმად განსწავლულმა დავითმა ყველაფერი იცის – ვინ რა სამწერლო ბარგის პატრონია, ვინ რომელ თაროზე უნდა იყოს და სად დევს, ვისი ნათელია ნაღდი და ვისი მთვარის ნათელივით მეორადი. იუმორის დიდი გრძნობა აქვს და, თუ რამე შეგეშალა, არც სარკაზმის ისრებს დაგაკლებს. შურის გრძნობა უცხოა მისთვის. კარგს რასმე რომ წაიკითხავს, გულით უხარია და სიხარულს სხვასაც უზიარებს, უკეთურ კაცს შორიდან უვლის, რომ პირისპირ არ შეეფეთოს და ემანდ ხელის ჩამორთმევამ არ მოუწიოს.

როგორც ყველა ჭეშმარიტად ნიჭიერი შემოქმედი არ ხმაურობს და დაფნის გვირგვინს არ მიელტვის.

თამაზ წივწივაძე

თამაზ წივწივაძემ ქართულ მწერლობაში კრიტიკის ახალი სახე შემოიტანა. ორიგინალური სტილი თუ რამეს ჰქვია, სწორედ თამაზ წივწივაძეს ახასიათებს. სატირა და იუმორი სალიტერატურო კრიტიკას თუ ასე მოუხდებოდა, არ მეგონა, ცრემლის ღვრამდე მიცინია თამაზის პასაჟებზე. მის წიგნებს ილიას, დ. კლდიაშვილის, ჩეხოვის, ილფ-პეტროვის საუკეთესო ბელეტრისტიკის სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე. ზეპირად ვიცი ადგილები თამაზ წივწივაძის წერილებიდან, ჩემს გამოსვლებსა და ლექციებში ხომ ვიშველიებ და ვიშველიებ, ზოგჯერ თვით ავტორსაც ვუყვები და თვითონაც გულიანად იცინის.

ხშირად მითქვამს მისთვის, კრიტიკა უმადური საქმეა, მტრების მომრავლების მეტი არაფერი მოაქვს, მოთხრობები წერე-მეთქი. არ გამომივაო, დაბეჯითებით მიმტკიცებდა. შენ ისეთი ლაღი თხრობის უნარი გაქვს და ისეთი მახვილი თვალი, უსათუოდ კარგ მოთხრობებს დაწერმეთქი, არ ვეშვები.

ამ ბოლო დროს, ჩანს, ნაწილობრივ დამყვა და „ლიტერატურაში“ ჩანახატების გამოქვეყნება დაიწყო. სხვა რომ არაფერი იბეჭდებოდეს ჩვენს გაზეთში, მარტო ის სხარტი, უაღრესად აქტუალური ჩანახატებისთვის ღირს მისი გამოწერა. ამას წინათ წერდა: რა უბედურებაა ამ ბოლო დროს გამოჩენილი ადამიანები ორ-ორი სახელით რომ გვევლიანებიანო. ბუტროს-ბუტროს გალის რომ თავი დავანებოთ აგერ, ქართველებში ვახ-

ტანგ-ლოთი ქობალიას და მალხაზ-ჯონი შალიკაშვილს ერთად მიიღებს ედუარდ-გიორგი შევარდნაძეო. ვაი თუ, ეს უწყინარი ხუმრობა ვერმოზომვაში ჩაუთვალოს ვინმემ-მეთქი, გამაკანკალა, მაგრამ წივწივაძე რისი წივწივაძეა, იქვე რომ არ გააგრძელოს ბეწვის ხიდზე გასვლის ტოლფასი „შევარდნაძის“ თემა: სოხუმში შევარდნაძის ადგილსამყოფელს ბომბავენ აფსუები, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენც ჭკუა ვისწავლეთ და ბ-ნ ედუარდს ღამეს სხვადასხვა სახლში ვათენებინებთო. ჩვენი განზოგადებული სამხედრო საიდუმლოების გამო, მტერი ყოველღამე შევარდნაძის „ღამის სახლად“ მიჩნეული 9-10 სახლს ბომბავსო. რაკი მტერს ყველაფერს ვაგებინებთ, იქნებ, წითელ ზოლში მოხვედრილი, ამორტიზებულ-დასანგრევი სახლები მაინც შევურჩიოთ შევარდნაძეს ღამის გასათევადო.

არ არის ბრწყინვალე იუმორის და შესაშური ლიტერატურული სითამამის (კარგი გაგებით) მაგალითი? მე მგონი არის.

ასე, ნელ-ნელა, თანდათან უახლოვდება თამაზ წივწივაძე მოთხრობის ჟანრს.

პროზაში მისი გადასვლა, ნაწილობრივ ჩემი დამსახურებაც იქნება.

... თუმცა მე რა მიხარია, ვერ მივმხვდარვარ.

გურამ კაპანაძე

ათასჯერ ნათქვამი უნდა გავიმეორო: ექიმისა და მწერლის პროფესია ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

ორივენი ვმკურნალობთ ადამიანს; ერთნი ადამიანის სულს, მეორენი სულსაც და სხეულსაც.

გურამ კაპანაძე კარგი მწერალიცაა და კარგი ექიმიც.

გიორგი კაპანაძე

საქართველოში თითო-ოროლა მწერლის გარდა ყველა თბილისში ცხოვრობს.

თბილისში არ ცხოვრობენ: ოტია იოსელიანი, გიორგი ზედგენიძე, გიორგი კაპანაძე, გიორგი ხორგუაშვილი, სოლომონ სამხარაული, აფხაზეთში და აჭარაში მცხოვრები მწერლები... ხედავთ, მიჭირს ჩამოთვლა. ისინი ცოტანი არიან. არა და, რომ იცოდეთ, როგორ შევნატრი მათ ბედს, ჩემი სამსახურებრივი ცხოვრებაც ისე აეწყო, ქალაქს მივეჯაჭვე.

არ მეყო ნებისყოფა თუ ვაჟკაცობა, გავცლოდი ამ ჯოჯოხეთს და სოფლად, წყნარად, ბუხრისპირას მივმჯდარიყავი და მემუშავა.

იქნებ არც არაფრად ღირდეს ჩემი შემოქმედება, მაგრამ რაც დამიწერია, მეტი წილი შვებულების დროს, კურორტზე, ან ჩემი თავისთვის მინიჭებულ თითოკვირიან თავისუფლებაში მაქვს დაწერილი.

გიორგი კაპანაძე იმერეთის ერთ მყუდრო სოფელში ცხოვრობს და იქიდან თავისი ხალასი ლექსებით აიძულებს საქართველოს ყური დაუგდოს ეული პოეტის ჰანგს.

„ზღვის ტაძარი“ ერქვა მის ერთ ადრეულ წიგნს თავი კარგად რომ დამამახსოვრა.

ტარიელ ჭანტურია

1980 წელს ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩემი შემოქმედებითი საღამო ტარიელ ჭანტურიას ლექსით დავამთავრე:

მეც ზურაბივით ქართლის კედელში
ჩაშენებული გყავარ შუამდე.
ნახევრად მაინც თუკი გადავრჩი,
ნახევრად მაინც ვიგრძნობ ჟრუანტელს.
გაიჭრიალა მომავლის კარმა
დაესო ურჩხულს ხმალი ვადამდე,
და ვეკითხები ნაომარ არმაზს, –
ჩემო, ძვირფასო, მთებო, სადამდე?!

მეორე დღეს ჩემთან მოვიდა სუკის წარმომადგენელი და საღამოს რამდენიმე „ნაკლი“ რომ ჩამომითვალა, უმთავრეს ნაკლად ტარიელ ჭანტურიას ლექსი დამისახელა. მეო, ასეთ ლექსს არ ვიცნობო. რა საჭირო იყო ტარიელის ამ საეჭვო ლექსით საღამოს დამთავრება, ეროვნულ ნერვზე თამაშიო. ეს ლექსი არალეგალური არ გახლავთ, გამოქვეყნებულია და ტარიელის წიგნიდან დამამახსოვრდა-მეთქი, თავი ვიმართლე. შენ ისეთი მიამიტი როდი ხარ, რომ არ იცოდე, რას ნიშნავს ორიათასტირაჟიან წიგნში დაბეჭდვა და ხუთმილიონიანი აუდიტორიის წინაშე გახმიანებაო.

ტარიელის სხარტი გონება, შეუპოვრობა (ლექსების გარდა გაიხსენეთ „მამული“. ეს გაზეთი ჭანტურიას ხელში გაბედულების მაგალითს იძლეოდა ეროვნული მოძრაობის აღორძინების ჟამს), თანამედროვეობის გამძაფრებული გრძნობა, სიტუაციებში სწორად გარკვევის უნარი ის თვისებები პოეტს ერისკაცის სახელი რომ მოუხვეჭა და ეს თვისებებია (დაუმატეთ ირონიის დიდი გრძნობა), რომლებმაც „ეკალის“ ავტორი ოფიციალური ხელისუფლებისათვის თუ მიუღებელ არა, იმ კაცად მაინც აქცია, ვისგანაც თავის შორს დაჭერა უჯობთ.

რეზო ჭეიშვილი

რეზო ჭეიშვილის შემოქმედებას განსაკუთრებული მღელვარებით აღვიქვამ და განვიცდი. ჯერ ერთი ნაცნობი და ახლობელია ის გეო-

გრაფიული გარემო, სადაც მწერლის გმირები ცხოვრობენ და მეორეც, მხიბლავს ის ირონიულ-პაროდიული მანერა წერისა რეზო ჭეიშვილმა ათეული წლების განმავლობაში რომ უერთგულა და თავისებური, განუმეორებელი სტილი დაიმკვიდრა ქართულ პროზაში.

მიუხედავად თავისი „ღრუნჩი“ ხასიათისა, გამორჩეულად მიყვარს და ჩემს სულიერ ძმად მიმაჩნია. „ბოლო სიმაღლისა“ და „მესამე მგზავრის“ ხასიათის ნოველების კითხვა არასოდეს მომწყინდება.

ვწერ ახლა ამ სტრიქონებს და ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ გამოგცვალა ბოლო წლებმა. ორივენი გავპოლიტიკოსდით. ჩვენი დღეების ბორგვა-დუღილმა რეზოს სერგო ორჯონიკიძეზე გრძელი, პოლიტიკური მოთხრობა დააწერინა, მე – „რეპორტაჟი შიმშილის ველიდან“.

მერე პოლიტიკამ უფრო ღრმად შეიტყუა და სამი წელი პარლამენტის სკამი ხეხა. კიდევ კარგი, დროზე უგანა „მორჩილ უმრავლესობას“.

რომ იცოდე, როგორ მიხარია, ჩემო რეზო, ისევ იმ სტილის განუმეორებელ ქუთათურ ხასიათებს, ღრმა, შეფარულ, იმერულ იუმორს რომ დავუბრუნდით ორივენი.

ლადო მრელაშვილი

ლადო მრელაშვილის შემოქმედება თითზე ჩამოსათვლელ ნაწარმოებებს მოიცავს: „იყალთოელი ბიჭები“, „ყაბახი“, „ოლოლები“ და რამდენიმე მოთხრობა.

მთელი შემოქმედება მწერლისა ერთ მოზრდილ ტომში ჩაეტევა, მაგრამ ამ ნაწარმოებებს მათი მხატვრული დონისა და თანამედროვის სულზე ზემოქმედების ხარისხით თუ ავწონით, ლადო მრელაშვილს თანამედროვე ქართულ პროზაში საკმაოდ უფრო დიდი ადგილი უკავია, ჩუქურთმიანი ტახტი უდგას და მორჭმით ზის როგორც ქართული მწერლობის ერთი სახელოვანი გენერალი.

ძნელად აღმოაჩენთ მოზარდთა კეთილი ნების აღზრდისათვის უფრო საჭირო და პოპულარულ მხატვრულ ქმნილებას, ვიდრე ქართული „ტომსოიერი“ – ლადო მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭები“ გახლავთ.

სამოციანი წლების ქართული სოფლის მხატვრულ მატიანედ მიმაჩნია მწერლის უაღრესად საინტერესო, მრავალპლანიანი და ფართომასშტაბიანი რომანი „ყაბახი“. იგი გამოირჩევა ღრმა, ცხოვრებისეული დაკვირვებებით, საინტერესო სიუჟეტით, ოსტატური კომპოზიციური შენობითა და მდიდარი, ხატოვანი ენით. რომანის მთავარი პერსონაჟები ძია ნიკო, შავლეგო და კურაჭა ქართული მწერლობის მკვეთრი, საინტერესო მარად უკვდავი ტიპების გვერდით უნდა მოვიხსენიოთ.

„ყაბახში“ დიდი ვნებები, ძლიერი წინააღმდეგობანი, თანამედროვეობის ნიშნით დაღდასმული სულისშემძვრელი სოციალური მოვლენებია დახატული.

ემზარ კვიტაიშვილი

ტროლეიბუსიდან ხშირად დამინახავს – ემზარ კვიტაიშვილი და გივი გეგეჭკორი, რუსთავლზე მომავალნი.

ორივენი დიდ ჩანთებს მიიქნევენ. ერთმანეთს თითქმის არ ელაპარაკებიან.

გივი ჯიბეში ცალხელჩაყოფილი, ყოველთვის თმადავარცხნილი, უფრო პიწკად მოდის, ემზარი მთელი ტანით მოირხევა. თავწაგდებით, თითქოს უნდა კისერი საყელოს მოაცილოსო. დაღლილი მწევრებივით ნელა, მაგრამ გულმოდგინედ ათვალიერებენ გამვლელ-გამომვლელთ. ემზარი უცებ შეჩერდება, გამვლელის ცხელ კვალზე რაღაცას ეტყვის მეგობარს და ორივენი ახარხარ-აძიგძიგდებიან.

კეთილი შურით ბევრჯერ შემშურებია მათი ერთად ყოფნა, მეგობრობა და ორივე მათგანის საოცარი პიროვნული სისუფთავე, ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი.

ემზარ კვიტაიშვილი ჩვენს თაობაში უაღრესად კოლორიტული და ნიჭიერი პოეტია.

იგი არავის არა ჰგავს.

ლირიკოსია აშკარად ფილოსოფიურ-მედიტაციური პროფილით და ზოგჯერ ირონიულ-სარკასტული ელფერითაც.

როგორც ყოველ ნიჭიერ კაცს, იუმორის დიდი გრძნობა აქვს.

მიმნდობია. გულუბრყვილო სულაც არ გახლავთ. ამა სოფლის მზაკვრობანიც არაერთგზის უგემნია, მაგრამ კაცთაგან ღალატს არ ელის და სულ ადვილად შეუძლიათ შეცდომა ჩაადენინონ ჩასაფრებულთ.

მაგრამ მისი შეცდომაც მისივე კაი კაცობიდან მოდის და საწყენად არ უნდა დარჩეს, ვინც მისი კეთილშობილების ამბავი მცირედ მაინც იცის.

ოც წელს ახალგადაშორებულები ვიყავით ლიტერატურული ალმანახის შექმნა რომ გადავწყვიტეთ. შევკრიბეთ კიდეც მასალა. მახსოვს რა სკრუპულოზურად, ჩაკირკიტებით, საოცარი კეთილსინდისიერებით უსინჯავდა კბილს თითოეულ სტრიქონს, რა სიყვარულით ლაპარაკობდა კოლეგებზე.

მე პროზას ვრედაქტორობდი, ის პოეზიას. შუაღამისას დამირეკავდა -ა, იმ ლექსზე, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ; ხომ არ ავჩქარდით, გვერდზე რომ გადავდეთო.

მერე ასეთი თრთოლვა-კანკალით, წვითა და დაგვით შედგენილი ალმანახი უკან გადმოგვიგდო კონსტანტინე ლორთქიფანიძემ. „თქვენი თუ გაქვთ რამე გამოსაცემი, მოიტანეთ და გამოგიცემთ. სხვების პატრონობას ქე გაანებეთ თავი. ისედაც ბევრი ვართ მწერლებიო“.

მახსოვს მისი შეწუხებული სახე „ნაკადულის“ დირექტორის კაბინეტიდან რომ გამოვედით.

„რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ჩვენი თაობა, მე მგონი, არავის აღარ სჭირდებაო“.

ემზარი მიტინგების და დაფდაფების კაცი არ არის.

არც პარტიული ბაგირის გადაქაჩვაში ერევა და არც დაჯგუფებების ქიჩმაჩში მონაწილეობს პირადად.

სამაგიეროდ, მტკიცე პოზიციისაა მისი ლექსი. საკმაოზე მეტად მებრძოლია მისი სატირული ლირიკა.

შესაშური თავმდაბლობით ხასიათდება.

„მამაპაპეულ ეზოში ვგდივარ არაფრის მაქნისი“ – მარტო ემზარს შეუძლია ასე ულმობლად თქვას თავის თავზე.

დიდ აუდიტორიებს, ტრიბუნებს გაურბის.

სწორედ მოკრძალებულობა გახდა პოეტების მუზად მისი ქცევის მიზეზი. ახლა სახელდახელოდ მურმან ლებანიძის და მიხეილ ქვლივიძის ლექსებში ემზარის მოხსენიება მაგონდება.

მოვა ჭეშმარიტი, პატიოსანი ლიტერატურისმცოდნე და ობიექტურად ასწონის ემზარ კვიტაიშვილის წვლილს ჩვენი თანამედროვის სულიერი კვლევის ძნელ საქმეში.

ერთ კარგ პოემას, თუ არ ვცდები, „გადატეხილი სალამური“ ჰქვია და უძველეს საფლავში აღმოჩენილ მწყემს ბიჭს შეეხება.

ლექსებისა და თარგმანების მშვენიერ წიგნებთან ერთად არაერთი მაღალი გემოვნებით შედგენილი კრებული გამოსცა და ფილოლოგიურ მეცნიერებასაც დაამჩნია კვალი – აკაკის რითმაზე საინტერესო წიგნი დაწერა.

ბევრი სამსალა ასვა წუთისოფელმა.

მეუღლე... შვილი...

ერთ ახალ ლექსში წერს:

შემიცოდოს, შემიცოდოს,
ვინც კაცია კაცადი...
ღმერთმა ყველას ააცდინოს
ჩემგან გამონაცადი.

ძლიერი პიროვნება. სხვა მის ადგილას შეიძლებოდა უიმედობას შეეპყრო და სევდის აბლაბუდას სამუდამოდ შეებოჭა.

ფენიქსებრ აღსდგება ხოლმე.

ჯანსუღ კორძაია

იქნებ ზედმეტი სითამამეა ჩემგან ამ საიდუმლოს გამხელა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, სანამდე ვინახო.

ჯანსუღ კორძაიას ვიცნობდი ჩემს უნივერსიტეტელ კოლეგად, ნიჭიერ ფილოსოფოსად, სტუდენტებისთვის საყვარელ ლექტორად.

ორმოცს გადაშორებული იყო უმაღლესი განათლების სამინისტროს განყოფილების გამგედ რომ გადაიყვანეს.

იქაც მისებურად, კაცურად, პატიოსნად უძღვებოდა საქმეს.

ერთხელ კიბეზე შემხვდა. შენთან სათხოვარი მაქვსო. ერთი მეგობარი მყავს, ლექსებს წერს, მაგრამ დაბეჭდვაზე დღემდე არ უფიქრია. იქნებ წაიკითხო და ურჩიო, ღირს თუ არა იმ ლექსების გამოქვეყნებაო.

მეორე დღეს მომიტანა ლექსებით სავსე რვეული; ვერაფრით დავითანხმე შენთან შესახვედრად ის კაცი, მორცხვია, წაიკითხე, მე მითხარი შენი აზრი, გადავცემო.

წავიკითხე და მესამე დღესვე მივვარდი სამინისტროში, გამაცანი, თუ ძმა ხარ, ამ ლექსების ავტორი ნამდვილი პოეტია-მეთქი. სახე გაებადრა, მეც ასე ვფიქრობდიო. გადავცემ, გაეხარდებაო.

არ გასულა ორი თვე „ცისკარში“ წავიკითხე ის ლექსები ჯანსუღ კორძაიას ხელმოწერით.

რატომ „გამაცურე“-მეთქი, საპროფესოროში ვკითხე სიცილით, არ გეწყინოს, თუ ძმა ხარ, რაღა დროს ჩემი ახალგაზრდა პოეტობა იყო, შენ რომ არ შეგეგულიანებინე, არ გავრისკავდი დაბეჭდვას, აწი შენ უგე მკითხველს პასუხი, ჩემთან ერთად შენც დამნაშავე ხარო.

ასე დაიწყო. მერე წავიდა და წავიდა.

დაიბეჭდა ერთგან, მეორეგან, მესამეგან, გამოსცა პირველი წიგნი, მეორე...

მკითხველმა ინტერესით მიიღო. გაჩნდა რეცენზიები, ჯანსუღ კორძაია დღეს ქართველ პოეტთა ოჯახში დგას, როგორც მისი სრულუფლებიანი და უშეღავათო წევრი.

რით არ არის მის ახალ წიგნში („კვლავ ვიბადები“) დაბეჭდილი ეს ლექსი ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუში:

რაღაც გაწამებს... სხვა მისაწვდომი,
სხვა გზა, სხვა ზეცა, სხვა მოლანდება,
სხვა სივრცეები და სხვა ნახტომი,
სხვა სიყვარული და მონატრება.

სხვა საოცრება, სხვა ზმანებები,
სხვა ნაპირი და სხვა დასაპყრობი,
სხვა გაელვების ცეცხლის ენები,
სხვა ელვარებით სავსე მნათობი.

სხვა სიცოცხლე და სხვა ამაღლება,
სხვა გაზაფხულთა მწუხრის ფერები.
სხვა ოცნებათა ამონათება.
სხვა ზარი, სხვა ხმა, სხვა სიმღერები.

სულ სხვა საწყისი და სულ სხვა ბოლო,
სხვა განგება და სულ სხვა ღმერთები,
... ეწამე სულო! ესაა მხოლოდ,
რითაც სამყაროს გზებს უერთდები.

ეს პატარა მოგონებაც, ზემოთ რომ გავიხსენე, პოეტის მოქალაქეობრივი თავმდაბლობის და სამწერლო ტვირთისადმი მაღალი პასუხისმგებლობის დასტურია მხოლოდ.

თეიმურაზ ლანჩავა

ცნება „სამშობლო“ – თავისთავად,
იმხელას ნიშნავს,
თვითონ მოკვდავიც სიკვდილის წინ
სხვა არას ითხოვს...
ადგილი, სადაც დაიბადე,
ცხოვრობ და იღვწი,
სინდის-ნამუსის, ერთგულების ქუდია შენი.
და თუ ღმერთი გწამს, გაუფრთხილდი ამ ქუდს,
გახსოვდეს:
გზა და გზა, ხშირად ნუ მოუხდი
მრუდსა და მართალს.

თეიმურაზ ლანჩავას ეს სონეტური ლექსი ამას წინათ დაიბეჭდა („ლიტ. საქ.“ 18 იანვარი, 91 წ.). ჩემთვის, გითხრათ სიმართლე, მოულოდნელი იყო მწერლის ამ ახალ ჟანრში გამოჩენა, რადგანაც წლების განმავლობაში უაღრესად საინტერესო, სიკეთის შუქით გამთბარ, სევდითა და ირონიით დაწერილ მოთხრობებს მიგვაჩვია.

წავიკითხე თეიმურაზ ლანჩავას პოეტური დებიუტი და დავრწმუნდი, რომ „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს“, ჭეშმარიტი შემოქმედებისთვის ჟანრთა გრანიტის ყალიბები არ არსებობს.

დავით კვიცარიძე

დიდხანს იობის მოთმინებით რანდა და წალდა თავისი შემოქმედება და თავისი გზა-სავალი.

ერთი დღეც არ უცხოვრია კაცური კაცობის, მამულიშვილობის, პოეზიის გარეშე.

რომანებით, მოთხრობებით თუ ლექსებით არამარტო თავისი თაობის მატიანე წერა, საქვეყნო ფუსფუსით ნიადაგ გართულმა პირადი ცხოვრებითაც მშვენიერი მაგალითი მისცა მის უმცროს მეგობრებსა და თანამებრძოლთ.

მწერლის ცხოვრება აღუვსებელი საწყაულია. ყოველთვის თანა გდევს დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც და იმის ფიქრიც, რომ ყველაფერი ისე ვერა თქვი, როგორც გსურდა. ამ, სრულიად ბუნებრივი სევდის ელფერი დაჰკრავს დავით კვიცარიძის ერთ ახალ ლექსსაც:

ორგულიც და ერთგულებაც
ერთ კოცონზე ღუზღუზებს
და იწვის.
მსაჯული არ მეგულება,
რომ გატეხვა არ შეეძლოს ფიცის.
სიმართლის ჯოხს გადახრიან,
(უკვე ვფიქრობ ჩემს სათუო ბედზე)
და ცხელ ტყვიას დაგახლიან
ლექსის მერცხლად
ამოსაფრენ მკერდზე.

„ორდიშევის ტყეში“.
„ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“.
„მწვანე ქალაქი“.
კიდევ? ლექსები, მოთხრობები, წერილები...

„მწვანე ქალაქი“ ქუთაისზე დაწერილი რომანია. მწერალმა მოახერხა ამ განსაცვიფრებლად კოლორიტული ქალაქის ხასიათი დაეხატა ჩვენს მწერლობაში.

ომგადახდილი (იქაც და აქაც), სამოცდაათსგადაცილებული დავით კვიცარიძე ზის ახლა აივანზე და თავის საფიცარ ქუთაისს შეჰყურებს. დავითს სხვა უკეთესი ქუთაისი ახსოვს.

ქუთაისის მწერალთა კავშირს თავკაცობდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. დავითთან მიგვქონდა ახალგაზრდა მწერლებს ჩვენი პირველი ნაწერები.

გამამხნევებელი, გზის დამლოცავი, უანგარო კაცი გახლავთ.

დაგიბეჭდავთ ახლა ამ პირველ ლექსებს და მოთხრობებს, გაყოყოჩდებით, აწევთ ცხვირს მაღლა, ერთს მიიხედ-მოიხედავთ ქუთაისში და გაფრინდებით თბილისშიო, მუდამ ერთი ჰქონდა ჩვენთან სათხოვარი და სასაყვედურო.

და მაინცდამაინც იმ ერთ სათხოვარს ვერ ვუსრულებდით.

რაულ ჩილაჩავა

თავიდანვე ეჭვით ვუყურებდი ლიტერატურათა ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების საბჭოურ თეორიას.

იწერებოდა სქელტანიანი წიგნები იმის შესახებ, თუ როგორ აღზარდა და გაამდიდრა „საბჭოთა ლიტერატურები“ რუსულმა ლიტერატურამ.

და ეს „გავლენები“ და აღზრდები“ ყოველთვის ცალმხრივი იყო „ინტერნაციონალისტური მწერლობის“ სპეციალისტ ლიტერატურისმცოდნეთა შრომებში. მხოლოდ რუსული ლიტერატურა ახდენდა უკრაინულ თუ ქართულ ლიტერატურაზე გავლენას, უკრაინულ და ქართულ მწერლობას კი დიდ რუსულ ლიტერატურაზე აბა რა გავლენა უნდა მოეხდინა, მასწავლებელი და წარმმართველი მხოლოდ რუსული კულტურა იყო.

სადაც კი ამგვარ კომუნისტურ დოგმებზე სიტყვა ჩამოვარდნილა, დისერტაციების დაცვისას თუ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, ყოველთვის მითქვამს, რომ ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრება ქიმერაა, ხელოვნურია, ფარსია. მწერლობა ინდივიდუალური საქმეა და სიუჟეტის თუ თემატიკის აშკარა დამთხვევას თავისი სახელი ჰქვია – პლაგიატი, მოძღვარ ლიტერატურად და მოწაფე ლიტერატურად ლიტერატურების დაყოფა კი მეორისთვის ერთობ დამამცირებელი ფაქტია-მეთქი.

ცხვირაბზუებით ხვდებოდნენ და ახლაც ხვდებიან ჩემს აზრს „ლიტერატურულ ურთიერთობათა“ სპეციალისტები.

სხვათა შორის ორ რამეს ვერ ვიტან მწერლობაში: ერთი მწერლის და მით უმეტეს ლიტერატურის გავლენას მეორე მწერალსა და ლიტერატურაზე და ლიტერატორის მიერ სხვა ერის ენისა და მწერლობის ისე გათავისებას, მშობლიურ ენას რომ ჩაკლავს მასში და „სხვათა სიტყვას“ ისე შეაყვარებს, რომ სამშობლოს წინაშე თავის ღვთიურ ვალს დაავიწყებს.

ამიტომაც არ მესიამოვნა ერთხელ კიევში ერთმა უკრაინელმა მწერალმა რომ მითხრა – რაულ ჩილაჩავა უკრაინულ ენაზე უაქცენტოდ ლაპარაკობსო.

თუ უკრაინულად რაულ ჩილაჩავა უაქცენტოდ ლაპარაკობს და უშეცდომოდ წერს, ვერ ყოფილა მისი საქმე მთლად კარგად-მეთქი, უბოდიშოდ მივუგე.

სინამდვილეში რაული უკრაინულად ქართული აქცენტით მსჯელობს და უკრაინულ ნაწერში, ალბათ, შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ მე არ მეგულება არც ქართულსა და უკრაინულ მწერლობაში მეორე ისეთი კაცი, რომელიც ასე ღრმად იყოს ჩაფლული ორივე ენის წიაღში და თუნდაც რაულ ჩილაჩავას ნახევარს აკეთებდეს ორივე კულტურის სამსახურში.

ფაქტია, რაულ ჩილაჩავამდე კულტურათა ურთიერთობის საფუძველი საქართველოში სამკურნალოდ, შემთხვევით ჩამოსული ლესია უკრაინკა იყო და უკრაინაში ასევე შემთხვევით ძნელბედობის გამო მოხვედრილი და იქ აღსრულებული დავით გურამიშვილი. საბჭოთა იმპერიის სამოცდაათწლოვან პერიოდში კი, რაა დასამალი, ჩვენი ურთიერთობები დეკადური პომპეზურობის, ნახევრად საქეიფო მივლინებების და კომპანიური, სახელდახელო თარგმანების პრაქტიკას არ გაშორებია. ერთ-ერთ დიდებულ გამონაკლისს მიკოლა ბაჟანის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა წარმოადგენდა.

ახლა კი ჩვენ გვყავს რაულ ჩილაჩავა და საქართველოში გამოსული თითქმის ყველა უკრაინული წიგნი რაულ ჩილაჩავას თარგმნილია. შესაბამისად უკრაინაში გამოსული ყველა ქართული წიგნი რაულ ჩილაჩავას თარგმნილია.

ამ მხრივ იგი უნიკალური კაცია. ორ ენაზე იქით-აქეთ ერთნაირი წარმატებით თარგმნის. პრეცენდენტები თითზე ჩამოსათვლელი იცის მსოფლიო ლიტერატურამ.

ეს, რაც კალამს და სუფთა მწერლობას შეეხება.

რაული საქართველოში ჩამოსული ყველა უკრაინელი მწერლის შემწე და მეგზურია. და ასევე უკრაინაში ჩასული ქართველი მწერლის დამკვალიანებელი და ხელის გამმართავი.

თუ საქართველოში დიდ უკრაინულ კულტურასთან დაკავშირებული ღონისძიება იმართება, ცენტრში რაულ ჩილაჩავა დგას, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი რაულია, თუ დიდი შევჩენკოს სამშობლოში ქარველი მოღვაწის შემოქმედებას აღნიშნავენ, რაულიც იქვე ტრიალებს.

აი, ასეთი კაცი მწამს, იგი ორივე ერისთვის უაღრესად საჭირო პიროვნებაა და რაც დრო გადის, იმპერიის ნგრევის ამ ეტაპზეც და ხვალაც, ჩვენ ჩვენს სახელმწიფოებრიობას რომ ვეღირსებით, იგი კიდევ უფრო საჭირო გახდება.

უანგარო და კეთილშობილი პიროვნებაა.

ყალბი სადღეგრძელოები და პომპეზური დაპირებები შორსაა მისგან. საქმის კაცია. პირდაპირი, ნიჭიერი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი.

რაულ ჩილაჩავამ ქართულსა და უკრაინულ ლიტერატურაში ელვის სისწრაფით გაიარა ის გრძელი და მტკივნეული გზა ლიტერატურულ თვითდამკვიდრებას რომ ეძახიან კრიტიკოსები. თუ უკრაინული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშების (შევჩენკო, ლესია უკრაინკა, თითქმის მთელი თანამედროვე უკეთესი უკრაინული პოეზია, პროზა და დრამატურგია) ქართულად ამეტყველება საკმაოდ ძნელი საქმე, რაც ერთ ლიტერატორს სიგრძე-სიგანედ ეყოფოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა პასუხსაგები და განსაცვიფრებელი გახლავთ აკაკი წერეთელი და გალაკტიონი ბრწყინვალე უკრაინული ლექსებით აალაპარაკოს იმ კაცმა, რომელმაც უკრაინული სიტყვა პირველად ოცი წლის ასაკში გაიგონა და ოთხ ათეულს ახლახან გადაშორდა.

რაულ ჩილაჩავამ ოცდაათი წლის ასაკამდე მოასწრო თითქმის ყველა ტკივილის გადატანა ცხოვრების გრძელ გზაზე რომ გამოუზოგავს ხოლმე წუთისოფელი იმას, ვისაც თავისი მფარველი ხელი არ გადაუსვა ღმერთმა თავზე. ამ სტრიქონების ავტორს სენტიმენტალობა ჭირივით სძულს, მაგრამ მას სუნთქვა შეეკრა, როცა ცრემლგამშრალი მამის ასეთ სტრიქონებს წააწყდა: „კუთხეში მიყრილ სათამაშოებს ვუდგავარ როგორც ბებერი მცველი“...

ზურაბ კუხიანიძე

მურმან ლებანიძის პორტრეტი ასე დახატა ერთ ლექსში ზურაბ კუხიანიძემ.

„თმა-თეთნულდმა თუ აჩუქა თოვლისფერი ქუდი, ხმა-თითქოსდა ჭურისთავზე ხაპით ღვინოს სცლიდეს... და თითები ფიჩხის კონა, იმნაირად უთრთის, თითქოს ძუის წვრილ მახიდან გულწითელას ხსნიდეს“.

რა ფერწერული სურათია – ჭეშმარიტი პოეტის ხედვით შექმნილი.

თხუთმეტი წლის წინათ ზურაბ კუხიანიძეს დავუწერე: „ნუ შეგაკრთობთ პოეტური ავტორიტეტების, დიდი ლიტერატურული კელაპტრების ბრწყინვალება. პოეტის საქმე, მართლაც რომ სიბნელეში მაგისტრალზე მანქანის მართვას ჰგავს. შემოგებებულ კაშკაშა სინათლეს (დიდი პოეტისას) მხოლოდ წამით უნდა ჩაუქროთ, მაგრამ გვერდით რომ ჩაგივლით, ელვისუსწრაფესად უნდა გაბრწყინდეს თქვენი შუქფარები, თორემ დამაბრმავებელი წყვდიადის წინაშე აღმოჩნდებით. თვალი აქეთ-იქით ნუ გაგექცევათ, თქვენს ლიტერატურულ გზას უგულმოდგინეთ, თქვენ გაჩუმების და გადახვევის უფლება არა გაქვთ, „თქვენ პოეტი ბრძანდებით“.

ბატონი ზურაბი ჭეშმარიტი პოეტია.

არჩილ სულაკაური

არჩილ სულაკაურის მოთხრობა „აბელის დაბრუნება“ ახალი სიტყვა გახლდათ ქართულ პროზაში.

ამ თემას მანამდე დელიკატურად გვერდს უვლიდნენ. ერთნი შიშის გამო; მეორენი – აქაოდა ძველ იარებს ნუ გავაშიშვლებთო.

მერე იყო მოზარდთათვის საყვარელი „სალამურას თავგადასავალი“, სრულიად დამსახურებულად რუსთაველის პრემიით რომ აღინიშნა.

მახსოვს კრიტიციზმითა და პოლემიკური პათოსით აღსავსე „ოქროს თევზი“ და ერთი შეხედვით, მშვიდი (და რომანტიკულიც), მაგრამ შინაგანი დრამატიზმით გამსჭვალული „ლუკა“.

სამწუხაროდ, არჩილ სულაკაურის პროზა არსებული სინამდვილის მხილების თვალსაზრისით ჯერ ჩვენს კრიტიკას არ წაუკითხავს.

ახლახან დაიბეჭდა „მნათობში“ არჩილ სულაკაურის ასევე საყურადღებო რომანი (თუ არ ვცდები, „თეთრი ცხენი“ ჰქვია), რომელშიც 50-იან-60-იანი წლების ქართული სინამდვილე, არჩილ სულაკაურის თაობის სულიერი ბიოგრაფიაა დახატული.

მირონ ხერგიანი

მირონ ხერგიანის პირველ რომანს ერქვა „ღრუბლები შენ გქონდეს“. სვანეთიდან თბილისს ჩამოსული სტუდენტის – ივე ბერეჯანის ცხოვრების ჩვენებით მწერალმა ჩვენ წინაშე დააყენა ახალგაზრდა კაცის მიერ ცხოვრებაში ადგილის პოვნასთან დაკავშირებული სიძნელენი. თუ არ ვცდები ჩვენს ლიტერატურაში ფართო პლანით მირონმა დახატა სტუდქალაქი – ინტელიგენტთა არაერთი თაობის კეთილი მასპინძელი და ახლანდელი ხელისუფლების მიერ სრულიად აუხსნელად დასანგრევად განწირული (ალბათ, მხოლოდ იმ ერთადერთი მიზეზით, რომ მავან და მავან უწყებებმა თუ კერძო პირებმა სტუდქალაქის ტერიტორია პრესტიჟულ ვაკეში თავიანთი ბინების ასაშენებელ ფართობად დაიგულეს).

ახლა მირონის სამწერლო აბგა საკმაოდ მძიმეა: მოთხრობები, რომანები, ნარკვევები...

მშვენიერი წიგნი დაწერა მიხეილ ხერგიანზე.

ოთხმოციანი წლების ეროვნულ მოძრაობას დემოგრაფიულ პრობლემებზე (საქართველოს აქილევსის ქუსლი) დაწერილი უაღრესად საინტერესო ნარკვევთა სერიით შეეწია.

მედეა კახიძე

მედეა კახიძის ლექსების თემატური რკალი, თითქოსდა, ერთხელ და სამუდამოდ გამოკვეთილია – უკეთესი საქართველოსთვის მებრძოლი პოეტი ქალის გაბედული კვეთება.

მონოლითური, მდგრადი, ძლიერი პიროვნებაა.

პოეტი-ამორძალი შევარქვი.

მედეა კახიძე იმთავითვე მებრძოლ პოეტთა რიგში ჩადგა როგორც ლიტერატურული „მოწყალების და“ კი არა, არამედ როგორც მებრძოლი მებრძოლთა შორის არავითარ შეღავათს და დათმობას რომ არ მოითხოვს.

არ მავიწყდება ქეთევან წამებულზე დაწერილი მედეა კახიძის ლექსის სტრიქონები:

მე ჩემს სიზვიადეს ვენდე,
ტანთ აბჯრად სიმშვიდე მეცვა.
ეგრე, დედოფალო, ეგრე,
ცოტაც და იწყება ზეცა.

ქართული მწერლობის ოთარაანთ ქვრივს ცოტა სიმწარე როდი აგემა წუთისოფელმა, მაგრამ ვერ გატეხა, მისი ახალი ლექსებიც მაჟორული და იმედიანია.

თეიმურაზ მაღლაფერიძე

სამოციანელთა თაობის ღირსეული წარმომადგენელია.

„გაულ, გავხე“ იყო მისი პირველი სქელტანიანი მოთხრობა და ფრიად

სერიოზული ლიტერატურული განაცხადი ქართულ მწერლობაში დასამკვიდრებლად.

არაერთი კარგი ფილმის სცენარის ავტორია.

მირზა გელოვანზე დაწერილი დოკუმენტური რომანით მშვენიერი ძეგლი აუგო ოცდაათიანელთა ლიტერატურულ თაობას.

ახლახან დაწერა სქელტანიანი მონოგრაფია თანამედროვე ქართული მწერლობის მიერ განვლილ ოთხმოცდაათწლოვან გზაზე.

ვაგლახ მის დაცვას ვერ მოესწრო.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ჯერ ლექსების წიგნი გამოსცა. მერე კრიტიკოსის და ლიტერატურისმცოდნის მანტიაზე გაცვალა პოეტობა.

ავთანდილ ნიკოლეიშვილმა კარგა ხანია მიიპყრო მკითხველის ყურადღება როგორც მაღალპროფესიულმა, გემოვნებიანმა, ობიექტურმა კრიტიკოსმა.

XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარების გზებზე დაწერილი მისი წიგნი ერთ-ერთ უტყუარ გზამკვლევად მიმაჩნია თანამედროვე ქართული პოეზიის ლაბირინთში.

ახლახან გამოაქვეყნა საინტერესო გამოკვლევა ოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობაზე. საქვეყნოდ გააცხადა პაოლოს, ტიციანის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა სიკვდილის ჭეშმარიტი მიზეზი და წინაპირობა.

გურამ შარაძე

გურამ შარაძემ უკანასკნელ წლებში ფასდაუდებელი საქმე გააკეთა – აღმოაჩინა და გამოჰფინა ქართული კულტურის ორგანული ნაწილი – აქამდე უკუღმართი ცხოვრების გამო მიჩქმალული და ზღვართა მიღმა გადაკარგული.

გურამ შარაძემ საქართველოს დაუბრუნა უცხოეთს დამაშვრალი მისი დიდებული შვილები – გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე, მიხაკო წერეთელი, ნოე ჟორდანია და სხვანი მრავალნი.

ეს გახლავთ უაღრესად შრომატევადი და უანგარო ღვაწლი გურამ შარაძის მიერ გაწეული ჩვენი საზოგადოებრივი აზრის უცნობი ფურცლების შესავსებად.

ფუტკარივით კაცია.

ჭეშმარიტად დოკუმენტებზე მომუშავე ფილოლოგი-მეცნიერი.

რა კარგი წიგნები გამოსცა ილიაზე, აკაკიზე...

ღვაწლმოსილი, ნიჭიერი, ერის წინსვლისათვის ნიადაგ ჩაფიქრებული მამულიშვილია.

იორამ ქემერტელიძე

თუ გახსოვთ რა ამბავი მოჰყვა იორამ ქემერტელიძის ლექსს „საუბარი ექვსი წლის შვილთან“. ნეტავ იმ დროს რა ზემოქმედების ძალა ჰქონდა პოეზიას მარტო „ფართო მიზნებზე“ კი არა – ხელისუფლებაზეც. ჯერ გაიტრუნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. სცადეს, მიეღოთ ისეთი სახე, თითქოსდა ეს ლექსი მათ სრულიადაც არ ეხებოდათ. მერე აწრიალდნენ და ბოლოს აშკარად გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება.

იორამ ქემერტელიძემ გაბედული ლექსებით არაერთი კისრისმოსატეხი ილეთი ჩაუტარა კომუნისტურ ხელისუფლებას და ამიტომაც მკითხველი მის ლექსებს ყოველთვის გულისყურით მოელის.

სამაგალითო მოქალაქეა – ერთგული, უღალატო, გულისყურიანი. ლამის მთელი ცხოვრება ჩვენს საგამომცემლო წისქვილებში ტრიალებს, ქართული წიგნის გადარჩენისათვის იღვწის – ირჯება.

წერს ლაპიდარულად, ხალხური, სასაუბრო ინტონაციებით გამსჭვალულ ნათელ ლექსებს.

ვახტანგ ხარჩილავა

რამდენჯერმე გადავიკითხე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ვახტანგის პუბლიცისტური წერილი „აფხაზეთის ომს“ რომ შეეხება.

ყველა სტრიქონს ვეთანხმები. ასეთი მკაცრი სიმართლე რუსთა და ჩრდილოკავკასიელ ყაჩაღთა წინააღმდეგ აფხაზეთში ქართველთა სამამულო ომის შესახებ, თუ არ ვცდები, ჯერ არავის უთქვამს.

ვახტანგ ხარჩილავა სწორად შენიშნავს, რომ ჩვენ იდეოლოგიურად ვერ მოვამზადეთ ომი, ვერ განვმარტეთ, ვის ვებრძვით და რატომ, პოლიტიკოსები ქართულ მიწაზე სტუმრად მოსულ და მერე ამ მიწის წასართმევად შეღერებულ აფსუებს „აფხაზ ძმებს“ ეძახიან. შეიძლება სამშობლოს დამცველი ქართველი ჯარისკაცი ასე დააბნიო? შეიძლება უთხრა მებრძოლს „შენ ახლა აფხაზ ძმებს“ ებრძვი, იმ „აფხაზ ძმებს“, რომელთაც სხვა სამშობლო არა აქვთო? როგორ არა აქვთ. მათი სამშობლო სწორედ იქაა, საიდანაც დაეშვნენ ამ ორიოდე საუკუნის წინათ და რომელ ენაზეც ლაპარაკობენ – ადიღე, ადიღეული, სანამ შეიძლება ვატყუოთ ხალხი და ნაძირალა პოლიტიკოსთა მიერ შეცდენილ აფსუებსაც ვაფიქრებინოთ, რომ ისინი მართლაც საკუთარ მიწა-წყალს იცავენ ამ მიწის კანონიერ პატრონთაგან – ქართველთაგან?

ეს ფიქრები აღმიძრა ვ. ხარჩილავას მშვენიერმა წერილმა.

აქ აღარას ვამბობ ბ-ნი ვახტანგის საინტერესო ლექსებზე, რითაც იგი თავისი თაობის ერთ-ერთი წინამძღოლი და მებაირახტრეა.

თენგიზ ჩალაური

ამ ათიოდე წლის წინათ რომელიღაც ახალგაზრდულ ალმანახში დაბეჭდილი იყო თეგიზ ჩალაურის მოთხრობა (სათაური აღარ მახსოვს): მოქმედება ზოოპარკში ხდება, ყოველდღე მოდის კატა, შეიპარება ლომის გალიაში და სიცოცხლის რისკის ფასად ლომს ხორცს პარავს. ამას აკეთებს უბადლო ოსტატობით. ლომის მომვლელთა უყურადღებობით დარჩენილი ღრიჭოდან შეცოცდება გალიაში, ლომს თვალს არ აცილებს. საკმარისია ლომმა წამით მილულოს თვალი, რომ კატა ავლებს პირს საკმაოდ მოზრდილ ლუკმას და იმავე გზით უკან ბრუნდება. ქალაქელები ყოველდღე მოდიან ზოოპარკში, რომ ამ საოცარი ქურდობა-ნადირობის მოწმენი გახდნენ. და აი, ერთ დღეს უკეთურმა კაცმა ღრიჭოს (მაშინ როცა კატა ლომის გალიაში იყო) ფირფიტა წააფარა, დაითრია კატამ ნაჭერი, გამოაცოცა გასასვლელისკენ და ღრიჭო ამოგმანული დახვდა. ხორცის მპარავის განწირულ ფხაკურზე ლომმა თვალი გაახილა და მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. ჯუნგლების მბრძანებელმა კატა უმკაცრესად დასაჯა: ტორი დაჰკრა და სული გააფოთხობინა.

ბრწყინვალე მოთხრობაა. მარტო კატა-ლომის კი არა, კაცის ცხოვრების მთელი ფილოსოფიაა მასში გამოხატული, დაწერილია შთამბეჭდავად.

კაცი, რომელმაც ცხოვრების მოსაწყენი ერთფეროვნებიდან ეს სიუჟეტი გამოარჩია – ღვთიური ნიჭით მირონცხებული გახლავთ – დაბადებით მწერალია.

ფრიდონ ხალვაში

მემლექეთზე თქმული ფრიდონ ხალვაშის მარილიანი სიმღერების ექო იმ გუგუნს უერთდება, საუკუნეთა სიღრმიდან რომ მოედინება და „არ გათათრდეო“ მოყვასს რომ ანჯღრევს და აფხიზლებს.

„კაი მექართულე ვეღარა ვარ, მაგრამ სული მიდუღს იმოდენა, რომ შიგ საქართველო მშობლიური, როგორც გაზაფხული იტოტება“, – ამბობს ერთგან მისი ლექსის ლირიკული გმირი.

ფრიდონი საქართველოს სამხრეთის ჭიშკრის ერთი გულმამაცი მეციხოვნეა, მისი ცხოვრებაც ომში კვეთება იყო ამ ორმოცი წლის განმავლობაში, რაც მწერლის ჩაფხუტ-მუზარადი დაიმშვენა და საქვეყნო ფუსფუსს შეუდგა.

ამაყად დადის ვალდმოხდილი ფრიდონ ხალვაში მისი მშვენიერი ლექსის მარადიული მამალივით, რომლის სასიცოცხლო ძახილსაც გაღვიძების ომახიანი დილა მოჰყვება ხოლმე.

დიდხანს ევლოს.

ილია რურუა

ილია რურუამ ამ საუკუნის მეორე ნახევრის პროზის შედარებით ახალი, ორიგინალური ჟანრი – მინიატურები (უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, რამდენიმე სტრიქონიანი ლექს-ნოველები) შესძინა. ბედის ირონიაა, აბა სხვა რა დავარქვა იმ გაუგებრობას, რომ ბოლო ათწლეულების მინიატურულ პროზაზე დაწერით გამოკვლევებში ჩემს კოლეგა-მეცნიერ-კრიტიკოსებს ილია რურუას სახელი გამორჩებათ ხოლმე.

ამ თმათეთრა, შთაგონებული სახის და უტეხი ნებისყოფის კაცის უკან მწერლისა და რედაქტორის ნამუსიანად განვლილი გზაა.

ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობა ბათუმში.

საქართველოს ტელევიზიის სათავეებთან მუხლჩაუხრელი შრომა, ტელეფილმების სალიტერატურო ნაწილის მეთაურობა და ბოლოს მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეობა.

რა საერო თავმჯდომარეობა სჭირდება კათალიკოს-პატრიარქით დამშვენებულ ქართულ ეკლესიას, მაგრამ ვისაც ბატონი ილიას პიროვნებისთვის და მისი კაცური პოზიციისთვის მოყვასის თვალით შეუხედავს, არ შეიძლება არ შეემჩნია, რომ იგი დიახაც კეთილი შუამავალი იყო მთავრობასა და რელიგიის ქურუმთა შორის, ამ შუამავლობამ არაერთ კარგ საქმეს დაადგა თავი.

მაგონდება ბატონი ილიას მგზნებარე პუბლიცისტური წვრილფეხა საქართველოს მწერალთა კავშირის მომავალ სტრუქტურაზე, ბოლო წლების საქართველოს ეროვნული მოძრაობის ღირსება-ნაკლოვანებებზე.

მებრძოლი, მოქმედი, შეუპოვარი კაცია.

ჯანსუღ ღვინჯილია

ჯანსუღ ღვინჯილიამ ახლებურად, ერის მშვენი ლიტერატორის პოზიციით გააშუქა ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი გზა.

ეს იყო კლასიკური მწერლობის სრულიად ორიგინალური წაკითხვა.

ჯანსუღ ღვინჯილიამ თავისი სარკმლიდან სრულიად მიუკერძოებლად და ამავე დროს დიდი ისტორიული სიმართლით დაანახვა თანამედროვე საქართველოს დავით აღმაშენებლისა და გიორგი სააკაძის ფენომენი.

და ახლახან ვაჟკაცურად გაიჟღერა მისმა ვრცელმა პუბლიცისტურმა მონოლოგმა „წერილი რუსეთს“.

რასაც წერს, საქვეყნო დვრიტა-წუხილით ავსებს, რომ იტყვიან, ერთ მიზანს ურტყამს – ერის თავისუფლების და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას დასძახის. გვირჩევს რა გავაკეთოთ, რა გზით ვიაროთ, რისთვის ვართ მზად და რისთვის – არა.

მიხეილ ქვლივიძე

თუ ოდესმე გადავწყვიტე ნოველაში პერსონაჟად პოეტი შემოვიყვანო, დაახლოებით ასეთ კაცს დავხატავ, როგორიც მიხეილდ ქვილივიძეა. ალალი, ბავშვივით გულუბრყვილო, ნიადაგ სალექსოდ შემართული, თავისი ფასის არმცოდნე და სხვისი კარგი სტრიქონით აღტაცებული, რომ იტყვიან, ხშირად „ხელსგადაყოლილი“, ერთ კარგ სადღეგრძელოს დილამდე ადევნებული, ლამის მედიცინის უარმყოფი, ტაშის მოყვარული, მაგრამ ლიტერატურულ დაფნის გვირგვინს გამოუდევნებელი.

იგი დიდხანს ცხოვრობდა მოსკოვში. მახსოვს ერთხელ „დედაქალაქში“ ორიოდე დღით ჩასული მწერალთა კავშირის ფოიეში მიმიმწყვდია და შემევედრა: „თუ ძმა ხარ, ილაპარაკე, რაც შეიძლება, ბევრი რამ მითხარი, ქართული სიტყვა ისე მომენტრა, ლამის გავგიჟდე. ახლავე მოვდივარ თბილისში და თუ ბინის მსგავსი გავჩარხე რამე, თუნდაც ერთი ოთახი, თბილისში უნდა გადმოვსახლდე. თორემ ვიუღუპები, გუშინ სიზმარი რუსულად დამესიზმრა და ჩემს ჭკუაზე აღარა ვარო“.

მიხეილ ქვლივიძე სიტყვებით არ ერთობა. რითმითა და მუსიკით არ ჟონგლიორობს, მისი ლექსი ან დრამატული სიუჟეტით გამოირჩევა და სამუდამოდ გვამახსოვრებს თავს (მაგ., „იყო არაბეთს“... „იუდას მონოლოგი“, „სამი წერილი, „გურამიშვილის მონოლოგი“, „ის მაინც ბრუნავს“, „ჰამლეტი“) ან ამგვარი კონკრეტული სათქმელით და პოეტური შეგონებით „ისე მოკლეა წუთისოფელი, იმხიარულო, დრო არ გეყოფა... შენ გეკითხები, პირქუშ მეგობარს: ნუთუ ის წუთი არ გენანება, რომ შეალიე უგუნებობას?“

ჩემო მიშა, მართალია სამოცდაათს მიუკაკუნე, მაგრამ შენ ისეთი გორისა ხარ, წინ კიდევ დიდი გზა-სავალი გიდევს. კვლავ არაერთგზის ვიხილავ შენი ლექსით აღტაცებულ დარბაზებს და შეყვარებულ ქალთა ამოოხვრანიც არ დაგაკლდება.

როინ მეტრეველი

სკოლის მერხიდანვე დავმეგობრდით.

ერთად ვიმარჯვებდით მხატვრული კითხვის კონკურსებზე. ქუთაისში ცნობილი დეკლამატორები ვიყავით. ქუთაისის თეატრის გახსნის კონცერტს ჩვენ ორმა ვუწინამძღვრეთ.

მთელი დარბაზი ხარხარებდა, ერთი საოცარი უნარიც ჰქონდა – ახალგაზრდების დარაზმვა-გაყოლიება შეეძლო.

დევის ნაბიჯით მიიწევდა წინ კარიერის კიბეზე.

მოგეხსენებათ, რა ძნელი იყო თანამდებობრივი იერარქიის გარღვევა კაცისათვის, რომელსაც ზედა ეშელონებში მფარველი არ ჰყავდა.

როინი თავისმა სიმართლემ, პატიოსნებამ და ვაჟკაცობამ აიყვანა ლამის მწვერვალზე და ამ თვისებების წყალობითვე მოიშორა იგი ერთმა მეგობარყოფილმა ცეკას მდივანმა, როინში ძლიერი მეტოქე რომ დაინახა.

„აპალაში“ მოქცეული როინ მეტრეველი მთლიანად მიეცა მეცნიერებას და ზედიზედ უაღრესად საინტერესო ისტორიული ნაშრომები გამოაქვეყნა. იგი ხომ სტუდენტობიდანვე გამოირჩა პერსპექტიული ისტორიკოსის თვისებებით. სტუდენტობის დროსვე გამოაქვეყნა წიგნი ივანე ჯავახიშვილზე.

მახსოვს „დიდმა მეგობარმა“ როინს ენციკლოპედიაშიც ჩამოსდია და გააკრიტიკა კიდეც – დავით აღმაშენებელს აქებს, როგორ შეიძლება მეფეების და ტირანების აპოლოგიაო.

ამ კრიტიკის შემდეგ მთელმა საქართველომ სიყვარულით მოიხედა როინ მეტრეველისაკენ.

ყოფილ ნომენკლატურულ მუშაკს მალე დაედგა საზოგადო მოღვაწის, ერისკაცის ნათელი. ქართული ენციკლოპედიის გამოცემა განასრულა.

საქართველოს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობაშიც ფრიად გამოიჩინა თავი.

ახლა საქართველოს უპირველესი მეცნიერულ-ეროვნული ტაძრის – საქართველოს უნივერსიტეტის რექტორია.

ლიტერატურაზე ლაპარაკი რომ ჩამოვარდება, თვალები შუქით აევსება, უამრავი ლექსი იცის ზეპირად, მწერლობაზე ყოველთვის მოზომილად, მაღალპროფესიონალურად ლაპარაკობს.

ვახუშტი კოტეტიშვილი

ფართო დიაპაზონის კაცია.

არა მარტო თავის სპეციალობას – სპარსულ ენასა და ლიტერატურას, ქართულ ფოლკლორსაც დიდი ამაგი დასდო.

ხალხური პოეზიის არაერთი ნიმუში აღმოაჩინა და შეაფასა.

გულმა რეჩხი მიყო ამას წინათ, ტელევიზორში, სახლი დამიწვესო, მიკროფონს რომ ჩაჰბღაოდა.

ამით მისი სახლის დამწველს მეორედ მიანიჭა სიამოვნება.

მტერმა აცრემლებულ-აქვითინებული არ უნდა გნახოს.

ომარ ხაიამი სხვებმაც თარგმნეს, მაგრამ ვახუშტის თარგმანი, ჩემი ფიქრით, უკეთესია.

რა ლექსქართულად, რა ლაღად მოედინება ვახუშტისეული ომარ ხაიამი:

ნუ ნანობ ცოდვებს, არას გარგებს უიმედობა,
ტყუილუბრალოდ ცრემლების ღვრას ნურვინ ენდობა.
ვინც არა სცოდა, რაღად უნდა შენდობა იმას
იცოდე, მხოლოდ ცოდვილთათვის არის შენდობა.

ექსპერიმენტი: ჩემ შვილს ერთხელ უამრავი ლექსის თითო სტროფი წავუკითხე, აბა ერთი წაკითხვით ზეპირად თუ ისწავლის-მეთქი. ვერც ერთი ვერ ისწავლა, ბოლოს იმედგაცრუებულმა ომარ ხაიამი შევთავაზე ყოველ შემთხვევისათვის, უნდა გენახათ ჩემი გაოცება, მაშინვე ზეპირად, უშეცდომოდ რომ დამიბრუნა. აი ეს სტროფიც:

ქვეყნად არარა ქარის გარდა არ არსებულა,
რადგან ყოველი დავსებულა, რაც ავსებულა,
არსებული არსებულად ჩათვალე, ძმაო,
არსებული კი მიიჩნიე არარსებულად.

ყოჩაღ, ჩემო ვახუშტი!

ელგუჯა მაღრაძე

მგონი ერთადერთი კაცია მწერალთა კავშირში, ჩურჩული რომ არ შეუძლია.

სახმო სიმები ისე აქვს მოწყობილი, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი მისი ნათქვამი სამ-ოთხ მეტრში მაინც ესმით ირგვლივ მყოფთ.

კაცმა რომ თქვას, საჩუმათო და საჩურჩულო არც რა აქვს,

პირდაპირი, პირში მთქმელი, ბუხუნა, მოფუსფუსე, საერთო საქმისთვის შეწირული კაცია.

ფერება-ენის მოჩლექვას არ დაგიწყებს, მაგრამ თუ დაგჭირდა, შენი გულისთვის წყალში ჩადგება, წელში გაწყდება და იმედს არ გაგიცრუებს.

სიტყვა მოსდევს, ფრაზა უჭრის, გემოვნება არ ჰღალატობს – რა დიდებული ძეგლები დაუდგა დავით გურამიშვილს, გრიგოლ ორბელიანს, თეიმურაზს, ქეთევან წამებულს – მასალის ცოდნით, უაღრესი მოწიწებით დაწერილი დოკუმენტური რომანებით.

კონსტანტინე გამსახურდიამ „უკანასკნელ ინტერვიუში“ ელგუჯა მაღრაძე თავის უახლოეს მეგობართა შორის დამისახელა.

კვალიფიციურ მთარგმნელს და კრიტიკოსს, პროზაიკოსს და ლიტერატურათმცოდნეს მისი მადლიანი ნიჭის დამფასებელთა მთელი არმია უდგას გვერდით.

ლია სტურუა

ლია სტურუამ თავისი ლექსი დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში.

ახლა, როცა პოეტის შემოქმედებითი გზის ნახევარი უკვე გავლილია, თამამად შეიძლება ამის თქმა:

მივესალმები ლია სტურუას პოეტურ სიჯიუტეს, არსებული გზისადმი ერთგულებას, მტკიცე პოეტურ ნებას – მე ასე მეწერება და ასე ვწერ!

თავიდანვე ბევრს არ ესმოდა მისი, ვერლიბრი ახალი ხილი იყო, ზოგი კრიტიკოსი ლია სტურუას ქართული ლექსის ტრადიციულ ყალიბში მოქცევას ცდილობდა.

არა და არა, არ დაემორჩილა.

მკითხველის გემოვნებაც გაზარდა და ქართული ლექსის მშვენიერ ვერსიფიკაციულ მინდორზე თავისი ყვავილებიც დარგო.

„მაინც ის არის, რაც არის, ჭორები მოაშორეთა“.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ალბათ, არც ერთ ქართველ მწერალს იმდენი ნერვები და ენერგია არ დაუხარჯავს ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ჯანსუღ ჩარკვიანმა რომ დახარჯა.

დრო და ენერგია თავის მოწოდებასთან – მხატვრულ სიტყვასთან, ლექსთან ჭიდილში კი არა, პოლიტიკურ ბრძოლაში.

არავინ პარლამენტში, ახალბედა დეპუტატიც კი – პირველად რომ დგება მიკროფონთან, არ ლაპარაკობს ასე ნერვიულად, ასე ხმამაღლა, ასე ყელათრთოლებით. ჯერ ნელა დაიწყებს, მერე, თითქოსდა, შიგნიდან დაძრული ვულკანი აქეთ-იქით აქანავებსო, აიჯაგრება და ყვირილზე გადადის. ყელის ძარღვები დაებერება ხოლმე, საფეთქელთან და ყვრიმალებთან კუნთები უხტის, შევცქერი და მეშინია, რამე არ დაემართოს, თანაც, არ დავმალავ, მოწიწებთ განვეწყობი მის მიმართ, იმიტომ კი არა, თითქოს, რასაც ამბობს, ყველაფერში ვეთანხმებოდე, უფრო იმიტომ, რომ კაცი, რომელიც ასეთი ექსტაზით, ასეთი დაჯერებით, ყელგაწვდილი საუბრობს, არ შეიძლება გულწრფელი არ იყოს.

ჯანსუღს სჯერა, რომ სიმართლეს ემსახურება, ხოლო მორწმუნენი, მოგეხსენებათ, „ნეტარ არიან“.

საქმის ერთგული, ქვეყნის ერთგული, სიყრმის მეგობართა ერთგული კაცია და რაც სჭირს, ისიც ერთგულების გამო სჭირს.

დროის იალქანს აჰყვა, მისი მეგობრის მურმან ლებანიძის შეგონება – „არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში“ – ყურად არ იღო, პოეტ-ბულბულობას ლიტერატურის დღიურ მუშად დარჩენა, თვალდახუჭულად გალობას – სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნა არჩია. ასეთია მისი ცხოვრების სტილი, როგორც ჩანს, სხვანაირად არ ძალუძს, თორემ ზოგი მისი კოლეგასავით კულისებში მიიმალებოდა და მშვიდად იცხოვრებდა.

გაივლის ეს მღელვარე ცრემლიან-ბურუსიანი დღეები, სხვა საქართველო მოვა, იგი გადაშლის ჯანსუღ ჩარკვიანის წიგნსაც. დასჭირდება, უსათუოდ დასჭირდება იმ საქართველოსაც თავისი დაუდეგარი, ბობოქარი, მუშტადშეკრული პოეტის ლექსები და პოემები: „ორბის სიჭაბუკე“, „მწყურვალისათვის“, „ირინოლა“, „პოეტის სიკვდილი“, „ბეთანია“, „ლამაზი სიკვდილი“, „რწმენის კედელი“, „ჯაჭვის თორანი“, „გაფრთხილება...“

ახლა? ახლა ჯერ ლექსისთვის მკითხველს კი არა, ზოგჯერ პოეტსაც არა სცხელა.

ჯანსუღ ჩარკვიანი საქვეყნო ფერხულშია ჩაბმული, ცერბერივით გარს უვლის შეჭირვებულ მამულს:

„ეს იმიტომ, რომ თვალით კი არა,
გულით ვუყურებთ მწვანე რთველობას,
და ისე ვუვლით, როგორც იარაღს.
ჩვენს სიჭაბუკეს და ქართველობას“.

შადიმან შამანაძე

ქართველ მწერალთა ახალგაზრდა თაობიდან პროფესიონალი დრამატურგი მხოლოდ შადიმან შამანაძეა. „პროფესიონალს“ მწერლის ჟანრული სისუფთავის გაგებით ვამბობ.

არა და დრამატურგიას ერთგულებდე დღეს, როცა ბევრი თეატრი მხოლოდ ისტორიის კუთვნილებაა, კულტურის სამინისტროს სიაში ირიცხება, მაგრამ უსახსრობის, თუ სხვა მიზეზთა გამო ვეღარაფერს დგამს, ლიტერატურული ვაჟკაცობაა.

„ღია შუშაბანდმა“ თავის დროზე ბევრი თეატრი მოიარა. ამ პიესაში ნაჩვენები იყო ეპოქის უკულმართობით გამწარებული ერთი ქართული ოჯახის ყოფა, დაძაბული, ნერვული ურთიერთობანი ოჯახის წევრებს, უახლოეს ადამიანებს შორის. კარგია, როცა მწერალს შეუძლია, თვალებში ჩახედოს სინამდვილეს და ყოველდღიურობიდან ყველაზე ტიპური სურათები გამოჰფინოს.

ელენე დიდიმამიშვილი

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მესხეთის (სამცხე-ჯავახეთის) მწერალთა კავშირის განყოფილებას რომ ვაარსებდით, ერთ-ერთმა ჩვენგანმა იკითხა – ერთი თვალსაჩინო მწერალი ხომ მაინც უნდა ცხოვრობდესო.

– ელენე დიდიმამიშვილი! – თქვა გურამ ფანჯიკიძემ. სხვა შეკითხვა აღარ დაუსვამთ.

ცხოვრობს უძველეს და უმშვენიერეს ქართულ ქალაქში – ახალციხეში\

ჭეშმარიტი პოეტი ელენე დიდიმაშვილი.

მისი წყალობითაც სუფევს ნაზი ლირიკა მესხეთის ტანჯულ მიწაზე.

ამას წინათ, საქართველოს უბედური სვე-ბედით გამწარებულმა პოეტმა ქალმა ამოიგმინა:

მოკლე აქვს ყოფა ცბიერს და მავნეს,
ვიცი, ჩაქრება ცეცხლის ენებიც...
აწ და მარადის
უკუნითი-უკუნისამდე
ივლიან ჩემი მძლავრი გენები!

ბონდო მაცაბერიძე

დიდი ხანი როდია ახალგაზრდა პოეტი ბონდო მაცაბერიძე სამტრედიიდან თბილისში რომ გადმოსახლდა.

თუ გახსოვთ, ამას წინათ, „ლიტერატურულ საქართველოში“ სიამოვნებით ვწერდი ბონდოს ლექსების პირველ, ორიგინალურსიმებიან წიგნზე.

რეცენზია რომ დაიბეჭდა ამ კეთილაღნაგმა, ზრდილმა იმერელმა ყმაწვილმა მომძებნა, მადლობა გადამიხადა, აქვე ჩემი რედაქციის კუთხეში მივჯექით და დიდხანს ვისაუბრეთ.

სხვათა შორის მითხრა, პირველი წიგნი გამოვეცი, მაგრამ ვგრძნობ, ბატონო რეზო, ამ მკაცრ დროში კაცი მარტო ლექსებით ფონს ვერ გახვალ, რაღაც უნდა ვიღონო, უნდა გავიხარჯო, ჩემებურად უნდა შევეწიო ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მწერლობასო.

ამ ორიოდე დღის წინათ ზღაპრების ბრწყინვალედ გამოცემული ორი ტომი მისაჩუქრა. გამომცემლობა „ალავერდი“ დაუარსებია და საბავშვო ნაწარმოებების თხუთმეტტომეულის გამოცემას აპირებს.

იცის ბონდომ, რა გოლგოთაა დღეს წიგნის გამოცემა და რა ნაკლებსარფიანი საქმე, მაგრამ ფარ-ხმალს არ ჰყრის ერის კულტურის სამსახურში საიმედო მებრძოლად დგება.

ასეთ ნიჭიერ, ენერგიულ, მგზნებარე ახალგაზრდებს გააქვთ ლელო ცხოვრებაში.

ელა გოჩიაშვილი

ლექციაზე იჯდა მშვიდი, წყნარი, სანდომიანი სახის სათვალიანი ქალიშვილი.

რამდენჯერმე ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომაზეც შევნიშნე.

„პირველ სხივში“ დასაბეჭდად ხუთიოდე ლექსი მომიტანა. წავიკითხე და დავრწმუნდი, რომ ქართულ პოეზიაში ახალი სხივი გაბრწყინდა.

ლექციიდან გამოვიყოლე ლაპარაკ-ლაპარაკით. რამოდენა სევდა გქონია, რა ნატიფი პოეტური აზროვნება, მომილოცავს, ჭეშმარიტი პოეტი ხარ-მეთქი.

მართლა მოგეწონათ? ეჭვიანად შემომხედა – იმ ხუთიდან რამდენ ლექსს დაბეჭდავთო.

ხუთიევეს-მეთქი; მახსოვს მისი გაბრწყინებული, ცრემლჩამდგარი თვალები.

ახლა უკვე წიგნის ავტორი და მწერალთა კავშირის წევრია.

– შენი თაობის კრიტიკოსებთან ერთად მეც ვარ დამნაშავე, ძვირფასო ელა, რომ შენი პირველი წიგნი ღირსეულად ვერ გავახმაურეთ.

ცუდი დროა, საყვარელო, როგორც ქვეყნისთვის, ის პოეზიისთვისაც.

როცა გესაუბრები, ისე სხვანაირი ხარ, თითქოსდა ციდან ჩამოფრენილი, გულთბილი, წმინდა... როგორ მინდა აგაცილო ამ ჭუჭყიანი სოფლის ქარბორიები. შენ არც უნდა იცოდე, რომ ახლა მწერლებს წიგნის გამოსაცემად ბიზნესმენ-სპონსორ-ფირმაჩთა მოწყალება გვჭირდება.

... ეჰ, რა შემიძლია, მე, გამხნევების გარდა, ამ ცხოვრებისაგან გაუბედურებულ შენს მეგობარს და მასწავლებელს.

გივი ნიჟარაძე

გივი ნიჟარაძე ჩემი თაობის კაცია.

ახალგაზრდობა თითქმის ერთად გავატარეთ და ერთხელაც არ წამოცდენია, რომ ლექსებს წერდა.

ამ ხუთიოდე წლის წინათ გამოაქვეყნა პირველი წიგნი. ცოტა ხნის შემდეგ მეორეც. გულწრფელი, მედიტაციური, რომანტიკულ-სევდიანი ლირიკოსია.

უფრო დიდი გაოცება თურმე წინ მელოდა.

შარშან თარგმანების სამი წიგნი ერთად გამოაქვეყნა. ჯერ იყო და ესპანური პოეზიის ნიმუშები თარგმნა ქართულად, მაგრამ, რაც მთავარია – რუსულად თარგმნა გალაკტიონის და ტიციან ტაბიძის საუკეთესო ლექსები.

ორივე წიგნი ერთად განვიხილეთ უნივერსიტეტში გალაკტიონის სემინარზე.

თარგმანებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ვალერიან მამუკელაშვილი

ვალერიან მამუკელაშვილი კეთილი იუმორით დააჯილდოვა ბუნებამ.

ათეული წლების განმავლობაში ქართულ სატირულ პრესას ერთგულებდა. მოკრძალებულ ფელეტონებს, სატირულ ლექსებს, ეპიგრამებს, კრიტიკულ კორესპონდენციებს, წკიპურტებს წერდა.

პუბლიცისტიკის იმ მცირე კალიბრის, მაგრამ შორსმიმწვდენ ჟანრებშიც ჩანდა ავტორის აშკარა ნიჭიერება.

რამდენიმე წელია ვალერიან მამუკელაშვილმა პროფესიულ ქართულ პროზას შეჰბედა. ზედიზედ გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო მოთხრობები.

თვითონვე ამბობს, ორმოცი წელი ვემზადებოდი მწერლობაში შემოსასვლელადო. ესეც კარგი მაგალითია იმ ჩემი ახალგაზრდა მეგობრებისთვის პირდაპირ რომანის „შექმნით“ რომ იწყებენ.

არ მავიწყდება ვალერიან მამუკელაშვილის სევდიან-ღიმილიანი მოთხრობები „მჭედელი გოგია“ და „ოთხი გოჭის ამბავი“.

ვახტანგ ჭელიძე

„ცისკრის“ პირველი რედაქტორი.

ქართველ მწერალთა არაერთი თაობის აღმზრდელი და დამფრთიანებელი.

ქართულ ლიტერატურაში მაღალადგილშეუცვლელი წიგნების „ივანე მაჩაბლის ცხოვრებისა“ და „ქრონიკების“ ავტორი.

ხელხვავიანი მთარგმნელი, ჩინებული მოქართულე.

მახსოვს „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქტორობდა. დამირეკავდა – „რეზო, სადაა ახალი ნოველა?!“ მეც, ამით შეთამამებული, თითქმის ყოველთვის ვაწვდიდი ნოველას და მაშინვე მიბეჭდავდა. ერთი ნოველა („გიყვარდეთ მტერნი თქვენნი!“) ცეკას არ მოეწონა. ნოველის სიუჟეტი ასეთი გახლდათ: საბჭოთა იმპერიაში (ახლა რომ „სიამოვნებით“ დაუბრუნდა საქართველო) სულშეღონებულმა მხატვარმა სადღაც ქალაქის განაპირას მიტოვებული საყდარი იპოვა და მისი მოხატვა დაიწყო. ძლივს, ერთადერთხელ ცხოვრებაში, შემოქმედებითი თავისუფლება იგრძნო. შემოთავაზებული კომუნიზმის ხარაჩოების ნაცვლად წმინდანებს ხატავს. როცა დაიღლება, მწვანე ბალახზე წამოწვება და ცას შესცქერის. არ აპატიეს შემოქმედებითი თავისუფლება. მიაკითხეს და დააპატიმრეს. მალე „კომუნისტში“ ამ ნოველაზე და მის ავტორზე საშინელი პასკვილი გამოქვეყნდა. ჩემი თავი ჯანდაბას, არც რედაქტორს აყარეს კარგი დღე ამ „უიდეო“ ნაწარმოების გამოქვეყნებისათვის.

სამი თვე სათოფეზე არ გავკარებივარ ბატონ ვაგხტანგს. მრცხვენოდა, რომ ჩემი გულისთვის ეს დროული კაცი ლამის ჯვარს აცვეს.

მწერალთა კავშირის კიბეზე შემხვდა. „სადა ხარ, რეზო?!“

წერით ვწერ რაღაცრაღაცებს, მაგრამ თქვენთან მოტანას კარგა ხანს ვერ გავბედავ. ბოლოს და ბოლოს, თან ხომ არ გადაგიყოლებთ-მეთქი.

სწორედ ეგ უნდა ჩვენს მტრებს, რომ გაგაჩუმონ რამენაირად. არ გაიმეორო, ეგ სისულელე. ხვალვე ჩემს მაგიდაზე იდოს შენი ახალი ნოველაო.

ასეთი კაცია ვახტანგ ჭელიძე.

ოთარ ჩხეიძე

ლიტერატურის პირუთვნელი ისტორიკოსი, ურყევი, მონოლითური, ორთოდოქსული შეხედულების მწერალთა შორის ამ საუკუნის მეორე

ნახევრის ქართველი მწერლებიდან რამდენიმესღა დაასახელებ.

იმ თითზე ჩამოსათვლელ მწერალთაგან ერთი ოთარ ჩხეიძე იქნება.

სკოლის მოწაფე გახლდით მწერალთა კავშირში დიდი დისკუსიები რომ გაიმართა ოთარ ჩხეიძეს რომანების შესახებ. აქაოდა საბჭოთა სინამდვილეს აყალბებსო.

გამომსვლელთა ერთი ნაწილი ოთარ ჩხეიძეს მწერალთა კავშირიდან გარიცხვას მოითხოვდა.

იდგა შავგრუზათმიანი, მშვიდნერვებიანი ბ-ნი ოთარი ტრიბუნაზე და ამბობდა: „რამ შეგაკრთოთ, არც ისე საშიში ვარო“.

სტრიქონი არ დაუწერია კომუნისტური წყობის სახოტბოდ.

სამაგიეროდ შექმნა რეჟიმის მამხილებელ რომანთა მთელი სერია.

მან ერთ-ერთმა პირველმა ალეგორიულად მაინც შეჰბედა 24 წლის აჯანყების მხატვრული პანორამის შექმნას.

შინაგანად თავისუფალი, მართალი მწერალია.

გულში არც იმას ჩავიტოვებ, რომ ოთარ ჩხეიძის მხატვრული ნაწარმოებების ენა არ მომწონს.

ნუგზარ წერეთელი

ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ესთეტი, პოეტი, ლიტერატურის ისტორიკოსი.

სიმონ ჩიქოვანზე შესანიშნავი გამოკვლევა დაწერა.

უმძიმეს წლებში უძღვებოდა და ახლაც უნარიანად პატრონობს საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ამას წინათ წავიკითხე ნუგზარ წერეთლის ახალი წიგნი – „მე ოცდაექვსი წლისა ვარ“.

გურამ რჩეულიშვილის პიროვნება, მისი ხასიათის ორიგინალურობა, შემოქმედების არაერთი ნიუანსი საოცარი სიცხადით წარმოჩნდა ამ წიგნში.

წერს მეგობარი მეგობარზე... წერს სევდითა და წუხილით, დიდი სიყვარულით და მონატრებით...

ამ კარგი წიგნის კითხვისას გავიფიქრე: მაინცდამაინც უნდა მოვკვდეთ, რომ ასეთი თბილი სიტყვები გიძღვნან მეგობრებმა?

რომან მიმინოშვილი

ისტორიულ ეპოქებს თურმე, ადამიანთა ცხოვრების წესის, ხასიათის, სტილის საოცარი მეტამორფოზაც ახლავს.

ზოგჯერ ვერც კი ვხვდებით, ვერ ვასიგრძეგანებთ ალბათ, როგორ გამოგვცვალა ბოლო წლებმა.

ყველანი კარგად ვიცნობთ ნიჭიერ მეცნიერსა და მწერალს რომან მიმინოშვილს.

1990 წლამდე მან სახელი გაითქვა, როგორც ანტიკურ-ბიზანტიური კულტურის მკვლევარმა, ჰომეროსის მთარგმნელმა, გონიერი პაროდიების საყურადღებო ლირიკული ლექსების ავტორმა.

1990 წლიდან დღემდე მთელი თავისი ნიჭი და ენერგია უპირატესად პუბლიცისტურ წერილებს შეალია.

პარლამენტის წევრი რომან მიმინოშვილი მებრძოლი პამფლეტისტ-ფელეტონისტია. ოფიციალური ხელისუფლების პოლიტიკას იცავს, განდევნილისას – აქიაქებს.

მე ახლა რომან მიმინოშვილის პოზიციის სისწორე-სიმრუდეზე არას ვიტყვი, არც იმას ვუსვამ ხაზს, საქართველოს ახლა რა უფრო სჭირდება.

უბრალოდ, პიროვნების მეტამორფოზაზე ვფიქრობ.

კაცი მეცნიერებას ამდიდრებდა, ჰომეროსს თარგმნიდა, ლექსებს წერდა... ვინ იცის, იქნებ, მეისტორიემ რომან მიმინოშვილის შემოქმედების იმ „პირველ პერიოდს“ მეტი ფასი დასდოს.

ჩემო რომან, მომკალი და მაინც ვერ მოგიწონებთ შენ, ჯანსუღს, ჭაბუას, რეზოს (ორივე რეზოს) ელდარს, და სხვათა (უმრავლესობის დროშის ქვეშ მდგართ) დასტურს ესენგეში საქართველოს შესვლაზე!

გიორგი ციციშვილი

საინტერესო წიგნები აქვს დაწერილი ქართულ დრამატურგიაზე, შალვა დადიანზე, ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე.

სოფლის შთამბეჭდავი მოთხრობა-ეტიუდები დაწერა მეორე მსოფლიო ომზე და რომანი „სძლიე სიხარბესა შენსა“.

ამ უკანასკნელზე, მახსოვს, რეცენზია დავწერე; მოვიწონე რომანის მამხილებელი პათოსი და მცირეოდენი შენიშვნებიც გამოვთქვი. შენიშვნები არ მოეწონა. ბატონი გიორგი არც აქ აღმოჩნდა გამონაკლისი, არ მახსოვს, რომელიმე ქართველი მწერლის მიმართ შენიშვნები გამომეთქვას და ავტორს მადლობა გადაეხადოს, ან სამოცდაცხრამეტი შენიშვნიდან თუნდაც ერთზე ეთქვას ამაში მართალი ხარო.

ეგ არაფერი.

გიორგი ციციშვილი, ეროვნული ფიქრით გამსჭვალული მოღვაწე და უზადო ორატორია.

დიდი ამაგი დასდო ჩვენი ლიტერატურის განვითარებას მწერალთა კავშირს რომ ხელმძღვანელობდა.

ახლა მეცნიერებათა აკადემიაში ფილოლოგიურ მეცნიერებებს თავკაცობს.

მზია ხეთაგური

რუსი სამაჩაბლოს გვართმევდა. ქართველებს მამაპაპეული სამკვდიდროდან ერეკებოდნენ.

მოსკოვში ჩავედით ქართველი მწერლები, როგორც მაშინ გაზეთები წერდნენ – „საინფორმაციო ბლოკადის გასარღვევად“.

პრეს-კონფერენციებს ვმართავდით, მსოფლიოს მოვუხმობდით ყურად ეღოთ ქართველთა გენოცოდი და სიტყვით მაინც შეგვშველებოდნენ.

ქართველი მწერლები, ასე განთქმულნი რუსი და უცხოელი მწერლების (და არა მარტო მწერლების) მასპინძლობაში, მოსკოვში მარტონი აღმოვჩნდით.

მხოლოდ რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელი რუსი ლიტერატორიღა გამოჩნდა შეხვედრებზე. საქართველოსთან ათეული წლების განმავლობაში გაშინაურებულმა, ტრადიციულმა სტუმრებმა, საქართველოში თვეობით ყოფნა ლამის პროფესიად რომ ჰქონდათ ქცეული, ახმადულინამ, ევტუშენკომ, ვოზნესენსკიმ... ზურგი შეგვაქციეს, საქართველოს თემა აღარ გვაინტერესებსო, გვიპასუხეს.

იმ დღეებში ჩემთვის ბევრი რამ გაირკვა, თავიდანვე გულს მირევდა ჩვენი პომპეზური მასპინძლობანი, მაგრამ მოსკოვში სიმწრისაგან ტუჩზე ვიკბინე, როცა დავრწმუნდი, რომ ზემოჩამოთვლილთა და სხვათა მრავალთა მეგობრობა საქართველოსთან თვალთმაქცობა აღმოჩნდა.

ჩვენი დელეგაციის წვევრი მზია ხეთაგური იმ დღეებში განსაკუთრებით ამაღლდა ჩემს თვალში.

ცეცხლოვანი გამოსვლებით, საქართველოს ტკივილის მიზეზთა ღრმა ცოდნით, განუზომელი სევდით სამშობლოს უბედურებების გამო, იგი ქვაგულსაც კი გაალღობდა და სასაქართველოდ მოაქცევდა.

ამის შემდეგ სხვა თვალით ვკითხულობ მზიას ლექსებს.

მჯერა მისი მაღალი ნიჭის და გულწრფელობის.

გიორგი წერეთელი

გიორგი წერეთელი კარგა ხანს მაღაროში მუშაობდა.

მერე თბილისში გადმოსახლდა და ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგა. განსაკუთრებული წარმატებით საბავშვო პოეზიაში მოღვაწეობს.

ორმოცდაათი რომ შეუსრულდა, ჭიათურის თეატრის შენობაში საიუბილეო საღამო გაუმართეს.

მომხსენებელი გახლდათ იმ საღამოზე და სხვათა შორის ვთქვი: „მაღაროელი გიორგი წერეთელი თავის მშობლიურ ქალაქს საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსად დაუბრუნდა-მეთქი“.

მახსოვს მაშინ ზოგს ეხამუშა ეს შეფასება, ფიქრობდნენ, ალბათ, კლასიკოსი აუცილებლად გარდაცვლილი უნდა ყოფილიყავი.

ნუ გვეშინია ამ სიტყვისა, მეგობრებო, დიახ, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის კლასიკოსები ჩვენ შორისაც დადიან, შინ თუ გარეთ გვხვდებიან და ხანდახან თავიანთ ყოველდღიურ წვრილმანებზეც სერიოზული სახით გვესაუბრებიან.

თუ ოდესმე გააკეთებენ საბავშვო მწერლობისათვის დამაშვრალ წმინდა მამათა პორტრეტ-კომპოზიციას, იქ შიო მღვიმელის, ეკატერინე გაბაშვილის, ილია სიხარულიძის და სხვათა გვერდით გიორგი წერეთლის და გივი ჭიჭინაძის სურათებიც იქნება.

ჯემალ ქირია

ჯემალ ქირიას თავისი სტილი აქვს. წერს ამღერებულ-რომანტიკულად, კოლხური ფოლკლორის ღრმა ცოდნით, უჩვეულო (ან შორეულად ნაცნობი) ინტონაციით, მიგიზიდავს თავს დაგამახსოვრებს.

მომწონდა, როგორ არ მომწონდა, მაგრამ ახალგაზრდა მწერალი როცა ერქვა, ყოველთვის მინდოდა ერთი შენიშვნა გამემხილა მისთვის მაგრამ ვერ ვბედავდი, გული არ ვატკინო-მეთქი.

შეხვედრისას ზოგჯერ ჩამოვუარაკებდი (თითქოს სხვაზე ვეუბნებოდი), ზოგიერთს ჰგონია, თუ რასმე უცნაურსა თუ უცხოს შეთხზავ-შეზღაპრავს, ისაა მწერლობა და თავსგადახდენილი, მის ცხოვრებაში დატრიალებული ამბავი, ახლოს რაკი უძევს, საინტერესოდ არ მიაჩნია-მეთქი.

არადა ჯემალ ქირიას მართლაც რომ შესაშურ-დრამატული, უაღრესად საინტერესო ბიოგრაფია აქვს: თორმეტი წლისა გაიპარა სახლიდან და ლამის ქვეყანა შემოიარა როგორც თავგადასავლების მაძიებელმა მოხეტიალე-მაწანწალა ყმაწვილმა.

რა გავიხარე, „ცისკარში“ ახლახან ჯემალ ქირიას ახალი რომანის („მე როსინანტი“) პირველი თავები რომ წავიკითხე.

როგორც იქნა, ეს ნიჭიერი მწერალი თავის თავთან, თავის ცხოვრებასთან მივიდა.

სულმოუთქმელად ვკითხულობ.

მართალი ხასიათები, ბუნებრივი ურთიერთობანი...

გოდერძი ჩოხელი

გოდერძი ჩოხელის პირველი წიგნი რომ წავიკითხე, აღტაცებას ვერ ვმალავდი. ძლივს მთიულეთიდან, ყაზბეგის მერე, ჭეშმარიტი პროზაიკოსი მოგვევლინა-მეთქი. გუდამაყრის ხეობის ჩანახატები მახვილი თვალით, უსაზღვრო სიყვარულით დაწერილი წიგნია. ახალგაზრდა მწერალმა, თითქოსდა, გრძნეულ სკივრს ახადა თავი და ჩაგვახედა მეოცე

საუკუნის სამოცდაათიანი წლების გუდამაყრის ხეობას, შთამბეჭდავი ხასიათებით და სხარტი სიუჟეტებით დაგვიხატა ის დიდი სევდა, ლამის დაცარიელებულ საქართველოს მთას რომ დაუფლებია.

მახსოვს, არ მომეწონა გოდერძის ერთი მოთხრობა (ცოცხალ კაცს რომ ზურგზე ნაძვი ამოსდის), დავწერე კიდეც, შემხვდა და ღიმილით მითხრა, რამ გაგაცხარათ ასე, ბატონო რეზოვო. რამ და, ჩემი ფალავანი რომ ხარ, ხომ იცით, შენსას ყველაფერს მტკივნეულად განვიცდი. არ გინდა ტყუილების მოგონება, რაც იცი, იმაზე წერე-მეთქი.

ამ მოსაწყენი სინამდვილის მიღმა ცოტა ხომ უნდა გავიწიოო. თქვენ რომ გაგაბრაზათ, სწორედ ის არაჩვეულებრივობაა მკითხველს რომ მიიზიდავსო, ყველამ ერთნაირად ხომ არ უნდა ვწეროთო.

იქნებ მართალი იყო.

ოთარ მამფორია

მამფორიზმი:

ერთი ახლგაზრდა პოეტი მთვრალ ოთარ მამფორიას მწერალთა კავშირის ფოიეში სიყვარულნარევი ხუმრობით შეუთამამდა: ვეღარ სვამ ძველებურად, ბატონო ოთარ, რატომ იწვალებ თავსო.

– ბიჭო, ერთს გკითხავ მე შენ, დაჭმუჭნული ასმანეთიანი სჯობს თუ ტკიცინა მანეთიანი? – ჰკითხა პოეტმა.

– რა თქმა უნდა, დაჭმუჭნული ასმანეთიანი.

– ჰოდა დაჭმუჭნული ასმანეთიანი ვარ მე და შენ ხარ ტკიცინა მანეთიანი, გეიგე ახლა?!

მართლაცდა, ვისაც ჩემი სიჭაბუკე არ უნახავს, სიბერე ღმერთმა ნუ ანახოსო, ქართველმა კაცმა დაიკვნესა ოდესღაც.

მიმოდის დამცხრალი ოთარ მამფორია მწერალთა კავშირის ბაღში, ან ბიბლიოთეკაში ზის და გაზეთს ათვალიერებს, ერთ დროს ლეგენდარული ოთარ მამფორია – ქეიფის, მახვილი სიტყვის, ზმის დიდოსტატი. სუფრაზე ცოტა ხანს ჩერდება, ცოტას სვამს – მოთამაშე მწვრთნელილა ვარო.

ამას წინათ ჩემს გონებაში ამოტივტივდა და მთელი დღით ამეკვიატა ოთარ მამფორიას ერთი ლექს-ხუმრობა.

> დღესაც მთვრალი ხარ ცეზარი?
> ფხიზლად ვარ მეთევზესავით,
> სახე რატომ გაქვს წითელი?
> მრცხვენია რომ ვარ ფხიზელი.

გაივლის კიდევ ასი წელი და ოთარ მამფორიასაგან ლაღი ვაჟკაცის, ნიჭიერი პოეტის, კოლორიტული ქუთაისელის სახელი დარჩება მხოლოდ.

სხვა ყველაფერი წარმავალია.

ნუგზარ შატაიძე

ამ ათი წლის წინათ ნუგზარ შატაიძემ შემომჩივლა, თორმეტი სცენარი მაქვს დაწერილი და მხოლოდ ერთი გადაიღესო.

რაც კალამს მოვკიდე ხელი და ნოველების პირველი წიგნი გამოვაქვეყნე, კინოსტუდიასთან კავშირი არ გამიწყვეტია-მეთქი, ჩემი მხრივ დავუმატე.

ოცდაექვსი წლის ყმაწვილი გახლდით დავით რონდელთან ერთად კინოსცენარი რომ დავწერე („მზის მოლოდინში“). მხცოვან რეჟისორს, როლებიც კი ჰქონდა განაწილებული და, ის-ის იყო, გადაღებას უნდა შედგომოდა, რომ მოსკოვმა სცენარს ვეტო დაადო-მეთქი „უიდეობის“ გამო.

ბოლო სცენარზე მე და გოგი ქავთარაძემ კარგა ხანს ვიმუშავეთ („დილაა თუ ბინდია“), კინოსტუდიამ მოიწონა და წარმოებაში ჩაუშვა, მაგრამ ისევ მოსკოვმა „იმარჯვა“, სცენარი დაიწუნა. მახსოვს შენიშვნებს შორის ერთი: მომავალი ფილმის ერთი პერსონაჟი მეძავია. სად ნახეს სცენარის ავტორებმა სსრკ-ში მეძავებიო. ასე რომ, მწერლისთვის სცენარზე მუშაობა ხშირად წყლის ნაყვას უტოლდება-მეთქი.

ეს ყველაფერი ვუამბე ნუგზარს და ვთხოვე: მეტი დრო დაუთმე პროზას, მშვენიერ ნოველებს წერ და ნოველა სახვალიოდ არ გადადო. შენ ეს ცხოვრება ჩაისურათხატე და კინოს კაცი, როგორც თაფლთან ბუზი ყოველთვის გაჩნდება-მეთქი.

არ ვიცი, ჩემი რჩევა ისულგულა თუ არა ნუგზარმა. ყოველ შემთხვევაში პროზას ცოტას რომ წერს, ფაქტია. ისევ კინოს უკირკიტებს. მართალია, ახლა სცენარს მოსკოვი არ ამტკიცებს, მაგრამ რად გინდა, ფილმის გადაღებას სანამ დაიწყებდე, მათხოვრის ჯოხი უნდა აიღო და მთელი საქართველო ჩამოისპონსორო.

არა და რა მადლიან, ხასიათებით დაყურსულ ნოველებს წერს.

ლევან ხაინდრავა

ლევან ხაინდრავა – იძულებითი ემიგრანტის შვილი, ჩინეთში, მანჯურიაში ცხოვრობდა.

ერთ დღეს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა და მაშინვე დააპატიმრეს, ბრალდება? მანჯურიაში რატომ დაიბადეო.

საინტერესო რომანების და მოთხრობების ავტორმა ლევან ხაინდრავამ ამ ათი წლის წინათ დაწერა მისი ცხოვრების მთავარი წიგნი – ნახევრადბიოგრაფიული რომანი. ეს იყო ლიტერატურული ბრალდება საბჭოთა წყობილებაზე, გამოძიების „ჩვენებურ“ წესზე, საზოგადოებაში გამეფებულ უკანონობაზე.

მოიტანა „მერანში“ გამოსაცემად. მაშინ „მერანის“ სარედაქციო

საბჭოს წევრი გახლდით. სხდომაზე გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა გამოგვიცხადა – პორტფელში ხაინდრავას დისიდენტური რომანი გვაქვს. რა თქმა უნდა, მისი დაბეჭდვა არ შეიძლება, მაგრამ ავტორი დაბეჯითებით მოითხოვს რეცენზირებას, ხომ არავის აქვს სურვილი, თქვენ შორის, რეცენზირებისაო.

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ თავი შეიკავა გასაგები მიზეზების გამო. „მომეცით-მეთქი“, გავბედე.

ორ კვირაში დადებითი რეცენზია ვაახლე გამომცემლობას. თანაც კატეგორიულად მოვითხოვე რომანის დაბეჭდვა.

მერეც კარგა ხანს ატარეს ხელნაწერი ზევით თუ ქვევით და ბოლოს დაიბეჭდა.

„ჩემი წიგნის გადამრჩენელსო“, ასე წამიწერა ბატონმა ლევანმა ჩემთვის ძვირფას საჩუქარზე, რომანის საღებავშეუმშრალ ეგზემპლარზე.

უშიშარი, გულმართალი, მებრძოლი კაცია.

შოთა ხოდაშნელი

პოეტი შოთა ხოდაშნელი თავისი შთამბეჭდავი ლექსების გარდა სხვა მხრივაც საინტერესო და შეუცვლელი კაცია:

ქართველ მწერლებში მან ერთადერთმა თავიდან ბოლომდე ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“.

დაუღლელად იღვწის ამ ჩვენი ყველაზე ძვირფასი ეროვნული განძის დაცვისა და პოპულარიზაციისათვის.

ამას წინათ ყმაწვილთათვის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლის გაადვილების მიზნით ორი უაღრესად საჭირო და მაღალპროფესიული სავარჯიშო წიგნი შეადგინა.

როგორც ვიცი, ჩვენი ბავშვებისთვის შეუცვლელ ამ წიგნებს ჯერ სპონსორ-გამომცემელი არ გამოუჩნდა.

შუკო ჯიქია

პოლიტიკისადმი გულგრილი ქართველი მწერალი არ არსებობს.

ეს ნიშნავს გულგრილი იყო საქართველოს ბედის მიმართ.

ჩვენ, მწერლები, მეტნაკლებად ჩაბმული ვიყავით უკანასკნელი წლების ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ, რაკი ჩვენს მთავარ საქმედ კალამი მიგვაჩნდა, რა დასამალია, მოძრაობის შუაგულში მოქმედ-შემსრულებელ-ჯარისკაცად ყველას არ გვიტრიალნია.

იმ სამიოდე მწერალთა შორის, უშუალოდ რომ იბრძოდა, შიმშილობდა, პროკლამაციებს უბით დაატარებდა, ავტომატით ხელში სანგარში იჯდა – ერთი შუკო ჯიქიაცაა.

...და შუკო ჯიქია გადამთიელების წინააღმდეგ სოხუმში მებრძოლი, დაღლილ-გასავათებული, ნაშიმშილარ-ნაუბედურალი შუკო თავის მშობლიურ ოდიშში მისმა ტოლმა ბიჭებმა (მათ შორის ახალგაზრდა მწერლებიც იყვნენ) დაიჭირეს და ყელი კინაღამ გამოჭრეს – იქეთ რატომ ხარ და აქეთ რატომ არა ხარო.

რას ჰქვია „იქეთ და აქეთ“, შუკო საქართველოს ჯარისკაცია და ჩეჩენ-აფსუა-რუსებს ებრძოდა.

ღმერთო, როდის მოეღება ბოლო ამ საშინელ სიზმარს.

ოთარ ჭელიძე

ოთარ ჭელიძის ლექს-ბალადა საქართველოში შემოჭრილ ვეფხვზე გვიამბობს: ვეფხვი მთვარეს დაედევნა. გადიგრიალ-გადათელა ნახევარი დედამიწა და კავკასიონს მოადგა. წამით მოსწყვიტა თვალი მთვარეს, რადგანაც მის წინ გადაშლილმა სილამაზემ გააოგნა. ის წამიერი გარინდება საკმარისი აღმოჩნდა მონადირისთვის. „საქართველოს სილამაზემ ასე ბევრი მოკლა“ – თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ სიტყვებით მთავრდება ლექსი, რომელიც აგერ ა, ალბათ, ოცდაათი წლის წინათ წამიკითხავს და არ ამოდის ჩემი მეხსიერებიდან.

„ორი მარაბდელი“, „ქიტესა...“, საინტერესო სიუჟეტიანი პოემები და ლირიკული ლექსები.

ოთარ ჭელიძე თხემით ტერფამდე პოეტია.

ჩვენი ლიტერატურა ბრწყინვალე თარგმანებითაც გაამდიდრა. მარტო „ევგენი ონეგინი“ რად ღირს.

კიდევ ერთი დიდებული ლექსი გამახსენდა: ანაზდად წვიმა წამოვიდაო, ნანატრი წვიმა, კაცმა ხელი გაუშვირა წვიმის წვეთებს და მაშინ გამოერკვა, როცა გამვლელმა ხუთკაპიკიანი ჩაუდო ხელში. „ასე იაფია ნეტავ, თავის დავიწყება ხალხში?“ – კითხულობს ლექსის ლირიკული გმირი.

ოთარ ჭილაძე

ოთარ ჭილაძეს რომ ახსენებენ, პირველ რიგში გამახსენდება დასაწყისი რომანისა „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“.

...თითქმის ყოველდღე მოადგება თათარი ერთ ქართულ სოფელს. ამპარტავნულად გაივლის სოფლის შუკას და მისგან დაბრიყვებულ-გახასებული ქალის – ანას კარს შეაღებს. შიშისაგან გატრუნული და იძულებითი საყვარელია ანა, შიშისაგან დაცვედნებული ქართველები თათარს ვერას უბედავენ. ბოლოს მხსნელიც გამოჩნდა. თითქმის უსამშობლო მაიორი ქაიხოსრო მაკაბელმა, მართალია, თათარი მოაშორა დედაკაცს

(და შეურაცხყოფილ სოფელსაც), მაგრამ ბედნიერება ვერ მოუტანა. თათრის ბრიყვული უხეშობიდან ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა და მაიორის ანგარებიან სიკეთემდე...

ეს ეპიზოდი განმაზოგადებელ მნიშვნელობას იძენს და მთელი რომანის ლაიტმოტივადაც გამოდგება.

უფრო მეტიც, იგი ოთარ ჭილაძის მთელი შემოქმედების დედააზრია.

ოთარი დაპყრობილი საქართველოს მწერალია. ყველა მისი პროზაული ნაწარმოები იმის ჩვენებაა, თუ რა ემართება ერს თავისუფლების დაკარგვის შემდეგ.

თავისი მხატვრული ამოცანა ოთარ ჭილაძემ ბრწყინვალედ შეასრულა.

დაწერა რთული სიმბოლოებით და ღრმა ალეგორიებით დატვირთული რომანები.

მოუთმენლად ველი თანამედროვე საქართველოზე დაწერილ მის ახალ რომანს.

გრიგოლ ჯულუხიძე

ოცი წლის წინათ (1972) გრიგოლ ჯულუხიძეზე დამიწერია: „გრიგოლ ჯულუხიძე, თავისივე ნათქვამის ექოს მიაყურადებს, თითქოს თავის გასამხნევებლად, საკუთარ ძალებში დასარწმუნებლად“... გრიგოლის პოეტური ბუნება არ შეცვლილა. ახლა ასეთია იგი საკუთარ ხმას მიყურადებული (აქედან მოკრძალება და პასუხისმგებლობის გრძნობა მხატვრული სიტყვის წინაშე), უაღრესად თავმდაბალი, უსაზღვროდ კეთილი, მართალი და ალალი კაცი.

გრიგოლთან შეხვედრისას, ყოველთვის მახსენდება მის მიერ სიჭაბუკეში დაწერილი შალვა დემეტრაძისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები. „სული კაცის ცხადად მოჩანს და მზე წვეთავს ხმაში – ცისფერ ყანწით მამულს ლოცავს მამისტოლა ბავშვი... და გულიდან ხსოვნას არ ვშლი, – ვუვლი ცრემლის წყაროს, სევდის ჩიტი, სევდის ბაღში სევდიანად გალობს“.

გრიგოლ ჯულუხიძის კაიკაცობა კარგი ლექსის გარდა მისი პიროვნების განუყრელი თანამგზავრია. „ნაზი კილასონიას უჭირს“, „ჯანსუღ ღვინჯილია ცუდადაა, მოსკოვში უნდა გავყვე“, „ზეგ ელდარ კერძევაძის წლისთავი სრულდება“, „ახალგაზრდა პოეტი ბონდო ჩამოვიდა სამტრედიიდან, წიგნის გამოცემაში უნდა მივეხმარო“... ასეთია მისი ინტერესების კონა. სულ სხვათა შემწეობის მსურველი, სხვებისთვის მოფუსფუსე, დიდი, თბილი გულის პატრონი გრიშა ზოგჯერ თვით აწყდება გულგრილობის, უყურადღებობის კედელს.

უკვირს, მაგრამ არ წუწუნებს.

თამაზ ჭილაძე

ნორმალურ და წესიერ ქვეყანაში თამაზ ჭილაძე ყოველთვის ითამაზ-ჭილაძევებს... პროფესიონალი მწერალი, ჭეშმარიტი ესთეტი, დახვეწილი გემოვნების მქონე, უკომპრომისო კაცი.

რაკი ნორმალურ და წესიერ ქვეყნად საქართველო კარგა ხანს ვერ იქცევა, როგორც უმეტესობას, ქართველი მწერლებისას, თამაზ ჭილაძესაც უჭირს. უჭირს, უპირველეს ყოვლისა, სულიერად, სხვა გასაჭირს ბატონი თამაზი ვაჟკაცია და მოითმენდა.

ასე მგონია, ერთბაშად სხვა დროში და სხვა პალნეტაზეც აღმოვჩნდიო. ჩემი პრინციპები (ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ზნეობრივი სიწმინდე), რითაც სამოცი წლის მოვიყარე, ისეთ კონტრასტში აღმოჩნდა სინამდვილესთან, ლამის სასოწარკვეთას მივეციო, ბრძანებდა ამას წინათ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე.

რა მახსოვს ასე სახელდახელოდ? რომანტიკული სიყვარულით აღსავსე „აჰა, მიიწურა ზამთარი“, ძნელი ცხოვრებით აღბეჭდილი, მაგრამ პიროვნული ღირსებით დაღდასმული „გასეირნება პონის ეტლით“, მრავალპლანიანი პიესა „ჩიტების ბაზარი“.

და კიდევ მშვენიერი წერილები ქართული მწერლობის აქტუალურ საკითხებზე, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალური წაკითხვა მართალ ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომში გამოთქმული.

ალექსანდრე დიდებაშვილი

მშვენიერი საბავშვო პოეტია.

საბავშვო პოეზია ლიტერატურის ურთულესი და უმაღლესი ჟანრია.

პატარა მკითხველი მისხალ სიყალბესაც არ გაპატიებს. საბავშვო ლიტერატურაში სათქმელის კონკრეტულობისა და სადა, ნათელი სახეების გარეშე ფონს ვერ გახვალ. „სადიდო ლიტერატურაში“ ზოგჯერ აისბერგულ ქვეტექსტებს და ნახევარტონებს დაეყრდნობა კაცი, „საბავშვოში“ – ვერა.

საბავშვო მწერალმა თავის თავში ბავშვი უნდა აღმოაჩინოს, შიგადაშიგ ბავშვივით სუფთა, ალალი და გულუბრყვილო უნდა გახდეს.

საბავშვო ლექსების გარდა, რა მოულოდნელადაც უნდა მოგეჩვენოთ, „მრისხანე ლირიკის“ ავტორიცაა ალექსანდრე დიდებაშვილი.

წუხს საქართველოს დღევანდელ დღეზე, შერიგებისა და სათნოებისკენ მოუწოდებს თანამოძმეთ.

ერთ ლექსში ამბობს: არაფერი მეხარბება იმ ფინიას მოთმინების გარდა ამირანის ჯაჭვს რომ ლოკავსო.

იორამ ჩადუნელი

დეტექტიურ-სათავგადასავლო ჟანრი ჩვენს მწერლობაში, მოგეხსენებათ, მაღალგანვითარებულად ვერ ჩაითვლება.

არა და ეს ჟანრი დასავლეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

თითზე ჩამოსათვლელ პროფესიონალ დეტექტივის მწერალთა შორის უპირველესად იორამ ჩადუნელი უნდა დავასახელოთ.

იგი იურისტია და თავის მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარს ქართული ლიტერატურის ამ მივიწყებულ ჟანრის ფეხზე დაყენებას.

სილოვან ნარიმანიძე

ქართული თავისუფალი ლექსი („ვერლიბრი“) სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გალაკტიონმა ააღორძინა იგი („ჯონ რიდი“), მერე თვით „ლურჯა ცხენების“ ავტორმაც მიივიწყა როგორც არაორნგანული ნაწილი მეტაფორულ-მუსიკალური ქართული პოეზიისა.

...და ორმოცდაათიან წლებში ჩვენს პოეზიაში კვლავ გამოჩნდა თავისუფალი და თეთრი ლექსი.

სილოვან ნარიმანიძემ იკისრა ჩვენს პოეზიაში თავისუფალი და თეთრი ლექსის განახლება და დამკვიდრება.

ლიტერატურის ისტორიაში შესასვლელად ეს მცირე წვლილი როდია.

გულხალასი პოეტია, თანაც პუბლიცისტიკაში გაბედული და უკომპრომისო.

რევაზ ჯაფარიძე

რევაზ ჯაფარიძის შემოქმედებაზე სხვადასხვა დროს ხუთიოდე წერილი მაქვს დაწერილი.

მხიბლავდა მწერლის მოქალაქეობრივი გაბედულება და პუბლიცისტური შეუპოვრობა, ხმალამოღებით ბრძოლა საქართველოს მტრების წინააღმდეგ.

რა სამაგალითო და მამულიშვილურიც იყო რევაზ ჯაფარიძის გალაშქრება ვერმიშევის (და მისი სახით საქართველოს ისტორიიის ფალსიფიკატორთა) წინააღმდეგ, მოქალაქეობრივი გაბედულების რა ბრწყინვალე ნიმუშიც იყო რევაზ ჯაფარიძის გამოსვლა მწერალთა ყრილობაზე გრიგოლ რობაქიძის დასაცავად, იმდენად დასანანია ახლა ჩემთვის რევაზ ჯაფარიძის მხარდაჭერა პროკომუნისტური ძალებისადმი.

...მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი აზრია. „იქნებ „ჯარისკაცის ქვრივის“ ავტორის ბოლოდროინდელი პოზიციაც გაამართლოს საქართველოს ისტორიამ.

რა ვქნა, მე ვერ დავდგები იქ, სადაც გული არ მკარნახობს დგომას.

ჩემთვის, პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობის მიუხედავად, რევაზ ჯაფარიძე „მძიმე ჯვარის“ ავტორია და უფლება არა მაქვს უღრმეს პატივს არ მივაგებდე.

თემურ ჩალაბაშვილი

რუსთაველის პროსპექტზე ხშირად შეამჩნევდით შავწვეროსან ახალგაზრდა კაცს. იგი ჩვენი სახელოვნო წისქვილების ირგვლივ დაფუსფუსებს (გამომცემლობა „მერანი“, „კულტურის ფონდი“, „რუსთაველის თეატრი“, „კულტურის სამინისტრო“). ნიადაგ მეგობრებით გარშემოხვეული რაღაცას ჰყვება, რაღაცას ამტკიცებს, რაღაცით შეწუხებულია.

ჯერ ვიტყვი, რომ იგი პოეტი თემურ ჩალაბაშვილია. მერე იმასაც გავამხელ, რა საქმეები აწუხებს:

ჩემთან ხშირად მოსულა და არც ერთხელ თავის პირად სატკივარზე (ბატონო რევაზ, მხატვარი ვ. უსახსროდ დარჩა, შიმშილობს, იქნებ ვთხოვოთ ვინმეს მცირე დახმარება მაინც გაუწიოს“, „ახალგაზრდული თეატრი შეიქმნა, დეკორაციის ფული არა აქვთ, როგორ შეიძლება შევეწიოთ“, „ახალგაზრდა პოეტი დ. სტუდქალაქში შევასახლოთ“, „გუშინ სოფელში გახლდით, საყდრის ჩრდილო კედელი ჩამონგრეულა, მთელი ღამე არ მეძინა“...)

იშვიათად მინახავს ასე, ნიადაგ სხვებისთვის გადაგებული კაცი.

თვითონ სამი ბავშვით ერთ პატარა ოთახში („ბარაკს“ რომ ეძახიან) ცხოვრობს.

მახსენდება ორი სტრიქონი თემურის ლექსიდან.

> „ჩვენ ვგავართ ზღვაში გამომწყვდეულ დაღლილ თოლიებს
> გემბანზე რომ ჩამომსხდარან ნაღვლიან მზერით“.

ასეთია თემურის თაობის კოლექტიური სიმბოლური სურათი.

როსტომ ჩხეიძე

არაერთი საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილისა და თარგმანის ავტორი როსტომ ჩხეიძე სხვა შუქით გაბრწყინდა ჩემ წინაშე. ამ ბოლო დროს მის მიერ დიდი სიყვარულით და რუდუნებით დაწერილი გამოკვლევით ორმოციანი წლების შეთქმულთა ცხოვრება-წამებას რომ შეეხება.

შემჩნეული მაქვს, დოკუმენტური პროზის ავტორები რაღაცით ყოველთვის ჰგვანან თავიანთ წიგნთა გმირებს.

ასეა, ამ შემთხვევაშიც.

როსტომ ჩხეიძეც ისეთივე წმინდა, უღალატო, სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის ფუტკარივით მოფუსფუსე კაცია, როგორებიც იყვნენ ის უშიშარი ქართველები ლამპით განათებულ მაგიდას რომ მიუსხდნენ ამ ორმოცდაათი წლის წინათ და სიკვდილამდე იმპერიის ურჩხულის წინააღმდეგ ბრძოლა რომ შეჰფიცეს ერთმანეთს.

ვანო ჩხიკვაძე

თუ არ ვცდები, ვანო ჩხივაძის ლექსები პირველად მე დავბეჭდე „პირველ სხივში“.

გამხდარმა, ფერმკრთალმა გორელმა ბიჭმა უნივერსიტეტის ყურადღება მაშინვე მიიპყრო ხალასი ლექსებითა და უშუალო, მიმნდობი ბუნებით.

ცოლი რომ შეირთო, ღარიბულ, სახელდახელო სუფრას, ნაქირავებ ოთახში ნეფე-დედოფლის გარდა ორნი ვუსხედით, ჯანსუღ ჩარკვიანი და მე.

გარდა ლექსების რამდენიმე საინტერესო კრებულისა, ვანომ ამ ბოლო დროს პროზაშიც სცადა კალამი და არცთუ წარუმატებლად.

ახლახან „ლიტერატურულ საქართველოში“ მისი ლექსები წავიკითხე და გულწრფელად გავიხარე. ორიოდე შტრიხით ასე დაუხატავს პოეტს დღევანდელი საქართველო:

...„მრავალჭირგამოვლილ და
დაშინებულ ხალხისაგან
რა სიკეთეს ველით.
შინისაკენ გარბიან,
რომ არ წამოეწიოთ
ავტომატის ჯერი.
ერთ ავაზაკს მეორე
ცვლის, სალაფავს სუყველამ
ამოუსვა დინგი,
ამ ქალაქში უცვლელი
არის მხოლოდ უენო
ხალხის პურის რიგი.
ისიც გაჩუმებლა,
ვისაც ძალუძს დაიხსნას
„უძლეველი ჯიში“
და მალულად იხოცავს
ცრემლებს, როგორც ობოლი
დედინაცვლის შიშით.

ბარაქალა ვანო!

მურმან ჯგუბურია

ჩემო მურმან, –

ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ მოხვედი ქართულ პოეზიაში და თან კოლხური სიბრძნე, სითბო და მკვიდრქართული ზნეწესი მოგყვა.

მერე მშვენიერი რომანი დაწერე და პროზითაც უთხარი მკითხველს შენი საგულისხმო სათქმელი.

ლიტერატურული გაზეთი დააარსე და ერთხელ მწუხარე სახით შემომჩივლე – ცუდი წინათგრძნობა მაქვს, კარგი ამბავი არ გველის. ერის ფსიქიკა შეიცვალა, მე მგონია. კაცი რომ ლექსს და მოთხრობას ზურგს შეაქცევს, ვერ უნდა იყოს მისი საქმე კარგადო.

ალბათ, საყოველთაო ეკონომიკური სიდუხჭირის ბრალია-მეთქი, მაშინ დაგამშვიდე.

თურმე მართალი ყოფილხარ.

მხვდები ახლა ქუჩაში წვერგაჯაგრულს, შავკვართიანს, მწუხარე სახით მომავალს და ხანდახან თვალს მარიდებ, მეც აღარ გეხმიანები. რა უნდა მითხრა.

საქართველოს უბედურება რომ ჩემს ოჯახზეც განაწილდა, ეს სრულიადაც არ მიკვირს. მე ის მიკვირს ჩემო მურმან, რა „მამაცურად“, რა გემოს ჩატანებით და კბილთა ღრჭიალით ებრძოდნენ ქართველები ქართველებს შინაომში.

ნეტა ასეთი თავგამეტებით აფსუა-ჩეჩენ-რუსების წინააღმდეგ ებრძოლათ.

საინფორმაციო წყაროები კი ასე „აშუქებდნენ“ ამ საშინელ ამბავს: „აბაშისათვის ბრძოლაში მტერმა გამოიყენა რვა ერთეული ტექნიკა. ჩვენებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის ორი ტანკი, ერთი „ბმპ“ და სამი ჯავშნოსანი მანქანა. ორივე მხარეს არის მსხვერპლი...“

„ერთეულ ტექნიკაზე“ დაწვრილებით გვაუწყებენ, მსხვერპლზე კი გაკვრით თითქოსდა ტანკი იყოს მთავარი და არა ორივე მხარეს დაღუპული ანგელოზივით ბიჭები.

ხომ არ იცი, ვინაა „მტერი“ ან ვინ არიან „ჩვენები?“

ვაი შენ, ჩემო თავო.

ჯემალ ჩახავა

განსაცვიფრებლად არტისტული, იუმორით და ხალისით სავსე, ჯემალ ჩახავა, რომ იტყვიან, სულში ჩასაძვრენი კაცია.

ერთი სიამოვნებაა მასთან სუფრაზე ჯდომა, მისი ლაღი თამადობით, სიმღერით, ჯემალის ზმა-შაირით ტკბობა.

სადაც ჯემალია, იქ მოწყენა ზაფხულის თოვლივით დნება და იპა-

რება, სადაც ჯემალია, იქ ამაღლებული განწყობილების, დარდის განქარვების საათი მეფობს.

თითო ხელი ყველაფერია – ჩინებული პოეტი, მსახიობი, მომღერალი...

ამასწინათ სატირული პასაჟებით დაზუზღული რომანი დადო ჩვენ წინ. თუ არ ვცდები, „ქურდები და არიფები“ ჰქვია.

და მაინც ამ მოსიარულე კაცი-ხალისის, კაცი-ორკესტრის თვალში გაკრთება ზოგჯერ სევდა ჩვენი უბედური ყოფის გამო.

აკი ამ სევდამ ათქმევინა:

ხშირად რომ მხედავთ
ასე დარდიმანდს
და ყველაფრისგან მოცლილს.
იცოდეთ ყველამ,
ჩემი დარდი მაქვს
და ჩემი ჟამი ლოცვის.

ზურაბ ჭუმბურიძე

ერთხელ, ნოდარ დუმბაძემ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობის დროს, მოიწვია ზურაბ ჭუმბურიძე მწერალთა კავშირში მოხსენებათა ციკლის წასაკითხად თემაზე – „თანამედროვე ქართველი მწერლის ენა“.

პროფესორმა ორი მოკრძალებული ლექციის წაკითხვაღა მოასწრო. ქართული მწერლობა ღირსეულად აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს, ჭეშმარიტად მაღალი დონის მწერლობა გვაქვს, მაგრამ ზოგი მწერლის ენა მოისუსტებსო, თქვა და სათანადო მაგალითებიც მოიტანა. მოისუსტებსო?! უხერხული ენობრივ-სტილური მაგალითები კი არა, კორექტურული შეცდომების ჩამოთვლაც კი არ აპატიეს.

„კაი ძამა, რაკი ასე გაგაბრაზეთ, დევითხოვ ზურაბს. გენიოსები რომ ვართ, ამაში კი არ გვედავება ეს კაცი, ჩვენ დასახმარებლად ვიხმე, გრამატიკულ შეცდომებზე მიგვითითა, ქვეყანა ხომ არ დაუქცევია, ახია ჩემზე, აუტკივარი თავი რომ ავიტკივეო“, ნოდარმა.

ბ-ნი ზურაბი კი შემცბარი ღიმილით იდგა და მართლაც ვერ გაეგო, რა დააშავა.

მახსოვს, ზურაბ ჭუმბურიძე შავგრუზათმიანი, ბესო ჟღენტს ასისტენტობდა, უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეს თავკაცობდა.

მახსოვს მისი სუსხიანი წერილები თარგმანის ენაზე. მახსოვს ყველასთვის საჭირო წიგნი „რა გქვია შენ?“

კარლო კობერიძე

კარლო კობერიძის პროზა ლაღი, ხატოვანი ქართულით, შთამბეჭდავი ხასიათებით და საინტერესო, იუმორჩატანებული სიუჟეტებით გამოირჩევა.

არავითარი მიძალება სიტყვასთან, არავითარი რებუს-პაუზები, ენაწყლიანი მთხრობელი გვიამბობს და გვაიძულებს სულგანაბული ვუსმინოთ. არ ვიცი, ვინ თქვა პირველად – „ერთი ამოსუნთქვით იკითხება“, მაგრამ მშვენიერი ფრაზაა, კარლო კობერიძის მოთხრობაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ახლა კარლო თელავში ცხოვრობს და მწერალთა კავშირის კახეთის „განყოფილების ჟურნალს – „ალაზანს“ უნარიანად რედაქტორობს.

ისევ ძველებურად ფიცხი და კეთილი, მუდამ სამეგობროდ ხელგაწვდილი და დაჩაგრული კაცის მოსარჩლე კარლოა.

რამდენი კარგი წერილი მახსოვს კარლო კობერიძისა მისთვის ჩვეული პუბლიცისტური მრისხანებით დაწერილი.

ერთი სურვილი: თელავის სახელოვანი თეატრიდან კარლო ორ ნაბიჯზე ცხოვრობს. როდის ვნახავ მისი პროზის კარგ ხასიათებს თელავის სცენაზე გაცოცხლებულს?

თუმცა ჩვენში ხომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

სკოლაში სწავლის დროს როინ მეტრეველი და მე ქუთაისში განთქმული დეკლამატორები და კონფერანსიები ვიყავით. განსაკუთრებული „მქუხარებით“ ორივენი ვკითხულობდით თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსს – ამერიკელი რევანშისტებისადმი მიმართულს, რომელშიც ასეთი სტროფებია:

ნუ გავიწყდება, იქ ელბის პირას
ჩემს წინ რომ იდექ, როგორც ბატკანი,
შენ ჩემმა სისხლმა გადაგირჩინა
ეგ თეთრი ხელი და ხელთათმანი.
მაშ, რას დიდგულობ, ომით, აირით,
რას მედავები, სიდან სადაო,
მე მინაც მყოფნის, მზეც და ჰაერიც,
ნიუ-იორკთან რა მაქვს სადაო.

ბ-ნი თეიმურაზ ჯანგულაშვილი სამოცდაათისა ისე შესრულდა, გრამი არ მოუკლია (და არც მოუმატნია) წონაში. ამბობენ, ისევ ისე კაფანდარა, უხორცო, მაგრამ ძარღვმაგარი, ჩაკირული თეიმურაზია, ომში წასვლამდე კავშირის კიბის ყოველ მეხუთე საფეხურს რომ აბიჯებდაო.

სამაგიეროდ წონიანი პოეტი და უანგარო მამულიშვილია.

ავთანდილ ყურაშვილი

ამ ექვსი წლის წინათ ავთანდილ ყურაშვილმა გამოაქვეყნა პოემა „აქვე, ამირან დარეჯანის ძეს, მოკითხვამდე“.

პოემაში თვალშისაცემია, სხვათა შორის, წარღვნისწინა განგაშის მოტივი, ჭეშმარიტი პოეტის ყურს რომ აწყდება, მომავლის აპოკალიფსური ორომტრიალიდან.

ლღვება, იშლება მიწის წიაღი,
ძირს ენარცხება ყველა ბურული...
ამოამტვრია სამარის კარი
და მხრებზე კუბოწამოხურული
სასაფლაოდან მკვდარს მოსდევს მკვდარი.

საოცარია პოეტური გუმანი. ჩვენი დღეების გადასახედიდან მართლაც რომ წინასწარმეტყველებაა ეს გრძნეული პასაჟი.

ავთანდილ ყურაშვილის ლექსი მათბობს და მაფხიზლებს ხალასი ნიჭიერების გარდა იმიტომაც, რომ იგი ჩემი ყურადღებიანი, მოკრძალებული და ერთგული ძმაკაცია.

„არ აგვაღო ხელი, ჯერ ერთი, ვალი გაქვს ქუთაისის, როგორც მაიაკოვსკის ჰქონდა ბაღდათის ვალი. მერეც „განთიადს“, ხომ იცი, ახლა სჭირდება შებივჯგება და გამაგრება, თვარა „მნათობს“ და „ცისკარს“ ისედაც ბევრი პატრონი ჰყავს“ – მეტყვის ხოლმე დედაქალქს რომ ეწვევა „განთიადის“ პორტფელის შესავსებად.

სხვა არა იყოს რა, ლიტერატურული ჟურნალი აცოცხლო ამ გაფხეკილ დროში გმირობის ტოლფასია, ჩემო ავთანდილ.

დოდო ჭუმბურიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის თავმჯდომარემ დოდო ჭუმბურიძემ ლადო ასათიანის 75 წლისთავის საღამო გამართა.

ვაკვირდებოდი, რა რუდუნებით, მონდომებით, სიყვარულით ამზადებდა საღამოს. რაოდენი სინაზე და სითბო ჩააქსოვა ოცდაექვსი წლის უკვდავი პოეტი-ძმისადმი მიძღვნილ სიტყვაში.

საღამო რომ დამთავრდა, მივედი და ხელზე ვაკოცე; რა კარგი ჭირისუფალი გვყავხარ, ჩემო დოდო, ბედნიერი ვიქნებით შენი ცრემლის კურცხალი თუ დაგვეცემა ამ სოფლიდან სამუდამოდ გამგზავრების დროს-მეთქი.

რა სასტიკი დროა, რა საშინელია სინამდვილე, რომელსაც განვიცდით, დოდო.

შენი ხალასი, ფაქიზი ლექსების ექო (და არა მარტო შენი) ლამის დაფაროს და სადღაც იშვიათი მყუდროების ჩრდილებში მიჰკარგოს ტყვიამფრქვევთა კანონადამ.

ერთად უნდა გვევლო, მწერლებს, ლიტერატურული საღამოები გვეტარებინა, ადამიანი გაგვემხნევებინა.

ახლა?

ნეტა დაუბრუნდება როდესმე ქართველი კაცი ლექსს, ხელოვნებას?

რა მოხდა? რატომ მოგვერია სიტლანქე, ბოროტება...

იმისთვის ვწერეთ წიგნი და ვალამაზეთ ერის სული, რომ ახლა ტელევიზორში გაფაციცებით გვეფიქრა როგორ იღებენ (ან კარგავენ) ქართველები ქართველებთან ბრძოლაში ხონს და სამტერდიას?

ასე დაბნეული და სასოწარკვეთილი არასოდეს ვყოფილვარ, დოდო.

მირანგულ ავსაჯანიშვილი

მირანგულ ავსაჯანიშვილის ლექსების წიგნში დგას გაცხარებული კაცი. ლირიკული გმირის გაგულისება ავტორის მიერ ზოგჯერ ახსნილია, აქა-იქ პოეტური ბურუსით მოცული. ლექსების კითხვა რომ ჩავამთავრე, ნათლად ვხედავდი მუშტებშეკრულ და ბღვერით მაცქერალ, შინაგანად აჯანყებულ, თანამედროვის ტანსაცმელში გამოწყობილ, მაგრამ სულიერად უფრო წარსულის ეგზოტიკურ მამათა ორეულს. მთელი წიგნი ბრძოლისთვის მზადმყოფი კაცის მონოლოგს ჰგავს და რაკი ეს ღაღადისი უფრო ყეფაა, ვიდრე გალობა – ორიგინალურობისაკენ სწრაფვად კი არა, ბუნებრივად ჩავთვალე ზოგი გაურანდავი სტრიქონიც აქა-იქ რომ შემხვდა. ლექსის ბოლომდე დავარცხნა-დაუთოება-მეთქი, ჩემთვის გავიფიქრე, იქნებ წიგნს დატკბილულის და მშვიდის იერს მისცემდა.

ვის და რას უმხედრდება პოეტი? არაკაცობას, ყალბ პატრიტოტიზმს, მეგობრის ღალატს, უსულგულობას, ლიტერატურულ კარიერიზმს, ორგულობას, ანგელოზის ნიღბით მოვლენილ სულიერ მეძავობას. ოღონდ ეგ არის, მირანგულ ავსაჯანიშვილს არა აქვს ბრძოლის დახვეწილი, თუ გნებავთ, თანამედროვე მეთოდები, იგი თეთრხელთათმანიან ულტრათანამედროვე ქირურგს კი არ მოგაგონებთ პინცეტით ხელში, უფრო მოღრიალე წარმართს ჰგავს, წვერმოშვებულს და უპეებმოჭიმულს, ბოჰემურს და გაღიზიანებულს, მაგრამ განსაცვიფრებლად მართალს და ჭეშმარიტი პოეტის მგრძნობელობით შეპყრობილს.

ერთ ლექსში ამოიკითხავთ:

დასაბამიდან ვიცი ვინცა ვარ,
არაგვის ტალღა სამასმეერთე,
მარაბდის ძარღვის ნაჟურს ვფიცავარ,
ცხრა ძმათა შორის ვიყო მეათე.

ამ სტროფში ნასესხები ციფრები უბრალო პოეტური არითმეტიკა როდია. პოეტს, მართლაც რომ, გასიგრძეგანებული აქვს ამ ქვეყნად თავისი, როგორც კაცის მოვლინების ფუნქცია. ისიც კარგად იცის, რომ მამულისათვის სიტყვასთან ერთად საქმეა მთავარი და ისტორიის დიდებულ ლანდებს ბოდიშის მოხდით იმიტომ აწუხებს, რომ ქვეყანას თავისი ალალი სამსახური შესთავაზოს.

ავტორს სიძნელე გზისაც შეგნებული აქვს და წიწამურთან გასროლილი თოფის ექოც, ამიტომაც თავის თავს და მკითხველს შეახსენებს:

ჯერ ისევ კრთება ბოლი ლულაზე,
იმედის ვერცხლი რა მრავლად ყრია,
ფრთხილად პოეტო ილიას გზაზე,
ჯერ ბოლო ტყვია არ გაუსვრიათ.

...ავსაჯანიშვილთა საგვარეულო საფლავიდან მყინვარი და სამება მოჩანს. სამებიდან ჭიუხებში ილანდება ბეთლემის ლეგენდარული მონასტერი, ოდესღაც იქ დაყუდებული ბერის მოთმინება და დასახული გზისადმი ერთგულების უნარი მისცეს ბუნებამ მირანგულ ავსაჯანიშვილს.

ხოზე ადეიშვილი

ჯიუტად წერს ცალფარითმიან ლექსებს.

ერთხელ ვუთხარი, ახლა ჯვარედინი რითმაა მოდაში, ლექსის მაღალი კულტურის ნიშანია-მეთქი ჯვარედინი რითმა.

რას ჰქვია „მოდა“, ლექსის „მოდა“ ვინ გაიგონა, მე როგორც მეწერება, ისე ვწერო. მერე თვალი ეშმაკურად მოწკურა იმ ერთ რითმასაც რომ ვერთგულობ, მადლობელი იყავი, თორემ გადავალ ვერლიბრზეო.

ისე უბრალოდ წერს, თითქოს ახლოს გიზის და გესაუბრება, თავის წუხილს გიყვება გალამაზება-გაფორმების გარეშე.

... ძველ წუღა-მესტებს ჩავიცვამ,
გავემგზავრები დილით,
და ასე, გათენებამდე
ვივლით, ვივლით და ვივლით.
ალბათ, ჩვენთვისაც დადგება
ერთხელ ნანატრი წამი,
თუ მართლა ამ ქვეყანაზე
სუყველაფერს აქვს ზღვარი.

ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ (25 იანვარი, 1991 წელი) ხოზე ადეიშვილის ათიოდე ლექსი ერთად იყო დაბეჭდილი, წავიკითხე გულდასმით და მივხვდი, რომ ამ ლაპიდარულ სტილს, სასაუბრო ინტონაციას შემეცნების საოცარი ძალა აქვს, ადვილად დადის გულამდე.

გიორგი ავალიანი

მწერალთა კავშირში პირველად სამხედრო ფორმით გამოჩნდა.

რა ფორმა აცვია-მეთქი, ლადო სულაბერიძეს ვკითხე.

არ იცნობ? გორის სამხედრო კომისარი – გიორგი ავალიანიაო.

მე მგონი, არც მანამდე და არც მერე, სამხედრო კომისრად ქართველი მწერალი არ ყოფილა.

მისმა „მკაცრმა თანამდებობამ“ განსაზღვრა მგონი მაშინ ზოგი კრიტიკოსის სკეპტიკური დამოკიდებულებაც გიორგი ავალიანის შემოქმედებისადმი.

მე პირადად, ასე გავიფიქრე: ალბათ მწერლობა თავისი პროზაული საქმიანობის გასანეიტრალებლად, იმპერიის ჯარში ქართველი ყმაწვილების გაგზავნის გამო გულის მოსაოხებლად, ცოდვათა შესამსუბუქებლად გამოუგონა-მეთქი თავს.

წლების განმავლობაში ჯიუტად დაგვარწმუნა, რომ ლიტერატორობა დაბრალებული კი არ ჰქონდა, მისი სულიერი მოწოდება იყო.

დაწერა რამდენიმე საინტერესო მოთხრობა, და ღრმა პატრიოტიზმით გაჟღენთილი ორიოდე რომანიც.

დაწერა ქართველ მწერალთა სიყვარულით და თანაგრძნობით აღსავსე ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომი „სამამულო ომი და ქართველი მწერლობა“.

ლადო ავალიანი

ლადო ავალიანს რომ ვიხსენებთ, უპირველესად, მისი რომანი „ახალი ჰორიზონტი“, გამახსენდება.

არა და „ახალი ჰორიზონტი“ ყველაზე ნაკლებად გამოხატავს ამ მწერლის სულსა და შემოქმედებით ბუნებას.

„ახალი ჰორიზონტი“, მიუხედავად შესანიშნავად დაწერილი ადგილებისა, კონიუნქტურით დამტვერილი ნაწარმოებია. მაპატიოს მწერალმა და ცოტა არ იყოს, დაზგურ ლიტერატურას წააგავს.

არა და ლადო ავალიანი ჭეშმარიტი ესთეტია.

უაღრესად პატიოსანი ხელოვანი, სუფთა სულისა და ხელების კაცი, კოლორიტული, შთამბეჭდავი მოთხრობების ავტორი.

კარგა ხანია მისი არაფერი წამიკითხავს.

სიამოვნებით წავიკითხავდი ისეთი ფაქიზი სტილისტის აზრებს ჩვენს მდუღარე თანამედროვეობაზე, როგორიც ლადო ავალიანია.

ხომ არ დაბერდა?

მიხეილ ალავიძე

ქუთაისში ცხოვრობს კრიტიკოსი მიხეილ ალავიძე.

არამარტო ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების ცოცხალი მემატიანე.

მერვე ათეულს უკაკუნებს და ოცი წლის ყმაწვილივით გულღია სიცილი იცის, დაუშრეტელი ენერგიის პატრონია.

ლადო ასათიანის მეგობარს და თანაკურსელს არაერთხელ გავუხარებივართ თავისი კომპეტენტური წერილებით და მართალი მოგონებებით.

ამას წინათ ხელში ჩამივარდა მიხეილ ალავიძის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

ყურადღებით წავიკითხე და პირველი, რაც გავიფიქრე, გახლდათ: „ღმერთო, რამდენი უშრომია, რა ფაქტები დაუხვავებია ამ პატიოსან მკვლევარს“.

ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ მართალია, პროფესორი ვარ, მაგრამ ჭეშმარიტი, სკრუპულოზური, ფაქტებს და საბუთებს ჩაჭიჭინებული მეცნიერი, ისეთი როგორიც მიხეილ ალავიძეა, არასოდეს ვყოფილვარ და ვერც ვერასოდეს ვიქნები.

ლერი ალიმონაკი

ამას წინათ საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ, ნიჭიერ პოეტს ჩამოვუგდე სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე“.

ცუდადაა-მეთქი „ვეფხისტყაოსნის“ საქმე. ვერ ვპატრონობთ ჩვენს უპირველეს წიგნს. ახლახან, ტექსტის დამდგენმა აკადემიურმა კომისიამ „ვგმობ კაცსა აუგიანსა“, „ვგმობ კაცსა უაუგოსად“ შეცვალა, ხოლო „იგი წავა და სხვა მოვა“, „იგი წახდების სხვა მოვად“. შერყვნეს გააფუჭეს „ვეფხისტყაოსანი“-მეთქი.

უნდა გენახათ, რა ყურადღებით მისმენდა, რა რისხვა ჩაუდგა თვალებში. ეგ როგორ გაბედესო, ეგ რა სისულელე ჩაუდენიათო. შეწუხდა, ავიშვიშდა.

არც ვაციე და არც ვაცხელე, პირდაპირ ვაჯახე: თქვენ საქართველოს საყვარელი პოეტი ხართ, თქვენს სიტყვას ფასი და ძალა აქვს, ამოიღეთ ხმა „ვეფხისტყაოსნის“ შერყვნის წინააღმდეგ-მეთქი.

წმახმიღებულივით მოემჟავა სახე. უცებ დაცხრა და დაიფუშა.

მე ვერ გავერევი ამ საქმეშიო. ჩემი გასაჭირი მადგას, ჩემს „რჩეულს“ ვადგივარ სტამბაში. ლამის ლოგინიც იქ დავიდგა, ხომ იცი, თუ თავზე არ დაადექი, შენს გემოზე ვინ რას გაგიკეთებსო.

შენი „რჩეული“, იცოცხლე, კარგი საქმე იყოს, მაგრამ შენს რვაასი წლის ძმაზე (პოეტი ხარ), შოთა რუსთაველზეც ხომ უნდა შეგტკიოდეს გული-მეთქი.

ამრეზილად შემომხედა და დაუმშვიდობებლად გამშორდა.

საერთოდ საოცრად თბილი, ენაწყლიანი და მომფერებელი, ამის გამო, კარგა ნახევარი წელიწადი უგემურად, ცალყბად მესალმებოდა.

რატომ გავიხსენე ეს ყოველივე ლერი ალიმონაკთან დაკავშირებით?

რომ იცოდეთ, როგორ ამშვენებს მწერალს მეორე მწერლის გამოსარჩლება-გამოქომაგება.

ლერი ალიმონაკი, ლამის, უპატრონო ტერენტი გრანელს მწედ და მოსარჩლედ გაუჩნდა.

თავი გადადო. ადრე წასული ბრწყინვალე პოეტის არქივები ჩხრიკა, ლექსები შეუგროვა და არაერთგზის გამოუცა. ახლახან შესანიშნავი ბიოგრაფიულ-ლირიკული რომანი დაწერა ტერენტი გრანელზე.

და ყოველივე ამის მოქმედ კაცს გრიბოედოვის თეატრში ტერენტი გრანელის საიუბილეო საღამოზე მწერალთა კავშირის მდივან-პოეტმა, მახსოვს სიტყვა არ მისცა.

ვლადიმერ ალფენიძე

ეს კოლოსალური ენერგიის კაცი მთელი ლიტერატურული ქარხანაა.

„ლიტერატურულ ქარხანაში“ მის მაღალპროდუქტიულობას ვგულისხმობ მხოლოდ.

პოეზიით დაიწყო. მერე პუბლიცისტიკაზე, ბოლოს პროზაზე გადავიდა. ხელუხვი, საინტერესო მწერალია.

ამას წინათ გაოცებისაგან პირი დაგვაღებინა:

გაზეთებში გაჩნდა ცნობები – ვლადიმერ ალფენიძე საზღვარგარეთ დარჩაო.

ბარე ორს სიყვითლე კინაღამ დაემართა, ვ. ალფენიძის მოსალოდნელი ამღერების გამო საზღვარგარეთ.

არ გაუვლია ერთ წელიწადს – მწერალთა კავშირში შემეფეთა. თვალებს არ დავუჯერე.

რა მოხდა, ან იქ როგორ აღმოჩნდა, ან აქ-მეთქი. მართლა „უღალატე საბჭოეთს“, თუ შანტაჟი მოგიწყვეს.

„იყო, რაღაც მაგის მსგავსიო“, არ გამენდო, არ გამიტყდა.

?!.

სერგი ჭილაია

სამოციანი წლებია.

ახალგაზრდა მწერალს სამიოდე წერილი მაქვს გამოქვეყნებული და ამდენივე პატარა ნოველა.

მაქვს მშვენიერი მადა, დიდი სახვალიო გეგმები, არა მაქვს ფული და, რაც მთავარია, თავშესაფარი.

მწერალთა კავშირის პირველ მდივანს – სერგი ჭილაიას მივაკითხე. იქნებ დამეხმაროთ, გამონაცვალი ოთახი გამომიყოთ, მუშაობის ელემენტარული პირობები მაინც რომ მქონდეს-მეთქი.

ჩემამდე თუ მიმართე ვინმესო.

არ დამიმალავს – ერთმა მითხრა, მწერალთა კავშირის წევრი რომ იყო, დაგეხმარებოდითო, მეორემ – წიგნი, რაკი ჯერ არ გამოგიცია, ჩვენი მეურვეობის საგნად არ ითვლებითო. მესამემ – იცი თუ არა, რომ თბილისში აკაკის და ვაჟასაც არ ჰქონდათ ბინებიო.

გაეცინა, სწორად უთქვამთო.

წამოვდექი, ბოდიში შეწუხებისთვის. გავუყვები ჩემს მოსაწყენ გზას და თუ ღმერთმა გადმომხედა – წიგნი გამოვეცი, ბინა გავახერხე და ცნობილი მწერალი გავხდი, მოგაკითხავთ-მეთქი.

იჯექი ცოტა ხანს, რა გეწყინა შე კაცო, ჯერ ხომ წყალი არ გადამიწურავსო.

ამ დროს კარის მიღმა ხმამაღალი ლაპარაკი მოისმა და ტყავისჯუბაჩიან-გალიფეშარვლიანბოხოხოიანმა კონსტანტინე გამსახურდიამ შემოაღო კარი.

– არც შენი ტელეფონი მუშაობს, სერგი?!

აშკარად აღელვებული ჩანდა.

ბატონმა სერგიმ წითელი ყურმილი აიღო, ყურზე მიიდო და ისევ თავის ადგილას დააბრუნა.

– მუშაობს? მობრძანდი, კონსტანტინე ბატონო.

ტელეფონი მაგიდისკენ გამოუჩოჩა. ქართული მწერლობის ქორა მახშვი დაჯდა. ბეჭდიან თითს ნერვიულად ათამაშებს.

წამოვდექი და შეუმჩნევლად გასვლა დავაპირე.

– იჯექი, კაცო, – ხელი დამიქნია მასპინძელმა.

– მომეცი ერთი ის წიგნი, ინაურს მინდა ველაპარაკო.

ბ-ნი სერგი მიხვდა, რომელ წიგნზეც იყო ლაპარაკი. მთავრობის ტელეფონების წიგნაკი მიაწოდა და ინაურის ტელეფონი ზეპირად უთხრა.

აგიკრიბავ მე თვითონ – ტელეფონი მიიწია – ზვიადს გაფიცებ, ბატონო კონსტანტინე, არ ეჩხუბოთ.

– მომეცი, მომეცი, მე ვიცი რა უნდა გავაკეთო.

– არ იქნება კაბინეტში, ამ დროს ცეკაში არიან – ხავსს ჩაებღაუჭა ბ-ნი სერგი.

– შენც ზრდილობიან უარს მეუბნები?! – ხმას აუწია სტუმარმა, – ბოლოს და ბოლოს არ მეკუთვნის თვეში ერთხელ მთავრობის აპარატით ლაპარაკი?

– როგორ გეკადრება, ბატონო კონსტანტინე, შენია ეს მწერალთა კავშირი და შენ გემსახურებით ყველა. ა, ბატონო, ინაურს კი არა, თუ გინდა, მჟავანაძეს ელაპარაკე.

ნომერი აუკრიბა და მიაწოდა.

უშიშროების მინისტრს ბ-ნმა კონსტანტინემ წინასწარი მოკითხვისა და რევერანსების გარეშე აჯახა – რაშია საქმე, აღარ გათავდა ჩემი დევნა?! რას ამოიჩემეთ ეს ბავშვი. მე ხომ გამიმწარეთ სიცოცხლე. რამდენჯერ უნდა გითხრათ, იცის ამის შესახებ ვასილ პავლოვიჩმა. არაფერი არაა გვიან. ერთ საათში კეთდება ეგ. მიწვეულია, ტურისტად კი არ მიდის. რას იტყვის ის ხალხი!

ხან „დიდოსტატის მარჯვენის“ მრისხანე ავტორს შევცქეროდი, ხან ბატონ სერგის. ამ უკანასკნელს ოდნავ შიშნარევი, მაგრამ კეთილი ღიმილი შეჰყინვოდა სახეზე.

მერე დიდხანს ჩასძახოდა ყურმილს ბატონი კონსტანტინე – კარგი... კარგი... გმადლობთ... სიტყვა სიტყვაა...

ტელეფონი დადო, ბ-ნ სერგის თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

– ჯიბგირები.

– გავაკეთებო?

– რა მეტი გზა აქვს – წამოდგა – კარგად იყავი, სერგი.

მწერალთა კავშირის მდივანმა მწერალთა კავშირის – „ურჩი წევრი“ კარებამდე მიაცილა.

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა კონსტანტინე გამსახურდიასთან და სერგი ჭილაიასთან.

ამ შეხვედრიდან ორი კვირის თავზე მე ყველასთვის უცნობი ახალგაზრდა მწერალი ბ-ნი სერგის წყალობით ერთოთახიანი ბინის მფლობელი გახლდით და ქვეყანა ჩემი მეგონა.

ლამის ოცდახუთი წელი იმუშავა ბ-ნმა სერგიმ მწერალთა კავშირის პირველ მდივნად. იმუშავა ერთგულად, უღალატოდ, საქმის ცოდნით და სიყვარულით.

სამოცი წელია ემსახურება იგი თავის ქვეყანას როგორც მწერალი – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი.

სამოციან-სამოცდაათიან წლებში გამართულ ყველა ეროვნულ საქმეში, საერო გამოცემებსა და საქვეყნო ღონისძიებებში ლომის წილი უდევს.

ძნელ წლებში სუფთად გამოატარა მწერალთა „ახლოით გამჩხრეკისა“ და ორგანიზატორის მანტია. ვერ იპოვით ოცდაათიან წლებში (და მერეც) გამოქვეყნებულ ვერც ერთ კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ განმაქიქებელ, გამანადგურებელ წერილზე სერგი ჭილაიას ხელმოწერას (რითაც ასე ისახელა თავი არაერთმა მისმა თანამოკალმემ სუსხიან ოცდაჩვიდმეტში).

ჭეშმარიტი პროფესიონალი, თავით ფეხამდე ინტელიგენტი, სიკეთით აღსავსე კაცია.

როგორც პროზაიკოსმა სამუდამოდ დაამახსოვრა საქართველოს თავი „ეკატერინე ჭავჭავაძით“ და „ქრონიკებით“. ეპოქის უტყუარი საბუთები დახატა ოსტატურად დაწერილი პუბლიცისტური ნარკვევებით.

როგორც კრიტიკოსმა ოციოდე სქელტანიანი წიგნი უძღვნა თანამედროვე მწერლის როლისა და ადგილის გარკვევას ჩვენს მღელვარე საუკუნეში.

როგორც მეცნიერმა რამდენიმე თანამოკალმესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ფილოლოგიური მეცნიერების ახალ დარგს უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას და შექმნა პირველი სახელმძღვანელო ამ დარგში.

სიცოცხლის ბოლო დღეებში ენაწყლიანი ლექტორი და სტუდენტთათვის საყვარელი პროფესორი იყო. მეცნიერთა არაერთი თაობის აღმზრდელი.

ამირან კალაძე

ამ ათიოდე წლის წინათ ესტონეთიდან საქართველოში ჩამოვიდა ერთი ფერგაცრეცილი ახალგაზრდა კაცი, გაბზარული ხმითა და საოცრად მეტყველი, სხივიანი თვალებით.

მიდგა-მოდგა, ლექსებიც გამოაქვეყნა, მოთხრობებიც, ესტონური პროზის რამდენიმე საუკეთესო ნიმუშიც თარგმნა. ესტონეთში მიზეზების გამო კარგა ხანს დაჰყო და მოწყურებული იყო ქართულ სიტყვას, ქართულ წესს ცხოვრებისას.

მაშინდელი მწერალთა კავშირი რუტინული, ადმინისტრაციული დაწესებულება გახლდათ. ამირანის ენერგიულობას და მეამბოხე განწყობილებას, „ბრძნულად“, ცივად შეხვდნენ.

მწერალთა კავშირის წევრად მიღებაზეც თავდაპირველად უარი უთხრეს.

ამირან კალაძის შემართებამ, ჯიუტმა ნებამ თავისი გაიტანა, მალე იგი საქართველოს განთავისუფლებისათვის თანმიმდევრულად მებრძოლი თვალსაჩინო მწერალი-პუბლიცისტი გახდა.

ცეცხლოვან წერილებს წერდა. საქართველოს მტრებს პრესაში მეყსეულად პასუხობდა. ორი საქართველოს გზაგასაყართან, რა დასამალია, ჩვენი ამირანი ზომაზე მეტად „გაპოლიტიკოს-გაპარლამენტარისტდა“, მე, პირადად, მთელს მის პოლიტიკოსობას მისივე ერთი სტროფი მირჩევნია:

გინდა სიტყვით დაგიჭრივარ,
გინდ ხანჯლით და რაპირით...
აქ, ზურგსუკან ორმოს მთხრელი
იქ შემხვდები რა პირით.

კორნელი დანელია

აკაკი შანიძემ მეცნიერთა მთელი თაობები აღზარდა. ბატონი აკაკის მოწაფეთაგან გამორჩეულია კორნელი დანელია.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ამ ოცდაათი წლის წინათ ქუთაისის პედინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა, მარტვილელმა კორნელი დანელიამ თბილისში სტუდენტთა შრომებში დასაბეჭდად თავისი სტუდენტური ნაშრომი გამოგზავნა.

ბატონმა აკაკიმ ყურადღება მიაქცია ამ ნაშრომს, უცნობი ავტორი თავისთან იხმო და მალე კორნელი აკაკი შანიძის ასპირანტი გახდა. ეს ფაქტი კორნელის ნიჭიერების გარდა აკაკი შანიძის დიდკაცობაზეც მეტყველებს.

როგორ გაამართლა კორნელი დანელიამ დიდი მასწავლებლის იმედები? ფრიად.

იგი ახლა უაღრესად ნაყოფიერი, მუხლჩახრილი და ჭკუადამჯდარი, ღრმადგანსწავლული და პატრიოტულად შემართული მეცნიერია ქართველ ენათმეცნიერთა შორის.

ჩვეული სიფაქიზით და გულისხმიერებით, ქართული მწერლობისადმი რწმენით და სიყვარულით იკვლევს ქართველ მწერალთა ენასაც.

უაღრესად ფართოა კორნელი დანელიას, როგორც მეცნიერის თვალსაწიერი.

თუნდაც მის მიერ გამოცემული, ფაქიზი და მაღალპროფესიული, მეცნიერული აპარატურით დამშვენებული ძველი ქართული ტექსტები რად ღირს.

ლევან მენაბდე

ლევან მენაბდე უნივერსიტეტის ერთ ყველაზე ძველ და, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, პრესტიჟულ კათედრას – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას თავკაცობს.

უნივერსიტეტის გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია. უნივერსიტეტის გარეთ, არსად უმუშავია.

უნივერსიტეტს შეწირული, მისი ღირსებისთვის დაუმარცხებლად მებრძოლი მეცნიერია.

თუ უნივერსიტეტს სჭირდება, ეს დროული კაცი ცივ ზამთარში დანჯღრეული ავტობუსით კვირაში ერთხელ ახალციხეში ჩავა, რათა „ალმა მატერის“ ნაბარტყ მესხეთის უნივერსიტეტს სული უბეროს.

ლევან მენაბდის დამსახურებაა უნივერსიტეტში რუსთაველის კაბინეტის შექმნა და „ვეფხისტყაოსნის“ მრავალრიცხოვანი გამოცემების დიდი რუდუნებით შეგროვება. რუსთაველოლოგიური ბიბლიოგრაფიის შედგენა, რედაქტირება და გამოცემა საინტერესო კრებულისა „რუსთაველი მსოფლიო გზებზე“.

ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო მკვლევარია.

ჩემი სამაგიდო წიგნია „ძველი ქართული კულტურის კერები“.

დავით თევზაძე

უახლეს ქართულ მწერლობას ღრმად განსწავლული და დამაშვრალი მკვლევარები ჰყავს.

ერთი მათგანია პროფესორი დავით თევზაძე.

რამდენიმე წლის წინათ მან დაწერა წიგნი ამ საუკუნის ლიტერატურული კრიტიკის შესახებ და პირველმა გაბედულად გააკრიტიკა ოცდაათიანი წლების კრიტიკული ჩეხვის მეთოდები. პარტიული კრიტიკის არაერთი მხცოვანი წარმომადგენელი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო

და მახსოვს მათი შეცბუნებული სახეები: „რას გვერჩის, რა უნდა. აბა თვითონ ყოფილიყო მაშინ მოქმედი კრიტიკოსი, თუ შეძლებდა ბერიას „სოციალურ დაკვეთებზე“ უარის თქმასო“.

რამდენიმე კრიტიკოსმა შეძლო იმ ცოდვის ტრიალიდან სუფთად გამოსვლა, მე ვფიქრობ, დავით თევზაძეც შეძლებდა.

ამას წინათ უნივერსიტეტის კიბეზე შემაჩერა და მითხრა – გალაკტიონის ბევრი ლექსი კრიტიკოსებმა არასწორად გაიგეს. იქ, სადაც გენიოსი პოეტი სოციალისტური სისტემის მიმართ ირონიას ამჟღავნებს, საბჭოთა წყობილების ქება დაინახესო. საინტერესო მაგალითებიც დამისახელა.

ბატონო დავით, თუ არ შეწუხდებით, ამ საკითხზე გალაკტიონის სემინარზე გამობრძანდით-მეთქი, შევთავაზე.

ორიოდე კვირის შემდეგ დავით თევზაძე ჩვენს სემინარზე მართლაც წარსდგა ვრცელი და საინტერესო მოხსენებით.

ეს გახლდათ ჭეშმარიტად ახალი სიტყვა გალაკტიონოლოგიაში.

დაუზარელი, უშურველი, ფუტკარივით მოფუსფუსე ქვეყნის და ლიტერატურის ინტერესებით მცხოვრები მწერალ-მეცნიერია.

გურამ პეტრიაშვილი

კომუნისტური ტირანიის დროს თუ პიროვნების პოზიცია ოფიციალური ხელისუფლების პოზიციას არ ეთანხმებოდა, იმ პიროვნებას თუ დაჭერით არ დაიჭერდნენ, ისე დაკარგავდნენ, რომ თვითონვე შეეპარებოდა ეჭვი – ვარსებობ თუ არაო.

ორი წელი იწურება გურამ პეტრიაშვილი დაკარგულია იმ საქმისათვის, რაიც დიახაც მისი მოწოდებაა.

მის ლექსებს, ზღაპრებს და წერილებს აღარ ბეჭდავენ, გურამი ფილმს ვეღარ იღებს და საერთოდ აღარ ვიცი, თბილისში ცხოვრობს თუ არა.

რა დააშავა ამ ნიჭიერმა კაცმა ისეთი, რომ გავრიყეთ, მოვიძულეთ?!

იქნებ სამშობლოს უმტრო? იქნებ საქართველოს თავისუფლების განსყიდვას დაუკრა კვერი?

სწორედ რომ პირიქით.

რაში არ იყო მართალი? იქნებ იმაში შეცდა, იმპერიის დაკრულ დუდუკზე ნუ იცეკვებთ და იმპერიის ჩინ-მენდლებს ნუ დაეხარბებითო, რომ გვაფრთხილებდა?

იქნებ იმაში შეცდა, ქართველი ხელოვანი პირველ რიგში ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდესო, რომ გაჰყვიროდა?

იქნებ არც იმაში იყო მართალი: თქვე დალოცვილო ქართული ხელოვნების მუშაკებო, ცოტა მოუკელით ურდოში წამდაუწუმ სირბილს და საკუთარ ოჯახშიც რუსულად ნუ ჭიკჭიკებთო, რომ გვეხვეწებოდა?

რაო, არ ჰქონდა ზოგიერთივით გატკბილებული, რაფინირებული გამოსვლები? ცოტა ნერვიული ჩანდა ეკრანზე? რაო, მოგელანდებითო, გააფრთხილა ზოგიერთები? წარმოიდგინა ვინმემ თავი მის ადგილზე, როცა ტელევიზორის ეკრანიდან ეს ფრაზა გვესროლა?

ნუ შეყოფთ თავს ისევ იმპერიის უღელშიო, ბღაოდა!

არ იყო მართალი?!

ნიკო ბერძენიშვილი

მისი სახელი და გვარი არც სქელტანიან შრომებს აწერია და არც რადიო-ტელევიზიაში გვესმის წამდაუწუმ.

და მაინც ნიკო ბერძენიშვილი უამრავი მეცნიერული ნაშრომის ინკოგნიტო თანაავტორია, უაღრესად კეთილსინდისიერი რედაქტორი და გამომცემელი.

ამ მაღალკვალიფიციურმა ლიტერატორმა და მთარგმნელმა თითქმის მთელი სიცოცხლე უნივერსიტეტის გამომცემლობას ქართულ მეცნიერულ (და არა მარტო მეცნიერულ) წიგნს შეალია.

წყალი გადაწურული რომ გვგონია, იმედის ნაპერწკალიც რომ აღარა ჩანს, სწორედ მაშინ სასწაულებრივად ფენიქსებრ აღსდგება ხოლმე უნივერსიტეტის გამომცემლობა; ეს ნიკო ბერძენიშვილის დამსახურებაა.

ასე იყო ამას წინათაც, დაპყრობილ-დაქცეული საქართველოს სტამბა-გამომცემლობები აკლდამებივით რომ დუმდნენ, უნივერსიტეტის გამომცემლობა ისევ ფეთქავდა. ნიკომ უხელფასო თანამშრომლებს ერის წინაშე პატრიოტული ვალის გადახდისაკენ მოუწოდა, საიდანღაც ქაღალდიც იშოვა და გამომცემლობას ახალი სული შთაბერა.

ნიკო ბერძენიშვილის წინაშე ვალშია ყველა ქართველი მწერალი, ვისაც „პირველ სხივში“ სტრიქონი მაინც დაუბეჭდავს.

მან კარგად იცის, თუ ეროვნული მწერლობა და ეროვნული მეცნიერება არ განვითარდა, ერი კვდომას იწყებს.

მურმან თავდიშვილი

მურმან თავდიშვილმა დაწერა წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ დაფანტული სტროფები“.

ატარა ეს წიგნი გამომცემლობიდან გამომცემლობაში, მაგრამ დასტამბვაზე უარი უთხრეს; შენაო, არ გიცნობთ, როგორც რუსთველოლოგ-მეცნიერს, თუ სპეციალისტ-აკადემიკოსები ვიზას მოგცემენ – სხვა საქმეაო.

რუსთველოლოგებმა მურმან თავდიშვილი სათოფეზე არ გაიკარეს.

მომიტანა მე, ბატონო რევაზ, ვიცი თქვენი წუხილი „ვეფხისტყაოს-

ნის“ დამახინჯების გამო, იქნებ წაიკითხოთ და თუ მოგეწონათ, რედაქტორობა გამიწიოთო.

წავიკითხე და მომეწონა, მეტსად ვიტყვი, თითქმის ყველაფერი მაქვს წაკითხული, რაც „ვეფხისტყაოსანზე“ ქართულად დაწერილა და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ პრობლემებზე ასეთი ღრმად პროფესიული წიგნი არ წამიკითხავს. ახალგაზრდა მკვლევარმა გაბედულად დაასაბუთა არაერთი სტროფის „ვეფხისტყაოსნიდან“ გაძევების უმართებულობა.

პედაგოგიკის ინსტიტუტის თავაზიანი დასტურითა და ჩემი რედაქტორობით გამოვიდა მ. თავდიშვილის ტანჯული წიგნი.

უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა. რა ყაშყაშ-კრიახით დააცხრნენ თავს ახალბედა რუსთველოლოგს ნაფიცი რუსთველოლოგები. რა ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხეს თავს კაცს, რომელმაც გაბედა და „ვეფხისტყაოსანს“ დაფანტული სტროფები დაუბრუნა.

კვლავაც მურმან თავდიშვილის გვერდით დავდგები მის მართალ ბრძოლაში „ვეფხისტყაოსნის“ დასაცავად.

იგი ჩემი თანამოაზრე და მეგობარია.

მზია ჩხეტიანი

ქართული ფოლკლორიდან მოდის რომანტიკული და საოცრად ლაზათიანი წესი მოქიშპეთა დაზავება ქალის წმინდა მანდილის შუაჩაგდებით.

შარავანდედით მოსავს, კდემით ავსებს ეს ადათი ქალის სახეს საერთოდ და მაღლა სწევს მის ისტორიულ სამშვიდობო როლს.

მაგრამ, მე მგონია, მანდილის აფრიალებას და მოშუღლართ შორის მშვიდობის მტრედად ჩაფრენა-ჩაკეცვის უფლება ყველა ქალს როდი აქვს.

მეომარნი არად დაგიდევენ იმ მჩხავანა დედაკაცთა მანდილს, რომელთა სახეს კონიუნქტურის, მონური მორჩილების, კერპის წინაშე მუხლზე დაცემის, სიძულვილისა და უხეშობის იერი დაჰკრავს.

იმ მშვენიერ ქართველ მანდილოსანთა შორის, ვისაც დღესაც აქვს უფლება წმინდა მანდილი ააფრიალოს და ძმათაშორის შუღლს წერტილი დაუსვას, ერთი პოეტი მზია ჩხეტიანია.

სული ამითრთოლა ახლახან სამოქალაქო ომის ქარცეცხლში მბორგავ საქართველოზე დაწერილმა მისმა ლექსმა:

...დღე აღარ დღეობს,
მზეც კი მზებნელობს
კალთადამწვარი, გულდაკოდილი,
ვწუხ ძმაო, ძმათა კალოს მლეწველო,
რით ვიხსნა სული შენი, ცოდვილი?!

...პაპის საფლავი, მტრისგან მოხნული
და დალეწილი მამის მახვილი,
ვის ტახტს შეწირეთ, ბიჭო, სოხუმი!
ჩვენი ძირძველი მიწა კოლხური,
გადამწვარი და ნამუსახდილი?!

ჯანო ჯანელიძე

ცხოვრობდა სოხუმში ნიჭიერი პოეტი ჯანო ჯანელიძე.

აფხაზეთში ცხოვრება ოთხმოციან წლებში იქ მყოფ ქართველებს წამებად ექცათ.

კრაზანებივით ბზუოდნენ ქვეგამხედვარი, ქვებუდანა, გადამთიელი აფსუები. დაჰყნოსეს, საქართველო იმპერიის უღლიდან თავდახსნას აპირებს და, ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს კითხვა დაგვისვან: – რამ გაგაყოყოჩათ და გაგაბოროტათ ასე, ჩვენს მიწაზე სტუმრად ჩამოსულ-გამრავლებული ხიზნებიო.

აფსუები მუხანათურად ალალი, გულუბრყვილო მასპინძლების – ქართველების ყელის გამოჭრას რომ აპირებდნენ, ერთ-ერთმა პირველმა ჯანო ჯანელიძემ იგრძნო და განგაში ატეხა.

მაგრამ მის მიერ დარისხებულ ზარებს თავდაჯერებულმა საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ ყურადღება არ მიაქცია.

ბედისწერასავით ახლა მგზნებარე პუბლიცისტად ქცეული ჯანო ჯანელიძის წინასწარმეტყველებანი. თავისი მრისხანე, ეროვნული გაზეთებიდან („ოქროს საწმისი“, „კოლხური დიადემა“) გვაფრთხილებდა: თუ არ ვიმარჯვეთ, გაგრას დავკარგავთო და... დავკარგეთ.

თუ რუსეთს დავუჯერებთ და დავყვებით, სოხუმს დავკარგავთო და... დავკარგეთ.

ახლა აფხაზეთის განათლების ლტოლვილი მინისტრი თბილისშია და, როგორც კრუხი წიწილებს, ისე აგროვებს თავის დაფანტულ-გატანჯულ მრევლს – მოწაფეებს და მასწავლებლებს.

ჯანო ჯანელიძის პოეზიაში ახალი შთამბეჭდავი, ცრემლიანი სტრიქონები გაჩნდა – ტრაგედია სამშობლოწართმეული პატრიოტისა.

ლევან მილორავა

მღელვარე, ხმამაღლა მოლაპარაკე, დუღილამდე ტემპერამენტიანი (ალბათ ნიადაგ დუღილმა გაუბზარა ხმა) ქვეყნის ბედზე მომჩივან-მოწუწუნე, პირში მთქმელი ლევან მილორავა.

ვიცნობდი როგორც მუზეუმის კაცს, კულტურის საქმეებზე თავდადებულს, დაუცხრომელ თეატრალს და, რა თქმა უნდა, თეატრისთვის გატანჯულ დრამატურგს.

ამას წინათ „ღიმილში“ (№ 1, 93) გამოვაქვეყნე ბატონი ლევანის ახალი მოთხრობა სათაურით „ილიკო მოკლე და მოშე კუპატა“.

ებრაელთა ყოფა-ცხოვრებაზე, სამოციანი წლების ქუთაისში დაწერილი ერთი გემრიელი მოთხრობაა. სიამოვნებით დავბეჭდე და ვთხოვე ავტორს, თუ ასეთი რამ კიდევ გაქვს, მომიტანე უღრმესი მადლობით მივიღებ-მეთქი.

რავა არა მაქვს, ჩემო რეზოვო, შენ რომ ასე მოგეწონა, ეგ მოთხრობა, რომ იცოდე, წლობით იდო სხვადასხვა რედაქციათა პორტფელებშიო.

ისღა დამრჩენოდა, ყველა დროის ყველა რედაქციის თანამშრომლის სახელით ბოდიში მომეხადა მისთვის.

ახლა ბატონი ლევანის სხვა მოთხრობებს ველი.

გია ლომაძე

გია ლომაძე უფრო ადრე გავიცანი, ვიდრე მის მოთხრობებს წავიკითხავდი. ჩვენს სამეგობრო წრეში იგი ბუნებრივად, უშუალოდ, უხმაუროდ შემოვიდა. თითქოსდა გუშინ დაწყებული საუბარი გააგრძელა. ყურადღება თავდაპირველად იმ გარემოებას მივაქციეთ, რომ, ამ ლამაზ, დახვეწილმანერებიან თბილისელ ბიჭთან ჩვენ მასზე ასაკით უფროსთ ბევრი რამ გვქონდა საერთო – ერთი მიზეზით გამოწვეული საწუხარსახმილი გვიწვავდა გულ-ღვიძლს. მერე გიაში სხვა თვისებებიც აღმოვაჩინეთ – შეუპოვრობა, შინაგანი სიმტკიცე, პირში მთქმელობა, ობიექტურობა, სიმამაცე...

ამის შემდეგ მოვიდა ნიჭიერი მწერალი გია ლომაძე. ჩვენ, მისი ხასიათით შემზადებულნი, ველოდით გია ლომაძის პროზის უკომპრომისო, დრამატულ, აქტუალურ მხარეებს. მოთხრობებში თბილისის კოლორიტი, თანამედროვეობის მძაფრი განცდა, გიას თაობის მსოფლხედვა გამოვლინდა. „თაბაშირის კაცი“ კი მწერლის მხატვრული დაოსტატების უდავო დასტური გახლდათ. შარშან (გია საერთოდ ცოტას ბეჭდავს) „ლიტერატურული საქართველოს“ გაშლილ გვერდებზე დასტამბული მოთხრობებით, გია ლომაძის პროზა ახალი თვისებებით გაბრწყინდა – ეს გახლდათ სატირული დოკუმენტურობა და ალეგორიულობა.

ხომ უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ გიას ხასიათი ჩანს: საქართველოში ყველანაირი გაზეთი გამოდის და როგორ, შეიძლება გაზეთი „ბანკი“ არ არსებობდესო. დააარსა გაზეთი და თვითონვე უნარიანად რედაქტორობს. გაზეთი რომ დააარსა, ბანკის მესვეურთ მოსთხოვა: ქართულ ეროვნულ ბანკში ილია ჭავჭავაძის სურათი არ გიკიდიათ, რა ბანკირები ხართ თქვენო.

ახლა გიას დაჟინებით ბანკის უძველეს შენობაში ილია ჭავჭავაძის სურათიც ჰკიდია და გია ლომაძე ცდას არ აკლებს, რათა ეროვნულმა ბანკმა დიდი მოძღვრის ნაჩვენები გზით იაროს.

რევაზ ჩხეიძე

კინორეჟისორობა ისე რთული და ძნელი ტვირთია, რომ საზოგადო მოღვაწეობისთვის დროს არ გიტოვებს. ხელოვნების ამ დიდებულ დარგში მუშაობა განა თავისთავად საზოგადო ღვაწლს არ გულისხმობს, მაგრამ მე უფრო ფართომასშტაბიან საქმიანობას ვგულისხმობ; როცა კაცს აკიდებული აქვს ერის ქომაგისა და ჭირისუფლის ნელშიგამდრეკი ტვირთი.

ბატონი რეზო ათეული წლების განმავლობაში საქართველოს კინოსტუდიას რომ ხელმძღვანელობდა და კინემატოგრაფისტთა თაობები რომ აღზარდა, ან თავისი შედევრებით ქართული ფილმის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი რომ დაიწყო, განა ერთი კაცისთვის უზარმაზარი მიღწევა არ არის თავგამოსაჩენად? მაგრამ მთელი ერის გასაგონად უნდა ვთქვა, რომ რეზო ჩხეიძე დღესდღეობით ქართველ ხელოვანთა შორის, ლამის, ერთადერთი და უპირველესი კაცია ილიასებური და აკაკისებური ლომის ენერგიით რომ დგას საქართველოს ღირსების სადარაჯოზე, მას უზარმაზარი ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი და დიახაც შეუძლია თქვას – ერი განსაკუთრებული გულისყურით მისმენს, ჩემი იმედი აქვსო.

რატომ? იგი დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტია თანამედროვე საქართველოს ერთი სახელოვანი საზოგადოების – ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის და კიდევ იმიტომ, რომ საქართველოს თავისუფლების განსყიდვისთვის სხვებივით კვერი არ დაუკრავს.

ირინე ტალიაშვილი

მახსოვს ტელევიზიის ეკრანზე ირინე ტალიაშვილის ბოლო გამოჩენა.

პატიმარი მწერალი ქალი თვალცრემლიანი ამბობდა: არ ვიცი, რა მეხი დაგვეცა, რა დაგვემართა, რა უბედურებაა ჩვენს თავსო.

მას არც პატიება უთხოვია და არც უკან დაუხევია, თავისი შეხედულებების, თავისი რწმენის ერთგული დარჩა.

იქნებ მაქსიმალურად მოაზროვნე, პოლიტიკურად აჩქარებული, იარლიყ-ეპითეტების გაცემაში ზოგჯერ არცთუ რაფინირებულ-დახვეწილი იყო ის რაზმი, რომელსაც ირინე ტალიაშვილი ეკუთვნოდა, მაგრამ დრომ ხომ დაადასტურა, რომ მათი ეროვნული ორიენტაცია მართალი იყო და ავი წინათგრძნობაც არცთუ უსაბუთოდ აწვალებდათ?

გული ჩამწყდა ირინე მწერალთა კავშირიდან რომ გავიდა.

მაგრამ იგი ქართული მწერლობიდან არ გასულა.

მწამს, ეს უნიჭიერესი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალი კვლავ დაუბრუნდება ლიტერატურასაც და იმ ბრძოლასაც, რომელსაც ლამის სიცოცხლე შესწირა.

შალვა მჭედლიშვილი

ლეგენდარული შალვა მჭედლიშვილი.

ქართველი პოეტი და ექიმი. კომუნისტურ ციხე-საპატიმროებს სასწაულებრივად გადარჩენილი კაცი.

ამას წინათ სადღაც მიხეილ ქვლივიძე წერდა; მეც და ერთი-ორი სხვა მეგობარიც ვიყავით შალვა მჭედლიშვილთან ერთად არალეგალური ჯგუფის წევრები, ერთად ვიბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მრისხანე ორმოციან წლებში, ხოლო როცა შალვა მჭედლიშვილი დაიჭირეს, შინ ვიჯექით და არცთუ მშვიდად ველოდით ჩვენს რიგსო.

იგვიანებდაო ჯალათი, იხსენებს მიშა.

შალვამ ყველაფერი თავის თავზე აიღო, გაუძლო წამებას, წარბშეუხრელად შეხვდა განაჩენს, ჩვენზე კი სიტყვაც არ დაცდენიაო.

ასეთია შალვა მჭედლიშვილი ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც.

ჯარჯი ფხოველი

სად არის ჯარჯი? ხშირად მეკითხებიან ხოლმე მწერალთა კავშირში ჩვენი საერთო მეგობრები.

ბრწყინვალე პოეტი, მართალი კაცი, ქართული ვერლიბრის ერთ-ერთი აკვნისდამრწევი, რაინდობით გამორჩეული პიროვნება – ჯარჯი ფხოველი დროდადრო გაქრება საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასპარეზიდან.

გამოხდება ჟამი და ისევ გამოჩნდება ჯარჯი ახალი ეროვნული რვეულებით ხელში.

ამას წინათ „მამულის“ ძველ ნომრებს ვათვალიერებდი. ჯარჯის რამდენიმე მებრძოლი ხასიათის პუბლიცისტურ-პოლიტიკური წერილი შემხვდა.

სადა ხარ, ჯარჯი! ახლა უნდა შენი მამაცური სიტყვა რუსთა მიერ გადრეკილ, კირთების ქვეშ მგმინავ შენს უბედურ მამულს.

მაკა ჯოხაძე

მახსოვს მაკა ჯოხაძის ერთ-ერთი პირველი მოთხრობა „გურამ, გურამ“.

რა კდემა, რა სითბო, რა სიფაქიზე ჩანდა იმ მოთხრობაში.

მაკას ლიტერატურული სიყრმე (ამის გამო შეღავათებს რომ გვთხოვს ზოგი საეჭვო ნიჭის ახალგაზრდა მწერალი) თითქმის არ ჰქონია. იგი ზრდადასრულებულ, ჭეშმარიტ მწერლად გამოჩნდა იმთავითვე.

უაღრესად მომწონს და მხარს ვუჭერ მაკა ჯოხაძის მტკიცე ხასიათს და პოზიციას – საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში დგომას.

სადღაც წავიკითხე, თანამედროვეობაზე რომანს წერსო.

დიდი გულისყურით ველოდები იმ რომანს.

ზაურ გომართელი

ჩემი უღალატო მეგობარია.

გამოცდილი ჟურნალისტი, ცხოვრებანანახი კაცი, სიყვარულისთვის დაბადებული, ჭეშმარიტი პატრიოტი და მოღვაწე.

ახლა რომ ვიგონებ, იმ ათას შეხვედრა-საუბარში ჩვენი კამათი საქართველოს და მწერლობას არ გაშორებია.

ისე კარგად იცის ლიტერატურა და ისე მხურვალედ მიჰქონდა გულთან ჩვენი კაზმული სიტყვის ყოველი ახალი მოვლენა, რომ განშორებისას გავიფიქრებდი ხოლმე – ეჰა, ჩემო ზაურ, გატყობ შენც ამ ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი, ხვალ თუ ზეგ შენს პროზასაც ვიხილავ-მეთქი.

და აი, „ლიტერატურულმა საქართველომ“ ზედიზედ გამოაქვეყნა ზაურ გომართელის ხუთიოდე მოთხრობა.

მწერლობა სხვა არაფერია, თუ არა საინტერესო კაცის მიერ საინტერესო ამბის მოყოლა.

განსაკუთრებით „ჩეკისტი“ და „თეატრალი“ დამამახსოვრდა.

ზაური ისევე კარგად, შთამბეჭდავად წერს, როგორც ჰყვება.

იმედით ველი მის შემდგომ ნაბიჯებს დიდ ლიტერატურაში.

აკაკი ჩხარტიშვილი

ფილოსოფოსი და ესთეტი აკაკი ჩხარტიშვილი თავისი ცხოვრების წერითაც ჭეშმარიტი ესთეტი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ჭეშმარიტი ინტელექტუალია.

ყოველთვის მაცვიფრებდა ამ ღრმადგანსწავლული მეცნიერის ხასიათის თვისებები – მოქალაქეობრივი თავმდაბლობა, თავმოდრეკილობა – მაღალი ღირსების ადამიანებს რომ გამოარჩევს სხვათაგან.

ხასიათის ეს თვისება ნიადაგ კომპრომისულობას და დამყოლიობას როდი გულისხმობს.

როცა საჭიროა, აკაკი ჩხარტიშვილი ხმალამოღებული დგას საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

მან ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო, ჯერ კიდევ 1992 წელს, რუსეთი მესამეჯერ დაპყრობას რომ გვიპირებდა და განგაში ატეხა.

სამწუხაროდ, ამ მგზნებარე მამულიშვილის წინათგრძნობა მართალი აღმოჩნდა.

ახლა აკაკი ჩხარტიშვილი, სხვა პატრიოტთა მსგავსად, ბოლმას გულში ნაღვერდლად ინახავს და ახალი ბრძოლებისთვის ემზადება.

გივი ბრეგაძე

წყალწითელას აღმართს რომ აივლით, საყდრის გვერდზე მაღალჭერიან ლამაზ შენობას მოჰკრავთ თვალს.

იმ სახლ-გამოფენის პატრონი გრძნეული კაცია, საუკუნის ხელოვანი – გივი ბრეგაძე.

გივი ბრეგაძის მღვიმე მიქელანჯელოს და ბოტიჩელის ეპოქასთან დაგაბრუნებთ; მარტო შემოქმედის მაღალი, თვითმყობადი ნიჭით კი არა, მოთმინების, თვითგვემა-რუდუნების უნარით, სკრუპულოზურობის გრძნობა-განცდით, ხელოვნებისადმი თავის შეწირვის იმ შესაშური ტემპერამენტით გარდასულ შუა საუკუნეთა უკვდავ შვილებს რომ გააჩნდათ.

ოსტატი ხის ტანისაგან უბრწყინვალეს ქანდაკებებს აკეთებს, ძელქვის და მუხის ფესვებისგან ზღაპრულ სამყაროს ქმნის, დეკორატიულ მაგიდებს, შუქმფინარ ჭაღებს, აბსტრაქციულ ფიგურებს აგვირისტებს. საქართველოს ღირსების შეცნობით დაინტერესებულო მგზავრო, გვერდი არ აუარო ამ სახლს.

გივი ბრეგაძეზე საუკუნეები იღაღადებენ.

ტარიელ კვანჭილაშვილი

მიხეილ ჯავახიშვილის კვლევას მაშინ მოჰკიდა ხელი, როცა „ჯაყოს ხიზნების“ ავტორის ქომაგობა „მისებრ მოაზროვნეთა“ სიაში შენი ხელით შენი გვარის ჩაწერას ნიშნავდა და მიხეილ ჯავახიშვილის ბედის გაზიარება თუ არა, ხელისუფალთაგან ალმაცერად ცქერა ხომ ხელში გქონდა.

ღრმად განსწავლული მეცნიერ-ფილოლოგი და მებრძოლი მწერალ-პუბლიცისტია.

ასეთები ერის დედო-ზართან ახლოს დგანან და მაშინ შემოჰკრავენ ხოლმე, როცა ქვეყნის თავზე შავი ღრუბელი გროვდება, ან ერს ჩაძინების საფრთხე ემუქრება.

მაგიდაზე მიდევს ბატონი ტარიელის ახალი, უაღრესად საინტერესო, ჩვეული უკომპრომისობით და კეთილსინდისიერებით შექმნილი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების კრებული.

ქადაგება, საქართველოს სამათხოვრო არაფერი სჭირს, ნუ დავროკდებით რუსის დუდუკზე, ნუ ჩავიდენთ საშვილიშვილო ცოდვასო...

ლილი ნუცუბიძე

ამას წინათ ტელევიზორის ეკრანიდან ვთქვი – უქაღალდობა და უსტამბობა ხომ ჭირად დაგვაწვა მწერლებს, ამას თუ ოფიციალური წრეების მხრიდან მწერლობის იგნორირებას დავუმატებთ, მწერალი მალე დაკარგავს ერის სულიერი წინამძღოლის ფუნქციას-მეთქი.

კატასტროფა უკარაქობა და უხიზილალობა ჯერ კიდევ არ არის, სრული კატასტროფა ერის უმწერლოდ დარჩენა იქნება.

მანეთის შოვნაზე გადაგებული „პრაქტიკოსები“ ხომ ვერასოდეს წარმოიდგენენ რა გრძნეულება გააჩნია ლექსს თუ მოთხრობას, რა პეწი აქვს მწერალს.

ჩემი ყრმობის დღეები ცისფერი სიზმარივით მახსოვს.

სკოლაში დროდადრო გვეწვეოდნენ ქუთაისში მცხოვრები მწერლები – დავით კვიცარიძე, არჩილ გურჯიძე, ლილი ნუცუბიძე, დომენტი ახობაძე, გიორგი სამხარაძე, ზურაბ კუხიანიძე, დავით ხუროძე...

ზეიმი თუ გნებავთ, სწორედ რომ მათი მოსვლა იყო.

ლილი ნუცუბიძის პოეზია თანამედროვე ქართული პოეზიის ერთი შთამბეჭდავი ფურცელია.

რაოდენი სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, სულიერი სიფაქიზე და ჭეშმარიტი პოეტის მახვილი თვალი ჩანს ლილი ნუცუბიძის ლექსებში.

დღესაც ამგვარი სულიერი თრთოლვით და მოწიწებით გადავშლი ხოლმე შენს ხალას სტრიქონებს, ქალბატონო ლილი. მიხარია, რომ სიტყვას და მამულს კვლავ ძველებურად ერთგულობ და შემწედ უდგახარ.

ნოდარ შამანაძე

ჩემი დედულეთის მკვიდრი, დიდი გლეხური ნაბიჯით მოსიარულე, როხროხა-სიცილიანი, კეთილი და უშურველი ნოდარ შამანაძე.

არ შეიძლება ყოველ შეხვედრაზე რამე ახალი არ გითხრას, არ შეიძლება რამე დაგებეჭდოს და წაკითხული არ ჰქონდეს.

ხანდახან დაასწრებ ხოლმე (სინდისიც კაი საქონელია), მომეწონა შენი ლექსი, შენი წერილი, ჩემო ნოდარ!

გაიცინებს. მერე ალალი, მადლიერი ღიმილით შემოგაჩერდება.

– მართლა მოგეწონა, აბა? რაღაი შენ მოგხვდა გულზე, აღარ ვჩივი აღარაფერს, თუ გიყვარდე, ბიჭი მყამს კარგი, ამას ვამბობ თამამად, გეცოდინება ჩემი ბიჭი, შენე!

– შადიმანი, რას ჰქვია მეცოდინება, მაგის იმედით არის თეატრი.

– თეატრი აღარ არი და პიესა ვის რათ უნდა, დრამატურგი მაშინ ყვავის თურმე, როცა თეატრს სჭირდება...

მოდის ხელხვავიანი ნოდარ შამანაძე, შთამბეჭდავი ლექსებით, მოთხრობებით, საბავშვო ლირიკით, შეუცვლელი გამოკვლევებით სავსე აბგა ჰკიდია ზურგზე.

ოთარ ეგაძე

მარტოოდენ საქართველოს სიყვარულით შექმნილი მისი სქელტანიანი წიგნებით და სპეტაკი მოქალაქეობით ან შემტევი, მებრძოლური ხასიათით და უკომპრომისობით კი არა, ოთარ ეგაძე გარეგნობითაც ორიგინალური და შთამბეჭდავია.

ხან ელეგანტური, პეწიანი ევროპელია სმოკინგ-კოსტიუმით და პეპელა-ჰალსტუხით, ხან ფართოშლიაპიანი და შემოფერილ-შემოტმასნილ სერთუკიანი „მამაცი შვიდეულის“ რომელიღაც პერსონაჟს წააგავს, ხან კი კოხტად მორგებული ჩოხა-ახალუხით სულიან-ტალავრიანი ქართველია და ხაზგასმული ეროვნულობით, ცოტა არ იყოს, დისონანსად ჩანს რუსთაველზე.

ამ ოთხმოცი წლის ახალგზარდას ყველაფერი უხდება.

ოთარ ეგაძემ ღრმა კვალი დაამჩნია არა მარტო ქართულ ჟურნალისტიკას, ქართულ დოკუმენტურ პროზასაც.

გიორგი ხორგუაშვილი

გიორგი შატბერაშვილი, ოთარ ჩხეიძე, გიორგი ხორგუაშვილი...

კიდევ ვინ არის შუა ქართლის ამ კურთხეული, გულქართული მიწიდან ქართულ პროზას სახელი რომ შესძინა.

გიორგი ხორგუაშვილის სატკივარი – მისი ბედდამწვარი მამულია, მისი კალმის სამიზნე თანამედროვეობა, უმთავრესი პრობლემა გადაგვარების გზაზე მდგომი კაცის საწაღმართოდ მოქაჩვა.

ქართული, კოლორიტული ხასიათები, მსუყე ქართული, შთამბეჭდავი პასაჟები.

წიგნიდან წიგნამდე კი რაიონის კულტურული საქმეების თავკაცობა, გურამიშვილობის მზადება და ეროვნულ სამრეკლოდ ქცევა, მუზეუმის ლიბოს გამაგრება.

ნათელი კვალი მიჰყვება გიორგი ხორგუაშვილს.

მინაწერი: ჩემს მთავარ ბომონს – ნოველას რომ ვეჯაჯგურები, განტვირთვის საათად ამ ჩანახატების წერას მოვიშველიებ ხოლმე.

თქვენი არ ვიცი და მე სიამაყეს მგვრის იმის შეგნება, რომ ერის იმედად და მფარველად ნათობს მისთვის დამაშვრალ მოღვაწეთა ეს მშვენიერი რაზმი.

ისინი, რასაკვირველია, აქ წარმოდგენილზე გაცილებით მეტნი არიან, და თუ დამცალდა, ყველა მათგანზე ვაპირებ ორიოდე სიტყვის თქმას.

„რჩეულის“ წინათქმა

ძვირფასო მკითხველო

ძნელი მისია ვიტვირთე. შოთა ნიშნიანიძის „რჩეული“ შევადგინე.

დღეს, როდესაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დამოუკიდებელი საქართველოსათვის საჭირო ბიბლიოთეკას ქმნის, როდესაც ელვის სისწრაფით მოცვივიან თაროებიდან დავიწყების კუპრში კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლ მწერალთა განწირული წიგნები, როდესაც ობიექტური კრიტიკოსი სამარცხვინო ბოძზე აკრავს მედროვე პოეტ-კარიერისტს, როდესაც მავანნი ჩასაძირავი ხომალდის ვირთხებივით დაფაცურდნენ, ლენინისგამოსახულებიანი სამკერდე ნიშნები მოიხსნეს და იქნებ გადავრჩეთო, ცოდვების მოუნანიებლად ეროვნული მოძრაობის მიკროფონებთან გაძვრნენ, ჩემთვის კიდევ ერთხელ ცხადი გახდა ჭეშმარიტება:

ნიჭის საბოლოოდ მოთოკვა და ჭეშმარიტი მოწოდების პროკრუსტეს ყალიბში მოთავსება არავითარ ტოტალიტარულ რეჟიმს არ ძალუძს.

ყოველ ეპოქაში განგება მოგვივლენდა ხოლმე ერის მესიტყვეს, სულიერ წინამძღოლს, ქართველთა გულისთქმის მართლად გამომხატველს – კაცს, რომელსაც სრულიად საქართველო უსმენდა.

ის ღვთით მოვლენილი შემოქმედი ათას დავიდარაბასა და ორომტრიალში გამოატარებდა ჩვენი ეროვნული სინდისის დროშას, რათა მომავალი თაობებისათვის ეჩვენებინა სიწმინდე და გაუბზარობა, ჩვენი სულისა და სიმართლის სამსახური უკვდავ ანდერძად დაეგდო შემდგომად მოსულთათვის.

ასეთი პოეტი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს გალაკტიონი ჰყავდა, ასეთ პოეტად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შოთა ნიშნიანიძე მიმაჩნია.

სკეპტიკოსს და ჩვენი დროის ურწმუნო თომას კარგა ხანია აღარ ვეკამათები, მაგრამ აი, ვწერ ამ სტრიქონებს და მისი ირონიული ქირქილი მესმის: „ვერც ესენი გადაურჩნენო წითელ ეშმაკუნებს – გაიხსენეთო გალაკტიონის „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ და შოთა ნიშნიანიძის „კომუნისტები“.

გენიოს პოეტთა ამ უმნიშვნელო „ცოდვებს“ აშკარად ეტყობა ნიჭის ვერმოთოკვის შთაგონების ვერმოსყიდვის კვალი – პირველ ლექსში აშკარა ირონია იგრძნობა, ხოლო მეორეში – კომუნისტის განსაკუთრებულობის აჩემებული თეორიის ულმობელი წაშლა ნათელი პოეტური ლოგიკით.

ამ რჩეულის შედგენისას გადავიკითხე შოთა ნიშნიანიძის ყველა წიგნი და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ასპარეზზე გამოსვლის დღიდან მოაქჟამამდე ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ერის საუკეთესო ფიქრის გამოხატვის ფუტკრული ფუსფუსით და უანგარობით იცხოვრა. საქართველოს ძლივსმფეთქავი მაჯისთვის წუთითაც არ შეუშვია ხელი

და „ავადმყოფის“ სასთუმალთან წლების განმავლობაში ჩამუხლულმა ამ ბოლო დროს წელი გამართა, გასამხნევებლად და საჭიროების შემთხვევაში, ხელის შესაშველებლად ახლა გვერდით მიჰყვა განკურნებულს, ბრძოლაში ჩაბმულს, როგორც მისი უღალატო ჭირისუფალი და დასტაქარი.

სულგაყიდული და ქარაქუცა პოეტის ხვედრი ცნობილია. ის რომ „დიდებას იხვეჭს“ დროებითი და წარმავალია, სიმართლისთვის ნიადაგ მებრძოლი, ნამდვილი პოეტი არცთუ იშვიათად ხდება დევნის, ან, რაც უარესია, ვერშეცნობის მსხვერპლი.

ურაპოეტებს მყუდრო აქვთ ბუდე,
ფრთხილად ცხოვრობენ ლოკოკინასებრ.
მათ ყველას თავი ბალიშზე უდევთ,
ნამდვილ პოეტს კი – გილიოტინაზე.

და დგას შოთა ნიშნიანიძე დარბაისელი და შეუცვლელი, ბრძენი და ბავშვივით მგრძნობიარე, გარეგნულად ყუჩი, მაგრამ თვის არსებაში ვულკანური ცეცხლის მატარებელი. შეჰყურებს მდევურ ამბოხებაში თავითფეხებამდე ჩართულ, ზოგჯერ ანარქიულ კვეთებაში და სხვადასხვა ხმაზომის დროშა-საყვირთა კალეიდოსკოპით აჭრელებულ საქართველოს და ლოცვასავით ჩურჩულებს: „უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე ცოდვილნიც... უცოდველნიც... დიდებიც, პატარებიც... ვაიმე, ქართველები შევიცვალეთ, ბევრნი ვართ ტახტრევანით და კისრით სატარები. შინაურ-გარეულნი ერთმანეთს თაკილობენ, ჩქარობენ, ერთმანეთი გადათელონ. უფალო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის – ვულკანზე შემდგარი საქართველო“.

იგი ზოგჯერ ლექსში მის მიერვე დახატულ ვეფხის ფიტულს წააგავს, დამცირებას რომ ვერავინ გაუბედავს და თვისი შეჩერებული მზვაობრიობითა და სიდიადით შიშს, აღტაცებას და მოკრძალებას რომ ინარჩუნებს. მაგრამ ეს მხოლოდ ზოგჯერ, იშვიათად. მაშინ, როცა ფუყე გონებისანი მხრებს დაატოლებენ, ან ალმაცერად გახედავენ ხოლმე. ხშირად კი მისი ბუნება იმ კეთილი აბატის ბუნებას ჰგავს, ქუდზე ჩიტები რომ ნისკარტს იწმენდნენ და ჯვალოს ხალათის ჯიბეში ყოველთვის უდევს გამხმარი პურის ნაჭრები უპატრონო ძაღლ-კატების დასაპურებლად.

როგორც ყოველი ნიჭიერი შემოქმედი, ძნელად შესაცნობია და არაპრაქტიკული. მართალია, თავის ძალებში დარწმუნებულმა, თვისი უპირველესი ადგილიც მშვენივრად უწყის თანამედროვე ქართულ პოეზიაში, მაგრამ ურთიერთობებში უაღრესად მოკრძალებულია და უმნიშვნელო სიკეთესაც საოცარი ერთგულებით იხდის. ხანდახან ეჩვენება, რომ ამ ჯუნგლურ დროში მისთვის არ სცალიათ და თუ საზოგადოებამ მცირეოდენი ყურადღება მაინც მიაქცია, სწორედ რომ ღვთის წყალობაა.

იქნებ ეს მორიდება და ყაყანს გარიდება, შემოქმედებით საღამოებსა

და ტაშის დარბაზებზე უარის თქმა ნიღბად აუფარებია მეამბოხე და ხმაურიანი ბუნების დასამალავად? როგორ შეიძლება მშვიდი ნერვებისა იყოს კაცი, რომლის ლექსებშიც ამდენი კვნესა და კივილია ჩვენი ეროვნული სიდუხჭირისა და ადამიანთა უგულობა-გაუტანლობის გამო? რომლის სტრიქონებიც ხან იერიქონის საყვირია და ხან მოქნეული მათრახი, ხან ქართული სულის უტკბილესი საგალობელია და ხან ამორძალთა უნაგირზე დარწეული უდაბნოს ქარის ნაღვლიანი სტვენა?

შოთა ნიშნიანიძე პოეტი-მოსამართლეა. მას ხშირად განაჩენი გამოაქვს და ეს განაჩენი მით უფრო მრისხანეა, რაც უფრო დიდი მანკიერება ზის ჩვენი ყოფის საბრალდებო სკამზე, და ხშირად ის პოეტური განაჩენი (სურთ თუ არა შეიგნონ მავანთ) საბოლოოა.

შოთა ნიშნიანიძის მიერ წლების განმავლობაში დახატული ლირიკული გმირი – ჩვენი დაუცხრომელი თანამედროვეა. წინააღმდეგობებით და დრამატიზმით არის სავსე მისი ძნელი ცხოვრება. ხან ჯამბაზივით ბეწვის ხიდზე გადის, ხან უნებურად, ერთფეროვანი ყოველდღიურობის მწყობრში მიაბიჯებს („სხვა დროს ცხოვრება მეც თქვენსავით მაჩეჩებს ნიღბებს, ვწვალობ, ვჯახირობ, ვწვრილმანდები და ვალებს ვიღებ“...), ხან იმ კლოუნის ბედს იზიარებს, ცეცხლმოკიდებულ ცირკში რომ შერბის („არიქა, ცეცხლი! ხალხო, ცეცხლი, თავს უშველეთო!“), მაგრამ არ უჯერებენ. დააბიჯებს შ. ნიშნიანიძის მიერ დახატული კაცი ჩვენ შორის და მტერ-მოყვარის მითაჟამურ ჯაჯგურში ადამის ტომის ახალ-ახალ ცოდვებს რომ დალანდავს, ხან ბრძენის მოწყენით მოიწყენს, ხან კი პოეტი-წინამძღოლის გზნებით შესძახებს თავის ხალხს: „მაგრამ დალოცვილ საქართველოში არ შეიძლება არ იყოს ცოტნეც“.

„მგლური კანონის ბალადა“ ჰქვია პოეტის ერთ ლექსს. იგი იწყება იმ შორეული კანონის გახსენებით, როცა მგლური კანონი სუფევდა დედამიწაზე და ბუნებრივი შერჩევის სასტიკ ბომონს ემორჩილებოდა ყველაფერი. გავიდა დრო. სამყარო ისე „კულტურული“ გახდა, რომ „აღგვილა იგავ-არაკი, როგორც ზღაპრული თებე; ცირკში მალაყებს გადადის ლომი-ნადირთა მეფე. ატრიალებენ კარუსელს, დათვს ახტუნებენ ცვედანს, მამლაყინწა და მელიკო ვეფხის ფიტულზე სხედან“, და აი, ამგვარად „მოწესრიგებულ“ საუკუნეში პოეტს მგლების ყმუილი ჩაესმის. მგლები აფრთხილებენ კაცობრიობას: ჩვენ რომისა და რომულის გამზრდელები, ჩვენ ზარდამცემნი ზარმაცთა, დღესაც „პარტიზანულად“ ვომობთ, ცირკის მაიმუნებად არ ვქცეულვართ და თუმც, გალიასთან ვერშეგუების გამო ნელ-ნელა წყდება ჩვენი ჯიში, ვიღუპებით, მაგრამ არ ვნებდებითო. ამ ღრმადალეგორიულ პოეტურ იგავთან პოეტის დამოკიდებულება აშკარად ჩანს სტრიქონებში: „ჩემივე ლექსის ბწკარებში დამწყვდეული ვარ მგლისებრ, მგელივით მივდი-მოვდივარ, ძლივს ვატრიალებ კისერს... და ჩემში მგელი ამთქნარებს მგლური კანონის გამო, მფხოტნის და მეწკურწკურება, გარეთ გავარდნას ლამობს“.

შეგუების, გულარხეინობის, მოყვრად მოსული მტრის ვერაგულ ღიღინში გადაშენების ყურბალიშზე უდარდელად თავის მიდებისა და თვითკონტროლის დაკარგვის წინააღმდეგ მიმართულ ამ ლექსს ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. მით უმეტეს, რომ მისი განზოგადებული სიმბოლიკა მასშტაბურ სიცხადეს იძენს და მარტო პიროვნებას კი არა, მთელ ერსაც ესადაგება: „შენც დაგკბენს მგლური კანონი, ვერც შენ იდგები ცალკე, რომში ხარ დაბადებული, თუ გაზრდილი ხარ ალგეთს“.

დაკვირვებული მკითხველის ცნობიერებაში შოთა ნიშნიანიძის ლექსი სწორედ მარადმაფხიზლებელ მგლის ყმუილს და მისანი ხარი წიქარას საუკუნურ ერთგულება-რუდუნებას უკავშირდება.

ახლახან შოთა ნიშნიანიძეს სამოცი შეუსრულდა. თვით არ ისურვა იუბილარის დაფნის გვირგვინები და თანამედროვე საქართველოს უპირველესი პოეტის ტახტზე მორჭმით, ამაყად ჯდომა. საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაფერილი ხმალი ჯვალოს ჩოხაზე წამით შეიწმინდა და შუბლზეოფლგადმომდინარე კვლავ ომში გადაენთო.

სამკვდრო-სასიცოცხლო კვეთებაში, სწორედ ყველაზე დიდ შეჯგუფება-ჯგლეთაში, ჩვენდა გასამხნევებლად, აქა-იქ გაკრთება შოთა ნიშნიანიძის დევური ფიგურა და მისი აგერ ა, სწორედ იმ დღეებში, ცხრა აპრილის ტრაგედიაზე დაწერილი სტრიქონებიც მოწოდებად ჩაგვესმის:

ერო – სტუმრისაგან აკლებულო,
ერო – მტერ-მოყვარის მასპინძელო,
ერო – ფალავნების საკრებულო,
თუ გსურს ფალავნობა გაიგრძელო;

იყავ გუშინდელზე გონიერი,
რაკი უფლისნება გამოვლინდა,
უფრო მრავალი და ღონიერი,
აღსდეგ ანგელოსთა გალობიდან!

ახლა საქართველო დევის ქვაბივით ბობოქრობს და ოხშივარს ისვრის. დგანდგარებს, ყალყზე დგება, ვნებებს აშიშვლებს და მონობას მუშტს უღერებს ერთ სურვილად შემართული, აქოჩრილი ქართველი ხალხი. გეგონებათ, რომ ლირიკული ჩურჩულისა და მეტაფორების, ანდაზების და აფორიზმების დრო სამუდამოდ წავიდა. თითქოსდა, ლექსს აღარც კი უსმენენ და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ მოჟივჟივ-მოღრიალე სტადიონებზე ქვეყანა ჯიუტად გათითოკაცებულა, ბაბილონის გოდოლის მშენებელთა შორეული ექო წვდება ყურს. ისე დიდია ძველის დანგრევის და ახლის აშენების წყურვილი, რომ მხოლოდ საკუთარი აზრი მიაჩნიათ ჭეშმარიტებად. ამ დროს შეიძლება დაიბნე კაცი, ანდა, სულ უბრალოდ დაიკარგო იდეებისა და მუშტების ტევრში.

არაერთგზის მინახავს შოთა ნიშნიანიძე მიტინგზე განაპირებული, თავისთვის მდგარი, ღრმად დაფიქრებული, ცოტა ნაღვლიანიც. თავჩაკიდულს ღონიერი, ხარის ქედი უჩანდა მხოლოდ, საცრისტოლა თვალები გასცემდნენ ხოლმე შინაგან მღელვარებას. თვალებიდან სასხლტომად გამზადებული ორი მიმინო და მი და მო აწყდებოდა, წრიალებდა, თავისუფლებას ელტვოდა.

იმ მიმინოთა დაოკებას ერთგულად ცდილობდა და ახერხებდა კიდეც „ციხე-ტაძართა საგალობლის“ ავტორი. იგი ჩუმად იდგა, მუშტშეკრული. გზას არ მიიკვლევდა მიკროფონისკენ. ირგვლივ მდგომნიც იმდენად შეეპყრო და დაემონა ახალდროის ორომტრიალს და რევოლუციურ ფუსფუსს, რომ ვერც კი ამჩნევდნენ მათთან, მათ შორის მდგარ იმ ღვთაებრივ კაცს, პირველმა რომ გააწნა სილა საძულველ რეჟიმს და ჩვენ შორის პირველმა რომ მიმართა უსამართლობას, მედროვეს, გარეწარს და დამპყრობს დუელიანტის მრისხანებით – ბარიერთან!

პოეზია ჭირთა მალამოა, პოეზია აზრის სილამაზეა, სიბრძნის ნაკადულია, იმედის სხივია ციდან დაშვებული. უბედურია ის კაცი, ვისაც პოეზიის მადლი ერთხელ მაინც არ მოელამუნება და ერთხელ მაინც კეთილი ღიმილით არ გაუნათებს მჭმუნვარე შუბლს. ამიტომაც კისერწაგრძელებული და თავწაწვდილი კოლხური მამალივით ყივის ამ სტრიქონების ავტორი – მიჰყევით, უსმინეთ პოეტს და პოეზიას, იგი დიდ ნათელს გაზიარებთ და სულიერ შვებას მოგგვრით!

წამით დავხუჭავ თვალს და წარმოვიდგენ მკითხველთა ლეგიონებს შორის მდგარ თეთრმოსასხამიან შოთა ნიშნიანიძეს. ვხედავ მისკენ იმედითა და რწმენით მიპყრობილ თვალებს და მომელანდება პოეტის მიერ არაერთგზის მოხდენილი სასწაულიც – ჩვენი დღეების უპირველესი პოეტი, ქართული სიტყვის შნო და ჯავარი, უახლესი ქართული სიტყვის მეტრი და მაესტრო უბეს გაიხსნის, ლექსს თეთრი მტრედივით ააფრთხიალებს და მაღლა აისვრის თავისი გზადაბნეული ხალხის მეგზურად და მახარობლად.

უკვდავებაში საქროლავად და სანავარდოდ.

1994 წ.

აღსრულდა!

ამ საუკუნეში კიდევ ერთხელ გავთავისფლდით. ერთხელ კიდევ გახდა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მე სესიის სტუმარს, სიხარულისაგან სული კინაღამ შემიგუბდა როცა ზვიად გამსახურდიამ რესპუბლიკის აღდგენა გამოაცხადა.

ყველაფერი გადაწყვეტილებით იწყება. სიტყვა ითქვა, ახლა საქმე უნდა მოჰყვეს.

არ უნდა დავუშვათ ჟორდანიას რესპუბლიკის შეცდომები. მისხალ-მისხალ უნდა ავწონოთ ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი.

პირველ რიგში დამოუკიდებლობის აქტს იმპერიიდან ჩვენი დაუყოვნებლივი გამოსვლის დამადასტურებელი დადგენილებანი უნდა მოჰყვეს.

მივცეთ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაბადებას მსოფლიო რეზონანსი. მთელ დედამიწას უნდა გავაგებინოთ ჩვენი გადაწყვეტილების საყოველთაობა და საბოლოობა.

შარზე მდგარ იმპერიას საქართველოში დასაყრდენი უნდა მოვუსპოთ.

თუნდაც უკანასკნელი პერანგის ფასად დაგვიჯდეს, გავამაგროთ საზღვრები და გავზარდ-გავაძლიეროთ ეროვნული არმია.

მზად უნდა ვიყოთ იმპერიის ბოლო გაბრძოლებისთვისაც, რაც ეკონომიკურ სანქციებსა და ხელისუფლების პოლიტიკურ დაწოლაში გამოიხატება, თავისუფლების ხათრით ცოტა ხანს გმირულად გავუძლოთ შიმშილს და სიცივეს.

დღესვე, დღესვე უფრო ენერგიულად ვეძებოთ გზები მეზობლებთან კეთილი ურთიერთობისა და გაცვლითი სასურსათო-ენერგეტიკული ოპერაციების განსახორციელებლად.

ყველა დონეზე დავაყენოთ საკითხი ოკუპანტთა არმიამ დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

რაც მთავარია, ჩვენი თავი აღვზარდოთ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეებად.

1991 წ.

ერის სიყვარულის წრეში

ახლა იგი კლასიკოსის მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი ბიბლიური მოხუცია.

თავაწეული, სამშობლოსათვის დამაშვრალი, წუთისოფლისაგან ნაცემ-ნაგვემი, მაგრამ გაღმა გასული და გამარჯვებული.

საქართველო მას სიცოცხლეშივე იცნობდა მხოლოდ სახელით და ახლა, კაცმა რომ თქვას, მის პორტრეტს კი არა, ლექსსაც აღარ სჭირდება წარწერა.

აკაკის ლექსი სხვათა ლექსებში არ აგერევათ.

მანქანა-სასწაულს შემოუნახავს ერის მგოსნის ხმა. პოეტი განთიადს კითხულობს წლების მიერ ნაჯანჯღარევი ხმით, მისებური წამღერებული ინტონაციით, პაუზებით, თითქოსდა, ყელში აწვება თავის მიწასთან შეყრის სიხარული. ლექსის ბოლო სტროფი ხმის დაწევით, თითქოსდა, თავის დახრით, მობოდიშებითაა ნათქვამი.

მე იშვიათად მომისმენია უფრო ზუსტი ინტონაციის წაკითხული ლექსი.

ამ ჩანაწერის გაკეთებიდან ცოტა ხანიც გაივლის და ქართული პოეზიის ორფეოსი სამუდამოდ დაკეცავს ფრთებს, რომ მალე ისევ აღმობრწყინდეს ერის მესიად, მისი მომავლის შეუდრეკელ მჭედლად, ქართული სულის სიმტკიცის მარადიულ სიმბოლოდ.

დიდებულ მოქანდაკეს სწორედ ასეთად დაუნახავს იგი ქვაში, ტიტანური გულ-მკერდით საუკუნის მწიკვლიდან ამომართული, შორს-გამზირალი, ღონიერი და დაუმარცხებელი.

სწორედ ასეთია იგი და ასეთი სჭირდება დღესაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში აქოჩრილ საქართველოს სწორუპოვარი და უშიშარი, გაუხრელი და გაუღუნავი, ნაჯექ-უკუჯექობის მოყვარული რისხვა, ქართული ლექსის ჯიუტი რეფორმატორი.

რა დიდებულად ჩანს აქედან მეცხრამეტე საუკუნე.

იქ ჭეშმარიტი მწერლები მარტო ლიტერატორები კი არა, ერის ბელადები არიან.

ხალხმა რომ მუდმივ წინამძღოლად დაგსახოს, ღვთით ბოძებული ნიჭის გარდა ის თვისებებიც უნდა გაგაჩნდეს, ბელად-პოეტებს რომ გააჩნდათ თავდადების უნარი და უკომპრომისობა.

„ვითომ მოვერიდო ვინმეს? შევუშინდე? თქვენც არ მომიკვდეთ!

ვიცი, ბევრჯერ მესვრიან ქვას. ბევრჯერ დამიტატანებენ, მაგრამ მე მაინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი. პატარა, ხელ-ფეხის მსლაქველ ფინიასავით სხვის კალთაში წოლასა და ნებივრობას, შარაგზაზედ ყეფის დროს სიკვდილი მირჩევნია“, – ეს სიტყვები რომ დაწერა, მაშინ აკაკი ასპარეზზე ახალი გამოსული იყო, ხოლო რუსის ბანგით მთვრალი საქართველო გადაგვარების ნირვანაში იძირებოდა.

გარუსება-გათათრებიდან ქვეყნის კიდევ ერთხელ გადარჩენას და გამოღვიძებას იმ საუკუნეშიც მწერლობას უნდა ვუმადლოდეთ, ხოლო თავდადებულთა ბრწყინვალე ლაშქრის სარდლებად ორნი ნათობენ – ილია და აკაკი.

ერთი წუთით შევხედოთ „განთიადის“ ავტორს კლასიკოსის ჯიღაგვირგვინის გარეშე ისეთად, როგორმაც გაიარა მეცხრამეტე საუკუნის გრძელი გზა და მეორე საუკუნის ლამის ყველაზე მღელვარე ორი ათეული წელი. იარუსებიდან ყვავილთა ცვენა და შუბლის დადაფვნა გვიან მოვიდა. აკაკი იმ დროს მთლიანად გათეთრებულია და თვალის ქუთუთოს დამბლის გამო თავაწეული, თითქოსდა ზემოთ მაცქერალი. – ასეთად რჩება იგი თავისი სიცოცხლის მიმწუხრს ირგვლივ შემოჯარული, მადლიერი საქართველოს ხსოვნაში. მანამდე?

პეტერბურგიდან დაბრუნებული ახალგაზრდა კაცი მაშინვე იდგამს მხრებზე მხსნელის მძიმე უღელს და იმ უღელს სიკვდილამდე, ლამის, ჩაუმუხლავად, ეწევა.

მისი ცხოვრება ერთი გრძელი ფუსფუსი იყო. საჩხერე-ქუთაისის მტვრიან გზებზე ეტლით ჯანჯღარი, მთელი ღამე ცივი მატარებლის ვაგონის კუთხეში მიმჯდარს, საქართველოს დედაქალაქში დაჭმუჭნული ფრაკით ჩამომხტარს ნაცნობ-მეგობართა ჭერქვეშ უნდა ეძებნა ბინა. საქართველოს ბულბულს, ბრწყინვალე თავადის როსტომ წერეთლის მემკვიდრეს, ხშირად ეტლის ფულიც არა ჰქონდა (თბილისში ღამის გასათევ ერთ პატარა ოთახს ვინ დაეძებს). მარტოკაცის მწარე ლუკმა თვითვე მიუსაჯა თავს. ვალებიდან ამოსახტომად ზოგჯერ საქმიანი კაცის მანტიას მოისხამდა, იქნებ ჭიათურის მარგანეცით ორიოდე გროში ჩაეგდო ხელთ (ის გროშებიც მამულის შველაში უნდა დაებანდებინა), მაგრამ პოეტისაგან ფულიანი კაცის ყისმათი ცა და მიწასავით შორს იყო. სამშობლოს გათავისუფლების იდეა უნათებდა სულს და ამ იდეას უყოყმანოდ შესწირა ყველაფერი. გვარიშვილობაც, მამა-პაპათაგან შემორჩენილი სახსრებიც, ჯანმრთელობაც, ოჯახიც...

ხომ ასე ალალად, გახსნილი კარტით ეჯავჯგურებოდა წუთისოფლის გამოცანას, აკაკიც, ანგელოზივით სუფთა და ამაყი აკაკიც, ხშირად ხვდებოდა ავთვალიანთა, მეჭორეთა, უმადურთა ხედვის არეში. ქართველთა ლამის მოურჩენელი სენის – პირადი კინკლაობის ხანჯლითაც არაერთხელ დაკოდილა, „მურიებისა“ და ერის სხვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში გართული მეგობრის ღალატითაც გამწარებულა.

ასეთი ყოფით დაღლილი და გამწარებული, შუბლზეოფლგადამდინარე, დრაკონთა ბრძოლით ნაიარევი მოადგა მეორე საუკუნეს. თურმე მთავარი „გადასახდელი“ წინ ელოდა.

ჯერ იყო და 1906 წლის 5 იანვარს კოტე მესხის „პატარა გაზეთში“ დაბეჭდილი „ინტერნაციონალის“ თარგმანისთვის პასუხისგებაში მისცეს. დაკითხვები და სასამართლოში სირბილი ექვს თვეს გაგრძელდა.

1907 წლის 11 თებერვალს „ხუმარას“ გამოცემისათვის დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. სტრაჟნიკების თანხლებით „გალავინსკზე“ გაატარეს „ხუმარას“ ბებერი რედაქტორი, რომელმაც „გაბედა“ და თბილისის გენერალ-გუბერნატორი ეპოლეტებიანი ვირის სახით წარმოადგინა თავის ჟურნალში. ხალხის აზვირთებით შემკრთალმა მთავრობამ აკაკი მეორე დღესვე გაათავისუფლა და ანგარიშის გასასწორებლად მარქსისტებს მიუგდო. იმ მარქსისტებს, ილია რომ უკვე ამოღებული ჰყავდათ მიზანში და უკვე მართავდნენ ავბედით კრებებს „თავად ილია ჭავჭავაძის მოკვლის“ ტრაგედიის შესამუშავებლად.

ბაქოში, საიუბილეო საღამოზე მიწვეულს, სოციალ-დემოკრატმა ბრალდება წაუყენა: რა პოეტი ხართ, პროლეტარიატზე რა დაგიწერიათო. „მე რომ მოღვაწეობა დავიწყე, ამ ორმოცდაათი წლის წინათ, მაშინ პროლეტარიატი არ იყო, ეს ახალი საქმეა. ამ ახალ საქმეში მე ხელი არასოდეს შემიშლია. აბა მაჩვენეთ სად არის ჩემგან დაწერილი „არ გაუმარჯოს პროლეტარიატსო“, – თავი „იმართლა“ „ჩონგურის“ ავტორმა.

სამოცდაათი უმძიმესი წელი დასჭირდა საქართველოსთვის იმის გარჩევას, რომ ილია და აკაკი ყელამდე მართალნი იყვნენ და მარქსის მიერ ნაჩვენები გზით სიარული ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს არას არგებდა.

მეტეხის ციხიდან ახალგამოსული, სამოცდაათი წლის სნეული პოეტი რაჭაში მოგზაურობისას მადლიერ ქართველებს ხელით მიჰყავთ, ცოტა ადრე მან სიყვარულის ეტლში შებმული ახალგაზრდების ღონიერი კისრებიც იხილა და საბოლოოდ ირწმუნა, რომ „საქართველო არ მომკვდარა“...

დგას იგი ხელჯოხიანი, წელში მოხრილი, ბუმბერაზი მოხუცი წრეში, გარს უვლიან მადლიერნი თვისტომნი და ვარდებს ესვრიან, საუკუნის მოხუცი დარცხვენილია, ცოტა შემკრთალიც, მოკრძალებით აგებებს სახეს აღტაცების გრიგალს, რომელიც მისკენ ერთხელ და სამუდამოდ დაძრულა. ასეთად გამოიყურება აკაკი პირველ ქართულ დოკუმენტურ ფილმში.

სიყვარულის წრეში პოეტის დგომა და შეგნებული საქართველოს ბრუნვა მის გარშემო დღესაც გრძელდება და არც არასოდეს მოიშლება.

1994 წ.

მისხალ-მისხალ...

ისტორიამ შარშან მკაცრი გამოცდა მოგვიწყო.

ერთმანეთს მოჰყვა ცხრა აპრილი, ოცდასამი ივნისის, თხუთმეტი ივლისის, ოცდასამი ნოემბრის საშინელი დღეები და ეთნოკრიზისმა საქართველოში ლაზათიანად დაწყებული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შინასამოქალაქო ომის ტალღაზე გადართვა სცადა.

მაგრამ ქართველი არ აჰყვა პროვოკაციებს, ჩვენმა მოთმინებამ გამოცდას გაუძლო.

ვერ ვიტყვი, ეს ყოველივე ნერვების გლეჯისა და თითთაკბენის გარეშე მოხდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია; რუსთაველის ქვეყანა არ აჰყვა აფსუა-თათარ-ლეკ-ოვსთა მიერ შემოთავაზებულ ბრძოლის მეთოდებს.

არ ჩაება იმ უთანასწორო ომში, რაიც, შეიძლება, სტუმარ ერთათვის სავალალოდ დასრულებულიყო.

სამაგიეროდ, ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წელმა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას საშუალება მისცა მიეღო კიდევ ერთი, ამ ეტაპზე მისთვის ფრიად საჭირო გაკვეთილი.

კერძოდ:

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდით, რომ საქართველოსთვის მსოფლიო თავს არ გამოიდებს და ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელშია.

ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდით, რომ იმპერია არც ისე ძლიერია, როგორც მის დამქაშებს ჰგონიათ.

ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდით, რომ ჩვენი სიმართლისა, მთავარია, ჩვენვე გვჯეროდეს და ბრმად ნუ ვენდობით მრავალრიცხოვან ერთა მოძღვარ-წარმომადგენლებს. ტაშისგან ხელისგულებს ნუ გადავიტყავებთ მოღვაწე-ტურისტის მიერ ტრიბუნიდან ქამანდივით ნასროლ ორ ქართულ ფრაზაზე. მერე მათი უმეცრებაც აღარ გაგვიკვირდება და მათი ღალატიც (სახაროვი, ჰუიიტი), იქნებ ბუნებრივად მოგვეჩვენოს.

საქართველო დარწმუნდა, რომ ვისაც ასწლეულების განმავლობაში ლუკმა გაუზიარა და უბეში შეიფარა, სწორედ მან მოუღერა მუშტი და ზურგში ხანჯალი ჩასცა. 1989 წლის ცნობილი მოვლენებით ქართველი კაცის შეგნებაში სამუდამოდ დასრულდა სტუმარი ერის მიმართ დაყვავება-დათმობის ეპოქა, დაინგრა ხალხთა ძმობის ყალბკომუნისტური უბალავრო კოშკი და ჩემმა ერმა, ერთი მხრივ, უკანასკნელი გაფრთხილება მისცა ხიზან ხალხებს, მეორე მხრივ კი მათთან ახლებური, ზომიერი ურთიერთობის ისტორიულ აღმართს შეუდგა.

ამ წელს და მარადის უფრო მოზომილი, ბრძნული ნაბიჯებით უნდა ვიაროთ.

რას წარმოადგენს იგი, მათრახით და არა ხალხის ნებით შეკოწიწებული იმპერია, რომელმაც ყველას თვალწინ განწირულის ხმაურით იწყო დაშლა, ხოლო იმ დაშლას მილიონთა ეროვნული თავისუფლება და სუვერენიტეტი უნდა მოჰყვეს?

თუ ჩვენი სამიზნე სწორად არ შევაფასეთ, უსიერ ტევრში თავჩაღუნულად, უკომპასოდ მავალთ დავემსგავსებით.

იგი, ერთ დროს პოლიტიკურ-ეკონომიკურად ძლიერი, მაგრამ ახლა საყოველთაო კრიზისით დაღრღნილი სახელმწიფოა, რომელსაც ერთგულ დამქაშად ამ ბოლო დროს მხოლოდ შეიარაღებული ძალები შერჩენია და სხვა არაფერი.

იგი ამაოდ ცდილობს ეკონომიკური სიდუხჭირიდან თავის დაღწევას, რადგანაც გაბედულება არ ჰყოფნის მარქსისა და ლენინის, ერთ დროს, ალბათ, პროგრესულ, ამჟამად კი აშკარად მოძველებულ თეორიებს შეელიოს. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ მარქსიზმი თავისი ოთხი გამოუსწორებელი წინააღმდეგობით (კლასთა ბრძოლის თეორია, რელიგიის უარყოფა, კერძო საკუთრების გაუქმება, უსამშობლო მოქალაქის აღზრდის ქადაგება) არ შეიძლება ჩვენს უმთავრეს მეცნიერულ მოძღვრებად მიგვაჩნდეს. საბჭოთა კავშირში კი დღესაც ჯიუტად ვებღაუჭებით მეურნეობის სოციალისტურ კანონებს და ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური სტილიდან წინ ნაბიჯიც ვერ გადაგვიდგამს.

ჩიხში მოექცა ჩვენი ეროვნული პოლიტიკა. მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევის ეფექტური ღონისძიებების ნაცვლად ვაქვეყნებთ პლენუმისწინა უმწიფარა „პლატფორმებს“, რომელშიც წინასწარ ვუცხადებთ

ხალხებს: თავს ნუ მოიტყუებთ, არაფერიც არ შეიცვლება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან, ჩვენი ნებით, ნურავითარ სიკეთეს ნუ ელოდებითო. ამასაც არ ვსჯერდებით, უზარმაზარ ჯავშნოსან ქვეყანა-მანქანაში შეყუჟულები, თითს ვუქნევთ პაწაწკინტელა ბალტიის ქვეყნებს (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია), რომლებმაც ამაო ლოდინით და აშმორებული პოლიტიკური ატომსფეროთი გულშეღონებულებმა, ჯავშნოსანიდან თავი გადმოყვეს და სუფთა ჰაერს გაუღეს პირი.

ეს ყოველივე და სხვა ათასი წინააღმდეგობა კარგს არას დაჰმართებს მოყირჭებულ მართვის სისტემას და ოდენ მუშტის საწყისებზე აგებულ ხუხულას.

მაგრამ (დაუფიქრდით ამ „მაგრამს“) საქმეს ნუ გავიიოლებთ, ერთი ხელის დაკვრით საშვილიშვილო საქმე არ კეთდება. ჩვენ სხვა ერებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულებს ტრიუმფალური სვლა გველის ნანატრი თავისუფლებისკენ. საქართველო ამ საერთო ფერხულში ჭაკის წინ მარბენალი კვიცის დღეში ნუ აღმოჩნდება, კვიცისა, რომელსაც ან მგელი შეჭამს, ან მგლისფერი ტურა.

თანმიმდევრული, ჭკვიანურად მიზან-მიმართული, ყოველდღიური, პარლამენტური, მშვიდობიანი ბრძოლის ფორმები გვჭირდება ჩვენ დღეს და არა 1924 წლის მსგავსი, მოუმზადებელი აფეთქება-აჯანყება, რომელიც ჩვენი იმპერიის დამცველთა ძალა-ვერაგობის მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, უფრო დიდი სისხლისღვრით შეიძლება დამთავრდეს, ვიდრე 1924 წელს დამთავრდა.

ღმერთმა გვაშოროს შარშანდელი შეცდომები, სტიქიური აქციები, შედეგგაუაზრებელი ღონისძიებები, გულუბრყვილო ლოზუნგები... მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი და გზათა ძიების ანარქია სახალხო მოძრაობის დასაწყისს ყოველთვის ახლავს.

მთავრობამ ერთ საკითხში ლამის ჭკუით გვაჯობა: ბეჭდეთ და ავრცელეთ, რაც გინდათო. არაფორმალური პრესის ამ „უნაპირო თავისუფლებამ“ ის შედეგი გამოიღო, რომ ნათლად გამოჩნდა, ერთი მხრივ, სწორ ეროვნულ ნიადაგზე მდგარ ეროვნულ ლიდერთა ნათელი პოზიცია და, მეორე მხრივ, უმწიფარა, გულუბრყვილო პოლიტიკანთა ეიფორიული ღავღავი – „შენი არ გესმოდეს და სხვისი არ დაიჯეროს“ სარკასტული ბეჭდით დაღდასმული.

საგზაჯვარედინო განწყობილებამ გაუარა ქართველს. უკან დარჩა გზის არჩევანზე თავის მტვრევისა და ყოყმანის პერიოდი. ჩვენ წინაშე კონკრეტული მიზანი დგას: საქართველო უნდა განიწმინდოს და საქართველო უნდა გათავისუფლდეს. ალტერნატივა თუ არსებობს, იგი დაღუპვის მეტს არას მოგვიტანს. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს.

დადგა დრო ხელდაკაპიწებული პრაქტიკული გარჯისა. დადგა დრო დისპუტ-ყრილობათა აუდიტორიებს სიტყვის „პინგ-პონგს“ აღარ შეაბერდეს ჩვენი მოძრაობა და მშვენიერი მიზნის მჭვრეტელის მანტია

იმ მიზნის საქმის ხორცშემსხმელის, ერის ბედის მჭედლის ხალათზე გაცვალოს.

მაშინ, როდესაც ერის უკეთეს შვილთა რუდუნება სამშობლოს ხსნისკენაა მიმართული, სამწუხაროდ, სახალხო ლაშქარს ასდევნებია არაერთი გონებაკოჭლი რუხი მგელი, ღორსეული მემკვიდრე თავისი დამსმენი წინაპრისა. მას თავისი ბნელი მიზნები აქვს; უკნიდან ნამოეპაროს საქვეყნო ფუსფუსში გართულ ერისკაცს და შხამი დაანთხიოს. ცოტა ხნით მაინც გუნება გაუფუჭოს და ეროვნულ საქმეს ჩამოაცილოს. ერის ბედის მაძიებელთა კარვებში გამძვრალი ეს ბოღმიანი საქმოსნები, სამწუხაროდ, თავის საქმეს დღემდე დაუსჯელად აკეთებენ. ჩვენთან ხომ ცილისწამებისთვის არავინ ისჯება, ხოლო „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის“ ფილოსოფია ლამის მთელი საზოგადოების ავადმყოფობად ქცეულა.

ჩვენვე უნდა ვუბეროთ ეროვნული მოძრაობის ქურას მკლავის დაწყვეტამდე, ჩვენვე უნდა ვუყაროთ ნახშირი ეროვნული წინსვლის ორთქლმავალს. ჩვენ, თითოეულმა ქართველმა, დროა შევიგნოთ, რომ ჩვენს საქმეს სხვა ვერავინ გააკეთებს.

დგას ზოგიერთი და გულგრილად შესცქერის, ამ საყოველთაო განგაშის დროსაც კი, როგორ მკვიდრდება უცხო თესლი ქართულ მიწაზე, როგორ გადმოიპარება ხოლმე გადამთიელი ლტოლვილი შუაღამისას საქართველოს ჯერ კიდევ დაუცველ საზღვრებზე. როგორ შლის იგი ქართულ წარწერებს მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე და თავის ანბანს პიტნასავით სჩრის ცხვირში ადგილობრივ მოსახლეობას, როგორ მუმლივით ეპატრონება ერის საუნჯეს – მიწას და გაღვიძების საყოველთაო გნიასში, აქაოდა, მე არაფერი მეყურებაო, თავის საქმეს აკეთებს – ბაზარს ეპატრონება. ეკონომიკურ კაბალაში აქცევს ანდუყაფარ და ივანე დიდებულიძეების ბედოვლათ შთამომავალთ.

ზოგი ჩვენგანი კი იმგვარი „უბრალო“ საქმისთვის ხომ არ მოიცლის: მოძალებულ ყვავ-ყორნებს აუქშიოს, არაქართული წარწერა ჩამოხიოს და ქართული გააკრას, ნიტრატით გაძეძგილი მწვანილეულით სავსე კალათა თავზე ჩამოამხოს ჩარჩს და თვით მიეპატრონოს თავის მიწას... ამ საქმისთვის სხვები, „შემსრულებლები“ არიან მოწოდებული, თვით კი „ლიდერად“ და „წინამძღოლად“ გააჩინა ბუნებამ.

სამწუხაროდ, „ბელადები“ ბევრნი დავგროვდით, შემსრულებლები საეჭვოდ ცოტანი დარჩნენ.

პოლიტიკურმა ზოზინმა, ფეხისთრევამ, ცხელი საკითხების დროული გადაწყვეტისადმი აუხსნელმა გაუბედაობამ ქვეყანა ორმხრივ კრიზისამდე მიიყვანა. ენერგეტიკულ შიმშილს, საკვები პროდუქტების კატასტროფულ კლებას დაერთო ყველაზე საშინელი რამ: ლამის სამოქალაქო ომამდე მისული ეთნოკრიზისი. „ძლიერ ცენტრს“ კი ამ გადამწყვეტ დღეებში ფეხი ფეხზე გადაუდვია და ყველაზე ქმედით ღონისძიებებად „ხალხთა საბჭოური ძმობის“ ლამაზფრაზოვანი შეხსენება და ჯარით წესრიგის დამყარება მიაჩნია. ნუთუ მართლა ჰგონია

ვინმეს, რომ დროებითი ოკუპირებით, ტანკებითა და ხელბარებით აზვირთებული ეთნოკრიზისის შეჩერება შეიძლება? ავტომატით დამყარებული წესრიგი მოჩვენებითი, საორდღისო წესრიგია. ამიერკავკასიაში ეთნოკრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად მე პირადად (თავს არავის ვახვევ, რ. მ.) ყარაბახის პრობლემის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა მიმაჩნია; კერძოდ, ამ ეტაპზე აუცილებელია სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტური შეთანხმება, რასაც ყარაბახის შუაზე გაყოფა ან აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებული სხვა ტერიტორიების ჯენტლმენური ურთიერთგადანაწილება. რაც მთავარია, ამ ხალხების დემოგრაფიული გამიჯვნა, გასული წლის მოვლენებისაგან ნარჩენი მოსახლეობის გადასახლ-გადმოსახლება და სომხეთ აზერბაიჯანს შორის მტკიცე საზღვრის დაწესება. სხვა ყველა ღონისძიება დროებითი და უპერსპექტივო აღმოჩნდება და მხოლოდ მოსალოდნელ სისხლისღვრას გადაავადებს. თავს ნუ მოვიტყუებთ „ინტერნაციონალიზმის“ ყბადაღებული ლოზუნგებით.

რაც შეეხება საქართველოს, მე ვფიქრობ, ეთნოკრიზისის პრობლემათა მოხსნის ერთადერთი გზაა დაუყოვნებლივ უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევა და არაკანონიერი, არაკონსტიტუციური ავტონომიური ერთეულების გაუქმება. საქართველოს ეროვნულ სხეულზე სოკოსავით გაჩენილი ავტონომიები გახლავთ ჩვენი „შინა აშლილობის“ თავი და თავი. ეროვნულ-ტერიტორიული გართულების პოლიტიკური ლიკვიდირების შემდეგ ვნებები დაცხრება. ვისაც სურვილი აღმოაჩნდება, დარჩება ჩვენთან, მათს ეროვნულ თვითმყოფობას ქართველი კაცი არასოდეს დაემუქრება (ეს ისტორიულად გამოცდილია), ვისაც არა, დაუბრუნდება თავის მთა-გორიან სამშობლოებს. საფუძველშივე მცდარად მეჩვენება ამ პრობლემის სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური თავისუფლების დროისთვის გადადება. თუ ეს საკითხი ახლავე არ გადავწყვიტეთ, იგი დამოუკიდებელ საქართველოს ოცდამეერთე საუკუნეშიც გადაჰყვება და მერე და მერე უფრო ძნელი გახდება კომუნისტური იმპერიის მიერ „მშვენიერ მემკვიდრეობად“ მიღებული ამ პრობლემის გადაჭრა.

ჩვენ წინ ეთნოკრიზისით დანაღმული დიდი ველი ძევს. ფრთხილად, პარლამენტურად უნდა ვიაროთ ნანატრი თავისუფლებისკენ.

ყოველდღიურად მისხალ-მისხალ ყველამ ვაკეთოთ საქართველოს ხსნის, საქართველოს გადარჩენა-გათავისუფლების საქმე, ბატონებო. ყველამ ნიადაგ პასუხი ვაგოთ ჩვენი სინდისისა და ერის ბედის წინაშე.

საღამოს სასთუმალზე რომ თავს მიდებ, ჩემო მკითხველო, ჰკითხე შენს თავს: – რა გავაკეთე დღეს საქართველოს გადარჩენისთვის?

იანვარი, 1990 წ.

ნუ დავაყოვნებთ

საქართველოს ბედი, თითქოსდა, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა განგებამ.

მოსვენებით არასოდეს გვიცხოვრია და ჩვენი ისტორიულ-დემოგრაფიულ გეოგრაფიული გარემოების გადამკიდენი მშვიდად ვერც ვერასოდეს ვიქნებით.

ეჭვის საფუძველი დღესაც არსებობს და ხვალაც იარსებებს, თუ ზოგს ჰგონია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში მუსულმანური სამყარო შთანთქმას დაგვიპირებს, ამ ეჭვს საბუთებიც ახლავს. თუ ბევრი ფიქრობს, რომ რუსეთის ხელში (გამოცდილია!) საქართველო სახელმწიფოებრიობას ვერასოდეს დაიბრუნებს, ეს ეჭვიც, რასაკვირველია, რეალურ საბუთებზეა აღმოცენებული.

მაშ რა ვქნათ, რა გზას ვეწიოთ?

საკამათოა პარტიებისა და ასოციაციების შემოთავაზებული გზები, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ფორმების და მეთოდების სხვადასხვა მოდელი? მერე და რა არის ამაში საშიში? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ საქართველომ გაიღვიძა და ფიქრობს ათასი პოლიტიკოსის ანალიტიკური გონებით.

ქვეყანა როდი იქცევა, თუ ფორუმს მავანნი და მავანნი დროებით დატოვებენ, არც მაშინ ხდება რაიმე წარმოუდგენელი, როცა პოლიტიკური კამათისთვის დაშვებულ ზღვარს გადაცდება ექსტაზში შესული რომელიმე ლიდერი.

სავალალო ის გახლავთ, რომ მცირე უთანხმოებას ეროვნულ უბედურებად სახავენ ზოგნი და გაჰყვირიან მოძრაობის გახლეჩაზე, ღალატზე, ეროვნული მოძრაობის ჩიხში მომწყვდევაზე.

ამით გათავისუფლების საქმე ფერხდება. გადავადების შავი ღრუბელი გროვდება საქართველოს დამოუკიდებლობის ცაზე.

განა ყველა პარტია და მიმართულება სოლიდური იყო, როცა 1918 წელს ნოე ჟორდანიას კაბინეტმა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა?

რატომ ვაყოვნებთ? გაუთავებელი განსჯა-ჭვრეტის სენმა ხომ არ შეიპყრო ჩვენი ეროვნული მოძრაობა?

თუ ერთი მხრივ გულუბრყვილობაა: ჯერ საოკუპაციო რუსის ჯარი გავიყვანოთ საქართველოდან და მერე გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობაო (ჯარის გაყვანა ჭირს, თორემ თუ ჯარი გავიყვანეთ, ისედაც დამოუკიდებელი და თავისუფალი არ ვიქნებით?), ასევე გულუბრყვილობაა, გაუთავებლად ვიძახოთ; თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის ჯერ მზად არ ვართო. როდის ვიქნებით მზად? ათი წლის შემდეგ? ოცი წლის შემდეგ? დაველოდოთ როდის გამოგვიწერენ მზად ყოფნის საბუთს?

იქნებ მართლა ეჩვენება ვინმეს, რომ რუსეთი თვითონ იტყვის უარს დაპყრობილ ქვეყნებზე, თავზე ნაცარს წაიყრის და ცოდვათა მონანინებას შეუდგება? რომელ აგრესორს და ხალხთა საპყრობილეს გაუკეთებია ეს, რომ რუსეთმა გააკეთოს?

ვისგან ველით სიკეთეს? იმ ახალი მოდის იმპერატორისაგან ხომ არა, რომელმაც გაზი, ბენზინი და მედიკამენტები შეუწყვიტა პაწაწინა ლიტვას, როგორ გაბედე და თავისუფლება მოინდომეო?

ამ „ზედმეტად პროგრესული“ ლიდერისგან ხომ არა, რომელმაც, სანამ აირჩევდნენ, ყურები გამოგვიჭედა დაპირებებით, ხოლო არჩევის მეორე დღესვე პრესკონფერენციაზე განაცხადა, სოციალიზმის უარყოფას წუთითაც არ ვაპირებო?

გადაულოცა გორბაჩოვმა სობჩაკ-პოპოვ-ელცინს რუსეთის ბედი და თვით მარტო უზბეკეთ-საქართველო-მოლდავეთზე ზრუნვა-ფიქრით ათენ-აღამებს?

გჯერათ თქვენ ჩავარდნილი პერესტროიკის მებაირახტრის გულწრფელობა? კაცისა, რომელიც ასე გულდაგულ გვიმალავს დღესაც 9 აპრილის ტრაგედიაში მის ლომურ წვლილს და სოფისტური ლოგიკით გვიმტკიცებს ტრაგედიის ამბავი მხოლოდ 10 აპრილს შევიტყვეო?

ისტორიის საათი ახლა ჩვენ სასარგებლოდ მუშაობს, ცის გახსნისას უნდა ჩაიფიქრო, არც მანამდე არც მერე. დაგვიანებას ისტორია არ გვაპატიებს. ხვალ შეიძლება ყველაფერი გვიან იყოს.

დღესვე, დღესვე უნდა გამოვაცხადოთ სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამით ბალტიის ქვეყნებსაც დროზე, საქმით დავუჭერთ მხარს, იმპერიის დანგრევასაც დავაჩქარებთ და თვრამეტი წლის 25 თებერვალს გაჩერებულ საათსაც წაღმართიანი ისტორიისაკენ სვლას მივანიჭებთ.

ნუ ვაწყდებით იქეთ-აქეთ დენზე ჩართულივით. ჩვენი ნერვები და ენერგია ხვალინდელი დღისთვისაც შემოვინახოთ. სიმშვიდე უნდა დაგვეუფლოს ბრძოლის წინ და მშვიდად უნდა ვმართოთ ქართველი ერის ბედი.

ახლა მთავარია იმ 26 მაისთან გავდოთ ხიდი და დამოუკიდებლობის ჟამი გავაცოცხლოთ. ამ საქმის გაკეთება შეეძლო ამას წინათ ჩატარებულ ეროვნულ ყრილობასაც, შეუძლია უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიასაც და „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ შემოკრებილ მშვენიერ პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც.

იქნებ უკეთესიც აღმოჩნდეს, თუ თავისუფლებას არაფორმალური ეროვნული ორგანიზაციები გამოაცხადებენ, „იმპერიის ცენტრი უზენაეს საბჭოს მეესეულად ყურზე ხელს ვერ მოკიდებს, ეს რა ჩაიდინეო, ამასობაში კი ჩვენ მსოფლიოს ვამცნობთ ჩვენს გადაწყვეტილებას. უფრო ენერგიულად აღვზარდოთ ჩვენს თავში თავისუფალი საქართველოს მოქალაქეები.

პოლიტიკა ობლის კვერი არ არის, რომ გვიან მაინც გამოცხვეს, პოლიტიკა სიტუაციისათვის ალღოს აღებაა, პოლიტიკაში ზოგჯერ

წამები სწყვეტენ ყველაფერს, კაცმა არ იცის, რა ალიკაპს გამოიგონებს ხვალისთვის განწირული იმპერიის ცენტრი.

იცოცხლე, კარგი რამ იყოს სრული ეროვნული კონსოლიდაცია, მაგრამ მოვლენების ახლანდელ განვითარებას თუ დავაკვირდებით, სასურველი კონსოლიდაცია იმ საუკუნეშიც ძნელად მიიღწევა. მიზეზი ის გახლავთ, რომ სიტყვას ამბობს ნიველირების მიმართ საოცრად ჯიუტი ქართული გენი, სამოცდაათი წლის განმავლობაში დეგრადირებული ეროვნული ხასიათი, კომუნისტების ქამელეონური მეტამორფოზა და უმწიფარა პოლიტიკანთა ურჩი თვითდაჯერებულობა.

გრძელი და მოსაწყენი გზაა სრულ მზადყოფნამდე. ამიტომაც დროულად უნდა გადავლახოთ ჩვენ წინაშე აღმართული რუბიკონი. თონე სანამ ცხელია, უნდა ვისარგებლოთ, თორემ გაირბენს შთაგონების წამი, ჭეშმარიტების ძიებაში უფრო დავიქსაქსებით და „წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება“.

სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე სრულიად სხვა ერთიერთობანი დაისადგურებს არამარტო ცალკეულ პარტიებსა, თვით რიგით ქართველთა შორისაც. ყველანი ჩვენს ფუნქციას ვიპოვით და გაგვაერთიანებს თავისუფლების მოვლის საერთო სურვილი. სწორედ ის სურვილი ჩაკლავს ჩვენში ამბიციურობისა და ჭირვეულობის სენს და სხვა ადამიანებად გვაქცევს.

დამოუკიდებელი საქართველოს შუქი გაგვინათებს სულს, დამოუკიდებლობის შენარჩუნების ნიჭი შეგვადუღაბებს, ერთ მუშტად შეგვკრავს.

იმპერიის ერთი ღონიერი ბოძი ჩვენდაუნებურად საქართველოცაა და თუ დროზე არ გამოვაცალეთ, იმპერია თავისით როდი დაინგრევა.

ნულარ ვაყოვნებთ, ისტორიამ უბედნიერესი, მაგრამ უძნელესი მისია მოგვანიჭა. საქართველო იმპერიის კოშმარული არტახებისაგან დღესვე უნდა ვიხსნათ.

1989 წ.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

26 ოქტომბრიდან არ წყდება ჩემს ბინაში ტელეფონის ზარი. მეკითხებიან: რა დაგიშავა ადიგენმა, რომ აფსუების ჩასახლება არც მეტი არც ნაკლები, ადიგენში გადაგიწყვეტიაო. გაზეთ „კავკაზის“ კორესპონდენტის წერილში, რომელიც თქვენ გადმობეჭდეთ, ასეთი წინადადებაა: „ქართული ჟურნალის „კრიტიკის“ (რომლის რედაქტორია რ. მიშველაძე) სატიტულო გვერდზე, მაგალითად, ერთ სვეტადაა ჩასმული მუქარა შეიარაღებისა და აფხაზთა ადიგენში გარეკვისა!!!“

„კავკაზში“, ალბათ; ადიღე (რუს. ადიგე) ეწერა და „ადიგენი“ კორექტურული შეცდომის შედეგად გაჩნდა, ხოლო მე, ჩემდა თავად, „კრიტიკის“ სატიტულო გვერდზე სიტყვა „ადიღეც“ არსად მიხსენებია. დახედეთ 1989 წელს „კრიტიკის“ $ 4-ის სატიტულო ფურცელს: „კრიტიკის“ რედაქცია გმობს აფხაზი ტერორისტების აღვირახსნილობას. უბეში შეფარებულთაგან ღალატს საქართველო მიჩვეულია, მაგრამ ვაფრთხილებ ყველას: ჩვენი მოთმინების უნარით ბოროტად ნურვინ ისარგებლებს! ნუ გვაიძულებთ, რომ ერთ დღეს ჩვენც ავისხათ იარაღი და, რაკი სამართალი ჩვენთვის აღარ არსებობს, ავდგეთ და სტუმარს გზა იქით ვუჩვენოთ, საიდანაც ამ ორიოდე საუკუნის წინ ჩამობრძანდა“.

„აფსუა ძმებმა“ 16 ივლისს რომ სისხლიანი კალო მოგვიწყვეს, მე მგონი, გვქონდა უფლება ჩვენც გვეთქვა: ნუ გამოგვიყვანთ მოთმინებიდანო.

წერილის ავტორს უფიქრია: აფსუები ხომ ორიოდე საუკუნის წინათ ადიღედან არიან ჩამოსულნი და, რად უნდა მისანი, „საიდანაც“-ში უთუოდ ადიღე იგულისხმებაო.

ისე, ღმერთო შეგცოდე და, სწორედ ადიღეს ვგულისხმობდი, რაკიღა აფსუანი ადიღეველთა გვარტომისანი ბრძანდებიან, ენა-კულტურა საერთო აქვთ და სწორედ რომ ჩრდილოეთიდან არიან „ჩამოწეულნი“ არცთუ შორეულ წარსულში.

ზედმეტია ლაპარაკი ჩვენს აღუვსებელ მოთმინების ფიალაზე და იმაზეც, სად რას ვგულისხმობდით აკაკი ბაქრაძე, გურამ ფანჯიკიძე და მე ნართაულ-გადაკრულად. საქართველო ხომ ცუდად გაგებული ინტერნაციონალიზმის პოლიგონი და ყველა ერის გზადაბნეულთა საერთო სახლია, ახლაც რომ თვლემს და იძირება მშვიდობიანი დემოგრაფიული დაპყრობის ოკეანეში. ძუძუებზე მისმული უცხო ბარტყების ჯიჯგნით შეწუხებული ათასში ერთხელ რომ თავს წამოჰყოფს და წაიკრუსუნებს: მაცადეთ ჩათვლემა-ჩაძირვა. ხომ ხედავთ, მალე, საერთოდ აღარ ვიქნები, მოთმინებიდან ნუ გამომიყვანთ ამ დარჩენილ ორ პარასკევსო.

ახლა ნახეთ, ყოველგვარი „გულისხმობის“ გარეშე, პირდაპირ რას წერს „კავკაზის“ ავტორი: „თვით აფხაზეთი ჩვენ მიგვაჩნია ოკუპირებულ ტერიტორიად და ყველაფერს ვიღონებთ, რათა აფხაზეთი დავუბრუნოთ კავკასიის ფედერაციის წიაღს, ხოლო კავკასიის ფედერაციას დავუბრუნოთ მისი დედაქალაქი სოხუმი“.

და დასასრულ, ჩვენ მიმართ უკვე მეორე აგრესიად მიიჩნიეს საქართველოს მეზობლად მცხოვრებმა მთიელმა ხალხებმა შარშან ივლისში აფხაზეთში თავდასხმა ქართველთა მრავალთასიანი რაზმების“ („კავკაზ“, 1/X–90).

წაიკითხეთ?

ახლა ჩვენი მოთმინების ფიალა განზე გავაჩოჩოთ და გაფუჭებული პატეფონივით წამდაუწუმ ვიძახოთ: ძმებო! გონს მოდით, კავკასია ხომ

ჩვენი საერთო სახლია. ვიცხოვროთ სიამტკბილურად. წაიღეთ, დაინაწილეთ ჩვენი ტერიტორია. მოძებნეთ ყველა ერის წარმომადგენლებმა თქვენი დედაქალაქები ჩვენს მიწაზე. უბატონოდ ხმის გამცემი არა ვართ-თქო?

ასე სჯობს?

პოლიტიკა ასე გვასწავლის: ისინი უნდა გვეუბნებოდნენ, კავკასიის საერთო სახლში თქვენი ადგილი არ არის, ქართველო ოკუპანტებოო, და ჩვენ ცრემლის ყლაპვით უნდა ვლუღლუღებდეთ: კარგი ახლა, თუ ღმერთი გწამს, ნაწილ-ნაწილად წაიღე, ერთბაშად ნუ გამქურდავ და მშრალზე ნუ დამტოვებ, ნუ დამაქცევ ჭერს ცოტა ხანს თავზეო.

ესეც შენი „კავკასიის საერთო სახლი“, კავკასიის საერთო სახლის ერთგულო მშენებლებო.

1989 წ.

მინაწერები სამაგიდო ექვს ღღიურზე

დროის დამღა საოცარი და უმტკიცესი ბეჭედია მწერლის შემოქმედებას და პირად ცხოვრებას ერთხელ და სამუდამოდ რომ დამჩნევია.

შენი ეპოქა ერთი დღითაც არ დაგტოვებს მარტო. რომ ვაკვირდები, თუ გახმაურებული მწერალი ხარ, ეპოქა იმის უფლებასაც არ მოგცემს, შენთვის დარჩე, „მხოლოდ მწერალი“ იყო. აღწერო რას ხედავ და რას განიცდი, ისე როგორც ხედავ და როგორც განიცდი.

აუცილებლად ჩაგერევიან. ეჭვის რენტგენზე გაგაშუქებენ. ვისთან ხარ, რა პოზიცია გიკავია, რა ქვეტექსტებით და ალეგორიებით ლაპარაკობ, აქ რას გულისხმობ და იქ ვის აკრიტიკებ.

რომ იცოდეთ, როგორ ჰგავს ყველა ეპოქაში ნამდვილი მწერლის ბედი ერთმანეთს.

ყველა მათგანის თავზე დროდადრო შავი ღრუბლები იკრიბებოდა, ყველა მათგანის ირგვლივ იქსოვებოდა საბედისწერო აბლაბუდა. ყველა მათგანს „ეთამაშებოდნენ“ აღზრდის იმ მეთოდებით, აღმზრდელის ინტელექტუალურ დონეს რომ შეეფერებოდა.

რატომ ეშინოდათ მწერლისა, რა ცეცხლს ანთებდა იგი ასე თავისი ჯადოქრული ნაქსოვით ისეთ უსაფრთხო საგანზე, როგორიც სუფთა ქაღალდი გახლავთ?

***

იმპერია კვლავ უკიდებს პატრუქს „ურჩი საქართველოს“ დასჯის ერთ-ერთ ძირითად ნაღმს – ე. წ. „თურქ მესხთა“ პრობლემას.

„თურქი მესხები“ ჯიუტად მოიწევენ საქართველოსაკენ. ჯიუტად მოიწევენ თავიანთი „სამშობლო“ მესხეთისაკენ, თუმცა მანეჟის მოედანზე და საქართველოს წარმომადგენლობის შენობასთან ტნასფარანტებით შეკრებილ მათს „სრულუფლებიან წარმომადგენლებს“ მესხეთში არც ერთი დღე არ უცხოვრიათ. და ისიც მშვენივრად მოეხსენებათ, რომ ფერგანის სანახებში გამრავლებულ სამასიათას კაცს კი არა, ძლივს ქართველებით დასახლებული მესხეთ-ჯავახეთის ერთი მტკაველა მიწა მათს მეოცედსაც ვერ გამოკვებავს.

ცნობილია, ამ „სამშვიდობო სვლის“ მიზან-ამოცანები. ეს გახლავთ ვარძიის სანახების დემოგრაფიული დაპყრობის, იქიდან კანონიერი ქართველი მოსახლეობის გამოდევნისა და თურქეთის მეზობლად თურქული ავტონომიის შექმნის მიზანი, რომელსაც კრემლი აგულიანებს და ნიშანოვი გულშემატკივრობს.

მოვუწოდებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა უწყებას, მტკიცედ დადგეს ქართველი ერის ნებაზე.

„თურქი მესხი“ კი არა, საქართველოში ჩამოსახლდეს მხოლოდ ის მესხი, ვინც ქართველად დაეწერება და შვილს ქართულ სკოლაში გაზრდის.

***

ჩემ წინააღმდეგ „მასირებული“ შეტევის მეხუთე წრე დაიწყო.

წინა ოთხი კომუნისტების ბატონობის დროს ვიწვნიე. მეხუთე ახლა (როცა სრულიად არ მოველოდი).

ალბათ ზოგი რამ ჩემი ბრალიც არის.

ჩემი ცხოვრების სტილი ამგვარად ჩამოყალიბდა: გაჩუმება, თვალის დახუჭვა, პირში წყლის ჩაგუბება, მანევრირება არ შემიძლია.

არა და სიბერეში შესულმაც „ვერ ვისწავლე ჭკუა“.

ვერ ვისწავლე, რომ სხვების თანდასწრებით მიცემული თუნდაც უმნიშვნელო შენიშვნაც კი არავის სიამოვნებს.

ხომ შეგეძლო ეს, ყველაფერი ერთიერთზე ან თუნდაც ტელეფონით გეთქვათ პრეზიდენტისთვის, მსაყვედურობენ ზოგნი.

ცამდე მართალნი ბრძანდებიან.

მაგრამ ეს დასაწვავი ჩემი ხელობა, ეს განზოგადებული ლიტერატურული საქმე და ჩემი ბუნებაა ყველაფერში დამნაშავე.

ერთი რამ კიდევ: ყოველთვის არამკითხე მცირენი აწკავწკავდებიან საოცარის სინქრონულობით.

ნეტავ კიდევ რამდენ შეტევას გავუძლებ?

***

ყველაზე დიდი, თეთრი სიკვდილი მწერლისთვის მოდიდან გასვლაა.

როცა არ აინტერესებთ, როცა შენ გამო არ ღიზიანდებიან, როცა შენს ნაწერს გულგრილად ჩაუვლიან, უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე.

არაერთმა ჩემმა კოლეგამ თვით გამოუტანა თავის თავს ასეთი განაჩენი.

რას მიქვიან გაჩუმება, მოცდა, რას ვუცადო, განა რამდენი ათწლეული აქვს შემოქმედს განგებისაგან მიცემული ერის სრულფასოვანი სამსახურისათვის? ღმერთმა ნუ ქნას, ამრეზილად შევხედო ვინმეს თავის შეხედულებისა გამო.

მერე რა მოხდა, კაცს არ მოსწონს შენი ნაწერი. ეცადე უკეთესად წერო და როგორმე მოაწონო.

მე უფრო სიკვდილამდე სამტროდ გადაკიდებულნი მაღიზიანებენ.

ყველას ჰყავს, როგორც ჩანს, თავისი „არამი“ და „შარიქა“.

გვამის სუნს რომ დაიკრავენ, მაშინ გამოვლენ ჩირგვებიდან.

აქაო, ჩვენ გვგულისხმობდაო, ასე და ასეა საქმე. ჩვენაო ამ საკითხს ასე ვერ დავტოვებთო.

არა და შენ ისინი სრულიადაც არ გახსოვს, შენ მათ ვერ ხედავ, მათი უბადრუკი აჩრდილი შენს გზაზე მხოლოდ მაშინ ეცემა, როცა დიდი მოქიშპენი წითელ შუქს აგინთებენ.

***

დღეს უბედნიერესი კაცი ვარ.

ერთი მეგობარი რეჟისორის სპექტაკლს დავესწარი და ყველა ის შენიშვნა გაუთვალისწინებია პრემიერის შემდეგ განხილვაზე რომ მივეცი.

მაშინ ეწყინა, დამიბღვირა კიდეც. ცოდვას ვერ დავმალავ, მეც ზოგი რამ გადავაჭარბე...

მერე დაფიქრებულა და ჩემი შენიშვნები, რომ იტყვიან მხედველობაში მიუღია.

ღმერთმა განსაჯოს, რაკიღა კაცს ყოველთვის როდი აქვს საღად განსჯის უნარი – მე უფრო კარგი სამსახური გავუწიე იმ საღამოს რეჟისორს თუ იმათ, ვინც სულ გენიოსი უძახა და ერთი პაწაწკინტელა შენიშვნაც არ გაუმხილა სპექტაკლს სამომავლოდ რომ წაადგებოდა.

***

ორ და სამ აგვისტოს საქართველოს ტელევიზიამ შემზარავი კადრები გვიჩვენა.

მამაცმა მილიციელებმა ქართველი ერის მოწამლვის ერთ ბუნაგს მიაკვლიეს და სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, გააფთრებულ ბრძოლაში უვნებელყვეს.

მაგრამ რამდენი ასეთი ბუნაგია ჯერ კიდევ მიუკვლეველი იმავე ახლომახლო რეგიონებში.

დროა ვაღიაროთ, რომ ნარკოომი ქართველი ერის წინააღმდეგ ფარული ომის (დემოგრაფიული დაპყრობის პარალელურად) ერთ-ერთი

ვერაგი ფორმაა, სუსტი ნებისყოფის ქართველი ახალგაზრდების განსაკაცებლად, მათთვის გამრავლებისა და სამშობლოს დაცვის აქტიური ნერვის ჩასაკლავად მოგონილი.

გულდასმით შევისწავლოთ თუნდაც დღემდე მიკვლეული ნარკობიზნესის წარმომადგენელთა ეროვნული ვინაობა და იოლად დავრწმუნდებით, რომ ეს ასეა.

მიმაჩნია, რომ უცხო ერის შვილთათვის საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებისას მარტო ჩინოვნიკური მონაცემებით (ჩაწერილი არის თუ არა...) კი არა, სხვა გარემოებებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ.

იმ „სხვაში“, იქნებ, მორალურ სახეს და ქართველი ერის სასარგებლოდ აქ მცხოვრებთა საქმიანობასაც ვგულისხმობთ?

***

ნეტა როდის გადავეჩვევით „ლიტერატურულ ფეოდალიზმს“. კომუნისტურმა რეჟიმმა ეს „მშვენიერებაც“ მემკვიდრეობით დაგვიტოვა.

ვთქვათ, რაღაც არ მოგეწონა და თქვი, ეს რაღაც არ მომეწონაო.

აჰა, გასაგებია, რატომაც არ მოეწონათ, დაასკვნიან, მტერია ჩვენიო.

არადა მტრობა არც გიფიქრია იქნებო, ასე აჯობებსო, შენს კოლეგებს, შენს თანამოკალმეებს, შენს ახლობლებს უთხარი.

შენს უწყინარ შენიშვნას კი არ უპასუხებენ, შენ თვითონ შეგაყრიან ქვასა და გუნდას, რომ მერე დასკვნის სახით მკითხველს აუწყონ:

ამის ჩამდენმა კაცმა ჩვენ რა უნდა გვასწავლოსო.

სულ წვრილად დაგითვლიან: სიყმაწვილეში თუ რამ შეგეშალა, ტრამვაის უკანა კარიდან თუ ჩამომხტარხარ, ცილისწამებასაც არ დაერიდებიან...

გაოგნებული დგახარ და ფიქრობ: ქვა მეკოდა და ენისათვის კბილი დამეჭირა არ მერჩია?

ამ ბოლო დროს ჩემი „კეთილისმსურველნი“ უმთავრეს ბრალდებად მიყენებენ აპრილს მწერალთა კავშირში სხვისი პარტმანდატი დადოო.

იმდენად სასაცილოდ მიმაჩნია ეს „ბრალდება“, რომ თავის დროზე პასუხის ღირსად არ ჩავთვალე. ჩანს, შევცდი, მაშინვე უნდა მეპასუხა. რაკი გავჩუმდი, იფიქრეს, ალბათ, მართლა ასეაო და ახლახან დაბეჯითებით გაიმეორეს.

ვინც ამ კრებას ესწრებოდა, უსათუოდ ემახსოვრება: მე წინა რიგში ვიჯექი, მანდატებს რომ მაწოდებდნენ, ნოდარ წულეისკირს ვუდებდი წინ. ასე რომ, ერთი მანდატი კი არ „დავდე“, არამედ ცხრა. რაკი ჩემი მანდატი თან არა მქონდა, იქვე დავწერე განცხადება პარტიიდან გასვლის შესახებ, და ბ-ნ ნოდარს გადავეცი.

ვისაც მანდატის დადება და პარტიიდან გასვლა საერთოდ არ სურდა, იქვე განაცხადა: ჩვენ პლენუმის წევრები ვართ და აქ მანდატების დადების უფლება არ გვაქვსო.

ჩემი განცხადება (განცხადება სამმა-ოთხმა მწერალმაც დაწერა) მანდატებიანად ნოდარ წულეისკირმა მწერალ ნანა კანდელაკს ჩააბარა.

ერთი კვირის შემდეგ ქალბატონ ნანას მივუტანე მანდატი, მაგრამ არ დაიტოვა; აღრიცხვაზე უნივერსიტეტში ხართ და იქ უნდა ჩააბაროთო. წამოვიღე და უნივერსიტეტში პარტკომს ქ-ნ ჩარიტა ჯაშს ჩავაბარე პარტიის მანდატი.

ესაა სულ პარტიიდან გასვლის ჩემი ისტორია.

სხვისი მანდატი დადოო, თუთიყუშივით რომ იმეორებენ, რატომ არ ამბობენ ვისი მანდატი დავდე? საიდან უნდა მქონოდა სხვისი მანდატი, როცა ჩემიც კი არასოდეს ჯიბეში არ მდებია.

***

უაღრესად აქტუალურად მივიჩნიე და სავსებით მხარს ვუჭერ საქართველოს პრეზიდენტის სამი აგვისტოს მიმართვას სამაჩაბლოს მცხოვრებთადმი.

საქართველო დაიღალა ამაო ლოდინით იმის მისაღწევად, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დასმოდა ქართველების აბუჩად აგდებას თავის ძირძველ მიწაზე – სამაჩაბლოში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს სამართლიან ისტორიულ გადაწყვეტილებას გამოგონილი ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე იმპერიული ძალების გააქტიურება და ექსტრემისტთა სისხლიანი თარეში მოჰყვა.

იმედი იმისა, რომ სტუმარი ერის ექსტრემისტი წარმომადგენლები გონს მოეგებოდნენ, ამოიწურა. იმედი იმისაა, რომ ხელოვნური იმპერია ორივე მხარისავე სასარგებლოდ ბანდიტთა თარეშს შეწყვეტდა, იმთავითვე არ არსებობდა. იმპერიული პარლამენტის ადრინდელი ნაბიჯები უგუნური, ხოლო უკანასკნელი კომისიის დასკვნები უდღეური აღმოჩნდა. „ზემოთ“ საპარლამენტო კომისიის დასკვნას წაუყრუეს, რაკილა ამ კომისიამ ოვსთა მიერ მიტაცებული ტერიტორიები საქართველოს ისტორიულ მიწებად ცნო და ოსები ჩამოსულ ტომებად აღიარა.

ახლა სამაჩაბლოს მშვიდობიანი დაბრუნების გადამწყვეტი დრო დადგა.

როგორც ქართველთ გვჩვევია, მშვიდად, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით, უკონფლიქტოდ, მაგრამ გულუშიშრად უნდა შევიდეთ სამაჩაბლოში ყაჩაღთა თარეშითა და მიწისძვრით იავარქმნილი სოფლების აღსადგენად.

ეს მაღალპატრიოტული აქცია ჩვენი ღირსების საქმედ უნდა გავიხადოთ.

დავაბრუნოთ ლტოლვილნი თავიანთ სახლებში და გვერდით დავუდგეთ, დავეხმაროთ მათ მამაპაპური კერიის გაჩაღებაში.

1995 წ.

ღმერთმა შეუნდოს

მუხრან მაჭავარიანს ორმოცდაათი რომ შეუსრულდა, ვწერდი: „მაინც რა გააკეთა მუხრან მაჭავარიანმა ისეთი, რომ ილიას და აკაკის ყურმიჩვეული საქართველოს მის ბუხუნა ხმას უსმენს?

მუხრან მაჭავარიანის პოეზია მაღალპატრიოტულ ჰანგებზე აწყობილი, მოწოდებისა და გაღვიძების პოეზიაა. პოეტი მუდამ იმ სათქმელს სწვდება, „გულის მოსაფხან სიტყვას“ რომ ეძახის ქართველი.

მუხრან მაჭავარიანმა თავისი პოეზიით არაერთს შეახსენა ქვეყნად თავისი საშვილიშვილო ვალი. გარემოებათა გამო თვითკმაყოფილების ყურთბალიშზე მთვლემარე ბოდიშმოუხდელად შეანჯღრია („როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე“) და უიმედობის ქართა ხეთქებით გასავათებულს „ღონივრად ჩასძახა: „გულს ნუ გაიტეხ მუხა ისევ შეიმოსება“ (წიგნი „სიტყვა და საქმე“, 1981, გვ. 348).

„საბას“ ავტორის პოეზიაზე ახლაც ამ აზრისა ვარ.

ღმერთმა დამიფაროს ღვარძლიანი ტონისა და ქილიკისაგან, ასე რომ დამკვიდრდა ამ ბოლო დროს ჩვენში. ღმერთმა დამიფაროს, ვეძებო მუხრან მაჭავარიანის წიგნებში მისი პოეზიისთვის არცთუ შესაფერი კომუნიზმის და ლენინ-სტალინის იდეების ერთგულებით ანთებული სტრიქონები, ან მოგაწოდოთ „ცისკრის“ ერთი ნომერი, რომელშიც მუხრან მაჭავარიანი ნიკიტა ხრუშჩოვს თავგამოდებით იცავს მიხეილ ქვლივიძისაგან და თავაწეული ამაყად ღაღადებს: ქართული ლიტერატურის საფუძველი ყოველთვის იყო პარტიულობა, ქართველი მწერლები კვლავაც ძალღონის დაუზოგავად ვემსახურებით კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმესო („ცისკარი“ № 3, 1963 წ.). არც იმის ხაზგასმა მიმაჩნია საჭიროდ, უვლიდა თუ არა ცეკას პირველი მდივნების სამეჯლისო კოცონთა ირგვლივ ბუქნას (სხვადასხვა დროს სხვადასხვა მდივნის ხელში) მუხრან მაჭავარიანი, ან მოკრძალებულად იუარა თუ არა მან, რომ საბჭოთა პოეზიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

საბჭოთა ეპოქაში დაბადებულ-ჩამოყალიბებული მწერლის ბიოგრაფიის ამგვარი ჩხრეკა მკრეხელობად მიმაჩნია. ამ მეთოდით გალაკტიონს და კონსტანტინე გამსახურდიასაც კი ჩააგდებ ჩასაფრებული კაცი უხერხულ მდგომარეობაში.

კალაკტიონს და გამსახურდიას თავი დავანებოთ, და, რაკი მე ვწერ ამ სტრიქონებს, მუხრან მაჭავარიანს უნდა ვუთხრა: თუ ჩემი ნოველების შვიდი ტომიდან ერთ ნოველას მაინც აღმომიჩენს კომუნისტური წყობის მხარდასაჭერად აღვლენილს, საჯაროდ ბოდიშს მოვუხდი, თუ არა და მინდა დარწმუნებული იყოს, რომ მე მაქვს ამ სტრიქონების დაწერის მორალური უფლება.

გულისტკივილით ვწერ, მუხრან მაჭავარიანის პოეზიის პატივისმცემელი, მუხრან მაჭავარიანზე, როგორც მწერალთა კავშირი თავმჯდომარეზე და როგორც საზოგადო მოღვაწეზე.

მწერალთა კავშირი ახლა დაშლილია. მუხრანი მარტო დარჩა. მაგრამ როგორც მისი ბოლო პუბლიკაციებიდან ჩანს, სრულიადაც არ აწუხებს ის გარემოება, რომ მწერალთა კავშირის წევრებიდან მის გვერდით დგანან ოდენ გურამ პეტრიაშვილი, ირინე ტალიაშვილი, ამირან კალაძე, გივი ბუთხუზი, ილია რურუა (შეეჭვებული), მისი ამომრჩევი ოსი და აფხაზი მწერლები და, ფიცში რომ არ ჩავიყოლო, კიდევ თითო-ოროლა საეჭვო ნიჭის მქონე ლიტერატორი. ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირის: მწერალთა კავშირი ჩვენ ბინების და მანქანების მისაღებად გვჭირდებაო.

აქვე უნდა დავსძინო, რომ ბოლო დროს, ოპოზიციის გულის დასაწყვეტად, სიამოვნებით ჩამოთვლიან ხოლმე, „პოზიციის“ აზრით, ე. წ. ნეიტრალურ მწერლებს, მაგრამ ვინც ყურადღებით წაიკითხავს. „ნეიტრალურთა სიაში მოხვედრილ შემოქმედთა უკანასკნელ სტრიქონებს, მიხვდება, სად ნათობენ და ვის მხარეს დგანან ისინი. სად დგანან და, როგორც ყოველთვის, სიმართლისა და ვაჟკაცობის და არა პირმოთნეობისა და მლიქვნელობის მხარეს.

მწერალთა კავშირი პარტიული სტრუქტურების პირმშოა და რაკი ადმინისტრაციული ფუნქციაც ეკისრება, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, მან არცთუ სახარბიელო როლი შეასრულა მწერალთა სხვადასხვა თაობის ცხოვრებაში, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა დემოკრატიამ ფეხი აიდგა და ხელისუფლება რკინის ხელს აღარ უჭერდა მწერალთა კავშირს, დაიწყო მუხრან მაჭავარიანის თავმჯდომარეობის ერა, რომელიც სამარცხვინოდ მთავრდება, აგერ, ჩვენ თვალწინ და უკანასკნელ დღეებს ითვლის.

არჩევნების წინა დღეებში ცეკას პირველი მდივნის კაბინეტში სიარულს მოუხშირა მ. მაჭავარიანმა და იმ არჩევნების ობიექტურობა ცეკას სინდისზე იყოს. ყოველ შემთხვევაში, ცეკას დალოცვით, იგი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახდა.

ვისზე რა ნაკლები ვარო და, პირველი რაც გააკეთა, თავმჯდომარეობა იმით დაიწყო, რომ რუსთაველის პრემია გაიკრა. წყდებოდა თუ არა ცეკას პირველი მდივნების კაბინეტებში რუსთაველის პრემიების მინიჭების ბედი, თავიანთ სინდისში ჩაიხედონ იმ კომიტეტის წევრებმა და ხმამაღლა ნუ იტყვიან, რასაც გაიფიქრებენ.

მერე მიიხედ-მოიხედა და, „ჩემი ხალხით“ უნდა დავასახელო რედაქცია-გამომცემლობებიო, გადაწყვიტა.

დაიწყო თავისი პირადი მეგობრობის დანიშვნა-დაწინაურება და „მტრების“ (ო. ჩხეიძე, მ. კახიძე, ო. ნოდია) მოხსნა-დაწიოკება.

რამდენიმე ოპერაცია (მედეა კახიძის და ოთარ ნოდიას გათავისუფლება) არ გამოუვიდა და მწერალთა კავშირის „მრისხანე ბატონმა“

ოთარ ნოდიას საქმე პროკურატურას გადასცა. მწერალმა მწერლის დაჭერა-დაპატიმრება მოითხოვა.

მწერალთა კავშირში უზურპაცია გამეფდა. ჩაკვდა, აკლდამას დაემსგავსა ერთ დროს ეროვნული ცხოვრების ეს ბობოქარი შტაბი.

ეპოქამ მწერალთა კავშირის რეორგანიზაცია მოითხოვა. მწერალთა ერთმა ჯგუფმა (გ. ალხაზიშვილი, დ. მჭედლური, ვ. ხარჩილაძე, მ. წიკლაური) მწერალთა კავშირის წესდების შეცვლის საკითხი დააყენეს. მუხრან მაჭავარიანი წინ აღუდგა ამ ბუნებრივ პროცესს და მწერალთა კავშირს რუტინის, კონსერვატიზმის გალავანი შემოავლო.

როდესაც ხსენებულ მწერალთა ჯგუფმა პროტესტი გამოთქვა მ. მაჭავარიანის დიქტატურის წინააღმდეგ, ერთ-ერთ მათგანს – დ. მჭედლურს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე გასამართლება მოუწყო. ჯერ შემოიტყუა, შენს წინადადებებს განვიხილავთო, და მერე განაცხადა: დავით მჭედლურმა პრესით შეურაცხყოფა მომაყენა, იმსჯელეთ, რა სასჯელი შევუფარდოთო.

ავდექი და ვთქვი: რა ხდება, ეს კაცი აქ ჩვენთვის ბრალის დასადებად შემოვიდა და გაღმა რატომ ვედავებით-მეთქი.

მრისხანებით აევსო თვალები და დამემუქრა, შენ საკითხსაც განვიხილავთო.

მიხვდნენ მწერლები, რომ შეცდნენ არჩევანში, ახალმა თავმჯდომარემ არ გაამართლა. მიხვდნენ, მაგრამ გვიან იყო.

ოთარ ჩხეიძე რომ გაათავისუფლა ალმანახის რედაქტორობიდან, აშკარად გაისმა ჩურჩული: მწერალთა კავშირის საერთო კრება მოვიწვიოთ და ვიმსჯელოთ თავმჯდომარის შესახებო.

ყური მოჰკრა თუ არა ამ ჩურჩულს, „ზომები“ მიიღო:

სანამ მე ვარ აქ, მწერალთა სხდომა არ ჩატარდებაო, გადაწყვიტა და მიაღწია კიდეც.

მწერალთა კავშირში აღარ იმართებოდა დისპუტები, შემოქმედებითი შეხვედრები. დაიკეტა კლუბი. არა მარტო საერთო კრებისა და გამგეობის სხდომის ჩატარებაზე თქვა უარი, პრეზიდიუმსაც აღარ ენდობოდა და პრეზიდიუმის სხდომებიც შეწყვიტა.

როცა მწერალთა კავშირი დააკონსერვა, ბუნებრივია, აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის იუბილეების ჩატარებაც „გამორჩა“ მხედველობიდან. თავმჯდომარე ისეთი სერიოზული საქმით გახლდათ გართული როგორიც მწერალთა ამქრის წინამძღოლისთვის სრულიად შეუფერებელი საქმე, ზვიად გამსახურდიას წინაშე მლიქვნელობა გახლავთ.

სასაცილოზე-სასაცილოა მუხრან მაჭავარიანის საკადრო პოლიტიკა. ამ მიმართულებით მუხრან მაჭავარიანის თვალსაწიერი ისე ვიწრო აღმოჩნდა, რომ იგი თავისი სუფრის წევრების, თანამეინახეთა სფეროს არ გასცილებია. ამავე დროს პასუხსაგებ ლიტერატურულ საქმეებს (გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა) იგი თავის „ლიტერატურულ მონებს“ უფრო

ანდობს, ვიდრე ჭეშმარიტად ნიჭიერ, გამოჩენილ მწერლებს. მაგალითი გნებავთ? მ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობის ბნელ პანორამას ერთადერთი ნათელი წერტილი ამშვენებს: ერთ მშვენიერ დღეს მწერალთა კავშირის მდივნად თამაზ წივწივაძე დანიშნა. მეორე დღესვე დაფიქრდა თავმჯდომარე: ეს რა მომივიდა, ნიჭიერი კაცი მინდა აქ მეო? თავისი აზრის მქონე გ. ფანჯიკიძე არ მყოფნის ახლა თ. წივწივაძეც დავიმატოო? და ორიოდე დღეში (ისე რომ თ. წივწივაძე კაბინეტში არ შესულა) გააუქმა ბრძანება. სამაგიეროდ „პირუთვნელ“ თავმჯდომარეს შეუძლია „კრიტიკის“ რედაქტორად გაუშვას სწორედ ამ ხაზით საძრახის საქციელში (არაობიექტურობა) შეუმჩნეველი თეიმურაზ დოიაშვილი და თუ რედაქცია არ მიიღებს (შიმშილობასაც კი გამოაცხადებს მუხრან მაჭავარიანის წინააღმდეგ, ვაი სირცხვილო!) წამოიყვანოს „კრიტიკიდან“ და, საღი აზრის საწინააღმდეგოდ, „ცისკრის“ რედაქტორად წამოასკუპოს. და ამის პარალელურად სამსახურში ბლოკადა მოუწყოს, ნორმალური მუშაობის პირობები არ მისცეს, სამდივნოს სხდომებში მონაწილეობა არ მიაღებინოს ჭეშმარიტად საქმის კაცს გურამ ფანჯიკიძეს.

მწერლებმა გადაწყვიტეს, ბოლოს და ბოლოს, თავმჯდომარის სურვილის წინააღმდეგ, შეკრებილიყვნენ და გამოეთქვათ უკმაყოფილება თავმჯდომარის თვითნებობის გამო.

მიხვდა, რომ ყვარყვარული თავმჯდომარეობის დღეები დათვლილი იყო. რა გზას დავადგეო, იფიქრა, იფიქრა და გამოსავალი იპოვა: „მრგვალ მაგიდაში“ დურთა თავი.

ახლა კი „ვერვინ მოვა ჩემზედაო“, გაიფიქრა და გულმოცემულმა „მრგვალი მაგიდის“ ჩუქურთმიან ფეხთა ტევრიდან მწერლებს ენა გამოუყო.

„მრგვალი მაგიდიდან“ მწერალთა კავშირში ორი შაშხანიანი ყმაწვილი მოვიდა და, არცთუ მთლად მოკრძალებით გამოგვიცხადა: მუხრანი ჩვენთან არის და უბატონოდ ხმა არ გასცეთო.

მაშინ „მრგვალი მაგიდა“ მმართველი პარტია ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ შეიარაღებული დაცვა, როგორც ზოგ სხვა პარტიას, ყოველი შემთხვევისათვის, მასაც ჰყავდა.

რა კავშირი ჰქონდა მანამდე, ან შემდეგ, სანამ სკამის გადასარჩენად მიაკითხავდა, მრგვალ მაგიდასთან, ან საერთოდ ეროვნულ მოძრაობასთან მუხრან მაჭავარიანს?

ერთ ფაქტს გავიხსენებ.

ცხრა აპრილის ავბედით დღეს განთიადისას ზვიადი და სხვები რომ დააპატიმრეს, ათ აპრილს დილით, მწერლები შევიკრიბეთ, სანამ დაიწყებოდა კრება მუხრანთან შევედი: ზვიადი დაუპატიმრებიათ, კონსტანტინე გამსახურდიას სახლს ჩხრეკენ. იქნებ ჩვენ, მწერლებმა, პროტესტი გამოვთქვათ-მეთქი.

უსიამოვნოდ შემომხედა. მეო, ოფიციალური პირი ვარო, ეგ საკითხი

აღარ მაინტერესებს, მე აქ იმიტომ ვარ, რომ პატიაშვილს ვერ ვუღალატებო. რაც მოხდა, ზვიადის ბრალია, მაგის და კოსტავას კისერზეა იმ ხალხის ცოდვაო.

გავშრი, გავოგნდი და გამოვედი. თუ სინდისის ნატამალი კიდევ შერჩენია, მუხრან მაჭავარიანი ვერ უარჰყოფს ამ ფაქტს.

იქნებ, მე აღარ მახსოვს და, იმ დღეს მაგალითი მისცა მწერლებს თავმჯდომარემ პარტიის მანდატის დადებით? არა და არა. მე ჩემს რწმენას ასე იოლად არ ვიცვლიო, განაცხადა, სამაგიეროდ, მე დამაბრალა უნამუსოდ (გაღმა შედავების პრინციპი), სხვისი მანდატი დადოო, მშვენივრად ხედავდა, როგორ გადავეცი ნ. კანდელაკს განცხადება პარტიიდან გასვლის შესახებ. მწერალთა კავშირის მდივნებმა ამაგი იმით დაუფასეს ცეკას, რომ ბოლომდე უერთგულეს კომუნისტურ პარტიას. მუხრან მაჭავარიანი მწერალთა შორის თითქმის ყველაზე ბოლოს გავიდა პარტიიდან, ხოლო ერთ-ერთი მდივანი, მგონი, ახლაც პარტიის წევრია.

მერე, როცა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და სხვათა ციხიდან გამოსახსნელი წერილით ხელში აღმა-დაღმა დავდიოდი, ხელმოწერებს ვაგროვებდი (ის წერილი გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა და პოლიტპატიმართა გამოსახსნელი ერთ-ერთი პირველი შუამდგომლობა იყო) მუხრან მაჭავარიანმა არც მაშინ მომიწერა ხელი.

დღეს კი, მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო თავისი უწიგნურ-პროვინციული, მლიქვნელური გამოსვლებით საქართველოს პრეზიდენტს დათვურ სამსახურს უწევს.

რა აქტიური დეპუტატი იყო მოსკოვში (ვთქვათ, ენობრივი ბარიერის გამო შევუნდოთ), ან რა აქტიურად მონაწილეობს ახლა პარლამენტის სხდომებში (?), მოგეხსენებათ. „მთვლემარე ლომი“ მაშინაც არ წამოსწევს თავს, როცა პოლიტიკური ვნებათაღელვები იმ ზომამდე მიაღწევს, რომ დეპუტატთა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფთან ურთიერთობის გასარკვევად მოკრივის საწყის მდგომარეობაში შეღერებული გაექანება.

არც მლიქვნელი თავმჯდომარის ღაღადი („მამაშენმა უნდა თქვას შვილი მყავდაო“) და არც მისი ოპერატიული ღონისძიებანი (მწერალთა კავშირის დაკეტვა...) არ აღიქმება ერის გონიერ შვილთა მიერ მწერლობის თავკაცის ნორმალურ საქციელად.

რაოდენი ცინიზმით, მედიდურობითა და კადნიერებითაა აღსავსე მისი ბოლოდროინდელი სიტყვები და წერილები მისი კოლეგებისადმი მიმართული („ვინც იცის! თქვას“, „ქართველთ „პროსბა“ და „რუსთ გულისხმიერება“ (ლიტ. საქ. 15, 29/XI).

შეიძლება ასე წერდე? ასე ელაპარაკებოდე იმათ, ვისთანაც წლების განმავლობაში მეგობრობდი, ვის თავმჯდომარედაც თვლი თავს? ნუთუ ასე უნდა გაიმეტო ისინი, ვისაც საქართველო ახლაც გულისყურით უსმენს და მუხრან მაჭავარიანის ლექსებზე ნაკლები ინტერესით როდი კითხულობს, ან წაიკითხავს მომავალი თაობა? ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ გეგეშიძე, გურამ დოჩანაშვილი, გურამ

ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, ჯემალ ქარჩხაძე, არჩილ სულაკაური, თამაზ წივწივაძე, ლაშა თაბუკაშვილი, ნუგზარ შატაიძე და სხვები, ნუთუ ასე ხელწამოსაკრავ მწერლებად ეჩვენება ბატონ მუხრანს?

რაო, ღმერთმა ას წელიწადს აცოცხლოს, ამ ხალხისთვის ხელის ჩამორთმევას აღარ აპირებს? იქნებ ფიქრობს, რომ მ. მაჭავარიანს დაუჯერებს საქართველო ამ ღვაწლმოსილი ადამიანების ერის მოღალატეთა სიაში ხელაღებით ჩარიცხვის საკითხში?

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, 1937 წელს რომ მუხრან მაჭავარიანი ყოფილიყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რა შავ დღეში აღმოვჩნდებოდით?

ვამთავრებ და სინანულის გრძნობა მიპყრობს. იქნებ ჯობდა არ დამეწერა ეს წერილი? ვარწმუნებ მკითხველს, რომ იგი გზასამცდარი კაცის გონს მოსვლის იმედის ამოწურვითაა შთაგონებული და არა სიძულვილით იმ პოეტის მიმართ, ვისი ლექსების დიდი ნაწილიც ზეპირად იცის.

ყოველ შემთხვევაში, ბევრ რამეს, ენაზე მომდგარს, აქ აღარ დავწერ. არას ვიტყვი მოსკოვში, პრესკონფერენციაზე ჩასულ მწერლებს როგორ შეგვხვდა გერმანიიდან დაბრუნებული თავმჯდომარე და არც იმაზე ვიტყვი რამეს, ამ ბოლო დროს გ. ფანჯიკიძის („ლიტ. საქ.“ 29. XI) ნათქვამში რომ გამოჟონა – ოცდაათი მწერლის ხელმოწერის ეპოპეაზე... არც თავის ნაჩქარევობის სხვისთვის გადაბრალების პოლიტიკას გავახსენებ ბ-ნ მუხრანს: ჩემს კითხვაზე, რატომ აქამდე არ გამაგებინეთ, თუ ივლისში გამათავისუფლეთ-მეთქი, ზემოდან მითხრეს, თორემ როგორც მარჯვენას არ მოვიჭრი, ისე არ მინდოდა შენი გაშვებაო. სინამდვილეში მისთვის ამ საკითხზე „ზემოდან“ არაფერი უთქვამთ. სხვა დროს გიამბობთ იმაზეც, თუ რა ენერგიულად მუშაობს ჩვენი თავმჯდომარე, რათა ზვიად გამსახურდიას მწერალთა შორის „მტრები“ გაუმრავლოს.

ეს ყველაფერი სხვა დროისთვის იყოს.

„საბას“ ავტორს მე და ქართველ მწერალთა ჭეშმარიტად ღირსეული რაზმი განწირული ვყავართ, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გავწირავთ.

მუხრან მაჭავარიანი დღეს სამარცხვინო გზას ადგას, მუხრან მაჭავარიანის თავმჯდომარეობის პერიოდი თავისმომჭრელია საქართველოს მწერალთა კავშირისათვის, მაგრამ მუხრან მაჭავარიანი პოეტია და მე პირადად მიპატიებია მისთვის დაუჯერებელი დაბნევა მისი სიცოცხლის სამოცდამეათე ათწლეულში.

7/XII 1991 წ.

ოთხმოცი წლის მწერალი

ოთხმოცი წლის სერგი ჭილაია უნივერსიტეტის ბაღში დააბიჯებს, კატასავით ფრთხილად დადის, ფეხაკრეფით. დიდხანს დგას ივანე ჯავახიშვილის ბიუსტთან. აქ, ამ წმინდანთა სასაფლაოზე, კარგა ხანია, სულის უხილავი ძაფები გაუბამს უნივერსიტეტის პანთეონის მუდმივ ბინადარ წმინდა მამებთან.

მერე კიბეს მძიმედ აივლის და სტუდენტებს ძველებურად, ოთცდაათიანი წლების ორატორული პათეტიკით უამბობს მეოცე საუკუნის მწერლებზე.

მას, ბევრის მომსწრესა და მნახველს, საუკუნის ლიტერატურის ფორმირების საკითხებში დღეს ერთ-ერთი უტყუარი ისტორიული არბიტრის როლი აკისრია. საუკუნე ხომ ლამის მის თვალწინ ჩატარდა და თვით გახლდათ უშუალო მონაწილე ეპოქალური ესთეტიკური პროცესებისა ეროვნულის და კოსმოპოლიტურ-პარტიულის შეურიგებელი ჭიდილით რომ დუღდა სამოცდაათი წლის მანძილზე.

იმ ქარტეხილებმა არაერთი ელვარე ნიჭი შეიწირა, არაერთი ნათელი, საქვეყნო აზრი გაამრუდა, თუმცა დიდ ტალანტებს ფაქტობრივად ვერაფერი მოუხერხა. რაც მთავარია, რუსთაველ-გურამიშვილ-ილიას ეროვნული ჯაჭვი ვერ დაამსხვრია. გალაკტიონის საუკუნე საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ციკლიდან ვერ ამოაგდო.

ბატონმა სერგიმ ეს ყველაფერი კარგად იცის.

მართალია მისი თაობის არაერთი ერთ დროს თვალსაჩინო ქმნილება და მათრახით დამკვიდრებული სოცრეალიზმის პრინციპები სანაგვეზე მოისროლა ისტორიამ, მაგრამ ვნებები საბოლოოდ რომ დაცხრება, მწერლობის პირუთვნელი მემატიანე კი თავის ობიექტურ სიტყვას იტყვის, მეოცე საუკუნის ლიტერატურა ჩვენი კაზმული სიტყვის ისტორიაში ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალად აღიმართება. გალაკტიონია ამის თავდები.

ბატონი სერგი, რომელმაც მეცხრე ათეულში გადააბიჯა, დღესაც თავაუღებლივ შრომობს. ქაღალდს და კალამს ერთი დღითაც არ გარიდებია. მან მშვენივრად უწყის, რომ სწორედ ახლაა წარსულის ზოგი ლიტერატურული იარლიყი გასაუქმებელი, ბევრი რამ თავიდან წასაკითხი და ზოგი კრიტიკული შეფასება გადასახედი.

ესეც არ იყოს, შთამომავლობამ უნდა იცოდეს, რა უხუთავდა სულს ტიციანს და პაოლოს, რატომ აწამეს „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი, რატომ გაატარა ჯვარცმაში მთელი სიცოცხლე გალაკტიონმა...

სერგი ჭილაიამ ათეული წლების წინათ იგრძნო იმპერიის იალქანმა საქართველო ილიას გზას რომ ააცილა და, თუმცა როგორც მწერალთა კავშირის მდივანს თანამოკალმეთათვის სინამდვილის ასახვის მაგალითი უნდა მიეცა, დაჯდა და წიგნი დაწერა სამეგრელოს უკანასკნელ დედოფალზე. ეკატერინე ჭავჭავაძის ცხოვრების ჩვენებით მკითხველს უჩურჩულა მწარე სიმართლე, რაც სახელმწიფოებრიობაწართმეულ ქვეყანას დაატყდება ხოლმე თავს ისტორიის საბედისწერო მოსახვევზე.

მერე იყო და „ქრონიკების“ რამდენიმე წიგნში ტანჯულ-გვემულ

მოღვაწეთა მთელი პლეადა გააცოცხლა. მაშინ არც „მე და ჩემი პროფესორის“ (ივანე ჯავახიშვილზე) აშკარად ნაციონალურ პათოსზე გეტყოდნენ მადლობას და არც ოცდაჩვიდმეტის მსხვერპლთა გაცოცხლებაზე.

მეოცე საუკუნის ლიტერატურის ისტორიის დღემდე შეუცვლელ ავტორს, არაერთი ჩვენი კოლეგისთვის გზის გამწმენდავს და მეცნიერთა თაობების აღმზრდელს სინდისი სუფთა აქვს, მას ჭეშმარიტად ძალუძს წელგამართულად იდგეს თავისი დიდი მასწავლებლის წინაშე უნივერსიტეტის ბაღში.

ღმერთმა დიდხანს ატაროს ამ დუნიაზე.

1992 წ.

ღმერთო, ჩემი თავი მაპოვნინე

დღეს, როცა პოეზია ლამის წალეკოს რებუსულმა სურათწყობამ და თავსატეხურმა სტრიქონებმა, როცა დაღლილი მკითხველი ხშირად დაიჩივლებს ხოლმე – იქნებ ამიხსნას ვინმემ: რა წერია, რისი თქმა უნდა პოეტსო და რაკი ამხსნელი არა ჩანს (ღმერთო, შეგცოდე მგონი, არცთუ იშვიათად თვით პოეტსაც არ შეუძლია ნათლად გითხრას, რისი თქმაც სურდა), ფართო მკითხველმა ლამის ზურგი შეაქციოს ჩვენს ლიტერატურულ პრესას, ამ დროს ხოზე ადეიშვილი აქვეყნებს ვერსიფიკაციული საოცრებების ეპოქაში რითმულ-რიტმული ჟონგლიორობისგან სრულიად განსხვავებულ ლექსებს: ცალფა რითმებით და სასაუბრო ინტონაციით.

დღეს ალბათ სწორედ ამას შეიძლება დავარქვათ ნოვატორობა.

აიღებს, ლამის სტანდარტული დახვეწილობის, ეპიგონურად მასობრივ პოეზიას, ყურმიჩვეული მკითხველი ხოზე ადეიშვილის წიგნს ხელში და თავდაპირველად, ვინ იცის, გააღიზიანოს კიდეც მხატვრულ სახეთა ფოიერვერკის ნაცვლად ლაპიდარულ, სადა სტრიქონებთან დაბრუნებამ, რაც პირველი, გაუცნობიერებელი შთაბეჭდილებით იქნებ პრიმიტიულადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ ის პირველი გაღიზიანება და პოეტური გულწრფელობა არ მისცემს საშუალებას ლექსები განზე გადადოს. გააგრძელებს კითხვას და უკვე თითქმის ბოლოში გასული, მიხვდება, რომ ჭეშმარიტმა პოეზიამ იგი თავისი მომხიბვლელი უბრალოებით შეიყოლია, პოეტმა თვალი კი არ მოჭრა მხატვრული ზიზილ-პიპილეობით, არამედ გვერდით მიუჯდა და მშვიდად, კაცურად უამბო თავის სატკივარზე, თავის სევდაზე, რომელსაც დრამატიზმით აღსავსე ზიგზაგებიანი პირადი ცხოვრებაც კვებავს და მამულის, ლამის, უნუგეშო ყოველდღიურობაც. იქნებ სწორედ ამ მაცდურ „შეყოლიებაშია“ დღეს ჭეშმარიტი ლიტერატურის საიდუმლო?

ხოზე ადეიშვილის ერთი ლექსის ორ სტროფს შემოგთავაზებთ:

ველარ ვიტან, ერთადერთო,
ადრე რასაც ვიტანდი.
მტერ-მოყვარეს ყველას, ერთობ
შეცვლილი აქვს სიფათი.
შემკრთალია მთვარეც ზემოთ,
ცის და მიწის კავშირი,
პავლე თავის ადლით ზომავს,
პეტრე თავის არშინით.

პოეზია შენი თანამედროვის სულის ლაბირინთში ჩახედვა და შენი დროის იმგვარი ხატის შექმნაცაა, რომელიც ძალიან ჰგავს ნამდვილს და რომლის დანახვაც, განსხვავებით სხვა თაობის პოეტთაგან, მხოლოდ შენ შეძელი. ჩანს თუ არა ამ ორ, გარეგნულად უპრეტენზიო სტროფში ჩვენი ნერვული, წადექ-უკუჯექობით სავსე, სტრესული, კალეიდოსკოპურად ცვალებადი დრო? მე მგონი, ჩანს. და არის თუ არა ჩვეულებრივი ყოფითი სიტუაციიდან მშვენიერი ცად ამაღლება („შემკრთალი მთვარეც, ზემოთ – ცის და მიწის კავშირი“), რაც სწორედ რომ ჭეშმარიტი პოეზიისათვის არის დამახასიათებელი?

მე მგონი, არის.

გინახავთ ერდოზე შემომჯდარი მოწყენილი ჩიტი? იგი ჯიუტად გალობს შეუსვენებლივ, თითქოსდა წვეთი ცრემლისა ნამცვარობს მის პაწაწინა ყელში. მერე რა, რომ ქვეყანა თავის ყაყანს შესდგომია და ჩიტს ყურადღებას არ აქცევს. მერე რა, რომ მდუღარე ცხოვრების გნიასია ირგვლივ. ჩიტი საოცარი ერთგულებით და ამ ერთი ფიორი ფრინველისთვის სრულიად მოულოდნელი მოთმინებით გალობს და ისე მოულოდნელად შემოვა შენში მისი სევდის ღვთიური მუსიკა, რომ ვერც კი ხვდები, როდის და რით მიიპყრო შენი ყურადღება.

ამგვარ მოწყენილ ჩიტს მაგონებს ხოზე ადეიშვილის ლექსების ეს წიგნი.

ბულბული ერთბაშად გატყვევებს და თავისი ზეციური ჰანგით გიმონებს. ბულბული მაშინ იწყებს გალობას, როცა ცა და დედამიწა გარინდულა. და იდუმალი წყალ-ჭალა მხოლოდ იმისთვის ქმნილა, რომ ბულბულის გრძნეული სტვენა მოისმინოს. ბულბული თავის ხმას სხვა ჩიტთა ჟივჟივ-ჭიკჭიკში არ შეურევს. ფრინველთა ქოროს არ აჰყვება. უბრალო ჩიტი კი სხვაა. ჩიტის გალობა სიცოცხლის მუშა-რიტმის მიწიერი ნაკადია, ურომლისოდაც სამყარო ფრიად ერთფეროვანი და მოსაწყენი გახდებოდა.

სწორედ ჩიტის ხმად, ბუნებრივ, ორგანულ ჰანგად შეეწყობა ხოზე ადეიშვილის ლექსი ქართული პოეზიის ათასხმოვან ორკესტრს.

პეტრე ჭაბუკიანის – სათაფლიის მინდიას იერსახეს პოეტი ასეთი მეტყველ-შტრიხით ხატავს:

დადიხარ ასე, უცხო მგზავრივით
არ გიყვარს თავის გამოსარჩლება,
ასი წლის შემდეგ დინოზავრივით
აქ შენი ფეხის კვალიც დარჩება.

უბრალოდ უთხრა საქართველოსთვის დამაშვრალ კაცს და გაიარა თითქოსდა სტრიქონთა გასამართავადაც არ იზრუნა, მაგრამ ისიც კი „რაფინირების“ მთხოვნელ კრიტიკოსს ლაფსუსი რამ ეგონება („ფეხის კვალი კი არა, „ნაკვალევით“ იტყვის), რა მტკიცედ ზის თავის ადგილას, როგორ აძლიერებს შთაბეჭდილებას და საერთოდ რა მსუყე შედარებაა. შენც, ამ ტანმორჩილმა და კაფანდარა კაცმაც, შენი რკინის ნებისყოფით დატოვე ამქვეყნად წარუშლელი კვალიო.

სისადავეა ამ სტრიქონებში:

როცა გადაწყვეტილია
ღმერთის მიერ ყველაფერი,
რისთვის უნდა, რისთვის უნდა
ვიბრაგუნო გულზე ხელი.

არ გფენთ უეცარ სიმშვიდეს ეს სტრიქონები? ხომ ასე საყოველფ-ეხისნაბიჯო ჭეშმარიტებაა, მაგრამ რაოდენ სულში ჩამწვდომია სწორედ მისი საყველპურო მოულოდნელობით. თითქოსდა გირჩევს, გეჩურჩულება პოეტი ცხოვრების ბზრიალ-დგანდგარში და ინტრიგებში ყელამდე ჩაფლულს – დადექ, დაწყნარდი; როდემდე უნდა იძიგძიგო დენზე ჩართულივით, როდემდე უნდა ეჯაჯგურო შენს ბედს, როცა იქ, ზევით, ყველაფერი გადაწყვეტილიაო.

„ღმერთო, ჩემი თავი მაპოვნინე“ – შეჰლაღადებს ერთ ლექსში მამაზეციერს ამ წიგნის ლირიკული გმირი.

შემოქმედ კაცს თავისი ქმნილების სრულყოფილების ილუზიას კრიტიკოსი ვერ მოჰგვრის, ჭეშმარიტ ხელოვანს შექმნილით ბოლომდე დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მუდამ თანა სდევს ხოლმე, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით ამ წიგნის ავტორმა ქართული ლექსის ულამაზეს ფარდაგზე თავისი თავი უკვე იპოვა.

1993 წ.

იქნებ ჩვენ მაინც გავერთიანდეთ

ჩვენ საქმის დაწყება კარგი ვიცით, გაგრძელება და მით უმეტეს დამთავრება გვიჭირს.

რა ენთუზიაზმს დავაფრქვევთ დასაწყისში, საზოგადოებებს შევქმნით, მგზნებარე სიტყვებს წარმოვთქვამთ, მოძღვარს მივიწვევთ და

ვაკურთხებინებთ, მერე? „მერეზე“, ცოტა არ იყოს უკაცრავად ვართ.

ქართული კულტურის გადამრჩენი კომიტეტის დამფუძნებელ სხდომას ვესწრებოდი. ახლა კი გვეშველა-მეთქი, ისეთი პირი უჩანდა საქმეს...

ქართულ კულტურას მფარველობენ: კულტურის სამინისტრო, ზემოხსენებული „გადამრჩენი კომიტეტი“, შემოქმედებითი კავშირები, კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი“, საზოგადოება „ქიმერიონი“, სხვა არაერთი საზოგადოება (რუსთაველის, გალაკტიონის, კ. გამსახურდიას, სარაჯიშვილის, ი. ნონეშვილის, გ. რჩეულიშვილის)... და მაინც ოცი გამდელის ხელში ყმაწვილი უფრო იჩაგრება, ვიდრე ორი გამდელის ხელში დაიჩაგრებოდა.

სულს ღაფავს ქართული თეატრი. პერიფერიის თეატრებზე რომ არაფერი ვთქვათ (მათი მდგომარეობა თითქმის უიმედოა), თვით რუსთაველის თეატრი ამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჟამს მშვენივრად ამჟღავნებს ქართული ლიტერატურისადმი ზიზღს. თვალი შევავლოთ აფიშას: „პარასკევს, 9 აპრილს, კალდერონი „ცხოვრების სიზმარია“, შაბათს, 10 აპრილს დიკენსი „საშობაო სიზმარი“, კვირას, 11 აპრილს კალდერონი „ცხოვრება სიზმარია“ და მ. ჯავახიშვილის „მუსუსი“ (ყველა სპექტაკლის დამდგმელი რობერტ სტურუა). ასე ეხმაურება თეატრი ჩვენს ეროვნულ ტკივილებს. ასე იბრძვის იგი სამშობლოს თავისუფლებისათვის. რეპერტუარში სამი სპექტაკლიდან ორი უცხო ავტორისაა, ერთი კი მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებიდან ყველა მოთხრობაზე უფრო სუსტი – „მუსუსი“. მართალია, სამივე სპექტაკლი საინტერესოა და ნიჭიერი რეჟისორის ხელი ეტყობა, მაგრამ რუსთაველის თეატრის რეპერტუარი მაინც არ არის ის, რაც დღეს საქართველოს სჭირდება.

ცარიელი თეატრები, საგამოფენო და საკონცერტო დარბაზები დღეს საქართველოში ჩვენი, ხელოვნების მუშაკების ბრალიც არის და სამწუხაროდ, იმის ბრალიც, რომ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად პურის ფულს მორჩენილი ორიოდე გროშით ქართველმა წიგნის, თეატრისა და კინოს ბილეთის ყიდვას ნაღდი შოუს ბარათის, ლატარიის ბილეთის და საღეჭი რეზინის ყიდვა არჩია.

ფიროსმანის დროს ფიროსმანისადმი გულგრილი იყო საზოგადოება და დღეს ჩვენ ამ ფაქტს დანაშაულად ვუთვლით მთელს ეპოქას.

მაგრამ დღეს, ამ „შეგნებულ დროში“ კითხულობს ვინმე რით ირჩენს თავს მხატვარი, რომელსაც მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში „ხელშეკრულებით“ (თუმცა იმ ხელშეკრულებებით ხშირად ლენინის თავების ხატვას ავალებდნენ) გაჰქონდა თავი, ხოლო ახლა ეს წყარო საიმედოდ დაუშრეს?

კითხულობს ვინმე, რატომ გაიქცა საზღვარგარეთ ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა, მხატვართა, რეჟისორთა, კინომოღვაწეთა... საკმაოდ დიდი ჯგუფი?

შეინუხა ვინმემ თავი ქართველ მსახიობთა სასწაულებრივი ენთუზიაზმით დმანისში შექმნილი და უსახსრობის გამო მალევე ჩამქრალი ქართული თეატრის გასაცოცხლებლად?

რაო, რა დროს თეატრია, რა დროს ნახატია, რა დროს ლექსია „მოუკვდა პატრონი“?!

არც გაქცეულმა და არც მეორედ მობრუნებულმა ხელისუფლებამ გალაკტიონს იმდენი ყურადღება არ დაუთმო, რომ თბილისში საუკუნის უპირველესი პოეტის სახლ-მუზეუმი გაეხსნა.

ქართული კულტურის გადამრჩენელის მანტია ლამაზი და კეთილშობილური მაშინაა, როცა იგი მართლაცდა ქველმოქმედს, მზრუნველს, გადამრჩენელს მოუსხამს ბეჭებზე, ხოლო თუ ამ მანტიას მეცენატის სახელის საშოვნელად, ყურადღების მისაპყრობად, შირმად წავეპოტინებით, იგი სირცხვილის მეტს ვერაფერს შეგვძენს.

იქნებ ჩვენ მაინც გავერთიანდეთ კულტურის მოღვაწენი ერთ მონოლითურ საზოგადოებად კულტურის საკრებულოდ?

იქნებ ამ საკრებულომ ერთიანი გეგმა-მიზანსწრაფვით განასრულოს კულტურის შვილის პატრიოტული საქმე, რომლის მძიმე ტვირთსაც კრილოვის იგავის პერსონაჟებივით სხვადასხვა მხარეს ექაჩება დღეს სხვადასხვა უწყება და კომიტეტი-საზოგადოება?

ლამის უქმად ცდება უსაქმოდ, უმოწყალოდ, ბერდება დღეს ქართველ ხელოვანთა არაერთი თაობა. ხსნა კი არსად არის.

ირიცხებიან დასის წევრებად, საარსებო ლუკმა-პურისთვის, პენსიასავით ორიოდე გროშსაც გამოუწერენ ხანდახან, მაგრამ აქტიური სახელოვნო ცხოვრება არ ჩანს, სარეპეტიციო დარბაზებში თაგვები დარბიან, ობობას ქსელი გაუბამს, სიცივეს დაუსადგურებია.

ჩვენ დამნაშავე ვართ ყველა ნიჭიერი, მაგრამ „არშემდგარი“ ხელოვანის წინაშე.

ყველას როდი აქვს „გაღწევის“ ნიჭი.

ვინც შეძლო შექმნა „ერთი მსახიობის თეატრი“ (რა რეპერტუარის და მასშტაბებისაა იგი, სხვა საკითხია), მაგრამ წლების განმავლობაში გაკრთება ხოლმე ფილარმონიის სცენაზე უნიჭიერესი მსახიობი, ლამის ქალი-თეატრი ელდინო საღარაძე და არავინ გამოუჩნდა შემწე-მფარველად, რათა მისი თეატრიც დანთებულიყო ჩვენი ხელოვნების ჰორიზონტზე, ან რომელიმე „გენიალურ რეჟისორს“ თავის თეატრში მიეწვია და შესაფერისი როლი შეეთავაზებინა.

იქნებ მომავალ საკრებულოს ღვიძლ საქმედ იქცეს სწორედ ელდინო საღარაძის და მისთა მსგავს „მორცხვ ნიჭთა“ ხელის გამართვა, კიბის ქვეშ მცხოვრებ, – უბინაო და უსახსრო ხელოვანთა დახმარება, მოხუც ხელოვანთათვის პენსიების დანიშვნა, დებიუტანტ ხელოვნების მსახურებისთვის ფრთების გასამაგრებლად სახსრების გაღება?

ველოსიპედს თავიდან ნუ გამოვიგონებთ. კიდევ ახალი საზოგადოების შექმნა და მისი ბეჭედ-პრეზიდენტების ძებნა რა საჭიროა, შევქმნათ

ეროვნული კულტურის საკრებულო და იქნებ ამ საზოგადოების გარშემო გავაერთიანოთ კულტურის მუშაკთა მიზეზის გამო დაქსაქსული, მაგრამ ნიჭიერი და პოტენციური არმია?

1994 წ.

უნივერსიტეტი და თანამედროვე ქართული მწერლობა

საქართველო ლიტერატურული ქვეყანა გახლავთ, რუსთაველის ქვეყანაში მწერლობის კულტი იყო იმთავითვე და სრულიად ბუნებრივია, რომ ქვეყნის უპირველესი უმაღლესი სასწავლებელი, ეროვნული ინტელიგენციის სამჭედლო დაარსებიდანვე ქართულ მწერლობას დაეფუძნა, საუკუნის კალმოსანთა თავშესაფრად იქცა.

უნივერსიტეტის შენობაში სამუდამოდ მიიძინა ქართული პოეზიის მთის არწივმა ვაჟა-ფშაველამ და ამ შენობაშივე გაიღვიძა დამოუკიდებელი საქართველოს დაცვის ქართულმა გენმა ცხრამეტი წლის სტუდენტ-ლიტერატორის მარო მაყაშვილის სახით; ლექციებიდანვე თანატოლებთან ერთად საბრძოლველად რომ გაეშურა და კოჯრის თოვლს ყაყაჩოდ დააჩნდა გმირ იუნკერებთან ერთად დაღვრილი მისი უმანკო სისხლი.

მერე წითელი ფარდა დაეშვა უნივერსიტეტის ცხოვრების ფასადზე და ისეთი დროც იყო ილია ჭავჭავაძის ხსენება რომ არ შეიძლებოდა ამ კედლებში. ოცდაათიან წლებში კომუნისტური რეჟიმის აყვავების ხანაში, პრობლემად იქცა ძველი ქართული მწერლობის სწავლება ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ნაციონალურ სულს ხომ არ გააღვივებს და რელიგიისკენ ხომ არ მოაბრუნებსო ახალგაზრდებს მეცნიერების ეს დარგი.

ოცდაჩვიდმეტი. აუდიტორიიდან გაჰყავთ „ხალხის მტრად წოდებული ბენიტო ბუაჩიძე. ქართულ მწერლობას სახელსა და დიდებას უხვევს უნივერსიტეტის წიაღიდან გამოსული ირაკლი აბაშიძის, აკაკი გაწერელიას, გრიგოლ აბაშიძის, სერგი ჭილაიას, გიორგი ნატროშვილის თაობა.

მოდის მრისხანე ორმოცდაერთი და ასპარეზზე კალმით და ხიშტით ჩანან იოსებ ნონეშვილი, მირზა გელოვანი, სევერიან ისიანი, რევაზ მარგიანი, მურმან ლებანიძე, რევაზ ჯაფარიძე...

თავისუფალ მუზას, თავისუფალ აზრს – უნივერსიტეტის წიაღში გაჩენილს ბორკილს ადებენ და 1942 წელს, როგორც იქნა, „ნიღაბს ხდიან“ შეთქმულთა ჯგუფს. ბევრი მათგანი დახვრიტეს. შეთქმულთა შორის ოთხი მწერალია: კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, თურან შანშიაშვილი, გიორგი ქადაგიძე.

გაივლის რამდენიმე წელი და იმპერიის ერთგული გუშაგნი უნივერსიტეტის ძუძუს ამჯერად ახალ „მოღალატეებს“ მოჰგლეჯენ და შორეული ციმბირის გზას გაუყენებენ. მათი სახელებია: ჭაბუა ამირე-

ჯიბი, გივი მაღულარია, ოტია პაჭკორია... როგორც ხედავთ, ისევ მწერლები არიან საუნივერსიტეტო ეროვნული მოძრაობის ავანგარდში.

1947 წლის ოქტომბრის ერთ საღამოს უნივერსიტეტის 90-ე აუდიტორიაში მაშინდელი რექტორის ნიკო კეცხოველის თაოსნობით ახალგაზრდა მწერლები შეიკრიბნენ. წრის ლიბოსთან დადგნენ ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი, ნოდარ ჩხეიძე, რევაზ ინანიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ტარიელ კვანჭილაშვილი და სხვანი.

რაც შეეხება რექტორს, მწერალთა მეგობარს და მეცენატს – სწორედ ნიკო კეცხოველი უნდა იყო, რომ უნივერსიტეტიდან განთესილ (მაშინდელი ტერმინი გახლავთ) რეზო ინანიშვილს უჯარმაში ააკითხო და უნივერსიტეტში დააბრუნო.

სამი წლის შემდეგ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრებმა ალმანახი „პირველი სხივი“ გამოსცეს.

ქართული მწერლობის მთელი რიგი თაობების აღზრდასა და დაოსტატებაში „პირველი სხივის“ წვლილის გაზვიადება არ შეიძლება, ისე თვალსაჩინოა ამ ალმანახის ღვაწლი.

სამოციანი წლების დასაწყისში მოვედი უნივერსიტეტში და სამი ათეული წელია ჩემ თვალწინ მიედინება მისი საინტერესო ლიტერატურული ცხოვრება.

ამ კედლებში მახსოვს მაზარიანი მურმან ლებანიძე, რევაზ ჯაფარიძე, იოსებ ნონეშვილი, აკაკი გეწაძე...

მახსოვს ანა კალანდაძის გრძნეული პოეზიის პირველი ხმები.

მახსოვს უნივერსიტეტის ბაღში შოთა ჩანტლაძე და მის ირგვლივ ემზარ კვიტაიშვილი, ზაურ ბოლქვაძე, გურამ რჩეულიშვილი...

მახსოვს კურიოზებიც. უნივერსიტეტის პოეზიის საღამო ტარდებოდა. როგორც დღეს, მოწვეული იყვნენ გამოჩენილი პოეტები. გალაკტიონმა დაიგვიანა, დარბაზში დაჯდა, სცენაზე ყველა სკამი დაკავებული იყო. ალბათ ამიტომ, სცენაზე არც არავინ უხმო. პოეზიის მეფისთვის ადგილი აღარ დარჩა.

კონსტანტინე გამსახურდიასთან შეხვედრა გადავწყვიტეთ ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრებმა. მივდექ-მოვდექით. მე გახლდით წრის გამგეობის თავმჯდომარე. მოსაწვევი ბარათიც დავბეჭდეთ. სწორედ იმ დროს დაემთხვა კ. გამსახურდიას ცნობილი გამოსვლა ტელევიზიაში ლამაზ ქალებზე თავისი ორიგინალური აზრის გამოხატვით.

რექტორმა დამიბარა და გამომიცხადა: დავანებოთ ამ საქმეს თავი, იტყვის რაღაცას და შარში ჩავვარდებითო.

მახსოვს ერთი პოეზიის საღამოც, სადაც წაკითხული სრულიად უმტკივნეულო, არამეამბოხე ლექსისთვის მისი ავტორი ნამებულის გვირგვინით შეამკეს, ხოლო უნივერსიტეტის ლიტერატურული ცხოვრება განქიქების საგნად იქცა.

პასუხი კითხვაზე: უნივერსიტეტი და თანამედროვე ქართული მწერლობა ორ ასპექტს მოიცავს. პირველი: უნივერსიტეტი როგორც ქართველ მწერალთა სახელოვანი კადრების აღმზრდელი და მეორე: მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩვენი „ალმა მატერ“ ფიგურირებს.

მეორით დავიწყებ: გაიხსენეთ უნივერსიტეტზე დაწერილი უამრავი ლირიკული ლექსი. მოიგონეთ ნოდარ დუმბაძის („მზიანი ღამე“), შოთა ნიშნიანიძის („აქილევსის ქუსლი და ფარი“), რეზო ჭეიშვილის („დალი“), ს. ჭილაიას („მე და ჩემი პროფესორი“), რევაზ ინანიშვილის და სხვათა რომანები და მოთხრობები, რომლებშიც შთამბეჭდავ პასაჟებადაა შესული დედა-უნივერსიტეტი.

თავი რომ არ მოვიტყუოთ, მთელი ორმოცი წლის მანძილზე პარტკომებისა და კომკავშირის კომიტეტების ბატონობის მრუმე წლებში უნივერსიტეტის ახალგაზრდა წრე იყო ლამის ერთადერთი ტრიბუნა, სადაც თავისუფალი აზრი კამათში იწრთობოდა, სადაც სტუდენტები ლიტერატურის სიყვარულს სწავლობდნენ და ორატორულ ხელოვნებასაც ეუფლებოდნენ.

იყო წლები, როცა უნივერსიტეტი ლიტერატურული ცხოვრების ცენტრად იქცეოდა. მაშინ მწერალთა კავშირიდან უნივერსიტეტის კედლებში გადმოინაცვლებდა ხოლმე მჩქეფარე ლიტერატურული ცხოვრება შეხვედრებით, საიუბილეო საღამოებით, ლიტერატურული დისპუტებით...

ამ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ახალბედა უნივერსიტეტელმა ლიტერატორებმაც აუბეს მხარი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. და არა მარტო მხარი აუბეს, სწორედ უნივერსიტეტი გახდა თავისუფლებისთვის მებრძოლთა ბანაკი, სადაც სხვებთან ერთად ახალგაზრდა მწერალ დათო ტურაშვილის სუფთა, მკაფიო ხმაც ისმოდა.

დღეს რამდენიმე უნივერსიტეტელი ახალგაზრდა მწერალი აფხაზეთში და სამაჩაბლოში სამშობლოს მიწას შაშხანით ხელში იცავს.

ასე ვცხოვრობთ ჩვენ. ასე წრიალებს ივანე ჯავახიშვილის ტაძარში თავისუფლების ღვთიური ფიქრი.

1994 წ.

ვერ მოვუწონებთ...

„ლიტერატურულმა საქართველომ“ (ნ. XI. 93 წ.) ხალხური პოეზიის მცირე ანთოლოგიის ბეჭდვით კარგი საქმე დაიწყო. მეცნიერ-ფოლკლორისტთა რჩევით და ხელდასხმით პირველად „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ გამოქვეყნდა.. წავიკითხეთ და გაოცება ვერ დავმალეთ. საყოველთად ცნობილი, გენიალური ლექსების ნაცვლად, ხელთ შეგვრჩა კუდ-

მოკვეცილი, შეკრეჭილ-შერყვნილი ნამცვრევი უკვდავი ბალადისა. სადღა იყო „იარებოდა დედაი“-ს განმაზოგადებელი ჰუმანიზმი და „ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია“-ს ეროვნული გაუტეხლობა. ნაცვლად ამისა ლექსში ვიხილეთ აშკარად სუსტი სტრიქონები („ხელ კი დავღალე ქნევასა“...) და მდარე გემოვნებით დაღდასმული არაფრისმთქმელი ფინალი: „ჩემებრ დაძივნან სწორებმა, იწრონ ყურძენი მთისანი, შაიძლებოდას და ხელან ნაგლეჯნი ყაწიმისანი“. რა „ყურძენზე“ და „ყაწიმზეა“ დაყვანილი „იქნება ვეფხის დედაი“-ს... და „წავიდე მეც იქ მივიდე“-ს განსაცვიფრებელი, ამაღლებული პოეტური ბრწყინვალება?

ბუნებრივია, მკითხველი უკვდავი ლექსის ამ „ვარიანტს“ ვერ გაითავისებდა და რედაქციას „სპეციალისტებმა“ მალე მეორე (ნამდვილი) ვარიანტი შესთავაზეს (26. XI. 93). იგი ზემოთ ხსენებულ, შუაზე გაგლეჯილ „ბალადასთან“ შედარებით ბევრად უკეთესია, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ლექსიც შორს დგას ცნობილი მეცნიერების მიერ ჩაწერილ-გამოცემული (ვ. ვირსალაძე, ვ. კოტეტიშვილი, მ. ჩიქოვანი...), აწ უკვე ჭეშმარიტად ერის საკუთრებად ქცეული „ვეფხისა და მოყმის ბალადისაგან“, რომლის შესახებაც ამდენი თბილი სიტყვა უთქვამთ ქართველ თუ არაქართველ ლიტერატურისმცოდნეებს, ასე გულშიჩამწვდომად რომ კითხულობს უშანგი ჩხეიძე და ფანდურზე ამღერებს ქართველი ხალხი (რომელი ქართველი „ხალხი“ ჩვენ მაგალითად საერთოდ არ ვმღერითო, შეიძლება შემოგვედავოს კრიტიკოსი, მაგრამ ეს ხომ ხუმრობით ნათქვამი იქნება)?

„ბილიკნის“ ნაცვლად „ბილიგნი“-ს „დალახვნას“ რომ თავი გავანებოთ, ლექსი აშკარად შერყვნილია და მისი მხატვრული ღირსებანი ფრიად შელახული. მაგალითად, ტრადიციულში წერია: „შაღვარდის ვეფხის ნაწოლსა დრონ იყვნენ შუღამისანი“, ახალში კი „შუა გზას შამააღამდა, დრონ იყვნეს მუდამისანი“. „შაღვარდის“ სწორედ რომ ისაა, რაც უნდა იყოს; მოყმე შუაღამემდე რომ თავშესაფარს ეძებდა, შუაღამისას ვეფხის ბუნაგში, გამოქვაბულში შევარდა, „შაღვარდა“. „შუა გზას შამააღამდა“ რას ჰქვია? რომელ შუა გზაზეა ლაპარაკი? ანდა „შამააღამდა“ იმას ნიშნავს, რომ ახალშებინდებული თუ არა, საღამო მაინც არის და „შამააღამდას“ რანაირად მოსდევს „დრონ იყვნენ შუღამისანი?“ უფრო დიდი უხერხულობა შემდეგ სტრიქონშია: „გზას ვეფხი შამეეყარა, თვალნი არისხნა ღვთისანი“. გენიალური პოეტი ამბობს: „ვეფხი რომ წამოუფრინდაო“. რაო, „წამოფრენას“ „გზას ვეფხი შამეეყარა“ სჯობს? რომელი ზღაპრის მელაკუდა იყო ვეფხი, ან ფოლკლორის ყივჩაღი („შემომეყარა ყივჩაღი“..), სწორედაც რომ წამოუფრინდა და არა „შამეეყარა“. „ფარსა უფარებს ვერ ფარავს“ ახალ ვარიანტში ასე ჟღერს: „ფარს უფარებს და ვერ ასწრობს“. ნუთუ ფრაზის დიდებული

ალიტერაციულობა მაინც არ დაენანათ? „ტირილით წყლულებს უხვევდა დაჭრილსა ვეფხის კლანჭითა“ ასე „მშვენივრად“ გამოიყურება: „ტირილით წყლულებს უხვევდა ვეფხვის დაჭრილსა კლანჭითა“. ამ ვარიანტის „ორიგინალურობის“ სხვა მხარეებზე აღარ შევჩერდებით; მხოლოდ ერთზე გავამახვილებთ ყურადღებას. ხომ გახსოვთ დედის ამონაკვნესი: „მშვიდობით, ჯვარი გეწეროს, ეგეც სამოთხის კარია, ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია“. ეს ჭეშმარიტი აპოთეოზი და მაჟორული ფინალი უკვდავი ბალადისა „ახალ ვარიანტში“ ასეთ სახეს იღებს: „აქამდი მაინც გაგზარდე ვეფხვებთან მეომარია, მშვიდობით, ჯვარი გეწეროს, ეგიც სამარის კარია“. რას ჰქვია „აქამდი მაინც გაგზარდე“, ე. ი. აქამდე გაგზარდე და აწი ხომ მკვდარ ხარ და ვეღარ გაგზრდიო; ასე პრიმიტიულად, ერთსახოვნად და გულუბრყვილოდ გლოვობს ქართველი ლექსის გენიალური დედა თავის შვილს?

საოცარია ღმერთმანი.

ჩვენ საქართველოს მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის ტექსტის დამდგენი კომისიის წევრები ვფიქრობთ, რომ ხალხური პოეზიის ვარიანტებს მოქალაქეობრივი არსებობის უფლება დიახაც აქვთ, მაგრამ როცა საანთოლოგიოდ მიდგება საქმე, უნდა დაიბეჭდოს არა რომელიმე ვიწრო სპეციალისტის სიჯიუტით ხელდასხმული ნიმუში, არამედ საყოველთაოდ მიღებული დახვეწილი ტექსტი. ლიტერატურის ნიჭით მირონცხებულმა სწავლულებმა უნდა შეაჯერონ უამრავი ვარიანტი და მათგან ჩამოქნან-ჩამოაგვირისტონ ერთი – საანთოლოგიო ჭეშმარიტად პოეტური ნიმუში, რომელიც რომელიმე საეჭვო მეხსიერების მქონე სახალხო მთქმელის მიერ კვლავ არ იქცევა შეცვლა-რევიზიის საგნად. ამგვარი სრულყოფა, „ვეფხის და მოყმის ბალადამ“ კარგა ხანია განიცადა და ნუ გვიწყენენ ჩვენი ფოლკლორისტი კოლეგები, თუ ხალხური პოეზიის ამ მარგალიტის შერყვნა-შეკრეჭვის ახალ „ოპერაციებს“ ვეღარავის მოვუწონებთ.

ჩვენ რატომღა „ჩამოვაგვირისტოთ“ თუ სახალხო მთქმელმა ასე გვიკარნახაო, თავს გაიმართლებენ ჩვენი ოპონენტები და ნაწილობრივ მართალნიც იქნებიან, მაგრამ დაბეჯითებით გავიმეორებთ, რომ უკვდავი ლექსის შუაზე გახლეჩვა-არგახლეჩვის კამათი შეიძლება სპეციალური მეცნიერული პრესის ფურცლებზე გადავიტანოთ, ხოლო ხალხური პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშების შერჩევისას უკეთესი იქნება თუ ლექსის ტრადიციულობას (შენზე ადრე სხვას რომ უკეთესი ვარიანტი ჩაუწერია), პოპულარობას გავუწევთ ანგარიშს და მაღალი გემოვნების კრიტერიუმებითაც ვიხელმძღვანელებთ.

1993 წ.

ამაყი

ამ ბოლო დროს შოთა ნიშნიანიძეს ხშირად მოჰკრავთ თვალს პრესის შენობის წინ, კოსტავას ქუჩაზე.

მოაჯირსმიყრდნობილი უსმენს იგი წინ მდგომს.

მოსაუბრე ქადაგად დავარდნილა, ლაპარაკობს გაუთავებლად თითქოსდა იმის შიში აქვს, ბოროტად არ ისარგებლოს პოეტის დროით და, რაც შეიძლება, მეტის თქმა მოასწროს, რათა მალე გაშორდეს და შვებით ამოისუნთქოს.

რატომ შვებით? მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გეუფლება ამ ხარისთვალება, ნაღვლიანი გამოხედვის კაცის წინაშე, ასე გულისყურით რომ უსმენს და საუბარში თითქმის არ ერევა.

დღიური საზრუნავით დაღლილ-გასავათებულ მოქალაქეთა ლაშქარი მიირწევა ქუჩაზე.

ჩამვლელთაგან ზოგი სიარულის დროს ასფალტს ჩასცქერის და თავის მწარე ფიქრებს მისცემია, სხვას შინაგანი სხივი გაუნათებს სახეს, წელში გაიმართება, შოთასკენ სახემიბრუნებული ჩაივლის, თუ მის მზერას წააწყდა, კმაყოფილი ჩაიღიმებს, თუ არა და, წინ წასული, უსათუოდ მოიხედავს, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და ისევ მოიხედავს.

შიმშილით გულისწასვლამდე მისულმა პატიოსანმა საქართველომ იცის ქუჩაში ცოცხალი კლასიკოსი დგას, თანამედროვე ქართული პოეზიის მხედართმთავარი, ერის სახელი და დიდება.

და სანამ ასეთი სცენა ჯერ კიდევ იმართება, სანამ ერთი მხარეც (პოეტი) არსებობს და მეორე მხარეც (მისი ნიჭის თაყვანისმცემელი), ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი არ დაკარგულა, რომ ერის სინდისი ისევ ფეთქავს.

ერთი შეხედვით ხომ ჩვეულებრივი ამბავია. სამოცდახუთი წლის პოეტი ქუჩაში დგას, მაგრამ როგორ მინდა, ყველას ავუხსნა ამ წუთის მთელი მშვენიერება შოთა ნიშნიანიძის უბრალო დგომასაც კი ქუჩაში სულიერი განწმენდის სასიკეთო ზემოქმედების საოცარი ძალა აქვს.

რატომ?

რა სახიფათო გამოცდები მოუწყო ბოლო ხუთწლეულმა ქართველ კაცს საერთოდ და შემოქმედს განსაკუთრებით.

არ ვიქნები მართალი, რომ ვამტკიცო, ყველამ გაუძლო-მეთქი დროის ცდუნებას.

მავანნი მისმა სინდისმა გაასამართლოს, შოთა ნიშნიანიძემ კი თავი ისე დაიჭირა, როგორც ეპოქის უპირველეს პოეტს ეკადრებოდა.

კონიუნქტურის მტვერი არ გაჰკარებია მის სუფთა მანტიას. იქ იდგა, სადაც უნდა მდგარიყო – ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე, არაერთგზის ყელის გამგლეჯი ხმით და გულის ფიცარზე დაწერილი ლექსით შეუძახა ძმათა ომში ჩათრეულ, მოტყუებულ თანამემამულეთ. ზოგჯერ რომ ვერას გახდა, დაჯდა და ჭირისუფლის მდუღარე ცრემლით დაიტირა, არცთუ შვილთა ღალატის გარეშე, უფსკრულს ჩაშვებული ქვეყანა.

გარეგნულად ყუჩსა და მოკრძალებულს რისხვით აენთება თვალები, როცა ურგები ქვეყნის ქადაგი ღაღადს მოჰყვები: „ეს რა ხალხი ვყოფილვართ, ეს რამდენი ყაჩაღ-ზარმაცი გვყოლია, არ ვყოფილვართ თავისუფლების ღირსი“. ეს აშკარად მცდარი, პროვოკაციული „თვითგვემა“ აღაშფოთებს ჭეშმარიტ პოეტს, ერის ფასისა და ღირსების დიდებულად მცოდნე შოთა ნიშნიანიძეს, რაკიღა მან კარგად იცის, რომ მხოლოდ დამპყრობელი რუსის და მისი მარიონეტების ბრალია ჩვენი ახლანდელი უბედურება.

მოკრძალებული-მეთქი წამომცდა, იქნებ ეს მორიდება და ყაყანს გარიდება, ტაშის დარბაზებზე უარის თქმა ნიღბად აუფარებია მეამბოხე და ხმაურიანი ბუნების დასამალავად? როგორ შეიძლება მშვიდი ნერვებისა იყოს კაცი, რომლის ლექსებშიც ამდენი კვნესა და კივილია ჩვენი ეროვნული სიდუხჭირის გამო? რომლის სტრიქონიც ხან იერიქონის საყვირია და ხან მოქნეული მათრახი, ხან ქართული სულის უტკბილესი საგალობელია და ხან ამორძალთა უნაგირზე დარწეული ქარის ნაღვლიანი სტვენა?

შოთა ნიშნიანიძის „რჩეულის“ ბეჭდვა უქაღალდობის გამო შეჩერებულია, შოთა ნიშნიანიძის ჟურნალი „საუნჯე“ უსახსრობის გამო ვეღარ გამოდის... სპონსორი იგვიანებს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ „სამასი არაგველის“ ავტორი მუხლს არავის წინაშე არ მოიყრის, სათხოვრად არავის მიადგება კარზე. იგი ამაყია, როგორც მისი ერი.

... დგას პოეტი-მეფე, რედაქციის შენობის წინ ქუჩაში, საყელოაწეული გრძელი მოსასხამის ჯიბეში მუშტებჩამალული და სჯერა, რომ თავისუფალი, ლაღი, მკითხველი, ბრძენი საქართველო უსათუოდ მოვა.

1994 წ.

მხოლოდ კეთილი სურვილით

ამ წერილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ ვწერ. თუ ჩემს ნააზრევს სტამბის საღებავი არ ეღირსა, რედაქტორს – მამუკა ფაჩუაშვილს არ დავემდურები. კარგად ვიცნობ. ოფიციოზში დამკვიდრებულ წესს, „საშიშ წერილს“ მას მიურბენინებენ ხოლმე, ვისი ორგანოც არის. მერე ასეთი რამ ხდება: რედაქცია დაპირებებით შეგიყოლიებს და ამასობაში შენზე (ავტორზე) პასკვილს შეთხზავს. ამ „დასწრებით“ ხელ-ფეხსაც გიბორკავს და საზოგადოებრივ აზრსაც გიქმნის – ეს წერილი იმიტომ დაწერა, რომ ამ პასკვილის გამო გაცხარდაო. მერე მოსალოდნელი „რამ“ ის გახლავთ, რომ ძლიერნი დემოკრატობანას გაითამაშებენ, დიდსულო-

ვნად დართავენ გაზეთს წერილის გამოქვეყნების ნებას და მერე „აღშ-ფოთებულთა“ პასუხებს გაუკეთებენ ორგანიზებას – რა უთქვამს, რა მოუჩმახავსო.

... და მაინც, თუ ეს წერილი „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა, ჩავთვლი, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის და ღვთის შეწევნით საქვეყნო წუხილ-წყლულის მკურნალობა ჯერ კიდევ შეიძლება. თუ ჩემი შიში გამართლდა, მე ისე ვერ მოვიქცევი, როგორც ცხენმოპარული რაჭველი მოიქცა (ფეხით წავიდა შინ). შევეცდები სხვა გაზეთიდან და სხვა საშუალებით მივაწოდო ჩემი აზრი ამ წერილის ადრესატსაც და, რასაკვირველია, უპირველესად, მკითხველ საზოგადოებას.

ამ უკანასკნელ ხანს გაზეთებში ორი მასალა გამოვაქვეყნე: ინტერვიუ („ახალი ივერია“, 13 ივნისს) და ნოველა „დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“ („ცხოვრება“, 19 ივნისი). ამის შემდეგ ჩემს ბინაში ტელეფონების ზარი არ შეწყვეტილა. ცოდვას ვერ დავიდებ, ამჯერად შეგინებით არავის შეუგინებია. არც უკმაყოფილება გამოუთქვამს უცნობ თუ ნაცნობ დამრეკავს. უმეტესობა მოწონებით შეხვდა ჩემს ბოლოდროინდელ პუბლიკაციებს, მაგრამ ერთმა ნაწილმა პირდაპირ გამომიცხადა: ძლივს, როგორც იქნა, დაემსგავსე შენს თავს და ამით ძალიან გაგვახარე, მაგრამ თუ ძმა ხარ, გაგვიმხილე, რამ გამოიწვია შენი სასიკეთო მეტამორფოზაო.

სწორედ გაკვირვებულთა საპასუხოდ ვწერ ამ წერილს და მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, რომ რევაზ მიშველაძე „პოზიციებს“ ასე იოლად არ იცვლის და რასაც მავანნი „სასიკეთო მეტამორფოზას“ ეძახიან, ჩემი ტრადიციული გზის გაგრძელებაა – სხვა არაფერი.

ბოდიშის მოხდით, შესავალში ორიოდე სიტყვით ჩემს თავზე და ახალი ხელისუფლებისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე უნდა მოგახსენოთ.

რასაც მე კომუნისტურ წყობილებაზე ვფიქრობდი, ჩემი ნოველების ექვს ტომშია თავმოყრილი და თუ კეთილმოსურნე მკითხველი ერთ კონიუნქტურულ ნოველას, საბჭოთა სისტემის თუნდაც ერთ ხოტბა-ქებას აღმოაჩენს და დამიდებს წინ, უარს ვიტყვი მთელს ჩემს შემოქმედებაზე. ფიცში ვერ ჩავიყოლებ სტალინზე დაწერილ ნოველას, რომელიც სტალინის მოთხრობის ისტერიულ კომპანიას დავუპირისპირე და, რომელშიც სტალინის იდეალიზება სრულიადაც არ გახლავთ მოცემული.

ჩემი მრწამსის გამო, ბუნებრივია, ძმური სიყვარულით მიყვარდა ჩემი თანაკურსელი არა მარტო კონსტანტინე გამსახურდიას შვილობისთვის, ან იმიტომ, რომ ერთად დავდიოდით შეხვედრებზე, როგორც ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრნი, არამედ იმის გამოც, რომ წაკითხული მქონდა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული „სარეველა“ და ბევრი რამ ვიცოდი მე-20 საუკუნის კლასიკოსის „ურჩ“ შვილზე საქართველოს განთავისუფლების იდეა იმთავითვე რომ გულის ფიცარზე ჰქონდა ამოტვიფრული. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩვენი გზები ისე არასოდეს გაყრილა, რომ მე ხშირად აღტაცებული არ ვყოფილიყავი ზვიად გამსახურდიას და

მერაბ კოსტავას ბრძოლით და შესაფერის გარემოებაში მათთვის მხარი არ დამეჭირა.

ჩვენს თავს უნდა გავუტყდეთ და უნდა ვთქვათ, რომ გამსახურდია-კოსტავას დუეტი ათეული წლების განმავლობაში ქართული სულის დაუმორჩილებლობის სიმბოლო იყო და თაობებს ვაჟკაცობის მაგალითს აძლევდა. რა დასამალია, მაშინ, როცა ჩვენ ალეგორიებით, ნართაულად, „კოკავ შენ გეუბნებიანობის“ ნახევარგაბედულებით ვიბრძოდით, ზვიადი, მერაბი და რამდენიმე სხვა რაინდი იმპერიას ყუმბარებს ესროდა და თავდაუზოგავად, თავგანწირულად ეკვეთებოდა ჩვენი დამონების მოსურნეთ. მრგვალ მაგიდას ერთმა-ორმა მწერალმა რევოლუციის წინადღით, სკამის დაკარგვის შიშით მიაკითხა, მაგრამ ხმამაღლა იმის გაცხადებისა რცხვენია, რომ ციხეში ჯდომას თავის დროზე მყუდრო კაბინეტში ჯდომა არჩია და ზვიადს რომ მწერალთა კავშირიდან რიცხავდნენ, მის დასაცავად დიდად არ გამოუდვია თავი.

ახლა „მე-მეს“ თქმა რამდენჯერმე მომიწევს და მკითხველს ვთხოვ, არ გამიბრაზდეს, წერილს ბოლომდე თუ ჩაიკითხავს, უსათუოდ მიხვდება, რაში დამჭირდა ჩემი „თანაგრძნობების“ ჩამოთვლა.

1978 წელს ზვიადი რომ დააპატიმრეს, მე მისი სახლისაკენ გავეშურე. ეს იყო დაპატიმრების მესამე დღეს. მისი თანამეცხედრე დამიდასტურებს, რომ არ მოვერიდე გამსახურდიების მოვიზიტეთა მეთვალყურე უშიშროების აგენტებს და ჩემი აღშფოთება გამოვუცხადე მომხდარი ფაქტის გამო, დავაიმედე, არ შეგეშინდეთ, სიმართლე ზვიადის მხარეზეა, თქვენი ქმარი გმირია-მეთქი. სხვათა შორის, მაშინ ქალბატონმა მანანამ მითხრა, თქვენ ერთადერთი მწერალი ხართ, ვინც გამოჩნდაო. გავშორდი თუ არა ჭიშკარს, ჩემი ვინაობით ღრმად დაინტერესებულ უშიშროების ოფიცრებს „შევეფეთე“. კარგა ხანს კბილების ღრჭიალით მეკითხებოდნენ ჩემი მოსვლის მიზანზე და არაორაზროვნად დამემუქრნენ კიდეც.

მალე ამის შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიასთან „უკანასკნელი დიალოგი“ გამოვაქვეყნე და ამჯერად ხელისუფლების რისხვა დავიმსახურე. ბიუროს სხდომაზე განაცხადა, მიშველაძე უნდა შევისწავლოთ, რა აკავშირებდა ზვიადთანო.

1989 წლის ცხრა აპრილს ზვიადი და სხვები რომ დააპატიმრეს, მეორე დღესვე უნივერსიტეტის რექტორატის წინ ქ-ნ მანანას და რამდენიმე სტუდენტის თანდასწრებით ვუკარნახე საპროტესტო წერილი, რომელსაც შემდეგ ოცი ათასმა კაცმა მოაწერა ხელი. გარდა ამისა, შევადგინე შუამდგომლობის ბარათი გ. გუმბარიძის სახელზე უსამართლოდ დაპატიმრებულთა გათავისუფლების თაობაზე. ჩამოვუარე აკადემიკოსებს და პროფესორებს. ეს გმირობა არ გახლავთ, მაგრამ იმ დღეებში იოლი საქმე როდი იყო. ვინც ხელისმოწერაზე უარს მეტყოდა, ამას როდი სჯერდებოდა, გავიდოდი თუ არა, რეკავდა სადაც ჯერ არს, მიშველაძე ასეთი წერილით დადისო.

როგორც იქნა, ცხრამეტი ხელმოწერა მოვაგროვე და არჩილ გოგელიას („თბილისის“ რედაქტორი იყო) მივუტანე გამოსაქვეყნებლად. გუმბარიძემ თუ იცისო, მკითხა, როგორ არა, თვით მასაც უნდა პატიმართა გათავისუფლება და ამ შუამდგომლობის გამოქვეყნებას ელოდება-მეთქი, ვიცრუე. არჩილმა სახეზე შემატყო, რომ სიმართლეს არ ვეუბნებოდი, კაბინეტის კარი ჩაკეტა და გადამეხვია: „მე ვიცი რაზე მივდივართ, მაგრამ ჩვენ ჩვენი ამხანაგური ვალი უნდა მოვიხადოთ. ნომერში ვდებ, თუნდაც ხვალვე გამაგდონო“.

მეორე დღესვე „თბილისში“ დაბეჭდილ ქართველ სწავლულთა სახელოვანი რაზმის შუამდგომლობას გუმბარიძისა და, როგორც მერე გაირკვა, მოსკოვის გააფთრება მოჰყვა, მაგრამ გვიან იყო.

აღარ ჩამოვთვლი, რა გავაკეთეთ მე ან ჩვენმა ეროვნულმა საზოგადოება „თვისტომმა“ განცხადება რეზოლუციებით თუ პრაქტიკული საქმიანობით არჩევნებში რომ ეროვნულ ძალებს გაემარჯვა, კომუნისტური ტირანია დამხობილიყო. აღარც იმით შეგაწყენთ თავს, რომ ამაზრზენი ინფორმაციული ბლოკადის პირობებში მოსკოვისკენ გავუძეხი მწერალთა ჯგუფს და ოთხი მასშტაბური შეხვედრითა და პრესკონფერენციებით რუსული ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება ჩვენს სასარგებლოდ შემოვაბრუნე. არც იმაზე დავძრავ კრინტს, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის არჩევის წინა დღეებში არაორაზროვნად გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას კანდიდატურისადმი და პირველი მივესალმე მის დამსახურებულ გამარჯვებას.

ამას მე ჩავდიოდი არა რომელიმე პიროვნების რენომეს დასაცავად, არამედ იმის გამო, რომ საქართველოს გათავისუფლება ჩემი ცხოვრების მიზანი გახლავთ და ვინც ამ საქმეში წილს დაიდებს, ჩემი ძმა და მეგობარია.

ასე რომ, ნურვინ გაიხარებს ჩემი „სასიკეთო მეტამორფოზით“. მე შეხედულება არ შემიცვლია და კვლავ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეროვნული პარლამენტის გვერდით ვდგავარ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ზვიად გამსახურდიას პანეგირიკოსთა გრძელ მწკრივში ვიდგე და ავს ავი არ ვუწოდო.

რაღა ახლა გაილესე ენა ნაკლზეო, თუ შემეკითხებიან, ვუპასუხებ, რომ ჯერ კიდევ 1990 წლის 15 დეკემბერს, ორიოდე კვირის არჩეული იყო ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, როცა გაზეთ „კაბადონის“ კორესპონდენტთან საუბარში განვაცხადე – არ მომეწონა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის უალტერნატივოდ, ფაციფუცით არჩევა, არც ის მომწონს, რომ უზენაესი საბჭო სხვა პარტიებთან უთანხმოების გაღრმავების გზას ადგას, ეროვნულ ფორმირებებს სდევნის და უზენაესი საბჭოს ზოგი წევრი ძველ ხელმძღვანელობასთან ანგარიშის გასწორებისაკენ რომ მოგვიწოდებს-მეთქი.

ასე რომ, ჩემი პოზიცია არ შემიცვლია. მე რომელიმე პრეზიდენტს და მის ყურმოჭრილ დამქაშებს კი არა, სრულიად საქართველოს და

მისი თავისუფლების საქმეს ვემსახურები. რაც მომწონს, დაუფარავად ვაცხადებ, რაც არ მომწონს, განგაშს ვტეხ – ხაზი გამრუდდა და გავასწოროთ-მეთქი.

იქნებ დუმილი სჯობდა ზვიად გამსახურდიას და საერთოდ ახალი ხელისუფლების საქმიანობაში ზოგი ჩემ მიერ შემჩნეული ხარვეზის გამო, მაგრამ მე დუმილი ვერ შევძელი, თუ მიხვდებიან, რომ ეს „მხილება“ საქმის სასიკეთოდ და მათდამი კეთილგანწყობილებით არის ნაკარნახევი, ხომ კარგი, თუ არა და, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. შეუმცდარი არავინ არის და ჩემი სურვილი კი შეუცვლელია: მინდა საერთო ძალისხმევით ზვიად გამსახურდია საქართველოს ბრძენ პრეზიდენტად ვაქციოთ, საამისო მონაცემები მას უსათუოდ აქვს, ხოლო მცირე შეცდომებს მხოლოდ იმ შეცდომებზე მითითებით გაისწორებს და არა უნაპირო ხოტბა-დიდებით. ან მკლავების დაწყვეტამდე ტაშის ცემით „ზვიად“, „ზვიადის“!! ყვირილით – კლაკიორთაგან.

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს, მაგრამ მე არც შიშით მიცახცახებს მუხლები და არც გაქცევას ვაპირებ, ვერც პრეზიდენტის წარბის შეკვრა შემიცვლის ნირს, თუნდაც სჯეროდეს მას, რომ ეს უწყინარი შენიშვნები უფრო საზიანოა მისთვის, ვიდრე თვალდახუჭული გალობა მისი უდიდესობის შესახებ იმისაგან, ვინც აგერ, ა, ცხრა აპრილს ზვიადის დაპატიმრების დღესვე კონსტანტინეს არქივის გადარჩენის თხოვნით მოსულს განუცხადა – მაგ თემაზე ლაპარაკი არ მაიტერესებს და საერთოდ, ზვიადის ბრალია იმ საცოდავი ქალების დახოცვაო.

მაშ ასე, ამ წერილში ვილაპარაკებ მხოლოდ ხუთ საკითხზე. იმ შეცდომებზე, რომლებსაც ჩვენი ახალი ხელისუფლება, ჩემი ფიქრით, დღითი-დღე აღრმავებს და რომელთა დროული აღმოფხვრა აუცილებელია დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს აშენებისათვის. აქვე განვაცხადებ, რომ შეცდომათა ერთი წყება ჩვენი ახალი პარლამენტის კოლექტიური დამსახურებაა, მეორე კი უშუალოდ პრეზიედნტისაგან მოდის: 1. ხელშეწყობა კონფრონტაციის გაღრმავებისთვის. 2. დიქტატურის სიმპტომები. 3. განდიდების სიყვითლენი. 4. სუსტი საკადრო პოლიტიკა. 5. ეკონომიკურ-პოლიტიკურ საკითხებში გაურკვევლობა.

1. ხელშეწყობა კონფრონტაციის გაღრმავებისთვის.

ის, რაც შეეფერებოდა ოპოზიციური პარტიის სპიკერს – ზვიად გამსახურდიას, პრეზიდენტ – ზვიად გამსახურდიას უკვე აღარ შეეფერება. კერძოდ, თუ ხელისუფლებისკენ სვლის პერიოდში საჭირო იყო ხელჩართული ბრძოლა საკუთარი შეხედულებების დასაცავად, დღეს უკვე სხვა პოზიციაში ხარ და მეტი დაფიქრება გმართებს.

არ შეიძლება ცინიკურად უარჰყო ოპოზიცია. არ შეიძლება გამარჯვებულის იქედნური ღიმილით და უძლეველის პოზით ლაპარაკობდე – მე ოპოზიცია არა მყავს, ხელმოცარულ პირთა ჯგუფი მიპირისპირდებაო.

არავითარი პატივისცემა ოპოზიციის მიმართ, კრემლის აგენტებად მათი გამოცხადება და უარყოფა მათთან მოთათბირების, შეხვედრის, შეხედულებათა გაზიარების სურვილებისა. მერედა სადამდე მიგვიყვანს ეს? ხომ არ შეიძლება ყველგან მტრები გველანდებოდეს და დღეს, როცა თვისებრივად სხვა, უკვე პრეზიდენტიანი საქართველოს სინამდვილეა ჩვენ წინაშე, შენ კვლავ ძველებურად, კაპასით საუბრობ ოპოზიციაზე?

ბოლოს და ბოლოს ვინ არიან ისინი? ციდან ჩამოფრინდნენ, ან მართლა იმპერიამ გაწვრთნა და შემოგვიგზავნა? არა და არა! ისევ ჩვენი ძმანი და თვისტომნი, ზვიადთან და მერაბთან ერთად ნაბრძოლ-ნატანჯი დისიდენტები, ყოფილი პოლიტიკური პატიმრები და საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლნი გახლავან. რაშია საქმე, რატომ ამოიღო ასე ძალუმად ახალმა ხელისუფლებამ ისინი გულიდან?

ტელევიზიაში უკანასკნელი სამი წლის ჩვენი ეროვნული მოძრაობის კადრები ვერ უჩვენებიათ. ჭრიან, აწებებენ, ამონტაჟებენ და არიან ერთ გასაჭირში, მაგრამ მაინც ვერაფერს ხდებიან, რადგანაც ყოველი დიდი პოლიტიკური აქციის ჩატარების დროს, მიტინგზე თუ შიმშილობებზე, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გვერდით მოჩანან, აწ უკვე „კრემლის აგენტები“ და „ხალხის მტრები“ ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი და სხვანი და სხვანი.

რატომ ჩაიძინა კონგრესთან ერთად საერთო კომისიების შექმნის იდეამ? რა ჩინ-ტემლაკები დაეკარგებოდა უზენაეს საბჭოს კონგრესთან დემოკრატიულ საწყისებზე რომ ეთანამშრომლა?

გინახავთ ვინმეს ამ ბოლო დროს ტელევიზიის ან რადიოს მიკროფონებთან ე. წ. ოპოზიციონერები? რაო, რაკი მათ ეკრანს არ ვუთმობთ, ესე იგი ისინი არ არსებობენ? ეს ხომ პრობლემების მიფუჩეჩების ბოლშევიკური მეთოდია.

თუ ზვიად გამსახურდია გამოვა ტელევიზიით (ბრეჟნევის ეპოქაში) და იტყვის: როგორ ვცდებოდი რომ საბჭოთა წყობილებას ვებრძოდი, კომუნისტური სისტემა ხომ ყველაზე ჰუმანური სისტემაა, ეს თურმე სტრატეგიული სვლა გახლავთ, ხოლო თუ პატიმრები – გიორგი ჭანტურია ან თამარ ჩხეიძე დაწერენ, გთხოვთ გვამუშაოთ სამეურნეო ნაწილშიო, ეს უკვე სუკთან კომპრომისის დადებას და მის აგენტად ქცევას ნიშნავს.

ვინმემ ისე არ გამიგოს, თითქოს მე ზოგიერთი ოპოზიციონერის ბრძოლის მეთოდებს არ ვიცნობდე. ბევრმა ლანძღვა-გინების დოღში ზვიად გამსახურდია კარგა ხანია უკან ჩამოიტოვა, მაგრამ მე მინდა ახლა, როცა ჩვენი პრეზიდენტი გამარჯვებულ-გამართულია, სწორედ მისგან მოდიოდეს შერიგებისა და კეთილმოსურნეობის წინადადებანი, პრეზიდენტი აძლევდეს ყველას დიდსულოვნებისა და მიმტევებლობის მაგალითს.

სამწუხაროდ, ასე არ არის.

2. დიქტატურის სიმპტომები.

ტელევიზიის თანამშრომლები პროტესტს გამოთქვამენ რომელიმე პირის ამა თუ იმ თანამდებობისთვის შეუფერებლობის გამო? ვინ ჰკითხავს ტელევიზიის თანამშრომლებს. შეიძლება მათთან ჯერ თემურ ქორიძე მიაგზავნო ჭკუაზე მოსაყვანად, მერე შენ თვითონ მოხვიდე რჩევის მისაცემად! თუ მაინც არ შეისმინეს, „სტრატეგიას“ უნდა მიმართო: შენი კანდიდატურა ცოტა ხანს არალეგალურ საქმიანობაზე გადაიყვანო, ხანდაზმულობის მომიზეზებით ტელევიზიიდან 160 გამოცდილი, ღვაწლმოსილი თანამშრომელი გააძევო და ასე დაამყარო წესრიგი ურჩ ტელევიზიაში. გაუსაუბრებლად დაითხოვო მისი აწ ყოფილი ხელმძღვანელი, პროფესიული ჟურნალისტი, რომელმაც თავისი მესვეურებისაგან ჯოხის ცემის ფასად ცოტა როდი იღვაწა, რომ შენთვის ეკრანი სწორედ მაშინ დაეთმო, როცა ასე გჭირდებოდა, ხალხს შენი ნაფიქრ-ნააზრევი სცოდნოდა.

ჭეშმარიტად, დემოკრატიულ სახელმწიფოში არ შეიძლება დარბაზიდან გააძევო რადიოსადგურ „თავისუფლების“ კორესპონდენტები. აქაოდა, მე პრესკონფერენციაზე, ვინც გამეხარდება, იმას დავასწრებო. პირიქით, დარბაზში რომ არ იყვნენ, უნდა მოიწვიო და შენი საუბრით დაარწმუნო, რომ ცდებიან ზოგჯერ და დეზინფორმაციას ავრცელებენ. განა გაძევება სწორი გზაა „თავისუფლებასთან“ ურთიერთობის გასარკვევად?

განა დასაშვებია ორი დღის განმავლობაში „იზვესტია“ არ დაიბეჭდოს და ის დიქტატორული აკრძალვა სტამბის მუშათა პროტესტით ახსნა? საქართველოში ათასობით კაცს გამოწერილი აქვს „იზვესტია“. მათ უკვე გაზეთის საფასური გადახდილი აქვთ და რა იურიდიული უფლება გაქვს გაზეთს რომ არ აწოდებ? ხომ შეიძლება სამართალში გიჩივლონ ამისათვის? პირიქით, საჭირო იყო გაზეთი დაბეჭდილიყო და დროზე მიწოდებოდა მკითხველს, მერე კი გამოსულიყო ობიექტური ჟურნალისტი (როგორც ეს შესანიშნავად გააკეთა მწერალმა ლევან ხაინდრავამ) და პასუხი გაეცა კრემლის ინსინუაციისთვის. აკრძალვა, ინფორმაციის არმიწოდება, ხელის დაფარება, ეს ხომ ის გზაა სულს რომ უხუთავდა თვით ეროვნული მოძრაობის გმირებს – გამსახურდია-კოსტავას და რომლის წინააღმდეგაც აღსდგა სრულიად საქართველო? სხვათა შორის, კომუნისტები უფრო „დახვეწილი“ მეთოდებით იმოქმედებდნენ „თავისუფლების“ კორესპონდენტების წინააღმდეგ. ისინი, ან საერთოდ არ შეუშვებდნენ „თავისუფლების“ კორესპონდენტებს პრესკონფერენციაზე და თუ შეუშვებდნენ, ყურში არ წაავლებდნენ ხელს და საშვს თავზე არ გადაახევდნენ.

უზენაესი საბჭოს შენობასთან, ბარიერს იქით, დიდი რიგია. აქ არიან შვილმოკლულთა დედები, წლების განმავლობაში რომ სამართალს ეძებდნენ და ვერ ჰპოვეს, აქ არიან მოტყუებული აბიტურიენტები, ერთი ნაწილი სამედიცინო ფასიან სწავლებაზე რომ ჩარიცხეს და მეორე ნაწილს

(იგივე მონაცემების მქონეს) რომ უარი უთხრეს, მერხები და აუდიტორიები არ გვყოფნისო (!), რა იმედებით შესცქეროდნენ ისინი კომუნისტური წყობის დამხობასა და ახალი ხელისუფლების მოსვლას, რა ექსტაზით უკრავდნენ ტაშს მიტინგებზე ქადაგად დავარდნილ დისიდენტებს. ზოგი მათგანი შიმშილობდა კიდეც მთავრობის სასახლის წინ ცივ კიბეებზე ნოემბრისა და აპრილის გრძელ ღამეებში. შედეგი? რა მოიპოვეს? მათ უბოდიშოდ ერეკებიან უზენაესი საბჭოს მცველები: „გამსახურდიას თქვენთვის არა სცალია, ათასი საქმე აქვს!“ ქორიძემ შემოგითვალათ, ეგეები ჩვენ არ გვეხება, ადგილებზე მიაკითხეთო“. შეცბუნებული მომჩივანნი „ნაცად გზას ადგებიან“, რუსთაველზე სხდებიან, განათლების სამინისტროს კიბეებს იკავებენ. ნურას უკაცრავად; ახალი ხელისუფალნი გუმბარიძე-ჭითანავას მთავრობაზე უფრო ჭკვიანები არიან. მათ არც ზედმეტი გულჩვილობა უკრავს ხელ-ფეხს. წამუყო „ახალმა“ და რუსთაველზე ასფალტიდან უწა-უწა აჰყარეს შაოსანნი, პანღურით გაუმასპინძლდნენ შვილმოკლულ დედებს, ყური აახიეს თავხედ აბიტურიენტებს და თექვსმეტი მათგანი სასამართლოში მისცეს. მერედა რისთვის, მამავ და შვილო? თანაგრძნობისა და ერთგულებისათვის?

იქნებ ჩვენ აღარა ვართ საჭირო? რაკი საარჩევნო მარათონში გაიმარჯვეთ ისევ ჩვენი (ხალხის) თანადგომით, იქნებ იფიქროთ იმაზე, რომ სწორედ ჩვენი (ხალხის) არჩეული ხელისუფლება ხართ და ჩვენვე უნდა ჩაგვაბაროთ ანგარიში როცა იქნება? იქნებ იფიქროთ იმაზეც, რომ ყოველი დათრგუნვილი მოქალაქის და აბუჩად აგდებული აბიტურიენტის უკან თქვენი ხვალინდელი განმკითხველი თუ არა, ხვალინდელი ამომრჩეველი მაინც დგას?

3. განდიდების სიყვითლენი.

„ქარიშხალას“ სტადიონზე ეგზალტირებულმა ბრბომ ხელში რომ აიყვანა და მარჯვენამუშტშემართული შემოატარა სტადიონს, პირველად მაშინ შეიშმუშნა ზვიად გამსახურდიას არაერთი კეთილისმსურველი, მაგრამ ხმა არ გაუღია. მერე რა ვუყოთ, ხალხმა სიყვარული გამოხატა. შეიძლება ცოტა ახირებულად და რუსთაველის ქვეყნისათვის შეუფერებლად, მაგრამ გულწრფელად და უშუალოდ...

გამოხდა ხანი და ჯერ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, მერე პრეზიდენტის სიამაყისაგან გაბადრულ სახეს ტელევიზიის ეკრანიდან უსამანო ვაშა-ურა არ შორდება.

არც ერთხელ მორცხვად განზე გახედვა, არც ერთხელ ნიშნის მიცემა, საკმარისია, ახლა საქმეზე გადავიდეთო. პირიქით, მოწონების ღიმილი: რა კარგია, რომ თქვენ, პაპუასები, ტაშს მიკრავთ თქვენს ბელადსო. ასე უნდა ყოფილიყო, აბა რა. გასკდნენ გულზე ახლა ჩემი მტერ-მოშურნენი. დაინახონ, რას ჰქვია ხალხის სიყვარული და პოპულარობა!

იმავე დღეს, გვიან საღამოს, ჩართავ ტელევიზორს და ხედავ, როგორ მოაბიჯებს აფრიკის განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, მართლაც ლეგენდარული (კაცი, რომელმაც ოცდაორი წელი ციხეში გაატარა) ნელსონ მანდელა. მას თანაგრძნობის ღიმილი მოაცილებს. სადღაა აღრიალებული სტადიონი და ტაშით ხელდამსკდარი ხალხი, ან მონური ფერხთით დაცემა. მოჰყვებიან გვერდით, ესაუბრებიან, მხარზე ხელს უთათუნებენ.

უნდა იცოდეს ბატონმა პრეზიდენტმა, რომ საქართველოს მიერ დაკრულ ტაშს დიდი გაფრთხილება სჭირდება. ჯერჯერობით ის ტაში მხოლოდ დაპირებისთვის დაკრული ტაშია და როცა დაპირებათა განაღდების საკითხი დადგება, თუ ხალხს იმედი გაუცრუვდა, იგი კიდევ ერთხელ დასცხებს ტაშს, მაგრამ ეს უკვე გაყვარყვარების ტაში იქნება. ღმერთმა ნუ გააგონოს ჩვენს ყურებს ზვიად გამსახურდიას მისამართით ამგვარი ტაში, რადგანაც მაშინ ის ტაში ჩვენი იმედების გაქარწყლების ნიშანიც იქნება.

„შენ უნდა თქვა მამა მყავდაო და მამაშენმა უნდა თქვას, შვილი გავზარდეო“, შეზლუქუნებდა ამას წინათ საქართველოს ცას მუხრან მაჭავარიანი და მე უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა. მეგონა, მწყრალად გადახედავს-მეთქი პრეზიდენტი და აგრძნობინებს ქების საღერღერაშლილ კაცს – რა შუაში ვარ მე, შე კაი კაცო, ვის მემორიალურ დაფასაც ვკიდებთ, იმაზე ილაპარაკე! თქვენც არ მომიკვდეთ, მსგავსი არაფერი მომხდარა.

სავალალო ის გახლავთ, რომ პრეზიდენტის განდიდება ხშირად ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის დამცირებისა და შეურაცხყოფის ხარჯზე ხდება. ხელმოცარულს ეძახიან „დათა თუთაშხიას“ ავტორს, გაულანძღავი არ დარჩენილან ჩვენი სახელოვანი მწერლები და ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწენი. ამას წინათ, ერთ წერილში, ოცზე მეტი ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის გვარი იყო მოხსენიებული. დანაშაული? თურმე მანქანები შეუძენიათ ცოტა იმაზე უფრო შემოკლებულ ვადებში, ვიდრე ეს კომუნისტური ტირანიის გრაფიკით იყო გათვალისწინებული. რა ხდება? ინტელიგენციის წინააღმდეგ გალაშქრების ახალ ფორმას მივაგენით? თქვე ოჯახაშენებულებო, მსახიობმა, მწერალმა და ჟურნალისტმა თავისი ტიტანური, დაუფასებელი შრომის გადამკიდემ, თავისი დანაზოგით ავტომანქანა რომ შეიძინა, ეს გაგიკვირდათ? და ეს გაგიკვირდათ იმ ფონზე, რომელზეც ახალმოვლენილი კომბინატორები და მაუზერისტი ექსპროპრიატორები სიმდიდრის დაგროვების სასწაულებს ახდენენ დღისით, მზისით განუკითხავად და დაუსჯელად?

რეზო ჩხეიძე ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ ხაზს არ ეთანხმება? თავისუფლად შეიძლება დავაბრალოთ მას არა მარტო უნიჭო რეჟისორობა და სუსტი დირექტორობა, შეთქმულებაში მონაწილეობაც კი.

ნოდარ ნათაძემ და ვალერიან ადვაძემ პრეზიდენტობა გაივლეს გულში? ჰკა მაგას! ერთი მათგანი კრემლის პირწავარდნილი აგენტია, მეორე კი საინგილოს ანგარებიანი შეფი – რომელიც სწავლის მსურველ ინგილოთაგან ქრთამს იღებდა უმაღლეს სასწავლებლებში მათ მოსაწყობად.

მართალია, არც ნ. ნათაძეს და ა. ადვაძეს დაუკლიათ ხელი ზვიად გამსახურდიასთვის, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, მისთვის კრიმინალურ დანაშაულში მონაწილეობა არ დაუბრალებიათ და ერთი უნდა ვიკითხო: საარჩევნო დემოკრატიულ მარულაზე ბრძოლის ყველა საშუალება დასაშვებია? არ არსებობს მორალური ზღვარი კონკურენტის გათათხვის წრეში, რომლის იქითაც გადაბიჯება დაუშვებელია?

თუ ატყობთ, უკანასკნელ თვეებში ლამის გაქრა ჩვენი ოფიციალური თუ არაოფიციალური პრესის ფურცლებიდან თანამედროვე საუკეთესო პოეტების შემოქმედება და ყველა გაზეთი თავს მოვალედ თვლის წამდაუწუმ აქვეყნოს ზღვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლექსები. რა ხდება? უარი ვთქვით ლიტერატურულ პროფესიონალიზმზე, თუ წლების განმავლობაში ჩრდილში დგომის შედეგად შეძენილი, ძალად დამუხრუჭებული დიდების ნოსტალგიაა? რაო, რაკი პრეზიდენტი მე ვარ, ბარემ გალაკტიონ ტაბიძეც მე ვიქნებიო?

მე, რასაკვირველია, პოლიტიკაში სუსტად ვერკვევი, მაგრამ ლიტერატორი გახლავართ, თანაც ლიტერატორობა კი არ დამიბრალებია საკუთარი თავისთვის, ეს ჩემი მოწოდება გახლავთ და უნდა გაუწყოთ, რომ ჩემი ძვირფასი ორი მეგობრის პოეზია ჯერჯერობით საშუალო ხარისხის პოეზია გახლავთ და შოთა ნიშნიანიძის ლექსით განებივრებულ საქართველოს ნუ მოაწყენენ მაამებელი რედაქტორები, თავს ნუ შეაძულებენ ჭეშმარიტ, მაღალ პოეზიას პოეტ-პოლიტიკოსთა საეჭვო ღირებულების ლექსების წამდაუწუმ კითხვა-ბეჭდვით.

ალბათ, ზოგი ოფიციალური პირის მწერლებზე გაბუტვის და მათი შრომის (მწერლებს რომ ცილს სწამებენ, მხარში არ გვიდგანანო) აბუჩად აგდების მიზეზით არ იქნება გამოწვეული ის გაუგონარი, სავალალო ფაქტი, რომ ერთი წელია მწერალთა კავშირი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს და იგი ერთი კაცის – მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კანტორად იქცა.

ხალხის მთავრობა, ეროვნული ხელისუფლება მოვიდა, ამაზე კარგი რა უნდა იყოს, მაგრამ ერთი ვნახოთ, ვინ შესახლდა წყნეთის მთავრობის აგარაკებში? ახალწამოჩიტული „ხაზეინები“, გააზნაურებული მდაბიონი. გარიეს „დამსვენებლებში“ ერთი უბრალო, უთანამდებო კაცი? დაუდეს საზაფხულო თავშესაფარში ადგილი, თუნდაც ერთ მრავალშვილიან ოჯახს, ან მცირეწლოვანი ბავშვების პატრონ მოქალაქეს?

ნეკრასოვთან რა მიმარბენინებდა, მაგრამ ხომ არა ჰგავს ეს ყველაფერი ახალი ბატონის მოსვლის ეპიზოდს, ბატონისა, საჩივარი რომ გულგრილად მოისმინა, მერე უხმოდ ჩაჯდა ეტლში და „პიტერს“ გაეშურა?

რა თავპირლეწვობანა და ღაწვხოკობანა ამტყდარა ამას წინათ ქუთაისში, რომ იცოდეთ, პრეზიდენტის „მერსედესს“ ხმაურმხშობი რომ გაუფუჭდა. რა თვალების ბრიალით დაეძბდნენ „მტრის ხელს“ უცხოური მანქანის ძარაში.

არ ვარგა ასე, სირცხვილია, მეგობრებო. თუ ვერ შევისმენთ, მაშ რიღასთვის დაწერეს მწერლებმა „სამანიშვილის დედინაცვალი“, „რევიზორი“, ან „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“?

4. სუსტი საკადრო პოლიტიკა.

ხელმძღვანელ კადრთა დინება ლამის ორ პერიოდად – პრეზიდენტამდელად და პრეზიდენტობისშემდეგდროინდელად დაიყოს.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სამ-ოთხ თვეში მინისტრების ცვლა. სამი-ოთხი თვე მუშაობის ავ-კარგის გამოვლინებისათვის კი არა, უწყების სპეციფიკის გაცნობისთვისაც არაა საკმარისი. მით უმეტეს, ისეთ პირობებში, როცა პროფესიულ მომზადებას, დიპლომს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა და ურთულეს უბანზე ინიშნება კაცი მხოლოდ პრეზიდენტისადმი ერთგულებით, ან ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის სტაჟით (ამ ბოლო დროს ბიოგრაფიის ყველაზე მომგებიანი შტრიხია „ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობს 1990 წლიდან“).

არ ვარგა დამსმენთა საეჭვო მაქინაციებით ოტელოს კომპლექსმა დაგრიოს ხელი და ბოლომდე დაუსაბუთებელი ბრალდებებით, ერთი ხელის დაკვრით მოიშორო გვერდიდან ისინი, ვინც წლების განმავლობაში მკერდით გიცავდა და ერთგულად მიგაცილებდა შენს ნარ-ეკლიან გზაზე.

ასევე აღმაშფოთებელია საეჭვო მორალური მრწამსის მრჩეველთა დაჟინებით მწვანე გზა მისცე და ასპარეზზე გამოიყვანო ერთ დროს შენს მიერვე მხილებული, მაგრამ ახლა კანგამოცვლილი მაფიები.

5. ეკონომიკურ-პოლიტიკურ საკითხებში გაურკვევლობა.

საქართველოში ახლა თანმიმდევრულად არ იყრება იმ დიდი, ეკონომიკური პოლიტიკური შენობის საფუძველი, რომელზეც თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო დადგება.

მართალნი არიან ჩვენი „ეკონომიკური“ კანონების ის ოპონენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენში, თითქმის, არაფერი კეთდება ეკონომიკის საბჭოური სტრუქტურების დასამსხვრევად, საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასაყვანად, იმპერიის კაბალიდან ჩვენი ეკონომიკის გამოსაყვანად და თავისუფალი კონკურენციის ფერხულში ჩასაბმელად. საბჭოურ სტრუქტურებს ჩვენ მხოლოდ სახელები შევუცვალეთ, არხი იგივე დარჩა. გარდა ამისა, ხელი შევუწყოთ და ანგარიშგება-წარმოების მახინჯ ფეხებზე დავამკვიდრეთ კომერციულ-საკომისიო სავაჭრო ობიექტები თუ საკონდიტრო-სასურსათო კოოპერატივები.

ჩვენმა პრეზიდენტმა ადრე არაერთგზის განაცხადა: საქართველოს მოქალაქეობას ყველა ვერ მიიღებს და ნუ ეწყინება, ვერც მიწას გადავცემთ სამუდამო სარგებლობაში იმათ, ვისაც, საქართველოს მოაქალაქეობა ჩვენს მიწაზე თავიანთი ცხოვრების სტაჟის ან სხვა რაიმე დამსახურებით არ ეკუთვნისო. მე, პირადად სწორ პოზიციად მიმაჩნია და ამით პრეზიდენტობის კანდიდატმა ქართველი ერის სრული თანაგრძნობა დაიმსახურა.

ახლახან (პრეზიდენტად არჩევის შემდეგ) კი თავის სატელევიზიო გამოსვლაში, ყველასაგან მოულოდნელად, განაცხადა; პირობას გაძლევთ, საქართველოში მცხოვრები ყოველი სრულწლოვანი პიროვნება საქართველოს მოქალაქეობასაც მიიღებს და მიწასაც მუდმივ მფლობელობაშიო.

რას მივაწეროთ პრეზიდენტის პოზიციათა ასეთი ხშირი ცვლა? ნუთუ საქართველოს მოქალაქეობა და მიწაზე შთამომავლობითი უფლება უნდა მიიღოს იმ სტუმარმაც, შარშან, სომეხ-აზერბაიჯანელთა კონფლიქტის დროს თავი რომ შეგვაფარა და მერე „დაავიწყდა“ რომელ მხარეს იყო მისი სამშობლო?

სიტყვას მოჰყვა და აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დიპლომატიურობის ნასახიც კი არ ჩანდა პრეზიდენტის ამასწინანდელ გამოსვლაში სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების გახსნაზე. მტკიცდება, რომ სომხები და ქართველები ერთი გენეტიკური წარმოშობის ხალხი ვართო. ნუ მიწყენს პრეზიდენტი და ეს განცხადება მეცნიერულად ხომ ფრიად საეჭვოა, ვერც ტაქტიკის თვალსაზრისით ბრწყინავს. სომეხი სომეხია, აზერბაიჯანელი – აზერბაიჯანელი და ქართველი – ქართველი. ნუთუ სრულებით არ ფიქრობდა იგი, სომეხ-ქართველთა იდენტურობის აღმოჩენას რომ აკეთებდა, საქართველოში მცხოვრებ ლამის ნახევარმილიონიან აზერბაიჯანელზე, ყარაბახის გამო სომხეთს სამუდამოდ გადაკიდებულ აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე, ან ლამის ორმოცდაათმილიონიან თურქულენოვან სამყაროზე? ახლა სომხების მტრებიც ჩვენ დავიმატოთ, საკუთარი არ გვყოფნის?

აღარას ვიტყვი სამაჩაბლოში მილიციის შეყვანისა და გორბაჩოვთან შეთანხმებით მისი გამოყვანის თაობაზე, რაც სამაჩაბლოს დროებით დაკარგვად დაგვიჯდა.

ახლახან კიდევ ერთი გამოსვლით გააბუნდოვანა პირველმა პრეზიდენტმა თავისი პოზიცია – ფრანგ ტელეჟურნალისტთა ინტერვიუში განაცხადა: იმპერიის ჯარის გაყვანა გორბაჩოვთან ჩემი მოლაპარაკების ბოლო პუნქტი იქნებაო.

მაშ, რა იქნება პირველი პუნქტი?

განა ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება რუსის ჯარის გაყვანა არ არის ჩვენი მიწიდან?

განა ზვიად გამსახურდიამ მშვენივრად არ იცის, რომ რუსის ჯარის გაუყვანლად დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზე ლაპარაკი მხოლოდ მირაჟია და სხვა არაფერი?

მაშ უფრო მტკიცედ, უფრო ენერგიულად, უფრო უშიშრად დავადგეთ არჩეულ გზას.

ჩვენ უკან უფსკრულია.

ამ სტრიქონების ავტორი თავის სამუდამო თანადგომას უცხადებს საქართველოს პირველ პრეზიდენტს, თუკი ეს უკანასკნელი ამ შენიშვნებიდან ერთს მაინც ისულგულებს და ჩაუფიქრდება.

23 ივნისი, 1991 წ.

ეროვნული სულისკვეთების წიაღში

მეოცე საუკუნემ – პარადოქსების ასწლეულმა, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ „გარდამავალმა საუკუნემ“ ქართველ მწერლობასაც ელფერი შეუცვალა. შეხედულებათა გადაფასების, რევოლუციების, მსოფლიო ომების ეპოქამ ლიტერატურის წიაღში დაბადა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული სკოლები („აკადემიური ასოციაცია“, „ცისფერყანნელები“), ახალი სული შთაბერა კლასიკურ ლიტერატურულ ჟანრებს (ზოგი მათგანი დავიწყების წიაღში მოისროლა), თავისუფალი ლიტერატურა მოათავსეს სოციალისტური რეალიზმის პროკრუსტეს სარეცელზე, მაგრამ ამ ურთულეს ვითარებაში ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზი – მამულის თავისუფლების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქრისტეს რჯულისადმი ერთგულების („ენა-მამული-სარწმუნოება“) სულისკვეთების უცვლელი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის შემდეგ ოფიციალურმა ხელისუფლებამ საქართველო უნაპირო ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ბურუსში გაახვია, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებში, არა თუ სქართველოს დამოუკიდებლობაზე, ქართული ენის დაცვისა და რელიგიური რწმენისადმი ერთგულებაზე საუბარიც საშიში იყო, ქართველი მწერლები მაინც ახერხებდნენ ზოგჯერ აშკარად, ზოგჯერ კი შეფარვითა და გადატანით გამოხმაურებოდნენ ცურტაველის, რუსთაველის, სულხან-საბას, გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის წმიდათაწმიდა იდეებს.

თემატურ-პრობლემურად ქართული პროზის ეროვნული ტრადიციების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ დავით კლდიაშვილის მოთხრობები და მოგონებანი, კონსტანტინე გამსახურდიას („დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „ზარები გრიგალში“), შიო არაგვისპირელის („მიწაა“), გრიგოლ რობაქიძის („გველის პერანგი“), შალვა დადიანის („გიორგი რუსი“), ჭოლა ლომთათიძის („უბის წიგნაკიდან“), ნიკო ლორთქიფანიძის („გული“, „ჟამთა სიავე“, „იყიდება საქართველო“), ვასილ ბარნოვის („ტრფობა წამებული“, „მიმქრალი შარავანდედი“, „განგების რკალში“), მიხეილ ჯავახიშვილის („ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“, „თეთრი საყელო“, „ლამბალო და ყაშა“), ლევან გოთუას („გმირთა ვარამი“) და შემდგომ თაობათა არაერთი მართალი, პატრიოტი მწერლის ქმნილებანი.

ქართულ მწერლობას საქართველოს დამოუკიდებლობის ფარული ნატვრით და სოციალისტური სინამდვილისადმი აშკარა კრიტიკის პათოსით მოევლინა ე. წ. „ახალ სამოციანელთა“ თაობა.

1989 წლის 9 აპრილისა და განსაკუთრებით 1991 წლის 14 აპრილის შემდეგ, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა (ამ საუკუნეში მეორედ) გამოცხადება მოჰყვა, საქართველოში ახალი ძალით იფ-

ეთქა სამშობლოს თავისუფლების და ეროვნული ატრიბუტების დაცვისა და განმტკიცების პათოსით გაჟღენთილმა ლიტერატურამ.

უმწერლობა ბარომეტრივით გრძნობს ეპოქის ქარიშხალთა მოახლოებას. უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში არაერთი შემაშფოთებელი, გამაფრთხილებელი სტრიქონი დაიწერა ერისთვის იმ საშიშროების ხაზგასასმელად, რაც ეროვნული კონსოლიდაციის იგნორირებას და გარემო მტრებთან ხელისუფლების კომპრომისულ პოლიტიკას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ამ საუკუნის ოციანი წლების ისტორიული გაკვეთილი არ მოაგონდა და არც მისთა უკეთეს შვილთა მეგობრობას უგდო ყური. ამიტომაც არც ოთხმოცდაათიანი წლების „ეროვნული დამოუკიდებლობის მეორე სამწლიანი პერიოდი“ დამთავრდა წარმატებით.

საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და უფრო სავალალო ის გახლავთ, რომ როგორც მაშინ (1921) ახლაც ეროვნული ძალების ამ დამარცხებასაც, რუსის ჯარის მიერ ეროვნული სულისკვეთების ამ ჩაწიხვლასაც გამოუჩნდნენ დამცველ-მეხოტბენი.

ისტორია თავის სიტყვას იტყვის...

დარწმუნებული ვართ ახლაც ზის თავის მღვიმეში პატიოსანი მწერალი და საქართველოს ამ ტრაგიკულ სამწლეულზე ახალ „გმირთა ვარამს“ წერს.

***

დავით კლდიაშვილმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლამის კალამი დადო; სამიოდე მოთხრობა და მემუარები დაწერა, თუმცა „ახალი საქართველოს“ ვითარებაში კარგა ხანს იცოცხლა და ოცდაათიან წლებამდე შემოჰყვა ჩვენს „მღელვარე ეპოქას“. რა იყო ამის მიზეზი? იქნებ ქართული პროზის დიდოსტატის სულს არ მიესადაგა კომუნისტური საქართველოს ზეიმ-გუგუნი? ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მწერლის ერთ-ერთი უკანასკნელი, სამგვერდიანი ნოველა „კიმოთე მიშველიძე“. რევოლუციის აქტივისტი ვარდენ მშვენიერაძე, თავის დროზე ეკლესიიდან რომ ხალხი გამოყარა და „ნიკოია ჩამოაგდო“, ერთობ შეწუხებულია, რაღაც ისე ვერ გამოგვივიდა ეს რევოლუცია, როგორც ჩაფიქრებული გვქონდაო, „დევიბენით ჩემო ბატონო, დევიბენით“, – ეს ფრაზა ნოველის ლაიტმოტივიც გახლავთ. ბოლშევიკებმა საქართველოს იმედები ვერ გაამართლეს.

დ. კლდიაშვილი კარგად გრძნობს ღმერთის მგმობელი საზოგადოებრივი წყობის მოახლოებას და იმ შედეგებს, რაც ამ წყობის დამკვიდრებას შეიძლება მოჰყვეს. ჯერ კიდევ ადრე („მრევლში“) შენიშნა მან გაუცხოება მოძღვარსა და მრევლს შორის და ახალგაზრდა მღვდელს ზოსიმეს ათქმევინა: „სადაა რაიმე ნიშანი კეთილგანწყობილებისა მოძღვარსა და სამწყოს შორის? სადაა სიყვარული, პატივისცემა, ნდობა, იმედი? სადაა ყოველივე ის, რაზედაც იგი ოცნებობდა სემინარიაში თავის ამხანაგებთან, რომლებთანაც იგი ემზადებოდა მომავალი მოღვაწეობისათვის?“ (გვ. 182). ბოლოს კი ხელისუფლების წარმომადგენლის შენიშვნაზე – ღმერთი არ არისო, კიმოთე მიშველიძე ირონიულად იკითხავს: აქამდე თუ იყო, ახლა სად გაქრაო.

დ. კლდიაშვილის მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“ თავიდან ბოლომდე ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებია. საოცარია, რომ სწორედ საბჭოთა წყობილების დროს დაწერილ ამ წიგნში აშკარად ჩანს ზიზღი საქართველოს დამპყრობელი იმპერიულ-ჩინოვნიკური რუსეთისადმი, მის მიერ დამყარებული რეჟიმისა და რუს მოხელეთა ამბიციური ბუნებისადმი. საილუსტრაციოდ – ქუთაისის მმართველის, ვინმე ალექსი ივანიჩის დ. კლდიაშვილისეული დახასიათებაც გამოდგება – „მას ვერ წარმოედგინა, თუ ქართველ კაცს რაიმეს გაკეთება შეეძლო, ან მუშაობის უნარი ჰქონდა. ქართველს ისე უყურებდა, როგორც უნიჭო, უგონო არსებას“ (გვ. 427).

საქართველოს სამი უმთავრესი სატკივარის და, აქედან გამომდინარე, ქართული მწერლობის სამი უმთავრესი პრობლემის: ენის, მამულისა და სარწმუნოების მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრება მეოცე საუკუნის მწერლობას წუთითაც არ ტოვებს. რასაკვირველია, მხედველობაში მაქვს ჭეშმარიტ მწერალთა უკეთესი ნააზრევი და არა პანეგირიკოსთა შემოქმედება ან, თუნდაც, სახელოვან მწერალთა ორიოდე კომპრომისული ქმნილება ფარად რომ აუფარებდნენ ხოლმე ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ წიგნებს კომუნისტური ხელისუფლებისათვის თვალის ასახვევად.

დაკვირვებული მკითხველისთვის იოლად გასაგებია „დიდოსტატის მარჯვენის“ და „დავით აღმაშენებლის“ ეროვნული პათოსი. ამ ისტორიულ რომანებში მწერლის გულისყური, უპირველეს ყოვლისა, ორი ეროვნული პრობლემისკენ გახლავთ მიმართული: ესენია საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლა მოშუღარ ერისთავთა წინააღმდეგ და ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან. აქვე დომინირებს სარწმუნოების პრობლემაც.

განა ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების გაგრძელება არ არის კონსტანტინე გამსახურდიას მიერ უაღრესად კოლორიტულად, შთამბეჭდავად დახატული ორი მეფის – დავით აღმაშენებლისა და გიორგი მეთერთმეტის თანამიმდევრული ბრძოლა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ საქართველოს ერთიანი, ძლიერი, ცენტრალიზებული საქართველოს შექმნისათვის და მათი მუხლჩაუხრელი, თავგანწირული კვეთება უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის? მე მგონი, ხაზგასმა არ სჭირდება იმ ფაქტს, თუ რა უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს კონს-

ტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას სწორედ იმ მხრივ დღეს, მეოცე საუკუნის დასასრულის საქართველოში, როცა ასე მოგვეძალა კუთხური სეპარატიზმი, ხოლო ჩრდილოელი მეზობლის ინტერვენციის შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა კიდევ ერთხელ ისევე დადგა კითხვის ქვეშ, როგორც არაერთხელ მდგარა საუკუნეების განმავლობაში.

რაც შეეხება სარწმუნოებას, ორივე ზემონახსენები რომანის პათოსი აქაც ცალსახა და ორთოდოქსულია. გიორგი მეფე მხარში უდგას მელქისედეკ კათალიკოსს მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი არცთუ დახვენილი მეთოდებით იბრძვის საქართველოში ქრისტიანობის გამძლავრებისა და სამეფოს ერთმორწმუნე ქვეყნად გადაქცევისათვის. ამ ხაზს აგრძელებს დავით აღმაშენებელიც. სხვათა სარწმუნოების მიმართ შემწყნარებლობა, რამაც ზოგიერთ სწავლულს დავით აღმაშენებელი კინაღამ უკიდეგანო ინტერნაციონალისტად (თითქმის კოსმოპოლიტად, რ. მ.) გამოაცხადებინა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დავით აღმაშენებელი თითქოსდა თანამიმდევრულად არ იღვწოდა საქართველოს ერთიანი სარწმუნოებრივი დროშის ქვეშ გაერთიანებისათვის. მართლმადიდებელ მეფეს მშვენივრად ესმოდა რელიგიური ერთობის მნიშვნელობა ისეთი პატარა, მტერმოჭარბებული ერისთვის, როგორიც საქართველო გახლავთ. ისტორიულმა, შუასაუკუნურმა საქართველომ კარგად უწყოდა ის გარემოებაც, რომ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლა ფაქტობრივად საქართველოსთვის, ქართველობისათვის ბრძოლას ნიშავდა და იაკობ ცურტაველის, იოანე საბანიძის, გიორგი მერჩულეს თუ სხვა უკვდავ ჰაგიოგრაფთა წინაშე მდგარი პრობლემები სრულებითაც არ მოხსნილიყო დღის წესრიგიდან.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრობლემების მხატვრული განჭვრეტის თვალსაზრისით ნიშანდობლივია „მთვარის მოტაცების“ ავტორის არა მარტო ისტორიული რომანები, არამედ მწერლის მიერ ექსპრესიონიზმით გატაცების პერიოდში შექმნილი პატარა ნოველაც, რომელსაც „ზარები გრიგალში“ ჰქვია.

1923 წელია. ოცდაერთი წლის საბედისწერო 25 თებერვალი ჩავლილია. საქართველო ოკუპირებულია და ძალით გაწითლებული. მაგრამ მოახლოებულია დამპყრობთა თარეშს ვერშეგუებული ქვეყნის მეამბოხე სულის თვალსაჩინო დასტური – 1924 წლის აჯანყება. სწორედ ამ დროს იწერება კ. გამსახურდიას სამფურცლიანი ნოველა „ზარები გრიგალში“, რომელშიც ჭეშმარიტი ღმერთისადმი მიბრუნებისა და რუტინული, წნეხისმსგავსი ყოფისადმი პიროვნების ამხედრების მუხტია ჩადებული.

ნოველის ექსპოზიციაში სულ რამდენიმე სტრიქონითაა დახატული ურწმუნო ხელისუფლების მოსვლა-დამკვიდრება საქართველოში:

„მნათე ოქროპირ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ „ქვეყანა გამოიცვალა“, როცა დიდმარხვის ორშაბათს წმ. ზაქარიას ეკლესიის გუმბათზე ჯვარი ვეღარ ნახა. ჯვარი აღარ იყო სამრეკლოზედაც.

რა მოჰყვა ამ „ანტირელიგიურ ღონისძიებას?“ – „სოფლის მოზარდები „არულის“ ძახილით გამოუდგებოდნენ მოხუცებულ მღვდელს. არც ის გაკვირვებია, სოფელმა რომ უარი განაცხადა მღვდლისა და მნათის შენახვაზე“.

რით უპასუხა მღვდელმა ამ ახალ ვითარებას?

„მღვდელი გაიპარსა. თემშარაზე სამიკიტნო გახსნა“.

მაგრამ იყო სოფელში კაცი, რომელიც ვერ შეგუებოდა ღმერთის მგმობი მთავრობის პარპაშს და ვერც გულგაციებული მრევლის გაუცხოებას წმინდა სამების მიმართ.

და მაშინ, როცა „აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს“, მნათე ოქროპირ ახოხდა ნახევრადმორღვეულ სამრეკლოზე და მთელი ძალით დაარისხა ზარები.

სოფელი წამით გაირინდა ამ ზარების ხმაზე.

ექსტაზში შესული ოქროპირი კი მკლავების დაწყვეტამდე რეკავდა და არაჩვეულებრივი ნათელი გადაჰკვროდა სახეზე.

„ხარობდა ოქროპირ. მისი აღტყინებული სული ფოლადსა და რკინას აგალობებდა. ამღერებდა დაჟანგულ, დამუნჯებულ ზარებს. მიჰქროდნენ აწყვეტილი ზარები გრიალით, კისკისით, ხარხარით ზეცისკენ, გალობდნენ დიდი და მაღალი ხმით“.

მნათე ოქროპირის ეს შემართება ერის მოხმობაც გახლდათ ჭეშმარიტი ღმერთის საკურთხეველთან და პროტესტიც წყობილებისადმი, რომელმაც ღმერთის სახლს ჯვარი ჩამოხსნა და მღვდელი მიკიტნად აქცია.

„დიონისოს ღიმილს“ წითელ ზოლად გასდევს ეროვნული პრობლემა. ეს პრობლემა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას უკავშირდება და, თუ გავიხსენებთ, რომ რომანი 1915-25 წლებში იწერებოდა, ჩვენთვის ნათელი გახდება, რატომ დგას ასე ცხადად ავტორის წინაშე მისი ქვეყნის თავისუფლების ხელყოფის საკითხი სწორედ ჩრდილოეთელი მეზობლის მიერ.

ერთ გერმანულ ოჯახში სტუმრად მისულ კონსტანტინე სავარსამიძესა და მასპინძლის ყმაწვილს შორის ასეთი საუბარი გაიბა:

„ჩვენ გავიგეთ, ძია კონსტანტენ, თქვენ შარშანწინ რუსებს ებრძოდით... რატომ ებრძოდით რუსებს, ძია კონსტანტენ?...

„რატომ, და, იცი ჰაინც, ასი წლის წინათ რუსებმა ჩვენი მეფე ჩამოაგდეს, თავიანთი მეფე დასვეს, ჩვენ კიდევ გვინდოდა მათი მეფის ჯარები გაგვერეკა და მათი მეფეც ჩამოგვეგდო“...

„კი, მაგრამ, ძია კონსტანტენ, თქვენ დასვით მერმე თქვენი მეფე?“

„არა, ჩემო ჰაინც, ჩვენი მეფე მოკვდა, იგი დიდხანს ებრძოდა რუსეთს და მერე ოსმალეთში გადაიხვეწა“.

„მაშ, იქ ასაფლავია ახლა თქვენი მეფე, ძია კონსტანტენ?“ მეკითხება ჰაინც.

„ხო, ჩემო ჰაინც, ქალაქ ტრაპიზონის პატარა ეკლესიაში ასაფლავია ჩვენი მეფე“ (ოცტომეულის II ტომი, 1993, გვ. 177).

რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია სოლომონ მეორეზე, რომელიც განსხვავებით ერეკლე მეორისაგან ბოლომდე ვერ შეურიგდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას და ოსმალეთში პოვა საუკუნო სასუფეველი.

ეს მკაფიო მაგალითი როდია ოდენ მთავარი განმსაზღვრელი „დიონისოს ღიმილის“ ეროვნული პოზიციისა. ამ მიმართულებით უპირველესი ორიენტირი სლანსკი გახლავთ.

პარიზში რესტორანში ერთ-ერთი ინციდენტის დროს სავარსამიძე წააწყდება რუსის ოფიცერს, რომლის სახეც სამუდამოდ აღებეჭდა მეხსიერებაში, უფრო მეტიც, ამ მოძალადე ოფიცერმა რომანში თანდათანობით შეითავსა საქართველოს დამპყრობლის სიმბოლური იერსახე და იგი რომანის მთავარი გმირის ნევრასტენიულ-ჰალუცინაციური დაავადების გამომწვევ მიზეზად იქცა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე, განსაკუთრებით როცა ავადმყოფობა მოეძალება, კონსტანტინეს სლანსკის სატანური სახე წარმოუდგება თვალწინ.

„ჩავთვლიმე ისევ გავახილე თვალი, ახმახი, ქერა, ღაწვმაღალი კაცი შემოვიდა, ჩემ გვერდით დაჯდა. ლოპინარის თვალები შემომაშტერა. საშინელი სიძულვილი გადმოინთხა მისი თვალებიდან. ამ კაცს ყვითელი, გახუნებული რუსული ეპოლეტები აქვს. მარცხენა ხელიდან სმარაგდის ბეჭედი ამაცალა. უსახელო თითზე ძლივს მოირგო. ისევ შემომცქერის ლოპინარის თვალბით... შიშისგან მაძაგძაგებს.

სლანსკი?“

რომანის უკანასკნელი თავი („ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა“) კომუნისტურ გამოცემებში შემოკლებით, ან სულ არ იბეჭდებოდა, კონსტანტინე სავარსამიძის და სლანსკის სიმბოლური ორთაბრძოლით მთავრდება.

ჯოჯოხეთში ჩასული კონსტანტინე წააწყდება სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულ ჰერბერტს (ევროპა) და ხალილ ბეის. კონსტანტინე შეირიგებს მორკინალთ და სამივენი სლანსკის კოშკისკენ გასწევენ. დიდი მიხვედრა არ უნდა იმ ფაქტს, რომ ამ ეპიზოდში ახალი დამპყრობლის, რუსის წინააღმდეგ ევრაზიის გაერთიანების ავტორისეული სურვილი იგულისხმებოდა.

სლანსკი მარმარილოს ტახტზე ზის, „მუხლზე ორთავიანი არწივი უზის. ერთ თავზე ბაგრატიონის გვირგვინია! გვირგვინში – თამარის ალმასი...“

„სლანსკი დამიბრუნე დედაჩემი ალმასის თვალი“.

სლანსკიმ ისევ დახუჭა თვალი, თითქოს არც კი გაუგონიაო და განაგრძო თვლემა.

„სლანსკი! – შენ – ყინულეთი, მე – მზისგული, შენ – თოვლი, მე – ცეცხლი, შენ – მურტალი, ლორის ტყავის ფაფარივით ფართო და რგვალი, მე – ქართულ სატევარსავით ბასრი და წვეტიანი, სლანსკი მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევით.

„სლანსკი ასჩვიდმეტი“, შევსძახე მე სავარსამიძემ.

„კიდევ ამდენი“ ამბობს და მოდის დათვი პირსისხლიანი“.

„ასჩვიდმეტი“, ალბათ, რუსეთის საქართველოში ბატონობის წელთა რაოდენობას აღნიშნავს, ხოლო სლანსკის პასუხი კიდევ ამდენი დამპყრობლის სურვილს, აქაოდა კიდევ ამდენ ხანს მეყოლებით კირთების ქვეშო.

უთანასწორო ორთაბრძოლა გრძელდება.

„მკერდზე დამაწვა ეს უჯიათი. სული მეხუთება. რა ახლოს მიმზერენ მისი ცივი, საზიზღარი ლოპინარისფერი თვალები! არყის სუნი მოდის მისი ლორწოიანი პირიდან, ნივრისა და დამპალი კომბოსტოს სუნმა ამაქოთა, ტლანქი ხელები წამიჭირა ყელში და მახრჩობს. ვეძახი ჩემს ძიძიშვილებს: მიშველეთ ძმებო, მტერმა დამძლია. ჰერბერტსა და ხალილ ბეის ვეძახი... (ვგ. 268).

რა ღრმადსიმბოლური და თანამედროვე ჟღერადობისაა დამპყრობლის (სლანსკი – რუსეთი) და დაპყრობილის (სავარსამიძე – საქართველო) ეს ჯოჯოხეთური კვეთება.

ბოლოს სავარსამიძემ სძლია.

სამწუხაროდ, ეს „ძლევა“ მხოლოდ ავტორის პოზიციის გამოხატულებად, სურვილად დარჩა 1924 წლის საშინელ სინამდვილესთან შედარებით.

ცნობილ მიზეზთა გამო (ნაწარმოების ეროვნული კონცეფციის წინ წამოწევით შეიძლებოდა მწერალი ოფიციალური ხელისუფლების ადმინისტრაციული ჯოხის ქვეშ დაგვეყენებინა) თავის დროზე სათანადოდ არ იქნა შეფასებული შალვა დადიანის „გიორგი რუსი“, რომელსაც თავდაპირველ ვარიანტში არცთუ უქვეტექსტოდ „უბედური რუსი“ ერქვა. რუსეთის არისტოკრატიამ (დღესაც რომ უხვად ჰყავს საქართველოს მათი შთამომავლები...) ქორწინებაც პოლიტიკის საქმედ აქცია და უსათნოეს თამარს ქმრად მოჰგვარეს გიორგი (იური) რუსი. გარდა გიორგი რუსის პათოლოგიური პიროვნებისა, სხვა რამეც იყო დამნაშავე იმაში, რომ ჩრდილოელი სიძე უცხო სხეული აღმოჩნდა საქართველოს სამეფო კარში. ვერ შეითვისა იგი საქართველოს პოლიტიკურმა სინამდვილემ და იძულებული გახდა ისევ თავის კუთხეს დაბრუნებოდა. რატომ? ვერ გასწევდა თამართან ერთად საქართველოს მართვის უღელს იური ბოგოლუბსკი, რადგანაც მას საქართველოს ეროვნული სატკივარი არ აწუხებდა, ქართველი ერის პრობლემა მისთვის „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“ იყო. ბაგრატიონთა საგვარეულოზე გენეტიკური ძალდატანება, ეროვნული პოლიტიკის მაგისტრალზე ზემოქმედების უგუნური ექსპერიმენტი იყო გიორგი რუსის ჩამოყვანა და თამარ მეფის თანამეცხედრედ გამოცხადე-

ბა – ასეთი გახლავთ „გიორგი რუსის“ დედააზრი. მკითხველმა განსაჯოს რაოდენი მოქალაქეობრივი გმირობა იყო ამ აზრის გამოთქმა იმ პერიოდში (1925), როცა რომანი გამოქვეყნდა.

ერთპიროვნული პრობლემების გააზრებისა და საქართველოს ბედის განსჯა-განჭვრეტის თვალსაზრისით გამოირჩევა მიხეილ ჯავახიშვილი. იწყებთ „ჯაყოს ხიზნების“ ავტორის ნაწარმოების კითხვას, თითქოსდა, ნაწარმოების თემატიკა, პერსონაჟთა ურთიერთობის ექსპოზიცია გაფიქრებინებთ, რომ მწერალს ამჯერად გეზი სოციალური ან ეთიკურ-ზნეობრივი პრობლემისაკენ აუღია, მაგრამ როდესაც არ ელი, სწორედ მაშინ ჩაურთავს ხოლმე ქართული პროზის სახელოვანი სარდალი ერის გულდამწვარი ჭირისუფლის ნააზრევს, ან ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვაზე რომელიმე პერსონაჟის „ამოოხვრას“. ეს „ამოოხვრანი“ გარდა მკითხველში მამულიშვილური განწყობილების აღძვრისა, იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ მწერალს ადამიანთა ცხოვრების კალეიდოსკოპური სურათი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სამყაროში ქვეყნის მდგომარეობის გარეშე არ წარმოუდგენია. სწორედ ეს ღვთიური ხიბლი – მამულის ბედის მტკივნეული განცდა აძლევს ქართულ ლიტერატურას განსაკუთრებულ იერს, ხოლო კონკრეტულად, ამ შემთხვევაში, მიხეილ ჯავახიშვილს დიდი ილიას თანამებრძოლთა კოჰორტაში უჩენს ადგილს.

ცივილიზაციისა და პირველყოფილი ბუნების, ტრადიციული ეგზოტიკის ურთიერთობას ეხება რომანი „თეთრი საყელო“. მწერალს სურს მკითხველი დააფიქროს საუკუნურ პრობლემაზე – რა სჯობს, ცივილიზაციის თეთრი საყელო და მის მიერ მოტანილი კოსმოპოლიტურ-მოდური სიკეთე-სიმრუდენი, თუ ბუნებრივი პირველყოფილობა თავისი ტრადიციულობით და მკვეთრად გამოხატული ორიგინალურობით. ეს პრობლემა გამოქვაბულის კაცის და თვითმფრინავის ტრაპიდან გადმოსული ინდივიდუუმის შედარებით როდი ამოიწურება. ასე რომ იყოს, საკამათო არაფერი იქნებოდა. რასაკვირველია, ცივილიზაცია სჯობს რეზერვაციულ-წარმართულ ყოფას თავისი სისხლის აღებებით, ძროხის შარდით თავის დაბანვებით და დაუბანელ ტანზე ქონის წასმებით, მაგრამ მწერალი აფრთხილებს მკითხველს ორიენტაციის აღებისას კარგად ჩაუკვირდეს – ხომ არ არის იმ გაურყვნელ ბუნებრივობაში რაიმე ისეთი, რომლის გადაგდებაც ნაციონალური თვითმყოფადობის წაშლისა და კოსმოპოლიტიზმის ოკეანეში გათქვეფისაკენ უბიძგებს ხალხს.

ხევსურეთის მივარდნილ სოფელ ჯურხასკარში მრავალთა შორის ის ერთი პრობლემაც აქვთ. შეუმჩნეველნი, მიუვალნი დარჩნენ ბარისაგან, არ სურთ, რომ ჯურხასკარის ბილიკი გაცვდეს, თბილისმა გზა ისწავლოს ამ სოფლისაკენ. რატომ? კითხულობს ელიზბარი (ვაჟიკა) და პასუხად, სხვათა შორის, ესმის:

„– ჯერ ჩვენ სოფელში წითელი ეშმა არ ამოსულა და იმას ვემალებით.

– რაო ამ სოფელში საბჭოთა ხელისუფლება არ ამოსულა? (თითქოსდა შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ხაზს უსვამს მწერალი, რ. მ.).

– არ ამოსულა“.

„თეთრ საყელოს“ ლაიტმოტივად გასდევს აქა-იქ რამდენიმე სტრიქონიანი რეფრენი – სევდა ერეკლე მეფის ეპოქის დაბრუნებაზე. იმ გრგვინვა-ყიჟინის კვლავ მოსვლაზე, ქართველი რომ საკუთარი ხმლით იცავდა თავის თავს და ეროვნულ შეუვალობას.

„კიდევ უბნობენ: უცხოეთში ახალი ბატონიშვილი გამოჩენილა, ნამდვილი ბაგრატიონი, მეფე ერეკლეს შვილიშვილიო.

ბორბალოს მთასავით უვნები ჯურხა ახლა კი ზეწამოიჭრა:

– ის არის ის! თეიმურაზ ბატონიშვილი, უთქვამთ, თეიმურაზი!

ვიცნობ თუ არა თეიმურაზ ბატონიშვილს?

– არა, არ ვიცნობ, არ გამიგია, ბაგრატიონები ბევრნი არიან, მაგრამ ერეკლეს შვილები ყველანი დაიხოცნენ.

– არ დახოცილან, – ჰკივის ჯურხა.

– დაიხოცნენ-მეთქი.

– მაშ შვილის შვილის შვილ იქნების.

– მერმე თუნდ ეგრე იყოს, მერმე?

როგორ თუ „მერმე“, – უკვირს ჯურხას, – არ მესმის? რაკი მე ეგრე ადვილად შევურიგდი „პირობის წიგნის გაფუჭებას, მაშ მე ქართველი არა ვყოფილვარ!“

– რომელი წიგნისა, ჯურხა?

– იმ წიგნისა, ნეფე ერეკლემ რომ დაუდვა რუს ხელმწიფესა.

– ჰო, მაგრამ...

– ბაგრატიონი უნდა მავიდას და მცხეთას უნდა იგრგვინას! – გადასჭრა ჯურხამ და სხვებმაც ყაყანით დაუდასტურეს.

– მავას! მავას!

– იგრგვინებს! იგრგვინებს! (გვ. 597)“

მთავრდება რომანი. ილევა „თეთრი საყელოს“ პერსონაჟთა ბობოქარვნებიანი, ტკბილ-მწარე ცხოვრების ფურცლები და ისევ თავისუფლების რეკვიემი, ისევ „იმ საკითხზე“ მინიშნება. აი, რომანის უკანასკნელი სტრიქონები:

– „მავოს! – ბუხუნებს ჩემი ძმადნაფიცი.

– იგრგვინებს! – უბეჭდავენ ხევსურები.

– მკვდრეთით აღდგების თამარ ნეფეი! (გვ. 572).

ქართველი ავანტიურისტის, თაღლითისა და თვალთმაქცი კვაჭი კვაჭანტირაძის მაქინაციებით მაშინდელი საზოგადოების ყოფის ჩვენება დაუსახავს მიხეილ ჯავახიშვილს მიზნად ამავე სახელწოდების რომანში, მაგრამ განა მარტო ეს? რატომ არის ასე ვრცელი რომანის გეოგრაფიული არე? რატომ გააშორა კვაჭი ავტორმა მშობლიურ სამტრედია-ქუთაისს და მოსკოვ-პეტერბურგ-ევროპაშიც გააჯირითა? მიხეილ

ჯავახიშვილის ნაწარმოების პერსონაჟები სხვა შემთხვევაში ხომ უაღრესად კონკრეტულ, ლოკალურ გეოგრაფიულ სამყაროში მოძრაობენ? გაიხსენეთ კვაჭი კვაჭანტირაძის დაწერის დრო. საქართველო რუსეთმა ხელმეორედ დაიპყრო. ვინ არის, ვის ნატერფალზე მოსულა, ვისი მემკვიდრეა საქართველოს ახალი, წითელი პატრონი? ბოლშევიკ რუსს მთელი თავისი „მშვენიერებით“ მწერალი გარემოების გამო ვერ დახატავს. მაშ, მისი წინაპარი, სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ რუსთხელმწიფესთან დაახლოებულა, სამეფო კარის ლამის „პირველი ვიოლინო“ გრიგოლ რასპუტინი უნდა შეახვედროს კვაჭის.

„შენ ვინა ხარ? – ჰკითხა.

– თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ, წმინდაო მამაო!

– მაშ, კავკასიელი იქნები... არ მიყვარს... ველური ხალხია. სულ ხანჯალზე უჭირავთ თვალი, „ბასურმანები“ არიან.“

„კავკასიელები ველური ხალხია“, მაგრამ როგორია თვითონ რუსეთის ელიტას წარმომადგენელი? ერთ წვეულებაზე შეზარხოშებულმა რასპუტინმა ქალებს მოსთხოვა ტანისამოსი გაეხადათ...

„– დედოფალი მკადრულობს და თქვენ ვინღა ჰყრიხართ!? გაჰყვირის გრიშკა და მერე ისეთ რამეს მოიმოქმედებს, მკითხველს კი არა, თვით მის აურაცხელ საყვარლებსაც რომ გააკვირვებს:

„– რაო? მაშ მე გრიშკა რასპუტინი არა ვარ!? მაშ არა გჯერათ? თუ აგრეთ მიყურეთ! გამსინჯეთ! დარწმუნდით! – შარვალი გაიღეღა და პირადობის საუკეთესო საბუთი ამოიღო“ (გვ. 139).

იქნებ გათავხედებული რასპუტინის ეს მოუზომავი ნაბიჯი წრეგადასული, გაუთლელი ციმბირელის ხასიათს და ბახუსს დავაბრალოთ და რუსეთის სამეფო კარზე იქნებ სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა?

გრიშკამ კვაჭი წმინდა მამათა „საიდუმლო სერობაზე“ წაიყვანა. სამოციოდე ქალი და კაცი სალოცავად შეკრებილა. მოწამებრივი ლოცვა გვიან ღამემდე გაგრძელდება, მერე?

„და ღამესა მას „დანი და ძმანი“ ოთახებსა შინა შევიდოდეს, და ძმანი დათა გამოსცვლიდეს, და დანი ახალთა ძმათა და ახალთა სიყვარულსა იპოვნიდეს და იგემებდეს.

ასე დასრულდა ღვთის კაცების საიდუმლო სერობა“ (გვ. 182).

ამ ადამიანთა უახლოესმა შთამომავლებმა (ყოველ შემთხვევაში, რუსული იმპერიული ამბიციები რუს კომუნისტებს ცარიზმიდან დიაღაც გადმოჰყვათ), უნდა შეიტანონ კულტურა მათ მიერ დაპყრობილ „ველურ კავკასიაში“.

ძალადობისა და ციინიზმის რუსეთთან მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულების საბუთად მკითხველს მინდა შევთავაზო ვრცელი მონაკვეთი მოთხრობიდან „ლამბალო და ყაშა“. ირანის აზერბაიჯანში რუს ეპისკოპოს პავლეს წარუდგა ქართველი ექიმი.

„ – დაბრძანდით, ბატონო ექიმო, როგორ იმგზავრეთ? როგორ მოგეწონათ აქაურობა?... თქვენ ქართველი ბრძანდებით, არა?

– დიაღ, ქართველი გახლავართ, – ხაზგასმით ვუპასუხე.

იმან თანაგრძნობით და ნუგეშით მიპასუხა:

– ქართველობა დიდი უბედურება არ არის, რადგან ქართველიც ადამიანია და კეთილი ქრისტიანი ქართველებშიც მოიპოვება.

მე თვალებში შევხედე, მაგრამ ამარიდა.

– მართალს ბრძანებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, – ეპისკოპოსს ლმობიერ კილოზე დავუდასტურე მე – კეთილი ადამიანი მარტო ქართველებში კი არა, რუსებშიც კი მოიძებნება.

ახლა ერთმანეთი თვალებით დავხვრიტეთ. ჩემმა „რუსებშიც კი“ გაკვირვებული მღვდელი შიგ გულში დასჭრა.

– ისიც უდიდესი ჭეშმარიტებაა, რომ „ქართველი ადამიანია“, – თავმდაბლად დავუმატე მე.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – წაიბუტბუტა წაბლისფერ წვერში მართლმადიდებელი მისიის მთავარმოძღვარმა – მე მოგახსენეთ, ქართველობაა...

– თქვენ ბრძანეთ, – ჩამოვართვი სიტყვა, – თქვენ ბრძანეთ, ქართველობა დიდი უბედურება არ არისო.

– მართალია, მაგრამ...

– მაგრამ, – ხელმეორედ ჩამოვართვი სიტყვა და ხმაში ფოლადი ჩავისხი, – გულწრფელად მოგახსენებთ, თქვენო უმაღლესობავ, რომ ქართველობა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება გახლავთ (გვ. 327)“.

ხომ ჩანს ამ უხანჯლო დუელში დამპყრობლის უნიადაგო, ბრიყვული ამპარტავნობაც და ისტორიის უკუღმართობის გამო დაჩაგრული კაცის განწირულის სულისკვეთებაც? ხომ ისმის ამ დიალოგში ილიასა და რუსის ოფიცრის სარკასტულ-ირონიული მოტივი ასე ძალუმად დარხეული „მგზავრის წერილებიდან“?

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაზე დაწერილ ვრცელ სტატიებსა და გამოკვლევებში გვერდი აქვს ავლილი საუბარს იმაზე, რომ „არსენა მარაბდელის“ ავტორს მონოლითური, ორთოდოქსული ეროვნული მსოფლმხედველობა გააჩნია და იგი სხვა არა არის რა, თუ არა ერთიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლა.

არსენა მარაბდელი მარტო სოციალური ჩაგვრისა და ბატონყმობის წინააღმდეგ არ ამხედრებულა. მხოლოდ ზაალ ბარათაშვილი და ძმანი მისნი როდი არიან მარაბდელის სამიზნენი. ცალთვალა დევის პირმშო მაიორი ორლოვის სახით რუსის ჯარს ებრძვის და ცარიზმის მორჩენის ქვეშ მგმინავ საქართველოს ემუქრება. ეროვნული ტკივილის მორჩენის მწერლისეული ღაღადისია „არსენა მარაბდელის“ ის ადგილებიც ხალხური ლექსის („კიდევაც დაიზრდებიან“) ცრემლიან-იმედიანი ქვითკირით რომ დუღაბდება.

არც „ჯაყოს ხიზნებია“ ოდენ ქართველი არისტოკრატიის ბედზე და ზედმეტ ადამიანებსა და ნაკაცარებზე დაწერილი რომანი. ახალ დროში

ამოტივტივებულ-გაძლიერებული ჯაყოიზმის მთელი სიტლანქე-სისასტიკე ხომ გენიალურად დაგვიხატა მწერალმა სოციალურ-ზნეობრივი პრობლემის რკალში, ამავე დროს ხაზი გაუსვა ერთ უტყუარ გარემოებასაც, რამაც რომანი ეროვნულობის უკვდავი შუქით შემოსა. კერძოდ, „ჯაყოს ხიზნებით“ მიხეილ ჯავახიშვილმა ქართველი მკითხველი გააფრთხილა – მიეპატრონე შენს ბაღ-ვენახს, განუკითხავად ნუ გაუფენ უცხო თესლს ფეხქვეშ შენს ავლა-დიდებას, უდარაჯე შენს მიწა-წყალს, თორემ შენს კერასთან შემთბარი ხიზანი, ქვეყნის მუხა-სხეულზე ამოსული ფითრი გაძლიერდება, გაიზრდება, გაფუვდება და ვინ იცის, ხვალ შენვე გაქციოს ხიზან-ლტოლვილადო.

რა აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის „ჯაყოს ხიზნების“ დედააზრი და რა სავალალოდ აგვიხდინეს საქართველოს ისტორიულ მიწებზე საეჭვოდ მომაგრებულ-გამრავლებულმა სტუმრებმა დიდი მწერლის ავი წინათგრძნობა.

ასე რომ, არც კია საჭირო მიხეილ ჯავახიშვილის დაღუპვის მიზეზებს საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მწერლის ურთიერთობის გაუარესების ფაქტებში დავუწყოთ ძებნა. რუსის სამსახურში ჩამდგარმა ჩეკამ მშვენივრად იცოდა, ვის და რატომ ხვრეტდა 1937 წელს მწერალ ჯავახიშვილის სახით.

სამშობლო ქვეყნისადმი ტკივილიანი დამოკიდებულება მეოცე საუკუნის ქართველ მწერალს „დედამიწის დაპატარავებამ“, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წამითაც ვერ გაუნელა. ისე როგორც საერთოდ ქართული ლიტერატურა ამ საუკუნის მწერლობაც პატრიოტიზმის სულისშემძვრელი მოტივითაა გაჟღენთილი. მაშინ, როდესაც ზესახელმწიფოში მცხოვრები ხალხების, ე. წ. სუპერერების მხატვრული სიტყვის წარმომადგენელთა ნააზრევში სანთლით საძებარია ამ საუკუნეში ეროვნულ პრობლემებზე დაწერილი ნაწარმოებები, ქართული ლიტერატურის უმთავრესი მაგისტრალი სწორედ რომ სამშობლოზე გადის.

ქართული გენის უკვდავების ჰიმნია გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გაინგლისელებული მხატვარი არჩიბალდ მეკეში სწორედ თავისი ქართული წარმოშობის წყალობით წლების განმავლობაში იტანჯება. „თავის ძირებს“ ეძებს. პირველი სიმი ქართველად მოქცევისა მის სულში ჰამადანში გაგონილმა ქართულმა სიმღერამ დაარხია: „სიმღერა მატულობს, გადადის შორიდან შორს. არჩიბალდ მეკეში ცახცახია შეკავებული. რაღაც იგზნო: ახლო და შორეული ერთად“ (ვგ. 34). რა ახლოა ეს პასაჟი გენიალურ „იავნანამ რა ჰქნა“-ს ინტონაციასთან.

მეორედ ქართულმა როკვამ მოზიდა არჩიბალდის გული ეროვნული ფესვებისაკენ: „ცეკვავენ ლეკურს“. ეს სახელი შეუსაბამოა. ლეკს აქ რა უნდა?! ეს ცეკვა ქართულია და გარდა ქართველის, მას ვერავინ იცეკვებს. ვერავინ. რასა არ ეყოფა“ (გვ. 39).

ხოლო მესამედ და საბოლოოდ ჩვილობიდან უცხოეთს გახიზნული ქართველი კაცი – მეკეშის სულში ქართულმა ქეიფმა გააღვიძა:

„– შეღამებულა უკვე.

– დროს მალე გაუვლია.

ქართველთა ქეიფმა დრო არ იცის.

– რა მოხდენილი ხალხია.

– შარდენის სიტყვა ხომ გახსოვთ ქართველთა სილამაზეზე?

– მგონი სპარსეთიც გრძნობდა ამ სილამაზეს.

– სპარსელთა გახელება ქართველ ქალთა სილამაზით აიხსნება.

არჩიბალდ მეკეში ჩაფიქრებულია. ტაბა ტაბაი ისევ ქართველებს უბრუნდება.

– ქართველი ლხინისათვისაა შექმნილი.

– მისთვის თუ ეზარება შრომა, ამბობენ...

– ბევრს ამბობენ მის სილამაზეზე, რასაკვირველია.

– დიახ.

– განა სიზარმაცე ცუდია? ქვეყანა რომ ისუნთქო, საჭიროა ოცნება. ხომ გახსოვს სიტყვა უალდის“ (გვ. 41).

„გველის პერანგის“ მიხედვით ქართველთა ცხოვრებას ბედისწერის გარდა ქართული გენიც მართავს. იმდენად ძლიერია ამ გენის დაღი, მიწის ყივილი, რომ ადამიანები მთელი სიცოცხლის მანძილზე მიისწრაფვიან სამშობლო მიწისაკენ. თამაზ მაყაშვილის, არჩიბალდის, ვამეხის, სარგის პეტრიძის თუ სხვათა ტრაგედია სხვა არა არის რა, თუ არა მათი სულის სამშობლოსაკენ დაუოკებელი სწრაფვა ეპოქის ოღროჩოღრო ლაბირინთებში.

დაიწყო მეოცე საუკუნე – რევოლუციების, შეხედულებათა გადაფასების, პარადოქსების და, რაც მთავარია – ერთა ინდივიდუალობის დამთრგუნველი მოძღვრების – მარქსიზმის გავრცელების საუკუნე. ლიტერატურის პრობლემები, თითქოსდა, გამსოფლიოვდა. არაერთი მწერალი ნაციონალური ორღობიდან გასვლას და საერთო ძალით საერთაშორისო პროლეტარიატის საქმის კეთებას უქადაგებს საზოგადოებას. ამ დროს (1901 წ.) იწერება შიო არაგვისპირელის ნოველა „მიწაა!“ ნოველაში სამშობლო მიწის სიყვარულის, მასთან დაბრუნების, მიწისთვის თავდადების მოწოდება ჩაგესმით.

გაციმბირებული ტუსაღები გაჩხრიკეს. ზედამხედველმა ბერას უბეში ჭრელ ცხვირსახოცში გახვეული მიწა უპოვა:

„ – ეს რა არის? – ცოტა სიჩუმის შემდეგ დაეკითხა უფროსი ბერას.

– მიწაა!

– რა მიწა?

– ჩემი ქვეყნის მიწა. ანანურს რომ ამოვიარე, იქიდან წამოვიღე. ჩემი სოფელი იქვეა.

– მერე რად გინდა.

– მე, შენი კვნესამე, იმ ქვეყანაში მოვკვდები, გული ამას მეუბნება,

მინდა სიკვდილის წინად, გულზე დავიყარო, რომ ჩემი ქვეყნის მიწა თან ჩამყვეს, – ბერამ თითქმის ცრემლმორეულმა უპასუხა (გვ. 286).

მაგრამ რუსი ზედამხედველისთვის ისევე გაუგებარია ბერას სურვილი, როგორც ბუზისთვის პლანეტათა მოძრაობა. მან ჯერ ეს ძვირფასი განძი წაჰგლიჯა ტუსაღს და გადაყარა, შემდეგ ქლექიანი ახალგაზრდა გააროზგვინა და წკეპლისქვეშ ამოხადა სული.

ჭოლა ლომთათიძის მოთხრობის („უბის წიგნაკიდან“, 1910 წ.) ლირიკული გმირი ერთი ინტელიგენტის ოჯახში ილია ჭავჭავაძის პირველი ტომის გაუჭრელ ფურცლებს ნახავს. ამაზე აღშფოთებულს ღამით, სიზმარში ღვთის წინაშე წარმსდგარი ქართველი მოეჩვენება:

„შენი სახელი? – გაისმა მისი კითხვა ქართველისადმი.

– ქართველი, – იყო პასუხი.

– წლოვანება?

– ორი ათასზე მეტი წლის ვარ.

– რას აკეთებდი ამდენ ხანს ქვეყნად?

– თავს ვიცავდი.

– სულ მუდამ?

– დიახ, სულ მუდამ, ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს დაბადების შემდეგაც თავს ვიცავდი მე. თავს ვიცავდი მე მაკედონელის ლაშქრისაგან, მე ვებრძოდი მურვან ყრუს, ვებრძოდი ოსმალოს, სპარსეთს, ვებრძოდი ლეკებსა და კიდევ სხვებს. ურიცხვია სახელი ჩემი მტრების; მე ჩინგის ხანს ვებრძოდი, შაჰ-აბასს და ლანგ თემურს ვებრძოდი მე – რომ თავი დამეცო. ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე ბრძოლაა თავის დასაცავად...“ (გვ. 512).

განგების შეკითხვაზე, ახლა რას შვრებიო, ქართველი პასუხობს:

– „მე ახლაც თავს ვიცავ. მტერი ახლაც ბევრი მახვევია გარს. მოდიან ჩემზე ხმლითაც და მოქარგული ენითაც, სიყვარულსაც მიცხადებენ, რომ დამძლიონ...

– არ დაიღალე?

– დაღალვა ჩემი სიკვდილს ნიშნავს ჩემსას...“

ასე სწორად ესმის ჭოლა ლომთათიძეს ქართველთა ისტორიული ხვედრი თუ ბედისწერა – ნიადაგ ხმლის ქნევა თავის დასაცავად, ასე უტყუარია ქართველი მწერლის ეროვნული ორიენტირი. ამ საუკუნის პარმაღზეც – აშკარა მინიშნება ჩრდილოეთიდან მოქარგული ენით, სიყვარულის გამოცხადებით მოსულ ვერაგ მტერზე, ეს ხომ სწორედ ის „გაიძვერა მოყვარეა“, ვისთან „შეთვისების“ საშინელებაზე ჭოლა ლომთათიძეზე კარგა ხნით ადრე გააფრთხილა ქართველი ერი აკაკი წერეთელმა (და არა მარტო აკაკიმ).

მოთხრობის ლირიკული გმირის და ღვთის დიალოგი გრძელდება:

„– და ელი კი გამარჯვებას?

– რით უნდა დავმარცხდე, მე თავს ვიცავ... მე მარტოც არა ვარ. ყველა ერში და ყველა ქვეყნის კუთხეში იზრდება და მძლავრდება იმათი

რიცხვი, რომლებიც თავს იცავენ და ისინი მომეშველებიან მე, როგორც მე იმათ, რად არ უნდა გავიმარჯვო, მე თავს ვიცავ.

და წამოდგა ფეხზე ის, ვინც იჯდა, გაშალა მკლავი და გადაეხვია ქართველს და გადაკოცნა ის. მოწყვიტა მწიფე ყურძენი და აჭამა მას, და კიდევ აჭამა მას თაფლი და შეჰკრა გვირგვინი ია-ვარდისა და ყვავილებისაგან შეამკო თავი მისი. მისცა მას ცალ ხელში და უთხრა:

– წადი, განაგრძე და კურთხეულ იყოს გზა შენი, ფრიად მძიმე და ფრიად სახარბიელო! წადი განაგრძე“ (გვ, 513).

სამწუხაროდ, ჭოლა ლომთათიძის ამ მოთხრობის ოპტიმიზმი („ისინი მომეშველებიან...“) ამ საუკუნეში ორჯერ დადგება ტრაგიკული გამოცდის წინაშე. ორჯერ გადაიგდო საქართველომ (1918, 1991) მოყვრად მოსული მტრის მძიმე უღელი, მაგრამ მსოფლიომ ორჯერ დატოვა იგი იმპერიული ურჩხულის წინაშე.

ზოგიერთმა მკვლევარმა ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულში“ შეცდომით რელიგიისა და მიწიერი სიყვარულის დაპირისპირება ამოიკითხა და მწერალს „რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ ამხედრება“ დააბრალა. სინამდვილეში რომანი ქრისტიანული რელიგიის აპოლოგიას წარმოადგენს და ძნელად მისახვედრი სრულიადაც არ გახლავთ ავტორისეული ტენდენცია – ადამიანი (და მით უმეტეს მეფე) უმაღლესი ზნეობრივი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს და ცოდვათაგან განწმენდის ერთი ასპარეზთაგანი, უფრო სწორად, ზნეობრივი სისპეტაკის უტყუარი ბარომეტრი სწორედ რომ ქრისტეს მოძღვრებაა.

ის, რაც ხარს შეიძლება ეპატიოს, იუპიტერს არ ეპატიება, ამიტომაც როდი მიაცილებს მწერლის დიდი თანაგრძნობა ლევან კახთა ბატონის ნაბიჯს კანონიერი მეუღლის – მამია გურიელის ქალის თინათინის მონაზვნად აღკვეცას რომ დაეთანხმა და ლეკთა შამხალის ქალი ლეილყიზი შეირთო. სიყვარულის ძალა დიდია, მაგრამ კახთა ბატონმა უნდა იცოდეს, რა შეიძლება მოჰყვეს (და მოჰყვა კიდეც) ლევანის ამ, ერთი შეხედვით, გულწრფელ ნაბიჯს („მიმქრალი შარავანდედი“).

ვასილ ბარნოვის რომანი – „განგების რკალში“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემასაც ეხება. მწერალი აშკარად იზიარებს სვიმონ მეფის პოზიციას, რადგანაც სვიმონი სხვა ქვეყნის უბეში თავის შეყოფის, დამოუკიდებლობის განსყიდვის კატეგორიული წინააღმდეგია. თეიმურაზ პირველის შეხედულებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ხსნა რუსეთისკენ ორიენტაციის აღებაშია, ვასილ ბარნოვი დაუფიქრებლად აკრიტიკებს. ამიტომაც მიკიბ-მოკიბვის გარეშე აცხადებს ერთ-ერთი პერსონაჟი: „ბაგრატიონნი ყოველნი გარეთ იყურებიან ერთრჯულ სახელმწიფოებისაკენ. ბიზანტიისაგან დადგენილთ სისხლში ჰქონდათ ბერძენთადმი მისწრაფება. დაინგრა ბიზანტია, გაშალა ორთავიანმა არწივმა ფრთები მოსკოვში, ბაგრატიონნი ახლა იქით ისწრაფვიან...“

ერთიან საქართველოზე, მისთვის თავდადების ეროვნულ ტრადიციაზე, გარდასულ დღეთა სიდიადეზე წუხილია ნიკო ლორთქიფანიძის

„ჟამთა სიავე“. უსამშობლო კაცის სევდა-სამხილი, ნოსტალგიის სენის უსაშველობა გამოსჭვივის მწერლის მინიატურაში „გული“, ხოლო „იყიდება საქართველო“ მხატვრული ნაწარმოები კი არა პირდაპირ პროკლამაციაა, ერის ჭირისუფლის გულისშემძვრელი ყივილია. იმათ წინააღმდეგ მიმართული, ვინც ქვეყანას ნაჭერ-ნაჭერ, ნაკუწ-ნაკუწ ჰყიდდა და ახლაც ჰყიდის.

მოხუცი მწიგნობარი, ბრძენი ოტია ასე მოძღვრავს იულონს: „აი, რა შვილო, საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული... ოსმალო, სპარსი, ლეკი. ახლა მოსკოვიც ძლიერდება. ცალ-ცალკე ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს, ნელ-ნელა გვწენენ, გვანიავებენ. ხომ უყურებ, როგორ თათრდება საქართველოს საუკეთესო ნაწილი სამცხე, მესხეთი. სამშობლო პეტრიწისა, ნიადაგი ოპიზისა, მაგრამ თუ ერთად ვიქენით, თუ შინაური შფოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულთაგან დამოუკიდებელი, არაფერი გვიჭირს, დრო თამარისა და დავით აღმაშენებლის ისევ განანათლებს ღვთისშობლის ხვედრ ქვეყანას. საქართველოს მესამედი ოსმალეთს უპყრია, დიდი ნაწილი სპარსეთში დაიუფლა, თავისუფალი ჩვენი პატარა იმერეთიღა დარჩა... და ჩვენ უნდა გადავუხადოთ წინათ ჩვენზე „გაწეული ამაგი საქართველოს დანარჩენ კუთხეებს“ („ჟამთა სიავე“, ნ. ლ. ტ. II, გვ. 325).

„ჟამთა სიავეში“ ერის ჭირისუფლის მიერ ჩადებული სევდა საქართველოს ყველა დროის ტრაგედიითაა ნასაზრდოები, ხოლო ამ ტრაგედიას მუდამ ორი წყარო კვებავს – შინაური შფოთი და გარეშე მტერი.

საქართველოს ბედზე ზრუნვა, მამულის მოვლის და მომავალ თაობებამდე ქვეყნის დაუშლელად მიტანის პრობლემა მკაფიოდ ისმის მინიატურიდან „ლიტერატურული საღამო“.

„მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით მოსილ ჭირისუფალსავით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ.

მოუარეთ საქართველოს!

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამეღობება სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს:

მოუარეთ საქართველოს!..“ (ნ. ლ. ტ. II, გვ. 306).

ერის სიკვდილი მაშინ იწყება, როცა მონობას შეეგუება. ქვეყანამ თავისუფლებისათვის ბრძოლა გულიდან არ უნდა ამოიღოს. მამულისათვის ბრძოლაში შეწირულნი „ნეტართა შორის განისვენებენ წალკოტს ყვავილოვანს“, ასეთი გახლავთ ნ. ლორთქიფანიძის მინიატურის – „ამაყის“ პათოსი (ციკლიდან „ერთ ტაფაში“), ქვეყანას უცხო თესლი დაპატრონებია: „ბურდღულებენ რაღაც გაუგებარს, იქნებ კარგიცაა– ღმერთმა იცის! რაც სახეირო იყო, სადღაც წაიღეს“. ამაყ ქართველ ყმაწვილს მოსწყინდა უგემური, მონური ცხოვრება, მარტო გაიპარა სახლიდან, ციხის კარს დააკაკუნა და რომ გაუღეს „ხმალი შეაბრიალა“:

„ეს ერთი – წაილაპარაკა შემოსულმა.

– ესეც მეორე!

ციხეში ჩოჩქოლი შეიქნა.

– ვიღაც გახელებულა!

– შეკარით!

– ეს მესამე!

– ეს მეოთხე!

– მოკალით, უსათუოდ ბნედანაცემია!

– გახელებულა!

– ეს მეხუთე!

– ერთად მივარდით ოთხივე და ასწიეთ შუბზე.

– ესეც მეექვსე.

– ვაი მომკლეს... ჯანი გავარდნია. არაფერი წამიგია... (ტ. II, გვ. 73).

თავდადებული ეული მებრძოლი მაგალითად იქცა ჩათვლემილი ქვეყნისათვის, მან გამოაღვიძა ხალხი, ამაყს წლების შემდეგ ათასებმა მიბაძეს და საერთო ძალით განდევნეს მტერი. „ძმებო, ნუ დავივიწყებთ, ვინც პირველმა ვერ მოითმინა და მარტოდ შეებრძოლა მტერს!“ ამაყს სამშობლომ ხსოვნის უკვდავი ქანდაკება დაუდგა.

საქართველოს უბედო ბედზე წუხილი-ურვა გამოსჭვივის ლევან გოთუას მთელი შემოქმედებიდან. ქართველთა ხმალჩაუგებელ ყოფაზე, შინაურ და გარეშე მტრებთან გაუთავებელ ბრძოლებზე გვიამბობს „გმირთა ვარამი“. ძვირად დაუჯდა საქართველოს ლევან მეფის სასიყვარულო თავგადასავალი. ალექსანდრე მეფის მთელი შეგნებული ცხოვრება თავის ნახევარძმებთან (ლეკის ქალისაგან რომ შეეძინა ლევანს) გაუთავებელი ბრძოლაა ტახტის დაბრუნებისთვის.

– და ისევ რუსეთის პრობლემა. ჩრდილოელი დათვის უზარმაზარი ჩრდილი ეცემა საქართველოს, საბედისწეროა რუსის ჩამოხედვა ჩვენთვის კავკასიონის უღელტეხილის ქვემოთ. რუსს დიდი პირი აქვს და იმპერიული ამბიციები. იგი მზაკვრობით დაიახლოებს, ფასკუნჯივით ფრთებზე შეისვამს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას და მერე იმავე ფასკუნჯივით აიძულებს საკუთარი ხორცი მოიჭრას და ნაჭერ-ნაჭერ აყლაპოს.

მაგრამ ფასკუნჯს ისტორიის განაჩენი ქვევით ეწევა და სადაცაა მიწას დაანარცხებს, ვინძლო მანამდე არ შემოივლოს საქართველოს საკუთარი ხორცი – სამშობლოს მიწა.

1993 წ.

პირველი წიგნის სრულყოფისათვის

ადამიანის ქართველად ჩამოყალიბება „დედაენით“ იწყება.

განუზომელია ჩვენი პირველი წიგნის – ეროვნული სამყაროსკენ გადებული ამ პირველი სარკმლის მნიშვნელობა საქართველოსთვის.

„დედაენა“ სიზმრის ახდენას ჰგავს. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მას გამოვყავართ სააკვანო ჩვილის ძილისგან და გვაზიარებს ყრმობის ფერად ქვეყანას – ლამაზი ქართული ანბანით, სულში ჩამწვდომი ხალხური ლექსებით და ბრძნული ზღაპარ-იგავებით დასახლებულს.

მერე და რა ლბილად, მშობლიური ენა-ფონეტიკის რა ღრმა ცოდნამ, რა ბრწყინვალე გათვალისწინებამ ჩვილის ბაგეწყობისა თუ ფრაზეოლოგიური შესაძლებლობისა და ბოლოს, რა გამაოგნებელმა მუსიკალურობამ აპოვნინა იაკობ გოგებაშვილს ეს საუკუნოდ უცვლელი და გენიალურად ალიტერაციული „აი ია“.

„დედაენა“ შეუცვლელი წიგნია. სანამ საქართველო იარსებებს, ეს წმიდათაწმიდა საანბანო სახელმძღვანელო მარად იცოცხლებს და ქართველის ქართველად მოქცევის ისტორიულ საქმეს მოემსახურება.

მსოფლიოს პროგრესული პედაგოგიკის კანონების შესაბამისად შექმნილ „დედაენას“ მარადჟამს ექნება საეროვნო ელვარება, ხოლო მის თავფურცელზე იაკობ გოგებაშვილის სახელი დროთა სვლის შესაბამისად მეტ ფასს და კაშკაშს შეიძენს.

... და მაინც, რაკი „დედაენა“ ცოცხალი, მოქმედი წიგნია, იგი ნიადაგ უნდა განიცდიდეს ეპოქისმიერ სრულყოფა-ცვლილებას, ლაპარაკია უფაქიზეს ჩარევაზე დიდი იაკობის ნახელავში.

რა იწვევს ამ მცირეოდენ, სტილურ ცვლილებებს?

რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ, დროის ბრუნვა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, გათვალისწინება იმისა, რომ ასი წლის წინათ, როცა „დედაენა“ დაიბადა, საქართველო აგრარული ქვეყანა იყო, ახლა კი, როცა საქართველოს მოსახლეობის, ლამის, ოთხმოცი პროცენტი ქალაქში ცხოვრობს, ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს იმ სამყაროს აღქმა, იმ სამუშაო იარაღთა თუ ფლორა-ფაუნის წარმოდგენა-გათვითცნობიერება, რასაც „დედაენაში“ იხილავს.

ამას წინათ გამომცემლობა „ალავერდმა“ დედაენის განახლებული გამოცემა განიზრახა.

ამ უქაღალდობისა და უსახსრობის დროს გამომცემლობის მიერ (დირექტორი ბონდო მაცაბერიძე) „დედაენისთვის“ ახალი სიცოცხლის მინიჭებისთვის ზრუნვა კეთილშობილ განზრახვად ჩავთვალე, ხოლო წიგნის რედაქტორობის ჩემთვის შემოთავაზება – უდიდეს პატივად.

„დედაენის“ ჩემეულ შესწორებებს ვთავაზობ გამომცემლობას და ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ჩემი რედაქციული შენიშვნებიდან ორიოდე მაინც იქნება გათვალისწინებული ახალ გამოცემაში. მაშ ასე, ვახსენოთ ღმერთი და გადავფურცლოთ „დედაენა“.

„აი იას“ მოსდევს ასევე ბრწყინვალედ შედგენილი „აი თითი“, ამ პარაგრაფში, მე მგონია „თითას“ უნდა შეველიოთ.

ათიოდე ხუთი-ექვსი წლის მოზარდს წავუკითხე ეს ადგილი და ყველამ ერთი და იგივე შეკითხვა მომცა – „თითა“ რა არის?“

ავუხსენი, რომ ყურძნის ჯიშია, „ჯიში რა არის?“ მკითხეს. აი, ჯიში ვერაფრით ვერ ავუხსენი, უფრო სწორად, ავუხსენი, მაგრამ ვერ გავაგებინე. არის კი საჭირო ისეთი სიტყვა მივაწოდოთ ბავშვს, რომელმაც ესესაა წიგნს მოკიდა ხელი, რომლის მნიშვნელობაც მას არ ესმის, ხოლო ახსნა, ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე გაძნელებულია?

იქნებ „თითას“ ნაცვლად, თუ შემოკლება არ შეიძლება, ჩაგვესვა ბავშვისათვის უფრო ნათელი და გასაგები საკუთარი სახელი „თათია“?

„მაშა“ ჰქვია ერთ პარაგრაფს, იმეორებს ბავშვი „მაშა“, „მა შა“, „ მ ა შ ა“-ს და, მართალია, აუხსნა მასწავლებელმა „მაშას“ მნიშვნელობა, მაგრამ ვერც მასწავლებელმა და ვერც ნახატმა ნათლად ვერ წარმოადგენინა ბავშვს, „რა არის მაშა“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „მაშა“ როგორც იშვიათზე იშვიათი საოჯახო ნივთი, მას თვალით არ უნახავს. იქნებ „მაშას“ ნაცვლად უფრო გასაგები „შეშა“ ან „შოშია“ ჩაგვესვა (რასაკვირველია, ვითვალისწინებთ, რა ბგერებია უკვე ცნობილი „დედაენის პატარა მკითხველისათვის).

ასევე ძნელად აღსაქმელ-გასაგებია მოზარდისათვის „კავი“, „კოფო“, „ხარიხა“, ავშარა“, ხოლო „აზიზი“ და „თახჩა“ ქართული წარმოშობის სიტყვები არ გახლავთ და, იქნებ, სხვა უფრო ქართული სიტყვებით შეგვეცვალა?

„ღალღა მარდად დადის“, – ვკითხულობთ განყოფილებაში „კურდღელი“, იქნებ აჯობებდა უბრალოდ: „ღალღა მარდია?!

„კაჭკაჭი ხის ტოტზე ესკუპა“, – იქნებ უფრო გამომსახველ-სახიერია, მაგრამ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, „კაჭკაჭი ხის ტოტზე იჯდა“ აჯობებს.

ჩანახატში – „პატარა ვაჟი ლოცულობს“ – ასეთ წინადადებას ვხვდებით: „კრიჟანგს ფული გაგიჟებით უყვარს“? „კრიჟანგი“ „ძუნწით“ ხომ არ შეგვეცვალა?

„სანდროს ლოცვა“ ჰქვია „დედაენაში“ შეტანილ პატარა ნოველას. მოვიტან მას მთლიანად.

„პატარა სანდრო ობოლი იყო მამით. დედაც ძლიერ ავად გაუხდა, მწარედ დაღონდა სანდრო. შეევედრა ღმერთს: მოწყალე უფალო, მომირჩინე საყვარელი დედა და მის მაგივრად თუნდა მე გამხადე ავადო. აუსრულდა ნატვრა სანდროს და მოურჩა დედა“.

ჩაამთავრებს კითხვას ბავშვი და უსათუოდ შეგეკითხებათ: „მერე? თვითონ გახდა ავად?“ თუ ღმერთმა დედის მაგივრად პატარა სანდრო გახადა ავად, ვერაფერი მოწყალებაა და, რასაკვირველია, ასე არ მოხდებოდა. ამიტომაც, იქნებ, ბოლო წინადადება ასე გადავაკეთოთ: „ღმერმა აუსრულა ნატვრა სანდროს – მოურჩინა დედა და არც თვითონ გახდა ავად“.

კარგია „ჩიტი და მელას“ ფინალი რომ შეცვლილია „დედაენაში“ და პატარა მკითხველი დედა-ჩიტის მიერ მელიასთვის „ბარტყების გადაგდების“ მოწმე არ ხდება, მაგრამ სიტყვა „გადაკარგა“ ბავშვისთვის კი არა, მოზრდილისთვისაც ძნელი გასაგებია, ხომ არ აჯობებს წინადადება“:

„ამ დროს გაჩნდა კეთილი სანდალა, დაუჭყივლა მელას, შეაშინა და გადაკარგა“ შეიცვალოს ასე:

„ამ დროს გამოჩნდა (და არა „გაჩნდა“, რ.მ.) კეთილი სანდალა, მელას ქვით გამოენთო და გააქცია“.

„კამეჩმა ყროყინი იცის“ – ვკითხულობთ დედაენაში („კამეჩი“), იქნებ „ყროყინი“ ვირს (რომელიც ამას უფრო ვირტუოზულად აკეთებს) დავუტოვოთ და კამეჩს „ყროყინი“ „ზმუილით“ ან „ბღავილით“ („მომდევს, მომბღავის შავი კამეჩი...“) შევუცვალოთ?

იქვეა „მკვეხარა კამეჩი“.

„კამეჩს ჰკითხეს: – რატომ სირბილი არ იცი?

– როგორ არ ვიციო, – უპასუხა, ისე მოვკურცხლავდი, შავარდენიც ვერ დამეწეოდაო, მაგრამ ქვეყანა მებრალებაო: ვაითუ ჩემმა სიმძიმემ მთლად დააქციოსო“.

იქნებ „სიმძიმეს“ „სირბილმა“ აჯობოს, რაკიღა ზემოთ სწორედ სირბილზეა ლაპარაკი, თორემ „სიმძიმით“, ხომ შეიძლება ისედაც, გაუქცევლადაც, დააქციოს კამეჩმა ქვეყანა?

კურდღელი ჩამოცანცალდა
ფეხმოტეხილი საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი –
კომბოსტო ნორჩი, ახალი.
ბებერი მურა ეტია,
დაგიბნელოო ეგ თვალი!

ხომ არ აჯობებს „ბებერი მურა მოსდევდა“, რაკიღა „ეტია“ თითქმის უკვე აღარ იხმარება თანამედროვე ქართულში?

„მკვეხარა ქოთანში“ „ციცხვი“ „კოვზით“ ხომ არ შევცვალოთ?

არა მგონია, დიდად გამართლებული იყოს „ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა“-ს შეცვლა „რად ჩამოვარდი ბარადა“-თი.

„გლეხს ფულები მოჰპარეს“, კი ნამდვილად სჯობს „გლეხს ფული მოჰპარეს („ქურდი“).

„რწყილი და ჭიანჭველაში“ „ჩავუგდებ, ამოვიყვან ჩემს ჭიანჭველსა ძმობილსა“, ჩემი ფიქრით, ყველგან უნდა შეიცვალოს ასე: „ჩავუგდებ და ამოვიყვან ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა“.

ტოროლას მაინც არ მოვკვლავ,
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,
საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი წამალი.

ვკითხულობთ ჩემს სარედაქტორო „დედაენაში“, ორგანვე წამალი, ალბათ, კორექტურული შეცდომაა. „ის არის კარგი მამალი“ უნდა იყოს.

„მოუვიდათ სულელობა“, არ ვარგა („ჩხუბი სულ არაფერზე“).

ლექსში „ხარი“ „ხარმა თქვა პირმანათელმა“, ცოტა არ იყოს, ხელოვნურია და იქნებ აჯობოს, „ხარმა თქვა იმ პირნათელმა“...

ასევე გაუგებრად მეჩვენება ბრწყინვალე ლექსში „თხა“ ერთი ადგილი: – „კბილი მოავლო, გაჰგუდა, აბღავლა, ააღრიალა“. თუ გაჰგუდა, მერე რაღას ააბღავლ-ააღრიალებდა? ასე ხომ არ აჯობებს: „ეცა და კბილი მოავლო, აბღავლა, ააღრიალა“.

„ორ ირემში“ ირემმა ირემს რომ ბალახი გაუწოდა („მისთავაზა“?) უაღრესად პრიმიტიულ-ილუსტრაციული ახსნაა იგავის დედააზრისა: „– ვიცი, რომ არც შენ გაკლია, მაგრამ ერთმანეთის გულის მოგებაა“. იქნებ ასე გადავაკეთოთ: „ვიცი, არც შენ გაკლია, მაგრამ მეგობრისგან მიძღვნილს სხვა გემო აქვსო“.

68-ე გვერდზე „წკაპ-წკაპი“ „წკავ-წკავით“ უნდა შევცვალოთ.

„კურდღლის სიზმარში“ (დამისიეს გამომიდგნენ, გავექეცი განზედაო) დღეს ხელოვნურად გამოიყურება „დამისიეს“. ვფიქრობ, აჯობებდა „დამინახეს, გამომიდგნენ, გავექეცი განზედაო“.

„ერთმა ქორმა ერთი იხვი დაიჭირა“, ვკითხულობთ ნოველაში „ქორი და იხვი“. უბრალოდ, „ქორმა იხვი დაიჭირა“ უკეთესია.

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნებაო“. სად ეძებოს ბავშვმა „მას უკან?“ აჯობებს „მერე“.

„ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო-ს“ სჯობს, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“.

„რა გარჩევაა ყვავილებსა და ბალახებს შუა? გვეკითხება „დედაენა“, იქნებ უფრო გასაგებად გვეთქვა, მაგ., „რა განასხვავებს ყვავილებს ბალახებისგან?“ ლექსში „ქალების მუშაობა“ ვკითხულობთ:

ხელში ეჭირათ ცელები,
პირები აქვთ ალმასისა,
მარმარილოს სალესავით
იმათ მოუწყობენ პირსა.

ძნელი გასაგებია „იმათ მოუწყობენ პირსა“ და ამ სტროფის ასეთ რედაქციას გთავაზობთ:

ხელში ეჭირათ ცელები,
მსგავსი ცინცხალ ალმასისა,
მარმარილოს სალესავით
ულესავდნენ ცელებს პირსა.

„ფშუტა თავთავი კი ყალყსა დგასო“ არ ვარგა, „ფშუტა თავთავი თავს მაღლა იწევსო“, სჯობია.

„კალოს გარს დარბენიანო“ ხელოვნურია,

„სასაუბროში (გვ. 106) თიბათვე და მკათათვე თითქმის ერთი და იმავე შინაარსისაა, იქნებ თიბათვე (ივნისს) დავუტოვოთ, ხოლო მკათათვე

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ივლისის სახელით „მწიფობისთვით“ შევცვალოთ?

„ახარებს თქვენი სიკეთე, ხოლო „მწუხარედ ხდის“ თქვენი სიცუდე („მფარველი ანგელოზი“), იქნებ „მწუხარედ ხდის“ შეიცვალოს მარტო ზმნით „აწუხებს“?

„ერთი ერთმანეთზე უტკბილესი“ არ ვარგა – „ერთმანეთზე უტკბილესი“ უნდა დავტოვოთ.

სხვა უფრო უმნიშვნელო შენიშვნებით მკითხველს აღარ გადავღლი.

„დედაენა“ თანამედროვე ქართულის უკვე მტკიცედ დადგენილ გრამატიკულ ნორმებს უნდა ეყრდნობოდეს, ამიტომაც რედაქტორმა ყოველგვარი დავა-კამათის გარეშე უნდა შეცვალოს „ჩვენის“ ნაცვლად „ჩვენი“, „გარედან“ და არა „გარედამ“, „შესთავაზა“ ან „მიართვა“ და არა „მისთავაზა“ და ა.შ.

არანაკლებ რთული პრობლემაა „დედაენის“ გათანამედროვების საკითხი. იაკობ გოგებაშვილი რომ ცოცხალი იყოს, იგი თვით მიუსადაგებდა ეპოქას ყრმათა პირველ წიგნს, შეიტანდა მასში ურბანისტული დროის შესაბამის ცვლილებებს, მაგრამ ახლა, ამ „კრიტიკულ ვითარებაში“ დედაენის გათანამედროვეობის ცდა ჩემისთანა მოკრძალებული რედაქტორის გაბედულებას აღემატება, განა იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია, დღე და ღამეს გაასწორებდა კაცი და „დედაენის“ ერთ-მეოთხედს მაინც მოაქცევდა ქალაქელი ყმაწვილის აზროვნების ამპლუაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაშინვე გამოჩნდებოდნენ „დედაენის“ არამკითხე დამცველები და ამ საქციელს რედაქტორს ცხვირში ძმრად ამოადენდნენ, როგორ გაბედე და „დედაენას“ რედაქტორის კალმით მიეახლეო.

სანამ უფრო გაბედული რედაქტორი გამოჩნდებოდეს, ამ ეტაპზე, იქნებ, ის მაინც გავაკეთოთ, რომ, სადაც ტრანსპორტის სახედ ურემი, მარხილი, ეტლი და ცხენია ჩამოთვლილი, „თვითმფრინავი“, „ველოსიპედი“ და „ავტომანქანაც“ ჩავსვათ, ხოლო სოფლის მეურნეობის იარაღებს: კავს, თოხს, ბარს, სახნისს და გუთანს „ტრაქტორიც“ დავუმატოთ, რაკიღა ამ სიტყვების გარეშე თანამედროვე ბავშვი (სოფლელიც და ქალაქელიც) წარმოუდგენელია.

ᲩᲨ. ეს წერილი დამთავრებული მქონდა, როდესაც „დედაენის“ გამომცემელი ბონდო მაცაბერიძე მოვიდა და მწუხარე სახით მაუწყა: განახლებული „დედაენა“ უკვე კომპიუტერზე აწყობილი და დასაბეჭდად გამზადებული მაქვს (აქვე უნდა შევნიშნო, რომ წიგნი ბრწყინვალედ დაასურათხატა ნიჭიერმა მხატვარმა ი. ქლიბაძემ), ქაღალდის პრობლემა კი ვერ იქნა, ვერ მოვაგვარეთ. ერთმა მაღალი ჩინის კაცმა ამას წინათ წყალი გადაგვიწურა – სახსრები უფრო მთავარ საქმეებზეც არ გვყოფნისო, უნდა ავღოღდეთ ორივენი ქუჩაში და სპონსორები უნდა ვეძებოთო.

რა გაეწყობა; დიოგენის ფანარი უნდა მოვიმარჯვოთ და სასპონსორო ბასტილიას შევუტიოთ.

3. VII. 1994 წ.

ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲯᲐ

ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲝᲗ ᲗᲕᲔᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დედაენის სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვა ადამიანის პრაქტიკულ-გონებრივი მოღვაწეობის ამა თუ იმ დარგში ერის თვითმყოფობის წინააღმდეგ მიმართული გარეშე ძალების გაცხოველებული მოქმედების ნიშანია. ეს ქართველი ხალხისათვის მეფე ფარნავაზის დროიდანვეა ცნობილი.

ახლა ცივილიზაციის ყოვლისმომცველი მოვლენების მეშვეობით, ცხადია, ენაც განიცდის ზემოქმედებას და იტვირთება ახალი, ზოგჯერ უცხო სიტყვების მარაგით. ამ მოვლენას ორი მხარე აქვს, – სასარგებლოც და საზიანოც: ერთი მხრივ, თუ იგი მიგვაჩნია ენის გამდიდრება-განვითარებად, მეორეს მხრივ, იგივე მოვლენა ზღუდავს დედაენას, ავიწროებს მისი ხმარების არეს და საბოლოოდ, თუ ეს ტენდენცია მომძლავრდა, არაერთ ფუძე ლექსიკურ ერთეულს გამოდევნის. (ასე გაჩნდა ე.წ. მკვდარი ენები). ამიტომ განა არ ჯობია სიფრთხილე და ზომიერება გამოვიჩინოთ ამ მხრივ? კერძოდ, თუკი ჩვენს დედაენას თავად აქვს ამა თუ იმ მოვლენის გადმოცემის საშუალება, რატომ უნდა მივცეთ სხვათა ენობრივ ფორმას უპირატესობა! ცნობილია, თუ როგორ დასცინოდა, ვ. ი. ლენინი უცხოური სიტყვების წარამარა ხმარებით მოკეკლუცე ადამიანებს, და დღეს, ჩვენ გარშემო განა ცოტაა ასეთი მოკეკლუცე? მათი მეტყველების ენობრივი საშიშროება შეიძლება შევადაროთ ხავსის ზემოქმედებას, – იგი ნელი, მუდმივი, თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ საბოლოოდ ცოცხალი სხეულის გარდუვალი დაღუპვის მომასწავებელია, მოვარიდოთ ხავსი დედაენის სხეულს სადაც კი შევნიშნავთ; დავიცვათ, აღვადგინოთ, შევინახოთ ქართული სიტყვა, რადგან მისი სახით წინაპრების სული და მსოფლშეგრძნებაა ჩვენთვის ნაანდერძევი.

ამ წერილში გვინდა უსამართლოდ მივიწყებულ და დაჩაგრულ სიტყვებს, კალენდრის ქართულ ტერმინებს შევეხოთ.

ნათქვამია, „თურაშაულის პატრონი ტყეში მაჟალოს ეძებდაო“. ასე დაგვემართა ჩვენ ქართველებს, როცა ყოველი თვის ჩვენი, ეროვნული, უმშვენიერესი, ულამაზესი და ღრმაშინაარსიანი სახელწოდებანი ლათინური სახელებით შევცვალეთ. საკმარისია თვეების ლათინური სახელწოდებანი ქართულად განვმარტოთ, რომ მყისვე დავინახოთ ქართველი ერის ხასიათთან და ცხოვრების წესთან, საქართველოს ბუნებასთან მათი სრული შინაარსობრივი შეუსაბამობა.

აი ეს განმარტებანიც: ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ წარმოსდგა რომაული ორსახოვანი ღმერთის იანუსის სახელიდან. იგი ითვლებოდა დროის და კარის მფარველ ღვთაებად, შემოიღეს რომში ძვ, წ, 700 წელს. იულიუს ცეზარმა

(კეისარმა) ეგვიპტელი ასტრონომის სოსიგენეს რჩევით ძვ. წ. 46 წლიდან 1 იანვარი წლის დასაწყისად გამოაცხადა. წლის დასაწყისად იანვარი საქართველოში შემოღებულია მეათე საუკუნიდან. მანამდე ჩვენში ახალი წელი სექტემბრით იწყებოდა. ამიტომაა, რომ სექტემბერს ძველქართულად „ახალწლისა“ ჰქვია.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი წარმოსდგა რომაული ღმერთის ფებრუსის სახელიდან, რომელიც იყო ქვესკნელის მბრძანებელი, იგი ითვლებოდა განწმენდის თვედ, ძველ რომში არსებული განწმენდის რიტუალიც მასთან იყო დაკავშირებული.

მ ა რ ტ ი. ამ თვის სახელწოდება წარმოსდგა ძველ რომაელთა ღმერთის (ომის ღმერთის) – მარსის სახელიდან.

ა პ რ ი ლ ი ს სახელწოდება მოდის ლათინური სიტყვიდან – „აპერირ“, რაც ქართულად გახსნას ნიშნავს. ამ თვიდან იწყებოდა რომში გაზაფხული.

მ ა ი ს ი ს სახელწოდება წარმოსდგება რომაულ ქალღმერთ მაიადან, რომელიც იყო განახლებული ბუნების ღვთაება. მაისის პირველ დღეს რომაელი ქურუმები მსვერპლს სწირავდნენ ქალღმერთ მაიას.

ი ვ ნ ი ს ი წარმოსდგება ძველ რომაელთა მითოლოგიური ქალღმერთის იუნონას სახელიდან. იგი ნაყოფიერების ქალღმერთად ითვლებოდა.

ი ვ ლ ი ს ი. კალენდარული წლის მეშვიდე თვის სახელწოდება წარმოსდგა რომის იმპერატორ იულიუს ცეზარის ანუ კეისრის (ძვ. წ. 100–44) სახელიდან.

ა გ ვ ი ს ტო. ამ თვეს ეს სახელი რომის იმპერატორ გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. 23– ახ. წ. 14) პატივსაცემად ეწოდა.

ს ე ქ ტ ე მ ბ რ ი ს სახელწოდება წარმოსდგა ლათინური სიტყვიდან – „სეპტემ“, რაც ქართულად შვიდს ნიშნავს. იულიუს ცეზარის (კეისრის) მიერ კალენდრის რეფორმის გატარებამდე ძველ რომაულ კალენდარში იგი მეშვიდე თვედ ითვლებოდა.

ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს სახელწოდებაც ასევე რიცხვითი სახელიდანაა წარმომდგარი. ესაა ლათინური სიტყვა „ოქტო“, რაც რვას ნიშნავს, ძველ რომაულ კალენდარში ოქტომბერი მერვე თვე იყო.

ნ ო ე მ ბ ე რ ი. ძველ რომაულ კალენდარში ამ თვეს მეცხრე ადგილი ეკავა, სახელწოდება მომდინაროეობს ლათინური სიტყვიდან „ნოვემ“, რაც ცხრას ნიშნავს.

დ ე კ ე მ ბ ე რ ი. დღეს მოქმედი კალენდრის უკანასკნელი თვის სახელწოდებაც კვლავ რიცხვით სახელთანაა დაკავშირებული., „დეცემ“-ათი.

რა ჩანს თვეების რომაული სახელწოდებების განმარტებიდან? ის, რომ 12-დან ხუთ თვეს – იანვარს, თებერვალს, მარტს, მაისს და ივნისს ძველ რომაელთა წარმართული ღმერთებისა და ქალღემრთების სახელები აქვთ მიკუთვნებული, ორ თვეს – ივლისსა და აგვისტოს რომაელ

იმპერატორთა სახელები, ხოლო ოთხ თვეს – სექტემბერს, ოქტომბერს, ნოემბერსა და, დეკემბერს რიცხვითი სახელები. მხოლოდ აპრილის სახელწოდება მოჩანს ეულად, რომლის შინაარსიც ძველ რომში გაზაფხულის დაწყებას გულისხობდა.

ახლა საკითხავია, რაში გვჭირდება ჩვენ ძველ რომაელთა წარმართული ღმერთებისა და ქალღმერთების სახელები თვეების სახელწოდებებად. განა ჩვენ ჩვენი ღმერთები და წმინდანები არ გვყავდა? განა ყოველ ჩვენგანში ბუნებრივ ღიმილს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ დღეს მოქმედი კალენდრის მეცხრე თვეს – სექტემბერს მეშვიდე თვეს ვუწოდებთ, მეათეს – ოქტომბერს, მერვე თვეს მეთერთმეტეს – ნოემბერს მეცხრე თვეს, ხოლო მეთორმეტეს – დეკემბერს მეათე თვეს.

ვფიქრობთ დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანია დადგა დრო კვლავ დავუბრუნდეთ ყოველი თვის ქართულ სახელწოდებებს. ისიც გავიხსენოთ, რომ მართალია თვეების რომაული სახელწოდებანი საქართველოში ძირითადად ახ. წ. VII-XIII საუკუნეში დამკვიდრდა, მაგრამ თვით XIX საუკუნის ბოლომდე მათ პარალელურად ქართული სახელწოდებანიც იხმარებოდა. თვით ჩვენს საუკუნეშიც კი ბევრი ქართველი მწერალი, პოეტი, ხელოვნების მოღვაწე თავიანთ შემოქმედებაში კვლავ აცოცხლებს თვეების ქართულ სახელწოდებებს! გავიხსენოთ თუნდაც დიდებული კინოფილმის სახელწოდება „გიორგობისთვე“.

ახლა შევეხოთ თვეების ჩვენს ეროვნულ სახელწოდებებს, ჩვენს თურაშაულს. ბევრ შემთხვევაში აქ ასარჩევადაც კი გვაქვს საქმე.

აი, ეს სახელწოდებანიც:

ი ა ნ ვ ა რ ს ძველი ქართული წარმართული კალენდრით ერქვა ა პ ა ნ ი, ა პ ნ ი ს ი.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს ძველი ქართული წარმართული კალნედრის მიხედვით ს ა რ წ ყ უ ნ ი ს ი (სურწყუნისი) ეწოდებოდა, ხოლო ქართული ხალხური სახელწოდება გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს თ ვ ე იყო, ზოგან რუსთვესაც ეძახიან.

მ ა რ ტ ი. დღეს მოქმედი კალენდრის მესამე თვეს ძველ საქართველოში წარმართული კალენდრით მ ი რ კ ა ნ ი (მიჰრაკანი) ეწოდებოდა.

ა პ რ ი ლ ი ს უძველესი ქართული სახელწოდება წარმართობის ხანიდან ი გ რ ი კ ა იყო. მზისთვედაც იხსენიება.

მ ა ი ს ი. ფიქრობ ამ თვეზე და გული გწყდება: როგორ გავიმეტეთ მისი ქართული სახელწოდება ვ ა რ დ ო ბ ი ს ა (ვარდობისთვე) ძველ რომაელთა ქალღმერთ მაიას სახელის სასარგებლოდ!

ი ვ ნ ი ს ი. ამ თვის მიმართ ფართო არჩევანი გვაქვს. ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას მ ა რ ი ა ლ ი ს ა ეწოდებოდა. მისი ხალხური სახელწოდებანია თ ი ბ ა თ ვ ე და ი ვ ა ნ ო ბ ი ს თ ვ ე.

ი ვ ლ ი ს ი. იგივე ითქმის ამ თვეზეც. აქაც სამი ქართული სახელწოდება გვაქვს: ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას

თ ი ბ ი ს ა ერქვა, ხოლო ხალხური სახელწოდებანია მ კ ა თ ა თ ვ ე და კ ვ ი რ ი კ ო ბ ი ს თ ვ ე.

ა გ ვ ი ს ტ ო ს ძველი ქართული წარმართული კალენდრით ქ ვ ე ლ თ ო ბ ი ს ა ეწოდებოდა, ხოლო ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ თანდათანობით მ ა რ ი ა მ ო ბ ი ს თ ვ ე დამკვიდრდა.

ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი. ვინაიდან ძველ საქართველოში ახალი წესი სექტემბრის თვით იწყებოდა, ძველი ქართული წარმართული კალენდრით მისი სახელი ა ხ ა ლ წ ლ ი ს ა იყო, მისი ქართული ხალხური სახელწოდებაა ე ნ კ ე ნ ი ს თ ვ ე.

ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი. მევენახეობა-მეღვინეობის უძველეს ქვეყანაში – საქართველოში ამ თვის ქართული სახელწოდებანი ყველა ქართველს დიდ სიამოვნებას ჰგვრის, ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას ეწოდებოდა რ თ ვ ლ ი ს ა, ხოლო ხალხურით – ღ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ე.

ნ ო ე მ ბ ე რ ი. უფრო განებივრებული ვართ ამ თვის ქართული სახელწოდებით იყო წარმოდგენილი. ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას ტ ი რ ი ს დ ე ნ ი ეწოდებოდა, მისი ქართული ხალხური სახელწოდება კი ქ რ ი ს ტ ი შ ო ბ ი ს თ ვ ე ა.

როგორია ჩვენი წინადადება, თვეებს რომელი ქართული სახელწოდებანი დავუბრუნოთ?

ა ხ ა ლ წ ლ ი ს თ ვ ე (იანვარი), რ უ ს თ ვ ე (თებერვალი), გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს თ ვ ე (მარტი), მ ზ ი ს თ ვ ე (აპრილი), ვ ა რ დ ო ბ ი ს თ ვ ე (მაისი), თ ი ბ ა თ ვ ე (ივნისი), მ წ ი ფ ო ბ ი ს თ ვ ე (ივლისი), მ ა რ ი ა - მ ო ბ ი ს თ ვ ე (აგვისტო), ე ნ კ ე ნ ი ს თ ვ ე (სექტემბერი), ღ ვ ი ნ ო - ბ ი ს თ ვ ე (ოქტომბერი), გ ი ო რ გ ო ბ ი ს თ ვ ე (ნოემბერი), ქ რ ი ს - ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ე (დეკემბერი).

12-დან ექვსი თვის ქართული სახელწოდების შერჩევისას სხვა გარემოებებთან ერთად ჩვენ გავითვალისწინეთ შიო მღვიმელის (1866–1933) მშვენიერი ლექსიც „წელიწადის თვენი“, სადაც იგი წერს:

თ ი ბ ა თ ვ ე შ ი თიბავენ
ქერს, ბალახს და შვრიასა,
მ კ ა თ ა თ ვ ე შ ი ჩამკიან
ყანებს ბარაქიანსა.

მ ა რ ი ა მ ო ბ ი ს თ ვ ე ფიცხობს,
უდარაჯებს კალოსა,
რომ ვისაც რა ეკუთვნის
მოირწყოს და თვალოსა.

ე ნ კ ე ნ ი ს თ ვ ე გვიმწიფებს
თითას, ბუდეშურებსა;
ღ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ე ამზადებს
ქვევრებსა და ჭურებსა.

გ ი ო რ გ ო ბ ი ს თ ვ ე ლხინობს,
ღვინოს ირგებს მღერითა
და ყველანი სტკბებიან
ერთმანეთის ცქერითა.

(ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ა ვ ტ ო რ ე ბ ი).

ვაყენებთ რა თვეების ქართული სახელწოდებების აღდგენის წინადადებას, ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ ძველ დროში ყველა ქრისტიანული ქვეყანა როდი გადავიდა თვეების რომაულ სახელწოდებებზე. თავიანთ დიდად საბედნიეროდ თვეების საკუთარი სახელწოდებანი დღემდე შემოინახეს უკრაინელებმა, ბელორუსებმა, ჩეხებმა და სხვებმა. პოლონელებმა მხოლოდ ორად ორი თვე – მარტი და მაისი მონათლეს რომაულად, ყველა დანარჩენს კი პოლონური სახელწოდებანი შეუნარჩუნეს.

მკითხველისათვის ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება იმის შეხსენება, თუ რას უწოდებენ თავიანთ ენებზე ჩვენი მოძმე უკრაინელები, ბელორუსები და ჩეხები.

დავიწყოთ უკრაინული სახელწოდებებით:

ს ი ჩ ე ნ ი(ანვარი) ლ ი უ ტ ი (თებერვალი), ბერეზენ (მარტი), კ ვ ი ტ ე ნ (აპრილი), ტ რ ა ვ ე ნ (მაისი), ჩ ე რ ვ ე ნ (ივნისი), ლ ი პ ე ნ (სექტემბერი), ჟ ო ე ტ ე ნ (ოქტომბერი), ლ ი ს ტ ო პ ა დ (ნოემბერმი), ვ რ უ დ ე ნ (დეკემბერი).

თვეების ბელორუსული სახელწოდებანი კი ასე გამოიყურება: ს ტ უ დ ზ ე ნ (იანვარი), ლ ი უ ტ ი (თებერვალი), ს ა კ ა ვ ი კ (მარტი), კ რ ა - ს ა ვ ი კ (აპრილი), ტ რ ა ვ ე ნ (მაისი), ჩ ე რ ვ ე ნ (ივნისი), ლ ი პ ე ნ (ივლისი), ჟ ნ ი ვ ე ნ (აგვისტო), ვ ე რ ა ს ე ნ (სექტემბერი), კ ა ს ტ რ ი ჩ - ნ ი კ (ოქტომბერი), ლ ი ს ტ ა პ ა დ (ნოემბერი), ს ნ ე ჟ ა ნ (დეკემბერი). ამ სახელწოდებებშიც ბუნების მოვლენებია ასახული.

ძირითადად ბუნების მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული თვეების ჩეხური სახელწოდებანიც: ლ ე დ ე ნ (იანვარი), უ ნ ო რ (თებერვალი), ბ რ ე ზ ე ნ (მარტი), დ უ ბ ე ნ (აპრილი), კ ვ ე ტ ე ნ (მაისი), ჩ ე - რ ვ ე ნ (ივნისი), ჩ ე რ ვ ე ნ ც (ივლისი), ს რ პ ე ნ (აგვისტო), ზ ა რ ი (სექტემბერი), ტ რ ი ი ე ნ (ოქტომბერი) ლ ი ს ტ ო პ ა დ (ნოემბერი), პ რ ო ს ი ნ ე ც (დეკემბერი)

რაც შეეხება თვეების პოლონურ სახელწოდებებს, მათ არ ვასახელებთ იმის გამო, რომ თვეების უკრაინული და პოლონური სახელწოდებანი, მარტისა და მაისის გამოკლებით, ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა.

თუ ჩვენს წინადადებას თვეების ქართული სახელწოდების აღდგენის შესახებ ჩვენი თანამემამულენი შეიწყნარებენ და ამ საკითხს სათანადო გადაწყვეტილებით გადაჭრის, მაშინ საჭირო იქნება ქართულმა ჟურნალ-

გაზეთებმა ერთი წლის განმავლობაში თავიანთ გვერდებზე პირველ რიგში მიუთითონ თვეების ქართული სახელწოდებანი, ხოლო ფრჩხილებში რომაული სახელწოდებანი. ერთი წლის გარდამავალი დრო სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ყოველი ჩვენგანი მიეჩვიოს თვეების ქართულ სახელწოდებათა მართებულ გამოყენებას.

1987 წ.

ხვალის საქართველოზე ზრუნვით

ჩვენ გვერდით და ჩვენს ადგილზე ხვალინდელი საქართველოს კანონიერი მემკვიდრე – ახალგაზრდობა დგება.

სრულიად ბუნებრივია უფროსი თაობის შფოთებანარევი კითხვაც („ვის ხელში ვტოვებთ ქვეყანას?") და ასპარეზიდან წასასვლელი კაცის სევდიანი ღიმილი („ჯერ რა მოვასწარ, რომ ასე ჩქარა ცვლა მოახლოვდება"), მაგრამ თუ ერთის მხრივ, დროთა სრბოლის კანონი გარდუვალობის ჯიუტი ნებაა, მეორეს მხრივ, ჩვენ ვიქნებოდით უბედური მამები, ზოგი სკეპტიკოსის ფიქრი რომ მართალი იყოს – ფუყე, უმწიფარი გეგმა – კომპასდაკარგული თაობის ხელში რომ ვტოვებდეთ ქვეყანას.

საბედნიეროდ, ამგვარი ეჭვისთვის საფუძველი არ არსებობს. შეგვიძლია არა მარტო მშვიდად ვიყოთ, ვიამაყოთ კიდეც იმის შეგნებით, რომ ჭეშმარიტად ღირსეული, თავისუფლებისმოყვარული, ეროვნული ფიქრით გამსჭვალული თაობა გუგუნებს ახალი საუკუნის კარიბჭესთან.

ისინი ერთი ნაბიჯით ჩვენზე წინ მიდიან თოთხმეტ აპრილს ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების შენარჩუნებისათვის გამართულ დემონსტრაციაზე, ისინი ბიუროკრატთა კაბინეტების წინ აღამებენ, როცა ეროვნულ პასპორტს საფრთხე ემუქრება და გულგრილთა კარის მტვრევით რომ ვერას გახდებიან, მერე მიტინგად შეჯგუფდებიან და მსოფლიოს გასაგონ-დასანახად დგანან, ისევ და ისევ ტკივილ-კივილიანი ტრანსპარანტით ხელში: „თოფს ნუ ესვრით გარეჯის ფრესკებს".

გარს უვლით და, ღმერთმა ხელი მოგიმართოთო, ვლოცავთ ეროვნული სპექტაკლის მონაწილეებს, სულითა და გულით მათ გვერდით აღმოვჩნდებით, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა: განა ჩვენ არ ჩავდეთ და გავაღვივეთ ხვალინდელი საქართველოს მესვეურთა ნორჩ გულებში საქვეყნო საქმის ყველაზე მაღლა დაყენების განწყობილება?

აქვე უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი ჩვენი თაობის კაცის მამობრივ შიშსა და სიფრთხილესაც თავისი საბუთი აქვს, მან იცის, დაახლოებით ამგვარი დემონსტრაციისთვის ტყვია რომ დაუშინეს უდანაშაულო ხალხს 1956 წლის 9 მარტს, იმავე ღამეს რუსთაველის პროსპექტზე დაღვრილი უმანკო სისხლი სახანძრო მილებით რომ მორეცხეს და ორიოდე თვის

შემდეგ გადარჩენილ-დაშინებული ხალხი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების ნიშნით იმავე გზით საპარადო დემონსტრაციაზე რომ გაატარეს.

და მაინც ნუ შეგვაშინებს ახალგაზრდობის მზადყოფნა ჩვენი ნაციონალური ატრიბუტების დასაცავად. ძვირფასო მეგობრებო, ისინი საადღგომო კრავები კი არ არიან, შეგნებული, ჭკვიანი და ჩვენზე უფრო გაბედული მამულიშვილები გახლავან და სტიქიურ-ფეხსაყოლილ პატრიოტობანას კი არ თამაშობენ, მშვენივრად იციან, რა სურთ და საით მიდიან.

სავალალოდ მაშინ გვექნებოდა საქმე (როგორც ეს ახალგაზრდობაზე გამწყრალ ზოგ „ფილოსოფოსს" სურს და ჰგონია), რომ ასპარეზზე მართლა გულგრილი და ენთუზიაზმსმოკლებული ახალგაზრდობა ჩანდეს, რომ მათთვის სულერთი იყოს ის პოლიტიკურ-ეკონომიური ბრძოლა-ვნებანი, რასაც ჩვენ სიცოცხლე შევწირეთ, რომ სრულიადაც არ აღელვებს ჩვენს ახალგაზრდა თანამებრძოლს, რა დემოგრაფიულ-ეკოლოგიურ-არქეოლოგიური შედეგები მოჰყვება ტრანსკავკასიის რკინიგზას.

ჩვენმა თაობამ ცოტა როდი იბრძოლა ამ ძნელ წლებში ქვეყნად საღი აზრის დასამკვიდრებლად, აშკარად დანის პირზე გაგვივლია ხშირად და ჩვენი სათქმელი მაინც გვითქვამს, ხალხში სიმართლის თესლი გადაგვიგდია, საწაღმართოდ შეგვიბრუნებია საზოგადოებრივი აზრი. ამ დაუსრულებელი ბრძოლის მცირე შედეგი დღესაც აშკარაა – პიროვნების თავისუფლების და დემოკრატიის ჯერჯერობით სუსტმა, მაგრამ მაინც შესამჩნევმა და მაცოცხლებელმა სიომ დაჰქროლა.

...და მაინც, როგორ ქვეყანას ვუტოვებთ ახალგაზრდა თაობას, რას წარმოადგენს იგი – თეატრი კი არა სახელოსნო, ჩვენი შვილების ხვალინდელი გარჯის ასპარეზი და მისალაგებელ-გასამართი დარბაზი?

ჯერჯერობით იგი ნახევრადდემოკრატიული ქვეყანაა, სადაც თავისუფალი კრიტიკა მხოლოდ ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ გარდაცვლილთა მიმართაა დაშვებული და ისიც შერჩევით, რომ იტყვიან შიგა და შიგ.

ჯერჯერობით იგი, თითქმის კვლავ ქაოტური „გეგმიანობის" ინერციით ცხოვრობს, როცა კვლავ „სკოროხოდული" სისტემით იკერება მილიონობით ფეხსაცმელი, რომელსაც არასოდეს არავინ ჩაიცვამს, მილიონობით კვართი, არასოდეს არავინ რომ არ გაუყრის ხელს.

ჯერჯერობით ისევ ვწითლდებით ხოლმე ტელეხიდებში მონაწილეობისას, როცა სიტყვა არჩევნების ჩვენეულ წესზე, ან საზოგადოების რეალურ თავისუფლებაზე ჩამოვარდება, რადგანაც ვისღა დავუმალოთ, როგორც მოჭადრაკეები იტყვიან, ხშირად წამგებიან პოზიციაში ვართ.

ვთქვათ, ვინმე უგუნურმა სამხედრო პირმა გადადგა ერის საწინააღმდეგო ნაბიჯი, ფეხებზე დაიკიდა საქართველოს ისტორია და რომელიმე ისტორიული ძეგლის შემოგარენი სასროლ პოლიგონად აქცია.

ჭურვები მონასტრის ფრესკიან კედელთა სიახლოვეს სკდება. ძეგლთა დაცვის საზოგადოება შემკრთალია და საეჭვოდ დუმს. საჭიროა სასწრაფოდ ხმის ამაღლება, საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, ერის ხმის დაკვესება, რაკი ცალკეულ პირთა ნათქვამი ოფიცრის ყურის სქელ ბარაბანს არა და არ არხევს. სასწრაფოდ მიტინგი უნდა მოეწყოს, რათა მიხვდეს ის უკეთური კაცი, რა ძვირად უღირს ქართველ ხალხს თავისი ეროვნული პასპორტი. ამ დროს სასწრაფო და სახელდახელო მიტინგი, თურმე ნუ იტყვით, საზოგადოებრივ ხულიგნობად ითვლება და მისი მონაწილე ისჯება ერთიდან სამ წლამდე პატიმრობით. საქმე არ ითმენს?! კეთილ ინებეთ და შვიდი დღით ადრე განცხადება შეიტანეთ აღმასკომის სახელზე მიტინგის მიზნის დასაბუთებით, თანაც დაწვრილებით ჩამოთვალეთ იმ განცხადებაში მიტინგ-მანიფესტაციის ორგანიზატორთა გვარები, მისამართი და სხვა ბიოგრაფიული მონაცემები. ორგანიზატორის „საიმედოობის“ შემოწმების საშუალებას რომ მისცემს სათანადო ამხანაგებს, ერთ კვირაში აღმასკომი პასუხ-რჩევას გაცნობებთ იმის შესახებ, რომ ეს საკითხი უმჯობესია უმიტინგოდ და უდემონსტრაციოდ გადაიჭრას (ორგანიზატორთა სიას იგი, ყოველ შემთხვევაში, დაიტოვებს სამომავლოდ შესასწავლად და გასაანალიზებლად). თქვენ შეშფოთებული „ასაჩივრებთ“ ამ ფაქტს ხუთი დღის განმავლობაში ზემდგომ ინსტანციაში, რომლის „გადაწყვეტილება მიიღება ათი დღის ვადაში და საბოლოოა“. ვთქვათ იმ საბოლოო გადაწყვეტილებით დაგვრთეს ნება მიტინგის ჩატარებისა. ამ ხნის განმავლობაში პოლიგონად ქცეულ ისტორიულ ძეგლებს შერჩება ფრესკები ან კედლები საერთოდ? თუ, მე შენ გეტყვი, გადაწყვეტილების მიღებამდე დაგელოდება სროლით გართული ოფიცერი, რომელსაც თავის მხრივ თავისი გეგმა-მიზანი აქვს?

და მაინც მთელი ხმით ვამბობ, რომ ყინული გალღვა, დაიძრა. პრესაში იბეჭდება აქამდე ჭორად დარხეული რამ; რევოლვერით ხელში როგორ დასდევდნენ ერთმანეთს წარსულში ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელნი სადმე კულუარებში კი არა, თვით პოლიტბიუროს სხდომებზე, რა ჯიბგირული მეთოდებით იგდებდა ზოგი ძალაუფლებას ხელში. როგორ გგონიათ, ვინ იყვნენ ისინი? ვის სურათებსაც ჩვენ მშრომელები პარადზე მაღლაანწეულს ვატარებდით და უბადლო მსხნელ-მარჩენალად მიგვაჩნია. ეს მწარე სიმართლეა, მაგრამ საჭიროა სიმართლე იმ დაეჭვებული კაცის განწყობილების გასაბათილებლად, ვისაც ბრმად სჯეროდა.

ისტორია თავისი ზიგზაგებიანი, მაგრამ მართალი გზით მიემართება. თითქმის ყველაფერი კანონზომიერად ვითარდება, ისტორიის ბარომეტრი ხვალ კარგ ამინდს გვპირდება.

1987 წ.

ახალ მიჯნათა დასაძლევად

საუკუნის კალენდარი ბოლო წლებს ითვლის.

საქართველომ ისტორიის კიდევ ერთი ძნელი მოსახვევი გაიარა და მისი ძველთაძველი, მაგრამ ჯანმაგარი ხომალდი, სადაცაა, ოცდამეერთე საუკუნეში შეცურდება.

წინ დროთა ამოუცნობი ოკეანე ილანდება; თავისი ფიორდებით, აისბერგებით მაცდური დარებით და ქარიშხალთა საბედისწერო ამოხველებითაც. იმ ქარიშხლებს დიახაც შეუძლიათ ავად დაჰბერონ და მცირერიცხოვან ერთა ნავსაყუდელი ისტორიის წიაღიდან გადარეცხონ, მაგრამ რუსთაველის ქვეყნის სხეული ძელქვასავით ძვალმაგარი აღმოჩნდა. როცა ეპოქათა ცადატივტივებული ჯანღი-ტალღა ნაპირს გადალოკავს და ბევრს რასმე ქვესკნელში ჩარეცხავს, მტერთა სავალალოდ იმწამსვე გაირკვევა, რომ ჩვენი ციხე-ბურჯები ისევ დგანან, ხორნაბუჯის შემოგარენში ქართველი ბავშვების ჟრიამული ისმის და გუტენბერგის მონჯღრეულ-მობერებული მანქანა ჭრიალ-კრაწანით კვლავ ბეჭდავს ქართველთა ბიბლიას – „ვეფხისტყაოსანს“.

მომავალ თაობათა საიმედო ხელებამდე ჩვენი ეროვნული სახის მიტანაში ლომის წილი ქართულ მწერლობას უდევს. მისი თავგანწირული კვეთება და ზარების ცემა არ დააძინებს ერს, სანამ ერთი თავგადაკლული მესიტყვე მაინც ივლის მტკვრისა და რიონის ნაპირებზე. ეს მწერალი მოსძახის საუკუნეებს „ნუ გათათრდების“ სულისწამლეკი ძახილით. იგი პირველი გაიგლეჯს პერანგს და საუკუნის სამიზნეზე უყოყმანოდ დადგება, როცა ქართულ ენას და ქართველი კაცის ეროვნულ თვითმყოფობას საფრთხე დაემუქრება. იგი პირველი ეკვეთება თანამედროვე საქართველოს მაღალ ღირსებებზე ირონიულად მოჩიფჩიფე, აცუნდრუკებულ ჟურნალისტს სახელის შოვნის საეჭვო გზას რომ დადგომია და რაინდულ ადათ-წესთა კლასიკური ქვეყანა შექილიკების დაბალ ღობედ მოჩვენებია.

ილია ჭავჭავაძის დიდებულად ჩავლილმა იუბილემ ერთხელ კიდევ აგვიხილა თვალი, და დაგვანახა, რომ „მგზავრის წერილების“ ავტორის იდეებს სიბერე არ უწერიათ და მამულის მოვლის ილიასეული ოსტატობა ყოველთვის წმინდა მაგალთი უნდა იყოს ერის ბრძენი მამის კვალზე მოსულ, უმრწემეს შვილთათვის.

რა ერთსულოვნად დაგვიდგა გვერდით კეთილი ნების ცივილიზებული მსოფლიო, რა კეთილშობილები ჩანდნენ საიუბილეო ტრიბუნიდან ლამაზწვეროსანი, კულტურის ელჩები კოლიზეუმის და ტრაფალგარის, ფუძიამას და კორდილიერების სიახლოვეს აღზრდილნი კახურ-იმერულად რომ უქცევდნენ და თანადგომას იმითაც გვაგრძნობინებდნენ, რომ თავიანთ ენაზე თარგმნილ და გამოცემულ ქართულ წიგნებს გვაწვდიდნენ სიხარულისგან გაამაყებულთ.

იუბილემ დახურა თავისი აბრეშუმისარშიიანი დიდი წიგნი. ახლა შინაც მიმოვიხედოთ. მსოფლიო კულტურის უკეთეს შვილთა ჩვენთან გადმოსულ ალავერდს დაფასება სჭირდება, მტერ-მოყვარეს პასუხის გაცემა უნდა, წინ დიდი სამუშაო გველოდება, გაფაციცება გვმართებს ისე, როგორც არასდროს.

ამ დიდ საგარდაქმნო ლაშქრობაში, ეპოქის ანგარიშიან ბრუნვატრიალში ყველანი უნდა ჩავერთოთ. არას გვარგებს ახლა ღილ-კილოთა გულმოდგინე შეწყვილებით, პეწიანი განზე დგომა და შუასაუკუნური ლამაზსიტყვაობა. წარსული დიდი ფარია, მაგრამ ოდენ მის იმედზე ყოფნა ისტორიის ვეშაპისგან ვერ დაგვიფარავს.

რომ იტყვიან, ყური გამოვიბერტყოთ და დროს ავუწყოთ ფეხი. დრო კი განსაცვიფრებლად საინტერესო დაგვიდგა. მწერლობამ რკინის ქალამნები უნდა ჩაიცვას და ათასი მიზეზის გამო დაბნეულ მრევლს კეთილ მრჩევლად მოევლინოს.

„არაფერი შეცვლილა“, „კვლავ ძველებურად მივერეკებით“, „გარდაქმნა ჩაშალაო“ რომ ვიქირქილოთ გაუთავებლად, ამით არაფერი გამოვა და უმადურობის ჭიაც უფრო ღრმად ჩაგვისახლდება სულში. თუ საწაღმართოს ვერაფერს ვატყობთ ჩვენს ცხოვრებას, ისევ და ისევ ჩვენს თავს დავაბრალოთ.

რა შეიცვალა კონკრეტულად მწერლობაში?

ლიტერატურა ათწლეულის მანძილზე ინერციით ცხოვრობდა. ერის სულიერი წინამძღოლის ფუნქცია ლამის ჩამოგვაცილეს და უმწიფარ დადგენილებათა მხარდამჭერ-პანეგირიკთა შეურაცხმყოფელი მისია დაგვიტოვეს. რედაქტორებს სამსახურიდან ხსნიდნენ გაბედული სტრიქონის გაშვებისათვის, კალაპოტში ჩაყენებამ ზოგი მწერლის აზროვნებას ის დამართა, რომ არცთუ იშვიათად იქმნებოდა ნაწარმოები, რომლის გმირი ცხოვრებაში აღარ იყო. იწერებოდა ლექსი, რომლის პათოსი არავის სჯეროდა: არც დამბეჭდავს, არც წამკითხველს და, მე მგონი, არც დამწერს.

ახლა კი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ჭირისუფლური პოზიციით შექმნილ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს თავისუფლად ვბეჭდავთ და მის ავტორს ამას დიდ მოაქალაქეობრივ გაბედულებად როდი ვუთვლით. თუ ჯერ კიდევ ვერ გვითქვამს „გულის მოსაფხანი“ სიტყვა ხალხისთვის, მხოლოდ ძველი ინერციის გამო და იმ აუხსნელი სიფრთხილით, რომლის წყალობითაც ხანდახნ ჩვენივე ჩრდილისა გვეშინია.

გარდა სიმართლის თქმისთვის ტაბუს ახსნისა, გარდაქმნამ სხვა სიკეთეც მოგვიტანა: ნელ-ნელა ესმება წერტილი საგამომცემლო ცხოვრების უხერხულობებს წლების განმავლობაში ნიჭიერ მწერალს ხალხთან მისასვლელ ბილიკებს რომ უხერგავდა.

დროთა ანგარიში და საგამომცემლო კომერციაც ვისწავლოთ. განა საჭიროა საგამომცემლო გეგმის სამ ადგილას დამტკიცება და გამომცემლობისთვის. ამის დაჟინებული მოთხოვნა, რომ გეგმის „მონად იქცეს“ და მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას მხარდამხარ არ მიჰყვეს ახლადშექმნილი ფრიადმნიშვნელოვანი ნაწარმოები სამ წელიწადს „ამჟავოს“ საგამომცემლო პორტფელში? უნდა გადმოვიღოთ სასინჯი ტირაჟების რატომღაც კაპიტალისტურად მიჩნეული (და ამის გამო დაგმობილი) წესიც. ერთი სიტყვით, პირველ რიგში ნიჭიერ მწერალს მივცეთ მწვანე გზა და ვისი წიგნიც არ იყიდება, მიუხედავად ავტორთა ამბიციური მიდგომ-მოდგომისა, საერთოდ აღარ უნდა გამოიცეს.

ჩვენ დიდი კულტურის შვილები ვართ და მის დღევანდელ მესვეურთ სხვა მხრივაც გვმართებს ზომიერების გამოჩენა, დაფიქრება:

ნუ დავეხარბებით საზეიმო სიტყვის თქმის დროს სტუმრის მიერ ანკესივით გადმოგდებულ ორიოდე ქართულ სიტყვას და ტაშის კორიანტელს ნუ დავაყენებთ. განურჩევლობის პანეგირიკით ნუ მივუდგებით ჩამოსულთ, აქაოდა სტუმარიაო, მაშინ, როდესაც საქართველო დიდ ლიტერატურულ ურთიერთკავშირშია ჩაბმული იაპონიასთან, იტალიასთან, საფრანგეთთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ინგლისთან და სხვა ქვეყნებთან, მშვენივრად მოუხერხებია ისეთ მდიდარ და მაღალი პოლიგრაფიული კულტურის ქეყანას, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, რომ დღემდე არც ერთი ქართველი მწერლის წიგნი არ გამოეცა.

ქართული მწერლობა, თუნდაც ამ საუკუნისა, დიდი მასშტაბების და მაღალი მხატვრული დონის მწერლობაა, ასე აფასებენ მას ისინი, ვინც მარტო ყალბი დაპირებებით კი არა, საქმის კაცის გულმოდგინებით გადაშალა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის დიდი წიგნი.

ჩვენში დიახაც რომ დიდი მთარგმნელობითი საქმიანობაა გაშლილი. ამ საპატიო საქმეს უნარიანად უძღვება მთარგმნელობითი კოლეგია და მაშინ, როცა უკანასკნელ ათწლეულში ჩვენში თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მწერალთა ორმოცამდე წიგნი ითარგმნა და გამოიცა, ამ დროის განმავლობაში არც ერთი ქართული წიგნი არ გამოცემულა ბელორუსიულად, ლიტვურად, ლატვიურად, უზბეკურად, ყაზახურად, ტაჯიკურად, თურქმენულად და ავტონომიურ ოლქთა თუ რესპუბლიკათა (გარდა აფხაზურისა და ოსურისა) მშობლიურ ენებზე.

რატომ ხდება ასე? ცალმხრივი ლიტერატურული ძმობა ხომ არ გამოდის?

ქართველი კაცი ვალში არავის რჩება. იგი დროთა განმავლობაში ამ გარდაქმნის წყალობით თავდაჭერის, აღტაცების მოთოკვის ნერვსაც გააფაქიზებს და ცოდვა-მადლის სწორად აწონვასაც ასწავლის.

და მაინც კულტურულ ცხოვრებაში წუწურაქული ანგარიშიანობისგან ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენ რუსთველის ქვეყანა ვართ.

1987 წ.

მივხედოთ თბილისის ჭიშკარს!

დიღომს ყელში წაუჭირა ბეტონის ხელი ქალაქმა და სოფელი სულს ძლივს ღაფავს.

დიღომი მალე გაქრება.

რა უბედურება ეგ არიო, იკითხავს მკითხველი ურბანიზმს დიდი მუცელი აქვს და ინდუსტრია თუ ჭარბმოსახლეობა ყლაპავს ქალაქის ახლობელ პატარა სოფელსო. განა იგივე ბედი არ ეწია სოფელ ვერეს, სოფელ დელისს, სოფელ ვაკეს, გლდანს და სხვა სოფლებსო.

დიღომი კი არა, შე კაი კაცო, პომპეუსი გაქრა და ტროა გაქრა მიზეზთა გამო პირისაგან მიწისაო.

კი მაგრამ დიღომი – ეს თბილისის კარზე მომდგარი სუფთა ქართული სოფელი რომ გაქრება და ქალაქი შეიწოვს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გაქრება დიღმური კიტრი და პამიდორი, მშვენიერი დიღმური ვაშლი და ატამი, დიღმური ყველი და მაწონი... ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ქალაქს გადაეჭრება ერთი სასიცოცხლო ქართული არტერია და კიდევ უფრო აღმოვჩნდებით თბილისის ირგვლივ შემოჯარულ გადამთიელთა კალთაში-მეთქი, ვუპასუხებ ჩემს სკეპტიკოს ოპონენტს.

რა დაემართა დიღომს?

რაც სხვა სოფლებს სჭირს საქართველოში.

უკანასკნელად საკარმიდამო ნაკვეთი მკვიდრ ქართველ კაცზე დიღომში ამ ოცი წლის წინათ გაიცა. ამის შემდეგ განცხადება–თხოვნების ნიაღვარი მიდის გამრავლებული, კომლგაყოფილი დიღმელი გლეხისგან სათანადო ორგანოებში, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყურსაც არავინ იბერტყავს დიღმელთა გასაჭირზე.

სამაგიეროდ, დაქიჩმაჩებული არიან სხვადასხვა უწყებები, როგორ შეავიწროვონ დიღმელები, დღითი-დღე მტკაველ-მტკაველ, როგორ წაართვან მარჩენალი მიწა.

ქალაქი თავკომბალასავით იზრდება, თბილისის უთავბოლო გაზრდის წინააღმდეგ ბოლო ათეულ წლებში მხოლოდ სიტყვით, გულზე პატრიოტული მჯიღისცემით ვიბრძვით. ადმინისტრაციულ-ჩინოვნიკურ მაფიას კი გულში ეცინება ჩვენს პატრიოტულ აღტკინებაზე. იგი თავის საქმეს აკეთებს.

კერძოდ რა საქმეს?

ჯერ საუკეთესო სავარგულები წაართვეს დიღომს და იმ ადგილებზე, რომელიც მწვანილეულით კვებავდა ქალაქს, „დიდი დიღომი“ ააშენეს.

ამასაც არ დასჯერდნენ, ქალაქი იზრდებაო და ახლა დარჩენილ 250 ჰექტარსაც ართმევენ ამის უმინოდ დარჩენილ სოფელს.

გააფრთებული ბრძოლა მიმდინარეობს დიღმელებსა და საინჟინრო-ინდუსტრიულ ხელისუფალთა შორის.

სოფლელებმა ბარიკადები აღმართეს და უკვე მესამედ გააბრუნეს

უკან ცემენტით და სამშენებლო ტექნიკით დატვირთული მანქანები.

ეს „აქცია“ (ასე მოდაში რომ შემოვიდა ამ ბოლო დროს) დიღმელებს ინდუსტრიის წინააღმდეგ რეზერვაციაში შერევის შიშით შეპყრობილ ინდიელთა მსგავსად არ მოუგონიათ; ეს ურბანიზმთან მებრძოლი გაჭირვეულებული სოფლის ამბოხება კი არ არის, ისინი თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისთვის იბრძვიან.

თუ ეს 250 ჰექტარიც დათმეს, ეს იმას ნიშნავს, რომ დიღომი აღარ იარსებებს, უნდა აიყაროს ათასწლოვანი ქართული სოფელი და ქალაქს შეეხიზნოს. მებოსტნე-მწარმოებელი უნდა ჩაკლა თავის თავში და მომხმარებელთა მოსაწყენ რიგებს მიემატოს.

სხვა მხრიდანაც შემოუტია აგრესიულმა ინდუსტრიამ დიღომს. სოფლის ბოლოს მეცხოველეობის ფერმების გვერდით ცემენტის ქარხნის აშენებას აპირებენ.

ჯერ ერთი, ცემენტის ქარხანას რა უნდა თბილისთან ასე ახლოს. ნუთუ თბილისის ისედაც მოწამლულ ჰაერს ცემენტის მტვრით „დამშვენება“ აკლია? თბილისი ხომ თავისი ლანდშაფტით დიდი ქალაქისთვის სრულიად შეუფერებელ ტაფობშია მოქცეული, ტაფობი კი ბუნებრივი ვენტილაციის პირობებს ზღუდავს და უძოდან რომ დავხედოთ თბილისს, წელიწადის ყველა დროს აღმოვაჩენთ ქალაქის თავზე დაკიდებულ მომწამვლელ ჯანღს. დაემატება „ამა სიკეთეს“ ცემენტის ქარხანა და თბილისში სუნთქვა საერთოდ შეუძლებელი გახდება.

თუ ცემენტის ქარხანა აშენდა, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ იმდღესვე უნდა გაქრეს იმ შემოგარენიდან საძოვრების უქონლობის გამო, ისედაც შეჭირვებული დიღმელთა პირუტყვი?

ვინ მოამარაგოს თბილი, ბუნებრივი რძით დედაქალაქი? ახლა რომ დიღმელები ნატურალური რძის ქალაქის ფონდის ნახევარს თბილისს აწვდიან. გადავიდეთ მთლიანად ფხვნილ-რძეზე, ან არაქართული სოფლების მერყევი ორიენტაციის იმედზე ვიყოთ?

ინდუსტრიის ალყა მესამე მხრიდანაც მოაწვა დიღომს.

გაუთავებელ საბოსტნე-სააგარაკე დოღში ეს უმინო სოფელიც აღმოჩნდა ჩართული.

ჩვენ ხომ აგარაკიც ახლოს უნდა გვქონდეს, აქვე, ქუჩის ბოლოში, ერთი ხელის გაწვდენაზე.

ამიტომაც ჩნდება და ჩნდება გავლენიან პირთა ბოსტან-ვილები დიღმის ტერიტორიაზე.

ჩნდება ძლიერთა ამა ქვეყნისათა გაფორმებულ-გაუფორმებელი ნაკვეთები. აბა ერთი უბატონოდ ხმა გასცეს სასოფლო საბჭომ მოაგარკე ყოვლისშემძლეს? იგი მიწას კი არ იტაცებს, მას „ეკუთვნის“ მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის წინაშე თავისი განსაკუთრებული დამსახურების გამო.

კიდევ ერთ სადიღმე პრობლემას უნდა შევეხო.

სოფლის ბოლოს გაშლილია უზარმაზარი მინდორი, რომელსაც დიდგორის ველი ჰქვია. დიდგორის ველი მთავრდება მაღალი, ულამაზესი მთით, რომელსაც ოდითგან დიდგორს ეძახიან, ხოლო დიდგორის ველს მარჯვენა მხარეს აკრავს ხევი, რომელსაც ჩახერგილას ხევს ეძახიან.

დიდგორის ბრძოლის ადგილის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში საბოლოო შეთანხმება არ არსებობს. მე ვფიქრობ, საკმაოზე მეტი არგუმენტები ამ მოკამათეთა მხარესაა, ვისაც მიაჩნია რომ დიდგორის ბრძოლა სწორედ აქ უნდა მომხდარიყო. უკანასკნელ ათწლეულებში დიდგორის ბრძოლის ადგილად მიჩნეული ტერიტორია, სადაც მემორიალი უნდა აღიმართოს, თავისი მთიანი რელიეფისა და ციცაბო ზედაპირის გამო ხუთას ათასამდე ერთმანეთს შერკინებულ ლაშქარს ვერ დაიტევდა. ესეც არ იყოს თბილისის დაცვა სწორედ აქ, ამ „დიღმის დიდგორში“ მოხდებოდა და არა თბილისიდან საკმაოზე მეტი მანძილით დაშორებულ ადგილას, ხოლო ხევი „ჩახერგილიც“ ჯიუტად მიგვანიშნებს ისტორკოსთა ცნობებზე დავით აღმაშენებლის საოცარი სტრატეგიული ნაბიჯის გამო.

ეს საკითხი „თბილისის“ ფურცლებზე ერთხელ უკვე დაისვა, მაგრამ ისტორიკოსთაგან არავინ გამოხმაურებია. დიდგორის ნამდვილ დიდგორობაში ისიც გვარწმუნებს, რომ ველზე არაერთი სალოცავი ნიშია და ბულდოზერის ნიჩაბს მიწიდან ხშირად ამოჰყვება ხოლმე კაცის თავის ქალა.

ჩვენ, მსოფლიო პრობლემებს შეჭიდებულებს, არქეოლოგიურ ძიებათა ინტერესით დედაქალაქიდან შორს გაწეულებს, ხანდახან ახლო ყური, უპირველესი ჭიშკარი გვავიწყდება ხოლმე.

„დიღომი“ საქართველოს დემოგრაფიული მოვლის, ეროვნული სისუფთავის ბრძოლის ჩვენი წარსულის ატრიბუტების შენარჩუნების პრობლემათა ორგანული ნაწილია და დროულ ყურადღება-მკურნალობას მოითხოვს.

სახელდობრ: სოფელ დიღომს დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს უსამართლოდ ჩამორთმეული 250 ჰექტარი, უნდა გადაისინჯოს და გაუქმდეს დიღმის სიახლოვეს ცემენტის ქარხნის აშენების პროექტი და ისტორიკოსებმა დროულად შეისწავლონ დიდგორის ველის პრობლემა საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ძლევამოსილი ომის ჭეშმარიტი ადგილის დასადგენად.

1988 წ.

ფესვებს, ფესვებს ჩავუღრმავდეთ

(ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკავშირო სემინარზე წარმოთქმული სიტყვა)

ამას წინათ ჩემთან თბილისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი მოვიდა. მოგმართავთო, როგორც მწერალს და შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ნარკომანიისა და ლოთობის სექციის თავმჯდომარეს, ერთ შემთხვევას გიამბობთ და იქნებ რჩევით შემეწიოთო. მართლაც სევდიანი სურათი დამიხატა. ჩვენს სკოლაშიო, ნარკომანიის სნებამ დაიბუდაო. მეექვსე-მეშვიდე კლასებში რამდენიმე დამწყები ნარკომანი აღმოვაჩინეთო. რაკი მხოლოდ საწყის სტადიასთან, ეპიზოდურ შემთხვევასთან გვქონდა საქმე, შემჩნეული მოსწავლეები არ გავრიცხეთ და დამსჯელ ორგანოებს არ გადავეცით, მაგრამ მათ წინააღმდეგ სასწრაფოდ მივიღეთ ზომები. „ზომებიდან“ ერთ-ერთი მთავარი ის გახლდათ, რომ დამწყები ნარკომანები გამოსასწორებლად ფრიადოსან, აქტივისტ მოწაფეებს მივამაგრეთო, მიმაგრებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ექვსიოდე თვეში ჩვენი სანაქებო მოსწავლეები იმათ გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ, ვინც უნდა გამოესწორებინათო. დროზე რომ არ ჩავრეულიყავით და არ დაგვეშორებინა, შეიძლება ჩვენი ჩანაფიქრის აბსოლუტურად საწინააღმდეგო შედეგი მიგვეღო. ამიხსენით, რატომ მოხდა ასე და როგორ გამოიყურება პირადი მაგალითის ძალის ცნობილი თეორია ამ ეპიზოდის შუქზეო.

დიდი ფიქრი არ დამჭირვებია გაოცებული დირექტორის დასაშოშმინებლად. ავუხსენი, რომ იმ ასაკში ხშირად უარყოფითი მაგალითი დადებითზე უფრო გადამდებია. ესეც არ იყოს, ვერც „მიმაგრების“ ხელოვნურ ოპერაციაში ვხედავ დიდ პედაგოგიურ სიბრძნეს-მეთქი.

რამდენადაც იოლი იყო იმ სკოლის დირექტორისთვის პასუხის გაცემა, იმდენავე ძნელია ნარკომანიის ზოგი თეორეტიკოსისთვის ახსნა იმისა, თუ რატომ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირში ბოლო ათ წელიწადში ნარკომანია 28 პროცენტით გაიზარდა.

რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? როგორ მოხდა, რომ ჩვენს საზოგადოებას მაჯლაჯუნასავით ედება ყოველწლიურად მზარდი ნარკომანია? საფუძველი ხომ არ ეცლება ათეული წლების განმავლობაში ამოჩემებულ, დოგმადექცეულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჩვენში ნარკომანიის და სხვა ადამიანურ მანკიერებებისთვის სოციალური ნიადაგი არ არსებობს? რომ თუ რამ სენი ჯერ კიდევ ფეთქავს საბჭოთა ადამიანის „ჯანსაღ სულში“ ეს მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის გადმონაშთია, ან იმპერიალისტური ბანაკის დივერსია?

ნუთუ ნარკომანია მხოლოდ სუსტნერვებიან ერთეულთა მანკიერი თვისებაა და მეტი არაფერი?

არა, სამწუხაროდ, არ არის ასე და სანამ ღრმად არ შევისწავლით ნარკომანიის სოციალურ ფესვებს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდებით ბრძოლა ამ საშიშ მოვლენას ვერ დაგვამარცხებინებს.

ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ნარკომანია უძველეს ეპოქებში იღებს სათავეს, მაგრამ ასეთი მასშტაბები მას არასოდეს ჰქონია.

ახლა მეშინია კიდევ იმის გაფიქრება, რომ ჩვენში ლამის ახალი პარტია გაჩნდა – „ნარკომანების პარტია“... ისინი ისე ორგანიზებულად „მუშ-

აობენ“, რომ ხშირად შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებსაც აოცებენ. ეს ორგანიზებულობა, პირველ ყოვლისა, სამაგალითო კონსპირაციულობაში გამოიხატება („არ მახსოვს, ვისგან ვიყიდე“, „არ ვიცი, ვინ გადმომცა“), ძნელად ძალიან ძნელად გასცემენ თავიანთ თანამზრახველთ. პროპაგანდა მათზე თითქმის ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს და წარმოიდგინეთ, ბევრი მათგანი მკურნალობასაც არ ექვემდებარება.

ნარკომანია რომ მხოლოდ ავადმყოფობა იყოს, ჩვენ ამ დაავადებით სნეულთ მხოლოდ ვუმკურნალებდით ან, უარეს შემთხვევაში, თავს გავანებებდით. მაგრამ ნარკომანი ჩვენი სოციალური მტერია, იმ არცთუ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ საშინელი სენით დაავადებულთა უმეტესობა თანდათანობით, მძარცველად, ბანდიტად ყალიბდება. აი, რატომ აღვსდექით ამ „მავნე ჩვევის“ წინააღმდგ, თორემ, კაცმა რომ თქვა, თამბაქოს წევაც გარკვეული დოზით ნარკომანიაა, დიახ თამბაქოს წევა, რასაც ასე ენეგიულად „ემსახურებიან“ ნარკომანებზე აღშფოთებით მოსაუბრე ამ დარბაზსა და პრეზიდიუმში მსხდომი ქალები და შიგა და შიგ მამაკაცებიც. მაგრამ თამბაქოს წევას არ მოჰყვება სოციალურად საშიში შედეგები და ამიტომაც ჩვენ ისე ფართო ფრონტით, ცეცხლითა და მახვილით არ ვებრძვით მას.

ამას წინათ ერთ ნარკომან გოგონას ვესაუბრე და იცით რა მითხრა: „არა მარტო „კაიფში“ („ნირვანა“) ყოფნა მსიამოვნებს, თვით „წამლის“ მოპოვების კონსპირაციული პროცესიც ძალიან მართობს. ნარკომანობა ჩვენი პროტესტის ფორმაა, თორემ თქვენ მსოფლიო საქმეებით გართულებს, შეიძლება ჩვენთვის ყურადღება აღარასოდეს მოგექციათო. თქვენ უფროსმა თაობამ ხომ კარგა ხანია დაგვივიწყეთ ისინი, ვინც ხვალ თქვენ შემცვლელად უნდა მოვიდესო“. „როგორ თუ დაგივიწყეთ, მაშ ვისთვის არის ეს სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, კომკავშირი-მეთქი“. კარგი ერთი თუ ღმერთი გწამთ, ეს ყველაფერი ქიმერაა. საბჭოთა კავშირში სკოლა სკოლას მხოლოდ გარეგნულად ჰგავს. ინსტიტუტებში ასწავლით ოცდაათიანი წლების საგნებს ოცდაათიანი წლებისავე მეთოდებით, ხოლო კომკავშირში თვით მდივნებიც კი სხედან და უსაქმობისგან მოწყენილად ამთქნარებენო“.

საიდან გაჩნდა ეს „უცნაური“ ფიქრები ოცი წლის გოგონას თავში? რატომ მიაჩნია მას პროტესტის ფორმად, თავის თავში ჩაბრუნების საშუალებად ნარკომანია, ან რამ გაუჩინა მისი წინა თაობის მიმართ პროტესტის გრძნობა?

ადვილია სტაცო იმ გოგონას ხელი და როგორც ჩვენ სიყვარულით ვეძახით, „საექიმო-პროფილაქტიკურ ცენტრში“ შეამწყვდიო, მაგრამ გაცილებით ძნელია ნარკომანიის სოციალურ ასპექტებში ჩაღრმავება.

ახლო წრსულის გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ჩვენში უმუშევრობის პრობლემა მოხსნილია. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. დააბიჯებენ ქუჩაში ასეულობით

უმაღლესი და საშუალო სპეციალურ განათლებამიღებული ახალგაზრდები. შორს რომ არ წავიდე, ჩემს კაბინეტში ყოველდღიურად ხუთი-ექვსი ჩემი ყოფილი სტუდენტი შემოდის თხოვნით, „იქნებ სადმე მოგვაწყოთ და აღარაფერს დავეძებთ, დავიღალეთ ლოდინითო“. მე ან ტყუილი დაპირებებით ვისტუმრებ, ან სირცხვილით გათანგული უმწეოდ ვასავსავებ ხელებს, რაკიღა ვერაფერს ვშველი. ადგება ახლა „პოლემიკის“ მოყვარული“ და მეტყვის „კი მაგრამ, რატომ არ წავიდნენ განაწილების ადგილას? ან საერთოდ, რატომ არ სურთ იმუშაონ ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის შორეულ რაიონებში, სადაც ასე სჭირდება სპეციალისტებიო?“ ჯერ ერთი ყველას ვერ ვანაწილებთ, მეორც ყველას როდი ხვდებიან ხელგაშლით და თავაზიანად განათლების ადგილებზე („ჰა, შენ ბინა, სამსახური, ბურთი და ჰა მოედანიო...“), ხოლო რაც შეეხება შორეულზე შორეულ ოლქებს, ჩვენ შორის დარჩეს და მე ვერაფერს ვხედავ ცუდს იმაში, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს სურვილი ჰქონდეს, უპირველეს ყოვლისა, თავის ხალხს, თავის სამშობლოს ემსახუროს, ქართველმა საქართველოს, იაკუტმა იაკუტიას.

დაუმატეთ ყოველივე ზემოთქმულს ჩვენი პარადოქსული ისტორია, ადამიანის რწმენის ბატალიები, დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობის საშიშროება დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდია ჩვენი თანამდროვის თავზე და თქვენ მიიღებთ ნარკომანიის გავრცელების ხელშემწყობ სოციალურ მიზეზთა კომპლექსს.

„როგორ ფიქრობთ, რატომ იქცევიან თავდაპირველად უწყინარი ნარკომანები საშიშ რეციდივისტებად? – მითხრა ერთმა ნარკომანმა – იმიტომ რომ ნარკოტიკი ძვირია და მისი შოვნაც საკმაოდ სახიფათოა. აი, ნარკოტიკული ნივთიერებანი დეფიციტი რომ არ იყოს, რომ იყიდებოდეს კიოსკებში სიგარეტივით, დამერწმუნეთ არც ერთი ნარკომანი რეციდივისტად არ ჩამოყალიბდებოდა“. რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ნარკომანობა ხომ ამ უდიდეს სიამოვნებაზე უარის თქმაა რასაც ადამიანობა ჰქვია? რა შეიძლება იყოს ბუნებისგან ბოძებული უფრო დიდი ჯილდო, – იყო ნორმალური კაცი, ან ნორმალური ქალი, თქვენ კი თქვენი ხელითვე თქვენსავე თავს რაღაც საშუალო სქესისკენ მიერეკებით“ – ვუთხარი მე. „კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, იმათ, ვინც ჩვენზეა დაგეშილი, ჩვენი ჯანმრთელობა სულ არ ადარდებთ, უბრალოდ ჩვენი ეშინიათ, გვებრძვის, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს – ქურდებს და მკვლელებს. გაჰყიდონ ნარკოტიკები ჩამოფასებულ მაღაზიებში და ნახავთ, როგორ დაისვენებენ ჩვენგან მილიციის მუშაკები – ისე დარწმუნებულად მომიგო, იფიქრებდით ჭეშმარიტების გასაღები ამ კაცს ჯიბეში უდევსო.

ასე სვამს საკითხს ნარკომანი, იგი ახალგაზრდობისადმი წლების განმავლობაში ჩვენი არასწორი დამოკიდებულების შედეგი გახლავთ. იქნებ, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობის ერთი ნაწილის გაუცხოვებაში

ჩვენვე ვართ დამნაშავე, ისინი ვინც მათი მაძიებელი სულის ამოვსებას წლების განმავლობაში ლოზუნგებით, „მამათა და შვილთა“ ყალბი ფიცით და სუმბურული დაკვირვებებით ცდილობდა?

ბოლოჟამს თითზე კბენანი (რაც ახლა დიდ პატივშია) რომ არ დაგვჭირდეს, ახლა საჭიროა აი, რა: პირველი – გონივრულად, მეცნიერულად შევისწავლოთ ნარკომანიის სოციალური მიზეზები და სათავეში ამღვრეული წყალი სათავიდანვე დავწმინდოთ; მეორე გავაძლიეროთ იურიდიული პასუხისმგებლობა ნარკომანთა და განსაკუთრებით ნარკოტიკების გამავრცელებელ პირთა მიმართ; მესამე რაც შეიძლება მაღალი ჯეგირით დავაცილოთ ერთმანეთს ნარკომანი და საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, ერთი საათითაც არ დავტოვოთ ჩვენი შვილები უმეთვალყუროდ.

1987 წ.

ზარი ყველას უხმობს

რა მახვილგონივრულადაც უნდა დავასაბუთოთ, რომ საჭიროა უკეთ ვიშრომოთ და რიხიანადაც უნდა შევუძახოთ ქვეყანას – ხვალიდან ყველამ ერთად უკეთესად ვიმუშაოთო, ამით არაფერი შეიცვლება, თუ იმ დამრაზმავ შეძახილს კანონი არ მოვაყოლეთ. კანონი, სადაც მარტო ზოგადი საუბრით კი არა, კონკრეტულად მიგვითითებენ: რა, როგორ გავაკეთოთ.

სამ-ოთხ საათიანი დამმოძღვრავი თათბირების გახშირებით, ხელმძღვანელ კადრთა კონვეიერული გაცვლა-გამოცვლით, აღთქმულ ქვეყანაზე გაუთავებელი დაპირებებით არაფერი გამოვა. თავს ნუ ჩავიყენებთ იმ მწყემსის ანეკდოტურ მდგომარეობაში, თავის დროზე თივა რომ არ მოიმარაგა და დეკემბერში ძროხას ანუგეშებდა: ცოტაც მოითმინე, გაზაფხულზე იონჯა ამოვაო.

ქვეყნის განახლება იქიდან უნდა დავიწყოთ, რომ ჯერ უნდა გავარკვიოთ მილიონთა განწყობილება და სოციალური წონასწორობა.

ასპარეზიდან წავიდნენ სოციალიზმის ყოვლისშემძლეობაში ბრმად დარწმუნებულნი და ლოზუნგებსმინდობილნი. ზოგი თვითონ ჩახვდა რვიანებისმსგავსად დახვეულ გზაზე რომ გვიტარებია ათეული წლების განმავლობაში, ზოგთა ფანატიკურ ერთგულებაზე იერიში ჩვენც მივიტანეთ.

და იმათ, ვისკენაც ახლა სახელმწიფოს კეთილი თვალია იმედით მიპყრობილი – მშრომელ ადამიანებს, მობეზრდათ ყალბი, განუხორციელებლი დაპირებანი. რა სამხედრო პატრიოტულ აღტკინებაზეც არ უნდა იყოს მიმართული ამ სტრიქონების ავტორი, უფლება არა აქვს

მკითხველთან საუბარი სწორედ მკითხველისთვისვე მტკივნეული, უპირველესი საკითხებიდან არ დაიწყოს:

რა მოხდა? რატომ გაძვირდა ბაზარი? რამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დღითი-დღე მზარდი დეფიციტი?

თუ მართლა ადამიანებზე ზრუნვა გვინდა, ამ მიზეზთა ახსნას უნდა ჩავუღრმავდეთ, რაც უპირველესად აკლია დღეს ქვეყანას საკვებისა და სამრეწველო ნედლეულის სახით, სწორედ რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებია.

ამას წინათ (6. VIII. 88 წ.) „იზვესტიაში“ საბჭოთა დელეგაციის წევრი ს. კონდრაშევი წერდა; მთელი ჩინეთი მოვიარე და რიგს ვერსად წავაწყდი, ერთ პატარა პროვინციულ ბაზარში ექვსასი სხვადასხვა სახის პროდუქტი თავისუფლად იყიდებოდა, ასეთი სიუხვე კარგა ხანია არ მინახავსო.

ვიკითხე, რამ გამოიწვია რაღაც ათი წლის წინათ თითით საჩვენებლად დამშეული ჩინეთის ასე დევური ნაბიჯით დაწინაურება-მეთქი და მიპასუხეს: საოჯახო იჯარამო. მიწა გლეხებს დავუბრუნეთო.

იქვე სწერია რომ, თურმე, მიწის დაბრუნება მისი კანონიერი მფლობელისთვის ისე ფეხათრევით, მორცხვად და გაუბედავად კი არ მომხდარა, როგორც ჩვენში, „საოჯახო იჯარამ მოიცვა ადრე კოლექტივიზებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 90 პროცენტიო“.

ჩვენ კი, აგერ მეოთხე წელია საოჯახო იჯარის სიკეთეს ლოკოკინას რომ თავისი ნიჟარა მიაქვს, იმაზე უფრო ნელა ვეზიდებით. არის გაუთავებელი შიში და მითქმა-მოთქმა. ხომ არ არის ეს სოციალიზმის პრინციპებიდან უკანდახევა? ხომ არ გავაძლიერებთ კერძომესაკუთრულ ინტერესს?

ხომ არ დადგა დრო ერთხელ და სამუდამოდ დავიჯეროთ, რომ უფრო მართალი ის პრინციპია, მილიონებს რომ კუჭს გამოუძღობს, პატიოსან კაცს რომ ხელფასით ცხოვრებას შეაძლებინებს.

კარგა ხანია ვლაპარაკობთ ხელმძღვანელობის პარალელებზე, ორხელისუფლებიანობაზე. მეცხრამეტე კონფერენციაზე დადგა საკითხი რაიკომისა და აღმასკომის ფუნქციათა გამიჯვნის, რაიკომის პირველი მდივნის მიერ აღმასკომის ფუნქციათა შეთავსების შესახებ, ცალკეულ სამინისტროთა თუ სამმართველოთა გაბერილ შტატებსაც შევუტიეთ, არამკითხე მეურნეობის წინააღმდეგაც გავილაშქრეთ, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით ამ მიმართულებითაც უღიმღამოა.

გადაჭრით არ აღმოიფხვრა ხელმძღვანელობის პარალელიზმი იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც საოჯახო იჯარის, სამეურნეო ანგარიშის და სახელმწიფო მიღების ფორმების მასობრივი დამკვიდრება ფერხდება. ეს გახლავთ ყოვლად გაუმართლებელი მორიდება ჯერ კიდევ ძლიერი ბიუროკრატიული აპარატისადმი.

საჩვენებლად, ფიცში ჩასაყოლებლად ფეთქავს აქა-იქ საოჯახო იჯარა, იმიტომ რომ, მავანთ არ უნდათ ხელიდან გაუშვან სოფლის სა-

კუთარი ძალაუფლების ქვეშ მოქცევის ნაცადი ფორმა – სამკუთხედი: ბრიგადირი – კოლმეურნეობის თავმჯდომარე – რაიკომის მდივანი. განა შეიძლება სოფლის მეურნეს იმოდენა თავისუფლება მისცე რომ შენს ნებას არ ემორჩილებოდეს? – ფიქრობენ კონსერვატორები და კვლავ ერევა საქმეში ახლის, პროგრესულის დათრგუნვის, დამუხრუჭების მექანიზმი.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განახლება, უპირველესად, სწორედ სოფლის ენერგიული რეფორმით უნდა დავიწყოთ და როცა სოფელი მოღონიერდება, პროდუქტები და ნედლეული დახვავდება, შედარებით იოლი გასატარებელია სასურველი სამრეწველო-ეკონომიკური გარდაქმნები.

ზოგ რეგიონში კი საქმე ბოლოდან დაიწყეს. გარდაქმნა სოფელს თითქმის არ შეხებია და ხუთი წლის წინათ დირექტიულად დამტკიცებული გეგმებით და შეზღუდული რაოდენობის ნედლეულით ცდილობენ სასურველი ეკონომიკური ეფექტის მიღებას.

ეფექტს ამ გზით ამაოდ ველით: ქარხანა და ფაბრიკა ძველებურად ამზადებს უამრავ უხარისხო პროდუქციას (გეგმას სად წაუხვალ), სახელმწიფომ ერთი პირობა უარი უთხრა საწარმოს ყავლგასული, უხარისხო პროდუქციის მიღებაზე ვერგასაღების საბაბით და სწორედ მაშინ, მდგომარეობიდან გამოსვლის მესამე, სწორი გზა რომ უნდა გვეპოვა: უარი გვეთქვა რაოდენობის უაზრო გამოდევნებაზე, ლამის კანონად ქცეულ გეგმებზე, ზოგ ჩვენგანს გაბედულება არ ეყო. თანაც ბიუროკრატიული მანქანის დაწოლის ქვეშ აღმოჩნდა და სიტყვით ახლის მხარეზე დადგა, საქმით კი ძველს მიჰკერძა, სახელმწიფო მიღებას ფრთები შეაკვეცა (კეთილი ინებე და მიიღე, ჯერჯერობით ასეა საჭირო), ხოლო გეგმომანიის ფუყე ინსტიტუტი ძალაში დარჩა.

მიმდინარეობს შტატების შემცირების, უსარგებლო სამინისტრო–სამმართველოთა გაუქმების მტკივნეული პროცესი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი უშუალოდ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებისთვის აუცილებელი შტატების გამოთავისუფლების ეგიდით როდი ტარდება. ისე დიდია მოწიწება „თანამდებობის სკამთა“ მიმართ, რომ უბრალო, რიგითი მოქალაქის მდგომარეობის ვერშეკადრების კომპლექსი ძალუმად მოქმედებს. არნახულ გამომგონებლობას ვიჩენთ ამ მიმართულებით; კაბინეტს სახელს ვუცვლით, სამინისტროებს ვამსხვილებთ, მაგრამ ვისაც მეცამეტე მეთვალყურე – ხელმძღვანელის ზედმეტი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, კვლავ იმ ფუნქციას ვუტოვებთ. იგი კვლავინდებურად „საქმის კაცია“, პორტფელით გადი-გამოდის.

ვის ვაყრით თვალში ნაცარს? ვის რად უნდა ამგვარი მოჩვენებითი რეფორმები?

საწარმოთა დირექტორების კანტიკუნტი არჩევნები შემოვიღეთ: ხალხს იმედი ჩაესახა, მაგრამ ეს ღონისძიებაც უაღრესად მოზომილად, იშვიათზე იშვიათად, რომ იტყვიან ???აქმოდ ტარდება. ერთგან ვირჩევთ

და ოცდაცხრამეტთან ძველებურად ვნიშნავთ, ამის თაობაზე მშვენივრად იხუმრა ამას წინათ „კროკოდილმა“: „ჩვენ დირექტორი ავირჩიოთ, ხოლო პარტკომს, პროფკომს და კომკავშირის მდივანს თვითონ აირჩევსო“.

ლამის კრახი განიცადოს ჩვენში მატერიაური სტიმულირებისა და მომსახურების სფეროს გაუმჯობესების ისეთმა ნაცადმა ფორმამ, როგორიც კოოპერატივი გახლდათ. არაერთი კოოპერატივი დაიხურა, ხოლო რომელიც ჯერ კიდევ ფეთქავს, მხოლოდ და მხოლოდ შემორჩენილი ენთუზიაზმისა და ხავსჩაჭიდებულის ამაო იმედის წყალობით.

რა მოხდა? კოოპერატივს მაინც რამ შეუშალა ხელი? უპირველესი გახლავთ სახელმწიფოსთან მისი დამოკიდებულების გაურკვევლობა: მზარდი საშემოსავლო გადასახადი და კერძო ინიციატივის ყოვლის ღონისძიებით დათრგუნვა, კოოპერატივი მის მესვეურთთა ინდივიდუალურ უნარზე და მოხერხებაზე უნდა იყოს დაფუძნებული და თუ, სწორედ, იმ უნარს დამსჯელი ღონისძიებებით გააქარწყლებ, თუ კოოპერატივს სულს ამოხდი გაუთავებელი კონტროლ-შემოწმებით, კოოპერატორისთვის დამახასიათებელ შექმნა-გასაღების ხელოვნებას ფრთებს შეაკვეცავ, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი წამგებიანი გახდება და კოოპერატორი კვლავ შენს დაწესებულებას მოაკითხავს, სადაც უფრო მოახერხებს თვალი აგიხვიოს და სახელმწიფო ჯიბეში სხვათა მსგავსად აფათუროს ხელი.

შექმნისთანავე ამრეზილად შეხედა საქალაქო და რაიონული ხელისუფლების ბევრმა წარმომადგენელმა კოოპერატივს. წესრიგის დამცველმა ორგანოებმა კი იგი ლამის კანონგარეშე წარმოებად მიიჩნიეს. კოოპერატივი ძირითადად ორი მიმართულებით – საკვებ-სავაჭრო წერტებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ხაზით სოკოსავით გამრავლდა. ყველაზე ნაკლები საფუძველი ნელეულის სახით სწორედ ამგვარი კოოპერატივების შესაქმნელად არსებობდა. მეკოოპერატივე, რომელმაც საკვების დამზადების ხარჯზე გადაწყვიტა გამდიდრება, პროდუქტს ბაზარზე ყიდულობს, მისთვის თავიდანვე არავის უკითხავს; კოოპერატივს რომ ხსნი, ნედლეულის რა წყარო გაქვსო. არა და საუბარი სწორედ აქედან უნდა დაგვეწყო. ჯერ უნდა მოგვეთხოვა, კოოპერატივისგან სასოფლო-სამეურნო პროდუქტის შექმნის გარანტია და მერე მიგვეცა უფლება მისი გადამუშავება-გასაღების. თორემ მეკოოპერატივის სახით ისედაც მჭლე ბაზარს მუშტარი გავუმრავლეთ, რამაც საბაზრო ფასების ზრდა გამოიწვია. შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ყველას ნაკლები შრომით იოლი მოგების მიღწევა გადაგვიწყვეტია, ძროხის ბაწრისთვის ხელის მოკიდება და მიწაზე მუშაობა კი ცოტასღა სურს. ასეთივე კრახის წინაშე დადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების კოოპერატივიც. სანტექნიკის, სამღებრო სამუშაოების, ხის დამმუშავებელი კოოპერატივების ორ პროცენტსაც კი ვერ ვაძლევთ საჭირო ნელეულს, არ არის სანტექნიკისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, არ არის საღებავები, არ არის

ხე-ტყე. კოოპერატივის მესვეურები ყველაფერს ხელზე, ქორ-ვაჭრებისგან, ანუ რაც იგივეა – „მარცხენა“ საქონლის საწყობებისგან „ოთუსბირად“ ყიდულობენ და მერე მოქალაქეებზე, რომ იტყვიან, სისხლის ფასად ჰყიდიან. ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებული კოოპერატივი, სრულიად ბუნებრივია, რომ სპეკულაციის ახალ ფორმად იქცევა და თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

ცოდვა გამხელილი სჯობს, ვერ გაამართლა ეკონომიკური ცენტრალიზმის, მეურნეობის დირექტივული მართვის, მცირე მასშტაბის სამრეწველო თუ კულტურული ღონისძიებების მოსკოვთან შეთანხმება-დაქვემდებარების პრაქტიკამ. ორი ათასი კილომეტრის მიღმა მხედავმა, დედაქალაქურმა მახვილმა თვალმა ყოველთვის მკაფიოდ როდი დაინახა ადგილობრივი სპეციფიკა და „ჯიუტ დირექტივას“ არაერთხელ წყალში ჩაყრილი მილიონები მოჰყვა. იშვიათად როდი შეხვდებით შუაზე გაწყვეტილ არხებს, უგუნურად გაჭრილ და მერე მიტოვებულ გვირაბებს, მილიონებმიხარჯულ და მერე სავალალოდ მიგდებულ მშენებლობებს.

დადგა დრო ცალკეულ რეგიონებს ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობა მივანიჭოთ. საწარმოო საშუალებათა და სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ამ ეტაპმა დღის წესრიგში მკვეთრად დააყენა დამოუკიდებელი მართვის საჭიროება. ამას ყველანი ვგრძნობთ და ვხედავთ, მაღალი ტრიბუნიდანაც არაერთხელ ითქვა, მაგრამ რა გადამწყვეტი ღონისძიებანი გატარდა? რა გაბედული ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით?

ისევ დგას საკავშირო საგეგმო კომიტეტის და ცალკეულ სამინისტროთა კარებთან მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა მოსაწყენი რიგები ფონდების გამოყოფა-დამტკიცების მოლოდინში. ისევ ცენტრს უნდა შეუთანხმოს რაიონმა თავისი დანაზოგით, ან მოხალისეთა შაბათობებით აბანოს ან კულტურის სახლის აშენების განზრახვა, ძველებურად მოკლებულია რესპუბლიკა არათუ საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანას გაურიგდეს გაცვლა-ვაჭრობის სარფიანი გარიგებით, სხვა მოკავშირე რესპუბლიკასთან დაწყებულმა ამგვარმა გარიგებამაც ცენტრის არხში უნდა გაიაროს. ძველებურად მოსკოვი ამტკიცებს მარტო ადგილებზე დაცულ დისერტაციების კი არა, დასაცავი დისერტაციების თემატიკასაც კი. ცენტრი ამტკიცებს კინოფილმების სცენარებს, გამომცემლობათა გეგმებს, სპორტსმენ-ალპინისტთა მიერ დაპყრობილ მწვერვალებსაც. ვინ და როდის მოიგონა ადგილობრივ კადრთა უნდობლობის ეს დამამცირებელი ინსტიტუტები? ნუთუ არ დაიღალნენ ცენტრში სკამზე მიჭედილი ფუნქციონერები იმ ფუჭი გარჯით, რასაც ადგილობრივ სპეციფიკაში გარკვევის უძნელესი მეცადინეობა ჰქვია? რატომ ვაყენებთ ეჭვის ქვეშ საბჭოს, რომელმაც სწავლულს სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა? რატომ ვაყენებთ ზედმეტი კონტროლის ფარქვეშ კინოსტუდიის სამხატვრო საბჭოს, რომელმაც სცენარი გადასაღებად მიიღო? რაო, გამსახკომის მოსკოველმა რეფერანტ-ინსტრუქტორმა უკეთ იცის საქართველოში შიო მღვიმელის ტომეული უნდა გამოიცეს თუ არა, ან რა ტირაჟით გაიყიდება?

აქაც სურვილებში ჩვენ ყველანი ერთსულოვანნი ვართ. ამის შესახებ ხმამაღლა ლაპარაკობენ, მაგრამ გადამწყვეტი ღონისძიებანი კი არა და არ ჩანს.

არა და დრო ულმობლად გარბის. გარდაქმნისათვის ერთსულოვნად აღმდგარი და მობილიზებული ადამიანების განწყობილებას ნელ-ნელა ეპარება იმედგაცრუების, ეჭვის და უნდობლობის ნისლი.

ადამიანთა განწყობილებაზე დიდ გავლენას ახდენს და ამ ბოლო დროს სრულიად მოულოდნელად ამოტივტივდა ე.წ. ნაციონალური საკითხი. თუ ზოგის თვალში იგი ოჯახურ, მეზობლურ უსაფუძვლო ჭირვეულობა-კინკლაობად ჩანს, სამაგიეროდ სხვათათვის იგი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და არავისა აქვს უფლება „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირის“ პოზიცია დაიკავოს.

მართალია, შორიდან თუ შევხედავთ, ეროვნულ გრძნობათა გააქტიურება დიდ მასშტაბებს არ ითვალისწინებს და, ჯერჯერობით, მისი გადაწყვეტა ადინისტრაციული საშუალებებითაც ხერხდება, მაგრამ თავს ნუ დაიმშვიდებენ ისინი, ვისაც „ნაციონალური პრობლემა“ ერთჯერადი ღონისძიება ჰგონია. ან ექსტრემისტთა და „საეჭვო საქმიანობის ორგანიზატორთა მუშაობის ნაყოფი. ეროვნული გრძნობების გაფაქიზება და ერის მიერ თავისი არსებობის შენარჩუნებისთვის, ერთი შეხედვით, სტიქიურ საშუალებათა გამოყენება, ათეული წლების განმავლობაში განხორციელებულმა არასწორმა ნაციონალურმა პოლიტიკამ გამოიწვია. თანასწორუფლებიანთა კავშირში უფროსი ძმისა და წარმმართველი ერის ინსტიტუტი, გაუთავებელი ქადაგება ერთა შერწყმა-გათქვეფისა, რასაც საბოლოო მიზნად რუსი ერის გარშემო კონსოლიდაცია აქვს და სხვა არაფერი, ყოვლის ღონისძიებით შეკვეცა-შევიწროება ნაციონალური სკოლებისა, დაწესებულებათა შორის მიმოწერის არანაციონალურ ენაზე წარმოება, თაბირებისა და სხდომების სხვა ენაზე წარმართვა, იმ უსაფუძვლო მიზეზით, აქაოდა, მოძმე ერის სტუმარი გვესწრება და ჩვენს ენას ვერ გაიგებსო, ცალკეულ რეგიონში ნაციონალური ენის არასახელმწიფო ენად გამოცხადების ცდები – ცალ-ცალკე და ყველა ერთად სრულიად ბუნებრივად ტოვებს წარუხოცელ დანაშრევს ყოველი სამშობლოიანი კაცის ეროვნულ ცნობიერებაზე. ამიტომაც, თუ მართლა ჰარმონიის და მეგობრული ურთიერთპატივისცემის მომხრე ვართ, ყველაფერი უნდა წარვმართოთ ერებისა და ეროვნებების თანასწორობის, მათი ინდივიდუალური ეთნიკურ-ზნეობრივი თვისებების პატივისცემის და სუვერენული უფლებების შენარჩუნების მიმართულებით.

ყარაბაღისა და სუმგაითის საუკუნოვანი პრობლემა და სხვა ყარაბაღებისა და სუმგაითების მომწიფებული პრობლემები დიდაქტიკური მან-

დილის ჩაგდებითა და გულუბრყვილო სატელევიზიო გადაცემებით ვერ გადაწყდება. რა შეიძლება ყოფილიყო იმაზე უფრო გამაღიზიანებელი ერთი ან მეორე მხარისათვის, როცა საქმის გულმოდგინე ანალიზამდე ერთი (მესამე ერის წარმომადგენელი) ტელემოჭიკჭიკე ცისფერი ეკრანიდან სერიოზულად აცხადებდა: რა უნდათ, რაზე დავობენ, რა ვერ გაუყვიათ, ბოლოს და ბოლოს ეს მიწა არც ერთ ხალხს არ ეკუთვნის, იგი საერთოა, საბჭოთაა. ხოლო მოვლენათა არსის მიჩქმალვისა და პრობლემათა ნიველირების მიზნით ერთ საღამოს ტელედიქტორმა „დაგვამშვიდა“: არც ეგრეა საქმე, როგორც დასავლეთის საინფორმაციო წყაროებს ჰგონიათ, აი, ერევანში, ამა და ამ ქარხანაში დაზგასთან გვერდიგვერდ შრომობენ სომეხი და აზერბაიჯანელი და არც ერთხელ ერთმანეთს შესაჭმელად არ დატაკებიანო. კეთილი მომრიგებლის პოზიციის დაკავება ძნელი როდია, მაგრამ როცა ამ ფუნქციას იკისრებ, ბოლომდე კეთილ მომრიგებლად უნდა დარჩე. არ უნდა მისცე ერთ მხარეს საშუალება, შეურაცხყოს მეორის ნაციონალური გრძნობები, იავარჰყოს ისტორიული ძეგლები, წყალს გაატანოს პალიმსესტები, დაეპატრონოს სხვათა ისტორიულ მიწებს, გაუთავებლად ბეჭდოს და ავრცელოს სხვათა მიწაზე თავისი პრეტენზიის დამამტკიცებელი ყალბი რუკები. აი, მაშინ დაიჯერებს კაცი შენს კეთილმოსურნე მედიატორობას.

ერთა შორის არაჯანსაღი გრძნობების გაღვივებას, არცთუ იშვიათად, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებიც უწყობენ ხელს. საოცარია, რა ნიშნის მიხედვით უნდა დაასკვნას ზოგიერთმა, რომ მისმა რუდუნებამ საკუთარი ერის სრულყოფის საპატიო მისია უკვე შეასრულა და ახლა უფლება აქვს სხვა ერებიც გაანათლოს, მათი აღზრდის რთულ საქმეზეც დაიდოს წილი. თურმე ნუ იტყვით, რამდენიმე გახმაურებულ მწერალს სხვა („დაავადებული“) ერის მკურნალობის ფუნქციაც შეუთავსებია და გადადის მოთხრობიდან მოთხრობაში, კინოფილმიდან კინოფილდმში აქცენტით მოსაბურე, სტუმრისთვის თავისი ზღვარდაუდები მასპინძლობით თავმომაბეზრებელი, გულუბრყვილო და ზოგჯერ აშკარად ხეპრე, ნიადაგ სექსუალურად მომართული, ავანტიურისტი და ვირეშმაკა „კავკასიელი“ პერსონაჟი. ხომ არ არის იგი იმ „კავკასიელთა“ შთამომავალი, ვისაც ასე ღირსეულად ესაუბრებოდნენ პუშკინი და ლერმონტოვი და ვისთანაც ლევ ტოლსტოი წლების მანძილზე ჭემარიტი მეგობრობით იყო დაკავშირებული? რა ცოდნა შეატყო თავის თავს ასოცმანეთიანი საგზურით ორიოდე კვირით ჩამოსულმა, ან ტურისტის ბილიკებით გავლილმა „ამხანაგმა“ ისეთი, რომ კარგად იცნობს ქართულ ეროვნულ ფენომენს და უფლება აქვს ქართველთა ნაციონალურ ფსიქოლოგიაზე თავისი უმწიფარი სტრიქონები გამოაქვეყნოს?

ჩვენ, მწერლები ამგვარ ბრძოლაში, სრულიად ბუნებრივია, ქართულ სიდარბაისლეს მოვუხმობთ და მხატვრულ შემოქმედებაში გაცხარებას გასაქანს არ ვაძლევთ. რაინდულ დამოკიდებულებას ამ დელიკატური

პრობლემისადმი იმით გამოვხატავთ, რომ არც ერთი ჩვენგანის პროზაულ თუ პოეტურ ნამუშევარში ჯერჯერობით არ უკვდავქმნილი არბატზე რყევით მიმავალი ლოთი, ან სოჭის სანაპიროზე „მსხვერპლს“ ჩასაფრებული მეძავი. ლიტერატურა წმიდათაწმიდა საქმეა და აჩქარებამ არ უნდა გვძლიოს, მაგრამ პუბლიცისტიკის იარაღს დიახაც მივმართავთ და მაშინაც კი, როდესაც ჭეშმარიტება აბსოლუტურად ჩვენ სასარგებლოდ ღაღადებს, ნემსის ყუნწში გაძვრომა გვიხდება, რომ ეროვნული თავდასხმის პასუხი იმავე ორგანოში გამოვაქვეყნოთ, სადაც დაიბეჭდა. „გვიპასუხეთ თქვენსავე ჟურნალში, ან გაზეთშიო“, უცერემონიოდ გვიცხადებენ რედაქციის თანამშრომლები და ისე შემოგვაჩერდებიან, თითქოსდა ვერ ვხვდებოდეთ, რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ერების ურთიერთობისათვის ცალ კარში თამაშის ამ დათვურ პოლიტიკას, თითქოს არ ვიცოდით, რომ ჩვენს ორგანოში დაბეჭდილ ჩვენს პასუხს საკუთარ ტაფაზე წვის სევდა დაჰკრავს, და ესეც არ იყოს, თუ ცენტრალურ პრესაში დაბეჭდილს ათეულ მილიონობით ადამიანი წაიკითხავს, ჩვენთან, უკეთეს შემთხვევაში, ასი ათას მკითხველს თუ მიწვდება პასუხი. ვერ გამოდის სასურველი არითმეტიკა. თუ გავკადნიერდით და, რაღაც მანქანებით (რაც იშვიათზე იშვიათად ხდება), იმავე ორგანოში მოვახერხეთ პასუხის დაბეჭდვა, როგორ გაბედეო, განრისხდებიან ჩვენი კოლეგები და ისეთ კოლექტიურ რისხვას დაგვატეხენ თავზე, რომ ჭეშმარიტი დისკუსიის ხალისი კარგა ხნით დაგვეკარგება.

წლების განმავლობაში „გრანდიოზულ მშენებლობათა დაფდაფებში“ მიგვავიწყდა მარჩენალ ბუნებასთან ურთიერთობის ელემენტარული პრინციპები. ეკოლოგიურმა დაუდევრობამ თავისი მძიმე შედეგები უკვე გვაგრძნობინა და ხვალ უფრო მეტს გვპირდება, გაუთავებელი ექსპერიმენტებით და ერთი და იმავე მეცნიერული „ნახტომის“ უამრავჯერ გამეორებით, ატმოსფეროში გაჩენილ გვირაბებს (რაც ჯერ კიდევ ახსნილი არ არის, რას უქადის კაცობრიობას) რომ თავი დავანებოთ, აგერ, ჩვენ თვალწინ საზოგადოებრივ აზრს გააფთრებული შეტევით უხდება იმის დამტკიცება, რომ ბუნების წონასწორობის დარღვევა კარგს არას მოგვიტანს. საზოგადოებები იქმნება ბაიკალისა და ციმბირის მდინარეების გადასარჩენად, ათეული წლების წინათ დაიწყეს ტრანსკავკასიის რკინიგზის დაპროექტება, დააფინანსეს, შეუდგნენ კიდევაც მშენებლობას და მხოლოდ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში გაიშალა მოძრაობა იმის გასარკვევად, თუ რა ეკოლოგიური, დემოგრაფიული, არქეოლოგიური ან ეკონომიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ მშენებლობას. „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ“... მხოლოდ ფოლკლორშია. სინამდვილეში კი ადიდებული მტკვრის ჩაყლაპვას ბუნება ასე იოლად არ გაპატიებს. რატომ უნდა იყოს საღი მეცნიერული და საზოგადოებრივი აზრი უკან მიდევნებული ლამპარი ზოგიერთი „გრანდიოზული წამოწყებისთვის?“ რატომ ვჩქარობთ ასე, საით მივექანებით ესოდენ სე-

რიოზული სახეებით, ვის ვეჯიბრებით, ვისი გაოცება განგვიზრახავს? განა ცოტა მაგალითი გვაქვს, ეკოლოგიური უგუნურებისთვის ბუნებამ სამაგიერო რომ გადაგვიხადა? ინებეთ, ლამის გამქრალი, თბილისის ისტორიული მშვენება – გოგირდოვანი წყლები, ინებეთ, ინდუსტრიის ფერხულში ჰაიჰარად ჩართული, დაუდევრად გაჩეხილი ტყეების გამო მთისძირის სოფელთა თავზე აქოჩრილი ზვავ-მეწყერები, ინებეთ, გაჭუჭყიანებული შავი ზღვა, რომლის პლიაჟთა დიდი ნაწილი წელს დახურული აღმოჩნდა ათასობით დამსვენებელთათვის, ინებეთ ჩვენი ტყეებიდან ლამის გამქრალი ძელქვა და კოპიტი, გადაშენების გზაზე დამდგარი ტყის არაერთი ბინადარი, დამშრალი წყაროები, მოწამლული ტბები... დაიჯერებს მკითხველი, რომ რამდენიმე წლის წინათ ერთმა უწყებამ სერიოზულად დასვა საკითხი რიონის მტკვარში გადაგდების შესახებ? პროექტის შედგენაც კი დაიწყეს ისე, რომ არ დაფიქრებულან, რას უქადდა ეს ოპერაცია მთელ ლიხსიქეთა საქართველოს. მადლობა ღმერთს, საღმა აზრმა იმთავითვე აღკვეთა ეს უცნაურზე უცნაური „წამოწყება“, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ზოგი ინჟინრის გაბედული ფანტაზია ხვალ-ზეგ ახალ უცნაურობას არ შემოგვთავაზებს? განა რით დაამტკიცა რამდენიმე სწალულმა ტექნიკოსმა, რომ ჭეშმარიტების გასაღები მხოლოდ მას უდევს ჯიბეში? საზოგადოებრივი განსჯა მხოლოდ დილეტანტურ ყაყანად რატომ ეყურება?

საჯაროობის ამ ვითარებაში მტკივნეულ პრობლემად იქცა საერთოდ ჩვენს ახლო წარსულთან დამოკიდებულებისა და კერძოდ სტალინის პრობლემა. ადამიანები ხშირად კამათობენ სტალინზე, სურთ სწორი შეფასება მიეცეს პიროვნებას, რომელიც სამი ათეულზე მეტი უძნელესი წლების მანძილზე სათავეში ედგა საბჭოთა ქვეყანას. მოისმენთ რადიკალურ ურთიერთგამომრიცხავ აზრებს; ზოგჯერ აბსოლუტური გამართლების პოზიციას და ზოგჯერ სრული უარყოფის დამოკიდებულებასაც.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ გარდაცვლილი წინამძღოლის სახელის გარშემო ატეხილი ბუმი შემთხვევითი როდია. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინი დადგა ჩვენი ისტორიის საჭესთან. ავად თუ კარგად ათას ქარცეცხლში გამოატარა ქვეყანა და გარდაცვალების შემდეგაც კარგა ხანს მის მიერ ჩამოყალიბებული ხელმძღვანელობის სტილი და სახელმწიფო პრინციპები მოქმედებდა მაშინაც კი, როცა პიროვნების კულტს ენერგიულად აკრიტიკებდნენ, ძალაუნებურად სხვა კულტის აღიარებამდე მიდიოდნენ, ხოლო მოღვაწეობის მიმწუხრს სტალინის შემდეგ სათავეში მოსულს თვით შეიპყრობდა განდიდების მანია და ისეთ „გამარჯვებებს“ დაიბრალებდა, რაც საქმეში ჩაუხედავ მეტაშესაც კი არ სჯეროდა, მაგრამ თევზისა და წყლის ანდაზისა არ იყოს, დუმილს ამჯობინებდა. ერთი სიტყვით, სტალინის შემდეგ უკანასკნელ წლებამდე მის კვალში იდგნენ, მის საქმეს აგრძელებდნენ ოღონდ გაცილებით უფრო უნიჭოდ და უგერგილოდ.

მ. ს. გორბაჩოვმა სტალინის წვლილს სწორი შეფასება მისცა ოქტომბრის რევოლუციის სამოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად მოხსენებაში. ამ ოფიციალურ შეფასებასთან არცთუ მაინცდამაინც შემთანხმებლური ურთიერთობის გამოხატულება იყო ის ხელაღებით ლანძღვა-გინება, რაც სტალინთან დაკავშირებით გაიშალა ჟურნალ-გაზეთებში. ზოგი მწერლისა და ჟურნალისტის ფანტაზია იქამდეც კი მიდიოდა, რომ არცთუ ძნელადმისახვედრი ალეგორიებით მიგვანიშნებდა სტალინის ნეშთის კრემაციისა და ფერფლის იქეთ გამოსროლაზე საიდანაც მოვიდა. მეცხრამეტე კონფერენციის წინა დღეებში სტალინის გმობამ ისეთ აპოთეოზს მიაღწია, რომ ხმა დაირხა: კონფერენცია ალბათ, პარტიიდან გარიცხავს და საბოლოოდ შეაჩვენებსო. სტალინის ენერგიულ მგმობელთა იმედების გასაცრუებლად, არ მოხდა ასე. მეცხრამეტე კონფერენციას სხვა უფრო დიდი პრობლემები ჰქონდა და მისი გადაწყვეტის სწორ გზებს ცხარე კამათში ეძებდა. ჩამთავრდა კონფერენცია და ისევ ამუშავდა სტალინის მოწინააღმდეგე ჟურნალისტიკა. იშვიათი როდია გულუბრყვილო, ან თვითმიზნური აკვიატებული შეფასებები, თითქოსდა რაც კი ნაკლი გაგვაჩნდა, ან გაგვაჩნია დღეს, ყველაფერი იმ ერთი კაცის ბრალი გახლდათ და, თითქოს, სტალინი რომ არა, დღეს ქერის ორმოში ვიქნებოდით ყველანი.

პირდაპირ უნდა ვთქვა, მოსაწყენი გახდა სტალინის განქიქების გაუთავებელი კომპანიის ცქერა და უფრო მოსაწყენი (და აღმაშფოთებელიც) ზოგი ჟურნალისტის მიერ სტალინის ხასიათის უარყოფითი მხარეების ქართული ეროვნული ბუნების ფენომენით ახსნა.

ამგვარი „ახსნით“ შემკრთალი ზოგი ჩვენი თანამემამულე მზად არის თავი ამგვარად იმართლოს: რას ჩაგვაცივდით, სტალინი სრულიადაც არ იყო ქართველიო. შეშინებული ძაღლი მთვარეს რომ უყეფდა, ისე არ დაგვემართოს. სტალინი ქართველი გახლდათ და არც საფრანგეთს და მაკედონიას მოსვლია აზრად ნაპოლეონზე და ალექსანდრე მაკედონელზე უარი ეთქვათ.

სტალინი ჩვენი უახლესი ისტორიის გუშინდელი დღეა, მაგრამ მისი გაუთავებელი გმობით გარდაქმნის ფერხულში ჩამდგარი ხალხის ყურადღება ძალაუნებურად გადაგვაქვს პრობლემაზე, რომლითაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ვაღიზიანებთ და უშუალო, მთავარი საქმისგან მოცდენის საშიშროებას ვუქმნით. ამ საკითხს სხვა უფრო მნიშვნელოვანი მხარეც აქვს. რაც უფრო მეტ უვიცობას და ბოროტებას მივაწერთ სტალინს, მით უფრო დიდ შეურაცხყოფას ვაყენებთ იმ მილიონიან მასებს, ვინც მას ტაშს უკრავდა და ბელადად აღიარებდა. სტალინის სიყვარულს თუ გადავაჩვევთ ძველ თაობას, ვაითუ სხვა თაობას ეჭვი გავუღვივოთ იმ ხელმძღვანელისადმი რწმენაშიც, ვისაც ხალხის მხარდაჭერა ჰაერივით სჭირდება. „ის დესპოტი გახლდათ, ის თვითნება იყო, ის უწიგნური...“ და ამ უარყოფიდან ერთი ნაბიჯია მოქალაქის თვალში იმ ფიქრის გა-

ჩენამდე, რასაც ჰქვია – რა გარანტია მაქვს, რომ ახლა სწორი გზით მივდივართ? რუზველტს და ჩერჩილს შეცდომები როგორ არ მოსვლიათ, მაგრამ მათს მემკვიდრეებს წინა ხელმძღვანელის (და შესაბამისად მათი მხარდამჭერების) რეპუტაცია სასწორზე არ შეუდგამთ.

მე პირადად ვფიქრობ, რომ პიროვნება უპირველესად იმით უნდა შეფასდეს, თუ რა სიკეთე მოუტანა თავის ერს, მაგრამ არც მარტო ამ ტრივიალური საზომის იმედზე დარჩენა ვარგა. მე თვითონ მისაუბრია ერთ, არცთუ გაუნათლებელ ინგლისელ დიპლომატთან დონდონში, რომელსაც უთქვამს: ინგლისი დღეს რომ თავისუფალია, სტალინის დიდი დამსახურებაა. დემაგოგიურ კამათში ყველაფრის „დამტკიცება“ შეიძლება. შეიძლება ისიც „აღმოვაჩინოთ“, რომ სტალინი არა თუ ფაშიზმის დამარცხების უპირველესი ორგანიზატორი, მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი იყოს, მაგრამ დემაგოგია ჭეშმარიტებას მხოლოდ დროებით დაჩრდილავს. მერე ღრუბელი განიმცვრევა და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. სტალინმა სოციალიზმის თეორიის პრაქტიკაში შემოწმების ისტორიული მისია განახორციელა, სტალინმა ფაშიზმი – მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი საშიშროება გაანადგურა, სტალინმა მონოლითური სახელმწიფო და სოციალისტური ბანაკი შექმნა – მსოფლიო ისტორიის ყველაზე მოკლე კონსპექტში მომავალი სტალინს ასე შეაფასებს.

რასაკვირველია, ისტორიამ არ უნდა დაივიწყოს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მმართველის განუკითხავი დესპოტიზმი, არ უნდა დაივიწყოს მილიონობით უდანაშაულო ადამიანის ყოვლად გაუმართლებელი რეპრესიები, მაგრამ სტალინს კომპლექსური, ობიექტური შეფასებისას იმ წვლილსაც ნუ დავუკარგავთ, რაც მას სახელმწიფოს წინაშე მიუძღვის.

რაც შეეხება ჩემი, როგორც ქართველი კაცის დამოკიდებულებას სტალინის პიპროვნებისადმი, იგი, რასაკვირველია, შორსაა თანამემამულის ურაპატრიოტული და სისხლის ყივილის გამო ყოვლისმიტევების პოზიციისაგან, იგი სხვათათვის დამაშვრალ მოღვაწედ მეჩვენება. სხვათა განმადიდებელ პოლიტიკურ ფიგურად მიჩანს და თავისი ერის წყლულზე ნაკლებადდაფიქრებულ მსოფლიოს მოქალაქედ.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ახალგაზრდობის პრობლემა გახლავთ. ჩვენ ნიჭიერი, ჭკვიანი და ძლიერი ახალგაზრდობა გვყავს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რათა ჩვენს მომავალს სუფთა ზეცა და რაც არანაკლებ მთავარია, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქის ცხოვრების წესი დავუტოვოთ. ამ ურბანისტულ საუკუნეში, როცა კოსმოპოლიტიზმი თავს გვახვევს მსოფლიოს სტანდარტთა პროკრუსტეს სარეცელს, არა მარტო გარეგნობაში – აზროვნებაშიც, უაღრესად მნიშვნელოვანია, ახალგაზრდობა აღვზარდოთ ეროვნულ მოქალაქეებად, ჩავუნერგოთ მათ ისტორიულ

წარსულისადმი, ეროვნული მეობისადმი ერთგულების გრძნობა და სხვა ერებისადმი პატივისცემის უნარი. ჩვენმა ახალგაზრდობამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ მამათა დიახაც ღირსეული მემკვიდრეა და ქვეყნის ახლებურად მოვლის სრულიად ბუნებრივი და სწორი სურვილითაა შეპყრობილი, კარგა ხანს აღარ ისმის სკეპტიკური ქირქილი ახალგაზრდობის ე. წ. პოლიტიკური ინდიფერენტიზმისა და საზოგადოებრივი პასიურობის შესახებ.

მაგრამ ახალგაზრდას სწორედ იმიტომ ჰქვია ახალგაზრდა, რომ თანამედროვეობასთან თავისი ურთიერთობა ბოლომდე გარკვეული და ცხოვრების სწორი ორიენტირიც სათანადოდ შემუშავებული არა აქვს. ამიტომაც, ჩვენი ვალია უფრო სულგრძელნი და მიმტევებელნი ვიყოთ ჩვენი შვილების მიმართ, როდესაც მათ საქციელსა თუ საუბარში აჩქარების, ან არცთუ მთლად დინჯი ანალიზის ელემენტებს შევნიშნავთ.

არ შეიძლება ახალგაზრდობას თავს მოვახვიოთ ჩვენი ცხოვრების წესი და მოვლენებისადმი ჩვენი, წლების განმავლობაში მიზეზთა გამო, დაშტამპული დამოკიდებულება, მათთან გულწრფელი მოსაუბრების და დაყვავების ტონმა უნდა შეცვალოს ადმინისტრირებისა და მაგიდაზე თითის კაკუნის ის არასწორი პოლიტიკა, რაც ერთხელ და სამუდამოდ დავგმეთ და რასაც, სამწუხაროდ, იშვიათად, მაგრამ დღესაც მიმართავს ზოგიერთი „ფრთხილი, წინდახედული“ ფუნქციონერი.

თუ გვინდა ახალგაზრდები პატივს გვცემდნენ და ბოლომდე სჯეროდეთ ჩვენი იმიტომ, რომ დემოკრატიისა და საჯაროობის ეს დაწყებითი ხანა მათ სწორედ ჩვენმა თაობამ მოუპოვა, უნდა შევუქმნათ თვითმმართველობის, დამოუკიდებელი აზროვნების, საკითხებში ღრმად გარკვევის პირობები და საშუალებანი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავაგდოთ მათთან ურთიერთობაში მწვრთნელისა და აღსაზრდელის მოკლე საბლით ახლოს მყოლის ახირებული ნიღაბი, დიფერენცირების გარეშე მასობრივი დაფიცებების და, სურვილის მიუხედავად, საერთო მწყობრში ჩაყენების მავნე პრაქტიკა. ნუ შეგვეშინდება, ზოგიერთი მათგანის თუნდაც უმწიფარი აზრების და ამ აზრების სახელდახელო დისპუტზე გამოთქმისა, ქვეყანა არ დაიქცევა, თუ ძიების ჟინით შეპყრობილი ახალგაზრდა საჯაროდ, თუნდაც, მცდარ აზრებს გამოთქვამს. მით უმეტეს არ უნდა შეგვაკრთოს ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდების ჯიუტმა ნებამ, არ დაემორჩილონ ზოგ ბიუროკრატს და თავისი ქვეყნის პატრონობის ქმედითი, ორიგინალური გზები შემოგვთავაზონ. ხომ ფაქტია, რომ ზოგმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ ათეული წლების განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ზემდგომ მითითებათა თუთიყუშური გამმეორებლის როლით დაკმაყოფილების და შემოქმედებითი უნარის არტახებში მოქცევის გამო თავისი ძველი, მაღალი ავტორიტეტი დაკარგა, იგი მებრძოლ, ქმედით ორგანიზაციას აღარ წარმოადგენს. ახალგაზრდობის ერთ ნაწილს აღარ სჯერა ამგვარი ორგანიზაციებისა,

ამიტომ საჭიროა ერთი მხრივ ახალგაზრდული ორგანიზაციების ახლებურ, შემოქმედებითი სამოქმედო პროგრამა-არსენალით აღჭურვა, ხოლო მეორე მხრივ შეხედულებების, ან პროფესიული თვალსაზრისების საერთოობის პრინციპებზე შექმნილი ახალგაზრდული კლუბების წახალისება. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ამ სტრიქონების ავტორი, როცა ამას წინათ, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში წინადადება შეიტანა ახალგაზრდული ექსპერიმენტული ცენტრის შექმნის შესახებ. იმგვარი ცენტრისა, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდებს შრომით მოწყობაში, ზაფხულობით გონივრულ დასვენებაში, ორგანიზებას გაუწევს საქველმოქმედო ღონისძიებებს და სარესტავრაციო სამუშაოებს, გამართავს დისპუტებსა და თუნდაც დემონსტრაციებსაც კი გონივრულ საწყისებზე და საზოგადოებრივად მისაღები ფორმით. ამგვარ შტაბში მივლენ ახალგაზრდები და თავიანთ გულისტკივილს შეუბოჭავად გამოხატავენ, გაუზიარებენ აზრებს მოკარიერისტო თანატოლებს კი არა, ჭეშმარიტ ენთუზიასტებს, ავტორიტეტიან ახალგაზრდებს. ამგვარი ცენტრი, ჯერ ერი, უფრო მიზანდასახულსა და საინტერესოს, უფრო ქმედითს გახდის ახალგაზრდულ ღონისძიებებს და, ესეც არ იყოს, თავიდან აგვაცილებს იმ სტიქიურობას, რომელმაც არაერთხელ, არცთუ უსაფუძვლოდ, შეგვაშფოთა თავისი მოსალოდნელი შედეგებით.

ამ ბოლო დროს შეხვედრებზე ხშირად მეკითხებიან დემოგრაფიული საზოგადოებისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შესახებ. არ გვეპატიება ამ საზოგადოებათა მიმართ გამაღიზიანებელი, ან, რაც უფრო სავალალოა, გულგრილი დუმილის პოზიციის დაკავება. მით უმტეს, რომ ორივე საზოგადოება ახალგაზრდობის ინიციატივით შეიქმნა და ორივე მათგანს, ჯერჯერობით, თუ არ ვცდები, ახალგაზრდები მესვეურობენ. მიუხედავად არაერთგზისი თხოვნისა, დემოგრაფიული საზოგადოება, რომელმაც რამდენიმე გაზეთში უკვე გამოაქვეყნა თავისი პროგრამა და უაღრესად კეთილშობილური სურვილი აქვს ხელი შეუწყოს საშვილიშვილო ეროვნულ საქმეს – გამრავლებას, ჯერ კიდევ გერის მდგომარეობაშია, ხოლო ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, სამწუხაროდ, დღემდე რჩება ენთუზიასტთა ერთი ჯგუფის ლოკალურ, სექტანტურ, ლამის არალეგალურ საზოგადოებად. თუნდაც დიდი ილიასადმი ჩვენი უაღრესი სიყვარულის გამო, ნუ გავაჯანჯლებთ ამ უკვე შექმნილი საზოგადოების ოფიციალურად აღიარების საქმეს. გამომწვევი პოზიციის დაკავება და საზოგადოების თითო-ოროლა წევრის შეხედულებათა განქიქება იოლი საქმეა, მე ვფიქრობ, უფრო სწორი ის იქნება, საღად გონივრულად, საჯაროობის ყველა სიკეთის გამოყენებით შესწავლილ და განხილულ იქნას ამ საზოგადოების პროგრამა და წესდება. რაც მისაღებია, მივიღოთ, რაც არა – ერთად გავასწოროთ. არა მგონია, ამ საზოგადოების რომელიმე წევრის სურვილი, თუნდაც ამჟამად, შორს სცილდებოდეს დიდი ილიას კეთილშობილურ აზრებს ქართული ენის, საქართველოს ისტორიის – ჩვენი ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების შესახებ, მაშ, რა

გვაქვს სადავო? განა ყველანი, ერიცა და ბერიც, ამ საკითხებში ერთი აზრისანი არა ვართ? განვიხილოთ, დავაზუსტოთ პროგრამა-მეთქი და მერე მივცეთ საზოგადოების სტატუსი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას. გაერთიანდეს იმ საზოგადოებაში ყველა, ვისაც დიდ ეროვნულ საქმეებში მონაწილეობის მიღების, ილიას კვალზე სვლის სურვილი აქვს და გარდა ამისა, ვისაც თავისი მოქალაქეობრივი საქმიანობით, პიროვნებით მორალური უფლება აქვს ილია ჭავავაძის საზოგადოების წევრად იწოდებოდეს.

ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე კრილოვის არაკის „გმირებივით“ ტვირთს ცალ-ცალკე და სხვადასხვა მხარეს ქაჩვა კარგ შედეგს ვერ მოგვიტანს. საჭიროა ყველამ ღრმად გავაანალიზოთ ისტორიული მოსახვევის მთელი სიმძაფრე და გაერთიანებული ძალით შევეჭიდოთ ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმეებს.

პრობლემები კი უამრავი გვაქვს. ისინი სხვადასხვა სიმწვავით აღიმართება ხოლმე ჩვენ წინაშე და საქართველოსადმი ჩვენს ღვთიურ მადლს მოგვაგონებს. მერე რა, რომ ეროვნული საქმეების გადაწყვეტაში ზოგს ღომის წვლილი უდევს და ზოგს ჩხიკვი – ჯაფარასი. არავისა აქვს უფლება ქვეყნისთვის ზრუნვით ანთებულ კაცს, ხელი აუქნიოს; ეს ვინღაა, მარაქაში რომ ერევაო. ყველა, ვისაც სამშობლოს სიყვარულით უძგერს გული და მისთვის სამსახური ცხოვრების მიზნად დაუსახავს, ჩვენთან არის, ჩვენი ძმა და მეგობარია. მის გარჯას გულისყურით და პატივისცემით უნდა მოვეპყრათ და არც იმის გამო შეიძლება ქოქოლა დავაყაროთ, რომ ერთნი წლების განმავლობაში იდგნენ საერთო ლაშქრობის ფერხულში, სხვებმა კი, თითქოსდა, ახლა ამოიდგეს ენა. დედა-საქართველო ყველას თავის ადგილს მიუჩენს, ყველას ისე შეაფასებს, როგორც ეკუთვნის და კუთვნილებისამებრ მიუზღავს.

ერის მომავლისთვის ბრძოლა ყველას აერთიანებს და ათანასწორებს. მაინც საითკენ უნდა იყოს მიპყრობილი ჩვენი გულისყური? ქართველთა თვითშეგნების განმტკიცებისკენ, ეროვნული ატრიბუტების დაცვისკენ, გამრავლებისკენ, ეროვნული კონსოლიდაციისკენ საღი აზრის გარშემო.

ქართველს მშვიდობიანი შრომა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა სწყურია.

ქართველი კაცი ბუნებით ინტერნაციონალისტია და ხშირად ანგარიშმიუცემლად სტუმართმოყვარე, მაგრამ ნუ დავძრახავთ, თუ მას სევდიანი თვალი აქვს მიპყრობილი და მოჭრილ ძუძუსავით სტკივა ოსმალეთში დარჩენილი ქართული ისტორიული ძეგლებით დახუნძლული მიწა, თავისი სისხლი და ხორცი. ნუ დავძრახავთ, ნუ მას დრამატულ ფიქრს აუშლის ხოლმე, როცა საეჭვოდ გამრავლებული სტუმარი ქართულ მიწაზე ამრეზილად შეხედავს იმას, რაც ქართველ კაცს თავის ეროვნულ პასპორტად, იმ მიწაზე მისი მრავალსაუკუნოვანი უფლების გარანტიად მიაჩნია.

რამხელა სიყვარულს ამჟღავნებენ ათასწლოვანი ხეტიალის შემდეგ

ისრაელში დაბრუნებული ქართველი ებრაელები თავიათი მეორე სამშობლოს – საქართველოს მიმართ. რა კარგად უგრძვნიათ მათ, ჩვენს უბეში შეფარებულებს, ქართველი კაცის კეთილი გული და თვალი. რა კეთილშობილ ადამიანებად ჩანან აქედან ქართული გაზეთის გამოცემით, ქართული ადათ-წესების არმოშლით, ქართველთათვის სამაგიეროს გადახდის მსურველნი. სამწუხაროდ, ხდება ისეც, რომ თან გადაყვები სხვა სტუმარს წლების განმავლობაში; შენს მიწაზე სახლობს, შენი სიკეთით სარგებლობს და არათუ მადლობის უბრალო სიტყვაც არ წამოცდება, ღმერთმა კარგად ამყოფოს და ერთ მშვენიერ დღეს დოინჯშემოყრილი გამოგიცხადებს; იქნებ შენი სამოსახლოდან განზე გაიჩოჩო და ადგილი დამითმოო.

ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი მომავლისთვის სასარგებლო და თანამედროვეობისთვის ფრიად საგულისხმო. ერთობლივი ძალისხმევით არა მარტო ეროვნული თვითშეგნება ამაღლდა, არაერთი ეროვნული საქმე წარმატებით დაგვირგვინდა, მაგრამ ეპოქა ჩვენგან მეტ მონდომებას, ხელებდაკაპიწებულ შრომას, ყურადღების გაფაციცებას მოითხოვს, რომ ისტორიის საცრის დგანდგარს გავუძლოთ და ურბანიზმის ახლოს მქშინავმა ვეშაპმა არ ჩაგვყლაპოს.

ჯერ კიდევ ვერ ვპატრონობთ ჩვენს საქართველოს, როგორც საჭიროა.

ზოგი რაიონის ხელმძღვანელის უგერგილობით ხელიდან გვეცლება საუკეთესო სავარგულები, სხვა ეპატრონება მიტოვებულ საძოვრებს, გაუქმებულ სოფლებს.

ვერ ვექომაგებით ინგილოებს როგორც საჭიროა და მათ ეროვნული თვითმყოფადობის სანთელი, არცთუ სხვათა დაუხმარებლად, ნელ-ნელა იღვენთება, ქრება.

არაერთხელ დაისვა საკითხი ქართულ დაბა-სოფელთათვის ძველი, ნამდვილი სახელების დაბრუნების შესახებ. ასევე კარგა ხანია ამაოდ ველით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას იმის შესახებ, რომ სენაკს, ოზურგეთს, ხონს, მარტვილს და სხვა დასახლებულ პუნქტებს თავიანთი მშვენიერი სახელები დაუბრუნდეს, ხოლო დამსახურებულ ღირსეულ რევოლუციონეთა სახელების უკვდავსაყოფად სხვა საშუალებებს მივმართოთ: თუ ასე აუცილებელია, მათი სახელები ბიბილიოთეკებს, ქუჩებს, გაზონებს და სკვერებს დავარქვათ.

წლების განმავლობაში ვერ აღმოვაჩინეთ მიტოვებულ მთიან სოფელთა გაცოცხლების ქმედითი ფორმები.

სათანადო პროპაგანდა ვერ გავუწიეთ ფერეიდნელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნების საქმეს.

ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენში საკითხის მიფუჩეჩების, საშურ საქმეზე მიღებული დადგენილების მაუდქვეშ ამოდების და ე.წ. „მივიწყების“ ინერცია. დედაქალაქში ერთი მეორის მიყოლებით იხსენება იმ ღვაწლმოსილ ადამიანთა მუზეუმები და მემორიალები, ვისაც თბილისში უცხოვრია, ან გავლით გაუვლია, ხოლო გალაკტიონის – მეოცე საუკუნის ქართული

პოეზიის მეფის სახლ-მუზეუმის გახსნას კი არა და არ დაადგა საშველი.

კიდევ ერთ საკითხზე მინდა შევჩერდე; ეს საკითხი მეორეხარისხოვნად ნურავის მოეჩვენება; მას ხშირად კოლოსალური ენერგია მიაქვს და ადამიანთა განწყობილებაზეც დიდად მოქმედებს. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ხშირად დილეტანტის მიდგომ-მოდგომა და მოჩვენებითი ფახაფუხი გადაულახავ ბარიკადად ეღობება კომპეტენტურობას და პროფესიონალიზმს.

ზოგჯერ არაპროფესიონალ, შემთხვევით პირს ისეთ დიდ საქმეს მივანდობთ, რასაც იგი თავისი შეზღუდული ნიჭის გამო ვერც სიგრძეზე გაწვდება და ვერც სიგანეზე. ჩვენ მას ვერ გავუწიეთ კარგი სამსახური. შეიძლება მისი უნარი სხვა, შესაფერის ადგილზე დავსვით, იგი ნერვების დაძაბვით ცდილობს „ნდობა გაამართლოს“ და იტანჯება. რაკი თვითონაც ხვდება და სხვებმა უკეთ იციან, რომ იმ ადგილას ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხვდა, ნელ-ნელა ხელმოცარული კაცის გაბრაზება იპყრობს, გულმოსულია ყველასა და ყველაფერზე, ცდილობს წაშალოს ზღვარი ნიჭიერებასა და უნიჭობას შორის და ამით ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს.

ყველაზე დიდი, რაც მას ძალუძს, ის არის, რომ ცოტა ხნით გუნებას გაგიფუჭებს, მთავარ საქმეს გადაგადებინებს, ნაცრის კორიანტელში გაგხვევს და პასუხის წერად დაგსვამს. შენ დიდხანს ფიქრობ, ჩაება თუ არა სრულიად უთანასწორო ბრძოლაში, რომელიც თავს მოგახვიეს, დაეშვა თუ არა შენი არაკომპეტენტური ოპონენტის დონეზე, იგი ყოველთვის გამარჯვებულია – ფაქტი შექმნა იმისა, რომ ეკამათები.

მინდა მოვუწოდო ჩემს თავს და ყველა თანამოაზრეს, თავი აარიდოს იმგვარ კამათს, რომელიც გარედან წვრილმან კინკლაობად მოჩანს. ჩვენი ეროვნული საქმეების გადამკიდეთ, მაშინ, როცა ერის გულისყური მოპყრობილი გვაქვს და ჩვენგან გულის მოსაფხან სიტყვას ელიან, არა და არ გვეკადრება მედროვეთათვის და პატარ-პატარა თაგუნა-კარიერისტისთვის თავის გაყადრება.

ზოგისთვის ეს ბრძოლა გამუდმებული ბრძოლაა – გამოიგონებს მტრებს და ებრძვის. „მტერი“ კი ამ დროს თავის ღვთიურ ფიქრებშია და აინუნშიც არ მოსდის, რომ მტრად მონათლეს.

სხვებისთვისაც ბრძოლაა ეს ცხოვრება, ოღონდ ერვნული მტრების წინააღმდეგ ბრძოლა, სამშობლოს ნათელი მომავლისათვის ბრძოლა. სწორედ რომ ამგვარ ბრძოლაში უნდა გავერთიანდეთ ყველანი და პატიოსნად ვაკეთოთ ის, რასაც ჩვენი მხარ-მკლავები გაწვდება, რასაც ჩვენი შთაგონება გვიკარნახებს, რისთვისაც ბუნებამ მოგვიწოდა.

ისტორიის ბორბალი კი შეუსვენებლივ ბრუნავს და ჟამთა სვლის წისქვილიც გამტკიცულ ფქვილს ჰყრის ჩვენი მომავლის ხვიმირაში.

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

კვლავ ეროვნული ალოობისკენ გვიხმობს სრულიად საქართველოს დედო-ზარი.

სულით ხორცამდე ქართველი

შეიძლება მკითხველს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ რევაზ ლაღიძესთან ჩემი შეხვედრების რეზიუმედ პირველი ფრაზა ჩემს გონებაში რომ ამოტივტივდა, გახლავთ: „იგი იყო სულით ხორცამდე ქართველი კაცი“.

ხომ ბრწყინვალე პროფესიონალი იყო, მაგრამ ვერაფრით ვერ შეიტყუებდი სახელოვნო წვრილმანებზე სასაუბროდ. მით უმეტეს, თუ დილეტანტობას შეგატყობდა, მუსიკაზე სიტყვას რომ ჩამოაგდებდი, ისე შეუმჩნევლად გადაგიყვანდა ამოჩემებული თემის რელსებიდან, რომ ვერც კი გაიგებდი. „თეორიები“ არ უყვარდა, არც პროფესიული წუწუნი და ამოოხვრანი სჩვეოდა. პირველი შეხვედრისას გეგონებოდათ, ეტყობა, ღვთაებრივი „თბილისის“ ავტორი სხვა კაციაო.

დაადგინა ვინმემ ქართული ეროვნული თვისებები? არა და, ხომ ფაქტია, რომ არსებობს იგი – განუმეორებელი ფენომენი, ქართული ეროვნული ხასიათი. ამ ხასიათის თითქმის ყველა ნიშანს რევაზ ლაღიძეში აღმოაჩენდით: დარდიმანდობა, თავის არსებაში ერთხელ და სამუდამოდ დათრგუნვილი სიკვდილის შიში, სისხლში გამჯდარი პატრიოტიზმი. ეროვნული სიამაყის გრძნობა, უნაპირო სტუმართმოყვარეობა, წვრილმანობისა და ანგარიშიანობისგან შორს ყოფნა, სიცოცხლის ძლიერი სიყვარული და სიცოცხლით ტკბობის ხელოვნების ხუთი თითივით ცოდნა, მეტაფორული მეტყველება და ლამაზისიტყვაობა...

სამოციან წლებში გავიცანი. კაცმა რომ თქვას გაცნობა არც კი შემდგარა, ისე უშუალოდ და ბუნებრივად გამომელაპარაკა, თითქოს შეწყვეტილი საუბარი გავაგრძელეთ, ან მანამდე დიდხანს ერთად ვიყავით; ტელესტუდიაში ჩაწერა გვქონდა, ოცდაოთხი – ოცდახუთი წლისა თუ ვიქნებოდი მაშინ, „ღიმილის საათი“ მიმყავდა. ვხედავდი, მინის მიღმა მიმოდიოდა და ხელით რაღაცას მანიშნებდა. რეჟისორმა ჩაწერა შეწყვიტა, გავეგებე. „რეზო (გამიკვირდა ჩემი სახელი საიდან იცის-მეთქი) ნამეტანი სერიოზული ხარ, ხანდახან გაიღიმე. ტელევიზორში ღიმილი აკრძალული ხომ არ არის. მერე ნუ გაცვია კონსულივით წესიერად, ჰალსტუხი, მე მგონია, ამ გადაცემაში საჭირო არ არის. უბრალოდ ჩაცმულს უფრო შეგეჩვევა მაყურებელი. ჰალსტუხიანი ისედაც ბევრია სხვა გადაცემაში. იპოლიტეს (გადაცემაში იპოლიტე ხვიჩია მონაწილეობდა) „პატივცემულოს“ ნუ ეძახი, ბატონო იპოლიტეთქო, ასე უფრო ქართულია. კიდევ რა მინდოდა... ჰო, შენს რედაქტორს უთხარი, კომიკური სიმღერები ჩავრთოთ-თქო, ჩვენ უნიკალური იუმორით სავსე ხალხური სიმღერები გვაქვს –„მარებელი“, „არამი და შარიქა“ „ერეხელი“, „სისატურა“ გაგიგონია? – ამ სიტყვებს ისე მეუბნებოდა, მხარზე მედო მისი მძიმე ღონიერი ხელი და იმ ხელით, თითქოსდა, ასე ერთბაშად სხაპასხუპით მოყრილი შენიშვნებისთვის ბოდიშს მიხდიდა.

„დიდი მადლობა ბატონო რევაზ-მეთქი“, გახარებულმა მეტი ვერაფერი მოვახერხე და პირველი, რაც მაშინვე გავითვალისწინე, ის იყო, რომ ჩაწერის დროს მაშინაც კი ვიღიმებოდი, როცა ღიმილი მაინცდამაინც საჭირო არც იყო, ხოლო ბატონ იპოლიტეს „ბატონოთი“ მივმართე, მაგრამ ჩაწერა შეაჩერეს და ისევ „პატივცემულო“ მათქმევინეს, ტელესტუდიის მაშინდელ დირექტორს ბატონობით მიმართვაზე თავისი ახირებული წარმოდგენა ჰქონდა. ამ „სოციალიზმის ეპოქაში“ „ბატონობა“ ფეოდალიზმის გადმონაშთად მიაჩნდა.

ჩაწერა რომ დამთავრდა და ტელევიზიის კიბე ჩამოვირბინე, „რეზო!“ ისევ მომესმა ნაცნობი ხმა, მივიხედ-მოვიხედე. ძველმოდური „ვოლგის“ ღია კარებიდან ბატონი რევაზი მიხმობდა, მივირბინე „დაჯექი!“ უკანა კარი გამოვაღე და მოკრძალებით ჩავჯექი. უკან ორნი ისხდნენ იპოლიტე ხვიჩია და სიმონ სხირტლაძე. „გაიცანი, სიმონიკა, ჩემი ძმაკაცია, მიშველაძე“ წარუდგინა ჩემი თავი, როცა მანქანა დაიძრა.

ოქროყანაში ავედით და არღანზე ვიქეიფეთ. „ალე ბაბა“ ჩვენს „კუპეს“ არ გაშორებია იმ ღამეს, ცოტა ხნით თუ გავიდოდა, არღანს მოიხსნიდა და იქვე, ტაბურეტზე სტოვებდა. ქეიფის მეტი რა მინახავს, მაგრამ ეს იყო მთელი სკოლა ხუთკაციანი ჭეშმარიტი ლხინის, ზმალაღობის, სიმღერის, როგორ ეფერებოდნენ ერთმანეთს, რა მოწიწებით იხსენებდნენ გარდაცვლილებს, რამოდენა სიკეთე იღვრებოდა მათი ბაგეებიდან. უბოროტო იუმორს, ბრძნული საუბარი ცვლიდა ქვეყნის ავ-კარგზე, ტკბილ საუბარს – სიმღერა. ბატონი რევაზი თამადობდა. სადღეგრძელოებს იმის მიხედვით ამბობდა, რაზეც ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, სიმღერას სადღეგრძელოს უხამებდა. ერთი სიტყვით პურობა კი არა მთელი სპექტაკლი იყო. რა დასანანია, რომ ჩვენს ცხოვრებაში ვერა და ვერ დამკვიდრდა მაგნიტოფონ-ჩაწერების კულტურა. ჩაწერის საშუალებანი ჩვენს ოჯახებში ფუფუნების საგნებად დევს, ის სუფრა (და განა მარტო ის სუფრა) რევაზ ლაღიძესთან სხვა შეხვედრები ვინმეს რომ გადაეღო-ჩაეწერა, ეს იქნებოდა, ქართული სულის სრულყოფილი გამოხატვის უტყუარი, დიდი ხელოვნების სიმაღლეზე აყვანილი დოკუმენტები. რა ფაქიზად ხვდებოდნენ იმ დღეს მამისტოლა ადამიანებთან ჩემი დამორცხვების ყველა ნიუანსს. თანატოლივით მექცეოდნენ. სიმღერაში ხომ თავიდანვე ამიყოლიეს, ისე შემათამამეს, რომ ერთი-ორი თავისუფალი სადღეგრძელოც კი მათქმევინეს.

იმ დღის შემდეგ, ადვილად წარმოიდგენთ, რა ძვირფასი იყო ჩემთვის დიდი ქართველი მუსიკოსის და უაღრესად კოლორიტული ქართველის მცირეოდენი ყურადღებაც კი. თვე არ გავიდოდა, რომ არ მოვეკითხე. რექტორის მდივანი გაბრწყინებული სახით ამოირბენდა კათედრაზე რევაზ ლაღიძემ შენი სასწრაფოდ მოძებნა ბრძანაო.

როგორ გაიხარა ჩემი პირველი ნოველები რომ დაიბეჭდა „ცისკარში“. მახსოვს ერთხელ „კაცნი“ წაეკითხა და დაწვრილებით, ლამის ზეპირად

მიამბო. ნოველა მარტოობით გამწარებული კაცის ცხოვრებას ეხებოდა. ქუთაისში გაზრდილმა ბიჭმა საიდან იცი ასე კარგად იმერული სოფლის ზამთარი; ბუხარში მინავლული ცენცხლის, ნაქურჩალით თავდაცული ტუჩამოტეხილი დოქის და „ჩარირამას“ გემოო.

რამდენჯერმე სანადიროდ წამიყვანა. ვატყობდი, იმდენად „ნადირთა ხოცვა“ არ აინტერესებდა, რამდენადაც ნადირობის შემდეგ ჩრდილში, სუფრის გაწყობა და წელში გამოყვანილი ჭიქებით ქეიფი.

ერთხელ ნოდარ დუმბაძის ერთი რომანი რომ გავაკრიტიკე, დამირეკა; სასწრაფოდ მოდი, საქმე მაქვსო. ნახევარ საათში მასთან ვიყავი, ცოტა ხანს დაგვტოვეთო, მის კაბინეტში მორიალე ხალხს მიმართა და მარტონი რომ დავრჩით, წარბშეკვრით მომიბრუნდა: ყური უნდა აგინიო და არ გეწყინოსო. ნოდარი არ არის ის მწერალი კრიტიკის ობიექტად რომ აქციო, რა გაწყენინა, მითხარი და, ხვალვე შეგარიგებთო. დიდ ხანს ვუმტკიცე ნოდარი სიყვარულით გავაკრიტიკე, მინდა არ გათამამდეს წარმატებისგან და ხელი არ გაექცეს-მეთქი. არა და არ დამიჯერა, მშვენიერ ნოველებს სწერ და საერთოდ დაანებე კრიტიკას თავიო, ხალხს მოიმდურებ, მეტი არაფერი გამოვაო. საერთოდ, ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში კრიტიკა არც უნდა არსებობდესო. მკითხველმა და მსმენელმა თვითონ იცის თავისი საქმე, რა უფლება აქვს კრიტიკოსს თავის აზრს პიტნასავით რომ მჩრის ცხვირშიო. ჯერ არ მინახავს კრიტიკოსის მიერ „გამოსწორებული“ მწერალი და კომპოზიტორი, გულგატეხილი კი ბევრი მინახავსო.

ბოლოს საექიმო კომბინატში რამდენჯერმე ვინახულე. რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, მგონი ის მემართებაო. სიკვდილი კი არ მადარდებს, ხეიბრად თუ დავრჩი, ეს შემშლის ჭკუაზეო. ამ ქვეყანაზე მე ღოღვით არ მივლია, ყინჩად ვიარე, ჩემი წილი არაფერი დამიკლია და ჩემი პატარა ადგილიც მაქვს, მგონია, ქართული ხელოვნების ისტორიაშიო. დავარდნილი და გაუბედურებული რეზო ლაღიძე მე თვითონ არ მინდა, მე თვითონ არ დავუშვებო, რავარც შევატყობ, რომ იქეთ ვქენი პირი, მე თვითონ გამოვუტან ჩემს თავს განაჩენსო.

თვალზე ცრემლი რომ შემნიშნა, გამიცინა თავისი ლამაზი სიცილით; რა იყო სეხნია, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი, ჯერ ყველაფერი წინაა, ნუ გეშინია, აქლემი ისე არ დავარდებაო...

ბატონ რევაზის სულისხდა არ მინახავს, მაგრამ მგონია იგი ფეხზე დამდგარი შეხვდებოდა სიკვდილს.

1987 წ.

მოდით, მიხედეთ

მიუხედავად იმისა, რომ სასტიკ დროში ვცხოვრობთ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ასპარეზი აქვს ურთიერთობათა ავად გარკვევას და წვრილმან ანგარიშსწორებებს ამ ჩვენს ანარქიულ ეპოქაში, მე მაინც იმედით შევყურებ მომავალს და გულწრფელად მჯერა იმ პოლიტიკური პარტიების თუ საქველმოქმედო საზოგადოებების ქვეყნის შველა, მოყვასის მოვლა-შებრალება რომ განუზრახავთ.

მივმართავ ყველას, ვისაც ცრემლს მოჰგვრის კიბის ქვეშ მიუსაფარად და უპატრონოდ შთენილი ნიკალას ბედი.

თბილისში დოლიძის ქ. 5 კორპ. (II სად, VIII სართული, ბ. 44) ცხოვრობს მხატვარი ვახტანგ გულისაშვილი.

ვახტანგი ბრწყინვალე მხატვარია. თუ ჩემს გემოვნებას არ ენდობით, ნახეთ მისი დიდებული ფერწერული ტილოები („წმინდა გიორგი“, „რევაზ თარხან-მოურავი“, „ტირიან თუშის ქალები“, „ქურთები“, შემომეყარა ყივჩაღი“, „მეუღლის პორტრეტი“...) ნახეთ და თავად დარწმუნდებით, რა თვითმყოფად ნიჭთან გვაქვს საქმე.

ვახტანგ გულისაშვილს მიზეზთა გამო ხელი შეეშალა, მიზეზებს ახლა ნუ გამოვეკიდებით, იქნებ ბედისწერამ მოიტანა მისი ახლანდელი მდგომარეობა, იქნებ „გასვლა-გამოსვლის“ პრაქტიკული ცხოვრების ნიჭის არქონამ.

მხატვართა კავშირსაც (ვისღა დავუმალო) მიავიწყდა, ჩრდილში მირჩა ბატონი ვახტანგი.

მოხდა ისე, რომ ვახტანგ გულისაშვილის დიდებულ ნახელავს (მხატვარი ჯიუტად არ ჰყიდის თავის ნახატებს) და მხატვრის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება.

როგორც ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი ვახტანგიც ამაყი კაცია და იქნებ გამიწყრეს კიდეც ამ სტრიქონებისთვის, მაგრამ მე უფლება არა მაქვს გავჩუმდე ახლა.

1967 წლიდან მხატვართა კავშირის წევრია, მაგრამ სახელოსნო არა და არ აღირსეს.

ვახტანგის ოროთახიანი ღარიბული ბინა პარტახს ჰგავს ჭერიდან გამუდმებით წყალი ჩამოდის, იატაკი აყრილია. ნესტი და ჩამონაჟონი ანადგურებს ძვირფას კოლექციას.

მოკლედ კაცი „წყალში დგას და ცეცხლი უკიდია“ ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

სახალხო ფრონტო, რუსთაველის და აღმაშენებლის საზოგადოებებო, საქველმოქმედო უწყებებო, ფონდებო! მიამატეთ თქვენს სასახელო საქმეებს კიდევ ერთი მადლი, მოდით, მიაკითხეთ, დარწმუნდით და მიხედეთ ვახტანგ გულისაშვილს.

მე ჩემსას ვეცდები, თქვენი დიდი ძალა-გავლენა გამოიყენეთ.

ვინძლო ჩვენს დღეებში არ განმეორდეს და მერე სანანებლად არ დაგვრჩეს ჩვენი თანამედროვე „ნიკალას“ ბედი.

ოქროს ზომიერება

უხსოვარი დროიდან ცდილობს ადამიანთა მოდგმა, გაილამაზოს ცხოვრება, რაც შეიძლება შინაარსიანი და საინტერესო გახადოს იგი. კაცობრიობის ისტორია პიროვნების შინაგანი თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაცაა. მოაზროვნე კაცის მაძიებელი გონება ნიადაგ იღვწის სამყაროსთან იმგვარი ურთიერთობის დამყარებისთვის, რაც საყოველთაო ჰარმონიას გამოიწვევს, გაათავისუფლებს ადამიანს მის მიერვე სხვადასხვა დროსა და სიტუაციაში გამოგონილი იმგვარი ზნეობრივი ხუნდებისაგან, ბორკილებად რომ ჰქცევია მასვე პროგრესის უკიდეგანო მაგისტრალზე.

ახალი ადამიანი, კომუნიზმის მოქალაქე, რომლის ჩამოყალიბება და სრულყოფა ჩვენ თვალწინ ხდება, უნდა გახდეს სწორედ სამაგალითოდ აღზრდილი და განსწავლული პიროვნება, რომლის შექმნისათვისაც ასე თანმიმდევრულად ისწრაფოდა საუკუნეების განმავლობაში კეთილი ნების მსოფლიო. კაცობრიობის ამ გვირგვინს, დედამიწის ისტორიაში ამ ყველაზე ბედნიერ კაცს – კომუნისტური საზოგადოების პირმშოს, შესისხლხორცებული და შემოქმედებითად ათვისებული ექნება არა მარტო კომუნიზმის მორალური კოდექსი, არამედ ყველა ის ძვირფასი ტრადიცია, სხვადასხვა რჯულისა და ეპოქის ხალხებს რომ შეუქმნიათ და ცივილიზაციის საგანძურში მიუტანიათ.

ქართველმა ხალხმა თავისი ძნელბედითი ისტორიის მანძილზე პიროვნების პატივისცემის, მამულის სიყვარულის გამოხატვის, რაინდული თავაზიანობის ისეთი ძვირფასი წეს-ჩვეულებანი შეიმუშავა, ორიგინალურად რომ შეეზარდა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებას და რომლის ხელყოფისა და ანგარიშმიუცემლად გადაგდების უფლება არავისა აქვს.

განა მისაბაძი არ არის და ქართველთა ნაციონალურ თვისებად არ იქცა სტუმარ-მასპინძლობის ის ძვირფასი ტრადიცია, რითაც ოდითგან მოგვიხიბლავს ჩვენი მიწის ხილვის მსურველნი. რა შეედრება მეგობრობისა და გატანის იმ დიდებულ ადათს ძმადნაფიცობის, ფიც-ვერცხლის ჭამის, ძუძუმტეობისა თუ გადიობის ძვირფას რელიკვიებად რომ შერჩა „მოყვასის არდავიწყების“ შესანიშნავ ტრადიციას? განა სამაგალითო არ არის მამულის სიყვარულის ის უქრობი, დედის კალთიდან დაყოლილი და მტკივნეულად განცდილი გრძნობა, ქართველ კაცს გმირობის სასწაულები რომ ჩაადენინა და მრავალტანჯული ეს ქვეყანა დღემდე სასწაულებრივად რომ შემოგვინახა.

მაგრამ დრო გადის, საქართველო თანდათან უფრო მძაფრად ებმება აჩქარებული მსოფლიოს ბობოქარ ქროლვაში, კომუნიკაციის საშუალებათა ზრდის, ტექნიკის სასწაულების, შეხედულებათა სტანდარტიზაციის ჯიუტი გავლენა ჩვენი ცხოვრების წესსაც თავის დაღს ასვამს. ცივილიზაციის მაცდურ გზებზე სრბოლის დამღლელ დანადგარში ზოგი

ძვირფასი ტრადიცია ხელიდან გვეცლება, დავიწყების მტვრით იფარება, ხოლო სათუთად შენახული ზოგი ჩვეულება კი ახალ, მახინჯ ფორმებს იძენს და თავისმომჭრელ პროვინციალობად გვაწვება. ბუნებრივია, რომ პირველს გაფერვა და განმტკიცება, მეორეს კი დავიწყება და ამოშანთვა სჭირდება.

ერთ დროს საქართველოში მამაკაცსა და დდაკაცს პურის ერთად ჭამა აკრძალული ჰქონდა. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში დიდხანს იყო აკვანშივე დანიშვნისა და ჩადრის ტარების ადათი, რამდენ უდანაშაულოს გაუმწარა სიცოცხლე მტრისთვის მარჯვენის მოკვეთისა თუ სისხლის აღების მავნე ჩვეულებამ. ჩვენ ახლა სირცხვილეულად გვეღიმება წარსულის ამ „ტრადიციებზე“, დროულად რომ დავასამარეთ და ახალი საქართველოს შვილები დღეს ეთნოგრაფთა წიგნებში რომ წააწყდებიან.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო სამაგიეროს გადახდის იმაზე უფრო ბრმა და უსამართლო ფორმა, ვიდრე სისხლის აღება იყო. რა შეიძლება მოიფიქროს გონებამ სიყვარულის და თანასწორი ოჯახის შექმნის უარსაყოფად იმგვარი, აკვანშივე დანიშვნა რომ გახლავთ.

როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გამოვიდა. ზოგიერთმა სკეპტიკოსმა, რომელიც არც კი ცდილა ღრმად დაკვირვებოდა დადგენილების სრულიად სამართლიან, ნათელ სტრიქონებს, თავში ხელი წაიშინა და ჭორების გავრცელება დაიწყო: „არიქა, დავიღუპეთ, დაბადების დღე, ძეობა, ქორწილი და ქელეხი აიკრძალაო“. ტრადიცია კი რისი ტრადიციაა, თუ ასე ხელაღებით დავთმეთ და ისინი, ვინც იმ სკეპტიკოსის უსირცხვილო ჭორი დაიჯერა, გადავიდნენ ვითარებასთან შეგუების გზებზე. გახშირდა გასაიდუმლოებული ბანკეტები, მეზობლის ეზოში იშლება საქელეხო სუფრა, დისერტაციის დაცვის აღსანიშნავ ლხინს სიდედრის დაბადების დღის აღნიშვნით ნიღბავენ. ერთი სიტყვით, ძალიან გაუჭირდათ მოყირჭებული ადათების ერთგულთ.

სინამდვილეში კი აზრადაც არავის მოსვლია ეთქვა: შვილის შეძენა ან ქორწილი არ გაგეხარდეს და შენი ბედნიერების გამოსახატავად, ახლობლების პატივსაცემად ვახშამი არ გამართოო. არც ის უთქვამს ვინმეს, დისერტაციის წარმატებით დაცვასთან დაკავშირებით მეგობრებს არ მისცე საშუალება ჭიქა ღვინით მოგილოცონ ეს სიხარულიო. წარმოიდგინეთ, არც ამ ადათის წინააღმდეგ ვილაშქრებთ, ჭირისუფლის ახლობლებმა შორიდან მოსული გულშემატკივრებისთვის სახელდახელო სუფრა რომ გააწყონ და მიცვალებულის მოსაგონარ ჭიქას თავი წაუქციონ. პარტიამ მოგვიწოდა უარი ვთქვათ იმაზე, რაც შემაწუხებელ სენად გვექცა, რაზეც თითოეულ ჩვენგანს არაერთხელ უფიქრია, რაც ტრადიციის საუკუნური ქურით კი არ არის გამოწრთობილი, არამედ ამ ბოლო დროს გაგვიჩნდა, საეჭვო ინერციების შემწეობით.

კერძოდ, აი, რა:

ქართული ქორწილი ტრადიციულად სიყვარულისა და სილამაზის დემონსტრაცია იყო. ყველა კუთხეს რაღაც თავისებური, განუმეორებელი ჰქონდა შეტანილი ოჯახის შექმნის ამ დიდებულ რიტუალში. ჩვენმა წინაპარმა საოცარი ზომიერებით გაითვალისწინა ყველა პატარა დეტალიც კი, ახალდაქორწინებულთა ყოფას რომ დაამშვენებდა, ოჯახის განმტკიცებას ხელს რომ შეუწყობდა, სანამ მმაჩის ბიუროები შეიქმნებოდა და ქორწინების აქტზე მოწმეთა ხელმოწერა გახდებოდა საჭირო, ნეფე-დედოფალს ყოველთვის უმშვენებდა მხარს ხელისმომკიდე – ახალი ოჯახის დაბადების მოწმე და მისი უახლოესი ნათესავი. ოჯახი ჩვენში სიყვარულის ჯანსაღ საწყისებზე იქმნებოდა და არასოდეს არ იყო ქორწილი დამახინჯებული ვაჭრული ანგარებითა და მახინჯი ცერემონიალით. მაგალითად, ზოგიერთ ერში დღესაც ძალაშია გავლენიანი, განათლებული სიძის ნაღდ ანგარიშზე ყიდვის რიტუალი, ზოგან კი პირიქით, რა დამამცირებელიც უნდა იყოს, სიძემ სიმამრისაგან უნდა გამოისყიდოს თავისი საცოლე. სადედამთილოს მიერ ქორწილამდე საპატარძლოს აბანოში წაყვანის, ან რაც კიდევ უფრო შემაძრწუნებელია, საქორწინო ზეწრის აფრიალების სამარცხვინო სურათი უცხო იყო ქართული ქორწილისათვის.

რა სავალალოა, რომ დღეს, ჩვენი საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე, უფრო ხშირად გვიხდება ლაპარაკი საქორწინო მეჯლისში გაჩენილ იმგვარ უხერხულობებზე, ვერავითარ ახსნასა და გამართლებას რომ ვერ უპოვი.

თუ როგორმე გამოცდი ქორწინების სახლის მომაბეზრებელ ლოდინს, შენ წინაშე მაშინვე აღიმართება ფულის შოვნის მსურველთა მთელი ჯგუფი. ფოტოგრაფი დაუპატიჟებლად წამდაუწუმ ქურციკივით დახტის ხალიჩაზე და მერე ხელისმომკიდეს ყურში იმხელა ფულის გადახდას უჩურჩულებს, რომ შეიძლება ანანებინოს კიდეც ქორწინების მოწმეს თავისი ეს საპატიო მოვალეობა. პირველ სართულზე ყალბი ღიმილით შენიღბული სახეები დასალოც დარბაზში შეგიძღვებიან და ყოველგვარი შეკვეთის გარეშე ბათქაბუთქს აუყენებენ მაგიდაზე დახვავებულ შამპანურის ბოთლებს, რომ მერე „დანახარჯი“ ერთისამად გიანგარიშონ.

მერე წითელბაფთიანი მანქანების გრძელი კოლონა უტიფარი, გაბმული სიგნალით დასერავს დედაქალაქის ქუჩებს და ჯვრისწერის ადგილისაკენ გაემართება. იქ ისევ ლოდინი. რიგი აქვს მღვდელს, რადგანაც ჯვრისწერის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდება. დგახარ და უცქერი ჯვრისწერაზე შეყრილ სახეებს, მღვდლის გაუთავებელ პუტუნზე ეღიმება ნეფე-დედოფალს. ირგვლივ, თვით ღმერთის მოციქულის ჩათვლით, არა ჩანს არც ერთი კაცი, რომელსაც სჯეროდეს ამ დაბერებული რიტუალის, რომელზედაც ზემოქმედებას ახდენდეს მოწმეთა ჯიბისკენ თვალებგაპარული მღვდლის მოსაწყენი ლიტანია. მაშ, რატომ მოხვდით

აქ? ისევ და ისევ წამბაძველობის, ბრმად ფეხის აყოლის მავნე ჩვევის გამო.

ახლა თვით საქორწილო სუფრა? ჯერ ყოვლად მოუთმენელი ლოდინი, სანამ დაპატიჟებულთაგან ის განსაკუთრებით პატივსაცემი ელიტა შეგროვდებოდეს, რომლის მოსვლასაც მასპინძელი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენებურმა კაცმა კი შესანიშნავად იცის, რომ თუ ექვს საათზე მოგიწვიეს, ესე იგი ღამის თორმეტ საათამდე არ დასხდებიან. ვინც „შეცდა“ და დროზე მოვიდა, გახურებულ ნარდისა და კარტის თამაშში უნდა ჩაებას, სხვა გზა არ არის, შუაღამისას პურის ჭამად დასხდომა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ადამიანის ჯანმრთელობაზე ახდენს ცუდ ზემოქმედებას, და თუ ამას დავუმატებთ მკაცრი თამადის სიფხიზლეს – დაუთრობი არავინ დარჩეს სუფრაზეო, ადვილად წარმოიდგენთ, თუ რატომ უსკდებათ თავი მეორე დღეს და რატომ არიან უგუნებოდ უძილობისგან თვალებდაბერილი და ღვინით გალახული „პატივნაცემი“ სტუმრები. ვინ მოიგონა, სად ამოიკითხეს, რომ დავით აღმაშენებლის ან ერეკლე მეფის დროს ქართველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ – აბა ვინ მეტს დალევს, ან ვინ მეტ ხინკალს შეჭამსო? შეჯიბრი იყო ყაბახში, ცხენთა ჯირითში, სიმღერასა და ლექსის თქმაში, თორემ ვინ თვლიდა ვაჟკაცად იმ კაცს, ვისაც დიდი სტომაქი ჰქონდა და ბევრ ღვინოს ჩაიცლიდა?

ახლა საჩუქრები? რა გულით უნდა იჯდე იმ საქორწილო სუფრაზე, სადაც მასპინძლის მიერ გამოყოფილი საიმედო კაცი სერიოზული სახით კითხულობს სიას იმ პირებისას, ვინ რა საჩუქარი მიართვა ოჯახს, და მერე მეშჩანი სტუმრებისა და უთავმოყვარო მასპინძლის თვალში შენი ღირსება კარგა ხანს იმის მიხედვით იზომება, რა ხელდამშვენებული ეახელ ოჯახს ამა და ამ ქორწილზე. მინახავს ქორწილზე, როგორ შეუწყვიტეს მუსიკა საცეკვაოდ საღერღელაშლილ კაცს, რომელსაც ცეკვის ფული გადახდილი არ ჰქონდა. მინახავს, როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში ძაფზე ასხმული ფულის აკიდო და მინახავს კიდევ უფრო თავისმომჭრელი: დედოფალს ხელში ფული ეჭირა და ცეკვის დროს სახეანთებული, ღიმილით მადლობას უხდიდა მას, ვინც ხელში წითელ თუმნიანს ჩაუკუჭავდა.

მე რასაკვირველია, გამონაკლის შემთხვევებზე მოგახსენებთ. ღმერთმა ნუ ქნას, ყველგან ასე იყოს და ქორწილი სიამოვნებისა და სიხარულის მონიჭების ნაცვლად გულისამრევ, შემარცხვენელ კომპანიად იქცეს, მაგრამ ზოგ ჩვენს საქორწინო წესს ჩვენვე რომ კრიტიკული თვალით შევხედოთ, განა გვაწყენდა? მე ვფიქრობ, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს სტუმრების სიის უთავბოლო ზრდა. ყველა ნაცნობის მოპატიჟება არც საკადრისია და დიდ ხარჯსაც მოითხოვს, ხოლო იმ ხარჯის კომპენსაცია დამამცირებელი გზებით – საჩუქრებითა და შესაწირავების იმედით – თავის დამცირებაა და მეტი არაფერი.

საქართველო უკვე აღარ არის მარტო აგრარული ქვეყანა. ზოგი ჩვენი ქალაქი დიდი ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს. ამიტომაც საქორწინო წესი ქალაქად და სოფლად განსხვავებული პირობების გამო საგრძნობ კორექტურას მოითხოვს. ქალაქად დიდი უკულტურობაა, აქაოდა ქორწილი მაქვსო, გაბმული სიგნალით ქუჩებში ქროლვა და კიდევ უფრო უკულტურობაა მთელი ღამე როკვა და დოლის ბრახუნი, რითაც ჩვენს ქალაქში მცხოვრები ერთი მოძმე ეროვნების საქორწილო რიტუალი ხასიათდება.

ქართულ სუფრას სხვა შნო და ლაზათი აქვს. ჩვენი წვეულება მარტო ქეიფისა და დროსტარების მიზანს კი არ ისახავს, იგი გონივრული საუბრის, ურთიერთგაცნობისა და დაახლოების, მოსწრებული სიტყვა-პასუხის ასპარეზიც გახლავთ. რასაკვირველია, არაა ლამაზი ლხინი ნახევარ საათში დამთავრდეს და შენაყრებული სტუმრები კარებისაკენ გარბოდნენ, მასპინძლის შრომას პატივი უნდა ვცეთ, მასპინძელმა თავი იმიტომ კი არ შეიწუხა, ჩვენ მუცელი ამოვიყოროთ და სახლისკენ მოვუსვათ, მასპინძელს სურს მის ოჯახში მხიარული, კმაყოფილი, მოლხენილი სტუმრები იხილოს. მომხიბვლელი წესრიგი ქართულ სუფრაზე რომ სუფევს, თამადის მიერაა გამოწვეული. თამადობის ინსტიტუტი ჩვენი სუფრის ერთი უძვირფასესი ტრადიციაა. როგორ აკეთილშობილებს მოქეიფეებს ყოველი სასმისისთვის მიზნისა და მიმართულების დასახვა; სამშობლოს, მშობლების, მეგობრების, დედმამიშვილების, წინაპრებისა თუ შვილების სადღეგრძელო. ქართული სუფრის წესრიგიანობითა და პოეტურობით ვინ არ მოხიბლულა, მაგრამ მაინც ხშირად მთავრდება ჩვენი ლხინი დაუკმაყოფილებლობის გრძნობით, ხშირად უსიამო მოგონებად გაგვკრავს გულში გუშინდელი წვეულება. ამგვარი შემთხვევის მთავარი მიზეზი ხშირად თამადაა. თამადას შეუძლია გუნება გაუფუჭოს სტუმრებს ცუდად გაგებული თავისი ფუნქციებით. თამადას სუფრაზე ირჩევენ, უპირველეს ყოვლისა, ოქროპირობის, იუმორის გრძნობის, ენაწყლიანობის უნარის მიხედვით და არა იმ ნიშნით, შეუძლია თუ არა მას ყველაზე მეტი დალიოს. თამადა, რომელიც არამკითხედ უზურპატორობს, წამდაუწუმ სიჩუმისა და წესრიგისაკენ მოუწოდებს სტუმრებს, მკაცრ კონტროლს აწესებს ჭიქების დაცლაზე და წარბების შეკვრით ცდილობს სუფრის „ხელში აყვანას“, რასაკვირველია, კარგი თამადა არ არის. ლხინისთვის უსიამოვნო ელფერის მიცემას ზოგი სუფრის წევრიც მშვენივრად ახერხებს. ქართული სუფრის ტრადიცია სადღეგრძელოში კახაბრის კახაბერად მოხსენიება იყო და არა გაუთავებელი ლაქლაქი ზოგიერთის პირველ კაცობაზე, მის იდეალურ სისპეტაკეზე და ხელმძღვანელობის არაჩვეულებრივ უნარზე. უფრო საშინელი მოსასმენია, როცა სადღეგრძელო კაცს მაამებლობის, საქმის მოგვარების წყაროდ უქცევია და თავის „მსხვერპლს“ თვალებში შესცქერის, ნიადაგ იმას ცდილობს, რაიმე ქათინაური უთხრას, როგორმე ასიამოვნოს. ლამის დაივიწყა ჩვენმა სუფრამ თავის დროზე სიმღერის, ცეკვის, ოხუნჯობის, ერთმანეთთან დაახლოების ტრადიცია. უხეირო თამადა მიაჯაჭვავს სკამზე თავისი სუფრის წევრებს და საგანგებო ნებართვის გარეშე ადგომის უფლებას არ აძლევს. სწორედ ესაა პროვინციალიზმი. მით უმეტეს, როცა სუფრაზე ქალებიც არიან. განა საკადრისია, ვაიძულოთ ისინი ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში გაუნძრევლად ისხდნენ და მთვრალი მამაკაცების ლუღლუღი ისმინონ? კარგმა თამადამ სუფრაზე რამდენჯერმე შესვენება უნდა გამოაცხადოს. საშუალება მისცეს სტუმრებს, გაიარ-გამოიარონ, მასპინძლის ეზო დაათვალიერონ, ურთიერთშორის ისაუბრონ, ბუხარს მიუფიცხდნენ, ტელევიზორს შეავლონ თვალი, ან უბრალოდ მუხლები გამართონ. იქნებ ღვინის სმაში გახდა ჩვენი სუფრა წესრიგიანი? დღეს რომ ასე ბევრს ვლაპარაკობთ ინფარქტისა და ჰიპერტონიული დაავადებების ზრდაზე, ამის ერთ-ერთი მიზეზი, დამერწმუნეთ, ალკოჰოლიანი სასმელების უზომოდ, უკულტუროდ გამოყენებაც გახლავთ. საათების განმავლობაში წელგაუმართავად სუფრაზე ჯდომა და რომელიმე ხეპრე თამადისათვის თვალებში ყურება, რა სეირს დაგვაყრის? ვის არ უნახავს ჩვენს ეთნოგრაფიულ მუზეუმებში თიხის ან ხისგან გამოთლილი პატარა ფიალები, ამ სასიამოვნო ჭურჭლით სვამდნენ ჩვენი წინაპრები ღვინოს. ფიალას ნახევრამდე ავსებდნენ, რომ სიმთვრალე არ მორეოდათ. საქართველოში სუფრაზე დათრობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა, ახლა კი რატომღაც სწორედ სუფრიდან ფხიზლად ადგომა ითვლება სირცხვილად. თამადა წელებზე ფეხს იდგამს, რომ თავსი „მაღალი მისია“ შეასრულოს და ხშირად ამგვარი ავანტურისტული გზით ახერხებს თავისი მიზნის მიღწევას: დასაწყისში უშველებლ ყანწს ჩამოატარებს, დროის სატარებლად მოსულ სტუმრებს, რომ იტყვიან „კისერს მოსტეხს“, ხასიათს მოუშხამავს, მერე ავსებული ჭიქით მიჰყვება, ალაგ-ალაგ კიდევ შეაშველებს ყანწს და თუ შეატყო, რომ ღვინომ მაინცამაინც არ იმოქმედა და სუფრაზე კიდევ დარჩა ერთი-ორი, როგორც ამბობენ, „მაგარი მსმელიო“, ასეთ შემთხვევაში თამადა გასწირავს თავის თავსაც და თავის უდანაშაულო სუფრის წევრებსაც. კარადიდან ვაზას აიღებს, ღვინით გაავსებს, დალევს და თუ ძალა ეყო, სხვასაც გადააწოდებს. საკუთარი თავის მტრობის, ინფარქტამდე მოკლე გზების პოვნის უფრო მომგებიანი გზა არ არსებობს. ჩვენს სუფრაზე სადღეგრძელოებს ყანწით არავინ იწყებდა. სვამდნენ ფიალებით, ან პატარა, წელშიგამოყვანილი ჭიქებით, მხოლოდ ერთადერთხელ დაიცლებოდა სუფრაზე ყანწი ლხინის დასასრულს. და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დაცლიდა მხოლოდ ის, ვისაც მისი დალევის სურვილი ჰქონდა. ჩვენს ნერვულ საუკუნეში განა ისედაც ცოტა რამა აქვს ადამიანს სავალდებულო და აუცილებელი, რომ სუფრაზე სავალდებულო სმაც არ დავაწესოთ?

სტუმარი საქართველოში ყოველთვის სასურველ და საპატიო კაცად ითვლებოდა. ჩვენი ხალხის ეროვნულმა ბუნებამ, გულღიაობამ

და გულკეთილობამ, მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმა – უგზოობამ და უტრანსპორტობამ, მძიმე ისტორიულმა წარსულმა, – ყველაფერმა ერთად განაპირობა ჩვენში სტუმარ-მასპინძლობის ადათის უმაღლეს მოვალეობად, ლამის ეროვნულ კანონად გამოცხადება. „სტუმარი ღვთისაა“, იტყოდა ქართველი კაცი. „საქართველოში საგზალით სირცხვილი არის გავლა“, – მაგონდება სტრიქონი ზურაბ ლოთქიფანიძის მშვენიერი ლექსიდან, რომელიც პოეტმა სწორედ ჩვენი სასიქადულო სტუმარ-მასპინძლობის უკვდავყოფას მიუძღვნა. ჩვენებური კაცი რა ხელმოკლედაც უნდა ყოფილიყო, სტუმარს არ აგრძნობინებდა, პერანგს გაჰყიდდა და სტუმრის წინაშე თავს არ შეირცხვენდა. „ჩვენი გოგიტა ქართველი ახირებული კაცია, შიმშილით კუჭი უხმება, სტუმარს დაუკლა ვაცია“, – ღიმილით დასძენს სახალხო მთქმელი და ამით უნებლიედ დიდ ისტორიულ სიმართლეს გამოხატავს.

ოქროს ზომიერება, როგორც ჩანს, არც აქ გვაწყენდა. ზოგიერთს სტუმრის პატივისცემა ძალიან ვიწროდ ესმის. დაახვავებს სუფრაზე ხორაგს, თავბრუს დაახვევს სტუმარს ქართული სამზარეულოს მრავალფეროვანი არჩევანით, გამოათრობს და მიაძინებს. დილით კვლავ სუფრაზე მოუხმობს, ისევ დაათრობს და მოასვენებს. ბოლოს ორი-სამი დღით ჩამოსულ სტუმარს ჩურჩხელებითა და ნაზუქებით ჩემოდანს გაუვსებს და სიმთვრალისაგან ღონემიხდილს, ვაგონის კუპემდე მიაცილებს. ვაგონის გამცილებელსაც კი გააფრთხილებს, ჩემი სტუმარია მიმიხედეო, და უკანმობრუნებული შვებით ამოისუნთქავს. მას ვერავინ დაძრახავს, თავისი მასპინძლური ვალი მოიხადა – სტუმარს სუფრიდან თავი არ ააღებინა. მერე და ეს არის სტუმრის პატივისცემა? რა უნდა დავახსომოთ ჩვენს სტუმარს, თუ ისტორიულ ძეგლებს არ ვაჩვენებთ, მუზეუმებს არ დავათვალიერებინებთ, მხატვართა ნამუშევრებს არ გავაცნობთ, ქართულ სიმღერებს არ მოვასმენინებთ. ჩვენი ურამასპინძლობის უხერხულობებმა ამ ბოლო დროს რამდენიმე კურიოზის წინაშე დაგვაყენა.

უპირველეს ყოვლისა, სუფრის გაწყობაზე უნდა ითქვას. აქაოდა სტუმარი მყავსო, ერთმანეთს ვეჯიბრებით სუფრის გაფორმებაში. რა საჭიროა ამდენი ხარჯი, ამდენი სხვადასხვა დასახელების კერძი? რატომ ვანიჭებთ ასეთ უპირატეს მნიშვნელობას ჭამა-სმას? ჩვენში ათკაციანი სუფრისთვის იმდენ პროდუქტს ვახვავებთ, რომ ორმოც კაცს თავისუფლად გაისტუმრებდა. თითქმის მსოფლიო მომივლია და არსად არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს სუფრაზე იმაზე მეტი რამ ყოფილიყოს, რაც სჭირდებოდა დანაყრებისათვის. ჩვენი სუფრა თითქოსდა ქართული კულინარიის გამოფენაა და სტუმარმა ამ აურაცხელ ასორტიმენტს ხელი თუ არა, თვალი მაინც უნდა შეავლოს. შიშით მიუჯდება სტუმარი სუფრას და თვალი სულ კარებისკენ უჭირავს, ალბათ, კიდევ ბევრია მოსასვლელი, თორემ ამ რამდენიმე კაცისათვის ამხელა სუფრას როგორ გააწყობდნენო. ლხინის დამთავრების შემდგ ჩვენი სტუმარი ერთხელ

კიდევ თვალს შეავლებს ხორაგით გადატვირთულ სუფრას და გულში თხზავს ათას მითს ჩვენს უკიდეგანო ეკონომიურ შესაძლებლობებზე. იმაზე, რომ თითქოსდა ჩვენ ასე მდიდრები ვართ და ყველაფერი უშრომლად, უზრუნველად მოგვდის, ამიტომაცაა, რომ მასპინძლები ხანდახან მარტო აქ როდი ვართ. განა ჩვენ თვითვე არ დავაჯერეთ ჩვენი სტუმარი ჩვენი ჯიბის უძირობაში?

არც ამგვარი თანგადაყოლაა საჭირო და არც ზედმეტი ცდა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ქვეყნად ყველაზე კარგი მასპინძლობა ვიცით. ამას წინათ ერთი უცხოელი სტუმარი გვეწვია, ჩვეულებრივი საქმოსანი იყო, მაგრამ გადავწყვიტეთ, რაც ეკუთვნოდა, იმაზე მეტი პატივი გვეცა და ჩვენთან სტუმრობა სამუდამოდ დაგვემახსოვრებინა. მანქანით შემოვატარეთ ისტორიული ადგილები, ვეცადეთ გვეჩვენებინა ჩვენი ბუნების სიმშვენიერე და ქართველი კაცის კეთილი ბუნებაც. ჩვენთან ყოფნის ოთხი დღის განმავლობაში სულ სხვადასხვა ოჯახში დაგვყავდა და ქართული მწვადის, საცივის, ელარჯისა და კუპატის სურნელებით თავბრუს ვახვევდით. როცა თბილისისკენ მოვემგზავრებოდით, ჩემკენ გადმოიხარა და ყურში ჩამჩურჩულა, თუ კაცი ხარ, სადმე რესტორანთან გააჩერე, მეტი აღარ შემიძლია, ოთხი დღეა არ გვისადილიაო. მე გამეცინა, სადილები ჩვენ რომ გაგვიმართეს, ისეთი უნდოდა, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩემი სტუმარი ამ ელარჯს, მწვადს და კუპატს სადილს როდი ეძახდა. სადილი მისთვის იყო ტრადიციული „პირველი“, „მეორე“ და „მესამე“ ვერც გაამტყუნებდი. იგი იმგვარად იყო აღზრდილი, რომ „პირველის“ გარეშე სადილს სადილად არ თვლიდა. მე, რასაკვირველია, ვინანე, რომ დროზე არ გავითვალისწინე ჩემი სტუმრის ნაციონალური მენიუ, რაც გაცილებით იოლი იყო და უფრო იაფი დაჯდებოდა.

ეს ამბავი რომ მოვყევი, ერთმა ჩემმა მეგობარმა თავის მხრივ ასეთი შემთხვევა მიამბო: „ეგ რა არის, ერთ თვეს გვყავდა დაწესებულებაში სტუმარი, ჩვენი ლაბორატორის მუშაობის გამოცდილება უნდა შეესწავლა. შევადგინეთ გრაფიკი, რომ თავისუფალ დროს ჩვენს სტუმარს არ მოეწყინა. მორიგეობით დაგვყავდა ოჯახებში. არ დაგვიტოვებია თბილისში და მის შემოგარენში არც ერთი რესტორანი, რომ სტუმრის პატივსაცემად სუფრა არ გაგვეშალოს. სხვათა შორის, კარგა ამყოლი კაცი გამოდგა. ცოტას რომ დააძალებდი, ეშხში შედიოდა და ჩვენზე მეტს სვამდა. არც უმადობას უჩიოდა მაინცდამაინც. დიდი ამბით გავაცილეთ. გამოსათხოვარ ბანკეტზე იტირა და ჩვენი მასპინძლობის საოცრებებზე საათიანი სიტყვა წარმოთქვა. მერე სათითაოდ ჩამოგვიარა და გადაგვკოცნა. ჩვენც, გაამაყებულნი და ნასიამოვნებნი, კარგა ხანს ვუამბობდით ერთმანეთს ჩვენი სტუმრის კაიკაცობის შესახებ და მიგვაჩნდა, რომ ასეთი კაცის პატივისცემა არა და არ იყო წყალში გადაყრილი, მაგრამ არ გასულა ერთი თვე და ბარათი მივიღეთ. კიდევ ერთი

მადლობის ბარათი გვეგონა და კოლექტიურად წავიკითხეთ, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებულნი დავრჩით, წერილი გულისწყრომით იყო სავსე. ჩვენი სტუმარი გვწერდა, „თქვენს ქვეყანაში გატარებული ერთი თვე ავადმოსაგონარი იქნება ჩემთვის, რადგანაც იმ ერთმა თვემ საბოლოოდ შეარყია ჩემი ჯანმრთელობაო. მე მეგონა ცივილიზებულ ქვეყანაში მივდიოდი და სამწუხაროდ, თქვენ ვერ გაამართლეთ ჩემი იმედებიო. თქვენმა ძმრიანმა და წიწაკიანმა საჭმელებმა კუჭი დამიავადა, კვების რეჟიმის სისტემატურმა დარღვევამ ნივთიერებათა ცვლა მომიშალა, ხოლო ღვინომ, რომელსაც ასე უღმერთოდ მაძალებდით და მეც ხათრით უარს ვერ გეუბნებოდით, ჩემი თირკმელები მწყობრიდან გამოიყვანაო. თქვენ ღმერთმა დიდი გაძლება მოგცეთ, მაგრამ მე კი არათუ აღარასოდეს ჩამოვალ საქართველში, ჩემს ნაცნობსაც არ ვურჩევ თქვენკენ გამომგზავრებასო“.

როცა ჩემი მეგობარი ამ ამბავს მიამბობდა, იგი გაოცებული იყო სტუმრის უმადურობით, მე კი ამ ფაქტში მასპინძლებს ვადანაშაულებდი, უპირველეს ყოვლისა. ხედავთ, რა უკურეაქცია გამოიწვია ჩვენმა მოუზომავმა ცდამ, სტუმრისთვის პატივი გვეცა?

კიდევ ერთი სამარცხვინო სენი შეეყარა ქართულ სტუმარ-მასპინძლობას. რა შემაძრწუნებელია, რომ ეს სენი იმდენად საყოველთაო გახდა საქართველოს ყველა კუთხისთვის, რომ ერთნაირად ღრღნის იმერ-ამიერს, ვაზისათვის მწირ საქართველოს მთიანეთს და ღვინის სამშობლოს – კახეთსაც. „ღვინის კეთება“ ჩვეულებრივ ამბად იქცა, შემოდგომაზე დაიწყება თუ არა რთველი, გაქრება სოფლის მაღაზიების თაროებიდან შაქარი, ყიდულობენ ტომრობით და მარნებისაკენ მიარბენინებენ. იშვიათად, რომ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში წმინდა ღვინო დალიოს კაცმა. მასპინძელს მაცდური ღიმილით მოაქვს სუფრაზე შაქრიანი ღვინო და, უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნებს, როცა შვილიშვილს დააფიცებ, შაქრიანია ეს ღვინო თუ არაო.

გახშირდა ჩვენს მარნებში სამნაირი ღვინო, „სასტუმრო“, „საძვირფასტუმრო“ და „სახმარი“. შაქრიანი სამივეა, მაგრამ „სასტუმროსა“ და „სახმარს“ შაქრის გარდა კიდევ სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერებებით ამდიდრებენ. ვაი, შენ თუ „ძვირფას სტუმართა“ რანგს არ ეკუთვნი. შეგიძლია, სუფრიდან პირდაპირ მიაკითხო პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებს, იქნებ ცოტა ხნით მაინც გაიხანრძლივო არსებობა.

რა არის ამაზე უფრო სამარცხვინო ჩვენთვის? რა დაგვემართა ასეთი, რა უბედურება დაგვატყდა თავს, რომ ჩვენი საყვარელი მასპინძელი მისთვის სასურველ სტუმრებს ასე უსინდისოდ წამლავს და განმკითხავი არავინ არის? ამას წინათ „კომუნისტის“ ფურცლებიდან ჯანსუღ ჩარკვიანმა იხუმრა: მალე ისეთი დრო დადგება, სტუმრად ჩვენ-ჩვენი ღვინით დავიწყებთ სიარულსო. პოეტის ამ ხუმრობაში, სამწუხაროდ, სიმართლის ნაპერწკალი ჩანს. უკვე მივედით იქამდე, რომ ღვინის სიწმინდეში ძმა ძმას აღარ ენდობა. ეს ამბავი საფელეტონო და საანეკდოტო უკვე აღარ გახლავთ. უკვე აღარავის ეცინება შაქრიანი ღვინის ხსენებაზე. ქართული ღვინის შემარცხვენელთა წინაამდეგ გადამჭრელი ზომებია მისაღები. არ გვინდა, ბატონო! უარს ვამბობთ ამგვარ მასპინძლობაზე.

მიცვალებულზე ან კარგი უნდა ვთქვათ, ან არაფერიო – გვაფრთხილებს ბრძნული ქართული ანდაზა. მიცვალებულის გაპატიოსნება, მკვდრის პატივისცემა ცოცხლად დარჩენილთა ვალია, მაგრამ ამ პატივისცემამ თან არ უნდა გადაგვიყოლოს, ყველასათვის მისი მკვდარია ძვირფასი, მაგრამ განა მოსაწონია საფლავის ლოდი – მწუხარებისა და სინანულის ნაცვლად ზოგის თვალში აღტაცებას რომ იწვევს, ხოლო უმეტესობას ჭირისუფლის უგემოვნობასა და მის დიდ ეკონომიურ გაქანებაზე მიაქცევინებს ყურადღებას? შავი მარმარილოს საფლავს ვიღა ჯერდება, გახშირდა ქანდაკებები და ოთახ-სასაფლაოები. დიახ, ჩვეულებრივი, გადახურული, კეთილმოწყობილი ოთახები. ზოგი იმდენად გაკადნიერდა, რომ ამგვარ სასაფლაო-ოთახში გაზისა და გათბობის შეყვანა სცადა. დამერწმუნეთ, საფლავში გადაყრილი ათასები ვერც მიცვალებულს ამაღლებს ჩვენს თვალში და არც მის პატრონს ახასიათებს კარგად. საქმოსან-ხელოსანთა ფულის კეთების ასპარეზად ქცეული სასაფლაო, რომელიც უგემოვნებისა და ფუფუნების თავისებურ მუზეუმს წარმოადგენს, ჭკვიანი კაცის თვალში ღიმილს იწვევს მხოლოდ და ისევ და ისევ ჭირისუფლის მეშჩანურ ბუნებაზე მეტყველებს.

„ჩუმად! აქ საუკუნო ძილით განისვენებენ“ – აწერია ხის უბრალო შავ ფირფიტას ბერლინის ერთი სასაფლაოს შესასვლელში. ევროპაში, და განსაკუთრებით, ამერიკაში საფლავის ქვები უმეტესად ერთნაირი, სტანდარტულია, ჭირისუფალს უფლება არა აქვს თავისი სიმდიდრე სასაფლაოს დაატყოს. „მკვდარი ყველა თანასწორია“ – წაიკითხავთ ნიუიორკის ერთი დიდი სასაფლაოს შესასვლელში. დანიასა და ბელგიაში სასაფლაოს განსაკუთრებული, პოეტური სახელები აქვთ. მაგალითად, „სამუდამო სავანე“, „სულთა სამეფო“, ან „ცრემლიანი მიწა“. ჩვენში კი სასაფლაოებს რატომღაც იმ ადგილების სახელი ჰქვია, სადაც ისინი მდებარეობენ. განა უსიამოვნო ასოციაციას და სიკვდილის წინათგრძნობას არ იწვევს თქვენში, როცა ამბობენ „ვაკის სასაფლაოს“, „საბურთალოს სასაფლაოს“, ან დიღმის სასაფლაოს“?

გარდაიცვალა კაცი, მწუხარებამ მოიცვა მისი ახლობლების წრე, მაგრამ რა იცის მიცვალებულმა, რა სადავიდარაბო და საზრუნავი გაუჩინა ჭირისუფლებს. გარდაცვალების მეორე დღესვე იქმნება ქელეხის მომწყობი კომისია. საღამოობით მიცვალებულის კუბოსთან თავდახრით მდგომი, დამწუხრებული ახლობელ-ნათესავები დღისით ენაგადმოგდებულნი დარბიან ღვინის, თევზეულის, ბრინჯისა თუ მწვანილეულის მოსამარაგებლად. მათი ბიძა თუ ბაბუა ავკარგიანი, პურმარილიანი კაცი იყო. თავს ხომ არ შეირცხვენენ. რამდენადაც ჩვენს ტრადიციას

ეთანხმება და გულს უკეთებს... რწმენას უნერგავს ჭირისუფალს მიცვალებულის გასაპატიოსნებლად თითო-ოროლა ჭიქის აწევა და დარჩენილთათვის ნუგეშის ცემა, იმდენად გულისამრევია და ზედმეტი ჭირის დღეს უზარმაზარი, მორთულ-მოკაზმული სუფრის გაშლა, უთვალავი სტუმრის საქელეხოდ მოწვევა და პომპეზური სიტყვების თქმა მიცვალებულის მისამართით. დიდი და მაძღარი სუფრა, თანაც სპეციალურად შერჩეული თამადა, რომლის სადღეგრძელოებსაც ბოლო არ უჩანს, კაცს ცრემლს კი არ მოჰგვრის და მწუხარებისთვის კი არ განაწყობს, არამედ საღერღელს უშლის და თანაგრძნობისთვის მოსულ კაცსაც კი საპურმარილოდ მომართავს. ზოგიერთ ქელეხზე კი, მოტირალნი ისე გამოთვრებიან, რომ სასაფლაომდე კუბოს წამღებიც აღარავინ რჩება.

ამას წინათ ერთი ამხანაგის ბიძა გარდაიცვალა და თბილისის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ რაიონში მოგვიწია დაკრძალვაზე წასვლამ. თავს ზევით ძალა არ იყო და დიდ საქელეხო სუფრაზე მოვხვდით. თამადამ ორი სადღეგრძელო რომ შესვა, ახლა კი დროაო, დაიძახა ვიღაცამ, როგორც ჩანს, უნდა წამოვიშალოთ-მეთქი, და წამოვდექი, მაგრამ ხელი მომკიდეს და ჩემს ადგილას დამაბრუნეს. „აბა ჰე, დროა, უკვე დროა, კაცო, რას უყურებთ რისა გრცხვენიათ!“ – დარბოდა ერთი ჭარმაგი კაცი რვეულითა და ფანქრით ხელში და ჩანთით მხარზე. ალბათ, თანამგრძნობთა ავტოგრაფებს თუ აგროვებს-მეთქი, გამიელვა, მაგრამ ამასობაში ჩემ წინ მჯდომმა ბოხოხიანმა კაცმა ხუთი წითელი თუმნიანი ამოიღო და ცხვირწინ ამიფრიალა. ჩანთიანი მაშინვე მისკენ გაეშურა: „აი, საღოლო“, – დაუძახა და რვეულში რაღაც ჩაინიშნა. დარბოდა კაცი, აგროვებდა ფულს, თუ ვინმე თავს ჩაღუნავდა, ან აქაოდა არ მესმის რა ხდებაო, განზე გაიხედავდა, მივიდოდა შემგროვებელი და ხელს წაჰკრავდა: „ჰა დროზე, მიხედე საქმესო“. მიწა გამხეთქოდა და აქ არ მოვსულიყავი. დღისით, მზისით იყიდებოდა მიცვალებული. ზედ საქელეხო სუფრაზე გაისმოდა ფულის ტკაცანი. ხდებოდა შემზარავი ამბავი, ჭირისუფლები კი იდგნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს, ვინ რამდენს გაიღებდა და ვინ შეირცხვენდა პირს გადასახურავის შეტანისას.

როცა ერთ იქაურ კაცს შევჩივლე, ეს რა უბედური წესი შემოგიღიათ-მეთქი, ასე განმიმარტა: „რა ქნას, აბა, ჭირისუფალმა, ამდენი ხარჯი მარტომ როგორღა გასწიოსო. თანაც თუ სუფრაზევე არ შეგროვდა ფული, როგორ გინდა დაადგინო, ვინ იჯდა და ვინ არაო“. მასთან კამათს აზრი აღარ ჰქონდა და უბოდიშოდ ვუჩვენე ზურგი.

ქელეხზე ხელს ითბობენ ქორ-ვაჭრები. ასაღებენ თავიანთ საეჭვო ღვინოსა და კონსპირაციულად ჩამოტანილ თევზეულს. და თურმე ხელს ითბობს ჭირისუფალიც, რათა გადასახურავით ქელეხის ხარჯი აინაზღაუროს და ცოტა რამ თვითონაც დარჩეს. რა კარგი გზაა მიცვალებულის გასაპატიოსნებლად? ნუთუ არ ქენჯნის სირცხვილი, ნუთუ არ უწვავს ჯიბეს მისი ახლობლის სიკვდილში აღებული ფული? არა, ეს ადათი

არ არის, ეს ვაჭრუკანების მიერ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მოგონილი საორდღისო თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი.

ლეჩხუმურ ლობიოს ლეჩხუმური წყალი მოხარშავსო, გაიგონებთ საქართველოში. ჩვენ, თვითონ ჩვენ უნდა გადავუკეტოთ გზა ჩვენი შემარცხვენელი ზოგი ჩვევის ტრადიციად გადაზრდას. ტრადიციებს საუკუნეები აწრთობენ და ადუღაბებენ. რჯულზე უმტკიცესი მხოლოდ ის ჩვეულებაა, რომელსაც სილამაზე, სიბრძნე და ზომიერება უმაგრებს საძირკველს.

გამოვიფხიკოთ ჩვენი ეროვნული სასმენელი. ჩვენ რუსთაველის წარმომშობი ერი ვართ და საუკუნეთა ანალებში სირცხვილი არასოდეს გვიჭამია.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილება ჩვენი ჩვევებისა თუ ტრადიციების გონივრული გადახედვისთვის, ადამიანის სულის გალამაზებისთვის დაწყებული ძვლევამოსილი ლაშქრობის ერთი შენაკადია.

რა როლის შესრულება შეუძლია ამ ლაშქრობაში მხატვრულ ლიტერატურას? მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ფუნქცია ხომ ადამიანის ზნეობის ამაღლებაა, ხოლო აქედან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს ის მაღალი მოწოდება, ერის საუკეთესო თვისებების გამომუშავებისა და განმტკიცების, ხოლო დრომოჭმულის ამოშანთვისა და გადაგდების ძნელ გზაზე ყველა მწერალს რომ აერთიანებს.

რა კარგად ართმევდა თავს მოძველებულის უარყოფისა და საჭირო ეროვნული ადათ-ჩვევების წახალისების საქმეს ჩვენი კლასიკური მწერლობა. რუსთაველზე და „საქართველოს ზნეობანის“ ავტორზე – არჩილ მეფეზე რომ არაფერი ვთქვათ, ან სულხან-საბაზე და დავით გურამიშვილზე, თვით ჩვენი საუკუნის წინადღით რა ფხიზლად იდგა ქართველი მწერალი ერის ზნეობრივი განწმენდის სადარაჯოზე. რა ნათლად და კონკრეტულად დაუსახა ილიამ თავის ჟურნალს (და აქედან გამომდინარე ქართულ მწერლობასაც) ერის ცხოვრებაში ავ-კარგის გაბედულად, პირუთვნელად გარჩევის ამოცანა: ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ მათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია. ქართველი იქნება მისი მექონი თუ ანგლიელი, სულერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენი ცხოვრების სიბოროტის დამალვასა. ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. ისინი უმეცარნი მოყვარენნი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგ-

დების ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზედმოქმედებისაგან“ (ი. ჭავჭავაძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“ 1975 წ. I, გვ. 134).

ვაჟამ და ყაზბეგმა ხომ სისხლხორცეულ თემად გაიხადეს ტრაცდიციისა და პიროვნების დამოკიდებულების პრობლემა. რა რიტორიკა და დადგენილება გააკეთებდა ქართველი კაცის ფსიქიკიდან დახავსებული წეს-ჩვეულებების ამოძირკვის კეთილშობილურ საქმეს ისე ოსტატურად და უმტკივნეულოდ, როგორც ეს „სტუმარ-მასპინძელმა“, „გველის მჭამელმა“ და „მოკვეთილმა“, ან „ელგუჯასა“ და „მამის მკვლელის“ ცალკეულმა თავებმა გააკეთეს.

რა ერთსულოვანი იყო ქართული მწერლობის შემართება იმ უმთავრესი ამოცანისათვის, „რომ ჩვენ განვახლდეთ, სულით ავმაღლდეთ და განქრეს ბნელი უმეცრებისა“ (გრ. ორბელიანი).

ჩვენი პროზის სახელოვანი ოსტატების ნაღვაწს რომ გონების თვალს გააყოლებს, მკითხველს არ შეიძლება არ მოაგონდეს საოცარი სიცხადით დახატული ხალხური რიტუალები თავიანთი შთამბეჭდაობითა და რაინდული მიზანდასახულებით, ასე რომ განსხვავდებიან ზემოთ განხილული სუროგატებისაგან (მაგ., ქორწილი „ხევისბერი გოჩადან“, ჭიაბერის დატირების ეპიზოდი „დიდოსტატის მარჯვენიდან“, ან ხალხური სანახაობების და ჭიდაობის სცენები „არსენა მარაბდელიდან“ და სხვ.).

რატომ დაიკარგა ქართული მწერლობისათვის უკანასკნელ წლებში ხალხის ადათ-წესებისადმი, ეთნოგრაფიული სპეციფიკისადმი კრიტიკული მიდგომის გზა? ზოგმა მწერალმა ამგვარ საკითხებზე წერა, როგორც ჩანს, ძველმოდურად ჩათვალა და თავის მუზას კოსმოპოლიტიკური პრობლემების უცხოური ლიტერატურიდან მოტანილი თემების, „მსოფლიო“ საკითხების კვლევის მისია დააკისრა. ამ ბოლო დროს ბევრი უხეირო ჩვევა რომ ამოთავთავდა ჩვენში, მწერლობის სიფხიზლის მოდუნების ბრალიც არის.

მართალია, ამ თემას უკანასკნელ წლებში მწერლის რამდენიმე საინტერესო და გაბედული პუბლიცისტური გამოსვლა მიეძღვნა (კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ნატროშვილი, რევაზ ჯაფარიძე, ვახტანგ ჭელიძე, ნოდარ წულეისკირი...), მაგრამ ხომ ფაქტია, რომ პუბლიცისტიკა იმდენს ვერ შეძლებს, ისე ცხოვრად არ დააჩნდება ადამიანის სულს, როგორც მხატვრული სიტყვა, სახეებით გადმოცემა იმისა, რაც მწერალმა ჩაიფიქრა სიკეთისაკენ მკითხველის მოხმობის მიზნით.

მხატვრული სიტყვა კი, სამწუხაროდ, ერთეული გამონაკლისების გარდა, ვერც ამ საქმეში იჩენს ტრადიციულ სიფხიზლესა და შემართებას. მომრავლდა სქელტანიანი რომანები, რომელთა კითხვისას არა მარტო ერის ტრადიციებზე მწერლის დაკვირვებათა უმწეობა გაგაოცებთ,

არამედ, საერთოდ, ძნელი დასადგენი ხდება, რომელ საუკუნეზეა იგი დაწერილი და რა ნიშნებით არიან ქართველები ქართული სახელისა და გვარის მქონე პერსონაჟები. ისეთი შთაბეჭდილდება რჩება, თითქოს ამ რომანთა ავტორები ციდან არიან ჩამოფრენილნი და თანამედროვე მსოფლიოზე ყველაფერი კარგად იციან, მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის – მისი დღევანდელი ნაციონალური სახის ცოდნაზე არიან, ცოტა არ იყოს, უკაცრავად.

ასეთი ნაწარმოები, კი, მოგეხსენებათ, ერს ვერ დაეხმარება, მისი ცხოვრების გაუკეთესებისთვის ბრძოლაში ფუჭი ვაზნის როლსღა შეასრულებს.

ჩვენი ვალია ძირს არ დავხაროთ საქართველოს ზნეობათა გალამაზება-გაკეთილშობილებისათვის აღმართული დიდებული დროშა, საუკუნეთა განმავლობაში თავს რომ დაგვნათის და ერის წინაშე ჩვენს უმაღლეს დანიშნულებას მოგვაგონებს.

ჩვენ და ახალგაზრდობა

მსოფლიოს ახალგაზრები მარტო ფესტივალზე გადაღებულ ფილმებში არიან გასაოცრად სოლიდარულნი, ერთი ხმისა და ერთი ნებისანი.

სინამდვილეში ჩვენი „პლანეტის მომავალი“ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში საკმაოზე მეტად ჭრელია, ჭრელია თავისი მსოფლმხედველობით, სოციალური მგრძნობელობით, საზოგადოებრივი აქტიურობით, განათლებით და გემოვნებით.

რაკი დედამიწის ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ინებებს პლანეტის ხვალინდელი მეუფე – ახალგაზრდა თაობა, სრულიად ბუნებრივია, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა ახალგაზრდობის ორიენტაციის პრობლემა გახლავთ.

არაერთი ქვეყანა მომივლია და, სხვა არა იყოს რა, ჩემი პედაგოგიური პროფესიის გამოც, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა კაცის ცხოვრება იპყრობდა ყველგან ჩემს გულსა და გონებას.

მასპინძელს ახალგაზრდობაზე შეკითხვებით ვაბეზრებდი თავს უცხო მხარეში, რადგანაც ყოველთვის ღრმად ვიყავი დარწმუნებული, თუ ერს საიმედო ცვლა არ ეზრდება, იმის ნიშანი გახლავთ, რომ ისტორიას საიმედოდ გაუწირავს იგი გადაშენებისა და გადაჯიშებისათვის.

ჩემი თვალით მინახავს ნიუ-იორკის ნავსადგურში ჰაშიშისა და მარიხუანას კონტრაბანდისტთა ლოდინით აკანკალებული „მოხუცი“ გოგობიჭები – წყალმანკიანივით თვალდაბერილი, ელეგანტური ნარკომანები.

მინახავს ვერსალის ირგვლივ ზანტად „მოისეირნე“ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის მეძავები.

მისაუბრია ტრაფალგარის შადრევანთან სამუზეუმო ძონძებითა და შიშველი ფეხებით ჩამომსხდარ ჰიპებთან.

ალექსანდრიაში, სირიის ბაზარზე ყვითელ ოქროს გამოდევნებული, თრიაქით მთვრალი ყმაწვილების უტიფარი ხითხითიც მსმენია.

საათობით მიცქერია ბედის ტაძარში ლოცვად დაცემული, რწმენით გათანგული ინდოელი ჭაბუკისათვის, ხორცის გვემისა და შიმშილისაგან გვერდებში სინათლე რომ გასდიოდა.

ერთხელ ტაჯმაჰალის თეთრ ტალანებში ჩემ თვალწინ გადაუგრიხა ხელები პოლიციელმა აყლაყუდა შვედ „სტუდენტს“, რომელიც ბებუთის წვერით მსოფლიოს მერვე საოცრების მარმარილოს კედლის მოზაიკიდან ზურმუხტის ამოგდებას ცდილობდა.

ეს მაგალითები სავალალო დასკვნის გაკეთებისთვის არ მომიტანია. დასკვნის გამოტანას ნუ ვიჩქარებთ, მით უმეტეს, რომ ობიექტური კაცის თვალი ყველგან შეამჩნევს მწუხარე სურათების გვერდით იმედის მომცემს და თვალგასახარს.

მთელი მსოფლიოს თვალწინ ავიდა სახრჩობელაზე თავისუფლებისა და პროგრესისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ჩილელი ჟურნალისტი და მისი უკანასკნელი სიტყვები იყო – „ყველას ვერ ჩამოახრჩობთ, ჩვენ ბევრნი ვართ.“

მსოფლიოში ყველაზე მაგარი მუშტის პატრონმა მოკრივემ უარი განაცხადა აგრესორის ჯარისკაცის მუნდირზე და ამით თავისი სპორტული კარიერა და ჩემპიონის ტიტულიც სასწორზე შეაგდო.

ამერიკაში ტელევიზიით გადაიცა ერთი სამარცხვინო სასამართლო და ვინც მაშინ ეკრანებთან იჯდა, არ შეიძლება არ გაოცებულიყო ოცი წლის ზანგი ქალიშვილის ოლიმპიური სიმშვიდით, რითაც იგი უსინდისო განაჩენს – მთელი სიცოცხლით პატიმრობას შეხვდა. კეთილი ნების ადამიანთა განგაშითვე იგი ახლა ციხის კედლებს გარეთაა და კვლავ განაგრძობს იმ „მავნებლურ“ საქმიანობას, რისთვისაც ერთხელ დააპატიმრეს და ეს „მავნებლობა“ სხვა არა არის რა, თუ არა პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლა, დაჩაგრულთა გამოქომაგება. ამ ქალის სახელი და გვარი მოგეხსენებათ – იგი ანჟელა დევისი გახლავთ.

ახლახან მოიარა გაზეთები ფრანგული კატარღის ახალგაზრდა ბოცმანის გმირობამ, ცეცხლმოკიდებულ მანქანაზე საკუთარი სიცოცხლის ფასად ქალები და ბავშვები რომ სიკვდილს გადაარჩინა.

განა შეძრწუნებულნი არ ვისმენდით ირანის რევოლუციური დღიურის ერთ ფურცელს: სპარს ჯარისკაცთა ოცეულმა უარი რომ განაცხადა ცეცხლი დაეშინა უიარაღო დემონსტრანტთათვის. შაჰის ლაქია გენერლის ბრძანებით ეს ურჩი ოცეული დახვრეტილ იქნა, ხოლო ისტორიას სამუდამოდ შერჩა ოცი თოფიანი ირანელის გმირობა, რომელიც ვინ იცის, იქნებ მაგალითად გამოადგებათ სხვა ჯარისკაცებს, უიარაღო, უმწეო დემონსტრანტთა დახვრეტას რომ უბრძანებენ.

დიახ, კეთილ და მამაც ახალგაზრდებს რა გამოლევს და მათ პლანეტის ყველა კუთხეში შეხვდებით, მაგრამ ჯერ კიდევ უსაშველოდ ბევრნი არიან ისინი, კაცთმოძულეობის ბანგი აკვნიდანვე რომ შეასვეს და რასიული ჭორების მსხვერპლად რომ აქციეს.

ისინი უნთებდნენ ახლახან ცეცხლს ვიეტნამის ისლით დახურულ ქოხებს და აწიოკებულ ქალ-რძალთა საშინელი წყევლა ზურგზე ბალანს როდი უწვავდათ.

ისინი დააბიჯებენ ახლა არაბეთის წართმეულ მიწაზე და ურჩ მოსახლეობაში წესრიგს ავტომატითა და მათრახით ამყარებენ.

მოტყუებულ ჯარისკაცთა ზღვა ღელავს ახლა ლაოსის კარიბჭესთან და ნაბულზე მდგომი მწევარივით „პატრონის“ შეძახილსღა ელის.

სხვათა დამონების სურვილის მქონე ქვეყანათა პრემიერ-მინისტრები, ან თუ გნებავთ, მხედართმთავარნი ტყვიას როდი ისვრიან, მათ ვერც ავტომატმომარჯვებულებს წააწყდებით ნახანძრალ მიწაზე ტალახიანი ჩექმებით მიმავალთ. „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, თავიანთი მყუდრო, ფეშენებელური კაბინეტებიდან სწამლავენ ქვეყანას, ხოლო საღამოთი, ვილლებისკენ მიმავალნი, მანქანის ტყვიაგამძლე მინებიდან გრილ ნიავს უშვერენ მთელი დღის „ჯაფით“ გახურებულ შუბლს.

ხოლო ისინი, ვინც უაზრო პოლიტიკური ვნებებისათვის სასიკვდილოდ გაუწირავთ, ძირითადად ახალგაზრდები არიან. ჯარისკაცთა უდიდეს უმრავლესობას ყველგან და ყოველთვის ახალგაზრდები შეადგენდნენ და ამიტომაც ომი, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდების ომია.

ჩინეთის აგრესიის პირველი თხუთმეტი დღის მანძილზე ოცდარვა ათასამდე ჯარისკაცი სამუდამოდ დარჩა ვიეტნამის მიწაზე, ხოლო ისინი, ვინც მათი დედებისა და ცოლ-შვილის ცოდვა დაიდო, პეკინის სამთავრობო პალატებში ტყავის რბილ სავარძლებში ისხდნენ და მშვიდად ისმენდნენ მოხსენებებს ვიეტნამის დამსჯელი ექსპედიციის შედეგების შესახებ.

აი, რატომ ვშფოთავ და ვძრწი ხოლმე, ჩვენი პატარა პლანეტის რომელიმე კუთხეში ცეცხლი რომ იფეთქებს და რატომ მიმაჩნია, რომ კაცთა ცხოვრების უპირველესი საზრუნავი დღეს კეთილი ნების მომავალი თაობის აღზრდა უნდა იყოს.

ბრმა რწმენით დაბანგული და ფეხისხმას აყოლილი, სისხლმოწამლული ახალგაზრდა კაცის ცქერა ხომ შემზარავია, არც იმგვარ ყმაწვილთან საქმის დაჭერაა იოლი, ცხოვრებასთან დამოკიდებულება რომ ვერა და ვერ გაურკვევია. არავისი და არაფრისა სჯერა. უცილობელ ჭეშმარიტებებსაც კი ეჭვის თვალით უცქერის და უთავო ქათამივით უაზროდ დაფართხალებს ამა სოფლის ორომტრიალში.

ამგვარი გაბუტული, დაეჭვებული, „ბნელი აცხალგაზრდებით“ სავსეა დღეს ურბანიზმით გათანგული დასავლეთის დიდ ქალაქთა ქუჩები და მოედნები.

ამას წინათ ჰააგის ზღაპრულ, შუასაუკუნურ კოშკს რომ ვათვალიერებდით, ფილაქანზე ჯგუფ-ჯგუფად მოკალათებულმა ახალგაზრდებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება. ახლოს მივედი. თმაწვერგაბურძგნილნი, შესამჩნევად ჭუჭყიანები, ფეხშიშველნი, ძველი გაცვეთილი ტანსაცმლით შემოსილნი ისხდნენ ისინი პირდაპირ ტროტუარზე. ერთი ჯგუფი მღეროდა, მეორენი ხმამაღლა კამათობდნენ და იპურჭყებოდნენ. კარგად რომ დავაკვირდი, შევამჩნიე, რომ მათ შორის გოგონებიც იყვნენ. სიბინძურე ქალის ნაზ ნაკვთებს უფრო დამჩნეოდა. ერთი სიტყვით, მათხოვრების ბანაკი გეგონებოდათ. გიდმა რომ აგვიხსნა – ესენი „ჰიპები“ არიანო, გავბედე და მათ შორის ერთს (ყველაზე სერიოზულად და ასაკითაც უფროსად რომ მივიჩნიე) საუბარი გავუბი:

– მაპატიეთ, თქვენც ჰიპი ბრძანდებით?

ამომხედა, დაუვარცხნელი, ყვავის ბუდესავით გაფარჩხული თმა მოიქექა და გაიცინა. ასე 35-40 წლისა იქნებოდა.

– არ მეტყობა?

– უკაცრავად, ამათთან შედარებით ასაკიანი ჩანხართ და...

ეწყინა, განზე გაიხედა და უგემურად გადმომიგდო:

– ჰიპობას წლოვანების მიხედვით კი არ არიგებენ. ვისაც თავისუფლება მოესურვება, თავის თავს „ჰიპს“ დაარქმევს. გააჩნია, რა სასაკში მიხვდები, რომ, რასაც ჩალიჩობდი, სისულელეა და ჭკუაზე მოხვალ, ასე, რომ სამოცი წლის ჰიპებიც არსებობენ. თქვენ საიდან ხართ?

მე ვუთხარი საიდანაც ვიყავი, თითქოსდა ესიამოვნაო, შემოტრიალდა და იოგის პირველ პოზაში დაჯდა.

– თქვენთვის ეს ცოტა ძნელი გასაგები იქნება!

– რატომ?

– თქვენ ხომ თავისუფლებაზე წარმოდგენა არა გაქვთ. თქვენ ხომ თქვენს თავს არ ეკუთვნით,

– ვინ გითხრათ? – ვცდილობ გაბრაზება დავფარო.

– თქვენ რომ თავისუფლება გადაწყვიტოთ და ერთ დღეს ისე მოიქცეთ, როგორც ჩვენ – ჰიპები – ვიქცევით, ხომ იცით, სად ამოგაყოფინებენ თავს? – უეცრად გაჩუმდა, სანამ რამეს ვეტყოდი, ხელი ამიქნია და კბილებს შორის გამოცრა – მოდით, ამაზე ნუ ვიკამათებთ.

ცხვირსახოცი ამოვიღე, ფილაქანზე გავშალე და გვერდით მივუჯექი.

– თუ შეიძლება თქვენთან საუბარი მინდა და უარს ნუ მეტყვით.

ეჭვის თვალით შემომხედა.

– ინტერვიუ? – შეტრიალდა და მეგობრებს გადასძახა: – მოდით, ჩემგან ინტერვიუს იღებენ!

არ გამკვირვებია მისი უტიფრობა. ჩვენ ირგვლივ ხელად გაჩნდა ცნობისმოყვარეთა წრე. ვინანე ჩემი აჩქარება, მაგრამ უკვე გვიან იყო. რომ ავმდგარიყავი და წავსულიყავი, უეჭველია, სტვენითა და ყიჟინით გამაცილებდნენ.

– რომელ გაზეთში უნდა დაბეჭდოთ? – საქმიანი იერით მკითხა ჰიპმა.

ავუხსენი, რომ მე უბრალოდ ტურისტი ვარ და რა გაზეთის კორესპონდენტი. რომ მე თვითონ ჰიპებზე ზოგი რამის დაზუსტება მჭირდება და დაბეჭდვას სრულებითაც არ ვაპირებ.

– თავიდან ყველანი ასე ლაპარაკობთ, – თითი დამიქნია, – გაზეთები რომ არ მძულდეს, მე თქვენ გიჩვენებდით თქვენნაირი ტურისტების ნაცუღლუტარს, მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ გაზეთშია ჩემი სურათი დაბეჭდილი.

ახლა კი ვხედავ, რომ ჩვეულებრივ, რიგით „ჰიპთან“ არა მიაქვს საქმე.

– რა განათლება გაქვთ? –ვკითხე.

ორი უნივერსიტეტი ჰქონია დამთავრებული. ინგლისური ლიტერატურისა ჰარვარდის უნივერსიტეტში და ფილოსოფიური – ლონდონის უნივერსიტეტში.

– ეროვნებით ინგლისელი ხართ?

– განა კილოზე ვერ მატყობთ? დიახ.

მე რომელი ისეთი მოინგლისურე ვიყავი, აქცენტზე რომ შემეტყო.

– დიდი ხანია ჰიპობთ?

– წელიწადი იქნება.

– ჰააგაში როდის ჩამოხვედით?

– ორი კვირაა.

– მშობლები?

– მყავს, მამაჩემს ლონდონში რამდენიმე საკონდიტრო ფაბრიკა აქვს, საკმაოდ მდიდარი კაცია.

– მამა არ გაძლევდათ თავისუფლებას?

შეკითხვა ვერ გაიგო.

– ოჯახში შეზღუდულად გრძნობდით-მეთქი თავს?

– არა.

– აბა, რატომ გაიქეცით სახლიდან?

– მომწყინდა.

– რა მოგწყინდათ?

– ყველაფერი და ყველანი. რევერანსებით საუბარი მშობლებთან. ახსნა-განმარტება იმისა, თუ რატომ მაქვს უძილობით თვალები დაბერილი, გაუთავებელი სტუმრიანობა, თეთრი საყელო და დანა-ჩანგალი. ეს ყველაფერი გულისამრევი ზედმეტობაა.

– მე მეგონა უფრო სერიოზულ მიზეზებს მეტყოდით.

– თქვენ გინდოდათ ჩემს პროტესტს სოციალური მიზეზები ჰქონოდა? თითქოსდა მე ვერ ავიტანე „ბურჟუაზიული ოჯახის სულის შემხუთველი ატმოსფერო“. აღწერდით მერე თქვენს გაზეთში ლამაზად ჩემი „გაქცევის“ მიზეზებს. ვერ მოგართვით (წრემ გაიცინა) მე პოლიტიკაში არ ვერევი.

– რატომ?

– არ მაინტერესებს და იმიტომ. პოლიტიკა თქვენი საქმეა. მე ფილოსოფოსი ვარ.

– ფილოსოფია პოლიტიკის გარეშე რომ არ არსებობს? – ენაზე მომადგა კითხვა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ამგვარი მიმართულება ჩვენს საუბარს უინტერესოს გახდიდა, ჯობდა უფრო მარტივ საგნებზე მეკამათა.

– ცივილიზაციას გაექეცით?

– დიახ.

– რა გაწყენინათ ასეთი ცივილიზაციამ?

– თავი მოგვაბეზრა, საპნის და თბილი წყლის გიჟებად გვაქცია. ჩვენს წინაპრებს დაგვაშორა. საგნებისა და ფულის მონები ხართ თქვენ, ყველანი.

– ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ფეხშიშველა სიარული ქალაქის მტვერში, უთავბოლოდ გაზრდილი ფრჩხილები, დაუვარცხნელი თმა-წვერი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ გაწუხებთ მაინც?

სრულიადაც არა! – დაუფიქრებლად მომიგო და, ეტყობა, ამ სიტუაციისთვის მზად არ იყო, კითხვა შემიტრიალა.

– რამდენი დრო დახარჯეთ თქვენ ამ დილით გამოსაწყობად?

– როგორ, გამოსაწყობად?

– აი, ამ ჩაცმულობისა და ვარცხნილობისთვის რომ მიგეღწიათ.

წრემ ისევ უაზროდ გაიცინა.

– დაახლოებით ერთი საათი, როგორც ყველამ.

– დავიჯერო ახლა ძალიან გსიამოვნებდათ პირის პარსვა ელექტროსამართებლის ღმუილში? მერე ულვაშების შესწორება, შარვლის გაუთოება?

– შეიძლება თვით პროცესი პირის პარსვისა და შარვლის გაუთოვებისა სასიამოვნო არ იყოს, მაგრამ შედეგი?

– რა შედეგი?

– სუფთად რომ ხარ, კარგად რომ გაცვია, თანაც საზოგადოებაში წესიერად გამოსვლა საზოგადოების პატივისცემაა.

– თქვენ ფიქრობთ, საზოგადოებას ძალიან სჭირდება, ულვაშები, რომ გაქვთ გაწკეპილი და ყელზე ჰალსტუხი წაგიჭერიათ? არა, სერ. თქვენ, ამ შემთხვევაში საზოგადოებაზე არ გიფიქრიათ. თქვენ უცნაური, პროვინციული ჩვეულების მარწუხებში ხართ. გგონიათ, პირის გაპარსვა და გაუთოებული შარვლით სიარული კარგი ტონია. რატომ იწვალებთ თავს? თქვენ ხომ ესტრადაზე არ გამოდიხართ, მაყურებელს რომ თავი მოაწონოთ. ხომ ხედავთ, ჩემ გვერდით დაჯდომაც გაგიჭირდათ. აფთიაქარივით ცხვირსახოცზე მოკალათდით, მე კი როგორც მსიმოვნებს, ისე მაცვია და მახურავს. კაცმა არ იცის, რომელი უფრო მოდურია ახლა, ეს ჩემი ჯვალოს ძველთაძველი პერანგი, თუ შენი კაპრონის პიჯაკი. შენ შენი ჩაცმულობით და ვარცხნილობით საკმაოდ ბილწი მიზანი დაგისახავს – გეტყობა, კეკლუცობ და აქაურ გოგონებს თავს აწონებ. მე კი ის

მინდა ვიყო, რაც ვარ, არც მეტი, არც ნაკლები. არავის ვატყუებ და თავსაც არავის ვაწონებ.

ისე კმაყოფილი იყვნენ ჰიპები ჩემი მოსაუბრის პასუხით და მოწონების იმგვარ ყიჟინას სცემდნენ, რომ სიმწრის ოფლმა დამასხა.

– ყველაფერში რომ მართალი იყოთ, როგორ მოგწონთ, ჩემო ძვირფასო, პირდაუბანელობა სარეცხი მანქანების საუკუნეში.

მხრები აიჩეჩა.

– რატომ ვერ გაიგეთ, მე თქვენს მოსაწონად არაფერს ვაკეთებ. მე როგორც მომწონს, ისე ვცხოვრობ.

– ფრჩხილები?

– თქვენ დემაგოგიას მიმართავთ. მე არ გკადრებთ, გითხრათ, რომ რაც თქვენ გაცვიათ, ეგ თქვენებური სრულებითაც არ არის. პარიზში ოცი წლის წინათ გადაგდებული მოდის ნასუფრალია და რომელიღაც ფასდაკლებულ მაღაზიაში გაქვთ ნაყიდი. თანაც, მე არ ვიცი თქვენ რა ეროვნების კაცი ხართ, მაგრამ იქნებ თქვენი წინაპრები არც ისე დიდი ხნის წინათ გამოვიდნენ გამოქვაბულებიდან?

– მაგაზე ცოტა უკაცრავად.

– მით უმეტეს, წინაპრების იაფად მოხსენებისას ასე რომ აიმრიზებით, იმაზე რატომ ფიქრობთ, რომ ჩემს „გამოქვაბულურ“ ჩაცმულობაზე აუგის თქმით თქვენს წინაპრებსაც აყენებთ შეურაცხყოფას?

– თუ კაცი ხარ, მაღალფარდოვნების გარეშე ვილაპარაკოთ, ე .ი. შენ ამტკიცებ, რომ ფეხების დაბანვა და ფრჩხილების მოვლა საჭირო არ არის?

– არ ვამტკიცებ? ეგ საიდან მოიტანეთ?

– როგორ, შე კაი კაცო, ახლა არ მიმტკიცებდით, მე ასე მომწონსო?

– ხომ გითხარით, თქვენთვის ძნელი გასაგები იქნება-მეთქი. რატომ იმაზე არაფერს მეკითხებით, რაც „ჰიპობამ“ მომიპოვა. რაღა ფეხებიდან იწყებთ . განა თქვენ არ გეხარბებათ, რომ ჩიტივით თავისუფალი ვარ? – მუნიან გოგოს ხელი გადახვია და ჩემ შესახარბებლად ტუჩებში აკოცა, – რომ ამ გოგოს და მე ნაღდი სიყვარულის მეტი არაფერი გვაკავშირებს და ჩვენ ურთიერთობაში თავის ბინძურ ხელს ვერასოდეს ჩაურევს საზოგადოება?

– თქვეენ გგნიათ, საზოგადოებისგან თავისუფალი ხართ?

– თითქმის, ჩვენ არ ვესწრებით კრებებს, არ ვმონაწილეობთ დემონსტრაციებში, არ ვაწყობთ გაფიცვებს, ყოველივე ეს პოზაა, ყალბი ბუფონადაა.

– და ამიტომაც მიგაჩნიათ, რომ საზოგადოებისაგან თავისუფალი ხართ?

– თქვენ, საზოგადოებრივი ცხოვრებით დატანჯული კაცი, განა ბედნიერი არ იქნებოდით ჩვენს მდგომარეობაში? საზოგადოება ჩვენ არ გვაღელვებს. საზოგადოება ჩვენ გვწვდება მხოლოდ ერთი შტერი

პოლიციელით, რომელიც გამოგვეცხადება და გვეტყვის, აქ ნუ გაჩერდებითო, ჩვენც ავიყრებით და სხვა ადგილას გადავალთ. ეს არის და ეს:

– საიდან მატყობთ, რომ მე „საზოგადოებისაგან დატანჯული“ კაცი ვარ? იქნებ პირიქით, ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია საზოგადოებრივი ზრუნვის გარეშე.

– ეგ თქვენი სიტყვები არ არის, რა მოგიტანათ მერე თქვენ ამ თქვენმა საზოგადოებამ?

– მე ცოტა სხვანაირი პრინციპებით ვცხოვრობ. მე როდი ვვაჭრობ. საზოგადოებასა და ჩემ შორის ასეთი გარიგება არ არსებობს – მე ამას გაძლევ და შენ სანაცვლოდ ეს უნდა მომცე. ყველას „სამაგიეროს მიღების“ პრინციპით რომ ეცხოვრა, ეს ქვეყანა დაინგრეოდა, მე მგონი შენთვის ძნელი გასაგებია ქვეყნის სამსახური, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა.

– მე ვფიქრობ, სერიოზულ კაცთან მაქვს საქმე, თქვენ კი გაცვეთილი ლოზუნგების ენით მელაპარაკებით.

– ქვეყნის სამსახური გაცვეთილია?

– ქვეყნის სამსახურად თქვენ ხელი არ მიგიწვდებათ, თქვენ ხომ არაფრის შეცვლა არ შეგიძლიათ, რატომ მელაპარაკებით პრემიერ-მინისტრის სიტყვებით? თქვენთვის ხომ არავის დაუვალებია ქვეყანას უპატრონეო. რატომ ყოფთ ცხვირს იქ, სადაც არაფერი გესაქმებათ? ქვეყანას ვპატრონობთო, შეეძლოთ ეთქვათ, მაგალითად, ჰიტლერს და სტალინს.

– რატომ ახსენებთ ერთად? – ცოტა ხმამაღლა წამომცდა. გაუკვირდა.

– თქვენ ფიქრობთ, ჰიტლერსა და სტალინს შორის დიდი განსხვავებაა?

– დაახლოებით ისეთი, როგორი განსხვავებაცაა ბოროტებასა და სიკეთეს, ან სიცრუესა და სიმართლეს შორის.

– ეს თქვენი აზრია, მე კი ამ ორ კაცს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ და საერთოდ სიკეთე გარკვეული დოზით ბოროტების მარცვლებსაც შეიცავს.

– იქნებ უფრო მარტივად აგეხსნათ?

– მარტივად? სტალინი ნიჭიერი კაცი იყო, ხომ მართალია? იქნებ იმაშიც დამეთანხმოთ, რომ არც ჰიტლერი გახლდათ უტვინო. ესე იგი, ამ თვალაზრისით, მათ შორისაც ჩინური კედელი არ არსებობს. ორივეს – ჰიტლერსაც და სტალინსაც თავიანთი ქვეყნის კეთილდღეობა სურდა. ერთს გერმანიისთვის, მეორეს – რუსეთისთვის. ამის სანაცვლოდ თავთავიანთ ქვეყნებში ორივე ღმერთად მიაჩნდათ. ჰიტლერმა (სანამ ჰიტლერობდა) ააყვავა გერმანია, სტალინმა ახალი, მძლავრი რუსეთი ააშენა. აქაც ისინი თანასწორები არიან. ჰიტლერს არ გაუმართლა და დამარცხდა. სტალინმა ომის კანონების ცოდნით აჯობა და გაიმარჯვა. ისტორია

გამარჯვებულის მხარესაა. ესაა მთელი ამ ამბის ფილოსოფია. სტალინი რომ დამარცხებულიყო, ჰიტლერის ბედს გაიზიარებდა. ეს საინტერესო არ გახლავთ. ამოსავალი ჩვენთვის ის არის, რომ ორივე თავისი ქვეყნის ერთგული იყო და ორივეს თავისი ქვეყნისთვის სიკეთე სურდა. მათი მიზნები თითქმის იდენტური იყო. მიზნის მიღწევის გზები და საშუალებები იყო მხოლოდ სხვადასხვა. „მიზანი კი, ცნობილია, ამართლებს საშუალებას“.

ჩვენ კიდევ კარგა ხანს ვისაუბრეთ. „ჰიპი-თეორეტიკოსი“ უფრო ღრმად იჭრებოდა თავის მოძღვრებაში და ბევრ ისეთ საკითხსაც შეეხო, რაზეც წერა, სხვა არა იყოს რა, უხერხულია. „ესეც შენ – ვეუბნებოდი ჩემს თავს, ჰიპებს რომ თავი დავაღწიე და სასტუმროსკენ მოვაბიჯებდი – ან საერთოდ არ უნდა დაგეწყო საუბარი მაწანწალა ფილოსოფოსთან, ან მაშინ უნდა გამომშვიდობებოდი, როცა დაბანილ ფეხთან შედარებით ჭუჭყიანის უპირატესობა დაგიმტკიცა“.

ცხოვრებამოყირჭებული, დაღლილი, უმიზნო და უსახელო ჰიპი ზის ტროტუარზე, შენ გგონია იგი ცივილიზაციის უარმყოფელია მხოლოდ და მხოლოდ და ურბანიზმის სიმძიმეზე ტრივიალური საუბრით ამოიწურება მისი ფილოსოფია? ხომ ნახეთ, როგორ წვეთავდა მის სიტყვებში უდარდელობის და სხვათა ბედის ფეხებზე დაკიდების ტენდენცია – საიდანაც ერთი ნაბიჯია ცინიზმამდე. ხომ დაინახეთ, როგორ გაჟონა მის ნათქვამში ფაშისტურმა ლოზუნგმა („მიზანი ამართლებს საშუალებას“).

ადამიანი შეიჭრა კოსმოსში, ადამიანმა ფეხი დაადგა მთვარეს, ადამიანმა ნავთობისაგან ხიზილალის დამზადება ისწავლა, მედიცინამ სხვადასხვა ორგანოს გადანერგვის სასწაულები გვიჩვენა, ლაზერის სხივებით ბრინჯაოს კედელს ყველივით, რბილად ჭრიან შუაზე, კარგა ხანია უზის კაცი უჩინმაჩინის სარკეს – ტელევიზორს და არც კი უკვირს. „ტექნიკის ამ საოცრებების ვითარებაში ქვეყნად ღმერთისთვის ადგილი აღარ დარჩაო“, – ამტკიცებენ ათეისტები, მაგრამ ახალგაზრდებს შორისაც კი ჯერ მრავლად არიან რელიგიური ბანგით მთვრალი, ნეტარების მოლოდინში გაბადრული მორწმუნენი. ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი მოხდა, ზოგიერთ ქვეყანაში ტექნიკის ფურორმა ღმერთის შევიწროვების ნაცვლად, პირიქით რელიგიური ფანატიზმის გამოცოცხლება გამოიწვია.

კაიროში, ხეოფსის პირამიდასთან, მზის გულზე იჯდა ასე ოციოდე წლის ბიჭი და წამდაუწუმ „ბახშიშს“ გაჰყვიროდა, მისი გამკითხავი თითქმის არავინ იყო და ხანდახან მოწყალების თხოვნაში ტირილსაც გაურევდა. მზის საათმა თორმეტი რომ უჩვენა, მუხლებზე დაემხო და ლოცვას შეუდგა. კარგა ხანს ილოცა. ხელებს რომ მაღლა აღაპყრობდა, მინდოდა მის სახეს დავკვირვებოდი, ხმამაღლა ლოცულობდა და მზით გარუჯულ სახეზე გასაოცარი კმაყოფილების კვალი აჩნდა. ლოცვას რომ მორჩა, ფერხმორთხმული კვლავ ტირილით შეუდგა მათხოვრობას.

ფოტოაპარატი რომ დავუმიზნე, გამიცინა. გამიკვირდა, რადგანაც საერთოდ არაბები ტურისტს სურათის გადაღებაზე უარს ეუბნებიან. ადგა, მომიახლოვდა, ფოტოაპარატი გამომართვა ხელით მანიშნა, პირამიდის ფონზე დადექი, ახლა მე გადაგიღებო. ეტყობოდა, ფოტოაპარატი მისთვის უცხო ხილი არ იყო. სურათის გადაღებისთვის მადლობა მოვახსენე. „ბახშიშ!“ – ხელი გამომიშვირა, ჩანთიდან ინგლისურად გამოცემული თბილისის ბუკლეტი ამოვიღე და ვაჩუქე. უნდა გენახათ რა წყენა და სიბრაზე ჩაუდგა თვალებში. ბუკლეტი შუაზე გადახია, მოისროლა და ბრძანების კილოთი მითხრა – „ფუნტ!“ ერთი პირობა გამიელვა, დავაფშვნი ამ ფოტოაპარტს თავზე და გავეცლები-მეთქი, მაგრამ ნერვები დავიოკე, მკითხველისთვის გასაგები ათასი მიზეზის გამო. ჯიბე მოვიქექე, იღბლად ოცდახუთ პესომდე აღმომაჩნდა (მოგზაურობის ბოლო დღეები იყო და ფულზე ცოტა უკაცრავად გახლდით) ხელში ჩავუკუჭე და გავეცალე, ფული სწრაფად გადათვალა და გამომიდგა – „ფუნტ!“, აშკარაა, რომ მოწყალება „ეცოტავა“, ფუნტს მთხოვს. ამასობაში ჩვენი გიდი მოგვიახლოვდა და არაბულად რაღაცის ახსნა დაუწყო. მოძალადე – მათხოვარს არაფრის გაგონება არ სურდა. „რა ასეთი სამსახური გაგიწიათ“, – მომიბრუნდა გიდი. არაფერი, ჩემი ფოტოაპარატი გააჩხაკუნა, ნუთუ ამაში ერთ ფუნტს ითხოვს-მეთქი. მე რომ დამენახეთ, ამ ნაძირალასთან ახლოს არ მიგიშვებდითო, ახლა ეს არაფრით არ მოგშორდებაო. ამოიღო გიდმა ერთფუნტიანი და მისცა. კომპრაჩიკოსის სიცილით გაიცინა და თავის ნიშს დაუბრუნდა.

მეორე დღესაც აღმოვჩნდით პირამიდებთან, ჩემი „ნაცნობი“ ისევ თავის ადგილას იჯდა. რომ დამინახა, გამიცინა და არაბულად რაღაც დამიძახა. გიდს შევხედე, გეპატიჟებათ სურათის გადასაღებადო. მწყრალად რომ შევბრუნდი, ეტყობა, არ მოეწონა, დამეწია, მხარზე ხელი დამკრა და რაღაც მითხრა. გიდმა მითარგმნა. ჩვენ ხომ ძველი ნაცნობები ვართ, ნუთუ ისე აუვლის ალლაჰის შვილს, რომ მოწყალებას არ გაიღებსო.

– ალლაჰს რატომ აუღია ხელი თავის შვილზე? – გიდს ვთხოვე ეთარგმნა.

გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

– ალლაჰი მოწყალეა. ოღონდაც იგი მოწყალებას თავისი ხელით კი არა, თქვენი და თქვენისთანა კეთილი ბატონების ჯიბიდან მაძლევს.

– იოლ გზას დასდგომია თქვენი ალლაჰი.

გიდმა რომ უთარგმნა, არც კი გაღიმებია, ეტყობოდა, იუმორის გრძნობისგან საკმაოდ შორს იყო.

– თქვენ ავადმყოფი ხართ?

– არა.

– აბა, რატომ მათხოვრობთ?

– მათხოვრობა ყველაზე წმინდა საქმეა, იმ საქმეთა შორის, რასაც ადამიანები აკეთებენ.

– ყველამ რომ ასე იფიქროს, ეს ქვეყანა, მათხოვრებით აივსებოდა და აღარც ჩვენ ვიქნებოდით – უწმინდური საქმის მკეთებელნი, თქვენისთანა წმინდანებისთვის მოწყალება რომ გაგვეღო.

– მათხოვრობა ხომ ყველას არ შეუძლია. ალლაჰი ზოგს ქურდად ბადებს და ზოგს პოლიციელად. თქვენ ყველანი ცოდვის შვილები ხართ. მე კი, ვენაცვალე მის სახეს, მათხოვრობით გამაბედნიერა.

– ბედნიერად თვლით თქვენს თავს?

– ჩემი მდგომარეობა უმაღლესი ბედნიერებაა.

– გუშინაც ბედნიერი იყავი, სახელოში რომ ჩამაფრინდი ერთი ფუნტისთვის?

– ესეც ალლაჰის ჩაგონებით იყო.

– ალლაჰმა ჩაგაგონათ, მოწყალება ძალით ააღლიტეთ ტურისტებსო?

– ალლაჰმა გვასწავლა – სამსახურისთვის სამსახური მოითხოვეთო.

– განა რა სამსახური გამიწიეთ ასეთი?

– რაც შემეძლო.

– თუ ასე ძვირად გიღირთ ფოტოაპარატის სასხლეტზე თითის დაჭერა, ხომ შეგეძლოთ ორი ფუნტი მოგეთხოვათ?

– არავითარ შემთხვევაში. ჩემი სამსახური ერთი ფუნტის ფარგლებს არ სცილდება.

– ალლაჰს არ ჩაუგონებია, ხუმრობით მაინც, პატიოსანი გზით ჭამე ლუკმაო?

– რას ეძახით პატიოსან გზას?

– შრომას.

– განა მე არ ვშრომობ?

– თქვენ მათხოვრობთ და ხშირად აკრძალული მეთოდებითაც.

– სხვები ყველანი იპარავენ; ერთმანეთს ატყუებენ, ჰყიდიან სულსაც და ხორცსაც. მე კი წმინდანი ვარ და „ბახშიშს“ ვითხოვ, მეტს არაფერს.

– ჯანმრთელი ვარო, შენ თქვი. ასე მათხოვრობით გინდა განვლო შენი ცხოვრება?

– თუ ალლაჰმა რაიმე ცოდვის ჩადენა არ დამავალა, ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, ასე ვიცხოვრო სიკვდილდამდე.

– ცოდვაში რას გულისხმობთ?

– ყველაფერს, რასაც თქვენ აკეთებთ დილიდან საღამომდე.

– ცოლის შერთვაზე თუ ფიქრობთ?

– არა.

– რატომ, რამდენადაც ვიცი ალლაჰი არ მოგიწონებთ, უშვილძიროდ გადაგებას.

– სწორედ ალლაჰმა მიჩურჩულა ერთხელ ძილში: ცოდვა არ გაამრავლო. შვილი არ გააჩინო. ისიც დაიტანჯება, კაცობრიობის ცოდვები უკვე ზესკნელს აზანზარებენ და მალე ამ ქვეყანას წარღვნა წალეკავსო.

– მთელ ქვეყანასო?

– კი.

– წარღვნაში თქვენც რომ მოჰყვეთ, მორწმუნენი?

– როგორც ალლაჰი ინებებს...

ამ სიტყვებს შუა საუკუნეების რომელიმე დაყუდებული ბერი კი არ ამბობდა, არამედ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ახალგაზრდა კაცი. მიეცი ასეთ ბიჭს იარაღი და უბრძანე, საკუთარ მამას ესროლოს (თან დაუმატე, რომ ალლაჰის სურვილიც ასეთია) თვალს არ დაახამხამებს, ისე დაუმიზნებს შუბლში მშობელს.

მის წინაა აღმართული ადამიანის ღვთაებრივი გონების ნახელავი, სიკვდილზე და ღმერთზე გამარჯვების ნიშანი – ხეოფსის პირამიდა. ყოველდღე შესცქერის ამ ოთხიათასწლოვან სასწაულს და მაინც მისი დაბინდული გონება ჭეშმარიტებას სადღაც შორს, ღრუბლებს მიღმა, რელიგიურ ქაოსში დაეძებს.

მიუხედავად ეპოქის თავბრუდამხვევი რიტმისა, რაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და ურბანიზმის ფართო ნაბიჯების სახით ხშირად შეხედულებათა გადაფასების გამოცდის წინაშეც კი აყენებს ახალგაზრდას, ჩვენ ძირითადად მოვახერხეთ კეთილი ნების ახალი თაობის აღზრდა. შევძელით გვესწავლებინა მისთვის საკუთარი თავის მართვა, მაღალ მატერიებთან ყველაზე სწორი დამოკიდებულების დამყარება.

ცხოვრების მიზნის უქონლობა, ან არამეცნიერულად განმარტებული ადამიანის რაობისა და დანიშნულების პრინციპი გახლავთ თავი და თავი იმ „საყმაწვილო სენისა“, ლონდონელი ჰიპისა და არაბი მათხოვრის პირით რომ გვიქადაგა გზასაცდენილმა სიჭაბუკემ.

ახალგაზრდას კაცობრიობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით, ბევრი უპირატესობა აქვს. იგი ყველაზე ლამაზია და მუხლმაგარი, მალემრწმენი და გაბედული.

მე ვფიქრობ, ახალ თაობასთან დამოკიდებულების ჩვენეულმა მეთოდებმა კარგად შეძლო ახალგაზრდობის ამ უპირატესობის გამოყენება, მაგრამ...

დიახ, არსებობს უამრავი „მაგრამ“, დაკარგულ შესაძლებლობებად რომ ჩამდგარა ჩვენსა და ახალგაზრდობას შორის და იშვიათად სამწუხარო მაგალითი რომ შეგვახსენებს თავს.

სამწუხაროდ, ზოგჯერ პროპაგანდის მოძველებული მეთოდებით ან მოყირჭებული დიდაქტიკით მივდივართ ისეთ ურთულეს ფენომენთან, ახალგაზრდის სული რომ ჰქვია და გვიკვირს, საწინააღმდეგო შედეგს რომ მივიღებთ ხოლმე.

ზოგიერთ კომკავშირულ მუშაკს თანამედროვე ახალგაზრდობის საზოგადოებრივ პასიურობასა და ენთუზიაზმის მოდუნებაზე სჩვევია ლაპარაკი.

არადა, არ არის მართალი. ჩვენი ახალგაზრდების განუზომელი ენთუზიაზმის უამრავი მაგალითია ამ მოსაზრების გამბათილებელი.

ახალგაზრდა კაცს სწყინდება მხოლოდ ის, რაც მოსაწყენია და ტაშს არ დაუკრავს იმას, რაც ტაშის ღირსი არ არის.

ამისათვის მას „პასიურობას“ ნუ დავწამებთ. თითო-ოროლა გულგრილი ახალგაზრდის საქციელზე განმაზოგადებელი ღაღადისი უკვე მოსაწყენი გახდა და ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა ლამის დაიჯეროს, რომ პავკა კორჩაგინის უღირსი უმცროსი ძმაა, რომ მან თითქოსდა ვერ შეძლო მამების გენეტიკური ენერგიის შენარჩუნება, რომ მისი ნაბიჯები მოდუნებული და უილაჯოა.

ვერ კი უფიქრდება ექსტაზში შესული ძველი თაობის მეხოტბე იმას, რომ მამის ამოოხვრას („ეჰ, რა ახალგაზრდობა იყო?!“) ათასი გუნებაწამხდარი და თავის ძალებზე გულგატეხილი მსმენელი ისმენს.

არადა, ზოგჯერ ჩვენვე ვუწყობთ ხელს, რომ ახალგაზრდა პოლიტიკურად ინდიფერენტულ ადამიანად გაიზარდოს. შიში და მრისხანება გვიკრთის ხოლმე თვალებში, როცა ახალგაზრდა კაცი თავის თუნდაც მცდარ, აზრებს საჯაროდ გამოთქვამს. ხოლო თუ რამდენიმე კაცმა ერთმანეთს მხარი მისცა და რაიმეს მხარდასაჭერად ან უარსაყოფად ქუჩაში გამოვიდა, დიდ ამბად მივიჩნევთ და ჭკუის დარიგების კორიანტელს დავაყენებთ მათ ირგვლივ.

სწორედ ამის გამო ხომ არ არის, რომ დაიკარგა საჯარო დისპუტებისა და ჭეშმარიტებათა მასობრივად გარკვევის, კამათის ის დიდებული ტრადიციები, სწორედ ოციანი და ოცდაათიანი წლების ახალგაზრდებს რომ გააჩნდათ?

როცა კამათისა და დისპუტისათვის არსებობს დასაშვები და დაუშვებელი თემები, სწორედ ეს იძლევა საბაბს, რათა ახალგაზრდა კაცი გულგრილად განეწყოს ჩვენი ზოგიერთი შეკრებისადმი და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინოს სიტყვებზე, წამდაუწუმ რომ ჩასძახიან: „წინააღმდეგი ხომ არავინ არის? თავი ხომ არავის შეუკავებია“?

ზოგიერთი აღმასკომისა თუ რაიკომის ხელმძღვანელის უყაირათო მუშაობა მარტო მოსავლის პროცენტულ მაჩვენებლებს კი არ ეტყობა, იგი თავის დაღს ამჩნევს ახალგაზრდების სულსაც. და ეს სწორედ იმგვარი ხარვეზია, რომლის გამოსწორებაც თაობებს გაუჭირდებათ ხოლმე.

განა ყველგან არა ვხედავ, რომ ზოგიერთ ჩვენს დასახლებულ პუნქტში ახალგაზრდობა ორადაა გაყოფილი. ერთ მხარეზე არსებობს ახალგაზრდული მასა, ხოლო მეორეზე უფროსების მიერ ამოჩემებული ყმაწვილები: მხოლოდ ისინი არიან ყოველგვარი წახალისების ღირსი, მხოლოდ ისინი უნდა იყვნენ დელეგატები და დეპუტატები, მოწინავეთა დაფის მუდმივი სტუმრები და სიგელ-ჯილდოთა კავალრები. მხოლოდ მათ ანდობენ ათასგვარ მიმდინარე თუ მუდმივ საზოგადოებრივ დავალებებს, ისინი არიან არჩეულნი ყველგან და ყველაფერში. შედეგი? ბევრი მათგანი, რასაკვირველია, სწორადაა შერჩეული ახალგაზრდულ მეწინავე უბნებზე, ზოგი კი მამებისა და ბიძების სურვილით, ყოველგვარ პირად

ღირსებათა გაუთვალისწინებლად. მე მისაუბრია ამ უკანასკნელთაგან რამდენიმესთან. რომ იცოდეთ, რა სასაცილო, ძალად დასერიოზულებული ბიჭები არიან, როგორ ქცეულან ისინი მეოცნებე ბავშვებიდან პატარ-პატარა კარიერისტებად, ლოყების ბერვითა და დაბოხეული ხმით ლაპარაკობენ. „იჩობით“ მოიხსენიებენ ერთიმეორეს და თავიანთი გაფუჭებული კაცუნობით გულს უტეხენ მართლაც რომ უნარიან და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდებს.

ზოგი სარაიონო თუ საქალქო უწყების ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ ახალგაზრდობას სერიოზული დაფიქრებისა და განსჯის დრო არ უნდა მისცეს. ამიტომ ცდილობს გაუთავებელი ზეიმებითა და „ღონისძიებებით“ ამოავსოს ახალგაზრდა კაცის ცხოვრების ორიოდე თავისუფალი საათი. მართალია, ჩვენ მოზეიმე ქვეყანა ვართ, მაგრამ განა შეიძლება გაუთავებელი ტაშისკვრა და ზეიმობანა? განა დასაშვებია ზეიმი ისე ხშირი იყოს, რომ მოსაწყენი გახდეს? ერთი და იგივე გრძელ-გრძელი მოხსენებები, პომპეზური სიტყვები, წამდაუწუმ ყურში ჩაძახილი იმისა, რომ „საამური ცხოვრება გვაქვს“, პლაკატომანია და ლოზუნგომანია... როგორც კი ზომიერებას გადაცდება პროპაგანდის თვით ისეთი ნაცადი ფორმაც კი, როგორიცაა მასობრივი ზეიმები, იგი მაშინვე იქცევა ხოლმე შემაწუხებელ ღონისძიებად და თავის მაღალ დანიშნულებას ვერა და ვერ ამართლებს.

„ვერ მოზომაო“, ვიტყვით ხოლმე ამხანაგზე, რომელიც ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების რომელიმე საკითხში ზღვარს გადაცდება. მერე კი დააბიჯებს ჩვენ შორის იმ ვერმოზომვის მსხვერპლი და გვიკვირს, რატომაა იგი ასეთი და არა იმგვარი, როგორიც ჩვენ გვსურდა გამოსულიყო. ერთ მაგალითს მოგახსენებთ.

ჩემმა მეზობელმა, თბილისის, ერთი ინსტიტუტის ფრიადოსანმა სტუდენტმა ერთ დღეს უარი განაცხადა კომკავშირული პროჟექტორის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. გოგი ინიციატივიანი, მასობრივ მუშაობაში ჩართული ბიჭი იყო და გამიკვირდა. ვკითხე მიზეზი. აი, რა გამოირკვა: ამ ერთი თვის წინათ ჩვენმა პროჟექტორმა რეიდი მოაწყო სასადილოების მუშაობის შესამოწმებლადო. ბევრი ნაკლი აღმოვაჩინეთ და სათანადო აქტებიც გავაფორმეთ. როცა ეს აქტები ჩავაბარეთ სადაც ჯერ არს, დიდი მადლობით გამოგვისტუმრეს და სიყოჩაღე მოგვიწონეს. გავიდა ხანი და ჩვენი რეიდის მასალებმა არც რაიმე ბრძანებაში იჩინა თავი და არც ვინმეს უფიქრია ღონისძიების გატარება, სიტყვიერი საყვედურიც კი არავინ ჰკადრა სასადილოების მესვეურებსო. მივაკითხეთ და დაბეჯითებით მოვითხოვეთ „ზემდგომ ამხანაგებს“ ჩვენი რეიდის მასალების პრაქტიკულად გამოყენებაო. მაშინ კი გაგვიწყრნენ, „ენატლიკინა ბიჭბუჭებად“ ჩაგვთვალეს და თანაც დაგვემუქრნენ – თუ ჭკვიანად არ იქნებით, მაგ პროჟექტორსაც გაგიუქმებთ და რაიკომსაც მივწერთ, რომ თქვენ ყოყლოჩინა, კრიტიკანი ახალგაზრდები ყოფილხართო.

ბევრი ვარწმუნე, ამ ამბავმა გული არ გაგიტეხოს, მერე რა ვუყოთ, ხდება, უღირს კაცს შეხვედრიხართ-მეთქი, მაგრამ „პროჟექტორისკენ“ ვეღარაფრით მოვაბრუნე. ახლაც, სჯერა რომ მისი რეიდის მასალებით ვიღაცამ ხელი მოითბო; ან, უკეთეს შემთხვევაში, ვიღაცამ ვიღაცა მოიმადლიერა.

არ არის „უმნიშვნელო შემთხვევა“, ის რაც ჩემს მეზობელს დაემართა. ჭაბუკების მიერ მიკვლეული ნაკლოვანებანი მაუდის ქვეშ რომ ამოდეს, ამით ახალგაზრდებს აგრძნობინეს – ვის რად უნდა, თქვე ღლაპებო, თქვენი აქტები. თქვენ თავშესაქცევად გათამაშებთ კონტროლიორობანას, თორემ განა მართლა სერიოზულ საქმედ მიგვაჩნია თქვენი კომკავშირული პროჟექტორიო. ამ „შემთხვევამ“ კი, ვინ იცის, იქნებ რამდენი ხნით გაუტეხა გული საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაზე ერთ კარგ ახალგაზრდას.

უფრო „უმნიშვნელო შემთხვევას“ მოგახსენებთ: ამას წინათ ტაქსის რიგში ვიდექი. უეცრად ჩემ გვერდით მილიციის ოპერატიული მანქანა გაჩერდა. სერჟანტი და ერთი რიგითი მილიციელი გადმოვიდნენ, შეგვათვალიერეს (მე ვიფიქრე, დამნაშავის ცხელ კვალზე არიან-მეთქი), ოთხი 20-25 წლის ბიჭი გაიყვანეს რიგიდან და მანქანაში ჩასვეს. სერჟანტმა კარი რომ მიხურა და კაბინისკენ წამოვიდა, ვკითხე, რა დააშავეს-მეთქი. თმა უნდა გადავპარსოთო, საქმიანად მომიგო და შოფერს ანიშნა, წადიო. გული შემეკუმშა. ცოტა ხანს ადგილზე ვიწრიალე, ტაქსი რომ მოვიდა, ჩავჯექი და რაიონის მილიციის განყოფილებას მივადექი. სანამ სამორიგეო ოთახს მოვძებნიდი, წესრიგის დამცველებს თავისი საქმე უკვე გაეკეთებინათ. ოთხივე ბიჭი საწყალობლად თმაშელიჯნილი მაგიდასთან იჯდა და ცრემლგამშრალი წერდა ხელწერილს იმის შესახებ, რომ აღარასოდეს მოუშვებდა თმას.

ვინ მოიფიქრა ეს სისულელე-მეთქი, სერჟანტს რომ ვკითხე, ჯერ ამრეზილად ამხედ-დამხედა (ზურგი ხომ არ ექავებაო, ალბათ), მაგრამ როცა საბუთები ვაჩვენე და განვუმარტე, რომ მე მწერალი ვარ და უნივერსიტეტის პროფესორი, რომ მე არ შემიძლია გულგრილი ვიყო იმის გამო, თუ როგორი წარმოდგენა ექნება მილიციაზე ოთხ მოწიფულ ჭაბუკს, იკადრა პასუხის გაცემა. დაგვავალეს, თორემ მე თვითონ დიდ სახალისო საქმედ არ მიმაჩნია ქუჩაში უდანაშაულო ახალგაზრდების დევნა და „პარიკმახერობაო“.

კიდევ კარგი, რომ მილიციის ერთი ქვეგანყოფილების ეს „წამოწყება“ სხვებმა არ გაიზიარეს და იგი ერთადერთ შემთხვევად დარჩა თბილისში, რა იყო ეს? მოდის წინააღმდეგ ბრძოლა? ვის მოუვიდა აზრად, რომ მოდას უსათუოდ უნდა ვებრძოლოთ და ისიც ამგვარი, ბარბაროსული მეთოდებით? მიუხედავად იმისა, ჩვენ მოგვწონს თუ არა, ამ ქვეყანაზე ყველას ისე აქვს შეკრეჭილი თმა, როგორც თვითონ გაუხარდება, და განა რა არის ამაში ცუდი? ხომ არ გაიღვიძა ზოგიერთი „წესრიგის დამ-

ცველის“ არსებაში ვოლუნტარიზმის დროინდელმა ყბადაღებულმა კურიოზმა: „თუ საბჭოთა ახალგაზრდა ჩაცმულობით ბურჟუას წაბაძავს, თავში აზრებიც ბურჟუაზიული მოუვა“.

ბიჭებს, ალბათ, ისევ წამოეზარდათ თმა და ისევ ძალიან მეეჭვება, რომ ისინი თავიანთი იმდღევანდელი ხელწერილის ერთგულები დარჩნენ, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, სერჟანტის და მისი მეგობრის განუსჯელმა საქციელმა, ვინ იცის, რა წარმოდგენა შეუქმნა ოთხ ახალგაზრდა კაცს, ჩვენს საამაყო საბჭოთა მილიციაზე, მისი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე. თუ ის ყმაწვილები ამ წერილს წაიკითხავენ, მე ვთხოვ, დარწმუნებული იყვნენ, რომ მათთთვის მოდის წინააღმდეგ ამგვარი ბრძოლა არავის დაუვალებია. იმდღევანდელი ეპიზოდი მხოლოდ და მხოლოდ თავის გამოჩენის სურვილით შეპყრობილი თავგახურებული მილიციელის ხუშტური იყო და სხვა არაფერი.

ახალგაზრდა კაცი კარზე აკაკუნებს. იგი ჩვენს რიგებს ემატება თავისი ოცნებებით და მისწრაფებებით. კეთილი ვინებოთ და დავუთმოთ მას ადგილი ჩვენ შორის, კეთილი, ვინებოთ და დავეხმაროთ მას იპოვოს თავისი თავი, იპოვოს თავისი ადგილი საზოგადოებაში.

ახალგაზრდების დასაქმების თვალსაზრისით ჩვენ მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ, მაგრამ აქაც უამრავი „მაგრამ“ იჩენს თავს, რაზეც უსათუოდ ღირს წერა და ლაპარაკი.

რომელ თქვენგანს არ ხვდება გულზე ის ბასტილიური ცეცხლი, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების კართან რომ იმართება ყოველ ზაფხულს? რატომ ხდება, რომ განურჩევლად ყველა (აქვს თუ არა სათანადო მომზადება, მოწოდება, ნიჭი და უნარი) უმაღლეს სასწავლებელში ცდის ბედს? ხომ ფაქტია, რომ „უმაღლესში მოწყობის“ პრობლემა ერთი უმთავრესი პრობლემაა თანამედროვე ახალგაზრდობის წინაშე მდგარ პრობლემებს შორის? აბიტურიენტთა ლაშქრის სიმრავლე განაპირობებს იმ უამრავ უმსგავსობას, რომელთა დიდი ნაწილი გულდაწყვეტილ მშობელთა მიერ გავრცელებული ჭორი სრულიადაც არ გახლავთ („მე ვიცი, როგორც გიპასუხათ“, „მე ვიცი, რისთვისაც დაუწერეთ ნიშანი“). თუ რაიმეს სჭირდება მოვლა, უპირველეს ყოვლისა, ამ საკითხს. არაა დასამალავი, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ყოველთვის ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის სათანადო ორგანიზებას, მე ვერ დამარწმუნებს ვერავინ იმაში, თითქოს რომელიმე თუნდაც ყველაზე კომპეტენტურ საგამოცდო კომისიას შეეძლოს 800 აბიტურიენტიდან გამოარჩიოს 10 ყველაზე ღირსეული სტუდენტის სახელისათვის. ყველგან და ყოველთვის, როცა რვაასი აბარებს და ადგილი მხოლოდ 10 გვაქვს, იმ ათის შერჩევა მარტო ცოდნის კრიტერიუმით არა და არ ხდება. ჩვენს პედაგოგიკურ მეცნიერებას ჩვენი საგამოცდო სისტემის სახით ცოდნით ამგვარი ზუსტი შემრწმების საშუალებანი არ გააჩნია. და სწორედ ამიტომ გარეთ გვრჩება ორმოცდაათამდე ახალგაზრდა, ვისაც იმ ათზე

ნაკლებად როდი ეკუთვნოდა სტუდენტურ მერხზე ჯდომის უფლება, მაგრამ ჩვენ მიერ საგანგებოდ მოფიქრებული ბარიერების გამო „ქულები არ ეყოთ“. თუ სიმართლე გვინდა, ყველაზე მეტად ეს იწვევს ზოგი ახალგაზრდა კაცის გულის გატეხას და შეიძლება უნდობლობასაც ჩვენ მიმართ, რომელსაც მერე საზეიმო დაფდაფებით სავსე კონფერენციებზე პოლიტიკური გულგრილობის სახელით ვნათლავთ.

ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საქმეშიც ბევრი ხარვეზი გვაქვს. ვერ მოხვდა უმაღლესში ახალგაზრდა! მერე, ზოგ ქალაქსა თუ სოფელში მისი მშობლების გარდა არავინ დაინტერესდება, სადაა, რას აკეთებს იგი. რამდენიმე მათგანი ქალაქში რჩება და რეპეტიტორთა თბილ უბეშია საიმედოდ შეყუჟული, ზოგი კი თოხს მოისვრის და საქალაქო კანცელარიებში „სტაჟის გულისთვის“ ათას დამამცირებელ საქმიანობას ეწევა. არც უმაღლესდამთავრებულთა, დიპლომიანთა შრომითი მოწყობა გვაქვს სამაგალითოდ ორგანიზებული. თუ ერთხელ აცდი განაწილებას (ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გამო, სადაც განგაწესეს, იქ ვერ წახვედი), მერე ათი წელიც რომ გავიდეს, არავინ მოგაკითხავს, შენ, თუ ძმა ხარ, ამ ათი წლის წინათ დიპლომი რომ მოგეცით, სპეციალისტად გაგზარდეთ, სადა ხარ ახლა, სად მუშაობ, რას აკეთებო.

თვითმოწყობისა და „მეურვეთა“ გაუთავებელი პატრონობის პრინციპი ზოგიერთ ახალგაზრდას ცხოვრებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების უნარს უდუნებს და მის სამომავლო ორიენტაციაზეც არ ახდენს მთლად კარგ გავლენას.

უნდა აღვზარდოთ ეროვნული მოქალაქეები. დადგენილია, რომ კოსმოპოლიტიზმის სამოსელში გახვეული კაცი, რომელსაც არ გააჩნია ეროვნული ხასიათი, არ იცის მშობლიური ენა და თავის ქვეყნის სიყვარულით არ უძგერს გული, ვერც თავის სამშობლოს გამოადგება და სხვათა სამსახურადაც ბედენა არ გახლავთ. ინტერნაციონალური გრძნობა სწორედ მისთვის არ არის უცხო, ვისაც თავისი ერის ინტერესები გულის ფიცარზე დაუწერია და საქვეყნო საზრუნავი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი.

ჩვენ, ქართველებს, ქართული ეროვნული ხასიათი გვაქვს. იგი მჟღავნდება თითქმის ყველაფერში – სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ქალისადმი დამოკიდებულებაში, საქორწინო რიტუალში, მკვდრის დატირებაში, ძმადნაფიცობასა და მეგობრობაში, სუფრის ხელოვნებაში, ტემპერამენტში, საცხოვრებელი სახლის ინტერიერსა თუ ექსტერიერში. თანამედროვე მსოფლიოს ეგზოტიკურობისა და სილამაზის მიზეზი ისიც არის, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთისაგან ბევრი რამით განსხვავდებიან.

მარტო სიტყვით და მკერდზე ურაპატრიოტული მჯიღის ცემითღა ხომ არ ვუწყობთ ხელს ხშირად ეროვნული მოქალაქეების აღზრდას?

ლამის ეპიდემიად იქცეს ჩვენში უცხო ენების თავგამოდებული შეს-

წავლა მშობლიური ენისაათვის წართმეული დროის ხარჯზე. მისაღებ გამოცდებზე იშვიათად როდია ასეთი შემთხვევა – აბიტურიენტი ფრანგულს ხუთზე აბარებს, მშობლიურ ლიტერატურაში კი ორიანს იმსახურებს და აღშფოთებულია –როგორ, მე, რომელსაც ფრანგული ხუთზე ვიცი, ქართული ორზე მეცოდინებოდაო?

უცხო ენის ცოდნას რა სჯობს, მაგრამ ერთი პოეტისა არ იყოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მშობლიურია მთავარი“.

მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლაში ზოგმა ისე გადააჭარბა, რომ ლამის ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლოს. ყველაფერი რაც ტრადიციულია, მავნედ თუ მივიჩნიეთ, კაი დახლი დაგვიდგება. გადმონაშთებთან ბრძოლაში ზოგმა ისე შეტოპა, რომ ჩვენი ბრწყინვალე ტრადიცია – საოჯახო წვეულება და ქართული სუფრის დიდებული კულტურა – სადღეგრძელოების თქმა „მავნე ტრადიციად“ მონათლა და თავისი მყუდრო კაბინეტის ვიწრო სარკმელიდან სროლა გაუმართა. შედეგი? ამას წინათ სტუდენტები ექსკურსიაზე მყავდა ბეთანიაში. ისტორიული ძეგლების დათვალიერების შემდეგ გადავწყვიტეთ, მწვანე მოლზე გვესადილა. თამადობა ერთ სტუდენტს ვთხოვე, მაინტერესებდა, როგორ გაუძღვებოდა სუფრას. ახლადარჩეულ თამადას გვერდით მჯდომმა ხავერდისშარვლიანმა ბიჭმა გადაულაპარაკა – არ დამიწყო ახლა დედამამიშვილების სადღეგრძელოებიო. სიბრაზის ალმური წამეკიდა – აბა, რა უნდა დაგვიწყოს-მეთქი, ვკითხე, წამოდგა და მშვიდად განმიცხადა: „თქვენ რა, არ იცით, პატივცემულო, დედმამიშვილების სადღეგრძელოები მოდაში რომ აღარ არის?“

ზოგიერთი ახალგაზრდა საშველს არ მოგცემს, საზღვარგარეთ წამსვლელ მშენებელთა რაზმში ჩამწერეო. ვერ დავიჯერებ, რომ იგი ჩეხოსლოვაკიაში საქათმის ასაშენებლად მიდის, იცით რატომ ვერ დავიჯერებ? საზღვარგარეთ წასასვლელად ჯანმრთელია, ხოლო ათასნაირ ავადმყოფობის ცნობას წარმოგიდგენს, როცა ქართული ისტორიული ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოთა რაზმში შეყვანას დაუპირებ. ჯერ შენი მოიარე, შენი ნახე, შენსას გაეცანი, შენსას მოუარე და მერე წადი, შე კაი დედმამისშვილო, სხვისთვის ხელის გასაწვდენად.

ეროვნული მოქალაქე და პატრიოტი ინტელიგენტი ვერ აღიზრდება მშობლიური ლიტერატურისა და თავისი ქვეყნის ისტორიის ცოდნის გარეშე, ხომ საკამათო არ არის ეს აზრი? ერთ კურიოზს მოგახსენებთ.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ლიტერატურას და საქართველოს ისტორიას არ ასწავლიან მომავალ ექიმებს, აგრონომებს, ვეტექიმებს, ინჟინრებს, ეკონომისტებს, ფიზიკოსებს, მათემატიკოსებს, გეოგრაფ-გეოლოგებს, ქიმიკოსებს, კიბერნეტიკოსებს და სხვათა და სხვათა. მეტსაც გეტყვით, ქართული ლიტერატურა არ ისწავლება თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. რად მინდა ინგლისურისა და გერმანულის ისეთი ქართველი სპეციალისტი,

შოთა, გალაკტიონი, ვაჟა ან დიდგორის ომი, თუ კრწანისის ტრაგედია რომ არ ეცოდინება?

ჩვენ საამაყო ახალგაზრდობა გვყავს. მათში ჯერ კიდევ ძალუმად ფეთქავს ეროვნული ნერვი. ამას წინათ გელათის მახლობლად ამგვარ სურათს წავაწყდი: თბილისის ერთ-ერთი მუსიკალური სკოლის პედაგოგმა თავისი ექვსი წლის ვაჟი ნაქირავებ ცხენზე შესვა და ცხენს მათრახი შემოჰკრა. შიშისაგან გული ამიფრთხიალდა. ცხენი ასიოდე მეტრზე გაძუნძულდა და გაჩერდა მხოლოდ მაშინ, როცა პატარა, გამოუცდელმა მხედარმა თავი ვერ შეიკავა და გადმოვარდა, ბავშვი ბალახზე ეგდო და გულამოსკვნილი ტიროდა. ყველაზე წინ დედამ მიირბინა, თქვენ როგორ ფიქრობთ: თავის პირმშოს მოეფერა, დაუყვავა, ხომ არაფერი იტკინეო, და ცხენს გამოარიდა? თქვენც არ მომიკვდეთ; დატუქსა, თითქოს ძალით გააჩუმა გულამოსკვნით მტირალი ბიჭი, ისევ ცხენზე შესვა და თანაც მკაცრად გააფრთხილა – არ გადმოვარდე, თორემ გაილახებიო.

სულით-ხორცამდე შემძრა ამ სანახაობამ. გულში სიამაყის სითბო ჩამეღვარა. ქალბატონის საქციელში იმ ქართველი დედის გენი დავლანდე, ცხრა შვილი რომ მოუკლეს და დროშას მოკლულიდან ცოცხალს რომ გადასცემდა – ნუ გეშინიათ, არ შედრკეთ, მიდი, გასწითო! ასეთ ნიუანსებშიც მჟღავნდება ჩვენი ეროვნული ხასიათი.

დაბოლოს, ახალგაზრდებთან ჩვენი დამოკიდებულების კიდევ ერთ ნაკლოვანებასაც უნდა შევეხო. ეტყობა, ეპოქამ მოიტანა, ან შეცდომით იფიქრა ზოგიერთმა, რომ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი გეგმაზომიერია და საერთო საკავშირო მძლავრ რიტმს ემორჩილება, პირადი ინიციატივისთვის ადგილი აღარ რჩება, ან ერთეულთა „გამოხტომა“ დონკიხოტობად მიიჩნევაო. ჩვენ ნელ-ნელა ვიქეცით აღმსრულებლად, მწყობრში ჩამდგარ მოქალაქეებად. განსაკუთრებით ტექნიკურ ინტელიგენციაში სანთლით საძებარია დღეს კაცი, რომელსაც საზოგადო მოღვაწეს დაუძახებდით. არ გამიგოთ ისე, თითქოს ისინი საერთოდ არ არიან, ასეთ შემთხვევაში ცხოვრება ძალიან გაჭირდება, არიან, მაგრამ ცოტანი.

საზოგადო მოღვაწის საამაყო ტიტული ნელ-ნელა ქრება და ფერმკრთალდება ჩვენს ცხოვრებაში. ადამიანთა დიდი უმეტესრობის საქმიანობას ორი ტრივიალური პრინციპი განაგებს – „ვიცხოვრო ისე, რომ დანაშაული არ ჩავიდინო“, „როგორმე მოვიგვარო ცხოვრება“.

მე ვიცნობ კაცებს, შიშითა და გაოცებით რომ შეჰყურებენ იმ თითოოროლა „საზოგადოებისთვის შეწირულ პიროვნებებს“, თავიანთ მთავარ ამოცანად ერისა და სახელმწიფოს სამსახური რომ მიუჩნევიათ.

დიახ, ერს სწორედ საზოგადო მოღვაწენი სჭირდება. ერის წინსვლას და აყვავებას სწორედ ისინი უდგანან დარაჯად, ისინი რეკავენ ერის გამოღვიძებისა და ჯანსაღი კლიმატის დამკვიდრების ზარებს.

ჩვენს ახალგაზრდებში მრავლად არიან საზოგადო მოღვაწის დიდებული უნარით დაჯილდოებულნი. საზოგადო მოღვაწეებად მივიჩნევ მე

ანზორ დვალიშვილს და მის ბრიგადას, აგერ თითქმის ათი წელია ციმბირის ტაიგას რომ ებრძვის და „ნია-გრუზინსკაიას“ ტრიბუნიდან ქართველი კაცის სიმარჯვეს რომ უჩვენებს ქვეყანას, საზოგადო მოღვაწედ ვთვლი შუქრი აბაკელიას, პირველი რომ შედის ენგურჰესის გვირაბის შავ ხახაში და შრომის სასწაულებს ახდენს. საზოგადო მოღვაწეა ამირან გოგოლაძე, საკუთარი სახსრებით სრულიად უანგაროდ და უსასყიდლოდ ბაკურიანში უპატრონოდ მიგდებულ ხუთ ჰექტარზე მშვენიერი საბავშვო პარკი რომ გააშენა. ჩამოთვლა, რასაკვირველია, შორს ნაგვიყვანდა.

და მაინც, მე მგონია, ჩვენ სათანადოდ ვერ ვახერხებთ ახალგაზრდა კაცის სულის მობილიზებას საქვეყნო საქმეების საკეთებლად, ნაკლებად ვცილობთ ცხოვრებაში ახალმოსულს საზოგადო მოღვაწის თვისებები გამოვუმუშავოთ. ვასწავლოთ, როგორ მიხედონ, როგორ უპატრონონ თავიანთ ხალხს და ქვეყანას ჩვენს შემდგომ მოსულთა. უკვდავ საზოგადო მოღვაწეთა ღვაწლის შეხსენება ამ მიმართულებით ჩასატარებელი სამუშაოს მხოლოდ ერთი ნაწილია, მეორე მხარეა ყოველმხრივ გამოვავლინოთ და წავახალისოთ სწორედ ისინი, ვისაც საზოგადო მოღვაწის უნარი მიჰმადლა ბუნებამ. აქ კი წამდაუწუმ ვუშვებთ შეცდომებს:ეუღირსისა და უნიჭოს ხელდასხმით და ნიჭიერისა და უანგაროს ჩრდილში მიტოვებით ჩვენ იმ უვიცი მევენახის ცოდვას ჩავდივართ, სამამულე რქას რომ სჭრის და უჯიშოსა და უნაყოფოს სტოვებს.

ვისაც ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი სწამს და სჯერა, ახალგაზრდობისთვის ზრუნვა უმთავრეს ამოცანად უნდა გაიხადოს, რადგანაც ხვალის ახალ, მართალ, ღონიერ ქვეყანას მისი შესაფერისი მოქალაქეები დასჭირდება.

როცა სტუმარი ღვთისაა

როგორია ჩვენი საქართველო სტუმრის თვალში? იქნებ ახირებულ კითხვადაც მოგეჩვენოთ, რადგანაც ჯერ ერთი, სტუმარს გააჩნია – კეთილმოსურნე სტუმარი, როგორც ეს სტუმრის წესია, უპირატესად კარგს ხედავს და ნაკლზე დიდსულოვნად დუმს. ავი თვალით მზირალი მზესაც ვერ ამჩნევს და ნაკლოვან მხარეებზეა გამეცადინებული, მაგრამ რადგანაც საქართველოს გზებზე სხვადასხვა ჯურისა და მისიის სტუმარი ირევა (და მათი რიცხვი თანდათანობით იზრდება), ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოზე საზღვარგარეთ დარხეულ ხმებს ყური მივაპყროთ და ავწონ-დავწონოთ ისე, როგორც თავისი ქვეყნის კარგი სახელით დაინტერესებულ კაცს შეშვენის. მე შემიძლია ახლა მიზეზით გაამაყებული მწერლის იერი მივიღო და თქვენ წინაშე დავაყენო ლამაზი ციტატების კორიანტელი. ამოვწერო ადგილები მეცნიერთა თუ მოგზაურთა, სახელოვან და უსახელო სტუმართა აღფრთოვანებული წერილებიდან, სიტყვებიდან, ინტერვიუებიდან, საიდანაც ადვილად დარწმუნდებით, რაოდენ მოხიბლულია სტუმარი, როგორ უმძიმს მას საქართველოდან გამგზავრება, რომ ამგვარი ბუნება და მით უმეტეს, ხალხი არსად შეხვედრია და გერმანელი, ან ინგლისელი რომ არ იყოს, ქართველად სიკვდილს აირჩევდა. აქვს, როგორ არა აქვს ამ მოწონებას საფუძველი: ხშირად იგი ჩვენი ერის ტრადიციების საბუთიან ცოდნაზე და ობიექტურ დაკვირვებაზეა დამყარებული, იშვიათად კი შეზარხოშებული სტუმრის ანგარიშმიუცემელი პანეგირიკია. მაგრამ ამ შემთხვევაში, მე ჩვენს სადიდებლად ნათქვამ არც ერთ ციტატას არ მოვიშველიებ არ მინდა დავემსგავსო აღტყინებულ თამადას, ეროვნული სიამაყის ნერვზე ისე არხეინად რომ ათამაშებს თითებს, როგორც ღვინით სავსე ყანწზე. არც ჩვენი სინამდვილის განმაქიქებელ ადგილებს ამოვწერ საზღვარგარეთის პრესაში უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული წერილებიდან. თუ ამ წერილების მცირე ნაწილი მოყვრულად მოსული კაცის რჩევაა, მეტი წილი უმადური სტუმრის ამრეზილი თვალებითაა დანახული და საკამათოდაც არ ღირს. ჩვენ გულზე მოგვხვდა, ამას წინათ საარბრიუკენის მოქალაქემ, ჟურნალისტმა ქალმა სწორედ ის რომ დაგვიწუნა, რისთვისაც ათასი დიუმა და ათასი არტურ ლაისტი მოწონების ხელს გვირტყამდნენ მხარზე, – ქართული სუფრის ადათი. თურმე ნუ იტყვით, ქართველები სუფრაზე გენიოსებად აცხადებენ ერთმანეთს და მათი უთავბოლო, საათობით გაგრძელებული ღრეობა განსაკუთრებით ჩამოსული კაცის ჯანრთელობისათვის ყოფილა მავნებელი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საქმეში ჩაუხედავი სტუმრის მონაჩმახია, რომ კარგად სცოდნოდა ამ ქალს, ვინა ვართ ჩვენ, რომ ქართულ ნადიმს მარტო კუჭის ამოყორვის ფუნქცია არ გააჩნია და ისტორიულად იგი ადამიანთა თავშეყრის, ურთიერთობის გარკვევის და ხშირად სახელმწიფო საქმეთა მოგვარების ასპარეზი იყო, რა თქმა უნდა, ასე არ იტყოდა. ერთი სუფრის ანომალიას მთელ ქართულ პურობაზე არ განაზოგადებდა. მე მაინც იმის მომხრე ვარ, რომ ჩვენ, ქართველებმა, ასეთ შემთხვევაში, ოქროს ზომიერება დავიცვათ, სტუმრის არც მოჭარბებული ქათინაური მივიღოთ ბაჯაღლო ოქროდ და არც უსაფუძვლო განქიქებამ შეგვაძრწუნოს.

რომ იტყვიან, ავ თვალს არ დაენახვებაო ჩვენი სამშობლო. მოყვრულად მოსული კაცი არ შეიძვლება არ გაახაროს ჩვენი გარჯისა და რუდუნების ნაყოფმა – თბილისურმა ცათამბჯენებმა, ენგურჰესის კაშხალმა, ბარაქიანმა ზვრებმა და ყანებმა. მედლის მისახატი ადგილი აღარ რჩება ჩვენი მზეჩაწურული ღვინოების ეტიკეტებზე. ვინ არ მოუხიბლავს კოლხური მიწის დიდებას – ჩვენს ჩაისა და ციტრუსებს, რას აღარ აკეთებს ქართველი მუშის მარჯვენა – საათის პაწაწკინტელა ქვით – „აქატით“ დაწყებული, ავტომანქანებითა და უმძლავრესი აგრეგატებით დამთავრებული.

ჩვენი ცხოვრების წესსა და ადათ-ჩვეულებებზე უამრავი წერილი იწერება საზღვარგარეთის პრესაში. ამბობენ, რომ კავკასიის მთების

ძირში მცხოვრები ამ მცირერიცხოვანი ერის საყოფაცხოვრებო და ეთნიკური კულტურა სამაგალითო და მისაბაძია თვით ევროპის მოწინავე ხალხებისთვისაც. ხაზს უსვამენ ჩვენს სტუმართმოყვარულ ტრადიციებს. იციან, რომ ქართველი კაცი პერანგს გაიხდის, ოღონდ სტუმარს ღირსეულად დახვდეს. არაერთხელ აღუნიშნავთ, თუ რა წმიდათაწმიდაა ჩვენთვის მამულისა და მშობლიური ენის სიყვარული, რა სათუთად ვინახავთ ღირსეულ წინაპართა სახელებს, რა ძვირფასია ქართველი კაცისთვის ოჯახის სიწმინდის, ქალის დაფასებისა და პატივისცემის, მეგობრისთვის თავდადების, ზნეობრივი სისპეტაკის მაღალი იდეალები. კონსტანტინე გამსახურდიას დასაფლავების დღეს ერთმა ბელგიელმა სტუმარმა მითხრა: მე არსად მინახავს და არც გამიგონია, რომ მწერლის დასაფლავებაზე ამდენი ხალხი მოსულიყოს. ერი, რომელიც ასე აფასებს თავის გამორჩეულ შემოქმედს, მაღალი კულტურისა და პოეტური ბუნების ერიაო.

ყველა თქვენგანს უნახავს სოფლად დარბაისელ ქართველ მოხუცთან ჩამუხლული ფოტოაპარატიანი უცხოელი – გაოცებული ამ მოხუცის შინაგანი კულტურით, სიტყვა-პასუხით, სიბრძნითა და იუმორით. ქართული სიმღერის მადლი და ფასი რა კარგად იციან უცხოეთში. ჩვენმა პოლიფონიურმა სიმღერებმა და ხალხურმა ცეკვებმა ლამის მთელი მსოფლიო დაიპყროს. ამას წინათ იტალიაში გახლდით ტურისტად. ოცდაათკაციან ჯგუფში სამიოდე ქართველი ვერიეთ. ვენეციაში ტურისტებმა სიმღერა წამოიწყეს. იტალიელმა გიდმა ჯერ ყურადღებით უსმინა მათ, მერე ტუჩზე მიიფარა ხელი და ხმადაბლა გამოაცხადა, ბოდიშს ვიხდი, აქ იტალიაში სიმღერის კულტია, თქვენ, რა თქმა უნდა, ურიგოდ არ მღერით, მაგრამ ჯგუფში ქართველები თუ არიან, თუ შეიძლება, მარტო ქართველებმა იმღერონო. სადღაც მიკროფონი გაჩნდა და გავწირეთ თავი. ქართული ჰანგების წყალობით იყო და არა ჩვენი უხეირო სიმღერით, რომ ჩვენ ირგვლივ რამდენიმე წუთში ასამდე მოქალაქე გაჩნდა. გვეკითხებოდნენ: როდის ჩამოხვედით, აფიშები რატომ არ ჩანს, ბილეთები სად უნდა შევიძინოთ და, საერთოდ, რამდენი კონცერტის გამართვას აპირებთო. ეჭვით გვიყურებდნენ, როცა ავუხსენით, რომ ჩვენ უბრალო ტურისტები ვიყავით და ცოდვილებმა ეს ორიოდე სიმღერა ვენეციის ქუჩებს მივუძღვენით.

ახლა რუსთაველი? ჩვენი უპირველესი თავმოსაწონებელი, ჩვენი ეროვნული პასპორტი. ქართული გონების ყველაზე სრული და უზადო ელვარება. ამას წინათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთმა პროფესორმა სხვათა შორის მკითხა – თქვენ, ქართველებს, თუ გყავთ ან თუ გყავდათ მსოფლიო სახელის მქონე მწერალიო. მე ვუპასუხე: უკანასკნელ საუკუნეებზე არას გეტყვით, მაშინ, როდესაც ამერიკელი ერი ოცნებაშიც კი არ არსებობდა, ხოლო იმ ადგილას, სადაც ახლა თქვენ ცხოვრობთ, მომთაბარე ინდიელები კაჟიან იარაღს არ გაშორებოდნენ და

ცეცხლის გაჩენას ეს-ესაა სწავლობდნენ, საქართველოში ცხოვრობდა მსოფლიოს უდიდესი პოეტი, რომელსაც ყველა დროის უმაღლეს ლიტერატურულ მწვერვალთა შორის ასახელებენ-მეთქი. ვინ არისო, გაოცებისაგან პირი დააღო. შოთა რუსთაველი და მისი უკვდავი ქმნილება რომ დავუსახელე, ეჭვით შემომხედა. უნივერსიტეტის პროფესორს რუსთაველი გაგონილიც არა ჰქონდა. იღბლად თან მქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ვენერა ურუშაძისეული თარგმანი და ვაჩუქე. სამი დღის შემდეგ ხსენებულმა პროფესორმა თვით მომძებნა ნიუ-იორკში, ხელი ღონივრად ჩამომართვა და მითხრა: „თქვენ, ქართველები „ვეფხისტყაოსნის“ სახით მართლაც რომ აუწონავი განძის მფლობელნი ყოფილხართ. სამი ღამეა არ მძინავს, ასე მგონია, ჩემთვის ცის ბჭენი გაიხსნა. სწორუპოვარ სიბრძნეს ვეზიარე. არად ვთვლი იმ წლებს, რაც ურუსთაველოდ გამიტარებია. იცოდეთ, დღეიდან მთელ ჩემს ენერგიას „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზებას მოვახმარ“. აი, ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა სულიერი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია რვაასი წლის შოთა რუსთაველს თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ მოქალაქეზე და განა ეს მაგალითი გამონაკლისია? ევროპისა და აზიის უძველეს უნივერსიტეტებში ქართულ ენას – ამ სამნახევარმილიონიანი ერის, ტერიტორიულად მცირეზე მცირე ქვეყნის სახელმწიფო ენას სპეციალურად სწავლობენ, რათა „ვეფხისტყაოსანი“ დედანში წაიკითხონ.

ახლახან თბილისში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების შესწავლისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე ერთმა უცხოელმა მეცნიერმა თავისი მოხსენება ასე დაიწყო: ჩემი ნება რომ იყოს, ვარძიას მსოფლიოს ერთერთ საოცრებად გამოვაცხადებდიო. თუ გადაფურცლავთ დედამიწის კულტურულ ცენტრებში თუნდაც ყველაზე ძუნწად შედგენილ ალბომებს გამორჩეული ისტორიული ძეგლებისას, უსათუოდ მოჰკრავთ თვალს სვეტიცხოველს, ხერთვისს, ალავერდს, გელათს, ჯვარს, ნიკორწმინდას, ბაგრატის ტაძარს... აოცებს მსოფლიოს ამ ძეგლების არა მარტო ხუროთმოძღვრული ღირსებანი, არამედ მათი მდებარეობაც. თუ სხვაგან ეკლესია-მონასტრები საგანგებოდ დაბლობ ადგილასაა გაშენებული, ჩვენში – პირიქით, თითქოსდა ღმერთთან უფრო ახლოს, ულამაზეს ბორცვებზეა შეფენილი. თითქოსდა ერთმა გენიოსმა არქიტექტორმა დააპროექტა ეს სხვადასხვა საუკუნეში აშენებული ციხე-მონასტრები ერთიან, განუმეორებელ ანსამბლად. სხვაგან ვერსად იხილავთ აგრეთვე, რომ ღვთის სახლი ამავე დროს სტრატეგიული დანიშნულების სათვალთვალო პუნქტიც იყოს და მტრისაგან თავდასაცავი ციხე-სიმაგრეც. ეს მარტო საქართველოშია და უკვირს ჩამოსულ კაცს, როდის, რა ხელებმა, რა ეროვნულმა ცეცხლმა და ენერგიამ შექმნა ეს უთვალავი ვარსკვლავი ჩვენი ისტორიული დიდებისა.

არაერთ უცხოელ სტუმართან ერთად მომივლია საქართველოს სხვადასხვა კუთხე. მიმასსპინძლია სახელგანთქმული ევროპელი და

ამერიკელი მწერლებისთვის და უნივერსიტეტში სამეცნიერო მივლინებით ჩამოსული კოლეგებისთვისაც გამიწევია მეგზურობა ჩვენი ქვეყნის გზებსა და ბილიკებზე. ამიტომაც ახლა მოგეხსენებათ იმის შესახებ, რაც სტუმარს ტაქტითა და რიდით შეუნიშნავს, ან უსიტყვოდ, მრავალმნიშვნელოვნად განზე გაუხედავს და მე მივმხვდარვარ, რომ ყველაფერი ისე ვერ იყო, როგორც მსურდა.

დავიწყებ იმით, რითაც უპირველეს ყოვლისა, მოგვაქვს თავი – რუსთაველითა და მისი „ვეფხისტყაოსნით“. საქართველოში ჩამომსვლელმა უცხოელმა სტუმარმა იცის, რომ იგი რუსთაველის ქვეყანაში მოემგზავრება. მისთვის რუსთაველი საქართველოს ემბლემაა, ისე როგორც ჰომეროსი – საბერძნეთის, დანტე ალიგიერი – იტალიის, ნაპოლეონი – საფრანგეთისა და ა. შ. მე ვყოფილვარ საბერძნეთში, იტალიასა და საფრანგეთშიც და საკუთარი თვალით მინახავს, როგორ იგრძნობა თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ჰომეროსის, დანტე ალიგიერის, ან ნაპოლეონის ქვეყანაში ხარ. თავი რომ დავანებოთ ბუკლეტებს, ალბომებს და გამოსახულებებს სუვენირებზე, სპეციალური მაღაზიებია, სადაც მხოლოდ ერის იმ დიდი შვილის წიგნები იყიდება მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. ჩვენში? რუსთაველის ქვეყანაში ჩამოდის კაცი და მთელი რესპუბლიკა რომ დაიაროს, „ვეფხისტყაოსანს“ ვერსად შეიძენს. რუსთაველის პორტრეტსაც ვერ იშოვის კოხტად, სუვენირად გაკეთებულს. რაღა უცხოელი შევაწუხო. რამდენ ქართულ ოჯახში არ მოიძევება ეს ჩვენი უპირველესი წიგნი? განა მოსათმენია, რომ საროტაციო მანქანებისა და ბეჭდვის არნახული ტექნიკის საუკუნეში (როცა ათასი საორდღისო წიგნი და მაკულატურა ისტამბება) საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“ სანთლით საძებნელი იყოს?

საქართველო თავისი ისტორიული ძეგლებით ერთი დიდი მუზეუმია ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი და ამოუცნობი. როგორ გვაქვს ჩვენი მატერიალური კულტურის ამ დიდებულ ნიშანსვეტთა მოვლა-პატრონობის საქმე დაყენებული? ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად. მართალია, ამ უკანასკნელ წლებში სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა, მაგრამ ყოველივე, რაც კეთდება, ჯერ კიდევ ზღვაში წვეთია. ინდოეთში ვიმოგზაურე ამას წინათ: არა მარტო ტაჯმაჰალში, პატარა ბუდისტურ სალოცავებშიც კი არ გვიშვებდნენ ფეხზე გაუხდელად. მართალია, ტაძარში ფეხშიშველა შესვლის ტრადიცია იქ რელიგიურმა მოსაზრებამ განაპირობა, მაგრამ ამ ტრადიციამ დაიცვა სწორედ საუკუნეებისაგან ინდოეთისა თუ ეგვიპტის სახელგანთქმულ ძეგლთა იატაკის ზღაპრული მოზაიკა, გუშინდელი დაგებულივით რომ ბრწყინავს. ევროპისა და ამერიკის მუზეუმ-მონასტრებში შესვლისას კი ფეხსამოსზე გარედან ჩამოსაცმელ თექის ფაჩუჩებს გვთავაზობენ. ფაჩუჩები ალბათ დიდი ფუფუნება იქნებოდა ჩვენი ძეგლების დამთვალიერებლისთვის, რადგან ათასწლოვან ბევრ ეკლესიას დღემდე ღობეც ვერ შემოვავლეთ და კარიც ვერ დავკიდეთ, რომ თხასაქონლის და მღამიობების სათარეშოდ არ ქცეულიყო. აქ დიდზე დიდი სიფრთხილეა საჭირო. რესტავრაცია დამკვრელური ტემპით ყოვლად დაუშვებელია. მხოლოდ გამოცდილ ხელოვანთ უნდა მივანდოთ ეს საშვილიშვილო საქმე.

წუნს ვერ დასდებ სტუმარ-მასპინძლობის ჩვენეულ ადათს. ქართველი კაცი ყოველივეს იღონებს, რათა სტუმარი ლაღი და მცინარი სტოვებდეს მისი სახლის ბანს, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ; ყოველთვის როდი ახლავს ჩვენს მასპინძლობას ოქროს ზომიერება. რამდენი სტუმარი მიდის ჩვენგან ისე, რომ ახლომახლო ყველა რესტორანი „დავათვალიერებინეთ“, ხოლო ფიროსმანის გამოფენა, სვეტიცხოველი და საისტორიო მუზეუმი „მხედველობიდან გამოგვრჩა“. მიემგზავრება სტუმარი გაუნელებელი შთაბეჭდილებებით ქართული სუფრის ბარაქაზე და აბსოლუტურად არარეალური მითით ამ რესპუბლიკაში მცხოვრებთა განსაკუთრებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. ევროპაში ჩასულ სტუმარს ყოველი წუთი დაგეგმილი აქვს. სულერთია, ოფიციალურ ვიზიტად ხარ ჩასული, თუ მეგობრის მოსანახულებლად. მასპინძელი წინასწარ გაძლევს განრიგს ხელში, რათა ზუსტად იცოდე, როდის სად წახვალ და რას გააკეთებ. ერთ ჩვენს პროვინციულ ქალაქში ამას წინათ ნაცნობ გერმანელს შევხვდი. კმაყოფილი თუ ხართ თქვენი ვიზიტით-მეთქი, ვკითხე, კმაყოფილი კი არა, უბედნიერესი კაცი ვარ, ჩემს ცხოვრებაში ასე ამაღლებულად და დაფასებულად არასოდეს მიგრძვნია თავი, რომ იტყვიან, ხელის გულზე მატარებენ, მაგრამ ერთი უცნაური წესი აქვთ – არასოდეს მაფრთხილებენ, დილით რომელ საათზე უნდა მომაკითხონ, ამიტომაც ექვს საათზე ვიღვიძებ და გამოწყობილი ფანჯარასთან ვდგავარო. ვიცი, როცა იკითხავდა იგი, დილით რომელ საათზე ვიყო მზადო, შეზარხოშებული მასპინძლები ხელგაშლით ეტყოდნენ – როგორ გეკადრებათ ბატონო, სტუმარს საათს როგორ დაგინიშნავთ! მოისვენეთ და რომელზეც თქვენ გაგეხარდებათ, იმ საათზე გაიღვიძეთო. თუნდაც ყველაზე შელამაზებულ თარგმანშიც კი ვერაფრით მიხვდებოდა, გერმანელი მასპინძელთა გადაჭარბებულ მოკრძალებას, რადგანაც იგი დროისადმი ცოტა სხვაგვარი დამოკიდებულების ტრადიციებზეა გაზრდილი. მაპატიოს, მაგრამ ხმამაღლა უნდა ვუთხრა ყველას, ვისაც უცხოელი კაცის მასპინძლობისას სუფრის კულტი ფეტიშად გაუხდია. არა და არა, სუფრა არ არის მთავარი; მთავარია, რაც შეიძლება, ბევრი რომ ვაჩვენოთ, ვუამბოთ ჩვენს წარსულსა და დღევანდელობაზე, გავაცნოთ ჩვენი ფლორა და ფაუნა, ვაზიაროთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის ბრწყინვალებას. ამას წინათ, ერთი თურქი მეცნიერი ჩავისვი მანქანაში და მცხეთის გზას რომ დავადექი, ტუჩებგაფითრებულმა, ცრემლმორევით მითხრა: თუ კაცი ხარ ჯვრის მონასტერზე არ ამიყვანო, ოთხ სხვადასხვა მასპინძელს შევხვდი უკვე და ოთხივემ ჯვრისაკენ გამაქანა; ჯვარს კიდევ ერთხელ (თქვენი ხათრით)

სიამოვნებით დავათვალიერებდი, მაგრამ იქაური მომსახურე პერსონალისა მრცხვენია – უკვე ხელაწევით მესალმებიან და ალბათ ფიქრობენ, თანამდებობას გვეცილება, თორემ რა ძალა ადგას ყოველდილით დაუგვიანებლად რომ ცხადდებაო. კიდევ კარგი, რომ გამაფრთხილა, თორემ სულო ციდვილო, მეც ჯვარზე აყვანას და მერე მახლობელი რესტორნისკენ „გატყუებას“ ვუპირებდი.

ერთი ინგლისელი მწერალი ამას წინათ იმერეთში ვაწვიე ჩემს ნათესავს. მასპინძელი ყიჟინით გადაგვეხვია, წამის მეათედში შეტრიალდა, დანა იშიშვლა და ეზოში მოკუნტრუშე ფრთოსან-ჩლიქოსნებს გამოენთო. თავი წააგდებინა ქათამს, ბატს, ინდაურს, თიკანს რომ გამოღადრა ყელი, ვიკადრეთ დადევნება და ჩხუბითა და მუქარით გამოვგლიჯეთ ხბო ხელიდან. შეშინებული ჰყვებოდა ინგლისელი სტუმარი მერე ამ ამბავს. მე ვენაცვალე იმ ჩემი ბიძაშვილის გულს და ხასიათს, ღმერთმა ნუ მოაკლოს ჩიტის რძე ოჯახში, მაგრამ ჩვენთვის – ორი კაცისთვის იყო მაშინ ამხელა მსხვერპლი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) საჭირო?

შარშანწინ ინგლისში ყოფნისას სიმპოზიუმის მონაწილეთათვის შესვენების დროს ბლიც-კონკურსი გამოაცხადეს. უნდა გეთქვა ერთი ანეკდოტი, რომელიც, რა თქმა უნდა, ახალი იქნებოდა და ერის ხასიათისა და მაღალი იუმორის გამომხატველიც. ყველამ თავისი თქვა და მე ასეთი ანეკდოტი მოვყევი: „კაცი ბაზარში კაკალს ჰყიდდა. საკვირველი ის იყო, რომ იქვე ყიდულობდა კილოგრამს თუმნად და თუმნადვე ჰყიდდა, ჰკითხეს: ვანო, კაპიკს არ იგებ და ამ სიცხეში თავს რატომ იკლავო? – ძმებო, მე ფული კი არ მაინტერესებს, კაკლის ჩხრიალი მიყვარსო, – მიუგო ვანომ“. ვერ წარმოიდგენთ, რა ხარხარი გაისმა დარბაზში და ჟიურიმ ერთხმად მომაკუთვნა პირველი პრემია. თანაც გამოაცხადეს, რომ ეს ანეკდოტი მართლაც ყველაზე კარგად ახასიათებდა ქართველი ხალხის რომანტიკულ, პოეტურ სულს და არამომხვეჭელურ ბუნებას. პრემიაზე უარი არ მითქვამს, მაგრამ სასტუმროში დაბრუნებულს ყურები მიწითლდებოდა, როცა გავიხსენებდი, რა ცოტა დარჩა ახლა ჩვენს ბაზრებში უბრალოდ „კაკლის ჩხრიალის“ მოყვარული და ამ ხილის ქვეყანაში ლამის გაუთანაბრდეს ვაშლის ფასი კამჩატკის ბაზარზე გამოტანილ ვაშლის ფასს.

თითქოსდა წვრილმანია, მაგ ჩვენ საკმაოზე უფრო ხმამაღლა მოლაპარაკე ხალხი ვართ. წისქვილში გეგონება თავი, ისე ხმამაღლა ვლაპარაკობთ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რესტორანში, ქუჩაშიც კი. ერთი ფერგალეული ვიეტნამელი ასპირანტი გვყვადა ნგუენ ნგიან ჩონგი. შემკრთალი იცქირებოდა აქეთ-იქით, ქალაქში რომ გავიდოდით. მიზეზი ვკითხე – თქვენთან ისე ხმამაღლა ლაპარაკობენ, მგონია, ჩხუბს იწყებენ და ამიტომ ვნერვიულობო. იშვიათად ვახსენებთ ხოლმე ერთმანეთს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხმამაღლა ლაპარაკი, რბილად რომ ვთქვათ, უტაქტობაა.

ევროპის ბევრ რესტორანში ფრაკისა, ან კოსტუმ-ჰალსტუხის გარეშე არ შეგიშვებენ. ეს ფაქტიც ხომ არაფერს ეტყვის ფეშენებელურ ქართულ რესტორანში „შილიფად“ შესულ ჩვენს ძმას, მკერდის გაღეღვას ვინ ჩივის, ქამარსაც რომ შეითავისუფლებს ხანდახან ღვინის სმის დოზის შესაბამისად? ათასჯერ დაიწერა იმაზე, რომ რესტორანში კაცი ძირითადად დასანაყრებლად, სასაუბროდ, დასასვენებლად შედის და არავითარი საჭირო არაა იაფფასიანი ავად მოჟღრიალე, კაკაფონიური ორკესტრები საყვირით ყურებს რომ გამოგიჭედავს და დოლით ზედ გულის კოვზზე რომ გიბრაგუნებს. დაიწერა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. საქართველოში ახლა თითქმის არ არის რესტორანი, სადაც შეიძლება საღამოს შეხვიდე და ნერვებდაწყნარებულად, უმუსიკოდ ივახშმო კაცმა.

დღითი დღე კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი გზები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ისეთი, საჭაპანო გზატკეცილზე გასულს სტუმრის თვალში რომ გაგაწითლებს: მხედველობაში მაქვს გზისპირას ჩამწკრივებული უგეგმოდ და უგემოვნოდ აშენებული გრანდიოზულ-კიბეებიანი და თუნუქისმამლებიანი სახლები, თავისუფალნი ეროვნული არქიტექტურის ნიშანწყლებისაგან, მხედველობაში მაქვს გზაზე გამდგარი, ხელგამოწვდილი ქორვაჭრები, ორ ცალ ატამს მამასისხლად რომ ჰყიდიან და მხედველობაში მაქვს ისიც, თქმა რომ საშინლად მეუხერხულება – ჩვენი გზისპირების ანტისანიტარია. ამ შემთხვევაში გარეგნულ ზიზილ-პიპილოს გამოკიდებული ჩვენი რაიონების ზოგი მესვეური იმ ყვავის მდგომარეობაში ვარდება, ნისკარტი ნეხვში რომ ედო და ბოლოს მაღლა იწევდა, არ დამესვაროსო.

სხვადასხვა მიზეზის გამო, რაც დრო გადის, ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში რიგი ხშირდება. რიგია სანახაობათა თუ ტრანსპორტის ბილეთების შესაძენად. რიგი დგას ზოგიერთი სამრეწველო თუ სამეურნეო პროდუქტის შესაძენად. სამწუხაროდ, რიგი დიდ დროს იკავებს ჩვენს ყოველდღიურობაში და ჩვენი ცხოვრების წესის ნაწილი ხდება. როგორია ჩვენში რიგის კულტურა? პირდაპირ რომ ვთქვათ – პაპუასური. რიგის რკინის კანონს ხშირად არც გამყიდველი იცავს და არც მომხმარებელი. წვრილმანია? რიგიდან ნერვებმოშლილი და გულგახეთქილი შინ რომ მოვბრუნდებით, მაშინ დავეკითხოთ ჩვენს თავს – წვრილმანია თუ არა.

სტუმარი ღვთისააო, – უთქვამს ჩვენს წინაპარს, მაგრამ ერთი არაკისა არ იყოს; კეთილი ნების სტუმრებში ზოგჯერ იმ დათვის მსგავსიც გამოერევა, სხვა დათვს რომ ეპატიჟებოდა სხვის ვენახში. ამიტომაც, ჩვენებურო კაცო, ეზოსმომდგარი უცხოელის დანახვისას სიხარულის ტაშს რომ შემოჰკრავ, ოქროს ზომიერების ნაცადი გაკვეთილიც არ დაგავიწყდეს.

როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი

სტუდენტობისას გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში პრაქტიკას გავდიოდი. ერთ, საკმაოდ დიდ ქარხანაში გამგზავნეს, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების ანგარიში უნდა დამეწერა. თავის დროზე გამოვცხადდი და დირექტორს ვეახელ. ქარხნის დირექტორი ახლადდანიშნული, ოცდაათიოდე წლის კაცი იყო. კომკავშირულ სამუშაოზე თავი გამოეჩინა და, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, დირექტორად დაეწინაურებინათ. შევატყვე, ეამა რედაქციის გადაწყვეტილება, ცოტა საყვედურიც მითხრა, ადრე რომ გაგეფრთხილებინეთ, კარგ კრებას მოვამზადებდიო. ჩვენ სწორედ რომ ჩვეულებრივი კრება გვაინტერესებს-მეთქი, – დავამშვიდე. კრება რომ დაიწყო და თავმჯდომარედ დირექტორი დაასახელეს, ცოტა არ იყოს გამიკვირდა, მაგრამ თავისი საქმისა თვით უკეთ ეცოდინებათ-მეთქი და კუთხეში მიმჯდარმა უბის წიგნაკი მოვიმარჯვე.

კრება, მართლაც, რომ „ჩვეულებრივად“ მიმდინარეობდა. წინასწარ გაფრთხილებული ადგილკომის თავმჯდომარე და საამქროს გამგეები ლაპარაკობდნენ იმ დიდ შრომით ენთუზიაზმზე, რაც მათ საწარმოში გაჩაღდა ძველის წასვლისა და ახალი დირექტორის მოსვლის შემდეგ. ლაპარაკობდნენ ახლის დიდ ორგანიზატორულ უნარზე და სანიმუშო პირად თვისებებზე. ბოლოს, რასაკვირველია, გეგმის შესრულების პროცენტებსაც ჩაურთავდნენ და ტაშის გრიალში ტოვებდნენ ტრიბუნას. შემაკრთო იმ კრების საზეიმო, ლოზუნგურმა ელფერმა. კიდევ უფრო იმან დამაღონა, რომ ახალგაზრდა დირექტორი თავმჯდომარის სკამზე იჯდა და მის მიმართ აღვლენილ ქების ნიაღვარს ღიმილითა და თავის კანტურით ხვდებოდა. ვიფიქრე, შეიძლება ყველაფერი სწორია, შეიძლება მართლაც სანიმუშოა ეს ახლადგამომცხვარი დირექტორი, მაგრამ, ან ჯერ ასე კარგად ვინ მოასწრო მისი „განსაკუთრებული ღონისძიებების“ შესწავლა, ან თვით რატომ აძლევს უფლებას საწარმოში გუშინ მოსული კაცი ხელქვეითებს ამ საქმიანი კრების ოქროს წუთები მის მიმართ შეთხზულ სადღეგრძელოებისა და დითირამბების მეჯლისად გადააქციოს-მეთქი.

ამ გარემოებისათვის მაშინ დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია. პატივმოყვარეობით გაბერილი სხვაც ბევრი შემხვედრია ამ ქვეყანაზე. საქმე გააკეთოს და ჯანდაბას, განდიდების მანია შეიძლება თავისი ახალგაზრდობით სჭირს და დროთა განმავლობაში გაუვლის-მეთქი. ფიქრი სხვაზე გადავიტანე, ვიცოდი, რომ გაზეთს უბრალო მუშური საუბარი აინტერესებდა და გამომსვლელთა სიტყვებში ჩემთვის საჭირო ჰანგებს ვეძებდი, მაგრამ თავმჯდომარემ ისევ თავისთან დამაბრუნა. მუშათა კრებაა, ხომ იცით, დარბაზში სამასამდე კაცი მაინც იჯდა. ძნელია სამარისებურ სიჩუმეს მიაღწიო ამ დარბაზში, მით უმეტეს რომ მოკამათენი მთავარისა და არსებითის გარდა ყველაფერზე ლაპარაკობენ. დირექტორი მიმინოსავით

გასცქეროდა დარბაზს. წამდაუწუმ სიჩუმისაკენ მოუხმობდა. საკმარისი იყო, ვინმეს გაეხუმრა, ან რეპლიკა ესროლა გამომსვლელისათვის, რომ დირექტორის რისხვა დაატყდებოდა თავს. „ნუ გვიშლი ხელს მუშაობაში!. „სად გგონია თავი, ამხანაგო!“, „შევისწავლით შენს საკითხს!“, წამდაუწუმ ამ ფრაზებს ისროდა კრების თავმჯდომარე და, რაც უფრო ცხარობდა, მით ნაკლებად აღწევდა მიზანს. მუშები მაინც თავისას აკეთებდნენ. ტაშს არ უკრავდნენ, ვინც ტაშის ღირსი არ იყო, ამხნევებდნენ, ვინც გამხნევებას საჭიროებდა, და აქილიკებდნენ, ვისაც ვერ შეეგნო, რომ მლიქვნელთა მოყვარული დირექტორის გარდა იმ დარბაზში სამასამდე მუშა იჯდა საქმისათვის მოსული და საქმეს მოცდენილი.

კრება დასასრულს უახლოვდებოდა, დირექტორი რომ ერთბაშად წამოხტა და დაიძახა:

– მახათაძე, დატოვებთ კრებას!

მოკამათემ სიტყვა შეწყვიტა, დარბაზი გაისუსა.

– მახათაძე, დატოვეთ კრება! – ზარივით ხელმეორედ გაისმა მიკროფონში დირექტორის ხმა.

მიბრუნებული თავების წიაღ ადვილად ვიპოვე „დამნაშავე“. იგი შუა რიგში კედელთან იჯდა და წამოდგომას არ აპირებდა.

– მახათაძე, დატოვეთ კრება! – მესამეჯერ გაისმა დარბაზში.

– რატომ? – წამოდგა მაღალი, მხარბეჭიანი მახათაძე.

– უდისციპლინობისათვის, ამხანაგო მახათაძე! – აუხსნა დირექტორმა.

– მე მშვენივრად ვისმენდი ყველაფერს და ახლა ნამეტანს ნუ იზამთ, ამხანაგო დირექტორო, არსად გამსვლელი არ ვარ მე, – მშვიდად თქვა მახათაძემ, ცოტა გამოაჯავრა კიდეც დირექტორს ხმაში და ვითომც აქ არაფერიო, თავის ადგილზე დაეშვა.

– მახათაძე, არ ემორჩილები კრებას? – განწირულის ხმით იყვირა დირექტორმა.

– შენ კრება არა ხარ და, კიდევ გეუბნები, ნამეტანს ნუ იზამ, ამხანაგო დირექტორო, – ფეხზე არ ამდგარა, ადგილიდან ესროლა მახათაძემ.

– მახათაძე, გელოდებით! – დირექტორს ხმაში მუდარაც გაერია.

ვხედავდი, მას ცოტა ხელიც აუკანკალდა. მახათაძე კი მშვიდად იჯდა და კრების პრეზიდიუმს გულგრილად ათვალიერებდა.

– მახათაძე, გელოდებით, – დირექტორი უკვე ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდა და ეს სრულიად ბუნებრივიც იყო.

– ნუ შეწუხდებით, მე ნუ მელოდებით, განაგრძეთ კრება, – ცოტა არ იყოს გამომწვევად განაცხადა მახათაძემ.

დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდით, ყველანი გრძნობდნენ, რომ აქ უფრო მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა, ვიდრე კრების ნორმალური მსვლელობისათვის თავმჯდომარის მიერ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ. გამოვიდოდა თუ არა მახათაძე დარბაზიდან, ამაზე დიდად იყო დამოკიდებული ქარხნის დირექტორის სახვალიო ავტორიტეტი.

მახათაძე კი ჯიუტად იჯდა და, ვითომც აქა არაფერიო, საკუთარ ხელებს დაჰყურებდა.

– მახათაძე, – სხვისი ხმით ჩამესმა. თავმჯდომარის სკამთან გაცრეცილი, დალეული, ატირებამდე მისული დირექტორი იდგა. მის ხმაში ისმოდა უკან დახევაც, მობოდიშებაც, სინანულიც თავისი მოუზომავი საქციელის გამო. და, რაც მთავარია, მუდარაც – მეცი პატივი, გადი ერთ წუთს, კაცი არა ხარ, შენ არ შეგშლია არაფერიო? მეტყველებდნენ მისი თვალები.

– გადი ბიჭო, ცოდოა, დირექტორია, რაც უნდა იყოს – შეაწია ვიღაცამ ჩემს მეზობლად მახათაძეს.

სწორედ ამ სიტყვამ გაჭრა.

მახათაძე წამოდგა. დირექტორს შეხედა. გაიცინა და ნელა, ბეჭების რხევით, ვაჟკაცურად გავიდა დარბაზიდან.

დირექტორის ავტორიტეტი გადარჩა.

იმ კრების ანგარიში არ დავწერე. რედაქციაში დაბრუნებულმა განყოფილების გამგეს მოვახსენე, უინტერესო კრება იყო და, მე მგონი, არ ღირს მასზე საუბარი-მეთქი. ახლა, როცა ამ დღიდან კარგა ხანი გავიდა, ვფიქრობ, რომ სწორად არ მოვიქეცი. უნდა დამეწერა სწორედ ის, რაც მოხდა და განგაშის ზარი უნდა შემომეკრა იმგვარ ხელმძღვანელთა გასაგონად, რომელთაც არ ესმით კოლექტივის ფასი და ძალა, რომელთაც ჰგონიათ, რომ დირექტორის სკამი დაიფარავთ იმგვარ შეცდომათაგან, როგორიც კრების თავმჯდომარემ მაშინ დაუშვა. განგაშის ზარი შემომეკრა იმ ხელმძღვანელთათვის, რომელთა მოუზომავ ნაბიჯსაც არაერთი ცოცხალი აზრი და სიტყვა შეეწირა. ნუთუ არ უნდა სცოდნოდა იმ ჩემ ნაცნობ დირექტორს მაშინ, რას ნიშნავს თავმოყვარე კაცისათვის ავყიად ნასროლი – „მახათაძე, დასტოვეთ კრება!“ და ახლა ვფიქრობ, ისევ მახათაძეს რომ არ გამოეჩინა სულგრძელობა, მახათაძე რომ არ გაფრთხილებოდა კონკრეტულად იმ თავმჯდომარის კი არა, დირექტორის, ხელმძღვანელის სახელს საერთოდ, ვინ იცის რა სახეს მიიღებდა იმდღევანდელი კრება. ჩემი დანაშაული კი ის გახლავთ, რომ იმ კრებაზევე არ ავიღე სიტყვა და არ ვთქვი, რომ დირექტორი ცდება, რომ მას არ გააჩნია ხელმძღვანელისათვის საკმარისი ტაქტი და ზომიერება, რომ ღრმად ცდებიან ისინიც, ვინც საწარმოში გუშინ მოსული დირექტორის ყური უკვე მიაჩვია დაუმსახურებელ ქებას და ქათინაურებს, ვინ იცის, იქნებ ჩემი იმდღევანდელი გამოსვლა სასიკეთოდ შემობრუნებულიყო თვით იმ ახალგაზრდა დირექტორისათვის. იმის შემდეგ ბარე ორი სკამი რომ გამოიცვალა, მაგრამ რვა თვეზე მეტი ვერსად იდირექტორა?

სვავიც კი ძვალს კისერს დააზმანებს და ისე ჩაყლაპავსო, უთქვამს ბრძენ ქართველ კაცს. სწორედ ეს ანდაზა მოუხდებოდა ყველაზე მეტად დირექტორსა და მახათაძეს შორის იმ დღეს გამართულ უსისხლო ბრძოლას, რომელშიც უხმალჩაფხუტოდ და თავისი ძალისა და მდგომარეობის

გაუთვალისწინებლად შესულმა თავმჯდომარემ თავისი დირექტორული ავტორიტეტი სასწორზე შეაგდო.

„იყავ წყნარი და ცნობილი“ – ასე დამოძღვრა როსტევან მეფემ თავისი პირმშო, რომელსაც სამეფო სკიპტრა ჩააბარა. რა დღეში იყო, რას განიცდიდა ის პიროვნება, ქვეყნის ბედ-ილბალი რომ უნდა ემართა? „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“. როგორ სჭირდება გენიალური რუსთველის ამ სტრიქონის შეხსენება ზოგიერთ ხელმძღვანელს, რომელსაც დანიშვნის დღიდანვე შეაცოცდება ბეჭებზე პატივმოყვარეობის ჭინკა, რათა ღრმად დაარწმუნოს – შენ სხვა ღირსების კაცი ხარ, სწორედ რომ დირექტორად ხარ დაბადებული.

ხშირად ასე ხდება: ახალ ხელმძღვანელს თავისი ღირსების საქმედ მიაჩნია წინა ხელმძღვანელის გაკრიტიკება, მიუხედავად იმისა, იმსახურებს თუ არა განქიქებას ეს უკანასკნელი. გამადიდებელი შუშით დაეძებს შეცდომებს წინა კაცის საქმიანობაში, იმდენად დიდია მასში სურვილი, ადრინდელი ხელმძღვანელის გზას არ გაჰყვეს, რომ ხელოვნურად გამოიგონებს ათასგვარ უსაგნო ექსპერიმენტს და მერე თავისი საეჭვო ექსპერიმენტების ქაოსში გზა თვითონვე აებნევა. უნდობლობითა და ათვალისწუნებით შეჰყურებს არა მარტო ყოფილ უფროსს, ყველას, ვისაც მასთან მუშაობა და ურთიერთობა უხდებოდა. იწყებს ძველი კადრების ახლით შეცვლის გაშლილ კამპანიას და, თუ რამდენიმე მართლაც ჩამოწერილ პიროვნებას დაითხოვს, სამაგიეროდ უფრო მეტ ძვირფას სპეციალისტს აიძულებს „კადრების განახლების“ საბაბით წავიდეს საწარმოდან. ეს კი, როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, საქმეს ყოველთვის როდი შველის. უფროსი კაცის, ე. წ. წინა კაცის ობიექტურად შეფასება და პატივისცემა ახალ ხელმძღვანელს გულის ფიცარზე უნდა ეწეროს. ისევ რუსთაველს დავეკითხოთ: „ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთნასა არ მოიწყინებდა“. რა კარგი იქნებოდა დილდილაობით თავის თავს რომ შეახსენებდეს ზოგიერთი ზედმეტად თავდაჯერებული ხელმძღვანელი ამ სიტყვებს.

„სკამმა გამოცვალა“, გაიგონებთ ჩვენში, რამდენი ნაცნობი სამუდამოდ მიკარგულა „ვოლგის“ შავ ფარდებს მიღმა. რამდენი „თანამდებობის კაცი“ დადის ახლაც გაფუყული, მგლის კისრით, ხელს მოწყალებასავით რომ ჩამოგართმევს და გველცემულივით გაგშორდება, რაიმე არ მთხოვოსო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი ცოლ-შვილსაც კი მედიდურად, ყალბი ქშენითა და ლოყების ბერვით ელაპარაკება იმის შემდეგ, რაც თანამდებობაზე დანიშნეს. მოხდა საიგავო ამბავი, იმ ყმაწვილის პროვინციული და ეგოისტური ბუნება ერთბაშად გაშიშვლდა ჩვენ წინაშე, მოხდა ის, რის გამოც იქნებ თვით სხვას დასცინოდა – სკამმა კაცი გამოცვალაო. მას მოეჩვენა, რომ უფლება აღარა აქვს წინანდებურად გულგახსნილი და შუბლგახსნილი იყოს, წინანდებურად იხუმროს და იმხიარულოს, თუ სადმე წვეულებაზე მოხვდა, პირის გაუღებლად, ზმუილით ამბობს ბანს (აქაოდა სიმღერა არასერიოზულობაში

არ ჩამომერთვასო), ხოლო თუ მოხდა და საცეკვაოდ გაიწვიეს, შუბლს შეიჭმუხნის და გაბრაზებული უკან მიდგება, ასეთ ვაი-ხელმძღვანელს მიუძღვნა მურმან ლებანიძემ თავისი მსუსხავი პამფლეტური ლექსი:

კაცი გაფუყული დადის
კაცი – ღრუბელივით დადის
სპასალარის მიხრა-მოხვრით,
მკაცრი გამოხედვით ყადის.
ანუ არის ბრძენი ვინმე,
ანუ ქატოდ არ ღირს მჭადის,
ამას ვწუხ და ამას ვტირ მე
ჩვენი მოტყუება სწადის.
მაგრამ ოცი წელი გადის
ვთქვი თუ, არ ჰყავს მთქმელი მართლის,
თვითონ კეისარმა უთხრას,
რაკი წელიწადებს არ თვლის.
მაინც იანვრები ბარდნის,
სდევს თებერვლებს ჭყაპი მარტის –
არცა ქვეყნის ბოსტანს ბარავს,
არცა ქვეყნის ვენახს ხარდნის.
დღესა ყოველს ესრეთს ჩადის:
ზუსტად ნახევარზე ათის,
„ვოლგის“ სავარძელში ჯდება
მიღმა – აბრეშუმის ფარდის.
(მურმან ლებანიძე, „რჩეული“, 1979 წ.)
„საბჭოთა საქართველო“, გვ 196).

სკამმა დიახაც უნდა შეცვალოს კაცი, მაგრამ არა ისე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არამედ პირიქით. თანამდებობის მიღების შემდეგ იგი უფრო უბრალო და გულისხმიერი უნდა გახდეს, აბრეშუმის ჭიასავით კი არ უნდა ჩაიკეტოს, არამედ რაც შეიძლება უფრო ხშირად უნდა იტრიალოს ხალხში, გაიგოს მიზეზი მათი სიხარულისა თუ მწუხარების, იყოს ზედმიწევნით თავმდაბალი და როცა სხვები ხაზს გაუსვამენ მის მაღალ ღირსებას, მავანი კაცის მლიქვნელობა ხუმრობაში გაატაროს და შეფარვით აგრძნობინოს სხვებს, რომ სასაცილოა ლაპარაკი მის ყოველგვარ ზეკაცურ თვისებებზე, რომ არავითარი, სხვებისაგან განსხვავებული, მის უნარს და საქციელში არ მოიპოვება და რომ ჭეშმარიტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს დაუმსახურებელი ქათინაურები. „სხვისი იუბნოს სახელი, თავის გარჯასა მალავდესო“ – კაი ყმის სინონიმად საუკუნეებს გასძახა ვაჟა-ფშაველამ, ხოლო ვაჟაზე ბევრად უფრო ადრე ქართველმა ფილოსოფოსმა სახელის განთქმის მოსურნე ბრძნულად გააფრთხილა „საქმემან შენმან გამოგაჩინოს!“

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში ადამიანთა ხასიათი მკვეთრად იცვლება. ჩვენი ცხოვრების წესი დღეს სხვაგვარია, ვიდრე ოციანი წლების ახალგაზრდებისა იყო. ატომურმა ეპოქამ, კიბერნეტიკისა და ავტომატიზაციის დრომ, ზოგიერთ ღირებულებათა გადაფასებამ თავისი კვალი დააჩნია ჩვენს ფსიქიკას. მართვის პრინციპებს, ხელმძღვანელის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს დღეს გაფაციცებით იკვლევენ მეცნიერნი. დიახ, დრომ დააყენა დღის წესრიგში ახლებური ხელმძღვანელის საკითხი. ადმინისტრირების უხეში ფორმები, მაგიდაზე თითის კაკუნის პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა. მასების ხელმძღვანელობა დღეს მხოლოდ და მხოლოდ დარწმუნების მეთოდითა და შეგნებულობის პოზიციიდან უნდა ხდებოდეს. ხელმძღვანელი თვით უნდა იძლეოდეს მაგალითს იმისას, რასაც სხვებისგან მოითხოვს. თუ ხელმძღვანელის სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია – ასეთ უფროსს, რა ნომენკლატურული ჩინითაც უნდა მოევლინოს იგი ამა თუ იმ უწყებას, ხალხი არ გაჰყვება.

ირგვლივ მიმოვიხედოთ და ვთქვათ, რამდენია ჩვენში ჯერ კიდევ ხელმძღვანელობის მოძველებულ, მოყირჭებულ ფორმათა ერთგული, ჯერ კიდევ რამდენს აფარია სახეზე ყვირილისა და მუქარის ნიღაბი. რამდენ წონასწორობადაკარგულ უფროსს შევსწრებივართ, თავის კაბინეტში წყევლა-კრულვით რომ დააბიჯებს წინ და უკან. მათრახივით გადაუჭირებს ხოლმე ზურგზე თავის ხელქვეითებს ჩვენი პარტიული კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ სიტყვას – „ამხანაგო“. და ხელქვეითებმაც იციან: რაკი ჯერი ოფიციალურ „ამხანაგობაზე“ მიდგა, ეტყობა, საქმე ცუდად არის. არადა სიტყვა „ამხანაგო“ სწორედ მაშინ უნდა გაისმას მის ბაგეთაგან, როცა ურთიერთგაგება მიღწეულია და ხელმძღვანელსა და რიგით მუშაკს შორის ჰარმონია და პატივისცემა სუფევს.

სამწუხაროდ, ხელმძღვანელობის კაბინეტური სისტემა კიდევ დიდხანს გაჰყვება ჩვენი ცხოვრების წესს. როდესაც ტექნიკის განვითარება საშუალებას მოგვცემს ტელეკამერების და რადიოფიცირების საშუალებით გვერდით ვედგეთ მშრომელებს ყველაზე დაშორებულ უბნებშიც, კაბინეტებთან მიღების საათები და გრძელი რიგები სამუდამოდ მოისპობა, მაგრამ სანამ კაბინეტური მართვა ჯერ კიდევ არსებობს, მას თანამედროვე ფორმები და მეთოდები უნდა გამოვუძებნოთ.

თითქოსდა ელემენტარულია მიღების ხელოვნება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სცოდავს მოქალაქესთან პირდაპირი კონტაქტის დამყარების ამ საპასუხისმგებლო საათებში. რამდენჯერ გვიგრძვნია შეურაცხყოფილად თავი, როცა ხელისუფლების წარმომადგენლის გრძელ კაბინეტში შესვლისას ყურადღებიანი მასპინძლის ნაცვლად უსულგულო, თავგაბეზრებული, მოსაწყენი კაცი დაგხვედრია. მის სახეზე ერთ ნერვს არ აატოკებს შენი გასაჭირი, წამდაუწუმ ამთქნარებს და კარს გაჰყურებს, სანახევ-

როდ გისმენს, ერთი სურვილი აქვს, რაც შეიძლება ჩქარა დამთავრდეს მიღების საათები და რბილი კარების მიღმა გაუჩინარდეს. შოთა ნიშნიანიძემ ამას წინათ საკმაოდ ღონივრად გადაუჭირა პოეტური შოლტი კაბინეტის უგერგილო კაცუნებს:

მეც შემხვედრია (არა ტყეებში
ან შარაგზაზე) ქვეყნის ამკლები –
გრძელ მაგიდასთან, რბილ სავარძლებში
ჰალსტუხიანი ავაზაკები.
ის მაგიდები სარეცელს ჰგვანან
და კისრულობენ ცოდვას იმავეს,
ოღონდ მახვილის გარეშე, თანაც
ურჩებს ჭრიან და დამყოლთ ჭიმავენ,
და უკვე ბევრი ხმარობს შალაშინს
და სიმარჯვვითაც ზოგჯერ ნებივრობს
და უკვე ბევრი დადის ქალაქში
ხელფეხმორღვეულ თოჯინებივით.
ვიცი ისინი რა ჩიტებია
და, მართლაც, ჭრელი მედიდურები,
ცხოვრებას უფრო ეჭიდებიან
მაიმუნივით გრძელ კიდურებით.
ასე ვეჩვევით ყალბ სიდიდეებს,
სახელებს ვჩქმალავთ, ანდა გავკივით
(ავანსად ვკივით...) და ცოდვებს ვიღებთ
ძველი ბერძენი ავაზაკივით.

შოთა ნიშნიანიძე „ერთტომეული“;
1979 წ. „მერანი“)

როდესაც ხელმძღვანელ მუშაკთან მთხოვნელი შედის, დამხვედრს წუთითაც არ უნდა დაავიწყდეს, რომ მის საქციელზე ბევრად არის დამოკიდებული მოსულის სამომავლო წონასწორობა და მისი დამოკიდებულება არსებული წყობილებისადმი, მისი რწმენაც კი. ამიტომაც კაბინეტში თხოვნით თუ საჩივრით შემოსული მოქალაქისადმი აგდებული დამოკიდებულება დანაშაულია. სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებს: „მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა“. განა ყველას ახსოვს კაბინეტში მოკალათების შემდეგ ეს კლასიკური სიბრძნე? განა ასე ძნელია მოსულს კარებშივე შეეგებო, ყურადღებით მოუსმინო, საქმე ხვალისთვის კი არ გადაუდო, თუ შესაძლებელია, იქვე გადაწყვიტო, ან ყურმილს დაწვდე და დაავალო ვისაც ჯერ არს. მერე ღიმილით გაუწოდო სტუმარს ხელი და კარებამდე გამოაცილო? რომ იცოდეთ, რაოდენ წამახალისებელი,

მასტიმულირებელი მნიშვნელობა აქვს ასეთ მიღებას. როგორ მაღლდება ხელმძღვანელი მოსულის თვალში. რა გეომეტრიული ნახტომებით იზრდება მისი ავტორიტეტი. ხშირად გაიგონებთ ამგვარი ხელმძღვანელის კაბინეტიდან გამოსული კაცის ნათქვამს: ააშენა ღმერთმა, ისე ტკბილად მიმიღო, კიდეც რომ ვერაფერის მივაღწიო, მაინც მადლობელი ვიქნებიო.

ხელმძღვანელის მუშაობის ფორმებს მეორეხარისხოვანი პუნქტები არ გააჩნია. აქ ყველაფერი მთავარია და ყურადსაღები. ახალგაზრდა ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რომ მისი პირით საბჭოთა ხელისუფლება ლაპარაკობს. ამიტომაც თავს არ უნდა მისცეს უფლება, თქვას და არ გააკეთოს, დაპირდეს და არ შეასრულოს. საკმარისია ერთხელ შეგატყონ, რომ შენ, მართალია, ტკბილად მიღება შეგიძლია, მაგრამ საქმის კაცი არა ხარ, რომ შენს დაპირებებს სიყალბის სუნი ასდის და კაბინეტის კარამდეც არ მოგყვება. მაშინვე ზურგს შეგაქცევენ და შენს ნათქვამს მართალსაც კი აღარავინ დაიჯერებს. „არ იქმოდა, რას მიქადა, თუ მიქადა, რად მატყუაო“, რუსთაველის ეს ზნეობრივი ფორმულა კარგად უნდა ახსოვდეს ხელმძღვანელს.

მოიგონეთ, როგორ აკრიტიკებდა ლენინი „ინტელიგენტურ ლაილაის“ და უსაგნო, გრძელ თათბირ-მოხსენებებს. როგორ დაჰკრა მოწონების ხელი მხარზე მაიაკოვსკის, როცა ამ უკანასკნელმა ცნობილი „სხდომას გადაყოლილნი“ დაწერა. გავიდა ამის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი და ჩვენი ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელს დღემდე ვერ შეუგნია, რომ თათბირომანია საქმეს ვნებს. აქაოდა ხელმძღვანელი ვარ, მაინც მომისმენენო. მოკალათდება ტრიბუნაზე და, რომ იტყვიან, საათნახევრიან ქადაგებას გამოაცხობს. მოჰყვება მთისას და ბარისას, მოედება ყველაფერს და როცა ამგვარი „ლამაზი გამოსვლით“ გაბრუებული შინ ბრუნდები, გახსენება გიჭირს: მაინც რა თქვა საქმისათვის გამოსადეგი? კონკრეტულად რაზე ილაპარაკა?

ხელმძღვანელისადმი მიმართვის ფორმასაც მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი პატივმოყვარე „სკამის კაცი“ თვითონვე უწყობს ხელს, რათა სახელითა და მამის სახელით მოიხსენიონ. „გაშინაურებულებს“ ვერ იტანს და უაზრო, ცივი გამოხედვით აგრძნობინებს გულუბრყვილოდ ხელგაშლილ კაცს, რომ უფროს-უმცროსობის ეთიკეტი დაიცვას. მართალია, წრეგადასული ფამილარულობა გულისამრევია, მაგრამ საიდან დამკვიდრდა ჩვენში უფროსის აუცილებლად სახელითა და მამის სახელით მოხსენიების გაუგებარი ტრადიცია? საქართველოში, სადაც მეფეებსაც კი შენობით მიმართავდნენ, რატომ კითხულობს რომელიმე პატარა უწყების უფროსთან შემსვლელი კაცი, „თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, „ვისიჩია“, რა ვიცი, კაცნი ვარ, არ ეწყინოს?“ ჩვენი ენისათვის სრულიად არაბუნებრივი, უცხო ენიდან შემოსული წესი სახელითა და მამის სახელით მოხსენიებისა, რაც მალე აღმოიფხვრება, მით უკეთესია და ამას ხელი, უპირველეს ყოვლისა, თვით ხელმძღვანელებმაც უნდა შეუწყონ.

კომპეტენტურობა – აი, რა უნდა იყოს ხელმძღვანელის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება. დღეს, როდესაც მეცნიერებისა და ტექნიკის არაჩვეულებრივი დიფერენცირების ვითარებაში დღითი-დღე ძნელი ხდება ერთდროულად წარმოების მრავალ სფეროში გარკვევა, „უნივერსალური“ ხელმძღვანელი მოდიდან სწრაფად გადის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყვანან „დირექტორად დაბადებული“ კადრები. ოღონდ დირექტორად და ხელმძღვანელად დანიშნე და სულერთია, რისი გაძღოლა დაევალებათ. დირექტორი, რომელიც დაწესებულებაში მისვლის შემდეგ იწყებს მის მიერ რწმუნებული (კანცელარიული ენით რომ ვთქვათ) უწყების ანაბანის შესწავლას, მოგეხსენებათ, რა ხეირს დააყრის მისთვის მინდობილ საქმეს. თავისი უსაგნო ფაციფუცით, უმიზეზო ჭირვეულობით, ჰაერში გამოკიდებული „სიახლეებით“ ნერვებს უშლის იგი ხელქვეითებს და, როცა ერთ მშვენიერ დღეს გაირკვევა, რომ ხელმძღვანელად დაბადებულმა კაცმა მარტო ენთუზიაზმით საქმეს ვერ უშველა და დაწესებულება სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა, იგი ყველაფერს თავისი მრევლის უნიათობას გადააბრალებს და დირექტორის ახალ სკამს ითხოვს. და თქვენ როგორ ფიქრობთ, სამწუხაროდ, ახერხებს კიდეც ზოგიერთი ახლა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი უბანი ჩაიბაროს საუფროსოდ და საბოლოო ჯამში გასაფუჭებლად. არასწორად გაგებული ნომენკლატურისადმი ბრმა თაყვანისცემაა სწორედ იმის მიზეზია, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას საშუალებას ვაძლევთ დირექტორის ერთი სკამიდან მეორეზე მანამ ინაცვლოს, სანამ საბოლოოდ არ დავრწმუნდებით, რომ იგი ყველა პასუხსაგები პოსტიდან სირცხვილნაჭამი გვიბრუნდება.

„მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“, წერს საბა და მართლაც, რა არის იმ კაცზე საბრალო, რომელიც თავის სკამზე არა ზის და ვერ კი შეუგნია, რომ სხვის ადგილს იკავებს. რა სახელს შეგძენს ისეთი დირექტორობა, როცა შენზე ხუმრობაგაშვებით იტყვიან, დირექტორია, მაგრამ ჩვენი საქმისა არაფერი გაეგებაო.

„ახალი ტიპის ხელმძღვანელი“ – უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს. ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ სწორედ რომ ახალი ტიპის ხელმძღვანელის საჭიროება დააყენა დღის წესრიგში. ხელმძღვანელისა, რომლის პიროვნებაში ფეხბედნიერად შეერწყმის ერთურთს განსწავლულობა და დემოკრატიულობა, თავმდაბლობა და მაღალი ზნეობრიობა. კომპეტენტურობა და პრინციპულობა. რაკი სიტყვამ მოიტანა, პრინციპულობაზეც შევჩერდეთ. ხელმძღვანელის აუცილებელი თვისება – პრინციპულობა ზოგჯერ ვიწრო სუბიექტურ განმარტებას იძენს სწორედ იმგვარი უფროსისაგან, ვისაც მცდარად წარმოუდგენია, რომ პრინციპულობა რაღაც არამდგრადი, შედარებითი ფენომენი გახლავთ. პრინციპულობას იგი ავლენს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, პრინციპულია მხ-

ოლოდ თავის ხელქვეითთა მიმართ, მაგრამ როგორც კი საქმეში ზემდგომი პირი ჩაერევა, ჩვენი „შეუვალი“ ხელმძღვანელის პრინციპულობა საპნის ბუშტივით ქრება. ყველა თქვენგანს ეყოლება თითო-ორი ისეთი ნაცნობი, რომელმაც დიდის მეცადინეობით პრინციპულის სახელი დაიგდო, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ობიექტური კაცის სახელი მას ნიღბად სჭირდებოდა თავისი ბნელი საქმის გასაკეთებლად. ამგვარ მოჩვენებით პრინციპულობას, სიმკაცრეს, რომელიც ზოგჯერ პედანტობისა და სადიზმის იერს ატარებს, წვრილმანობას და ასოკირკიტობას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ პარტიულ პრინციპულობასთან.

როგორც ცხოვრებამ დაადასტურა, ახალი ტიპის ხელმძღვანელის, პირობითად რომ ვთქვათ, ყოველი ღირსებით დაჯილდოებული ხელმძღვანელის აღზრდა საკუთარ თავში საკმაოდ ძნელია და ამგვარი კაცი ჩვენშიც სანთლით საძებნია. პარტიას ხშირად უხდება უკან გაიწვიოს პიროვნება, რომელმაც ვერ გაამართლა ხალხის იმედები: „უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე – თქვა ერთ-ერთ პლენუმზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, – იძულებული გავხდით გაგვეთავისუფლებინა ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურის სამასამდე მუშაკი, მათ შორის 250-ზე მეტი კაცი სუსტი მუშაობისათვის. 48 კაცი პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და პარტიული ეთიკის დარღვევისათვის. მათ შორის იყვნენ რაიკომების პირველი მდივნებიც, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებიც, მინისტრებიც, სამეურნეო ხელმძღვანელებიც, რომლებიც მუშაობდნენ უინიციატივოდ, დუნედ, ზოგჯერ კი ისეთ საქმეებს სჩადიოდნენ, რომლებიც საეჭვოს ხდიდნენ მათ მორალურ სიწმინდეს“ (ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, „კომუნისტი“, 31 ოქტომბერი, 1979 წ.).

არ აღმოჩნდა შენში ხელმძღვანელისათვის აუცილებელი თვისებები და გადაგაადგილეს. იმ უბანზე მიგიწვიეს, სადაც უფრო მეტად სჭირდები ქვეყანას, რა მოხდა მერე? რატომ განიცდის სკამგამოცვლილთა ერთი ნაწილი თანამდებობის დაკარგვას ღვთის რისხვად და უბედურებად? რატომ ებღაუჭება თვეების განმავლობაში თავის ყოფილ სკამს და ყოველი ღონისძიებებით ცდილობს დაიბრუნოს? როგორც ჩანს, ახალი ტიპის ხელმძღვანელს საუფროსო საჭესთან დადგომისთანავე შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს თანამდებობა მას მემკვიდრეობით არ მიუღია, რომ იგი დროებით მოიწვიეს სხვათა გამრიგედ და წინამძღოლად და თუნდაც ყველაფერი შესანიშნავად განვითარდეს, ხვალ თუ ზეგ სხვა მოვა მის შემცვლელად. ამ შეგნების გარეშე გაუჭირდება მას კვლავ ჩადგეს იმ მწყობრში, საიდანაც გუშინ დააწინაურეს.

თანამდებობას პიროვნება ალამაზებს და სკამი მხოლოდ ობივატელთა თვალშია კაცის ღირსებისა და ნიჭის მაჩვენებელი.

დიპლომატის ტაქტი და იუველირის ზომიერება, დიოგენის თავმდაბლობა და პრინციპულობა სჭირდება დღეს პიროვნებას, რომელიც

თავის თავს ხელმძღვანელად მოუწოდებს და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დიდსა თუ მცირე საჭესთან დადგება.

მე მინდა, ხანდახან მაინც გაახსენდეს მას ჩემი სიყმაწვილის მუშამახათაძე, თავისი ჯიუტი სახითა და ალალი, მიმტევებელი ღიმილით.

სოფელი და ახალგაზრდობა

ამას წინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმზე ითქვა: „უმაღლესი განათლების მქონე არც ერთი ზოოტექნიკოსი არ ჰყავთ ქარელის, კასპის, ორჯონიკიძის რაიონების კოლმეურნეობებს. არც ერთი ვეტერინარი ექიმი არ არის ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, დმანისის, ონის, ცაგერის, ლენტეხის რაიონებსა და ტყიბულის კოლმეურნეობებში“.

ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ჭეშმარიტება, რომ გაოცებისაგან ენა დამება. ეს როგორ მოხდა? რესპუბლიკაში უმაღლეს სასწავლებელთა ფართოდ გაშლილი ქსელისა და სპეციალისტთა კადრების მომზადების არნახულ საშუალებათა ვითარებაში საქართველოში არის რაიონები, სადაც არც ერთი ზოოტექნიკოსი და ვეტერინარი ექიმი არ მოიძევება? მაშ, სად არიან ისინი, ყოველწლიურად რომ ამთავრებენ რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ სახელოვან სასწავლებელს. როგორც ირკვევა, მათი ერთი ნაწილი განსწავლის შემდეგ მშვიდ ყურეებს ირჩევს. თანხმდება ათასგვარი მოსაწყენი საქმე შეასრულოს ქალაქის დაწესებულებებში, ოღონდ არ წავიდეს იქ, სადაც ელიან ვეტერინარს და ზოოტექნიკოსს, სადაც, სჭირდებათ მისი ცოდნა და მარჯვენა. საკუთარი პროფესიისადმი უპატივცემულობა ამაზე შორს ვერ წავა.

ინსტიტუტის გამოშვებულებს თავი რომ დავანებოთ, თურმე ტექნიკუმის კურსდამთავრებულნიც არ რჩებიან სოფელში: „დაარსების დღიდანვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებმა გამოუშვეს 12 ათასზე მეტი სპეციალისტი, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში კი ამჟამად მხოლოდ 2200 საშუალო კვალიფიკაციის მეცხოველეობის სპეციალისტია. ესე იგი მომზადებულ სპეციალისტთა საერთო რაოდენობის 18 პროცენტი“.

ყოველდღიურად მოაქვს ჩვენამდე გაზეთებს ცნობები სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა სასახელო საქმეებზე. ხალისით ვკითხულობთ უხვი მოსავლის მომყვან ჭაბუკ ოსტატთა საქმიანობაზე დაწერილ ამღერებულ რეპორტაჟებს. სინამდვილეში კი ეს ახალგაზრდები მხოლოდ თხუთმეტი პროცენტს შეადგენენ ახალგაზრდათა იმ მრავალრიცხოვანი არმიისა, პროფესიად სოფლის მეურნეობის დარგი რომ აურჩევია.

ასე თუ გაგრძელდა, გაზეთის ახალგაზრდა გმირი სანთლით საძებნი გაგვიხდება და ეს იქნება ნაკლები სატკივარი იყოს იმასთან შედარებით, რომ სოფელი მოკვდება, სოფელი აღარ იარსებებს იმ ქვეყანაში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აგრარული ქვეყანა იყო და ეროვნული სული და ზნე-ადათი უპირატესად სოფლის საშუალებით შემოინახა.

რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო დამაფიქრებელი და საგანგაშო?

ამას წინათ ნიუ-იორკში ყოფნისას ამერიკელები შეშფოთებით გვიამბობდნენ იმის შესახებ, რომ თანდათანობით ამერიკის უმთავრეს პრობლემად იქცა მოსახლეობის მიგრაცია ქალაქიდან სოფლად. ქალაქები ცარიელდება. სულისშემხუთველმა ურბანიზმმა კატასტროფულად უკან დაიხია. ცათამბჯენებს უფრო და უფრო ნაკლებად ეტანება ხალხი. ყველას უნდა ქალაქიდან შორს წავიდეს და სადმე მყუდრო ადგილას დასახლდეს. ცუდი კი ამ ამბავში ის გახლავთ, რომ სავარგულები თანდათან მცირდება, მიწები ქუცმაცდება და სოფლის მეურნეობის შემოსავალი მცირდებაო.

გამახსენდა მურმან ლებანიძის ერთი ახალი ლექსი:

ძველი ქართული ანდაზა
იტყვის: „სოფელი დიდია!“
რამ გაადიდა, ანდა სად
სოფელს ბოქლომი ჰკიდია!
რაჭა-ლეჩხუმი მშობელი
გაცლილა, გათხელებულა,
ტყეს გადუვლია სოფელი,
სოფელი – გატყევებულა.
...სარკმელში მთათა გრეხილი,
ყავარზე წვიმა არ ცხრება,
შებერებულა ხეხილი,
მოლურჯო პური არ ცხვება.
კახაბლებს აღარ ამყნობენ,
აღარ თესენ და არ ხნავენ,
ქორწილზე არას ამბობენ,
მარხვით ჯერ კიდევ მარხავენ.
მე უნდა გავხდე გოროზი,
არ წავიქცე და არ წავხდე –
ლებანიქედის ბოლოში
გიჟივით მარტო დავსახლდე.

ამ სევდიანმა ლექსმა მომაგონა მისი შექმნის სავალალო მიზეზი. მიტოვებული სოფლები, მოშლილი ბუდეები, ნასახლარებად ქცეული გარემო. მარტო რაჭა-ლეჩხუმში კი არა, მთელ მთიან საქართველოში შეხვდებით დაცლილ ეზოებს, თვალებამოღამებულ სახლებს, ხავსმოდებულ კიბეს, ტყეგადავლილ გზას.

სოფლებში მშრომელთა ძირითად მასას, რა მწარე სიმართლედაც

უნდა მოგეჩვენოთ, შუახანს გადაცილებულნი ან მოხუცები შეადგენენ. ზამთრობით მწუხარე რეკვიემად გაისმის გაყინულ ბუხართა სისინი. უკაცრიელ გზას არ შორდება სტუმრის მომლოდინე მოხუცთა მზერა.

ამაზე ჩვენში იწერება რომანები და მოთხრობები, სოციოლოგები დიდი მოთმინებით აღნუსხავენ ახალგაზრდობის ქალაქს გადმოსახლების პროცენტს, ეკონომისტები მიგრაციის მიზეზებს ხსნიან. ჟურნალისტები შეშფოთებით მიუთითებენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ძველებურად მიდის: მცირე გამონაკლისის გარდა (და იმ მცირედი გამონაკლისით ვსულდგმულობთ კიდევ) ქალაქში მოდიან სწავლასმოწყურებული ახალგაზრდათა ეშელონები. ეს სრულიად კანონზომიერი პროცესია, მაგამ აუხსნელი ის არის, რომ კურსდამთავრებულნი უკან იშვიათად ბრუნდებიან. სოფლებში უპირატესად აგარაკები შენდება. ახალმოსახლეობა იშვიათ ხილად იქცა. რაშია საქმე? იქნებ უმაღლესი სკოლა ვერ ახერხებს მომავალ სპეციალისტს პროფესიული ცოდნის გარდა მის ეროვნულ ვალზე და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზეც მიაქცევინოს ყურადღება? იქნებ ქალაქი იმდენად მაცდური ორგანიზმია, რომ ხუთი წლის განმავლობაში სიკვდილამდე განუყრელ არსებად ეღვრება გულში სოფლიდან ჩამოსულ ყმაწვილს და მერე ამ უკანასკნელს ქალაქის მიტოვება აღარ ძალუძს?

რასაკვირველ, კომპლექსურია და ამ საკითხთა განსჯა იოლი არ არის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სოფლის დაცარიელების პრობლემებზე დაფიქრებულ პუბლიცისტებს ასეთი დასკვნა გამოაქვთ: სოფელში ძალუმად არ ჰქრის ცივილიზაციის სიო, სოფელი ვერა და ვერ გახდა ფეშენებელური; სოფლად მცხოვრები მოწყვეტილია თანამედროვე სულიერი თუ საყოფაცხოვრებო კულტურის მიღწევებს და ამიტომაც ახალგაზრდა ქალაქს ამჯობინებსო.

დღეს, როდესაც ინფორმაციის საშუალებათა მრავალფეროვნება სუფევს, როცა იშვიათია სოფელი, სადაც ჩვეულებრივ ნივთებად არ ითვლებოდეს მაცივარი, ტელევიზორი, რადიო, ტელეფონი, არ მუშაობდეს კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა, მე ვფიქრობ, ახალგაზრდობის მხატვრული გემოვნების დაუკმაყოფილების მიზეზებით მათი სოფლიდან წამოსვლის ახსნა სწორი არ იქნება, არც ეკონომიკური დაინტერესების ფაქტორია გადამწყვეტი ამ შემთხვევაში. უამრავია ფაქტი, როცა ახალგაზრდა ამჯობინებს გაცილებით დაბალ ხელფასზე იჯდეს ქალაქში, ვიდრე იმავე ენერგიის დახარჯვით მას სოფლად გადაუხდიდნენ. განა ფაქტი არ არის, რომ დღეს სოფლად წესიერ მშრომელ კაცს შემოსავალი გაცილებით უფრო მაღალი აქვს, ვიდრე წარსულში ჰქონდა? მატერიალური სტიმულირების ხერხს, რაც უკანასკნელ ხანს განხორციელდა, ხომ უნდა გამოეწვია უკუპროცესი? სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ კოლმეურნეობაში მოსული ახალგაზრდა კაცის პრესის გმირად ქცევა და სოფლის მშრომელთათვის

მათი პატრიოტული ვალის წამდაუწუმ მოგონება, როგორც ჩანს, საქმეს ვერ შველის. გაუდაბურებულ სოფელთან ჩავლისას თავის კანტური და გულზე ხელის ბრაგუნი არაფერს შეცვლის. საჭიროა მიზეზთა უფრო გონივრული განსჯა და ქმედითი ღონისძიებანი.

ახალგაზრდა სპეციალისტი რომ მოიზიდოს სოფელმა, უმთავრესი პირობა ის გახლავთ, რომ სპეციალისტს იქ საქმე გააჩნდეს. ვახერხებთ თუ არა სოფლად მყოფი ახალგაზრდობის დასაქმებას? ეს კითხვა ზოგს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, სოფელში საქმის მეტი რა არისო, მაგრამ დასკვნის გაკეთებას ნუ იჩქარებს, სანამ ამ ერთ მაგალითს არ ჩაუკვირდება:

დაცარიელების საფრთხე ყველაზე მეტად ემუქრება ფშავ-ხევსურეთს. საქართველოს ეს უმშვენიერესი კუთხე მალე მხოლოდ ლიტერატურის ფურცლებზელა დარჩება და მის არსებობას ხალხური შემოქმედების სკივრები გააგრძელებენ. უკვე აღარავინ ცხოვრობს ისეთ უძველეს სოფლებში, როგორიცაა ლებაისკარი, პისტანი, გურო და მრავალი სხვა.

მიზეზი? რას უცადოს ახალგაზრდა სპეციალისტმა ფშავ-ხევსურეთში, როცა მას, ცხოვრების პირობებს რომ თავი დავანებოთ, სამსახურით ვერ უზრუნველვყოფთ? იცის მკითხველმა, რომ მთელი ფშავ-ხევსურეთი ერთ კოლმეურნეობაშია გაერთიანებული, ხოლო კოლმეურნეობის კანტორა მაღაროსკარშია? დიახ, ჟინვალიდან ჩეჩენ-ინგუშეთამდე ერთი კოლმეურნეობაა მხოლოდ და რა ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ზოგი სოფელი კანტორიდან 80–100 კილომეტრითაა დაშორებული და სოფლელთ პატარა ცნობისათვის უგზოობაში ამხელა მანძილის გავლა უხდებათ?

სად იმუშაოს დიპლომიანმა ახალგაზრდამ? მაგალითად, სოფელ ბუჩუკურთაში ამ შვიდიოდე წლის წინათ ორმოცი კომლი ცხოვრობდა. ახლა ხუთი კომლიღა ცხოვრობს. ის ხუთი კომლიც, რომ იტყვიან, ბარგზე ზის. დღეს თუ ხვალ ისინიც დატოვებენ სოფელს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხსენებულ ხუთ ოჯახში უკვე შვიდმა უმაღლესდამთავრებულმა მოიყარა თავი, შესაფერი სამუშაო კი ირგვლივ სამოცდაათი კილომეტრის რადიუსზე არსად არის. რა ჰქნან? ჩამოვლენ ბარად და ოჯახიც თან ჩამოჰყავთ, კომლი აღარ იარსებებს, სოფელს ურდული დაედება.

„ჩვენი რესპუბლიკა მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად უნდა იქცეს!“ ეს დიდებული სადღეისო დევიზი თავისი კონკრეტული ამოცანებით განა უფრო საქართველოს მთიანეთს არ ეხმიანება? სად არის უფრო მეტი იალაღები და საძოვრები, თუ არა იქ? მერე ხევსურული ძროხა? ეს გამძლე და საოცრად სარგებლიანი ჯიში ქართული საქონლისა ხომ თითქმის დაკარგულია ჩვენი მეურნეობისათვის. რატომ უნდა იქცეს ზოოლოგიურ მუზეუმთა კუთვნილებად ხევსურული ძროხა? ფშავ-ხევსურეთის ბალახით მდიდარ ტრამალებზე რომ რამდენიმე საძ-

როხე მეურნეობა შეიქმნას, ფერმები გავხსნათ, განა ათასმხრივ სასარგებლო საქმე არ იქნება ჩვენთვის? ფერმას გამგე, მწველავები, მწყემსები, ვეტერინარი ექიმი დასჭირდება, ზოოტექნიკოსიც დასჭირდება, ბუჩუკურთა (და სხვა უამრავი სოფელი) აღარ აიყრება, გარდა იმისა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა იხეირებს, ფერმის ირგვლივ მისი მომსახურე პერსონალი დასახლდება, მამალი დაიყივლებს, ბუხრებიდან კვამლი ამოვა და ესეც შენი გადარჩენილი სოფელი. არ არის მართალი, რომ ვამტკიცოთ, ხევსურს ოპერა რომ არა აქვს, იმიტომ იყრება და ბარად ჩამოდისო. ოპერაც, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ხევსურის მიგრაციას სხვა მიზეზი აქვს. მას საქმე არა აქვს. შეიძლება პირველივე დღიდანვე მომგებიანი როდი დარჩეს ფერმები. ყოველ დაწყებას სიძნელე ახლავს. დავეხმაროთ ახალშექმნილ ფერმებს, სახელმწიფოს დოტაციაზე ავიყვანოთ, სამთო ჯიშები შევურჩიოთ, უახლესი აპარატურით მოვამარაგოთ და მალე ვნახავთ, რა შედეგსაც მივიღებთ.

ეს ყოველივე მთიანი რაიონების სპეციფიკაა და სხვა კუთხეებზე არ შეიძლება გავრცელდესო, გაიფიქრებს მკითხველი და მართალიც იქნება. მაგრამ გაუდაბურების სენი ხომ უპირველესად მთიანეთს შეჰყრია, ხოლო ბარად სოფლები იქნებ არ ცარიელდება, მაგრამ ახალგაზრდობის ადგილზე დაკავების საქმე განა იქ კი ბრწყინვალედაა გადაწყვეტილი?

არ არის იოლი, მშობლიური ქალაქი, შეჩვეული გარემო მეგობრები, კომფორტი მიატოვო ახალგაზრდა კაცმა, ჩაიდო დიპლომი ზურგჩანთაში და სოფლად წახვიდე. წახვიდე იქ, სადაც, რა დასამალია, და გელოდება ტალახიანი შუკა, ცივი ბუხარი, უგზოობა და ზოგჯერ მომაბეზრებელი მარტოობაც. მაგრამ ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტების დიდი ნაწილი ჯანსაღია, გაცნობიერებული აქვს მისი ვალი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე და მიდის. მერე? განა ხელგაშლილი ვხვდებით მათ ადგილებზე, რაიონებში? განა იქ კი თავზე საყრელადა აქვთ ადგილები? თავს ნუ მოვიტყუებთ. მოხალისედ ჩასულ სპეციალისტს კი არა, განაწილებით, საგზურით გაგზავნილთაც კი ხშირად უბოდიშოდ ეუბნებიან: საგზურზე ხელს მოგიწერთ, რომ გამოცხადდით. რაც შეეხება სამუშაოს, ჯერჯერობით არა გვაქვს. გნებავთ, ისევ უკან წაბრძანდით (მშვიდობის გზა გქონიათ) გნებავთ, დარჩით და დაელოდეთ, სანამ მასწავლებლის ადგილი გამოთავისუფლდებოდესო. რა ქნას ჩამოსულმა, უსახლკარო და უადგილო კაცმა? დაჯდეს ჩემოდანზე და ელოდოს, როდის შეუსრულდება საპენსიო ასაკი მავან სპეციალისტს, ან როდის გავა ესა თუ ის თანამშრომელი დეკრეტულ შვებულებაში? ამგვარ საეჭვო ლოდინს იგი უკან დაბრუნებას არჩევს. შედეგი? დაკარგა სოფელმა ერთი ახალგაზრდა სპეციალისტი. რომელიც, ვინ იცის, რა დიდი იმედებით და ამოცანებით ჩამოვიდა. მერე და რამდენს წლების განმავლობაში, რომ იტყვიან, „მოკავებული“ აქვს ესა თუ ის თანამდებობა, რამდენი მუშაობს არასპეციალობით და რამდენია პენსიაზე მადლობით გასასტუმრებელი

ჩვენს სოფლებში? საოცარი ის გახლავთ, რომ ეს უკანასკნელნი, ღვაწლმოსილი და ჭირნანახი მოხუცები, სიტყვით ბევრს ამბობენ, ახალგაზრდებს გზა მივცეთ, ადგილი დავუთმოთო, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, გულდასაწყვეტი ენერგიულობით ებღაუჭებიან თავიანთ ადგილებს.

ახალგაზრდა კაცს, სხვათა შორის, ერთი თვისებაც აქვს: ავტონომიურობისკენ, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. უხალისოდ ებმება იგი ისეთ საქმეში, სადაც მის სიტყვას და სურვილს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. სადაც ის მხოლოდ და მხოლოდ შემსრულებლად, დამხმარე ძალად მიაჩნიათ. ახალგაზრდა სოფლის ბატონ-პატრონად უნდა გრძნობდეს თავს. უნდა იცოდეს, რომ იგია უშუალო და პირდაპირი პასუხისმგებელი იმის გამო, რაც სოფლად ხდება. ასეთ შემთხვევაში იგი გულგრილ მაყურებლად, პასიურ მჭვრეტელად ვერა და ვერ დარჩება. გარდა მორალური პასუხისმგებლობის გრძნობისა (რომელსაც მატერიალურ სტიმულირებაზე ნაკლები ძალა როდი აქვს), მასში გაიღვიძებს თავმოყვარეობის, ვაჟკაცობის, თავის გამოჩენის წადილი. განა ფაქტი არ არის, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელის უთაურობის გამო იყო წლები, როცა სოფლად ხელმძღვანელ უბნებზეე ახალგაზრდა კაცის გამოჩენა უიშვიათესი შემთხვევა იყო? მომქანცველად, დანაშაულებრივად დიდხანს გრძელდებოდა ჩვენი „ბავშვობა“, „ჯერ ადრეა, ჯერ ახალგაზრდაას“ დამღუპველი პრინციპი საშინელ სენად ექცა ჩვენს საკადრო პოლიტიკას. სწორედ ამის გამო დაწინაურება იშვიათად ხდებოდა ნიჭისა და უნარის მიხედვით. შეიძლება მთელი ცხოვრება გაგეტარებინა მოადგილედ. ამ ხნის განმავლობაში ცხრაჯერ შეეცვალათ თავმჯდომარე და შენი კანდიდატურა არავის გახსენებოდა, იმის გამო, რომ თავმჯდომარის საკითხი სხვა „ნომენკლატურა“ გახლდათ და სხვა სფეროებში წყდებოდა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩვენში პროფესიული ხელმძღვანელის ტიპი. ვიღაცამ თავის დროზე „დააბრალა“ მას ორგანიზატორის დიდი უნარი. შეიძლება ახალგაზრდობისას ასეც იყო, მაგრამ როცა წლებმა მოღალეს და „სხვა ინტერესები“ გაუჩნდა, მეთაური პოსტებიდან მისი დათხოვნა ფიქრადაც არავის მოსდიოდა. გადადიოდა სკამიდან სკამზე, თანამდებობიდან თანამდებობაზე ეს „ხელმძღვანელად დაბადებული“ კაცი. გასაქანს არ აძლევდა ახალგაზრდა სპეციალისტებს. მაჯლაჯუნასავით ბოჭავდა საქმეს თავისი მოძველებული შეხედულებებით, ხელმძღვანელობის დრომოჭმული ფორმებით. ამგვარი „პროფესიული ხელმძღვანელები“ უმეტეს შემთხვევაში ამუხრუჭებენ საქმეს. არასპეციალისტი, რომელსაც პასუხსაგები სამეურნეო დარგის გაძღოლა მიანდეს, იშვიათად თუ შეცვლის სპეციალისტს. ხშირად ასე ხდება: ქვეშევრდომნი აფასებენ მის ორგანიზატორულ ნიჭს, გარეგნულად უყურებენ მის ფაფხურსა და მაგიდაზე ხელების ბრახუნს, ირონიული ღიმილით გადახედავენ ერთმანეთს და თავს უქნევენ, თითქოს ყველაფერში ეთანხმებიან. უცო-

დინარი კაცის სადირექტივო სალტო-მორტალე მის კაბინეტშივე რჩება. საქმე კვლავ თავისი გზით მიდის. გაქნილმა ქვეშევრდომებმა სათნოების ნიღაბი აიფარეს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებენ ზოგიერთ „მაღლიდან მოვლენილ“ არასპეციალისტ უფროსს. დიახ, ამ სავალალო ტრადიციამ ბევრ ახალგაზრდა მუშაკს საქმეზე გული გაუცივა, თავის მართალ ახალგაზრდულ ოცნებებზე და გეგმებზე ხელი ააღებინა. ხელმძღვანელის პოსტზე ნიშნავდნენ კაცს და არც კი კითხულობდნენ, ოდნავ მაინც უახლოვდებოდა თუ არა მის ახალ თანამდებობას ის პროფილი, მის მტვერწაყრილ, მაგიდის უჯრაში საიმედოდ ჩაჩურთულ დიპლომში რომ ეწერა, ვის აინტერესებდა სპეციალობა, ვინ ჩახედავდა დიპლომს, როცა კაცი უფროსად იყო დაბადებული.

ქართველებს ერთი კარგი სიტყვაც გვაქვს – „დანამუსება“. არ ვიცი, სხვა ენებზე არსებობს თუ არა ეს სიტყვა საერთოდ, მაგრამ დანამუსების მაგიური ძალა აშკარაა და ახალგაზრდა კაცის მობილიზებაში მას დიდი როლის შესრულება შეუძლია. ხშირად ახალგაზრდისთვის საქმის მინდობის, პასუხისმგებლად მისი გამოცხადების ფორმებს ყალბუფროსული, დირექტიული ხასიათი აქვს. ობიექტიც, ამის გამო, უხალისოდ ეკიდება მისთვის „თავსმოხვეულ“ საქმეს. გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის ფერმაში, მიუხედავად რაიკომისა და აღმასკომის არაერთი ენერგიული ჩარევისა, ახალგაზრდები სამუშაოდ არ მიდიოდნენ. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. შარშან მეურნეობის კომკავშირის კომიტეტში ოთხი სკოლადამთავრებული გოგონა დაიბარეს. კომკავშირის მდივანმა მოკლედ აუხსნა მათ საქმის ვითარება და პირდაპირ უთხრა: – ერთი სიტყვით, თქვენს იმედზე ვართ, თქვენზეა ამ ფერმის გადარჩენის საქმე. თქვენ იცით და თქვენმა ქალობამ. დავალების მიცემის ამ მეთოდში გაუგონარი რამ როდია, მაგრამ ოთხმა ქალიშვილმა იგრძნო, რომ არსებობდა საქმე, რომლის ბედი მათს კარგ ქალობას უნდა გადაეწყვიტა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მოხდა? ახლა ვარიანის ის ფერმა ერთ-ერთი მოწინავეა მთელ რაიონში, ხოლო ამ ერთ დროს „მიტოვებულ“ ფერმაში სამუშაოდ წასვლის მსურველ ახალგაზრდათა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. „ყველას ვარიანში უნდა წასვლა და უადგილობის გამო უარს ვეუბნებით“, მითხრეს კომკავშირის კომიტეტში. განა ოთხი სუსტი ქალიშვილის ფერმაში მისვლით ის ფერმა ერთბაშად გარდაიქმნა და გაუკეთესდა? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მათი მისვლით, მოხუცების ანაბარა დარჩენილ ფერმაში, ახალგაზრდული ენთუზიაზმი მივიდა, სილამაზე და სიხალისე დამკვიდრდა.

საგარეჯოს რაიონის სოფელი კოჭბაანი სადმე მთებში მიკარგული, მიუვალი სოფელი არ არის, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს სოფელი ჩვენ თვალწინ დაცარიელდა. ერთმანეთის წამხედურობით მეზობლები აიყარნენ და ზოგმა რაიონის ცენტრში დაიდო ბინა, ზოგმა კი დედაქალაქს მიაშურა და მამაპაპეულ სახლსა და სუფთა ჰაერს კომუნალურ ოროთახიან ბინაში, ასფალტის მტვერსა და მანქანების ღრიალში ყოფნა არჩია. გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ ერთ დღეს კოლმეურნეობა გაუქმების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, რადგანაც სოფლად დარჩენილი თითოოროლა მოხუცის იმედით სოფელი ვერ იარსებებდა. ასე განსაჯეთ, სათავმჯდომარო კაციც ვერ დაიგულეს ამ სოფელში. იფიქრეს, იფიქრეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ სტუდენტი ნათელა სულიაური აირჩიეს. მახსოვს საქართველოს კომკავშირის ოცდამეათე ყრილობაზე გამოსული ნათელა, თითქმის ტირილით ამბობდა, ამოდენა საქმე მომანდეს და ხალხი არა მყავს, სოფელში სკოლა არ არის, სახსრები არა გვაქვს, დაგვეხმარეთო. იმარჯვა ამ ქალიშვილმა და მისი მონდომება რომ დაინახეს, სკოლაც გახსნეს და ბიბლიოთეკაც. თავმჯდომარემ განთესილ სოფლელებს ზოგს თვითონ ჩამოუარა, ზოგს წერილი გაუგზავნა. წარმოიდგინეთ რამდენიმე ოჯახი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. უმეტესწილად ასე მოხდება, როცა ახალგაზრდა სოფლის პატრონად, მის ავ-კარგზე პასუხისმგებლად იგრძნობს თავს.

არცთუ ძალიან მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა ჩვენი რესპუბლიკა. გაცდებით თუ არა თბილისს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ აუთვისებელი მიწები, ბარდაუკვრელი ველები; მაგრამ რაიაღმასკომების ზოგიერთ მუშაკსა და სასოფლო-საბჭოების მესვეურებს რომ ჰკითხოთ, ჩვენს სოფლებში ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ არის; შექმნილია ათასგვარი ბარიერი, რათა ქალაქელი კაცის სოფლად დასახლება, თუნდაც საბოსტნე ნაკვეთის მისთვის გამოყოფა, როგორმე გააძნელონ. ირბენს ღვაწლმოსილი პროფესორი (რომელსაც თავის მშობლიურ სოფელში პატარა ოდის გამართვა განუზრახავს) ინსტანციიდან ინსტანციაში, ილაჯს გაუწყვეტენ, ნერვებს მოუშლიან, ორაზროვნად შედგენილი ინსტრუქციებით დაუმტკიცებენ, რომ მისი მოთხოვნა კანონიერი არ არის, სოფლად სახლის აშენების უფლება მხოლოდ იმ პირს აქვს, ვინც კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში იმუშავებს (?) და ბოლოს იმედგაცრუებული პროფესორი ხელს იღებს თავის გადაწყვეტილებაზე. მერედა რა, ქვეყანა დაიქცევა, რომ ერთი წესიერი ინტელიგენტი თუნდაც ზაფხულობით სოფელში, თავის პატარა ნაკვეთზე ატარებდეს დღეებს? მისი ჩასვლით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სოფელი უფრო გალამაზდება, მისით ახალგაზრდები დაინტერესდებიან, ლექციას წაიკითხავს, საუბარს ჩაატარებს, ვიღაცას საქმეზე ხელს წაუკრავს, ვიღაცას იმედიან სიტყვას ეტყვის. თუ ექიმია – თავისუფალ დროს ავადმყოფს უმკურნალებს, თუ მასწავლებელია, კონსულტაციებს ჩაატარებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. სახელმოხვეჭილი კაცისთვის მშობლიურ სოფელში დაბრუნება ახალგაზრდებზე სათანადო მორალურ ზემოქმედებასაც მოახდენს. წლების განმავლობაში, ვინ იცის, რა მანქანებით, ვინ აღარ ჩაეწერა მუდმივ მაცხოვრებლად ჩვენს მშობლიურ შავიზღვისპირეთში. ხოლო მისი ადგილი აუხსნელი სიჯიუტით დიდხანს არ იყო იქ იმათთ-

ვის, ვინც მართლა საჭირო იყო; ვინც ჩვენს ეროვნულ საქმეებს რითიმე შეეწეოდა.

მართალია, გულგრილობის ჭია საკმაოდ თვალსაჩინოდ შეეპარა ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს, მაგრამ განა ათასობით არ არიან მათ შორის ნამდვილი პატრიოტები, მოწოდებით საზოგადო მოღვაწენი? განა იშვიათი არ არის ჩვენ შორის კაცი, რომელსაც თავისი სოფლისთვის რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთების კეთილი განზრახვა არ უდევს გულში? აი, პატარა მაგალითი: სიღნაღში თქვენს ყურადღებას უსათუოდ მიიპყრობს მშვენივრად გაფორმებული შინმოუსვლელთა ობელისკი. იკითხავთ და გიპასუხებენ, რომ ეს ობელისკი გააკეთა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დენდროლოგიური პარკის უფროსმა სევერიან ჯებაშვილმა. ქალაქში მცხოვრებმა კაცმა თავის მშობლიურ რაიონს, თავის სოფელს სრულიად უანგაროდ და უსასყიდლოდ ეს საპატიო საჩუქარი დაუტოვა. არ არის იგი მადლობისა და წახალისების ღირსი? სხვა შემთხვევაში კი ჩვენ, სამწუხაროდ, ჩვენი სოფლების ხელგაშლილი სტუმრები ვართ მხოლოდ და მეტი არაფერი. ჩვენი ხელოვნების დარგის მუშაკთა გასაგონად ვიტყვი: ათეული წლების განმავლობაში ეულ ფაქტებად რჩება ის დიდებული საქმეები, გიორგი ლეონიძემ რომ პატარძეულს წყალი გაუყვანა და ლეო ქიაჩელმა თავის მშობლიურ სოფელს – ობუჯს ბიბლიოთეკა რომ აუშენა.

არც ის არის დასამალავი, რომ მიუხედავად კულტურის სახლებისა და ბიბლიოთეკების ფართო ქსელისა, ზოგიერთ სოფელში გეგმის შესრულების მაჩვენებლებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე სოფლელთა კულტურულ მომსახურებაზე, მათი ყოფა-ცხოვრების გალამაზებაზე. უხვი მოსავლის მიღებისათვის გაშლილ ბრძოლაში არ უნდა დაგვავიწყდეს ის, ვინც ამ მოსავალზე ათასჯერ უფრო ძვირფასია – მისი მომყვანი, ადამიანი. ჯერ კიდევ მოუგვარებელია ჩვენში გზების, კინომომსახურების, დროული საფოსტო მომსახურების პრობლემებიც კი. დღესაც ჩვენში, ტერიტორიით ასეთ პატარა რესპუბლიკაში, ათასგვარ ტრაქტორთა და ბულდოზერთა არსებობის ვითარებაში, ზოგიერთი მაღალმთიანი სოფელი (და ზოგჯერ რაიონიც) თვეობით წყდება ბარს, ცენტრალურ მაგისტრალს. შორს რომ არ წავიდეთ, ზედ თბილისზეა მიწებებული სოფელი ბაგები. ახლა მალე წვიმებს რომ დაიჭერს, ბაგებში ასვლა უგზოობის გამო შეუძლებელი გახდება. გასაკეთებელია სულ ხუთასმეტრიანი გზა და იმასაც წლების განმავლობაში თავი ვერ მოვაბით.

ათასში ერთხელ მწყემსებს მხატვრული ბრიგადა რომ მიაკითხავს მწვანე ბალახზე ტაშ-ფანდურას გაუმართავს და იმავე საღამოს უკან დაბრუნდება, ეს კულტურული მომსახურებისათვის საკმარისი როდია. ამას წინათ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე მომიხდა ყოფნა. შენდება რკინიგზა ციმბირის გაუვალ ტაიგაში. როგორც კი ტყეში მშენებელთა თუნდაც სამიოდე კარავი გაჩნდება, ვერტმფრენს, მთავრობის განკარგულებით მაშინვე მიაქვს მათთან კინოდანადგარი სპეციალურად შერჩეული ფილმების საკმაოდ დიდი მარაგით. რომელ ჩვენს ფერმაში აქვთ მწყემსებს კინოდანადგარი? კინოს თავი დავანებოთ, რომელ ჩვენს მაღალმთიან ფერმაში ვაწვდით მწყემსებს დროულად ჟურნალ-გაზეთებს?

არაერთხელ დაისვა საკითხი უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმებისაგან თბილისის განტვირთვის შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, იოლი და ერთი ხელისდაკვრით გასაკეთებელი საქმე არ არის, მაგრამ დედაქალაქისაკენ ახალგაზრდობის „ენერგიულ“ დენას მნიშვნელოვნად შეაფერხებს.

სოფლების დაცარიელების, ქალაქად ახალგაზრდობის მასობრივი მიგრაციის პრობლემა ჩვენი დღეების საქართველოს ერთ-ერთი ურთულესი პრობლემათაგანია. ამ საკითხს კარგა ხანია ყურადღება მიაპყრეს ჩვენმა მწერლებმა. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ რომანებში ლადო მრელაშვილის „ყაბახში“, ალიო ადამიას რომანში „დიდი და პატარა ეკატერინე“, ჯანსულ ჩარკვიანის „კედელსა“ და სხვა თხზულებებში დაისვა არა ერთი საინტერესო საკითხი, ჩვენი სოფლის დღევანდელი ვითარების, მისი სიცოცხლის გახანგრძლივების გზებსა და საშუალებების შესახებ. ამ საკითხებს გონივრული ჩაფიქრება და გულისხმიერი შესწავლა სჭირდება.

სოფელი და ახალგაზრდობა – ერთის მხრივ ჩვენი არსებობის უმთავრესი წყარო, ჩვენი ბეღელი და მეორე მხრივ – ჩვენი მომავალი, ჩვენი ხვალინდელი დღეა, ყველა ჩვენგანის ზრუნვისა და ღირსების საქმედ უნდა იქცეს.

1979 წ.

სპორტულპიჭამიანი კაცი

ქუთაისში გავიზარდე.

სპორტი ჩემს ცხოვრებაში ასე მოვიდა: ომი ახალი დამთავრებული იყო. შვიდი-რვა წლის ბავშვები ქუჩაში ვთამაშობდით. ბურთი სავლე კუხიანიძის ეზოში გადაგვივარდა. ბურთის გადმოსატანად ქვიტკირის მაღალ ღობეზე აფორთხებული ბიჭი მონუსხულივით ჩაჰყურებდა რაღაცას. ჩვენც არ დავაყოვნეთ და გვერდით შემოვუსხედით. სავლეს სპორტული პიჟამა ეცვა და ვარჯიშობდა. ისედაც მოწიწებით და რიდით შევყურებდით დემობილიზებულ პოლკოვნიკს და რაც ახლა ვნახეთ, ეს ხომ მეტისმეტი იყო. სავლე ვერ გვამჩნევდა. ხელებს მაღლა ისროდა, ბუქნავდა, ორბირთულებს ატრიალებდა. სპორტის კაცის ცქერით გალაღებულებს, ჩვენი „დაუძინებელი მტერი“ მეთუნუქე დომენტი გვანცელ-

აძე წამოგვეპარა. ჯერ კარგა ხანს უყურა ეზოში „მოტლინკავე“ სავლეს და მერე ჩვენ დაგვიცაცხანა: „რას მიჩერებიხართ, ავადმყოფი არ გინახავთ!?“

ჩემი ბავშვობის მეთუნუქე ხშირად მახსენდება ახლა, როცა სპორტი ადამიანის ინტელიგენტობის, მისი შინაგანი კულტურის მაჩვენებელ ერთ-ერთ მკაფიო ნიშნად იქცა.

იქნებ გაუკვირდეს მკითხველს; რა ქუჩა იყო ასე ბნელი, ამ ოცდაათი წლის წინათ დილის გამამხნევებელი ვარჯიშით გატაცებული გიჟად რომ მიაჩნდათო. მაგრამ ობიექტური კაცი ვერც ახლა მოჰყვება თავის გამოჩენას იმით, რომ თითქოს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის მასიობრობამ სასურველ დონეს მიაღწია, ახლაც ბევრი ჩაიღიმილებს ირონიულად, როცა მისი ცხოვრების წესის (სამსახური – ტელევიზორი – ძილი – სამსახური) ვარჯიშით შეცვლაზე ჩამოუგდებ სიტყვას.

მწარე სიმართლე ასეთი გახლავთ: – მე „კუსტბელთა“ სიაში ვწერივარ და კვირაში ერთხელ მაინც ფეხით მივუყვები უძოს მთის ბილიკებს. რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირად მხვდებიან ამ გზაზე სპორტულპიჟამიანი კაცები თავიანთი მართვეებით მხარდამშვენებულნი, მამა-შვილნი ლაღად მიაბიჯებენ, საუბრობენ, მინდვრის ყვავილებს კრეფენ, სუფთა ჰაერით ტკბებიან. და მაინც მინდა ვუთხრა შვილებით უცხო-ენების და მუსიკა-ცეკვის გუვერნიორთა გზებზე გაბმულ, ვუნდერკინდთა მამებს, რომ ვინც უძოს მთის გზაზე მხვდება, ვისაც სწორად ესმის ადამიანის ყველაზე ძვირფასი განძის – ჯანმრთელობის ფასი, უმეტეს შემთხვევაში ჩვენი მოძმე ხალხების წარმომადგენლები არიან.

ვისაც გაუხარდება, ჩამომართვას თავის ქებაში და ვისაც იმდენად მაინც ვუღირვარ, რომ ჩემი რჩევის გაზიარებისა თუ არა, მოსმენის სურვილი მაინც აქვს, ხმამაღლა ვაცხადებ: მე ორმოცი წლის ასაკამდე თუკი რაიმე გაკეთება მოვასწარი, ამაში ლომის წილი სპორტით ჩემს გატაცებას მიუძღვის. პროფესორის ჩაჩი ერთი დღითაც არ დამიხურავს და წიგნის ჩრჩილად არ ვქცეულვარ, მეცნიერი ბერის განმარტოებით არასოდეს მიცხოვრია და ამქვეყნიურ სიამეთ არ მოვრიდებივარ. ყველაზე ხშირი კითხვა, რომელსაც ახალგაცნობილთაგან ვიღებ, ასეთი გახლავთ: როგორ ასწრებ, ალბათ ღამეს ათენებ სტრიქონზეო. იქნებ მთლად სატრაბახოც არ იყოს მუზებთან ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ გულახდილად გეტყვით – სტრიქონზე არასოდეს ღამე არ გამითენებია. თუ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზი ხელს არ მიშლის, როცა ძილია საჭირო, მძინავს.

არ ვიცი, როგორ ეტევა სამედიცინო-ფიზკულტურულ წესებში, მაგრამ თუ ვინმეს აინტერესებს ჩემი დღის რეჟიმი ასეთი გახლავთ. შვიდ საათზე ვიღვიძებ და ცხრა საათამდე ვმუშაობ (ვწერ ან ვკითხულობ), ცხრა საათზე ავიკიდებ ჩანთას და მივაშურებ სპორტულ არენას: მონაცვლეობით ერთ დღეს ვცურავ ვაკის საცურაო აუზში, მეორე დღეს კუს ტბაზე დავრბივარ საშუალოდ ხუთ კილომეტრს. მერე მივდივარ

სამსახურში და საღამოთი დაწოლის წინ ერთი საათის განმავლობაში ვსეირნობ გამარჯვების პარკში. შაბათ-კვირას განწყობილების მიხედვით ან ტენისს ვთამაშობ ან ტურისტულ ლაშქრობაზე (ფეხით ან ცხენით) მივდივარ. ეს არის სულ. აქ აღარაფერს ვიტყვი იმის შესახებ, რომ დღის განმავლობაში დაღლილობას როგორც კი ვიგრძნობ, სადილობამდე შინ ჰანტელებით წავივარჯიშებ და გრილ შხაპს გადავივლებ. შხაპი ძალიან მიყვარს და თუ ქალაქში ცხელა, ხანდახან დღეში ხუთ-ექვსჯერ მივაშურებ აბაზანას. მომკურნალეთა რიცხვს ჯერჯერობით არ ვეკუთვნი. სანატორიუმთა „რკინის წესები“ არ მიზიდავს. ზამთრის უმეტეს დროს (თუ დრომ და საშუალებამ ხელი შემიწყო) ბაკურიანში ვატარებ (რა თქმა უნდა, მისვლა-მოსვლის წესით; სამსახურის საქმეს რომ ზიანი არ მიადგეს), ხოლო ზამთარში თბილისში ყოფნას ვარჩევ და იშვიათად ათი-თორმეტი დღით ზღვის სტუმარი ვარ.

სპორტი მარტო სხეულის გაკაჟებას კი არ ემსახურება, იგი ნებისყოფის წრთობის საშუალებაც არის. სპორტს სულსწრაფნი და მოუთმენელნი არ უყვარს. „ჩავითრევ“ ზოგჯერ ქონით შეწუხებულ ჩემს კოლეგას ფიზკულტურულ მოძრაობაში. ავიყოლიებ, დავადგები დილით თავზე, გაბურბუსალებულს ჩავსვამ მანქანაში და კუს ტბისკენ გავიტაცებ. სუფთა ჰაერი და მოძრაობა კარგ გუნებაზე დააყენებს. მოსწონს და პირობას მაძლევს, რომ ვარჯიშს არ მოეშვება. ერთი კვირის შემდეგ პროფილით სარკეში ცქერას იწყებს და შეშფოთებულია, რომ „სასუხიშვილე“ ტანს ასე ჩქარა ვერ მიაღწია. „სირბილს უმატე, ჭამას უკელი“, – ჩავჩიჩინებ მე, მაგრამ პირიქით იქცევა, ცოტა რომ ამოძრავდა, ჭამის მადაც გაეღვიძა და ყბებს დიდ გასაქანს აძლევს. ერთი თვის მერე სასოწარკვეთილი ანებებს თავს ფიზკულტურას და სხვებსაც დიდი სერიოზულობით უმტკიცებს, რომ მას ღიპი უმოძრაობისა და მგლის მადისაგან კი არ დაედო, არამედ ჯიში აქვს ასეთი და „გენს“ ვერაფერს მოუხერხებს. ასე მთავრდება მისი ფიზკულტურული აფეთქება: ნებისყოფა არ ეყო. სიზარმაცეს ვერ სძლია. ცოტა რომ მოეთმინა, ექვს თვეში სულ სხვა კაცი იქნებოდა და სამედიცინო სამსახურს აღარასოდეს შეაწუხებდა ქოშინისა და ჰაერის უკმარისობის აჩემებული ჩივილით.

როგორც ახლა მიაჩნიათ კულტურულ წრეებში უზომო ჭამითა და უმოძრაობით გამოწვეული სიმსუქნე პროვინციალობად და ადამიანის დაბალი შეგნებულობის გამოხატულებად, მალე ავადმყოფობად (მისი ზოგი სახე მაინც) უკულტურობად იქნება მიჩნეული. „ჯენტლმენი ავად არ ხდება“, – იტყვიან ინგლისელები. ამ ხუმრობით ნათქვამში ჭეშმარიტების მარცვალიც არის. თუ სისტემატურად აწრთობ ორგანიზმს, სენის მიკრობი შენს სხეულზე ფეხს ვერ მოიკიდებს.

ბევრი „ვებრძოლე“ ჩემს ბიჭს – აჩიკოს, სანამ ჩვევად გადავუქცევდი ვარჯიშს. ახლა კი ხანდახან უქეიფოდ რომ ვარ და ადგომა მეზარება, ცხრა საათზე დამადგება საწოლ ოთახში და, ბიჭი ხარ, ნუ წაიყვან კუს

ტბაზე. დეკემბრის სუსხშიც კი, თუ გაყინული არ არის, მე და ჩემი რვა წლის შვილი კუს ტბაში ვბანაობთ. სურდო რა არის, სურდოც არასოდეს ეკარება. ჩვილობისას მცივანას და მოწუწუნეს ბუნებაც გადაუხალისდა. სულ ხუმრობის გუნებაზეა. ერთხელ (ექვსი წლის იყო მაშინ) ფეხბურთის თამაშის დროს ფეხი რომ იღრძო და აღრიალდა, ყურები კინაღამ დავახიე. ტირილი და სპორტსმენი ერთად ვინ გაიგონა-მეთქი. იმის შემდეგ მის თვალზე ცრემლი არ მინახავს. დიახ, სპორტი პიროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ვაჟკაცურ თვისებებს ავლენს და აფიქსირებს.

რაც უფრო ფრთებს შლის ტრანსპორტი, ავტომატიკა და ტელემექანიკა, რაც უფრო გვშორდება ცხენი, თოხი, ბარი და კავ-სახნისი, რაც უფრო ღრმად შევდივართ ურბანიზმის წიაღში, მით უფრო საჭირო ხდება სიჯანსაღის ყველაზე იაფი წყარო – სპორტი. კუნთების მიძინება დაღუპავს მომავლის ადამიანს და ერთადერთი ხსნა ვარჯიში გახლავთ. გადარჩენის გზა ისევ და ისევ სპორტზე გადის.

მედიცინა, თუ გამოუვალი მდგომარეობა არ არის, დღეს თანდათანობით უარს ამბობს ქიმიურ წამლებზე და ავადმყოფს „ბუნებრივ“ წამლებს უნიშნავს; ფიზკულტურას, სუფთა ჰაერს, დიეტას. ათასობით წელი დასჭირდათ იოგებს, რომ ორგანიზმის ყოველი დაავადებისათვის თავისი სამკურნალო ვარჯიში შეერჩიათ. შედეგი სახეზეა: ჩემი თვალით მინახავს ასი-ასოცი წლის ინდოელები, მედიკამენტი პირში არასოდეს რომ არ ჩასვლიათ. ხშირად მიხდება სხვადასხვა სიმპოზიუმზე ყოფნა საზღვარგარეთ და იშვიათზე იშვიათად მინახავს ევროპელი მეცნიერი ან მწერალი, რომელსაც ჩემოდანში ხელის მტევნის ესპანდერი, მასაჟის თოკი და ტენისის ჩოგანი არ ედოს. სასტუმროს დიასახლისს პირველ რიგში ეკითხებიან, ტენისის კორტი ან საცურაო აუზი თუ არისო ახლოს.

ვერ წარმოიდგენთ, რა სითბო ჩამეღვრება სულში, როცა ჩვენი ქალაქის მწირ სპორტულ მანეჟებზე ვხვდები ჩემს უცვლელ „სპორტულ მეგობრებს“. – ნოდარ გურაბანიძეს, ნუგზარ ჯუღელს, ზურაბ ნიჟარაძეს, გიგლა ფირცხალავას, ალექსი მინდაძეს, შოთა შავთვალაძეს, როინ მეტრეველს, კოკი ბაქრაძეს, ვახტანგ ცინცაძეს, კორნელი დანელიას, ზურაბ ბოცვაძეს, ამირან თავართქილაძეს, გურამ გობრონიძეს, თამაზ კვირიკაძეს და სხვებს. ეს გამოჩენილი მეცნიერები, მხატვრები, ჟურნალისტები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები სპორტისთვის კი არ „იცლიან“, არამედ ფიზკულტურა მათი ცხოვრების ნაწილია, მათი დასვენების საშუალებაა და ენერგიის აღდგენის წყარო.

სანახაობასთან შეხამებული უნიკალური გამაკაჟებელი თვისებები და ის გარემოებაც, რომ სპორტი ერის უკვდავების, მისი სასიცოცხლო პოტენციის ერთ-ერთი გამოხატულებაც არის, განაპირობებს სპორტის არაჩვეულებრივ პოპულარობას.

მეც კი, მწერალს, რომელსაც ცოტა მიზეზი მაქვს რომ პოპულარობაზე ვწუწუნებდე, სიმართლე გითხრათ, გულწრფელად მეხარბება სპორტსმენის პოპულარობა. როცა დიუსელდორფის თამაშის დამთავრების ღამეს თბილისი ვნახე, გული შემეკუმშა, რა უნდა დამეწერა, რომ ეს ამოდენა ხალხი ასე აღმენთო და ქუჩაში გამომეყვანა-მეთქი.

* * *

ეს წერილი რომ დავამთავრე და „მართვეს“ რედაქციაში უნდა წამეღო, საათს დავხედე. წერით გავერთე და უკვე ათი საათი იყო. სავარჯიშოდ წასვლას ვერ ვასწრებდი. რედაქციაში მეგობრები მელოდებოდნენ. დავარღვიე ჩვეულება, ჩავიცვი სპორტული პიჟამა, დავიკავე ჰანტელები და ეზოში ჩავედი სავარჯიშოდ.

ვარჯიშით გართულმა მოვიხედე, ღობეზე ჩიტებივით შემომსხდარიყვნენ პატარა ბიჭები და შემომყურებდნენ. უცებ სად იყო, სად არა, ჩემი მეზობელი, აკადემიკოსი პ. ს. გამოჩნდა და ბავშვებს დაუცაცხანა. ბიჭები პარტყა-პურტყით გადაცვივდნენ ღობიდან.

არ გამიგონია, რა უთხრა ჩემმა მეზობელმა ბავშვებს, მაგრამ რატომღაც ჩემი სიყრმის ქუთაისელი მეთუნუქე გამახსენდა და გამეცინა.

1982

სოკრატედან დღემდე

როგორც იქნა, შეივსო დარბაზი და ლექტორიც მოვიდა. ადგილკომის თავმჯდომარემ აუდიტორიას აუწყა – „ცოდნის“ ლექტორი ლექციას წაგვიკითხავსო, და ორატორმა პირველი წინადადება რომ დაამთავრა ყველასაგან შეუმჩნევლად გაეშურა თავის რთულ ადგილკომურ საქმეებზე.

პირისპირ დარჩნენ მოქადაგე მეცნიერი და საათიანი დუმილისთვის განწირული მსმენელები.

ლექტორმა პირველი ეფექტის მოსახდენად რამდენიმე ანტიკური ანდაზა სტყორცნა დარბაზს, მერე მისანივით ხელდაჭდეულმა ჭერს გაუშტერა თვალი და განაგრძო:

სერიოზული სახით მსჯელობდა პაწაწკინტელა ჭეშმარიტებებზე, ლაპარაკობდა დუნედ, მოსაწყენად, ერთხელაც არ დაინტერესებულა, უსმენდნენ თუ არა.

როცა დაამთავრა, ჭერს მიაშტერა მზერა და ღიმილით იკითხა:

– ალბათ, შეკითხვები გექნებათ.

ლექტორს უყვარს, შეკითხვებს რომ აძლევენ და მისი ნათქვამით დაინტერესდებიან.

შეკითხვა არ ჩანდა.

– ნუთუ შეკითხვა არა გაქვთ? ნუთუ ყველაფერი გასაგები იყო? – შეშფოთდა ლექტორი და უხერხულობის გასაფანტავად დაუმატა:

– მკითხეთ, ნუ მომერიდებით!

– პატივცემულო, – წამოდგა ვიღაც უკანა რიგიდან.

ლექტორმა ყურადღება გაამახვილა.

– პატივცემულო, ხომ არ შეგიმჩნევიათ, ჩემი ქუდი ხელს ვინ გააყოლა?

ლექტორი გაშრა, ასეთ შეკითხვას ნამდვილად არ ელოდა, დარბაზში აქა-იქ მოგუდული სიცილი გაისმა.

– რაღა მე უნდა შემემჩნია თქვენი ქუდის ქურდი? – კითხვა შეაგება ლექტორმა.

– რა ვიცი, პატივცემულო, ... ჩვენ ყველას გვეძინა, მარტო თქვენ ორი ფხიზლობდით, თქვენ და ის ქურდი.

დარბაზი ახარხარდა.

ეს რა თქმა უნდა, ანეკდოტია, მაგრამ რაკი ეს ანეკდოტი გაჩნდა, თქვენ „ცოდნის“ ლექტორებს, ღიმილთან ერთად ამ ამბავმა სევდაც უნდა მოგვგვაროს.

როგორც ჩანს, ლექციური პროპაგანდის ჩვენს ამ კეთილშობილურ საქმიანობაში ყველაფერი რიგზე როდია.

იქნებ მოძველდა ლექცია, როგორც ცოდნის გავრცელების და მასებზე ზემოქმედების ნაცადი ფორმა?

იქნებ რადიოსა და ტელევიზიის გაჩენამ მოდიდან ნელ-ნელა გაისტუმრა მსენელებთან „ცოდნის“ პორტფელით მისული მოლაპარაკე მეცნიერი?

ზოგიერთ თეორიულ სემინარზე გამკრთალი ეს მოსაზრება კრიტიკას ვერ უძლებს.

სოკრატეს დროიდან დღემდე ლექცია – უშუალო კონტაქტი მსმენელსა და ლექტორს შორის – დიახაც არის სწავლებისა და გაგებინების ერთ-ერთი უნიკალური ფორმა.

ლექციის მოძველების ამ თეორიის მომხრენი ამაოდ ირჯებიან. ყოველი კარგად წაკითხული ლექცია მათი „შეხედულების“ გამაბათილებელი არმუგუმენტია. უმჯობესია ჩვენი არსენალის გაფერვა-გაფხიანებაზე ვიზრუნოთ და ჩვენი ლექციის დონე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს მივუსადაგოთ.

ცოდნის პროპაგანდის ფორმებისადმი შემოქმედებითი მიდგომა ლექტორის ორატორულ და ტექნიკურ საშუალებათა სრულყოფა და მასების დარწმუნების ახალი, თანამედროვე გზების ძიება ჩვენი იდეოლოგიური ცხოვრების ყოველდღიური საზრუნავია. პროპაგანდის ფორმათა ნიველირებამ, კონსერვატიზმმა, გაბედული ნაბიჯების გადადგმის შიშმა შეიძლება ზოგჯერ მიგვიყვანოს იმ სავალალო შედეგამდე, რომ თავისთავად ნათელი აზრის პროპაგანდისტულმა ინტერპრეტაციამ საწინააღმდეგო შედეგი მოგვცეს.

ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად, ჩვენი აზრით, პროპაგანდის ზოგიერთი მოძველებული ფორმა იგულისხმება.

ახლა, ჩვენს რთულ ეპოქაში, როცა ადამიანი ათასგვარი პრაქტიკულ-თეორიული საკითხით არის დაინტერესებული, საჭირო ხდება კიდევ უფრო სრულვყოთ პროპაგანდის ნაცადი ფორმა – ლექცია. ცოცხალი კამათის, თეორიული პრობლემების სადად და მისაწვდომად გაშუქების, საკვანძო საკითხების ადგილზევე განმარტების საშუალებას სხვა ფორმებზე მეტად ლექციური პროპაგანდა იძლევა. თავდაპირველად მისი საშუალებით ხდებოდა ყველა დიდი მოძღვრების, თეორიული სისტემების მიტანა ხალხის ფართო მასებამდე, ასე იყო ანტიკური ფილოსოფოსებიდან მოკიდებული ჩვენს დღეებამდე. რა დასამალია და ჩვენში უკანასკნელ ხანში ლექციურმა პროპაგანდამ ნაწილობრივ დაკარგა ის ცეცხლოვანება და მგზნებარება, რაც მას ტრადიციულად ჰქონდა და თუ აფიშაზე აღიარებული, სახელმოხვეჭილი მეცნიერისა და ლექტორის გვარს არ ვიხილავთ, დიდი ხალისით როდი შევდივართ ლექციის მოსასმენად. სახელმოხვეჭილი და აღიარებული მეცნიერი კი (მცირე გამონაკლისის გარდა), საინტერესო ლექციას მოწადინებული მსმენელის გულდასაწყვეტად, იშვიათად იცლის სოფლის კლუბებსა და მუშათა აუდიტორიებში ლექციების წასაკითხად.

ლექტორი და მეცნიერი შემთხვევით არ გვიხსენებია ერთად. ლექციის წაკითხვას, ორატორულ ხელოვნებას, მჭევრმეტყველებას, საკითხის ღრმად, მეცნიერულად ცოდნის გარდა, სხვა თვისებებიც სჭირდება. ამიტომაც იშვიათად როდი გამოვსულვართ ამა თუ იმ დიდი მეცნიერის ლექციიდან უკმარისობის გრძნობით. ლექტორმა, რომელსაც ზურგს უმაგრებს საეხლოვანი მეცნიერის ტიტული, ვერ მოგვხიბლა, ვერ აგვაღელვა, უფრო მეტიც, ვერ დაგვაინტერესა, მას არ აღმოაჩნდა ლექტორისათვის აუცილებელი მონაცემები – სადად, უშუალოდ, დამაფიქრებლად გადმოცემის, მეტყველების კულტურა.

ქართული მჭევრმეტყველების ოქროს ფონდში ინახება ი. ჭავჭავაძის ორატორული ნიჭის ბრწყინვალე გამონაშუქი: სიტყვები, წარმოთქმული წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე, გრ. ორბელიანის დაკრძალვაზე, ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე. ი. დავითაშვილის პანაშვიდზე და სხვაგან.

ილიას დიდი ავტორიტეტი XIX საუკუნის საქართველოში არამარტო სწორუპოვარი ლიტერატურულ-პუბლიცისტური შემოქმედებით, არამედ ორატორის ძვირფასი თვისებებითაც იყო გაპირობებული.

„ილია ჭავჭავაძის საჯარო ლაპარაკი რამდენჯერმე მოვისმინე. საუცხოო ორატორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა, თავი რკინის ძეგლსავით ეჭირა. მოპირდაპირეს იშვიათად შეაწყვეტინებდა და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო. ხმა ძლიერი ჰქონდა, ლოგიკის მანერა – ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი, გამგმირავი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული, მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური, მოპირდაპირის

სუსტს ალაგს ფოლადის მარწუხივით დასწვდებოდა და ჰგლეჯდა. ათრევდა და მანამდის სთელავდა, სანამ საბოლოოდ არ მოსპობდა“, – წერს ი. ჯავახიშვილი და ამ სიტყვებში არის არა მარტო ი. ჭავჭავაძის ორატორული მონაცემების გადმოცემა, არამედ საერთოდ იდეალური ორატორის დახასიათებაც.

ჩვენს აუდიტორიებს XX საუკუნეშიც არაერთი ოქროპირი ამშვენებდა. სიბრძნითა და ორატორობით გამოირჩეოდა ი. ჯავახიშვილისა და შ. ნუცუბიძის ლექციები. ქართული კულტურისა და მეცნიერების ამ ორი ძვირფასი ადამიანის მაგალითი სიტყვის კულტურით და გადმოცემის სიცხადით ბევრ სასარგებლო გაკვეთილს მისცემს ლექტორს.

ჩვენს თანამედროვეს არ უკვირს სამეცნიერო ტიტულები, მისთვის მისაწვდომია ორატორული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლების ლექციებიც. ამიტომაც, შეგვატყობს თუ არა, რომ გაცვეთილი ფრაზებით, ანტიკური ანდაზების პროვინციული მოშველიებით მონოტონურად ვესაუბრებით ათასჯერ გადაღეჭილ მოძველებულ საკითხებზე, იგი ქუდს დაიხურავს, ბოდიშმოუხდელად დატოვებს ლექციას და მართალიც იქნება.

საკამათო არ არის, რომ ჩვენს ეპოქაში საგრძნობლად ამაღლდა მსმენელის კულტურისა და განათლების დონე. ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს საშუალებით, განათლების სისტემის ქსელის გაფართოებისა და ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლების შედეგად თანამედროვე ადამიანმა კოლოსალური ცოდნა შეიძინა. დღეს იგი ერკვევა ისეთ რთულ სოციალურ-ტექნიკურ პრობლემებშიც, რაზეც ჩვენს წინაპარს ოცნებაც არ შეეძლო. ამიტომაც ლექციისათვის გამოყოფილ ორ საათს იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მიიჩნევს დაკარგულად, თუ შევძლებთ ვუთხრათ მას რაიმე ახალი, გავუღოთ ახალი სარკმელი სამყაროს შეცნობის რთულ გზაზე. გავუმხილოთ ისეთი სულიერი საიდუმლოებანი, რომლებსაც იგი შეითვისებს და გამოიყენებს, მივაწოდოთ ისეთი მასალა, რომელსაც ჩვეულებრივ საინფორმაციო ბიულეტენებში და საგაზეთო სტატიებში ვერ ამოიკითხავს.

თანამედროვე მსმენელი ლექტორისაგან არ მოითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საუბარს (ამ სიტყვის ზომაზე მეტად ფართო და დილეტანტური მნიშვნელობით), არც ქრესტომათიულ ჭეშმარიტებებს უსმენს იგი გულისყურით, მსმენელის პატივისცემა და ანგარიშის გაწევა სწორედ ის არის, რომ აურაცხელი მასალიდან გამოვყოთ ისეთი, რაც მას დაამახსოვრდება, სიახლედ მიიჩნევს და რასთანაც თავის დამოკიდებულებას დაამყარებს.

სიტყვამ მოიტანა და ზოგჯერ ჩვენი ესა თუ ის კოლეგა მსმენელთა წინაშე გამოსვლისას მალავს თავის კონკრეტულ თვალსაზრისს. თავის დამოკიდებულებას მოვლენებისადმი. რატომღაც გაურბის ლექციის კითხვისას ამგვარ სიტყვებს: „მე რომ მკითხოთ“, „ჩემი აზრით“, „მე ეს

საკითხი ამგვარად მესმის“. უსმენ ასეთ ლექტორს და ფიქრობ, რომ იგი სხვისი აზრების, „სხვათა სიტყვის“ მომტანია და სხვა არაფერი. ნელ-ნელა კარგავ ინტერესს მისი ლექციისადმი და ზოგჯერ პიროვნებისადმიც. მსმენელს კი, სწორედ ლექტორის ორიგინალური შეხედულება, მისი საკუთარი აზრი აინტერესებს. საჭიროა ყოველთვის გაბედულად მივანიშნოთ მას ჩვენს თვალსაზრისზე, პოზიციაზე და საჭიროების შემთხვევაში ჩვენი განსხვავებული აზრის დასაბუთებაც ვცადოთ. რასაკვირველია, განსხვავებული „განსხვავებული თვალსაზრისის დასაბუთება“ სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ლექტორი „ფილოსოფიური“ ჩხირკედელაობის გზას, საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების განსაზღვრისას ორაზროვანი მინიშნების გზას დაადგეს, მაგრამ ლექცია სწორედ იმით განსხვავდება კანონთა ლიტანიური ქადაგებისაგან, რომ სწავლულ კაცს საკუთარი დაკვირვების, საკუთარი აზრის გაცხადების საშუალებას აძლევს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლექციის კომპოზიციის, სტრუქტურის საკითხი, რატომღაც ხშირად ბრმად ვენდობით ჩვენს მეცნიერულ ინტუიციას და ლექციის მომზადებისას ცოტას ვფიქრობთ მის არქიტექტონიკაზე. ზოგჯერ ლექტორი ლაპარაკობს საინტერესოდ, შთამბეჭდავად, მოაქვს ეფექტიანი მაგალითები და ერთბაშად იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას. მაგრამ გადის დრო და რწმუნდები, რომ ლექციას აზრის კონცენტრაცია აკლია. აქ ყველაფერი მთავარის გამოკვეთას როდი ემსახურება. ლექტორმა ძალზე შორიდან დაიწყო, შესავალი ჯერ არ დაუმთავრებია და ლექციისათვის განკუთვნილი დრო კი შემოეხარჯა. დასასრულს იგი ჩქარობს, უადგილოდ ხტება მოვლენიდან მოვლენაზე, ტყავში ძვრება, რომ როგორმე „დროში ჩაეტიოს“ და სათქმელს თავი მოუყაროს, მაგრამ, რასაკვირველია, ამას ვერ ახერხებს და გაოცებულ მსმენელებს საკითხის ამოწურვას მომავლისათვის აღუთქვამს. მიზეზი? ლექტორი, რომ იტყვიან, ამ შემთხვევაში „ზედმეტმა ცოდნამ დაღუპა“. იგი სათანადოდ არ მოემზადა ლექციისათვის, არ იზრუნა, რომ თავისი ცოდნის მარაგიდან ის უმთავრესი გამოეყო, ამ ლექციისათვის რომ გამოადგებოდა. თუკი ლექტორი „ყველაფერზე ლაპარაკობს“, მსმენელი იბნევა, უჭირს ერთ თარგზე ააწყოს უამრავი ინფორმაცია, რომელსაც მეცნიერის ენციკლოპედიური საუბრიდან ითვისებს და ლექციის დასასრულს აშკარად უკმაყოფილოა, რადგან ამ მასშტაბური (მაგრამ დილეტანტური) საუბრიდან მისთვის საინტერესო საკითხზე კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო.

ზოგჯერ ხდება, რომ აუდიტორიაში მსმენელთა სიმრავლის გამო ლექციის ეფექტიანი დაწყების საშუალებას მოკლებული ხარ. ტრიბუნაზე დგახარ და ელოდები მსმენელთა დაშოშმინებას. მსმენელებში ჩურჩულს, გადაძახ-გადმოძახებას ბოლო არ უჩანს და ლოდინით დაღლილი, ხმამაღლა იწყებ ლექციას, რომ როგორმე აუდიტორიის ყაყანს გადააჭარბო და ყურადღება მიიპყრო. აუდიტორია წუთით გაირინდა, მაგრამ იმავე

წუთში შენვე გრძნობ, რომ ასე ხმამაღლა ლექციის წაკითხვა არ ივარგებს. ამიტომაც ხმას უკლებ და ჩვეულებრივად საუბარს იწყებ თუ არა, აუდიტორიაც მაშინვე აჩურჩულდება. რა მოხდა, რა შეცდომა დაუშვი? გიკვირს და პასუხი ვერ გიპოვნია. საქმე ის არის, რომ მაღალი ხმით აუდიტორიის დაპყრობა ლექციის წარმატებისათვის ძალზე საეჭვო გზაა. უნდა დაელოდო დარბაზში აბსოლუტურ სიჩუმეს, ან თუ მოლოდინმა დიდხანს გასტანა, უნდა დაიწყო ხმადაბლა, აუდიტორიაში მაშინვე სიჩუმე გამეფდება. ახლა კი შეგიძლიათ თქვა რაიმე ისეთი, რასაც მსმენელები საინტერესო საუბრის გაშლის სიმპტომად მიიჩნევენ. კარგად მოფიქრებულ დასაწყისს შეუძლია თავიდანვე გადაწყვიტოს ლექციის ბედი.

მსმენელებზე გამაღიზიანებლად მოქმედებს ლექტორის მედიდური პოზა და თვითდაჯერებული, მენტორული ტონი. ზოგჯერ ისეთი იდუმალებით, „სოლომონ ბრძენის“ მანერით გამოეცხადება ლექტორი თავის მსმენელებს, თითქოს მას, ერთადერთს ედოს ჭეშმარიტების გასაღები ჯიბეში და ახლა „ცოდნის გაცემით“ თავის მოსაწყენ მოვალეობას იხდიდეს. თუ ერთ შემთხვევაში ლექციის წამკითხველს ემჩნევა, რომ იგი საკმარისზე მეტად აფასებს თავის „პერსონას“ და ლექციას ისე მონოტონურად კითხულობს, რომ აშკარად არ იწუხებს თავს, გაუგებენ თუ არა მსმენელები, სხვა შემთხვევაში ლექციას ეტყობა, რომ ლექტორის მონდომება საზღვარს გადასცილებია: ლაპარაკობს დეკლარაციულად, ცდილობს როგორმე „დავიდეს მსმენელებამდე“.

გამოთქმით კითხვისას ოქროს ზომიერებაა საჭირო. მსმენელი მაშინვე შეამჩნევს ყალბ კილოს ლექტორის გულმოდგინე, დეკლარაციულ ღაღადისში. ლექციას ჩვეულებრივი მსჯელობის ფორმა უნდა ჰქონდეს. შეიძლება ხმას ოდნავ ავუწიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორია მრავალრიცხოვანია და კათედრაზე მიკროფონი არ დგას, მაგრამ ორატორული ილეთებით ზედმეტი გატაცება და ლექტორის ტრიბუნიდან პათეტიკური ყვირილი ყოვლად დაუშვებელია. სწორედ ამაზე ათქმევინა ა. ჩეხოვმა ერთ თავის პერსონაჟს, პროფესორს ნოველიდან „მოსაწყენი ისტორია“: „ერთსა და იმავე დროს უნდა წარვუდგე აუდიტორიას მეცნიერის, პედაგოგისა და ორატორის როლში და ცუდად წამივა საქმე, თუ ორატორი დაამარცხებს ჩემში პედაგოგს და მეცნიერს ან პირიქით“.

ლექციის კითხვისას არავინ არის დაზღვეული წამოძახებისაგან ან ადგილიდან შეკითხვების მიცემისაგან, მაგრამ ზოგიერთ ლექტორს წინასწარვე დახშული აქვს „სასმენელი“ აუდიტორიის გამოხმაურების მიმართ, არავითარ ყურადღებას არ აქცევს რეპლიკებს, მსმენელთა ზოგჯერ სრულიად უადგილო პრეტენზიებს. მართალია, შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ლექციის შეწყვეტა სასურველი არ არის, მაგრამ თუ მსმენელმა თავს ნება მისცა და ლექციაში ჩაერია, ვფიქრობ, არ შეიძლება მისი უპასუხოდ დატოვება, ლექტორი სათანადოდ უნდა ეხმაურებოდეს იმგვარ შეკითხვებსაც კი, რასაც შეიძლება მის ლექციასთან არავითარი

კავშირი არ ჰქონდეს. ზომიერად, თავდაჭერილად, მეცნიერული ტაქტით უნდა უპასუხოს რეპლიკასაც.

მსმენელთა შორის ზოგჯერ გამოერევა ისეთი კაცი, რომელიც შეკითხვებს იმიტომ კი არ იძლევა, რომ მისთვის გაუგებარი ესა თუ ის საკითხი გაარკვიოს; შეუპყრია ახირებულ, პროვინციულ სურვილს: ერთი მხრივ, თავისი განათლება უჩვენოს სხვებს, ხოლო, მეორე მხრივ, რთული, დამაბნეველი შეკითხვებით ლექტორი ჩიხში მოამწყვდიოს და საზეიმო იერით გადახედოს აუდიტორიას. უხერხულობიდან თავის დასაღწევად ამგვარ სიტუაციაში საჭიროა ისე ვუპასუხოთ მსმენელს, რომ დავუმტკიცოთ მისი კომენტარების სიმცდარე, ან შეკითხვის უადგილობა. თანაც მიკიბულ-მოკიბულ პასუხს სჯობს ზოგჯერ პირდაპირ, გულახდილად განაცხადოთ, რომ ეს საკითხი თქვენი მსჯელობის სფეროში არ შედის და პასუხისთვის თავი კომპეტენტურად არ მიგაჩნიათ.

შეკითხვებისათვის მოტოვებული დრო ლექციის ორგანული ნაწილია. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისე დახარჯოთ ლექციისათვის განკუთვნილი დრო, რომ შეკითხვებისათვის დრო არ გეყოთ. ნუ მოგერიდებათ მსმენელთა ყველაზე გულუბრყვილო, ან ყველაზე ინტრიგანული შეკითხვებისაც კი, „საშიში შეკითხვები“ არ არსებობენ.

ნუ ამოისუნთქავს შვებით ლექტორი, რომელიც ლექციის დასასრულს აუდიტორიას გადახედავს და დარწმუნდება, რომ შეკითხვები არ არის. ეს როდი ნიშნავს, თითქოს მან საკითხი ძირფესვიანად ამოწურა და ყველაფერი ნათელი გახადა. უფრო ხშირად აუდიტორიის დუმილი იმის დასტურია, რომ ლექციამ მიზანს ვერ მიაღწია. ლექტორმა მსმენელი ვერ ააღელვა, ვერ დააფიქრა.

ლექცია უნდა იყოს პოლემიკური, მაგრამ პოლემიკის ნაცადი ხერხების დაცვითა და მეცნიერების მაღალი ღირსების პატივისცემით გამსჭვალული. უტაქტობაა ლექციის კითხვის დროს საკუთარ მეცნიერულ „აღმოჩენებზე“ ვრცელი საუბარი. არანაკლები უტაქტობაა ტრიბუნის გამოყენება რომელიმე მეცნიერთან თუნდაც წმინდა მეცნიერული პოლემიკის გასამართავად, კოლეგის შეხედულებათა გაბიაბრუება ან მისი უპატივცემლოდ, ირონიულად მოხსენიება. მსმენელს უპირველესად ახალი აზრის მოსმენა ამა თუ იმ საკითხის გაშუქება აინტერესებს და არა მეცნიერული ლაბორატორიის რთული ლაბირინთები, ან ურთიერთობათა უადგილო რკვევა.

არსებობენ „პირქუში“ ლექტორები. მათ რატომღაც მიაჩნიათ, რომ ლექციის კითხვის მთელი სერიოზულობა გამორიცხავს ენაწყლიანობას, ლირიკულ გადახვევებს, იუმორის მოშველიებას. ამიტომაც ისინი გულმოდგინედ ცდილობენ არ გადაუხვიონ ლექციის კითხვის „აკადემიურ“ გზას და უნებლიე ხუმრობის ჩართვით მსმენელთან ფამილარული კონტაქტის დამყარების საშიშროების წინაშე არ აღმოჩნდნენ. პრაქტიკა სრულიად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს. მეცნიერულ-შემეცნებითი ღი-

რებულების საუბარი, რომელიც ალაგ-ალაგ განათებული არ არის ლექტორის მკვირცხლი გონების შუქით, საინტერესო ჩანართებით ან იუმორით, მკითხველს ღლის და ლექციის აღქმას უძნელებს.

ცნობილია, თუ რა ოსტატურად იყენებდნენ თავიანთ გამოსვლებში იუმორს ჩვენი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები, რა შთამბეჭდავად მოქმედებდა მსმენელებზე მათ მიერ მოშველიებული ფრაზები და ზოგჯერ მთელი პასაჟებიც მ. სალტიკოვ-შჩედრინის, ნ. გოგოლისა თუ ა. ჩეხოვის ნაწარმოებებიდან.

სრულყოფილი ლექციის კითხვისას მეორეხარისხოვანი კომპონენტები არ არსებობენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლექციის გარეგნულ მხარეს – ჟესტიკულაციას, ხმას, პაუზებს და, ასე გასინჯეთ, ლექტორის ჩაცმულობასაც. ანტიკურ ორატორულ ხელოვნებაში ცუდ ტონად იყო მიჩნეული დემოსის წინაშე გამოსვლისას მოძრაობა და საუბრისას ხელების მოშველიება. არა მხოლოდ ჟესტიკულაციაზე ამბობდა უარს კარგი ორატორი, მას გამომეტყველებაც, მიმიკაც კი არ უნდა შეცვლოდა. დღეს უცნაურად გვეჩვენება გაშეშებულ მდგომარეობაში ლექციის კითხვის მოთხოვნა, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა არასასურველ ეფექტს სტოვებს მსმენელზე, როცა ლექტორი ანგარიშმიუცემლად, წამდაუწუმ იქნევს ხელებს, ლექციის კითხვის მანძილზე წამდაუწუმ ხელით ივარცხნის ქოჩორს, ან, თითქოსდა საუბრისათვის მეტი უშუალობის მისანიჭებლად, გაუთავებლად დააბიჯებს წინ და უკან.

ლექტორი დიდ პასუხისმგებლობასა და ყურადღებას უნდა იჩენდეს თავისი ლექციის გამომსახველობითი მხარის მიმართ. უნდა გამონახოს დრო იმისათვის, რომ ერთხელ მაინც მაგნიტოფონზე ჩაიწეროს თავისი ლექცია და ფონეტიკურ თუ აზრობრივ ნაკლოვანებათა შემჩნევისა და გამოსწორების მიზნით რამდენჯერმე მოისმინოს. თავის თავზე ამგვარი მუშაობის შედეგად შეიძლება აღმოიფხვრას ზოგიერთი ლექტორის მეტყველებაში ავადმყოფურად, სამუდამოდ ჩაჭედილი აკვიატებული ფრაზები თუ შორისდებულები („მაშასადამე“, „რასაკვირველია“, „იმის არ იყოს“, „მოგეხსენებათ“, „ისა“, „ასე ვთქვათ“ და სხვა მრავალი), რომელთა უსისტემო გამეორება საგრძნობლად ამცირებს ლექციის ხარისხს. ლექტორის ჩაცმულობაზე საუბრის ჩამოგდებამ იქნებ ღიმილიც გამოიწვიოს მკითხველებში, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამ საკითხზე დაფიქრება გვაწყენდა. მსმენელებთან ლექტორი მიდის, როგორც ოფიციალური პირი, მეცნიერების ქურუმი, ინტელიგენციის წარმომადგენელი, ამიტომაც არც ძალიან შინაურული მისვლა ივარგებს და არც გამოპრანჭვა. ლექცია აზრის, ცოდნის დემონსტრირებაა და ლექტორის ჩაცმულობაში ყურადღებას ზედმეტად არაფერი არ უნდა იქცევდეს. სასურველია გვეცვას სადად და ლაზათიანად. ერთ ტონში, ზედმეტი კოპწიაობისა და მყვირალა ფერების გარეშე. ევროპის ზოგიერთ უნივერსიტეტში ლექტორს ლექციაზე გრძელი შავი ტოგა აცვია, რომ მსმენელმა ყურადღება უნებლიეთ არ გადაიტანოს მისი ჩაცმულობის ელეგანტურობაზე, პერანგ-ჰალსტუხის ფერსა და მოყვანილობაზე.

რამდენადაც არასრულფასოვანია და ხშირად უტაქტობადაც ითვლება მეცნიერული ან საანგარიშო მოხსენების ზეპირად გადაცემა, იმდენადვე მიუღებელი და დაუშვებელია ჩვეულებრივი ლექციის ტექსტის წაკითხვა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). როცა ლექტორი ტრიბუნაზე შედგება, ჩანთიდან სქელტანიან საქაღალდეს ამოიღებს, დინჯად გადაშლის და მედავითნესავით თავაუღებლივ კითხულობს, მაშინვე შეუძლია იგულისხმოს, რომ მისმა ლექციამ უკვე დაკარგა წარმატების შესაძლებლობის ნახევარი. მსმენელთა დიდი ნაწილი მაშინვე ადუნებს ყურადღებას ამგვარი ლექციის მიმართ. წინასწარ დაწერილი ტექსტის განუწყვეტელი კითხვა ლექტორის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე როდი მიგვითითებს, პირიქით, იმის დასტური უფროა, რომ იგი უპასუხისმგებლოდ მოიქცა, თავი არ შეიწუხა თავისი ლექციის შესწავლისათვის. მეხსიერების სისუსტის მოშველიება აქ საბუთად ვერ გამოდგება. არავითარი სიძნელე არ არის იმის დამახსოვრება, რაც შენეულია, შენი შესწავლის ნაყოფია, რა დარგშიც კომპეტენტურად მოგაქვს თავი. ლექციის სპეციფიკური ხასიათის შესაბამისად შეიძლება დიაგრამების, ციფრობრივი მონაცემების მოშველიება, ციტატის სიზუსტისთვის კონსპექტში ჩახედვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლექტორი აუდიტორიას მოწყდეს და ანგარიშმიუცემლად იკითხოს. ლექცია მსმენელისა და ლექტორის აუცილებელი ერთობლიობაა. ამიტომ არის გაუხუნარი ლექციური პროპაგანდის ფორმა. იგი ცოცხალი სიტყვის, აზრთა გაცვლის, საინტერესო დიალოგის არნახულ საშუალებებს იძლევა. ამიტომაც უწევს კარგი ლექტორი ანგარიშს აუდიტორიას, მის განწყობას, ინტერესების სფეროს. ლექციის კითხვისას ყურადღებიანი ლექტორი ამჩნევს, როგორ იმოქმედა მისმა ნათქვამმა აუდიტორიაზე. ეთანხმებიან თუ არა მას, საჭიროა თუ არა ხელმეორედ გაშიფროს და განმარტოს ესა თუ ის აზრი. როცა ლექტორი მის წინ გადაშლილი ქაღალდების გროვაზეა მიჯაჭვული, მსმენელსა და მკითხველს შორის კონტაქტი ირღვევა, ჩნდება ინტერესების შენელებისა და, თუ გნებავთ, უნდობლობის ნაპრალი. ლექცია შემოქმედებითი საუბრის ფორმას კარგავს და „გაძლების“ სარკასტულ სახეს იღებს.

ლექტორი უნდა ერიდოს ზედმეტად სპეციალიზებულ, ვიწრომეცნიერულ საუბარს, არ დაუშვას შაბლონად ქცეული ზედმეტად აღტაცებული სტილი.

საჭიროა ლექტორი სისტემატურად ხვეწდეს და საჭიროების შემთხვევაში აახლებდეს თავის ლექციას, ამდიდრებდეს ახალი ფაქტებით და მეცნიერული აღმოჩენებით. მარტო მეცნიერული ცნებები კი არა, ზოგჯერ ტერმინებიც ძველდება. ზოგიერთი ჩვენი კოლეგა ოციოდე წლის წინათ შედგენილ და ერთხელ და სამუდამოდ დაზუსტებულ თავის

ლექციას წლების განმავლობაში დაატარებს აუდიტორიიდან აუდიტორიაში და ეს გაყვითლებული, გაცრეცილი ქაღალდები სავსეა მოძველებული შეხედულებებით, მოდიდან გამოსული ტერმინებით. რა შეიძლება ითქვას ამგვარი ლექციის ხარისხზე? ლექტორმა არ გაიმდიდრა ცოდნა, არ სრულყო თავისი ლექციის მეცნიერული ღირებულება, შედეგიც არ დააყოვნებს: მსმენელი ირონიული ღიმილით ტოვებს ამგვარი ლექტორის უინტერესო ლექციას.

რასაკვირველია, ლექცია შემოქმედებითი უნდა იყოს და ლექტორის ორიგინალურ დაკვირვებებს შეიცავდეს, მაგრამ „წრეგადასული გაბედულება“ სასურველი არ არის. ორიგინალური თვალსაზრისი ასატან ნორმებს არ უნდა სცილდებოდეს და მოსაწყენ ჩხირკედელაობაში, ან ახირებულ „სიახლეში“ არ უნდა გადაიზარდოს.

ლექცია დიდი პროპაგანდისტული გაკვეთილია და რა თემაზეც უნდა იყოს იგი, მოითხოვს ლექტორის მკვეთრად გამოხატულ პოზიციას. ლექტორის საუბარს არა მარტო მეცნიერული სიახლის მასებამდე მიტანის პრეტენზია აქვს, მას სათანადო ზნეობრივი დატვირთვა და მორალური წონაც გააჩნია.

ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე ფართოდ გაშლილი გამაჯანსაღებელი მოძრაობის გამო გამოსულ ლექტორს ხშირად მიმართავენ შეკითხვებით პატიოსნების, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის, ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტულ საკითხებზე. ხშირად ლექციის თემა სრულიადაც არ ეხება ამ ამბებს, მაგრამ მსმენელები, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული ამგვარი პრობლემებით, მიმართავენ ლექტორს როგორც ოფიციალურ პირს, როგორც განათლების დარგის მუშაკს და მისგან გონივრულ პასუხს მოელიან.

საჭიროა ამგვარ შეკითხვებს ვუპასუხოთ პარტიული პოზიციებიდან, ნათელვყოთ აღებული გეზის სისწორე, მსმენელს მივუთითოთ იმ გრანდიოზული შემართების სიკეთეზე, რომლის ნაყოფი ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ უბანზე უკვე თვალნათლად ჩანს და იგრძნობა.

ლექციური პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა ამ საქმისადმი ხელმძღვანელობის სისტემატური გაუმჯობესება, სალექციო უწყებათა და დაწესებულებათა მუშაობის სწორი კოორდინაცია, ლექტორთა კადრების აღზრდა და მათზე მუდმივი ზრუნვა.

ძველ ფაზისში არსებობდა ორატორული ხელოვნების მსოფლიოში განთქმული სკოლა. დღეს კი ჩვენ ორატორული ხელოვნების ელემენტარულ კურსსაც კი არსად ვასწავლით. მე ვფიქრობ, ლოგიკისა და ორატორული ხელოვნების მეცნიერებას, ლექციის წაკითხვის ოსტატობას თუ სტუდენტებს არა, ასპირანტებს მაინც უნდა ვასწავლიდეთ. ასპირანტი ხომ ის კადრი გახლავთ, ხვალ-ზეგ „ცოდნის“ ლექტორი რომ იქნება და ლექტორ-საზოგადო მოღვაწის ტვირთს შეიდგამს მხარზე.

ლექტორთა დაოსტატების მიზნით კანტიკუნტად ჩატარებული თეორიული სემინარები საქმეს ვერ უშველის. მართალია, ამგვარი სემინარები ლექციის ხარისხს მნიშვნელოვანწილად აუმჯობესებს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ჩვენ შორის დადის არაერთი ლექტორი, ლექციის წაკითხვის მეთოდიკურ ანბანსაც რომ ვერ ფლობს. ოსტატობის ამაღლებაზე კი მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა ორატორული ხელოვნების გარკვეულ დონეზე მაინც დგახარ.

ბაკურიანში კულისები არ არსებობს

საქართველოში არის მაღალმთიანი სოფელი ბაკურიანი. ყოველი წლის დასაწყისში ბაკურიანს უჩვეულო სტუმრები მოაკითხავენ. საციგაო კოსტუმებსა და „დუბლიონკებში“ გამოწყობილი სამასამდე ახალგაზრდა აქ არ ამოსულა იმისათვის, რაც ბაკურიანში მთავარი საქმეა; არსად ჩანს ციგები და თხილამურები, იუპიტერების შუქით გამთბარ კლუბში იდგმება მიკროფონი და პალტომოხურული სხდომის თავმჯდომარე მომხსენებლებს მოუხმობს. მომხსენებელი ნელა, გაუბედავად იწყებს. ჩაათავებს იგი ოფიციალურ მოხსენებათა უმეტესობისათვის სტანდარტულ შესავალს და დარბაზში მდუმარების ყინული ლღვება. თავმჯდომარე ხშირად შეახსენებს დარბაზში მსხდომთ, რომ შეკითხვები მოხსენების დასასრულამდე შეინახონ და თუ ძალიან არ გაუჭირდათ, წამოძახილებსაც მოერიდონ. დარბაზში უჩვეულო სითბო იღვრება. სკამთა საზურგეზე თანდათანობით მრავლდება ნანადირევივით გადაკიდებული „ტულუპები“ და „დუბლიონკები“. მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიან ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები, მუსიკოს-შემსრულებლები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, სახელმოხვეჭილი კულტურის მოღვაწენი. ისინი ადგილიდანვე პასუხობენ შეკითხვებზე, იძლევიან ახსნა-განმარტებებს, თუ გაჭირდა, მიკროფონთან მიდიან და ვრცელ საქმიან სიტყვას ამბობენ. იწყება ახალგაზრდა შემოქმედთა ბაკურიანის ტრადიციული სემინარები:

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა პ ო ე ტ ი – ამა და ამ ჟურნალის რედაქციაში ესა და ეს ლექსები მივიტანე. მითხრეს ბუნდოვანიაო. იყოს ბუნდოვანი, მაინც დამიბეჭდეთ-მეთქი. გაგაკრიტიკებენო, გამაკრიტიკონ-მეთქი. მარტო შენ კი არა, ჩვენც გაგვაკრიტიკებენო. შევწუხდი, წამოვედი, დავწერე სამი „ნათელი“ ლექსი და მივიტანე, მაშინვე დაბეჭდეს. ახლა თქვენ მოგმართავთ, მეგობრებო, მე ის დაბეჭილი ლექსები არ მომწონს. იმ ლექსებში მე არა ვარ, ვნანობ. აი წაგიკითხავთ ამ ლექსებს, გთხოვთ ამიხსნათ, სწორად მომექცა თუ არა რედაქცია. თქვენსას დავიჯერებ, იქნებ მართლა ბუნდოვანი ვარ?!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ ს ა ხ ი ო ბ ი – თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე და სამუშაოდ პროვინციაში წავედი. ოთხი წელი იქ ვიმსახ-

ურე, თავს არ ვზოგავდი, ჩემ მიერ შესრულებული როლები რომ ჩამოგითვალოთ, გაოცდებით. ამ ოთხი წლის განმავლობაში ისეთი კლასიკური პიესების გმირები ვითამაშე, რომ გახსენებაც მეშინია. ოთხი წელი ელვის სისწრაფით გავიდა. მსახიობის ჯილდო, მოგეხსენებათ, ტაშია, გთხოვთ სწორად გამიგოთ, მე არაფერს არ მოვითხოვდი, ოღონდ დავენახეთ, ოღონდ მცირეოდენი ყურადღება მოექციათ. ჩვენით ცოტა ვინმე დაინტერესდა, ჩვენ გვაფასებდნენ მოწყალებასავით გაღებული ღიმილით, ჯიუტი სახალხო შემსრულებლისთვის პროფესიონალის მრავალმნიშვნელოვანი თავის კანტურით და მხარზე ხელის მოთათუნებით. პროვინციელი ხელოვანის ბედი ვერ ავიტანე. მე არ გამოვქცეულვარ. მე ჩემი ძალის გამოცდა მეწადა უფრო დიდ სარბიელზე, ახლა დედაქალაქის თეატრში ვმსახურობ. დიახ, ვმსახურობ და არ ვთამაშობ. სამი წლის განმავლობაში ორად ორი უმნიშვნელო როლი მომცეს, ჩემსავით სხვებიც არიან. გვეუბნებიან, გამოცდილება უნდა დააგროვოთო. დრო ძალიან სწრაფად გადის. მე შიშით ვუცქერი ჩემს თეატრალურ მომავალს. მე მუშაობა მინდა. იქნებ ახალგაზრდული თეატრი დაგვეარსებინა, ჰა?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ ო ქ ა ნ დ ა კ ე – ძეგლებიც ბერდებიან. მე არ მოგახსენებთ ხელოვნების ე. წ. „უასაკო“, უნიკალურ ქმნილებებზე, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი ხელოვნება არ ბერდება. მაგრამ ჩვენში ახლაც დგას უამრავი დრომოჭმული, ვულგარულად რომ ვთქვათ, „ხმარებიდან გამოსული“ ძეგლი. ხომ არ შეველიოთ მათ? ალბათ ადრე, როცა ისინი იდგმებოდა – არაჩვეულებრივად უპროპორციო კამეჩის ქედიანი ქალიშვილი ძნით და არანორმალურ, პათეტიკურ პოზაში გაჭიმული ახალგაზრდა მამაკაცი მაღლა შემართული ნამგლით ხელში, მაშინაც ამჩნევდნენ ამ სკულპტურული ანსამბლის კომპოზიციურ ნაკლს, მაგრამ მაშინ განგებ დაშვებულ მხატვრულ შეღავათებს იქნებ გამართლება ჰქონდა ამ ძეგლთა პუბლიცისტური, ოპერატიული დანიშნულებისა გამო, ახლა კი ჩავთვალოთ, რომ ამ ძეგლებმა შეასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი მისია და ავიღოთ ისინი.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ ი ნ ო რ ე ჟ ი ს ო რ ი: მადლობა ღმერთს, ხელოვნების იმ სფეროში, მე რომ ვმუშაობ, ჩვენი რესპუბლიკა კადრების ნაკლებობას არ განიცდის. დავამთავრე კინემატოგრაფიის ინსტიტუტი და იდეებით შეიარაღებული მივადექი მშობლიურ სტუდიას. ორი წლის განმავლობაში კინოსტუდიის ეზო ვტკეპნე სურათის მოლოდინში. მერე მოკლემეტრაჟიანი ფილმის შექმნა დამავალეს და ამჯერად სამი წლით დამასვენეს, ისინიც მართლები არიან: პროფესიონალ რეჟისორებს, კინოსტუდიის ძირითად ბირთვს საქმე ხომ უნდა? არადა შემოქმედებითი ძიება? მე ალბათ შიშის კანკალით გავაკეთებ იმ სურათს, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ვეღირსები, გავაკეთებ ყოველგვარი ექსპერიმენტის გარეშე, ტრადიციული, მკვეთრად განსაზღვრული მეთოდებით, რომ არ მიუცხოვონ და ეჭვის თვალით არ შემხედონ. არადა, კინოსტუდიაში არიან უფროსი და საშუალო თაობის ჩვენი ძვირფასი კოლეგები, რომელთა შემოქმედებითი გზა უკვე გარკვეულია. ისინი წლების განმავლობაში ერთგულად „აგდებენ“ ფილმებს. ხომ არ ავირჩიოთ ზოგი მათგანი საპატიო რეჟისორდ, იქნებ ახალგაზრდებმაც მოვიპოვოთ თითო ექსპერიმენტის, თითო სცენარის „გაფუჭების“ ნდობა?

შტატის კინომსახიობები ზოგჯერ წლიდან წლამდე უსაქმოდ არიან, ხომ არ დავაარსოთ კინოსტუდიასთან აქტიორის თეატრი? ამით მსახიობის შემოქმედებით დაოსტატებასაც ხელს შევუწყობთ, მაყურებელს საშუალებას მივცემთ სცენაზე იხილონ თავიანთი საყვარელი კინომსახიობები, და ეკონომიკურადაც სასარგებლოა.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ რ ი ტ ი კ ო ს ი – ამ დარბაზში დიდიც და პატარაც ყველა მომხრეა ობიექტური, პირუთვნელი კრიტიკისა, ოღონდ სხვისთვის. როცა სხვას აკრიტიკებენ, ეჭვიც არ გეპარება, რა სიკეთის მოტანა შეუძლია სამართლიან კრიტიკას შემოქმედისათვის, მაგრამ როცა შენ გეხებიან, საქმე ცოტა სხვაგვარადაა, შენ აღშფოთებული ხარ, სიბრაზეს ვერ მალავ, გსურს ყველას დაუმტკიცო, რომ უსამართლოდ გაგაკრიტიკეს, რომ კრიტიკოსი შენზე პირადადაა გამწყრალი და სიცრუე „მოჩმახა“, მკითხველს თვალში ნაცარი შეაყარა. ასეთ მწერალს ზოგ რედაქციაში უყურებენ, როგორც დაზარალებულ კაცს და თუ ისურვა კრიტიკოსის განქიქება, რაოდენ უხერხულიც უნდა იყოს საჯაროდ დამტკიცება იმისა, რომ იგი უშეცდომო კაცია და არავისგან „ჭკუის დარიგებას“ არ საჭიროებს, რომ მისი მოთხრობა გენიალური მოთხრობაა და გამგები უნდა, რედაქციაში ტრიბუნას როგორ არ მისცემენ, ხელს როგორ არ გაუმართავენ. და როცა მეორე დღეს, გაზეთში „მოთხრილი“ კრიტიკოსი რედაქტორთან მივა – რა მიქენით ეს ბატონო პარმენ, თქვენ ხომ იცით, რომ მართალი ვიყავიო, მას დამნაშავის იერით გაუღიმებენ და დაუყვავებენ – „რა მოხდა, ახლა ბარიბარს ხართ, ერთხელ შენ გააკრიტიკე, ერთხელაც მან გაგაკრიტიკა“, და კრიტიკოსის გასაჩუმებლად მოგონილ ამ ხრიკს ჩვენი უპრინციპო რედაქტორი პოლემიკას ეძახის. როდის უნდა შევიდეს მის თავში, რომ კრიტიკოსი ვინმეს ანგარიშს კი არ უსწორებს, არამედ ჭეშმარიტების დადგენას ცდილობს და ლიტერატურული თეთრისა და შავის გარჩევით ემსახურება მშობლიურ ლიტერატურას?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ უ ს ი კ ო ს ი: – ჩვენ გვყვანან ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორები, მაგრამ მათი სახელები ჩვენი ფრიად მუსიკალური და მაღალი გემოვნების მსმენელებიდან ძალიან ცოტამ იცის. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ მუსიკის პროპაგანდა ვერ დგას სათანადო დონეზე. ზოგიერთი კომპოზიტორს ეძახის მხოლოდ იმას, ვინც საეჭვო სიმღერებს წერს, რადგან მუსიკის სხვა ჟანრით და სხვა სფეროში იგი ნაკლებად ინტერესდება. გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანის“ მოტივზე ერთმა ჩემმა მეგობარმა სიმფონიური პოემა დაწერა. ერთხელ

როგორღაც მოხდა, რომ კონცერტზე მსმენელთა შორის ერთი ფრიად პატივცემული პიროვნება იჯდა. როცა „ყივჩაღის პაემანი“ მოვისმინეთ, იგი მომიახლოვდა და გაუბედავად მითხრა: ბოდიში, თქვენ გიორგი ლეონიძის სხვა ბრწყინვალე ლექსი მაგალითად „ოლე“ თუ წაგიკითხავთ? მე თავი დავუქნიე. ალბათ, სისულელეს ვამბობ, მაგრამ იქნებ ამიხსნათ, რატომ არის ეს სიმფონიური პოემა „ყივჩაღის პაემანი“ და რატომ არ არის „ოლე“? მე ვუთხარი, რომ ავტორმა „ყივჩაღის პაემანი“ დაარქვა. – „ოლე“ რომ დაერქმია? – მკითხა მან და ნიშნისმოგებით შემომხედა – აი, „ოლე“ რომ დაერქმია, თქვენ მიხვდებოდით, რომ ეს „ყივჩაღის პაემანია“ და არა „ოლე“?! კამათის გაგრძელება შეუძლებელი იყო. სულერთია, მე მაინც ვერ დავუმტკიცებდი მას, რაც მსურდა. მაღალი რანგის მუსიკა რომ პოპულარული გახდეს, იგი უნდა ესმოდეთ, ამისათვის საჭიროა ფართო მაყურებლის გემოვნების აღზრდა. ხშირად ნუ მოვერიდებით იმასაც, რომ უბრალო, სრულიად არაპროფესიონალური საუბრით ავუხსნათ მუსიკალურ განათლებას მოკლებულ მაყურებელს ჭეშმარიტი მუსიკის რთული ნიუანსები, მისი შინაარსი და მნიშვნელობა.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი – ლენინმა ზოგიერთ ჟურნალისტს მაღალფარდოვნება, „ინტელიგენტური ლაილაი“, ყალბი პათეტიკისკენ მიდრეკილება უსაყვედურა. ზოგჯერ გადაშლით გაზეთს და თვალში გეცემათ ყველაფრით აღტაცებული, ყველაფრით კმაყოფილი ჟურნალისტის ღაღადისი. საიუბილეო თარიღები ჩვენში იშვიათი როდია, მაგრამ ზეიმი უნდა მხოლოდ ზეიმის დროს. ზეიმსაც თავისი წესრიგი და კანონი აქვს. გეგმების ბრწყინვალედ შესრულების პატაკისა და სავსე ბეღლების გაუთავებელი ხოტბა-დიდების შემდეგ უეცრად გაირკვევა, რომ ამა და ამ კულტურის გეგმა ვერ შესრულდა კლიმატური პირობების გამო. ჩვენ არავის ვატყუებთ და თავს არავის ვაწონებთ. ჩვენ ხელებდაკაპიწებულები ვშრომობთ და რა ვუყოთ, თუ ზოგჯერ გვაქვს ჩავარდნებიც. ვინც არაფერს აკეთებს, იმას არც არაფერი ეშლება, ხანდახან ჩვენს გაზეთს აკლია ის, რასაც „საკითხავი მასალა“ ჰქვია.

ორატორთა გვარები მე განგებ არ დავასახელე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი წინადადებანი თუ მოსაზრებანი სხვადასხვა გამომსვლელთა სიტყვებში გამოკრთა, მეორეც მე უკვე ათი წელია ვესწრები ბაკურიანის სემინარებს და თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე პრობლემები დგას მის წინაშე. ბუნებრივია, ზემოთ მოტანილ კონსპექტებში ახალი თითქმის არაფერი არ არის. ამ საკითხებზე ალბათ სხვაგან, ახალგაზრდა ხელოვანთა სხვა შეკრებებზეც საუბრობენ. ეს ახალგაზრდა შემოქმედის ადგილის ძებნის, თავისი თავის დამკვიდრების ცდაა. ახალგაზრდული თვალი ახლებურად ხედავს და აღიქვამს, მისი ენერგია სწორი გზით წარმართვას მოითხოვს. მისი საქმე – გონივრულ რჩევა-დარიგებებს, მისი სინედლე და უშუალობა გულისხმიერებას და წახალისებას.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ბაკურიანის სემინარებით დიდებულ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. ამ მთავარი

ახალგაზრდა მხატვრული ინტელიგენციის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა კი არ არის, არამედ ის მეგობრული ატმოსფერო, ბაკურიანის ცხელი მზის ქვეშ ერთკვირიან ერთად ყოფნას რომ მოჰყვება. აქ ერთმანეთს ეცნობიან, ერთმანეთზე სწორი წარმოდგენის შემუშავებას ცდილობენ, პირადი კონტაქტები მათ ერთობლივ შემოქმედებით მუშაობასაც უდებს სათავეს. ბაკურიანში რეგლამენტი არ არსებობს. ვინც საქმეზე ლაპარაკობს, აუდიტორიის მხარდაჭერით და ყურადღებითაა გარემოცული, ვისაც სათქმელი თითქმის არაფერი აქვს და რომ იტყვიან, „მიკროფონს ღეჭავს“, თავაზიანად სთხოვენ, რომ სხვას აცალოს.

„ლიტერატურის დღე“, „ჟურნალისტიკის და პუბლიცისტიკის დღე“, „მხატვრობისა და არქიტექტურის დღე“, „მუსიკის დღე“, „თეატრის დღე“, „კინოს დღე“. ასეთი იყო წლევანდელი სემინარის პროგრამა. სემინარი თავისი თემატიკით, მოხსენებათა მრავალფეროვნებით და შემადგენლობით საკმაოდ მაღალი დონისა იყო. ჩატარდა იგი ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო დროს დამკვიდრებული კრიტიკული პათოსის მხარდაჭერის, პრინციპულობისა და პირუთვნელობის სულისკვეთებით.

იგი ბრმა არ არის, უსინათლოა

კარგა ხანია ავტობუსიდან ჩამოვიდა, ახლადფეხადგმული ბავშვის გაუბედავი ნაბიჯებით გადასასვლელამდე მივიდა და გაჩერდა.

სრიალი და გუგუნი წუთითაც არ შემწყდარა. ფართო პროსპექტზე ავტომანქანების ადიდებული მდინარე მოქუხს.

საათს მინის სარქველი ახადა და თითებით შეეხო.

ლექციებზე აგვიანდება.

მერედა, სულ ოციოდე ნაბიჯია უნივერსიტეტის შესასვლელამდე.

არა, არასოდეს არავისთვის არ უთხოვია: ბრმა ვარ დამეხმარეთო. არც ახლა სთხოვს. თვით კი ვერ ამჩნევენ. აქვს თვალები, საკმაოდ ფართო და ღია თვალები. მაგრამ სინათლის ათინათი არასოდეს აკიაფებულა მათს გაყინულ მზერაში.

– წავიდეთ! – მხარზე შეეხო ვიღაც.

– შენა ხარ, ჯემალ? – იცნო. განა არ იცნო თანაკურსელი ჯემალ სილაგაძე. მაგრამ საუბარს ყოველ შეხვედრისას ასე იწყებს, მერე გაუღიმებს და უმოძრაო თვალებს გაუსწორებს.

თვალები ვერ იღიმებიან.

ჩამქრალი მზე

სოფელს სარგვეში ჰქვია, სარგვეშს რომ პატარა მდინარე ჩაუდის – ყარნება.

ხმაურიანია ყარნება. ხან ბრაზდება, ხან იცინის, ცელქობს კიდეც და მის ნაპირას სიპ ქვებზე ჩამომჯდარ ბიჭს წყალს შეაშხეფებს.

ოცნებაში წასული ბიჭი გამოერკვევა და ამოიოხრებს.

მდინარესაც ჰქონია თვალები, დიდრონი, ცისფერი, ჟუჟუნა თვალები.

მდინარეც ხედავს ამ უკიდეგანო სანახებს, მზის სხივების ოქროსფერი ფუნჯით დახატულს და კითხულობს წვიმის მელნით დაწერილ ლამაზ ასოებს.

ამიტომ ბუტბუტებს გაუთავებლად.

– ყველანი წავიდნენ სკოლაში. აქამდე მამა ამშვიდებდა: ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და შენც ივლიო. მისი ტოლები უკვე მესამეში არიან. კუკურიმ როდისღა უნდა ისწავლოს?

– უსინათლოთა სკოლაში მიაბარეთო, – ურჩია მშობლებს მასწავლებელმა.

აქამდე უარს ამბობდა. სოფლიდან არ წავალ, დედას ვერ მოვშორდებიო. მაგრამ უკვე დიდი ბიჭია და მამას ეტყვის, რომ დღესვე წაიყვანოს თბილისში.

ყარნებავ, გინდა ჩემი წასვლა?

არ გამიშვა, გამინათე თვალები, ყარნებავ!

მდინარე თითქოს ყუჩდება. ქვებს შორის ნელა მიიპარება და მის მონოტონურ დუდუნში აჩიფჩიფდება ბებია – მეზღაპრე:

– „ბრმა უფლისწულმა მდინარის წყალი თვალში ამოისვა და დაუბრუნდა სინათლე“.

კუკურიმ ხელები ძირს დაუშვა. მზემ კი სწრაფად ააშრო ლოდზე დაღვრილი ცრემლგარეული წყლის წვეთები.

ალუმინის დაფა და შავი სადგისი

მას ქალაქი არასოდეს ენახა.

არც ახლა ხედავს, მაგრამ ადვილად არჩევს სოფლისაგან.

ქალაქს თავისებური გულისძგერა აქვს, დღედაღამ მფეთქავი, დაუოკებელი გულისძგერა.

– რა გქვია, ყმაწვილო?

– კუკური ვეფხვაძე.

– გინდა ისწავლო?

– მინდა.

მეტი არაფერი უკითხავთ, ხელში შავი სადგისი, შავი ალუმინის დაფა, შავი ქაღალდი მისცეს და შავ მერხზე დასვეს.

მერე იმედებში, შრომაში, სწავლაში და ძიებაში გავიდა თერთმეტი წელი.

უსინათლოთა საშუალო სკოლაში ყველამ გაიცნო, შეიყვარა იგი, ზრდილობიანი ფრიადოსანი მოსწავლე. აქვე გაეღვიძა სიყვარული მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი. ოთხი წლის განმავლობაში კედლის გაზეთ „მოსწავლეთა ხმას“ რედაქტორობდა. თანაც ლექსებს წერდა.

ლექსებს ახლაც წერს.

სკოლა წარჩინებით დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის სურვილი გამოთქვა.

მისაღებ გამოცდებზე მხოლოდ რუსულ წერაში მიიღო კარგი შეფასება, სხვა საგნები ფრიადებზე ჩააბარა. განა მარტო მიღების დროს გამოიჩინა თავი? დღეს ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველური ენების განყოფილების III კურსის სტუდენტია და ჩაბარებული ოცდაერთი გამოცდიდან ხუთზე ნაკლები შეფასება არც ერთში არ მიუღია.

„ორჯონიკიძის რაიონის ტოპონიმიკა“ – ასე ჰქვია მის სქელტანიან ნაშრომს, რომელმაც სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე დიდი მოწონება დაიმსახურა და უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომებში უნდა დაიბეჭდოს.

ხმები...

მისთვის ყველაფერს ხმა აქვს და საგნები, ადამიანები არსებობენ იმდენად, რამდენადაც ისინი ხმაურობენ, სუნთქავენ, გრძნობენ.

ხმა კეთილი... ხმა გულწრფელი... ხმა ბრაზიანი... ხმა ბოროტი... ხმა მატყუარა...

უნივერსიტეტის დერეფნებში კუკური გამართული ნაბიჯებით დადის აქ თითქოს სულ სხვა ატმოსფეროა, მყარი, საიმედო. თითქოს მეზღვაური ღელვისაგან ატორტმანებული ნავიდან მიწაზე შედგაო.

შეჩერდება, ჩაახველებს, ყურს დაუგდებს და ისევ განაგრძობს გზას.

უნივერსიტეტის შესასვლელიდან კიბეებამდე ოცდაათი ნაბიჯია, კიბეს ოცი საფეხური აქვს, მარჯვნივ ხუთ ნაბიჯზე წყლის ონკანია, შემდეგ ისევ კიბე, ორმოცი საფეხური, სამკითხველო დარბაზი; კიდევ ცოტაც და № 107 აუდიტორია.

პროფესორი პანტელეიმონ ბერაძე ანტიკურ ეპოსზე საუბრობს: „ჰომეროსი უსინათლოს, მობმულს ნიშნავს, „ილიადა“ და „ოდისეას“ ავტორის ვინაობა დიდხანს ბურუსით იყო მოცული. ბერძნული გადმოცემების მიხედვით ჰომეროსის ფსევდონიმია – „ქიოს რომ ბინადრობს, კლდოვანს, უსინათლო ვაჟკაცი ვინმე“.

აუდიტორია სურათივით გაქვავებულა.

სიჩუმეს მხოლოდ ქაღალდზე შავი სადგისის კაკუნი არღვევს. ეს კაკუნი წერტილებად იქცევა. წერტილები ასოებად და მერე თითები წაიკითხავენ.

...„ქიოს რომ ბინადრობს, კლდოვანს, უსინათლო ვაჟკაცი ვინმე“.

ჩემი შვილები ხედავენ

მეუღლე სკოლის დამთავრებისთანავე შეირთო.

ახლა ორი შვილი ჰყავს. ორი გოგონა – დალი და ლელა.

– მე ისინი არასოდეს მინახავს, მაგრამ ვგრძნობ, მეჩვენება ძალიან, ძალიან კარგები და ლამაზები არიან. უფროსი მამასავით კუშტია. უმცროსი დედასავით თვალჟუჟუნა, – ამბობს კუკური.

დედასავით თვალჟუჟუნა...

– ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს ჩვენმა გულებმა, ჩვენმა ხელებმა იპოვეს ერთმანეთი და არა თვალებმა.

დიახ, სულ სხვაა, როცა გული პოულობს გულს.

მეულლე ხედავს, მაგრამ ძალიან ცუდად, ნეგატიურად.

ბავშვები კი თვალხილულნი არიან.

– და მე მიხარია, მე ვზეიმობ, ყოველდღე უამრავ წიგნს ვყიდულობ და მინდა ჩემი შვილების საღმა თვალებმა, ჩემმა თვალებმა ყველა მათგანი წაიკითხოს.

მარადისი ღამე? არა! – დამარცხებული წყვდიადი

– ფერები...

ყაყაჩოსფერი, ლალისფერი, მტრედისფერი, მზისფერი.

რა შორი, რა მიუწვდომელი გახდნენ ისინი ჩემთვის.

ფერებიდან მე მხოლოდ შავ ფერს ვარჩევ – ღამისფერს, ყორნისფერს.

შავია ჩემთვის ზეცაც, ყვავილებიც.

ზოგჯერ საოცრად დავიღლები, მომწყინდება სიშავე და ვცდილობ, შევიძულო იგი. თვალებს დავხუჭავ – ისევ შავი ფერი, უშველებელი უკუნეთი. გავახელ...

ბედნიერები ხართ თქვენ, რომ თვალის გახელა შეგიძლიათ.

შავი ფერი ალბათ ყველაზე საშიში და ბოროტი ფერია.

...და მაინც ჩემთვის არ არსებობს ორი სამყარო: ხილული და უხილავი.

მე აისი არასოდეს მინახავს, მაგრამ სხვაზე ნაკლებად როდი ვგრძნობ გათენებას.

მე არც მთას ამოფარებულ ნახევარმზისთვის მომიკრავს თვალი, მაგრამ იშვიათად შევცდები დაღამების გამოცნობაში.

მე ვგრძნობ მეგობართა ხელების სითბოს, მესმის ჩემი ბავშვების ტიტინი და მათ ათასს ბავშვში გამოვარჩევ. მიკითხავენ წიგნს და მთელი არსებით ვუსმენ, იქნებ არ დაიჯეროთ: მე ტატოს მერნის ქროლვაც მინახავს და მერის ფერმკრთალი სახეც.

მე ვგრძნობ, ვისმენ, განვიცდი და ვხედავ!

ვხედავ: როგორ იცრიცება, პატარავდება, მარცხდება ოცდაშვიდწლიანი წყვდიადი.

1962 წ.

ღვაწლი

გაცრეცილან, გაფერმკრთალებულან ეს ძვირფასი ფურცლები. სიყვითლე მორევია ქაღალდს, გაიისფერებულა მელანი. არქივის მტვერგადაცლილი დოკუმენტები ლამაზი ქართულით გვიამბობენ შორეულ ამბავს. ფოტოებიდან გათეთრებულ კაცთა სახეები გვიცქერიან – ჭკვიანი, უძირო თვალებით და გვაფრთხილებენ, გვარიგებენ, გვასწავლიან...

მე ვხედავ კეთილშობილურ ადამიანთა გმირულ შემართებას. ვხედავ მათს უანგარო ღვაწლს. მესმის ჭაღარა ბრძენის ი. გოგებაშვილის აგერ ოთხმოცი წლის წინათ თქმული სიტყვები: „ჰაზრი კავკასიის უნივერსიტეტზედ ღრმად იდგამს ფესვებს, ვრცელდება, მწიფდება მისი სისრულეში მოყვანა. მისი განხორციელება უეჭველად მოხდება ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. მაშინ უმაღლესი სწავლის ლამპარი როდიღა ენთება ორი ათასი ვერსის სიშორეზედ, საიდანაც იგი მხოლოდ მკრთალ და თხელ ნათელს გვიგზავნის. იგი დაიწყებს კაშკაშს ჩვენ შორის, ჩვენ გვერდით“.

– ესღა აკლიათ მეამბოხე სულის ქართველებს, თავისუფალი აზრის კერა გავუხსნათ.

– თქვენი ხალხის განათლების დღევანდელ ნიადაგზე უნივერსიტეტი ვერ იარსებებს!

ამბობდნენ ისინი, ვისი სახელებიც ხალხმა დავიწყების შავ უფსკრულში გადაისროლა და ზედ წყევლა-კრულვის სუდარა გადააფარა.

აზრი კი... აზრი მნიფდებოდა, ღვივდებოდა.

ნიკო ცხვედაძე!

სოფლის მღვდლის შვილი, მცირე ჯამაგირზე მცხოვრები ინტელიგენტი სათავადაზნაურო სკოლის აშენებას იწყებს. მეფისნაცვალსაც კი არ ჰქონია ამოდენა სასახლე. გიმნაზიისათვის? ჰმ... აქ რაღაც სხვა ამბავია... – ჩურჩულებდნენ შავფრაკიანი კაცუნები, როცა შენობის საფუძველი იხაზებოდა.

ხალხი სხვაგვარად ფიქრობდა. ეს ის ძლიერი სულის ხალხი იყო, რომელიც ვერ დააჩოქეს. ხალხი – საუკუნეებს რომ მოანათებდა რუსთაველების და აღმაშენებლების სახელით.

როგორ ფიქრობდა თვით მშენებლობის მებაირახტრე? „არ ვიცი, მოვესწრები თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი იქნება... ამოდენა შენობას სწორედ ამისათვის ვაშენებ“.

მშენებლობის ხშირი სტუმარი იყო დიდი ილია. იგი საათობით ესაუბრებოდა ნიკო ცხვედაძესა და სვიმონ კლდიაშვილს... აგურს აგური ემატებოდა, სართულს - სართული, ტაძარი ცისკენ მიდიოდა.

ერთხელ შეფერხდა მშენებლობა: მოვეშვათ, ვალში ჩავცვივდითო, – თავი წამოყვეს სკეპტიკოსებმა.

„... ნ. ცხვედაძე კი გაჯიუტებით გაიძახოდა: მოვათავებო, მოვათ-

ავებო და უნივერსიტეტსაც მოვათავსებო შიგ; გამოგვადგებაო, ჩვენ გამოგვადგებაო“, იგონებდა დავით კლდიაშვილი.

დაიდგა ძეგლი „ნიკოლოზ აღმაშენებელმა“, როგორც ნიკო ცხვედაძეს უწოდა ილიამ, წყნეთის მიყრუებულ ქუჩაზე გედივით დაფრინდა თეთრი გუმბათი.

და მაინც კედლები როდი ქმნიან უნივერსიტეტს, ხუროთმოძღვრების ბობოქარი გული კარგა ხანია ისვენებდა მიწაში, როცა ქართული უნივერსიტეტის დაბადება ეუწყა სამშობლოს.

... თვრამეტი კაცი მისჯდომოდა მაგიდას... ჩამოსულიყვნენ ისინი შორეული ნაპირებიდან, ზოგი მათგანი სამშობლოსაკენ გამოეხმო გულს პეტერბურგის თეთრი ღამეებიდან... იწერებოდა პირველი ბრძანებები, პირველი მითითებები, პირველი წესები. აი, ისიც, – „ყველასათვის სავალდებულო საგნები“, ივანე ჯავახიშვილის მიერ ულამაზესი ასოებით გამოყვანილი 1918 წელს.

... გაიზარდა, გაფართოვდა, სახელი გაითქვა!

ზოგი მათგანი, მეცნიერების ტაძრის პირველი ქურუმი, ქვის ქანდაკებად დამდგარა უნივერსიტეტის ეზოში.

ზოგი მათგანი დღესაც კათედრაზეა – თმაჭაღარა, სპეტაკი...

მოკრძალებით, სიყვარულით, პატივისცემით მოვიხსენიოთ, ვადიდოთ ღვაწლი მათი!

პრობლემები... პრობლემები...

მთელ საქართველოს აწუხებს სოფლად მუშახელის პრობლემა, იშვიათია დღეს ქართველი მწერალი, რომელსაც გამოკეტილ სახლებსა და მიტოვებულ სოფლებზე არ დაეწეროს.

ქობულეთის რაიონი ამ მხრივ გამონაკლისია. მიგრაცია აქ თითქმის არ იგრძნობა, პირიქით, რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე ჭარბი მუშახელის დასაქმების პრობლემა დგას.

აქაურ სოფელს არ შეჰყრია ჩვენი სხვა სოფლების საერთო სენი – ახალგაზრდობა არ გარბის ქალაქად.

მიზეზი? სად წავა უკეთეს ადგილას. სამოთხე თუ რამეს ჰქვია, აქ არისო, ხუმრობით მითხრა რაიკომის მეორე მდივანმა რევაზ გუნთიაშვილმა. ამ ხუმრობაში ჯერ ერთი, ჯავახურისა არ იყოს, ნახევარი სიმართლეა და, მეორეც, მიზეზებზე დაფიქრებამ იქნებ სხვებისთვის სასარგებლო რაიმე აზრამდე მიგვიყვანოს.

ჩაი და ციტრუსი მაქსიმალურ ანაზღაურებას აძლევს აქაურ კოლმეურნეს თუ საბჭოთა მეურნეობის მუშას.

დიდია პირადი ნაკვეთების შემოსავალიც. „ჟიგულის“ ღირებულების კურსით რომ ვთქვათ, თავის ეზოში მოკრეფილი და სახელმწიფოსთვის ჩაბარებული მანდარინი და ფორთოხალი თითოეულ მცხოვრებს წელიწადში ორისას თუ არა, ერთი ჟიგულის ფულს მაინც შემოუტანს.

თითქმის მთელი რაიონი შემოვიარე და გულს ახარებდა მწვანე ზღვაში ჩადგმული ორსართულიანი სახლები და გლეხკაცის ეკონომიკური ღონიერების ახლანდელი სიმბოლო – „ჟიგული“ თითქმის ყველა სახლის კიბესთან.

„აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი“...

როცა მუშა ხედავს, რომ სოფლად მის გარჯას მისთვის სიკეთე და ქონება და სიხარული მოაქვს, იგი არსად წამსვლელი არ არის.

მიგრაციას საუკუნის ავადმყოფობას ნუ მივანერთ და სოფლის დაცარიელების მიზეზების ძებნას მაღლა ცაში ნუ დავიწყებთ.

„მართალია, სოფლელთა კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და კინოფიცირებულია, გზები მოკირწყლული თუ სოფლის კულტმომსახურება არ დააკმაყოფილებს, დააჯდება კოლმეურნე თავის „ჟიგულს“ და თვალის დახამხამებაში ბათუმში ან ქობულეთში ამოყოფს თავს“, – მეუბნება ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იოსებ წულუკიძე და იქვე დასძენს: „მაგრამ, მე ვფიქრობ სოფლად ახალგაზრდობის დამაგრების მიზეზი, კინო და საცეკვაო მოედანი როდი გახლავთ. მიზეზი ორ რამეში უნდა ვეძიოთ: პირველი – აქ ახალგაზრდობას საქმე აქვს, მას სოფლის ბატონ-პატრონად და მისი მომავლისათვის პასუხისმგებლად მიაჩნია თავი, ხოლო მეორე მიზეზი უკვე ზემოთ მოგახსენეთ. აქაური მიწის ბარაქისა და სხვა გარემოებათა გამოც გამრჯე მარჯვენის შემოსავალი მაღალია.

მთელ საქართველოს აწუხებს ახლა აუთვისებელი მიწების პრობლემა. ჯერ კიდევ რამდენია ჩვენს მხარეში ბარდაუკვრელი კვალგაუტანელი, ნასვენი, ჯაგებითა და კატაბალხით მოფენილი გამოუსადეგარი ადგილები.

ქობულეთის რაიონში აუთვისებელი მიწა თითქმის არ არის („თითქმის“ იმიტომ ვამბობთ, რომ არის პატარა ჭაობი, რომლის ამოსაშრობადაც ახლა ფართოდაა გაშლილი მუშაობა და მალე ისიც ამომშრალი და ათვისებული იქნება), ამიტომაც რაიონის წინაშე ახლა მთელი სიმწვავით დგას მიწის პრობლემა.

მთელი რაიონი იარუსებიან უზარმაზარ თეატრონს ჰგავს. კლდეებზე ჰკიდია სახლები და გზები. მანდარინის და ფორთოხლის ხეები ზოგან ისეთ ცხიცაბო აღმართზეა, რომ თუ წელზე თოკი არ შეიბი, თოხის მოქნევა გაგიჭირდება.

შთაბეჭდილება ისეთი გრჩებათ, რომ ყოველი მტკაველი მიწისა ათვისებულია. მამა რომ შვილს გაეყრება და ცალკე დასახლებას გადაწყვეტს, სასოფლო საბჭოს ახალი თავსატეხი უჩნდება – სამოსახლო არ არის.

„ჩვენ წინაშე ახლა მიწების ათვისების კი არა, ათვისებულის რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენების პრობლემა დგას“, – მითხრა

ბონდო ჯიქიამ და ჩემს გაკვირვებულ თვალებს („ხელისგულზე ხომ არ დაირგავთ ლიმონს-მეთქი“) რომ წააწყდა, უფრო დაწვრილებით ამიხსნა.

„დიახ, აქაური მიწა ფართობით არ გვანებივრებს, მაგრამ იგი გასაოცრად დამჯერე და ბარაქიანია, ჩვენი მეცნიერები გულმოდგინედ მუშაობენ ახლა ციტრუსთა ისეთი ჯიშების გამოყვანაზე, ამ კლიმატურ პირობებში რომ უფრო მომგებიანი და უხვმოსავლიანი იქნება. შეიძლება ნახევრად სათბურების გამოყენებით ციტრუსთა ორმოსავლიანობაზე ვიფიქროთ.

თქვენ შეამჩნევდით გზებისა და მდინარეების ნაპირებზე გამრავლებულ თხმელასა და მარმუჭს, როდესღაც აქაურ გლეხს მაღლარი ვენახი წლიდან წლამდე ღვინოდ და ყურძნად ჰყოფნიდა. იშვიათად შეხვდებით ახლა აჭარაში აქაური ვაზის ბრწყინვალე ჯიშებს მეკერენჩხს, ჩხავერს, ცხენის ძუძუს, კიბურას, მტრედოფერას, ხარისთვალას. ზოგი მტერმა და ძნელბედობამ გაანადგურა, ხან კი ჩვენვე მივივიწყეთ ჩაის ეპიდმიით გატაცებულებმა. ახლახან, გადაშენებული ადგილობრივი ვენახის მოშენების ხუთწლიანი გეგმა შევიმუშავეთ. ქობულეთის რაიონში ხე არ უნდა დარჩეს, მის ტანს კეთილშობილი ვაზი რომ არ ეხვიოს. გადაწყვეტილი გვაქვს აგრეთვე უსარგებლო, ველური მცენარეულობა ნელ-ნელა შევავიწროვოთ და მის ადგილას, გზისპირებზე და პლანტაციების გასწვრივ, ვაშლისა და მსხლის ხეები გავაშენოთ, ხომ გაგიგონიათ, ვაშლი ვაშლის ხეზე შორს არ ჩამოვარდებაო, სოფელიც ისარგებლებს და სახელმწიფოც“.

ციტრუსების „ნაცად“ მტერზე – ყინვაზე ვეკითხები.

„ყინვა კვლავ აუღებელ ციხედ, ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად რჩება. როდის მოვა და გამოგვჭრის ყელს. რას გაუგებ, მიუხედავად ჩვენი სინოპტიკოსების სიფხიზლისა, იგი ხანდახან მაინც ვერაგულად მოგვიხტება და თავ-ბედს გვაწყვლინებს, ხეების შეფუთვა (ან რამდენი უნდა შეფუთო და როდის უნდა მოასწრო) ან მწკრივთაშორის ცეცხლის დანთება (ვინ შეძლებს შუაღამისას, ყინვაში პრლანტაციებში იმდენი ცეცხლის დანთებას) ჯერჯერობით ეფექტს ვერ იძლევა. სიტყვა კვლავ ჩვენს მეცნიერებზე რჩება, ყინვაგამძლე ჯიშები უნდა გამოიყვანონ“.

შენდება, მშვენდება...

ხუცუბანში სათბური შენდება. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი სათბური მთელ აჭარაში. ჯერჯერობით 12 ჰექტარზეა გათვალისწინებული, ზამთარში ბოსტნეულით დააკმაყოფილებს ქობულეთის რაიონს და მისი სიკეთე ბათუმსაც მიწვდება. სათბურის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მანქანამ რომ ჩაიარა და აღმართს შეუყვა, ჩავილაპარაკე, გავჩერებულიყავით, გვენახა, როგორ მუშაობენ-მეთქი. ბონდომ ბოდიში მომიხადა. გუშინ აქ დავაღამე და დღესაც რომ გამოვჩნდე, ნამეტანი იქნებაო, არც გადაჭარბებული კონტროლი და შეძახილი ვარგა. ხომ გაგიგონიათ, ბევრმა „აბა ჰემ“ ურემი კლდეზე გადაჩეხაო.

მოსავლის აღების დროს რაიონში ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად ციტრუსების დროული შეფუთვა და ექსპორტირება ითვლება. მოგეხსენებათ, ციტრუსის ნაზი ნაყოფი არასწორი გადაზიდვით ან შეფუთვით შეიძლება ჩაიხუთოს და გაფუჭდეს, რაიონული კომიტეტის ინიციატივით სოფელ კვირიკეში აშენდა ციტრუსების შესაფუთი პავილიონი, რომელიც წლეულს პირველ მოსავალს მიიღებს.

ციხისძირის ცნობილი სათბური მოუვლელობით და უყურადღებობით გაჩანაგდა. ათი წელი მაინც იქნება, იგი არ მოქმედებს. მინები ჩაიმტვრა, ნიადაგი წყალმა წალეკა. გადარჩა მხოლოდ რკინა-ბეტონის კარკასი, რომელიც ერთ დროს შესანიშნავი სათბურის გარდასული დიდების ძეგლად მოჩანს. სათბურის ძველი სახით აღდგენა (ციტრუსებისათვის, რ. მ.) თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ტერასები ჩამორეცხილია და ნიადაგი გაუხეშებული. ბევრი უტრიალა რაიკომის მდივანმა ამ კარკასს, ბევრი იფიქრა და ბოლოს მისი წინადადებით ასეთი გეგმა შემუშავდა. სათბურს გრანდიოზულ საყვავილედ გადააკეთებენ. საყვავილეში ზამთარ-ზაფხულ მიაწვდიან მსურველთ აჭარის ნალკოტის მშვენებას – ათასნაირ ვარდ-ყვავილს. გადაწყვეტილი აქვთ საყვავილეში საქორწინო სახლის მოწყობა. ახალდაქორწინებულნი ყველაზე ლამაზ გვირგვინს – ყვავილების გვირგვინს დაიდგამენ თავზე.

ჩაქვის შუაგულში მთის კორტოხზე ახლახან დაფრინდა ლამაზი, თეთრი შენობა. იგი ჩაქვის ახალი საავადმყოფო გახლავთ.

ციხისძირთან ბონდო ჯიქიამ მანქანა გააჩერებინა. ზღვაზე გადამდგარი სკვერი გაიარა, ბამბუკის ჯიხურთან მივიდა და ხელი დაგვიქნია. მივუახლოვდით. „ჩვენს რაიონს რაღაც თავისებური ელფერი რომ მივცეთ, გვინდა გზის ნაპირას და სკვერებში ბამბუკის ფარდულები გავაკეთოთ. ამ ჯიხურს მხოლოდ დასვენების დანიშნულება ექნება. ბამბუკი გამძლე და ლამაზიც არის. ასეთი ბამბუკიანი დიდი სკვერი უკვე მოვამთავრეთ ქობულეთის ცენტრში, რკინიგზის სადგურის ახლოს. აბეზარი დამსვენებლებისაგან ძლივს ვიცავთ. ზოგი ბამბუკზე თავის სახელს სჭრის, ზოგი უფრო „უპრეტენზიოა“ – ბამბუკის ჯოხს აძრობს და მიაქვს“.

წელში გამართული, ჭაღარაწვერიანი დარაჯი მოგვიახლოვდა. მიხვდა, რასაც ჰკითხავდა რაიკომის მდივანი და პასუხი გაამზადა.

– რა ვქნა, ბატონო, ლოგინს აქ ვერ დავიდგამ, არა და მოიხედავ თუ არა, ამომძვრალია ბამბუკი.

– ვინ აკეთებს, ერთი დადარაჯება და დაჭერა უნდა.

– რას გაიგებ, ათასი ოხერი დადის ქვეყანაზე.

– იცით, რატომ აფუჭებენ? იმ დღესაც გეუბნებოდით, განათებული რომ არ არის.

– წუხელის დავკიდე ნათურა, პატივცემულო, და ხომ ხედავთ, მოუპარავთ, – არ დაიბნა გამოცდილი დარაჯი. – მოგეხსენებათ, ოც ქოთნის მკეთებელს ერთი მტეხელი ეყოფაო.

როგორ უვლიან ძველს

მე დავაბიჯებ კოლხეთის უძველეს მიწაზე.

მითაჟამის დროინდელ ქართულ სოფლებში ქობულეთს რომ გარს არტყია, ძალიან ფრთხილად უნდა იარო, წინაპართა ძვალთშესალაგს რომ არ დააბიჯო, როგორც იტყვიან, ყოველ წუთს მოსალოდნელია, ფეხი ისტორიაში ჩაგივარდეს.

რამდენი საუკუნეა გასცქერის ამ ციხიდან ქართველი ზღვას. ზღვა მისთვის ხან ცივილიზაციის ღია ფანჯარა იყო, ხან კი ლურჯ ზვირთებს დამპყრობელი ამოჰყვებოდა, რათა მართლმორწმუნე, მეოცნებე ხალხისთვის მონობის უღელი დაედგა.

ახლაც სტკივა აჭარის მიწას თითქმის შუაზე გაჭრილი საქართველოს იარა, ახლაც აჟრიალებს წელში სარფსგაღმა ქართული სანახების და კარდახშული, დადუმებული ეკლესია-მონატრების ხილვა.

ხშირად მიფიქრია ქობულეთის ეტიმოლოგიაზე. ვიღაცამ მითხრა, ლაზური სიტყვა „ქობალიაო“ („პურს“ ნიშნავს) მისი ძირი ქობულეთის რაიონში მდებარეობს პატარა ლამაზი სოფელი ქებულეთი, იქნებ ქობულეთსაც ქებულეთი ერთქვა ოდესღაც? ასეა თუ ისე, ორივე სახელი ქართულია და თავისებურად საამაყო.

სხვა სოფელთა სახელები ნახეთ, როგორ მოისმის მათი ჩამოთვლისას უძველესი საქართველოს ზარების რეკვა: მუხაესტატე, კვირიკე, ციხისძირი, ხუცუბანი. რა პოეტურად შეურჩევია ჩვენს წინაპარს ამ ხმაურიანი, მთის ანკარა მდინარისათვის სახელი – კინტრიში.

მე მგონი, საერთოდ ვალში არიან ჩვენი ისტორიკოსები და არქეოლოგები დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა შესწავლის საქმეში. სათანადოდ შესწავლილი და გარკვეული არაა ზღვის პირას აღმართულ ჯიხათა და ციხე-მონასტერთა ისტორია, არქეოლოგის ბარი ჯერ კიდევ არ დაკრულა ამ ციხეთა შემოგარენში.

რამდენიმე წლის წინათ გამოცდილი გიდებიც კი ხელებს ასავსავებდნენ, როცა ცნობისმოყვარე ტურისტი თეთრონისა და პეტრეს ციხეთა დანიშნულებაზე, ან აშენების თარიღზე ჩამოაგდებდა სიტყვას.

თეთრონის ციხეს ახლახან მავთულის ბადის გალავანი შემოარტყეს, წარწერა გაუკეთეს და დარაჯი მიუჩინეს. საუკუნეთა მანძილზე უპატრონოდ მდგარი ეს წარსულის უტყვი მოწმე უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, ისტორიის თბლი და საიმედო უბეში შეჰყო თავი.

რაიონის მშრომელებმა შაბათობა მოაწყვეს ციხისძირის პეტრეს ციხის მიდამოებში. ხავსი გადააცილეს მის ბებერ კედლებს, გზა გაწმინდეს და ასფალტი დააგეს. სათოფურებს ობობას ქსელი მოაშორეს. ვინ იცის, იქნებ პეტრეს ძვალმაგარმა ციხემ კიდევ გასწიოს ციხობა.

მზრუნველი ხელი დაეტყო ხინოს მთის ულამაზეს ეკლესიას, თვალებში, გამოიხედა მეათე საუკუნის ხიდმა ხუცუბანში...

ასე უვლიან ქობულეთელები ძველს და ასე პატრონობენ ახალ საქართველოს.

1977

საუკუნის მაგისტრალი

ხიფათი

ბანაკს არ სძინავს.

რადისტის კარავთან შეჯგუფულან შავწვეროსანი მუშები და მდუმარედ დაჰყურებენ მიწას.

ღამის სამი საათია, ციმბირში ამ დროს თენდება.

დილის ნიავს სუსხი შემოჰყვა, შეთქმულებივით გარინდულ სახეებს ლურჯმა ათინათმა გადაჰკრა.

მაღალი, წელში მოხრილი ფიგურა კარავს მოსცილდა და შეკრებილთ მიუახლოვდა.

– არაფერი ისმის, მურმან?

მურმან ჩემია უბნის უფროსი, გამხდარი, გრძელთითება ინჟინერი, წელში ოთხად მოკეცილა და ხის მორებიდან ფეხის გამოღებას ცდილობს.

– არაფერი, ანზორ ბატონო.

– ნორმალურად რომ ევლოთ, როდის უნდა ჩამოსულიყვნენ?

– გუშინ, საღამოს.

– მეტი ცდა აღარ შეიძლება, დაუკავშირდით ზვიოზდნის, უსტკუტიდან ვერტმფრენი გამოგზავნონ, ახლა სინათლეა და ტაიგაში ტრაქტორს ადვილად შეამჩნევენ, თუ ჩაძირული არ არის და დაღუპული არა ვართ, ორი მაშველი ჯგუფი უნდა შედგეს, ნუგზარ მგელაძეს ხუთი კაცი გაყვება, ნიას ჩაჰყევით და გეოლოგების ბანაკს მიაკითხეთ, იქნებ ღამე იქ გაათიეს, მეორე ჯგუფმა ზვიოზდნიდან უტს-კუტამდე დაზვეროს, ამ ჯგუფს რევაზ კიკაბიძე გაუძღვება.

– ანზორ ბატონო, – ფეხზე წამოდგა რევაზი.

– ზვიოზდნამდე ისინი უსათუოდ მოაღწევდნენ. შედარებით უკეთესი გზაა. მე მგონი ჩვენსა და ზვიოზდნს შორის იქნებიან. ეტყობა, სადღაც ზიმნიკმა უღალატათ („ზიმნიკს“ ციმბირელები ტაიგის გზას ეძახიან, ეს გზა მხოლოდ ზამთარში ვარგა, როგორც კი თოვლი გალღვება, მანქანა ვეღარ დადის), უკეთესია, თუ ზიმნიკს დავუყვებით და მონადირეთა კარავამდე დავზვერავთ.

მშენებლობის უფროსმა ანზორ დვალიშვილმა რევაზს არაფერი უპასუხა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე მაშველი ჯგუფის უფროსის რჩევა ჭკუაში დაუჯდა.

ანზორმა ჩემი ცნობისმოყვარეობა მეყსეულად დაკმაყოფილა: – „ანგარმშენმა“ ხემზიდი – „ტ-4“ გამოგვიყო. ეს ტრაქტორი ჩვენთვის პირდაპირ მისწრებაა, სამი დღის წინათ უსტ-კუტში ორი კაცი გავგზავნეთ ჩამოსაყვანად. მეოთხე დღეა არ ჩანან. დანარჩენი თქვენ უკვე იცით.

რა უნდა ვუთხრა. ახლა აქ „ნუ გეშინიათ“, „ხომ იცით გზაა“, „იქნებ სადმე შეიარეს“ სრულიად ზედმეტია. ამ ხალხმა თავისი საქმე იცის. მხარზე ჩამოკიდებული ფოტოაპარატი საოცრად მძიმე მეჩვენა, ჩემს ვაგონში შევედი და ჟურნალისტური მოწყობილობა ჩემოდანში ჩავალაგე, ახლა აქ აპარატების და უბის წიგნაკების დრო არ არის.

ასე დაიწყსო ციმბირში ჩემი პირველი დღე.

... სანამ თელაველმა ვანო ჯაშიაშვილმა და ბიჭვინთელმა ვლადიმერ კოვალენკომ საბუთები გააფორგეს და უსტ-კუტის სადგურიდან ახალთახალი ხემზიდი „ტ-4“ გამოაგორეს, მზე შუბის წვერზე იდგა, მაგრამ ბაიკალიდან დაძრული ღრუბლები გამალებით მოსდევდნენ მნათობს და ვეებერთელა ფთილებს ესროდნენ.

ტრაქტორი თავდაღმართზე ეშვებოდა, ლენის ნაპირამდე თორმეტი კილომეტრი გაიარეს. ციმბირის დედამდინარეს ფონი რომ ჰქონდეს, აქედან პირდაპირ გადასჭრიდნენ. ბორნამდე შვიდი კილომეტრია. მებორნე გაჭირვებულია, ამხელა ტრაქტორს ვერ გაუძლებს, ბორანი ავარიულ მდგომარეობაშიაო. უარი რომ აღარ გაუვიდა, მუქარაზე გადავიდა; უფროსს დავურეკავ და პასუხს ვაგებინებთო. სანამ ვლადიმერ კოვალენკო მებორნეს კანონებით ელაპარაკებოდა, მაინც ვანოს ტკბილმა სიტყვამ გაჭრა, თხუთმეტ წუთში მებორნე ტრაქტორისტების ღვიძლი ძმა იყო. იგი ღიღინით დადგა მებორნის სამართავ ჯიხურთან და ამ ძვირფასი ხალხისათვის ტრაქტორი რაა, მთელ ესკადრილიას დაატევდა ბორანზე.

ზვიოზდნიში გვიან ღამით ჩავიდნენ. სიბნელეში ნია-გრუზინსკაიას ვაგონი მოძებნეს და ღამე გაათიეს. დილაუთენია დაადგნენ გზას. ჯერ-ჯერობით ოცდაცამეტი კილომეტრი ცხრა საათში დაფარეს. მებორნესთან გაცდენილ დროს და „ზიმნიკის“ ჭირვეულობას თუ მხვედველობაში მივიღებთ, ცუდად არ უვლიათ. სახლამდე ნახევარზე ცოტა მეტი – ორმოცი კილომეტრი დარჩა. ორმოცი კილომეტრი აბსოლუტურ უგზოობაში, უღრან, უკაცრიელ ტაიგაში, ხუმრობა არ გახლავთ.

გამოსცდნენ თუ არ ზვიოზდნის, ჭექა-ქუხილი ატყდა და ორიოდე წუთში კოკისპირულად დაუშვა. ტაიგაში ნიაღვარი არ იცის. წყალი მიწაზე დაყრილ დამპალ ხეებსა და ხავსში უჩინარდება და დამზრალ მიწას ჭაობად აქცევს. ნესტი და ჭაობი ტაიგაში ყველაზე დიდი გვალვების დროსაც ხელუხლებელია. კოლოებისაგან თავგაბეზრებული მიაბიჯებ უსიერ ტევრში. შენ წინ მწვანეხავერდგადაკრული ჭაობია. ჩაკრავ ფეხს და შეიძლება უეცრად ყელამდე წყალში აღმოჩნდე. ამიტომაც გაუჩვეველი კაცისთვის ტაიგაში „სეირნობა“ შეიძლება ტრაგიკულად დამთავრდეს. ერთადერთი იმედი ტაიგაში მონადირის ბილიკია. ვანო

ჯაშიაშვილი ხანდახან ჩამოხტება ტრაქტორიდან და ხელის ფათურით სიბნელეში მონადირის ბილიკს ეძებს. როგორმე ამ ბილიკს არ უნდა აცდნენ, იგია ახლა ერთადერთი ორიენტირი. ტაიგამ შეტყუება იცის და ნიას ნაპირების ნაცვლად შეიძლება უკან, ტაიურას მხარისკენ გაუტიონ.

ტრაქტორი გზას თვითონ იკეთებს. ათმეტრიან ნაძვებს და კედრებს თავისუფლად აწვენს გვერდზე და ღმუილით გადადის. თუ დიდი ხე შეხვდება, ერთიორჯერ მიაწვება, მერე ჭკვიანურად დაიხევს, შემოუვლის და გზას განაგრძობს.

ტაიგა თანდათან ხშირი და გაუვალი ხდება. რამდენჯერმე უშველებელი კედარი თავზე წამოექცათ და თავდაღმადაკიდებული ტრაქტორი ძლივს ჩაიყვანეს ვაკეზე. ამ ვაივაგლახში სამი საათი გავიდა, ჯერ მხოლოდ ხუთი კილომეტრი გამოიარეს.

ტაიურას გამოღმა ლანდშაფტი მკვეთრად შეიცვალა. ოღროჩოღრო გზებისა ტრაქტორს არ ეშინია, მაგრამ მოულოდნელ ჩასაქცევებს და ციცაბო ფერდობებს ვერ უძლებს. რამდენჯერმე მოუშვეს და დაუჭირეს მუხლუხო. თავდაღმართში მუხლუხომიშვებულად ვერ ივლი. შეიძლება კბილები გორგოლაჭებიდან ამოუვარდეს და დაგორდეს, მერე მორჩა, ლენის ტალღებამდე მამაზეციერიც ვერ გააჩერებს.

დაბნელდა. გზის გაგრძელება თითქმის აღარ შეიძლება, რადგანაც ტრაქტორის სინათლე ციცაბო გზას ვერ ანათებს. გადაწყვიტეს ქვევით, ვაკემდე როგორმე მიაღწიონ და გათენებას დაელოდონ. ნიას ხევამდე რაღაც ორმოციოდე მეტრის გავლას თითქმის საათი მოანდომეს, ის-ის იყო სული მოითქვეს და კონსერვის ქილები მოიმარჯვეს, რომ კოვალენკომ მკვდრულ სიჩუმეში წყლის ბუყბუყი გაიგონა და კაბინის კარის გამოღებისთანავე იყვირა.

– ძრავა, ჩქარა! ვიძირებით – ვანომ ლუკმა გააგდო, და საჭის სახელურს მისწვდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ტრაქტორი ადგილიდან ვეღარ დაიძრა, აცახცახდებოდა ძრავა, დაიძაბებოდა, საშინელი ძალით მიაწვებოდა წინ, მაგრამ ამაოდ. ჭაობის მარწუხები თანდათან უფრო საიმედოდ ეკვროდა მუხლუხოს. თავისი სვლით მანქანის ამოყვანის ყოველგვარი იმედი რომ გადაიწურა, ბიჭებმა ტანთ გაიხადეს და გზის გაკეთებას შეუდგნენ.

ეს იყო ექვსსათიანი დაძაბული შრომა. ტრაქტორი ნელა იძირებოდა, მისი გრძელი ბორბლები ორი მესამედი უკვე ჩაფლული იყო. დრო არ ითმენდა, კოვალენკომ „დრუჟბა“ დაითრია და ხეებს დაერია. ვანომ ნიჩაბი მოიმარჯვა და ჭაობს ეცა. ჭაობისათვის უნდა დაესწრო. მუხლუხოების ძირამდე ჩაეღწია და მორებისათვის ადგილი გაეთავისუფლებინა. სამი მეტრი ჭაობის ამოთხრა რასაც ნიშნავს მხოლოდ მან იცის, ვისაც ჭაობისათვის ბარი დაუკრავს – ამოღებული მიწის ადგილი სწრაფადვე ივსება წყლით. ჭოჭყოზე ფეხს ვერ იკიდებ. წყალი ვედრით უნდა ამოხაპო, მაგრამ რამდენს მოერევი. მკლავები დააწყდა. ციმბირის ცივი, დამზ-

რალი მიწა ასე ადვილად არ ნებდება. ლობიოსმარცვლის სისხო კოლოები თავბედს აწყევლინებს. როგორც იქნა ჩააღწია ძირამდე, მაგრამ სანამ ორივენი მორებს ეზიდებოდნენ, ტრაქტორის წინ უზარმაზარი ორმო ისევ წყლით გაივსო. წელამდე წყალტალახში ჩააწყვეს მორები, მაგრამ მუხლუხომ პირველ ცდაზე კბილები ვერ მოიკიდა. საჭირო იყო უფრო ღრმად ჩასვლა ტრაქტორის ქვეშ, ჭაობში. კბილების კაწკაწით ამოყარეს მორები და ორმოში ჩაცვივდნენ. გაყინულ წყალში დგომა შეუძლებელი შეიქნა. ბრეზენტის ცივი „სპეცოვკა“ ტანზე ეკვრებოდათ. არადა, ტაიგის ცივმა ქარმა დაუბერა, სიცივე ძვალ-რბილში ატანდა.

როცა „ტ-4-მა“ მორები ჩაითრია და ცეცხლის ფრქვევით სამშვიდობოს გავიდა, ბიჭებს სიხარულის თავიც აღარ ჰქონდათ. წამალი იყო ახლა თუნდაც ნახევარი საათის წაძინება და წახემსება, მაგრამ ამ ადგილებში გაჩერება სიკვდილს ნიშნავდა.

მიდიოდა ციმბირის უღრან ტაიგაში ტრაქტორი და უკან წაქცეულ დაჩეხილ ხეებში აზელილი, შავი, ცივი ტალახის კვალს ტოვებდა.

მალე საწვავიც გაუთავდათ. მორები მიზიდეს, გარდი-გარდმო დააწყვეს, ტივივით შეკრეს და ზედ შეაყენეს ტრაქტორი. ცოტა თვალი მოატყუეს და ფეხით დაადგნენ ტაიგას.

– შორი შორს ვიაროთ, მე მგონი, ბანაკამდე ოც კილომეტრზე მეტი აღარ იქნება, მაგრამ რომელ მხარეს არიან ჩვენები, არ გინდა, გაიგო? – თქვა ვანომ.

ღამით იმ ორომტრიალში მონადირის ბილიკს ამცდარიყვნენ და როგორმე უნდა ეპოვათ. – შორს არ ნახვიდე. ნადირს არ გადააწყდე, ხანდახან სტვენით შევეხმიანოთ ერთმანეთს, – დაიბარა კოვალენკომ და ტყეს შეერია.

ტაიგაში კარგა ხანს ისმოდა სტვენისა და „ეჰეის“ ხმა, მერე ერთბაშად აღტაცების ყიჟინა მოისმა და როცა ვანომ მოირბინა, კინაღამ ელდა ეცა. კოვალენკო საწვავით სავსე კასრს ორივე ხელით ჩახვეოდა და ტიროდა.

საიდან გაჩნდა შუა ტაიგაში „სალიარკით“ სავსე კასრი?

მაშინ, როდესაც ზვიოზდნის მიდამოებში პირველი კომკავშირული დესანტი გაჩნდა, გეოლოგებმა მომავალი რკინიგზის ადგილების სეისმური პირობების შესწავლა დაიწყეს, ვერტმფრენით უღრან ტყეში რამდენიმე ადგილას ჩამოაგდეს საიმედოდ დალუქული საწვავის კასრები, რათა ტყეში გზადაბნეულ ტრაქტორს, გეოლოგთა მანქანებს ან ტყისმჭრელთა მექანიკურ ხერხებს გამოსდგომოდა.

როცა ტრაქტორისაკენ, წვიმასა და ლაფში, საწვავით სავსე კასრს მოაგორებდნენ, ვ. ჯაშიაშვილს და ვ. კოვალენკოს დაღლილ სახეებზე ძლივს შესამჩნევი ღიმილი ადგათ. ეს იყო ორმოცდახუთსაათიანი გოლგოთის დასრულების, გადარჩენის ღიმილი.

ქართული სოფელი ციმბირში

მე დავინახე, როგორ გარბოდნენ ტრაქტორისაკენ სიხარულისაგან ფრთაშესხმულნი.

– ცოცხალი ხარ, ვანო?!

– ყოჩაღ, თქვენს ბიჭობას!

ვანო პირველი გადმოხტა. გამურული სახე და ტალახით მოსვრილი ტანსაცმელი მოარიდა დამხვდურთ, თვალებით ცოლი მოძებნა და დამნაშავესავით გაუღიმა.

– შეგეშინდა, გოგო?

– რავი, რაა... ამდენხანს რატომ დაიგვიანეთ?

– საქმე იყო.

– ეგრე სად იყავით შეყუჟული, რომ ვერტმფრენმაც კი ვერ გიპოვათ.

– გაუვალი ტაიგაა. იმოტოლა ხეებში ტრაქტორი კი არა, ჯარი დაიმალება. ერთგან კინაღამ ჩავყვინთეთ.

ვანოს ცოლმა, ზვიოზდნის სადაბო საბჭოს დეპუტატებმა, საქბამმშენის საქმეთა მმართველმა თამარ შიოშვილმა ახლაღა შეამჩნია შემოჯარული, გარინდული ხალხი და ქმარს ცერად გახედა.

– რას გავხარ, კაცო, წამოდი სახლში, რა გაგრეცხავს შენ!

„სახლი“ იქვე უდგათ. სტალინგრადში დამზადებული ძველი ვაგონია მათი სახლი. ჯაშიაშვილებს გაუმართლათ, რაკი ცოლ-ქმარი არიან, ნახევარი ვაგონი დაუთმეს. „იზოლირებულად“, შუაზე გატიხრულ ვაგონში შეასახლეს. საერთოდ კი თითო ვაგონში რვა კაცი ცხოვრობს.

ვანო ჯაშიაშვილი სიტყვაძვირი კაცია და მისგან ამბის დაწვრილებით მოყოლას მაინც არ ელოდნენ, კოვალენკო კი ჩაიგდეს ხელში ბიჭებმა და კითხვები სეტყვასავით დააყარეს.

ვლადიმერი ჰყვება. სამი დღის წვალების ამბავს სამ წუთში ამთავრებს.

გზა დაგვებნა, თორემ აქამდე ჩამოვიდოდითო; ასკვნის და თუ ჯგუფს ახალი მსმენელი შემოემატა, ნიშანმიუცემლად თავიდან იწყებს. ლაპარაკობს ქართულად შესამჩნევი რუსული აქცენტით. თითქოს წუხს, რომ ტრაქტორი დროზე ვერ ჩამოიყვანა და ამხანაგები ანერვიულა. მოკლედ სჭრის, ერთ ადგილას, ჩვენი გამოუცდელობით კინაღამ ჭაობმა ჩაგვყლაპაო! გაქაჩე-გამოქაჩე, მეტს არაფერს ამბობს.

მერედა კანდამსკდარი ხელები და სიცივისაგან დალურჯებული ღაწვები? საშინელი წვალების სამი ღამე და თვალებდაქცეული ჩამომხმარი სახე? სასწაულებრივად გადარჩენილი ტრაქტორი და დამარცხებული ტაიგა?

– გაგიჭირდათ, ვლადიმერ?

– ცოტა... ბევრი არაფერი. გზის კეთებამ დიდი დრო წაგვართვა... ერთი სიტყვით, ჩამოველით... – ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს ვლადიმერი,

მაზუთით მოთხვრილ ქუდს კრიალოსანივით ათამაშებს და მშენებლობის უფროსს თვალს ვერ უსწორებს.

ქალაქ უსტ-კუტიდან ასმეორე კილომეტრზე ამ სამიოდე თვის წინათ გაჩნდა ქართული სოფელი „ნია-გრუზინსკაია“, ნია იმ პატარა ანკარა მდინარის სახელია, რომელიც სათავეს ქართული სოფლიდან ათი კილომეტრის დაშორებით იღებს და იქვე ერთვის წყალუხვ ტაიურას.

ნია ცივი და გამჭვირვალეა, როგორც ციმბირის მდინარეთა უმეტესობა. იგი იმდენად მოკლე მდინარეა, რომ აქამდე არც ერთ რუკაზე არ იყო აღნიშნული. ახლა კი ნიას სახელი წამდაუწუმ იხსენიება ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის უწყებებში, აღინიშნება სამუშაო საქმეებზე, არქიტექტორთა და გეოლოგთა დავთრებში.

ნიას ნაპირზე, სადგურ „ნია-გრუზინსკაიაში“ გაჩერდება მატარებელი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე გრძელ რკინიგზაზე გაივლის.

ნია სამუდამოდ დაუკავშირდა საქართველოს სახელს. იგი თავისი ფონეტიკური ჟღერადობითაც ძალიან ჰგავს ქართულ სიტყვას.

ქართული სადგური და თვით ბაიკალ-ამურის რკინიგზაც ჯერჯერობით მხოლოდ პროექტზე ჩანს. მატარებლის პირველ კივილამდე კარგა ხანი გაივლის. ჯერჯერობით ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ შუაგულ ტაიგაში, ძლიერი გამყინვარების ზონაში. ციმბირის პირველყოფილ მყუდროებაში ოთხმოცდათორმეტი კაცისაგან შემდგარი სოფელი გაჩნდა და გაჩეხილ ტყეში ჯიუტი ნებით დანთებული ცეცხლის კვამლი ტაიგის ზეცას წვდება.

ქართულ სოფელში დილიდან საღამომდე ნაჯახის კაკუნი და პატარა ელსადგურის დაგადუგი ისმის.

ირგვლივ კი ორასი კილომეტრის მანძილზე უკაცრიელი, გაუვალი ტყეა. თვითმფრინავის მგზავრებს უკვირთ შუაგულ ტაიგაში ჩიტის ბუდესავით გაჩრილი სოფელი.

თბილისი-მოსკოვი-ჩელიაბინსკი-ნოვოსიბირსკი-ბრატსკი, უსტ-კუტი-ნია-გრუზინსკაია – ეს მომქანცველი გზა გამოვიარე, რათა ციმბირში ქართველი კაცის სიჩაუქე, მისი მარჯვენის მადლი მენახა.

უკან დარჩა აეროპორტებში გულისგამაწყალებელი ლოდინი, ღამის გასათევი ადგილების ძებნა, თვითმფრინავის, თუ მატარებლის ბილეთისათვის ტრანსპორტის მოხელეებთან ჩხუბი.

„მე... მე ძალიან მეჩქარება, უსტ-კუტში დღესვე უნდა ჩავფრინდე“.

აქ ყველას ეჩქარება, მპასუხობენ.

„მე აუცილებელი საქმის გამო მივდივარ, ჩემთვის ყოველი საათი ძვირფასია“.

უსაქმოდ ახლა ციმბირში არავინ მიდის.

მერე ყოველგვარი სიმორცხვის ზღვარს გადავაბიჯებ და ვამბობ:

„მე მწერალი ვარ და ბამზე ლიტერატურული საღამოების გასამართავად მივდივარ“.

„თქვენ პირველი როდი ხართ, მწერლები და ჟურნალისტები ბამს, მადლობა ღმერთს, არ აკლია“. ამ სიტყვებთან ერთად აეროპორტის მოსამსახურე ქალი მიწვდის სიას იმ ჟურნალისტებისას და მწერლებისას, ვინც მესამე დღეა უსტ-კუტის აეროპორტში მოთმინებით ელის თავის რიგს. სიაში ქართულ გვარსაც მოვკარი თვალი. „იზვესტიის“ კორესპონდენტი ვალერი ქაჯაია ბამზე ჩამოსულა.

ამ აეროპორტებისა და რკინიგზის სადგურების მიხედვით რომ იმსჯელო, თითქოს მთელი ქვეყანა ბამისკენ დაძრულა.

მოდიან კომკავშირული საგზურებით ან საგანგებო მივლინებებით, მოდიან პატარა, იაფფასიანი ჩემოდნებით ხელში და ზურგჩანთებით მხარზე. სადგურებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ერთმანეთის მხრებზე მიწოლილ ახალგაზრდებს. ბელორუსიის ჯგუფი, ლიტვის ჯგუფი, ყაზახეთის ჯგუფი...

ბაიკალ-ამურის მაგისტრალი ახლა საბჭოთა კავშირის პირველ ნომერ მშენებლობად ითვლება, „БАМ - ударная стройка коммунизма“. ამ წარწერას წააწყდებით ყველგან სამშენებლო კანტორებსა და ბულდოზერის ქიმზე, ლენის საჭაპანო გემებსა და სასტუმროს კარებზე.

ეს არის უზარმაზარი დემონსტრაცია ჩვენი ახალგაზრდების გმირული შემართების, ეს არის პარტიის საქმისათვის მილიონიანი ახალგაზრდული გვარდიის მხარდაჭერის თვალსაჩინო ფაქტი.

უსტ-კუტშიც გამიმართლა. გაფრენის იმედგადაწურულს და სასოწარკვეთით თავჩაქინდრულს მხარზე ვიღაც შემეხო. ავიხედე. ჩემ წინ საშუალო ტანის, მზისაგან გარუჯული, სქელულვაშა კაცი დგას. ბუკლეს ჭრელი პიჯაკი აცვია და მწვანე, გამოხუნებული პერანგი. ეს თუ ქართველი არ იქნება, თავს მოვიჭრი.

– თბილისელი ვარ, ინჟინერი სოსო ქოჩიაშვილი. უსტ-კუტის აეროპორტში ოსტატ-მომმარაგებლად ვმუშაობ. სამშენებლო მასალითა და მანქანებით ვამარაგებ ზვიოზდნის, ნია-გრუზინსკაიას და მაგისტრალის სხვა უბნებს, – უცერემონიოდ გამეცნო, – წამოდი ჩემთან, მე გიშველი.

– აგაშენა ღმერთმა. სული მოვითქვი.

– წეღან ის ჟურნალისტი რომ ეჩხუბებოდა დისპეტჩერს, სპეციალური ვერტმფრენი დამინიშნეთო, იმ ოჯახაშენებულს ვერტმფრენი ველოსიპედი ხომ არ ჰგონია. ერთ საათს ვერტმფრენი სამოცი მანეთი უჯდება სახელმწიფოს. ესეც არ იყოს, მალე აქ ვერტმფრენით ხალხის გადაყვანა სულ აიკრძალება.

– რატომ?

– მასალის გადაზიდვას ვერ ავუდივართ.

– შენ ეს მითხარი, ჩემო სოსო, მუშახელი თუ გაკლიათ?

– ზოგ უბნებზე კი.

– ?

– ბამზე უმეტესად ახალგაზრდები მუშაობენ, ხომ იცი ახალგაზრდული ხასიათი. ყველას რომანტიკა იზიდავს, შუაგული ტაიგა, კარა-

ვში ღამისთევა, კოცონის ირგვლივ შემოსხდომა და ტკბილი მასლაათი. ჩამოფრინდებიან თუ არა, რაც შეიძლება შორს, ბაიკალის ტბის ნაპირას, ან ტაიგის სიღრმეში უნდათ დაბანაკება. აქ დარჩენა ცოტას სურს. მაგალითად, უსტ-კუტის ლენის სამდინარო ნავსადგურში (აქ „ასეტროვოს“ ეძახიან) 9 მილიონი კონტეინერია და მტვირთავები ნახევარიც არა გვყავს. დღე და ღამეს ვასწორებთ, მაგრამ მაინც ვერაფერს ვასწრებთ. მშენებლობას რომ მასალა მოაკლდეს, ტყავს ჩვენ გვაძრობენ.

– ქართული სოფელი რას შვრება?

– თქვენი თვალით ნახავთ. ამას წინათ უსტ-კუტის სარაიონო კონფერენციაზე ერთ-ერთ საუკეთესო უბნად აღიარეს.

– ვნახავ კი?

– აბა, რატომ წამოგიყვანეთ აქეთ. ათ წუთში სამშენებლო მასალით დატვირთული ვერტმფრენი გაფრინდება. იმას გაგაყოლებთ, მგზავრი მარტო თქვენ იქნებით.

როცა ვერტმფრენი ნია-გრუზინსკაიას შუაგულში, ფიცრულ მოედანზე დაეშვა, გულმა რეჩხი მიყო, პატარა აეროდრომზე ამხელა მანქანას რაინაირად უპირდაპირებს, ან რანაირად დასვამს-მეთქი.

თითქოს მიმიხვდაო. ვერტმფრენის შტურმანმა თვალი ჩამიკრა – სხვაგან ყველგან მიწაზე ვჯდები. წვიმიან დღეს ზვიოზდნის ვერტდრომზე ძალიან გვიჭირს დაფრენა. ქართველებმა, ხომ ხედავთ, ფიცრის მოედანი გაგვიკეთეს, რომ კაბინიდან გამოსვლისას ფეხი არ დაგვესვაროს.

მერე, როცა მასპინძლებს წარვუდექი და გავშინაურდი, როცა გოგი თარხნიშვილის ბრიგადის ბიჭებმა ვერტმფრენი გადმოტვირთეს და მოედანზე ასაფრენად გამზადებული უზარმაზარი ფრთებისგან დაძრული ქარი ამოვარდა, ანზორ დვალიშვილმა მითხრა:

– თუ კაცი ხარ, ამათზე დაწერე. რატომღაც ვერტმფრენის პილოტებზე არავინ წერს. არადა ქების ღირსნი სწორედ ესენი არიან. ეს არის ერთადერთი ტრანსპორტი ტაიგაში. დღედაღამ შრომობენ, დღედაღამ ჰაერში არიან. ამხელა ტერიტორიას მომსახურება არ უნდა? – მერე გაიღიმა და ყურში მითხრა: ჩვენი სიცოცხლეც მაგათ ხელშია. საკმარისია ერთი კვირით დაგვიგვიანონ პროდუქტი და ამ უკაცრიელ ტაიგაში შიმშილით ჭუკებივით ამოგვძვრება სული.

ქართველთა დაბა კომუნის წესით ცხოვრობს.

კომუნიზმის ცხოვრების წესის ნიშნები სწორედ აქ შეინიშნება.

ქართულ დაბას სამი მხრიდან უღრანი ტყე აკრავს, მეოთხე მხრიდან – მდინარე ნია.

სასმელ წყალს ნიადან წყალსაქაჩით ტუმბავენ. წყლის მარაგი ორი სავსე ცისტერნით სოფლის ზემოთ, ხელუხლებლად აქვთ. როცა ნია აიმღვრევა (რაც იშვიათად ხდება), სასმელ წყალს მარაგიდან ხმარობენ.

პროგრამა-მაქსიმუმი ასეთია: ქართველები ციმბირში ააშენებენ

ცხრაასი კაცის საცხოვრებელ დაბას და რკინიგზის სადგურს, დაბასა და სადგურს აპროექტებს არქიტექტორი ვლადიმერ ქურთიშვილი.

პროგრამა-მინიმუმი: – ამ წლის ბოლოსათვის უნდა დაამთავრონ საცხოვრებელი სახლებისა და სამუშაო საამქროების მშენებლობა, რათა მომავალი წლის დასაწყისშივე საქართველოდან ჩასული ოთხასი კაცისთვის სათანადო სამუშაო და საცხოვრებელი პირობები მოამზადონ.

ამჟამად სოფელს თხუთმეტი ჰექტარი უჭირავს. ამ ფართობზე უკვე ააშენეს სახერხი, საწყობები დიზელელექტროსადგურის შენობა, სასადილო. ჯერჯერობით ნიელები კომფორტაბელური ბინებით ვერ დაიკვეხნიან. დაბაში ცხრა ვაგონი დგას და ხუთიოდე კარავი. ამ დროებით თავშესაფრებში ათევს ღამეს ოთხმოცდათორმეტი კაცი.

ქართული დაბის ზოგი წევრი ცოლ-შვილითაა ჩამოსული. ბამის პირველ ქართველ ოჯახთა შორის არიან ბრიგადირი ვალერი რუხაია და მისი მეუღლე, ბაკურ გურგენიძე (მეუღლით და შვილით), ვანო ჯაშიაშვილი მეუღლით, ექიმები თამაზ ურუშაძე და მისი მეუღლე ლამარა ჭუმბურიძე...

ასე რომ ნია-გრუზინსკაიას აქვს პატარა, საკუთარი ელექტროსადგური, ჰყავს მამასახლისი, სახელგანთქმული ინჟინრის ანზორ დვალიშვილის სახით (რომელმაც თეირანში დიდი მაცივარი და ბიჭვინთის კომპლექსი ააშენა), ჰყავს პარტორგანიზაციის მდივანი, მშენებლობის უფროსის მოადგილე ნუგზარ მგელაძე, კომკავშირის მდივანი ავთანდილ ლომიძე... საკუთარი მზარეული, ექიმი და, ასე გასინჯეთ, მილიციელიც კი, რომელიც ორჯონიკიძიდან კომკავშირული საგზურით არის ჩამოსული.

სამუშაო მკაცრად რეგლამენტირებულია. ყველას თავისი უბანი აქვს. სერგო ხაჭაპურიძის ბრიგადა ინჟინერ თამაზ მაჭარაშვილის მეთვალყურეობით ელსადგურის შენობას აგებს, ავთანდილ ლომიძის ბრიგადა ანზორ ლილუაშვილის ხელმძღვანელობით სასადილოს ახალ შენობას ამთავრებს, ვალერი რუხაიას ბრიგადა ინჟინერ შოთა კაკუშაძის თაოსნობით ხე-ტყეს ამზადებს.

გოგი თარხნიშვილის ბრიგადა კომპლექსურია. მას ევალება გზების გაყვანა, სამონტაჟო სამუშაოების შესრულება, ვერტმფრენების დატვირთვა-გადმოტვირთვა, წყლით და შეშით კოლონიის უზრუნველყოფა.

სოფლის ექიმისა არ იყოს, აქ ვიწრო სპეციალიზაცია დიდ პატივში არ არის. ბამზე ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე კაცად უნდა გამოდგე. საქმე მოითხოვს, დურგალიც ხარ, მეამწეც, ბულდოზერისტიც, ელექტრომონტიორიც, მეარმატურეც და კარტოფილის ფცქვნაც უნდა გეხერხებოდეს, რადგანაც თვეში ერთხელ კომუნის ყველა წევრს უწევს სასადილოში მორიგეობა.

ნია-გრუზინსკაიაში ძმები ვაჟა და ბონდო სორდიები ზუგდიდიან ჩამოვიდნენ. ვაჟა ინჟინერია, ბონდო – მუშა. ძმების მუყაითობაზე და შრომისმოყვარეობაზე ნიელები ხშირად ლაპარაკობენ.

დაბაში პირველი ქუჩა გაჩნდა. ხის მორებით მოპირკეთებულ ქუჩას, რომლის გაღმა-გამოღმაც კარვებია ჩამწკრივებული, მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა, თბილისელმა ალექსანდრე ულუხანოვმა თბილისის ქუჩა შეარქვეს.

ნია გრუზინსკაიას თავისი ვეტერანებიც ჰყავს: შოთა კაკუშაძე, ანზორ ლილუაშვილი, ვალერი რუხაია, მერაბ დარგუაშვილი, ვაჟა შენგელია, ნოდარ გუგუშვილი და იაროსლავ ზალიშჩუკი იმ პირველ ეშელონს ჩამოჰყვნენ. კომკავშირის მე-17 ყრილობამ რომ გზა დაულოცა. ხუთასკაციანი მატარებელი უსტ-კუტში პირდაპირ ყრილობიდან მოვიდა. მოლაშქრეები შუაზე გაიყვნენ – ნახევარი ზვიოზდნიში დაბინავდა, ნახევარი – შიმანოვსკაიაში. ტაიშეტში დიდი სიმბოლური ვერცხლის გასაღები გაჭრეს შუაზე, ნახევარი ზვიოზდნელებმა დაიტოვეს, მეორე ნახევარი შიმანოვსკელებს გაატანეს. როცა რკინიგზის მშენებლობა დამთავრდება, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონტის მშენებლები გასაღებს გაამთელებენ.

საღამოობით ნია-გრუზინსკაიას რადიოკვანძიდან ქართული სიმღერები ისმის.

თავიანთი კარვის წინ ჩამომსხდარი, მზისაგან დამწვარი, წვერმოშვებული ქართველი მუშები მდუმარედ სხედან, უსმენენ და ბებერებით დაფარულ ხელისგულებს მუხლებს უხახუნებენ.

ვისაც დაღლილობა არ მორევია, პირსახოცს გადაიკიდებს და მძიმედ ჩაუყვება ნიასაკენ მიმავალ ბილიკს.

დაწოლის წინ ნახევრად ჩაძინებულ თანამეკარვეებს ბონდო სორდია საკუთარ ლექსებს უკითხავს.

ხანდახან მშენებლობის უფროსი რადიოთი შეეხმიანება ბანაკს და გეგმის შესრულების მდგომარეობას აუწყებს.

მერე დიდი მკვდრული სიჩუმე ისადგურებს ტაიგაში.

ციმბირის ტრამალების თავზე მთვარე უფრო შორს და უფრო მაღლა ეჩვენება კაცს.

დიალოგი

მაღალი, სიმპათიური გარეგნობის, ბამისათვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ, თეთრ პერანგსა და ჰალსტუხში გამოწყობილი კაცი ვაგონკაბინეტში ზის, ლაპარაკის დროს ხელს წვერებზე ისვამს, ცდილობს, სერიოზული და მკაცრი გამომეტყველება მიიღოს, მაგრამ კეთილი და ოდნავ ნაღვლიანი თვალები ამის საშუალებას არ აძლევენ.

– ჯემალ ფაღავა, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი.

– თქვენ უკვე მესამე ხელფასი დაირიგეთ. თუ შეიძლება მითხრათ, რა საშუალებით ხორციელდება შესრულებული სამუშაოს შემოწმება?

– როგორც ყველგან აღრიცხვის საშუალებით.

– ახლა, როცა თქვენთან, რომ იტყვიან, საქმე გაიმართა, შესაძლებელია გაკეთებულის ზუსტი აღრიცხვა, მაგრამ ადრე, როცა ყველანი ყველაფერს აკეთებდნენ, რა პრინციპით ხელმძღვანელობდით?

– ვერ გავიგე.

– ვთქვათ, სამმა მუშამ ხის ფესვები ამოძირკვა, კარვის დასადგმელი მიწა მოამზადა. ამ საქმეს ბულდოზერი ორ წუთს მოანდომებდა. სამმა მუშამ კი დილიდან საღამომდე იჯახირა.

– რასაც ბულდოზერი გააკეთებს, ბულდოზერს ვაკეთებინებთ.

– კი, მაგრამ, ვთქვათ, იმ ადგილს ტექნიკა ვერ მიუდგა.

– მაშინ მუშებს ვუხდით არა შესრულებული სამუშაოს ოდენობით, არამედ მოჭრით.

– მაგალითად, სასადილოს მშენებლობა დავათვალიერეთ. სახურავის მასალა ბიჭებს ხელით აჰქონდათ და, რაც მართალია, ძალიან უჭირდათ, ამ საქმეს ამწე გააკეთებდა, მაგრამ ამწე ჯერჯერობით არა გაქვთ...

– მივხვდი, რაც გინდათ მითხრათ. თქვენ გაინტერესებთ, ხომ არ შეიძლება სრული დატვირთვით არ იმუშაოს აქ კაცმა, და რაკი ბამზე წამოვიდა, მაღალი ხელფასი მაინც მიიღოს, არა?

– დიახ.

– შესრულებული სამუშაოს კონტროლს ჩემ გარდა თვით ბრიგადირები და უბნის უფროსიც ახორციელებენ. ბრიგადირმა იცის, რომ ეს საქმე ერთ კვირაში უნდა გააკეთოს. ასეთია მისი გეგმა. ამიტომაც დღეს იმუშავებს მეტს, თუ ხვალ, მისი ნებაა. იგი ამ სამუშაოს შესრულებაზე პასუხს აგებს. ჩვენ კი იმდენს ვუხდით, რამდენიც უღირს სახელმწიფოს მისი გაკეთებული საქმე.

– და მაინც...

– იცით რა, ამ მშენებლობაზე ვერც ერთი ზედმეტი კაცი ვერ გაჩერდება. აქ ზურგსუკან ყოფნა ძნელია. შეგრცხვება შენ თვითონ. ამიტომაც აღრიცხვის დროს ხშირად ვხელმძღვანელობთ მუშისათვის ყველაზე ძვირფასი – სინდისის კანონით.

– გულახდილად მითხარით, აქ თქვენი სურვილით წამობრძანდით?

– რასაკვირველია.

– კმაყოფილი ხართ?

– უაღრესად, სხვა არა იყოს რა, თხუთმეტი წელია ინჟინერი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ პირველად აქ გავიგე კოლექტივის ფასი. შევიძინე საოცრად დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ბევრი რამ, რაც ადრე ცოტა მყვირალა სიტყვებად მეჩვენებოდა, ახლა ჩემთვის საოცრად რეალური და ჩვეულებრივი გახდა.

– თქვენ გჯერათ, რომ აქ ყველა მოქალაქეობრივმა ვალმა, ან საზოგადოებრივმა ენთუზიაზმმა წამოიყვანა?

– უმეტესობა უთუოდ, თქვენ იცით, აქ ფოსტა მეხუთე დღეს მოდის და კარავში ერთად ექვს კაცს სძინავს.

– მაგით რა გინდათ თქვათ?

– მაღალმოქალაქეობრივი შეგნება, ან რაღაც სხვა მსგავსი რომ არა (რასაც სახელს თქვენ უკეთესად მოუძებნით), ისინი აქ არ წამოვიდოდნენ. ფულის კეთება სახლთან უფრო ახლოს და სხვა ათასი გზით შეიძლება.

– ესე იგი ფულის საკეთებლად აქ არავინ არ წამოსულა?

– როგორ არა. ზოგს ეგონა, ბამზე ფული ყრიაო. ჩაიცვა ჩექმები და წამოვიდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ციმბირის ყინვასა და მუხლამდე წყალში, ცოლ-შვილისაგან შორს ყოფნა დიახაც არის საფასური იმისა, რასაც შედარებით მაღალი ხელფასი ჰქვია, დაიხურა ქუდი და გაბრუნდა.

– აქედანაც?

– დიახ, ჩამოსვლიდან პირველ-ორ კვირაში ჩვენ ცამეტი კაცი გამოგვაკლდა.

– დაფრთხნენ?

– ზოგმა ვერ გაუძლო, ზოგს პირობები არ მოეწონა, ზოგი ჩვენ თვითონ გავისტუმრეთ.

– ვინც დარჩა?

– დარჩნენ ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ვაჟკაცის სახელი. ვინც ფიცს არ გატეხს და ნათქვამს უკან არ წაიღებს. ბევრს ლაპარაკობენ ჩვენში ჟურნალისტები და სოციოლოგები ახალგაზრდობის ინდიფერენტიზმზე, გულგრილობაზე, საზოგადოებრივი აქტიურობის შესუსტებაზე, ენთუზიაზმის გაქრობაზე. გითხრათ სიმართლე, შორიდან მეც ასე მეგონა.

– ახლოს?

– აი, აქ დავრწმუნდი, რომ ჩვენ ხანდახან სკეპტიკოსის სათვალე გვეფარება. ჩამოვიდნენ აქ ისინი, ვისაც ერთი-ორი ცუდის გამოისობით ჩვენს ახალგაზრდობაზე ნიჰილისტური წარმოდგენა აქვს. ჩამოვიდნენ და ნახონ, რა მძიმე პირობებში, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ჩვენი ბიჭები და გოგონები. მე თეატრალიზების და რიტორიკული მანჭვა-გრეხის წინააღდეგი ვარ, მაგრამ ისინი პავკა კორჩაგინის ღირსეული უმცროსი ძმები არიან.

– რა მძიმე პირობებია მაინც ასეთი?

– განა თქვენ თვითონ არ ნახეთ? გაუვალი ტაიგა, უგზოობა, უტრანსპორტობა, მინიმალურია კომფორტი, ოჯახურ სითბოს მოწყვეტა. აქ სახლის აშენება ორჯერ უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენში, მუდმივი გამყინვარების ზონაა. ერთ მეტრზე რომ გათხაროთ, გაყინული მიწა შეგხვდებათ. გაყინულ მიწაში ხეც ვერ იდგამს ფესვს. ამიტომაც ტაიგის ხეს ორი ღონიერი კაცი რომ მიაწვეს, წააქცევს. ხომ ასეთი შავი მიწაა, შეხედავ, გული გაგინათდება. ყინვებისაგან ისეა გაბერწებული, რომ თესლს ვერ აღმოაცენებს. ჩვენმა ბიჭებმა მწვანილეული დათესეს (უმწვანილოდ ცხოვრება ძნელია), მაგრამ არც გაუღვიძნია. გიფიქრიათ იმის შესახებ, რომ, როცა თქვენ კიტრისა და პამიდორის სალათას შეექცევით, ჩვენ გემოდაკარგულ, დაკონსერვებულ მწვანილს ძლივს ვშოულობთ?

– სხვა?

– მეტი რაღა გინდათ. მე მამიდა გარდამეცვალა და ისე დაასაფლავეს, არ შემატყობინეს. იფიქრეს, ალბათ, ჩვენებმა, მიცვალებულს მაინც რას უშველის, იმ სიშორიდან ჩამოსვლა გაუჭირდება (ხანდახან გზას ოთხ დღეს ვუნდებით), იქნებ მივლინება არ მისცენ, იქნებ ბილეთი ვერ იშოვოსო...

– თქვენ ხომ არ ნანობთ?

– რას?

– აქ ყოფნას.

– რაზე შემატყვეთ?

– ლაპარაკში გაბრაზება და სევდა შეგერიათ.

– მე საერთოდ ასე ვლაპარაკობ, თანაც მაპატიეთ, გამზრდელი მამიდის გახსენებამ ამაღელვა. რაც შემეხება მე, სანამ „ნია-გრუზინსკაიას“ სადგურზე მატარებელი არ გაჩერდება, აქედან წამსვლელი არა ვარ.

– მე მითხრეს, რომ აქ შაბათსაც მუშაობენ, სწორია?

– დიახ.

– დასაშვებია მერე ისედაც მძიმე პირობებში შაბათის დასვენების გარეშე ცხოვრება?

– ჩვენს ობიექტზე შეიძლება. სპეციალური მითითება არსებობს, თუ მუშები სურვილს გამოთქვამენ, შაბათსაც იმუშაონ, ძალას არავინ ატანს.

– დასვენების საათები როგორ გაქვთ ორგანიზებული?

– მუშები თვითონ გაურბიან პასიურ დასვენებას. გავაკეთეთ ფეხბურთის და ფრენბურთის მოედნები, ზამთარში მოთხილამურეთათვის საბაგირო გზა უნდა გავმართოთ.

– კინო?

– კინო ყოველდღე გვაქვს. ტელევიზიისა რა მოგახსენოთ. ტელევიზორი შევიძინეთ, მაგრამ ამ უღრან ტაიგაში არ უჩვენებს. სპეციალურად მაღალი ანტენის დამონტაჟებაა საჭირო, ჯერჯერობით ამის თავი არა გვაქვს.

როცა გარეთ გამოვდიოდით, ჯემალმა შემაჩერა და კარვების უკან განმარტოებით მდგარ უჩვეულოდ მაღალ კედარზე მიმითითა.

– იმ დროშას ხედავთ?

კედრის წვერზე წითელი დროშა ფრიალებს. ჩამოსვლისთანავე მოვკარი თვალი და გამიკვირდა, რამ აიტანა დროშა იმ სიმაღლეზე-მეთქი. მინდოდა მეკითხა მასპინძლისათვის, მაგრამ მაშინ ტრაქტორისტების დაკარგვის ზაფრა იდგა ბანაკში და გადამავიწყდა.

– არ გიკვირთ, რა ხელმა დაამაგრა ისე მაღლა?

– აბა?!

– ამწე არა გვაქვს, მაგრამ, რომც გვქონდეს, აქ რა ამწე შეწვდება. ვერტმფრენის კიბეზე დაშვებას და დროშის დამაგრებას ვინ იკისრებს.

– აბა, როგორ მოხვდა ის დროშა კედრის წვერზე?

– გიამბობთ. ერთი კვირის ჩამოსულები ვართ და სისხამ დილით ანზორმა გამაღვიძა, ადექი, რაღაც ამბავიაო. წამოვხტი და იქით გავიქეცი, საითაც მთელი ბანაკი გარბოდა. ვხედავ, ნოდარ ქველაძეს დროშის ტარი ცულივით ქამარში გაურჭვია და ხეზე მიბობღავს. ხე მსხვილია, ხელებს ვერ შემოაჭდობს. ტუჩები მოკუმული აქვს. სახეზე სისხლი მოსწოლია. ოფლი ჩამოსდის. აშკარად ეტყობა, უჭირს. „ეი, ბიჭო, არ გადმოვარდე!“, „არ გადმოიხედო!“ „დაბრუნდი ახლა, გეყოფა“. მთელი ბანაკი კედრის ძირში შეგროვდა. როცა შუაწელს აცილდა, მონტიორის „ბრჭყალები“ მოიხსნა და გადმოყარა. ზურგჩანთიდან რელსის ლურსმნები ამოიღო და საფეხურებს იკეთებს. დააჭედებს ერთ ლურსმანს, აიწევს ერთი საფეხურით მაღლა. ასე ავიდა თითქმის წვერამდე, წვერში ხე, ხომ ხედავთ, ძალიან წვრილია. ლურსმანის დაჭედება არ შეიძლება. „დაამაგრე მანდ და ჩამოდი“! – დაუძახა ანზორმა. თქვენც არ მომიკვდეთ, ყურიც არ ათხოვა. ფეხისგულები შემოაჭდო ხის ტანს, გაიმართა და მაღლა აიწია. ხის წვერმა ვერ გაუძლო და მოიხარა. საშინელი გმინვა აღმოგვხდა ყველას. მე შიშისაგან თვალები დავხუჭე. როცა გავახილე, ნოდარი კედარს ზედ წვერზე მოქცეოდა და დროშის ტარზე მავთულს ახვევდა, ჩამოსვლა უფრო გაუჭირდა. შუაწელს ქვემოთ ხე ძალიან მსხვილი იყო, თანაც „ბრჭყალები“ აღარ ჰქონდა და ფეხს ვერ იმაგრებდა. საათ-ნახევარზე მეტი მოუნდა ამ საქმეს. მიწაზე რომ დადგა ფეხი, კაცის ფერი აღარ ედო.

– ყოჩაღ-მეთქი, ვთქვი და ვიგრძენი, რომ ეს სიტყვა სრულიად ზედმეტი იყო.

– როგორ ფიქრობთ, რა იყო ეს? მისთვის ხომ არავის დაუძალებია კედარზე დროშა დაამაგრეო. რა ძალა ეწეოდა მაღლა ნოდარ ქველაძეს?

– ვაჟკაცობის, თავის გამოჩენის, სპორტული ჟინის...

– მეც მანდა ვარ. ნოდარის საქციელი ჩათვალეთ თქვენი იმ შეკითხვის პასუხად, წეღან რომ დამისვით. ახლა, მე მგონი, ნათელი უნდა იყოს, რამ ჩამოიყვანა ეს ხალხი აქ....

უეცრად გადაიხარხარა და ვაგონის მოაჯირს გადაეყრდნო. თქვენ ალბათ წაიკითხავდით, ბოლო „კროკოდილში“ ეწერა: ექიმი ეკითხება ლოთ პაციენტს, რა გაიძულებს ყოველდღე რომ სვამო. პაციენტი სერიოზული სახით პასუხობს: „როგორ გეკადრებათ, ექიმო, არავინ და არაფერი არ მაიძულებს, მე მოხალისე ვარო“.

რას ნიშნავს ბამი

ბამი მხოლოდ 4200-კილომეტრიანი რკინიგზა როდია. იგი გახლავთ სასიცოცხლო არტერია, რომელიც ცივილიზაციას შეიტანს უკაცრიელ ტაიგაში და საუკუნეების განმავლობაში ხელუხლებელ სიმდიდრეს ადამიანთა სამსახურში ჩააყენებს.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ჯერ მარტო ხე-ტყე რადა ღირს, თვითმფრინავი რვა საათს მიფრინავს ბრატსკიდან ამურამდე და ქვევით მხოლოდ და მხოლოდ თვალუწვდენი „მწვანე ზღვა“ მოჩანს. ეს არის ციმბირის ლეგენდარული და მრისხანე ტაიგა, რომლის უდიდეს ნაწილში ჯერჯერობით ნაჯახიანი კაცი არ შესულა. ბამის რაიონში ტყის საერთო ფართობი 50 მილიონი ჰექტარით განისაზღვრება, ხოლო ტყის სალიკვიდაციო მარაგი 1300 მილიონ კუბურ მეტრს უდრის. მარტო ამურის ოლქში ბაიკალ-ამურის რკინიგზის გასწვრივ შექმნილ სატყეო მეურნეობებს შეეძლებათ წელიწადში სახელმწიფოს მისცენ შვიდი მილიონი კუბური მეტრი ხე-ტყე.

გეოლოგები წარმატებით განაგრძობენ კვლევას ბაიკალ-ამურის წიაღისეულ სიმდიდრეთა აღმოსაჩენად. მაგისტრალის გასწვრივ მიკვლეულია ქვანახშირის, ნავთობის, აზბესტის, პოლიმეტალების, თუნუქის, თუჯიანი მინარევების, ფოსფორის, გაზის და სხვა საბადოები. ირკუტსკის გაზეთები სულ რამდენიმე დღის წინათ მიუთითებდნენ, რომ ცენტრალურ იაკუტიაში აღმოჩენილ იქნა ბუნებრივი გაზის საბადო, რომელიც 13 ტრილიონი კუბურ მეტრი გაზის მარაგს შეიცავს.

ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალი გაივლის მიწისქვეშა მინერალური წყლებით მდიდარ ციმბირის ტყეებში. მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხნებითა და სამკურნალო დაბებით დაიქსელება ციმბირი. მარტო კაზაჩინსკლენის რაიონში 40 სხვადასხვა მინერალური წყალია.

ბამი ნიშნავს 3200 სხვადასხვა დანიშნულების კაპიტალური შენობის, ორასი სადგურის და 142 ხიდის აშენებას, ყოველწლიურად ბამზე უნდა იმუშაოს 37 ათასმა კაცმა.

ასეთი მასშტაბის მშენებლობა ჯერ მსოფლიოს არ ახსოვს. მე ვნახე ბრატსკის განსაცვიფრებელი ელსადგური. მისი თვალუწვდენელი პლატინის ჩრდილში ვფიქრობდი ადამიანის მარჯვენის ყოვლისშემძლეობაზე. მე ვნახე გრანდიოზული ირკუტსკის ჰესი. მაგრამ თავისი გეოგრაფიული მასშტაბებით ეკონომიური ღირებულებით და მუშახელის რაოდენობით ბაიკალ-ამურის მაგისტრალს ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება.

ურთულესი დღეები ელით რკინიგზის მშენებლებს. მაგისტრალი უმთავრესად მთიან რაიონებზე გადის. რკინიგზის გზაზე შვიდი 2,5 კილომეტრზე უფრო მაღალი და ასობით პატარა მთაა, ხშირია ჭაობი და მეწყერიანი ადგილები, სადაც რკინიგზის მშენებლობა ოთხჯერ უფრო რთულია, ნორმალური სეისმური პირობების მქონე მიწებთან შედარებით. 3 ათასამდე პატარა მდინარე და ნაკადული ძევს გზაზე. აურაცხელ პატარა ხიდებს, ოცდაათმეტრიან გვირაბებს რომ თავი დავანებოთ, მაგისტრალზე დაგეგმილია 4 ოცდახუთკილომეტრიანი გვირაბის აგება.

ყოველივე ამას დაუმატეთ ციმბირის ყინვა (რომელიც ზოგიერთ უბანზე 60°-ს აღწევს); დროგამოშვებით ძლიერი ქარები და დიდი მიხ-

ვედრა არ უნდა იმას, თუ რა ძნელია და მძიმეა ის საქმე, რომელსაც ბაიკალ-ამურის რკინიგზის მშენებლებმა მოჰკიდეს ხელი.

უკვე გაიხსნა პირველი სადგურები. ბამ-ტინდის ხაზზე უკვე დადიან მატარებლები და ტრანსციმბირის მაგისტრალს ბაიკალ-ამურის რკინიგზასთან აერთებენ. 1978 წლის დასაწყისისათვის უსტ-კუტიდან პირველ სამ სადგურზე გაიჭრება საზეიმო თოკი.

ცოტა რამ ისტორიიდან:

ბაიკალ-ამურის რკინიგზის შექმნის იდეა ახალი არ არის, ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყო გეოლოგიურ-სამძებრო სამუშაოები ტაიშეტ-უსტ-კუტ-ნიჟნეანგარსკის მიდამოებში.

1940 წელს სტალინს თავის სამუშაო მაგიდაზე ედო ბაიკალ-ამურის მაგისტრალის პროექტი, შექმნილი „ბამპროექტის“ საპროექტო სამმართველოს მიერ. ამ პროექტის მიხედვით რკინიგზა ამურთან კი არ წყდებოდა, როგორც ეს ახლანდელ პროექტშია, არამედ იაპონიის ზღვამდე აღწევდა. მისი სიგრძე იქნებოდა დაახლოებით 4500 კმ.

დაიწყო მშენებლობა. ერთ წელიწადში უკვე მზად იყო 180-კილომეტრიანი ტინდის ხაზი, მაგრამ ომმა მოუსწრო და ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა შეწყდა.

1942 წელს მთავარსარდლის განკარგულებით ტინდის რკინიგზა აჰყარეს და რელსები სარატოვ-სტალინგრადის რკინიგზის მშენებლობაზე ჩაიტანეს. ამ რკინიგზით გადიოდა იარაღი, პროდუქტი ვოლგის ნაპირებთან მებრძოლი საბჭოთა ჯარისკაცებისათვის.

როცა ფრანგ მწერალს პიერ გამარას საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში მოგზაურობის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვეს, მან უპასუხა: „მე ვნახე ერთი უკიდეგანო მშენებლობა – ციმბირი“.

ბაიკალ-ამურის რკინიგზის მშენებლობა პირველი ეტაპია ციმბირის გრანდიოზული გარდაქმნის გენერალური გეგმისა. ამ რკინიგზას მოჰყვება ახალი ქალაქები და ელსადგურები, ქარხნები და ფაბრიკები. ციმბირის ბებერი მიწა ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

... და ამ საუკუნის სასწაულში მე ვხედავ ქართველი კაცის წვლილს.

მე ვხედავ პატარა დაბას შუა ციმბირის უღრან ტაიგაში და ქართული ორნამენტებით დამშვენებულ კოხტა სადგურს – ნია გრუზინსკაიას.

უსტ-კუტიდან გასული თეთრი რაში ქშენით მიარღვევს ლაქაშებს.

ყინული ჩაჰკირვია ელმავლის მინებს.

მატარებელი კვილით აღვიძებს გაუვალი ტყის ბინადართ, შორს კი ლენასა და ტაიურას შესართავთან ბჟუტავს მწვანე სინათლე – ნია გრუზინსკაია.

1975 წელი
ციმბირი, ნია გრუზინსკაია
მაისი, ივნისი.

სიტყვა მწერალთა XX ყრილობაზე

იოსებ გრიშაშვილი, თქვენ რომ, ძირითადად, სიყვარულის ტრუბადურად და მშვიდ პოეტად იცნობთ, 1921 წლის 25 თებერვალს რუსის მიერ საქართველოს დაპყრობის დღეს, ასე მიმართავდა „ახალ ხელისუფლებას“:

„თქვენ ამბობდით: საქართველომ
რაც არ უნდა გაიბრძოლოს,
დიდ რუსეთის გუბერნიად
გადიქცევა მაინც ბოლოს.

ჰა, აღსრულდა, თქვენ მოხვედით,
ჩვენ... მიგიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ –
რუსის ხიშტით შემოხველით.

რატომ გაგახსენეთ ოთხმოცი წლის წინათ დაწერილი ეს სტრიქონები? იმის ხაზგასასმელად, რომ ჭეშმარიტი მწერალი უმძიმეს ვითარებაშიც ახერხებდა, თავისი ხალხის გვერდით მდგარიყო და მისთვის „გულის მოსაფხანი“ სიტყვა ეთქვა.

ამ ფონზე მით უფრო დასანანია დღეს ხელისუფლების დუდუკზე დაროკებული ზოგიერთი თანამოკალმის პოზიცია.

ჩემ წინ გამოსული ორატორი მწერალთა სოციალურ დაუცველობაზე, ეკონომიურ სიდუხჭირეზე ლაპარაკობდა.

რას მიქვიან ჩვენს პირად გასაჭირზე წუწუნი მაშინ, როდესაც ქვეყანა იღუპება, საქართველო ხელიდან გვეცლება.

დღეს აქ საქართველოს დაღვრემილ ჭირისუფალთა ყრილობაა და ერთხელ კიდევ შეგახსენებთ მწერლის ვალს ისტორიის წინაშე. დიახ, მწერალია უპირველესი პასუხისმგებელი ერის ბედისათვის და რა განსაკუთრებულ პირობებს, რა კეთილდღეობას ვითხოვთ იარაღით მოსული, მარიონეტული ხელისუფლებისაგან?

მწერალიც ისევე ღარიბულად უნდა ცხოვრობდეს, როგორც დღეს მისი სამშობლო, საქართველო ცხოვრობს.

მწერალიც ისე უნდა იტანჯებოდეს, როგორც თავისუფლების სურვილის გამო სამაგალითოდ დასჯილი მისი ქვეყანა იტანჯება.

ჯერჯერობით აქ ეროვნულ სატკივარზე არც ერთს კრინტიც არ დაგიძრავთ.

რა ეროვნული სატკივარი გვაქვს?

აქ შემოსვლისას აფხაზეთიდან ლტოლვილ ქართველ მწერლებს ვესაუბრებოდი და თვალს ვერ ვუსწორებდი, მრცხვენოდა მათი.

აფხაზეთი და სამაჩაბლო ლამის მივივიწყეთ და დღესაც ყოველდღიურად ვკარგავთ ქართულ მიწებს.

გუშინ რუსმა ორი კილომეტრით გადმოსწია საზღვარი ჯვრის უღელტეხილზე. ამ დილით სოფელი ფიჭვნი წაგვართვა, ახლა ამ წუთში პანკისის ხეობას გვართმევს...

ვინ, თუ არა მწერალმა შეაჯანჯღაროს ხელისუფლება, რომ ამ უკანასკნელმა ყურებიდან ბამბა გამოიღოს და ქვეყანას მიხედოს?

ახლახან რუსეთის ვიცე-პრემიერი –კლებანოვი სტუმრობდა საქართველოს. მასთან დახურულ კარს მიღმა ორსაათიანი საუბრის შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა: სხვათა შორის, დიდი უბედურება არ იქნება, გუდაუთის სამხედრო ბაზა რუსის ჯარის სარეაბილიტაციო ცენტრად გადაკეთდესო.

ვის ჯანმრთელობაზე ზრუნავს საქართველოს ხელისუფალი? იმ რუსის ჯარისკაცისაზე ხომ არა, ამ საუკუნეში მეორედ რომ დაგვიპყრო, ამ შვიდი წლის წინათ 30 ათასი პატრიოტი ბიჭი რომ მოგვიკლა და 300 ათასი თავის სამშობლოში ლტოლვილად აქცია?

საქართველოს დარბევის დროს თუ რუსის ჯარისკაცმა ხელი გაიკაწრა, ა, ბატონო, გუდაუთის სარეაბილიტაციო ბაზა და დროზე გამოჯანმრთელდი, რომ ახალი ენერგიით დედა უტირო კავკასიასო, ვეუბნებით?

სტამბოლის სამიტზე მსოფლიოს ორმოცდაცამეტმა სახელმწიფომ გადაწყვიტა რუსის სამხედრო ბაზების საქართველოდან დაუყოვნებლივ გატანა და განა ჩვენი ხელისუფლების „ბრძნული მინიშნება“ მსოფლიოს პროგრესული აზრის წინააღმდეგ წასვლას და დამპყრობლის მხარდაჭერას არ ნიშანვს?

ვინ მისცა უფლება საქართველოს პრეზიდენტს, ქართველი ერის დაუკითხავად გადაწყვიტოს სამხედრო ბაზების გატანა-დატოვების საკითხი? განა ეს აფხაზეთის ხელმეორედ და ამჯერად სამუდამოდ გაყიდვას არ ნიშნავს?

რუსის უღლით გაწამებული ქართველი ხალხი ხომ თითებზე ითვლის საქარათველოდან, გასათრევ ტანკებს და გულისფანცქალით ელოდება იმ დროს, როცა უიარაღოდ, რუსული ხიშტის გარეშე დარჩება პირისპირ აფსუათა სეპარატისტულ ხელისუფლებასთან?

ამ და სხვა ეროვნულ სატკივარზე უნდა ვისაუბროთ დღეს აქ დინჯად, აუჩქარებლად, ჭკუადალაგებულად.

ნუთუ არ გაღელვებთ, რომ ქართული აღარ გაისმის საქართველოს ტერიტორიის მესამედზე?

ვთქვათ გატეხილად; ჩვენს წიგნებს მკითხველმა ზურგი რომ შეაქცია, მნიშვნელოვანწილად ჩვენი ბრალიც არის. განა ყველანი დავრჩით ილიას ანდერძის ერთგული, განა ყველანი ვარისხებთ ერის გაღვიძების ზარებს, განა არაერთ ჭეშმარიტ მწერალს არა ვხედავთ ხელმწიფის ნავში ჩამხტარს და თბილად მოკალათებულს?

აქ გულთა შორის კავშირზე ითქვა, სად დაიკარგა სწორედ „კავშირი გულთა შორის?“ რატომ დავრჩით გაღმა-გამოღმა, რატომ დავიფანტეთ, რატომ გავთითოკაცდით?

რატომ ვერ ვხედავ დღეს, ამ დარბაზში მუხრან მაჭავარიანს, ოთარ ჩხეიძეს, მიხეილ ქვლივიძეს, ვახუშტი კოტეტიშვილს, სოსო სიგუას, ნოდარ წულეისკირს და სხვათა მრავალთა?

რაღა დროს ზვიადისტობა და შევარდნაძისტობაა? განა ჩვენ, ყველანი საქართველოს გადარჩენის საკითხში ერთად არა ვართ? რომელი ქართველი მწერალია საქართველოს მტერი?

მწერალთა კავშირი ნიადაგ მოფუსფუსე, ეროვნული სკას უნდა წააგავდეს, მწერალთა სასახლეში ყოველ კვირას უნდა იმართებოდეს ეროვნული სჯანი, დისპუტები, ლიტერატურული საღამოები, იუბილეები, ჩვენ კი, რაღაც სხვა, არამწერლური საქმიანობით გართულებს, ჩვენი დიდი პაპის – აკაკი წერეთლის, 160 წლისთავიც გამოგვეპარა.

რატომ აღარ ზრუნავს მწერალთა კავშირი სისხლის განახლებაზე – ახალგაზრდა მწერლებზე?

ძლივს, ჭაპანწყვეტა-ვაინაჩრობით შემოვიყვანე დღეს ამ დარბაზში ხუთი ახალგაზრდა უნივერსიტეტელი მწერალი. იცით, რატომ გამიჭირდა მათი შემოყვანა? მწერალთა კავშირში მოსაწვევი ბარათები არ მომცეს.

გადახედეთ ერთმანეთს. განა ეს ყრილობა ბებერ მწერალთა ყრილობა არ არის? რა ყრილობაა ის ყრილობა, რომელსაც ახალგაზრდები, თუნდაც სტუმრის სტატუსით არ ესწრებიან? დავინტერესდი და გაირკვა, რომ ყველაზე ახალგაზრდა წევრი ჩვენი მწერალთა კავშირის უკვე ორმოცს მიტანებულია.

კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, დრო აღარ მრჩება.

ორი სიტყვით რომ გითხრათ, მე გამოვედი აქ, ორ პრობლემაზე რომ გამემახვილებინა ყურადღება:

პირველი არასოდეს, არც ერთი წუთით არ დაივიწყოთ, რომ მწერალი ერისკაცია – ერის გუშაგია. იფიქრეთ და იზრუნეთ საქართველოს ბედზე, არისხეთ ზარები ერის გასაღვიძებლად!

მეორე: ჩემთვის ყველა მწერალი ძვირფასია თუნდაც იმიტომ, რომ იგი ჩემი გაწამებული თანამოკალმეა. როცა „მინაწერების წიგნს“ ვწერდი, შევეცადე, ყველა თქვენგანის ლიტერატურული პორტრეტის ორიოდე შტრიხი მაინც მიმეწოდებინა მკითხველისათვის. ვერ დავმალავ, ამ დარბაზშიც სხედან ახლა მწერალთა კავშირის დაშლის, მწერალთა სიის შემცირების მოსურნენი, ეს ხომ მწერალთა რიგების ხელახალი წმენდა იქნებოდა, მეგობრებო. ეს ხომ ერთხელ უკვე იყო ავბედით ოცდაათიან წლებში.

ჩვენ ახლა ყველაზე მეტად ერთმანეთის პოვნა, ერთმანეთთან მისვლა, ერთი მიზნისთვის ერთ მუშტად შეკვრა გვჭირდება, დავდგეთ პირად წყენაზე, ადამიანურ ჭირვეულობაზე მაღლა, ახლა ამისი დრო არ არის.

მივცეთ გაერთიანების მაგალითი საქართველოს!

მხარს ვუჭერთ

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მშვიდობიანი დაბრუნების იმედი გადაიწურა.

თითქოსდა მსოფლიომ პირი შეკრა საქართველოს წინააღმდეგ.

გაერომ არ იქნა და არ დაგვიჯერა, რომ აფხაზები სწორედ რომ ჩვენ, ისტორიული, ძირძველი ქართველები ვართ, ხოლო ჩვენს მიწაზე დღეს ქართველმკვლელებად გაჯეჯილებული სეპარატისტი აფსუები ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩვენი ნებართვით ჩამოსახლებული, ჩვენს უბეში შეფარებული ტომები არიან.

სხვისი ბამბაც ჩხრიალებს, ჩვენი კაკალიც – არა.

გაერომ არც ქართველთა დღემდე ისტორიაში უმაგალითო გენოციდი დაგვიჯერა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. თითქოსდა არც ყოფილა აკვანში ქართველი ჩვილების ჩაკვლა, უასაკოთა მასობრივი გაუპატიურება, სტადიონზე ქართველთა თავებით ფეხბურთის თამაში....

ხან ჩვენ პრეზიდენტს ჩამოართმევინა მეტროპოლიამ ხელი აფსუათა პირსისხლიანი ადამიანისთვის, ხან სეპარატისტთათვის საღი აზრის ჩასაგონებლად თბილის-სოხუმის გზებს ამაოდ თელავდნენ ჩვენი სახელმწიფო მინისტრები, პორტფელიანი თუ უპორტფელო ჩინოვნიკები, მაგრამ დღეს უკვე, თუ პოლიტიკური მატყუარა და თავისი ხალხის დაუძინებელი მტერი არ არის, საქართველოში აღარავის სჯერა, რომ აფხაზეთს მოლაპარაკებით დავიბრუნებთ.

მაშ, რა ვქნათ, შევეგუოთ ჩვენ დაღუპვას, ჩვენ განახევრებას, შევირცხვინოთ ყველამ ჩვენი თავი მომავალ თაობათა წინაშე?

ვათქმევინოთ ხვალის საქართველოს: დადედლებული ჩვენი მამა-ბიძანი თხებივით გამოიქცნენ და მერე ხელიც აღარ გაუნძრევიათ თავიანთი მიწების დასაბრუნებლადო?

მაშ, მშვიდად ვაძინოთ ჩვენს სახლებში, ჩვენსავე საწოლებზე მომხდურნი? მშვიდად ვუცქიროთ, როგორ ადიან ჩვენს კიბეებზე ყაჩაღები და როგორ მედიდურობენ ჩვენს გაშენებულ მანდარინის ბაღებში?

ხომ დარწმუნდით, ქართველნო, რომ არც ღმერთმა გაგვიჩინა ამ ათ წელიწადში სამართალი და არც კაცმა.

სინდისი არ აწუხებს გადამთიელს, რომელიც სხვის სახლ-კარს დაეპატრონა და ისე არხეინად გრძნობს თავს, თითქოსდა ასეც უნდა მომხდარიყო.

ჩვენ „გენიოსი“ პოლიტიკოსები ღირსეულ დაბრუნებაზე ცრუ დაპირებებით დღესაც გვატყუებენ, სინამდვილეში კი აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნებისათვის ერთი გონივრული, ერთი გაბედული ნაბიჯიც არ გადაუდგამთ.

გინახავთ სადმე ხელისუფლება (თუ იგი გამყიდველი ხელისუფლება არ არის) ყოველ ექვს თვეში თავისივე ნებით უგრძელებდეს საქართველოში ყოფნის ვადას დამპყრობლის ჯარს?

გაგიგონიათ, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს, დაედგინოს საოკუპაციო ჯარის დაუყოვნებლივ გასვლა და აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტისთვის თავზე დაეხიოს ეს ლამის ერთადერთი, გონივრული გადაწყვეტილება?

ასეთი შემაძრწუნებელი უცნაურობანი (რბილად რომ ვთქვათ) მხოლოდ საქართველოში ხდება.

საქართველოს მწერალთა დარბაზი მხარს უჭერს ყველა ძალას, ვისაც მოთმინების ფიალა აევსო, ვინც იმედის თითის წოვას თავი გაანება და პარტიზანული მოძრაობის განახლების მომხრეა.

ჩვენ ისიც ღირსების საქმედ მიგვაჩნია, რომ პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი მებაირახტრე სახელოვანი ქართველი მწერალი და გულმხურვალე მამულიშვილი, ოტია იოსელიანი, ბრძანდება.

იცოდეს ყველამ, თავისი სახლ-კარის დაბრუნებისთვის მებრძოლი პარტიზანი მშვიდობიან აფხაზს არას ერჩის. იგი თავის თანაშეზრდილთან, ნათესავთან და მეზობელთან კვლავაც მშვიდობიანად თანაცხოვრებას აპირებს. ჩვენი სამიზნე სხვის სახლში ხვლიკივით შეპარული, სხვის ქონებას დაპატრონებული ქართველთა მოძულე გადამთიელია მხოლოდ და მხოლოდ.

დროა, გონს მოეგოთ, აფსუებო!

იცოდეთ, ქართველს მოყვრობაც ღირსეული შეუძლია და მტრობაც.

სინდისს მოუხმენთ, ვის სახლში ცხოვრობთ, ვის ნაოფლარს ეპოტინებით?!

ვის გვერდით დავდგებით...

ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო მარათონი დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობს.

თითქოსდა პარტიებს თვალი აეხილათ და აღარ სურთ ეს არჩევნებიც მოქალაქეთა კავშირის ყბადაღებული მეთოდების მსხვერპლად აქციონ.

თავის მხრივ ბოლო ათწლეულის არჩევნების უკვე გამოცდილი, პროფესიონალი გამყალბებლები პოზიციათა დათმობას არ აპირებენ. ისინი სრულიად აუხსნელი მანქანებით ისევ შეძვრნენ საარჩევნო კომისიებში და თავიანთ ნებას კარნახობენ, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო (მაგრამ პრეზიდენტის ერთგულებაზე დაფიცებულ) აკადემიკოსებს.

ერთი სიტყვით, არჩევნებისწინა სურათი არასახარბიელოა, ხოლო პერსპექტივა – კიდევ უფრო სავლალო.

ძვირფასო ამომრჩევლებო!

ჩვენი საზოგადოების სიმპათიებს ამ არჩევნებში მხოლოდ და მხოლოდ კანდიდატთა ის თვისებები განსაზღვრავს, რაც ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას უკავშირდება.

იბრძვი ჩვენი ერის გადარჩენისთვის? იცავ ჩვენს ეროვნულ თვიმყოფადობას – ენას, მამულს, სარწმუნოებას? თანმიმდევრული ხარ საქართველოში გაუქმებული ეროვნების აღდგენისა და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისათვის ბრძოლაში? მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც ექომაგები ქართულ კულტურას, ქართულ გენოფონდს, ჩვენს წმიდათაწმიდა სალოცავებს? ასეთ შემთხვევაში ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საზოგადოების მხარდაჭერა გარანტირებული გაქვს.

ვისღა დავუმალოთ, არაერთი პარტია და მოძრაობა იჩემებს ამ ბოლოს დროის ეროვნული ცნობიერების დაცვის ბელადობას, მაგრამ „აღორძინების“ საქმენი სხვათა „ტკბილ დაპირებებს“ აშკარად გადასწონის.

ჩვენ კარგად ვიცით, ვის დავუდგებით გვერდით მოახლოებულ არჩევნებში.

იმედითა და მოლოდინით...

სიხარულით და სიამაყით ვაუწყებთ მწერლებსა და მკითხველ საზოგადოებას ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების თვით ჩვენთვისვე მოულოდნელ, ერთ ხაზგასასმელ სიახლეს.

მოგეხსენებათ, უკანასკნელ ათწლეულში მკითხველთა ერთი ნაწილი მწერლობას გაუგულგრილდა, თანამედროვე მწერალთა თხზულებებს ვინღა ჩივის, მაღაზიათა ვიტრინებში კლასიკოსთა წიგნებიც ხელუხლებლად იდო, ლიტერატურულ საღამოებს ხალხი ნაკლებად ეტანებოდა და მწერლობაშიც ახალი სახელები იშვიათზე იშვიათად ჩანდა.

უკანასკნელ თვეებში მოხდა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რამაც ჩვენი ლიტერატურის ხვალინდელი დღისადმი იმედითა და მოლოდინით განგვაწყო.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ასპარეზზე ლამის ერთბაშად გამოჩნდა და „ასი მწერლის გაზეთის“ ფურცლებზე თავიანთი პირველი ნაწარმოებები შემოგვთავაზა ორმოცამდე უაღრესად ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერალმა.

სოციალურ-ეროვნული პრობლემების გაბედული დაყენება, ღრმა პატრიოტიზმი, მწერლის, როგორც ერის გონიერი მრჩევლის, ფუნქციის სწორი გააზრება, პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნისა და ისტორიის წინაშე – აი, რა გამოარჩევს ჩვენი მწერლობის ახალ ცვლას, მორიგეობით თითქმის ყველა ნომერში რომ ამშვენებენ ჩვენს ლიტერატურულ გამოცემებს და უკვე ფარზე აზიდეს თავიანთი, ფრთაშესხმულ დაპირებად ქცეული გვარ-სახელები.

ამაზე უფრო სასიამოვნო რა უნდა იყოს იმათთვის, ვისაც ჩვენი ბედკრული ქვეყნის ხვალინდელი დღისა სწამს და სჯერა.

ეს გარემოება მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამ ახალგაზრდა მწერალთა დიდმა უმეტესობამ „საქართველოს მწერალთა დარბაზში“ გაწევრიანება მოიწადინა და ილიას გზაზე შემდგარ სიტყვის მსახურთა ფერხულში ჩადგა.

არდავიწყება მოყვრისა...

ძვირფასო მეგობრებო

მოგეხსენებათ, საზოგადოების გულგრილობამ, შინაური მღვდლის შეუნდობლობამ და ნიჭის ვერშეცნობის სინდრომმა რამდენჯერ მოგვგვარა სინანულის თითზე კბენანი, მაგრამ უკვე ყველაფერი დაგვიანებული გახლდათ.

არის ჩვენ შორის ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი, თეიმურაზ ფირცხალაიშვილი, მას ჯერ ოცდაათიც არ შესრულებია და წუთისოფელმა არაერთგზის შეასვა შხამის ფიალა.

ჯერ იყო და, უკანასკნელ თვეებში სამი უახლოესი ადამიანი მიაბარა მიწას. ბედისწერამ ესეც არ აკმარა: თირკმლების უმძიმესი ავადმყოფობა შეჰყარა და ამჟამად ხელოვნური თირკმლის აპარატზეა მიერთებული.

აღმართში ქვამიწეული ახალგაზრდა ამაყი კაცი, თვითონ არაფერს გვთხოვს; ჭირში ჩავარდნილი მოძმისთვის ხელისგაწვდენა ჩვენი სულიერი მოთხოვნილება უნდა იყოს. თუ ჩვენ ადამიანები ვართ საერთოდ და სიკეთის გრძნობა კიდევ შეგვრჩა.

16 მაისს, 2 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში თეიმურაზ ფირცხალაიშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართება.

მივმართავთ ყველას, ვისაც პოეზია უყვარს და ეული, სნეული პოეტის დახმარების სურვილი აქვს.

მობრძანდეს და იქვე, დარბაზშივე, სახელდახელოდ, თავისი მოკრძალებული შენატანით თავისი კაიკაცობა დაამტკიცოს.

იქნებ, გადაუდებელი მკურნალობისთვის აუცილებელი ორიოდე გროში მაინც შევუგროვოთ თეიმურაზს ამ მკაცრ დროში, როცა დღეში 45 ლარი მხოლოდ და მხოლოდ პალატისა და აპარატის გადახდისთვის ძლივსღა ჰყოფნის.

„შვილო, ზურაბ, სადამდი?!“

მამულიშვილნო!

ერის ჭირისუფალთა ძალისხმევამ, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო და ამ დღეებში პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს „სახელმწიფო ენის შესახებ“.

კანონპროექტის ავტორებმა ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინეს და ჯერ ეუთოს შეუთანხმეს საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება.

ეუთომ მცირე ყოყმანის შემდეგ ნება დართო საქართველოს, ჰქონდეს სახელმწიფო ენა, მაგრამ, როგორც ჩანს, კანონპროექტში, „რესპუბლიკის დემოგრაფიული სპეციფიკიდან გამომდინარე“, შესწორებანი შეიტანა.

ეუთოს მიერ დაუთოვებულ კანონპროექტში ისეთი ნაღმია ჩადებული (განსხვავებით დედამიწაზე არსებული სხვა ქვეყნების შესაბამის კანონებისაგან), რომ თმა ყალყზე დაგიდგებათ.

კანონის III თავის XII მუხლი უფლებას აძლევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს – „სახელმწიფო ენასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობისათვის გასაგები სხვა ენის გამოყენების შესახებ“, რაც იმას ნიშნავს, რომ:

„ა) ჩაატარონ სხდომები და სხვა ზეპირი მოსმენები შესაბამის არასახელმწიფო ენაზე.

ბ) საკრებულოს იურისდიქციის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ფიზიკურ პირთან ზეპირი ანდა წერილობითი ფორმით ოფიციალური ურთიერთობა დაამყარონ შესაბამის არასახელმწიფო ენაზე“.

უბრალო, „არამეცნიერული ენითა“, ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენა ქართული არ იქნება. თუ საკრებულოთა სხდომებს არაქართულად ჩაატარებენ და წერილობით ურთიერთობასაც მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებთან თავიანთ ენაზე დაამყარებენ, გამოდის, ქართული ენა მათ აღარაფერში სჭირდება, დედაქალაქთან წერილობითი კონტაქტი ხომ რეგიონებს ისედაც იშვიათად აქვთ, რაკი ქართული აუცილებელი არ იქნება არაქართული მოსახლეობისთვის, ბუნებრივია, მისი შესწავლით თავს არავინ აიტკივებს.

როცა ეუთოს ექსპერტს, ჯონ პაკერს, ჰკითხეს ჩვენს მეზობელ სომხეთს და აზერბაიჯანს მიღებული აქვთ კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“, მაგრამ მსგავსი „გამონაკლისი“ არაა დაშვებული, საქართველოს რატომ გინდათ მოახვიოთ თავს ეს „ნახევრად კანონიო“, „ექსპერტმა“ დაუფიქრებლად უპასუხა: სომხეთი და აზერბაიჯანი დემოგრაფიულად სუფთა ქვეყნებიაო.

კეთილი და პატიოსანი, საფრანგეთში ეთნიკურად წმინდა ფრანგი 32 პროცენტია, მაგრამ არც საფრანგეთი იძლევა უფლებას, სახელმწიფო ენის პარალელურად სხვა ენებმაც ისახელმწიფოვოს (?!); ამაზე ექსპერტმა ერთობ დამაბნეველი, ბუნდოვანი პასუხი გასცა. ბოლოს დასძინა, რა იცით, რომ საფრანგეთში ნამდვილი ფრანგი 32 პროცენტია, იქ ხომ საბუთებში ყველას ეროვნება „ფრანგი“ უწერიაო.

აი, რისთვის იყო საჭირო, პატივცემულო „ურაპატრიოტებო“, რომ, რაკი ევროსაბჭოში შევედით, ჩვენი საბუთებიც ევროპულად აგვეწყო

და ეროვნების გრაფაში ყველასთვის განურჩევლად ავტოქტონური ერის ეროვნება ჩაგვეწერა.

ჩვენი აუხსნელი ლოიალობა სტუმარი ერების მიმართ კიდევ არაერთ გაუგებრობას დაუდებს სათავეს. საქართველოსთვის „ქართველი“ რომ საბუთებითაც ის იყოს, რაც საფრანგეთისთვის – „ფრანგი“, ეუთოს ექსპერტი ვერ იტყოდა, თქვენთან განსაკუთრებული დემოგრაფიული სურათიაო.

ჩვენმა პარლამენტმა კი ეროვნება „ქართველი“ ხელაღებით გააუქმა და სახელმწიფო ავტოქტონური (ძირითადი) ერი დოკუმენტალურად აღარ არსებობს.

„შვილო, ზურაბ, სადამდი?!“ ამაოდ შევბღავით უგუნური შვილებისგან გაყიდულ საქართველოს, რომელსაც, თუ პარლამენტის ეროვნულმა ძალებმა არ იმარჯვეს, კიდევ ერთ მტრულ კანონს მოახვევენ თავზე.

კონსტანტინე გამსახურდიამ რა დააშავა?

აბაშაში კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი სავალალო მდგომარეობაშია.

მთავარი გზიდან რომ გადაუხვევ, შვიდი კილომეტრი ოღრო-ჩოღრო, მოუკირწყლავ, კისრისმოსატეხ ორმოებიან შუკაში უნდა იჯახირო, როგორმე მუზეუმს რომ მიაღწიო.

ჭიშკარი საიმედოდ ჩარაზული კი არა, რკინის კოპებით სამუდამოდ აჭედილი დამხვდა.

მუზეუმის წინ მცხოვრებ ქალბატონს ვთხოვე და დირექტორის – ჩიტო პერტენავას, სახლამდე მიმეგზურა.

ჩიტო ოცდაათიოდე წლის თავაზიანი კოლხია.

როგორც იქნა, გამიღო ეზოში შესასვლელი და „სახლმუზეუმს“ მათვალიერებინებს.

ეზოში ნახევრადაშენებული, გადაუხურავი საექსპოზიციო დარბაზი ზეზეულად ლპება, უწესრიგოდ მიმოყრილი ბეტონის ფილები ძეძვბალახს დაუფარავს. ოდის უკან გამსახურდიებისეული ჯარგვლისთვის ოთხი უძველესი წაბლის ფიცარი გაუძვრია ვიღაცას და წაუღია. გაპარტახებულის შთაბეჭდილებას სტოვებს აქაურობა.

რა ხდება-მეთქი, ჩიტო, ვეკითხები.

თქვენს მტერს, ბატონო რევაზ, რაც აქ ხდება, კბილებით მიხდება აქაურობის დაცვა. მუზეუმის გახსნის დღეს რომ ოთხმოცდაშვიდი დიდი ძელსკამი დადგეს ეზოში, ხომ ხედავთ, დღეს არც ერთი აღარ არის.

სად წავიდა-მეთქი ძელსკამი, ჩიტო?

სად წავიდოდა, მოიპარეს, შეამჩნევდით, ალბათ, ჯარგვალს რომ ფერდები აქვს ამოღებული. ან საოჯახო საჭიროებისთვის წაიღო ვიღა-

ცამ, თუ არა და, ზანისპირს შემოხეტებულმა მოქეიფე-მევთევზეებმა დაწვეს უთუოდ.

ნუთუ ხელისუფალთაგან გული არავის შესტკივა „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორზე . იგი ხომ XX საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე აქტიური გამგრძელებელი იყო დიდი ილიას საქმისა ნუთუ, არ იცის ხელისუფლებამ, რომ მთელ სამეგრელოში კონსტანტინე გამსახურდიას მუზეუმზე უფრო მნიშვნელოვანი მუზეუმი იშვიათად მოიძებნება. ამას წინათ ხორგაში ვნახე მშვენივრად დაცული ალიო მირცხულავას სახლ-მუზეუმი, აქაურებს რაღა ღმერთი გაგინყრათ-მეთქი, ჩიტო, ვეკითხები პერტენავას.

ბატონო რევაზ, ზვიად გამსახურდია, რომ ჩამოაგდეს, იმ დღესვე შეწყდა მუზეუმის ეზოში მშენებლობა და ღვთის ანაბარად, საქურდლად დააგდეს ამოდენა მასალა. კულტურის სამინისტროს და სხვა უწყებებს დიდი კონსტანტინეს ხსენებაც არ უნდოდათ. რაც დირექტორი ვარ, შვიდჯერ მივაკითხე კულტურის სამინისტროს, თუ არ არის საჭირო, დავხუროთ-მეთქი მუზეუმი, მაგრამ ბუნდოვანი დაპირებებით მისტუმრებდნენ. ახლა ვფიქრობ, ეშინოდათ, ვაითუ, გამსახურდიას ხსენებით პრეზიდენტი გავანაწყენოთო.

ერთხელაც არ მინახავს ამ ბოლო დროს, ამ ეზოში შემოსული არც ერთი ოფიციალური პირი. მეტსაც გეტყვით, თქვენ მობრძანდით დღეს, თორემ ორი წელია არც ერთ მწერალს თავი არ შეუწუხებია კ. გამსახურდიას მუზეუმის დათვალიერებით. საოცარი ამბავი ხდება, ბატონო რევაზ, ექსკურსიაზეც არავინ დადის სკოლის მასწავლებლებს მაინც რამ გაუცივათ გული, მოიყვანონ მოწაფეები, ანახონ, სად დაიბადა „მთვარის მოტაცების“ დამწერი, ფიცში ვერ ჩავიყოლებ, მანანა არჩვაძე-გამსახურდია ბრძანდებოდა შარშან. შემოირბინა აქაურობა, ექსპოზიციის იმ ადგილზე, სადაც კ. გამსახურდიას მკვლევართა ფოტოები ჰკიდია, სოსო სიგუას სურათმა აღაშფოთა. ამას აქ რა უნდა, ამ მოღალატესო და უწაუწა ჩამომახსნევინა სურათი. უკვე ორი წელია 15 მაისს ტრადიციული „კონსტანტინეობა“ აღარ იმართება. ჩვენი კუთხე, როგორც ჩანს, სხვა უფრო გრანდიოზული საქმეებით არის დაკავებული, ვიდრე „კონსტანტინეობის“ ჩატარება გახლავთ. მრცხვენია ამის თქმაც, ბატონო რევაზ, რომ ორი წელია, ხელფასი არ მიმიღია. თუმცა ჩემი ხელფასი რა მოსატანია იმასთან შედარებით, რომ ღმერთმაც და კაცმაც თვით კონსტანტინე გამსახურდია მიივიწყა. ისე სამეგრელოს დღევანდელი თავკაცები კ. გამსახურდიას ციტატებით ომახიანად იწონებენ ხოლმე თავს სუფრაზე.

მე თქვენ მოგმართავთ, ძველი აბაშის შემოგარენში მცხოვრებო ქართველებო, სხვა უკვე აღარავის აღარ მივმართავ:

გამაგებინეთ, რა მოხდა, რამ გაგიცივათ გული ჩვენი წმინდა ადგილების და დიდი სახელების მიმართ. მე კარგად ვიცი, რომ საქართველო დავსებული და გაყიდულია, მაგრამ თქვენ? ვის, რას ელოდებით, ნუთუ

არავინ აღმოჩნდა თქვენში, რომ შაბათობაზე ახალგაზრდები შეეკრიბა, ეზოში ძეძვი და ხვიარა მოგეცელათ, ჯარგვალი შეგეკეთებინათ, პატრონიანის იერი მიგეცათ აქაურობისთვის.

ვის იმედზე ხართ? იმ ქვეყნისა, სადაც ცრუ მამლური ძიძგილაობა აღარ თავდება? სადაც უდიდეს ქართველ პროზაიკოსს და საქართველოს პირველ ეროვნულ პრეზიდენიტს დღემდე ანგარიშს უსწორებენ? სადაც კონსტანტინე გამსახურდიაზე ყველაზე საინტერესო წიგნის დამწერის და მწერლის მრავალტომეულის ყველაზე თანამიმდევრული, თავდადებული გამომცემლის სურათს ჩამოხევენ? სადაც ადამიანებს შეუძლიათ, მუზეუმის ეზოდან ძელსკამები მოიპარონ და საკუთარ ეზოში დაიდგან?

ყველა ყველა და, გენიალურმა კონსტანტინე გამსახურდიამ რაღა დააშავა?

რა დღეში ხარ, ჩემო უბედურო საქართველოვ!

გავიღვიძოთ!

ქვეყანა მაშინ შენდება და მშვენდება, როცა თანხმობა, მშვიდობა სუფევს.

ნერვებამოძიგძიგებული, გულაჩქარებული, ჭირში ყელამდე ჩაფლული კაცი ვერ დაწერდა „ვეფხისტყაოსანს“, ვერც ბანას, ოთხთა ეკლესიას, ოპიზას და სვეტიცხოველს ააშენებდა.

საუკუნე მთავრდება და, როგორც ჩანს, ჩვენ კიდევ კარგა ხანს არ გვიწერია მშვიდი ცხოვრება.

საქართველოს ცხოვრებას რომ მიაყურადო, გეგონება, მთავარი საქმე ის იყოს, ვინ იქნება მინისტრი და ვინ – ვაზირთუხუცესი.

საშინელმა სევდამ შემიპყრო, ოცდახუთში მინისტრებს რომ ვამტკიცებდით.

ნუთუ ასე ძვირფასია მინისტრის სკამი, ნუთუ შეიძლება, პარლამენტი თორმეტი საათის მანძილზე იმაზე მოაცდინო კაცმა, რომ მინისტრის კანდიდატურა „ახლოით ჩხრიკო“ და გაუთავებლად „ემზადო კენჭისყრისათვის“?

რა უთავბოლო თამაშია, რა დამტკიცება-გაშავების მარათონია.

მერედა, ვისთვის, რისთვის?

ამ გაღლეტილ, დაქცეულ, დამარცხებულ ეკონომიკაგაყინულ ქვეყანაში მინისტრები უნდა გარბოდნენ და ჩვენ უნდა ვეხვეწებოდეთ, დარჩი, ცოტა ხანს კიდევ გვემსახურეო.

სინამდვილეში კი რა ხდება; გაფაციცებული სახეები, საპარლამენტო-საკომიტეტო და საკომისიო მოსმენები... ცოდვა-მადლის მისხალ-მისხალ აწონვა, ურთიერთობათა გაუთავებელი რკვევა...

ვერავინ გაარკვევს, რატომ ათავისუფლებენ ერთს და რა ნიშნით ირჩევენ მეორეს.

არსად არ იწერება, თუნდაც გათავისუფლებული მინისტრის პირად საქმეში, რომ იგი გაათავისუფლეს ამისა და ამის გამო.

გინდა ქვეყანა დააქციე, პასუხს არავინ მოგთხოვს.

სტალინის დროს კაცს რომ გადაირჩევ-გადააყენებდნენ, იქვე მიაყოლებდნენ: გათავისუფლდეს დაშვებული სერიოზული შეცდომების გამოო, მერე კი, თუ მეორე დღესვე არა, ცოტა ხანში შენი პარტიულობის საკითხს დააყენებდნენ და, ვინ იცის, იქნებ „კუტუსკაც“ არ აგცდენოდა.

დღეს ჩვენთან ყველაზე დიდი „დასჯა“ მინისტრობიდან გათავისუფლებაა.

და რაკიღა ოდენ გათავისუფლებით ვკმაყოფილდებით, სკამმორყეული ფიქრობს; ჩანს, პარლამენტში ისეთი მიამიტი ადამიანები სხედან, წარმოდგენა არა აქვთ, როგორ „ჩავძირე საქმე“, ამიტომაც მოდი, გაღმა შევედავები, წყალს ავამღვრევ და, ვინ იცის, იქნებ ამღვრეულ წყალში ფაცერს მეორეჯერაც მოჰყვესო თევზი.

მშვიდი, გაწონასწორებული, დინჯი ცხოვრება არ გღირსებოდეთო, დაგვწყევლა ვიღაცამ და, თუ რამე აგვიხდა მისხალ-მისხალ, სწორედ ეს წყევლა გახლავთ.

ამ ბოლო დროს მავანთა დაუცხრომელი მეცადინეობით ქვეყნის გაერთიანება-დამშვიდებისკენ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა; უპირველესად იმას უნდა გაესვას ხაზი, რომ ბათუმის პრობლემა მოწესრიგდა, დამთავრდა გაუთავებელი ღრენა ცენტრსა და რეგიონს შორის. შევარდნაძემ და აბაშიძემ საქართველოს სასარგებლოდ დათმეს პირადული სიმპათია-ანტიპათიები, ხელი გაუწოდეს ერთმანეთს და ქვეყანას გულზე მოეშვა, აჭარის ავტონომიის სტატუსი თავის ადგილზე „ჩაჯდა“ საქართველოს კონსტიტუციაში.

მართალია, სასურველი ურთიერთობისგან ჯერ შორსა ვართ, ჯერ კიდევ ბოლომდე განსაზღვრული არ არის ცენტრსა და ავტონომიას შორის უფლებრივი თანაფარდობა, ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ცენტრს, რომ აჭარას თავისი თანამდებობრივი კვოტა უნდა ჰქონდეს სახელისუფლებო სტრუქტურებში (თუნდაც ერთი მინისტრი მაინც უნდა ჰყავდეს), მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი მოწესრიგდება.

რაც მთავარია, უნდობლობის ყინული გალღვა და ურთიერთობა ნათელი, გამჭვირვალე საყრდენებზე შენდება.

მეორე თავმოსაწონებელი ჩვენს საშინაო პოლიტიკაში, დიდი ეროვნული შერიგების დასაწყისს რომ ალამაზებს, გახლავთ პარლამენტის მიერ 91-92 წლების მოვლენების შეფასება და პრეზიდენტის მიერ პოლიტპატიმრების (აგრეთვე სხვა მსჯავრდებულების...) გათავისუფლება.

და რომ მეგონა, იქნებ ცოტა ხანს დამშვიდდეს ქვეყანა, ოცდამეერთე საუკუნეში მაინც არ გადაგვყვეს პოლიტიკური კინკლაობა-შენ-ჩემობის სახელმწიფოებრიობის მღრღნელი ჭია-მეთქი, თურმე შევმცდარვარ.

პოლიტიკურმა კრაზანებმა ახალი კონფლიქტი წამოიწყეს.

ხელისუფლების გადანაწილების მაღალი არენიდან ახალი ზვავი დაეშვა, და თუ შევარდნაძემ არ იშევარდნაძევა, შეიძლება, ამ ზვავმა მარტო ათას ბრძოლაში გამოჯეგილ-გამოცდილი პოლიტიკოსის მმართველობის კი არა, ჩვენი სახელმწიფოებრიობის დასასრულიც მოაახლოვოს.

ამ საფრთხის შესახებ არაერთგზის გააფრთხილა ქართულმა მწერლობამ ხელისუფლება, მაგრამ მავანნი იხტიბარს არ იტეხდნენ, თითქოსდა არაფერი ხდებოდა, თითქოსდა ილია ჭავჭავაძის გმობიდან ერთი ნაბიჯი არ იყო დარჩენილი ქართული სახელმწიფოებრიობის ხელყოფამდე.

მოხდა ისე, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გააღწია არაეროვნულად მოაზროვნე და, პირდაპირ ვიტყვი, არაეროვნული, არაქართული წარმოშობა-მენტალიტეტის მქონე ახალგაზრდების ჯგუფმა.

სამწუხაროდ, მათი ხელდასხმა პრეზიდენტის დასტურით მოხდა, მაგრამ პრეზიდენტს ამ შემთხვევაში ბრალს ვერ დავდებთ; ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას სურდა, ახალგაზრდები გამოეყვანა არენაზე და მათთვის სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიური მართვის საიდუმლოებანი ესწავლებინა, მეორეც – შუბლზე არავის აწერია, რა ეროვნული წარმოშობის არის და რა დამოკიდებულება აქვს ქართველი ერის უწმინდესი ატრიბუტების მიმართ.

შეტევა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ორი მიმართულებით, ორ ეტაპად წარიმართა.

ჯერ იყო და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მოქალაქის პასპორტიდან გააქვრეს ეროვნების გრაფა და ყველანი „საქართველოს მოქალაქეებად“ გვაქციეს, ეს მაშინ, როდესაც დედამიწაზე ვერ იპოვით სხვა სახელმწიფოს, რომლის პასპორტშიც არ იყოს გრაფი „ნეიშენალიტი“, „ნასიონალიტე“ ანუ ნაციონალობა. სიტყვა „ნაციონალობა“ ევროპაში ეროვნულობას კი არა, მოქალაქეობას ნიშნავსო, უტიფრად გვატყუებდნენ ახალგაზრდა რეფორმატორები, სინამდვილეში კი „ნაცია“ მსოფლიოში დღემდე გამოცემულ ყველა ლექსიკონში სხვა არა არის რა, თუ არა ერი.

ქართული ეროვნულობის წინააღმდეგ მომართულ ამ პირველი შეტევისადმი პროტესტის ნიშნად რამდენიმე პატრიოტმა ამოიგმინა, უმრავლესობამ კი წაუყრუა და ამ წაყრუებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ცოტა ხნის შემდეგ (ამჯერად უკვე ქურდულად, ყოველგვარი დადგენილების გარეშე) ეროვნება ამოიღეს პირადობის მოწმობიდან, ხოლო 1998 წლის 14 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალითაც ეროვნება წაშალეს ყოველგვარი დოკუმენტიდან.

მაშ ასე, საქართველოს გაუქმების პირველი ეტაპი მოგებულია. „ქართველი“, „ქართველი ერი“, „ქართველობა“, რასაც წამდაუწუმ იმეორებდნენ ეროვნული მოღვაწენი, ფორმალურად უკვე გაუქმდა, ამის მიღწევა ვერ შეძლეს ბოლშევიკებმა, „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ კი დამარცხებულ, დალაჩრებულ, ჩაძინებულ საქართველოში ეს მოახერხეს.

ახლა მეორე ეტაპი უნდა დაიწყოს, გაიფიქრეს „რეფორმატორებმა“ სახელმწიფოს დანგრევა ოდენ საპარლამენტო დადგენილებებით ვერ მიიღწევა, მთავარია ქართველთა გონებიდან ამოვშალოთ აქა-იქ მბჟუტავი ეროვნული სიამაყის საფუძველი. შევაჩვიოთ მისი ყური იმ აზრს, რომ ეროვნულ სიწმინდეებზე საუბარი პროვინციალიზმია, რომ ეროვნულგამათავისუფლებელი მოძრაობა საევროპო, გლობალურ პროცესებთან შედარებით ჩამორჩენილობა და ანაქრონიზმია, რომ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სუსტი პოეტები არიან, ხოლო პოლიტიკოსმა რომ დღეს ვაჟა-ფშაველას ციტატებით ისაუბროს, იგი „ქაჯად“ ჩაითვლება და, საერთოდ, საქართველოს არავითარი წვლილი არ შეუტანია მსოფლიოს ცივილიზაციაში, იგი ოდენ ბერძნული კულტურის ნამტვრევია... და საერთოდ, ქართველებს არც ამ საუკუნეში გვყავს მწერლები, ისინი ოდენ „ბანძები“ არიან და სხვა არაფერი, რაც შეეხება ქართულ ენას, უაზრობაა საუბარი მის განვითარებაზე და ე. წ. სახელმწიფოობაზე. ქართულ ენას ის ებღაუჭება, ვინც უცხო ენები არ იცის.

ხომ შეიძლება, ასეთ უკეთურ აზრებს ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდამ, წამით გამოერკვეს იგი „რეფორმატორთა მიერ მიწვდილი ბანგისაგან, ერთი წუთით მოიცალოს საშუალო სქესის შოუმენთა კონცერტბაკქანალიისაგან და იკითხოს – სად წაიღეთ ჩემი ეროვნება, რატომ მიგინებთ იმას, ვინც საქართველო დღემდე მოიტანა და თავის მონამებრივი სიკვდილით ანდერძად დამიტოვა მამულის სიყვარული?

ვაირეფორმატორს ამაზეც მზა პასუხი აქვს; მისასალმებელია თანამედროვე ახალგაზრდობის პასიურობა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას პოლიტიკურ ბრძოლაში იოლად ვერავინ აიყოლიებსო. ენაბრგვილი რეფორმატორის ამ „ღრმა ფილოსოფიას“ მიყურადებული ახალგაზრდა – პასიურობა კარგი ყოფილაო, იტყვის, გვერდს შეიცვლის და ახლა უფრო ღრმად ჩაიძინებს.

პატრიოტიზმმა რომ არ გაიღვიძოს, მაღალ მატერიებზე რომ არ იფიქროს ქართველმა, საჭიროა, მისი სული დაადედლო, უპერსპექტივობის გრძნობა ჩაუნერგო, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სისტემა მოშალო, გმირები აღარ უხსენო, სამამულო ომი უაზრო ომად გამოუცხადო... თანაც ლუკმა-პურზე, განათებაზე, მიუსაფრობაზე ზრუნვით ისე გაართო, რომ თავმოყვარეობა დაკარგოს, წიგნისთვის დრო აღარ დარჩეს.

„ახალი საქართველოს მშენებლებმა“ ამასაც მიაღწიეს.

ერთი საეროვნო კელაპტარი დარჩა – ჩვენი ბრწყინვალე მართლმადიდებლობა, და იმასაც დაუწყეს ჩასაქრობად სულის ბერვა. მართლმადიდებლობა ხომ ჩვენთვის ოდენ რელიგია არ არის, იგი ჩვენი კულტურის, ჩვენი თვითმყოფადობის ერთ-ერთი ბურჯია და რით შეიძლება მოშალო ეს ბურჯი, ორიათასი წლის რწმენა შეურყიო ქართველს?

საქართველოს მტრებმა მართლმადიდებლურ აღმსარებლობას, ჩვენს

წმინდა ეკლესიას სხვადასხვა საეჭვო მიმართულების სექტები დაუპირისპირეს. სექტათა მოლაშქრედ კი ის სუსტი ნებისყოფის, ნახევრადმშიერი „მორწმუნენი“ იპოვეს, ერთი ტომარა ფქვილისთვის და კვნიტა შაქრისთვის სულს რომ გაჰყიდიან.

ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა გაშლილია. ცრურეფორმატორებმა ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში რამდენიმე უვიცი, გონებაჩლუნგი სნობი და ფსიქიკაშერყეული აზრიანგარეგნობიანად პათოლოგიური ახალგაზრდები ჩაითრიეს.

რა დროს ქართველობაა, რა დროს ეროვნებაა, რა დროს სახელმწიფოებრივი რელიგიაა, რა დროს მწერლობაა, ეგლა გვაკლია, მწერალს და ერისკაცს ლუკმა ვუწილადოთ – გაჰყვირიან ისინი ყოველ მოსახვევში და გამკითხავი არავინ არის.

არც ზრდილობა, არც უფროს-უმცროსობა, არც ღირსების პატივისცემა... უტიფრობა სახეზე აწერიათ, ხოლო ზოგი მათგანის დუჟმორეულ ტუჩებს და ავადმოწკურულ თვალებს რომ შეხედავთ, მოგინდებათ, ურჩიოთ მის მშობლებს, რომ ფსიქიატრთან მიიყვანონ, ან სახლიდან იშვიათად გამოუშვან, მაგრამ, ჩანს, მშობლებიც მათი „რეფორმატორი შვილების“ პროგრესულ იდეებს იზიარებენ.

არცთუ დიდი ხნის წინათ შეატყვეს ცრურეფორმატორთა ლიდერებმა, რომ ეროვნული ცნობიერების მოშლით საქართველოს დანგრევა შეიძლება გაჭიანურდეს, რაკიღა ერს ქომაგებიც ჰყავს, ამიტომაც ქვეყნის დასამარებისთვის ახალი სამიზნე აღმოაჩინეს:

პირველი ფართომასშტაბიანი შეტევა ეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, კრახით დამთავრდა. ეროვნული სახელმწიფოს მოშთობის აშკარა დასაწყისი იყო პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეთა იმპულსური გადადგომა. საკუთარი ქვეყნისადმი პარლამენტის მსგავსი პროტესტი მსოფლიო ისტორიამ არ იცის. ახლა დიდიცა და პატარაც ბოდიშს იხდის, გაგვაბრიყვეს, ჩვენი ბრალი არ არისო, მაგრამ ყველამ მშვენივრად იცის, რომ ხელისუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლის ამ ეტაპზე არაეროვნულად მოაზროვნე ყმაწვილებმა შედეგს ვერ მიაღწიეს, სახელმწიფო მინისტრად, სურდათ თუ არ სურდათ, გაწონასწორებული მეცნიერი მოვიდა.

უმრავლესობის მონოლითური გუნდი დრტვინავს. მოქკავშირი გარეგნულად არაფერს იმჩნევს და სიტყვით პრეზიდენტს ერთგულებას ეფიცება, მაგრამ თავის ძალას ჯერჯერობით იმითღა ავლენს, რომ პრეზიდენტის წარმოდგენილ მინისტრობის კანდიდატს „აშავებს“. თანაც ბოდიშს მოაყოლებს, ეს ხომ ბუნებრივი საპარლამენტო ცხოვრებაა. ამით იმ ფინიას წააგავს, სპილოს რომ უყეფს და თან კუდს რომ უქიცინებს, რაკიღა თვითონაც ეშინია.

არც პრეზიდენტი გვყავს ეროვნული და არც პარლამენტის სპიკერატ-უმრავლესობა.

არაქართული ცნობიერების შეტევა ქართულ ცნობიერებაზე კვლავ გრძელდება.

პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ყურადღება თუნდაც წამით მოადუნოს, მაგრამ აშკარაა, რომ დაბერდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებს.

ზოგიერთ „პოლიტიკოსს“ პრესის თავისუფლება ილია ჭავჭავაძის გმობის თავისუფლება ჰგონია.

ვაი, ასეთ სამართალს, ვაი, ასეთ საქართველოს!

არაქართული ცნობიერება ყოველდღე, ყოველ საათს აკეთებს თავის საქმეს.

ამას წინათ მთაწმინდაზე გვიხმეს, გიორგი ლეონიძის ასი წლისთავის აღსანიშნავად პოეტის საფლავზე ძეგლი დაიდგა. უნდა გენახათ ჩვენი გაოცება, როცა ძეგლის გახსნაზე სიტყვა არ მისცეს არც ერთ ქართველ მწერალს, და არც თავად პრეზიდენტს...

მეორე დღეს ოპერის თეატრში გაიმართა გიორგი ლეონიძის საიუბილეო საღამო. აქაც „რეფორმატორებს“ ორიგინალურად გადაეწყვიტათ, გიორგი ლეონიძის იუბილეზე ოდენ კონცერტი გაემართათ და პოეტის ღვაწლის წარმოსაჩენად სიტყვა არ ეთქვა არც ერთ ქართველ მწერალს, არც ერთ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეს...

ვის მწირ გონებაში გაკრთა ასეთი „რეფორმატორული“ აზრი? რაო, აღარ გვყავს მწერლები, არ არსებობს მხატვრული სიტყვა?

ვაი, ასეთ საქართველოს, ვაი, ასეთ ყოფას, ეროვნულ სიწმინდეებისადმი ასეთ უგუნურ დამოკიდებულებას.

კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ ქვეყანას: საქართველოს გადაგვარების მოსურნეთა ლაშქარი კბილთა ღრჭიალით მოდის.

გავიღვიძოთ, სანამ გვიან არ არის!

ჩემი აზრი

ახლა ბევრს კამათობენ ქართულ დროშაზე. ამბობენ, რომ ახლანდელი სამფეროვანი დროშა უნდა შეიცვალოსო. თუმცა ჯერჯერობით დამაჯერებელი არგუმენტებით ვერავინ დაასაბუთა დამოუკიდებელი საქართველოს დროშის შეცვლის აუცილებლობა, მაგრამ რაკი ჩვენ გარეგნული ეფექტების, შეცვლა-შელამაზების გზაზე ვდგავართ (თითქოს თუნდაც ყველაზე მომხიბვლელი დროშის მიღებით ეშველებოდეს ჩვენს დაკარგულ დამოუკიდებლობას და დანგრეულ სახელმწიფოებრიობას), ვთქვათ, დავეთანხმეთ დროშის შეცვლას. რომელი და როგორი დროშა ავაფრიალოთ? ხუთჯვრიანი „გორგასლიან-დავითიანი“, რომელიც, როგორც აკაკი ბაქრაძემ თვალნათლივ გვიჩვენა, იერუსალიმის დროშის ზუსტი ასლი ყოფილა და, სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფრით დავამტკიცებთ, საუკუნეების მიღმა ებრაელებმა მიითვისეს ჩვენი „გორგასლიან-დავითიანი“ თუ ჩვენ გადავიღეთ ებრაელთაგან (რაც უფრო საფიქრებელია) იერუსალიმის დროშა?

ჩემი ფიქრით, დროშა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმბოლოა. იგი ქვეყნის ერთ პოლიტიკურ სხეულად გაერთიანებას, თუ გნებავთ, ერთ მუშტად შეკვრას უნდა უწყობდეს ხელს. ამიტომაც არ შეიძლება, დროშა რელიგიური ორიენტაციის გამომხატველი იყოს; მით უმეტეს, ისეთ სახელმწიფოში, რომლის ეროვნული მოსახლეობა ერთი რელიგიის მიმდევარი არ არის. ერის რელიგიური კუთვნილება არ არის გამოტანილი ამერიკულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ, ჩინურ, იაპონურ... დროშებზე.

თუ ჩვენთვის სხვა სახელმწიფოთა დროშები დიდ ავტორიტეტს არ წარმოადგენს და მაინცდამაინც რელიგიური პოზიცია უნდა ჩანდეს ქართულ სახელმწიფო დროშაზე, ამას დიდი სიფრთხილე და სხვადასხვა რელიგიის მიმდევართადმი უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება სჭირდება.

გაუჟეილს გატეხილი სჯობია და პირდაპირ გეტყვით: ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის, დემოგრაფიული საზოგადოების და საზოგადოება „თვისტომის“ ბოლო მონაცემებით დღეს მსოფლიოში 16 მილიონი ქართველი ცხოვრობს. აქედან სამი მილიონი ქრისტიანია, თორმეტი მილიონი – მუსულმანი, ხოლო ერთ მილიონამდე ქართველი არც ერთ რელიგიას არ აღიარებს.

როგორ მოვიქცეთ? ქართულ სახელმწიფოებრივ დროშაზე მარტოოდენ ქრისტიანული ჯვარ-სიმბოლიკის ხაზგასმით უხერხულად ხომ არ ვუპირისპირდებით ჩვენს მუსულმან ძმებს? რატომ არ ვფიქრობთ იმაზე რომ მუსულმან ქართველმა შეიძლება არცთუ დიდი სურვილ-სითამამით აფრიალოს ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა? რაო, მზად ვართ „გორგასლიან-დავითიანის“ მონურ-ტრადიციული სიყვარულით მოვიმდუროთ ჩვენი ხვალინდელი სახელმწიფოებრივი სიძლიერის ერთი ღონიერი პერსპექტიული ძალა – მუსულმანი ქართველი?

არა, ბატონებო, არ ვიქნებით მართალი. ჩემთვის ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული ეროვნულობის ატრიბუტი სრულიადაც არ არის მისი რელიგიური აღმსარებლობა. დროშაზე ჩვენი ეროვნულ-ისტორიული ფენომენის რაიმე სიმბოლური ნიშანი უნდა ბრწყინავდეს, ერთიანი ქართული სახელმწიფოს პერსპექტიული მონოლითურობის გარანტად უნდა იქცეს ქართული დროშა და რელიგიურობის „ჯორულ უცილობლობას“ (რუსთ.) აუცილებლად ანგარიში უნდა გავუწიოთ, იქნებ ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენს დროშაზე ორივე რელიგიის (ქრისტიანული, მუსულმანური) მშვიდობიანი თანაარსებობის კვალი ჩანდეს.

გლობალური შეტევა ეროვნულობაზე

ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე გლობალური შეტევა მიმდინარეობს. გამუდმებით გვიხედნიან ყურს ეროვნულის ფაშიზმთან გაიგივებით და ჩვენც ვდუმვართ... დუმილი კი, ბატონებო, ყოველთვის როდია ოქრო...

როცა ვაცხადებ, რომ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე გლობალური შეტევა ხორციელდება, საფუძველიც მაქვს. ნიჰილისტები, მოშურნენი და სხვისი კარგი კაცობით განაწყენებული ადამიანები საქართველოში ყოველთვის იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ეროვნული ატრიბუტების და სულიერი საგანძურის წინააღმდეგ ბრძოლამ ბოლო 2-3 წელიწადში არნახული მასშტაბები მიიღო... ილია ჭავჭავაძეს მტრები არც სიცოცხლეში აკლდა და არც მოწამეობრივი სიკვდილის მერე დაკლებია, ასეთი ბედი ხვდა მას წილად. თავგადაკლულად იბრძოდა ქართული, ეროვნული ცნობიერების დამკვიდრებისათვის, იბრძოდა, რათა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან საქართველო არ წაშლილიყო. აი, ამისათვის მიუსაჯეს მას სიკვდილი კოსმოპოლიტებმა... ბოლშევიკებმა.

მარქსიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა კოსმოპოლიტური, უტოპიური მოძღვრება, რომლის მთავარი პოსტულატი უსამშობლობის, უეროვნულობის დამკვიდრება გახლდათ მთელ მსოფლიოში. პროლეტარს არა აქვს სამშობლო – ამტკიცებდა მარქსი. მოგეხსენებათ, თავად მარქსი და ენგელსი უსამშობლო ადამიანები იყვნენ. მათ ხელს აძლევდა, მოეხვიათ ადამიანებისათვის თავს ეს უსამშობლობის, ერთა ათქვეფის საშინელი თეორია, თუმცა ერი, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ, ებრაელი ერი, ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ 26 საუკუნე შეინარჩუნა თავისი რჯული, ეროვნული თვითმყოფადობა და შექმნა თავისი სახელმწიფო, ერთ-ერთი ძლიერი მთელ მსოფლიოში.

მარქსის „ერთა ათქვეფის თეორია“ დღესაც აქტუალურია, ოღონდ ახლა მას „მსოფლიო ინტეგრაციას“ უწოდებენ. სიტყვა ეროვნული, ლამის ფაშიზმით შეცვალონ...

XX საუკუნის დასაწყისში იდგა ეს პრობლემა და ილია ჭავჭავაძე ებრძოდა გააფთრებით ამ მოძალებულ უსამშობლობის თეორიას. ილია წერდა „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებაზე, როცა კოსმოპოლიტები ამტკიცებდნენ – კლასთან შერიგება აბსურდიაო... სამშობლოა უმთავრესიო – გულადუღებული მოთქვამდა ილია და სოციალ-დემოკრატებმა ერთხმად დაადგინეს – მოკლულ იქნას ეს ქართველობას ჩაბღაუჭებული ილია ჭავჭავაძე და აღასრულეს განაზრახი... და XX საუკუნის ბოლოს ილიას ისევ კლავენ. დღევანდელ ნეომარქსისტებს რომ უთხრა – ეს თქვენ ხართ ნეომარქსისტებიო, გაიოცებენ, მარქსიზმის დაუძინებელი მტრები ვართო, მაგრამ მათი ყოველი ნაბიჯი ისეთივე უმწიფარია, როგორც იმ სოციალ-დემოკრატებისა, სოფელ ბახვში რომ ერის სულიერი მამის სასიკვდილო განაჩენს მოაწერეს ხელი.

ეროვნულ იდეოლოგიას „კატასტროფული სისულელე“ უწოდა... თავისუფლების ინსტიტუტელმა ყმაწვილმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ სულ ახლო წარსულში ამ იდეოლოგიას შეეწირნენ მისი თანატოლები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და ისინი კატასტროფას ეროვნული ღირსების გაქრობაში ხედავდნენ...

– დაქირავებული არიანო, ამბობენ მათზე, მაგრამ მე საამისო საბუთები არ გამაჩნია და ვერ მოვყვები ამის მტკიცებას, მაგრამ ფაქტია, შეგნებით მოსდით, გაუნათლებლობით თუ მწირი კულტურით, ენერგიამოზღვავებულნი უტიფრობამდე მიდიან და სავალალო საქმეს აკეთებენ. მე შევძრწუნდი მათი საქციელით უნივერსიტეტში.

მე რომ უნივერსიტეტის სტუდენტი ვყოფილიყავი, შარაძე ფეხს ვერ შემოდგამდა აქ... თქვა ამას წინათ ერთმა ახალგაზრდამ... და შევბრუნდი.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, პირველ რიგში არის გურამ შარაძის, როინ მეტრეველის, მარიკა ლორთქიფანიძის, ოთარ ჯაფარიძის, ლევან სანიკიძის და ყველა ღირსეული პროფესორ-მასწავლებლის... ფაშისტი გურამ შარაძე უნივერსიტეტში როგორ შემოუშვესო, – გაგონილა ასეთი წრეგადასული თავხედობა? რა ჯიღა ედგმება თავს შარაძეს იმით, რომ უცხოეთის დახავსებული არქივებიდან კოლოსალური შრომის შედეგად ამოაქვს ქართული მამულიშვილების ხელნაწერები? ქართული საქმისათვის შეწირულ მამისტოლა კაცს, თავისი ბედით დაჩაგრულს, ფაშისტს რატომ უწოდებ? ან რა თქვა ფაშისტური, უამრავ სახელმწიფოში რაკი მათი რელიგიის საწინააღმდეგო პოსტულატები აქვთ „იეღოველთა“ სექტას, აკრძალულია ეს სექტაო... და არ არის ასაკრძალი სექტები? აგერ ახლა არ იყო, რომელიღაც სექტის წევრებმა უცხოეთში თავი რომ დაიწვეს? ადამიანი შევიდა თავის ე. წ. სალოცავში, მერე გაშიშვლდნენ, ჩაატარეს რაღაც რიტუალი ორგია და შეასრულეს თვითლიკვიდაციის საშინელი სცენა.

დაღუპულთაგან 72 ბავშვია, და ეს უფრო მკვლელობაა, ვიდრე რიტუალური თვითმკვლელობა.

სექტანტები, პირველ რიგში, ბავშვებს უწამლავენ გონებას. ბავშვი ხომ გაუთვითცნობიერებელია რელიგიურად... რას ერჩიან, რატომ ართმევენ ღვთისაგან ბოძებულ სიცოცხლეს, ბედნიერები იქნებიან, ჩვენთან ერთად რომ დაიწვებიანო... ისე გაბედნიერდა საქართველოს დამაწყევარი... ღმერთმა დაგვიცვას ასეთი სექტებისაგან, ისიც გვეყოფა, ვინც მომძლავრდა და ებრძვის მართლმადიდებლობას ჩვენსავე მიწაზე. ეროვნული ცნობიერების გადაგვარებასთანაა ეს პრობლემაც დაკავშირებული. აბა, მამული ხომ წაგვართვეს და წაგვართვეს, მესამედიღა დაგვრჩა და ვყელყელაობთ ახლა ამ მესამედ მიწაზე, განუხრელად ვატყუებთ ქართველ ერს – მალე დავიბრუნებთო ტერიტორიებს... სიმწრით მეცინება, ჩემს დღიურებს რომ ვფურცლავ, იანვარში აფხაზეთი ჩვენი იქნება – გამოცხადდებოდა და ვიწერდი მეც... ამ ექვსი წლის მანძილზე იმდენი ასეთი „იანვარი“ მაქვს მონიშნული, გული მისკდება...

განსაკუთრებით „საინტერესოა“ ის გააფთრებული „თავდასხმები“, სადაც ამტკიცებენ, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, რეკვიზიტებში მითითებული იყოსო ეროვნება ან სახელმწიფო აფინანსებდესო ქართულ მწერლობას... ეს „დაფინანსებაც“ თვითონ დაარქვეს, თორემ 25 ლარზეა საუბარი... ამაყები არიან ქართველი მწერლები, დამირეკეს და მთხოვეს – საზოგადოების თვალში მთლად მათხოვრებად ნუ გვაქცევ, ნუ იკლავ თავს, არ გვინდა ეს 25 ლარიო... ამ დროს ვიცი, რომ 70 წლის ქართველ მწერალს, რომელიც 20-30 წიგნის ავტორია, არც ეს კაპიკები აქვს და ნელ-ნელა დნება სახლში და ეს საარსებო მინიმუმი რომ გამეჩინა მათთვის, ყელისგამოღადრამდე გავყვიროდი პარლამენტში.

ერთსაათიანი სიტყვით მიპასუხა ერთმა ახალგაზრდა პარლამენტარმა და „დაამტკიცა“, არავითარი 25 ლარი არ ეკუთვნით მაგ ქართველ მწერლებს, მე არ ვიცნობ მათო – აი, ეს იყო მისი არგუმენტი... რომ არ იცნობ ამ მწერლებს, ეს შენი პრობლემაა, პატარა ბიჭო, შენ ვერ მოიცალე ქართული წიგნისთვის, ქართული მწერლობა რა შუაშია? და კიდევ კარგი, ბარამიძე რომ არც პრეზიდენტია და არც ფინანსტთა მინისტრი, თორემ ხომ მოკლავდა მშიერს ანა კალანდაძეს.

როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებული იყო, იეღოველთა საკითხი ბ-ნ კოდუას განეხილა სოციოლოგიის კათედრაზე?

სოციოლოგიის კათედრას არავითარი საერთო არა აქვს რელიგიასთან, მაგრამ იმ მოსამართლემ, რომელსაც, ალბათ, გარკვეული სიმპათიები ჰქონდა იეღოველთა სექტის მიმართ, მოძებნა წინასწარი დასაყრდენი და მოტივით – უნივერსიტეტი ხომ ეროვნული კერაა, იქ ვაგზავნი საქმეს და მათი დასკვნით გამოვიტან მერე სასამართლო დადგენილებასო, გადასცა საქმე კოდუას... ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა, როდის იყო სასამართლო დადგენილება უნივერსიტეტის დასკვნებს ეყრდნობოდა? ან თავად რა უსუსური იყო „რუსთავი 2“-ის ეთერში პროფესორი კოდუა, რა უმეცრებებს აფრქვევდა...

– უსუსური იყო თუ არ იყო ბ-ნი კოდუა, ამაზე საუბარი დღეს ბევრს არაფერს ნიშნავს, ფაქტია, რომ სასამართლომ საქმე მისი „მარწმუნებლების“ სასარგებლოდ გადაწყვიტა...

– ამიტომ ვამბობ სწორედ, რომ ეროვნულ ცხობიერებაზე შეტევა მიმდინარეობს სხვადასხვა ინსტიტუტების სხვადასხვა სამიზნეებიდან სხვადასხვა რაკურსით... ეს ასე რომ არ იყოს, სად მცალია მე, რევაზ მიშველაძეს, თავი ვუყადრო იმ უმწიფარა ყმაწვილებს, თვალდაჭუტულნი მიკროფონში ერთსა და იმავე სისულელეებს თუთიყუშივით რომ იმეორებენ? ამ ე. წ. „თავისუფლების ინსტიტუტი“-ს მთელი შეხედულებები სწორედ რომ მარქსიზმის გადამღერებაა – უეროვნებო თანაარსებობის იდეის, როგორ წარმოვიდგენდი, რომ XX ს-ის ბოლოს ილიას დაცვა მომიწევდა? რა სჭირს ილიას ჩემი დასაცავი ქართველი ერის თვალში? „საქართველოს არ ჰყოლია პოეტები, „ბანძები“ ჰყავდაო“ – სახეგაცისკროვნებულმა რომ მოგვახსენა ერთმა ახალგაზრდა პოეტმა. „ახალი აღმოჩენა“ „ახალი სიბრძნით“ გვკვებავს – ეროვნული ენის განვითარებაზე ისინი ლაპარაკობენ, ვინც უცხო ენა არ იცისო, ითქვა ამას წინათ. „საცოდავმა“ აკაკი შანიძემ, არნოლდ ჩიქობავამ, გრიგოლ რობაქიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ თურმე, არ იცოდნენ უცხო ენები, მარტო ბერძენიშვილმა და მისმა მეგობრებმა იციან, მაგრამ მარტო ის და მისი ორიოდ ამფსონი რომ იყვნენ, ანომალიად ჩავთვლიდი ამას, მაგრამ პარლამენტმა შარშანწინ ეროვნება გააუქმა საქართველოში....

ნუ გავახარებთ მტერს!

აჭარის დელეგაცია ახლახან თბილისს ესტუმრა. ჩამოვიდნენ თავიანთ დედაქალაქში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები ზოგიერთი საკითხის გასარკვევად და მოსაგვარებლად.

სხვათა შორის, აინტერესებდათ:

რატომ აცხადებენ ასე ენერგიულად გაზეთები, რომ თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

რას უნდა მივაწეროთ მასმედიის საეჭვოდ გაფაციცებული ყურადღება აჭარისადმი.

რატომ მიფუჩეჩდა „ურეკის ინციდენტის“ გამოძიება.

რა საბუთი აქვს ბრალდებულ თემურ ხაჩიშვილს, როცა აცხადებს, რომ მზადდება ტერაქტი ასლან აბაშიძის წინააღმდეგ.

რატომ ფერხდება (რბილად რომ ვთქვათ) ტელევიზიაში ბათუმიდან გამოგზავნილი რეპორტაჟები.

გაიხსენე, ძვირფასო მკითხველო, დედაქალაქში არაერთგზის დარხეული ხმები:

ძმებო, რატომ მოგვანატრეთ თავი, რატომ არ ჩამოდიხართ აჭარის ხელისუფალნი თბილისში. აკი ჩვენ პირველი დახმარებისთანავე გეახლებით ხოლმე ბათუმში. ნუთუ არაფერი გაინტერესებთ, არაფერი გაქვთ გასარკვევი?..

და აი, ჩამოვიდნენ.

ვაჟა ლორთქიფანიძის კაბინეტიდან პირღიმილიანნი გამოვიდნენ.

მიხარია, რომ ჩამობრძანდით, აბა, სად უნდა წასულიყავითო, ყველა თქვენთვის საინტერესო საკითხზე ამომწურავ პასუხს მიიღებთო, ბატონმა ვაჟამ.

მერე სტუმრები იმ უწყებებს ეახლნენ, ვისთანაც რაღაც-რაღაცები უნდა გაერკვიათ.

ვერც ერთ საკითხზე ვერ მიიღეს ამომწურავი კი არა, თუნდაც მიახლოებული პასუხი.

გაზეთებს ჩვენ ჭკუას ვერ ვასწავლით, რასაც ხედავენ, იმას სწერენო.

რაც შეეხება „აჭარლების გაქართველებას“, სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელს, გ. მამულიას, ეს შეცდომაა, ალბათ, უნებლიედ მოუვიდა ბოდიშს მთელი აჭარის წინაშე იმიტომ არ იხდის, რომ თავმოყვარე კაცია, თანაც ბავშვი არ გეგონოთ, პროფესორია და სახელმწიფო მოხელეა, მინისტრთა კაბინეტში, სწორედ ყველაზე ფაქიზი საქმე – სარეპატრიანტო სამსახური აბარიაო.

აგაშენათ ღმერთმაო, მხრები აიჩეჩეს სტუმრებმა.

ურეკის ინციდენტის გამოძიება იმიტომ მიფუჩეჩდა, რომ მხარეთა დაკითხვა საფუძვლიანად ვერ შევძელითო(?!), ჟვანიას ვერ შევბედეთ, ხარაზს კი ყივანახველა აქვს და ლაპარაკი არ შეუძლიაო.

რაც შეეხება თემურ ხაჩიშვილს, რა საბუთი შეიძლება ჰქონდეს ოთხკედელშუა მოქცეულ კაცს, ალბათ, იხუმრაო. თუ ძალიან გაინტერესებთ, მიბრძანდით, ჰკითხეთ და დარწმუნდებით, რომ ხაჩიშვილი შიგადაშიგ ხუმრობს კიდეცო.

მივიდნენ ხაჩიშვილთან აუდიენციაზე აჭარის დელეგატები, ელენე თევდორაძეზე რომ არაფერი ვთქვათ, დღეს საშუალოდ ხუთი ჟურნალისტი მაინც ესაუბრება ხაჩიშვილს, ყოფილი გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე კი არ შეუშვეს.

აფსუს, ბატონო ვახტანგ, სულ რამდენიმე წლის წინ ტუსაღის ნახვა მოგენდომებინათ და ციმციმ მოგართმევდნენ კაბინეტში.

ტელეფონით მაინც მელაპარაკეთო, რაზმაძემ.

ხაჩიშვილის ციხის ტელეფონი გამორთულია აბონენტის მიერ ტელეფონის გადასახადის გადაუხდელობის გამო, მოახსენეს ვახტანგს.

აგაშენათ ღმერთმაო, ჩაილაპარაკა ვახტანგ რაზმაძემ და, თუ ძალიან დაეჭვებული არა, ღრმად ჩაფიქრებული კი დაეშვა უმაღლესი სასამართლოს აჟურული კიბეებიდან.

რაც შეეხება ბათუმიდან გამოგზავნილი ტელერეპორტაჟების შეფერხებას, სხვა რამეზე ჩვენ პასუხს ვერ ვაგებთ, მაგრამ ეს უკანასკნელი ნამდვილად ბათუმის მიზეზით ხდებაო.

ამ ბოლო დროს თარგამაძე სიუჟეტებს აუტანლად დაგვიანებით გვაწვდის. ვზივართ პირველი არხის თანამშრომლები და გულისფანცქალით ველოდებით: აი, ახლა მოვა ბათუმიდან გულისგამახარებელი რეპორტაჟი, აი, ახლა შემოფრთხიალდება თეთრი მტრედივით აჭარელი ჟურნალისტ-შიკრიკიო, მაგრამ... იმედი რომ გადაგვეწურება და უაჭარისსიუჟეტოდ მოვამზადებთ გადაცემას, პროგრამა როცა უკვე დამტკიცებულია (კიდევ კარგი, მოსკოვთან შეთანხმებულიაო, არ უთქვამთ, რ. მ.). სწორედ მაშინ დაგვიდებენ მაგიდაზე „აჭარულ დღიურს“, მერე რაღას ვუშველით... ნერვებმოშლილნი ვზივართ და ვტირითო.

რაც შეეხება მეორე დღეს აჭარელ ჟურნალისტთა ნახელავის ეთერში გაშვებას, ჩვენ ტელევიზიის ხელმძღვანელები კი გვქვია, მაგრამ სინდისი მთლად კი არ დაგვიკარგავს, როგორ ვაკადრებთ ასლან აბაშიძეს, რომ აჭარის სიუჟეტი ერთი დღის დაგვიანებით გადავცეთო.

იცოდეს ღმერთმა, ჩვენ ობიექტური ხალხი ვართ და აჭარაზე დადებით სიტყვას სანთლით დავეძებთ, არ დავმალავთ, ერთადერთი, ვისი გამოჩენაც არ გვეპიტნავება ეკრანზე, ქართველი მწერალია (და ისიც არა ბათუმელიო, რ. მ.).

გულდამდუღრული ბრუნდებოდა აჭარის დელეგაცია თბილისიდან.

გზაში ნელ-ნელა ხასიათი უკეთდებოდათ. რა მოხდა, ქვეყანა ხომ არ დაქცეულა. ბიუროკრატია ყველგან ბიუროკრატიაა. იქნებ კარგადაც მოიქცნენ, კიტოვანი რომ არ გვაჩვენესო.

იქნებ ყოფილ თავდაცვის მინისტრს და „არძინბას რისხვას“ ისეთი რამ ეთქვა, რომ განხეთქილების ვაშლად გაგორებულიყო ბათუმსა და თბილისს შორისო.

ურეკს რომ მიუახლოვდნენ, ერთმა მათგანმა მანქანაში თბილისის ტელევიზია ჩართო.

ბევრი სტუმარი ეწვია დღეს თბილისსო, აუწყებდა ქვეყანას რეპორტაჟის ავტორი, ბევრმა მოგვინახულა, მაგრამ აჭარის დელეგაციასავით თითი არავის დაუქნევიაო.

რა არის ეს?!

იქნებ უფრო მოზომილად გეთქვა, ძმაო ჟურნალისტო?

რა ბუზანკალი შეგიძვრა, ასეთი, სიყვარულის თავანკარა მდინარის ამღვრევა რომ განგიზრახავს?

იქნებ გაჩუმება სჯობდა, მაგრამ თავს ვერ მოვერიე.

ძილი გამიკრთა, ეს რომ მოვისმინე.

ვისა აქვს მშვიდი ძილი, მე რომ მქონდეს დღეს საქართველოში.

გავცქერი ჩემი სამშობლოს სანახებს და ერის ძილღვიძილს ჩემებურად ვგუშაგობ.

ჩვენს უილაჯობა-სიმცირეზე სხვასავით ვწუხვარ და ყივილით გარს ვუვლი საქართველოს შეკრეჭილ მიწა-წყალს.

რაც დაგვრჩა, ესეც არ წაგვართვას-მეთქი მოძალებულმა გადამთიელმა.

მტერი ხომ შავ დღეს გვაყრის, ჩვენი ბედოვლათობითაც მშვენივრად ვეზიდებით ქვეყანას უფსკრულისაკენ.

ნუ გაგაკვირვებთ ჩემი სურვილი, ქვეყნის გადარჩენაში დავიდო წილი.

საკმარისია ერთხელ გავივლო გულში – „რა ჩემი საქმეა“, რომ აზრს დაკარგავს ჩემი, ისედაც უღიმღამო არსებობა ამქვეყნად.

მიუხედავად იმისა, ძველებურად აყურადებს თუ არა საქართველო მწერლის ხმას და მიაჩნია თუ არა კალმის კაცი მის სულიერ წინამძღოლად, ან, თუ გნებავთ, მებაირახტრედ, მე ჩემი უნდა ვთქვა.

არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, არავისგან ვარ დავალებული, თავზე ხელის გადასმა-ყურადღებით რომ ვინმეს მუნდირის დამცველი და მეხოტბე ვიყო.

რასაც ვწერდი და ვწერ, ჩემი სინდისის კარნახით ვწერდი და იქნებ

მქონდეს მორალური უფლება ჩემი საქვეყნო ფიქრის გაცხადებისა, როცა საქმე ჩემთვის ყველაზე ძვირფასს – სამშობლოს შეეხება.

ამჯერად აჭარაზე ვაპირებ ორიოდე სიტყვის თქმას.

როცა ხელისუფლებისა და ჟურნალისტთა მშფოთვარე აზრი აჭარისკენ შებრუნდება და პოლიტიკურ ვნებათა ბარომეტრზე აჭარის თემა წითლად აინთება ხოლმე, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და ტბელ აბუსერიძის კუთხეს მივაშურებ, „ათასჯერ განაგონზე ერთხელ ნანახის უმჯობესობის“ ანდაზას გადევნებული.

ჩავალ, რათა მწერლის გუმანს მივანდო ნანახ-განცდილის ანალიზი და ჩემი შეხედულება მქონდეს ამ მშვენიერ კუთხეზე სახვალიო ლიტერატურული გაკვეთილების მოსამზადებლად.

საქართველოს უძველესი ფუძე-აკვნის ძებნით გართულმა, ოცი წლის მეოცნებე ბიჭმა, ერთ დროს ფეხით მოვიარე ეს ღვიძლქართული კუთხე და იმ წლებმა დაუდო სათავე ჩემს უკიდეგანო სიყვარულს დედააჭარისადმი.

მაშ ასე, შევეცდები, არ გავექცე მასმედიის მიერ ატივტივებულ ყველაზე მტკივნეულ პრობლემებს.

ასლან აბაშიძისადმი წაყენებულ ყბადაღებულ პრეტენზიებს და პოლიტიკანთა რისხვიან ბარათებს „ბრალდებებს“ დავარქმევ, პასუხით კი ყველა მათგანს ჩემი მოკრძალებული ცოდნის პოზიციიდან ვუპასუხებ.

ბრალდება პირველი: ასლან აბაშიძის დაჟინებით, აჭარის უზენაესმა საბჭომ დაადგინა ბათუმის და ქობულეთის მერები ხალხმა აირჩიოს საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე.

ეს ხომ საქართველოს კონსტიტუციის იგნორირებაა, ეს ხომ სეპარატიზმიაო. ამით ხომ ასლან აბაშიძე პრეზიდენტის როლს უგულებელყოფსო. აკი კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ დიდი ქალაქების მერებს პრეზიდენტი ნიშნავსო.

ჯერ ვნახოთ, რომელი ფორმა უფრო დემოკრატიულია – არჩევა თუ დანიშვნა?

ვის უფრო გაჰყვება ხალხი – თავის არჩეულს თუ ზემოდან თავსმოხვეულს?

რასაკვირველია, თავის არჩეულს.

ახლა იმ არგუმენტს გავუსინჯოთ კბილი, თავის დროზე მერთა დანიშვნის გასამართლებლად პიტნასავით რომ გვჩრდინენ ცხვირში.

დიდი ქალაქების მოსახლეობა ჯერ მზად არ არის (პოლიტიკურ სიმწიფეზეა ლაპარაკი – რ. მ.) იმისათვის, რომ ქალაქის მერი თვითონ აირჩიოსო.

ამ ლოგიკით თურმე საჩხერის და ამბროლაურის მოსახლეობა მომწიფებულია ქალაქის მერის ასარჩევად, თბილისის, ქუთაისის ან ბათუმის მოსახლეობა კი – არა.

რა შეატყვეს ასეთი უმწიფრობის კონსტიტუციონერებმა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის მცხოვრებთ?

პარლამენტის და პრეზიდენტის ასარჩევად მზადაა დიდი ქალაქის მცხოვრები, აი, მერის ასარჩევად კი, ჯერ კიდევ მომწიფება სჭირდება.

რა ბედენა-ჩიქვანია ასეთი ქალაქის მერი, რომ პრეზიდენტის არჩევას განდობენ და მერისას არა?

ხომ არ იმალება აქ აღვირის „ხელიდან არ გაშვების“ ნაცადი კომუნისტური მეთოდი?

ჩემს დანიშნულს, როცა მინდა, ყურს ავახევ, ხალხის არჩეული კი, რა ვიცი, ხვალ რა ჭკუაზე დადგება.

საცოდავი ფოთი... ჩვენი საუკუნის დასაწყისში მზად ყოფილა ქალაქის თავის ასარჩევად. აირჩია კიდეც „ფოთის აღმშენებლი“ – დიდი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე.

ამის მერე ლამის ასი წელი გავიდა და ახლა, როცა საუკუნე იწურება, ვერ ვანდობთ ფოთს, ქალაქის თავი თვითონვე აირჩიოს.

ვაითუ, კიდევ გამოჩხრიკოს ფოთმა ახალი ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს სურვილი გაუჩნდება, ზემოდან წამოსულ მითითებათა ნიაღვარს ეჭვიანი ღიმილი შეაგებოს.

ვიღუპებით, ბათუმისა და ქობულეთის თავებს თვით ბათუმელები და ქობულეთელები აირჩევენ. თავით (კინაღამ სხვა რამ წამომცდა) კაკალს ამტვრევს ზოგიერთი „მგზნებარე პუბლიცისტ-პოლიტიკოსი“.

იქნებ მართლა დაიქცა ქვეყანა და ქარს გაატანა სიმწრით მიღებული ჩვენი კონსტიტუცია ასლან აბაშიძემ?

იმ კონსტიტუციაზეა ლაპარაკი, ძვირფასო მკითხველო, რომელშიც საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ მოწყობაზე ავტორები დელიკატურად დუმან, ხოლო აჭარის სტატუსი საერთოდ განსაზღვრულიც არ არის.

შეიძლება საქართველოს პრეზიდენტს ამდენი „ჰაის ზმით“ მართლა ეფიქრა, რატომ გამიხადა უკვანტო საქმე საკვანტოდ ასლან აბაშიძემ, რა მოხდებოდა, თვით მასთანვე შეთანხმებით ბათუმის და ქობულეთის მერების დანიშვნაზე მე მომეწერა ხელიო, მაგრამ პრეზიდენტისგან აჭარაზე „შეშლილი ხარის“ გაკეთების მსურველთ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ;

შევარდნაძემ 28 სექტემბრის რადიოინტერვიუში მშვიდად განაცხადა: ბათუმის და ქობულეთის მერთა არჩევანში არაფერი არ არის არაკონსტიტუციური. ჩემ მიერ მერების ერთპიროვნულად დანიშვნა დროებითი ღონისძიება გახლდათ. შეიძლება ამ ფაქტს (მერების არჩევის, რ. მ.) ექსპერიმენტული მნიშვნელობა ჰქონდეს და მთელი საქართველოს მაგალითად გამოდგესო.

თურმე, როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს.

ბრალდება მეორე: ასლან აბაშიძის წინადადებით ფრაქცია „აღორძინებამ“ უარი თქვა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებსა და კენჭისყრებში მონაწილეობაზე.

ამაზე რაღა პასუხს გაგვცემს აჭარის თავი? ეს ხომ ფაქტობრივად საკანონმდებლო ორგანოსთვის ზურგის შექცევას ნიშნავსო, პილპილობენ ოპონენტები.

ჩავხედოთ ჩვენ მიერვე არჩეულ პარლამენტს, რომლის არჩევის დემოკრატიულობასა და ობიექტურობაზე მითქმა-მოთქმა დღემდე არ შეწყვეტილა, ხოლო მის ქმედითუნარიანობაზე ღაღადებს არაერთი მკვდრადშობილი კანონი.

ცხოვრების ქარავანი ცალკე თავისი გზით მიიზლაზნება, პარლამენტი კი თავისი მღელვარე ყოველდღიურობით ნათობს. აცხობს და აცხობს უმწიფარა კანონებს.

მერე ისეთივე მგზნებარებით შეაქვს გაუთავებელი შესწორებანი ახალმიღებულ კანონებში.

როცა კანონს საიმედოდ მოარგებს სიტუაციას და ამა თუ იმ კლანის ინტერესებს, დამშვიდდება და „სრულყოფილ კანონს“ მაღალ სახელმწიფოებრივ თაროზე შემოდებს, სპიკერი კი საკანონმდებლო არდადეგებზე მოუხმობს გონებრივი შრომით დაღლილ პარლამენტარებს.

ხალხზე ზრუნვაში გაჭაღარავებული პარლამენტარები არც არდადეგების დროს ისვენებენ; კაპიკ-კაპიკ დანაზოგი ფულით ფეშენებელურ გემს დაიქირავებენ და პარლამენტართა საყვარელი სახეების ნახვამონატრებულ ამომრჩევლებს ცისფერი ეკრანიდან ხშირად აჩვენებენ „მოდრეიფე ხომალდის“ შორიახლო სელაპებივით მოდგაფუნე პარლამენტის სპიკერატს და უბრალო პარლამენტარებს.

მასამ პარლამენტის ლაღობას რომ არ მიბაძოს და „არ გაირყვნას“, შიგადაშიგ „ტელესიუჟეტში“ იმ კადრებსაც ჩაურთავენ, სველ სასირცხო ადგილებზე პირსახოცშემოხვეული ბრძენი პარლამენტარები როგორ მუშაობენ ახალ კანონთა ურთულეს პროექტებზე.

ჩაჰალსტუხებულ-ჩასმოკინგულმა დეპუტატმა რა ულტრაკანონებით აგვაყვავეს, ხომ ცნობილია და ევას კოსტუმში გამოწყობილი პარლამენტარები რა ხეირს დაგვაყრიან, ესეც არაა ძნელი მისახვედრი.

იბადება ექვსთვიანი, უდღეური კანონები და, თითქოს იცისო, რა შვილების პატრონიცაა, ჩვენი პარლამენტი თავს არ იწუხებს მის მიერ მიღებულ კანონთა ცხოვრებაში გატარებაზე.

ამის გარდა ჩვენს პარლამენტს ერთი „სიკეთეც“ სჭირს – იგი გამაღიზიანებლად ერთსახოვანია.

ღმერთმა შეარგოს, ვინც იზრუნა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, ფაქტობრივად ერთი პარტიით ყოფილიყო დაკომპლექტებული.

ვის დავუმალო, განა პატივცემულ მკითხველს უკეთ არ მოეხსენება, რომ ჩვენს სამოქალაქო უმრავლესობას სხვა პარტიათა წარმომადგენლები მხოლოდ „სპექტრის შესაქმნელად“, მხარის დამამშვენებლად ჰყავს.

დამისახელეთ თუნდაც ერთი შემთხვევა, მოქალაქეთა კავშირს ანუ უმრავლესობას თავის სხდომაზე გადაეწყვიტოს, ეს ასე უნდა იყოსო და პარლამენტის კენჭისყრაზე ვერ გაეტანოს.

მაშ რისთვის, ვისთვის არის ეს მოჩვენებითი „დებატები“ და ხმების თვლა?

ახლა ამ უკანასკნელზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას.

კენჭს უყრიან აღორძინების მიერ შემოტანილ პროექტს ბათუმის ნავსადგურის ორ ნავმისადგომზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღების შესახებ.

ასლან აბაშიძემ მთელ საქართველოს განუცხადა, მომეცით თავისუფალი ეკონომიკური ზონა და შემოსავლის 90 პროცენტს საქართველოს ბიუჯეტს შევმატებო.

როგორ ფიქრობთ, რამდენი იქნებოდა წელიწადში თავისუფალი ეკონომიკური ზონით მოპოვებული ეს 90 პროცენტი? არც მეტი, არც ნაკლები, 3,5 მილიარდი დოლარი.

ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, საქართველომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე უარის თქმით უკანასკნელ ორ წელიწადში 7 მილიარდი დოლარი დაკარგა.

არაფერია 7 მილიარდი ჩვენისთანა გაღლეტილი ქვეყნისთვის?

ატყდა პარლამენტზე „აზრთა ჯახაჯუხი“; ღმერთო კი მომკალი, რა გაგვიჭირდა საშვიდმილიარდდოლაროო? სჯობს, უკანალზე გაცრეცილი შარვლით ვიაროთ, ვიდრე ასლან აბაშიძის მიერ გამდიდრებული ბიუჯეტით „ვინხარმამას“ ვიძახდეთო.

კარგად ვიცით ჩვენ, რას ნიშნავს თავისუფალი ეკონომიკური ზონაო.

როგორც კი აჭარას ორ ნავმისადგომს გავუთავისუფალზონებთ, იმ წამსვე „დაჩაგრული“ აფხაზეთიც მოითხოვს თავისუფალ ეკონომიკურ ზონასო.

ბარე ორი მამალი იყივლებს, სანამ აფხაზეთი თბილისს თხოვნით კარზე მიადგებოდეს, არ დამღუპო, სოხუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონა დამიკანონეო.

აფხაზეთმა კარგა ხანია დაიკანონა თავისთვის სასურველი ყველა „ზონა“ და თუ ბევრს „ვუჩუჩხურებთ“, იმ ორიოდე, შიშისგან ფერწასულ ქართველსაც გამოგვიყრის „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ ტერიტორიიდან.

ასლან აბაშიძემ უსაგნო კამათით მიყენებული წყენა გულში გაინელა და „აღორძინებას“ ურჩია, პარლამენტი გონიერია, კანონპროექტი კენჭისყრაზე დააყენეთ, მე მგონი, საღი აზრი გაიმარჯვებსო.

დააყენეს თავისუფალი ზონის საკითხი საქართველოს პარლამენტის კენჭისყრაზე.

ვერ გაიმარჯვა საღმა აზრმა.

დრო გარბის, დაკარგულ შვიდ მილიარდს მალე დაკარგული 3,5 მილიარდი დაემატება.

აჭარას თავისი უმაღლესი საბჭო ჰყავს.

ხომ შეეძლო ასლან აბაშიძეს, აჭარის პარლამენტზე გადაეწყვიტა თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხი და ჯიუტად ჩაეჩურთა საქართველოს ბიუჯეტის ყულაბაში წელიწადში 3,5 მილიარდი დოლარი?

უარს იტყოდა ამ უნებლიე საჩუქარზე საქართველოს დამორცხვებული ხელისუფლება?

იქნებ არ ეთქვა უარი, მაგრამ ასლან აბაშიძემ სწორედ სეპარატიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა. როცა საქართველოს პარლამენტის ეს უკანონო უარი კანონად მიიჩნია, გაჩუმება ამჯობინა.

ერთი რამ კი აგრძნობინა ჩვენს უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას:

დროებით უარს იტყვის „აღორძინება“ კენჭისყრებში მონაწილეობაზე, რაკიღა ფაქტობრივად „აღორძინებაც“ და სხვა ფრაქციებიც პარლამენტში ამინდს ვერ ქმნიან. „მოქ-ს რაც სწადიან, იმას იქმს, უმრავლესობის წესითაო“.

გამოვიდა „აღორძინება“ კენჭისმყრელთა კოჰორტიდან, მაგრამ არსად წასულა, მისი წევრები ისევ თბილისში არიან, სექციების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ და საქართველოს ბედი ისევე აწუხებთ, როგორც აქამდე აწუხებდათ.

ბრალდება მესამე: რატომ არ ჩამოდის ასლან აბაშიძე თბილისში?

ეს საკითხი მეც გულწრფელად მადარდებს და მაფიქრებს.

არაერთხელ ვესაუბრე ამ თემაზეც აჭარის ლიდერს.

ჯერ იქიდან დავიწყოთო, მითხრა, ზოგი ენაჭარტალა რომ მაბრალებს, თითქოს თბილისს საქართველოს დედაქალაქად არა ვცნობდე და საქართველოს ხელისუფლებას არ ვემორჩილებოდეო.

მომიძებნეთ თუნდაც ერთი სიტყვა, რომ მე საქართველოს პრეზიდენტის მიმართ ურჩობა, ან უპატივცემლობა თუნდაც მინიშნებით გამომეხატოსო.

ან პრეზიდენტს თუ სადმე უთქვამს, ასლან აბაშიძე საქართველოს ხელისუფლებას არ სცნობს და მომითვინიერეთ როგორმეო.

პრეზიდენტი და მე ტელეფონით უფრო ხშირად ვსაუბრობთ, ვიდრე ზოგ „არამკითხე მამიდას“ ჰგონია და როცა საჭიროა (ვთქვათ, პრეზიდენტის არჩევნები), ერთმანეთს ისე ვუდგავართ გვერდით, როგორც საჭიროაო.

რაც შეეხება თბილისში ჩამოსვლას, ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება მაქვს. მე არ მსურს დაცვით გარემოცულმა ვიარო იმ ქალაქში, სადაც სტუდენტობა გავიარე და თხუთმეტი წელი ვმსახურობდიო.

თუ მე ესკორტის გარეშე, თავისუფლად გავივლი რუსთაველის და აღმაშენებლის პროსპექტებზე, დარწმუნებული ვარ, დიდ პრობლემებს

და საზრუნავს გავუჩენ შესაბამის სამსახურებს, რაკიღა ჩემი უთავბოლო, უსამართლო ლანძღვით მავანთ თბილისში საქმეში ჩაუხედავი მომდურალი გამიმრავლესო.

არავის ეწყინოს და ჩემს სათაყვანებელ დედაქალაქთან ჩემი პრეტენზიებიც მაქვსო.

განა საქართველოს ჭეშმარიტი გულის, ან თავისი ცხოვრებით ცხოვრობს ის ქალაქი:

სადაც უპირველეს ეროვნულ ბუდეს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საძირკველში ამონალს უდებენ ასაფეთქებლად და წელიწადში ორჯერ ხანძრის კვამლში ახვევენო.

სადაც პარტიის ლიდერებს თავს ესხმიან და უმოწყალოდ ხოცავენო.

სადაც ქუჩაში გამოსული ათიოდე ოპოზიციონერისა ისე ეშინიათ, რომ ყოფილი პრეზიდენტის ქვრივის თვალწინ ქალებს ხელჯოხებით ერეკებიან, ხოლო ამის შემყურე ქ-ნ მანანას წამდაუწუმ გული მისდისო.

სადაც თავისუფლების მსოფლიო ინსტიტუტის თანამშრომელ ახალგაზრდებს ცემა-ტყეპით ჰყრიან შავი ფერის მანქანებში.

სადაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის მებრძოლ რედაქტორს ქუჩაში, თავისი რედაქციის წინ ხვდებიან და რევოლვერის ტარით ცხვირპირს ამტვრევენო.

სადაც, ლტოლვილთა ყრილობა რომ ჩაატარონ, ფილარმონიის დასაქირავებლად, ძლივს მოგროვილ 4 ათას ლარს იხდიან, მაგრამ ფილარმონიის შენობასთან შეკრებილ დელეგატებს სამი თითის კომბინაციას უჩვენებენო (სხვათა შორის, ამის თაობაზე პირველ ოქტომბერს საქართველოს ომბუდსმენმა, დავით სალარიძემ, განაცხადა: უსამართლობად მიმაჩნია ფილარმონიის შენობაში ლტოლვილთა არშეშვება. ბოლოს და ბოლოს, რას იტყოდნენ ისეთს, რაც ათასჯერ არ თქმულა და არ დაწერილაო, რ. მ.).

სადაც ლეგიტიმურად არჩეულ პრეზიდენტს თავის კაბინეტში თავს ესხმიან, გაქცევას აიძულებენ და მერე ჯიხაშკარში თავშეფარებულს ტყვიით საფეთქელს უხვრეტენო.

სადაც ასევე კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს ქუჩაში დემონსტრაციულად უსაფრდებიან და კანონადის ცეცხლში ახვევენ, მანქანას მრისხანე „მუხით“ უფეთქებენ, ხოლო ბედნიერი შემთხვევის წყალობით სასწაულებრივად გადარჩენილი პრეზიდენტი რიგითი პოლიციელის მანქანით გაარღვევს ცეცხლის რკალს და თავისი რეზიდენციისაკენ გაეშურებაო.

ტერორი მარტო პრეზიდენტზე თავდასხმა როდია, ტერორია უმწეო ჟურნალისტზე თავდასხმაც, მართლის მთქმელ კაცზე ძალადობაც, ამიტომ ვფიქრობ, რომ თბილისში ტერორი მძვინვარებსო.

ახლა კი თქვენ განსაჯეთ თბილისში ჩემ დროებით (ხაზს ვუსვამ, დროებით) ჩამოუსვლელობას აქვს თუ არა საფუძველიო.

ბრალდება მეოთხე: ასლან აბაშიძე საეჭვო კავშირს აბამს ახალქალაქთან, ხოლო „აღორძინება“ „ჯავახკის“ ლიდერებს ეთათბირება ჯავახეთის აჭარასთან მიერთებაზე.

ესეც „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ ნაცნობი მოტივია.

ხომ საყოველთაოდ ცხადია, რომ ამ ორიოდე თვის წინათ 25-მა შეირაღებულმა სომეხმა ახალქალაქში ქართული ბატალიონი არ შეუშვა.

ის ბატალიონი არც ისე ჯაბანი ბიჭებისაგან შედგებოდა და როგორმე შეაღწევდა ახალქალაქში, მაგრამ ინციდენტს მოერიდა.

მერე „ჯავახკის“ ზოგიერთმა ლიდერმა სომეხთა „გაბუტვის“ მიზეზთა ახსნაც სცადა:

ათეული წლების განმავლობაში ვერც ერთი ქართულის მასწავლებლის გამოგზავნა ვერ მოახერხეთ სომხურ სკოლებში და კიდევ აქეთ გვსაყვედურობთ, ქართული რატომ არ იცითო.

ათეული წლების განმავლობაში ერთი ბანკიც ვერ გახსენით ახალქალაქში და აქეთ გვსაყვედურობთ, რატომ არაა თქვენთან ლარი ენერგიულ ბრუნვაშიო.

გერის მდგომარეობაში ვართ. ჰუმანიტარული დახმარება ჩვენამდე არ მოდის, ხელფასებს წარმოუდგენლად გვიგვიანებენ. შთაბეჭდილება ისეთი გვრჩება, თითქოს ფინანსთა მინისტრის ბადეში ჯავახეთი საერთოდ არ ზისო.

დახმარებაზე როცაა საქმე, გავიწყდებით და ახლა მხოლოდ საწვრთნელ მინდვრად გაგახსენდათ ჯავახეთიო?

იქნებ მცირე, მაგრამ იყო სიმართლის ნატამალი სომეხთა პრეტენზიებში.

ამ დროს ჩადის „აღორძინება“ ახალქალაქში.

ფქვილს და კონსერვებს უფასოდ ურიგებს მოსახლეობას.

ბათუმიდან ჩასულნი გულახდილად ესაუბრებიან სომხებს ჩვენი ქვეყნის საერთო გასაჭირზე.

„ჯავახკი“ დაშოშმინდა, ძველებურად აღარ ყელყელაობს. ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ საქართველოში ახალი ავტონომიების გაჩენის პრინციპული წინააღმდეგია.

რა საეჭვო კავშირზეა ლაპარაკი?

რაო? შენ ვინ გკითხავდა სომეხთა დაშოშმინებას, სომხები მე უნდა დამეშოშმინებინაო?

თუ „ჯავახკი“ აჭარასთან შეერთების სურვილს გამოთქვამს (რაც საქართველოს პარლამენტის დასტურის გარეშე არ მოხერხდება), ან ამით რა, ქვეყანა დაიქცევა?

საით წაიყვანს ჯავახეთს ასლან აბაშიძე?

იქნებ თურქეთში, როგორც ეს ზოგ თავგახურებულ ოპონენტს ჰგონია?

მერედა ეს ასლანს კიდეც რომ მოუვიდეს თავში, სომხებს თურქეთთან შეერთება უნდათ? ესენი ხომ 1915 წლის ჟლეტას გადარჩენილ სომეხთა ნაშიერებია, საქართველოს ძირძველ მიწაზე ჩვენ რომ შევიფარეთ.

თუ აჭარა დააშოშმინებს ხალხს და მოუვლის ახალქალაქის პრობლემებს, განა ამით დიდი საქართველოს საქმეს არ გააკეთებს?

აღარ უნდა დავრწმუნდეთ, ბოლოს და ბოლოს, რომ ასლან აბაშიძე ქართული ორიენტაციის და მხოლოდ ქართული ორიენტაციის კაცია?

მის წარმომავლობას რომ თავი დავანებოთ, არაფერს გეუბნებათ აჭარის ლიდერის დიდზე დიდი მეცენატობა ქართული კულტურისადმი?

არაფერს გეუბნებათ რუსული ყაზარმების დანგრევა შუა ბათუმში და მის მაგივრად მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნა?

არაფერს გეუბნებათ ხულოში სასულიერო სემინარიის გახსნა, სადაც 1500 ახალგაზრდა სასულიერო განათლებას ეუფლება?

განა ყველა რელიგიისადმი შემწყნარებლობა ასე რომ გამოარჩევს ასლან აბაშიძეს, სწორედ რომ ქართველი კაცის ისტორიული თვისება არ არის?

ახალქალაქისადმი მოფერებაში ზოგმა ჩვენმა მეგობარმა, ვფიქრობ, სხვა საშიშროება დაინახა – არიქა, ასლან აბაშიძემ სომხები გადაიბირა და მომავალ არჩევნებში ისინი სწორედ „აღორძინებას“ მისცემენ ხმასო.

აი, სად მარხია ძაღლის თავი.

ბრალდება მეხუთე: ჩოლოქში გზა გადაკეტილია. ოპოზიციონერები იძულებული ხვდებიან, თბილისიდან ტრაპიზონში ჩაფრინდნენ და სარფის გავლით შემოაღწიონ აჭარაშიო.

სინდისში ჩაიხედოს, ვინც ამას ამბობს, გულზე ხელი დაიდოს და დაასახელოს თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ ჩოლოქიდან მშვიდობიანი, უიარაღო მოქალაქე უკან გააბრუნეს.

ვინ გეკითხება პოლიტიკურ ორიენტაციას, ვინ კითხულობს, რა იდეებით გაქვთ თავი გამოტენილი?

ვის გაუჩხრიკეს მანქანა, ვის ამოუტრიალეს ჯიბეები?

ბევრია საქართველოში ისეთი თავაზიანი პოლიციელებისაგან შემდგარი საგუშაგო, როგორიც ჩოლოქშია?

რკინაბეტონის ბლოკები დააწყვეს მაშინ, როცა განუკითხაობა იყო ქვეყანაში, როცა ავტომატიან-ბეტეერიანი ბანდფორმირებები იწევდნენ აჭარაში სათარეშოდ.

რა არის იმაში ცუდი, რომ ტანკებს და შარაგზის ყაჩაღებს არ გაათელინა ასლან აბაშიძემ აჭარა?

ახლა, როცა საქართველოში შედარებით დაწყნარდა სიტუაცია, ხომ აიღეს ჩოლოქთან რკინაბეტონის ბლოკები?

ვერ შეამჩნიეთ, ძვირფასო ოპოზიციონერებო, რომ რკინაბეტონის ბარიერები ჩოლოქთან აღარ არის?

ვერც ის შეამჩნიეთ, რომ რკინაბეტონის ბლოკებმა ჩოლოქიდან თბილისის შესასვლელისკენ გადმოინაცვლა?

რატომ არ ტეხთ განგაშს, რა უნდა თბილისის შესასვლელთან რკინაბეტონის ბარიერებსო?

ცხოვრობს აჭარაში ნიჭიერი ინჟინერი და ორგანიზატორი ზვიად ცეცხლაძე.

იმის შემდეგ, რაც ქართველებს გაგრა და ბიჭვინთა წაგვართვეს, ფაქტობრივად ზღვაზე ნორმალური დასასვენებელი სახლი არ გაგვაჩნდა.

ზვიად ცეცხლაძემ აჭარის ლიდერის დავალებით და ხელდასხმით ჩაქვში უზარმაზარი კომფორტული დასასვენებელი კომპლექსი ააშენა.

ამ ზაფხულს ერთი დღით შევიარე; მთელი თბილისი იქ იყო. ნეიტრალური ინტელიგენტური ელიტის გვერდით ასლან აბაშიძისადმი აშკარად მტრულად განწყობილი პირებიც ისვენებდნენ.

ყურადღებიანი, ტაქტიანი ზვიადი ყველას ხელგაშლით მასპინძლობდა.

სიტყვას მოჰყვა, თორემ ან ეს რა სალაპარაკოა, ქართველი კაცი საქართველოში სადაც უნდა, იქ დაისვენებს.

ბრალდება მეექვსე: ასლან აბაშიძე ლოიალურადაა განწყობილი ბათუმში დაბანაკებული რუსული ჯარის ნაწილებთან.

რა უნდა აკეთოს ასლან აბაშიძემ, უნდა გაებუტოს ბათუმის ბაზაზე მყოფ რუს ჯარისკაცებს, თუ ყურზე უნდა უკბინოს იქ მოკალათებულ რუსის გენერლებს?

უკბენს და კარგ ჩიტსაც დააჭერინებენ.

რაო, ასლან აბაშიძემ შემოიყვანა საქართველოში რუსის სამშვიდობო ჯარი?

რაო, ასლან აბაშიძემ მიიღო ესენგეში საქართველოს შესვლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება?

რაო, ასლან აბაშიძის დადგენილებით დავუკანონეთ 25 წლით რუსის ჯარს საქართველოს სამხედრო ბაზები?

რაო, ასლან აბაშიძემ დააყენა რუსი მებაჟეები სარფში და ახალციხეში?

რაო, ასლან აბაშიძე უგრძელებს ყოველ ექვს თვეში რუსის „სამშვიდობო ჯარს“ საქართველოში ყოფნის მანდატს?

დაადგინა საქართველოს პარლამენტმა, გავიდეს რუსის ჯარი საქართველოს ტერიტორიიდანო და ასლან აბაშიძე წინააღმდეგია?

ჩვენ მიერ გაფუჭებულ საქმეს ასლან აბაშიძეს რატომღა ვაბრალებთ?

რა ნამუსით ვეძებთ სხვის თვალებში ბეწვს, როცა საკუთარში დირეც ვერ შეგვიმჩნევია?

მოვაშოროთ აჭარას ნერვიულ-ეჭვიანი მზერა.

ჩვენ სხვა ვიკითხოთ.

როგორ არ მინდა ამ წერილში იმ „სხვაზე“ საუბარი.

არა, არ დავეშვები იმ „ფხიზელი“ კოლეგების დონეზე, ჭიქა წყალში ქარიშხლის დატრიალება რომ შეუძლიათ, ხმა რომ აუკანკალდებათ, ასეთი „სიბრძნე“ იღაღადონ: „თურქი მესხებიც ისევე მალე გაქართველდებიან, როგორც აჭარლები გაქართველდნენო“. მანამდე კი (სანამ აჭარლები გაქართველდებიან) „საქართველოს ისტორიის მე-4 ტომი მაინც გამოგვეცა თურქულ ენაზე და მიგვეწოდებინა იგი თუნდაც აჭარელი მუსლიმებისათვის“, არც ერთ გაზეთში გამოქვეყნებული ცხრილის უვიც შემდგენელთ გავუმართავ კამათს, სერიოზულად რომ გვაუწყებს: საქართველოში ცხოვრობენო „69% ქართველები, 9% სომხები, 6% რუსები, 6% აჭარლები, 5% აზერბაიჯანელები, 3% ოსები... დემოგრაფიის ამ გენიოსს არაფერი აქვს ნათქვამი იმაზე, რამდენი პროცენტია საქართველოში მეგრელი, იმერელი, სვანი, გურული, რაჭველი...

ეს ყველაფერი ისეთი სისულელეა, რომ საწინააღმდეგოს მტკიცებით მკითხველს შეურაცხყოფას ვერ მივაყენებ.

ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო, ბრძენს უთქვამს:

ნუ დავასხამთ წყალს მტრის წისქვილზე.

ნუ წამოვეგებით წამქეზებელთა ანკესზე.

ზის ჩრდილში ახლა ავის მოსურნე და ჩვენს გულუბრყვილობაზე ეცინება.

მან თავისი საქმე გააკეთა. უნდობლობის ღადარს სული უბერა და ახლა ძმათა შორის ცეცხლის გაჩაღებას ელოდება.

ნუ გავახარებთ მტერს, ძმანო ქართველნო!

ხმა ამოვიღოთ, სანამ ფერმის გოჭებივით დაგვნომრავენ...

1999 წლის 14 იანვრიდან ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ 1998 წლის ოქტომბერში მიღებული და პრეზიდენტის მიერ 28 დეკემბერს ხელმოწერილი კანონი, რომლის ძალითაც საქართველოში დაბადებულ ბავშვებს დაბადების მოწმობაში ეროვნება აღარ ჩაეწერებათ.

მაშ ასე, ეროვნება აღარ გვიწერია პასპორტში, პირადობის მოწმობაში... ახლა დაბადების მოწმობიდანაც ამოგვიღეს.

აღსრულდა დამპყრობელი რუსეთის ორსაუკუნოვანი ოცნება საქართველო უკვე აღარ არის ეროვნული სახელმწიფო. საქართველოს ხელისუფლებამ ნებაყოფლობით თქვა უარი იმაზე, რასაც საუკუნეთა განმავლობაში გულმხურვალე მამულიშვილთა მკლავი და გონება შეეწირა.

ჩვენი ისტორია, ხომ ფაქტობრივად ქართველობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა იყო.

ჩვენ გვათათრებდნენ და არ ვთათრდებოდით.

დაისვენეთ, ქართველნო, ამიერიდან ქართველობისთვის ბრძოლა აღარ მოგიწევთ. ხელისუფლებამ ქართველობა გააუქმა და ამით საქართველოც გააუქმა.

ცრემლითა და ტკივილით ვწერ ახლა ამ სტრიქონებს და ხელისუფლების ოსპის წვენით დანაყრებული ნაძირალას ქირქილი ჩამესმის – დაანებე, რევაზ, თავი მკერდზე პატრიოტული მჯიღის ცემას და ქართველი ხალხის გაღიზიანებას, .პარლამენტმა და პრეზიდენტმა უკეთ უწყიან, რასაც აკეთებენ.

მე ჩემსას მაინც ვიტყვი და კიდევ ერთხელ შევეცდები ჩემი ღრმად ჩაძინებული ერის გაღვიძებას.

უშუქობით და შიმშილით დაბეჩავებული მოქალაქე ამ ჩემს ქადაგებაზე წამით გაირინდება. მოგცლია ერთიო – ჩაილაპარაკებს და თავისი გზით წავა.

დრო გავა. იქნებ შუქიც გაჩნდეს ჩვენს ფანჯრებში და იქნებ კუჭის პრობლემაც მოვაგვაროთ, მაგრამ ის, რაც ხელისუფლებამ ამ საშინელი კანონით გააფუჭა, აღარ გამოსწორდება და ჩვენი დასამარების ტოლფასია.

ყოველ ქვეყანას ჰყავს თავისი მკვიდრი, ძირეული, ისტორიული, სახელმწიფოს შექმნის სათავესთან მდგომი, ე. წ. ავტოქტონური ერი – საქართველოსთვის ასეთი ერი ქართველი ერია.

ორი ავტოქტონური ერი, მაგალითად აფსუა და ქართველები აფხაზეთში, ან ოსი და ქართველი შიდა ქართლში, როგორც ამას ზოგი ჭკუანაღრძობი ისტორიკოსი ამტკიცებდა და ახლაც ამტკიცებს, ერთ ტერიტორიაზე მხოლოდ ქართველი ერია.

ამიტომაც ისტორიული სამართლიანობა და ყველა საერთაშორისო სახელმწიფოებრივი კანონი მოითხოვს, რომ საქართველოში, როგორც ქართველების ერთადერთ სამშობლო-ქვეყანაში, დაცულ იქნას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სახელმწიფო ენა იყოს ქართული ენა და საერთოდ, მთელ ქვეყანაში დომინირებდეს ქართული ეროვნული კულტურა.

სინამდვილეში რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში?

მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზის დროს ჩვენს ქვეყანაში გარდა ქართულისა, სხვა ენა „აღარ იზრახებოდა“, დღეს, მეოცე საუკუნის ბოლოს, საქართველოს 300 ათასი კვადრატული კილომეტრიდან (დავით აღმაშენებლის ეპოქა) შერჩა მხოლოდ 47 ათასი კვადრატული კილომეტრი და ამ ხელისგულისოდენა ტერიტორიაზეც ქართული აღარ ისმის მარნეულის უზარმაზარ რაიონში, ქართულს ვეღარ გაიგონებთ სომხებისგან თითქმის უკვე მიტაცებულ ჯავახეთში.

ასეთ დროს საქართველოს ხელისუფლება აუქმებს „ქართველს“, როგორც ეროვნების აღმნიშვნელ ცნებას.

ამიერიდან ჩვენ ვერაფრით დავამტკიცებთ, რომ ქართველები ვართ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ლაპარაკი უნდა შევწყვიტოთ ქართული კულტურის პრიმატზე საქართველოში და უარი უნდა ვთქვათ საერთოდ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, დამოუკიდებლობისათვის

ბრძოლაზე, ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობაზე.

ამიერიდან ყველა დღეს ცოცხალი ეროვნული მოღვაწე, თავისი ერის არსებობის გახანგრძლივებისთვის ყველა მებრძოლი ფუნქციადაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ჯერჯერობით ხელისუფლებამ დაგვიტოვა ქართულ ეროვნულ სახელმწიფოზე მიმანიშნებელი ორი რამ, – საქართველოს სახელწოდება და საქართველოს უღიმღამო, არასრულყოფილი კონსტიტუცია. აგრეთვე ჩვენი, ქართველობის დამამტკიცებელი საბუთი – სახელი და გვარი.

რაკიღა ქართველს ყოველგვარი მორალური უფლება წაერთვა საქართველოში მისი, როგორც ისტორიული პატრონის ფუნქციაზე ილაპარაკოს, ულმობელი დრო უფრო მეტი სისასტიკით გააკეთებს თავის საქმეს.

ნელ-ნელა მოსდგებიან თავის ქვეყანაში თავისივე ხელისუფლების მიერ ეროვნულად კასტრირებულ ქართველებს სტუმარ ერთა წარმომადგენლები.

რატომაა სწავლა-განათლება ქართულად? რატომ ჭიკჭიკებს ქართულად რადიო-ტელევიზია? რატომაა სახელმწიფო ენა ქართული?

იქნებ ვინმე გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ სომხები და აზერბაიჯანელები ამ უდღეური კანონის მიღების შემდეგ უარს იტყვიან თავიანთ ეროვნულობაზე და, აქაოდა საქართველოში ვცხოვრობთო, ხელაღებით გაქართველდებიან?

როცა განკითხვის ჟამი დადგება, საქართველო იმპერიას თავს დააღწევს და ყველას ღვთისა და კაცის წინაშე ჩადენილი დანაშაული მისხალ-მისხალ მოეკითხება – დღევანდელ ხელისუფლებას მთავარ ბრალდებად წაუყენებენ პასპორტიდან, პირადობის და დაბადების მოწმობიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფის ამოღებას, რაც პერსპექტივაში მსოფლიოს რუკიდან საქართველოს წაშლის, საქართველოს გაქრობის მცდელობის ტოლფასია.

საიდან გამომაქვს ასეთი მკაცრი დასკვნა? ნუთუ ასე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მცხოვრებ აურაცხელ ერთაგან პასპორტში ეროვნული განსაზღვრულობის ჩვენებას?

მე კარგად მესმის, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო მარტოოდენ ჩვენი ხელისუფლების უნიათობით და მტრებთან იმპერიაში საქართველოს შებრუნების მუხანათური გარიგებით არ დაგვიკარგავს, არც ჩვენი, დაგეგმილი ეკონომიური სიდუხჭირე მგონია მარტოოდენ მთავრობის უვიცობის ბრალი...

ძნელი დროა... იმპერიამ გვიმუხთლა, არაერთი ხელშეკრულება თავზე დაგვახია. ხელისუფლების ორჭოფული პოლიტიკის გამო მსოფლიომ თავი არ გამოიდო ჩვენ დასაცავად...

ამერიკა რასაც გვეხმარება საერთაშორისო დიპლომატიურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, დიდი რისკის ფასად გვეხმარება. ჩვენ ხომ ფაქტობრივად თითსაც არ ვანძრევთ დასავლეთის მიერ ჩვენთვის

გაწეული ამაგი მორალურად მაინც რომ გავამყაროთ. ჩვენ ჩვენი ნებით შევყავით თავი მოდერნიზებულ ახალ საბჭოთა კავშირში – „სნგ“-ში და, მიუხედავად საქართველოს მიმართ რუსეთის აშკარა ზიზღისა („სნგ“-ში შესვლის შემდგომ ჩვენი მდგომარეობის გაუარესებაში რომ გამოიხატა), არც ვფიქრობთ სნგ-დან გამოსვლაზე, არსად, არც ერთ დონეზე მინიშნებითაც არ ვეუბნებით რუსეთს, აფხაზეთ-სამაჩაბლო დაგვიბრუნე, თორემ სნგ-ს დავტოვებთო და ნატოს მივეკედლებითო.

ვიყოთ მიმტევებელნი, გავიხსენოთ „არცოდნის“ ქართული ანდაზა. გარემოებით და ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობით მსოფლიოს გადახალისების გარდამავალი პერიოდით ავხსნათ ჩვენი უბედურება და საქართველოს დაქცევის პირას მიყვანილი დანაშაული ჩვენც, უბრალო მოქალაქეებმაც, გადმოვინაწილოთ... მაგრამ პასპორტი?

აქ მაინც რა გამოუვალი მდგომარეობა გვქონდა? იქნებ ვინმე გვაძალებდა ქართველებს, პასპორტში დაბადების მოწმობაში ქართველი წაიშალეთ და ამით საქართველოს ისტორიულ მიწაზე მათს პრიორიტეტს, ქვეყნის უმთავრესი მკვიდრისა და პატრონის ქართველისეულ პრეტენზიას ბოლო მოუღეთო?

არ არის ასე?

საქართველოს ახლანდელმა ხელისუფლებამ ერთი ხელის მოსმით წაშალა ის, რაც საქართველოს არსებობის უპირველესი გამართლება იყო და რამაც აქამდე სასწაულებრივად გადაგვარჩინა – ეროვნული თვითმყობადობისთვის ბრძოლა.

განა, როგორც უკვე ვთქვი, მთელი ჩვენი ისტორია ქართველების შენარჩუნებისთვის ბრძოლა არ არის? განა ჩვენი კულტურის უპირველესი პრობლემა „ნუ გათათრდების“ გადაძახილი არ არის საუკუნიდან საუკუნემდე?

სასაცილოდ ჩანს ახლა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ურაკოსმოპოლიტური და არაეროვნული პოლიტიკიდან გამომდინარე მთელი ჩვენი ლიტერატურა – რისთვის დაშვრნენ ჩვენი კლასიკოსები ფარნავაზიდან დღემდე? რატომ შეჰღაღადა იოანე საბანისძემ მერვე საუკუნის ზეცას ცრემლმორევით – „აღვერიენით ერსა უცხოსაო!“

ის, რაც ჩვენმა გმირმა წინაპრებმა სისხლით და კბილებით დაიცვეს, ჩვენმა ხელისუფლებამ ერთი ხელის მოსმით გააუქმა.

მე, რევაზ მიშველაძე, და საქართველოში მცხოვრები ყველა ამიერიდან გაურკვეველი ეროვნებისა ვართ.

მორალური უფლება აღარ მაქვს, ვწერო სტატიები. საქართველოში ქართველთა რაოდენობა დღითი-დღე მცირდება, ამა და ამ კუთხეში ქართველების ჭაჭანება აღარ არის-მეთქი.

ვინაა ქართველი? საიდან დამიმტკიცებს, რომ ის ქართველია? ჯერ კიდევ ცოტა ხანს ამ პოლიგლოტურ საუკუნეში ქართულად რომ ლაპარაკობს და ქართულ სიმღერებს რომ მღერის?

აზრი დაკარგა ყოველგვარმა დემოგრაფიულმა სტატისტიკამ.

ჩვენი ხელისუფლება აწი მოსახლეობის აღწერას იმის გასარკვევად კი არ ჩაატარებს, თუ რამდენი ქართველი ცხოვრობს საქართველოში, არამედ – იმის დასადგენად, თუ რამდენი „საქართველოს მოქალაქე“ ცხოვრობს საქართველოს მიწაზე.

„საქართველოს მიწა“ ვახსენე ახლა და შეძრწუნებულმა მიმოვიხედე, რას ჰქვია საქართველოს მიწა და ისტორიული მიწები საერთოდ, ეს მიწა ხომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ერს (სტუმარია თუ მასპინძელი) თანაბრად ეკუთვნის? მეტყვის ჩემი სინდისგაცლილი ულტრაოპონენტი.

დაანებეთ თავი, ქართველებო, პატრიოტულ მჯიღის ცემას მკერდზე და გულუბრყვილო შუასაუკუნურ ღაღადს: ეს მიწა ჩემმა წინაპრებმა სისხლით შემომიხაზესო, – გეტყვით თვითონ გაურკვეველი ეროვნების საქართველოს სახელმწიფო მოხელე დღეს, და შენ, ჭიპზეც რომ გასკდე ვერ დაამტკიცებ (და კიდეც რომ დაამტკიცო, რა აზრი აქვს), რომ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მემკვიდრე ხარ, რომ შენ ვალად გაწევს, მომავალ თაობებს საქართველო შეუნარჩუნო.

მტერი სამი ეროვნული ნიშნის წართმევას ცდილობდა ტრადიციულად – ენის, მამულის და სარწმუნოების.

იმ სულკურთხეულმა, ვინც მამული საბრძოლოდ და შესანარჩუნებლად დაგვიკანონა, შიგ ის აზრი ჩადო, რომ არსებობს ერთი წმიდათანმინდა კუთვნილება, ისტორიული მიწა, მამული. სწორედ ისტორიულ მიწას გვართმევდნენ. რას ჰქვია გვართმევდნენ? მხარზე როდი იკიდებდნენ და სხვაგან როდი მიჰქონდათ, უბრალოდ, გვიპყრობდნენ, ჩვენს მიწას მტრები მიიერთებდნენ და საქართველოს ისტორიულ მიწაზე უცხოტომელი სახლდებოდა. ეს იყო მამულის წართმევა. წაგვართვეს ტაო-კლარჯეთი, ლორე, საინგილო, სოჭის ოლქი, აფხაზეთი, სამაჩაბლო...

ახლა კი ხელისუფლებამ პირში ჩალა გამოგვავლო. დარჩენილი ერთი ბეწო ტერიტორიისათვის ბრძოლის იურიდიული უფლებაც არ დაგვიტოვა.

საქართველოს მიწა თურმე თანაბრად გვეკუთვნის მეც, ალიყურბან ოღლისაც, ვართაპეტ ტიგრანიანსაც და ივან ივანიჩ ივანოვსაც.

ხმა ჩაიწყვიტე, ქართველო. აღარავითარი ისტორიული მიწა არ არსებობს, მერე რა, რომ ცოტნე დადიანმა, დემეტრე თავდადებულმა, ცხრა ძმა ხერხეულიძემ და სამასმა არაგველმა საკუთარი სისხლით გააპოხიერა ეს მიწა...

ახლა სხვა დროა. ახლა შენც და სხვანიც, არაქართველნიც, საქართველოს მოქალაქეები ხართ!

მერე რა, რომ უცხოტომელს შენი „ვეფხისტყაოსანი“ და ვარძია ფეხებზე ჰკიდია, მერე რა, რომ უცხოტომელი თითსაც არ გაანძრევს, ქართველმა რომ ქართული ენა არ დაკარგოს. მერე რა, თუ მტერი დაგესხა, უცხოტომელი საქართველოში ქართველის დასაცავად ხმალს არ

მოიქნევს და პირიქით, შეიძლება ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს, საქართველოს ახალ-ახალი მიწები მიიტაცოს (ჯავახეთი)...

დამთავრდა გიორგი სააკაძეობანა და მღვდელთევდორობანა, ახლა ინტერნაციონალიზმის დროა, საქართველო ქართველის ისეთივე სამშობლოა, როგორი სამშობლოცაა აქ დაბადებული რუსისთვის, სომხისთვის, აზერბაიჯანელისთვის! გაჰყვირის ნაძირალა კოსმოპოლიტი.

კრინტი არ დაძრა, ქართველო, შენი მიწის დასაცავად. მით უმეტეს ახლა, როდესაც პარლამენტის „დიდებული“ მიწის კანონით საქართველოს მიწა უმოწყალოდ იყიდება ნებისმიერ „ფულის ტომარაზე“.

აი, რა დრო დაგვიყენა, ბატონებო, ჩვენმა „საყვარელმა“ ხელისუფლებამ.

ჯერ ამ ოთხი წლით წინათ პასპორტში წაგვიშალეს ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა, მაგრამ პირადობის მოწმობაში დაგვიტოვეს, რომ არ გვეყვირა და ხელისუფლების გამყიდველური პოლიტიკა სამარცხვინო ბოძზე არ გაგვეკრა, მზაკვრულად გვანუგეშეს: პასპორტი მარტო საზღვარგარეთ წასასვლელად უნდა გამოიყენოთ, ხოლო ის, რაც ყოველდღიურად გჭირდებათ, პირადობის მოწმობაა – პირადობის მოწმობაში ხომ დაგიტოვეთ „ქართველიო“. შარშანწინ კი ადგნენ და ქურდულად, ყაჩაღურად, სრულიად უბოდიშოდ და უსირცხვილოდ პირადობის მოწმობიდანაც ამოგვიღეს ეროვნულობის გრაფა.

ამით ეროვნება „ქართველი“ საქართველოში დოკუმენტალურად დაასამარეს.

ეს არ უკადრებიათ ბოლშევიკებს, ეს არ უქნიათ ფაშისტებს თავიანთ დაპყრობილ ტერიტორიებზე.

საქართველოს სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობა მოგეხსენებათ. ჩვენი არამკვიდრი, არაისტორიული სტუმარი ერების გამრავლების ტემპი გაცილებით მაღალია, ვიდრე ქართველებისა.

დღეს საქართველოში ქართველები, სინდისიერ აღწერას ვინ ჩაატარებს, თორემ 49 პროცენტზე მეტი არ ვიქნებით. სულ რაღაც 80-100 წელიწადში გამრავლების ამ ტემპით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ქართველთა რაოდენობა 31-35 პროცენტამდე დავა.

კავკასიაში საქართველო და მხოლოდ საქართველოა ჩვენი ბედოვლათი ხელისუფლების წყალობით ეროვნული გადაშენების კატასტროფის წინაშე.

ლამის ორმოცი წელია საქართველო აქციეს „ინტერნაციონალურ ლაბორატორიად“. ეროვნულ თავმოყვარეობადაკარგული ხელმძღვანელები ხელაღებით ასახლებენ ჩვენს მიწაზე ყველა გადამთიელს.

აზერბაიჯანში არ ცხოვრობს არც ერთი სომეხი, სომხეთში არ ცხოვრობს არც ერთი აზერბაიჯანელი... საქართველოში კი ცხოვრობს ნახევარ მილიონამდე სომეხი, ნახევარ მილიონამდე აზერბაიჯანელი, სამასი ათასი რუსი.

სულ რაღაც სამი-ოთხი თაობის შემდეგ ჩვენს მიწაზე გამრავლებული სომეხი ან თათარი პრეზიდენტობის კანდიდატად თავისი ერის წარმომადგენელ რომელიმე „საქართველოს მოქალაქეს“ წამოაყენებს და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საქართველოს არაქართველი პრეზიდენტი მოევლინება.

აი, რას ჩაუყარა საფუძველი დღეს საქართველოს ხელისუფლებამ.

შედეგი? არაქართველი პრეზიდენტი იზრუნებს იმისთვის, რომ ქართული კულტურა შენარჩუნებულ იქნას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა არ მოაკლდეს ქართველ ერს?

რატომ უნდა იყოს საქართველოში სახელმწიფო ენად ქართულიო, რატომ უნდა იყოს სწავლა-განათლება მხოლოდ ქართულ ენაზეო და ბოლოს, რატომ ჰქვია ამ ქვეყანას „საქართველო“ მაშინ, როდესაც აქ „საქართველოს მოქალაქეები“ და სხვა ერის შვილები არანაკლები ვართო. გადავარქვათ „საქართველო“ და ახალი რეალობის შესაბამისად „სააზერსომხურსაქართველო“ ვუწოდოთო.

იტყვის და პარლამენტზე, სადაც უმრავლესობა ჩვენი დღეს სტუმარი, მაგრამ ხვალ მასპინძელი „ძმები“ იქნებიან, საქართველოს სახელს გადაარქმევენ.

ყველაფერი იქითკენ მიდის. კოსმოპოლიტი მმართველები დღეს თვალში ნაცარს გვაყრიან, არ უწერიათ ამერიკელებს, დანიელებს და ნორვეგიელებს ეროვნება პასპორტში და არ იქცევა ქვეყანაო.

ეს არის საშინელი დემაგოგია.

საქართველოს სრულიად განსხვავებული გეოპოლიტიკა და დემოგრაფიული ვითარება აქვს.

ამერიკას, დანიას და ნორვეგიას ეროვნული გადაგვარების საფრთხე არ ემუქრებათ, თუკი გააჩნიათ მათ ეროვნული თვითმყოფადი სახე საერთოდ.

საქართველოს კი ირგვლივ ისტორიული მტრები ახვევია.

საქართველოს ულამაზესი მიწა-წყლის მითვისებას ორი ათასი წელია ცდილობენ კარის მეზობლები და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც მიზანს.

მტრებს არა მარტო თავდასხმით განადგურება აქვთ არსენალში, არამედ – საქართველოს მშვიდობიანი დაპყრობაც, მოყვრულად, მეზობლურად შემოპარვა, ჩვენს მიწაზე გამრავლება და მერე უეცრად ზურგში ხანჯლის ჩაცემაც.

ასე მოგვექცნენ სომხები, რომლებიც თურქეთის ცნობილ სომეხთა მუსრვას გადაურჩნენ, ჩვენ შევიფარეთ და ქართულ მიწაზე დავასახლეთ. სამაგიერო უანგარო მასპინძლობისთვის იმით გადაგვიხადეს, რომ ჯავახეთს გვართმევენ (თუ უკვე წართმეული არ არის), ასე მოგვექცნენ ჩრდილოეთიდან უმინობას და შიმშილს გამოქცეული აფსუები და ოსები. ერთნი აფხაზეთის მიწაზე დავასახლეთ, მეორენი – სამაჩაბლოში, შიდა ქართლში. როცა გაგვიჭირდა, ისტორიის ტევრში ცოტა წავიფორხილეთ, ორივემ –

აფსუამაც და ოსმაც, ხანჯალი გაგვიყარა ყელში, ჩვენ – ქართველები, გაგვყარა ჩვენი სახლებიდან და ჩვენს ეზო-მარანს დაეპატრონა.

ასეთია საქართველოს „კეთილშობილ სტუმართა“ დამოკიდებულება მასპინძლის მიმართ.

ჩვენ კი ჭკუა ვერ ვისწავლეთ.

რას მიქვიან „სამშობლო“, მოუკვდა პატრონი! მოდით, გაწეწეთ, გაიყავით, დაინაწილეთ!

საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ხელს შეგიწყობთ.

საქართველოს შენარჩუნებისთვის ბრძოლას უკანონოდ გამოაცხადებს იმით, რომ ქვეყნის კანონიერ პატრონს, პასპორტში მისი ეროვნული გარკვეულობის წაშლით პატრონის უფლებას წაართმევს.

ამერიკაში, დანიასა და ნორვეგიაში ხომ არ უწერიათ პასპორტში ეროვნება – ეს მტკნარი სიცრუეა. უწერიათ, როგორ არ უწერიათ. „ნეიშენალიტი“ სხვა არაფერია, თუ არა ეროვნება.

დედამიწაზე არავის რომ არ ეწეროს, ქართველს მაინც უნდა ჰქონდეს ჯიბეში მისი ქართველობის დამამტკიცებელი საბუთი.

ნორვეგიის და დანიის ირგვლივ ისეთივე მაღალკულტუროსანი ერები სახლობენ, ამერიკას, ნორვეგიას და დანიას ტერიტორიებს არავინ ართმევს, ნორვეგია და დანია არ არის რელიგიური კუნძული მუსლიმანურ ოკეანეში.

ნუთუ იმისთვის დაშვრა ილია ჭავჭავაძე საქართველოს გადარჩენის სამოცწლოვან მარათაონში, ნუთუ იმისთვის დაწერა „ქვათა ღაღადი“, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას „ქართველი“ ამოეგდო პიროვნების მაუწყებელი საბუთებიდან?

ერთი წუთით მაინც თუ დაფიქრებულა საქართველოს ხელისუფლება, როგორ შეხედავდნენ ამ ფაქტს კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონი, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ლეონიძე, ლადო ასათიანი, ან თუნდაც ირაკლი აბაშიძე და იოსებ ნონეშვილი?

ძალიან გაიხარებდნენ, პასპორტში მათთვის ეროვნება „ქართველი რომ წაეშალათ?

1958 წელს, ავანტიურისტ ხრუშჩოვის მძვინვარების დროს, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ისტორიულ საინგილოში მცხოვრებ 30 000 ქართველს პასპორტები ჩამოართვა, ოთხი თვის შემდეგ დაუბრუნა შეცვლილი გვარითა და ეროვნებით. მაგალითად, „მიქელაძეს“ გვარად „ყურბანოვი“ ჩაუწერა, ხოლო ქართველის ნაცვლად – ეროვნება „აზერბაიჯანელი“. თანაც გააფრთხილა ყველანი, თქვენი ნამდვილი გვარი და ეროვნება დაგიბრუნეთ, ვისაც ხელს არ გაძლევთ ეს ახალი სახელი და ეროვნება, აიკარით გუდა-ნაბადი და წადით საინგილოდანო.

ეს იყო გაუგონარი ბოროტება. ჩვენ ხომ საქართველოში არც ერთი აზერბაიჯანელისთვის ეროვნება არ შეგვიცვლია.

ამ ოთხიოდე წლის წინათ რეზო ჩხეიძემ, ლევან სანიკიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა პრეზიდენტ ალიევს ყოველთა ქართველთა კონგრესის სახელით წერილი მივწერეთ თხოვნით, აღედგინა სამართლიანობა და დაებრუნებინა ქართველთათვის ქართველობა.

არც ამბავი, არც ხაბარი.

ვინ გიპასუხა, ვის დაკარგვიხარ, ვის ეძებ.

რა სასაცილოდ ჩანს ჩვენი ჩალიჩი დღევანდელი ვითარების ფონზე.

თურმე გავიდოდა ცოტა ხანი და ჩვენც, – რეზო ჩხეიძესაც, ლევან სანიკიძესაც, შოთა ნიშნიანიძესაც, გურამ შარაძესაც, რევაზ მიშველაძესაც (კონგრესის ხელმძღვანელებზე მოგახსენებთ) და ყველა ქართველს წაუშლიდნენ პასპორტში ეროვნებას.

რატომ უნდა ვიყო მე უფრო მადლიერი იმ საბჭოთა პასპორტისა, რომელშიც „ეროვნება – ქართველი“ მიწერია. რატომ უნდა მიმაჩნდეს უფრო სანდოდ იმპერიის მიერ გაცემული საბუთი, იმპერიისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვებრძოდი?

აი, რა მიყო დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ – ეროვნება დამაკარგვინა.

ეროვნება – რომელიც ყველაზე მეტად სწორედ ახლა მჭირდებოდა, როცა კულტურათა და ეროვნებათა აღრევის ურთულესი ოცდამეერთე საუკუნე მოდის.

„ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე“.

საქართველოს გაყიდვა, განადგურება და ჩაძირვა რომ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, ამის შესახებ შვიდი წელია, ვყეფ, მაგრამ განმკითხავი არავინ არის, ლამის სასიკვდილოდ ჩაძინებული ქართველი ერი ვერ იქნა და ვერ გავაღვიძე.

ეროვნული ხელისუფლების დამხობას, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვას, ახალ იმპერიაში („სნგ“) ყურით შეთრევას, ქვეყნის დაგეგმილ ეკონომიკურ გაჩანაგებას ხალხი დუმილით შეხვდა. ცხვრის ფარასავით მიჰყვება იგი მარიონეტულ ხელისუფლებას და აი, შედეგად: 14 იანვარს, დასტური მიეცა საქართველოს უეროვნებო სახელმწიფოდ გამოცხადებას, ე. ი. მსოფლიოს ეროვნულ-პოლიტიკური რუკიდან საქართველოს წაშლას. ეს კატასტროფის დასაწყისი არ არის, ეს კატასტროფაა.

დიდი ხანია (რაც რუსეთმა დაგვიპყრო) დაიწყო საქართველოს განხალხების, გადაჯიშების პროცესი, ხოლო ბოლო ოცდაათ წელიწადში (სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდის გამოკლებით) იგი არნახულად გაიფურჩქნა. საქართველოს წაუშალეს ეროვნული საზღვრები და იგი კოსმოპოლიტიზმის სასინჯ ქვად, „ინტერნაციონალურ ლაბორატორიად“ აქციეს. კომუნისტი ხელმძღვანელები მოსკოვს ამაყად მოახსენებდნენ იმის შესახებ, რომ საქართველოში, ამ კურორტ რესპუბლიკაში, ასამდე სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ცხოვრობს, რომ საქართველო უკვე აღარ არის ქართველების ქვეყანა.

საქართველოში კომუნისტთა მმართველების „მეორედ მოსვლის“ ჟამს კვლავ წარმატებით გაგრძელდა დაწყებული. ამ ოთხი წლის წინათ დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქის პასპორტიდან გაქრა ეროვნების მაუწყებელი გრაფა. ერის პროტესტით (თუმცა, სადღაა ერი და სადღაა პროტესტი) შეშინებულმა ხელისუფლებამ თავი მელური ფანდით გაიმართლა: პასპორტი ძირითადად საზღვარგარეთ წასასვლელად გჭირდებათ, სამაგიეროდ, პირადობისა და დაბადების მოწმობებში ხომ დაგიტოვეთ ეროვნება „ქართველიო“. ორ წელიწადში ხელისუფლებამ, როგორც დაგეგმილი ჰქონდა, ქურდულად, გამოუცხადებლად, პირადობის მოწმობიდანაც ამოიღო ეროვნება. გამოხდა ხანი და ახლა შიმშილით, უიმედობით, უსინათლობით, უსახლკარობით ილაჯგაწყვეტილი ქვეყნის დასამარება ხელისუფლებამ იმით დააგვირგვინა, რომ ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა დაბადების მოწმობიდანაც ამოიღო.

ეს მრავალტანჯული საქართველოს საბოლოო განადგურების აქტია.

შეიძლება ითქვას, რომ 1999 წლის 14 იანვრიდან საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, არსებობა შეწყდა.

რაც ვერ შეძლეს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა 3500 წლის განმავლობაში, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მსუბუქი ხელით გაკეთდა.

ეს სავალალო კანონი ჩვენს პარლამენტს 1998 წლის ოქტომბერში მიუღია, პრეზიდენტს კი საახალწლოდ, 1998 წლის 28 დეკემბერს მოუწერია ხელი.

რამდენიმე პარლამენტარს შევხვდი და რომ ვკითხე, რა დაგიშავათ ქართველმა ერმა, ასე რომ გაგიწირავთ-მეთქი, ყველამ ხელები გაასავსავა, რას ამბობ, ალბათ, რაღაც გაუგებრობა იქნება, არ გვახსოვს, საერთოდ ასეთი კანონპროექტისთვის რომ კენჭი გვეყაროსო.

დავიჯერო, რომ თვით უსამშობლო, გაურკვეველი ეროვნების რამდენიმე პარლამენტარმა „გააპარა“ ერის დამღუპველი კანონი?

თუ დღესვე მთელი საქართველო არ აღსდგა ამ კანონის წინააღმდეგ, თუ ყველა დაწესებულებამ არ დაგმო იგი სპეციალური რეზოლუციით და ის რეზოლუციები პარლამენტს არ გაუგზავნა, თუ პრეზიდენტმა საგანგებო ბრძანებულებით დღესვე არ შეაჩერა ანტიეროვნული კანონის მოქმედება, ხოლო პარლამენტის საგანგებო სესიამ დაუყოვნებლივ არ აღადგინა პასპორტში, პირადობისა და დაბადების მოწმობებში ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტი, უნდა ჩავთვალოთ, პრომ ამ ეპოქის ქართველებმა ჩავიდინეთ გაუგონარი ისტორიული დანაშაული ისტორიის არენიდან ნებაყოფლობით გავიყვანეთ უდიდესი ცივილიზაციის მქონე უძველესი ქვეყანა – საქართველო.

თუ ეს კანონი ცხოვრებაში გატარდა:

აზრსმოკლებულად, ფუჭ საქმიანობად ცხადდება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ქართველობის შენარჩუნებისათვის.

აზრს კარგავს ქართველ გმირთა უმაგალითო თავშეწირვანი საქართველოსთვის, ამაოდ დამშვრალა ყველა ქართველი კლასიკოსი, ვინც ერისა და ქვეყნის გადასარჩენად არისხებდა ზარებს ამ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში.

გაუქმებულად ცხადდება ყოველი ეროვნული საზოგადოება და საერთოდ, წერტილი ესმება საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

ამ კანონით ქართველს ქართული მიწის ისტორიული მეპატრონის და თავისი ქვეყნის უპირველესი ქომაგის მორალური უფლება წაერთვა.

აზრს კარგავს ყოველგვარი დემოგრაფიული სტატისტიკა.

დონკიხოტობად ცხადდება საქართველოში ქართველი ხალხის გამრავლებისთვის სახელმწიფოებრივი ზრუნვა.

მოსახლეობის აღწერა აწ და მარადის იმის დასადგენად კი არ ჩატარდება, როგორია სხვადასხვა ერთა დემოკრატიული თანაფარდობა საქართველოში, არამედ – იმის დასადგენად, თუ რამდენი „საქართველოს მოქალაქე“ ცხოვრობს საქართველოში.

ამ კანონს გაუჩუმდებიან მხოლოდ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გაქრობის მოსურნე, დერვიში ხალხის წარმომადგენლები, ხოლო ნებისმიერი თავმოყვარე, თავისი ერის პატივისმცემელი მოქალაქისთვის იგი საშინელი შეურაცხყოფაა.

პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე პროფესორმა აბონ ციციაშვილმა განაცხადა: მე ჩემი ებრაელობა საერთოდ ათი ათას წელზე მეტი, ხოლო საქართველოში 2600 წელი შევინარჩუნე და ვინ ბედავს, მე პასპორტსა თუ დაბადების მოწმობაში „ებრაელი“ წამიშალოსო.

ასე იტყვის ყველა პატიოსანი სომეხი, პატიოსანი აზერბაიჯანელი, პატიოსანი რუსი.

საქართველოში დღეს ქართველი მოსახლეობა 49 პროცენტიც არ იქნება (გავითვალისწინოთ სამოქალაქო და სამამულო ომები, 800 000 ქართველის გაქცევა საქართველოდან) მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ჩვენი სტუმარი ერების გამრავლების ტემპი ქართველთა გამრავლების ტემპს ბევრად აღემატება. ასე რომ, სულ რაღაც 50 წელიწადში საქართველოში ქართველები ვიქნებით ლამის 30-35 პროცენტი – ე.ი. ეროვნული უმცირესობა.

ორმოცდაათი წლის შემდეგ აღარ იქნება ცოცხალი უმეტესობა საშუალო ასაკის თანამედროვე ქართველთაგან და ძალიან მეეჭვება, მიუხედავად მათი დიდი, ჯიუტი სურვილისა, პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობა ან დღევანდელი პრეზიდენტი მართავდნენ ქვეყანას.

დაიწყება საქართველოს „გარდაქმნის“ ფართო მოძრაობა.

ჩვენს მიწაზე მომრავლებულ უცხო ტომთა ენერგიული წარმომადგენლები დაიწყებენ წუწუნს: რატომ არის საქართველოში სახელმწიფო

ენა ქართული, რატომ არის სწავლა ქართულ ენაზე, რა საჭიროა ქართული თეატრები, ან ტელერადიომაუწყებლობა რატომ ჭიკიჭიკებს ქართულად? და საერთოდ, რატომ ჰქვია ამ ქვეყანას საქართველო? ვინ არიან და სად არიან ქართველები?

აქა-იქ სასწაულებრივად შემორჩენილი ქართველი პატრიოტები წამოიკნავლებენ, რომ ისინი დავით აღმაშენებლის და შოთა რუსთაველის მემკვიდრენი არიან და თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობენ, რაც „უმრავლესობის“ ულმობელ წარმომადგენლებს სასაცილოდაც არ ეყოფათ.

უმრავლესობა უფრო შორს წავა, დაასახელებენ არაქართველ პრეზიდენტობის კანდიდატს და საქართველოს (საეჭვოა, რომ ეს სახელი შერჩეს) პრეზიდენტად მოევლინება უცხოტომელი, რომელიც ფეხებზე დაიკიდეს შენს დემეტრე თავდადებულს, შენს ცოტნე დადიანს.

აი, რატომ ვთქვი, რომ 1999 წლის 14 იანვრიდან საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, არსებობა შეწყდება.

არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქვეყნის ისტორიული, მკვიდრი ეროვნება იგნორირებული არ არის. ყველა ნორმალური ხალხი ან კბილებით იცავს თავის ეროვნულ სახელმწიფოს, ან მის შექმნას ესწრაფვის.

თუ სადმე ეროვნული სახის არმქონე ქვეყანაში მცხოვრებთ პასპორტში ეროვნება არ უწერიათ, ჩვენ მათ ვერ წავბაძავთ.

ამერიკას ეროვნული გადაგვარების საფრთხე არ ემუქრება.

ამერიკის ირგვლივ არ ცხოვრობენ მის მიწა-წყალზე თვალგაშტერებული, მისი დამხობის მოსურნე მეზობლები.

საქართველოს, ამ უმაღლესი კულტურის მქონე ქვეყნის ირგვლივ კი ზოგი ისეთი დამპყრობლურად აქტიური ტომი ცხოვრობს, რომლის კულტურაც ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

და ბოლოს, ჩვენ ვართ ქრისტიანული კუნძული მუსულმანურ ოკეანეში და ჩვენ თუ „აღვერიენით ერსა უცხოსა“ (იოანე საბანიძე VIII ს), უსათუოდ დავიღუპებით.

XXI საუკუნის უსიერ ტევრში ჩვენმა ბედოვლათმა ხელისუფლებამ ისე მოიძულა ჩვენი შთამომავალნი, რომ უტოვებს აურაცხელ ვალს და გამესამედებულ საქართველოს.

...და რაც ყველაზე სავალალოა, მშვიდობიან დამპყრობთან კვეთებაშიც კი, ისინი ვერაფრით დაასაბუთებენ, რომ ქართველები არიან.

ეს არის პიროვნების უფლებისა და თავისუფლების გაუგონარი ხელყოფა.

გუშინ ქუჩაში ამ ფაქტით აღშფოთებული ჩემი ყოფილი სტუდენტი შემხვდა და თვალცრემლიანმა მითხრა: ბატონო რევაზ, მე საქართველოში აღარ ვიცხოვრებ, წავალ ისეთ ქვეყანაში, სადაც მოქალაქეს ჯერ

კიდევ იმდენს პატივს სცემენ, რომ პირადობის მოწმობაში ეროვნებას უწერენო.

არც ახლა ამოიღოთ ხმა, მამაცო და ამაყო ქართველებო, რეზინის ხელკეტების ცემით თავპირდაბეჟილ ოციოდე ქალს მიანდეთ საქართველოს გადარჩენა.

თუმცა... ჯერ კიდევ გვაქვს ეროვნების მიმანიშნებელი (მხოლოდ მიმანიშნებელი) ერთი პატარა რეკვიზიტი – გვარი და სახელი (მამის სახელი უკვე ამოიღეს პასპორტიდან). მოვლენათა განვითარება მაფიქრებინებს ასეთ ავ წინათგრძნობას, ჩემი კოსმოპოლიტური პარლამენტის მორიგი კანონი ის იქნება, რომ მალე გვარ-სახელსაც წაგვიშლიან და, როგორც საკონცენტრაციო ბანაკშია, ნომრებს ჩამოგვირიგებენ.

ვიაროთ მერე ფერმის გოჭებივით ყურდანომრილმა ქართველებმა დუნიაზე.

მამულიშვილნო

არა და არ გვეშვება „გაიძვერა მოყვარე“.

ვერ იქნა და ვერ ამოვაკვეთინეთ დამპყრობელ რუსს ფეხი საქართველოდან.

რა „სიკეთეც“ რუსის ხიშტმა დაგვმართა („ღმერთმა უკანვე მისცესო“, ილია რომ ბრძანებდა), ხომ ცხადზე უცხადესია, მაგრამ ჩვენ მარიონეტული ხელისუფლების ლაჩრულ სალტომორტალეს დასასრული რომ არა აქვს, სავალალო სწორედ ეს არის.

ძლივს ერთადერთი ეროვნულ-ვაჟკაცური დადგენილება მიიღო ჩვენმა პარლამენტმა რუსის „სამშვიდობო“ ჯარის საქართველოდან გაყვანის შესახებ, ძლივს დაიძრა სათავესთან კლდე-ტინებში გაჩხერილი ცივი ერისა და მმართველების გაერთმთელების მაცნედ და ეს იმედიც ჩაიფერფლა.

ახლახან კოდორის ხეობაში მშვიდობიანი მოსახლეობის განუწყვეტელი დაბომბვების საპასუხოდ ჩვენს მიწა-წყალზე სამასი მეციხოვნე-ჯარისკაცი ჩავაყენეთ და დაბომბვებიც შეწყდა. ამ სამიოდე დღის წინ კი „ქართულმა მხარემ“ ჩვენს ეროვნულ ღველფს წყალი გადაასხა. კოდორის ხეობიდან ქართველ მესაზღვრეთა გამოყვანას მოაწერა ხელი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მსგავსად გაგრა-სოხუმის, ოჩამჩირე-გალის და ცხინვალ-პანკისისა, კოდორის ხეობასაც ვუთმობთ მტერს.

საქართველოს უმოწყალო გაყიდვა-გასხვისება გრძელდება.

გავიღვიძოთ, მამულიშვილნო!

გამოვიღვიძოთ, ქართველნო!

ამ ბოლო დროს წამდაუწუმ ამოტიტივდება ხოლმე ჩემს გონებაში ილია ჭავჭავაძის – „ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი... ძილი... როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“.

ადრე ეს მწერლის ლამაზი ფრაზა მეგონა, როგორ შეიძლება ერმა ჩაიძინოს, ერთეულთა ძილი ერის ჩაძინებას ხომ არ ნიშნავს-მეთქი.

დღევანდელი საქართველოს შემყურე ასე არ ვფიქრობ.

საქართველოს ღრმად სძინავს.

ქვეყანა, რომელმაც იმპერიის არტახების გაგლეჯის მაგალითი მისცა „მოკავშირე რესპუბლიკებს“ და ერთ-ერთმა პირველმა გამოაცხადა სურვილი თავისუფალ, დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამდგარიყო მსოფლიოს პოლიტიკურ ფერხულში, დღეს სამარცხვინოდ დადედლებულად, პირშიწყალჩაგუბებულად გამოიყურება.

რუსეთმა მიაღწია თავის უმთავრეს მიზანს – ქართველთა შორისვე გამოძებნილი თავისი ერთგული დამქაშებით ერში არასრულფასოვნების სინდრომი დანერგა.

არარაობის, დაუცველობის, უსუსურობის ავადმყოფობითაა შეპყრობილი დღეს ქართველთა უმეტესობა.

რუსეთის წინააღმდეგ ომში (1992-93) დამარცხების გათამაშებით საბოლოოდ დააჩოქეს და დააბნიეს ქართველი ხალხი.

ისტორიული აქტიურობის, მოვლენებზე მასობრივი რეაგირების უნარი დაუკარგეს.

ადამიანი ცხვრად აქციეს. ხალხს ჩაუნერგეს სავალალო შეგნება იმისა, რომ იგი ყოჩს მიდევნებული თავის მოკანტურე ფარაა მხოლოდ და თუ მის წინ მიმავალი ცხვრების დუმებს წამით მოაცილებს თვალს, აუცილებლად გადაიჩეხება.

ეს გაკეთდა რეკორდულად მოკლე დროში, სულ რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში.

ახლა, როცა ერს ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლობის გრძნობა დაუკარგეს, ძნელი როდია მისი მართვა, საითაც გინდა, იქეთ მიატრიალებ.

ხმის ამომღები თითქმის აღარავინ დარჩა. ადრე გახმაურებულ „ეროვნულ მოღვაწეებს“ ბოლომდე სულიერი „წამალი“ არ ეყოთ და მღვიმეებიდან შემკრთალ-შეშინებული თვალებით იმზირებიან. ერთნი მშობლიურ ხალხს შემოსწყრნენ – როგორ შეეგუე ჩრდილში ჩემს მიგდებას, რატომ განგაში არ ატეხეო, მესამენი კი სამარცხვინო მედროვენი აღმოჩნდნენ. სკამებზე გაყიდეს საქართველო.

თითზე ჩამოსათვლელია იმათი რიცხვი, რომელნიც პასუხისმგებლად თვლიან თავს სამშობლოს ბედის წინაშე.

დანარჩენები განზე გადგნენ და სეირს უყურებენ.

ლამის დაგვავიწყდეს, რომ იმ სამსჯავროს გარდა, განაჩენის წაკითხვით და კაცის ციხეში გაგზავნით რომ მთავრდება, არსებობს სხვა სამსჯავროც; მას მორალური პასუხისგება, სინდისის სამსჯავრო, ხალხის სამართალი ჰქვია.

ახლა „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ დროა. ისტორიის სამსჯავროს არად დაგიდევენ, იმ აზრით არიან შეპყრობილნი, როგორმე სარფიანად ჩაამთავრონ თავისი წილი წუთისოფელი და „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე დადუღებულას“ ფიქრს შეუპყრია არაერთი ხელისუფალი.

ქვეყნის ტოტალური ჩაძინების დროს შეიძლება მხოლოდ არავის აწუხებდეს სინდისის განაჩენი, არავინ ფიქრობდეს იმაზე, რომ ხვალის საქართველო, ისტორია პასუხს მოსთხოვს.

მხოლოდ ჩაძინებულ ქვეყანაში შეიძლება:

პოლიტიკური შეფასება არ მისცე დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების იარაღით განდევნის ფაქტს.

არავინ აგოს პასუხი იმისთვის, რომ ქვეყანას ვერ ააცილეს 1992-93 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

არავინ აგოს პასუხი მტერშემორტყმულ გაგრაში საწყობებიდან ქართველ მებრძოლებზე იარაღის არგაცემისთვის და მტრისთვის ქალაქის ჩაბარებისთვის.

არავინ აგოს პასუხი იმისთვის, რომ ხალხს დაუმალეს 1992-93 წლების ომის ჭეშმარიტი სახე და სამამულო ომი აფხაზეთის კონფლიქტად, საქართველოს ეთნიკურ შინაომად გამოაცხადეს.

არავინ აგოს პასუხი მტერმომდგარი სოხუმიდან მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გამოტანისთვის და მებრძოლი ბიჭების შიშველი ხელებით მრისხანე მტერს შეტოვებისთვის.

არავინ აგოს პასუხი ქართველ მოხალისეთა ლაშქრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მოშლისთვის და უსაკვებოდ დარჩენილი ჯარის – მშვიდობიან მცხოვრებთა ხბო-გოჭებზე მონადირეთა ბრბოდ ქცევისთვის.

არავინ აგოს პასუხი სამეგრელოს უმოწყალოდ დარბევისთვის.

არავინ აგოს პასუხი საკუთარი პოლიტიკური სიბეცის ერის სიმხდალეზე და საქართველოს რომელიმე კუთხის ღალატზე გადაბრალებისთვის.

არავინ აგოს პასუხი იმპერიაში საქართველოს ხელახლა შეთრევისთვის.

არავინ აგოს პასუხი ქვეყნის ეკონომიკის მოშლისთვის და მსოფლიოს ჰუმანიტარული დახმარების ხელში შემყურე, მათხოვარ ქვეყნად საქართველოს გადაქცევისთვის.

არავინ აგოს პასუხი ახალგაზრდობის მორალური გარყვნისთვის, მათთვის პატრიოტული ორიენტირების მოშლისთვის, მორალური აღზრდის ოდენ რელიგიურ აღზრდაზე დაფუძნებისთვის, ნარკოტიკების ბა-

ზრად ქვეყნის ქცევისთვის და ახალგაზრდობისთვის მარტოოდენ კაფე-ბარებში და „კავეენებში“ მოგრიალე არსებათა უღიმღამო ფუნქციის დატოვებისთვის.

არავინ აგოს პასუხი იმისთვის, რომ ხალხს უმალავდე საქართველოს ჭეშმარიტ პოლიტიკურ მდგომარეობას და ქვეყანას რუსეთის მიერ დაპყ-რობილ-დამონებული კოლონიის ნაცვლად თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ ქვეყნად აცხადებდე.

არავინ აგოს პასუხი იმისთვის, რომ 1993 წლის ოქტომბერში ფოთში შემოსულ დამპყრობლის ცხრა კრეისერს ყანწით ხელში შეეგება, უფრო მეტიც, მტრის ტანკში მოკალათდა და ზუგდიდში შეგრიალდა.

არავინ აგოს პასუხი იმისთვის, რომ ისინი, ვისაც სახელმწიფოს მეთაურმა ომის ბედი, ჯარისკაცთა ბედი მიანდო, სოხუმიდან ფაცხა-ფუცხით გამოიქცნენ და დამარცხებულ „სარდლებს“ მოგვიანებით დიდ გმირობად ჩავუთვალეთ საკუთარი ქალაქების – ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, სამტრედიის, ხონის აღება.

არავინ აგოს პასუხი იმაზე, რომ ქართველს დღეს პასპორტში ეროვნება „ქართველი“ არ უწერია.

არავინ აგოს პასუხი იმისთვის, რომ ოთხი წელია აბუჩად იგდებს ოთხასიათასამდე ლტოლვილს აფხაზეთის და სამაჩაბლოს უსათუოდ ამ წელს დაბრუნების ცრუ, უნაპირო დაპირებებით.

ამ სიის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ რისთვის, ვისთვის გავაგრძე-ლო, ჩაძინებულ ხალხს, ალბათ, არც ის აინტერესებს, რას ფიქრობს ქვეყნის ბედზე ერთი ქართველი მწერალი.

მხოლოდ ჩაძინებულ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, რომ დღისით-მზისით შუა ქალაქში ოცდაათამდე მძიმედ შეიარაღებული ტერორისტი შემოგეპაროს და კოკისპირული სროლა აუტეხოს შენს პრეზიდენტს.

მხოლოდ ჩაძინებულ ქვეყანაში შეიძლება შენს საზღვარს გადამ-თიელი აკონტროლებდეს.

მხოლოდ ჩაძინებულ ქვეყანაში შეიძლება, ტრიბუნაზე იდგეს მოყ-რანტალე კაცი და მტრის მიერ მოწყობილ ტერაქტს (რომელსაც შევარდ-ნაძემ სრულიად სწორად „საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლენა“ უწოდა) იყენებდე შენი მყრალი მიზნებისთვის; ელდანაკრავ პრეზიდენტს ჩასძახოდე, დაიწყე ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიები, თორემ უარესი მოგივაო.

მხოლოდ ჩაძინებულ ქვეყანაში შეიძლება პარლამენტმა დამპყრობ-ელი რუსის ბაზების დაუყოვნებლივ საქართველოდან გატანის ნაცვლად ამ ბაზათა გაკონტროლების „გაბედული“ დადგენილება მიიღოს. ვინ გაგაკონტროლებინებს რუსეთის სამხედრო ბაზას. მიდი და სცადე; მე პარლამენტის კომისია ვარ და ბაზის ტერიტორია უნდა გავაკონტროლო-თქო. პანღურს ამოგკრავს რუსის „სალდათი“ და უკან გამოგაბრუნებს.

ძლივს შევარდნაძემ სამოცდაათის პარმაღთან სწორი პოლიტიკური

ორიენტაცია აირჩია, ყელში ამოუვიდა რუსეთის უტიფარი სალტო-მორ-ტალე და აშკარად დაიკავა დასავლეთური პოზიცია.

არ აპატია „ჩრდილოელმა ძმამ“.

როგორ თუ შენ ჩვენი ყურმოჭრილი მონა აღარა ხარო.

დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო.

ამიტომ ჩავთვალე შევარდნაძისთვის ტყვიის სროლა ყველა ქა-ართველისთვის თოფის მიშვერად, მიუხედავად მისი ადრინდელი პოლი-ტიკისადმი ჩემი არაერთი უთანხმოებისა.

გამოვიღვიძოთ, ქართველნო!

მტერს მტერი დავარქვათ, მოყვარეს-მოყვარე.

სანამ „ცხვრის ფარის“ სინდრომს არ მოვიცილებთ და თითოეული ჩვენგანი ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლად არ ჩავთვლით თავს – არაფერი გვეშველება.

შევწყვიტოთ თავის მოტყუება

არასოდეს არ ყოფილა საქართველოში ხელისუფლების მიერ ისე იგ-ნორირებული მწერლისა და მეცნიერის აზრი, როგორც დღესაა.

ამ ხელისუფლებამ იგნორირებულჰყო ერის გონებისა და სინდისის – ინტელიგენციის შეხედულება ამა თუ იმ პრობლემაზე, ინტელიგენციის კომპეტენტური აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ ცხოვრება უკეთესად.

ხელისუფლება თავისი შეზღუდული ცოდნის პოზიციებიდან ბნელ-ში ხელისცეცებით, ოკეანეში შეცურებული უიალქნო ნავივით მიჰყვება დინებას და ამ უკომპრომისო სვლის შედეგი აშკარაა. ხუთი წელი მიიწუ-რა, რაც ახლანდელმა ხელისუფლებამ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, მა-გრამ ვერც ეკონომიკას და ვერც პოლიტიკას სასიკეთო ვერა დაატყო რა.

ზოგი უმეცარი „სწავლულის“ თვალში ქილიკის საგნადაა ქცეული მეცნიერების ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის შესასწავლად აღ-მოცენებული დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიები. ამ აკადემიის წევრებს „თვითმარქვია აკადემიკოსებად“ მოიხსენიებენ მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი მეცნიერებათა აკადემია სწორედ ასეთ აკადემიას შეიძლება ეწოდოს, აკადემიას, რომელიც ერთი დარგის, თანამოაზრე კომპეტენ-ტურ მეცნიერთა საკრებულოა და არა ის, ე. წ. დიდი აკადემია, რომელთა წევრების სია, როგორადაც უნდა ემცხეთოს მავანთ და მავანთ, ცეკაში პირადი სიმპათია-ანტიპათიების და ძმაკაცობის პრინციპით დგებოდა.

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, საქართველოში მოქმედი აკადემიის რომელიმე ბირთვი ეხმოთ რთული ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის დროს ძლიერთა ამა ქვეყნისათა და თავისი კომპეტენტური აზრის გამოთქმა ეთხოვოთ.

მე, პირადად, ამას გულისტკივილით, საქმის წინ წაწევის სურვილით ვამბობ. არც ამბიცია მალაპარაკებს და, მით უმეტეს, არც გულდაწყვეტილი გახლავართ. მადლობა ღმერთს, რევაზ მიშველაძეს არაერთი ტრიბუნა გააჩნია, რომ ერს თავისი სათქმელი უთხრას.

პოლიტიკურ-ეკონომიკურმა დილეტანტიზმმა და დალტონიზმმა ლამის წალეკოს ქვეყანა.

მოიშალა ეროვნული ორიენტირები. ქართველობა არასრულფასოვნების სინდრომით დაავადდა. სამშობლოსთვის თავდადებულ ჭაბუკთა უმეტესობის ყაჩაღებად გამოცხადებით ახალგაზრდობას მიბაძვის ობიექტი მოუსპეს, რწმენა დააკარგვინეს.

ტოტალურმა უწიგნურობამ, ერის მოძღვრის – მწერლისადმი, ხელისუფლების აგდებულმა დამოკიდებულებამ ის გამოიწვია, რომ საზოგადოებამ ზურგი აქცია ავტორიტეტებს, ერისთვის დამაშვრალ პიროვნებებს. სკოლებში პატრიოტული აღზრდის სრულმა იგნორირებამ გამოიწვია პრაქტიციზმის სენით შეპყრობილი, გულგრილი, პასიური ახალგაზრდობის მომრავლება.

თითმის ყოველი მესამე ნარკომანია, ხოლო ყოველი მეათე – იმპოტენციით დაავადებული ან მამათმავლობისკენ მიდრეკილი.

ამ დროს საქართველოს გადასარჩენად ხელდაკაპიწებულნი უნდა ვირჯებოდეთ ახლა, სნორედ ახლა ისე, როგორც არასდროს.

ქუჩაში შეხვედრილი ასი ახალგაზრდიდან კი ოთხმოცი ვერ გეტყვით, რომელ წელს იყო რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისთვის.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ამ სტრიქონების ავტორს ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა პირდაპირ განუცხადა: თუ ღმერთი გწამთ, ნუ გვაქეზებთ და ცვედნებსაც ნუ გვეძახით. ჩვენ ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე და არავითარი სურვილი არა გვაქვს, თქვენი ვაჟივით აფხაზეთის უაზრო ომში დავტოვოთ სიცოცხლე. აფხაზეთი ჩვენი პრობლემა არ არის, თქვენი თაობის პრობლემაა. ჩვენ იქ არ დაგვისვენია და ზღვის ნოსტალგია სრულიადაც არ გვაქვს. ჩვენ ჩვენი პრობლემებით ვცხოვრობთო.

ვაი, რომ ასე მარტო დეგრადირებული, სულდამახინჯებული ბიჭები და გოგონები კი არა, ლტოლვილი ახალგაზრდებიც აზროვნებენ, ისინი თავიანთ მშობლებს ხვეწნა-მუდარითაც კი ვერ გამოჰყავთ არძინბას საპროტესტო აქციის გასამართავად.

არ აინტერესებთ აფხაზეთი და სამაჩაბლო – მორჩა და გათავდა.

ახლა ყველანი ქუჩაში უნდა გამოვიდეთ და მსოფლიოს გასაგონად დავარისხოთ ზარები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ეროვნული გამთლიანება.

ეროვნული მთლიანობა ოპოზიციონერთათვის ტერორისტობის დაბრალებით და გოჩა ესებუების დახოცვით არ მიიღწევა.

ექვსი წელია, არ ცხრება ე. წ. „ზვიადისტური მოძრაობა“ და არც ჩაცხრება, სანამ ფაქტობრივი ხელისუფლება 1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენებს შეფასებას არ მისცემს.

შეფასება იმას როდი ნიშნავს, მაინცდამაინც გადადგეს ახლანდელი ხელისუფლება, როგორც დამნაშავე და ასპარეზი დაუთმოს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოკალათებულ რამდენიმე ოდიოზურ ფიგურას.

სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდია აღარ არის ცოცხალთა შორის. ზვიად გამსახურდია ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი იყო და მის ჩამოგდება-განდევნაში დამნაშავეა რუსეთი, რომელმაც, ჩვენდა სავალალოდ, ეს სამხედრო გადატრიალება ისე, როგორც 9 თებერვლის ტერაქტი რენეგატი ქართველებისვე ხელით ჩაიდინა.

საჭიროა, დაუყოვნებლივ დაიშალოს ახლანდელი პარლამენტი, სამართალში იქნან მიცემულნი დეკემბერ-იანვრის მოვლენების დამნაშავენი ორივე მხრიდან, მოეწყოს საყოველთაო ეროვნული არჩევნები და ახალ პარლამენტში ისე, როგორც ხელისუფლებაში, სათანადო ადგილი დაეთმოს ზვიად გამსახურდიას რაზმის ჭკუათმყოფელ წარმომადგენლებს.

ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ რუსეთის კოლონიად დარჩენაზე. იძულებითი ვასალობა, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს თავს მოახვია, დამღუპველია ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველოს უნდა ჰყავდეს ეროვნული არმია და არა რუსის ჯარის უღიმღამო ფილიალი.

სასწრაფოდ უნდა გავაუქმოთ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზები და უნდა ვაიძულოთ დამპყრობელი რუსეთი, უკანასკნელმა რუსის ჯარისკაცმაც დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

საგარეო პოლიტიკა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი საქართველოსთვის უნდა იყოს აშკარად პროდასავლური.

ამისათვის საჭიროა, დაუყოვნებლივ გამოვიდეთ სნგ-დან.

ყოველგვარი იმედი იმისა, რომ რუსეთი წართმეულ ტერიტორიებს ყბადაღებული შეხვედრა-მოლაპარაკებებით დაგვიბრუნებს, ამოიწურა. ამიტომ საჭიროა, შევწყვიტოთ თავის მოტყუება, უარი ვთქვათ რუსეთის საშუამავლო როლზე, გავიყვანოთ საქართველოდან ე. წ. სამშვიდობო ძალები (სინამდვილეში „ეგზეკუცია“) და წართმეული ტერიტორიების დაბრუნება ვცადოთ იმ გზებით, რა გზებითაც საერთოდ ისტორიულად იბრუნებენ წართმეულ მიწებს. მთავარი ამ გზათა შორის შეუწყვეტელი პარტიზანული ბრძოლაა.

ქართული ფენომენი

მეოცე საუკუნე იწურება.

საქართველო ოცდამეერთე საუკუნეს დაპყრობილი, გალახული, ეკონომიურად დაუძლურებული, მგლოვიარე ხვდება.

ამ საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ორჯერ დაგვიპყრო.

ჯერ იყო და ოქტომბრის რევოლუციის შედეგად სამწლიანი დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ (1918-21), მაგრამ წითელმა რუსეთმა ვერ აიტანა თავისუფალი საქართველო და მეთერთმეტე არმიით გადაუარა ჩვენს თვითმყობადობას.

ამ ხუთიოდე წლის წინათ მეორედ შეტორტმანდა „ბოროტების იმპერია“, საქართველომ დრო იხელთა და თავისუფლების ნიავს შეუშვირა შუბლი, მაგრამ ამჯერადაც ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი დამოუკიდებლობა (1990-93).

თითქოსდა ისტორია განმეორდაო, ამჯერად სწორედ რომ დამოუკიდებლობის სამწლიანი ციკლიღა დაგვაცალეს.

1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთმა სასტიკად დაგვამარცხა. ქვეყანამ დაშლისა და განადგურების საფრთხე შეუქმნა და ყელზე თოკშემობმული ამჯერადაც ძალით შეაბრუნა იმპერიაში (სნგ-ში).

თუ 1991 წელს, კოჯრიდან, 25 თებერვალს თბილისში შემოსულმა ჯარმა თბილისის თავზე წითელი დროშა ააფრიალა და რუს წინამძღოლ კიროვს მხარს მაშინ ქართველი კაცი – ორჯონიკიძე– „უმშვენებდა“, 1993 წლის 5 ოქტომბერს ფოთში შემოსული მტრის ცხრა კრეისერიდან გადმოსული ტანკები დასავლეთ საქართველოს შემოესივნენ და, სამწუხაროდ, ზუგდიდისაკენ დაძრულ გენერალ ბალტინის ტანკებში ქართული „ხელისუფლების“ ყურმოჭრილი წარმომადგენლებიც ისხდნენ.

მაშ ასე, პატარა საქართველომ ერთ საუკუნეში ორი ომი გადაიტანა მრისხანე და ძლიერ მეზობელთან-რუსეთთან.

შედეგი? საქართველოსთვის ფრიად სავალალო.

დავით აღმაშენებლის დროს, XII საუკუნეში საქართველოს ტერიტორია დაახლოებით 300 000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა.

უთანასწორო ომებში თითქმის მესამედი დავკარგეთ და მეოცე საუკუნემდე 111 000 კვ. კმ-ით მოვაღწიეთ.

სწორედ საბედისწერო მეოცე საუკუნეში ჯერ ტაო-კლარჯეთი აჩუქა რუსეთმა თურქეთს, მერე, გასაბჭოების შემდეგ, ლორე ჩამოგვაჭრა და სომხეთს გადასცა, საინგილო – აზერბაიჯანს, ხოლო სოჭის ოლქი თვით მიიმატა.

დავამთავრეთ რუსეთთან პირველი ომი (1921) და დავრჩით 69 ათასი კვ. კმ-ზე. მოგვიანებით საბჭოთა რუსეთმა 2 000 კვ. კმ. წაგვართვა.

მეორე ომში (1993) რუსეთმა კვლავ მიიტაცა ძირძველი ქართული ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო, ამჯერად 25 ათასი კვ. კმ და ამჟამად საქართველოს ტერიტორია 42 000 კვ.კმ. გახლავთ.

ამ საუკუნეში 111 ათასიდან 42 ათასამდე... რა კარგი ფაქტი აქვს მეისტორიეს რუსეთ-საქართველოს „მეგობრობის“ დასახასიათებლად?

ჩვენზე „მზრუნველმა“ რუსეთმა აფხაზეთიდან (საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი ეთნიკური კუთხე – სამეგრელოს, იმერეთის, კახეთის, სვანეთის... მსგავსად) 1993 წლის 27 სექტემბერს 300 000 მშვიდობიანი მცხოვრები ერთი საათის განმავლობაში გამორეკა.

მსგავსი რამ თავიანთი სისასტიკით ცნობილ ფაშისტ დამყრობლებსაც არ ჩაუდენიათ.

მეტიც, როცა სახლ-კარიდან გამოდევნილი ქართველნი კოდორ-ჭუბერის ტანჯვის გზაზე მიირწეოდნენ, თოვდა და დედებს ჩვილები ხელში ეყინებოდათ. ამ დროს დამსჯელი რუსეთი იმდენად გულქვა აღმოჩნდა, რომ მან უფლება არ მისცა მსოფლიოს სამაშველო სამსახურებს, უბედურ ლტოლვილებს მიხმარებოდნენ.

უამრავი ქალ-ბავშვი ჩაიჩუმქრა თოვლში.

ზოგი ქარაფებიდან გადაეშვა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

მე ვფიქრობ, ამ „პატივისცემას“ არასოდეს დაუვიწყებს რუსეთს საქართველოს ისტორიული მეხსიერება.

საქართველოს დამპყრობელი არ უკვირს.

ჩვენი ისტორია მითაჟამიდან დღემდე საკუთარი მიწების დაცვისათვის ბრძოლის ისტორიაა.

გასაკვირი ის გახლავთ, რომ რუსეთმა საქართველოს მიმართ ორივე საშინელი დანაშაული (1921, 1993) ჩაიდინა დღისით-მზისით, მთელი მსოფლიოს თვალწინ, ყოველგვარი პოლიტიკური მოტივებისა და სინდისის ქენჯნის გარეშე, ხოლო მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი გულგრილი დარჩა საქართველოს სატკივრის მიმართ.

1921 წლის ოკუპაციის დროს „ერთა ლიგამ“ უპასუხოდ დატოვა საქართველოს თხოვნა და ჩვენი ემიგრანტი ხელისუფალნი ამაოდ ატალახებდნენ ევროპის თუ ამერიკის დიპლომატთა კაბინეტებს. საქართველოსთვის თავი არავინ გამოიდო.

რუსეთის მიერ საქართველოს 1998 წლის დაპყრობის შემდეგ „მამაცმა შვიდეულმა“ (მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა კავშირი) პირში წყალი ჩაიგუბა. საქართველოს ღარიბი ნათესავივით ერთი შეჰღიმილა და აგრესორს სიტყვაც კი არ აკადრა საქართველოს ანექსიის გამო.

დროდადრო „გაერო“ წამოიკნავლებდა ორაზროვანი „რეზოლუციებით“. ხელისმომწერლებმაც მშვენივრად იცოდნენ, რომ იმ მკვრადშობილ რეზოლუციებს შესრულება არ ეწერა და „უშიშროების საბჭო“ თავს სრულიადაც არ იწუხებდა საქართველოს მთლიანობის აღსადგენად.

მსოფლიოს პოლიტიკური ინსტიტუტების აღმაშფოთებელი გულგრილობა საქართველოს საკითხის მიმართ იქამდეც კი მივიდა, რომ 1996 წელს გაეროს წარმომადგენელმა, ვინმე ბრუნერმა, სეპარატისტთა თვითმარქვია ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დანიშნული არჩევნები კანონიერად მიიჩნია. ამით საქართველოს უახლოეს მომავალში ლამის გადაუწურა რუსეთის წართმეული ტერიტორიების დაბრუნების იმედი.

საქართველოსთვის არც მსოფლიოს არგამოსარჩლებაა ახალი და საქართველო ამასაც ითმენს.

დრო მიდის, ბოროტება ბოლოს აუცილებლად მარცხდება. ადრე თუ გვიან რუსეთის იმპერია დაიშლება, საქართველოს პოლიტიკურ ცაზე მზე გამოანათებს და წართმეულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ.

ამ საუკუნის მეხთატეხით დარეჯგვილი საქართველო ისევ ფეთქავს, განახევრებული და დაპყრობილი, მაგრამ, მტერთა სავალალოდ, თვითგადარჩენის საოცარი მუხტის მქონე.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ისე, როგორც ორომგადატანილი, დამარცხებული ქვეყანა.

მტერმა კარგად იცის, რომ ჩვენი დამარცხება-დაპყრობა გათელვით არ შეიძლება, ამიტომაც იგი ამ ბოლო დროს იქედანაც გვიტევს, საიდანაც არასოდეს არც ერთ დამპყრობელს არ შემოუტევია.

როგორც ჩანს, რუსებმა კარგად გაგვიცნეს მათ მიერ საქართველოზე ბატონობის ორასი წლის განმავლობაში.

მტერს საქართველოს წინააღმდეგობის გატეხვა სურს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაზე და ეროვნულ ფენომენზე შეტევით.

მოსკოვის საიდუმლო სამსახურები ადგილობრივ, მონური ფსიქოლოგიის მქონე ქართველ მოქალაქეებზე და ხელისუფლების ზოგიერთ მარიონეტულ წარმომადგენლებზე დაყრდნობით ქართველ ერში ნერგავენ არასრულფასოვნების სინდრომს.

უკვე აშკარად გაისმის (თვითგვემის გუნებაზე მდგომი ზოგი „ერისკაცის“ პირიდანაც კი), რომ ქართველები უშრომელ შემოსავალზე გადაგებული, ომის არამცოდნე, ძმათა მკვლელი და განდიდების მანიით შეპყრობილი ერი ვართ, რომ ჩვენს არსებაში ძალუმად ფეთქავს ხელისუფლებისაკენ სწრაფვის, სკამების მოპოვების ნერვი, რომ არ გაგვაჩნია ერთ ძალად შეკვრის, გაერთიანების ნიჭი და ამდენად, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების ხელოვნებაც უცხოა ჩვენთვის.

არასრულფასოვნების სინდრომის გაღვივება მმიართულია ერთი მიზნისკენ: სურთ ჩასძახონ საქართველოს, რომ ამაოდ ეძიებს თავისუფლებას, რადგანაც რუსეთისგან განცალკევებით მას არსებობა არ შეუძლია, რომ დამოუკიდებელი საქართველო ვერ იარსებებს, მას ან, ქართული გენიდან გამომდინარე, შინაომები მოუღებენ ბოლოს, ან მუსულმანი მეზობლები გასრესენ.

მართალია, რუსეთს საქართველოს დამონების სხვა საშუალებებიც მოეპოვება თავის არსენალში (საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნა, ეროვნული ჯარის სრულყოფაზე კონტროლი, ახალგაზრდობაში დროსტარებისა და უდარდელობის განწყობილებისთვის ხელშეწყობა, ნარკოტიკების შემოტანა...), მაგრამ ძნელი მისახვედრი როდია, რომ ამ „მშვიდობიან დროს“ ქართველ ერზე მტრის შეტევის გენერალური მიმართულება ქართულ ფენომენზე გადის.

„ფენომენი“ ბერძნული სიტყვაა და იშვიათ, უჩვეულო, განსაკუთრებულ მოვლენას ნიშნავს, ქართული ფენომენი კი პირობითი სამუშაო ტერმინი გახლავთ და იმ განსაკუთრებით ხაზგასასმელი ნიშან-თვისებების ერთობლიობაა, რაც ქართველი ერის არსებობაში მჟღავნდება. ამრიგად, ქართული ფენომენი ურთულესი ცნებაა და მოიცავს ქართველი ერის თვითმყობად ბუნებას, განსხეულებულს კულტურის, ისტორიის, პოლიტიკის თუ ეკონომიკის სფეროებში. რა თქმა უნდა, ცივილიზებულ სამყაროში ეროვნული ნიშან-თვისებები მეტ-ნაკლებად ყველა კულტურული ერის საკუთრებაა, რაკიღა ინფორმაციის საშუალებათა ფოირვერკის გამო მსოფლიო საგრძნობლად „დაპატარავდა“, მაგრამ კულტურათა შორის შუასაუკუნური ღობეების მოშლამ ამა თუ იმ ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული განმტკიცებული ნიშნები ვერ წაშალა. ყველა ისტორიულ ხალხს თავისი „სახე“ ჯერ კიდევ შემორჩა და ამაშიცაა მსოფლიოს მშვენიერების საიდუმლო. სიმპტომები, რომლებსაც ქვემოთ ჩამოვთვლით, განა სხვა ერებს არ ახასიათებთ, მაგრამ ქართულ ფენომენად იმიტომ მივიჩნევთ, რომ საუკუნეებმა ამ თვისებებს ქართული ელფერი შესძინა, ქართულმა ხასიათმა თვისებური გზასადენი მისცა, ან ქართველების ყოფაში მომეტებულად თვალშისაცემად იგრძნობა და იცნობა ეს ეროვნული აქსესუარები.

ქართული ფენომენის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ დღეს, როცა საქართველო თავისი ისტორიის უმძიმეს დღეებს განიცდის, როცა ჩვენ ლამის საბედისწერო მოსახვევთან ვდგავართ, საჭიროა ქართველს სწორი წარმოდგენა შევუქმნათ თავის თავზე, გავამხნევოთ და სიამაყის გრძნობა დავუბრუნოთ, დავანახოთ ღირსებაცა და ნაკლიც, რათა, თავის ძალებში დარწმუნებულმა, თამამად გააბიჯოს ისტორიის უსიერ ტევრში.

მსოფლიოს ცაზე ათასწლეულთა განმავლობაში ეპოქის ულმობელმა გრიგალებმა გადაიქროლეს და თან წარიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის დამრწევი ერები.

აფრიკის ცხელ ზეცას შეჰყურებენ პირამიდები. ფარაონის სარკოფაგზე ახლაც დევს მეუღლის მიერ ოთხიათასხუთასი წლის წინათ დანყობილი ყვავილები, ხოლო სფინქსის ქანდაკების, პირამიდების და დაბალზამების ცოდნის შემქმნელი ეგვიპტელები აღარ არიან.

ისტორიის ქარტეხილებს გაჰყვნენ ფინიკიელნიც. ფინიკიელთა მიერ მსოფლიოსთვის მიძღვნილი უძვირფასესი საჩუქარი – ანბანი, კი არსებობს და მადლიერების გრძნობით განაწყობს მილიონებს აწ გარდასულ ფინიკიელთა მიმართ.

ულმობელია დროის ნემეზიდა, აღიგავენ პირისაგან მიწისა შუმერები, ეტრუსკები, ბიზანტიელნი, ურარტუელნი თუ პონტოელნი, მაგრამ, ისტორიული ლოგიკის თითქოსდა საწინააღმდეგოდ, ქართველნი ჯერ კიდევ არსებობენ, საქართველო ისევ ფეთქავს.

ულმობელ მეხთატეხაში საქართველოს გაძლების საიდუმლო ქართული ფენომენის უმთავრეს ნიშანში – სამშობლო მიწის უსაზღვრო სიყვარულშიც უნდა ვეძებოთ.

სამშობლოობის გრძნობა ქართველს, ლამის ინსტინქტივით, დედის მუცლიდან დაჰყვება. მთელი ჩვენი ისტორია და ლიტერატურა პატრიოტიზმზე, მშობლიური მიწის დაცვის ნიჭზეა აგებული და, სწორედ, რომ გარეშე მტრებთან უთანასწორო ბრძოლის ეპიზოდებითაა სავსე. მამულისათვის ბრძოლის ისტორიას ოქროს ასოებით შერჩნენ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ცოტნე დადიანის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეფის, მღვდელი თევდორეს, სამასი არაგველის, დემეტრე თავდადებულის, ცხრა ძმა ხერხეულიძის და სხვა წამებულთა წმინდა სახელები.

სამშობლოსათვის თავდადების გრძნობა წამითაც რომ არ ჩამქრალა ქართველ კაცში და რომ ამ თვალსაზრისით ქართული გენი ერთიანი და მონოლითურია, ახლახან რუსეთ-საქართველოს ომშიც დამტკიცდა. ოცდაათიათასმა მოტყუებით განიარაღებულმა ჭაბუკმა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლა რუსის კომპიუტერული ტანკების წინააღმდეგ, ხოლო ექიმმა გია აბესაძემ ინსპირირებულ სამოქალაქო ომში ძმათა შერიგებისთვის თავი დაიწვა და ამით უკვდავების შარავანდედით შემოსა თავისი სახელი.

საუკუნეების განმავლობაში დაპყრობილი იყო საქართველო. იგი მსოფლიოს უდიდეს იმპერიათა სათარეშოდ იყო ქცეული, მაგრამ ქართველი ხალხი მონობას ერთი დღითაც არ შეგუებია. თავისუფლებისა და მტრისათვის სამაგიეროს გადახდის ცეცხლი არასოდეს ჩამქრალა ჩვენს გულში. ამიტომაც ვერ გვიმორჩილებდა ბოლომდე მტერი. თავს ვერ გვახვევდა თავის ნებას. ჩვენს ეროვნულ ატრიბუტებს თავგანწირულად ვებღაუჭებოდით და თავდახსნისთვის ისტორიის ხელსაყრელ მომენტებს ვეძებდით.

რუსეთმა მის მიერ დაპყრობილ ხალხთა უმეტესობას მზაკვრული პოლიტიკით თავს მოახვია თავისი ენა და კულტურა. საბჭოთა იმპერიის არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე ლამის გაარუსა „მოძმე რესპუბლიკები“, საქართველო კი გარუსების მოსკოვურ ტალღას არა და არ აჰყვა. ქართულის სახელმწიფო ენად გაუქმების პროექტს რუსთაველის პროსპექტზე ასიათასიანი დემონსტრაციით უპასუხა და იმპერიის შტაბი იძულებული გახადა, უკან დაეხია.

დღეს ძალუმად ფეთქავს ქართული გენი ულმობელი მტრების მიერ წაგვრილ ჩვენ მიწებზე: ტაო-კლარჯეთში, სოჭის ოლქში, ლორესა და საინგილოში, ქართველობა, როგორც სისხლის ყივილი, წამითაც არ გამქრალა იქ მცხოვრებთა შორის და მრავალტანჯული ადამიანები მოთმინებით შესცქერიან ისტორიის ჟამთა სვლას, რათა საქართველოს კვლავ დაუბრუნდეს მოჭრილი ძუძუ.

გმირობის სასწაულებს სჩადიოდნენ ქართველი მხედრები მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდგორის ომში სამოციათასიანი ლაშქრით

დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჯუკთა თითქმის ნახევარმილიონიანი ჯარი დაამარცხა. მტრისთვის ზურგის ჩვენება, ღალატი საშვილიშვილო სირცხვილად ითვლებოდა. ხალხური მოლექსე მოუწოდებდა არაგვს, ლაფით „გამასპინძლებოდა“ გამოქცეულს: „თუ ვინმე გამოქცეული, ურცხვად მოადგეს შენს კიდეს, ლაფი აჭამე შერცხვენილს, რომ სახლში ველარ მოვიდეს...“

„ჩვენ გამოვიქეცით სოხუმიდან, ომი არ შეგვძლებია, ჩვენ დამარცხებული ერი ვართ!“ ჩასძახიან დღეს ქართველობას მოსკოვის მიერ დადგმული ოსპის წვენის ჯამებსმიმსხდარი, სულგაყიდული პოლიტიკოსები და ამით სურთ (დაჟინებით ვიმეორებ) ერში არასრულფასოვნების, ომის უმეცრობის სინდრომი გააღვივონ, რათა საქართველო რუსეთის მორჩილ რესპუბლიკად გადააკეთონ.

მარიონეტი პოლიტიკოსები „დავალებას“ ვერ შეასრულებენ, საქართველომ კარგად იცის, რომ ჩვენი შვილები უკანასკნელ ომშიც მამაცურად იბრძოდნენ, რომ ჩვენ დავმარცხდით არა ერთი მუჭა აფსუების არარსებულ ჯართან, არამედ – ორასმილიონიანი რუსეთის კბილებამდე შეიარაღებულ მხედრობასთან, რომ დიდგორის ომში ქართულ მხედრობას დავით აღმაშენებელი წინამძღოლობდა, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ აფხაზეთის ომში ქართველ მოხალისეთა ლაშქარს საკუთარი შვილების გადამმალავი ომის ელემენტარული კანონების არამცოდნე, მტერთან წინასწარგარიგებული და კორუმპირებული მარშლები და გენერლები სარდლობდნენ.

სამშობლოს დაცვის ძვალრბილში გამჯდარი ნიჭის და მტრისადმი შეუპოვრობის გარდა ქართული ფენომენი რაინდობას და მიმტევებლობასაც გულისხმობს, მსოფლიოში ცნობილია ჩვენი უკიდეგანო სიკეთე და ტოლერანტობა. „ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე!“ რვაასი წელია მოგვძახის რუსთაველი და განა „ვეფხისა და მოყმის ბალადა“ ან ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“ მტრის დანდობის, შეწყალების უკვდავი შეგონებით არ არის გაჟღენთილი?

ქართველის ხასიათში არ არის სისასტიკე და ველური შეუბრალებლობა. ჩვენი ომების ისტორიაში ვერ ნახავთ მაგალითს, ქართველს მტრის ჩვილი აკვანში ჩაეკლას, ან ტყვის მაჯა გადაეხსნას და სისხლი დაელიოს, ან მის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭების თავებით ფეხბურთი ეთამაშოს, როგორც ეს აფსუა ნაძირალებმა გააკეთეს. წაქცეულს არ დავკრავდით და ღირსეულ მტერს მარჯვენას არ მოვჭრიდით, თუმცა იმის მაგალითიც არაერთი გვქონდა, შენდობილმა მტერმა რომ გვიმუხთლა და ზურგში ხანჯალი ჩაგვცა. სისასტიკე ულმობელმა ისტორიამაც ვერ აქცია ქართული ხასიათის ნიშნად.

ტოლერანტობა ვახსენეთ და აქვე უნდა გავუსვათ ხაზი ქართულ ფენომენად ქცეულ ჩვენს ათასწლოვან დიპლომატიას. დიახაც, რომ უნიკალურია ამ მხრივ ქართველ მეფეთა გამოცდილება. მეზობელ ქვეყ-

ნებთან ურთიერთობის, მრავალეროვანი სახელმწიფოს შეუმცდარად მართვის დიდებული სკოლა შექმნეს ბაგრატიონებმა. კაცმა რომ თქვას, დავით აღმაშენებლის, თამარისა და ბაგრატ მესამის ხელმწიფურ ხელოვნებას მსოფლიოს დიპლომატიურ სკოლებში უნდა ასწავლიდნენ.

რა სასაცილოდ გამოიყურება დღეს ქართული დიპლომატიის სასახელო ტრადიციებთან შედარებით ქართველი „მსოფლიო პოლიტიკოსების“ უდღეური „მოღვაწეობა“, ჯერ იყო და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის ნიავმა რომ დაგვქროლა, გაყოყოჩდნენ და ერთდროულად გამოუყვეს ენა, პოლიტიკური ბრანწი უჩვენეს ვერაგ რუსეთსაც, ტურა-მელა ჩრდილოეთ კავკასიელ მეზობლებსაც და ამერიკასაც. მერე, ე. წ. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბედისწერო ომი გამართეს, ახლა ყოვლად გაურკვეველ, სუმბურულ პოლიტიკას ადგანან. ხან მოთმინების ფიალა აევსებათ და რუსეთს ბრალს სდებენ, შუამავლად არ ვარგიხარო (განა თვითვე არ მოიწვიეს რუსეთი? თვითვე არ შეიყვანეს ერთპიროვნული გადაწყვეტილებით საქართველო სნგ-ში?), მეორე დღეს თავიანთი „გაბედულებისა“ თვითონვე შეეშინდებათ და თავზე ნაცარს იყრიან – ყველა პრობლემის გასაღები მოსკოვში დევსო. დავით აღმაშენებელმა კი შესანიშნავად უწყოდა ისტორიული მომენტის შერჩევის ხელოვნება. იცოდა, სადაც სიტყვა ვერ ჭრიდა, ხმალს უნდა გაეჭრა, მან სწორედ მაშინ დაჰკრა მტერს და გააგდებინა თბილისი, როცა იმპერია დაუძლურებული იყო. ჩვენ კი პირველნი მოვყევით რუსეთის იმპერიის ნანგრევებში. ნუთუ დავით აღმაშენებლისეული სიბრძნე მეზობლებთან ურთიერთობისა არაფერში უნდა გამოდგომოდათ ჩვენს უწიგნურ, არაპროფესიონალ პოლიტიკოსებს?

ქართული ფენომენი ჩვენს ისეთ ზნე-ჩვეულებებშიც და ტრადიციებშიც აშკარად ჩანს, როგორიცაა სტუმარ-მასპინძლობა, მეგობრობა და ძმადნაფიცობა, ან ქალისადმი მოწიწება და რაინდული პატივისცემა.

სტუმარი ღვთისააო, გაიგონებთ საქართველოში და დღესაც, უკიდურესი ეკონომიური სიდუხჭირის ვითარებაში, ქართველი უკანასკნელ პერანგს გაჰყიდის, რათა სტუმარს ღირსეულად დაუხვდეს. განა შემთხვევით დაიბადა ხალხური ლექსი:

ჩვენი გოგიტა-ქართველი
ახირებული კაცია,
შიმშილით კუჭი უხმება,
სტუმარს დაუკლა ვაცია.

ძმად გაფიცვის, ძუძუმტეობის, ფიც-ვერცხლის ჭამის, მორდუობის, სისხლით განდობის, ძუძუზე კბილის დაჭერით დაძმობილების უძველესი ტრადიციები ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე აკავშირებდა, ანათესავებდა ადამიანებს ჩვენში და ურთიერთგატანის, ურთიერთისთვის თავდადების გრძნობით მსჭვალავდა.

დედაკაცისადმი, როგორც სიცოცხლის საწყისისადმი, დედისა და ქალისადმი ქართველი კაცის რაინდული დამოკიდებულება ცალკე შესწავლის ღირსია. საქართველო ხომ ის ქვეყანაა, სადაც მარჩენალ მიწასაც დედამიწას ეძახიან და არასოდეს არ ილახებოდა ქალის უფლებები. ჩვენში ქალთა ემანსიპაციაზე ლაპარაკიც კი სასაცილო იყო ყოველთვის თუნდაც იმიტომ, რომ შუა საუკუნეების მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველებმა გავამეფეთ ქალი (თამარი) და მამაკაცის გვერდით ქალის შესაძლებლობათა განვითარების სწორედ ჩვენეული მეთოდის წყალობაა, რომ მსოფლიოში დღეს ქართველი ქალის ფენომენი არსებობს და ქართველი მანდილოსნები აიძულებენ მსოფლიოს, ამ ფენომენს (თუნდაც ჭადრაკში გამოვლენილს) ანგარიში გაუწიონ.

ქართული ფენომენი მჟღავნდება აგრეთვე ქართველი კაცის საოცრად პოეტურ და რომანტიკულ ბუნებაში, ხელოვნებისადმი უდიდეს სიყვარულში, ჩვენ მომღერალი და მოლექსე ერი ვართ. საქართველოში კაზმული სიტყვა, ლექსთა თქმა, შაირობა, კაფიობა საუკუნეთა განმავლობაში ეროვნული ტრადიციის დონეზე იყო და სწორედ ამის წყალობაა, რომ თავი გამოვიჩინეთ „ერის დიდებისა და ღირსების გამომხატველ“ (ილია) ამ სფეროში სწორუპოვარი ქართული ფოლკლორით და იგავმიუწვდომელი კლასიკური მწერლობით, მარტო იმის აღნიშვნა კმარა, რომ მეხუთე საუკუნიდან რომანებს ვწერდით, ხოლო მეთორმეტე და მეოცე საუკუნეებში მსოფლიოს მივეცით თავისი დროის ორი უდიდესი პოეტი-მოაზროვნე: შოთა რუსთაველი და გალაკტიონ ტაბიძე. ჩვენი ბიბლია, ქართველთა ეროვნული პასპორტი, სწორედ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გახლავთ.

ახლა ხელოვნების სხვა დარგებს ჩავხედოთ. განა ქართული ფენომენის კამკამა ფაქტი არ გახლავთ ქართული მუსიკა? მსოფლიოს ხალხთა დიდ ნაწილს ხალხური სიმღერა საერთოდ არ გააჩნია, საქართველოში კი ბაგეს გახსნი თუ არა, ერთბაშად მოწყდება სმენას ათასამდე უბრწყინვალესი ხალხური სიმღერა. დავუმატოთ ამას გენიალური ქართული ხუროთმოძღვრება. როცა რუსეთის იმპერიაში შევდიოდით, ტურისტულ ბუკლეტებში შავით თეთრზე ეწერა – მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 36 ათასი მატერიალური კულტურის ძეგლია და აქედან 28 ათასი საქართველოს ტერიტორიაზეაო. მსოფლიო ხუროთმოძღვრების ძვირფას ძეგლებად ნათობენ საქართველოში გელათი, სვეტიცხოველი, გრემი, ალავერდი, ნიკორწმინდა, კვეტარა, ვარძია, უფლისციხე, გარეჯი... განა ქართველ ფენომენზე სერიოზული საუბრის საბაბს არ იძლევა ცეცხლოვანი ქართული ცეკვა, ქართული ფერწერა, თვითმყოფადი ქართული თეატრი, საოპერო თუ კინოხელოვნება?

„ქართულს ქართველისდარად – სრულყოფილად ვერავინ იცეკვებს, რასსა არ ეყოფა“, წერდა გრიგოლ რობაქიძე და ეროვნულ ამბიციურობაში ან ურაპატრიოტობაში ნურვინ ჩაუთვლის გრიგოლ რობაქიძეს იმ

გარემოებას, რომ ამ ჭეშმარიტმა ესთეტმა და ფილოსოფოსმა მთელი თავისი სიცოცხლე ქართული გენის განსაკუთრებულობის, ქართული ფენომენის სიდიადის დამტკიცებას შეალია.

ქართული ფენომენი მჟღავნდება ჩვენს უძველეს, რაფინირებულ ენამეტყველებაში.

ქართული ენა მსოფლიოს უმდიდრეს ენათა რიგს მიეკუთვნება, ჩვენს განმარტებით ლექსიკონში ას თორმეტიათასამდე სიტყვაა შეტანილი, მაშინ, როცა მსოფლიოში არსებობენ ხალხები, რომელთა სიტყვების რაოდენობა ექვსასს არ შორდება. არც მოქნილობით და ტკბილხმოვანებით დაუდებს ტოლს ქართული ენა მსოფლიოს სხვა ენებს. ბევრი ქართული სიტყვა თვით მოვლენის ფონეტიკურ-მუსიკალური ხატია (მაგ. „გრგვინვა“, „ჩურჩული“, „ბრძანება“...), რაც ენის უძველესობასა და პირველყოფილებაზე მიუთითებს. ქართული ენა ქართველ კაცთან ერთად დაიბადა და მის მიერ იხვეწებოდა ათასეული წლების განმავლობაში. მარტო ის რად ღირს, რომ სიტყვა „გულთან“ დაკავშირებით სამასამდე იდიომი გვაქვს ქართულში და ჩვენს ენას გვირგვინად ადგას მსოფლიოს თოთხმეტი ანბანიდან ერთ-ერთი ულამაზესი, გრაფიკულად უაღრესად სრულყოფილი ქართული ანბანი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართული ფენომენის კიდევ ორ გამოხატულებას, რბილ, კაცთმოყვარე ქართულ იუმორს და ქართული სუფრის ტრადიციას, ანუ თამადობის ინსტიტუტს.

იუმორის გრძნობა ერის ინტელექტუალური დონის მაჩვენებელია და ქართული ხალხური იუმორი თუ ჩვენი მწერლობის არაერთი ბრწყინვალე ძეგლი (მარტო სულხან-საბა ორბელიანი და დავით კლდიაშვილი რად ღირს) გახლავთ იმის უტყუარი დასტური, რომ ქართველ კაცს იუმორი უმძიმეს წუთებში არ ტოვებდა და იქნებ იუმორის თვისებაც იყო ის ძალა, ჩვენს ხალხს საუკუნეთა ავ დგანდგარში რომ გააძლებინა.

სამაგალითოა ქართული სუფრის წეს-რიტუალიც. თამადობა სუფთა ქართული ფენომენია და დედამიწაზე ტრადიციულად მხოლოდ ქართულ სუფრას ახასიათებს.

მხედველობაში ნუ მივიღებთ გაჭიანურებული სუფრის ზოგიერთ გაუკულმართებულ ნიშანს და შევხედოთ ქართულ სუფრას, როგორც გონივრული სჯა-ბაასის, ურთიერთობის გარკვევის, ჭეშმარიტი ლხინის, სიმღერა-ცეკვის, მოსწრებული სიტყვა-თქმების, ურთიერთდაახლოების და დამეგობრების ასპარეზს. ღვინის კლასიკურ სამშობლოში – საქართველოში, ამ ღვთიური სითხის მოხმარებაც ზომიერად და ლაზათიანად იცოდნენ. ქართველი კაცი მთვრალ-გამობრუებული იშვიათად დგებოდა სუფრიდან. გამოცდილი თამადა სუფრაზე ურთიერთნდობის, ურთიერთგაგების სასიამოვნო ატმოსფეროს ჰქმნის, ყველას თავისას მიაგებს: ადღეგრძელებს სუფრის წევრებს და გარდა იმისა, რომ დაახასიათებს თითოეულ მათგანს – სამომავლოდაც დალოცავს და სიკეთეს, მიზნის

შესრულებას უსურვებს. სუფრაზე საუბრობენ სამშობლოს ბედზე, იხსენებენ მშობლებს, ადღეგრძელებენ დედმამიშვილებს და მეგობრებს. არც გარდასულნი ავიწყდებათ. ასე რომ, ქართული სუფრა უბრალოდ ტრაპეზი, პურობა კი არ არის, არამედ – მთელი აკადემიაა და სუფრის წევრები ერთმანეთს კარგად გაცნობილ-დაახლოებულნი, ხშირად ერთი ფიქრით, ერთი მიზნით გამსჭვალულნი შორდებიან და ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის ეს ცოტას როდი ნიშნავს.

ქართულ ფენომენზე შეტევა გრძელდება.

მტერმა ერის მნიშვნელოვან ნაწილს ეროვნული ატრიბუტისადმი გრძნობა მოუსპო.

მისხალ-მისხალ დაგეგმილი ოპერაციებით ქვეყანა კლდეზე გადაჩეხეს და მერე მაშველ ბაგირთა გადაგდების ილუზიით, მოჩვენებითი სტაბილიზაციით დაარწმუნეს ჩვენი თანამემამულენი, რომ პროვინციული ფაშიზმია ეროვნული ფენომენის გაძლიერებისთვის, ერის თვითმყოფადობისთვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა.

ყბად აიღეს, დასცინეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მისი ბელადები ფიზიკურად გაანადგურეს.

გაუთავებელი მასობრივი ზეიმებით, კაფე-ბარების და სამეჯლისო შოუდარბაზების ქსელით, აგრეთვე ნარკობიზნესის ფარული წახალისებით მიაღწიეს, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ეროვნული საფიქრალისთვის მოეცილებინათ და განზე გაეყვანათ. შექმნეს პოლიტიკისადმი (ე. ი. სამშობლოს ბედისადმი) ინდიფერენტულად განწყობილი ახალგაზრდა თაობა.

გართობის ნირვანაში მოტყუებით შეცურებული ახალგაზრდები ადრე თუ გვიან გონს მოეგებიან, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

ქართველს პასპორტში ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა წაუშალეს, ქართულ მიწაზე უცხოენოვან სასწავლებლებს და კოლეჯებს ხსნიან. ეკონომიური სიდუხჭირის ბადეში ჰხვევენ ადამიანებს და აიძულებენ სამშობლოს დატოვებას.

ლამის მილიონამდე მცხოვრები გაიქცა ოთხმილიონიანი საქართველოდან. ბევრი მათგანი ჰოლანდიის ნარკომანთა საკონცენტრაციო ბანაკში ათენ-აღამებს, ბევრნი მეძავობის და დღიური ლუკმისთვის ათასგვარი დამამცირებელი საქმიანობისთვის გაწირეს. ემიგრირებული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ალფონსობით ირჩენს თავს, ზოგი, თურმე, ჰომოსექსუალისტთა კლუბებშიც ზის და კლიენტს ელოდება.

საქართველოში კი, გამესამედებულ, დაჩოქებულ, მშიერი ლტოლვილებით სავსე საქართველოში, დღედაღამ ზეიმ-კონცერტებს მართავენ, რათა სანახაობის დაფდაფებით ამოავსონ ადამიანის სული.

საქართველო მაშინ დაიწყებს კვდომას, როცა ეროვნულ ფენომენს მოუშლიან.

ამიტომაც, ახლა, როგორც არასოდეს, ჩვენი ვალია, ერის გაღვიძების ზარები ვრეკოთ მკლავების დაწყვეტამდე.

ზიზღი უნდა გამოვუცხადოთ ქართველთა განსაკუთრებულობის ირონიით შემყურე და ქართველთა უეჭველ ღირსებებზე მოქირქილე ყველა დილეტანტს და ქვეგამხედვარე „მოყვარეს“.

პატიოსანმა ინტელიგენტმა (ასეთები ჯერ კიდევ დარჩნენ) ყოვლის ღონისძიებით უნდა ეცადოს, ქართველ კაცს თავისი ისტორიული მისია მოაგონოს, მის ღირსება-ნაკლოვანებებზე სწორი წარმოდგენა შეუქმნას და ამით „სიძნელე გზებისა გაუადვილოს“.

გამოფხიზლდით, ქართველნო!

მამულიშვილნო!

სადაცაა ჩამთავრდება ოცდამეერთე საუკუნის პირველი წელი, კიდევ ერთი უბედური წელი ჩვენს უახლეს ისტორიაში.

საქართველოს დაშლა, დაჩოქება, გადაგვარება გრძელდება.

სწორედ ამ წელს ერთხელ კიდევ აბუჩად აგვიგდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აფხაზეთის პრობლემაზე მიღებული უკბილო, არაფრისმთქმელი, მკვდრადშობილი რეზოლუციით.

ძველებური ცინიზმითა და ულმობლობით გვეპყრობა რუსეთი.

ჩვენი მიწა-წყლის ზოგჯერ დამიზნებითი, ზოგჯერ შესაშინებელი დაბომბვების და ჩვენი „გულადი, უშიშარი“ მოსახლეობის პანიკა-ფეთებისადმი არაჩვეულებრივი მიდრეკილების შედეგად, თითქმის დაიცალა ქართველებისაგან კოდორისა და პანკისის ხეობები, ჯავახეთი და მთათუშეთი.

ილუზიები იმის შესახებ, რომ „კეთილი ძია“ მოგვხედავს, დღითიდღე ფერმკრთალდება და ქრება.

ლამის უნათესავო ერი ვართ და ჩვენთვის რომ თავს არავინ გამოიდებს დუნიაზე, კარგად ვხედავთ.

ყველამ კარგად დაინახეთ, რა თითისქნევით ელაპარაკებოდა რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტს და, რაკი ძალა აღმართსა ხნავს, ჩვენი პრეზიდენტი დასჯილი მონაფესავით დუმდა, რომ „ურუსთა“ მეტი რისხვა არ გამოეწვია.

როგორც ჩანს, დაუცველობა და უსახსრობა ამ საუკუნეშიც ჩვენი ბედისწერაა და ჩვენ თვითონვე მაინც მივხედოთ ჩვენს თავს, გავიხსენოთ ჩვენთა წინაპართა მაგალითი, როგორ გაძელქვდებოდნენ ხოლმე და რა თავგანწირვით იცავდნენ ქართული მიწის თითოეულ ნაკვეთს.

რა დაგვემართა, ისე როგორ დავდედლდით, რომ თვითმფრინავის ყოველ გადაფრენაზე და ყოველ საპროვოკაციო დაბომბვაზე მამაპაპეულ სამკვიდროს ვტოვებთ და გამოვრბივართ.

მტერსაც ეს უნდა. უცერემონიოდ შევა და თქვენს სახლ-კარს დაიკავებს.

გამოფხიზლდით, ქართველნო!

ვისგან ვათავისუფლებთ აფხაზეთს?

ამას წინათ მიჩვენეს 1998 წელს მოსკოვში დაბეჭდილი საქართველოს რუკა.

დავხედე თუ არა, სიბრაზისაგან სული შემიგუბდა და რომ არ წავქცეულიყავ, სკამის საზურგეს დავეყრდენი.

სადღაა ვეფხვივით გაწოლილი საქართველო, ამ საუკუნეში მცხოვრებთ რომ თვალი გვქონდა მიჩვეული.

თავმოჭრილი (ფიზიკური და მორალური გაგებით) და ქედამოცლილი ვეფხვის მსგავსია ახლანდელი საქართველოს რუკა.

დიახ, უკვე გვიხედნიან ყურსა და თვალს ჩვენი ჩრდილოელი „ძმები“, შეეჩვიეთ, ქართველებო, თქვენი ქვეყანა სულ ეს არის. ორმოცდაშვიდი ათასი კვადრატული კილომეტრი, ნაცვლად სამოცდაშვიდისა (ლაპარაკია ათი წლის წინანდელ ტერიტორიაზე), დაეტიეთ თქვენს კანში, თორემ, თუ ჭკუით არ იქნებით, დარჩენილსაც შეგაკრეჭთ და დაგტოვებთ შორაპანსა და თბილისს შორისო.

რა ვქნათ, რა ვილონოთ?

ექვსი წელი მიიწურა, რაც შორიდან ვუვლით ჩვენს ეზო-გარემოს და ჩვენი გადამწვარი სახლ-კარის სანახავად ჩვენს მიწაზე ვერ შეგვიღწევია.

ექვსი წელი საკმაოზე მეტი დროა დასაფიქრებლად, მტერ-მოყვარის გასასიგრძეგანებლად, საგულისხმოდ იმისა, თუ სად დავუშვით შეცდომა და რა უნდა ვაკეთოთ წართმეულის დასაბრუნებლად.

მოლაპარაკება-მოთათბირებით და გაერო-ევროპარლამენტის მკვდრადშობილი რეზოლუციებით რომ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ, ეს აშკარაა.

სისულელეა, თუ შევძელით და მსოფლიო აფსუათაგან ქართველი ერის გენოციდში დავარწმუნეთ, მერე თავი ქუდში გვაქვსო, ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსები რომ გვარწმუნებენ.

რა ჩონჩხები და დოკუმენტ-სურათებიც უნდა დაულაგო მაგიდაზე, დასავლეთს გულს ვერ აუჩუყებ.

საქართველო ორ დიდ აქლემს შორის გაჭყლეტილი კოზაკია.

ჩვენ ლამის უპატრონო (კინაღამ „უმეგობრო“ წამომცდა, რადგანაც ჩვენ მიერ გამოგონილი „საქართველოს მეგობრები“ დიდად ვერაფერს გვშველიან) ხალხი ვართ დედამიწის ზურგზე.

ღარიბი ნათესავივით გვიღიმიან „მეგობარი“ ზესახელმწიფოები და მათს ნახევრადთანაგრძნობაში იკითხება; ძალიან გვიყვარხართ, მაგრამ თქვენი გულისთვის თეთრ დათვს ვერ გავანაწყენებთო.

ჩვენს ხელისუფლებას კი მხოლოდ დრო გაჰყავს და ეშმაკი მწყემსივით გვაიმედებს – ცოტაც მოითმინე, გაზაფხულზე იონჯა ამოვაო.

ამასობაში დრო გადის.

აფხაზეთიდან ხელატატებით გამოყვანილი ძუძუთა ბავშვები სკოლაში წავიდნენ, ათი წლის ყრმანი მოწიფულნი გახლავან, ჩვენ, ასაკოვანნი, ექვსი წლით დავბერდით.

ცრემლიანი მოლოდინის ექვსი წელი ცოტა არ არის. ეს ტანჯვის, გოლგოთის ექვსი წელიწადია.

აჰა, ჩვენი კომპასიანი თუ უკომპასო კვეთების მეშვიდე წელს შეიქმნა „აფხაზეთის გათავისუფლების პარტია“.

ვისგან ვათავისუფლებთ აფხაზეთს?

ნუ შეკრთებიან მშვიდობიანი, მშრომელი, სტუმართმოყვარე აფხაზნი. ჩვენ აფხაზეთს აფხაზებისგან არ ვათავისუფლებთ.

არც იმის გარჩევას ვაპირებთ, ვინ არის ჭეშმარიტი აფსუა და ვინ – გვარგადაკეთებული, მაგრამ თავისი ნებით გააფსუებული ქართველი.

ჩვენ ნამდვილ მტრებს თქვენს ზურგს უკან ვხედავთ იმ ბოროტი ძალის სახით, იგავის კურდღელი რომ მგელს დააჭიდა; მიდი, ნუ გეშინია, მე აქა ვარო.

ჩვენი პარტია რუსი დამპყრობლისაგან აფხაზეთის გათავისუფლების პარტიაა.

ამ მოძრაობამ აფხაზეთის შემომტკიცების მრავალ გზათაგან ყველაზე ოპტიმალური, ყველაზე სწორი, ჭეშმარიტად ბრძნული გზა უნდა იპოვოს და ამ გზისკენ მიმართოს ილაჯგაწყვეტილი საქართველოს სულისკვეთება.

„ილაჯგაწყვეტილი“ მეთქი, წამომცდა.

ჯერ, როგორც ჩანს, ილაჯი ბოლომდე არ გაგვწყვეტია, მოთმინების ფიალა პირთამდე არ ავსებულა. ჯერ ისე არ გავმწარებულვარ, ქართველნო, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი სუნთქვაშეკრულ-მახვილჩაბღუჯულმა ლაშქარმა ძლევის ყიჟინით გადავლახოთ.

აი, მაშინ კი, მაშინ დიდგორის გმირთა აჩრდილნი დადგებიან ჩვენს გვერდით და უკან დასახევ გზას საკუთარი ძვლებით ჩაგვიხერგავენ.

მიმართვა

ბატონებო!

1999 წლის 14 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის ძალითაც პირადობის დამადასტურებელი ყველა საბუთიდან ამოღებულია ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა.

ქართული ეროვნული სახელმწიფოს გაქრობა სამი თვეა დაკანონდა.

ეროვნული თვითლიკვიდაციის ტრაგიკული პროცესი გრძელდება.

ჩვენი ერის არსებობის ამ საბედისწერო მოსახვევზე მამულიშვილთა მიერ დარისხებული ზარებისათვის ხელისუფლების სასმენელი დახშული აღმოჩნდა.

პარლამენტის ხელმძღვანელობა დუმილით შეხვდა საქართველოს მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობის სურვილს ეროვნების აღდგენის თაობაზე. არაფრად ჩააგდო ქართველ მწერალთა, მეცნიერთა, სტუდენტთა კოლექტიური განცხადებანი, მთელ ქვეყანაში ჩატარებული კრებების რეზოლუციები და მოწოდებანი.

სამწუხაროდ, არც პრეზიდენტს ეყო სიმტკიცე და ერთპირობა. აღმოჩნდა რა პარლამენტის ზოგი ეგზალტირებული წევრის ზეწოლის ქვეშ, მან არ შეასრულა დანაპირები ერის წინაშე და ვეტო არ დაადო ამ სამარცხვინო კანონს; პარლამენტს საკითხის განხილვა გაურკვეველი დროით გადაადებინა, რითაც მწვანე გზა მისცა მის მიერ შეცდომით ხელმოწერილი კანონის მოქმედებას. ვურჩევ პრეზიდენტს, დაუყოვნებლივ გადადგას ქვეყნის ხელმძღვანელის ავტორიტეტისათვის აუცილებელი ნაბიჯი – გამოიყენოს ვეტოს უფლება.

საქართველოში უკვე იბადებიან უეროვნებო ბავშვები და ერის გაქრობის პროცესი დაწყებულია.

გაუგონარი ამბავი ხდება. დღითი-დღე ვკარგავთ ქართველები საქართველოში ძირითადი, ავტოქტონური ერის იურიდიულ და მორალურ უფლებას და ამას მშვიდად უმზერს „ეროვნული ხელისუფლება“.

საჯაროდ ვადასტურებ რა ჩემს უღრმეს პატივისცემას საქართველოში მცხოვრები ყველა ერის მიმართ, ვაცხადებ, რომ მომხრე ვარ პირადობის დამადასტურებელი საბუთების ეროვნული მოდელისა (ფრანგული, გერმანული...) და კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმ შუალედური, ულტრაკოსმოპოლიტური, დედლური მოდელისა, რომელსაც პარლამენტი გვთავაზობს ეროვნულობის აღნიშვნის უარყოფის სახით.

ან გადავიდეთ მთლიანად ევროპულ მოდელზე, ან დარჩეს ქართველი ქართველად, სომეხი – სომხად, აზერბაიჯანელი – აზერბაიჯანელად, მესამე გზა დამღუპველია.

ამ მზაკვრულ-თითლიბაზური მოდელით ჩვენ ჩვენი ხელით ვიჭრით ეროვნულ ფესვებს და გადაჯიშების უფსკრულისაკენ მივექანებით.

ეროვნულ ძალებს უკანასკნელ ხანს გააფთრებით დაუპირისპირდნენ ისტორიის სანეხვეზე კარგა ხნის წინათ მოსროლილი ნერვებსუსტი და გონებაჩლუნგი მოქალაქენი.

ატარებენ შეშლილთა ყრილობებს, გაჰყვირიან არარსებულ ფაშიზმზე, ილია ჭავჭავაძეს და ვაჟა-ფშაველას ყავლგასულ პატრიოტებად აცხადებენ, საეჭვოდ ენაგასივებულნი პირში ენას იმდენად მაინც ატრიალებენ, რომ საკუთარი მშობელი ლანძღონ, ხოლო საეჭვო ფსიქიკისა და რეპუტაციის მქონე კდემაგაცლილი ბელადი-ქალბატონები ქალთა ტერორისტული რაზმეულების შექმნას ესწრაფვიან და უდანაშაულო მსმენელს, საკუთარი ბიოგრაფიით აგრუმენტირებული, ასეთი სექსუალური აფორიზმით აპურებენ: „სამშობლო მამაკაცი არ არის, რომ წამდაუწუმ იცვალო“.

ვაი, ჩვენს მოსწრებას!

უბედურება ის გახლავთ, რომ ერის გადარჩენის სურვილს ეს ჯოჯოხეთის მოციქულნი თავის გამოჩენის და ქულების დაგროვების მცდელობად ჩაგითვლიან, შენს ცრემლიან-ტკივილიან ღაღადისს აბუჩად იგდებენ, ტალახს გესვრიან და ყოვლის ღონისძიებით ცდილობენ, წონასწორობა დაგაკარგვინონ, თავიანთ დონეზე დაგიყვანონ.

სისინებენ, ქირქილებენ, იწყევლებიან, იკბინებიან, პირმრუშობენ და უნიჭოდ ანგლობენ.

უტიფრობას საზღვარი არა აქვს, სატანური დაფდაფის ცემით და გამცემლური ყეფით ლამის გადაფარონ ერის ჭეშმარიტი ხმა.

ვხედავ, ბევრი თქვენგანი სასოწარკვეთამ შეიპყრო; მაინც არაფერი გამოვაო და გაყუჩდა, განზე გადგა.

ზოგი ფიქრობს; შვიდი თვე დარჩათ, არჩევნებამდე როგორმე გავძლებთ, მერე კუდით ქვას ვასროლინებთ ამ პარლამენტს და ახალი პარლამენტი გაასწორებს ძველის შემზარავ შეცდომებსო.

არ დაიჯეროთ, „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“.

ჩვენ თუ არ გამოვფხიზლდით, სამუდამოდ დავაგვიანებთ.

ახლა დუმილი დანაშაულია.

ნუ დავიღლებით, ნუ დავთმობთ ჩვენს ეროვნულ მეობას, ჩვენს ქართველობას.

ნუ ხტუნავთ, ნუ ყვანცალებთ!

რა არ იღონეს დემოკრატიის დაუძინებელმა მტრებმა, ცენტრალიზებული, ერთპარტიული, ერთპიროვნული მართვის მომხრე ძალებმა, რომ ჩვენს მახსოვრობაში ერთადერთი, თითქმის გაუყალბებელი არჩევნებით მოსული საკრებულო არ შეეშვათ ქალაქის მერიაში და სხდომები არ გაემართა.

მსოფლიოში უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა. ხუთი თვით დააგვიანებინეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა: ე. წ. ხუთი თვით გადადეს თბილისის დემოკრატიული, კოლექტიური მმართველობა.

ბოლოს სამართალმა პური ჭამა და დედაქალაქის ხმოსნები საქმეს შეუდგნენ.

პირველივე სხდომებზე სააკაშვილის საკრებულომ პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნულად დანიშნული თბილისის მთავრობა გადააყენა (ბუნებრივიც იყო), უფასო სასწრაფო დახმარების შემოღების და უკანონო მშენებლობათა შეჩერების საკითხი დააყენა.

დაასახელოს ვინმემ საქართველოში თუნდაც ერთი კაცი, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგია ქალაქის პრემიერ-ვიცე-პრემიერთა შეცვლისა, უფასო სასწრაფო დახმარებისა და უკანონო მშენებლობათა შეჩერების.

მაშ, რატომ აგუგუნდა საკრებულოსთვის ალიკაპის ამოსადებად დედაქალაქის ის მშვენიერი მოედანი, არც ისე დიდი ხნის წინ რომ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ძეგლი ამშვენებდა?

რატომ დაირაზმნენ ასე ერთსულოვნად შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები და მწყობრი ნაბიჯით შეცვივდნენ (რისი უფლებაც არა და არ ჰქონდათ) საკრებულოს სხდომაზე? საკრებულო დედაქალაქის პარლამენტია, ხოლო პარლამენტის სხდომაზე შეჭრის (ამას პოლიტიკურ-სექსუალურ ენაზე ზეწოლას ეძახიან) უფლება არავისა აქვს.

თუ ვინმეს უნდა გახარებოდა, დედაქალაქის მმართველობას ახალმა სიომ რომ დაჰქროლა, რომ გაჩნდა თუნდაც პაწაწკინტელა იმედი – ხელიდან გამოგლიჯონ მაფია-ოლიგარქებს გაწამებული თბილისის ელექტრონით და გაზით მომარაგება – მათ შორის პირველნი ერის ქომაგნი, ხალხის „გონება და სინდისი“ მუზის მსახურნი უნდა ყოფილიყვნენ.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სირცხვილის სიწითლემ აგვიტანა, ტელევიზიით საკრებულოს დარბაზის შტურმი რომ ვიხილეთ. ცხარედ, პირაქაფებით იღაღადეს „ჭეშმარიტება“ ჩვენმა სახელოვანმა მწერალ-მეცნიერ-არტისტებმა. ისე ცხარედ, რომ ისეთმა გაწონასწორებულმა დეპუტატმაც კი, როგორიც ლევან გაჩეჩილაძეა, ვეღარ მოითმინა და წამოიძახა: საათზე მეტია ლაპარაკობთ, თქვე კაი ხალხო, და ვერ გავიგე, რა გსურთ. თუნდაც ერთი საქმიანი წინადადება მაინც დაგეყენებინათ, რომ კენჭი გვეყარაო.

დაგვერწმუნეთ, ძვირფასო მკითხველებო, სახალხო-სახელოვნო დიპლომატიის ობერორდენოსან წარმომადგენლებს ვანო ზოდელავა ფეხებზე ეკიდათ.

ქეთი დოლიძის სახით კი კორუმპირებულმა ხელისუფლებამ ქართველ დედათა ის მატარებელი აამოძრავა, 1993 წელს აფხაზეთის დაკარგვის სავალალო დღეებს რომ უმწიკვლო, თეთრი მანდილით დაჰფარფატებდა; თუმცა არც იქეთა მხარემ მიაპყრო ყური და არც აქეთამ, რაკიღა მთელმა საქართველომ კარგად იცოდა ამ თეატრალიზებული მატარებლის შინა არსი.

ერთმა „ხალხისთვის საყვარელმა“ ინტელიგენტმა ხომ პირდაპირ განაცხადა; აქ პრეზიდენტის სკამისთვის იბრძვიან და სისხლი დაიღვრებაო. სისხლი ერთხელ უკვე დაღვარეთ, ძვირფასო „ინტელიგენტებო“, შევარდნაძის მოსკოვიდან ჩამოსაყვანად და ახლა მეორედ გინდათ დაღვაროთ შევარდნაძის შესანარჩუნებლად?!

დამშვიდდით, ნუ ხტუნაობთ, ნუ ყვანცალებთ! რომან გოცირიძე კი არ არის სისხლის დამღვრელი, არამედ თქვენი კოლეგა ბაკებიანი პოეტი, სამეგრელოს დასჯას რომ მოითხოვდა.

ქვეყანა არ დაქცეულა, უბრალოდ, თბილისში საკრებულოს სახით ახალი, დემოკრატიული მატარებელი ჩამოდგა...

რა ბანგი გასვეს...

„გატარდება ქმედითი ღონისძიებანი“, „შეიქმნა კომისია“, „საინტერესო ძვრები შეინიშნება“... ამ ფრაზებს ათი წელია სატყუარასავით სჩრის პირში მარიონეტული ხელისუფლება ქართველ ხალხს. ქმედითი ღონისძიებების, შექმნილი კომისიების და საინტერესო ძვრების ამაო იმედით დაპურებული საქართველო კი დღითი-დღე, ლაფში ჩაფლული ურემივით ჩვენ თვალწინ იძირება გამყიდველობისა და განუკითხაობის ჭაობში.

კონკრეტულ კითხვაზე – შესრულდება თუ არა პარლამენტის დადგენილება რუსის საოკუპაციო ჯარის საქართველოდან გაყვანის შესახებ? კურდღელივით დამფრთხალი ხელისუფლება ათაზროვნად გვპასუხობს: – „გატარდება ქმედითი ღონისძიებანი“.

კონკრეტულ კითხვაზე – აღსდგება თუ არა საქართველოში გაუქმებული ეროვნება? მატყუარა ხელისუფლება ოცაზროვნად გვპასუხობს: – „აღსდგება, აპა რას იზამს“.

კონკრეტულ კითხვაზე – გავიყვანთ თუ არა ქართველ მეციხოვნეებს კოდორის ხეობიდან და დავტოვებთ თუ არა იქ მცხოვრებთ ბედის ანაბარა? „ბრძენი, შეუმცდარი“ ხელისუფლება ასაზროვნად გვპასუხობს: „საინტერესო ძვრები შეინიშნება“.

ჩვენ? ამ მრავალნაცადი ტყუილით გულდაჯერებულნი, ჯიუტად პირმოკუმულნი, თავის კანტურით გაბეზრებულნი, ვწყვეტთ აქციას პანკისის ხეობასთან და შინ ვბრუნდებით. სამი თვით ზუგდიდის სიღრმეში (შტაბი!) გადაგვაქვს ენგურის ხიდთან გამართული აქცია, ფიქრს ვიწყებთ იმაზე, ნაჩქარევი ხომ არ იყო პარლამენტის დადგენილება დამპყრობელი რუსის საქართველოდან გასტუმრების შესახებ.

მიმოფრინავენ ფუნქციონერები, იქმნება კომისიები, მიიღება წყალწყალა რეზოლუციები... შიმშილმორეული პატიოსანი მშრომელი, გაუბედურებული ლტოლვილი კი ზის თავის ღარიბულ სამფეხაზე და იმედის თითს ლოკავს.

რა ბანგი გასვეს ასეთი, უბედურო საქართველოვ, რომ ვერ იქნა და ვერ იღვიძებ!

ხელს მაინც ნუ შეუშლით!

მამულიშვილნო!

ადამიანის უფლებათა დამცველ ერთ-ერთ ფრიად სოლიდურ დაწესებულებაში გამართული „საიდუმლო სერობა“ მეორე დღეს სამარცხვინო ფაქტით დაგვირგვინდა.

გატაცების თუ დაპატიმრების მიზნით თავს დაესხენენ მოძღვარ ბასილ მკალავიშვილს.

განგება მამა ბასილის მხარეს აღმოჩნდა და თავდამსხმელებმა დავალება ამჯერად ვერ შეასრულეს. მრევლმა მომხვდურნი განაიარაღა და კარგა ხნის შემდეგ, პოლიციამ მაღალჩინოსანთა შუამდგომლობის შედეგად გაათავისუფლა.

აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას, სამართალგამრიგენო!

ქვეყანაში მოთარეშე ყაჩაღური ჯგუფებისა და აყვავებული კორუპციისთვის ვერ მოგივლიათ, მაგრამ მამაცნი აღმოჩნდით ერთი პატიოსანი, მართლმადიდებლობისთვის თავდადებული მღვდლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მერე და, იცით თუ არა თქვენ, რომ თუ ბასილ მკალავიშვილს და მის თანამებრძოლებს გააჩერებთ, თითქმის აღარვინ დარჩება, წინ აღუდგეს მოზღვავებულ უბედურებას სხვადასხვა სექტების (პირველ რიგში, იეღოველების) სახით, ჭილყვავივით რომ შესევიან ჩვენს ქვეყანას და მალემრწმენთა მოსყიდვით ძირს უთხრიან ჩვენს რჯულს.

ეროვნული ცნობიერების საზოგადოება პროტესტს გამოთქვამს ბასილ მკალავიშვილის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი შანტაჟის წინააღმდეგ და აფრთხილებს ხელისუფლებას: თუ ხელს არ შეუწყობს, ხელი მაინც არ შეუშალოს მოძღვარს თავის კეთილშობილურ საქმეში.

ცრუდემოკრატიულ ინსტიტუტთა გალიფრებულ წარმომადგენლებს მამა ბასილი თვითონ მოუვლის – ჯვრისა და ხატის შეწევნით.

გონს მოვეგოთ!

საქართველოს ბედკრულ ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების პირველი ქმედითი ნაბიჯები გადმოდგა და ამით მსოფლიოს განუცხადა, რომ საქართველოს არავის დააჩაგვრინებს.

უმწეო საქართველოსთვის ამაზე სასიხარულო რა უნდა იყოს.

როგორ დავუკარგავთ; საქართველოს პრეზიდენტმა მოვლენათა ცხელ კვალზე, როგორც იქნა, განაცხადა, რომ ამერიკის ამ კეთილშობილურ ნაბიჯს მიესალმება, ხოლო რუსეთს რაც შეეხება; „რუსეთს დღემდე საქართველოსთან დადებული არც ერთი ხელშეკრულება არ შეუსრულებია“.

ზედმეტად ფრთხილმა და, ცოტა არ იყოს, მშიშარა პარლამენტმაც კი არწყენინების არტახები გაარღვია და პენტაგონის დახმარებას მოწონების, მხარდაჭერის დადგენილება შეაგება.

დამპყრობელი, იმპერიული, ამბიციური რუსეთი, შეიძლება ითქვას, გააცოფა ამერიკის ამ ანტიტერორისტულმა ღონისძიებამ.

მიხვდა რუსი, რომ თავისსავე დაგებულ ხაფანგში გაება.

ამას წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: ეჭვი მაქვს, ბენ ლადენი პანკისის ხეობაში იმალებაო.

ბავშვიც მიხვდება, რომ ამ განცხადებით რუსეთს, აქაოდა „მოძმე ქართველ ხალხს“ ბენ ლადენისაგან გავათავისუფლებო, პანკისის ხეობაში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება სურდა.

რას ნიშნავს რუსის „სამშვიდობო ოპერაცია“, ნათლად ეტყობა ათი წლის წინათ საიმედოდ „წართმეულ აფხაზეთს“ და სამაჩაბლოს.

მიუხვდა ამერიკა თეთრ დათვს მზაკვრულ მიზანს და თვითონ აიღო ტერორისტებისგან საქართველოს გაწმენდის ირნიციატივა.

და მაშინ, როცა რუსეთმა იგრძნო კავკასიაში „იანკის“ დამკვიდრების საშიშროება, განგაში ატეხა.

როგორ გაბედაო საქართველმ, უჩვენოდ ამერიკელების მოწვევა. ძვირად დავუსვამთ ამ თავხედობას... ნუთუ არ ფიქრობს საქართველოს ხელისუფლება, რომ ამით საქართველოს დაშლა-დანგრევას უწყობს ხელსო. გქონდეს ამერიკელების მიერ „გაწმენდილი“ პანკისი, მაგრამ ამ ამერიკეული სიმპათიებით თქვენ სამუდამოდ კარგავთ აფხაზეთს, სამაჩაბლოს, ჯავახეთს, აჭარას და სამეგრელოსაცო...

რას არ ათქმევინებს თურმე „პოლიტიკოსს“ სიბეცე და ბოროტება.

ბოლო დღეების რუსული ისტერია, არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პუტინის სახელმწიფოს ჩვენ კვლავ მის ყურმოჭრილ მონად, ვასალად, გავლენის სფეროდ მივაჩნივართ.

დამპყრობლის ფსიქოლოგია ყველგან ერთნაირია, მაგრამ ჩვენ იმ ქართველისა გაგვკვირვებია, ფერდაკარგული რომ ჩიფჩიფებს, ურუსოდ დავიღუპებით, ურუსოდ საქართველოში ბალახი აღარ ამოვა, რუსია ჩვენი ერთადერთი პატრონი და ნიადაგ რუსის კალთაში უნდა გვედოს თავიო. ერთმა ჩინოვნიკმა ისიც კი განაცხადა, პანკისში სრული სიმშვიდეა, კრიმინალები და ტერორისტები იქ არ არიან და არავითარი ოპერაციის ჩატარება საჭირო არ არისო.

და ეს მაშინ, როცა პანკისის ხეობას კარგა ხანია ვეღარ აკონტროლებენ ჩვენი ძალოვნები, ფულის გადაუხდელად ვერც ერთ მძევალს ვერ გავათავისუფლებთ, შეირბენს პანკისში ჩვენი ოპერჯგუფი, მიიხედ-მოიხედავს და, ე მანდ რამე ხიფათს არ გადავეყაროო, ღამის გაუთენლად უკანვე გამოიქცევა... ეს მაშინ, როცა თავგასული ბანდიტები პანკისის ხეობაში მშენებარე ელექტროსადგურს წამდაუწუმ აფეთქებენ და ფერხორციანი (განსხვავებით აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან

დევნილებისგან, რომელსაც შიმშილისგან ადამიანის ფერი აღარ ადევთ) ჩეჩენი ლტოლვილები პრინციპულად აცხადებენ, ჩვენ საქართველოდან ფეხსაც არ მოვიცვლითო.

რუსეთუმე ქართველთა გულისამრევ წუწუნს ამ ბოლო დროს დასასრული არ უჩანს, მაგრამ ამ უამურ ხმებს იმათი ბანიც შეერევა, ხოლმე, ვინც თავისი ორიენტაციით თითქოსდა დასავლეთისკენ იხრება, მაგრამ ყოველივე ქართულისადმი აუხსნელ ზიზღს ამჟღავნებს.

– ქართველი ერი არშემდგარი ერია. ქართული ენა საყველპურო ენაა. რა დროს ეროვნულ ცნობიერებაზეა საუბარი, როცა არც ერთი „გამოჩენილი ქართველი“ ფაქტობრივად ქართული წარმოშობისა არ გახლავთ!.. ყრანტალებენ ისინი.

ჩვენს გაზეთში ამას წინათ სულმნათი აკაკის დაუბეჭდავი ლექსი, „გარეწარი“, გამოვაქვეყნეთ. „რა დროს ერია, რა დროს ნაცია“ – ამბობს სკვითურად მოჭიკჭიკე ქართველი და ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისთვის პოეტს – ერის ფხიზელ გუშაგს, „გარეწარი“ ეწოდებინა.

რა დაგემართათ, რა დაგიშავათ ასეთი, ბატონებრო, თქვენმა სამშობლომ? რა ისეთი თაფლი წაგაცხოთ ხელზე რუსმა, რომ ვერა და ვერ შელევიხართ?

იქნებ 1801 წელს სახელმწიფოებრიობა არ გაგვიუქმა, იქნებ ეკლესიის ავტოკეფალია არ წაგვართვა? იქნებ ქართული წერა-კითხვა არ აგვიკრძალა? იქნებ სისხლში არ ჩაახშო ყველა ამბოხება საქართველოს თავისუფლებისკენ მიმართული? იქნებ ტაო-კლარჯეთი, ლორე, საინგილო, სოჭის ოლქი, აფხაზეთი, სამაჩაბლო... არ დაგვაკარგვინა? იქნებ თავზე არ დაგვახია ყველა საძმო-სამშვიდობო ხელშეკრულება მარიონეტული ხელისუფლების მიერ „გაიძვერა მოყვარესთან“ დადებული?

დროა, გონს მოვეგოთ, ქართველნო!

ისტორია გამოცდას გვიწყობს; ვართ თუ არა დამოუკიდებლობის და თავისუფლების ღირსი, ქართული სახელმწიფოს შენება ჩვენი სულიერი მოთხოვნილებაა, თუ მონობამ იმდენად დაგვაჩიავა, რომ თავის აწევის, წელში გამართვის უნარი აღარ შეგვრჩა.

აი, სადამდე მივედით

მოქკავშირის უდღეური მმართველობის ეპოქა სამარცხვინო კრახით დამთავრდა.

შევარდნაძე ადრეც იყო მიმხვდარი არაპროფესიონალი მოქალაქე ბიჭუნების ორმხრივი აგენტურ მშვენიერებას, მაგრამ უმადურ შვილიშვილებს ყური მაშინ აახია, როცა გაუცნობიერებელი ბრბოს ყურადღებით განებივრებული ნორჩი რეფორმატორები პრეზიდიუმის სკამს წაეპოტინენ.

კი მაგრამ, მე სად მიშვებთ, საით მიმაფრენთო, იკითხა შევარდნა-

ძემ და „ბაბუს“ ეს ნახევრადხუმრობა „ხალხზე მზრუნავ“ მანჰეტენელთ მეორე დღესვე შავად ექცათ.

მარცხს იოლად შეგუებიან.

ერთი კიდევ გაიყრილობეს შევარდნაძესთან შესაძვრომის საპოვნელად, რომ არ გამოუვიდათ, „ნაციონალისტები“ დაირქვეს, მაგრამ ხალხმა არ მიიღო იმათი ნაციონალისტობა, ვინც საქართველოში ეროვნება გააუქმა.

სასოწარკვეთილებმა თავიანთ ოკეანესგაღმელ პატრონებს მიაკითხეს, მაგრამ იქაც ცივად შეხვდნენ.

სადაა თქვენი დაპირებები – თავკვეხიანად ამერიკულ ცივილიზაციაში ინტეგრირებული საქართველო? აკი შევარდნაძის თავს ჩამოგიტანთო?! ამისთვის გზარდეთ და გეფერეთ? ამისთვის გაძლიეთ გრანტები და ტრანშები?! – ჰკითხეს ჩვენს „ყოჩაღ ბიჭებს“ ამერიკაში და ზრდილობიანად კარი მიუხურეს.

ეს მხოლოდ ერთი თავია იმ ტრაგიკომედიისა, რომელსაც ჩვენს თანამედროვეობაზე ჭეშმარიტი მწერალი უსათუოდ დაწერს, მაგრამ საქართველოს რა, ბატონებო!

ქვეყანას რომ არც მოქალაქეთა კავშირის დამხობით ეშველა?

მოქკავშირის ცარიელი სკამები ნაწილობრივ უკვე შეავსეს მედროვეებმა.

რომ იცოდეთ, რა სასაცილოა პარლამენტში ნაცად მედროვე-ინტელიგენციის ყურება. ერთად სხედან ხელისუფლების უკანალში ძვრომატრიალით თავგადატვლეპილი ინტელიგენტი გვამები და ადრე რომ მოქკავშირის პატარა წაწკიპურტების გამო ავად აიფხორებოდნენ, როგორ გაბედეთ რეფორმატორთა გაკრიტიკებაო – თვალში თითს გვკრავდნენ, ახლა სწორედ ისინი რეფორმატორებს „უვიცებს“, „მოღალატეებს“ და „გრანტიჭამიებს“ ეძახიან.

ასეთი პრინციპული კომინტელიგენცია გვყავს, რას ვიზამთ.

სახელისუფლებო ეშელონებიდან ჟვანია-სააკაშვილის გუნდის გადმოსმა გრძელდება, მაგრამ არ გეგონოთ, რომ თითო მათს ადგილს ჭეშმარიტი ოპოზიციონერები იკავებდნენ. პრეზიდენტი და მისი წრე მედგრად იცავენ ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებულ პრინციპს – არც ერთი მინისტრი, არც ერთი გამგებელი ოპოზიციონერთა რიგებიდან!

ღმერთმა მშვიდობით მოახმაროთ ის მორყეულ-მოფამფალებული სკამები, მაგრამ „ჩვენ სხვა გვატირებს, ისა ვთქვათ“.

კარგი რომ გვჭირდეს, გაგვიკვირდებოდა, მაგრამ ჩვენი სამშობლო დღითი-დღე ხელიდან გვეცლება.

ყოველ დღეს სახალ-ახალი სატკივარი მოაქვს. დღითი-დღე უახლოვდება დანა ღვთიშობლის ტარიგის ყელ-კისერს.

დამპყრობელი რუსის ჯარს რომ ვერ შეელეოდა ჩვენი ხელისუფლება, იქიდან უნდა გვცოდნოდა, რომ ათი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გაუმხილა მსოფლიოს, „აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსმა“ წაგვართვაო.

ახლა დიდი „გასვლა-გამოსვლაა“ „ძალოვნებს“ შორის პანკისის პრობლემაზე. თურმე მსოფლიო ტერორიზმის ჭიპი პანკისი ყოფილა.

გელაევს ვინ დაეძებს, თურმე ბენ ლადენიც დაულანდავთ პანკისში.

მალე „ერთობლივ ოპერაციას“ ჩაგვატარებინებენ და მეორე დღეს, როგორც რუსის წესია, შეგვატოვებენ ხელში ჩრდილოეთ კავკასიელ ყაჩაღებს.

კიდევ ერთ საბედისწერო შეცდომას უშვებს საქართველოს ხელისუფლება.

თუმცა, ერთი ცხვრისკენ და ერთი მგლისკენო. „აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სრულიად აუხსნელია ზოგი ჩეჩენი ლტოლვილის გაჯიუტება: ჩვენ პანკისიდან ფეხსაც არ მოვიცვლითო. თქვე კაი ხალხო, რუსეთთან საქართველოს ომის დროს რუს--აფსუეს რომ გვერდით დაუდექით და აფხაზეთი დაგვაკარგვინეთ, დიდსულოვნად გაპატიეთ. ჩეჩნეთიდან ოტებული უბეში შეგიფარეთ, გაგათბეთ, დაგაპურეთ, ქართულ მიწაზე ბეწვიც არ ჩამოგვარდნიათ და ახლა კი, პრინციპულად რომ აცხადებთ, ფეხსაც არ მოვიცვლითო, საკადრისია?

რაო, ამ ჩვენ ტერიტორიაზე პატარა ჩეჩნური სახელმწიფო მოიწყვეთ, თუ როგორაა თქვენი საქმე?

თქვენ სტუმართმოყვარე მთიელი ხალხი ხართ და, მოგეხსენებათ, სტუმრობას თავისი ვადა და წესრიგი აქვს.

უკვე დავიწყეთ კოდორის ხეობიდან ჩვენი მეციხოვნეების „ღირსეულად“ გამოყვანა. ხეობა კარგა ხანია ფაქტობრივად დაცარიელდა მოსახლეობისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუთმეთ დამპყრობლებს ჩვენი მიწა-წყალი, კოდორის ხეობა.

თუმცა საქართველოს „ტრადიციული სტუმრების“ შემყურეთ, ჩვენ უკვე აღარაფერი გვიკვირს.

კიდევ ერთმა ჭირმა იჩინა თავი.

მაცა, მაცა, საქართველოს ხელისუფლებისათვის ჯავახეთი ისეთი პრობლემაა, ჭირმა თავი არ დამალა; გინდათ თუ არა, ავტონომია მოგვეციო– ასევე ჩვენს მიწაზე შემოხიზნულ-გამრავლებული „სომეხი ძმები“ არცთუ მოკრძალებით მოითხოვენ.

მთელს დედამიწაზე ყველგან გადაწყვეტილია ე. წ. „ეროვნულ უმცირესობათა“ პრობლემა.

ყველგან, ნორმალურ სახელმწიფოში, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ავტოქტონური ერის მოქალაქეობა-ნაციონალურობის, ევროპარლამენტის და გაეროს მიერ განსაზღვრულ წესს ემორჩილებიან, მით უმეტეს, როცა გვერდით ეროვნული უმცირესობის ძირითადი სახელმწიფოა. უმცირესობათა კანონზე სახელმწიფოს მიერთების შემთხვევაშიც, მას არა აქვს ავტონომიის მოთხოვნის უფლება, რადგანაც ამ მოთხოვნის ქვეშ

სხვისი მიწის მიტაცების და თავის სახელმწიფოსთან მიერთების მხატვრული მიზანი იმალება.

აი, სადამდე მიგვიყვანა მოქალაქეთა კავშირის მიერ საქართველოში ქართველი ერის ავტოქტონურობის გაუქმებამ.

რაკი ავტოქტონური აღარ არსებობს, კეთილ ინებეთ, და ავტონომია მოგვეცითო, გაიძახიან სომხები.

ხელისუფლებავ, ნუ აქციე საქართველო მეწველ ფურად, ნუ წაგვიშალე ეროვნული თავმოყვარეობა, ნუ დანგვასვი თაზე ყველა ხიზანი და დერვიში.

ეროვნების აღდგენაზე კრინტი არ დაუძრავთ

მამულიშვილნო!

წარმოსადგენადაც კი ძნელია ის მასშტაბები, ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ბრძოლა დღითი-დღე რომ იჩენს.

ჩვენ რომ გვეგონა, უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ბრძოლაა წამოწყებული ქართული ეროვნული ფესვების ამოსაძირკვად.

მეათასეჯერ ვიმეორებთ; დედამიწაზე საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც გაუქმებულია ავტოქტონური ერის ეროვნება „ქართველი“.

სიტყვა „ქართველი“ არსად, პიროვნების ვინაობის დამადასტურებელ არც ერთ საბუთში არ იწერება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ქართველი ერიც“ აღარ არსებობს, დიახ, საერთაშორისო სამართლებრივ ინსტანციებში ჩვენ ვერაფრით ვერ დავამტკიცებთ, რომ სახელმწიფო „საქართველოს“ შემქმნელი ერი ვართ.

შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროინდელმა სურვილმა, გარდაექმნა საქარველო უეროვნებო, კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალურ ლაბორატორიად, ხორცშესხმა მისი პრეზიდენტობის დროს ჰპოვა.

ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის ორიოდე პარლამენტარი გაუქმებული ეროვნების დაუყოვნებლივ აღდგენის საჭიროებაზე, იმართება კანონპროექტის საჯარო განხილვები, „საკომიტეტო მოსმენები“, კონსულტაციები „გაეროსთან“, მაგრამ საქმე არ იძვრის, ყინული არ ლღვება.

მოვიდა პარლამენტში პრეზიდენტი. რაზე არ ილაპარაკა თავის ორსაათიან მოხსენებაში, მაგრამ საბუთებში ეროვნების აღდგენაზე კრინტიც არ დაუძრავს.

მაშ, რა ეროვნულ სახელმწიფოს აშენებს საქართველოს ხელისუფლება, თუ სიტყვა „ქართველი“ და „ქართული“ ხმარებიდანაა ამოღებული და უსარგებლო, მოძველებულ, პროვინციულ სიტყვებად ითვლება?

დრო გადის, ეროვნული ცნობიერების დაუთოვებას ხელისუფლების ცხელი, ინტერნაციონალური უთოთი ბოლო არ უჩანს.

შევაღვიძოთ ერი, მწერლებო!

მამულიშვილნო!

საქართველოს ცაზე რომ ორიოდე დღით გადაიკარა და დამპყრობელმა მანანასავით არ დაგვაყარა ბომბები, დამშვიდების საბაბს როდი გვაძლევს.

საქართველოს დასჯის პუტინისეული პროგრამა სრული სვლით მოემართება.

ეგ არის, ამერიკამ და ევროსაბჭომ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა რუსი გენერლები.

ბუშის განცხადებამ: თუ ვინმე შეეცდება ჩაერიოს პანკისის ოპერაციაში მესამე ძალად, ამით საფრთხე იქ მყოფ ამერიკელ ჯარისკაცებსაც შეექმნებათ და ჩვენ უყოყმანოდ დავდგებით საქართველოს მხარეზეო, მადა დაუკარგა რუსის გენერლებს, კბილებს რომ ილესავდნენ ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთხელ დასაპყრობად.

გაღმა შემოდავებებს და ცილისწამებებს ბოლო არ უჩანს:

26 სექტემბერს, თურმე, 180, პანკისში გაწვრთნილი, ბოევიკი გადასულა პანკისიდან სამაჩაბლოში, სამაჩაბლოდან – ჩრდილოეთ ოსეთში და ჩრდილოეთ ოსეთიდან – ინგუშეთში.

იმ ასოთხმოც „ბოევიკს“, თურმე, ლამის დაუმარცხებია ხუთი ათასამდე რუსი ჯარისკაცი, მაგრამ ბოლო წუთებში პუტინის ვეფხვებს უმარჯვიათ და 50 ბოევიკი მოუკლავთ, ხოლო 6 ტყვედ აუყვანიათ.

ამ „ოპერაციაში“, თურმე, თავიდან ბოლომდე საქართველოა დამნაშავე.

რუსული მასმედია ახალ ზღაპარს თხზავს; თითქოსდა შვამერს ოპერატიულად ეთქვას ამ დანაშაულზე საქართველომ პასუხი უნდა აგოსო.

კრილოვის „მგელი და კრავისა“ არ იყოს, რა შუაშია საქართველო?

იქნებ ჩეჩნეთ-რუსეთის ომიც საქართველომ წამოიწყო?

იქნებ საქართველოა დამნაშავე იმაშიც, რომ, თურმე, 180 ჩეჩენი ბოევიკი თავისუფლად გადავიდა რუსის მიერ კონტროლირებად სამაჩაბლოში, იქიდან – ოსეთში, ოსეთიდან – ინგუშეთში და ინგუშეთიდან – ჩეჩნეთში – რაო? რუსეთის საზღვარიც ჩვენ უნდა დაგვეცვა?

აქვეა საზიზღარი ტყუილიც: თურმე ჩეჩენ ბოევიკებს გზამკვლევად ქართველი ჰყავდათ, რომელმაც ამ სამსახურისათვის ფული ჩაიჯიბა.

ასე უსინდისოდ, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე იქმნება რუსეთში მტრის ხატი, უტიფრად აცხადებენ, რომ სამხრეთიდან დიდი საშიშროება ელის დედა-რუსეთს. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ქართულმა თვითმფრინავებმა მოსკოვი დაბომბონ!

რას ველოდებით, მოთმინების რუსული ფიალა ხომ კარგა ხანია აივსო, დავკრათ საქართველოს და გავათავოთო, – აღშფოთებას ვერ მალავს დუმა.

უშიშროების მინისტრის მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის, უწყინარ განცხადებას: ვცდილობთ, დაუპატიჟებელი სტუმრები თავიანთ მიწაზე დავაბრუნოთო, რუსეთის მრისხანე გამოხმაურება მოჰყვა – აკი ვამბობდითო.

თურმე ჩეჩენი ლტოლვილები პანკისის ხეობაში ადგილზე უნდა ჩაგვეხოცა.

ჯერ ერთი, ქართული ჯარის შესვლამდე „ბოევიკები“ იქედან გაიკრიფნენ, ჩვენი მხარე ყოველდღიურად აპატიმრებს ეჭვმიტანილებს, ლტოლვილებს (ჩვენმა სიკეთემ რომ ახალი თავსატეხი გაგვიჩინა) წინადადება მიეცათ, დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში...

არაო, უნდა დაგეხოცათო, რასაკვირველია, ეს ხელს აძლევს რუსეთს.

ამას მოჰყვება კავკასიის შინაომი.

მთელი მუსლიმანური კავკასია საქართველოს წინააღმდეგ აიფოფრება, რუსი კი ჯერ სეირს ნახავს, მერე ძერასავით ადვილად დააცხრება დასუსტებულ მოქიშპეებს.

ამერიკა, მართლაც რომ გადაგვეფარა ამ დღეებში.

საქართველოზე რუსის ხიშტის ავმა დამიზნებამ ამერიკას ერაყის ოპერაცია გადაადებინა.

დიდი პატივია ამერიკის პრეზიდენტის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიღება და მასთან ორსაათიანი საუბარი..

საქართველოსთანა ნახევრადსახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს კი არა, ბუში არაერთი ქვეყნის პრეზიდენტის მისაღებადაც ვერ იცლის ამ დღეებში.

არც თბილისში გამართული ნატოს სემინარია შემთხვევითი.

ნატო თავის მომავალ წევრად რომ მოგვიაზრებს, აშკარა ხდება, ხოლო რუსეთის დელეგაციის ჩამოუსვლელობა თბილისის ნატოს სემინარზე ცუდის ნიშანია.

სად არიან, რატომ არ იღებენ ხმას უდანაშაულო სერგი ივანოვის აგრესიული განცხადებებისაგან საქართველოს დასაცავად ელდარ შენგელაიას, ჯანსუღ ჩარკვიანის, თამაზ ჭილაძის და გენო კალანდიას მეგობრები, საქართველოზე სიზმრებით შეწუხებული ევტუშენკო, ვოზნესენსკი, როჟდესტვენსკი, ახმადულინა? რაო, აღარ ენატრებათ „ნაპარეული“ და „ჩახოხბილი“?

საბჭოთა ინტერნაციონალიზმის იდეა კარგა ხანია გაკოტრდა. რუსეთი იმპერიულ მიზნებზე ხელს არ იღებს და კვლავინდებურად ჩასანთქმელად გვეღირება.

ამ ისტორიულ ჟამს მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ბრძანდებით, საქართველოს მწერალთა დარბაზის ირგვლივ შემოკრებილო ეროვნულო მწერლებო, ის შემოქმედნი, ჭეშმარიტების ღაღადისი რომ შეგიძლიათ და გევალებათ.

შევაღვიძოთ ერი. ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად აღვადგინოთ და დავრაზმოთ მილიონები. გაბედულად, შეუპოვრად ვაუწყოთ მსოფლიოს, რომ საქართველო იმპერიის ყულფში თავის გაყოფას აღარ აპირებს, რომ ილია ჭავჭავაძის სამშობლო რუსის უღელს აღარ დაიდგამის ქედზე.

ესაა სკოლის აღორძინება?

მამულიშვილნო!

თუ გახსოვთ, ამ ორი წლის წინათ ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საზოგადოება რომ შევქმენით, ზოგმა „ურწმუნო თომამ“ ეჭვის თვალით შეხედა ამ ახალი მოძრაობის დანიშნულებას: უმჯობესია ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე ვიზრუნოთ, ეროვნული ცნობიერება ისედაც ძვალ-რბილში გვაქვს ქართველებს, ეროვნულ ცნობიერებას რა გადარჩენა უნდაო.

კი ყოფილა საჭირო? ჩვენ მიერ ზარების დარისხება? ჰქონია საფუძველი ჩვენს შეშფოთებას იმის შესახებ, რომ საქართველოს წინააღმდეგ გლობალურ ლაშქრობაში მტრის პირველი სამიზნე სწორედ რომ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოებაა.

საქართველოში ქართველი ერი დოკუმენტალურად რომ გააუქმეს, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას რომ დღემდე ვერ მივაღწიეთ, ამაზე არაერთგზის გაუწყეთ. ახლა ნახეთ, მტერმა საიდან მოგვიარა: რაკი დარწმუნდა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენელთა ფსიქიკიდან ეროვნულს ვეღარ ამოშლის, გადაწყვიტა, სკოლიდანვე დაიწყოს საქართველოს მანქურთიზაცია. მოზარდ თაობას მოუშალოს ეროვნული თვითშეგნება, საიდანაც ერთი ნაბიჯიღა დარჩება საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებამდე.

აი, შედეგიც: განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სასკოლო რეფორმის პროექტი ითვალისწინებს სკოლებში ცალკე საგნებად არ ისწავლებოდეს ქართული ენა და საქართველოს ისტორია. ეს საგნებიო, გვარწმუნებენ, სხვა საგნებს უნდა შეერწყასო: ქართული ენა – მშობლიურ ლიტერატურას, საქართველოს ისტორია კი – მსოფლიო ლიტერატურის ისტორიასო.

კომუნისტების დროს სიცოცხლის ფასად დაუჯდათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ქართულ სკოლებში სწავლების ქართულად შენარჩუნება, ქართული ენის და საქართველოს ისტორიის ცალკე საგნებად შემოღება და დახეთ საკვირველებას, დამოუკიდებელ საქართველოში გვიუქმებენ წვითა და დაგვით შენარჩუნებულ იმ საგნებს, რომლის გარეშე ეროვნული ცნობიერების მოქალაქე არ აღიზრდება.

ჯერჯერობით ეს სამუშაო პროექტიაო, ბრძანებდა განათლების მინისტრის ერთ-ერთი ენაჭიკჭიკა მოადგილე. ვიცით, გვინახავს ასეთი „სა-

მუშაო პროექტები“, მერე რომ კანონად იქცევა და ახალ უბედურებად დაატყდება ჩვენს ტანჯულ ქვეყანას.

ესაა სკოლის აღორძინებისთვის ზრუნვა, მინისტრო კარტოზიავ? ესაა შენი პასუხი უცხოეთის მიერ სასკოლო რეფორმისთვის გამოყოფილ სამოცმილიონიან გრანტზე? ასე გასწავლეს? ამ ფულს რომ გაინაღდებს შენი უწყება, პირველ რიგში ქართული ენის და საქართველოს ისტორიის სწავლება გააუქმეო?

კიდევ ერთი შეტევა

ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და, ბუნებრივია, დიდგორის მემორიალის ხელყოფასაც.

აქ მარტოოდენ ხელის მოთბობის სურვილი როდი ჩანს. ქართული ისტორიული ძეგლის გაჩანაგებაში ყოველივე ქართულისადმი ზიზღი და პროტესტი იგრძნობა.

ქურდობაც არის და ქურდობაც. ეს ქურდობა ეროვნული ცნობიერებისგან დაცლილმა ნაძირალებმა ჩაიდინეს.

აქაოდა ქვეყანა, სახელმწიფო უკვე აღარ არსებობს, ხალხს ეროვნული სიამაყე აღარ გააჩნია და სიამაყის მომგვრელ-შემხსენებელი „დეკორაციები“ რაღაში ჭირდებაო.

„საქართველოზე“ შეტევის კიდევ ერთი ეპიზოდის მოწმენი გავხდით. სხვას რას მოველოდით ქვეყანაში, სადაც პარლამენტმა ეროვნება „ქართველი“ გააუქმა, სახელმწიფო ენად „ქართული“ ვერ ცხადდება, ხოლო კულტურის მინისტრი იმდენად უნიათოა, რომ უძველესი ცივილიზაციის აკვნად ხმობილ საქართველოში სწორედ ხელოვნებაა ბედის ანაბარად მიგდებული. ჩვენი ტელევიზიის პირველი არხი კი მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების გაღვივების ნაცვლად იმით უფროა დაკავებული, ვინ ვის აჭამა ალიყური საარჩევნო კომპანიის დროს, ან რომელი უმწიფარა პოლიტიკანი რომელ „კოალიციაში მოიაზრება“...

„საქართველოს მწერალთა დარბაზი“ სწორედ ეროვნულ მწერალთა ის მონოლითური კავშირია, ძვირფასო მწერლებო, რომელიც დიდი ილიას ანდერძის დაცვისა და საქართველოს თავისუფლებისათვის, მისი ეროვნული ატრიბუტების შენარჩუნებისთვისაა მოწოდებული.

მაშ, ვაფხიზლოთ ერი და ვარისხოთ ზარები ვიგინდარათა ყოველი ამგვარი, უკეთური ნაბიჯის საწინააღმდეგოდ. ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას ხელჰყოფენ, ამაზე უკეთესი თემა რაღა გინდა, ახალგაზრდა მწერალო. ქათმის მჩინჩლავი დერვიშის თემას თავი ანებე და ჩვენი უბედური ქვეყნის სადღეისო პრობლემებს ჩაუღრმავდი, თორემ ისე უცებ იქცევი საუკუნეთა წინაშე პასუხისმგებელ წინაპრად, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ.

სირცხვილია

ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების თბილისში ჩამოსვლა მარტოოდენ ჩვენი ჯარისკაცების წავარჯიშების კეთილშობილური მიზნით რომ არ იყო გაპირობებული, ყველას კარგად მოეხსენება.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ბედში რაღაც სასიკეთოდ შეიცვალა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს თანმიმდევრული ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მსოფლიომ შენიშნა და დასავლეთმა პირველი ნაბიჯი გადმოდგა ჩვენს დასახმარებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მსოფლიოს პოლიტიკაში აღარ განიხილავენ რუსეთის არჩივად, რუსეთის გავლენის სფეროდ, დიდ (მაგრამ ალაგ-ალაგ ჟანგისგან შეჭმულ) რუსულ კრეისერზე გამობმულ უიალქნო ნავად.

დიპლომატიაში ზერელედ ჩახედულიც კი მიხვდება, რომ ამერიკისთვის იოლი როდი იყო ამ ნაბიჯის გადმოდგმა. ჯერ ორასი წლის წინათ დამკვიდრებული ფსიქოლოგიური ბარიერი უნდა გადალახულიყო. ხომ ნახეთ, როგორ აყაყანდა დუმა; რა უნდა ამერიკელს საქართველოშიო, პანკისი ჩვენია და საქართველოცო. რა გაშმაგებით დაესხა თავს დასავლეთისკენ იმედით მზირალ საქართველო –ბატკანს რუსული მასმედია.

...მაგრამ მშვენიერი ჩანაფიქრი მაინც განხორციელდა. მაღალი, მხარბეჭიანი ამერიკელი ოფიცრები თბილისში დააბიჯებენ და საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ყველაფერს იღონებენ ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად.

და ამ დროს ვაზიანის ბაზაზე – რუსეთისთვის წართმეულ ამ ერთადერთ სამხედრო ბაზაზე, ლამის საჩვენებელ ბაზად რომ უქცევია ჩვენს ღარიბ სარდლობას, ამერიკის ნაჩუქარ სამხედრო საჭურველს იპარავენ.

ეს ვართ სულ, ბატონო თავდაცვის მინისტრო? რას იტყოდნენ ის პატიოსანი ინსტრუქტორები? იქნებ ჯერ არ მივსულვართ ინსტრუქტაჟის იმ პუნქტამდე, რომ დარაჯმა, სამხედრო პატრულმა პატრულირების სამი საათის განმავლობაში როგორმე არ უნდა დაიძინოს?.

სირცხვილია...

სამარცხვინო არჩევნები

ძვირფასო მწერლებო!

სხვა მაღალ მისიათა შორის ორი რამეც გვევალება; მართლად ავსახოთ ჩვენი ეპოქა და თანამედროვე საზოგადოებას დავანახვოთ ნამდვილი სახე, რათა „ძმამან ქართველმან“ უკეთესი გაითავისოს, ხოლო სიმრუდე თვისი გაისწოროს.

ამიტომაც ჩვენი დარბაზის განცხადებები ზოგჯერ ახალ-ახალი თემებისკენ მიმნიშნებელიც იქნება.

სადა ხართ, ილია ჭავჭავაძევ, ჩეხოვო და მარკ ტვენო, თორემ ჩვენი თვითმმართველობის არჩევნებს კალმის კაცი საუკუნეებს არ დაუტოვებდა საქილიკო-საბიაბრუოდ?

ხომ ნახეთ, რა გამეტებით უხათქუნებდნენ ქართველები ცხვირ-პირში ერთმანეთს აბაშისა თუ ზუგდიდის გამგებლის სკამებისთვის?

გადამთიელ აფსუებთან კურდღლებად ვიქცევით ხოლმე, აი, ერთმანეთს კი არ დავზოგავთ, ცხვირიდან ძმარს ვადენთ, მერე და რისთვის? საკრებულოში რომ ერთი ბატით მეტი გვყავდეს.

თბილისში რა მოხდა?

ლამის ნახევარ თბილისს ბიულეტენები არ დაურიგეს, ე. ი. ხმის მისაცემად არ მიიწვიეს და ახლა აცხადებენ, მხოლოდ 48 პროცენტმა მიიღო მონაწილეობაო.

არჩევნებამდე გულმოდგინედ ატყუეს გულუბრყვილო თბილისელები: უფასო მკურნალობას, უფასო განათლებას და შევარდნაძის მოშორებას დაპირდნენ. მერე, როცა „მოტყუებული მასისგან“ ხმები მიიღეს, მართლა ეროვნულ და მართლა ნაციონალურ პარტიებს გადაალაჯეს და საკრებულოში მოხვდნენ, ერთბაშად შეკრთნენ, შეშინდნენ.

დედაქალაქმა „საქმე რომ მოგვთხოვოს“, მაშინ რაღა ვქნათ? დაუსვეს თავს კითხვა და, რაკი ყალბი დაპირებების გამნაღდებლები არ იყვნენ, ერთბაშად უკან დახევა, ჩირგვებში მიმალვა სცადეს.

პინგ-პონგის ბურთივით ერთმანეთს იქეთ-აქეთ ესვრიან საკრებულოს თავმჯდომარის სკამს, რათა სადამსჯელო ფირფიტასავით შეატოვონ ერთმანეთს თავმჯდომარის სავარძელი და სამიოდე თვის მერე თავი იმართლონ: მე რომ ვყოფილიყავ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, მთებს დავძრავდი, „მტკვარს ყლაპს ვუზამდი“, განათება-განათლებას, აირ-წამალს არ მოგაკლებდითო.

რას აკეთებს ცენტრალური საარჩევნო კომისია?

კომისიას თავისი მუცლის გვრემა აქვს. პრეზიდენტის გარემოცვამ იყნოსა; სულერთია, ნათელაშვილი მოვა საკრებულოს თავმჯდომარედ თუ სააკაშვილი, ჩვენს დუდუკზე არც ერთი არ იცეკვებსო და გაუგონარი დავალება მისცეს საარჩევნო კომისიას: ე, მანდ ხელმეორედ გადათვალეთ ხმები. ჩვენი წინასწარი ხედვით, ბრძნული და შეუცდომელი გუმანით ლეიბორისტებს და ნაციონალისტებს არ უნდა გაემარჯვათო.

კანცელარიის ყურმოჭრილი მონა – ცენტრალური საარჩევნო კომისია, კი (რა თქმა უნდა, ყველა წევრს არ ვგულისხმობთ) ქოთანს ყურს საითაც უნდა, იქეთ გამოაბამს. ლუარსაბისა არ იყოს, „გაფრენილანო“, იტყვის და არც ამოიოხრებს, მე შენ გეტყვი, პასუხს მოთხოვს ვინმე.

„გადათვლიან“ ხმებს. ახალ „გამარჯვებულებს“ აღმოაჩენენ და მერე დაიწყება, რაც დაიწყება.

ჭეშმარიტად დედა შვილს არ აიყვანს.

აბა, რა გეგონათ.

ეს საქართველოა, ძმავ, საქართველო!

ფიცი მწამს...

მამულიშვილნო!

საქართველოს დღევანდელი, კომუნისტების მიერ შეკრეჭილი ტერიტორიის გარეთ დარჩენილ ქართველთა მდგომარეობა რომ სავალალოა, ამაზე არაერთხელ გვითქვამს; ამჯერად კი მთელი ამ „სიმშვენიერის“ ერთ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

იმპერია დაინგრა, საქართველო და აზერბაიჯანი გარემოებამ მეგობარ, ურთიერთმოთანამშრომლე ქვეყნებად აქცია. ნავთობსადენები ჩვენი დაახლოების ის ცოცხალი არტერიებია, ერთმანეთთან შუღლისა თუ ქიშპობის უფლებას რომ არა და არ მოგვცემს, მაგრამ...

საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ ა/წ თებერვალში ბაქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტ გეიდარ ალიევთან მიაღწია შეთანხმებას იქაური ქართველებისთვის (ინგილოები) ისტორიული, ნამდვილი გვარების დაბრუნების შესახებ. ბატონმა ალიევმა უსამართლობად მიიჩნია ინგილოთათვის ქართული გვარების აზერბაიჯანულით შეცვლა და განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ გასცემდა განკარგულებას, რათა გვარების დაბრუნების მსურველთა თხოვნა ყოველგვარი შეფერხების გარეშე შესრულებულიყო.

სამწუხაროდ, ბატონი პრეზიდენტის დაპირება სიცრუე აღმოჩნდა. კახის და ზაქათალას რაიონებში მცხოვრებლებს არა მარტო უკმეხად აუქნიეს ხელი და განცხადებები გვარების დაბრუნებაზე შუბლზე მიაფარეს, არამედ კიდევ უფრო გააზერბაიჯანულეს მათი საპასპორტო რეჟიმი, არათუ ქართული გვარების დაბადების მოწმობაში, ახლა ქართული სახელების ჩაწერის ნებასაც აღარ აძლევენ საინგილოში ახალშობილთა მშობლებს.

რა ხდება? იქნებ ჩვენ, ქართველებიც, ასე ვიქცევით და გვარებს ვართმევთ მარნეულში მცხოვრებ მეგობარ აზერბაიჯანელებს? არა და არა, მსგავსი საქციელის ერთი მაგალითიც არ არსებობს.

საქართველოს პრეზიდენტს იმისთვის სადა სცალია, აიღოს ტელეფონი და თავის მეგობარ ალიევს ინგილოთა გვარების დაბრუნება სთხოვოს; მას უფრო „დიდი“, „მსოფლიო“ საკითხები აქვს გადასაწყვეტი.

ჩვენს საზოგადოებას არ სურს დაიჯეროს, რომ პრეზიდენტმა ალიევმა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, რბილად რომ ვთქვათ, მოატყუა.

„თეთრი დათვის“ აჩრდილი გვიახლოვდება

მამულიშვილნო!

რაზეც მწერალთა დარბაზი ერთი კვირის წინ (№26) გაფრთხილებდათ, უკვე თითქმის რეალობადაა ქცეული.

ჩვენ ვშიშობდით, რომ ამერიკა ერაყის დაბომბვაში რუსეთისაგან თანხმობის მიღების საფასურად რუსს საქართველოს ტერიტორიაზე პარპაშის თავისუფლებას მისცემდა.

არ გვეგონა ჩვენი წინათგრძნობა ასე მალე თუ გაცხადდებოდა. ჯერ იყო და აშშ-ის ადმინისტრაციამ მკაცრად შეაფასა 23 აგვისტო. ცალსახად ამცნო მსოფლიოს, რომ პანკისის მიმდებარე სოფლების დაბომბვა რუსული თვითმფრინავების ნახელავია და ამ თვითნებობაზე „ჩრდილოელმა მეზობელმა“ პასუხი უნდა აგოს. რომ იტყვიან „გულს იმედი ჩაგვესახა“, პუტინიც ცოტა არ იყოს, შეფუცხუნდა, მაგრამ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობაზე ტერორიზმის ლიკვიდაციაში ამერიკის მოკავშირე რუსეთისგან დასტურის მიცემის მეორე დღესვე, 9 სექტემბერს ამერიკის სახელმწიფო მდივანი აცხადებს, რომ საქართველოს რუსეთის გარეშე პანკისში წესრიგის დამყარება გაუჭირდება და უმჯობესია, საქართველომ რუსეთის ხელისუფლებასთან გამოძებნოსო საერთო ენა.

დიახ, არ უღირს ამერიკას დღეს საქართველო იმად, რომ ჩვენი გულისთვის თავი გამოიდოს და რუსეთი მოიმდუროს. რუსეთისთვის კი საქართველო უპირველესი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია. დაკარგავს თუ არა რუსი საქართველოს, კარგავს მთელ კავკასიას. კავკასიაში გაბატონებისთვის კი „თეთრი დათვი“ ორას წელზე მეტია იბრძვის.

რას ვიზამთ, ჩვენ კიდევ დიდხანს ვიქნებით მუხლგაუმაგრებელი სახელმწიფო, ანუ ისეთი ნახევრადსახელმწიფო, თავის ბედს რომ თვით ვერ განაგებს და ზღვაში მოტორჩამქრალ კატარღასავით ხან ერთი კრეისერი გამოიბამს ბუქსირზე, ხან მეორე.

ახლო მომავალში სავარაუდოა, მოვლენები რუსული სცენარით განვითარდეს:

რუსეთის მასმედია მოუხშირებს საქართველოს ხელისუფლების ლანძღვას და მსოფლიოს ყურადღების მიპყრობას იმ ფაქტზე, რომ პანკისში როსტოვის, სტალინგრადის და მოსკოვის მშვიდობიან მოსახლეთა ამფეთქებლები იმყოფებიან, რომელთაც ქართული სამხედრო შენაერთები „ვერ ელევიან“... ცოტა არ იყოს, მართლაც, გადამეტებული სიკეთის ბრალი ხომ არ არის, რომ ორი ათასამდე ჯარისკაცი პანკისში 9 ბრალდებადაუმტკიცებელი ქისტის დასაჭერად შეგვიყვანია.

თუმცა სწორედ ამერიკის შეგულიანებით მოხდა, ის, რომ ჩვენ პანკისის ხეობას, ანუ ჩვენს მიწას, მოვეპატრონეთ. ნეტავ, ამერიკის დახმარებითვე ორი ასეთი ოპერაცია ჩაგვატარებინა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად.

შვეიცარიასთან გატანილი საპასუხო გოლისა არ იყოს, ვაი, თუ დიდხანს არ შეგვარჩინოს ამერიკამ ღიმილი სახეზე და სიამაყე გულში. როგორც კი პანკისში რუსის შენაერთები შევლენ, ჩათვალეთ, რომ მთელი საქართველო ოკუპირებულია ჩრდილოელი აგრესორის მიერ და დასავლეთმა კიდევ ერთხელ გვიღალატა (იმ თხის მდგომარეობაში ჩაგვაგდო, რომ შეაგულიანეს და მგელს შეაჭამეს).

მივმართავთ ყველას, ვისაც სამშობლოსათვის უცემს გული: ყველა არხით, ყველა საშუალებით ვამცნოთ მსოფლიოს, რომ საქართველო რუსის უღელს ქედზე აღარ დაიდგამს და იმპერიის ყულფში თავს აღარ გაყოფს.

თუ პანკისში რუსის ჩექმა დაჩნდა, გამოვაცხადოთ საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა, ისე, როგორც ნახევარმილიონიანმა ჩეჩნეთმა.

გავიგოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ საქართველოს ქართველის გარდა არავინ დაიცავს.

რა უფლება აქვს

ბატონებო!

საქართველოს პარლამენტმა ორჯერ მიიღო დადგენილება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ; საქართველოს პრეზიდენტი კი აშკარად უპირისპირდება საკანონმდებლო ორგანოს და აცხადებს, რომ იგი ამ „ნაჩქარევ“ დადგენილებებს არ შეასრულებს.

საინტერესოა, რატომ მიანიჭა პრეზიდენტმა თავის თავს მონარქის განუსაზღვრელი უფლებები? ვინ მისცა მას უფლება, პარლამენტის მიერ დიდი განსჯითა და რუდუნებით მიღებულ გადაწყვეტილებას ერთ სიტყვით გამოუტანოს განაჩენი („ნაჩქარევია“) ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე?

რა არის „ნაჩქარევი“?

პარლამენტს თავისი წარმომადგენლობითი პოლიტიკური სპექტრით განა უფრო მეტი საშუალება არა აქვს, მიაყურადოს ხალხის გულისთქმა-განწყობილებას, ვიდრე ერთ კაცს – თუნდაც იგი ხანდაზმული და გამოცდილი პოლიტიკოსი იყოს?

ჩვენმა ისტორიულმა დამპყრობელმა – რუსეთმა, მსოფლიოს თვალწინ წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ჩააყენა თავისი ჯარი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თავზე დაგვახია ყველა საერთაშორისო ნორმა და გაეროს დადგენილება, ამასაც არ სჯერდება; ახლა ჯავახეთს და

პანკისს ეპოტინება... და ამ დროს საქართველოს პრეზიდენტი საოკუპაციო ჯარს „სამშვიდობო შენაერთს“ არქმევს და მსოფლიოს წინაშე არ აცხადებს, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლო, არც მეტი, არც ნაკლები, დაპყრობილია.

განა არ ვიცით, რომ რუსეთი ჯარს საქართველოდან პარლამენტის დადგენილებით არ გაიყვანს, რომ ქართული მიწების მტარვალთაგან გამოხსნას მსოფლიოს კეთილი ნება და ამერიკის დიდი ძალისხმევა დასჭირდება, მაგრამ შენ, დაპყრობილმა ქვეყანამ, ხომ უნდა შექმნა სამართლებრივი დოკუმენტი შენი საზღვრების, შენი პოზიციის დასაცავად, თუნდაც ისტორიის წინაშე თავის გასასამართლებლად?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რატომ იგდებს პრეზიდენტი აბუჩად საქართველოს მიერ არჩეულ პარლამენტს, რატომ იგნორირებულჰყოფს მის სამართლიან, ეროვნულ გადაწყვეტილებას?

პარლამენტთან ასეთი აშკარა დაპირისპირების შემდეგ ნუთუ აქვს მას მორალური უფლება იპრეზიდენტოს და კამათელივით აგოროს საქართველოს ბედი?

დანაშაულებრივი დუმილი

მამულიშვილნო!

საქართველოს მწერალთა დარბაზი შეშფოთებით გაუწყებთ, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთის სამხედრო ინტერვენციის აშკარა საფრთხის წინაშე დგას.

გაიხსენეთ მეოცე საუკუნეში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ომის გამოუცხადებლად ორჯერ მუხანათურად შემოჭრა საქართველოში 1921 წელს და 1992 წელს. მაშინაც ანტირუსული ისტერია თვით რუსეთმა მოაგვარა, მაშინაც „საქართველოს საშველად“ გამოეშურა რუსის დამსჯელი ექსპედიცია.

სიტუაცია ოცდამეერთე საუკუნეშიც მეორდება. ჩეჩენ პარტიზანთა გადაცემაზე საქართველოს მხარის მიერ უარის თქმა, რუსეთის სამხედრო მოსამსახურის – ზაიცევის, გაურკვეველი სიკვდილი პანკისში, წესრიგის დამყარების ნახევრადმორცხვული მცდელობა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა რუსეთის ხელისუფლებისთვის საქართველო ტერორისტების მფარველობაში, ანტირუსული ძალების მხარდაჭერაში დაედანაშაულებინა.

დენთის კასრზე ვზივართ და ჩვენი მშველელი არავინ არის.

23 აგვისტოს რუსმა აგრესორმა პანკისის ხეობა მუხანათურად დაბომბა. არის მსხვერპლი. ცინიკოსმა აგრესორმა ეს დაბომბვაც უსირცხვილოდ საქართველოში გადაღებილ თვითმფრინავს დააბრალა.

არ გაგიკვირდეთ, ხვალ რომ რუსეთის ბომბდამშენები გამოჩნდნენ

თბილისის ცაზე და რუსთაველზე რუსული ტანკები შემოგრიალდნენ, როგორც იმ ავად სახსენებელ 1991 წლის მიწურულს.

როგორც ყოველთვის, რუსეთის პოლიტიკა ახლაც ულოგიკო და კონტროლსდაუქვემდებარებელია. რუსეთი არ ასრულებს სტამბოლის შეთანხმებას, მსოფლიოს ენას უყოფს და ჯიუტად არ გააქვს თვისი სამხედრო ბაზები საქართველოდან, არ გვიბრუნებს წართმეულ მიწებს – აფხაზეთს და სამაჩაბლოს, განუწყვეტლივ ბომბავს ჩვენს ტერიტორიას, პროვოკაციებს გვიწყობს კოდორსა და პანკისში, საქართველოში მცხოვრებ სეპარატისტებს ორმაგ მოქალაქეობას აძლევს, წამდაუწუმ გვითიშავს გაზს და ელექტროდენს. საერთაშორისო კონვენციის იგნორირებით რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს თვითმფრინავების ფრენას კრძალავს...

ომის გამოცხადება მეტი კი არაფერია.

განა „თეთრ დათვს“ გაუჭირდება საქართველოში ქართველი ერის მოღალატეთა მოძიება? რიგში ჩადგებიან ჩვენი სახელოვანი კომუნისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები „ქართველი ერის თხოვნაზე ხელმოსაწერად. მათ ხომ მოსკოვის ნოსტალგია ისედაც „გულს უღრღნით“. განა 21-ში და 22-ში ქართველებმა არ „თხოვეს“ რუსეთს, ვიღუპებით, საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად ყალიბდება, სასწრაფოდ შემოდით, თორემ ხვალ გვიან იქნებაო.

ამერიკა? ამერიკა, დიახაც რომ ჩვენი მეგობარია და ქართველი ხალხი მას იმედით შეჰყურებს, მაგრამ როგორც ჩანს, ამერიკისთვის ჯერ ისე „ძვირფასი“ არ გავმხდარვართ, რომ ჩვენი გულისთვის თავი გამოიდოს. თუ გვეხმარება, ისე უნდა დაგვეხმაროს, როგორც ისრაელს ეხმარება უახლესი საომარი ტექნიკით და, თუ საქმე მოითხოვს, შეიარაღებული ძალითაც, თორემ ორმოცდახუთი სამხედრო მწვრთნელი-ინსტრუქტორი საქართველოსთვის ამ ისტორიული ქარიშხლის წინ ვერაფერი ნუგეშია.

ესეც არ იყოს, ამერიკას ახლა სხვა უახლესი მიზნები აქვს. მისი სამხედრო მანქანა ერაყისკენ არის მიმართული და პატარა საქართველო, როგორც ჩანს, ნაკლებად ადარდებს. რუსი ერაყის მეკავშირეა, საერთაშორისო ტერორიზმმა ამერიკა და რუსეთი ერთი სამიზნის წინაშე დააყენა, მაგრამ რუსი რისი რუსია, შეთანხმება ბოლომდე შეასრულოს. არაო. ერაყს ვინც დაარტყამს, ჩემი მტერიაო.

ამერიკა საბოლოოდ თავისას გაიტანს, მაგრამ, ვაითუ, რუსეთმა ერაყის დათმობაში საქართველო მოითხოვოს...

მაშინ კი აისრულებს რუსი თავის საწადელს. ძმრად ამოგვადენს დამოუკიდებლობის სურვილს. ისევ დაედგმება რუსის ჩექმა საქართველოს ყელზე და ამჯერად, ვინ იცის რამდენი ათწლეულით, ან იქნებ საუკუნეებითაც. ეს რომ არ მოხდეს, საქართველოს ხელისუფლება

ახლა დღედაღამ საგანგაშო ზარებს უნდა არისხებდეს; მსოფლიოვ, ყური მოგვაპყარ, რუსეთი მეოთხეჯერ გვიპირებს დაპყრობასო.

საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება კი დანაშაულებრივად დუმს.

რამ გადაგვარჩინა, რა გადაგვარჩენს...

მითაჟამის დროინდელი ამბავია; ევრაზიის გასაყართან, ორ ზღვას შუა უსიერ ტყეთა ქარაფზე დაკიდულ გამოქვაბულთა წიაღი პატარა ტომმა დატოვა, მყლაპავჭაობიან ლერწამ-ლაქაშებში გამოტოპა და დიდი მდინარის შესართავთან დასცა კარავი.

გავლენ ათასწლეულები... ეს ტომი გაიზრდება, გამრავლდება, ლამის დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებულად, თვითმყოფად კულტურას შექმნის, უზარმაზარი მუხის ტანისგან ნავს გააკეთებს და ახლომახლო ადგილთა დასაზვერად ზღვაში შეცურდება.

მეზობლები ჯერ კიდევ ტყეებში დაშლიგინობენ და წვერკაჟიანი ისრებით დასდევენ ნადირს. ხალიბური ფოლადის წრთობას კი არა, ბრინჯაოს იარაღსაც საუკუნეები აშორებთ.

კიდევ რამდენიმე ათასი წელი და ცნობისმოყვარე მეზღვაურები ნაპირ-ნაპირ ხეტიალში შუმერებს და ფინიკიელებს, სფინქსთა ეგვიპტეს და ეტრუსკებს წააწყდებიან.

ცივილიზაციის კუნძულთა შორის იდუმალი კავშირი მყარდება. დედამიწის გარდამქმნელთა ფერხულში გუშინდელი პატარა ტომი – ქართველთა წინაპარიც ებმება.

მერე მოვლენ ბერძნები და აიეტის სამეფოს „გეორგიანებს“ – მიწათმოქმედთა ქვეყანას დაარქმევენ, ირგვლივ მცხოვრები ურდოები თავისუფლებისმოყვარე ურჩებს „გურჯებს“ ეძახიან. ჩვენი წინაპარი კი, სანამ „საქართველოს“ – ქართველთა ქვეყანას დაარქმევდნენ, ხან „ეგრისელად“ ინათლება, ხან – „კოლხად“, ხან – „პონტოელად“.

უკვე შეუმჩნეველი ვეღარ დარჩები, კავკასიონის მაღალ მწვერვალთა ჩრდილში თავს ვეღარ დაიმალავ. საქართველოსკენ გზა კარგა ხანია გაიწალდა და „პატარა მარგალიტის“ დასამონებლად რიგში დგებიან უზარმაზარი იმპერიები.

მოდიან ბერძნები, რომაელები, ბიზანტიონნი, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, ოტომანნი, სპარსნი, რუსები...

დედამიწაზე თითქმის ყველა იმპერიის უღელი გამოვიარეთ.

საუკუნეთა განმავლობაში დამპყრობლის კირთების ქვეშ ყოფნას თან ახლდა ყველაზე საშიში რამ – ეროვნული გადაგვარების საფრთხე.

სასწაულებრივად მაინც გადავრჩით და ოცდამეერთე საუკუნეს მოვუკაკუნეთ.

მსოფლიოს გრანდიოზული არენიდან გაქრნენ უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოები, რომელთა არსებობას დღეს მხოლოდ მსოფლიოს კულტურაში მათ მიერ შეტანილი წვლილითღა ვეცნობით. ეს წვლილი კი, მართლაც, განსაცვიფრებელია. მაგალითად, ძველმა ეგვიპტელებმა გამოიგონეს ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა დაბალზამების საიდუმლო, ეგვიპტისა და ლონდონის მუზეუმებში შეგიძლიათ ნახოთ ოთხი ათას ხუთასი წლის წინათ გარდაცვლილ ადამიანთა მუმიები, რომელთაც სახის ფერი, თმა და კანიც შენარჩუნებული აქვთ, ხოლო ტუტანჰამონის ოქროს კუბოზე ახლაც აწყვია ყვავილები, ოთხი ათას ხუთასი წლის წინათ მისმა თანამეცხედრემ რომ დაალაგა. ის ყვავილებიც ბალზამის წყლით არის ნაპკურები და ამიტომაც გუშინდელი მოკრეფილი გეგონებათ.

შუმერებმა და ფინიკიელებმა დედამიწის ცივილიზაცია მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებით – ანბანით, გაამდიდრეს. სამწუხაროდ, დღეს აღარც ეგვიპტელები ჩანან, აღარც შუმერები, ფინიკიელები და ეტრუსკები. უფრო მეტიც. ასწლეულების განმავლობაში იკვლევენ მეცნიერნი და დღემდე ვერ ამოხსნეს დაბალზამების თუ პირამიდების აგების საიდუმლო, ისტორიის ულმობელმა ქარიშხლებმა უდიდესი ცივილიზაციები გადაიყოლეს, საქართველო კი გადარჩა.

დღეს ჩვენ სიამაყით ვამცნობთ კაცობრიობას, რომ უძველესი კულტურის ერი ვართ. შეგვიქმნია მსოფლიო მნიშვნელობის მატერიალური თუ სულიერი კულტურა და დღესაც ღირსეულად ვჩანვართ მოწინავე კაცობრიობის რანგებში.

გადავრჩით, მაგრამ ჩვენმა ულმობელმა ისტორიულმა ბედმა არაერთგზის სასტიკად გვაჯანჯღარა და ხშირად უფსკრულის პირასაც დაგვაყენა.

ასე გასინჯეთ, XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს ტერიტორია 300 000 კვ. კმ-ს მოიცავდა, დღეს კი საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია მხოლოდ 45 000 კვ. კმ-ზე ვრცელდება. მეოცე საუკუნეს შევხვდით 111 000 კვ. კმ-ით და დახეთ ბედის ირონიას; მარტო XX საუკუნეში 66 000 კვ. კმ დავკარგეთ.

რასაკვირველია, არც XX საუკუნე იძლევა მცირე ერების დამშვიდების და მათი სრული გადარჩენის გარანტიას.

ამიტომაც საჭიროა, გავისიგრძეგანოთ საქართველოს გადარჩენის მიზეზები და ჩვენი მომავალი ცხოვრება ავაგოთ ამ გამძლე საყრდენებთან ურთიერთობაზე.

ჩემი ფიქრით, საქართველოს ვერმოსპობის საიდუმლო შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა.

პირველი: ეროვნული მდგრადობა. ქართველთა ეროვნული ცნობიერება ჩამოყალიბდა მტრულ გარემოცვაში, ამიტომაც ჩვენი წინაპრები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ეროვნულ ატრიბუტიკას –

ეროვნულ კუთვნილებას, ანუ ქართველობას, ქართულ წარმოშობას, ენას, ეროვნულ ცნობიერებას. ნაციონალურ ნიშან-თვისებებს, მართლმადიდებლობას, ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს და ტრადიციებს... ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ნაციონალური სიწმინდე და „არ აღრეულიყვნენ ერსა უცხოსა“. მათ კარგად იცოდნენ, რომ ენის, ტერიტორიის თუ სარწმუნოების დათმობა ეროვნულ სიკვდილს ნიშნავდა. ამიტომაც თავგამოდებით ებღაუჭებოდნენ, საუკუნეების განმავლობაში აწრთობდნენ და ფარავდნენ ქართულ ფენომენს.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ეროვნული თვითმყოფადობის გაქრობის მოსურნე მტერმა ამ ბოლო დროს სწორედ იმ მხრიდან შემოგვიტია, რომელი მხრიდანაც მეტნაკლებად დაცული გვეგონა თავი.

ჯერ ჩვენ წმიდათაწმინდა ეკლესიას სექტანტები შეუსიეს და მცირედ მორწმუნეთა მოქრთამვა-გადაბირებას ათასი ბინძური ხერხით ცდილობენ, მერე ეროვნულობის რეკვიზიტი ამოიღეს საბუთებიდან და ამით ეროვნება „ქართველის“ სამუდამო გაქრობა დააკანონეს.

დღეს ასეთი სურათია ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ფრონტზე, საქართველოს ეროვნული ძალები (მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქი) დაბეჯითებით მოითხოვენ დაბადების მოწმობებში ეროვნულობის გრაფის აღდგენას. საეჭვო ეროვნული წარმოშობის, საეჭვო ფსიქიკის და უფრო საეჭვო განათლების „პოლიტიკოსები“ კი მაქინაციებით, ცილისწამებებით, უტიფრობით, გააფთრებით ებრძვიან გონიერ საქართველოში ღრმად დამკვიდრებულ აზრს საქართველოში ეროვნების შენარჩუნების შესახებ, სამწუხაროდ, ამ „ცრურეფორმატორებს“ მხარდამჭერნი პარლამენტშიც ჰყავთ. ახლახან „სახელმწიფო ენის კანონის“ შირმით გაუგონარი კანონი შემოგვთავაზეს. ამ კანონით, ქართული ენა საქართველოში ნახევრად სახელმწიფო ენა იქნება.

მეორე ფაქტორი, რამაც საქართველო გადაარჩინა, გახლავთ იმედის მძლე საყრდენები. ქართველი კაცი იმედს სასოწარკვეთილების ყველაზე მძიმე წუთებშიც არ კარგავდა. ჩვენი მცირერიცხოვნობის გამო ომებში, რა დასამალია, ხშირად ვმარცხდებოდით. იმპერიათა ურიცხვი ლაშქარი გვძლევდა, მაგრამ საქართველოს გონებაში ყოველთვის კიაფობდა მომხვდურისაგან თავის დაღწევის იმედი. ხოლო, როდესაც დამპყრობელი იმპერია ტორტმანს დაიწყებდა, საქართველო ხმალს იშიშვლებდა და ასე გაიკაფავდა გზას თავისუფლების ყურეებისაკენ.

დიახ, ქართველ ერს ჰქონდა პერიოდები, როდესაც იგი მტერს თითქოსდა დროებით დაემორჩილებოდა, მაგრამ ეს იყო მოსაჩვენებელი მორჩილება. ქართველის ბოლომდე მოტეხვა, ბოლომდე გათათრება ან გარუსება ვერ ხერხდებოდა ქართული გენის არაჩვეულებრივი სიძლიერის გამო.

მესამე „საიდუმლო“, რამაც ჩვენი ვერგაქრობა განაპირობა, გახლავთ იუმორის დიდი გრძნობა. ქართულ ფოლკლორში უამრავი მაგალითია სიდუხჭირესთან, თუ გნებავთ, სიკვდილთანაც ქართველი კაცის შექილიკება-შეხუმრებისა. ჩვენი მაღალი უბოროტო იუმორის გრძნობა ეროვნული ხასიათის ის ნაწილია, ქართველთა ოპტიმიზს რომ განაპირობებს.

გაუთავებელი, სულისდამღრღნელი სევდა, მუდმივი გლოვა ქართული ხასიათის განმსაზღვრელი, ტიპური თვისება არ არის. უდიდესი ისტორიული ტრაგედიები ქართველს იუმორის დიდმა ნიჭმაც გადაატანინა. იუმორმა იგი „ჭირსა შიგან“ გაამაგრა. ძალა და სიმხნევე შემატა. ფილოსოფოსებს კარგა ხანია დადგენილი აქვთ, რომ მსოფლიოში „გაუცინარი ტომებიც“ არსებობენ. განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ადამიანები თითქმის არ იცინიან. იუმორის მაღალი დონე ერის მაღალი ინტელექტის გამოვლინება დასტურია.

სამთაგან მთავარი მაინც რამაც ჩვენი ეროვნული მდგრადობა, ჩვენი გადარჩენა განაპირობა, პატრიოტიზმია.

ქართულმა კულტურამ, ქართულმა ხელოვნებამ დიდებულად გამოხატა სამშობლოს სიყვარულის თემა (თვალსაჩინო მაგალითებად უამრავი ქართული ხალხური სიმღერა და ალგეთში მდგარი მერაბ ბერძენიშვილის საოცარი ქანდაკება – „კიდევაც დაიზრდებიან“ – გამოდგება), მაგრამ ეს კეთილშობილური გრძნობა ყველაზე ნათლად ქართულ ლიტერატურაში აღიბეჭდება. ამიტომაცაა ქართველი მწერალი ერის სულიერი მებაირახტრე.

მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიის არაერთ სქელ წიგნს გავცნობივარ, სპეციალურად მიძებნია პატრიოტული მოტივის კვალი დასავლეთის თუ აღმოსავლეთის არაერთი ქვეყნის მწერლობაში, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ თითო-ოროლა მაგალითს თუ წავწყდომივარ. ქართული ლიტერატურის უპირველესი და მთავარი მოტივი კი პატრიოტული მოტივი გახლავთ. ეს ფაქტი განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა ეროვნულმა ძნელბედობამ, ხოლო ერს, რომელსაც ძვალ-რბილში გასჯდომია სამშობლოსათვის თავდადების წმიდათაწმინდა გრძნობა და, რომელსაც მამულს შეწირული ამდენი სახელოვანი შვილი ჰყავს, სიკვდილი არ უწერია.

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“, –

საუკუნეებს გასძახის პოეტი და ამ ერთ სტროფში აკუმულირებულია ქართული ხასიათი, სხვა ერებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებაც და მომხვდურთა წინააღმდეგ ბრძოლის მზადყოფნაც.

მხატვრული ლიტერატურისადმი გულგრილობის ამ ბოლო ათწლეულში შეინიშნება ერთგვარი აგდებული დამოკიდებულება პატრიო-

ტული თემების მიმართ. მართალია, თანამედროვე ჭეშმარიტ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში პატრიოტული ნერვი დღესაც ძალუმად ფეთქავს, მაგრამ პათოლოგიური გონება-გარეგნობის ზოგ „რეფორმატორს“ სამშობლოს სიყვარულის ლიტერატურული განსხეულება მწერლობის გუშინდელ დღედ მიაჩნია.

არის წყება და წყება პოეტებისა, პატრიოტულ ლექსებს რომ თითქმის აღარ წერენ. მარად დაჭიმული ქართული ეროვნული ნერვი ამგვარი ლიტერატორების გონებაში კარგახანია მოშვებულია და რაღაც ყრუ, ამორფულ, არაქართულ ხმას გამოსცემს.

სკოლებში იშვიათზე იშვიათად ატარებენ ეროვნულ გმირთა გახსენების საღამოებს, ეროვნული დროშები დაწესებულებათა საწყობების კედლებსღა ამშვენებენ და ამიტომაც შედეგმაც არ დააყოვნა: საქართველოში კარგა ხანია აღარ ისმის ძლევის ყიჟინა, ახალგაზრდები დავითფერულს თითქმის აღარ იზომებენ წელზე და წართმეული ტერიტორიების დაბრუნება პოლიტიკურ მოლაპარაკებათა იმედზე დააგდეს.

სამშობლოს სიყვარული სახადი როდია, რომ შეგეყაროს და გარკვეული დროის შემდეგ განიკურნო.

სამშობლოს სიყვარული ის გრძნობაა, მარად რომ თან გახლავს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გატარებს დავით აღმაშენებლის, ცოტნე დადიანის, ილია ჭავჭავაძის მიერ ნაჩვენებ გზაზე;

აშკარაა, რომ ეს გრძნობა ცა და მიწასავით შორს არის ახალი ჯურის უსამშობლო კოსმოპოლიტებისა და ვაირეფორმატორთა გრძნობა-გონებისგან.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაზე ძნელი და ტრაგიკული საუკუნე საქართველოსთვის მეოცე საუკუნე იყო.

მეოცე საუკუნეში ორჯერ გადავიტანეთ ომი საუკუნის ყველაზე აგრესიულ დამპყრობელთან – რუსეთთან.

ჯერ 1921 წლის თებერვალში არ გვაპატია რუსმა სამწლიანი, უდღეური დამოუკიდებლობა. მე-11 არმია შემოგვისია და წითელ იმპერიაში ყურით შეგვათრია.

მეორედ 1992 წელს მოინდომა ჩვენი სასტიკად დასჯა დამოუკიდებლობის, თავისუფლების სურვილისათვის. ამჯერადაც ომის გამოუცხადებლად დაგვესხა თავს, დაგვამარცხა და, წაგვართვა რა აფხაზეთ-სამაჩაბლო, კვლავ მოინდომა (ამჯერად უკვე, ვინ იცის, რამდენი ხნით) საქართველოზე გაბატონება.

გამძვინვარებული მონსტრი ურჩ საქართველოს კბილებით გლეჯდა. ერთ საათში სამასი ათასი ქართველი გამოყარა აფხაზეთიდან და კოდორ-ჭუბერის ტანჯვის გზაზე მიმავალთა დასახმარებლად წითელი ჯვრის ვერტმფრენებსაც არ მისცა უფლება განწირულთათვის, თუნდაც მიწაზე დაუშვებლად, მედიკამენტები მაინც მიეწოდებინათ.

ასეთი ცინიზმით თვით ჰიტლერელებსაც არ უსახელებიათ თავი.

ესეც არ იკმარა რუსმა. 1921 წელს უკვე ნაცადი მეთოდით, 1993-ში საქართველოში სამოქალაქო ომი ააგორა.

ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა. საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებამდე და სრულ ქაოსამდე დღეები იყო დარჩენილი.

...და მაშინ დაჩოქებული საქართველო ყურით შეათრიეს რუსეთის გავლენის სფეროში, წითელი იმპერიის კვალდაკვალ შექმნილ სნგ-ში.

სნგ-ში შესვლიდან სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ მივედი შევარდნაძესთან საქართველოს თავისუფლების დაკარგვის გამო საყვედურის სათქმელად.

ერთი საათის განმავლობაში მიმტკიცებდა მასპინძელი, რომ სხვა გზა არ იყო. ქართველი მწერლის პატრიოტულ აღტკინებას („გავწყდეთ, მაგრამ უცხო ხალხს ნუ ვიბატონებთ“) ჩემთვის არცთუ გასაგები არგუმენტები დაუპირისპირა და, რომ ვერაფერს გახდა, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულმა მითხრა: „რეზო, მართლა სახელმწიფოს მეთაური ხომ არ გგონივარ, სადღაა ან ჯარი, ან სახელმწიფო. აი, ახლა, ამ წუთში, შენ რომ ჩემს კაბინეტში ზიხარ, ვერტმფრენიდან კიბით დაეშვება „გრუპა ზახვატა“ ჩვენს თავზე. როგორც ქორი წიწილებს, ისე აგვიტაცებენ მე და შენ ჰაერში და ჩვენს სიკვდილსაც ისევ ქართველებს დააბრალებენ“.

გულდამდუღრული ჩამოვდიოდი იმ დღეს კიბეებზე და ჩვენს სიმცირე-მიუსაფრობაზე ვფიქრობდი.

მეოცე საუკუნე უძნელესი ჩვენთვის მარტოოდენ რუსეთთან გადატანილი ორი ომის გამო არ ყოფილა.

ოთხმოცდაათიან წლებში დაიწყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება და საქართველო – სააღდგომო თეთრი კრავი, ორი იმპერიული მგლის – ამერიკის და რუსეთის საომარ ველზე ლამის ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე აღმოჩნდა დაბმული თავისი საბედისწერო გეოპოლიტიკის გამო.

რუსული დრაკონი საქართველოს ყოველ მოსახვევ-ჩქერში ახვევდრებს ფაცერს და, მართლაც რომ, განსაცვიფრებელი ალღოიანობა, უტყუარი გათვლა გვჭირდება, რომ თავი გადავირჩინოთ.

„მეამბოხე გონების“ დიპლომატია საქართველოს ხელაღებით მიაყენებდა ან რუსეთის, ან ამერიკის ყურესთან. პირველს ამერიკა არ გვაპატიებდა და დახმარების სასიცოცხლო ჟანგბადს გადაგვიჭრიდა, მეორეს კი რუსეთი არ გვაპატიებდა და რასაც ნიშნავს რუსული დასჯა, არაერთგზის გამოგვიცდია.

წარმოიდგინეთ, რა სულიერ მღელვარებად უჯდება ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რომ დასავლეთის ორიენტაციას ლამის დაუფარავად ამჟღავნებდეს და იმდენი მოახერხოს, რომ ხანდახან გამძვინვარებულ თეთრ დათვსაც გადაუსვას თავზე ხელი.

აბა, სცადეთ და მართეთ საქართველო ნაჯახური, „გამჭვირვალე“ პოლიტიკით, ბატონებო. თითი დაუქნიეთ რუსეთს, შეაშინეთ იგი რუსე-

თის მიერ დანატოვარი საორკვირაოდ გარემონტებული ტანკებით. ხომ კარგად ვხედავთ, რა დღე დააყარა დაუნდობელმა დამპყრობელმა იჩქერიას. სახლი არ დგას მთელ ჩეჩნეთში.

იცოცხლეთ, კარგი იყოს, აგრესორი რომ ამხილო მსოფლიოს თვალწინ და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, მაგრამ სანამ მსოფლიო ჩვენთვის თავს გამოიდებდეს. ჯერ კიდევ დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ხვალვე რომ შემოიყვანოს რუსმა ტანკები საქართველოში და თბილისს ქვემეხები დაუშინოს, ჩვენ ისეთი იღბალი გვაქვს, ჩეჩნეთის ნახევარ ყურადღებას არ მოგვაქცევს მსოფლიო.

გაერო ერთ უღიმღამო რეზოლუციას გამოიტანს – უმჯობესია საქართველო და რუსეთი მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენო, იტყვის და ამით დამთავრდება ყველაფერი.

მე დასავლური ორიენტაციის გახლავართ. მადლიერებით აღვიქვამ ამერიკის მიერ საქართველოს დასახმარებლად გადმოდგმულ ნაბიჯებს, მაგრამ თუ ამერიკისგან ჩვენი უსაფრთხოების რაიმე გარანტი არ გვექნება, თუ ამერიკა არ აამუშავებს საქართველოს დასაცავად რუსეთზე ზემოქმედების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბერკეტებს და მხოლოდ ინსტრუქტაჟის დონეზე დარჩება, შეიძლება, რუსმა ავად მოიქნიოს კუდი საქართველოში.

ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად, „მძიმე-მძიმედ“ (როგორც კახელები იტყვიან) უნდა ვაშენოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

გაწონასწორებული პოლიტიკით იმდენს უნდა მივაღწიოთ, რომ მსოფლიოს ვჭირდებოდეთ, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქცია უნდა მოვიპოვოთ, ზესახელმწიფოები ანგარიშს უნდა გვიწევდნენ. ჩვენი ხმა კნუტის კნავილად კი არა, ლომის (თუნდაც ლომის ბოკვერის) ბუხუნად უნდა ჩაესმოდეთ, მაშინ სხვა თვალით შემოგვხედავენ და ჩვენს გასაჭირსაც გაისიგრძეგანებენ.

მე, ერთ ქართველ მწერალს, პრეტენზია მაქვს, საქართველოს ყოველდღიურობის მაჯაზე მედოს ხელი და მისი განუწყვეტელი გულისფეთქვა მესმოდეს.

განა არ ვიცი, რა მძიმე დღეში ვართ.

განა ვერ ვამჩნევ, ეკონომიკური სიდუხჭირის ზღვართან მივედით. განა ვერ ვხედავ, რომ ზღაპრის ფასკუნჯივით ლუკმა-ლუკმა ყლაპავს რუსი საქართველოს ტერიტორიას.

...და მაინც, ყველაზე გაუსაძლის წუთებშიც კი არ მტოვებს ქართველი კაცის განუყრელი გრძნობა-იმედი!

მოდის იმედი ჩემთან და გარემოებისგან გულშეღონებულს ფეხზე წამომაყენებს.

ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს.

მეტს რაღას გვიზამს!

ახალი წლის შემობრძანება, როგორც ქართველებს გვჩვევია, ლაზათიანად ვიზეიმეთ. ჩვენ ხომ „ლხინისმოყვარე“, „გაუტეხელი“ ერი ვართ.

ახალი წლის ღამეს ოცი ათასამდე თბილისელი ახალგაზრდა ისე თავფეხაწყვეტით ბრაციბრუც-ყვანცალებდა თავისუფლების მოედანზე, გარედან შემხედვარეს ეგონებოდა, ეს ქვეყანა არც ომში დამარცხებულა ათიოდე წლის წინ, არც მესამედი ტეორიტორია დაუკარგავს, არც 30 ათასი მოხალისე-მეომარი დაღუპვია რუსის წინააღმდეგ უთანასწორო ომში, არც სამასი ათასი ლტოლვილი ჰყავს, არც რუსის საოკუპაციო ჯარი უდგას ზუგდიდთან შუა საქართველოში და არც თოთხმეტლარიანი პენსიით ეტანჯება მოსახელობაო.

ქვეყნის დაცინვა, ახალგაზრდობის მასიური გამოთაყვანება იყო ქალაქის მთავარ მოედანზე მოწყობილი საახალწლო ორგია-ბაკქანალია, ხოლო შინ დარჩენილებს თავისი უგემოვნობით, სიყალბით, დათვური იუმორით გული გაგვიწყალა საახალწლო გადაცემებმა, ასე ენერგიულად რომ რეკლამირდებოდა მთელი თვის განმავლობაში.

თუმცა ეს სტრიქონები ჩაშლილი საახალწლო ზეიმის გამო არ იწერება. ორიოდე წელი დარჩა ბალტინის ტანკებით მოსულ ხელისუფლებას და, სწორედ, რომ ასეთი გულისამრევი ზეიმებით უნდა გამოგვეთხოვოს.

ჩვენი სათქმელი ამჯერად სხვა რამ გახლავთ.

ჩარიხინდა საახალწლო ზეიმი, მიწყდა დაფდაფების ხმა და ნამთვრალევ საქართველოს ეუწყა, რომ რუსეთმა განაახლა პასპორტების გაცემა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, აფხაზეთის მოსახლეობის 70 პროცენტი უკვე რუსეთის მოქალაქეა.

გიხაროდენ!

მაშ ასე, რუსმა ომით წაგვართვა აფხაზეთი და, ნუ გეშინიათ, ღირსეულად დავბრუნდებითო, გვამშვიდებდა მარიონეტული ხელისუფლება.

რუსმა საზღვარი ზუგდიდთან გადმოიტანა და, ნუ გეშინიათ, დროებითი მოვლენაა, მოლაპარაკებებით დავაბრუნებთ აფხაზეთსო, გვატყუებდა გამყიდველი ხელისუფლება.

რუსმა სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალი აამოქმედა და, ნუ გეშინიათ, ეს „ერთჯერადი მიმოსვლააო“.

რუსმა აფხაზეთში მცხოვრებთ რუსეთის მოქალაქეობა დაუმტკიცა და, ნუ გეშინიათ, ეგ ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავსო, ცეცხლზე ნავთს გვასხამს ჩვენი უნიათო ხელისუფლება.

კიდევ რა უნდა მოიმოქმედოს დამპყრობელმა რუსმა, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლო სამუდამოდ დაკარგულად მივიჩნიოთ, ყოველგვარი მოლაპარაკება ფუჭ საქმედ ჩავთვალოთ და იმ გზას დავადგეთ, რასაც მტრისადმი დაუმორჩილებელი ყოველი ნორმალური ქვეყანა დაადგებოდა.

ჰიტლერს აზრადაც არ მოსვლია, მის მიერ დაპყრობილ რუსეთის ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობისთვის გერმანიის მოქალაქეობა მიეცა.

მსოფლიოში პირველი და ერთადერთი შემთხვევაა სხვა ქვეყანა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს დღისით-მზისით უსირცხვილოდ თავისად მიითვლიდეს, თავის მოქალაქეობას აძლევდეს.

ნუთუ ასე უნაპირო და უძიროა ჩვენი მოთმინების ფიალა?

ხმა ამოიღე, პარლამენტო, ხმა ამოიღე, პრეზიდენტო!

სანამ ვისხდეთ გულხელდაკრეფილნი?

სად არის გაერო, ევროპარლამენტი, რას იქმან „საქართველოს მეგობრები?“ კიევში შეხვდა პუტინი საქართველოს გაბრაზებულ პრეზიდენტს, ნატურმორტი აჩუქა, მაგრამ რკინიგზას რაც შეეხება, რა ექნა, უფლება არა მაქვს, კომერციულ ფირმათა საქმეებში ჩავერიოო. საჩუქრით გულაჩუყებულ ჩვენს პრეზიდენტს წართმეულ აფხაზეთ-სამაჩაბლოზე კრინტი არ დაუძრავს.

ამ მდგომარეობასთან შეგუება საქართველოს სიკვდილს ნიშნავს.

განვაახლოთ ფართომასშტაბიანი პარტიზანული მოძრაობა!

მოღალატეებად გამოვაცხადოთ საქართველოს ყველა მოქალაქე (მათ შორის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები, რა ეროვნებისაც უნდა იყოს), ვისაც რუსეთის მოქალაქეობის პასპორტი უდევს ჯიბეში!

ყოვლის ღონისძიებით ხელი შევუშალოთ სოჭი-სოხუმის რკინიგზას.

წინ აღვუდგეთ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ფაქტობრივ მიტაცებას.

უსაშველო არაფერი გვჭირს

კიდევ ერთხელ გაფაჩუნდა „აფხაზეთის საკითხი“ გაეროში.

უშიშროების საბჭომ ერთხმად „დააფიქსირა“ დროა, მოპირდაპირე მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენო“, მერე კოფი ანანმა დიდსულოვნად ამოიოხრა და „საკითხის განხილვა“ (რაც ფაქტობრივად არ დაწყებულა) დამთავრებულად გამოაცხადა.

გაეროსგან სხვას არც არას ველოდით.

პილატესავით დაიბანა ხელი გაერომ და ერთხელ კიდვ ახდა „სხვისი ჭირი – ღობე ჩხირის“ ბრძნული ქართული ანდაზა.

ამ დროს კი საქართველოს მოთმინების ფიალა პირთამდეა სავსე.

ქვეყანა ძრწის და ვულკანივით დუღს.

ლტოლვილი მეომარი რუსთაველზე თავს იწვავს და მომიტინგეთა კარავს პოლიცია მეორე მხარეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაბღაუჭებია.

რა ქნას, „პოლიციასაც თავისი საქმე აქვს“.

ხელისუფლებამ სკამის შესანარჩუნებლად კვლავ დუბინკიან მხედრობას მიმართა.

საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ხომ დევის ძალა აქვს ყოველ ქართველს.

რაზეც გინდა, ხელს მოგიწერო, ერაყის დაბომბვაზეც დაგეთანხმებიო, ეუბნება რუსი ამერიკელს, ოღონდ ქართველებისთვის აფხაზეთს ნუ დამაბრუნებინო.

აფხაზეთის მითვისებაზე სამი საუკუნე ვოცნებობდიო.

და ამერიკაც მორცხვად დუმს.

კანცელარიაში გამოცხვება და ამერიკის საელჩოს გამოივლის „ბუშის წერილი“, რომელშიც ქართულ მხარეს მიანიშნებენ, გაუგრძელოს „რუს სამშვიდობოს“ მანდატი.

ესეც არ კმარა? მაინც ფაფხურობს პარლამენტში ორიოდე თავწასაგდები „მამალი“, რუსის ჩექმა გავიდეს საქართველოდანო?

ახლა გაეროს და ევროპარლამენტის სახელით დაავალებენ საქართველოს პრეზიდენტს (რა თქმა უნდა, ამაზეც ჩვენი მხარე იზრუნებს), დაუყოვნებლივ მოაწერე ხელი დამპყრობელი რუსის სამხედრო ჩექმის კიდევ ერთი ვადით პარპაშს საქართველოშიო.

ამასობაში აფხაზეთი რუსეთის „დე ფაქტო“ პროვინციად იქცევა, რაკიღა იქ მცხოვრებთა (მათ შორის არაერთი გამყიდველი ქართველიცაა) ოთხმოც პროცენტს რუსეთის მოქალაქედ აცხადებს მოსკოვი.

„ვინ მეტყვის, რა მოხდება, რუსის სამშვიდობო ჯარი რომ გავიდეს!“ ამ აკვიატებული ფრაზით გვაშინებს საქარაველოს ხელისუფლება.

არაფერიც არ მოხდება.

იმ დღესვე დადგებიან ჩვენი მესაზღვრეები ფსოუზე, იმ დღესვე გავამაგრებთ ჩრდილოეთის ჭიშკრებს და, რაც მთავარია, მოვიწვევთ საერთაშორისო დამკვირვებლებს, რათა რუსეთმა მორიგი პროვოკაცია არ გაბედოს.

რუსის ტანკს რომ ვერ დაიგულებს გვერდით ჩვენი ძმა აფსუა, სიამოვნებით დათანხმდება „ფართო ავტონომიის“ იმ სტატუსს, ლამის დამოუკიდებლობას რომ ანიჭებს საქართველოს მიწაზე ჩამოსახლებულ „დიდი კულტურული ტრადიციების მქონე“ ჩრდილოკავკასიელ ტომს.

თავიდათავი აქ რუსია.

ასე რომ, ნუ მიგვერეკება გაერო აფსუასთან მოლაპარაკებისკენ, „მოდავე მხარეებს“ მხოლოდ საქართველო და რუსეთი წარმოადგენენ.

რაც მთავარია, მტკნარი სიცრუეა, საქართველო რუსის წასვლის შემდეგ მომთაბარე ყაჩაღთა სათარეშოდ გადაიქცევაო, ჩვენს გენიოს პოლიტიკოსებს რომ დაუჟინიათ.

რუსის წასვლისთანავე ამოქმედდება გაეროს წესდების მეშვიდე პუნქტი და გაერო-ნატოს ერთობლივი ძალები დაიცავენ აფხაზეთში მტკიცე მშვიდობას.

ასე რომ, ქართველმა ხალხმა თაგვის ლომად ქცევის ზღაპრის კბილები კარგა ხანია მოიცვალა, ჩვენ უსაშველო არაფერი გვჭირს.

მსოფლიოს კეთილი ნება გვინდა, სხვა – არაფერი.

თქვენ ჩემთანა ხართ...

(გახსენებანი, საიუბილეო მიმართვები, გამოსვლები)

ვაჟკაცი იყო...

ზურაბ ანჯაფარიძე ქართული ფენომენის ყველა სანაქებო ნიშნით დაჯილდოებული კაცი იყო.

იგი თხემით ტერფამდე ქართველი გახლდათ.

სილამაზის ტრფიალი, დარდიმანდი, იუმორის გრძნობის მქონე პედანტიზმსა და გერმანულ პუნქტუალობას არად დაგიდევდათ. შეეძლო, საათობით მჯდარიყო სუფრასთან და მამაპაპურ ლხინს მისცემოდა. მერე იმაზეც არ ინაღვლებდა, თუ ამ „ქართული სენის“ წყალობით წონაში მოიმატებდა და აბესალომის ჩოხა წელზე არ შემოწვდებოდა.

თვითნაბადი ტალანტი იყო.

მუდამ თავის იმედი ჰქონდა და, თუმცა ვოკალურ სრულყოფაზე ბევრს მუშაობდა, ვერ ვიტყვი, რომ გაფაციცებით ასრულებდა დიდი მომღერლის ყველა სავალდებულო შინაგანაწესს.

იგი რეზო ლაღიძესავით ლაღი და თავისუფალი ცხოვრების წესით გამოირჩეოდა.

ერთი სიტყვით, ვაჟკაცი იყო.

ზურაბ ანჯაფარიძესთან უამრავი შეხვედრიდან ერთს გამოვარჩევ (დანარჩენს სხვა დროისათვის შევინახავ).

1981 წლის სექტემბერში გოგი ცინცაძემ – რესპუბლიკის ავტოინსპექციის უფროსმა, დახვეწილმა ინტელიგენტმა და ღირსეულმა კაცმა, ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარა: – ავტოინსპექციის ახალი კადრების შერჩევა კორუმპირებული საგამოცდო კომისიის ნაცვლად საზოგადოებრივ საბჭოს დაავალა.

საბჭოში პროფესიონალ იურისტებთან ერთად ზურაბ ანჯაფარიძე და მე შეგვიყვანა.

კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით და საქართველოს ავტოინსპექციას ახალი კადრებით ვავსებდით.

პირველი სხდომა.

შემოდის ავტოინსპექტორობის მაძიებელი.

– აბა, ამ კაცს თუ იცნობ? – ზურიკოსკენ უთითებს გოგი ცინცაძე.

– ვიცნობ, – ზურაბს თვალს არ აშორებს ახალგაზრდა.

– ვინ არის? – ეკითხება გოგი.

– უფროსია.

– რისი? – ეკითხება გოგი.

– უფროსია.

– რისი უფროსია?

კომისია ხითხითებს.

უფროსია, საერთოდ... ჩვენი... ვისი უნდა იყოს, – არ იბნევა „აბიტურიენტი“.

– რა გვარია?

– არ ვიცი – გამოტყდა მომავალი ავტოინსპექტორი.

– კარგი – ეს კაცი ვინ არის? – ახლა ჩემზე უჩვენებს გოგი.

რასაკვირველია, ვერც მე მცნობს.

– თავისუფალი ხარ, ზურაბ ანჯაფარიძე და რევაზ მიშველაძე რაკი არ გაუგონია, მე ისეთი ავტოინსპექტორი არ მჭირდება.

„ჩაჭრილი“ დარცხვენილი გადის,

სამიოდე წუთში მეორე შემოდის.

– ვინ არის ეს კაცი? – ჩემკენ იშვერს ფანქარს ცინცაძე.

– ზურაბ ანჯაფარიძეა, – ამაყად პასუხობს გამოსაცდელი, კომისია სიცილისგან ცრემლებს ვერ იკავებს.

– კარგი, ეს ვინ არის? – ახლა ზურაბისკენ ანიშნებს

– რევაზ მიშველაძე.

– წადი, თავისუფალი ხარ, გაერკვიე პატარა ვინ-ვინ არის და ექვსი თვის მერე მოდი, – ასეთია კომისიის თავმჯდომარის განაჩენი.

შემოდის მესამე.

ზურაბ ანჯაფარიძე და რევაზ მიშველაძე თუ გაგიგონია?!

– რავა არა, ბატონო, მაგენის სახელი ვინ არ იცის.

– სახეზე თუ იცნობ ორივეს?

– სახეზე... ახლოდან არა... რომელი რომელია, ვერ გეტყვით, მარა აქ რომ ბრძანდება ორივე, ნამდვილად ვიცი.

კომისია იცინის.

– რო გააჩერო ანჯაფარიძე ან მიშველაძე ჭკუის სწავლებას და დაჯარიმებას დაუწყებ?! – კატეგორიულია გოგი.

– რავა გეკადრებათ, ბატონო, კეთილ მგზავრობას ვუსურვებ და, თუ ჯიბეში მექნა, თითო კამფეტს ვაჩუქებ ორივეს.

ჰომერული სიცილი.

– კი მაგრამ, რომ ვერ იცნობ, რომელი რომელია?

– თვითონ მეტყვიენ, ბატონო, არ დამიმალავენ, ნუ გეშინია.

გოგი მესამე „მაძიებლის“ ჩაჭრასაც აპირებდა, მაგრამ ზურაბი და მე ხელში ვეცით.

– ნუ შეაძულე ამ ბოვშებს ჩვენი თავი, შენ აქ გამომცდელებად დაგვიძახე თუ საფრთხობელებადო, – იცინოდა ზურაბი.

ისეთი ლამაზი, გულიანი სიცილი (მარტო სახე-თვალებით კი არა, მთელი ტანით იცინოდა) მერე იშვიათად მინახავს.

როგორც წესი, ყველა გამოცდა სუფრით მთავრდებოდა.

სუფრაზე ზურაბის ნახვას არაფერი სჯობდა.

ლხინის უფალი, ჭეშმარიტი მოქეიფე, სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო.

სუფრაზე ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში.

რომელ საოპერო მომღერალთან არ მიქეიფია, მაგრამ ზოგი სუფრულ სიმღერაზე არ აგყვებოდა, ზოგი ყელს მოერიდებოდა, ზოგს, რა დასამალია და უბრალოდ, არ შეეძლო, ოდენ ორკესტრის ჟღერისას იღებდა საჭირო ხმა-ტონალობას.

ზურაბი აქაც შეუდარებელი იყო. ერთი წამითაც არ მოგახვევდა თავს თვის დიდ პროფესიონალიზმს და კლასიკოსობას.

პირველი შეხვედრისთანავე შევეწყვეთ ერთმანეთს და იმერულ, მეგრულ, კახურ სიმღერებს ვაგუგუნებდით.

ავტოინსპექციის ხელმძღვანელობა ისე შეგვეჩვია, რომ რამდენჯერმე იხვებზე სანადიროდაც კი მიგვიწვიეს.

მერე „საპატიო ავტოინსპექტორის“ წიგნაკით და ორ-ორი სასტვენით დაგვაჯილდოვეს.

გაათავისუფლეს გოგი და სხვა ხელმძღვანელობას საზოგადოებრივი საგამოცდო კომისია აღარ გახსენებია.

მარტოსულთა თავშესაფარი

ბატონებო!

ამ სახლიდან გავიდა იგი ორმოცი წლის წინათ მარტის სუსხიან დღეს.

გავიდა ავადმყოფობით გაბეზრებული, დაღლილი მოხუცი.

დატოვა გაშლილი მაგიდა... მელანშეუმშრალი ფურცელი, თითქოსდა ერთი ოთახიდან მეორეში გადიოდა.

იცოდა, რომ აღარ დაბრუნდებოდა.

მან ყოველთვის იცოდა, სადაც მიდიოდა.

გავიდა რამდენიმე საათი და საავადმყოფოს დერეფანში გრძნეული კაცის ბოლთის ცემა საუკუნის გაფრენით დასრულდა.

მარადისობასთან წილნაყარი მარადისობას შეუერთდა.

როცა დამტვერილი ყუთებიდან ხელნაწერებს და ფოტოსურათებს ვალაგებდით, ექსპოზიციის გამწყობნი შევკამათდით: ზოგს სურდა, გალაკტიონის დიდებულ ლექსთა სტროფები გაგვეკრა კედელზე, რათა სტუმარი მეფე-პოეტის გრძნეული სიტყვით დამტკბარიყო, მე მინდოდა, ამ ოთახებში გალაკტიონის პირადი ცხოვრება მოგვეხილა. თავის დროს ასე იდუმალი და სფინქსისებური, მაგრამ დღეს უკვე ცხადი და დასურათხატებული.

მინდოდა, იმ დროის გულნამცეცა ჩინოვნიკებისადმი ბრალდებად კედელზე გაგვეკრა გალაკტიონის განცხადებები სავსე უფულობის, უფეხსაცმელობის და უბინაობის ჩივილით.

მინდოდა, ყველას წაეკითხა ეს ერთსტროფიანი ქუხილი გალაკტიონისა, განშორებისას რომ დაგვიტოვა:

სინამდვილეს არ ვემდური,
არ ყოფილა თითქმის.
არყოფილზე საყვედური
არასოდეს ითქმის.

არა და, იყო სინამდვილე... მკაცრი სინამდვილე, რომელიც ყოველდღიურად სთავაზობდა პოეტს დამცირებას, იგნორირებას, წიგნის გამოცემის გაჭიანურებას, გამადიდებელი შუშით ცქერას სტრიქონებში.

ამ სინამდვილემ მიიყვანა გალაკტიონი ცხოვრების მიმწუხრს საბედისწერო ნაბიჯამდე.

ვერ მოვუარეთ.

და აი, „ურჩი გადამხდელი“ თავის ბინაში დაბრუნდა.

აქაც მისმა ჯიუტმა ნებამ იძალა და აგვიყოლია.

ეს ბინა თავშესაფარი იქნება ყველა მარტოსული, სასოწარკვეთილი, ამ მგლურ დროში შეჭირვებული კაცისთვის, ვისაც პოეზია უყვარს – თუ კი პოეზიის სიყვარული ჯერ კიდევ შეგვრჩა ყოველდღიურობის ამ ბაზრული გნიასით გათანგულთ.

გალაკტიონის მყუდრო ბინაში სულს მოიბრუნებენ იმედის ვარსკვლავის მაძიებელნი, სამშობლოს უბედური სვე-ბედით თავდამძიმებული ადამიანები, ვისაც გალაკტიონმა ანდერძად დაუბარა: „მამულს გული, უპირველეს ყოვლისა“.

ისინი ამ სახლში საჩუქრად მიიღებენ მეოცე საუკუნის უპირველესი პოეტის სევდიან წიგნს – მთვარის სხივებით მოქსოვილსა და ვერცხლისფერი ათინათით მოსილს... და კიდევ ერთხელ გაიგონებენ განწირული კაცის ნერვიულ ჩურჩულს:

ეს გიორგის, ეს თევდორეს,
ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,
ჯერ ვითვლებით ქართველებად
თუ არ გაგვაესკიმოსეს.

წავიდა პოეზიის მეფე

წავიდა ჩვენგან მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პოეზიის მეფე, შოთა ნიშნიანიძე.

გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ ამ საუკუნეში შოთა ნიშნიანიძეზე დიდი პოეტი არ გვყოლია:

შოთა ნიშნიანიძე იყო სინდისი ჩვენი დროის ქართული პოეზიისა.

ვერ გაიხსენებთ შოთა ნიშნიანიძის ფუჭ, ცარიელ, ან ამპარტავნობითა და პიროვნული ჭირვეულობით დატვირთულ სტრიქონს.

დიდი იყო იგი პოეტური მასშტაბებით, ბრწყინვალე სახეობრიობით, ქართული ლექსის ტრადიციებისადმი ერთგულებით, მოქალაქეობრივი პოზიციით...

დიდი იყო როგორც პიროვნება; კეთილი, მიმტევებელი, უანგარო, ვაჟკაცი ამ სიტყვის ყველაზე კარგი მნიშვნელობით.

თანაც ყველა ჭეშმარიტი გენიოსივით, ბავშვივით სუფთა, მიმნდობი და გულუბრყვილოც.

შოთა ნიშნიანიძე იმ თითზე ჩამოსათვლელ ქართველ მწერალთა შორის ნათობს, უკანასკნელი ათწლეულის მიზეზთა გამო დაქცეულ საქართველოში მშვიდი ყურეები რომ არ უძებნია, გულნამცეცობა რომ არ შეტყობია და ხელმწიფის ნავში არ ჩამხტარა, არც განაპირებულა ზოგი თვითმარქვია გენიოსივით და ქვეყნის გასაჭირისთვის ზურგი არ შეუქცევია.

ყოველთვის წინა ხაზზე იყო, გაბედული, უკომპრომისო, სამშობლოსთვის თავდადებული, ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის კალმით მებრძოლი, უშიშარი მეციხოვნე.

მახსოვს, ამას წინათ ქართველი მწერლების ერთმა ჯგუფმა ქართული ეროვნების დამასამარებელ კანონს ბრძოლა რომ გამოვუცხადეთ, საპროტესტო განცხადებაზე პირველებმა შოთა ნიშნიანიძემ და ანა კალანდაძემ მომიწერა ხელი. მესამე „დიდი პოეტი“ კი, აქაოდა ხელისუფლებას არ ეწყინოსო, უკანსვლით გავიდა და გაუჩინარდა.

შოთა ნიშნიანიძეს მაშინ ზლუქუნი წასკდა. პირველად ვნახე ატირებული ეს დევივით კაცი. რა მოგვიდა-მეთქი, რომ ვკითხე, ცრემლიანი თვალებით შემომხედა, მეტი რა უნდა მომივიდეს, იქამდე მივედი, განცხადებაზე ვაწერ ხელს, რათა მშობლიურმა ხელისუფლებამ ქართველად დამტოვოსო.

მერე კვირა არ გავიდოდა, არ დაერეკა, რა შედეგი მოჰყვა ჩვენს განცხადებასო, და როცა ვპასუხობდი, ყრუ კედელი დახვდა-მეთქი, ერთხანს დუმდა და ყურმილში მისი გახშირებული სუნთქვა მესმოდა.

წავიდა ჩემი უპირველესი მეგობარი, შოთა ნიშნიანიძე, და თან წაიღო საქართველოს ატკივებული დიდი გული.

მჯერა, მომავლის საქართველო ადრე თუ გვიან შოთა ნიშნიანიძეს იქ მიუჩენს ადგილს, სადაც ეკუთვნის – გალაკტიონის გვერდით, მთაწმინდაზე.

იძინე მეფური ძილით

გღრღნიდა, გხრავდა შენს დევურ სხეულში ჩაბუდებული სიკვდილი. დღითი-დღე გვეცლებოდი ხელიდან... და მაინც, მოულოდნელად წახვედი. „მგონი, გიყვარვარ, უფალო, მგონი სიბერეს მიპირებ“. ერთ ლექსში რომ დაიკვნესე. არცთუ მთლად შეგისრულა უფალმა. დაბერება ვერ მოასწარი.

ჩვენს ხსოვნაში ღონიერი ქედით და ხარის თვალებით შუახნის კაცად დარჩი.

„არ შეგეშინდეს, შოთა, იცოდე, ოთხმოცი წლის იუბილეზეც გითამადებ-მეთქი“, გითხარი ამ რამდენიმე დღის წინ რეანიმაციის განყოფილებაში თეთრი ხალათით ამოპარულმა.

გამიღიმე და ჭერს დაუმიზნე თითი.

მიქელ-გაბრიელის საქმეაო.

ალბათ, ალალი, ბავშვური ღიმილი იცოდი. რა შემბრალე გული გქონდა. ოთახში ადგილს ვერ ვპოულობ. რა საშინელებაა, ვზივარ და შენთან გამოთხოვების სტრიქონებს ვწერ.

თითქოსდა ფრთები დამემსხვრა და მარტო დავრჩი ჩემს უღიმღამო წუთისოფელში.

დარჩენილი დღეები შენი სიკვდილით უფრო გამიუამურდა.

დაგკარგე ჩემი უპირველესი მეგობარი, ჩემი ჭირისა და ლხინის განუყრელი თანაზიარი.

თუმცა, ჩემი ტკივილი რა ბედენაა, როცა შენი – შოთა ნიშნიანიძის წასვლით მსოფლიო პოეზიამ დაკარგა ერთი უძლიერესი ბურჯთაგანი, ხოლო საქართველომ – მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის მეფე.

ამ ტიტულს მოკრძალებით შეგახსენებდი ხოლმე შენს დაწერილ საიუბილეო წერილებში, ან ნაჩუქარ წიგნებზე გიწერდი.

შენებურად, მორცხვად იღიმებოდი.

შენი ფასი და ადგილი შენზე უკეთ ვინ იცოდა, მაგრამ შენი განსაცვიფრებელი სისპეტაკე და თავმდაბლობა ტრიბუნას გარიდებდა და კულისებისკენ გექაჩებოდა.

ახლა შენს ცხედართან მდგარი საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ამ საუკუნეში გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ შენზე დიდი პოეტი არ ჩანს.

შენ უკვე ისტორიას ეკუთვნი და სრულიადაც არ არის უხერხული, მკითხველს შენს კანონიერ ადგილზე მივანიშნო.

თანამედროვეთა ყაყანი შენ უკვე ვეღარ მოგწვდება. იმ მოქილიკე-მოყაყანეთ ვგულისხმობ, ჯერ სიკვდილის წინ „მეორე შოთას“ ირონიით სუნთქვა თუნდა წამით რომ დაგიმძიმეს და ახლაც, შენი დაკრძალვის ადგილზე, „ბრძნული ბჭობით“ უკანასკნელი ანგარიში რომ გაგისწორეს.

მორჩა, მეტს ვეღარას გავნებენ ის არამკითხე მედროვენი, სიცოცხ-

ლეში თავიანთ ღინღლშეპუტტულ ფრთებს რომ გატოლებდნენ და შენი დიდება შურდათ.

შეუნდე ყველას, ბრძენკაცო.

შენ, შოთა ნიშნიანიძეს, იქ, მაღლა, მთაწმინდაზე, გალაკტიონის გვერდით ხვალინდელი, უფრო ჭეშმარიტი და ღირსეული საქართველო მიგიჩენს საუკუნო განსასვენებელს.

შეუნდე ყველას და იძინე შენი მეფური ძილით.

ბრძენი

ბრძენი კაცი გახლავთ ოტია იოსელიანი.

მის ნათქვამს დიდი ფასი და ასპარეზი აქვს.

ბრძენი ჩვეულებრივი მოკვდავისგან იმით განსხვავდება, რომ, ჯერ ერთი, რასაც იტყვის, ჭეშმარიტებაა, მერე მისებურად იტყვის, ორიგინალურად, შთამბეჭდავად.

ამ ბოლო დროს ორჯერ მოვკარი ტელევიზორში თვალი და ორივეჯერ გულში გამიარა ოტიას ნათქვამმა:

„შეიძლება ქვეყანა მოწყალების, დახმარების იმედზე იყოს? ყოველ გაზაფხულზე რო თესლია მიწაში ჩასაგდები, ამას გახსენება უნდა? სანამდე ვიყოთ სხვის იმედზე. დახმარებას ვინც იძლევა, ისაა კაცი, თვარა ვინც იღებს – მათხოვარია. როუყავით თავმოყვარეობა, თქვე კაი ხალხო...“

„მეც კი წამიკითხავს – დამიწერია ერთი ორი წიგნი, მარა ამნაირი ფილოსოფია არსათ ამომიკითხავს, სად ისწავლეს ამ, ნამეტანი წათამამებულმა ბოვშებმა ასეთი რამე: წავშალოთ ეროვნებაო. ჩვენ დევიმახსოვროთ რო ქართველები ვართ, სომხებს, თათრებს და რუსებს ქე დაავიწყდებათ და ყველა გაქართველდებაო. იფ, არ ოუწყვიათ საქმე? ქართველს თუ ქართველობა წაუშალეთ, ვის იმედზე ტოვებთ ამ საქართველოს? მე არ მცხვენია ქართველობის და ვისაც რცხვენია, ჯანდაბის გზა ჰქონია...“

ამას ამბობს ბატონი ოტია საოცარი უბრალოებით, მისთვის ჩვეული იმერული კილოთი, უშუალოდ, ბუნებრივად, თუ გნებავთ, უმაღლესი არტისტიზმითაც.

რა მძიმე, ტევადი და ძვირფასია ოტია იოსელიანის ლიტერატურული ხურჯინი.

„ვარსკვლავთცვენამ“ ახალი ეტაპი დაიწყო ქართულ პროზის ისტორიაში. ჭეშმარიტი ლიტერატურის მაღალ თაროზე დევს ქალის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით გამსჭვალული რომანი „იყო ერთი ქალი“ და მსოფლიო ომში საქართველოს მონაწილეობის უტყუარი მხატვრული ეპოპეა „შავი და ცისფერი მდინარე“.

გონების თვალიდან არ მშორდება ოტია იოსელიანის ბრწყინვალე ნოველა „ჩქარი მატარებელი“.

დედაქალაქის კარუსელს და, თუ გნებავთ, ცენტრის მაცდურ ყაყანსაც გარიდებული თავისი განუყრელი გრძელი მუნდშტუკით, ნიკოტინისაგან შეყვითლებული თითებით და სვანური ქუდით ათასში ერთხელ შემოივლის მწერალთა კავშირში...

არავის არაფერს თხოვს, „ცხოვრებას როდი იგვარებს“, ჯილდო-წახალისებებს არ მიელტვის, უბრალოდ, თავს შეახსენებს მწერალთა ოჯახს.

ოტია იოსელიანს აქვს მწერალთა კავშირში ხმამაღლა ლაპარაკის უფლება.

იგი მაღალნიჭიერი მწერალი და სამაგალითო მოქალაქეა.

მეამაყება, რომ ოტიას მეგობართა შორის ვითვლები.

მახსოვს, ოცი წლის ყმაწვილს მთელი სვანეთი შემომატარა თავისი ძველი „ვოლგით“. თუ მწერლობას აპირებო, მეუბნებოდა, დაიმახსოვრე: კაბინეტში არ დაჯდე, მწერლობა მოგზაურობას მიმატებული ლიტერატორის ნიჭიაო. მეორეც: ამბის გამოგონება არ დაიწყო, ცხოვრება თვითონ გიკარნახებს ყველაფერსო. მესამე: მთავრობას ახლოს არ გაეკარო, თორემ ინანებ. ჯერ დედამიწაზე ხალხის საყვარელი მთავრობა არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლიაო.

დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრს. „სანამ ურემი გადაბრუნდება“ და „ექვსი შინაბერა...“ არასოდეს ჩამოვა სცენიდან.

თუ ვინმეზე ითქმის: არ გადრეკილა, არ შეცვლილაო, სწორედ ოტიაზეა ზედგამოჭრილი.

სამოცდაათი შუახნის ასაკია. ჟამთა ცვლა რას დააკლებს, ისე მკვიდრადაა ნაშენი, ისე ხმელია და ჩაკირული, შიგნიდან გამომწვარი, შებოლილი, გაუხუნარი, პენიანი, მკლავღონიერი და კალამმადლიანი...

ასეთია ჩემი ოტია.

მეცხოვნე

ბატონო ლევან, –

თუ სიცოცხლემოძულებული სკეპტიკოსი, დღევანდელი საქართველოს შემყურე, დაიჩივლებს: გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, აღარ არის თქვენი დრო, მწერლებს ყავლი გაგივიდათო, – შენს სახელს გავახსენებ.

თუ გულგატეხილი ქართველი ეჭვით შეხედავს ჩვენს განწირულ სულისკვეთებას და მეტყვის – რას აკეთებთ თქვენ, ქვეყანა რომ იქცევა, რატომ ხმას არ იღებთ მწერლებიო, ისევ შენს სახელს გავახსენებ და გავაჩუმებ.

შენ, შენი გაუბედურებული ქვეყნის ჭეშმარიტი მესიტყვე – მოურავი ხარ.

გულს მითბობს და მტერთა დასათრგუნად ჩახმახს მომაძებნინებს ხოლმე შენი მამლურ-ყინჩური დგომა სამშობლოს სადარაჯოზე, შენი ცნობისწამრთმევი ყივილი – არ დანებების, არ დათმობის, არ დაჩოქების!

აღარ ჰგავს საქართველოს რუკა ძველთაძველ ქართულ დროშას. იგი უკანასკნელად შარშანწინ დაიფხრიწ-დაიტრუსა სასტიკ იმპერიასთან კვეთებაში, მაგრამ იგი მაინც არსებობს, უბიდან უბეში გადადის, ქართველთ ახალი ბრძოლებისათვის აღაგზნებს და რაზმავს.

საქვეყნო ზრუნვა-ფუსფუსში სამოცდაათი წელი წამოგპარვია.

შენს წიგნებს ერთი გრძელი თარო გაუვსია ჩემს ბიბლიოთეკაში, შენს მღელვარე წიგნებს. „მღელვარეს“ იმიტომ, რომ ჩაძინებული წიგნებიც არსებობენ. ერთხელ გაანათეს ასეთმა წიგნებმა ჩვენი სულები და ახლა, ვალმოხდილნი, ბიბლიოთეკის აკლდამაზე ჩანან კარგად შენახულ მუმიებად. შენი წიგნი კი, სადაც შემხვედრია, ან მაგიდაზე უდევთ, ან – სასთუმალთან. ყდაგაცვეთილ, ფურცლებაფუებულ, სახაზავჩადებულ შენს წიგნს ეტყობა, რომ იგი სულ ახლახან ეჭირათ ხელში და ისევ ჩქარა მიუბრუნდებიან.

რა შორიდან ამოჰყევი ისტორიას, სად არ მოიძიე ქართველთა ფესვები და ჩვენი ეროვნული ბედისწერის გაშიშვლებული ხმალი ჩვენს დღეებამდე შემოაბრიალე – როგორც დამაშვრალმა მემატიანემ და ერის ჭირისუფალმა.

შენი ტემპერამენტის გადამკიდეს, შენ არ შეგეძლო, ცივი გონების მეცნიერ-ისტორიკოსის ჩაჩი მოგერგო თავზე და მშვიდად, აუღელვებლად გეწერა.

შენი წიგნი ყვირილს ჰგავს და ამიტომაა შენი სტრიქონები დატეხილი, ემოციებით, მხატვრული პასაჟებით სავსე.

შენი სტილიც უაღრესად ორიგინალურია: მეცნიერ-მწერლის მხატვრულ-ჩუქურთმოვანი სტილი, ქართული ენის წიაღიდან, ამ გრძნეული სალაროდან, ამოგაქვს სიტყვები და ახალ ელფერს ანიჭებ.

იქნებ, ახლა, როგორც არასდროს, სჭირდება ქართველს შენი ცეცხლოვანი სიტყვა; იქნება, ახლა, როცა ქვეყნის ჩაძინების მსურველნი რუსთაველის ერზე აგდებით ლაპარაკობენ, შენმა წიგნებმა უნდა მოჰგვაროს ხალხს ეროვნული სიამაყე და საკუთარ ტანჯულ ისტორიაში, როგორც სარკეში, ჩაახედოს, საკუთარი ღირსებაც დაანახოს და 309 სირცხვილიც გაახსენოს მათი არგამეორების მწარე გაკვეთილად.

ამ ქვეყნად არაფერიც არ შეცვლილა. ქართველთა ბედს ისევ აბურთავებს ისტორიის ულმობელი ნემეზიდა.

ისევ იპყრობენ იმპერიები მცირე ერებს, ისევ ცდილობენ, ჩაკლან ერში თავისუფლების და დამოუკიდებლობის სურვილი. დღისით-მზისით მსოფლიოს თვალწინ ართმევენ მიწებს და უმოწყალოდ ხოცავენ უდანაშაულო ადამიანებს.

და როგორადაც უნდა გვიკვირდეს, დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს საერთაშორისო სასამართლო, პოლიტიკური არბიტრი, რომელიც აგრესორს თუ არ ალაგმავდა, ბავშვთა კვლისაგან თავისშეკავებისკენ მაინც რომ მოუწოდებდა.

1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში საქართველო უმოწყალოდ დაისაჯა თავისუფლების სურვილისათვის. სეპარატისტები თავის სახლ-კარიდან გამორეკილ ქართველებს დასცინიან და გამკითხავი არავინ არის.

შენ, შენ – ნამუსიანმა ისტორიკოსმა, მხატვარ-მემატიანემ, უნდა დაარქვა მოვლენებს თავისი სახელი და ერს ჭირისაგან თავის დახსნის გზები უჩვენო.

ვინძლო, ეროვნულმა სმენამ, პატრიოტის გეშმა არ გიღალატოს. ვინძლო, არ დაიღალო, ხმალი არ ჩააგო!

ჯერ საქვეყნო გზა გასაწალდ-გასაკაფია, მტერ-მოყვრისთვის პასუხია გასაცემი. ჯერ სიმართლის ნერგი მოსავლელია, ბედის კვიცი გასახედნია, ერის სიმტკიცის ნაღვერდალი გასაღვივებელია, თავისუფლების კოცონი დასანთებია...

მოტყუებით ჩახოცილი ჩვენი შვილების სისხლი ასაღებია.

გახსოვდეს, ქვეყნის გადარჩენის ბასტიონზე გულმაგრად მდგარი ბერი მეცხოვნე ხარ, ბრძენი და ენამჭევრი მეცხოვნე.

ანდერძად დაგვირისტებული შემოქმედება

რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ფრიდონ ხალვაში, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ღირსეული წარმომადგენელია.

კლასიკოსი ჰქვია მწერალს, რომელსაც შეუძლია, ათასობით მკითხველი ერთი გრძნობით აღანთოს, ერთ მუშტად შეკრას.

ფრიდონ ხალვაშის ნაკალმარს ეს მადლი, დიახაც, მოსდგამს.

ფრიდონ ხალვაშის მხატვრული აზროვნება თვითმყოფადია. ნასესხები თემებითა და პრობლემებით კი არ ყელყელაობს, საკუთარი სათქმელი, მისეული სახეები და ორიგინალური ფერებით მოჩითული ლიტერატურული საუფლო აქვს.

ფრიდონ ხალვაშის ფრაზა და თხრობის სტილი დაკვირვებულ მკითხველს სხვისაში არ აერევა.

ვალმოხდილი ჰქვია მწერალს, რომელსაც საზოგადო მოღვაწის მანტია მოუსხამს, თავის ქვეყანას უვლის და გუშაგობს, აფხიზლებს და ერის თავისუფლებისათვის წმინდა ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობს.

ფრიდონ ხალვაში ჭეშმარიტი ერისკაცია. ნიადაგ მოფუსფუსე, ნიადაგ კეთილი ფიქრით აღძრულ-შებოჭილი, ყოველ საქვეყნო-სასიკეთო საქმეში ჩართული და წილდადებული.

ბარე ხუთი ათეული წელია ვიცნობ და არ მახსოვს საქართველოს რომელიმე საბედისწერო ისტორიულ მოსახვევთან მისი თუნდაც წამიერი ორჭოფობა, წონასწორობის დაკარგვა, გამრუდებული სიტყვა...

იგი გამჩენმა უტყუარი ეროვნული ალღოთი დააჯილდოვა.

როცა საქართველოს თავზე შავი ღრუბლები გროვდება, უნდობლობის ჭია გულს გიღრღნის, სასო წარგეკვეთება და ვაი-ვიშს მოჰყვები, სწორედ მაშინ გამოჩნდება ფრიდონი, ხელს ჩაგავლებს, წამოგაყენებს, გულის მოსაფხან სიტყვას გტყორცნის და გაგიყოლიებს.

ფრიდონ ხალვაში ქართული მწერლობის რაინდი იმიტომაც არის, რომ ჩვენი დედა-აჭარა ლიტერატურაში ყველაზე სრულად სწორედ მან დახატა. აჭარის სატკივარი დიდი ჭირისუფლის გულით და ყალმით აგვირისტა, მერე კი მაღლა ასწია მთელი საქართველოს დასანახავად.

სამოცდაათი წლისთავის იუბილეზე მე ფრიდონ ხალვაშს აჭარის სულხან-საბა ვუწოდე და რაც დრო გადის, ჩემი შედარების ნამდვილობაში დღითი-დღე ვრწმუნდები.

მემლექეთზე თქმული ფრიდონ ხალვაშის მარილიანი სიმღერების ექო იმ გუგუნს უერთდება, საუკუნეთა სიღრმიდან, რომ მოედინება და „მაგრად დექო“, მოყვასს რომ ანჯღრევს და აფხიზლებს.

ფრიდონი საქართველოს ერთი გულმამაცი ციხისთავია.

მისი ცხოვრება, მართლაც რომ, ომში კვეთება იყო ამ სამოცი წლის განმავლობაში, რაც მწერლის ჩაფხუტ-მუზარადი დაიმშვენა და საქვეყნო გარჯას შეუდგა.

ამაყად დადის ვალმოხდილი ფრიდონ ხალვაში მისი ერთი მშვენიერი ლექსის მარადიული მამალივით, რომლის სასიცოცხლო ყივილსაც გაღვიძების ომახიანი დილა მოჰყვება ხოლმე.

დიდხანს ევლოს.

სასიქადულო პიროვნული ღირსებებით შემკული კაცია. პიროვნების ყადრი იცის. გულნამცეცობა და აჩქარება შორს არის მისგან. გასაჭირში მყოფთათვის ძმურად ხელის გაწვდაც შეუძლია და მცირე შეცოდებათა სულგრძელი პატიებაც.

ფრიდონის სიტყვას დამაჯერებლობის და გულის გათბობის გრძნეულება სწორედ იმის გამო აქვს, რომ მედროვე კაცის ბაგეთაგან კი არა, ალალი გულიდან, სუფთა სინდისიდან მოედინება.

ჭეშმარიტი პროფესიონალის მონდომებით ძერწავს სათქმელს.

რამდენი ხანია ამეკვიატა და არ მშორდება მამულის დროშაზე დაწერილი ლექსის ეს ღრმად სიმბოლური სტრიქონები: „ვინ იცის, დროშა დაკეცილი რას ელოდება – წითელი, როგორც ალიონი ივნისის თვეში, აბრეშუმია, თუ დამუჭავ, სულ ერთი პეშვი, მაგრამ თუ გაშლი, ქარებს ცეცხლად წაეკიდება“.

ეს ლექსი ფრიდონ ხალვაშმა ოთხმოცდაათიან წლებამდე, ქართული ეროვნული მოძრაობის აზვირთებამდე დაწერა.

ვინც კომუნისტურ ტირანიას მოსწრებია, მიხვდება, რომ იოლი როდი იყო წითელი ცენზურისთვის გამოგეპარებინა ეს ნაღვერდალივით სტრიქონები.

სამოცდათხუთმეტი წლისაა ქართული მწერლობის „დიდი ბაბა“.

ისევ მხნედ და ვაჟკაცურად არის.

ხმალი ჯერ ქარქაშში არ ჩაუგია.

მოგონებების და ანდერძის საწერად ჯერ ვერ ვიცლიო, იტყვის ხოლმე.

განა მთელი მისი დიდებული შემოქმედება მშობელი ქვეყნის მოვლისა და მისთვის თავდადების ანდერძი არ არის მომავალ თაობათათვის სამოქმედო პროგრამად დაგვირისტებული.

ამაგდარი მეცნიერი და მოქალაქე

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლის კავალერი – ავქსენტი ესტატეს ძე მიშველაძე 85 წლისაა.

ბატონი ავქსენტის ცხოვრების გზა ქართველი პედაგოგის და მეცნიერის პატიოსნად, ვაჟკაცურად, მუხლჩაუხრელად გავლილი გზაა.

1915 წელს მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონში დაბადებულმა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ლადო ასათიანთან ერთად დაამთავრა. სწორედ დიდი პოეტი იყო მისი უპირველესი მეგობარი და ხელისმომკიდე.

ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისთანავე ა. მიშველაძე აკადემიკოსმა ანგია ბოჭორიშვილმა ასპირანტურაში დატოვა, ახალგაზრდა ფილოლოგს კი გულმა სკოლისკენ გაუწია და კარგა ხანს მასწავლებლობდა დრანდისა და მარტვილის სკოლებში. იყო არაერთი სკოლის დირექტორიც და განათლების განყოფილების თანამშრომელიც. ბოლოს, პედაგოგიური გამოცდილების მქონე ბ-ნი ავქსენტი ასპირანტურას კვლავ მიუბრუნდა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ორი ათეული წელი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში იმუშავა, 1963 წელს საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ჯერ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის დოცენტი გახლდათ, მერე – პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი. და ბოლოს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგე.

სადაც უნდა ემუშავა, ბატონი ავქსენტი ირგვლივ მყოფთ კაცური კაცობისა და პატიოსანი მოქალაქეობის მაგალითს აძლევდა.

ტკბილმოუბარი ლექტორი, ახალგაზრდა მეცნიერთა გულისხმიერი ხელმძღვანელი თვით გახლავთ შესანიშნავი ოჯახის მამა – ოთხი შვილის აღმზრდელი და ღირსეული მეუღლე.

პედაგოგიური საზოგადოებისათვის დღესაც შეუცვლელ სამაგიდო წიგნებად ითვლება ბატონი ავქსენტის ნაშრომი მოზარდთა ქცევის თავისებურებების, გაკვეთილის სტრუქტურისა თუ ეროვნული სკოლის შენების ურთულესი პრობლემების შესახებ.

ახლახან გამოვიდა მხცოვანი პროფესორის მოგონებათა უაღრესად საინტერესო წიგნი „რას ვემსახურებოდი“.

85 წლის მეცნიერი და უანგარო მოღვაწე დღესაც ჩვეული ენერგიითაა ჩაბმული ცხოვრებაში. მის პირუთვნელ სიტყვას პედაგოგ-მეცნიერთა ფორმირებისთვის ავტორიტეტის ძალა აქვს.

...დრო თავისას შვრება. სხედან ჩვენ წინ ვალმოხდილი ადამიანები: ბატონი ავქსენტი მიშველაძე და მისი ღირსეული თანამეცხედრე, დამსახურებული პედაგოგი ქ-ნი თინა გველესიანი. სხედან და ბრძოლით, შრომით, იმედებით აღსავსე უკან დარჩენილ დღეებს გასცქერიან.

მოგონებებში, შვილთა და შვილიშვილთა ჟრიამულში ინავლება შემოდგომის წვიმიანი დღე.

გაგიმარჯოს

ჩემო ვალიკო!

იმ დღეს ლილოს ბაზარში მუხლამდე ტალახში მივტოპავდით, ჩვენი ჟურნალი რომ გაგვესაღებინა და სტამბის ვალი მაინც გადაგვეხადა.

ისე დავიღალე, ლამის უკან გამობრუნება გადავწყვიტე.

შენ წინ მიდიოდი გრძელი ნაბიჯებით. შენს გამოხუნებულ ქუდსღა ვხედავდი ბაზრულ ჭყლეტა-გნიასში.

ცოტა ნელა იარე-მეთქი, მოგაძახე, მუხლებს ქარი ამოვაღებინომეთქი.

შესდექ, მომიბრუნდი ღიმილით:

აბა, მე რა ვთქვა, ხვალ სამოცდაათი მისრულდებაო.

ისე, სხვათა შორის, დამიგდე და შეტრიალდი.

წამოგეწია სამოცდაათი შენი ქვეყნის უბედურებით გულდაკოდილს, საბაზრო ეკონომიკით დასეტყვილს და სტრიქონთან ჭიდილით დამაშვრალს.

პატიოსანი, მართალი კაცი თუ ვინმეა დღეს, შენცა ხარ – ვალერიან მამუკელაშვილი.

იუმორით აღსავსე, ჯიუტად იმედიანი, გაუტეხელი, უკეთურთა წინააღმდეგ დაუცხრომლად მებრძოლი, კარგი მოთხრობების და პუბლიცისტური წერილების ავტორი.

რა არი სამოცდაათი, მაგრამ რამოდენა გზა გამოგივლია შენი ვეებერთელა ნიანგისფერი პორტფელით. ეს გზა საწაღმართო გზაა. იგი ჩვენს ეროვნულ წისქვილებზე გადის... რედაქციები, კულტურის ცენტრები, მუზეუმები...

მარტო მცხეთის ქალაქ-მუზეუმის აღორძინება-განმტკიცებას რა ჯანი შეალიე.

დინჯი, ბრძენი კახელი ხარ, ჭირში უღალატო, ლხინში სასურველი.

ერთად დავაარსეთ მე და შენ ჟურნალი „ღიმილი“.

შენი გაუნელებელი ენთუზიაზმის ბრალიცაა, ამ ჯიბგირულ დროში, მოქალაქეთა მიერ წიგნის მიმართ გაუცხოვების და მასობრივი გამოკრეტინების ათწლეულში, ჩვენი ჟურნალი რომ ისევ ფეთქავს და ცოტაოდენ ეროვნულ სითბოს მაინც ასხივებს.

მიდიხარ შენ მაღალი, ღონიერი, დაუღლელი, კეთილსაგზლიანი და მოგყვები მეც.

გაგიმარჯოს, ჩემო ვალიკო.

გათოშილი სულის გასათბობად

ამ წიგნში თქვენ წაიკითხავთ ჩვენი დღეების შემზარავ ამბებს, პოეტის მიერ ფარზე აღმართულს და საქვეყნოდ გამზეურებულს: შარაგზის ყაჩაღები საბავშვო ბაღს ძარცვავენ და ბავშვებს უშაქროდ ტოვებენ.

ძმა ძმას ავტომატს უღერებს, გალიგვებულ კერასთან მიმჯდარი ქართველი სტუმარს ემალება... და ამ დროს საოცარი რამ ხდება; პაპა ღვთისავარმა მგელს ტყვია განგებ დააცილა: გაუშვი, წავიდეს, ეგეც ჩემსავით მონადირეაო, რა იყო ეს? ქართული სიქველისა და რაინდობის გამოვლინება ამ, მართლაც რომ, მგლურ დროში?

...ქვეყანა კი მრუდე გზით მიემართება.

საქართველოს უჭირს.

უნიათობა, სიცივე, შიმშილი, ტყუილ-ფლიდობა გამეფებულა ირგვლივ. იმედის ნაპერწკალი ძლივსღა ბჟუტავს.

...და ამ დროს ალექსანდრე დიდებაშვილი წერს ნირვანაში მყოფი პოეტის დატკბილებულ სტრიქონებს კი არა, სამდურავის, შეძახების, გამოღვიძების, გაკიცხვის სტრიქონებს.

ამ სტრიქონებს ავტორი „ღობეზე ჩამოსაკიდ ლექსებს“ არქმევს.

გულწრფელად გეტყვით, მომეწონა და შემეხარბა ეს სათაური.

დიახ, საქართველოს დღეს ღობეზე ჩამოსაკიდი ლექსები სჭირდება.

წაიკითხეთ ალექსანდრე დიდებაშვილის ეს ახალი წიგნი. თუ გსურთ, გაიგონოთ სასოწარკვეთილი ქართველის კვნესა.

თუ კიდევ შეუძლია პოეზიით გათბობა თქვენს გათოშილ სულს.

დიახ, ხუმრობამაც გადაგვარჩინა

მურთაზ აბაშიძემ პირველი ნახატი-ხუმრობები რომ გამოაქვეყნა, ყურთბალიშზე მთვლემარე კომუნისტური ხელისუფლება შეიშმუშნა.

ცხადი იყო: გიგლა ფირცხალავას და ჯემალ ლოლუას მესამე ძმა (უმცროსი ხომ ზღაპრებში ყველაზე მამაცია) შეემატა.

– რა უნდა? – იკითხეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა.

მაშინ ასე სჯეროდათ: თუ თავს წამოსწევდი და „საათივით აწყობილ ქვეყანას“ წკიპურტს წაჰკრავდი, ესე იგი, რაღაც გინდოდა.

მალე გაირკვა, რომ მურთაზ აბაშიძეს არაფერი სურდა, გარდა იმისა, რომ არ შეეძლო, არ ეხატა.

ახალბედა მხატვარი ყელზე დაადგა ოფიციალურ პრესას (სხვა პრესა მაშინ სად იყო), პრობლემად ექცა მთავლიტს და რედაქტორს.

„ნიანგში“ შვიდ ნახატს რომ მიიტანდა, ერთს დაუბეჭდავდნენ და ექვსს შინ ატანდნენ.

– ის ერთიც საკმარისი იყო, რომ ცეკას ბიურო რედაქციის მიმართ ამჯერად „მითითებით“ დაკმაყოფილებულიყო.

მურთაზ აბაშიძე კი იზრდებოდა და იზრდებოდა.

შეიძლება თამამად ითქვას, დღეს იგი საქართველოში ყველაზე მახვილყალმიანი, უშიშარი და გამოჩენილი მხატვარ-კარიკატურისტია.

ამას წინათ ერთ გაზეთში მურთაზ აბაშიძის ასეთ „ხუმრობას“ წავაწყდი.

კაცი წყალში იხრჩობა. ნაპირზე მდგომი ძაფით ღირსების ორდენს აწვდის.

– არ მინდა, ბატონო, ღირსების ორდენი, მაშველი რგოლი გადმომიგდე! – ყვირის დასახრჩობად განწირული.

– არ გეშინია-მეთქი? – ვკითხე.

– იცი, მაგდენი ჭკუა კი აქვთ, რომ ნახატის გამო არ დამიჭირონ და მეტს რას ვაშავებ? – თავისებურად, მოჩვენებით-მიამიტურად მიპასუხა, თორემ მშვენივრად იცის, რომ ამგვარი წკიპურტებით ძილს უფრთხობს იმათ, ვისაც სამიზნედ ამოირჩევს.

თავისი ფასიც მშვენივრად იცის.

ყოველთვის მინდა ვუპატრონო, რამეში გამოვადგე, რაკიღა ვიცი, რომ ოდენ პროფესიონალური მხატვრობით დღეს თავის დარჩენა ძნელია. არა და, მურთაზი სწორედ, თავისი ხალხის საუკეთესო შვილების მსგავსად, პატიოსნად, ღარიბულად ცხოვრობს.

მოვაწყე ერთგან რედაქციაში მხატვრად. მცირე ხელფასით, მაგრამ მაინც ხელფასით.

ორი თვის მერე შემხვდა.

– ისი... წამევედი იქიდან. ჩემს ნახატებს პატარ-პატარას ბეჭდავდა. წარწერა ლუპით უნდა წაგეკითხა, თავის სისულელეებს კი დიდი შრიფტით აწყობდა.

ვირბინე, ვირბინე და, როგორც იქნა, სხვაგან ვუშოვე შტატი.

სამ თვეში ისევ უმუშევარია.

ახლა რაღა ბზიკმა გიკბინა-მეთქი, ვკითხე.

– ისი... რედაქტორმა თემების მოცემა დამიწყო, – იღიმება, – თუ გავბედავდი და ვეტყოდი, – ეგ კი მართალია, მაგრამ ხუმრობა არ არის შით და ვერ დავხატავ-მეთქი, წყინდა. ავდექი და გავერიდე.

სადაც უნდა შევხვდეთ, კუთხეში მივდგებით, გაცვეთილ საქაღალდეს გაშლის და წუთის შემდეგ ორივენი ვხარხარებთ, მე – მისი უბადლო ნიჭის გამო, ის კი კმაყოფილი იმით, რომ გამაცინა.

მოდი და ასეთ რამეზე ნუ გაიცინებ:

კარებში სამი ნიღბიანი ბანდიტი დგას:

მოხუცი ქალი – მობრძანდით ბატონო, მარა ფული კი არა, უთოც არა მაქვს, რომ გამაუთავოთ!

ეს ერთი. ახლა მეორე „ხუმრობა“.

ცელიანი სიკვდილი მინისტრის მისაღებში:

– მინისტრმა მთხოვა, ბიუჯეტი შეგვიმცირეს და პენსიონერების გაწყვეტაში დამეხმარეო.

მესამე „ხუმრობა“.

კაცი ორთქლმავლის საჭესთან:

– ორთქლმავალი კი მოვიპარე, მაგრამ თურქეთში რანაირად გავიტანო გასაყიდად?

„ხუმრობა“ მეოთხე.

სხდომის თავმჯდომარე:

– რა უნდა ელაპარაკო, ასეთ ოპოზიციას. ჩვენ დიდი ნავთობის გადაქაჩვაზე ვლაპარაკობთ, ეს კი მეკითხება, კანალიზაციის მილი გაგვისკდა და რა გვეშველებაო.

„ხუმრობა“ მეხუთე.

სმენაზე გაჭიმულ პოლიციელებს სამმართველოს უფროსი მიმართავს:

– კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად ადგილზე იარ!

მეექვსე „ხუმრობაზე“ ლამის სული შემიგუბდეს სიცილისაგან.

ორი გაუბედურებული კაცი დგას:

– მეშველა, რავაც იქნა. ცოლი თურქეთში მომიწყო ჟვანიამ, ბოზის ადგილი უშოვა.

მერე და მერე, სიცილისგან სულს რომ მოვითქვამ, იწყება ჩვენი შეხვედრის მთავარი და სერიოზული ნაწილი.

– სად წევიღო, ვის მივუტანო, სად დავაბინაო?

ის რედაქტორი გაბედულია, მაგრამ იუმორის გრძნობა არა აქვს, იმას ნახატი-ხუმრობები არ უყვარს, ის ქვეშეფსიაა, შეშინდება, ის დაბეჭდავს, მარა სულ ეგ ვაწუხო?

ვუხსნი, ვაგულიანებ, შენი მისვლით არავის აწუხებ. პირიქით, შენი

გამოჩენა ყოველი ნამუსიანი რედაქტორის კაბინეტში მისთვის სიხარულის მომგვრელი უნდა იყოს-მეთქი.

როცა ნახატებს მისამართებზე გავანაწილებთ, მერე იწყება ჩვენი შეხვედრის მესამე, შედარებით ნაკლებადსერიოზული მომენტი.

თვალებს მოწკურავს, ქუდის შიგნით კეფას იფხანს და, ალბათ, მეორიათასედ მეკითხება:

– გაბროვოში იუმორის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები რომ გახდით შენ, ჟვანეცკი, გორინი და არკანოვი, რომელი წელი იყო?

– ოთხმოცდახუთი!

– რატომ არ შეიძლება, იმნაირი, იუმორის მსოფლიო ფესტივალი ბათუმში ან ქუთაისში გავმართოთ. ჩვენ ხომ იუმორის კლასიკური ქვეყანა ვართ.

მეორიათასედ ვპასუხობ.

– რა დროს იუმორის ფესტივალია, მურთაზ, ამ დამშეულ ქვეყანაში, ამ გაუსაძლის დროში...

– ისი... სწორედ მაგიტო გეუბნები. იუმორი მარტო ბრძოლის იარაღი კი არ არის, გაძლების საშუალებაცაა...

ოღონდაც, ჩემო მურთაზ, ოღონდაც.

იუმორის მაღალმა გრძნობამაც გადაგვარჩინა ჩვენ, ქართველები, და საუკუნეთა საშინელი საცრის დგანდგარ-ტაკატუკში აქამდე მოგვიყვანა.

ერის ჭირისუფალი

თუ სადმე ეროვნული სერობაა, ლევან სანიკიძეს მოსაწვევი ბარათი არ სჭირდება.

ფართო ნაბიჯებით, ერთი წერტილისკენ მიმართული მზერით, წელში გამართული გაივლის იგი დერეფანს, შეაღებს კარს და კუთხეში მიდგება.

ტრიბუნიდანაც და დარბაზიდანაც დაიძვრებიან.

„უქარქაშო ხმლების“ ავტორი ხომ არაფერს იტყვის?

სათქმელი როგორ არა აქვს.

ტრიბუნასთან დინჯად, ფიქრაყოლებით მიდის. გზაში პირველ ფრაზებს აწყობს და მაინც მიკროფონთან მცირეხანს გაყუჩდება, თითქოსდა სმენადქცეულ დარბაზს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევსო. მერე მკაფიოდ, ძველქართული ინტონაციით, ქარში და ხევებში ხმანაწრთობი მებაირაღის ხმით იწყებს:

„მე გეტყვით აბა, უარესი დღეც დაგვდგომია, მაგრამ გადავრჩენილვართ, გაგვიძლია“.

ყველა ყველა და მას დაეჯერება.

ლევან სანიკიძე ჰაიჰარად, უსაბუთოდ არაფერს იტყვის.

თითებზე ჩამოსათვლელ საყვარელ წიგნთა შორის მკითხველს თაროზე შორს დასადებად რომ ვერ გაუმეტებია, „უქარქაშო ხმლებიც“ არის.

ახლა, როცა საქართველო იმპერიისგან დამორჩილებულ-დათრგუნვილია, მკითხველი ლევან სანიკიძის მიერ მხატვრულად დაწერილ მატიანეს კოპებშეკრული, მუშტმოკუმული ჩასცქერის და სახვალიო ბრძოლებისათვის ემზადება.

„უქარქაშო ხმლების“ ყველა თავიდან ბრძოლის ყიჟინა და განწირული კივილი მოისმის და, როცა თავისი წარსულის ხილვით გულდაწურულს, ცრემლი დაუბინდავს მზერას, წიგნის ფურცლებიდან ოსტატის ჩურჩული ჩაესმის:

„მაინც კიაფობდა ნაპერწკალი ნაცარმორეულ ქართულ კერაზე.

იმსხვრეოდნენ უქარქაშო ხმლები.

მაგრამ იჭედებოდა ახალთახალი დავითფერულნი, რადგან ჩაუმქრალად ენთო ცეცხლი ქართულ ქურაზე“.

„309 ქართული სირცხვილი“ ჰქვია ლევან სანიკიძის ერთ-ერთ ახალ წიგნს.

„სახელოვან“ ქართულ სირცხვილებზეა იგი დაწერილი.

პირველი სირცხვილია ქრისტეშობამდე მეოთხე საუკუნეში საქართველოს მეფე საურმაგის მიერ თანამემამულეთა დასათრგუნავად ჩრდილოეთ კავკასიიდან ძურძუკთა და ოსთა ჩამოყვანა, ხოლო 309-ე სირცხვილი ბოლშევიკთა მიერ 1921 წ. საქართველოს გაყიდვა-გასხვისება გახლავთ.

შემდგომ, არანაკლებ სახელოვან, ეროვნულ სირცხვილთა შესახებ ამ წიგნში არაფერია თქმული.

ვკითხულობდი ქართულ სირცხვილთა ისტორიას და სიბრაზისაგან ტუჩებს ვიკვნეტდი; შინაომი, ქიშპობა, შური, ამბიციურობა, ზურგში ხანჯლის ჩაცემა.

და მაინც, ვფიქრობდი გულში, სამასცხრავე ისტორიულ სირცხვილს ფარავს დავითისა და თამარის ხანა, „ვეფხისტყაოსანი“, ალავერდი, ვარძია, სვეტიცხოველი...

არც კი ვიცი, სხვაგან დაწერილა თუ არა წიგნი დიდ ეროვნულ სირცხვილებზე, არადა, ყველა ერის ისტორია სავსეა მსგავსი მაგალითებით.

თუ სხვა ქვეყნებში არ შექმნილა მსგავსი წიგნი, მით უმეტეს დიდია „309 სირცხვილის“ მნიშვნელობა.

მერე რაა, რომ ისტორიის ანალებიდან ამოკრეფილი და ერთად დალაგებული 309 სირცხვილი შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს, სამაგიეროდ, სახელოვანი მწერალი დიდ გაკვეთილ-რჩევას გვაძლევს იმისას, თუ როგორ არ უნდა ვიცხოვროთ, რა შეცდომები არ უნდა დავუშვათ.

ამიტომაც დიდია ამ წიგნის ზნეობრივი მნიშვნელობა.

თუ ამ ათიოდე წლის წინათ „უქარქაშო ხმლებით“ ლევან სანიკიძემ ეროვნული სიამაყე მოგვგვარა და თვითრწმენა განგვიმტკიცა, ახლა ჩვენი ისტორიის სამარცხვინო ფურცლებიც გადაგვიშალა და მწარედ ჩაგვაფიქრა.

„309 სირცხვილიც“ სწორედ რომ „უქარქაშო ხმლების“ ავტორს უნდა დაეწერა.

ლევან სანიკიძე მძაფრი ვნებების, ვაჟკაცობის, სამშობლოსათვის თავდადების აპოლოგეტია.

„უქარქაშო ხმლებით“, „დედა ისტორიით“, „გიორგი ათონელის საველრებლით“, „მოწამეთა წიგნით“ „სამას-სამასით“, „გიორგი საakაძით“ „მესამე დასის საქართველოთი“ ხომ ქართველად მოქცევის დრამატულ ისტორიას, ქართული სულის უკვდავებას უმღერა, ალექსანდრე მაკედონელის, იულიუს კეისრის ანტიკური საბერძნეთის და რომის ისტორიაც იმდენად იყო მისი ყურადღების საგანი, რამდენადაც დიდთა სახელთა მატიანეში თავისი ხალხისთვის საგულისხმო რასმე აღმოაჩენდა.

ქართულ თეატრს ათეული წლების განმავლობაში ამშვენებდა ლევან სანიკიძის ჰეროიზმითა და ზომიერი, მაღალი იუმორით დამუხტული პიესები: „გაიუს გრაკხუსი“, „მედეა“, „ნერონი“, „ქუთათურები“, „ყივჩაღი შემომეყარა“, „არქეოლოგიური ქრონიკა“.

ქართულ პრესას ორმოცდაათი წელია მოჰყვება ლევან სანიკიძის მგზნებარე პუბლიცისტიკაც.

რაზე ტეხს განგაშს, რას ჩასძახის მოყვასს ერის ჭირისუფალი?

„– კერია არ მოშალოთ, ფუტი არ გააცივოთ, წმინდა საფლავებს მოუარეთ, ძმამ ძმაზე ხელი არ აღმართოს, მტერი არ გააცინოთ, პარტახი არ გაამრავლოთ, ქართული ფენომენი გავაძლიეროთ, გავმრავლდეთ, შურმა არ გვძლიოს...“

თვითონაც ამ პრინციპებით ცხოვრობს.

ერის ბედზე პასუხისმგებლად თვლის თავს და ქვეგამხედვართა, მედროვეთა წინაშე წარბებაწევით საუბარს, ავ მუსაიფსაც არ ერიდება.

მის ოთარაანთქვრივულ პირშიმთქმელობას, უკომპრომისობას და მაღალპატრიოტულ განწყობას მაგალითის ძალა აქვს და არაერთ გზასაცდენილს საწაღმართოდ მოაქცევს ხოლმე.

ნუ გაიხარებენ თანამედროვე საქართველოს წყლულთა მხილველი მტრები.

ერი, რომელსაც ლევან სანიკიძე ჰყავს, ღვთისაგან განწირული არ არის!

გამომცემლობის ლომი

ვინც ბატონ ვალერიან გამყრელიძეს იცნობდა, არ შეიძლება, არ დამახსოვრებოდა მისი სიცილი. გულიანი სიცილი იცოდა.

რა დიდებული თქმაა „გულიანი სიცილი“ და რა ზუსტად გამოხატავს მოვლენას.

სწორედ რომ, გულიანად მოდიოდა მისი სიცილი. სახე გაუნათდებოდა.

თავს უკან კი არ გადასწევდა, როგორც ხარხარის დროს იციან ხოლმე, პირიქით, თავჩაქინდრული იცინოდა... შემოგხედავდა და უფრო და უფრო უმატებდა სიცილს. ლამაზად იცინოდა, უხდებოდა სიცილი.

სწორედ რომ, გადამდები სიცილით იცინოდა.

ვერც მიუხვდებოდი, რაზე უფრო იცინოდა, იმაზე, რაც შენ, თითქოსდა (შენი ჭკუით), სასაცილო რამ უამბე, თუ უფრო იმაზე, რაც უამბე, სწორედ შენ რომ მიგაჩნდა სასაცილოდ.

უმშვენიერესი სანახავი იყო, როცა იცინოდა გამომცემლობის ლომი და ქართული წიგნის მაესტრო.

გათვალიერებდა სიცილის დროს; თითქოსდა, მადლობას გიხდიდა, რომ ამ პირქუშ დროში სიცილის ერთი წამი აჩუქე.

ჩვენი შეხვედრები ყოველთვის მოკითხვა-სალმებით იწყებოდა და „დაუჩქარე, დაუჩქარეთი“ მთავრდებოდა.

როცა ვკითხავდი: ხომ კმაყოფილი ბრძანდებით, ახალ „ბინაში“ ხომ ეტევა გამომცემლობა-მეთქი, სინანულით მეტყოდა:

„საერთოდ კი, მაგრამ პირველი კორპუსი მაინც სხვააო. რაც იქეთ გადამაგდეს, ხშირად ვეღარ ჩამოვდივარ ხოლმეო“.

პირველ კორპუსში შემორბენილი (საოცრად ჩქარი სიარული იცოდა) თვალის დახამხამებაში შემოივლიდა მისთვის სასურველ კაბინეტებს და დეკანატებს.

თუ მოვკრავდი თვალს რექტორის კაბინეტიდან „სიჩქარეაღებულს“, იმწუთშივე ავედევნებოდი.

წამის მესამედს დამითმობდა პირზე კოცნისთვის. გაუჩერებლად, სირბილ-სირბილში მკითხავდა:

„რა შვრები, როდის მოგაქვს?“

„ჯერ აწყობაც არ დაუწყიათ-მეთქი“, შევჩივლებდი.

„კაცო, შენ იმას თავი დაანებე, ახალი, ახალი როდის მოგაქვს?“ „ვკრებ მასალებს, ნოემბრამდე მოვიტან“. „დაუჩქარე, დაუჩქარე!“, დამიგდებდა ამ ორ სიტყვა-დავალებას და სტამბის კიბეებს ჩაირბენდა, საამწყობო საამქროს გამგისთვის რომ „ჭირი მოეჭამა“.

„ააწყვეთ დროზე „პირველი სხივი“, შემჭამეს ბავშვებმა, მტერი ჩავარდა ახალგაზრდა მწერლების ყბაშიო“.

ოცდახუთი წელი ახალგაზრდა მწერალთა ჟურნალ „პირველ სხივს“

ვრედაქტორობ და, ბატონი ვალერიანის დიდის რუდუნებით „პირველი სხივის“ არც ერთი ნომერი არ ჩავარდნილა.

დამწყებ ლიტერატორთა თანადგომას ღირსების საქმედ თვლიდა.

სიყვარულით გადაფურცლავდა ასაწყობად მიტანილ კრებულს, ალაგ-ალაგ თვალს ჩაჰკრავდა, მერე შემომხედავდა და მისებურად, თვალებმონკურვით, შეთქმულივით მკითხავდა:

„არის ვინმე? მოდის?“

„არიან, სხვათა შორის, ამ ბოლო დროს კარგი ლიტერატორები მოვიდნენ“.

„ვინ, მაინც?“

გვარებს რომ დავუსახელებდი, სარჩევში მოძებნიდა და ჩაიკითხავდა.

კითხვის დროს თავს კმაყოფილებით აქნევდა, შიგადაშიგ: „ეს კარგია, ამას არა უშავს, შენ საერთოდ ნურცერთს ნუ გაათამამებ, გზას ნუ გაუიოლებ“.

ბატონი ვალერიანისეული განუმეორებელი სიცილის ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო:

სტამბაში ნიკო ბერძენიშვილი შემხვდა: „მთავლიტს „პირველი სხივი“ გამოუბრუნებია და ბატონი ვალერიანი გიბარებსო“.

მივედი. ქაღალდებში იყო ჩაფლული, სკამზე მიმითითა და კარგა ხანს ჩემკენ არ გამოუხედავს.

ნელ-ნელა გავაპარე თვალი.

მთავლიტის მიერ „დაჩეხილ“ „პირველ სხივს“ კითხულობდა. გულდასმით, ტუჩების მოძრაობით, ჩაკეცილ გვერდებს დაუბრუნდებოდა და სტრიქონ-სტრიქონ „ყლაპავდა“, პაუზის დროს ჭერს აღაპყრობდა თვალს.

ბოლოს, როცა მეგონა, საერთოდ დავავიწყდი-მეთქი, შემომხედა და კარგა ხანს მრავალმნიშვნელოვნად მიყურა.

– კიდევ კარგი, რომ გამოჩნდი.

გისმეთ-მეთქი, ბატონო ვალერიან.

– გადავიკითხე ეს ყველაფერი ხელახლა, ამ სახით ვერ გამოვცემთ. ნამეტანი მიგიშვია ბავშვები. ეს გასწავლა ბესომ? ბესო რომ „ალმანახს“ მოიტანდა, სტრიქონი არ იყო საორჭოფო შიგ. მიგვიხურავენ ამ „პირველ სხივს“ და ეგ იქნება.

მთავლიტზე არაფერს მეუბნება. მთავლიტის ხსენება საერთოდ აკრძალული იყო.

მეც არ ვიმჩნევ, რომ „პირველი სხივის“ შეჩერება ბატონი ვალერიანის მიერ ჟურნალის „ხელახალი გადაკითხვის“ ბრალი არ არის.

ეჭვიანად შემომხედა.

– შენ ახლა... შენ თვითონ მოხვედი, თუ გაგაფრთხილა ვინმემ?

– ჩემით მოვედი.

რამდენადაც მოუხერხდა, ნაწყენი კაცის ნიღაბი აიფარა ლამაზ სახეზე.

– არ შეიძლება ასე, ჩემო კარგო. შენ ახალგაზრდა ხარ და წინ უნდა წახვიდე. ფრთხილად უნდა ვიყოთ, რა ამბავია, ერთ ნომერში ოთხი ლექსი ეკლესიაზე. ამ ახალგაზრდა პოეტებმა ოხვრის მეტი არაფერი იციან? ან ეს კობეშავიძე რომ წერს: „ჟანგმა შეჭამა დავითფერულიო“, მკითხველმა რა ქნას, მაგალითად? ხმალი თუ ჟანგმა შეჭამა, ლექსი უშველის? გავწმინდოთ, გავხეხოთ, გავლესოთ და ეგ იქნება.

ამას რომ მეუბნება, ათასი ეშმაკი ჰყავს თვალებში, მათვალიერებს, აბა, რა შთაბეჭდილებას მოახდენს მისი ნათქვამი. უკან დამხევი ვარ თუ არა:

– ბატონო ვალერიან, შარის მოდება ყველა სტრიქონზე შეიძლება. მითხრან მაშინ, რამდენი ლექსი შეიძლება ეკლესიაზე, მაგათ ცხრა პარასკევი აქვთ კვირაში.

– ვინ მაგათ?

– კარგად იცით თქვენ, ვისაც ვგულისხმობ. იმ „ოხვრებს“ ყველას დავაკვირდი რედაქტორობის დროს. არსად არაა სოციალური ოხვრა, რისიც მაგათ ეშინიათ. სასიყვარულო ოხვრებია პატარ-პატარა. ესეც არ შეიძლება! დავითფერულს რაც შეეხება, პოეტი ამბობს: ზოგიერთ მუზეუმში ისტორიულ ექსპონატებს სათანადოთ არ უვლიანო, ამიტომ აწუხებს დავითფერული, ხმალი გავლესოთ და დავერიოთ მტერსო, უწერია სადმე?

ჯერ გაკვირვებით შემომხედა და უეცრად ჰომერული ხარხარი აუტყდა, თვალში ცრემლი ჩაუდგა, ისე გამეტებით, მქუხარედ იცინოდა, მეც გადამედო მისი ლაღი, მძლეთამძლე სიცილი.

– შენ ვინ ყოფილხარ! ეს რა მითხარი. პატარ-პატარა ამოოხვრებია, აბა?! არ არის საშიში?! წვრილმანი კვნესაა მხოლოდ?! აგაშენა ღმერთმა. არ უვლიან მუზეუმებში ექსპონატებს ხომ? იჟანგება ხმლები და ამაზე წუხს პოეტი? აგაშენა ღმერთმა, მეც არ ვთქვი?! მეც არა ვთქვი?!

სიცილი მოწყვიტა. ცრემლი მოიწმინდა. შემომხედა და ისევ ახარხარდა.

როდის-როდის მოერია თავს, ცოტა ხანს გაჩუმდა და წყნარად, შეთქმულივით მითხრა:

– ა, შემომხედე... მაგათთან ომმა გამითეთრა ეს თმები. გაგიგონია შენ: „პატარა მელია დიდ მელიას ატყუებდაო?“ მე კი ვიცი, ერთი დამწყები პოეტის ამოოხვრა ქვეყანას რომ არ დააქცევს, მაგრამ იმათ იციან? ა, წაიღე ეს და სადაც ჩაკეცილია, ის ადგილები შეარბილე. ძალიან არა. ისე, სათქმელად, ფიცში ჩასაყოლებლად. ვითომ წავიმუშავეთ ჩვენც ავტორებთან. ხმლის დაჟანგვა იყოს, თუ ძალიან გინდა, მაგრამ ლექსს ან სათაური შევუცვალოთ, ან ეპიგრაფად მივაწეროთ: „ზოგიერთი მუზეუმის მუშაკს“, ა? მიმხვედრი მაინც მიხვდება... ისე, კაი ჯიბგირი ხარ შენც!

იღლიაში „პირველსხივამოჩრილი“ კისრისტეხით ჩამოვრბოდი კიბეზე.

ვიცოდი, ალმანახის ახალი ნომერი გადარჩენილი იყო.

წინათქმა დავით ნავდარაშვილის წიგნისა

დავით ნავდარაშვილო!

ამ წიგნში შენს ვეებერთელა დარდს ეჭიდები.

ხრავს შენს გულს ეგ დარდი, მაგრამ ჯერ ვერ მოგრევია, არ გაღუნულხარ, ხმაში ბზარი არ შეგპარვია.

ამ წერილს შენი კოლეგა და მეგობარი გწერს.

ღმერთმა ისე ინება, რომ ორივეს შვილდაკარგული მამები გვქვია. ხომ აქამდეც გვესმოდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად გვესმის ერთმანეთისა.

ვისაც შვილი არ დაუკარგავს, ის ჩვენს წუხილს ვერ გაიგებს. ღმერთმა ნურც გააგებინოს, ნურც გამოაცდევინოს.

კარგი წიგნი დაგიწერია.

ხომ ხედავ, ტირილსაც შეფასება უნდა თურმე, ამიტომაც წამომცდა, კარგი წიგნი დაგიწერია-მეთქი. თორემ, კაცმა რომ თქვას; ვაჟკაცმა ვაჟკაცს როგორ უნდა უთხრას, რა ლამაზად სტირიო.

მე შენ ვაჟკაცად გიცნობ... ჩაუქ კაცად, სიტყვის კაცად, მალამო კაცად... სხვისი ხვაშიადის გამზიარებლად, შენი ჰაის შეძახილები და გამხნევებები მახსოვს... შენი ცეცხლოვანი გამოსვლები მახსოვს... შენი გრიგალა ლექსები ზეპირად ვიცი.

ახლა სვეტიცხოველში, ჯვარცმასთან მდგარს, თვალცრემლიანს გხედავ ხოლმე კელაპტრით ხელში.

ჰო... ეგრე... კაცს სევდა უხდება კიდეც, მაგრამ სევდამ არ უნდა შეგჭამოს, არ დაგაძაბუნოს.

ჩვენ ხომ ჩვენს ბედისწერაში ვერაფერს შევცვლით.

მაცხოვრის თქმისა არ იყოს, ერთი ღერი თმის გათეთრებაც არ შეგვიძლია თავზე.

დარდმორეული, მტირალა კაცი ცუდი სანახავია. საწყალობელი... მტერი არ უნდა გავახაროთ.

მე შენზე ექვსი წლით ადრე დამსეტყვა ბუნებამ, ესე იგი, მაქვს მორალური უფლება, „გამოცდილება“ გაგიზიარო.

ხომ ხედავ, ტკივილმა ფარ-ხმალი ვერ დამაყრევინა, ისევ ვნამგალვხანჯლობ, ჩემს საყვირალს გავყვირი, ხალხში ვურევივარ, კალამსაც არ ვასვენებ...

გვიან ღამით, წუთისოფლის ჯღანჯღარისგან დაღლილ-გასავათებული, კარს რომ მივიკეტავ და ჩემს ბალიშზე მივეგდები, მაშინ მიველემი ხოლმე ჩემს უსაშველო დარდს, მაგრამ ქვეყანა მტირალ რევაზ მიშველაძეს ვერ ხედავს.

ეგ კი, ვინ იცის, იქნებ სხვებისთვისაც იმედია.

ამ წერილს შენი ახალი წიგნის წინათქმად გიგზავნი.

იქნებ ჩემმა სიყვარულ-თანაგრძნობამაც ამ შენს გულმდუღარე ლექს-ტირილს მკითხველისკენ გზა გაუნათოს.

აბა შენ იცი, დარდს არ გაეთელვინო.

მალე ჩამოგაკითხავ მცხეთაში და ერთიც გავიაროთ, ზედაზნიდან გადმოვხედოთ ჩვენს ბედკრულ მამულს.

წინათქმა პაატა შამუგიას წიგნისა

1993 წელს რუსმა ქართველები აფხაზეთიდან რომ გამოყარა, დევნილ ქართველთა შორის გალელი როსტომ შამუგიაც იყო.

როსტომს ლტოლვილის მწარე პური რუსთაველის პროსპექტზე არ უძებნია, დამამცირებლად მიიჩნია მეჯიხურე-მეწვრილმანის იძულებითი საქმე, დღიური ლუკმის საშოვნელად რომ ეწევიან მისი თანაბედელნი, სოფელი დიდიაო, თქვა, მოკიდა თავის სამ პატარა ბიჭს ხელი და დედაწულიანად კახეთს მიაშურა.

შუაგულ კახეთში, ვეჯინში, თბილად მიიღეს, რომ იტყვიან, უბეში შეიფარეს როსტომ შამუგიას ოჯახი კახელებმა.

დაასახლეს, დააპურეს, მარჩენალი მიწა გამოუყვეს...

როსტომმაც ხელი გამოიღო და ცხოვრობს ახლა შამუგიების მრავალრიცხოვანი ოჯახი კახეთში.

შენ კახელდები თუ კახელებს ამეგრელებ-მეთქი, ხუმრობით ვკითხე.

ხან როგორა და ხან როგორო, ღიმილით მიპასუხა.

როსტომის შუათანა ბიჭი, მაღალი, მკვირცხლფეხება, მიმინოსცხვირა პაატა შამუგია ჩვიდმეტი წლის არის და, რაც მთავარია, შესანიშნავ ლექსებს წერს.

ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა უკვე გააცნო თავი მკითხველს გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, „უსამანო გზა“ კი მისი პირველი წიგნია.

ჩვიდმეტ წლამდე მოასწრო ამ ფაქიზი ბუნების, გულიანმა ბიჭმა, ენახა ადგილის დედასთან, ტოლ-სწორებთან განშორების სიმწარე, გამოევლო დევნილთა გოლგოთის გზა, ეგრძნო შიმშილიც და კეთილ თვისტომთა უანგაროდ გამოწვდილი პურის გემო.

ეს ყოველივე პაატა შამუგიას ლექსებში აისახა.

ჭეშმარიტ სახეობრიობას, უშუალობას, დახვეწილ სტრიქონს, ამღერებულ რიტმს სევდაც ახლავს.

ეს იდუმალი დვრიტა და გულწრფელი დარდი პაატას პოეზიის თანამგზავრია. იგი ლექსს დრამატიზმს მატებს და მკითხველის ინტერესს იწვევს.

ვულოცავ ჩემს ქვეყანას პაატა შამუგიას სახით ერთი მართალი პოეტის დაბადებას.

ამღერებულ რითმებზე მონადირე

ჩემი თაობის მწერლებს კარგა ხანია დაათოვა წლებმა იმ თოვლით, არასოდეს რომ არ დნება და გაზაფხულის ნიაღვრებს რომ აღარ ემორჩილება.

მალე დაუბერავს ულმობელი დროის ქარბორია და შემოდგომის ფოთოლივით აგვაქანავებს.

ჩვენმა სასტიკმა ეპოქამ ჯერ იყო და მწკრივში ჩაგვაყენა ლიტერატურის ურა კვიცები, ულმობლად გვხდენა და გვათრია, მერე, ვინც მათრახის ტკაცუნს არ დაემორჩილა, ურჩ აღსაზრდელებად მიგვიჩნია, ფარზე აგვზიდა და მიგვატოვა.

ფარზე აზიდულთა შორის ერთი გამორჩეული – ჯემალ ინჯია გახლავთ.

ამ ლომისფაფარა პოეტში კოლხის დახვეწილობა და ქართლელის პირდაპირობა საოცარი ჰარმონიით შერწყმია ერთურთს.

ალალი, მიმნდობი, უეშმაკო, ნიადაგ შთაგონებული, ამღერებულ რითმებზე მონადირე, თავიდან ფეხებამდე ლიტერატურული კერპით მონუსხული, ყელამდე ჩაფლული სიტყვის წიაღში – ასეთია ჯემალ ინჯია.

მთელი ცხოვრება დიოგენივით ჭეშმარიტ კაცებს დაეძებს. ამ ძებნაში ადამიანთა ხან ერთ ჯგუფს მიეახლება და ხან მეორეს... უამური სახით, შეწუხებული თვალებით გამოშორდება ავადმოუბართ და უკვირს; ლექსის, სიყვარულის, სათნოების გარდა სხვაც რომ აქვთ მავანთ სასაუბრო და საზრუნავი. რამ გაუცივათო გული, რანაირად ძლებენ, წელიწადი მთელი ისე ჩაივლის ზოგიერთისთვის – წიგნს რომ არ გადაშლიან და ჯავარსიტყვას რომ არ ჩაჰკრავენო თვალს.

სასტიკი დროა-მეთქი, ზემოთ მოგახსენეთ.

იყო კი ოდესმე ჭეშმარიტი პოეტისთვის პოეტურად მლმობელი და მყუდრო ეპოქა?

არ ვუფრთხილდებით, არა, პოეტის ნერვებს. მის ფაქიზ სულში, პრაქტიციზმის ტლანქ ხელებს ვაფათურებთ და ოდენ გარდასულ შემოქმედზე გვჩვევია სინანულის თითზე კბენანი.

ემსახურა თავის ქვეყანას მართალი, მგზნებარე, ლამაზი სიტყვით ჯემალ ინჯია.

გამოატარა თავისი ოცი წიგნი ცენზურის ლაბირინთებში და ორივე ხელით მოგვიტანა გულის სისხლით გამთბარი ეს ძვირფასი ტვირთი, მაგიდაზე დაგვიდო და მორცხვად განზე გადგა.

თანამედროვეთაგან ნურვინ დაიტრაბახებს, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება კარგად ვიცი, პირველი სტრიქონებიდანვე თვალს ვადევნებო.

ვერავინ ვერავის მიადევნებს თვალს, მით უმეტეს იმ დროში, როცა აისბერგის მსგავსად მწერლის შემოქმედების ერთ მესამედს ხვდება წილად მწვანე შუქი, ორი მესამედი კი სკივრში რჩება.

ჯემალ ინჯია არა მხოლოდ მხატვრული სიტყვით გუშაგობს საქართველოს. იგი უანგარო საზოგადო მოღვაწე გახლავთ, ათეული წლების განმავლობაში თავკაცობს საქართველოს მწერალთა კავშირის ქართლის განყოფილებას.

ოთხი ტომი შეადგინა ჯემალ ინჯიას თხზულებებმა; ორი ტომი ლექსებისა, ერთი ლიტერატურულმა წერილებმა და პუბლიცისტიკამ, ერთიც თარგმანებმა (ესენინი, მაიაკოვსკი, ბლოკი, პუშკინი, ედგარ პო...).

წავიკითხე თავიდან ბოლომდე ნიჭიერი მწერლის ნაჯაფარ-ნაკალმარი, კალეიდოსკოპივით გავადევნე თვალი მის მიერ ნამუსიანად გავლილ გზას ჭეშმარიტი მწერლისას და ჩემს თავს გამოვუტყდი: ჯემალ ინჯიას თურმე აქამდე კარგად არ ვიცნობდი. ეჭვი არ მეპარება, ამას იტყვის მკითხველიც, ამ ოთხტომეულს რომ წაიკითხავს.

ეს, რაც შეეხება მწერლობას.

მაგრამ ვის გაუყვია ერთმანეთისგან მწერალი და პიროვნება, მით უმეტეს, როცა ჯემალ ინჯიასთან ფრიად სასიამოვნო გარემოებას უნდა გავუსვა ხაზი – პოეტი საზოგადო მოღვაწე; ეს ორი ფენომენი ერთმანეთს ერწყმის და აწონასწორებს მის პიროვნებებაში.

განა ცოტა ნიჭიერმა მწერალმა შეირცხვინა თავი უკანასკნელ წლებში ხელმწიფის ნავში ძრომა-ხტომით და საქართველოს თავისუფლების განსყიდვის ქარტიაზე ხელმოწერით.

ჯემალ ინჯია მტკიცედ იდგა. კონიუნქტურის მტვერი არ გაკარებია მის პოეტურ სულს. ლერწამივით არ გახრილა და თბილი ყურეები არ უძებნია.

მის გულზეც გადაიარა ოთხმოცდაათიანი წლების ქარაშოტებმა და ახლა ამ წიგნში ეულად მდგარს, სევდამორეულს და დაპყრობილი სამშობლოს ბედით მგლოვიარეს ხანდახან იმედის სხივი გადაურბენს სახეზე...

ჯემალ ინჯიას უფლება აქვს წელში გამართული შეხვდეს თავისი ქვეყნის განთიადს, საეჭვოდ რომ იგვიანებს მეკობრული საუკუნის წიაღ და წიაღ.

...მან კაცურად იცხოვრა.

„ასი ახალი ნოველის“ წინათქმა

ამ ბოლო, ხუთ წელიწადში ჩემმა სამშობლომ მთელი თავისი ძნელბედი ისტორიის აჩქარებულ-აკუმულირებული სვე გაიარა.

ეროვნული რევოლუცია... სამწლიანი თავისუფლება... ქვეყნის არსებობის მთელ მანძილზე საშინელი ომი ყველაზე დიდ მტერთან – რუსეთთან... სამოქალაქო ომი... ქართველ მარიონეტთა დახმარებით საქართველოს ხელახალი ანექსია.

სირცხვილით ვიწვი, რა სიამაყით ჰყვებიან ხელისუფალნი, თუ როგორ ჩაუჯდნენ ჯალათ ბალტინს ტანკში და როგორ შემოგრიხინდნენ ზუგდიდში.

საქართველოს და ჩემი პირადი (სამამულო ომში ერთადერთი შვილის დაღუპვა) უბედურებით გამოწვეული სტრესის გამო ერთხანს კალმის დანახვა მეჯავრებოდა.

მეჩვენებოდა, რომ ყოველივე ამაო იყო და წყალში გადასაყრელად მემეტებოდა აქამდე წვითა და დაგვით დაწერილი ჩემი ორმოციოდე წიგნი.

ერთ დღეს „შანსის“ რედაქტორი მეწვია და მთხოვა, გაზეთის ყოველი ნომრისათვის თითო ახალი ნოველა მიმეწოდებინა. ეს მკითხველთა დაჟინებული თხოვნაა, ყველა ყველა და, თქვენ არა გაქვთ გაჩუმების უფლებაო.

არ ვიცი, მკითხველთა სურვილი რამდენად უმაგრებდა ზურგს ამ თხოვნას, მაგრამ შევთანხმდით, რომ ას უახლეს ნოველას ერთიმეორეზე ნომერგაუშვებლად მივაწვდიდი გაზეთს.

ჩემს თავს ვაჯობე.

კვირაში სამჯერ გამოდის „შანსი“, ე. ი. კვირაში სამ ნოველას ვწერდი.

სხვა შემთხვევაში ას ნოველას ჩვეულებრივ, ალბათ, ხუთ წელიწადზე ადრე ვერ დავწერდი.

გაზეთი მიმარბენინებდა, მაგრამ ვცდილობდი, მხატვრულ პროზაში ჟურნალიზმი არ შემპარვოდა, მოვლენათა ცხელ კვალზე დაწერილ ნოველებს ნაჩქარევობა არ დატყობოდა.

ეს კი ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვდა.

დავიღალე, მაგრამ პირობა შევასრულე.

არც კი ვიცი, არის თუ არა სხვა მაგალითი, მწერალს თითქმის მთელი წლის განმავლობაში გაზეთის ყველა ნომერში თითო ნოველა დაებეჭდოს.

მომიტევოს მკითხველმა და ამ წიგნის ავტორს გულწრფელად აქვს დაპყრობილ-გათელილი, გაყიდული საქართველოს ყოველდღიურობის მხატვრული მატიანის შექმნის პრეტენზია.

თეიმურაზ ლანჩავა – 50

ჩემო თეიმურაზ!

იმ რჩეულ მწერალთა შორის მეგულები, ვისაც ერთი სტრიქონითაც გამოვიცნობ. შენი კაზმული სიტყვის გრძნეული სკივრი ცალკე დგას ქართულ ლიტერატურაში; იგი შენეული ფერებით, ხმებით, ხასიათებითაა სავსე.

სიტყვას ჰაიჰარად არ ისვრი, კალამს მხოლოდ მაშინ კიდებ ხელს, შენეული, კონკრეტული სათქმელი რომ მოგეძალება. შენი ნოველის ერთი სიუჟეტი მეორეს არა ჰგავს. ეს ჭეშმარიტი მწერლის თვისებაა. სიკეთის შუქი ჩაღვრილა შენს ნაწერებში. მიტევების, სიყვარულის, თანალმობის, მოფერების, დანდობა-გატანის მწერალი ხარ.

კატეგორიული, სხვათა ხმამაღლა მოსამართლე-განმკითხავი არა ხარ ხოლმე შენს ლიტერატურულ განსჯა-ხატვაში. არ ჰყვირი და გულზე ხელს არ იბრაგუნებ. მიანიშნებ, სიმართლისკენ მოახედებ მკითხველს და ჩუმად, მორცხვობაგარეული ღიმილით მოძღვრავ – თუ დამიჯერებ, არ წააგებ, ჩემო კეთილო, თუ არა და, შენი საქმე შენ იციო.

ესეც ჭეშმარიტი, ნამდვილი მწერლის თვისებაა.

მედროვე მწერალი არა ხარ. შენს სიტყვას ფასს სდებ, იცი, რომ გაფრენილ სიტყვას ქამანდით ვეღარ დაიბრუნებ და ისიც კარგად მოგეხსენება, მწერალი ერის სულიერ მებაირახტრეს რომ ჰქვია და დროის დუდუკზე დაროკება რომ არ ეკადრება.

დიდი გამოცდა მოუწყო ბოლო ხუთწლეულმა ქართველ მწერალს. შენ იცი, ბევრმა ჩვენმა „სახელოვანმა“ თანამოკალმემ ვერ დაიჭირა ეს გამოცდა და თავი შეირცხვინა, ლამის წყალში გადაყარა ათეული წლების განმავლობაში ნაქსოვ-ნაგვირისტალი, ერი რომ გვერდით დადგომას სთხოვდა, სწორედ მაშინ ნასძლია სულმა და მარიონეტთა ბანაკში აღმოჩნდა.

შენ იმთავითვე სწორი ეროვნული პოზიცია გეჭირა და შენს სწორ-ფერ-მეგობართა რაზმსაც გადასდე შენი განწყობილება, როგორც შემიტყვია და, რა ჩემი შეტყობა უნდა, ქვეყანამ დაინახა.

მადლობელი ვარ ჩვენი დიდი მამის, წმინდა ილიას, კვალში დგომისთვის, შენი მეზობელ-მასწავლებლების – დავით კლდიაშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის იდეების ერთგულებისთვის.

ორმოცდაათს დაღვინებული, ხელდამშვენებული შეხვდი.

პროფესიონალი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ხარ.

შენს ხმას ქვეყანა ისმენს და ელის. მჯერა, შენი სინდისის ხმა არასოდეს გიღალატებს და განზე არ გაგახედვინებს.

„მაგრად დექ“. წინ მეორე ორმოცდაათწლეული და მონობისგან დასახსნელი საქართველოა.

სიკვდილშიც ვაჟკაცი

სულ შემართული, სულ ანთებული, სულ აღგზნებული...

„გაიგე?“ მკითხავდი და ჩვენი საზოგადო წყლულის ახალ გამონაჟონზე მიმაქცევინებდი ყურადღებას. თან რისხვით ანთებულ თვალებს აკვესებდი – „ახლავე უნდა დავწეროთ! ახლავე უნდა წავიდეთ!“

ჩვენი მეგობრობის ლამის ორმოცი წლის მანძილზე ჩათვლემილი მოშვებული, სასოწარკვეთილი არ მინახავხარ.

ქვეგამხედვართა რისხვა, ერის შეურაცხმყოფელთა მოპასუხე, მოძმის საშველად შეაბჯრული...

შენ, სიცოცხლით და სიყვარულით გაუმაძღარმა, ვაჟკაცურად იცხოვრე.

ბოლომდე დაიხარჯე.

სიკვდილშიც ვაჟკაცი იყავ.

შენებურად, დგაფუნით, ზღვაში ჯიქურ შემსკდარი ზღვამ ჩაგისუნთქა, გურამ.

სხვანაირად შენ სიკვდილს ვერც წარმოვიდგენდი.

არ ისურვე მოხუცებულ გურამ ფანჯიკიძედ დამახსოვრებოდი საქართველოს.

ყველა სურათზე, რაც ერთად გადაგვიღია, იღიმები.

ასე... ლამაზი ღიმილით ივლი შენს საქართველოსთან ერთად.

სიტყვა
თქმული ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის 120 წლისთავზე ა/წ 14 ნოემბერს

ბატონებო!

ნოემბრის ამ ცივ საღამოს თქვენ გამოიარეთ ქუთაისის უსინათლო, ტალახიანი ქუჩები და მობრძანდით თეატრში ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად ან დაკარგულ დივიდენდებზე საჩივლელად კი არა – ბიბლიოთეკის იუბილეს აღსანიშნავად.

ეს სამი წლის გაუმთბარი დარბაზი, მე, ესოდენ სავსე, კარგა ხანია არ მინახავს.

იარუსებზეც კი ტევა არ არის.

მოვდიოდი ახლა მიკროფონისკენ და ვფიქრობდი: ქალაქი, რომელსაც შეუძლია წიგნის გადარჩენის ზეიმზე ასე ერთსულოვნად მოვიდეს, დიდებული ქალაქია და ერი, რომელმაც ეს სიყვარული დაბადა, სიკვდილს არ აპირებს:

ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ კარგად იცით: ბიბლიოთეკა უპირველესი განძთსაცავია, სიბრძნის სალარო, სტრიქონებად ქცეულია უკვდავ ფიქრთა სავანე, გნებავთ, საძვალე.

გზად ჩვენი კულტურის პატრიარქმა, ოთხმოცი წლის ჭაბუკმა ბ-ნმა აკაკი ძიძიგურმა მითხრა: შეიძლება თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკა ექვსი თვით დავხურო, რადგან ჭერიდან წვიმა ჩამოდის, ხოლო წიგნთსაცავს ობი და ნესტი დაეპატრონაო.

იცით თუ არა თქვენ, რომ ეს ნაწილობრივ ქართული მეცნიერების განვითარების შეჩერებას ნიშნავს.

ბაბილონის ხანძრის მიერ გამოწვეულ უმთავრეს უბედურებად მეისტორიე ბიბლიოთეკის დაწვას მიიჩნევს. ახლახან თემურ შაშიაშვილი ამერიკაში იყო. მან იქედან, როგორც მითხრეს, ქვეყნისთვის სასარგებლო არაერთი გარიგება ჩამოიტანა და ჩიკაგოში, ალბათ, უჩვენეს სახანძრო დაცვის ავტომატური ცენტრი, როგორ ფიქრობთ, ამერიკის ამ მრავალმილიონიან ქალაქში რომელია სახანძრო დაცვის ნომერ პირველი ობიექტი? ქალაქის მერია, ან უამრავი ბანკი თუ დეპარტამენტი? არამც და არამც – ჩიკაგოს ცენტრალური ბიბლიოთეკა.

ასე უვლიან წიგნს ამერიკელები.

დღეს, როცა წიგნის შექმნა-შენახვას მძიმე დღეები უდგას, როცა ზოგი უწყების ხელმძღვანელი ენერგიულად ცდილობს წიგნის, გაზეთის გამოცემა შეწყდეს საქართველოში ხელოვნურად შექმნილი ბარიერების შედეგად, ე. ი. მწერალმა ვერ გააღვივოს ეროვნული გრძნობა მკითხველებში, ვერ უთხრას თავის ერს გულისმოსაფხანი სიტყვა, ვერ ჩასძახოს: არ ჩაგეძინოს, უარესი დღეც გინახავსო, დამერწმუნებით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სევდიან-იმედიან შეკრებას.

საქართველოს ახლა, სწორედ რომ, მწიგნობარი კაცი, წიგნისკენ მიბრუნება, ბიბლიოთეკის „საყდრულ მყუდროებაში“ დაბრუნება სჭირდება, რათა გაისიგრძეგანოს, რა სჭირს, ვინ არის მტერ-მოყვარე, რა ძალებმა აიძულეს იმპერიის ბნელ სტომაქში შებრუნება.

ამიტომაც მინდა, ჩემი გამოსვლა წარსულთა დიდებათა მოგონებით კი არა, მომავლისაკენ მიმართული მზერით დავამთავრო.

გაუმარჯოს იმ პირველმომსვლელს, პირველმკითხველ ყმაწვილს, ხვალ დილით პირველი რომ დააკაკუნებს საჯარო ბიბლიოთეკის კარს, მოსასხამის ჯიბეში მუშტებჩაწყობილი, საყელოაწეული აივლის კიბეებს; ცივ დარბაზში მაგიდას მიუჯდება და წიგნს გადაშლის.

მჯერა, რომ ამ ღვთიურ სიჩუმეში დაიბადება ქართველთათვის საჭირო, მონობისაგან თავდამხსნელი ფიქრი, ხვალ თუ ზეგ ქვეყანას რომ მოედება, ერთ კოცონად აგიზგიზდება და მოჩვენებითს კი არა, ჭეშმარიტ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს მოიტანს.

მოვიხედავ და აღარა ხარ

სამოცდახუთის გახდი, ზაურ.

სიბერე გვიცაცუნებს მხრებზე ხელებს.

შენ ამ სტრიქონებს ვეღარ წაიკითხავ და ვეღარ შემეხმიანები. სამაგიეროს ვეღარ გადამიხდი, როცა მე გავხდები სამოცის და სამოცდახუთის.

ტელეფონში ექსპრომტს ვეღარ წამიკითხავ. მერე იმ ექსპრომტს „ნიანგის“ კონვერტში ვერ ჩადებ და დიდი ასოებით ვეღარ დააწერ „რევაზ მიშველაძეს“.

„გადაუარა ბალახმა საფლავს.
სიცოცხლის წერტილს,
ჩემთვის შენ როგორ არა ხარ,
მე აღარა ვარ შენთვის“.

არ დაგვემდურო მეგობრებს, თუ ყველამ ვერ შეგისრულეთ შენს ღია სამარესთან დანაპირები – ნანას და ელისოს უშენობას არ ვაგრძნობინებთ, ხშირად მივაკითხავთო.

თუ გახსოვს, გეუბნებოდი: უბედურება რომ მეწია, ცა რომ გამისკდა; ერთი წელი თითქმის დუმდა-მეთქი ჩემი ტელეფონი.

მაშინ ორივეს გვიკვირდა ეს.

ასე ყოფილა წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალი. შენი გულდამდუღრული ცოლ-შვილი თავიანთ უსაშველო დარდთან მარტო დავტოვეთ. შენ კი ყოველთვის ჩვენთანა ხარ.

რედაქციის წინ გაზეთის ჯიხურთან მდგარს მეჩვენება, რომ გრძელი მოსასხამით, დიდი ჩანთით, ტუჩმოკუმული და თვალანთებული, ხელის კანკალით მოდიხარ ჩემკენ.

მოვიხედავ და არა ხარ.

მონატრება ძალიან გაცვეთილი სიტყვაა იმისთვის, რომ ახლა შენთან ჩემი დამოკიდებულება გამოხატოს. მაკლიხარ.

აქეთ კარგი არაფერი ხდება.

ვძიგძიგებთ, ცხოვრებას ვალებს ვუსტუმრებთ, გაყიდულ მამულს ვტირით, უკვე გამხნევების უნარიც დავკარგეთ, ვყეფთ, ვიღრინებით, ჭრილობებს ვიხვევთ, ვრეფორმობთ, გულს ვიოხებთ, სევდის აბლაბუდას ვქსოვთ და ნელ-ნელა გიახლოვდებით.

ლიტერატურის ფხიზელი გუშაგი

ლიტერატურის შემფასებელი, მკითხველზე მისი ზემოქმედების გამთვლელი და მხატვრული ნაწარმოების ავ-კარგის გამრჩევი კაცი – მწერლობაში შეუცვლელი კაცია.

იწერება ლიტერატურის მატიანე. ლიტერატურის ისტორიის დიდ წიგნში ყველას თავისი ნათელი ადგას და იმ წვლილით მოჩანს, რაც მშობლიური მწერლობის დიდ ტაძარში შეუტანია.

რაღა თქმა უნდა, ლიტერატურის ისტორიის დამწერს უცდომელი ალღო, დახვეწილი გემოვნება და მიუკერძოებლობის ნიჭი უნდა ჰქონდეს.

ასეთი ნიჭი მოჰმადლა ბუნებამ ავთანდილ ნიკოლეიშვილს.

მეოცე საუკუნის მწერლობის შესახებ სქელტანიან ნაშრომებში დაწერეს ნაცადმა პარტიულმა კრიტიკოსებმა. იმ წიგნებში „პოეტი უმღეროდა სოციალისტურ სინამდვილეს“, ხოლო პროზაიკოსი „კომუნიზმის მოქალაქის სულიერი აღზრდისთვის“ ძალ-ღონეს არ იშურებდა.

დრომ ლიტერატურის ისტორიის ახალი წიგნის შექმნა, საეტაპო თხზულებათა ახლებური შეფასება მოითხოვა.

ახლებურად შემფასებელთა ლაშქრის ერთი ღონიერი გენერალი ავთანდილ ნიკოლეიშვილია.

აქამდე „ცისფერყანწელთა სკოლა“ ლიტერატურულ სიყვითლეთა სიას „ამშვენებდა“ და ოდენ მოდასაყოლილ ახალგაზრდა მწერალთა გატაცება იყო. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ნათლად დაგვანახა ამ სკოლის მაღალინტელექტუალური როლი ქართული ლექსის განახლებაში და საარქივო მასალებზე დაყრდნობით იმ გოლგოთისკენ გაგვახედა, პაოლოს და ტიციანს რომ მოუწყო ოცდაჩვიდმეტმა.

აქამდე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ ოდენ „საკოლმეურნეო აღმავლობის ეპოპეა იყო“. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ამ ნაწარმოებთა ისეთ შტრიხებზე მიგვაქცევინა ყურადღება, სოციალისტური ყოფის აშკარა კრიტიკის ფუნქციასაც რომ დააკისრებდა ამ მაღალმხატვრულ თხზულებებს.

შარშან გელათის აკადემიის სხდომაზე ავთანდილ ნიკოლეიშვილის გალაკტიონზე დაწერილი მოხსენება მოვისმინე, ჭეშმარიტად ახალი სიტყვა თქვა „ლურჯა ცხენების“ ავტორზე აკადემიკოსმა.

გალაკტიონის კრიტიციზმზე და პოლემიკურ პათოსზე გაამახვილა ყურადღება. აშკარა გახდა, პოეტი არაერთგზის და არაერთგან აქილიკებდა და ირონიის ქსელში ახვევდა კომუნისტურ სინამდვილეს და „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“.

დრო ელვისსისწრაფით გარბის.

ჩემს თაროზე ავთანდილ ნიკოლეიშვილის ახალ-ახალი წიგნები ჩნდება.

მე მას ვენდობი. ვიცი, რომ მისი სიტყვა კონიუნქტურის მტვერსარიდებული, ობიექტური და არგუმენტირებულია.

უანგარო, სპეტაკი მოქალაქეა ავთანდილ ნიკოლეიშვილი და კალმით სამსახურის გარდა, არაერთ საორგანიზაციო საგუშაგოზეც ირჯება თავისი ქვეყნისთვის.

ქუთაისის უნივერსიტეტის ღირსეული რექტორია.

„სულ წინ და მაღლა“, ჩემო ავთანდილ.

სიტყვა წარმოთქმული გორის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკოლაში შეხვედრაზე

ძვირფასებო!

კარგად ვიცი, რომ ქართლის შუაგულში, მრავალტანჯული „გორის ციხის“ მახლობლად ვამბობ ამ სიტყვას და ისიც შეგნებული მაქვს, რომ ამ ორასწლოვან სკოლაში, სადაც ვაჟა-ფშაველა სწავლობდა, შეხვედრა მომიწყვეთ და ამით მთელი ქართული მწერლობისადმი სიყვარული გამოხატეთ.

სასიამოვნოდ გამაოცა თქვენმა ყურადღებამ. სკოლის დირექტორის, ჭეშმარიტად დიდი პედაგოგის ქ-ნ ცირა ქრისტესიაშვილის შესავალმა სიტყვამ, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გულწრფელმა გამოსვლებმა და, რაც მთავარია, ჩემი ნოველებიდან აქ წარმოდგენილმა სცენებმა.

მთავარი ის როდია, როგორი იყო თქვენი მსახიობური ოსტატობა, ჩემთვის მნიშვნელოვანი გახლავთ – რომელ ნოველას მიაქციეთ ყურადღება, რა დიალოგები შეარჩიეთ, თქვენი ამჟამინდელი განწყობილება და გულისთქმა რომ გამოგეხატათ.

ცრემლი მომადგა, რომ გისმენდით. ჯერ ერთი იმის გამო, რომ გარჯილხართ და მთელი გვერდები ზეპირად გისწავლიათ, მეორეც, იმ მწარე სინამდვილის გამოაშკარავებამ დამაყენა სენტიმენტალურ ხასიათზე, რაც აქ სათქმელი, იქნებ არც გახლავთ, მაგრამ ვის გაუმხილოთ თუ არა თქვენ; საქმე ისაა, რომ თქვენ მიერ შერჩეულ-წაკითხულმა თუ გასცენიურებულმა ნოველებმა განმიმტკიცა რწმენა, რომ ტრაბახში არ ჩამომართვათ და, თურმე, გულისმოსაფხან სიტყვას ვამბობ. ამიტომაც მით უფრო მიკვირს, ჩემს ნოველებს ქართული თეატრი სათოფეზე რომ არ ეკარება.

ვიცი, უადგილო ადგილას დავიჩივლე, მაგრამ სად თქვას „სიტყვამ გულსა“ თუ არა თქვენთან – ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეებთან.

მადლობელი ვარ, რომ საკუთარი თავისადმი რწმენა დამიბრუნეთ. მადლობელი ვარ, რომ რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ჩემი „ასი ნოველა“ გულდასმით წაგიკითხავთ. ცრემლის და იმედით ვწერდი ამ წიგნს, სწორედ თქვენთვის, ჩემი აჩიკოსკბილა მოზარდებისათვის ვწერდი უპირველეს ყოვლისა. გამოგიტყდებით, აღარც მეგონა ახალგაზრდები ჩემს ნაწერებს თუ კითხულობდით გავკადნიერდები და პირდაპირ გეტყვით – არ მეგონა, თუ რამეს კითხულობდით საერთოდ.

არ გეწყინოთ, ამის თქმის საფუძველი მაქვს.

მე ვინ ოხერი ვარ, ისე გავთამამდე, საჯაროდ მოვითხოვო თქვენი ყურადღება.

ჩემი კი არა, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე რამდენი წელია ხელუხლებლად დევს ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის წიგნები.

მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე უკეთესი წიგნი – „ვეფხისტყაოსანი“ არ იყიდება შოთა რუსთაველის სამშობლოში.

ეს სირცხვილზე მეტია, ძვირფასებო.

მიზეზი მარტოოდენ უფულობა არ გახლავთ. იქვე მშვენიერი მაზანდა აქვს „მალბოროს“ და „ქემელს“, „სნიკერსს“ და „ნატს“, საღეჭ რეზინას და ფალსიფიცირებულ არაყს.

ვეუბნები ჩემს სტუდენტებს; რამ გაგიცივათ ასე გული, ხომ შეიძლება, ერთი დღე „უმალბოროდ“ და „უსნიკერსოდ“ გადაატაროთ და გალაკტიონის რჩეული იყიდოთ-მეთქი.

შეაყარე კედელს ცერცვი.

ერის სულიერი მოძღვარი, თუ გნებავთ ბელადის, უპირველესად მწერალია.

ჭეშმარიტ მწერალზე მოგახსენებთ და არა ქარაქუცა მედროვეებზე.

სწორედ მწერალი აღვიძებს ნიადაგ თავის ხალხს და ნათელი მომავლისკენ მიუძღვება.

ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს გულზე ეკლად ესობა მწერლის ტიტული – ერის მამად იწოდებოდეს.

ფულით გაქსუებული ფუნქციონერი ფიქრობს: აბა, მე ვინა ვარო. მე, რომელსაც შემიძლია მწერალი შიმშილით მოვკლა, განა მწერალზე ნაკლები საბუთი მაქვს ერის მებაირახტრედ ვიწოდებოდეო?

რომ არ არის ასე?

ერის მამის სახელი ოდენ ძალაუფლებას რომ არ მოაქვს?

ილია ჭავჭავაძის დროს რამდენიმე თანამდებობიანი კაცი იყო საქართველოში ოფიციალურად ილიაზე დიდ ძალაუფლებას რომ ფლობდა, მაგრამ ერის მამად სწორედ ილია ჭავჭავაძე შერაცხა ქართველმა ხალხმა, არ დაგიმალავთ, დღესდღეობით ქართული მწერლობის ერთი უკეთესი რაზმი, სამშობლოს თავისუფლებისთვის თანმიმდევრულად მებრძოლი რამდენიმე მწერალი ეწევა ილია ჭავჭავაძის ჭაპანს.

ენდეთ, ყური დაუგდეთ მათ.

ისინი არ მოგატყუებენ. განსაცდელში ჩავარდნილ ქვეყანას გაბედნიერებულად არ დაგიხატავენ ლაფში ჩაფლულ ურემს შინ მიტანილად რომ მოგაჩვენებენ.

ახლა ზამთარია და ცივა საქართველოში.

ზამთრის სუსხს როგორმე გაუძლებს კაცი ჩვენს სულშიც რომ არ ციოდეს.

აქედან ორ ნაბიჯზეა სამაჩაბლო. დგანან გამოკეტილი სახლები. მათკენ მიმავალ ბილიკზე უკვე ბალახი ამოვიდა. ზოგ სახლში გადამთიელი დაბინავებულა და ენას გვიყოფს.

დგას ახლომახლოს რუსის ავტომატიანი ჯარისკაცი და ჩვენს სახლში არ გვიშვებს.

დიახ, ამ ბოლო ათ წლეულში ლამის მესამედი საქართველო წაგვარ-

თვა რუსმა და როცა ჩვენი მიწების დაბრუნებას მოვთხოვთ, უტიფრად გვატყუებს მთელი მსოფლიოს თვალწინ.

რა ქნას მთავრობამ, როცა თავს ზევით ძალა არ არის.

ჩემთვის არც ერთმა სახელმწიფომ, მათ შორის ყველაზე ღონიერმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც კი, ერთი საპროტესტო ნოტა არ გაუგზავნა ელცინს; რას ერჩი, რატომ ტანჯავ პატარა საქართველოსო.

მეტსაც გეტყვით, უცხოეთში მცხოვრებმა „დიდმა ჰუმანისტმა“ – მწერლებმა, არტისტებმა, მხატვრებმა ერთი უბრალო კოლექტიური წერილიც არ მისწერეს რუსეთს – რატომ არ უბრუნებ რუსთაველის ქვეყანას წართმეულ მიწებსო.

ასე ჩაგვტოვა მსოფლიოს ურჩხულის ხელში და შიგა და შიგ ღარიბი ნათესავივით გვიღიმის.

რა ვქნათ, განწირული ვყოფილვართ ვთქვათ და დავიკრიფოთ გულზე ხელი?

არამც და არამც!

როგორც სხვა დროს, გასაჭირის ჟამს, დღესაც კვლავ მწერლობას მივაყურადოთ, რათა „ღრუბელი რომ განიმცვრევა“. ძლევის ყიჟინა დავაგუგუნოთ.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“, უთქვამს პოეტს. ერთად მდგარი, ერთ მუშტად შეკრული საქართველო თავის ისტორიულ მისიას დღესაც შეასრულებს.

ჩვენ წინ დამპალი იმპერიის ლიბომორყეული ბასტიონები ჩანან.

მჯერა, თქვენისთანა ჭკვიანი და მამაცი გოგო-ბიჭები საქართველოს მტრის ხელში არ ჩატოვებენ!

გამოხმაურება

ლუარა სორდიას სადისერტაციო ნაშრომისა „გალაკტიონ ტაბიძის სახე-სიმბოლოები“, რომელიც წარდგენილია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ავტორი აანალიზებს გ. ტაბიძის სახე-სიმბოლოთა სოციალურ-პოლიტიკურ, ეროვნულ და ფილოსოფიურ მნიშვნელობა-ორიგინალურობას. ამასთან ერთად ცდილობს, დაადგინოს ამ სახე-სიმბოლოთა ემოციური, ბგერწერულ-ფერწერული ღირებულება. ლ. სორდია სპეციალურად უღრმავდება „ქრისტიანული მოტივების“, „ქრისტიანული აღმსარებლობის“ საკითხების არსებობას გ. ტაბიძის პოეზიაში.

ნაშრომი დაყოფილია რვა თავად. შესავალში საუბარია გალაკტიონის თანამედროვე ეპოქის ეროვნულ-პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებზე, გახსნილია პოეტის რევოლუციასთან დამოკიდებულების არსი.

ნაშრომის I თავი წარმოადგენს გალაკტიონის საღმრთო სიმბოლიკის გამოვლენის, მისი წყაროების გათვალისწინებისა და ამ ხაზით სახის ორიგინალობის დადგენის ცდას. ავტორი მეცნიერული კვლევის ფონზე წარმოაჩენს საკუთარ ლიტერატურულ მიგნებებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება გალაკტიონის სახე-სიმბოლოთა სპეციფიკურობისა და მხატვრული ღირებულების წარმოჩენაში. აღნიშნულის კვლევას კი დისერტანტი წარმართავს არეოპაგიტიკულ და მაჰმადიანურ მწერლობასთან ურთიერთმიმართებაში.

ნაშრომის მეორე თავში – „გალაკტიონის შედევრთა სახეების კვალდაკვალ“ – გაანალიზებულია სახე-სიმბოლოები შემდეგი ნაწარმოებებისა: „ეფემერა“, „მამული“, „უსიყვარულოდ“, „მზეო თიბათვისა“, პოემა „მშვიდობის წიგნი“, ავტორი საუბრობს საღმრთო სიყვარულის მოძღვრებაზე. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ თავში ვრცლად არის გაანალიზებული ღმერთის სიმბოლოდ ჩაფიქრებული „მძიმე მტევნები“, „უკვდავი ღვინო“, „ცისფერი ღვინოები“ და ა. შ. „წმინდა ემბაზის“ სახით წარმოჩენილი გახლავთ ღვთისმშობლის სახე-ხატიც.

ნაშრომის მესამე თავში ლ. სორდია ცდილობს, განსაზღვროს მარიამის ადგილი გალაკტიონის სახისმეტყველებაში იმ უმთავრესი ნიუანსების გათვალისწინებით, რაც წინ უსწრებდა გალაკტიონის ეპოქას, ეს გახლავთ ბიბლია, სახარება, ჰიმნოგრაფია, გოეთე, დანტე, და ქართული კლასიკური პოეზია.

„ზღვა და გალაკტიონის პოეზია“ – ასეა დასათაურებული სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავი. აღნიშნულ თავში ლ. სორდიას მიზანს წარმოადგენს, აჩვენოს ზღვის სიმბოლური გააზრების ტრადიციები, ბიბლიის, სასულიერო პოეზიის, ღვთისმეტყველების, XIX ს-ის კლასიკური ლიტერატურის მაგალითების ფონზე და წერს: „იგი ცხოვრებას ზღვას ადარებს, ზღვა არის უპირველესი და უდიდესი საიდუმლოება, თავისუფლების, დაუმორჩილებლობის, მრავალსახეობის, სიწმინდის, ოცნების, პოეტის სულის ამოუწურაობის, მარადიული სიახლის სიმბოლო“.

გარდა ამისა, ამავე თავში საუბარია ქარზე, როგორც გალაკტიონის ლირიკის თავისებურ პერსონაჟზე.

ავტორის სიტყვებით თუ ვიხელმძღვანელებთ, „გალაკტიონი იყო ზეციური სიმბოლოსა და მიწიერი მამულის ბინადარი ერთდროულად, იგი ორ სამყაროში მკვიდრობდა, ორი ქვეყნის საზღვარზე იდგა“, ამიტომაც პოეტი ავითარებს საღმრთო სიყვარულის იდეას, რომლის მიმანიშნებელი სიმბოლოების განხილვასაც აწარმოებს ლუარა სორდია აღნიშნულ თავში.

რაც შეეხება „მშვიდობის წიგნის სიმბოლიკას“, ნაშრომის ავტორი მიიჩნევს, რომ „მშვიდობის წიგნი“, რომელიც თავის დროზე ვერ გაიგო სალიტერატურო კრიტიკამ, ისეთივე გენიალურია, როგორც მისი სწორუპოვარი ლირიკა. საინტერესოა როგორც იდეურად, ისე მხატვრული სრულყოფილებით, რითმებით, სახეებით, მდიდარი ლექსიკით, ასეთი

დასკვნის უფლებას კი, რა თქმა უნდა, ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიება იძლევა.

ნაშრომში ვრცლად არის საუბარი შ. რუსთაველისა და ი. ჭავჭავაძის ტრადიციებზე.

ლ. სორდიას ნაშრომი წარმოადგენს ახალ სიტყვას ფილოლოგიურ მეცნიერებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლ. სორდიამ უკანასკნელ წლებში გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო გამოკვლევები გალაკტიონის შემოქმედებაზე საერთოდ და პოეტის სახის მეტყველებაზე კერძოდ. სარეცენზიო გამოკვლევა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ გალაკტიონოლოგიაში დადგა დრო, პოეტის შემოქმედების ბიოგრაფიის, ცალკეული მოტივების და ნაწარმოებთა კლასიფიკაციის ტრადიციული პრაქტიკიდან გადავიდეთ ახალ საფეხურზე, პოეტის მხატვრული სამყაროს, მისი სახე-სიმბოლოების და მედიტაციური თვითმყობადობის შესწავლაზე. ამ ახალი სკოლის, ახალი საფეხურის ერთ-ერთი პირველი მერცხალი ლუარა სორდია გახლავთ.

წინამდებარე რეცენზია დამტკიცებულია თსუ უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის სხდომაზე (8.V.97 წ.). კათედრა ერთხმად უჭერს მხარს ლუარა ილიას ასულ სორდიასთვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

ჯუმბერ ჯანდიერი

იგი ხელოვნებისთვის დაბადებული და ხელოვნებისთვის შეწირული კაცია.

ჯუმბერ ჯანდიერის სამუშაო ოთახი სახელოვნო მღვიმეს წააგავს. მისი ამ მღვიმის ბინადარი ქართული სიდარბაისლით, ბიბლიური თმაწვერითა და ჯვალოს ჩოხით სხვა საუკუნის კაცის შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, მარტო გარეგნული შტრიხებით კი არა, თავისი ცხოვრების წესითაც იგი ამაყია და შეუვალი, მოკრძალებული და ღირსეული.

ჩვენი დღეების ატრიბუტები – ცხრა აპრილის სისხლიან ველზე დათოვლილი ყაყაჩოების ფოტო და როიალზე ცხელ სამუშაოდ გაშლილი თარიღიანი კლავიატურა თუ გასცემს დროს, თორემ სხვა მხრივ ჯუმბერ ჯანდიერი დიდ ტაძარში მოფუსფუსე იმ მარადიულ წმინდა ბერს წააგავს უკვდავი სულის სამსახურისთვის, რომ მოვლენილა ამქვეყნად და დიდ ნათელთან ზიარებით თვალდახრილს საკუთარი ტკივილიანსიხარულიანი ცხოვრება რომ, ლამის დავიწყნია.

ყველამ კარგად იცის, ამ მღვიმის ზღურბლს დაფნის გვირგვინებს გამოდევნებულთა შური და ყაყანი ვერ გადმოაბიჯებს, ორმოცდაათს გადაცილებულ ჯუმბერ ჯანდიერს, რომელმაც ოცდათხუთმეტი წელი ხელოვნების სამსახურს შესწირა, არაფერი გააჩნია ამქვეყნად თავისი

შეუბღალავი სახელისა და გვარის გარდა. იგი, საქვეყნოდ ცნობილი და პოპულარული მუსიკოსი, პატიოსნად, ჩუმად აკეთებს მისი ჭეშმარიტი ნიჭის საკადრის საქმეს და როცა მშობლიური ხელოვნების ცისთავანზე მართალი ჰანგის ზარებს დაარისხებს, თვით ვალმოხდილი და შუბლზეოფლგადამდინარე, განზე გადგება ხოლმე, უცხოსავით, შემოსწრებულივით, შეცბუნებულივით მიაყურადებს მადლიერი მსმენელის მქუხარე ტაშს, თითქოსდა ეშინია იმ ტაშმა მის მყუდრო მღვიმეს არ მიაღწიოს და ხელოვანს ღვთიური ფიქრი არ გააწყვეტინოს.

ჯუმბერ ჯანდიერის მუსიკა ღრმად ეროვნულია და ნატიფი. ამ სტრიქონების ავტორს, ქართველ მწერალს სხვა მიზეზებთან ერთადერთი საბაბიც აქვს, დიდად პატივს სცემდეს კომპოზიტორის ქნარს. ჯ. ჯანდიერმა ხომ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება თანამედროვეობის უდიდესი პოეტის – გალაკტიონის სულის მუსიკას და მგოსნის სწორუპოვარ ლექსებზე შექმნა უაღრესად პოპულარული სიმღერები: „დედაო ღვთისავ“, „ქარი“, „მზეო თიბათვისა“...

ჭეშმარიტი პროფესიონალი, თვითმყოფადი ნიჭის მქონე შემოქმედების თითოეულ ნერვით სამშობლო ქვეყნის ჭირ-ვარამთან შენივთული კაცი, – ასე ახასიათებენ ჯუმბერ ჯანდიერს იმ წრეებში, სადაც კარგად ესმით ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი.

მუსიკოსისთვის ფართო აღიარების მომტანი – „თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს“, 1988 წლის საუკეთესო სიმღერად რომ გამოცხადდა, თვით ავტორის საამდროო განწყობილების მკაფიო გამოხატულება და ხელოვანის ამბოხებული სულის კივილია მისივე ერის ხასიათსა და ტემპერამენტს ასე კარგად რომ მიესადაგა.

ჯუმბერ ჯანდიერის სახელი და გვარის პოპულარობას თავის არისტოკრატულობისა და ალიტერაციულობის გარდა, უპირველესად, ამ გვარის მატარებელი კაცის ხელოვნებაში მართლად ცხოვრება და ზეცით მომადლებული ნიჭი იწვევს.

საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ ორჯერ უკვე გამოსცა კომპოზიტორის საავტორო ფირფიტა „დისკი-გიგანტი“.

ჯუმბერ ჯანდიერის სიმღერებს საქვეყნოდ ცნობილი შემსრულებელნი ჰყავს – ნანი ბრეგვაძის, ჰამლეტ გონაშვილის, ბუბა კიკაბიძის, ეთერ კაკულიას, მედეა ძიძიგურის, სოსო პავლიაშვილის, მერაბ სეფაშვილის, მანანა თოდაძის, თეიმურაზ წიკლაურის, ეკა მამალაძის, მაია ჯაბუას, თემურ თათარაშვილის და სხვათა სახით.

ყური დაუგდეთ ჯუმბერ ჯანდიერის ხან სევდიან, ხან ომახიან ჰანგებს, იგი თავისუფლებისათვის ბრძოლაში ერთ მუშტად შემართული ერის ერთგული მოლაშქრის სიმღერაა.

რედაქტორისაგან

მთავრდებოდა სისხლიანი მეცხრამეტე საუკუნე და უფრო სისხლიანი და შფოთიანი საუკუნე იწყებოდა.

დეკემბრის ერთ სუსხიან საღამოს ბაქო-თბილისის მატარებელს თვრამეტიოდე წლის, გრუზათმიანი, ყელმხარზე ჭრელრიდეშემოხვეული, გამხდარი, ლამაზთვალება ახალგაზრდა მიუახლოვდა.

ვაგონის თათარ გამცილებელს რუსულად ჰკითხა: სითბოში ვერ ვიძინებ, ღუმელს ხომ არ აცხელებთო.

ფიქრი ნუ გაქვს, საერთოდ არ ვანთებ; ქვანახშირი გაგვითავდაო, ღიმილით, თვალმოჭუტვით უპასუხა მევაგონემ და მერე მოერიდა კიდეც, მსუბუქი მოძრაობით კიბეზე აწეულისთვის ბილეთი მოეთხოვა.

უბილეთო მგზავრს არ ჰგავსო, მისი სუფთა რუსულით და დამაჯერებელი ინტონაციით დაასკვნა თათარმა.

მგზავრმა კი ამასობაში ვაგონი გაიარა და ბოლო მერხზე ფანჯარასთან მიჯდა. ჩაცვეთილ ქურთუკში თავჩაგრული ფიქრებს მიეცა.

სასულიერო სემინარიიდან გარიცხეს. მერე პოეზიაში სცადა ბედი და არცთუ წარუმატებლად, ბოლოს პოლიტიკისკენ გაუწია გულმა. თბილისელ სოციალისტთა შორის იმდენ „ბრძენს და თავდაჯერებულს“ წააწყდა, მიხვდა, მათთან უაზრო კამათს გადააყოლებდა ძვირფას წლებს და გაერიდა.

პრაქტიკული რევოლუციონერის სკოლა უნდა გაევლო და ბაქოში მიეშურებოდა.

გრძნობდა, დიდი საქმეებისთვის იყო გაჩენილი.

...და მაინც, ჭვარტლიანი ვაგონის კუთხეში მიმჯდარი ბიჭი, რომელსაც უბილეთობის გამო ათიოდე წუთში კონდუქტორთან ურთიერთობის გარკვევა მოუწევდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა ხანი და მსოფლიოს შეცვლიდა, დედამიწის ფაქტობრივი გამგებლობა ელოდა.

ისტორიამ გენიალური პიროვნება ბევრი როდი იცის.

თუ ლიტერატურა და ხელოვნება ასე თუ ისე მაინც გვანებივრებს გენიოსებით, პოლიტიკაში ისინი ოდენ თითზე ჩამოსავლელია.

სტალინი ალექსანდრე მაკედონელის, იულიუს კეისრის, ნაპოლეონის გვერდით ნათობს.

სტალინის ჯერ კიდევ ცოცხალი თანამედროვენი დღემდე ასწორებენ უკანასკნელ ანგარიშს მასთან.

მხრებს ატოლებენ, საკუთარი არშინით ზომავენ, მის პირად ცხოვრებაზე თუ ნათესავთა წრეზე სტალინის „კვალის“ ძებნით გართულნი ზოგჯერ მკვდარ გენიოსს ებუტტებიან, არც კი ფიქრობენ, რომ ისინი სადღაც ქვევით ჩარჩნენ, სტალინი კი მსოფლიოს ისტორიამ ისეთ მაღალ ფირზე აზიდა, საიდანაც უბრალოთა ჭირვეულობა და საერთოდ, ჩვეულებრივი მოკვდავნი ჭიანჭველებივით ჩანან.

ორმოცდაათი წელი გავიდა სტალინის გარდაცვალებიდან. დაინგრა სტალინის მიერ შექმნილი უდიდესი იმპერია, მაგრამ სტალინის ფენომენისადმი მსოფლიოს ინტერესი უფრო და უფრო იზრდება.

ისტორია დიდ პოლიტიკოსს მხოლოდ მისი ბიოგრაფიის შტრიხებით კი არა, უპირატესად საბოლოო შედეგით ზომავს.

საბოლოო შედეგი კი ის გახლავთ, რომ სტალინმა დაამარცხა მეოცე საუკუნის უპირველესი ბოროტება – ფაშიზმი.

შექმნა უძლიერესი სახელმწიფო რკინისებური დისციპლინითა და კანონის უზენაესობით.

მართალია, მკაცრი იყო ამ სახელმწიფოს შენების გზა, მაგრამ როდის დამკვიდრებულა კანონი სიმკაცრის გარეშე.

ჩვენი საქმე ოდენ სტალინის შეფასება არ არის.

იგი თითქმის შეფასებულია და გონიერ, ობიექტურ შემფასებელთა მიერ ერთხმადაა შერაცხული გენიოსად.

ჩვენი ამოცანა უმთავრესად სტალინის ფენომენის ამოცნობაა.

ამოსაცნობია მისი გენიალური უბრალოება. მსოფლიოს უპირველეს თავებთან დიპლომატიური ომის მოგების გასაოცარი უნარი, გულთმისნური გამჭრიახობა, ფოლადისებური გაუტეხლობა...

ამოსაცნობია მისი ლამის შექსპირული ფრაზა: „მე გენერალს ჯარისკაცში არა ვცვლი“ – ნათქვამი სწორედ მაშინ, როცა საქმე შვილის ყოფნა-არყოფნას შეეხებოდა.

ბევრი რამ არის პასუხგაუცემელი, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ სამ ათწლეულშიც უამრავი სქელტანიანი წიგნი შეიქმნა სტალინზე.

გაცვეთილ ჩექმამაზარიანი გენერალისიმუსი დღესაც სფინქსის თავსატეხს უჩენს მის ცხოვრებაზე დაფიქრებულთ.

ქართველს სტალინისათვის აქამდე, თუ არ ვცდები, ცალკე წიგნი არ მიუძღვნია.

ჩვენი მეცნიერები და მწერლები საინტერესო (მაგრამ კომპილაციურ) წიგნებს წერდნენ ნაპოლეონზე, ალექსანდრე მაკედონელზე, სტალინზე კი თავს იკავებდნენ, ალბათ, იმ ანდაზის ერთგულებით – შინაურ მღვდელს რომ შენდობა არა აქვს.

ნავსი ნაპოლეონ ქარქაშაძემ გატეხა.

ბევრი რამ წამიკითხავს სტალინზე, მაგრამ მუდამ ველოდი ქართველი კაცის მიერ დანახულ სტალინს.

არა მხოლოდ იმიტომ, ავტორს ქართული გენის უნიკალურობა რომ ეჩვენებინა, უბრალოდ, მაინტერესებდა ქართული სარკმლიდან ობიექტურად დანახული მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი პოლიტიკოსი.

ეს წიგნი არც სტალინის განდიდებას ემსახურება და არც მარტოოდენ თეთრწვეროსან პენსიონერებისთვის, ე. წ. „სტალინისტთათვის“ არის დაწერილი.

ისე, კაცმა რომ თქვას – არჩეული გზისადმი ერთგულებაში, ნებისყო-

ფის სიმტკიცეში, სახელმწიფოებრივ უკომპრომისობაში ყოფაცხოვრებით უბრალოებაში... არ გვაწყენდა, რომ ყველანი სტალინისტები ვიყოთ.

სტალინის პოლიტიკურ სიდინჯე-გამჭრიახობას და მილიონთა გულების დაპყრობის მისეულ მეთოდებს მსოფლიოს დიპლომატიურ სკოლებში ასწავლიან და მაგალითად უსახავენ მომავალ დიპლომატებს.

ძვირფასო მკითხველო.

შენს წინაშე დიდი ქართველის ცხოვრებაზე დაწერილი უაღრესად მართალი წიგნია.

ნაპოლეონ ქარქაშაძე კარგად ფლობს მკითხველის გულამდე მისვლის საიდუმლოს.

წიგნი თავიდან ბოლომდე ბელეტრისტული სიღრმითა და დამაჯერებლობით გამოირჩევა.

არა მარტო ოსტატური სტრუქტურა-კომპოზიცია, გამართული ქართული და საკითხის ცოდნა იქცევს ყურადღებას, ალაგ-ალაგ შთამბეჭდავი მხატვრული პასაჟიც გაიბრწყინებს თქვენ წინაშე. საილუსტრაციოდ ერთ ადგილს ამოვწერ:

„კამენევმა სახკომსაბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ, როგორც ყოველთვის, სახელით მიმართა სტალინს.

– იოსებ! იოსებ!

სტალინმა, რომელიც მის გვერდით იჯდა, წაიყრუა. ქაღალდებს მეტი გულმოდგინებით ჩააკვირდა.

– იოსებ, იოსებ! – ისევ გაიმეორა კამენევმა და სცადა მის მკლავს ხელით შეხებოდა.

უცებ სტალინმა თავი ასწია და კამენევს ისეთი თვალით შეხედა, რომ ეს უკანასკნელი ქანდაკებასავით გაშეშდა.

„ბოდიში, იოსებ ბესარიონის ძევ, მე მგონი, ხელი შეგიშალეთ!“

იმ დღიდან კამენევს მისთვის სახელით არასოდეს მიუმართავს“ (გვ. 38).

ამგვარი, მხატვრულად დახვეწილი ადგილები წიგნში ცოტა როდია.

მიხარია, რომ სტალინზე, მისი სიდიდის ამოსაცნობად, უაღრესად შთამბეჭდავი წიგნიც მისმა თანამემამულემ დაწერა.

ნაპოლეონ ქარქაშაძის „სტალინს“ თაობები წაიკითხავენ.

ოქროპირი

1960 წლის სექტემბერია, რიცხვი არ მახსოვს.

ჯერ „კარგი სწავლა“ არ დაწყებულა. ზაფხულის სიზარმაცისაგან თავი ვერ დაგვიღწევია. თანაც ცხელა. ლექტორებიც ცოტა არ იყოს, უხალისოდ მთქნარებ-მთქნარებით გვიკითხავენ ლექციებს.

ვახტანგ ნათაძეს დავესწარი და მეორე ლექციიდან გამოვიპარე.

უნივერსიტეტის ბაღში შოთა ჩანტლაძეს ვუზივარ გვერდით და თეთრი ტაძრის შეღმართზე ამსვლელ-ჩამომსვლელს ვათვალიერებთ.

შოთა ჩანტლაძე საოცარი არტისტიზმით, ეშმაკურად მოჭუტული თვალებით და სწორედ რომ მხოლოდ ჩანტლაძისეული ირონიით, თითოეულ მათგანს ახასიათებს.

უფრო დიდი გასართობი არ არსებობს, ჩემ თვალწინ სამოციანი წლების ქართული ინტელიგენციის პარადია. მიდი-მოდიან ისინი სერიოზული სახეებით, შთაგონებული თვალებით და ვერც კი წარმოიდგენენ, რომ ზის აგერ, უნივერსიტეტის ბაღში, „ეშმაკის ფეხი“ შოთა ჩანტლაძე, რომელსაც სასაცილოდ არ ჰყოფნის მათი ფუსფუსი და მიმოდგომა: შოთა ჩანტლაძე, რომელმაც ყველას შესახებ ყველაფერი იცის.

ჭადრების მხრიდან საშუალოზე დაბალი ტანის, ლამაზყბაკისერა მოხუცი მოდის. ნაცრისფერი შარვალი და პარუსინის, ლიპაჯიბეებიანი, თეთრი კიტელი აცვია. ქუთაისური კეპი მოუხდია და მზის მხარეს იჩრდილავს. სხვებივით არ ჩქარობს. ნელა, კახელები რომ იტყვიან, „მაყვალ-მაყვალ“, სალამ-სალამ, ღიმილ-ღიმილ მოდის.

– ახლა ეს მინახე... დააკვირდი, დააკვირდი... რომელი ვასაძე და გოძიაშვილი, არტისტი თუ ვინმეა, ეს არის. აპაპაპა... ხომ პატარაა, შეხედე, რა მაღლა იყურება...

– ვინ არის?

ერთი შეხედვით პენსიაზე გასულ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჰგავს. აცვია ძველმოდურად. მანამდე რამდენიმე პროფესორმა ჩაიარა ჭილოფის შლაპიანი, ჰალსტუხ-ხელჯოხიანი პროფესორების ფონზე, ეს ყელთან საკინძეშეხსნილი, ჭარმაგი კაცი რომელიმე სტუდენტის პროვინციიდან ჩამოსულ ბაბუას ან, უკეთეს შემთხვევაში, ფინაგენტს მივამსგავსე.

– ნახე, ნახე, ქუდი ვოროშილოვივით არ უჭირავს? ო, რა ჯიუტი ვინმეა...

– ვინ არის, არ მეტყვი?

– აბა, ეგ არის ვინც არის. შალვა ნუცუბიძეა.

მე მხოლოდ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავ მაშინ, მაგრამ შალვა ნუცუბიძეზე ბევრი რამ ვიცოდი. გაგებული მქონდა, რომ ქართული ფილოსოფიის ამ ტიტანმა ფსევდო დიონისე არეოპაგელი პეტრე იბერად მოუქცია თავის სამშობლოს, რომ აღმოსავლური რენესანსი აღმოაჩინა და ქართული კულტურა შუასაუკუნეების ხიდად გასდო აღმოსავლურ-ევროპულ კულტურებს შორის და, რაც მთავარია – რუსულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“.

აღგზნება-გაოცებისაგან ენა დამება და მარჯვენა ყურმა შუილი დამიწყო. როგორ, კაცი, რომელსაც სადედამიწო ცივილიზაციის ერთი დიდებული აღმოჩენა ეკუთვნის, კაცი, რომელმაც სათარგმნელად „ვეფხისტყაოსანს“ შეჰბედა და მსოფლიოს ერთი უდიდესი წიგნი მისთვის

არამშობლიურ ენაზე აამეტყველა, მართლაც, რომ გოლგოთისმსგავსი შრომის გადამხდელი შალვა ნუცუბიძეა ეს ჩია კაცი, კეპმიჩრდილული დაღლილი ნაბიჯით რომ მოდის აგერ ა, ჩვენ თვალწინ?

ღმერთო, რა ბედნიერებაა.

მე ცოცხალი შალვა ნუცუბიძე ვნახე. ის შალვა ნუცუბიძე, რომლის გამონათქვამებს და ცხოვრებისეულ ეპიზოდებსაც მამაჩემი ლამაზ, რომანტიკულ-სატირულ ნოველებად მიამბობდა ხოლმე.

ზემოდან დავით გამეზარდაშვილი წამოვიდა. ძვირფასკოსტუმიანი, ხელპაპკიანი ბატონი დავითი აჩა-ბაჩა ნაბიჯებით. სტუდენტური ლოგიკით მე ახლა ჩემს დეკანს უნდა დავემალო, ლექციიდან გამოპარული უნივერსიტეტის ბაღში ვზივარ. ვზივარ კი არა, ახლა უკვე ვდგავარ, ახლა შევამჩნიე, რომ ჩემდაუნებურად, ინსტინქტურად ავმდგარვარ.

ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ბატონი დავითი ღიმილით, მოწიწებით მზრუნველი მოწაფის გამომეტყველებით რაღაცას ეუბნება, შალვა ნუცუბიძე თავისი ღირსების სრული შეგნებით, დარბაისლური სიამაყით რაღაცას პასუხობს.

დავით გამეზარდაშვილი დაემშვიდობა და კარებთან მისულს ერთხელ კიდევ მოჰხედა. ჭიშკრისკენ გზა განაგრძო და რომ გაგვისწორდა, დამიძახა.

– მიშველაძე!

მივირბინე.

– ლექცია არ გაქვს შენ?

– კი... პატივცემულო...

ჩემს ლუღლუღს ყურადღება არ მიაქცია.

– აქანა დასაჯდომად გამოგიშვა მამაშენმა ქუთაისიდან? შოთა ჩანტლაძის აყოლა გარგია? ახლა... გამეიხედე... შალვა ნუცუბიძე ატარებს საჯარო ლექციებს ოთხმოცდაცამეტში. გავარდი ახლავე. მოუსმინე ყურადღებით. უკეთესს ვერაფერს წეიღებ ამ უნივერსიტეტიდან. გესმის?!

მადლობა მოვახსენე. შოთასთან არ მივბრუნებულვარ. კენგურუს ნახტომებით დავეწიე ბატონ შალვას და ოთხმოცდაცხრამეტში ერთი ფეხით შევასწარი.

აუდიტორიაში ტევა არ იყო.

შემოვიდა დიდებული მოძღვარი-ქადაგი და თან რაღაც არაჩვეულებრივი, არამინიერი ათინათი შემოჰყვა. კეპი მაგიდაზე დადო. კედელთან მიმდგართ ხელით გვანიშნა აუდიტორიის შუაგულისაკენ. მარჯვენა იდაყვით ტრიბუნას ჩამოეყრდნო, ჩაახველა და დაიწყო.

– ახლა პეტრე იბერი... პეტრე იბერზე თქვენ არაფერი გეცოდინებათ. არ გაქვთ ხომ მისი არაფერი წაკითხული? საიდან გექნებათ, როცა არაფერი დაბეჭდილა. არა და გვყავდა დიდი კაცი – პეტრე იბერი...

წამით შეჩერდა. ტუჩებზე ორი თითი ჩამოისვა და განაგრძო.

ლაპარაკობდა ოდნავ გაბზარული, მაგრამ ვაჟკაცური ხმით, სიტყვებს მკაფიოდ გამოთქვამდა. ყველა ბგერა მოჰქონდა მსმენელამდე.

არავითარი მაღალფარდოვნება ლექციის დასაწყისში. წარმოიდგინეთ პათეტიკისაგან გაცლილი, ნელი ტემპით საუბრობდა. მერე და მერე თითქოსდა ენერგია მოემატაო. მეტი გზნებით, ცეცხლოვანებით, წარმოიდგინეთ, სათანადო ჟესტიკულაციითაც გაუტია და გაგვიყოლია. კონტაქტს აუდიტორიასთან წამითაც არ კარგავდა. „თქვენ როგორ ფიქრობთ, მართალი იყო თუ არა პეტრე იბერი?!“

ჩაგვკითხავდა ჟამიჟამ და ამით გვაიძულებდა, მისხალ-მისხალ მივყოლოდით ლექტორის ფიქრთა მოძრაობას. არავითარი ზუსტმეცნიერული უცხოურ ენციკლოპედიური ტერმინოლოგია, არავითარი ხელოვნური დახლართვა აზრისა (ზოგს რომ განსწავლულობა ჰგონია), შალვა ნუცუბიძე ლექციას კითხულობდა ყველასთვის გასაგებსა და მისაწვდომს.

ქრისტიანულ რელიგიასთან ფსევდო დიონისეს დამოკიდებულება ისე კრიტიკულად წარმოგვიდგინა, რომ ახლა ვფიქრობ, პეტრე იბერის ნააზრევში თავისი პირადი შეხედულებებიც ჩაამატა. ბოლოს დასძინა, მიკვირს, ამდენი კრიტიკული აზრის პატრონ პეტრე იბერს როგორ აცდა ინკვიზიციის კანონიო.

ლექცია ისევე მშვიდად დაამთავრა, როგორც დაიწყო.

დაღლა სრულებითაც არ ეტყობოდა.

გამომრჩა ერთი რამ, ათიოდე წუთის დაწყებული ჰქონდა ლექცია ბატონ შალვას, აუდიტორიაში შოთა ჩანტლაძე რომ შემოვიდა, სკამი შემოიტანა და იქვე კუთხეში მიჯდა.

ხუთი ლექცია წაიკითხა იმ წელს ოთხმოცდაცამეტში შალვა ნუცუბიძემ.

ხუთივე ლექცია ხუთი თითივით მახსოვს.

არც ერთი სტრიქონი არ ჩამიწერია, მაგრამ ხანდახან სტუდენტებთან საუბრისას ხშირად დამიჭერია თავი იმაში, თუ როგორ დამიგდია ჩემი სათქმელი და გადავსულვარ შალვა ნუცუბიძის ნააზრევის ინტერპრეტაციაზე ზოგჯერ მისივე ინტონაციითაც კი.

არა და ეს იყო ლამის ორმოცი წლის წინ.

მახსოვს შოთა რუსთაველზე რომ ლაპარაკობდა:

„ბევრი რუსთველოლოგოსი დავგროვდით ახლა საქართველოში... რუსთაველმა ბევრი ჩემი კოლეგა გამოათაყვანა... მეშინია, მეც ასე არ დამემართოს... ზოგი ენათმეცნიერი ისე გათავხედდა, რუსთაველს ენას უსწორებს. ამგვარი შეთამამება რუსთაველთან ჩვეულებრივ გაგიჟებით მთავრდება. დადიან ქვეყნად რუსთაველისაგან გაჭყლეტილი, „იდეა-ფიქსით“ შეპყრობილი ცრუმეცნიერნი. რუსთაველის სტრიქონს რომ კბილი გაუსინჯო, დავით გურამიშვილი თუ არა, ილია ჭავჭავაძე მაინც უნდა იყო. „ვეფხისტყაოსანს“ ერთი საოცარი თვისება აქვს. შეგიტყუებს და ფიქრის საღერღელს აგიშლის. შენც გენიოს შოთას მხარს უტოლებ

და მის ახსნას ცდილობ. დიახ, „ვეფხისტყაოსანი“ ციდან დაშვებულ ზღაპრულ თოკს წააგავს. შენკენ ექაჩები და გგონია, მოიახლოვე. ამ დროს თურმე მან მიგიზიდა და შეუმჩნევლად აგწია მაღლა... მაღლა, ღრუბლებს ზემოთ, საიდანაც გადმოხედვა საშიშია და გადმოვარდნა უარესი!“

ჩვენც ასე გვწევდა მაღლა ოქროპირი სილამაზის ცისფერი ბილიკებით. როცა დარწმუნდებოდა, რომ მის უზადო ლოგიკას მინდობილნი ალალად მივყვებოდით, წამით შეჩერდებოდა და ფრთხილად დაგვიშვებდა დაბლა.

უკანასკნელად კვლავ უნივერსიტეტის ბაღში ვნახე, ზამთარი იყო. მოტეხილი მეჩვენა.

ჯავახიშვილის და მელიქიშვილის ძეგლებს შორის მიმოდიოდა. შეჩერდებოდა, დააკვირდებოდა, რაღაცას ჩაილაპარაკებდა და უკან ბრუნდებოდა.

საკუთარი ბიუსტის ადგილს ხომ არ ეძებდა?

მშვიდად და უდრტვინველად

შოთა!

პანაშვიდზე შენი ცოლ-შვილის ცრემლიან თვალებს გავერიდე და სამუშაო ოთახში შენს სკამზე ჩამოვჯექ.

საოცარი, არაამქვეყნიური სიმშვიდე დამეუფლა.

შენი მაგიდა აულაგებიათ. აღარც გაშლილი წიგნები ჩანს და აღარც მელანშეუმშრალი ქაღალდები.

თაროებზე, წიგნების წინ, შენი საყვარელი ადამიანების სურათებია.

უკვე ეტყობა ყველაფერს, რომ ამ ოთახის პატრონი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის მეფე და დიდი ბავშვი, წავიდა.

მომეჩვენა, რომ ფეხაკრეფითაც აღარ დადიან შენს ოთახთან, ხელი რომ არ შეგიშალონ.

თუმცა, უკვე ხელს ვეღარავინ შეგიშლის.

აღსრულდა, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა. თუმცა გერმანელმა ექიმმა მითხრა: ოპერაცია წარმატებულია, ორ წელიწადს მაინც იცოცხლებსო, მაგრამ, როგორც ეტყობა, მიქელ-გაბრიელი სხვაგვარად სჯიდა.

რა უმწეო ვარ, რომ იცოდე. წევხარ ჩემი უპირველესი მეგობარი სასიკვდილო სარეცელზე და ვეღარაფერს გშველი.

მაპატიე, სახეზე ღიმილშეყინულმა რომ გითხარი საავადმყოფოში ამას წინათ, ოთხმოცი წლისთავის იუბილეზეც უნდა გითამადო-მეთქი.

მაპატიე, ჩემი უნიჭო არტისტობით გულს რომ გიკეთებდი, დღეს უკეთ გამოიყურები-მეთქი.

დაგტირი, ჩემო შოთა.

დაგტირი, ჩემო სულიერო ძმაო, და ვგრძნობ, რა მარტო დავრჩი ამ ქვეყანაზე.

აწი ფრთებს ვეღარ დაგატოლებენ, ვერც მოქილიკეთა უბადრუკი ყაყანი მოგწვდება.

შენი გრძნეული პოეზიის, შენი დიდი ეროვნული ღვაწლის სათანადოდ დასაფასებლად ხვალინდელი საქართველო იზრუნებს.

იძინე შენი მეფური ძილით, მშვიდად და უდრტვინველად.

კაცი

უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტებს დეკანმა, დავით გამეზარდაშვილმა, გამოგვიცხადა: ხვალ გიორგი ჯიბლაძის ლექცია გაქვთო.

გიორგი ჯიბლაძე მაშინ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი იყო.

ცხრილში სექტემბრიდან გვეწერა, მოუთმენლად ველოდით, მაგრამ ოთხჯერ გაგვიცდა და მერე იმედი გადავიწურეთ.

შემოვიდა ოდნავ ტანსრული, საშუალოზე მაღალი, საფეთქლებთან შეჭაღარავებული ლამაზი კაცი და თითქოს ახლახან დაწყებულ საუბარს აგრძელებსო:

– ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ყმაწვილებო. ჩემი ბრალი არ არის, აქამდე რომ ვერ მოვაღწიე თქვენამდე. ვუთხარი დათიკოს, ვერ შევძლებ ლექციების კურსის წაკითხვას-მეთქი, მაგრამ დაგიჯერებს რამეს დათიკო? არ გამამხილოთ და თემსაბჭოს ცხენივით ათ საქმეში ვარ გაბმული. ამის გარდა ყველა ფუჭი საქმეა. ლექცია და კალამი – ეს ორი რამ მიტაცებს ყველაფერზე მეტად. შევეცდები, დაგარწმუნოთ, რომ არც ერთი და არც მეორე არ დამიბრალებია ჩემი თავისთვის.

სანამ ლექციას დაიწყებდა, თვალი მოგვავლო. მესამე მერხზე ვიჯექი გასუსული.

რატომღაც ჩემთან მოვიდა, დამაკვირდა.

– მიშველაძე?

– დიახ, ბატონო, – წამოვდექი.

– მოიცა, შენ იქნები რეზო, უფროსი გოგო ჰყავს ავქსენტის, რა ჰქვია?

– ნათელა.

– სწორია, ნათელა.

– რომ გეთქვა ახლა შენ, მიშველაძე არ ვარო, შეიძლება გული გამსკდომოდა! ნეტავი, მე თუ ვგავარ ისე მამაჩემს, რომ შენ დაუმსგავსებიხარ ავქსენტის.

მერე აუდიტორიას მიუბრუნდა.

– საოცარი ამბავი მოხდა ახლა, ამ წუთში, ამ ოცი წლის წინათ, მაშინ ახალბედა ლექტორი ქუთაისში მიმიწვიეს ლექციების წასაკითხად. ჩემი პირველი ლექციების კურსი ოფიციალურად, როგორც ლექტორმა, ქუთაისში დავიწყე, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სტუდენტებზე ორისამი წლით ვიქნებოდი უფროსი, ვინ იყვნენ, თუ იცით, ჩემი პირველდი სტუდენტები? ლადო ასათიანი, ავქსენტი მიშველაძე, გიორგი შალამბერიძე, ლევან კიკნაძე, შოთა ქურიძე... აი, ახლა შემოვდივარ ოცი წლის მერე აუდიტორიაში და აგერ არ ზის ავქსენტი მიშველაძე? ეტყობა, ვბერდები, ასეთი რამ ჯერ არ დამმართნია, იცით, რა მოხდა? უკანა მერხისკენ გავიხედე, ლადო ასათიანს ვეძებდი.

ეს თქვა და წამით გაჩუმდა. თითქოს ცრემლიც გაუკრთა თვალებში. მოვიდა და თავზე ხელი გადამისვა.

გაგვათბო, აგვაღელვა ამ პირველმა ლირიკულმა სცენამ საქვეყნოდ ცნობილი მწერლისა და მეცნიერის მიერ უცნობ სტუდენტებთან ასე ბუნებრივად გათამაშებულმა.

სტუდენტისათვის თავზე ხელის გადასმა მისი ჩვეულება იყო. ლექციის კითხვის დროს აუდიტორიაში დადიოდა, ზოგს მხარზე დაადებდა ხელს, ზოგს თავზე გადაუსვამდა.

რა ძვირფასი, ნაზი, მძიმე და თბილი იყო ტკბილმოუბარი მოძღვრის ხელი, ახლა რომ ვიხსენებ.

ესთეტიკას გვიკითხავდა. ისე ლაღად მოძრაობდა მისი გონება არისტოტელე-ბუალოსა და ილია ჭავჭავაძეს შორის. არტისტი იყო. მთელ გვერდებს ამბობდა ზეპირად მსოფლიოს ცნობილ ფილოსოფოსთა ნაწერებიდან, ლექციის დროს ქართულ ნიადაგს არასოდეს წყდებოდა, ერთს თუ ბერძენი ავტორისას იტყოდა, ცხრას ქართველისას მიახმარდა.

ფართო განათლების, მრავალმხრივ განსწავლული ლექტორი იდგა ჩვენ წინაშე. ვგრძნობდით, მისი დიდი ერუდიცია ერთი კურსის ფარგლებში ვერ ეტეოდა. სურდა ბევრის თქმა მოესწრო და შუბლს შეიჭმუხნიდა, ზარის წკრიალი რომ დაურღვევდა აზრთა მდინარებას. შესვენების გარეშე გვიკითხავდა ლექციას, ოთხმოცდაათ წუთს გაუჩერებლად, განსაცვიფრებელი ექსტაზით საუბრობდა. ვგრძნობდით, ჩვენ თვალწინ ქმნიდა, ზოგჯერ ახალი აზრი განზე გაიტყუებდა და იმას გაჰყვებოდა. ლექციის კითხვის დროს საკმაოდ პოლემიკურიც იყო. არც ისეა საქმე, ზოგს რომ ჰგონიაო, იტყოდა, გვარს არ დაასახელებდა, მაგრამ იმპროვიზებული ციტატით მიგანიშნებდა, ვისზე იყო ლაპარაკი.

ახალი ლექციის დაწყების წინ გვკითხავდა: აბა შემახსენეთ, რაზე შევჩერდითო. აინტერესებდა, რამდენად მივყვებოდით უზადო ლექტორის აზრთა მდინარებას.

გამოცდის დროს ბილეთები არ გაუშლია მაგიდაზე. თითო შეკითხვას გვისვამდა და შეუმცდარად იგებდა, ვინ რა „ბაგაჟის პატრონი“ ვიყავით. ჩვენს ჯგუფში ხუთიანზე და ოთხიანზე ნაკლები ნიშანი არ დაუწერია.

იმ პირველმა შეხვედრამ და ბატონი გიორგის მიერ ჩემ მიმართ გამოჩენილმა ყურადღებამ ისე გამათამამა, ერთ დღეს მინისტრის მისაღებში მთხოვნელთა შორის აღმოვჩნდი.

ჩემმა რიგმა რომ მოაღწია, კინაღამ გადავიფიქრე, ნერვიულობისაგან თითები გამეყინა. ეს რა სითამამე ჩავიდინე, ვინ ვარ მე, მესამეკურსელი ლაწირაკი, ამხელა კაცთან აუდიენციას რომ ვითხოვ და ასეთ ძნელ საქმეზე-მეთქი.

კარებშივე შემომეგება, ჩანს, სახეზე შემატყო სინდისის ქენჯნის კვალი, დამიყვავა, ამხანაგივით გამიშინაურდა; რა ხდება უნივერსიტეტში, ქუთაისიდან ხომ არაფერი ისმისო, ვერ წარმოიდგენ, როგორ მენატრება ქუთაისიო.

სწორედ ქუთაისთან დაკავშირებულ საკითხზე გაწუხებთ-მეთქი, ბატონო გიორგი, საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით, ოთხივე და-ძმა აქ ვსწავლობთ. ბინა უკვე გადმოვცვალეთ, მამაჩემის სამსახურზე იქნებ რამე მისაშველოთ-მეთქი.

გაეცინა. შვილიც შენნაირი უნდაო. კი მაგრამ, თვითონ ვერ მოვიდა ავქსენტიო?

მამაჩემი ქუთაისშია და იმის თავს გეფიცებით, არ იცის, მე თუ გავბედე ამ საკითხზე თქვენი შეწუხება-მეთქი.

ცოტა შეფიქრიანდა.

ვერაა ეგ მთლად კარგი საქმეო, ასე იცლება ქუთაისი. ყველა თბილისისკენ გამოვრბივართ, თუმცა არც მე მაქვს თავი გამოსაყოფი, მეც ქუთაისიდან ლტოლვილი ვარო.

აიღო ყურმილი და პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის რექტორს დაურეკა.

ერთ კარგ საქმეზე უნდა შეგაწუხოო. ჩემი ქუთაისელი მეგობარი, ავქსენტი მიშველაძე, მოვა შენთან, ვიცი, ძალიან გიჭირს, მაგრამ უნდა მიიღო როგორმე, მეტს აღარ გთხოვ ამ წელიწადს არაფერსო, კარგი, კარგიო, არ დაგავიწყდეს, თუ კაცი ხარ, სირცხვილი არ მაჭამო ამ ხალხთანო, და ყურმილი დადო.

გავვარდი ფოსტაში და მამაჩემს დავურეკე: ქუთაისში სასწრაფოდ ჩამოდი, პუშკინის ინსტიტუტში გიორგი ჯიბლაძე შტატს გიკეთებს-მეთქი.

ნუ სულელობო, მამაჩემმა, ჯიბლაძე ღმერთისტოლა კაცია, მე ვერ შევაწუხებ პირად საკითხებზეო.

შევაწუხე კიდეც და გადაწყვეტილიცაა ეგ ამბავი-მეთქი.

...დიდხანს ყვებოდა მამაჩემი ჩემს ზღვარდაუდებელ სითამამეზე, ან როგორ გაბედა, ან რამ მოაფიქრებინა სტუდენტ-ღლაპს მამის საკითხზე მინისტრთან შესვლაო.

ასეთი იყო ბატონი გიორგი.

კეთილი, უანგარო, დიდბუნებოვანი, მოხდენილი, ლაზათიანი... ყოველი ღირსებით შემკული კაცი.

ბრძოლის სურვილი არ დაიოკო
(ზურაბ კუხიანიძე _ 70)

ზურაბ, ძვირფასო!

სამოციდან სამოცდაათამდე ისე სწრაფად გარბის დროს, მოხედვასაც ვერ მოასწრებო, ვიღაცამ მითხრა.

მართლა ასე ყოფილა, სამოცის მოსალოცად რიგში ჩამდგართ, აჰა, შენი სამოცდაათიც წამოგვეწია.

მერე? რა შეიცვალა ამით? თავზე ბეწვიც ვერ შეგირხია ათწლეულმა. სულ არ ჰგავხარ შენივე ლექსის ბერიკაცს. შემოდგომის ფოთლებს რომ აცილებ მხრებზე, რაკიღა „თავის წლების ჰყოფნის სიმძიმე“.

შენ ძველებურად მკვირცხლი და სასიყვარულოდ, სასიკეთოდ ნიადაგ დაუზარელი, ძველებურად შემართული ზურაბ კუხიანიძე ხარ.

ჩემთვის, ათასი მიზეზის გამო, უაღრესად ახლობელია შენი მართალი პოეზია, ჩვენი სანუკვარი იმერეთის კოლორიტით გაჯერებული შენი ღიმილიანი მოთხრობები, შენი უზადო თარგმანები.

ნიჭიერი, ხელხვავიანი მწერალი და მოღვაწე ხარ, პროფესიონალი თუ ვინმეზე ითქმის, პირველ რიგში, შენა ხარ.

უწიგნოდ ერთი დღეც არ მინახავხარ.

ჩვენ ლიტერატურისთვის კარგ წლებში ვიცხოვრეთ და გულდასაწყვეტი არაფერი გვაქვს.

მახსოვს, ლექსს რომ წაიკითხავდი, სცენის კიბეზე როგორ გარხევდა პარტერში აგრგვინებული ტაში.

მახსოვს შენი წიგნის ვერშოვნით შეწუხებული მკითხველიც.

ახლა სხვა დროა, ბედაურნი ნაბდის თავლაში დგანან, ფლოქვებიდან ნაპერწკლებს ლამის აღარ ჰყრიან და „ვირებს რჩებათ მოედანი“.

ნეტავ, არ მოვსწრებოდით ამ დროს, ჩვენს ლიტერატურულ სიყმაწვილეში ხომ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ერს თავისი უერთგულესი, ბრძენი მოძღვრის – მწერლის, მიმართ ინტერესი გაუნელდებოდა.

გულს ნუ გავიტეხთ, ჩემო ზურაბ, მჯერა ქუდზე კაცის დაძახებას, საღათას ძილისაგან ქვეყნის გაღვიძებას, თავისუფლებისთვის შემართულ ლაშქარს კვლავაც ვიხილავთ და იმ ლაშქარში იქნები შენ – ბერი ლუხუმივით მკლავღონიერი და მართალსიტყვა.

ახლა, მთავარია, არ გაგიტკბეს სიბერის ბუხარი, არ განელდე, არ დაოკდე, ბრძოლის ჟინი არ გაგითავდეს, ხალთაში შენახული მახვილი დროდადრო მოსინჯე ხოლმე... დაგჭირდება!

ჭეშმარიტი მოღვაწე და უღალატო კაცი

ჩემო როინ,

ჩვენ ახლა შემოდგომის გრძელ და მოსაწყენ დაღმართთან ვდგავართ.

ცოტა ხანს მუხლებს ქარს ამოვაღებინებთ, უკან მოვიხედავთ და ჩავუყვებით.

სამოცი წელი ცოტა არ არის, განსაკუთრებით იმისთვის, ვისაც ბავშვობაში მსოფლიო ომის გუგუნი მიწვდა და მამა კედელზე დაკიდებული გადიდებული სურათიდანღა ახსოვს. ვისაც არც შიმშილი დაკლებია და გაცვეთილლანჩიანი ფეხსაცმლის ტარების სიმწარეც უგემნია. ვისაც მკაცრი „ამხანაგოც“ არაერთხელ მოუსმენია და სამსახურიდან სრულიად უმიზეზოდ დათხოვნის მძიმე წუთებიც განუცდია, ვისაც უსამართლო კრიტიკის სუსხი არაერთგზის მიწვდენია და თავისუფალი საქართველოს დამხობის ჟამიც განუცდია.

ეს ყველაფერი ჩვენს სულზე წარუშლელ დანალექს ტოვებს და იქნებ უფრო ნაადრევადაც გვიახლოვებს არყოფნის წუთებს, უფრო ნაადრევად, ვიდრე მშვიდი ცხოვრების შემთხვევაში.

განა რამდენ სამოცს იძლევა არსთაგამრიგე.

მაშ, დავასწრებ მსახვრალ „დროთა სრბოლას“ და დღითი-დღე გაცრეცილი მეხსიერების ორმოცდაათწლოვანი ნისლოვანებიდან გამოვიხმობ მაყვალთვალება მკვირცხლ ყმაწვილს, დინჯი ნაბიჯებით მოსიარულეს ობლისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით და შიგადაშიგ ნაღვლიანი გამოხედვით გამორჩეულს, ოდენ საკუთარი თავის მოიმედეს; ნიადაგ ხელწიგნიანს და ლიდერის თვისებით იმთავითვე დაჯილდოებულს...

შენი პირველი საჯარო გამოსვლაც მახსოვს სკოლის გრძელ დერეფანში. ქუთაისის ქართულ დივიზიაში შენი ჩირაღდნიანი მოწოდებაც, შენი პირველი ჩანახატიც, პირველი წიგნიც და, ალბათ, მეპატიება, ახლაც შენი, დაბრძენებული კაცის – სახელოვანი ისტორიკოსის და დიდებული რექტორის, ტრიბუნასთან მისვლის დროსაც ისევ იმ მღელვარებანერვიულობით რომ გიგდებ ყურს, თითქოს პირველად გამოდიოდე.

დაყაჭდნენ და დააბრეშუმდნენ ჩვენი პეპლები.

შენ მიერ გაკეთებული საზომით თუ გავიარშინებ, არც ისე მოკლე ჩანს წუთისოფელი.

რამდენ საქვეყნო საქმეს დაადგი თავი, რამდენ წმინდა სახელს ააცილე დავიწყების მტვერი, რა დიდებული საჩუქარი უძღვენი ერს ქართული ენციკლოპედიის სახით და რა ძნელ წლებში გამოატარე შენი სათაყვანო უნივერსიტეტი.

უღალატო კაცი ხარ, ჭეშმარიტი მოღვაწე და მუხლჩაუხრელი პატრიოტი. ივანე ჯავახიშვილის კვალში ჩამდგარს ობიექტური, საბუთიანი,

საუკუნეებში სწორად მზირალი ისტორიკოსის მანტია გიმშვენებს ფართო მხრებს.

ქართველ მწერალთა ოჯახშიც ნათობ, ჩემთვის სამაგიდო წიგნებია შენ მიერ ახლახან დაწერილი მშვენიერი ნარკვევები მწერლისა და ისტორიის ურთიერთკავშირზე და ირაკლი აბაშიძეზე.

შენ, დუღაბივით მეხსიერების პატრონმა, შეგიძლია, საათობით ზეპირად თქვა ქართველ პოეტთა ლექსები და მთელი გვერდები სულხან-საბას, ილია ჭავჭავაძისა თუ კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებებიდან.

შარშან, ქუთაისში, ჩვენს მშობლიურ სკოლაში რომ გვიხმეს და წლებით დამძიმებულნი მერხზე ძლივს დავეტიეთ, შენს თვალზე ცრემლიც მახსოვს, როცა ქართულის მასწავლებელმა, ორმოცდახუთი წლის წინანდელი გაყვითლებული საკონტროლო წერის რვეულები დაგვიდო წინ.

ქართულ წერაში შენ ხუთიანი გეწერა, მე – ოთხიანი.

იქნებ ვარა სამხარაძის მიერ ჩვენთვის წინასწარ სიმბოლურად ჩვენი გასასვლელი ცხოვრების შეფასებაც იყო ეს.

როცა მართლა დავბერდებით, ძალიან დავბერდებით და ფარზე აზიდულნი აღარ ვიქნებით, ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და ერთხელ კიდევ ერთად მივაკითხოთ ჩვენი სიყმაწვილის ბილიკებს ამ ცხოვრებისთვის საბოლოო ანგარიშის ჩასაბარებლად.

სიტყვა, წარმოთქმული სოხუმის უნივერსიტეტის ოცი წლისთავის იუბილეზე 1999 წლის 21 მაისს

ბატონებო!

რუსის მიერ თავიანთი სამკვიდროდან გამოყრილმა ქართველებმა ამ ექვსი წლის წინათ გამოიარეს კოდორ-ჭუბერის გოლგოთის გზა.

ისტორია სამარადჟამოდ ილაპარაკებს „ჩრდილოელი ძმის“ მიერ ქართველთა ამ უმაგალითო, უსასტიკეს რბევაზე.

დევნილთა გრძელ ქარავანს მოჰყვებოდნენ დელგმას გადარჩენილი სტუდენტები და პროფესორები.

მოჰყავდათ მასწავლებლებს მოსასხამქვეშ შეფარებული თავიანთი შეგირდები.

კრიჭა შეჰკვროდათ მოძღვართ და ცხოვრებაში ჯერ გამოუწრთობ ელდაცემულ ყმაწვილებსაც.

მე გახლდით მოწმე, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში როგორ ელოდნენ ოთარ ჟორდანია და ოთარ ჭურღულია თავიანთ მრევლს.

ნელ-ნელა იკრიბებოდნენ ისინი – თავზარისაგან ჯერ ბოლომდე ვერ გამორკვეულიყვნენ – წვერგაუპარსავნი, უჰალსტუხო და უჩანთო პედაგოგები; ზოგ მათგანს უძირო სევდა რომ ჩადგომოდა თვალებში, ხოლო მკერდზე რუსის ტყვიით განგმირული შვილის ან სხვა ახლობლის შავარშიაშემოვლებული სურათი უჩანდა.

ვფიქრობდი მაშინ: ლტოლვილი ხელისუფლება და ლტოლვილი მწერალი მესმის, მაგრამ ლტოლვილი უნივერსიტეტი როგორ იარსებებს-მეთქი.

როგორც კრუხმა ძერისგან დაფეთებული წიწილები, ასე შემოიკრიბა ენერგიულმა და კეთილშობილმა რექტორმა სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტ-თანამშრომლები და კვლავ წიგნ-ფანქარი მოაძებნინა.

დედა-უნივერსიტეტიც ფრიად გაისარჯა, რათა სოხუმის „ალმამატერს“ დევნილობის მძიმე წლები შეუმსუბუქოს.

მეც მაქვს პატივი აფხაზეთის უნივერსიტეტის თანამშრომლად ვიწოდებოდე და როცა აუდიტორიაში შევდივარ, დებიუტანტი ლექტორივით ვღელავ – ლიტერატურის ისტორიაზე საუბრისას ხშირად „სიტყვა გამექცევა“ ხოლმე და იმ პრობლემაზე ვიწყებ საუბარს, ურომლისოდაც საქართველოს არსებობა ვერ წარმომიდგენია.

აფხაზეთის და სამაჩაბლოს საქართველოსგან მოკვეთა დანაშაულად ჩაეთვლება მთელ საუკუნეს და ვისაც როგორ შეგვიძლია, უნდა ვახმიანოთ საქართველოს გამთლიანების დაფდაფები.

არამარტო ფენიქსებრ აღსდგა აფხაზეთის უნივერსიტეტი, ღონიერი ნაბიჯებით დაიწყო წინსვლა და დღეს იუბილეს ზეიმობს.

ფილიალის ან უნივერსიტეტის ქართული უჯრედის იუბილეს კი არა – მთელი სოხუმის უნივერსიტეტის იუბილეს. იქეთაც და აქეთაც ყველა კაცურ კაცს ახსენებს, ვისთან ერთადაც საქართველოს ძირძველ მიწაზე საუნივერსიტეტო განათლების ჭაპანი უწევია.

არ დავმალავ, მაღიზიანებს ხოლმე ლტოლვილთა გაუთავებელი დაიმედება ფუჭსიტყვაობით და უშედეგო სამმხრივ-ოთხმხრივი მოლაპარაკებებით. ისიც კი მიშლის ნერვებს მხოლოდ ერთგული მეტეოსამსახური დღეში სამჯერ რომ მოგვახსენებს; რა ამინდია სოხუმში, იმ მშობლიურ სოხუმში, სადაც აფხაზეთის უნივერსიტეტის სტუდენტები და ლექტორები ექსკურსიაზეც ვერ ჩადიან.

თითქოსდა ანთეოსივით ახალი ენერგია შეიძინაო – განსაცვიფრებელია, ის სიცოცხლისუნარიანობა და შემოქმედებითი აზრის მჩქეფარება, აფხაზეთის უნივერსიტეტში რომ სუფევს.

კვირა არ გავა მორიგ ღონისძიებაზე რომ არ მოგვიხმოს ოთარ ჟორდანიამ – დისერტაციების დაცვა, ახალი წიგნის პრეზენტაცია, შეხვედრები გამოჩენილ მწერლებთან და მეცნიერებთან და ა. შ. და ა. შ.

მადლობა ყოველივე ამისთვის თქვენ, ჩემო ძვირფასო კოლეგებო.

თქვენს მოთმინებას, იმედს და რწმენას გაუმარჯოს.

ამ მაღალი ტრიბუნიდან მინდა მივმართო ჩემს ძვირფას მეგობრებს – როინ მეტრეველს და თამაზ ნადარეიშვილს:

თქვენ ხელისუფლებასთან ხელი მიგიწვდებათ და გადაეცით პრეზიდენტს – ძალიანაც ნუ წაუჭერენ ხელს საარენდო გადასახადით მავანნი და მავანნი აფხაზეთის უნივერსიტეტს:

ლტოლვილმა უნივერსიტეტმა, მე მგონი, მძიმე სულიერი გამოცდა ღირსეულად ჩააბარა და დაიმსახურა დედაქალაქმა იგი რომელიმე შენობაში უფასოდ შეიფაროს.

და ბოლოს განსაკუთრებული სიყვარულით მინდა მივესალმო იმათ აი, ახლა კარებთან რომ შეჯგუფულან და მაღლა იარუსს რომ ავსებენ – ჩემს უმრწემეს მეგობრებს – სტუდენტობას.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონებო, ისინი ჩვენზე უკეთ, უფრო გულოვნად იბრძოლებენ აფხაზეთის დაბრუნებისთვის!

მაღალზნეობრივი

ბატონი სერგო ათეული წლების განმავლობაში იყო უნივერსიტეტის პრორექტორი.

განსხვავებით იმ პერიოდის ზოგი სხვა პრორექტორისაგან, სერგო ჯორბენაძე „მუშა პრორექტორი“ იყო. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მისთვის სხვა დიდ საქმეთა შორის „გამოსატანიებლად“ არასოდეს ქცეულა. ყოველდღე მოიხელთებდით კაბინეტში მჯდომს და საქმით გართულს.

ზუსტად არც ახლა ვიცი, რა საკითხების გადაწყვეტა ეხებოდა, როგორც პრორექტორს, მაგრამ ჩემს უნივერსიტეტელ პატრონად მე მხოლოდ სერგო ჯორბენაძეს ვცნობდი.

ხომ არიან სიკეთისთვის გაჩენილი ადამიანები. გურიის ერთ პატარა სოფელში დაბადებულსა და აღზრდილს საოცარი შინაგანი კულტურა ჰქონდა. მაღალინტელიგენტური იყო მისი სალამიც, შეხვედრა-საუბარიც.

ისე მობოდიშებით და ტკბილად გიპასუხებდა სალამზე, რომ იგრძნობდი აშკარად წუხდა, სალამი რომ დაასწარი, კაბინეტში შესულს ისე გეგებებოდა, თითქოს თავის მილიონ ნაცნობში სწორედ შენ გელოდა ახლა, ამ წუთს. კარებში გამოჩენისთანავე შეგაგებებდა – მობრძანდით, რეზო! თუნდაც უამრავი სტუმარი ჰყოლოდა. მის ლექსიკონში არ იყო ამპარტავნულ-ჩინოვნიკური: „დამელოდეთ ცოტა ხანს, თუ შეიძლება“.

სანამ შენ დაიწყებდი სათხოვარზე უხერხულ ბაასს, თვითონვე გაგიბამდა მუსაიფს სრულიად სხვა, განყენებულ თემაზე. „რა ამბავია მწერლობაშიო“, გკითხავდა, ან: „ერთი ამიხსენი, თუ ძმა ხარ, ვინ გეგულება ახალთაობაში ისეთი, ქვეყანას სასიკეთო გზაზე რომ გაიყოლებს“. განა თვით შენზე ნაკლებად მოეხსენებოდა ამ შეკითხვათა პასუხი, მაგრამ, როგორც დიდბუნებოვან ადამიანებს სჩვევიათ, შენს პიროვნებას პატივს მიაგებდა, სათხოვრით მისულს არ გამცირებდა. „რამ შეგაწუხაო“, როდი გკითხავდა, ნელა, ლაპარაკ-ლაპარაკში გამოგართმევდა განცხადებას, შენ თვალწინ ჩაავლებდა თვალს ისე, სხვათა შორის, თითქოსდა მთავარი ეს განცხადება კი არ იყო, არამედ ის ფაქტი, რომ შენ სერგო ჯორბენაძესთან მიხვედი და ებაასები, მერე ისევე სხვათა შორის შენთვის სასურველ რეზოლუციას დაადებდა განცხადებას და ისე გამოგიწვდიდა, რომ მადლობის სათქმელადაც არ გიტოვებდა პაუზას, ახალ შეკითხვას შეგაგებებდა და კეთილ, ლამაზ ღიმილს შეგაფრქვევდა.

ჩემი ურთიერთობა ბატონ სერგო ჯორბენაძესთან დავიწყე, როგორც პირველი კურსის ასპირანტმა პრორექტორთან და დავამთავრე, როგორც პროფესორმა, კათედრის გამგემ ჩემი უფროსი მეგობრის ცხედართან გამოთხოვებით.

დიდი სკოლა იყო ჩემთვის მასთან გატარებული ყოველი საათი.

ახლაც, ამ სიბერეში, ხშირად დამიჭერია ჩემი თავი იმაში, რომ სერგო ჯორბენაძეს ვბაძავ ახალგაზრდა კოლეგებთან დამოკიდებულებაში, კაბინეტში შემოსულს ბატონი სერგოს მანერებით ვესაუბრები.

მახსოვს, ასპირანტურა რომ დავამთავრე, უპატრონო, ქუთაისელ ყმაწვილს ძალიან გამიჭირდა უნივერსიტეტის შტატში მოხვედრა.

რამდენჯერმე წარმადგინა მასწავლებლის ნახევარ განაკვეთზე დავით გამეზარდაშვილმა, მაგრამ რექტორმა ყოველთვის თავი შეიკავა.

შევედი ბატონ სერგოსთან. ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი. მაშინ სულ მეორეჯერ ვხვდებოდი და, ახლა რომ ვიხსენებ, როგორც ძველ ნაცნობს კი არა, როგორც მეგობარს, ისე შემხვდა. როგორო, გაიკვირვა, შენ აქამდე შტატში არ ხარო? დავურეკავ დავით გამეზარდაშვილს. ბ-ნი დავითი დიდხანს ესაუბრა, მე, რასაკვირველია, არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, როგორც იყო ეს ორი უანგარო, კეთილშობილი ქართველი კაცი მონდომებული, რომ რექტორის სრულიად აუხსნელი სიჯიუტე გაეტეხა.

მერე პარტკომს, დავით ჯიქიას, დაურეკა ბატონმა სერგომ. დავით ჯიქიამ მაშინვე ჩამოირბინა და ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ამ დიდებული სამეულის ძალისხმევით ერთ კვირაში უნივერსიტეტის ლექტორი გავხდი.

რა უსამართლო და აუხსნელია წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალი. დღეს არც ერთი მათგანი აღარაა ცოცხალთა შორის.

კომუნისტების მძვინვარების დროს უნივერსიტეტში ერთი არაჯანსაღი ტენდენცია იგრძნობოდა, რექტორის სირბილით თუ ერთი მედავითნე-ჩინოვნიკი პრორექტორის წყალობით უნივერსიტეტს „შემოეჩვივნენ“ შინაგან საქმეთა და უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები. ისინი უხეშად ერეოდნენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. იყო ლექტორ-მასწავლებელთა დაბარება-დაკითხვები. ანონიმურ განცხადებაზეც კი უნივერსიტეტის პროფესორს „სადაც ჯერ არს“ იბარებდნენ და ნერვებს უშლიდნენ. ჩემი კათედრის ერთი წევრი დილით გაფითრებული მოვიდა

სამსახურში, ლექციის წაკითხვა არ შემიძლია, წნევა მაქვს, თურმე მისაღებ გამოცდებზე ამ ზაფხულს ვიღაცას მივხმარებივარ და გუშინ ახსნა-განმარტება დამაწერინეს, დღეს კი დაკითხვაზე მიბარებენო.

მე მაშინ კათედრის გამგის მოადგილე გახლდით და რატომღაც ჩემ მოვალეობად მივიჩნიე ჩემს ყოფილ ლექტორს გამოვქომაგებოდი. ჩავედი ბატონ სერგოსთან.

უნდა გენახათ სერგო ჯორბენაძის აღშფოთება. გამომძიებელს დაურეკა და სთხოვა, თუ შენს მუნდირს არ დაამცირებს ჩვენთან ვიზიტი, შენი ყოფილი ლექტორის უფლებით გელაპარაკები, იქნებ დაგვდო პატივი და რექტორატში გვესტუმროო.

როცა გამომძიებელი მოვიდა, მე ავდექი და გამოსვლა დავაპირე. „რეზო, აქ იყავი, მჭირდებიო“, მითხრა ბატონმა სერგომ და გვერდით მომისვა.

ჯერ დაწვრილებით გამოკითხა საქმის შინაარსი. მერე კანონს მოუხმო და გამომძიებელს მისი საქციელის არა ოდენ არაეთიკურობა, უკანონობაც დაუმტკიცა. შენაო, ეს ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ გგონიაო, თანდათან ხმას აუწია, ხომ არ გინდა მინისტრს დავურეკო ახლავე და სარჩელი შევიტანო შენ წინააღმდეგ: როგორც უნივერსიტეტის პრორექტორმაო. ეგ პროფესორი, შენ რომ ახლა დასაკითხად იბარებ, სწორედ ის პროფესორია, შარშან შენს ძმისშვილზე რომ ვთხოვე და გაუკეთებელი გააკეთაო. ეს საქართველოს ერთადერთი უნივერსიტეტია და სწორედ იმიტომ აქვს ეროვნული სახლის სახელი, რომ ყველას შემწე და დამხმარეაო. უმადური შვილის საქციელს ჰგავს შენი საქციელიო. იცი თუ არა, რომ წესიერ ქვეყანაში შენისთანა ახალბედა გამომძიებელი კი არა, ქვეყნის მთავარი პროკურორი ვერ ბედავს უნივერსიტეტში შესვლას პროფესორის დასაკითხადო. გავსებულია ქვეყანა ქურდებით და მართლა მექრთამეებით, იმათ ვერაფერს უბედავთ და უნივერსიტეტი რა დაბალ ღობედ გეჩვენებათ, თუ იცითო. საზოგადო მოღვაწე ჰქვია უნივერსიტეტის ლექტორს და ვინ მოგცა საზოგადო მოღვაწის ხელყოფის უფლებაო, შენ რომ პროფესორს ვიღაც თაღლითის საჩივრით ნერვებს უშლი, იმ პროფესორს შენხელა ჭრილობა აქვს ომში მიღებულიო...

ჩემ თვალწინ უფრო და უფრო მაგიდისკენ ხრიდა თავს წრუწუნადქცეული გამომძიებელი, მერე თვით ბატონ სერგოს შეეცოდა და მოეფერა – არ გეწყინოს, ასე რომ გელაპარაკები, მამისტოლა რომ არ ვიყო, მე მაქვს შენს დიპლომზე ხელი მოწერილი და შენს კვალიფიკაციაზე ასე თუ ისე პასუხისმგებელი ვარო. გახსოვდეს, ჩვენ თუ არ ვუპატრონეთ ერთმანეთს, ჩვენი პატრონი და შემცოდე არავინ არის ამ დუნიაზეო.

...ასეთი იყო ჯორბენაძე: მართალი, უშიშარი, პირდაპირი, კეთილი, მაღალზნეობრივი და ბავშვივით სათუთი გულის პატრონი.

მუდამ სიკეთის მთესველი

ჩემს მეხსიერებაში გიორგი შალამბერიძეს ჟამთა ულმობელი სრბოლა ვერასოდეს დანისლავს.

საშუალო ტანის, შავგვრემანი, ლამაზი პირისახის, მკვირცხთვალება მუდამ პეწიანად, შეიძლება ითქვას, მოდურად ჩაცმული, ჩქარი ნაბიჯით მოსიარულე, უკიდეგანო იუმორის მქონე (სულ რომ მზად იყო სასაცილო რამ მოესმინა, ან თვითონ ეამბნა), უცერემონიო, მაგრამ მოყვასისთვის ხელის გამწვდენი, დამხმარე, მშველელი უღალატო. მუსიკალური სმენა ჰქონდა, შესანიშნავად მღეროდა და ქეიფი უყვარდა...

განსაცვიფრებლად წიგნიერი კაცი იყო. მთელი ქართული მწერლობა წაკითხული ჰქონდა და ბევრი ადგილი ზეპირადაც იცოდა. შეიძლება ითქვას, დაავადებული იყო ქართული ენით.

ჩემი პირველი წიგნი რომ მივუტანე, წარბები შეჰყარა – დაბეჭდვამდე რატომ არ წამაკითხეო. ვერ გაგიბედე, გოგი ბიძია-მეთქი. თანაც მე ხომ შენი მოწაფე ვარ, მართლწერა შენ მასწავლე და, არა მგონია, ამ წიგნში ბევრი გრამატიკული შეცდომა გამპარვოდა-მეთქი.

გაიცინა, სწორედ ეს მაწუხებს, გადაშლის ვიღაც და იტყვის: ვინ ასწავლა ქართული, მე იმის ასე და ისეო.

წყენა რომ შემატყო, დამიყვავა; არ გაბრაზდე, ჩვენი ენა ისეთი რთულია, შენ კი არა, ჯავახიშვილი და გამსახურდიაც ხშირად სცოდავენ, შანიძეზე რომ აღარაფერი ვთქვაო. გადამიშალე შენ თვითონ ეს შენი წიგნი ნებისმიერ გვერდზე და თუ სამ შეცდომაზე ნაკლებს გიპოვი, ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ და ბოდიშსაც მოგიხდიო.

გადავუშალე ერთგან, მეორეგან, მესამეგან... ხუთ გრამატიკულ, ორთოგრაფიულ, კორექტორულ შეცდომაზე ნაკლები არც ერთ გვერდზე არ იყო. იცინოდა, ხარხარებდა, რა გაცინებს-მეთქი. შენ თავდაჯერებულობაზე ვიცინი, წადი ახლა და როცა რამეს დაწერ ეს ჩემი სიცილი გაგახსენდესო.

მახსოვს ერთხელ გაზეთი „კომუნისტი“ გადაშალა და გაბრაზებულმა განზე მოისროლა. ნახე, მჟავანაძეს (მაშინ ცეკას პირველი მდივანი იყო) როგორ აბიაბრუებენო „ამხ. ვასილ მჟავანაძემ საჭირბოროტო პრობლემების ირგვლივ ილაპარაკაო“. სწერენ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ირგვლივ, რაღაცას მიედ-მოედო და საჭირბოროტო საკითხებზე არ ულაპარაკნიაო, მჟავანაძემ რომ ჩემდენი ქართული იცოდეს, კუდით ქვას ასროლინებდა ამ გაზეთის ხელმძღვანელებსო. იქნებ მართლა „ირგვლივ“ ილაპარაკა და სწორი სწერია მანდ-მეთქი. გაიცინა, ნუ ჯიბგირობ რეზო, ამდენი იუმორი ვინ მისცა „კომუნისტსო“.

მამაჩემის კურსელი და უპირველესი მეგობარი იყო. ბოლოს მამაჩემს ისე ხშირად ველარ ხვდებოდა (სხვადასხვა ადგილას მუშაობდნენ), ხოლო მე და ბატონი გიორგი ყოველდღე ერთად ვიყავით, რაკიღა უნივერ-

სიტეტი გვაერთიანებდა და ესეც არ იყოს, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გახლდათ. დღეში ერთხელ მაინც დეკანატში რომ არ შემევლო (ვირი რომ წისქვილში შეიხედავს...), ისე შინ რა წამიყვანდა. ცოტა ხანს ბატონი ვლადიმერ ფანჩვიძე იყო დეკანი, მერე ბატონ აკაკი ურუშაძესთან მოუწია კარგა ხანს მოადგილეობამ. მისი მოადგილეობის დროს დეკანატში სულ ღიმილის და სიცილის განწყობილება სუფევდა. იუმორული სიტუაციის შექმნის დიდოსტატი იყო. მახსოვს რამდენჯერმე იხმო ერთი დაბნეული დოცენტი და გამოუცხადა: შენ ამა და ამ სტუდენტისთვის ამისა და ამის თხოვნით ნიშანი დაგიწერია და თუ კაცი ხარ, ახსნა-განმარტება დაწერე, რექტორატი ითხოვსო. დიდხანს, ჩიფჩიფით წერდა შეწუხებული „დოცენტი“ ახსნა-განმარტებას. რომ გავიდოდა, ხმამაღლა წაიკითხავდა ბ-ნი გიორგი და ვკვდებოდით სიცილით.

კვირაში ერთჯერ მაინც რესტორან „ტაბახმელაში“ ვქეიფობდით, შოთა ძიძიგური, აკაკი ურუშაძე, გიორგი შალამბერიძე და მე რესტორნის დირექტორი ამათი ძმაკაცი იყო და ფულს არ გვახდევინებდა.

შინ რომ გვეწვეოდა, მამაჩემი საყვედურობდა; წამართვა შენი თავი რეზომო.

მახსოვს გოგი ბიძიას „პირველი სიკეთე“. მაშინ ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი გახლდით.

პირველ კურსზე ფილოლოგიურიდან ჟურნალისტიკის განყოფილებაზე მოვინდომე გადასვლა. ჟურნალისტიკაც ფილოლოგიურ ფაკულტეტს ეკუთვნოდა, მაგრამ უფრო მოდური (თუ პრესტიჟული) გახლდათ და კონკურსიც დიდი იყო. გადაყვანაზე ყველას უარს ეუბნებოდნენ, თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ იყო. შევედი რექტორთან. ბატონმა ევგენი ხარაძემ უარით გამომისტუმრა მიდი დეკანთან და თუ დეკანი აუცილებლად ჩათვლის (და იმ აუცილებლობას დაასაბუთებს) გადაგიყვან, თუ არა და არაო. მივედი დეკანატში. გოგი ბიძია ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი. დავუდე წინ განცხადება ევგენი ხარაძის რეზოლუციით – „პროფ. ვ. ფანჩვიძე დასკვნისთვის) ხარაძე“, დაჯექი აქო, გოგი შემოვიდა ვ. ფანჩვიძეს ბატონო ვლადიმერ, არც აცია არც აცხელა დეკანის მოადგილემ, ეს ყმაწვილი ჩვენი პირველკურსელია. მამამისი თურმე აბასთუმნის ობსერვატორიაში მუშაობს ბ-ნ ევგენისთან. რექტორმა გთხოვათ, თუ წინააღმდეგი არა ხართ, იქნებ გადაგვეყვანა ჟურნალისტიკაზეო.

რა გვარი ხარო, სათვალის ზემოდან გამომხედა ფანჩვიძემ. მიშველაძე-მეთქი. რას აკეთებს მამაშენი აბასთუმნის ობსერვატორიაშიო. „მთავარი მიკროსკოპისტია“-მეთქი, დაუფიქრებლად ვაჯახე. სახელდახელოდ სხვა თანამდებობა ვერ მოვიგონე, რაც ობსერვატორიაში შეიძლება ყოფილიყო. წერ რამესო? მკითხა დეკანმა. კი, მოთხრობებს, ლექსებს, პიესებს და კრიტიკულ წერილებს-მეთქი.

კარგი, კარგიო, გამიღიმა და ჩემს განცხადებას ქვემოთ წააწერა:

„ამხ. რევაზ მიშველაძე იმედისმომცემი ახალგაზრდა მწერალია. ბ-ნი ბესარიონ ჟღენტი დადებითად ახასიათებს. დეკანატი შუამდგომლობს, გადაყვანილ იქნას ჟურნალისტიკის განყოფილებაზე“.

ციმციმ შევუტანე რექტორს. ბ-ნი ევგენი ცოტა არ იყოს, გაბრაზდა. ყველას უარს ვეუბნებით და თქვენ რა წითელი კვერცხი ხართო. წერით დღეს ყველა ახალგაზრდა წერს. იყავით ფილოლოგიურზე და წერეთ, ვინ გიკრძალავთო. წელში გამაცია, როცა ყურმილი აიღო და ჰკითხა დეკანს: ბატონო ვლადიმერ, მართლა ასე აუცილებელია მიშველაძის გადაყვანა ჟურნალისტიკაზეო? იქედან ბ-ნმა ვლადიმერ ფანჩვიძემ რა უპასუხა, ვერ გეტყვით. „კეთილი, კეთილი“, ჩაილაპარაკა რექტორმა და განცხადებას დააწერა „ბრძ. გადაყვანილ იქნას, ე. ხარაძე“.

ასეთი იყო გიორგი შალამბერიძე.

ხუთ ადგილას მუშაობდა. ყველგან ყველაფერს ასწრებდა. რა იყო მისი სამუშაო წისქვილები? თბილისში სამი-ოთხი ჟურნალ გაზეთის გარდა რაც კი პერიოდული (მეცნიერული ან არამეცნიერული ხასიათის) ორგანო გამოდიოდა ყველა მათგანის მთავარი სტილისტი გიორგი შალამბერიძე იყო.

როგორ ასწრებ-მეთქი, რომ ვკითხავდი, მიპასუხებდა: ამას კიდევ აუვიდოდა კაცი, მაგრამ მე უნიჭო დისერტაციების სწორებამ გამასავათაო.

თხოვნაზე კაცს უარს ვერ ეტყოდა.

სიკეთის განსახიერება იყო და აკი უდრტვინველად, გაუწვალებლად უავადმყოფოდ მიიბარა უფალმა შინ ტელევიზორის წინ ტახტზე წამოწოლილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

მეცნიერების, ლიტერატურის სამსახურში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოდენ ეროვნული ტაძარი როდია, იგი რჩეული ინტელიგენციის ერთგვარი დედასახლიცაა და მისი ბობოქარი ცხოვრების მემატიანეც.

ზოგს, უნივერსიტეტში დაფრთიანებულთაგან, ქვეყნის სამსახურის სხვა ასპარეზიც აიყოლიებს, ერთხანს კარიერის კიბეს აუყვება, თუმცა სიცოცხლის რომელიმე მოსახვევზე ერთბაშად დარწმუნდება, რომ არ არსებობს უფრო დიდი, ჭეშმარიტად ღირსების საქმე ვიდრე ივანე ჯავახიშვილის ლიბოდადებულ ქართულ უნივერსიტეტში თუნდაც რიგით მეკელაპტრედ სამსახური გახლავთ. დარწმუნდება და კვლავ „ალმა-მატერს“ მოაკითხავს.

არიან ისეთნიც, თავიდანვე რომ მტკიცედ დგანან არჩეულ გზაზე, ცდუნების ქარბორია მათს შუბლზე ძარღვსაც რომ ვერ აატოკებს, მათ სიყრიმადნვე გაუწირავთ თავი ლექტორის დაფა-ცარცისთვის და მეც-

ნიერის სატინის სამკლაურებისთვის. მტვრიანი არქივისათვის და უხმაურო, ხშირად ერთფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის, ისინი უნივერსიტეტშივე იღებენ ოსტატად კურთხევას და მამაშვილურ ხელდასხმას მეცნიერ-მამამათაგან, აქვე ირგებენ მხრებზე პროფესორის მძიმე მანტიას და აქვე თეთრდებიან.

ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება სახელოვანი მეცნიერი ოთარ ბაქანიძე.

ჩემი სტუდენტობის დროს კარგად მახსოვს ტრიბუნაზე მდგარი სპორტული აღნაგობის, სასიამოვნო ხმა-ტემბრის მქონე, ამოდმოსაუბრე ახალგაზრდა კაცი. იგი ფილოლოგიის ფაკულტეტის რჩეულთა შორის იყო მუდამ. ერთხანს უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა სამეულშიც დაჩნდა. იმ სკამიდან პირდაპირ ცეკას მდივნად თუ არა, ქალაქის ხელმძღვანელად მაინც გადაჰყავდათ. ოთარ ბაქანიძესაც შესთავაზეს და, ვინ იცის, როგორ აეწყობოდა ახაგაზრდა კაცის ცხოვრება, მაგრამ წიგნისთვის დაბადებულმა ლამის კარზე მომდგარ „ბედს“, გრძელკაბინეტ – ლიმუზინს უარი ჰკადრა. ვიცი მე რასაც ჰქვია ამათი დაწინაურება, ერთ დღეს მოწყინდებით, დაგაცურებენ და თავიდან დაგაწყებინებენ ცხოვრებასო.

კარგად ახსოვდა რუსთაველის შეგონება („საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი უხდების, ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების“) და მისი მშობლების ბედის უკუღმა ტრიალით გამოწვეული ელდაც დიდხანს უწამლავდა ყოფას. ოთარ ბაქანიძე ოცდაჩვიდმეტში რეპრესირებული ოჯახის შვილი იყო და გადასახლებიდან დაბრუნებულმა დედამ ქალაქში შვილების გააფთრებული, ამაო ძებნით სასოწარკვეთილმა, შემთხვევით აღმოაჩინა ლამის ქუჩის შვილებად ქცეული თავისი ათი-თორმეტი წლის „ვაჟკაცები“ – ოთარი და მისი ძმა.

ბატონმა ოთარმა ეს შემაძრწუნებელი ამბავი სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ მიამბო და იმდენად შემძრა ოცდაჩვიდმეტისთვის ამ ტიპურმა ტრაგედიამ, რომ ნოველა ვუძღვენი.

კარგა ხანს ფილოლოგიის ფაკულტეტს წინამძღვრობდა, მერე ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის კათედრა დააარსა და დღემდე მის მიერვე დაარსებულ კათედრას ხელმძღვანელობს.

წლებმა გაირბინეს. თითქოს გუშინ იყო. საბჭოს სხდომაზე კორნელი დანელიამ სამოცი მიულოცა, გაიკვირვა, წამოწითლდა, როგორც არაამბიციურ, კეთილშობილ ადამიანებს სჩვევიათ, რამ გაგახსენათო, ჩაილაპარაკა.

ახლა სამოცდაათისა გამხდარა.

იქნებ არც ახლა მოეწონოს ჩემს უფროს მეგობარს და მასწავლებელს მისდაუნებურად მისი ლამაზი (და სოლიდური) ასაკი, პროფესორის სიჭარმაგე რომ გავუმხილე ქვეყანას და ისე გავკადნიერდი ამ ჭეშმარიტად ხალხისთვის დამაშვრალი კაცის, მამულიშვილის პორტრეტის შტრიხებსაც რომ გავეთამაშე.

ოთარ ბაქანიძემ ქართულ კულტურას ფართო რეზონანსი შესძინა რუსეთის, უკრაინის, მოლდავეთის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის და საზღვარგარეთის სხვა უნივერსიტეტებთან სამწერლო და სამეცნიერო ცენტრებთან კავშირის დამყარებით და ფართო მთარგმნელობითი მუშაობის თავკაცობით.

ბატონმა ოთარმა პირველმა შემოიღო ჩვენში მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტებთან ფილოლოგ სტუდენტთა გაცვლის პრაქტიკა და დღეს ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს წარმატებით თარგმნიან მის მიერ სწორ „გაცვლის წესით“ მომზადებული მთარგმნელები: რაულ ჩილაჩავა, მერიკე პაუ, გრიცკო ხალიმონენკო და სხვანი. ყველა მათგანმა, შეიძლება თამამად ითქვას, განსწავლის წლები „ოთარ ბაქანიძის სახელოსნოში“ გაიარა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ფართო მასშტაბის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაუცხრომელი ზრუნვა-ინიციატივით არაერთი უკრაინელი, ბელორუსი და ბალტიისპირელი მწერლის საიუბილეო საღამო და სამეცნიერო სესია გამართულა. თითქმის ყოველ წელიწადს ბატონი ოთარ ბაქანიძე ფართომასშტაბიან მეცნიერულ სიმპოზიუმს თავკაცობს.

ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევის ავტორმა ახლახან „უკრაინული ლიტერატურის ისტორიის“ უაღრესად საინტერესო სახელმძღვანელო შემოგვთავაზა.

მეცნიერთა ახალი თაობების აღმზრდელი, ბევრი აქტუალური მეცნიერულ-ლიტერატურული წიგნის რედაქტორ-გამომცემელი პროფესორი, ოთარ ბაქანიძე, წლების განმავლობაში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარეა და ჩვეული სიდარბაისლით, კრისტალური პატიოსნებით, დიდი ტაქტითა და მიუდგომლობით უძღვება ამ საშვილიშვილო საქმეს.

ღმერთმა დიდხანს შეარჩინოს ჭაბუკური ენერგია და ქვეყნის სამსახურში მყარად, ერთგულად დგომის ნიჭი.

ვულოცავთ

სამოცდაათი შეუსრულდა ბატონ ვახტანგ ქარუმიძეს.

თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ბ-ნი ვახტანგი დღეს მხნედ არის და ახალი საქართველოს მშენებლობის ფერხულში დგას.

სამაგალითოა მისი ცხოვრების გზა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულმა ის-ის იყო ასპირანტურა დაამთავრა და თავის სათაყვანებელ ცოდნის ტაძარში ლექციების კითხვა დაიწყო, რომ პარტიულ სამუშაოზე უხმეს. კომკავშირის რაიკომის მდივანი, კომკავშირის ცეკას განყოფილების გამგე, პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი, პარტიის ცეკას პროპაგანდის განყოფილების გამგე, ჟურნალ „კომუნისტის“ რედაქტორი... ასეთია ვახტანგ ქარუმიძის ნამსახურობის არასრული ნუსხა და ამ უანგარო, ზრდილობითა და მოკრძალებით აღსავსე ჭეშმარიტი ინტელიგენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ცხოვრების ყველა მოსახვევი პატიოსნად, უმწიკვლოდ, სახელშეუბღალავად გაიარა და ერთგულად ემსახურა თვის სამშობლოს.

დღეს ბ-ნი ვახტანგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ფიზიკულტურის აკადემიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფაკულტეტის დეკანი გახლავთ.

მკვლევართა და სტუდენტთათვის სამაგიდო წიგნებად ითვლება მისი ნაშრომები თანამედროვე ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. საზოგადოებისა და სამართლის ურთიერთმიმართების აქტუალურ პრობლემებზე...

ახლახან თავის მშობლიურ სოფელ ხაშმს ვახტანგ ქარუმიძემ შესანიშნავი ისტორიული გამოკვლევა მიუძღვნა.

ბ-ნი ვახტანგი მუხლჩაუხრელად ემსახურება მშობლიურ ლიტერატურასაც. სხვადასხვა დროს მან საგულისხმო სტატიები გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ ნონეშვილის, გრიგოლ ბუხნიკაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ქეთევან ქუჩუკაშვილის და სხვათა შემოქმედებაზე. ახლახან დაამთავრა სქელტანიანი ნაშრომი „შეხვედრები ქართველ და უცხოელ მწერლებთან“, რომელსაც მკითხველი საზოგადოება მალე მიიღებს.

საქართველოს მწერალთა დარბაზი ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას უსურვებს ბ-ნ ვახტანგ ქარუმიძეს.

გვახსოვხარ, გვჭირდები!

ორმოცი მძიმე დღე გავიდა ვახტანგ ბოჭორიშვილი რომ აღარ არის ჩვენ შორის.

ორმოცი დღეა დამჭკნარი ყვავილების თაიგული დევს უხუცესი პარლამენტარის მაგიდაზე.

ორმოცი დღეა აღარ ესმის საქართველოს ჭეშმარიტი მამულიშვილის, ქვეყნისთვის თავგადაკლული საზოგადო მოღვაწის ლექსითა და იუმორით შეზავებული ცეცხლოვანი სიტყვა.

როგორ გვენატრება მის მეგობრებს და თანამოაზრეებს ბატონი ვახტანგის გონივრული რჩევა, მისი ომახიანი შეძახილი თვალებში დაღლადაბნევას რომ შეგვატყობდა, მისი უკომპრომისო, ქედუხრელი თანადგომა, თუნდაც დიდი ეროვნული მაესტრო მძიმე ხელმკლავზე გრძელ დერეფანში მიმავალთ რომ დაგვეყრდნობოდა ხოლმე.

გვახსოვხართ, გვიყვარხართ, გვჭირდებით, ძვირფასო, ბატონო ვახტანგ!

ნათელში იყოს

თენგიზ სანიკიძემ დატოვა საწუთრო.

საქართველოს მწერალთა დარბაზის წევრი, ქართული ფენომენის აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თენგიზ სანიკიძე უანგარო მამულიშვილი და მაღალი ღირსებით შემკული პიროვნება გახლდათ.

ექვს სექტემბერს „მწერლის გაზეთის“ რედაქციაში ილია ჭავჭავაძეზე წერილი მოიტანა. ილიას მკვლელობის თარიღს შეახსენებდა მკითხველს და აფრთხილებდა: მაწანწალა ტყვია, რომელმაც ილიას შუბლი გამოიარა, კვლავაც დადის საქართველოში და თუ რჩეულ ქართველთა შუბლები არ დავიფარეთ, ვინ იცის კიდევ რა ცოდვას დაატრიალებსო.

„მაწანწალა ტყვიას“ უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ, მაგრამ ბრალი ჩვენი, რომ მას ავტორი ვეღარ წაიკითხავს.

ქართულ სიტყვას, ეროვნულ ცნობიერებას ედგა ფხიზელ გუშაგად. კალამს ქაღალდზე ტყუილუბრალოდ არ მოუსვამდა. მისი წერილები და სამეცნიერო ნარკვევები საქართველოს გადარჩენის რუდუნებით იყო ნათელმოსილი. მუდამ სიკეთის მთესველს ბავშვის ალალი და მიმნდობი გული ჰქონდა. ამიტომაც ხშირად აწყდებოდა გულგრილობა-პირმოთნეობის კედელს და უკვირდა ხოლმე; რად ხდება ასეო, მე სიყვარულის ბადაგს ვასმევ, ის კი შხამ-სამსალით მიმასპინძლდებაო.

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ წუთისოფლის ავი გამოცანის ამოხსნა არც უცდია. ჩანს, არ სურდა იმ საშინელ ჭეშმარიტებაში დარწმუნებულიყო, რომ ბოროტება-სიკეთის ჭიდილში ხშირად ბოროტება იმარჯვებს.

შეხვედრისას უნივერსიტეტის დერეფანში განზე გაგიწვევდა და რა თემაზედ უნდა დაეწყო საუბარი, ბოლოს სიტყვის გრძნეულებისკენ გვიტყუებდა: „იცი? ილია ჭავჭავაძეს ყველა ქართველ მწერალზე უფრო ხშირად აქვს გამოყენებული ორი სიტყვა „მამული“ და სამშობლო?

ვისაც ლექსიკონის შედგენა უცდია, ალბათ, მხოლოდ მან იცის, რა ტიტანური ძალისხმევა სჭირდება ამ საქმეს.

თენგიზ სანიკიძე თანამედროვე ქართველ ენათმეცნიერთა შორის

ის გამონაკლისია, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ილიას, აკაკის, გამსახურდიას, გალაკტიონის ლექსიკონების შედგენას მოახმარა. არც თანამედროვენი დავიწყნია; 1999 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ დასტამბა მისი ახალი ნაშრომი „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკა“.

კალმითა და ლუპით ხელში მაგიდასთან მჯდომს წამოეპარა სიკვდილის აჩრდილი.

ნათელში იყოს მისი ლამაზი სული.

რა ვიცოდი...

ჩემო ქიშვარდ, ჩემო ქიშო.

მე და შენ განსაკუთრებით გვესმოდა ერთმანეთის; იქნებ უფრო იმის გამოც, ორივეს შვილების დასაფლავების უმძიმესი ხვედრი რომ გვარგუნა ბუნებამ.

ჩვენი გონების სარკმლიდან სასაცილოდ ჩანდა ადამიანთა ჭირვეულობა, ამაო ფუსფუსი, წვრილმანი კინკლაობა.

ვუცქეროდით და გვეცინებოდა.

მე და შენო, მეტყოდი ხოლმე, ისეთი ჭირი გვაქვს ნანახი, ამ ნაძირალათა ღავღავი ნირს ვეღარ შეგვიცვლისო.

„მწერალთა დარბაზი“ რომ შევქმენით, მოხვედი და პირველი ჩაეწერე, პირველივე სხდომაზე წინადადებაც დააყენე: ამ ეროვნულ მწერალთა კავშირში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავაც ჩავრიცხოთ სიკვდილის მერე, საპატიო წევრებადო.

ერთხმად მოვიწონეთ შენი კეთილშობილი გულის წადილი.

გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე მოხვედი ჩემთან.

საქართველოს მკვდრეთით აღდგომას მე, ალბათ, ვეღარ მოვესწრები. რაც დრო გადის, ჩემი გაბრიელი უფრო და უფრო დაჟინებით მიხმობს თავისთან, ავი სიზმრები არ მასვენებენო.

გულისგატეხა არ გამაგონო ქიშვარდი. წუწუნი არ შეგფერის. აბა მე რა უნდა ვთქვა, ათასი ჯურის ნაძირალა და არაკაცი მებრძვის. შენი მტერი კი მხოლოდ საზოგადო ბოროტებაა. ფეხით მოსიარულეთა შორის შენი მგმობელი ჯერ არ შემხვედრია-მეთქი.

ქვეყნის უბედურება მიკლავს გულს, თორემ ხორციელ მტრებს როგორმე გავუსწორდებოდიო.

მაგიდაზე მშვენიერი მოთხრობა დამიდე და გამომემშვიდობე.

მოთხრობა მაშინვე სტამბაში გავგზავნე.

რა ვიცოდი, რომ შენი ბოლო სტრიქონის დაბეჭდვით სამუდამოდ გეთხოვებოდი, რომ შენი ნახელავით გამშვენიერებული გაზეთის შენს კუბოზე დადება მომიწევდა.

ჩემო მურმან!

თანამედროვე ქართულ მწერლობაში თუ ვინმეზე ითქმის პროფესიონალი, ერთ-ერთი შენა ხარ.

გაგიბრაზდი ამასწინათ, შენი 75 წლისთავის საიუბილეო საღამოს გამართვაზე რომ ვერ დაგიყოლიე.

რა საჭიროა, რა გამიკეთებიაო.

ეს სენი საოცარი თავმდაბლობის გამოხატულებაა, თორემ თუ რომელიმე ჩვენთაგანის ლიტერატურული ხურჯინია პირთამდე სავსე ბრწყინვალე ლექსებით, ესეებით და თარგმარებით – შენი ხურჯინია.

შენი ნაწერების კითხვისას ისე შემომათენდება, ვერ ვგებულობ. ახალი გვერდის გადასაშლელად თითს რომ ნერწყვით დავისველებ და კედლის სილურჯეს თვალს გავაყოლებ – უკვე მოდგომია ფანჯრებს ცისკარი.

შენ არავის გავხარ.

სხვის გზა-ბილიკზე არასდროს გივლია, ამიტომაც შენეულია შენს ნაწერებში პასაჟი, ფრაზა, პოეტური სამკაულები და რაც მთავარია, შენი ნიჭის საოცარი გამოვლენა – ორიგინალური მწერლური ხილვები, რითაც მკითხველს მეყვსეულად მონუსხავ და გაიყოლიებ.

შენი ლიტერატურული ხელწერა ყველასაგან გამოგარჩევს. წერ მოკლე წინადადებებით, მკითხველს ესაუბრები ჩურჩულის ინტონაციით, ჭეშმარიტებას უმტკიცებ არა გულზე მჯიღის ცემით, არამედ რკინის ლოგიკით და ისე გულშიჩამწვდომად, რომ იძულებულს ხდი, დაგეთანხმოს.

ხელისგულზე გიდევს მსოფლიო მწერლობა. რაც მნიშვნელოვანი შექმნილა არა მარტო წაკითხული გაქვს, შეგიძლია დედანში ჩაუხედავადაც გაიხსენო და უზუსტეს ციტატად ჩადო შენს დიდებულ ესეებში.

სწორედ რომ მასშტაბური აზროვნება გაქვს. შეიძლება მწერლის ნააზრევში ერთმა ფრაზამ, ერთმა მხატვრულმა დეტალმა მიიპყროს სენი ყურადღება და თითქოსდა იმ კამერტონის ხმას გაყოლილი, მიდიხარ და მიდიხარ.

გარანდულ, დახვეწილ სტრიქონებს ერთმანეთზე აბამ და ესეის სახით სრულიად ახალ სედევრს ჰქმნი.

წერ უშურველად, მოყვასის დიდბუნებრიობით.

შენვე განიჭებს სიამოვნებას, რომ მეგობარი მწერლის შემომედების ერთი წახნაგი შენებურად დაანახვე მკითხველს.

ბოლო წლების მანძილზე ჭაბუა ამირეჯიბზე და ჩემზე დაწერილ შენს მშვენიერ წიგნებს ოდენ ლიტერატურისმცოდნის კი არა, ჭეშმარიტი ესთეტის ნათელი აზის.

და ეს მოახერხე დრეს შენი მშვენიერი ლექსებისთვის წართმეული დროის ხარჯზე, როცა მწერალთა უმეტესობა სხვის წიგნებს კი აა, თავისი „უკვდავი“ ნაწერების კორექტურასაც ძლივს კითხულობს.

როცა სხვისი ნაწერის „ახლოით განჩხრეკა“ უმადურ საქმედ ითვლება და კრიტიკა წალეკა ლიტერატურულმა ჟურნალიზმმა ტყუილების და მავანთა მსოფლიოობის გულისამრევმა ჭორებმა.

შენ ზიხარ შენს ლიტერატურულ მღვიმეში და ყველაფერს ხედავ, ყველას თავისას მიაგებ.

ბავშვივით მეცინება შენს ახალ ლექსზე: „სად მუშაობო, მკითხა ერთმა“, ეს ლექსი-შედევრი ჩვენი ლიტერატურული (თუ გნებავს საზოგადოებრივი) ცხოვრების ერთგვარი კალეიდოსკოპია. იგი ზუსტად (ირონიის საოცარი მომარჯვებით) ასახავს იმ სავალალო სურათს, რაც სააკაშვილის ცხრანლიანმა დანაშაულებრივმა რეჟიმმა დაამკვიდრა.

დიდხანს და მაგრად მეყოლე, მურმან.

შენ ჩვენი იმედი ხარ.

რაკი შენ არსებობ, ქართული ლიტერატურა გადარჩენილია.

ასარჩევი

„დილა“ 1972 წელს 5
კრიტიკოსის ახალი წიგნი 26
წინ, რუსთაველისკენ 29
წმინდანთა ცხოვრების წესით ცხოვრობდა 30
ვერ წარმომიდგენია 31
ბატონო ჭაბუა 32
როგორც თოლიები ქარში 33
ეგრე არ არის თაყაო 34
სასჯელივით იხდის სიცოცხლეს 39
წინათქმა 40
მეამაყება 42
ღვთისკაცი... ერისკაცი... ბრძენთა ბრძენი... 42
ტერენტის ახალი სიცოცხლე 43
ახლა იქიდან გვლოცავს 45
ღმერთმა დიდხანს ატაროს 46
კარგი სახელმძღვანელო 47
მინაწერები სატელეფონო წიგნზე 48
„რჩეულის“ წინათქმა 175
აღსრულდა! 179
ერის სიყვარულის წრეში 180
მისხალ-მისხალ 183
ნუ დავაყოვნებთ 188
„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას 190
მინაწერები სამაგიდო ექვს დღიურზე 192
ღმერთმა შეუნდოს 197
ოთხმოცი წლის მწერალი 202
ღმერთო, ჩემი თავი მაპოვნინე 204
იქნებ ჩვენ მაინც გავერთიანდეთ 206
უნივერსიტეტი და თანამედროვე ქართული მწერლობა 209
ვერ მოვუწონებთ 211
ამაყი 214
მხოლოდ კეთილი სურვილით 215
ეროვნული სულისკვეთების წიაღში 227
პირველი წიგნის სრულყოფისათვის 243
დავუბრუნოთ თვეებს ქართული სახელწოდებანი 249
ხვალის საქართველოზე ზრუნვით 254
ახალ მიჯნათა დასაძლევად 257
მივხედოთ თბილისის ჭიშკარს! 260
ფესვებს, ფესვებს ჩავუღრმავდეთ 262
ზარი ყველას უხმობს 266
სულით ხორცამდე ქართველი 282
მოდით, მიხედეთ 285
ოქროს ზომიერება 286
ჩვენ და ახალგაზრდობა 299

როცა სტუმარი ღვთისაა ... 318
როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი ... 326
სოფელი და ახალგაზრდობა ... 336
სპორტულპიჟამიანი კაცი ... 345
სოკრატედან დღემდე ... 349
ბაკურიანში კულისები არ არსებობს ... 359
იგი ბრმა არ არის, უსინათლოა ... 363
ღვაწლი ... 367
საუკუნის მაგისტრალი ... 373
სიტყვა მწერალთა XX ყრილობაზე ... 389
მხარს ვუჭერთ ... 392
ვის გვერდით დავდგებით... ... 393
იმედითა და მოლოდინით... ... 394
არდავიწყება მოყვრისა... ... 395
„შვილო, ზურაბ, სადამდი?!“ ... 395
კონსტანტინე გამსახურდიამ რა დააშავა? ... 397
გავიღვიძოთ! ... 399
ჩემი აზრი ... 404
გლობალური შეტევა ეროვნულობაზე ... 406
ნუ გავახარებთ მტერს! ... 409
ხმა ამოვიღოთ, სანამ ფერმის გოჭებივით დაგვნომრავენ... ... 421
მამულიშვილნო ... 433
გამოვიღვიძოთ, ქართველნო! ... 434
შევწყვიტოთ თავის მოტყუება ... 437
ქართული ფენომენი ... 439
გამოფხიზლდით, ქართველნო! ... 450
ვისგან ვათავისუფლებთ აფხაზეთს? ... 451
მიმართვა ... 452
ნუ ხტუნავთ, ნუ ყვანცალებთ! ... 454
რა ბანგი გასვეს... ... 456
ხელს მაინც ნუ შეუშლით! ... 457
გონს მოვეგოთ! ... 457
აი, სადამდე მივედით ... 459
ეროვნების აღდგენაზე კრინტი არ დაუძრავთ ... 462
შევაღვიძოთ ერი, მწერლებო! ... 463
ესაა სკოლის აღორძინება? ... 465
კიდევ ერთი შეტევა ... 466
სირცხვილია ... 467
სამარცხვინო არჩევნები ... 467
ფიცი მწამს ... 469
„თეთრი დათვის“ აჩრდილი გვიახლოვდება ... 470
რა უფლება აქვს ... 471
დანაშაულებრივი დუმილი ... 472
რამ გადაგვარჩინა, რა გადაგვარჩენს... ... 474
მეტს რაღას გვიზამს! ... 481
უსაშველო არაფერი გვჭირს ... 482

თქვენ ჩემთანა ხართ... ... 484
ვაჟკაცი იყო... ... 484
მარტოსულთა თავშესაფარი ... 486
წავიდა პოეზიის მეფე ... 487
იძინე მეფური ძილით ... 489
ბრძენი ... 490
მეციხოვნე ... 491
ანდერძად დაგვირისტებული შემოქმედება ... 493
ამაგდარი მეცნიერი და მოქალაქე ... 495
გაგიმარჯოს ... 496
გათოშილი სულის გასათბობად ... 497
დიახ, ხუმრობამაც გადაგვარჩინა ... 498
ერის ჭირისუფალი ... 500
გამომცემლობის ლომი ... 503
წინათქმა დავით ნავდარაშვილის წიგნისა ... 506
წინათქმა პაატა შამუგიას წიგნისა ... 507
ამღერებულ რითმებზე მონადირე ... 508
„ასი ახალი ნოველის“ წინათქმა ... 509
თეიმურაზ ლანჩავა – 50 ... 510
სიკვდილშიც ვაჟკაცი ... 511
სიტყვა თქმული ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის
120 წლისთავზე ა/წ 14 ნოემბერს ... 512
მოვიხედავ და აღარა ხარ ... 513
ლიტერატურის ფხიზელი გუშაგი ... 514
სიტყვა წარმოთქმული გორის იაკობ გოგებაშვილის
სახელობის სკოლაში შეხვედრაზე ... 516
გამოხმაურება ... 518
ჯუმბერ ჯანდიერი ... 520
რედაქტორისაგან ... 522
ოქროპირი ... 524
მშვიდად და უდრტვინველად ... 528
კაცი ... 529
ბრძოლის სურვილი არ დაიოკო (ზურაბ კუხიანიძე – 70) ... 532
ჭეშმარიტი მოღვაწე და უღალატო კაცი ... 533
სიტყვა, წარმოთქმული სოხუმის უნივერსიტეტის
ოცი წლისთავის იუბილეზე 1999 წლის 21 მაისს ... 534
მაღალზნეობრივი ... 536
მუდამ სიკეთის მთესველი ... 539
მეცნიერების, ლიტერატურის სამსახურში ... 541
ვულოცავთ ... 543
გვახსოვხარ, გვჭირდები! ... 544
ნათელში იყოს ... 545
რა ვიცოდი... ... 546
ჩემო მურმან! ... 547

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ XXI

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2013